რჯული ქრისტესი

დღესასწაული

ჯვრის თაყვანისცემა

გამომცემლობა „ალილო“
თბილისი 2015

შეიწყნელი და მთავარი რედაქტორი
დეკანოზი კახაბერ ურუშაძე

ავტორი
თეა ინწკირველი

რეკომენდირებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური
მართლმადიდებელი ეკლესიის განმანათლებლობისა და
რეცენზირების დეპარტამენტის მიერ და
ნებადართულია გამოსაცემად!

	სსიპ-ებრივ	სრ №
	21.08.15	594

დეპარტამენტის თავმჯდომარე
ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი

ISSN 1512-1100
ISBN 978-9941-0-7686-2

ჯვარი

ჯვარცმა

ქრისტიანობა ჯვარცმული ღმერთის რელიგიაა. არც ერთი სხვა რელიგია არ ქადაგებს ღმერთზე, რომელმაც საკუთარი ნებით ივნო ცოდვილი ადამიანების გამოსახსნელად. ჯვარცმა ყველაზე მეტყველი, ყველაზე ნათელმყოფელი ისტორიაა თავისი ქმნილების მიმართ ღვთის სრულყოფილი, თავგანწირული სიყვარულისა. ღმერთის დახასიათება მრავალი ატრიბუტითაა შესაძლებელი. იგი არის მარადიული, სრულყოფილი, უცვალებელი, ყოვლისშემძლე, ყოვლად ბრძენი, ყოვლად კეთილი და ა. შ. თუმცა, შეუძლებელია იმაზე უკეთ ვთქვათ რაიმე ღმერთზე, ვიდრე მახარებლის სიტყვებია: „ღმერთი სიყვარულია“. ზოგადად, ღვთის შეუზღუდავი ძალაუფლება, მისი ყველა თვისება, მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულის მეშვეობით ვლინდება. ამიტომაა, რომ ჯვარი, როგორც სიყვარულის გამოხატულება, ქრისტიანობის უმთავრესი სიმბოლოა. ქრისტიანი ჯვრით გამოხატავს რწმენას ქრისტესადმი, ჯვრის ნიშნით იცავს თავს განსაცდელთაგან და მას შეჰყურებს იმედით, როცა საბოლოო გამარჯვებაზე ფიქრობს.

რაკი ჯვარი ღვთაებრივი სიყვარულის, მისი ადამიანურ ცოდვაზე გამარჯვების ერთ-ერთი ყველაზე ადეკვატური სიმბოლოა, ამიტომ თავად ჯვარცმის სახარებისეული ისტორია ღვთაებრივი განგებულების საუკეთესო გამოხატულებად ითვლება. უფლის ჯვარცმის ისტორიაში სრულყოფილად ვლინდება არა მხოლოდ ღვთაებრივი სიყვარული და განგებულება, არამედ სრულად ცხადდება ბოროტების მანქანება და გამოვლინების ფორმებიც. უკიდურესი ამპარტავნებითა და შურით აღვსილი მღვდელმთავრები, სინედრიონი და ფარისევლები ქრისტეს სწორედ მის მიერ სიყვარულით აღსრულებული საქმეების გამო სდევნიან. უკიდურესი ბოროტების ერთადერთი მიზეზი, ერთადერთი სამიზნე — სრულყოფილი სიყვარული და სიწმინდეა. ყველაზე საშინელი ბოროტება „ყველაზე ამაღლებული“ სიკეთის საბაბით აღესრულება. უფლისადმი აბსოლუტურად უსაფუძვლო სიძულვილის, მტრობის გასამართლებლად კაიაფას

ებრაელი ხალხის ინტერესების დაცვა მოჰყავს; ის ამბობს, რომ უმჯობესია, ერთი კაცი მოკვდეს ხალხისთვის (იოანე 18, 14). კაიაფას მსგავსი ადამიანები ყოველთვის საკუთარი ხალხის ინტერესების დაცვის საბაბით იწყებენ სისხლიან რევოლუციებს, ტერორს, აჩაღებენ სამოქალაქო და დაპყრობით ომებს და აურაცხელი ბოროტება მოაქვთ. სინედრიონმა და ფარისევლებმა რაკი ქრისტეს ვერავითარი დანაშაული ვერ უპოვეს, მის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრალდება შეთხზეს. ლუკა მახარებელი წერს: „ადგა მთელი ხალხი და წაიყვანეს იგი პილატესთან. დაიწყეს მისი ბრალდება და თქვეს: ჩვენ ვნახეთ, რომ ეს აქეზებს ხალხს და უკრძალავს კეისრისათვის ხარკის მიცემას, ხოლო თავის თავს უწოდებს ქრისტეს, მეუფეს“ (ლუკა 23, 1-2). ფარისევლებისა და სინედრიონის უკიდურესი მუხანათობა და ცინიზმი იმითაც ვლინდება, რომ მათ კეისრისადმი პოლიტიკური ამბოხის საბაბით მოითხოვეს ქრისტეს სიკვდილით დასჯა და გაათავისუფლეს ბარაბა, რომელიც რეალურად პოლიტიკური დამნაშავე იყო. იგი ქალაქში ხალხს რომის ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებდა და ამ დროს მკვლელობაც კი ჩაიდინა, როგორც ამას ლუკა მახარებელი ამოწმებს: „ეს ბარაბა საპყრობილეში იჯდა ქალაქში მომხდარი არეულობის და მკვლელობის გამო“ (ლუკა 23, 19). იმავეს ამბობს მარკოზ მახარებელიც: „და იყო მაშინ ვინმე ბარაბა, ბორკილდადებული მეამბოხეებთან ერთად, რომლებსაც მკვლელობა ჩაედინათ ამბოხებისას“ (ლუკა 15, 7). როდესაც სინედრიონის წევრებმა დაინახეს, რომ იესოს უდანაშაულობაში დარწმუნებულ პილატეს მისი გაშვება სურდა, პოლიტიკურ შანტაჟზე გადავიდნენ. წმინდა იოანე ღვთისმეტყველი ასე გადმოსცემს ამ ამბავს: „ამის შემდეგ ცდილობდა პილატე გაეშვა იგი, მაგრამ იუდეველები აყვირდნენ და თქვეს: თუ მას გაუშვებ, კეისრის მეგობარი არა ხარ, რადგან ვისაც მეფედ მოაქვს თავი, კეისარს ეურჩება“ (იოანე 19, 12). ეს ისტორია კარგი ილუსტრაციაა იმისა, რომ რელიგიურ მოტივებს ამოფარებული ბოროტება თავისი მიზნების ეფექტურად განსახორციელებლად ყოველთვის სახელმწიფო ხელისუფლების გამოყენებას ცდილობს. ამ მიზნით აღიარეს იუდეველებმა კეისარი

ერთადერთ მეფედ და უარყვეს თავიანთი ჭეშმარიტი მეუფე, მესია, რომელსაც დიდი იმედით მოელოდნენ. ზუსტად ამაზე მიანიშნა პილატემ, როდესაც პოლიტიკური შანტაჟის გამო, შურისძიების მიზნით, ჯვარზე წარწერა გააკეთებინა: „იესო ნაზარეველი — იუდეველთა მეფე“ და, მღვდელმთავრების წინააღმდეგობის მიუხედავად, უარი თქვა მის გადაკეთებაზე.

სინედრიონს და ფარისევლებს იესო ქრისტეს თითქოსდა პოლიტიკური მოტივების გამო დადანაშაულება იმიტომაც აძლევდათ ხელს, რომ რომაელები ჯვარცმით მხოლოდ მონებს, ყაჩაღებსა და პოლიტიკურ მეამბოხეებს სჯიდნენ. მათ იესო ქრისტეს უბრალო მოკვდინება კი არ უნდოდათ, არამედ მისი ჯვარცმა, „რადგანაც დაწერილია: „წყეულია ყველა, ვინც ჰკიდია ძელზე“, როგორც ამას პავლე მოციქულიც ამოწმებს გალატელთა მიმართ ეპისტოლეში (გალატ. 3, 13). იუდეველები იმედოვნებდნენ, რომ იესო ქრისტეს ჯვარცმით სიკვდილის შემდეგ აღარავინ ირწმუნებდა მის ღვთაებრივ, მესიანურ ღირსებას.

ძელზე დაკიდება, ჯვარცმა, არა მარტო ებრაელებთან იყო დასჯის „წყეული“, საშინელი ფორმა, არამედ ყველგან, განსაკუთრებით რომაელებთან. როგორც ისტორიკოსები ფიქრობენ, ჯვარცმის ამ პრაქტიკას პირველად სპარსელებმა მიმართეს, ალექსანდრე მაკედონელმა ეგვიპტესა და კართაგენში გაავრცელა, რომაელებმა კი კართაგენიდან გადაიღეს და ჯვარცმის საკუთარი ტექნიკა გამოიგონეს. თავიდანვე ითვლებოდა, რომ ჯვარცმის დროს ადამიანი ნელა, მაგრამ მაქსიმალური ტანჯვითა და ტკივილებით კვდებოდა. იოსებ ფლავიუსი თავის ისტორიაში წერს, რომ როდესაც რომაელებმა ჩვენი წელთაღრიცხვის 70 წელს იერუსალიმის აჯანყება ჩააქრეს, ასობით ებრაელი აცვეს ჯვარს ქალაქის კედელთან. ამბოხით განრისხებული რომაელები შეუბრალებლად აწამებდნენ ებრაელებს, გართობის მიზნით აჯანყებულებს სხვადასხვა მდგომარეობაში აკრავდნენ ჯვარზე. ფლავიუსის მოწმობით, ყველაზე ხანგრძლივი და მტკივნეული ტანჯვა სტანდარტული რომაული წესით ჯვარცმულებმა გადაიტანეს. ციცერონი თვლიდა, რომ რომის მოქალაქისთვის შეუფერებელი იყო ასეთი არაადამიანური სიკვდილი და მათი

ჯვარცმით დასჯა იკრძალებოდა, თუ დამნაშავეს სახელმწიფო ღალატი არ ედებოდა ბრალად.

როგორც არაერთი თანამედროვე გამოკვლევით ირკვევა, დამნაშავეს ჯვარზე გაკვრისას ორივე ხელის მაჯებში (და არა როგორც ადრე ეგონათ — ხელის მტევნებში) უყრიდნენ ლურსმნებს, რათა იგი ჯვრის ჰორიზონტალურ ძელზე მიელურსმათ. ამ დროს ლურსმნები მაჯის იმ ადგილზე გადიოდა, სადაც თითებისკენ მიმავალი ნერვები იკრიბება. ეს აუტანელ ტკივილს აყენებდა მსჯავრდებულს (ამ ტკივილის ინტენსივობის წარმოსადგენად უპრიანი იქნება კბილის ნერვზე შეხებისგან მიყენებული ტკივილის გახსენება). ფეხის ტერფებს ჯვრის ვერტიკალურ ძელზე ისე ალურსმავდნენ, რომ ფეხები მუხლებში მოღუნული რჩებოდა. ამ დროს სხეულის სიმძიმე მთელი ძალით აწვებოდა გულმკერდის კუნთებს, იწვევდა ამ კუნთების დაძაბვას, გახევებას, რაც შეუძლებელს ხდიდა დიაფრაგმის მოძრაობას და ადამიანს სუნთქვა ეკვროდა. იმისთვის, რომ ჯვარცმულს ჰაერი ჩაესუნთქა, აუცილებელი იყო ფეხებით დაყრდნობოდა იმ ლურსმანს, რომელიც მის ტერფებს მსჭვალავდა. ამ დროს გულმკერდის კუნთები შვებას გრძნობდა, დიაფრაგმას გადაადგილება შეეძლო და დამნაშავეს ჰაერის ჩასუნთქვის საშუალება ეძლეოდა. ადვილი მისახვედრია, რომ ამ მდგომარეობაში ადამიანს არ შეეძლო დიდხანს დაყრდნობოდა ლურსმნებით გამსჭვალულ ფეხის ტერფებს, ამიტომ ის იძულებული იყო, ისევ ხელებსა და გულმკერდის კუნთებზე გადაეტანა დატვირთვა და ყველაფერი ხელახლა იწყებოდა. ყოველი ჩასუნთქვის მცდელობა ჯვარცმულისაგან ამგვარ მტკივნეულ მოძრაობას მოითხოვდა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ გამუდმებული იძულებითი მოძრაობების დროს ხელის მაჯები და ფეხის ტერფები გამუდმებით ტრიალებდა ლურსმნების გარშემო. 1986 წელს ისრაელში, გივათ ჰა-მივთარის მახლობლად, აღმოაჩინეს ადრეული საძვალე, რომელშიც დაახლოებით იესო ქრისტეს დროს ჯვარცმული ადამიანის ტერფის ძვალი იპოვეს, მასში ჩარჩენილი ლურსმნით. როგორც გაირკვა, ამ ლურსმნებს ოთხკუთხა ფორმით ჭედავდნენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნერვების თავშეყ-

რის ადგილზე ჩირქმოდებული მაჯები და ტერფები გამუდმებით ტრიალებდა ოთხკუთხა ლურსმნების გარშემო, შესაძლებელი გახდება იმ ტანჯვის წარმოდგენა, რისი გადატანაც უხდებოდათ ჯვარცმულებს რამდენიმე საათის, არცთუ იშვიათად, რამდენიმე დღის განმავლობაში. მათი ტანჯვა ისეთი აუტანელი იყო, რომ თავისი გულქვაობით ცნობილი რომაელი ჯარისკაცებიც კი ზოგჯერ სპეციალურ სასმელს აძლევდნენ, რომელსაც გარკვეული ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი ჰქონდა. მათეს სახარებაში ნათქვამია, რომ უფალსაც ამ მიზნით მიაწოდეს ნაღველნარევი ძმარი (მათე 27, 34), მაგრამ მან უარი თქვა, რათა ბოლომდე, სრულად განეცადა ვნება ადამიანების გამოსახსნელად. ეს აქტი განსაკუთრებული ძალით გამოხატავს ჭეშმარიტი სიყვარულის ბუნებას. სიყვარული არად აგდებს ტკივილს, მსხვერპლს, რომელსაც იგი თავისი საქმის აღსასრულებლად გაიღებს.

რომაელ ჯარისკაცებს ჯვარცმულის მიტოვება მანამ არ შეეძლოთ, ვიდრე მსჯავრდებული არ აღესრულებოდა, ამიტომ ძალიან ხანგრძლივი აგონიის შემთხვევაში ისინი სხვადასხვა მეთოდს მიმართავდნენ ჯვარცმულის სიკვდილის დასაჩქარებლად. ყველაზე გავრცებული იყო წვივების გადამტვრევა. ამ დროს ჯვარცმულს აღარ შეეძლო ფეხებზე დაყრდნობა, ჰაერს ვეღარ ისუნთქავდა და ასფიქსიით კვდებოდა. გავრცელებული იყო ასევე მომაკვდავზე შუბის ან მახვილის ძგერება. სახარებებიდან ვიცით, რომ რაკი პასექის დღესასწაული თენდებოდა, იუდეველებს არ სურდათ, ვინმე ჯვარზე გაკრული დარჩენილიყო. ამიტომ ფეხის ძვლები გადაუმსხვრიეს იესოსთან ერთად ჯვარცმულ ორ ავაზაკს. რაკი იესო ჯვარცმის წინ საშინლად გაროზგეს, მისი სხეული ძალიან დაუძლურებული იყო და სხვებზე ადრე გარდაიცვალა. როდესაც ნახეს, რომ უფალი მკვდარი იყო, მისი წვივის ძვლები არ გადაუმტვრევიათ, თუმცა თავის დაზღვევის მიზნით შუბი აძგერეს ფერდში, საიდანაც, მახარებლების მოწმობით, სისხლი და წყალი გადმოვიდა. ცხადია, ამ დეტალებმა ადრიდანვე შეიძინა ძალიან ღრმა მისტიკური, სიმბოლური მნიშვნელობა. ის, რომ უფალს წვივის ძვლები არ გადაუმსხვრიეს, ამით ძველი აღთქმის წინასწარმეტყველება აღ-

სრულდა, ხოლო მისი ფერდიდან გადმომავალ სისხლსა და წყალში ეკლესიის არაერთი მამა, კერძოდ კი ნეტარი ავგუსტინე, ეკლესიის დაბადების სიმბოლოს ხედავს. მისი აზრით, წყალი და სისხლი ეკლესიის ორ უმთავრეს საიდუმლოებას — ნათლობასა და ზიარებას განასახიერებს. წმინდანის აზრით, როგორც ევა იშვა ადამის ნეკნისაგან, ასევე „ახალმა ადამმა“, ქრისტემ, თავის მარჯვენა ფერდზე წარმოქმნილი ჭრილობისაგან შვა „უფლის სასძლო“ — ეკლესია.

ენით აუწერელი ტკივილების მიუხედავად, ჯვარცმული უფალი თავისი მტანჯველებისთვის ლოცულობდა. ლუკა მახარებელი გვეუბნება: „ხოლო იესო ამბობდა: „მამაო, მიუტევე ამათ, რადგანაც არ იციან, რას სჩადიან“ (ლუკა 23, 34). ამ სიტყვების განმარტება ბევრნაირადაა შესაძლებელი. ის შეიძლება ასეც გავიგოთ: თვით ყველაზე საშინელი ბოროტების ჩადენის დროსაც ადამიანს არ ძალუძს ბოლომდე გააცნობიეროს საკუთარი ცოდვის სიმძიმე; ადამიანს არ ძალუძს ბოროტება მხოლოდ ბოროტების მიზნით აღასრულოს, იგი ყოველთვის თავს იტყუებს და თავის ცუდ საქმეებს მის მიერ შეთხზული კეთილი საბაბით ამართლებს. ყოველ შემთხვევაში, უფალი ამ სიტყვებით ნათლად მიგვითითებს, რომ ადამიანი არასოდეს უნდა გაბოროტდეს, თვით იმათ წინააღმდეგაც კი, რომლებიც მას უსამართლოდ აყენებენ საშინელ ტანჯვას, გულწრფელად უნდა შეეცადოს ისინი, თავის გულში დანაშაული „შეუმსუბუქოს“, ღმერთის წინაშე დამცველად დაუდგეს და მათთვის ილოცოს.

იოანე ღვთისმეტყველი გვამცნობს, რომ ჯვარზე მყოფმა იესომ ასე მიმართა ქალწულ მარიამს: „ხოლო იესომ, როცა დაინახა დედა და იქვე მდგომი მოწაფე, რომელიც უყვარდა, უთხრა დედას: დედაო, აჰა, შენი ძე! მერე კი მოწაფეს უთხრა: აჰა, დედაშენი...“ (იოანე 19, 26-27). წმინდა მამები ამ ფრაზის განმარტებისას ამბობენ, რომ უფლის კურთხევით, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ყველა მოციქულის, აქედან გამომდინარე, მთელი ეკლესიის, ყველა მორწმუნის დედა, მფარველი და შემწე გახდა.

უფლის ჯვარცმაზე საუბრისას ლუკა მახარებელი გვიყვება ავაზაკის სამოთხეში შესვლის ისტორიას, რომელიც ყველაზე ხშირად გამხდარა ღვთის განგებულების ადამიანური გონებით მიუწვდომლობის ილუსტრაციის ნიმუში: „ხოლო ერთი ჯვარცმული ბოროტმოქმედი აგინებდა მას და ამბობდა: თუ შენ ხარ ქრისტე, იხსენი შენი თავი და ჩვენც. მეორე კი რისხავდა და ეუბნებოდა: ღმერთის მაინც არ გეშინია, რადგან მისებრ დასჯილი ხარ? ჩვენზე ახია; რაც დავთესეთ, იმასვე ვიმკით; ხოლო მას არაფერი ცუდი არ ჩაუდენია. და უთხრა იესოს: მომიხსენე მე, უფალო, როცა მიხვალ შენს სასუფეველში; ხოლო იესომ მიუგო მას: ჭეშმარიტად გეუბნები შენ: დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში“ (ლუკა 23, 39-43). ეს ისტორია ბევრი თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი. გამოვყოთ მხოლოდ ორი: წარმოვიდგინოთ, რომ ლუკა მახარებელს არ მოეთხრო ამ ავაზაკის სინანულის შესახებ, როგორც ამას დანარჩენი სამი აკეთებს. ასეთ შემთხვევაში ვერასოდეს ვერავინ წარმოიდგენდა და აზრად არავის მოუვიდოდა, რომ სამოთხეში პირველი სწორედ ავაზაკი შევიდა. ღვთაებრივი გამოცხადების გარეშე არავის ძალუძს შეიტყოს, ვინ და როდის სათნოეყო მას ჭეშმარიტად. ამ ავაზაკმა სწორედ ჯვარზე ყოფნისას შეინანა თავისი ცოდვები. ეს იქიდან ჩანს, რომ მათე და მარკოზ მახარებლების მოწმობით, თავიდან ისიც აგინებდა უფალს. მათეს სახარებაში წერია: „მის გვერდით ჯვარცმული ავაზაკნი ასევე აგინებდნენ მას“ (მათე 27, 44), ზუსტად იმავეს, ასევე მრავლობით რიცხვში წერს მარკოზიც: „და მასთან ერთად ჯვარცმულნი აგინებდნენ მას“ (მარკოზ 15, 32). აქედან კარგად ჩანს, რომ დასაწყისში ორივე ავაზაკი გმობდა უფალს, შემდეგ ერთმა მათგანმა ჯვარზევე შეინანა მთელი წარსული ცხოვრება და სიცოცხლის ბოლო წუთებში წარმოთქმული სინანულის გამო სასუფეველში მოხვდა. ეს ისტორია მეორე ასპექტითაცაა მნიშვნელოვანი: მოუნათლავ ავაზაკს ჯვარზე სისხლის დაღვრა მის მიერვე ჩადენილი ბოროტმოქმედებების საპასუხოდ მოუხდა, მაგრამ მისმა სინანულმა ეს სისხლი მოწამეთა ნათლობის ძალის მქონე სისხლს გაუთანაბრა და მას სამოთხის კარი გაუღო.

„მეცხრე ჟამნს ხმამაღლა შეღაღადა იესომ: ელოი, ელოი, ლამა საბაქთანი? რაც თარგმანებით ნიშნავს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე მე?“ (მარკოზ 15, 34). ზუსტად იმავეს იმეორებს მათეც (მათე 27, 46). ეს სიტყვები განსაკუთრებული მისტიკური შინაარსის მატარებელია. ცხადია, მისი ანბანური გაგება შეუძლებელია, რადგან იესო ქრისტე თავადაა სრულყოფილი ღმერთი. ქალკედონის დოგმატის მიხედვით, მისი ჰიპოსტასი იგივეა, რაც სამების მეორე პირისა. ამიტომ ეს სიტყვები სხვაგვარად უნდა გავიგოთ. ღმერთკაცი აგონიის უმძიმეს წუთებში ახსენებს არა ფიზიკურ ტკივილს და მის მიერ გამოწვეულ ფსიქიკურ ტანჯვას, არამედ ღვთისაგან მიტოვებულობის ადამიანურ განცდას. აქ ჯოჯოხეთის საიდუმლოა გახსნილი. ჯოჯოხეთის ენითაუწერელი ტანჯვის მიზეზი სულის მიერ ღვთისაგან დაშორებულობის განცდაა და არა ფსიქიკური ან ფიზიკური ტკივილი. ეს უკანასკნელი შეუძლებელიცაა, რადგან ჯოჯოხეთში ჩავარდნილ სულს სხეულებრიობა აღარ გააჩნია. წმინდა წერილის მიხედვით, ღმერთს არ შეუქმნია ჯოჯოხეთი. დემონები და ჯოჯოხეთში მოხვედრილი ადამიანები თავიანთ სულში ატარებენ ჯოჯოხეთს, რადგან არ სურთ, იქ უფალი „შეუშვან“.

იოანე ღვთისმეტყველის მიხედვით, ბოლო სიტყვა, რომელიც იესო ქრისტემ ჯვარზე წარმოთქვა, იყო — „აღსრულდა“ (იოანე 19, 30). ამ სიტყვით უფალმა ჯოჯოხეთზე, სიკვდილზე, ბოროტებაზე გამარჯვება აღნიშნა.

ჯვარი სწორედ ამ გამარჯვების, ღვთაებრივი სიყვარულის ძლევამოსილების სიმბოლოა.

ჯვარი

ჯვარი უფლისა (წმინდა ჯვარი, ჯვარი ქრისტესი, პატიოსანი და ცხოველსმყოფელი ჯვარი) არის ის ჯვარი, რომელზეც იერუსალიმში, გოლგოთაზე აღესრულა ჯვარცმა და სიკვდილი უფლისა, ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ეს იყო გამომსყიდველი მსხვერპლი, რასაც თან მოჰყვა მაცხოვრის კაცებრივი სულით ჩასვლა ჯოჯოხეთში, აღდგომა, ძლევა, დათრგუნვა სიკვდილისა და ადამიანთა მოდგმის ხსნა.

ჯვარი, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებსა და რომის იმპერიაში წამებით სიკვდილით დასჯის სამარცხვინო იარაღი იყო, ქრისტიანებისთვის ხსნის, მარადიული სიცოცხლის სიმბოლო და თაყვანისცემის საგანი გახდა, რასაც ჯერ კიდევ პავლე მოციქული ადასტურებს (1 კორინთ. 1, 17-18; გალატ. 6, 14)

წმინდა მამათა მიერ მითითებულია და ლიტურგიკული პრაქტიკაც ადასტურებს, რომ დაბადების წიგნში მოხსენიებული ხე სიცოცხლისა (დაბ. 1, 9) უფლის ჯვრის წინასახეს წარმოადგენს. ქრისტიანული ღვთისმეტყველების თანახმად, ჯვრის ფორმა ყოფიერების ორ ურთიერთგადამკვეთ მიმართულებას აღნიშნავს: ზეციერს (ვერტიკალური ძელი მიწიდან ზეცად აღმასვლას გამოხატავს) და მიწიერს (ჰორიზონტალური ძელი) — როგორც სამყაროს დასაბამიერ საიდუმლოს. ქრისტეს ჯვარცმის, საფლავად დადებისა და აღდგომის შემდგომ ჯვარი უფლისა დაიკარგა. 70 წელს რომაელთა მიერ იერუსალიმის დაპყრობისა და დანგრევის შემდეგ მაცხოვრის მიწიერ ცხოვრებასთან დაკავშირებული ადგილები დავიწყებას მიეცა. ჯვრის თაყვანისცემამ ფართო გავრცელება ჰპოვა IV საუკუნეში, რაც დაკავშირებული იყო მილანის ედიქტის (313 წ.) გამოცემასთან, რომელიც თავის მხრივ მუდვიუსის ხიდთან გამართული ბრძოლის წინ იმპერატორ კონსტანტინეს მიერ ზეცაში ჯვრის ხილვას უკავშირდება და, განსაკუთრებით, დედოფალ ელენეს მიერ მაცხოვრის ჯვრის პოვნასა და მის ამაღლებას. ამის თაობაზე სამი გადმოცემა არსებობს, ყველაზე ძველი ვერსიის თანახმად (IV ს.), ქრისტეს ჯვარი, სხვა ორ ჯვართან ერთად, იპოვეს იერუსალიმში, რო-

მაელების მიერ აგებული ვენერას (აფროდიტეს) წარმართული ტაძრის ქვეშ. მის ნამდვილობაში დარწმუნების შემდეგ (მასზე შეხებისას მძიმე ავადმყოფი დედაკაცი განიკურნა), იერუსალიმის ეპისკოპოსმა მაკარიმ (გარდაიცვალა 333 წ.) იგი აამაღლა, რათა მისთვის თაყვანი ეცათ. მეორე ვერსიის მიხედვით (V ს-ის I ნახევარი), უფლის ჯვარი იმპერატორ კონსტანტინემდე დიდი ხნით ადრე იპოვეს, მაგრამ დამალეს და დედოფალმა ელენემ ხელახლა მოიპოვა იგი. ყველაზე მეტად გავრცელდა მესამე, პირველზე დამყარებული ვერსია (V ს.), რომელიც იუწყება, რომ ჯვრის ადგილსამყოფელი დედოფალს მიასწავლა იერუსალიმელმა იუდეველმა, სახელად იუდამ, რომელიც შემდგომში იერუსალიმის ეპისკოპოსი გახდა, ხოლო ჯვრის ნამდვილობა დაამტკიცა მკვდრის გაცოცხლებამ, რომელსაც მის შორიახლოს მიასვენებდნენ. ამ ვერსიას ეყრდნობა ალექსანდრე მონაზონი (527-565 წწ.), ჯვრის სადიდებელი სიტყვის ავტორი, რომელიც ბიზანტიური ტრადიციის ლიტურგიკულ ძეგლებში ჯვართამაღლების დღესასწაულზე იკითხებოდა და მასში პირველადაა მოხსენებული თვით სიტყვა „ჯვართამაღლებაც“. ჯვრის პოვნის ზუსტი თარიღი უცნობია, სავარაუდოდ, ეს მოხდა 325 ან 326 წელს.

უფლის ჯვრის მოპოვების მოხსენიება თავდაპირველად იერუსალიმის მთავარი ბაზილიკის განახლების (კურთხევის) დღესასწაულის შემადგენელი ელემენტი იყო. ეს ბაზილიკა 335 წელს მაცხოვრის საფლავზე აღმართეს. დღესასწაული 13 ან 14 სექტემბერს საზეიმოდ აღინიშნებოდა, ხოლო IV-V საუკუნეებიდან მას აღდგომასთან ერთად აღნიშნავდნენ 8 დღის განმავლობაში. VII საუკუნიდან ზემოაღნიშნულ დღესასწაულთა ურთიერთმიმართება შეიცვალა და მისი აღნიშვნა ცალკე, იერუსალიმის ტაძრის განახლების დღეს ხდებოდა.

კონსტანტინოპოლის ტიპიკონის მიხედვით (IX-XII საუკუნეები), ჯვრის ამაღლება 5-დღიან სადღესასწაულო ციკლს მოიცავდა, რომელიც 10 სექტემბერს იწყებოდა და 14 სექტემბერს განსაკუთრებული ზეიმურობით აღინიშნებოდა.

სოკრატე სქოლასტიკოსის ცნობით, მაცხოვრის ჯვარი

წმინდა ელენე დედოფლის მიერ ორ ნაწილად გაყვეს: ერთი ნაწილი ვერცხლის ლუსკუმაში მოათავსეს და იერუსალიმში დატოვეს, ხოლო მეორე იმპერატორ კონსტანტინეს გაუგზავნეს კონსტანტინოპოლში. ამას გარდა, უფლის ჯვარი მცირე ნაწილებად დაურიგდა მორწმუნეებს და, როგორც წმინდა კირილე იერუსალიმელი გვამცნობს, IV საუკუნის შუა ხანებში გავრცელდა ქრისტიანულ სამყაროში.

სპარსელთა მიერ იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ (614 წ.) ჯვრის ნაწილი მათ ხელში აღმოჩნდა, 630 (ან 631) წელს ბიზანტიის იმპერატორი ირაკლი I (ჰერაკლე კეისარი) სპარსელებზე გამარჯვების შემდგომ მიტაცებულ ჯვარს ზეიმით აბრუნებს იერუსალიმში.

638 წელს იერუსალიმი არაბებმა დაიპყრეს. უფლის ჯვარი დაანაწილეს და კონსტანტინოპოლსა და სხვა ადგილებში გაგზავნეს, რასაც აღმოსავლეთის ეკლესიებში ჯვრის ამაღლების დღესასწაულის ფართო გავრცელება მოჰყვა, ამასთან, დაწესდა ჯვრის, სამსჭვალთა პოვნისა (6/19) მარტს) და ჯვრის თაყვანისცემის (დიდმარხვის მე-3 კვირა) დღესასწაულები. მოგვიანებით უფლის ჯვრის ნაწილი იერუსალიმს დაუბრუნდა, სადაც ინახებოდა ჯვაროსანთა შემოსევებამდე. ამის შემდგომ მისი ბედი უცნობია, თუმცა მისი ნაწილები მსოფლიოს მრავალი ტაძრისა და მონასტრის რელიქვიას წარმოადგენს.

ქრისტიანულ, კერძოდ, მართლმადიდებლურ ტრადიციაში უფლის ჯვრის დიდების სხვადასხვა ფორმა არსებობს: თაყვანს სცემენ მის ნაწილებს, ჯვარი აგვირგვინებს ქრისტიანული ტაძრებისა და სამლოცველოების გუმბათებს, გამოისახება ტაძრის ინტერიერში, საეკლესიო შესამოსელზე და ა.შ. მიმდინარეობს მსვლელობები ჯვრით, ხდება ჯვრის წყალში შთაფლვა წყალკურთხევისას და სხვა.

გარდა უფლის ჯვრისადმი დაწესებული ზემოხსენებული დღესასწაულებისა, მართლმადიდებელ ეკლესიაში ასევე აღინიშნება იერუსალიმში ჯვრის გამოჩინების (351 წ. 7/20 მაისს) დღესასწაულიც.

წმინდა წერილი

წმინდა წერილიდან გამოკრებილი საკითხავები*

საწინასწარმეტყველონი

ზაქარიას წინასწარმეტყველება (11, 10-13)

ავიღებ კომბალს — სიამეს და გადავტეხავ, რათა გავტეხო ჩემი აღთქმა, რომელიც ყველა ხალხთან დავდევი. გატყდება იმ დღეს და მიხვდებიან ჩემი შემყურე დაბეჩავებული ცხვრები, რომ ეს უფლის სიტყვაა. ვეტყვი მათ: თუ გეთნევათ, მომეცით ჩემი გასამრჯელო, თუ არა და ნუ მომცემთ; და მომიწონიან გასამრჯელოდ ოცდაათ ვერცხლს. მითხრა უფალმა: ჩაყარე ისინი საგანძურში — საუკეთესო საფასურია, როგორც დავფასდი მათგან. მეც ავიღე ოცდაათი ვერცხლი და ჩავყარე უფლის სახლის საგანძურში.

ესაიას წინასწარმეტყველება (50, 4-11)

უფალმა ღმერთმა მომცა სწავლულთა ენა, რომ შემეძლოს დამაშვრალის სიტყვით გამხნევება. ის აღვიძებს, ყოველ დილით აღვიძებს ჩემს ყურს, რომ მესმოდეს, როგორც სწავლულებს ესმით. უფალმა ღმერთმა გამიხსნა სასმენელი და მე არ გავურჩებულვარ, უკან არ მივქცეულვარ. ზურგი მქონდა მიშვერილი ჩემი მცემელისთვის და ყბები — წვერების მგლეჯელისთვის; არ დამიფარავს პირისახე დამცირებისგან და ფურთხებისგან. მაგრამ უფალი ღმერთი შემეწეოდა მე, ამიტომაც არ დავმცირებულვარ; ამიტომაც კაჟად ვაქციე ჩემი პირისახე და ვიცი, რომ არ შევრცხვები. ახლოს არის ჩემი გამმართლებელი. ვინ არის, რომ მედავება? დავდგეთ ერთად, ვინ არის ჩემი მომჩივანი? ახლოს მოვიდეს. აჰა, უფალი შემეწევა; ვინ გამამტყუნებს? აჰა, სამოსელივით გაცვდებიან ყველანი, ჩრჩილი შეჭამთ მათ. ვინ არის თქვენში უფლის მოშიში, ყურისმგდებელი მისი მორჩილის

* ძველქართულად ტექსტი იხ. გვ. 383.

ხმისა, ვინ დადის ბნელში და არა აქვს ნათელი? ესავდეს უფლის სახელს. აჰა, ცეცხლის წამკიდებლებო, კოცონების გამჩაღებლებო, ყველანი შემოდით თქვენი ცეცხლის ალში და თქვენს გაჩაღებულ კოცონებში. ეს დაგემართებათ ჩემი ხელით: კერპებისთვის შეიწირებით.

ესაიას წინასწარმეტყველება
(52, 13-15; 53, 1-12; 54, 1)

აჰა, მოჭკვიანდება ჩემი მორჩილი, გაიმართება, აღზევდება და დიდად ამაღლდება. რაზომ აძრწუნებდა ბევრს შენი ხილვა (რადგან არავინ იყო მასზე მახინჯი კაცთა შორის და მასზე შეურაცხი ადამის ძეთა შორის!), იმზომ გაიხარებს შენზე ბევრი ხალხი, პირს მოკუმავენ მეფეები, რადგან მოუთხრობელს იხილავენ და ჯერარსმენილს გაიგონებენ. ვინ დაიჯერა ჩვენგან სმენილი და უფლის მკლავი ვის გამოეცხადა? ამოიზარდა როგორც მორჩი მის წინაშე და როგორც ფესვი ურწყული მიწიდან; არც ღირსება ჰქონია და არც მშვენება, რომ ზედ შეგვეხედა, არც იერი, რომ მივეზიდეთ. საძულველი იყო, კაცთაგან ათვალწუნებული, გატანჯული და სნებამორეული, ერთი იმათგანი, ვისაც პირს არიდებენ. საძულველი იყო და არად ვაგდებდით. ნამდვილად კი მან იკისრა ჩვენი სნებები და იტვირთა ჩვენი სატანჯველი; ჩვენ კი გვეგონა, ღვთისგან იყო ნაცემ-ნაგვემი და დამცირებული. მაგრამ ის ჩვენი ცოდვებისთვის იყო დაჭრილი, ჩვენი უკეთურობებისთვის დალეწილი; მასზე იყო სასჯელი ჩვენი სიმრთელისთვის და მისი წყლულებით ჩვენ განვიკურნეთ. ყველანი ცხვრებივით დავეხეტებოდით, თითოეული ჩვენ-ჩვენს კზას ვადექით, უფალმა კი მას შეჰყარა ყოველი ჩვენგანის უკეთურება. ევნო და ეწამა, მაგრამ არ დაუძრავს ბაგე; კრავივით დასაკლავად მიიყვანეს და, როგორც ცხვარი დუმს მპარველთა წინაშე, მასაც არ დაუძრავს ბაგე. საპყრობილიდან და სამსჯავროდან იქნა წაყვანილი და ვინ იფიქრებდა მის მოდგმაზე, როცა ცოცხალთა მიწიდან მოიკვეთა; ჩემი ხალხის ცოდვებისთვის დაისაჯა. მიეცა სამარხი ბოროტეულთა გვერდით და მდიდართან ერთად თავის სიკვდილში, რადგან სიავე არ ჩაუდენია და

მის ბაგეში სიცრუე არ ყოფილა. უფალმა ინება მისი ტანჯვა და სნება შეჰყარა. როცა გასწირავ მის სიცოცხლეს ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად, იხილავს იგი თავის ნაგრამს, გაუხანგრძლივდება დღეები, უფლის ნება მისი ხელით წარიმართება. თავის სულისკვეთების ნაყოფს იხილავდა და დაამდებოდა; მისი სიბრძნით ბევრს გაამართლებს მართალთ, ჩემს მორჩილთ, და სხვათა შეცოდებებს იტვირთავს. ამიტომ მრავალში მივცემ მას წილს და ძლიერებთან ერთად გაინაწილებს ნადავლს, რადგან სასიკვდილოდ გაწირა თავი და ცოდვილთა შორის შეირაცხა; მრავალთა ცოდვები ჰქონდა ტვირთად და ცოდვილებს ესარჩლებოდა. გაიხარე, ბერწო, უშობელო! სიხარულით აყიჟინდი, სალმობის განუცდელო! რადგან მიტოვებულს მეტი შვილები ეყოლება, ვიდრე გათხოვილს, ამბობს უფალი.

იერემიას წინასწარმეტყველება
(11, 18-23; 12, 1-5; 12, 9-11; 12, 14-15)

უფალმა მაცოდინა და ვიცი, მაშინ დამანახვა მათი საქმეები. უბიწო კრავივით მივყავდი დასაკლავად, მე კი არ ვიცოდი, რას მიპირებდნენ: მოვსპოთ ხე, ვიდრე ნედლიაო, ამოვძირკვოთ ცოცხალთა ქვეყნიდან, რომ აღარ იხსენიებოდესო მისი სახელი. ცაბაოთ უფალო, მართალო მსაჯულო, გულთამხილავო, მომასწარი შენს შურისძიებას მათზე, რადგან ჩემი საქმე შენთვის მომინდვია. ამიტომ ასე ამბობს უფალი ყანათოთის ხალხზე, მოკვლას რომ გიპირებს და გეუბნება: ნუ ქადაგობ უფლის სახელით, თორემ ჩვენი ხელით მოკვდებიო. ამიტომ ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: აჰა, დავსჯი მათ, ჭაბუკები მახვილით გაწყდებიან, მათი ვაჟები და ასულები შიმშილით დაიხოცებიან. არავინ დარჩება მათგან, რადგან უბედურებას მოვუტან ყანათოთის ხალხს, როცა მათი განკითხვის წელიწადი დადგება. მართალი იქნები, უფალო, როცა დავას დაგიწყებ. მაინც მოგახსენებ სამდურავს; რატომ წყალობს ბედი ბოროტმოქმედს, რატომ არიან უზრუნველად მატყუარები? შენ დანერგე ისინი და გაიდგეს კიდეც ფესვი, ნაყოფიც გამოიღეს; მათ ბაგეთაგან ახლოსა ხარ, მაგრამ შორსა ხარ მათი ზრახვებიდან. მაგრამ მე მიცნობ, უფალო. მხედავ და

გამოცდილი გყავს ჩემი გული. ცხვარივით გარეკე ისინი დასაკლავად და ნიშანი დაადე დახოცვის დღისთვის. როდემდის უნდა გლოვობდეს მიწა და ხმებოდეს მინდვრის ბალახი? პირუტყვი და ფრინველი იღუპება მიწის მკვიდრთა უკეთურების გამო, რომ ამბობენ, ჩვენს ბოლოს ვერ ხედავსო. თუ ფეხით სირბილი გქანცავს, როგორ გაეჯიბრები ცხენებს? შეყარეთ გარეული მხეცები, მოიყვანეთ და შეაჭმევინეთ იგი. უამრავმა მწყემსმა გაანადგურა ჩემი ვენახი, გათელეს ჩემი ყანა, ჩემი ნანინანაგრი ყანა გატიალებულ უდაბნოდ აქციეს. გაატიალეს და შემომტირის გატიალებული; ასე ამბობს უფალი: ყველა ჩემს ბოროტ მეზობელს, რომელთაც ხელჰყვეს სამკვიდრო, ჩემს ერს რომ დავუმკვიდრე, წარვხოცავ მათი ქვეყნიდან, და იუდას სახელსაც წარვხოცავ მათთან ერთად. წარვხოცავ და მერე კვლავ შევიწყალებ, თავ-ხოლო თუ ღმერთი იდიდა მის მიერ, ღმერთიც ადიდებს მას თავის მიერ, და ადიდებს მას მალე.თავის სამკვიდროში და თავ-თავის ქვეყანაში დავაბრუნებ ყველას.

პავლე მოციქულის ეპისტოლე გალატელთა მიმართ (6, 14-18;)

ხოლო მე ღმერთმა დამიფაროს, რომ სხვა რამით ვიქადოდე და არა ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ჯვრით, რითაც ქვეყანა ჯვარცმულია ჩემთვის, მე კი — ქვეყნისთვის. რადგანაც ქრისტე იესოში არც წინადაცვეთილობა ნიშნავს რასმე და არც წინადაუცვეთელობა, არამედ მხოლოდ ახალი ქმნილება. ვინც ამ წესისამებრ იქცევა, მშვიდობა და წყალობა, ისევე, როგორც ისრაელს ღვთისას. ამას იქით ნუღარავინ შემაწუხებს, რადგანაც ჩემი სხეულით ვხიდავ უფალ იესოს წყლულებს. ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლი იყოს თქვენს სულთან, ძმანო. ამინ.

პავლე მოციქულის ეპისტოლე რომაელთა მიმართ (5, 6-11)

ვინაიდან, ჯერ კიდევ ჩვენი უძლურებისას, ქრისტე დროულად მოკვდა უღვთოთათვის. მართლაცდა, ძნელად თუ ვინმე მოკვდება მართლისათვის, ხოლო კეთილისთვის ვინმემ, შესაძლოა, კიდევაც გაბედოს სიკვდილი. მაგრამ ღმერთი თავის სიყვარულს ჩვენდამი იმით გვიმჟღავნებს, რომ ქრისტე ჩვენი გულისთვის მოკვდა, როცა ჯერ კიდევ ცოდვილნი ვიყავით. მით უმეტეს, ახლა, როცა მისი სისხლით გავმართლდით, მისივე მეოხებით თავს დავაღწევთ რისხვას. რადგანაც თუ მტრები ვიყავით და მისი ძის სიკვდილით შევურიგდით ღმერთს, მით უმეტეს, შერიგებულნი ვცხონდებით მისი სიცოცხლით. და არა მარტო ეს, არამედ ვიქადით ღმერთით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მეშვეობით, რომლის მეშვეობითაც მივიღეთ ახლა შერიგება.

პავლე მოციქულის ეპისტოლე ებრაელთა მიმართ (2, 11-18)

ვინაიდან განმწმენდიც და განწმენდილნიც ერთისგან არიან ყველანი, ამიტომაც არ რცხვენია, ძმები უწოდოს მათ, და ამბობს: „ვაუწყებ შენს სახელს ჩემს ძმებს, და შუა საკრებულოში

* ძველქართულად ტექსტი იხ. გვ.387.

გიგალობ შენ“. ან კიდევ: „მე ვიქნები მისი მოსავი“. ანდა: „აჰა, მე და შვილები, რომლებიც მომცა მამამ“. და რაკი შვილები სისხლისა და ხორცის მოზიარენი არიან, თავადაც ეზიარა მათ, რათა სიკვდილით განექარებინა ის, ვისაც აქვს ხელმწიფება სიკვდილისა, ანუ ეშმაკი, და დაეხსნა ისინი, ვისაც სიკვდილის შიშით მთელი სიცოცხლის მანძილზე მონობის უღელი ედგა. რადგანაც ანგელოზებს კი არ ევლინება მწედ, არამედ — აბრაამის მოდგმას. ამიტომ ყოველნაირად უნდა დამსგავსებოდა ძმებს, რათა მოწყალე და სარწმუნო მღვდელმთავარი ყოფილიყო ღვთის წინაშე, ხალხის ცოდვათა სალხინებლად. ვინაიდან, როგორც თვითონ ევნო და გამოიცადა, ასევე განსაცდელში მყოფთა შეწევნაც ძალუძს.

პავლე მოციქულის ეპისტოლე ებრაელთა მიმართ (10, 19-31)

ამრიგად, ძმანო, რაკი გვაქვს სითამამე საწმიდარში შესვლისა იესოს სისხლის მეოხებით, ახალი და ცოცხალი გზით, რომელიც გაგვიხსნა მან ფარდით, ესე იგი, თავისი ხორცით, და გვყავს მღვდელმთავარი ღვთის სახლში, მივეახლოთ მას წრფელი გულითა და რწმენის სისრულით, უკეთური სინიდისისაგან სხურებით გულგაწმენდილებმა და სუფთა წყლით ტანგაბანილებმა, მტკიცედ მივსდიოთ აღსარებას სასოებისას, რადგან სარწმუნოა აღმთქმელი. ყურადღებას ნუ მოვაკლებთ ერთიმეორეს, რათა სიყვარულისა და კეთილ საქმეთათვის წავაქეზოთ ერთმანეთი. ნუ მივატოვებთ ჩვენს შესაკრებელს, როგორც ზოგიერთებს სჩვევიათ, არამედ შევაგონოთ ერთმანეთს, და მით უფრო მეტად, რაც უფრო აშკარად გრძნობთ იმ დღის მოახლოებას. რადგან თუ მას შემდეგ, რაც შევიცნეთ ჭეშმარიტება, კვლავ ჩვენი ნებით ვცოდავთ, უკვე აღარა რჩება მსხვერპლი ცოდვათათვის. არამედ რაღაც საზარელი მოლოდინი მსჯავრისა და მტერთა შთანთქმელად მოგიზგიზე შურის ცეცხლი. თუკი მოსეს რჯულის უარმყოფელს, ორი თუ სამი კაცის მოწმობით, უწყალოდ უსჯიან სიკვდილს, როგორ გგონიათ, რამდენად უფრო მძიმე იქნება

მისი სასჯელი, ვინც ფეხქვეშ თელავს ძეს ღვთისას, უღირსად მიიჩნევს აღთქმის სისხლს, რომლითაც განიწმიდა, და აგინებს მადლის სულს? რადგანაც ვიცნობთ ამის მთქმელს: „ჩემია შურის-გება და მე მივაგებ“. ან კიდევ: „უფალი განიკითხავს თავის ხალხს“. მტერი ჩავარდა ცოცხალი ღმრთის ხელში!

პავლე მოციქულის 1 ეპისტოლე კორინთელთა მიმართ (1, 18-2; 2, 1-3)

ვინაიდან ჯვრის სიტყვა სიშლეგეა წარწყმედილთათვის, ხოლო ჩვენებრ ხსნილთათვის ძალაა ღვთისა. რადგანაც დაწერილია: „შევმუსრავ ბრძენთა სიბრძნეს და გონიერთა გონიერებას უკუვაგდებ“. სად არის ბრძენი? სად არის მწიგნობარი? ან ამ საუკუნის მაძიებელი? განა სიშლეგედ არ აქცია ღმერთმა სიბრძნე ამქვეყნიური? რადგან ღვთის სიბრძნეში რომ ვერ შეიცნო ღმერთი ქვეყანამ თავისი სიბრძნით, ღმერთმა ინება ქადაგების სიშლეგით ეხსნა მორწმუნენი. ვინაიდან იუდეველებიც სასწაულებს მოითხოვენ და ბერძნები ეძებენ სიბრძნეს. ჩვენ კი ჯვარცმულ ქრისტეს ვქადაგებთ: იუდეველთათვის — საცდურს, ბერძენთათვის — სიშლეგეს, ხოლო იმავე იუდეველთა და ბერძენთათვის, რომელნიც არიან ხმობილნი, — ქრისტეს, ღვთის ძალას და სიბრძნეს. რადგანაც სიშლეგე ღვთისა კაცთა სიბრძნეზე უფრო ბრძნულია, და უძლურება ღვთისა — კაცთა ძლიერებაზე უფრო ძლიერი. დაუკვირდით, ძმანო, ვინა ხართ ხმობილნი: ცოტაა თქვენ შორის ხორციელად ბრძენი, ცოტაა ძლიერი, ცოტაა წარჩინებული. მაგრამ ღმერთმა გამოარჩია შლეგნი ამაქვეყნისანი, რათა არცხვინოს ბრძენნი, და უძლურნი ამაქვეყნისანი, რათა არცხვინოს ძლიერნი. უგვარონი ამაქვეყნისა, უბადრუკნი და არარსნი გამოარჩია ღმერთმა, რათა არად აქციოს არსნი, და, ამრიგად, არც ერთი ხორციელი არ იქადოდეს ღვთის წინაშე. მისგან ხართ ქრისტე იესოში, რომელიც იქცა ჩვენთვის ღვთისმიერ სიბრძნედ, სიმართლედ, განწმენდად და გამოსყიდვად. რათა, წერილისა არ იყოს: „ვინც იქადის, უფლით დაიქადოს“. ასე რომ, როცა თქვენთან მოვედი, ძმანო, მოვედი, რათა ღვთის

მოწმობა მეუწყებინა თქვენთვის, მაგრამ არა ამაღლებული სიტყვით ან სიბრძნით; რადგანაც გადავწყვიტე არაფერი მცოდნოდა თქვენ შორის, გარდა იესო ქრისტესი და ისიც ჯვარცმულისა.

სახარება*

1. იოანე
(13, 31-38; 14, 1-31; 15, 1-27; 16, 1-33; 17, 1-26; 18, 1)

როგორც კი გავიდა, იესომ თქვა: აწ იდიდა ძე კაცისა, და ღმერთი იდიდა მის მიერ. ხოლო თუ ღმერთი იდიდა მის მიერ, ღმერთიც ადიდებს მას თავის მიერ, და ადიდებს მას მალე. შვილებო, ცოტა ხანსღა ვარ თქვენთან; ძებნას დამიწყებთ, და რაც ვუთხარი იუდეველებს: სადაც მე მივალ, თქვენ ვერ მოხვალთ-მეთქი, იმასვე გეუბნებით თქვენც ახლა. ახალ მცნებას გაძლევთ: გიყვარდეთ ერთმანეთი. და როგორც მე შეგიყვარეთ, ასევე გიყვარდეთ თქვენც ერთმანეთი. იმით გიცნობთ ყველა, რომ ჩემი მოწაფეები ხართ, თუ გექნებათ სიყვარული ერთმანეთს შორის. ჰკითხა მას სიმონ-პეტრემ: უფალო, სად მიხვალ? იესომ მიუგო: სადაც მე მივალ, შენ ვერ გამომყვები ამჟამად, შემდეგ კი გამომყვები. უთხრა მას პეტრემ: უფალო, რატომ ვერ გამოგყვები ამჟამად? სულს დავდებ შენთვის. იესომ მიუგო: სულს დადებ ჩემთვის? ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები: მამლის ყივილამდე სამჯერ უარმყოფ მე.

ნუ შეძრწუნდება თქვენი გული; გწამდეთ ღმერთი და მიწამეთ მე. მამაჩემის სახლში ბევრი სავანეა. ასე რომ არა, განა გეტყოდით, მივდივარ, რათა ადგილი გაგიმზადოთ-მეთქი? ხოლო როცა წავალ და ადგილს გაგიმზადებთ, კვლავ მოვალ და ჩემთან წაგიყვანთ, რათა, სადაც მე ვიქნები, თქვენც იქვე იყოთ. ხოლო სადაც მე მივდივარ, თქვენ იცით ის გზა. უთხრა მას თომამ: უფალო, არ ვიცით, სად მიდიხარ; როგორღა უნდა ვიცოდეთ გზა? უთხრა მას იესომ: მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე; ვერავინ მივა მამაჩემთან, თუ არა ჩემ მიერ. მე რომ მიცნობდეთ, მამაჩემიც გეცნობებოდათ; ამიერიდან კი იცნობთ მას და გიხილავთ იგი. ფილიპემ უთხრა: უფალო, გვიჩვენე მამა და საკმარისია ჩვენთვის. უთხრა მას იესომ: რა ხანია თქვენთანა ვარ და ვერ მიცნობ, ფილიპე? ვინც მე მიხილა, მამაც იხილა; როგორღა

* ძველქართულად ტექსტი იხ. გვ. 390.

ამბობ, მამა გვიჩვენეო? ნუთუ არა გწამს, რომ მე მამაში ვარ და მამა — ჩემში. სიტყვებს, რომლებსაც გეუბნებით, ჩემით როდი გეუბნებით, არამედ ჩემში მყოფი მამა აკეთებს საქმეს. მერწმუნეთ, რომ მე მამაში ვარ, მამა კი — ჩემში; თუ არა და, ჩემს საქმეს მაინც ერწმუნეთ. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვისაც მე ვწამვარ, საქმეს, რომელსაც მე ვაკეთებ, თვითონაც გააკეთებს, და მეტსაც გააკეთებს, ვინაიდან მე მამასთან მივალ. რასაც ითხოვთ ჩემი სახელით, შეგისრულებთ, რათა იდიდოს მამა ძის მიერ. რაც უნდა მთხოვოთ ჩემი სახელით, შეგისრულებთ. თუ გიყვარვართ, დაიცავით ჩემი მცნებანი. ვთხოვ მამას და მოგივლენთ სხვა ნუგეშისმცემელს, რათა იყოს თქვენთან უკუნისამდე, ჭეშმარიტების სულს, რომელსაც ვერ შეიწყნარებს ქვეყანა, რადგანაც ვერ ხედავს და არ იცნობს მას, ხოლო თქვენ იცნობთ, ვინაიდან თქვენთანაა და თქვენში იქნება. არ დაგტოვებთ ობლად; მოვალ თქვენთან. ცოტაც და, ქვეყანა ვეღარ მიხილავს, თქვენ კი მიხილავთ. ვინაიდან ცოცხალი ვარ და თქვენც იცოცხლებთ. იმ დღეს შეიცნობთ, რომ მე მამაში ვარ, თქვენ კი — ჩემში, ხოლო მე — თქვენში. ვისაც აქვს ჩემი მცნებანი და იცავს მათ, მას ვუყვარვარ, ხოლო ვისაც მე ვუყვარვარ, შეიყვარებს მას მამაჩემი; მეც შევიყვარებ და ჩემს თავს გამოვუცხადებ მას. უთხრა მას იუდამ, არა ისკარიოტელმა: უფალო, რა არის, რომ აპირებ ჩვენ გამოგვიცხადო თავი და არა ქვეყანას? მიუგო იესომ და უთხრა მას: ვისაც ვუყვარვარ, დაიცავს ჩემს სიტყვას, და მამაჩემი შეიყვარებს მას: ჩვენც მივალთ და მასთან დავივანებთ. ვისაც არ ვუყვარვარ, არ იცავს ჩემს სიტყვებს; ხოლო სიტყვა, რომელსაც ისმენთ, ჩემი კი არ არის, არამედ ჩემი მომავლინებელი მამისა. თქვენთან მყოფმა გითხარით ეს. ხოლო ნუგეშისმცემელი, სული წმიდა, რომელსაც მამა მოავლენს ჩემი სახელით, გასწავლით და მოგაგონებთ ყველაფერს, რაც მე გითხარით. მშვიდობას გიტოვებთ თქვენ, მშვიდობას ჩემსას გაძლევთ თქვენ: მაგრამ ისე კი არა, როგორც იძლევა ქვეყანა. ნუ შეკრთება თქვენი გული, ნურც შეშინდება. ხომ გაიგონეთ, რაც გითხარით: მე მივდივარ და კვლავ მოვალ თქვენთან. რომ გიყვარდეთ, გაიხარებდით, რადგანაც ვთქვი: მამასთან მივდივარ-მეთქი. ვინაიდან მამა ჩემზე

უმეტესია. აწ გითხარით, ვიდრე ახდებოდეს, რათა ირწმუნოთ, როცა ახდება. ბევრს ვეღარაფერს გეტყვით, რადგანაც მოდის ამქვეყნის მთავარი, და არაფერი აქვს ჩემში. მაგრამ რათა გაიგოს ქვეყანამ, რომ მიყვარს მამა, და როგორც მამამ მამცნო, ისე ვაკეთებ: ადექით, წავიდეთ. მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, და მამაჩემი მევენახეა. ჩემს ყველა ლერწს, რომელსაც არ გამოაქვს ნაყოფი, მოჭრის, და ყველას, რომელსაც გამოაქვს ნაყოფი, გაწმენდს, რათა მეტი მოისხას. თქვენ კი უკვე გაწმენდილნი ხართ სიტყვით, რომელიც გითხარით. დარჩით ჩემში და მე დავრჩები თქვენში. როგორც ლერწი თავისთავად ვერ გამოიღებს ნაყოფს, თუკი არ შერჩა ვაზს, ასევე თქვენც, თუკი არ დარჩებით ჩემში. მე ვარ ვაზი, ხოლო თქვენ ლერწები ხართ, ვინც ჩემში რჩება, ხოლო მე მასში, დიდძალი ნაყოფი გამოაქვს; ვინაიდან უჩემოდ არაფრის ქმნა არ შეგიძლიათ. ვინც არ დარჩება ჩემში, ლერწამივით გადაიგდება და გახმება; შემდეგ კი აგროვებენ, ცეცხლში ყრიან და იწვის. თუ დარჩებით ჩემში და ჩემი სიტყვები დარჩება თქვენში, ყველაფერი, რასაც ისურვებთ, ითხოვეთ და გექნებათ. ამით იდიდება მამაჩემი, თუ გამოიღებთ უხვ ნაყოფს და იქნებით ჩემი მოწაფენი. როგორც შემიყვარა მე მამამ, მეც ასევე შეგიყვარეთ თქვენ; დარჩით ჩემს სიყვარულში. თუ დაიცავთ ჩემს მცნებებს, დარჩებით ჩემს სიყვარულში; როგორც მე დავიცავი მამაჩემის მცნებანი და ვრჩები მის სიყვარულში. ეს გითხარით, რათა ჩემი სიხარული თქვენში დარჩეს და სრულ იყოს თქვენი სიხარული. ეს არის ჩემი მცნება, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ. არავისა აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვინც სულს დადებს თავისი მეგობრისთვის. თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ ასრულებთ იმას, რაც გამცნეთ? უკვე აღარ გიწოდებთ მონებს, ვინაიდან მონამ არ იცის, რას აკეთებს მისი ბატონი; არამედ მეგობრებს გიწოდებთ, რადგანაც გაუწყეთ ყველაფერი, რაც მსმენია მამაჩემისგან. თქვენ კი არ აგირჩევივართ, არამედ მე აგირჩიეთ და დაგიდგინეთ, რათა წახვიდეთ და ნაყოფი გამოიღოთ, და დარჩეს თქვენი ნაყოფი; რათა მამამ მოგცეთ ის, რასაც ჩემი სახელით სთხოვთ. ამას გიდებთ მცნებად, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი. თუ ქვეყანას სძულხართ, იცოდეთ,

რომ მე მომიძულა უწინ. ამქვეყნისანი რომ იყოთ, ქვეყანას ეყვარებოდა თვისნი; მაგრამ რაკი ამ ქვეყნისანი არა ხართ, არამედ მე გამოგარჩიეთ ქვეყნისაგან, ამიტომაც სძულხართ ქვეყანას. გაიხსენეთ სიტყვა, რომელიც გითხარით: არ არის მონა თავის ბატონზე უმეტესი. მე თუ მდევნიდნენ, თქვენც დაგიწყებენ დევნას; თუ დაიცვეს ჩემი სიტყვა, თქვენსასაც დაიცავენ. ხოლო ყოველივე ამას შეგამთხვევენ ჩემი სახელის გამო, ვინაიდან არ იცნობენ ჩემს მომავლინებელს. რომ არ მოვსულიყავი და არ მეთქვა მათთვის, არ ექნებოდათ ცოდვა, ახლა კი არა აქვთ მიტევება თავიანთი ცოდვისათვის. ჩემს მოძულეს მამაჩემიც სძულს. რომ არ მექმნა მათ შორის საქმენი, სხვას რომ არავის უქმნია, არ ექნებოდათ ცოდვა; ახლა კი მიხილეს და მომიძულეს მეცა და მამაჩემიც. რათა აღსრულდეს მათ რჯულში დაწერილი სიტყვა: მომიძულეს მე უმიზეზოდ. ხოლო როდესაც მოვა ნუგეშისმცემელი, რომელსაც მოგივლენთ მამის მიერ, — ჭეშმარიტების სული, რომელიც გამოდის მამისაგან, ის იმოწმებს ჩემთვის. და თქვენც მოწმენი იქნებით, ვინაიდან იმთავითვე ჩემთანა ხართ.

ეს გითხარით, რათა არ შეცდეთ. გამოგყრიან სინაგოგებიდან; აჰა, მოდის დრო, როცა თქვენს ყველა მკვლელს ეგონება, რომ ამით ემსახურება ღმერთს. ამას იზამენ იმიტომ, რომ ვერც მამა იცნეს და ვერც მე. მაგრამ ეს გითხარით, რათა, როცა მოაწევს ჟამი, გაიხსენოთ, რომ ეს გითხარით; თავიდანვე კი არ მითქვამს, ვინაიდან თქვენთან ვიყავი. ხოლო ახლა ჩემს მომავლინებელთან მივდივარ და არც ერთი თქვენგანი არ მეკითხება, სად მიდიხარო. თუმცა, ეს რომ გითხარით, მწუხარებით აღივსო თქვენი გული. მაგრამ ჭეშმარიტებას გეუბნებით: გირჩევნიათ, რომ მე წავიდე; რადგანაც, თუ არ წავალ, არ მოვა თქვენთან ნუგეშისმცემელი, ხოლო თუ წავალ, მოგივლენთ მას. და როცა მოვა, ამხილებს ქვეყანას ცოდვის, სიმართლისა და განკითხვისათვის: ცოდვისათვის, რადგანაც არ მიწამეს; სიმართლისათვის, რადგანაც მამასთან მივდივარ და ვეღარ მიხილავთ; განკითხვისათვის, რადგანაც ამქვეყნის მთავარი უკვე განკითხულია. კიდევ ბევრი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ ამჟამად ვეღარ იტვირთავთ. ხოლო როდესაც მოვა იგი, ჭეშმარიტების სული,

წაგიძღვებათ ყოველი ჭეშმარიტებისაკენ; ვინაიდან თავისით კი არ ილაპარაკებს, არამედ რასაც მოისმენს, იმას იტყვის, და მოგიმავალს გაუწყებთ თქვენ. ის განმადიდებს, რადგანაც ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ.

ყველაფერი, რაც აქვს მამას, ჩემია; ამიტომაც ვთქვი, ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ-მეთქი. ცოტაც და, ვეღარ მიხილავთ: კიდევ ცოტაც და, მიხილავთ, რადგანაც მამასთან მივდივარ. ხოლო ზოგიერთმა მისმა მოწაფემ ერთმანეთს უთხრა: ამას რას გვეუბნება: ცოტაც და, ვეღარ მიხილავთ; კიდევ ცოტაც, და მიხილავთ, რადგანაც მამასთან მივდივარო? ასე ამბობდნენ: ამას რას ამბობს: ცოტაც? ვერ გაგვიგია, რას ამბობს. იესო მიხვდა, რომ შეკითხვა სურდათ, და უთხრა მათ: იმისთვის ეკითხებით ერთმანეთს, რომ ვთქვი: ცოტაც და, ვეღარ მიხილავთ; კიდევ ცოტაც, და მიხილავთ-მეთქი? ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: იტირებთ და ივაგლახებთ, ქვეყანა კი იხარებს; დამწუხრდებით, მაგრამ წუხილი სიხარულად გექცევათ. ქალი შობისას წუხს, ვინაიდან მოაწია იმისმა ჟამმა; მაგრამ ყრმას რომ შობს, სიხარულისგან აღარ ახსოვს ტანჯვა, რადგანაც ადამიანი იშვა ამქვეყნად. თქვენც ასევე მწუხარენი ხართ ახლა; მაგრამ კვლავ გიხილავთ, გაიხარებს თქვენი გული და ვეღარავინ წაგართმევთ თქვენს სიხარულს. ხოლო იმ დღეს ნურაფერს მკითხავთ; ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რაც უნდა სთხოვოთ მამას ჩემი სახელით, მოგცემთ თქვენ. აქამდე არაფერი გითხოვიათ ჩემი სახელით; ითხოვეთ და მიიღებთ, რათა სრულ იყოს თქვენი სიხარული. აქამდე იგავებით გელაპარაკებოდით, მაგრამ მოდის დრო, როცა იგავებით კი აღარ გელაპარაკებით, არამედ გაცხადებულად გაუწყებთ მამის შესახებ. იმ დღეს შესთხოვთ ჩემი სახელით, და არ გეუბნებით, რომ მე ვთხოვ მამას თქვენთვის. რადგან თვით მამას უყვარხართ, ვინაიდან მე შემიყვარეთ და ირწმუნეთ, რომ ღმრთისაგან გამოვედი. მამისაგან გამოვედი და ქვეყნად მოვედი; კვლავ ვტოვებ ქვეყანას და მამასთან მივალ. მისმა მოწაფეებმა უთხრეს: აი, ახლა კი ცხადად გველაპარაკები და არავითარ იგავს აღარ ამბობ. ახლა კი ვიცით, რომ ყველაფერი იცი; და არ გჭირდე-

ბა, რომ ვინმემ გკითხოს; ამიტომაც გვწამს, რომ ღმრთისაგან გამოხვედი. მიუგო მათ იესომ: ახლა კი გწამთ? აჰა, მოდის ჟამი და მოვიდა კიდეც, როცა სათითაოდ გაიფანტებით და მარტო დამტოვებთ; მაგრამ არა ვარ მარტო, რადგანაც მამა ჩემთანაა. ეს გითხარით, რათა მშვიდობა გქონდეთ ჩემში. ჭირი არ დაგელევათ ამქვეყნად, მაგრამ გამხნევდით: მე ვძლიე ქვეყანას. ასე რომ იუბნა იესომ, ზეცად აღაპყრო თვალი და თქვა: მამაო, მოვიდა ჟამი: განადიდე შენი ძე, რათა ძემაც განგადიდოს შენ. რადგანაც მიეცი ხელმწიფება ყველა ხორციელზე, რათა ყველაფერს, რაც მიეცი, საუკუნო სიცოცხლე მისცეს. საუკუნო სიცოცხლე კი ის არის, რომ გიცნობდნენ შენ, ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთს, და იმას, ვინც შენ მოავლინე — იესო ქრისტეს. მე განგადიდე დედამიწაზე; აღვასრულე საქმე, რომელიც მომეცა აღსასრულებლად. ახლა კი შენ განმადიდე, მამაო, იმავ დიდებით, შენთან რომ მქონდა ქვეყნის შექმნამდე. გამოვუცხადე შენი სახელი ადამიანებს, რომლებიც მომეცა ქვეყნისაგან; შენი იყვნენ და მე მომეცი, და დაიცვეს შენი სიტყვა. ახლა შეიცნეს, რომ ყველაფერი, რაც მომეცი, შენგანაა. რადგანაც შენგან მოცემული სიტყვები მათ მივეცი, ხოლო მათ მიიღეს და სცნეს ჭეშმარიტად, რომ შენგან გამოვედი, და ირწმუნეს, რომ შენ მომავლინე. მათთვის ვევედრები; ქვეყნისთვის კი არ ვევედრები, არამედ მათთვის, ვინაიდან შენი არიან. ყველაფერი ჩემი შენია, შენი კი — ჩემი; და მე ვიდიდე მათში. მე უკვე აღარა ვარ ამქვეყნად, ისინი კი არიან; ხოლო მე შენთან მოვდივარ, წმიდა მამაო; დაიცავი ისინი შენი სახელით, ვინც მე მომეცი, რათა იყვნენ ჩვენსავით ერთნი. როცა მათთან ვიყავი, შენი სახელით ვიცავდი მათ, ვინც მე მომეცი: დავიფარე ისინი და არც ერთი არ დამიღუპავს, გარდა დაღუპვის ძისა, რათა აღსრულდეს წერილი. ახლა კი შენთან მოვდივარ და ამას ვამბობ ქვეყნად, რათა ჰქონდეთ სრულად ჩემი სიხარული. მე მათ მივეცი შენი სიტყვები და ქვეყანამ მოიძულა ისინი, ვინაიდან ამქვეყნისანი არ არიან, როგორც მე არა ვარ ამქვეყნიერი. არ გევედრები, რომ აიტაცო ისინი ამქვეყნიდან, არამედ, რათა ბოროტისაგან დაიფარო ისინი. ამქვეყნისანი არ არიან, როგორც მე არა ვარ ამქვეყნიერი. გაწმინდე ისინი ჭეშმარიტე-

ბით, რადგანაც ჭეშმარიტია შენი სიტყვა. როგორც შენ მომავლინე ამქვეყნად, ისე მე მივავლინე ისინი ქვეყნად. მე მათთვის გავწმენდ ჩემს თავს, რათა ისინიც წმიდანი იყვნენ ჭეშმარიტებით. მარტო მათთვის როდი გევედრები, არამედ ყველასთვის, ვისაც ვწამვარ მათივე სიტყვით. რათა ყველანი ერთი იყვნენ, როგორც შენ, მამაო, ჩემში, ხოლო მე — შენში, და ირწმუნოს ქვეყანამ, რომ შენ მომავლინე. დიდება, რომელიც შენ მომეცი, მე მათ მივეცი, რათა იყვნენ ჩვენსავით ერთი. მე მათში, ხოლო შენ — ჩემში, რათა სრულნი იყვნენ ერთობით, და შეიცნოს ქვეყანამ, რომ შენ მომავლინე და ისე შეიყვარე ისინი, როგორც მე შემიყვარე. მამაო, სადაც მე ვიქნები, მსურს იქვე იყვნენ ისინიც, ვინც მე მომეცი, რათა ხედავდნენ ჩემს დიდებას, შენ რომ მომეცი, რადგანაც შემიყვარე ქვეყნის შექმნამდე. მამაო მართალო! ქვეყანამ ვერ გიცნო, მე კი გიცანი, და მათაც სცნეს, რომ შენ მომავლინე. მე ვაუწყე მათ შენი სახელი და კვლავაც ვაუწყებ, რათა სიყვარული, რომლითაც შემიყვარე, მათში იყოს და მეც ვიყო მათში. ეს რომ თქვა, იესო თავისი მოწაფეებითურთ კედრონის ხევს გაღმა გავიდა, სადაც იყო ბაღი, რომელშიაც შევიდა თვითონ და მისი მოწაფეები.

2. იოანე (18, 1-28)

ეს რომ თქვა, იესო თავისი მოწაფეებითურთ კედრონის ხევს გაღმა გავიდა, სადაც იყო ბაღი, რომელშიაც შევიდა თვითონ და მისი მოწაფეები. იცოდა იუდამაც, მისმა გამცემმა, ეს ადგილი, ვინაიდან იესო და მისი მოწაფეები ხშირად იკრიბებოდნენ იქ. მაშინ წაიყვანა იუდამ რაზმი და მღვდელმთავართა და ფარისეველთა მსახურნი, და მივიდა იქ ლამპრებით, ჩირაღდნებითა და საჭურვლით. ხოლო იესომ იცოდა ყველაფერი, რაც მოელოდა; გამოვიდა და უთხრა მათ: ვის ეძებთ? მიუგეს: იესო ნაზარეველს. უთხრა მათ იესომ: მე ვარ. ხოლო იუდაც, მისი გამცემი, მათთან იდგა. როცა უთხრა მათ: მე ვარო, უკან დაიხიეს და მიწაზე დაემხნენ. კვლავ ჰკითხა მათ: ვის ეძებთ? ხოლო მათ თქვეს: იესო ნაზარეველს. მიუგო იესომ: აკი გითხარით, მე ვარ-მეთქი. თუ მე მეძებთ, გაუშვით ესენი, წავიდნენ. რათა აღსრულდეს სი-

ტყვა, რომელიც ითქვა: ვინც მე მომეცი, არც ერთი მათგანი არ დამიღუპავს. ხოლო სიმონ-პეტრეს მახვილი ჰქონდა; იშიშვლა, დაჰკრა მღვდელმთავრის მონას და მარჯვენა ყური ჩამოათალა. ხოლო სახელი მონისა იყო მალქოსი. მაგრამ იესომ უთხრა პეტრეს: ჩააგე მახვილი ქარქაშში! ნუთუ არ უნდა შევსვა სასმისი, რომელიც მამამ მომცა? მაშინ მეომარმა, ათასისთავმა და იუდეველთა მსახურებმა შეიპყრეს იესო და შეკრეს იგი. და მიიყვანეს ჯერ ანნასთან, ვინაიდან ის იყო სიმამრი კაიაფასი, რომელიც მღვდელმთავარი იყო იმ წელიწადს. სწორედ ეს კაიაფა იყო, ვინც ურჩია იუდეველებს, უმჯობესია, ერთი კაცი მოკვდეს ხალხისთვისო. მისდევდა იესოს სიმონ-პეტრე და სხვა მოწაფე, ხოლო ეს მოწაფე მღვდელმთავრის ნაცნობი იყო და იესოსთან ერთად შევიდა მღვდელმთავრის ეზოში. პეტრე კი გარეთ იდგა, ჭიშკართან. გამოვიდა სხვა მოწაფე, მღვდელმთავრის ნაცნობი, რაღაც უთხრა მეკარე ქალს, და შეიყვანა პეტრე. ხოლო მეკარე ქალმა პეტრეს უთხრა: განა შენც ამ კაცის მოწაფეთაგანი არა ხარ? მან თქვა: არა ვარ. რაკი ციოდა, ეზოში მდგომ მღვდელმთავართა მონებსა და მსახურებს ცეცხლი დაენთოთ და მიფიცხებოდნენ. პეტრეც მათთან იყო და თბებოდა. ხოლო მღვდელმთავარმა ჰკითხა იესოს, ვინ იყვნენ მისი მოწაფეები, ან რას ასწავლიდა იგი. იესომ მიუგო: მე აშკარად ველაპარაკებოდი ქვეყანას; გამუდმებით ვასწავლიდი სინაგოგასა და ტაძარში, სადაც ყოველი მხრიდან იკრიბებიან იუდეველნი, და ფარულად არა მითქვამს რა. მე რას მეკითხები? მსმენელებს ჰკითხე, რას ველაპარაკებოდი მათ. აი, მათ იციან, რასაც ვამბობდი. ეს რომ თქვა, ერთმა იქვე მდგომმა მსახურმა სილა გააწნა იესოს და უთხრა: ასე მიუგებ მღვდელმთავარს? უთხრა მას იესომ: თუ ცუდად ვთქვი, მიჩვენე ცუდი, და თუ კარგად — რატომღა მცემ? მაშინ ანნამ შებოჭილი გაგზავნა იგი მღვდელმთავარ კაიაფასთან. სიმონ-პეტრე კი იდგა და თბებოდა. და უთხრეს მას: განა შენც მისი მოწაფეთაგანი არა ხარ? მაგრამ მან უარყო და თქვა: არა ვარ. მღვდელმთავრის ერთმა მონამ, იმისმა ნათესავმა, ვისაც ყური ჩამოათალა პეტრემ, უთხრა მას: განა მასთან ერთად არ გნახე ბაღში? კვლავ უარყო პეტრემ, და მყისვე იყივლა მამალმა.

ხოლო კაიაფასაგან პრეტორიუმში წაიყვანეს იესო. განთიადი იყო, და თვითონ არ შესულან პრეტორიუმში. ვაითუ შევიბილწოთო, — რათა შესძლებოდათ პასექის ჭამა.

3. მათე (26, 57-27, 1; 26, 57-75)

ხოლო მათ შეიპყრეს იესო და მიიყვანეს იგი კაიაფა მღვდელმთავრისას, სადაც შეკრებილიყვნენ მწიგნობარნი და უხუცესნი. პეტრე კი, მღვდელმთავრის ეზომდე შორიახლო მისდევდა მას: შევიდა შიგნით და მსახურებთან დაჯდა, რათა ეხილა დასასრული. ხოლო მღვდელმთავარნი, უხუცესნი და მთელი სინედრიონი, ცრუ მოწმობას ეძებდნენ იესოს წინააღმდეგ, რათა მოეკლათ იგი, მაგრამ ვერ იპოვეს, თუმცა ბევრი ცრუმოწმე იყო მოსული. ბოლოს მოვიდა ორი ცრუმოწმე, რომლებმაც თქვეს: ეს ამბობდა: შემიძლია დავანგრიო ღმრთის ტაძარი და სამ დღეში კვლავ ავაშენოო. მაშინ წამოდგა მღვდელმთავარი და უთხრა მას: რატომ არაფერს იტყვი იმის პასუხად, რასაც ესენი მოწმობენ შენ წინააღმდეგ? მაგრამ იესო დუმდა, და მღვდელმთავარმა უთხრა მას: გაფიცებ ცოცხალ ღმერთს, გვითხარი, შენ ხარ თუ არა ქრისტე, ძე ღმრთისა? უთხრა იესომ: შენ სთქვი. მე კი ამასაც გეტყვით: ამიერიდან მალე იხილავთ ძეს კაცისას, მჯდომარეს ძალის მარჯვნივ და მომავალს ზეცის ღრუბლებით. მაშინ მღვდელმთავარმა შემოიხია სამოსი და თქვა: მან ღმერთი ჰგმო; მაშ, რაღად გვინდა მოწმენი? ხომ მოისმინეთ ღვთისგმობა მისი? რას იტყვით? ხოლო მათ პასუხად თქვეს: სიკვდილის ღირსია. მაშინ სახეში დაუწყეს ფურთხება და ცემა, სხვები კი სილას აწნავდნენ და ეუბნებოდნენ: გვიწინასწარმეტყველე, ქრისტე, ვინ დაგარტყა შენ? პეტრე კი გარეთ იჯდა, ეზოში. მიადგა ერთი მხევალი და უთხრა: შენც ხომ იესო გალილეველთან იყავი? ხოლო მან ყველას წინაშე უარყო და თქვა: არ ვიცი, რას ამბობ. და როცა ჭიშკარში გამოდიოდა, მეორე მხევალმა დაინახა და იქვე მდგომთ უთხრა: ესეც იესო ნაზორეველთან იყო. ისევ უარყო პეტრემ ფიცით: არ ვიცნობ იმ კაცსო. ცოტა ხნის შემდეგ იქ მდგომნიც მივიდნენ და უთხრეს პეტრეს: ჭეშმარიტად შენც ერთი მათთაგანი ხარ, რადგანაც შენივე კილო გამხილებს. მა-

შინ ის მოჰყვა წყევლას და ფიცს, რომ არ იცნობს იმ კაცს, და სწორედ ამ დროს იყივლა მამალმა. გაახსენდა პეტრეს იესოს ნათქვამი: მამლის ყივილამდე სამჯერ უარმყოფო; გამოვიდა გარეთ და მწარედ ატირდა.

4. იოანე (18, 28 - 19, 16)

ხოლო კაიაფასაგან პრეტორიუმში წაიყვანეს იესო. განთიადი იყო, და თვითონ არ შესულან პრეტორიუმში. ვაითუ შევიბილწოთო, — რათა შესძლებოდათ პასექის ჭამა. გამოვიდა მათთან პილატე და თქვა: რა ბრალსა სდებთ ამ კაცს? მიუგეს და უთხრეს: ეს რომ ბოროტმოქმედი არ იყოს, შენ როდი გადმოგცემდით. უთხრა მათ პილატემ: წაიყვანეთ და თქვენი რჯულისამებრ განსაჯეთ. იუდეველებმა მიუგეს: ჩვენ არა გვაქვს ვისიმე მოკვლის ნება. რათა აღსრულდეს იესოს სიტყვა, რომელიც თქვა იმის მისანიშნებლად, თუ როგორი სიკვდილით უნდა მომკვდარიყო. კვლავ შევიდა პილატე პრეტორიუმში, უხმო იესოს და უთხრა: შენა ხარ იუდეველთა მეფე? იესომ მიუგო: შენ თვითონ ამბობ მაგას, თუ სხვებმა გითხრეს ჩემზე? მიუგო პილატემ: განა მე იუდეველი ვარ? შენმა ხალხმა და მღვდელმთავრებმა გადმომცეს შენი თავი. მაინც რა ჩაიდინე? მიუგო იესომ: ჩემი მეუფება არ არის ამქვეყნიური; ამქვეყნიური რომ იყოს, ჩემი მსახურნი იბრძოლებდნენ, რომ ხელში არ ჩავვარდნოდი იუდეველებს. მაგრამ აწ ჩემი მეუფება არ არის ამქვეყნიური. უთხრა მას პილატემ: მაშ, მეფე ხარ? მიუგო იესომ: შენ ამბობ, რომ მეფე ვარ. იმიტომ დავიბადე და იმიტომ მოველ ამქვეყნად, რომ ჭეშმარიტება ვიმოწმო. ყველა, ვინც ჭეშმარიტებისაგან არის, ყურს უგდებს ჩემს ხმას. უთხრა მას პილატემ: რა არის ჭეშმარიტება? ეს რომ თქვა, კვლავ გამოვიდა იუდეველებთან და უთხრა მათ: მე ვერავითარ ბრალს ვერ ვპოულობ მასში. ხომ გაქვთ ჩვეულება, რომ ერთი კაცი გაგითავისუფლოთ პასექისას? თუ გინდათ, გაგითავისუფლებთ იუდეველთა მეფეს. მაგრამ ყველანი აყვირდნენ და თქვეს: ეგ კი არა, არამედ ბარაბა; ხოლო ბარაბა ყაჩაღი იყო. მაშინ პილატემ წაიყვანა იესო და გააშოლტვინა. ხოლო ჯარისკაცებმა ეკლის გვირგვინი დაწნეს, თავზე დაადგეს

და ძოწეულით შემოსეს იგი. მიდიოდნენ და ეუბნებოდნენ: გიხაროდეს, იუდეველთა მეფეო, და სახეში ურტყამდნენ მას. კვლავ გამოვიდა გარეთ პილატე და უთხრა მათ: აჰა, გამოგგვრით, რათა იცოდეთ, რომ ვერავითარ ბრალს ვერ ვპოულობ მასში. მაშინ გამოვიდა გარეთ იესო, ეკლის გვირგვინით და ძოწის მოსასხამით. და უთხრა მათ პილატემ: აჰა, კაცი; ხოლო მის დანახვაზე მღვდელმთავრები და მსახურები აყვირდნენ: ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი! უთხრა მათ პილატემ: თქვენ თვითონ წაიყვანეთ და ჯვარს აცვით, ვინაიდან მე ბრალს ვერ ვპოულობ მასში. იუდეველებმა მიუგეს: ჩვენა გვაქვს რჯული, და ჩვენი რჯულის მიხედვით, სიკვდილის ღირსია, ვინაიდან ღმერთის ძედ დასახა თავი. ეს სიტყვა რომ გაიგონა პილატემ, უფრო შეშინდა. ხელახლა შევიდა პრეტორიუმში და უთხრა იესოს: სადაური ხარ? მაგრამ იესომ პასუხი არ გასცა. უთხრა მას პილატემ: მე არ მცემ ხმას? ნუთუ არ იცი, რომ შემიძლია ჯვარს გაცვა შენ და შემიძლია შენი გაშვებაც? იესომ მიუგო: არავითარი ხელმწიფება არ გექნებოდა ჩემზე, მაღლიდან რომ არ მოგცემოდა. ამიტომ უფრო დიდი ცოდვა აქვს იმას, ვინც ჩემი თავი გადმოგცა. ამის შემდეგ ცდილობდა პილატე, გაეშვა იგი. მაგრამ იუდეველები აყვირდნენ და თქვეს: თუ მას გაუშვებ, კეისრის მეგობარი არა ხარ, რადგან ვისაც მეფედ მოაქვს თავი, კეისარს ეურჩება. ეს სიტყვა რომ გაიგონა, პილატემ გარეთ გამოიყვანა იესო და სამსჯავრო ტახტზე დაჯდა იმ ადგილას, რომელსაც ჰქვია ქვაფენილი, ხოლო ებრაულად — გაბათა. იყო პასექის პარასკევი, ასე, მეექვსე საათი; და უთხრა იუდეველებს: აჰა, თქვენი მეფე! ხოლო ისინი აყვირდნენ: წაიყვა, წაიყვა, ჯვარს აცვი იგი! უთხრა მათ პილატემ: თქვენი მეფე ჯვარს ვაცვა? მღვდელმთავრებმა მიუგეს: არა გვყავს მეფე, კეისრის გარდა. მაშინ მისცა მათ ჯვარზე საცმელად. და წაიყვანეს იესო.

5. მათე (27, 3-32)

მაშინ, რა იხილა იუდამ, მისმა გამცემმა, რომ მსჯავრი დასდეს, შეინანა და დაუბრუნა ოცდაათი ვერცხლი მღვდელმთავრებსა და უხუცესთ, და თქვა: შევცოდე, რომ მოგეცით

მართალი სისხლი. ხოლო მათ უთხრეს: ჩვენ რა? შენ იკითხე. დაყარა ვერცხლი ტაძარში და იქაურობას გაეცალა: წავიდა და თავი ჩამოიხრჩო. ხოლო მღვდელმთავრებმა აკრიფეს ვერცხლი და თქვეს: არ ეგება ტაძრის საგანძურში ამის დადება, ვინაიდან სისხლის საფასურია. ბჭობა გამართეს და, უცხოთა სასაფლაოდ იყიდეს იმით მეთუნის მიწა. ამიტომაც ეწოდება ამ მიწას სისხლის მიწა დღევანდელ დღემდე. მაშინ აღსრულდა თქმული იერემია წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს: და აიღეს ოცდაათი ვერცხლი, საფასური შეფასებულისა, რომელიც შეფასდა ისრაელის ძეთა მიერ; და მისცეს ის მეთუნის მიწაში, როგორც მიბრძანა მე უფალმა. ხოლო იესო წარდგა მთავრის წინაშე, და ჰკითხა მას მთავარმა: შენა ხარ იუდეველთა მეფე? ხოლო იესომ მიუგო: შენ ამბობ. და როდესაც მღვდელმთავრებმა და უხუცესებმა ბრალი დასდეს, არაფერი მიუგო მათ. მაშინ უთხრა მას პილატემ: არ გესმის, რამდენ რასმე გწამებენ? მაგრამ არცერთ სიტყვაზე არაფერი მიუგო მას; ასე რომ, დიდად უკვირდა მთავარს. ხოლო დღესასწაულზე ჩვევად ჰქონდა მთავარს, გაეთავისუფლებინა ხალხისთვის ერთი პატიმარი, რომელსაც მოისურვებდნენ. იმხანად ჰყავდათ ერთი ცნობილი პატიმარი, რომელსაც ერქვა ბარაბა. ამრიგად, როცა შეიკრიბნენ ისინი, უთხრა მათ პილატემ: ვინ გინდათ გაგითავისუფლოთ: ბარაბა თუ იესო, რომელსაც ჰქვია ქრისტე? რადგანაც იცოდა, რომ შურით გასცეს იგი. და როცა სამსჯავრო სავარძელზე იჯდა, ცოლმა კაცის პირით შემოუთვალა: ნურაფერს დაუშავებ მაგ მართალს, ვინაიდან წუხელ სიზმარში ბევრი ვიტანჯე მის გამო. მაგრამ მღვდელმთავრებმა და უხუცესებმა წააქეზეს ხალხი, გამოეთხოვათ ბარაბა, ხოლო იესო გაეწირათ. და როცა მთავარმა ჰკითხა მათ: ვინ გინდათ გაგითავისუფლოთ ამ ორთაგანო, ხალხმა მიუგო: ბარაბა. ჰკითხა მათ პილატემ: კი მაგრამ, რა ვუყო იესოს, რომელსაც ჰქვია ქრისტე? ყველამ მიუგო: ჯვარს ეცვას! ხოლო მთავარმა იკითხა: რა დააშავა? მაგრამ ისინი უფრო ხმამაღლა აყვირდნენ: ჯვარს ეცვას! და რაკი იხილა პილატემ, რომ ვერაფერს შველის, არამედ უფრო იზრდება შფოთი, მოითხოვა წყალი, ხალხის წინაშე დაიბანა ხელები და თქვა: მე უბრალო ვარ

ამ მართლის სისხლში, თქვენ იკითხეთ. მიუგო მთელმა ხალხმა და უთხრა: ჩვენზე იყოს და ჩვენს შვილებზე მაგისი სისხლი. მაშინ გაუთავისუფლა მათ ბარაბა, ხოლო იესო გაამათრახებინა და ჯვარზე საცმელად მისცა მათ. მაშინ მთავრის ჯარისკაცებმა პრეტორიუმში წაიყვანეს იესო, და გარს შემოერტყა მთელი რაზმი. და განძარცუეს იგი და ქლამინდი მეწამული შეჰმოსეს მას. დაწნეს ეკლის გვირგვინი და თავზე დაადგეს, მარჯვენა ხელში კი ლერწამი მისცეს; მუხლს იყრიდნენ მის წინაშე, დასცინოდნენ და ეუბნებოდნენ: გიხაროდეს, მეუფეო იუდეველთა! და აფურთხებდნენ, აიღეს ლერწამი და თავზე ამტვრევდნენ მას. ხოლო როცა დაცინვით გული იჯერეს, შემოაძარცვეს ქლამინდი, კვლავ თავისი სამოსი ჩააცვეს და წაიყვანეს, რათა ჯვარს ეცვათ. გზაში შემოხვდათ ერთი კირენელი კაცი, სახელად სიმონი; და აიძულეს წამოელო იესოს ჯვარი.

6. მარკოზი (15, 16-32)

ჯარისკაცებმა შიდა ეზოში, ანუ პრეტორიუმში შეიყვანეს იგი, და შეკრიბეს მთელი რაზმი. შემოსეს ძოწეულით, დაწნეს ეკლის გვირგვინი და თავზე დაადგეს. და დაუწყეს მისალმება: გიხაროდეს, იუდეველთა მეფევ! თავზე ამტვრევდნენ ლერწამს, აფურთხებდნენ და მუხლმოყრილნი თაყვანსა სცემდნენ. ხოლო როცა დაცინვით გული იჯერეს, შემოაძარცვეს ძოწეული, კვლავ თავისი სამოსი ჩააცვეს და ჯვარზე საცმელად წაიყვანეს იგი. და აიძულეს მინდვრიდან მომავალი ერთი კირენელი კაცი, სახელად სიმონი, ალექსანდრესა და რუფუსის მამა, ეტვირთა იესოს ჯვარი. მიიყვანეს იგი იმ ადგილას, რომელსაც ჰქვია გოლგოთა, რაც ნიშნავს თხემის ადგილს. და მისცეს მას სასმელად მურნარევი ღვინო, მაგრამ არ მიიღო. ჯვარს აცვეს იგი და წილისყრით გაიყვეს მისი სამოსი: ვის რა შეგეხვდებაო. ხოლო იყო მესამე საათი, როცა ჯვარს აცვეს იგი. და მისი ბრალი ამ წარწერით იყო გადმოცემული: იუდეველთა მეფე. მასთან ერთად ჯვარს აცვეს ორი ავაზაკი, ერთი მის მარჯვნივ და მეორე — მარცხნივ. და აღსრულდა წერილი, რომელიც ამბობს: ბოროტმოქმედთა შორის შეირაცხაო. ხოლო გამვლელნი აგინებდნენ,

თავებს აქნევდნენ და ამბობდნენ: ეჰა, ტაძრის დამრღვევო და სამ დღეში აღმშენებელო! იხსენი შენი თავი; ჩამოდი ჯვრიდან! ასევე მღვდელმთავრები, მწიგნობრებთან ერთად, დასცინოდნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ: სხვები იხსნა და თავის ხსნა კი არ შეუძლია; ქრისტე, მეფე ისრაელისა, დე, ჩამოვიდეს ახლა ჯვრიდან, რათა ვიხილოთ და ვიწამოთ.

7. მათე (27, 33-54)

და როცა მიაღწიეს იმ ადგილს, რომელსაც ჰქვია გოლგოთა, რაც ნიშნავს თხემის ადგილს, მისცეს მას სასმელად ნაღველნარევი ძმარი, და როცა გემო გაუსინჯა, აღარ მოუნდა დალევა. და როცა ჯვარს აცვეს, წილი ყარეს და გაიყვეს მისი სამოსი, რათა აღსრულდეს თქმული წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს: ერთმანეთში გაიყვეს ჩემი სამოსი და ჩემს კვართზე იყარეს წილი. ისხდნენ და იქ დარაჯობდნენ მას. და დაუდგეს თავთით დაწერილი ბრალდება: ეს არის იესო, იუდეველთა მეფე! მაშინ ჯვარს აცვეს მასთან ერთად ორი ავაზაკი, ერთი მარჯვნივ და მეორე მარცხნივ. ხოლო გამვლელნი აგინებდნენ, თავებს აქნევდნენ და ამბობდნენ: ტაძრის დამრღვევო და სამ დღეში აღმშენებელო, იხსენი შენი თავი; თუ ღმერთის ძე ხარ, ჩამოდი ჯვრიდან. ასევე მღვდელმთავრები მწიგნობრებთან, უხუცესებსა და ფარისევლებთან ერთად დასცინოდნენ და ამბობდნენ: სხვები იხსნა და თავის ხსნა კი არ შეუძლია; თუ ისრაელის მეუფეა, დე, ჩამოვიდეს ჯვრიდან და ვიწამებთ მას. ღმერთს იყო მინდობილი, და, თუ ნებავს, დე, იხსნას ახლა ღმერთმა, ვინაიდან თქვა: ძე ვარო ღმრთისა. მის გვერდით ჯვარცმული ავაზაკნი ასევე აგინებდნენ მას. ხოლო მეექვსე საათიდან მეცხრე საათამდე წყვდიადმა მოიცვა მთელი ქვეყანა. და ასე, მეცხრე საათს ხმამაღლა შეღაღადა იესომ: ელი, ელი, ლამა საბაქთანი? რაც ნიშნავს, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე მე? ზოგიერთმა იქ მდგომმა გაიგონა ეს და თქვა, ელიას უხმობსო. მყისვე გაიქცა ერთი მათგანი, აიღო ღრუბელი, ძმრით გაჟღინთა, ლერწამზე წამოაგო და მიაწოდა სასმელად. სხვები კი ამბობდნენ: მოიცათ, ვნახოთ, მოვა თუ არა ელია მის სახსნელად. ხოლო იესომ კვ-

ლავ შეღაღადა ხმამაღლა და განუტევა სული. და, აჰა, ზემოდან ქვემომდე, შუა ჩაიხა ტაძრის ფარდა, იძრა მიწა და დასკდნენ კლდენი. განიხვნენ საფლავნი და წმიდა განსვენებულთა მრავალი გვამი აღდგა. საფლავებიდან გამოვიდნენ მისი აღდგომის შემდეგ, წმიდა ქალაქში შევიდნენ და გამოეცხადნენ მრავალს. ხოლო როდესაც იხილეს მიწისძვრა და ყოველივე ის, რაც მოხდა, ასისთავი და მასთან ერთად იესოს მოდარაჯენი, ძალიან შეშინდნენ და თქვეს: ჭეშმარიტად ღმრთის ძე იყო იგი.

8. ლუკა (23, 33-50)

და როცა მიაღწიეს იმ ადგილს, რომელსაც ჰქვია თხემის ადგილი, ჯვარს აცვეს იქ ისიცა და ბოროტმოქმედნიც, ერთი მის მარჯვნივ და მეორე — მარცხნივ. ხოლო იესო ამბობდა: მამაო, მიუტევე ამათ, რადგანაც არ იციან, რას სჩადიან. და წილისყრით გაიყვეს მისი სამოსი. ხალხი კი იდგა და უყურებდა. მათთან ერთად დასცინოდნენ წინამძღვრებიც და ამბობდნენ: სხვები იხსნა, და იხსნას ახლა თავისი თავი, თუკი ქრისტეა, ღმერთის რჩეული. ასევე დასცინოდნენ მეომრებიც, მიდიოდნენ, ძმარს აწვდიდნენ და ეუბნებოდნენ: თუ შენა ხარ იუდეველთა მეფე, იხსენი შენი თავი. იქვე იყო ბერძნული, ლათინური და ებრაული ასოებით დაწერილი წარწერა: ეს არის იუდეველთა მეფე. ხოლო ერთი ჯვარცმული ბოროტმოქმედი აგინებდა მას და ამბობდა: თუ შენ ხარ ქრისტე, იხსენი შენი თავი და ჩვენც. მეორე კი რისხავდა და ეუბნებოდა: ღმერთის მაინც არ გეშინია, რადგანაც მისებრ დასჯილი ხარ? ჩვენზე ახია: რაც დავთესეთ, იმასვე ვიმკით; ხოლო მას არაფერი ცუდი არ ჩაუდენია. და უთხრა იესოს: მომიხსენე მე, უფალო, როცა მიხვალ შენს სასუფეველში; ხოლო იესომ მიუგო მას: ჭეშმარიტად გეუბნები შენ: დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში. იყო ასე ექვსი საათი და წყვდიადმა მოიცვა მთელი ქვეყანა მეცხრე საათამდე. დაბნელდა მზე და შუა ჩაიხა ტაძრის ფარდა. მაშინ ხმამაღლა შეღაღადა იესომ და თქვა: მამაო, შენს ხელს ვაბარებ ჩემს სულს; და ამ სიტყვებით განუტევა სული. ხოლო ასისთავმა, რომელმაც დაინახა, რაც მოხდა, ადიდა ღმერთი და თქვა: ჭეშმარიტად ეს კაცი მართალი იყო.

სეირის საყურებლად მოსული მთელი ხალხი, რომელმაც იხილა ყველაფერი, რაც მოხდა, მკერდში მჯიღის ცემით ბრუნდებოდა უკან. ხოლო ყველა მისი ნაცნობი და ქალები, გალილეიდან რომ მოჰყვებოდნენ იესოს, მოშორებით იდგნენ და უმზერდნენ ამას. და, აჰა, ერთი კაცი, სახელად იოსები, წარჩინებული მრჩეველი, კაცი კეთილი და სამართლიანი, რომელიც არ მონაწილეობდა მათ თათბირსა და მათ საქმეში და თავადაც მოელოდა ღმრთის სასუფეველს, იუდეის ქალაქ არიმათეის მკვიდრი, მივიდა პილატესთან და გამოითხოვა იესოს გვამი. ჩამოხსნა იგი, გაახვია ტილოში და დაასვენა კლდეში გამოკვეთილ სამარხში, სადაც ჯერ კიდევ არავინ დაესვენებინათ. პარასკევი დღე იყო და თენდებოდა შაბათი. უკან მიჰყვნენ გალილეიდან იესოსთან ერთად მოსული ქალებიც და იხილეს სამარხიცა და ისიც, თუ როგორ დაიდო მისი გვამი.

9. იოანე (19, 25-37)

იესოს ჯვართან იდგნენ დედამისი, დედამისის და, მარიამ კლეოპასი და მარიამ მაგდალელი. ხოლო იესომ, როცა დაინახა დედა და იქვე მდგომი მოწაფე, რომელიც უყვარდა, უთხრა დედას: დედაო, აჰა, შენი ძე! მერე კი მოწაფეს უთხრა: აჰა, დედაშენი; და ამ საათიდან მოწაფემ თავისას წაიყვანა იგი. შემდგომ ამისა, რაკიღა მიხვდა, რომ უკვე დასრულდა ყველაფერი, რათა აღსრულდეს წერილი, იესომ თქვა: მწყურია. იქვე იდგა ძმრით სავსე ჭურჭელი. ძმრით გაჟღენთილი ღრუბელი უსუპს წამოაცვეს და პირთან მიუტანეს. როდესაც იგემა ძმარი, იესომ თქვა: აღსრულდა; თავი დახარა და სული განუტევა. რაკი პარასკევი იყო, გვამები რომ ჯვარზე არ დარჩენილიყო შაბათს (ვინაიდან ის შაბათი დიდი დღე იყო), იუდეველებმა სთხოვეს პილატეს, წვივები დაემტვრიათ მათთვის და ჩამოეხსნათ. მაშინ მივიდნენ ჯარისკაცები და წვივები დაუმტვრიეს მასთან ერთად ჯვარცმულთ, ერთსაც და მეორესაც. ხოლო როცა იესოსთან მივიდნენ, ნახეს, რომ უკვე მომკვდარიყო, და აღარ დაუმტვრიეს წვივები. მაგრამ ერთმა ჯარისკაცმა შუბი აძგერა ფერდში, საიდანაც მყისვე გადმოჩქეფა სისხლმა და წყალმა. ვინც იხილა, იმოწმა, და

ჭეშმარიტია მისი მოწმობა; მან იცის, რომ ჭეშმარიტს ამბობს, რათა ირწმუნოთ. ვინაიდან ეს მოხდა, რათა აღსრულდეს წერილი: მისი ძვალი არ შეიმუსრება. ხოლო სხვა წერილი ამბობს: იხილავენ მას, ვინც განგმირეს.

10. მარკოზი (15, 43-47)

მოვიდა იოსებ არიმათიელი, მრჩეველთა კეთილშობილი წევრი, თვითონაც რომ მოელოდა ღმრთის სასუფეველს, თამამად შევიდა პილატესთან და გამოითხოვა იესოს გვამი. ხოლო პილატეს გაუკვირდა, განა უკვე მოკვდაო? მოუხმო ასისთავს და ჰკითხა: დიდი ხანია მოკვდა? და როცა შეიტყო ასისთავისგან, მისცა იოსებს მისი გვამი. ხოლო მან იყიდა ტილო და ჩამოხსნა იგი ჯვრიდან, გახვია ტილოში და სამარხში დაასვენა, რომელიც კლდეში იყო გამოკვეთილი, და ლოდი მიაყუდა სამარხის კარს. ხოლო მარიამ მაგდალელი და მარიამ იოსესი ხედავდნენ, სადაც დაასვენეს იგი.

11. იოანე (19, 38-42)

ამის შემდეგ იოსებ არიმათიელმა (რომელიც იესოს მოწაფე იყო, მაგრამ ფარულად, ვინაიდან იუდეველებისა ეშინოდა) სთხოვა პილატეს, რათა ჩამოეხსნა იესოს გვამი. პილატემ ნება დართო; ისიც მივიდა და ჩამოხსნა იესოს გვამი. მოვიდა ნიკოდემეც (ერთხელ ღამით რომ მივიდა იესოსთან) და მოიტანა სმირნისა და ალოეს ნაზავი, ასიოდ ლიტრა. აიღეს იესოს გვამი და ტილოებში გახვიეს, ნელსაცხებელთან ერთად, როგორც მოითხოვს იუდეველთა დაკრძალვის წესი. იმ ადგილას, სადაც ჯვარს აცვეს, ბაღი იყო, ბაღში კი — ახალი სამარხი, რომელშიაც ჯერ კიდევ არავინ დაესვენებინათ. იქ დაასვენეს იესო, იუდეველთა პარასკევის გამო, რადგანაც ახლოს იყო სამარხი.

12. მათე (27, 62-66)

ხოლო მეორე დღეს, რომელიც მოსდევს პარასკევს, შეიკრიბნენ მღვდელმთავარნი და ფარისეველნი პილატეს კარზე და თქვეს: ბატონო, გაგვახსენდა, რომ ამ მაცდურმა სიცოცხლეში

თქვა: სამი დღის შემდეგ აღვდგებიო. მაშ, ბრძანე მესამე დღემდე უდარაჯონ სამარხს, რათა მისი მოწაფეები არ მივიდნენ ღამით, არ მოიპარონ იგი და უთხრან ხალხს: მკვდრეთით აღდგაო. და უკანასკნელი სიცრუე პირველზე უარესი იქნება. უთხრა მათ პილატემ: დარაჯნი თქვენა გყავთ, წადით და უდარაჯეთ, როგორც გჩვევიათ. ისინიც წავიდნენ, სამარხის დასაცავად დაბეჭდეს ლოდი და დარაჯი დაუყენეს.

სამოციქულოს განმარტება
გამოკრებილი იოანე ოქროპირისა და სხვა წმინდა მამათა თხზულებებიდან

გალატელთა მიმართ ეპისტოლე (6, 14-18)*

მოციქულისა: ***ხოლო მე ღმერთმა დამიფაროს, რომ სხვა რამით ვიქადოდე და არა ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ჯვრით (6, 14).***

განმარტება: ის, რაც წარმართებს სისულელედ შეურაცხავთ, პავლე მოციქულს ამქვეყნად ყველაზე საამაყოდ მიაჩნია, ყველაზე უმაღლესად და უდიდებულესად, ვინაიდან ბუნებით ღმერთმა სასირცხვილოდ არ მიიჩნია მონის ხატის შემოსვა, რომლითაც ევნო ჩვენთვის და მე როგორ მივიჩნიო საკუთარ სიქადულად მისი ჯვარცმა, რომელიც ჩემი მაცხონებელია? — ამბობს მოციქული პავლე.

მოციქულისა: ***რითაც ქვეყანა ჯვარცმულია ჩემთვის, მე კი — ქვეყნისთვის" (6, 14).***

განმარტება: ***ყველა ქრისტიანი ვალდებულია ქრისტეს*** ვნებანი ახსოვდეს, ისევე როგორც მოციქულის ზემორე სიტყვები, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ხორცით კი არა, გონებითაც განშორებულნი უნდა ვიყოთ არა მარტო ამსოფლიურ საქმეთაგან, არამედ გულისთქმებისგანაც. ესაა ხმა სანატრელი და ზეცათა სასუფევლის შემძენი.

მოციქულისა: ***რადგანაც ქრისტე იესოში არც წინადაცვეთილობა ნიშნავს რასმე და არც წინადაუცვეთელობა, არამედ მხოლოდ ახალი ქმნილება (6, 15).***

განმარტება: პავლე მოციქული კვლავ იმეორებს ზემოთქმულს, რომ ქრისტეში არავითარი უპირატესობა არ გააჩნია არც იუდეველს და არც წარმართს, მთავარია, ცოდვათაგან დაძველებული ადამიანი ხელახლა იშვას ნათლისღებით, როდე-

---

* ძველქართულად ტექსტი იხ. გვ. 410.

საც წმინდა ემბაზში დაიფლვება ძველი კაცი და განახლებული აღდგება. ამგვარადვე, ჩვენთან ერთად გახრწნილი სოფელიც ხელახლა უნდა დაიბადოს ქრისტეს მიერ და საუკუნოდ განუხრწნელი შეიქნას.

*მოციქულისა: **ვინც ამ წესისამებრ იქცევა, მშვიდობა და წყალობა მას, ისევე, როგორც ისრაელს ღვთისას (6, 16).***

განმარტება: ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი, ვინც ქრისტიანობას მტკიცედ იცავენ, აღარ დააძველებენ ცოდვით ქრისტესმიერ განახლებას, არც კვლავ იუდაურ სარწმუნოებას დაემონებიან. ამისათვის მიეცემათ მათ მშვიდობა ღვთისა და წყალობა, რომლითაც მოგვეტევება ჩვენი ცოდვები. ვინაიდან სახლი ისრაელისა მათ ეკუთვნით, ვინც ახლად დაბადებულნი არიან და სამართლიანად ეწოდებათ „ღმერთის მხედველი ერი“. ამ ყოველივეს მოკლებულნი თუმცა იაკობის შთამომავლებად ითვლებიან, მოწყვეტილნი არიან ისრაელიტებისგანაც და იაკობის სახიერებისაგანაც.

*მოციქულისა: **ამას იქით ნულარავინ შემაწუხებს, რადგანაც ჩემი სხეულით ვზიდავ უფალ იესოს წყლულებს (6, 17).***

განმარტება: მობეზრების გამო კი არ უარყოფს შრომას, რადგან მან (პავლემ) ყველა სხვა შრომას ქრისტეს მოციქულობა, მოციქულებრივი შრომა არჩია, არამედ თავის მოწაფეებს ასწავლის: ჩემ მიერ თქვენთვის ნაქადაგებ სახარების სჯულს არც რაიმეს ვაკლებ და არც შევმატებ, რადგან სხვაგვარი შრომა ზედმეტად და უსარგებლოდ მიმაჩნია, გარდა იმ გაჭირვებისა, ღვაწლისა და წყლულებისა, რომლებიც ყოველდღე მხვდება ქრისტეს სახარების ქადაგების გამო და რომელთაც არა მარტო მოთმინებით ვიტან, არამედ სურვილითა და წადიერებით მიტვირთავს და დამაქვს ჩემი მხედრობის განსაცხადებლად. რადგან თავს ვიდე წყლულებანი, არა ვარ კაცთმოთნე, ვინაიდან თუკი ადამიანებს ვაამებდი ჩემი ქადაგების ცვალებადობით, მაშინ რაღად დავიტანჯებოდი, როგორც მონა ქრისტესი?

*მოციქულისა: **ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლი იყოს თქვენს სულთან, ძმანო. ამინ (6, 18).***

განმარტება: მოციქული მოძღვრებას ლოცვას ურთავს და

ეპისტოლეს ამთავრებს სიტყვით „ამინ“. შეახსენებს მოწაფეებს ქრისტეს მიერ მადლით გამოხსნის შესახებ, რათა მისგან გამოხსნილნი სხვას აღარ დაემონონ, რომ არც ერთი ქრისტიანი არ უნდა გამოყოფდეს საკუთარ თავს ძმებისგან, რომლებიც ღმერთსაც და მამონასაც ერთდროულად არ ემონებიან, მხოლოდ ღმერთს ემორჩილებიან და გონება სულიწმინდისათვის განუმზადებიათ, რომელიც ქრისტეს მადლით მიენიჭათ და რომლისგანაც განუშორებელად გვყოს ჩვენც აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

რომაელთა მიმართ ეპისტოლე (5, 6-11)*

*მოციქულისა: **ვინაიდან, ჯერ კიდევ ჩვენი უძლურებისას, ქრისტე დროულად მოკვდა ულვთოთათვის. მართლაცდა, ძნელად თუ ვინმე მოკვდება მართლისათვის, ხოლო კეთილისთვის ვინმემ შესაძლოა, კიდევაც გაბედოს სიკვდილი (5, 6-7).***

განმარტება: ზემოთქმული სიტყვებით მარადიული სიკეთე მოგვენიჭა სულიწმინდის მადლით, რაც აქ მოცემულია სახეობრივად. ხოლო ქრისტეს სიკვდილს იმის ჭეშმარიტების დასამტკიცებლად მოიხსენებს, თუ როგორ არ მოერიდა დაუსაბამო მამა სიკვდილისთვის მიეცა თავისი თანადაუსაბამო ძე და ეს გაეკეთებინა უძლურებისთვის, უღმრთოებისთვის და ცოდვილი მონებისათვის. როდესაც ამბობს სიტყვას – „დროულად“, ამით აჩუმებს მათ, რომლებიც ამბობენ, რომ „დროზე ადრე მოვიდა“ და დაამტკიცებს, რომ მისი მოსვლისა და ვნების ჟამი განსაზღვრული იყო და უწინარეს საუკუნეთა განგებული; ის არც დროზე ადრე მოსულა და არც გვიან, არამედ თავის დროზე და ჯვარს ეცვა ჩვენთვის, ცოდვილებისა და გაბოროტებულებისთვის.

*მოციქულისა: **მაგრამ ღმერთი თავის სიყვარულს ჩვენდამი იმით გვიმჟღავნებს, რომ ქრისტე ჩვენი გულისთვის მოკვდა, როცა ჯერ კიდევ ცოდვილნი ვიყავით. მით უმეტეს, ახლა, როცა მისი სისხლით გავმართლდით, მისივე მეოხებით თავს დავაღწევთ რისხვას (5, 8-9).***

განმარტება: ამით გვეუბნება: თუკი მაშინ არ უგულებელგვყო ჩვენ ღმერთმა, როდესაც ცოდვილები ვიყავით და ჩვენი გამართლებისათვის თავისი ძე სასიკვდილოდ მისცა, ახლა მით უფრო არ უარგვყოფს, რადგან უკვე აღარ ვართ ცოდვილები, გავმართლდით ქრისტეს სისხლით და აღარაა საჭირო ჩვენთვის მისი ძის კვლავ სასიკვდილოდ მიცემა. ხოლო „რისხვისგან თავის დაღწევას“ რომ გაიგონებთ, გულისხმაყავით, რომ იგი ადამიანის საუკუნო ტანჯვისგან თავის დახსნაზე ლაპარაკობს.

*მოციქულისა: **რადგანაც თუ მტრები ვიყავით და მისი ძის***

---

* ძველქართულად ტექსტი იხ. გვ. 413.

სიკვდილით შევურიგდით ღმერთს, მით უმეტეს, შერიგებულნი ვცხონდებით მისი სიცოცხლით (5, 10-11).

განმარტება: ვინაიდან ახლა აღარ არის აუცილებელი მისი ძის სიკვდილად მიცემა და ძალიან ადვილია ცხონება ერთგზის განხორციელებული მაცხოვრის მიერ, ამიტომ აღარ უნდა გვრცხვენოდეს, რომ ჩვენი ცოდვების სიმძიმემ აიძულა ღმერთი, სასიკვდილოდ მიეცა თავისი ძე. და ამატებს მოციქული: „არა მხოლოდ სირცხვილისგან ვართ გათავისუფლებულნი, არამედ უნდა ვიამაყოთ კიდეც, რომ ასე შეგვიყვარა ღმერთმა, რომლებიც ულმრთოები ვიყავით და ქრისტე მოკვდა ჩვენთვის, რათა შეგვირიგოს“. და არა მარტო ამით უნდა ვიქადოდეთ, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს გამოც, რომლის წყალობითაც ღმერთთან შერიგება გვეღირსა.

კორინთელთა მიმართ
პირველი ეპისტოლე (1; 18-2, 2)*

მოციქულისა: ***რათა არ გაუქმდეს ქრისტეს ჯვარი (1, 17).***

თარგმანი: რას ნიშნავს აქ ნათქვამი სიტყვები „რათა არ გაუქმდეს ქრისტეს ჯვარი“? — ეს იმას ნიშნავს, რომ არ უნდა დამდაბლდეს და დამცირდეს ჯვრის დიდება; მოციქულების ქადაგება მათი ბრძნობის შედეგი რომ ყოფილიყო, ვიღაც იტყოდა: თავიანთი სიტყვის ძლიერი ძალითა და განუსაზღვრელობით შეძლეს, რომ ადამიანებს მათი ქადაგება ერწმუნათ და არა ქრისტეს ძალითო. მაგრამ რადგანაც მთელი სამყარო უსწავლელმა და უმეცარმა ადამიანებმა დაარწმუნეს და ცდომილებიდან მოაქციეს, ამ ყველაფერმა კიდევ უფრო გამოააშკარავა ქრისტეს ძალა და განავრცო დიდება ჯვრისა.

მოციქულისა: ***ვინაიდან ჯვრის სიტყვა სიგიჟეა დაღუპულებისთვის (1, 18).***

თარგმანი: ჯვრის სახელი, ქრისტიანული მოღვაწეობა და ქადაგება ურწმუნოებით დაღუპულ ადამიანებს სიგიჟედ მიუჩნევიათ. რადგანაც, როდესაც ვამბობთ, რომ ძე ღვთისა ჯავრს ეცვა, მოკვდა, აღდგა და ჯვრით გაანადგურა სიკვდილი, რომ მკვდრები აღდგებიან და ყველა შესაფერისად დაისჯება, — ყოველივე ამას სიგიჟედ თვლიან. ღმერთი რომ განკაცდა და ჯვარზე გაეკრა, ესეც ზღაპრად და სიშლეგედ მიაჩნიათ. მაგრამ სინამდვილეში სწორედ ისინი არიან დაღუპულები, რომლებიც ყველაფერს, რაც ღმერთმა ადამიანებს გადარჩენისთვის მისცა, სიგიჟედ თვლიან.

მოციქულისა: ***ხოლო ჩვენთვის, გადარჩენილებისთვის ძალაა ღვთისა, რადგანაც დაწერილია: „შევმუსრავ ბრძენთა სიბრძნეს და გონიერთა გონიერებას უკუვაგდებ“ (ესაია 29, 14). სად არის ბრძენი? სად არის მწიგნობარი? სად არის ის, ვისაც ამაქვეყნისა გაეგება რამ? (1, 20).***

თარგმანი: რადგანაც ჩვენ, რომლებსაც გონება ვერ დაგვაკარგინა ეშმაკმა და ცხონების იმედი გვაქვს, ამგვარი საქმეების

* ძველქართულად ტექსტი იხ. გვ. 415.

გამოისობით ვაცნობიერებთ ღვთის ძალასა და სიბრძნეს. ძალა იმით გამოვლინდა, რომ სიკვდილით სიკვდილი გააუქმა, ხოლო სიბრძნე იმით, რომ ამ საშუალებით დაღუპულები გადაარჩინა.

აქ მოციქულს წმინდა წერილის სიტყვები მოაქვს: „შევმუსრავ ბრძენთა სიბრძნეს“, შემდეგ კი საკუთარ სიტყვებს დაურთავს: „სად არის ბრძენი?“ — ეს წარმართ ფილოსოფოსებს ეხებათ, ხოლო, „სად არის მწიგნობარი?“ — ეს კი ურიებს. „სად არის ის, ვისაც ამაქვეყნისა გაეგება რამ?“ — ეს ისინი არიან, რომლებიც ადამიანური გრძნობებით იკვლევენ მიუწვდომელ საქმეებს. სად არიან ესენიო? — კითხულობს მოციქული; აბა, თავიანთი საქმეები გვაჩვენონო! შეცდომისაგან ვინ იხსნის მათ, ვინც საკუთარ სიბრძნეს, მწიგნობრობასა და კვლევებს მისდევს? ვინ გაანაგურებს მათ ცოდვებს? ვინ განკურნავს მათ ავადმყოფობას? აბა, სად არის მათი ამაო ტრაბახი? — გაქრა და გაუჩინარდა.

მოციქულისა: განა სიშლეგედ არ აქცია ღმერთმა ამქვეყნიური სიბრძნე? (1, 20).

თარგმანი: რანაირად აქცია ღმერთმა სიგიჟედ ამქვეყნიური სიბრძნე? აი, ასე: როდესაც ღვთის სიბრძნემ უმეცარ ადამიანებს ზეციურ საქმეებზე უქადაგა და შეამეცნებინა, მაშინ წარმართების სიბრძნე გაუჩინარდა, მოციქულებისა კი გამოჩნდა. ამასოფლის სიბრძნეს იგი უწოდებს კეთილ სიტყვებს და ვრცელ მსჯელობას, რადგან ისინიც ღვთის ნაბოძებია ადამიანებისთვის. ვინც (ღმერთმა) ადამიანებს ენები გაუნაწილა და თითოეულ ენას თავისი წესი დაუდგინა, მანვე მიანიჭა ფილოსოფოსებს სიბრძნე და მჭევრმეტყველება, რათა ყოველივეს მბოძებელი შეეცნოთ; მათ კი ეს ყოველივე ბოროტის კეთების იარაღად გამოიყენეს და მაცდუნებელი საქმეები გაავრცელეს. როდესაც ნახა ღმერთმა, რომ ამ სიბრძნემ ვერაფერი არგო მათ, სიბრძნე სიგიჟედ გადაუქცია და უგუნურებად გამოაჩინა. და მართლაც, გაგიჟდა ყველა, ვინც საკუთარ თავს ბრძნად მიიჩნევდა, რადგანაც ვერ შეძლეს იმის პოვნა და შემეცნება, რაც მეთევზეებმა და გაუნათლებლებმა უქადაგეს ქვეყნიერებას და დაარწმუნეს კიდეც ის. ამგვარად, მათი (ამა სოფლის ბრძენთა სიბრძნე) გამოჩნდა სიგიჟედ, რომელიც ჭეშმარიტებას ვერ პოულობს.

*მოციქულისა: **რადგან სოფელმა თავისი სიბრძნით ვერ შეიცნო ღვთის სიბრძნე, ამიტომაც არჩია ღმერთმა, რომ სისულელის ქადაგებით გადაერჩინა მორწმუნეები (1, 21).***

თარგმანი: ეს იმას ნიშნავს, რომ იმ სიბრძნით, რომელიც ღმერთმა ადამიანებს მისცა და რომელიც ადამიანთა შორისაა დამკვიდრებული, მათ ვერ შეძლეს, შეეცნოთ ცისა და მიწის, მზისა და მთვარის და ყოველი დაბადებულის შემოქმედი ღმერთი. რადგანაც ღმერთმა მიანიჭა ადამიანებს სიბრძნე, ცოდნა და ღვთის სიბრძნის წვდომის უნარი, რაც შესაქმეში გამოსჭვივის. მათ ამ სიბრძნის (მიწიერის) გამოყენებით უნდა შეეცნოთ ღმერთი, ისინი კი ასე არ მოქცეულან. ამიტომაც გააუქმა ღმერთმა მათი სიბრძნე და სისულელის ქადაგებით გადაარჩინა სამყარო. სისულელეს მოციქული იმად უწოდებს ქრისტეს ქადაგებას, რომ არ არის ისე ტყუილუბრალოდ გართულებული, როგორც წარმართული (ფილოსოფია), სისულელეს უწოდებს წარმართთა მხრიდან და იმ აზრითაც, რაც ზემოთ თქვა: ჯვრის შესახებ თქმულს წარმართები სიგიჟედ თვლიანო (იხ. 1 კორ. 1, 18); და აქაც თითქოსდა მათ მაგიერ ამბობს.

*მოციქულისა: **ვინაიდან იუდეველებიც სასწაულებს მოითხოვენ და ელინები ეძებენ სიბრძნეს. ჩვენ კი ჯვარცმულ ქრისტეს ვქადაგებთ (1, 22-23).***

თარგმანი: ამას გულისხმობს: ებრაელს რომ უთხრა, ირწმუნეო, შენი ქადაგების დასამოწმებლად მაშინვე ნიშ-სასწაულს მოითხოვს. არადა, ჩვენ ჯვარცმულ ქრისტეს ვქადაგებთ, რომელიც არა მხოლოდ სასწაულებრივ საქმეებს არ აჩვენებს, ძალიან სუსტადაც კი ჩანს ხოლმე მათთვის, ვინც ამ ყველაფერს ხორციელი თვალით შეხედავს. თუმცა ამგვარად, — იმით, რაც ხორციელი თვალისთვის უძლურებად მოჩანს და რაც მათ თხოვნას სრულიად ეწინააღმდეგება — ცოტა როდი მოექცა სარწმუნოებაზე, რაც ღვთის უდიდეს ძალას წარმოაჩენს. წარმართებიც სიბრძნეს ითხოვენ ჩვენგან და ჩვენ მათაც ვუქადაგებთ ჯვრის შესახებ. თუმცა ჯვარცმული ღმერთის ქადაგება სისულელედ და სიგიჟედ მოჩანს, მაგრამ მათ ირწმუნეს ეს. მაშ, განა დიდად საკვირველი არ არის, რომ როცა მათ თავიანთი თხოვნის საწინააღ-

მდეგო მიიღეს, სწორედ მაშინ მოექცნენ სარწმუნოებაზე? დიახ, ეს ძალაც შესწევს ქადაგების სიტყვას: როდესაც ებრაელები სასწაულს ითხოვენ, წარმართები კი სიბრძნეს (ფილოსოფიას), ორივე პოულობს თავისას ქრისტეში. როგორ ხდება ეს? ურწმუნო ებრაელებისთვის ეს ქადაგება ძალადობაა და საცდურად ეჩვენებათ, წარმართებისთვის სისულელეა; ხოლო მათ შორის ისეთები, ვინც მოწოდებულები და რჩეულები არიან, ხვდებიან, რომ ქრისტე ჭეშმარიტად არის მამის სიბრძნეცა და ძალაც (იხ. 1 კორ. 1, 24). მართლაცდა, აბა, რას ამბობ, ებრაელო? სასწაული გინდა? აი, ქრისტე! ის არის ღვთის ძალა და სასწაულმოქმედი. შენ რაღას ამბობ, წარმართო? სიბრძნეს ეძებ? თუ ეს გინდა, შეხედე ქრისტეს, ის არის მამის სიბრძნე! სწორედ რომ ამას ამბობს მოციქული: რადგან ჩვენგან სასწაულსა და სიბრძნეს ითხოვენ, ამიტომ ჩვენ ქრისტეს ვუქადაგებთ მათ, რადგანაც იგი ორივეა რჩეულებისთვის — ძალაც და სიბრძნეც. და როდესაც ეს რჩეულები ორივეს ქრისტეში იპოვიან, მოექცევიან კიდეც. მაგრამ ის, ვინც გონება დაიბნელა, ვინც არ მიიღო არც რწმენა, არც რჩეულობა და არც ღვთის მოწოდება, სიცრუისა და სისულელის თანასწორად თვლის ამ საქმეს. მართლაცდა, ბრმებს ხილული მზეც კი ბნელად ეჩვენებათ, ისევე, როგორც კეთილსურნელოვანი ნელსაცხებელია უამური ორბებისა და ღორებისთვის, მტრედებს კი სიხარულით ავსებს.

მოციქულისა: ***იუდეველებისთვის — საცდურს (1, 23).***

თარგმანი: იუდეველებისთვის იმიტომაა საცდური, რომ მათ თუმცა წინასწარმეტყველებები იცოდნენ, მისი აღსრულება არ დაიჯერეს. ქრისტიანობის ქადაგება კი ბოროტებად მიაჩნდათ.

მოციქულისა: ***წარმართთა — სიშლეგეს (1, 23).***

თარგმანი: რადგანაც მათ ზღაპრად და სისულელედ მიიჩნიეს ის, რომ ღმერთი განკაცდა, რომ ღმერთს ძე ჰყავს და რომ ღმერთი ჯვარს ეცვა.

მოციქულისა: ***ხოლო მორწმუნე ებრაელებისა და ბერძნებისთვის ქრისტე ღვთის ძალაა და ღვთის სიბრძნე (1, 24).***

თარგმანი: თუმცა ურწმუნოები ასე მიიჩნევენ, მაგრამ ისინი (ებრაელებიცა და წარმართებიც), ვინც ღვთის მოწოდება

შეისმინეს და რჩეულობა მიიღეს, გრძნობენ, თუ რანაირადაა ქრისტე ღვთის ჭეშმარიტი ძალა და სიბრძნე. და განა ეთქმის ვინმეს, რომ ზოგიერთი გამოირჩია ღმერთმა და მოუხმო, ზოგიერთს კი არა?! არამც და არამც! ღმერთმა ყველას მოუხმო და ყველა გამოარჩია; მაგრამ ვინც ეს გამორჩევა და მოხმობა მიიღო, მხოლოდ მათ დაარქვა გამორჩეულები, მოხმობილები და არჩეულები. რადგანაც ვინც გამორჩეულობის მიღება არ ისურვა, აბა, მათ რჩეულებს რაღად უწოდებდა?!

მოციქულისა: ***რადგანაც ღვთისთვის სულელი ბრძენ კაცზე უფრო ბრძენია (1, 25).***

თარგმანი: უგუნურთაგან ჯვარი სისულელედაა მიჩნეული; არადა, იგი ყველა კაცზე უფრო ბრძენია. ქრისტიანობის ქადაგებაც სისულელედაა მიჩნეული, არადა, მთელ სამყაროზე უფრო ბრძნულია; ეს როგორ? იმგვარად, რომ ამაქვეყნის ბრძენნი და ფილოსოფოსები ავ და ჭეშმარიტად გიჟურ საქმეებს იკვლევენ, რითაც ყველა თავიანთი მიმდევარი ჯოჯოხეთის უფსკრულში ჩაყარეს, მაგრამ ისინი დაადუმა და მთელი ქვეყნიერება გადაარჩინა ჯვარმა და ქრისტიანობის ქადაგებამ, რომელიც მათ წინაშე სისულელედ ჩანდა. ამქვეყნად ამ ცრუ ბრძენთა ხსენებაც არ დარჩენილა, ხოლო ჯვარცმულის ქადაგებამ, რომელიც უსწავლელმა მოციქულებმა იქადაგეს და გაავრცელეს, მთელი სამყარო გადაარჩინა.

მოციქულისა: ***და უძლური ღვთისთვის — ძლიერ ადამიანებზე უფრო ძლიერია (1, 25).***

თარგმანი: თავდაპირველად ქრისტიანობის ქადაგება უძალო საქმედ მოჩანდა, რადგანაც ღატაკი და უსწავლელი ადამიანები ქადაგებდნენ მას, ხოლო მეფეები, მთავრები და ადამიანთა უმრავლესი მოდგმა ქრისტეს სახელის აღმოფხვრას ცდილობდა, ქრისტიანობას არანაირი ხორციელი ძალა არ შესწევდა. აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ ამ ქადაგებას მთელი სამყარო გაჰყვებოდა მაშინ, როდესაც ათასობით ადამიანი ქრისტეს სახელის მოსპობასა და დავიწყებას ესწრაფოდა? მაგრამ არა თუ არ მოისპო, კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა, გავრცელდა და მთელ სამყაროში გაითქვა სახელი (შდრ. ფსალმუნნი 17, 5; რომ. 19, 18). საბოლოოდ უძლუ-

რად მიჩნეული ქადაგება ღვთისა ყველა ადამიანზე უძლიერესი აღმოჩნდა, რადგანაც ვინც ძლიერად ირაცხებოდა, უძლურად შერაცხულმა ჯვარით დაამარცხა და გაანადგურა.

მოციქულისა: ***დაუკვირდით, ძმებო, თუ რომლები ხართ გამორჩეულები (1, 26).***

თარგმანი: ამას ამბობს: ნახეთ და გააცნობიერეთ, თუ რა დიდი ძალა აქვს რჩეულობას, რომლითაც თქვენ გამოგირჩიეს და რომელიცაა ქრისტიანობა. რადგანაც არა ამაქვეყნის ბრძნებმა, არამედ უმეცრებმა ამისთანა საოცარი და დიდებული საქმეები გვასწავლეს. მან თქვენ, უმეცრებს, ის შეგამეცნებინათ, რასაც ამქვეყნიური ფილოსოფოსები ვერ ჩასწვდებიან.

მოციქულისა: ***ცოტაა თქვენს შორის ხორციელად ბრძენი (1, 26).***

თარგმანი: იმას გულისხმობს, რომ ამ მოხმობაზე არ ირწმუნა მრავალმა ფილოსოფოსმა, ხორციელად ბრძენმა და ამაქვეყნის წარჩინებულმა, არამედ — ძირითადად უწიგნურებმა. და კარგად თქვა — ცოტაო, რადგანაც მათ შორის, ვინც ირწმუნა, ზოგიერთი ბრძენიც იყო. თუმცა, სწორედაც რომ ცოტა, მაგრამ მაინც იყვნენ. მაგალითად, დიონისე არეოპაგელი, იეროთეოსი და სერგიოს პავლე ანთიპატი, რომელმაც კესარიის პამფილიაში ირწმუნა. ამგვარები სხვებიც იყვნენ — თუმცა, ცოტანი. სწორედ ამიტომ ნათქვამია, რომ ზოგი მათგანი ბრძენიც იყო, ძლიერიც და წარჩინებულიც.

მოციქულისა: ***ცოტაა ძლიერი, ცოტაა წარჩინებული (1, 26).***

თარგმანი: რადგანაც ხორციელად მდიდარი, ძლიერი, წარჩინებული და მიწიერად ბრძენი ამპარტავნებით არიან სავსენი, მათ ღვთის შემეცნება არ შეუძლიათ, რადგანაც არ სურთ, ამქვეყნიურ საქმეებს მოაკლდნენ.

მოციქულისა: ***მაგრამ ღმერთმა გამოარჩია ამქვეყნის სულელები (1, 27).***

თარგმანი: იმას გულისხმობს, რომ ღმერთი გამუდმებით ღატაკებსა და არაპატივდებულებს ირჩევს, რათა ამ საშუალებით შეარცხვინოს ურწმუნოები. როდესაც გესმის სიტყვა „ირჩევს,“ ნუ გეგონება, რომ ღმერთს თავად სურს ღატაკები-

სა და უვარგისების გამორჩევა და შეწყალება, მდიდრებისა კი შერცხვენა. არამედ გაიაზრე: ღმერთმა იმისთვის გამოირჩია ღატაკები და უვარგისები, რომ ისინი გახდნენ მისი მიმდევრები. რადგანაც მდიდარი ირწმუნებს თუ გლახაკი, მას რჩეული ეწოდება. რადგანაც სწორედაც რომ უფრო მეტმა მდაბიომ ირწმუნა, ამიტომ რჩეულები მათ ეწოდათ. ეს არ ნიშნავს, რომ მდიდრები თუ მოინდომებდნენ, რჩეულები ვერ გახდებოდნენ. სწორედაც რომ გახდებოდნენ და გახდნენ კიდეც: დიონისე არეოპაგელი, კლიმენტი რომაელი. ხოლო ისინი, ვინც რჩეულობის გარეშე დარჩნენ, საკუთარი ბოროტი ნების გამო დარჩნენ ასე, თავად არ ისურვეს! თორემ ღმერთს ყოველთვის ყველას ცხონება სურს და ყველას მოუხმობს. ამას ამბობს კიდეც უფალი იგავში კეთილი ბატონის შესახებ, რომელმაც თავის ძეს ქორწილი გადაუხადა და ბევრი ადამიანი მიიწვია. მათ კი საკუთარი ბოროტების გამო აქციეს ზურგი; ამის შემდეგ მოუწოდა მდაბიოებსა და დავრდომილებს (მათე 22, 2-14) და თქვა უფალმა: „მრავალია მოხმობილი და მათგან მხოლოდ მცირედია რჩეული“ (მათე 22, 14; შდრ. მათ. 20, 16). ეს იმას ნიშნავს, რომ: მე ყველას დავუძახე, მაგრამ ვინც ამ დაძახებას გამოეხმაურა და მოვიდა, ისაა რჩეული და კეთილიო. ამასვე ამბობს აქაც მოციქული: ვინც კი მოვიდა და ირწმუნა, მდაბიოა თუ უწიგნური, ისინი გამოირჩია და ადიდა, რადგანაც მდიდრებმა და ფილოსოფოსებმა დაიმსახურეს, რომ ღვთის შეცნობა უსწავლელებისა და მდაბიოებისაგან ისწავლონო.

*მოციქულისა: **რომ შეარცხვინოს ბრძნები, მან გამოირჩია ამქვეყნის უძლურები, რათა შეარცხვინოს ძლიერები. ამქვეყნის უგვარტომოები და უგვანები გამოირჩია ღმერთმა (1, 27-28).***

თარგმანი: როდესაც ეს გვესმის: „ბრძნებისა და მდიდრების შესარცხვენადო“, უნდა მიხვდე, რომ იგულისხმება, ვინც საკუთარ სიბრძნესა და სიმდიდრეზე ამყარებდა იმედს და ამიტომ არ მივიდა (უფალთან, რათა ერწმუნა). რადგანაც სიბრძნე და ცოდნა ღმერთმა ადამიანებს ღვთის შესაცნობად მისცა, მათ კი ბოროტად მოიხმარეს და თანაც ეგონათ, რომ ქრისტეს ქადაგებას გააქარწყლებდნენ. ხოლო როდესაც ღმერთმა მათი ეს ბოროტება ნახა, უკიდურესად შეარცხვინა ისინი უწიგნური

და მდაბიო ადამიანების მიერ. სწორედ იმაში მდგომარეობს ქრისტეს უდიდესი გამარჯვება, რომ სულელების საშუალებით, რომელთა შორის იგულისხმებიან უწიგნური ადამიანები, შეარცხვინა და დაამარხცა ფილოსოფოსები. რადგანაც ფილოსოფოსებითვის ჭეშმარიტად სამარცხვინოა, მათ დადუმებას უწიგნურები რომ შეძლებენ. და ჭეშმარიტად დიდია გამარჯვება ქრისტესი, რომელიც სულელების მიერ ამარცხებდა ბრძენთ.

მოციქულისა: ***და არარაობანი (1, 28).***

თარგმანი: ისინი არიან, ვისაც წიგნიერები და წარჩინებულები არარაობად მიიჩნევენ.

მოციქულისა: ***რომ ეს არსებულნი (1, 28).***

თარგმანი: „არსებულს“ იმათზე ამბობს, რომლებსაც საკუთარი თავი დიდ და დიდებულ ვინმედ მიუჩნევია, თავისი სიმდიდრისა და სწავლულობის გამოისობით.

მოციქულისა: ***გააცამტვეროს, რათა არც ერთი ხორცშესხმული არსება არ იქადოდეს (დიდად არ წარმოაჩენდეს თავს) ღვთის წინაშე (1, 28-29).***

თარგმანი: რას ნიშნავს ეს „გააცამტვეროს“? ამით ამბობს: ეს ყოველივე იმისთვის მოიმოქმედა ღმერთმა, იმისთვის შეარცხვინა უწიგნური, სუსტი და მდაბიო ადამიანების საშუალებით მდიდრები და ძლიერები, სწავლულები და წარჩინებულები, რომ გააცამტვეროს მათი ამპარტავნობა, ქედმაღლობა და დიდებისმოყვარეობა. და ვინც კი თელიდა, რომ რაღაცას წარმოვადგენო, ეს ყველაფერი სწორედ მათ მიმართ თქვა, მათზე, ვინც კი კორინთოში ფილოსოფოსი და მდიდარი იყო, რათა თავადაც მიეტოვებინათ ქედმაღლობა და არც ხალხი გაჰყოლოდა იმ ადამიანებს, ბოროტებას რომ ასწავლიდნენ.

მოციქულისა: ***მისით ხართ ქრისტე იესოსგან (1, 30).***

თარგმანი: მისით ხართო, ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთმა, რომელმაც წარმავლობა და სიბოროტე სრულად განაქარვა, გვიხსნა ყოველგვარი ამპარტავნებისა და ბოროტებისაგან და თავის შვილებად გვაქცია იესო ქრისტეს საშუალებით, რომელიც მოგვეცა ღვთისგან, როგორც სიბრძნე, სიმართლე, სიწმიდე და გადარჩენა (1 კორ. 1, 30); ეს ის არის, ვინც ბრძნად, წმინდად და

მართლად გვაქცია და ამ ბოროტებას გადაგვარჩინა. რადგანაც ვინც კი გამოარჩია მან (ანუ ისინი, ვინც თვითონ გახდნენ მისი მიმდევრები), ყველა ბრძნად, მართლად და წმიდად გახადა.

მოციქულისა: ***რომელიც იქცა ჩვენთვის ღვთისმიერ სიბრძნედ (1, 30).***

თარგმანი: არ უთქვამს, „ვინც ჩვენ განგვაბრძნოო“, არამედ იმისთვის, რომ ღვთის მადლის სიდიდე და აღმატებულობა წარმოეჩინა, ასე თქვა: „იქცა ჩვენთვის სიბრძნედ“. ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარი თავი სრულიად შემოგვწირა და ჩვენ სიბრძნედ მოგვეცა; რადგანაც სრულად დაემკვიდრა ჩვენ შორის, და სიბრძნე შორიდან კი არ გვასწავლა, არამედ თავად მოვიდა ჩვენთან და იქცა ჩვენთვის სიბრძნედ. საკუთარი სიბრძნით ქედს ნუ ავიმაღლებთ, რადგან რაც სიბრძნე გვაქვს, ჩვენი კი არ არის, არამედ ქრისტეა ჩვენთვის სიბრძნე, სიმართლე და სიწმინდე, ჩვენი არაფერი გაგვაჩნია.

მოციქულისა: ***ღვთისაგან (1, 30).***

თარგმანი: რაკიღა ძის დიდებულების შესახებ თქვა, რომ ის არის სიბრძნე, სიმართლე, სიწმინდე და გადარჩენა, ამიტომ დაურთავს, რომ ეს არის „ღვთისაგან,“ რათა არ ეგონოთ, რომ იგი უშობელია და უმიზეზო, და ამით ბოროტებას არ ეზიარონ.

მოციქულისა: ***სიმართლედ, განწმენდად და გამოსყიდვად (1, 30).***

თარგმანი: ნახე, როგორ თანდათანობით ჩამოთვლის მის ქველმოქმედებას. რადგანაც თავდაპირველად სიბრძნედ იქმნა ჩვენთვის, მტკიცედ და სწორად შეგვაცნობინა ღმერთი და მცდარ შეხედულებებს გადაგვარჩინა; შემდეგ გვექმნა ის სიმართლედ; ანუ აქამდე დასჯილები და ცოდვილები გაგვამართლა, როდესაც ჩვენი ცოდვები თავად ზღო. სიწმინდედ გვექმნა ჩვენ, რადგანაც აურაცხელი შეცოდებით შებილწულები და დასვრილები გაგვწმინდა. ხოლო გადარჩენად გვექმნა, როდესაც ჩუენთვის მსხვერპლად შეეწირა; გამოგვიხსნა, როდესაც ცოდვის მონობისაგან გადაგვარჩინა; გაგვათავისუფლა, როდესაც თავი დასდო ჩვენთვის — მთელი სამყაროს განსაწმენდად; ასე მოაფინა მთელ ქვეყნიერებაზე სულიწმინდა, მართლად და წმინდად გვაქცია და

ყოველგვარი ბოროტებისაგან გვიხსნა.

მოციქულისა: ***რადგანაც დაწერილია: „ვინც იქადის, უფლით იქადოდეს“ (იერ. 9, 24) (1, 31).***

თარგმანი: ამბობს: ეს ყველაფერი იმისთვის მოხდა, რომ ვინმემ თავისი თავი დიდ რამედ არ მიიჩნიოს, არც საკუთარი თავით იკვეხნიდეს, არამედ მხოლოდ ღვთის იმედი ჰქონდესო. რადგანაც ზოგიერთი კორინთელი ქედმაღლობდა, სწორედ ამის გამო ამბობს: ჰოი, ადამიანებო, ეს ყველაფერი იმისთვის მოიმოქმედა ქრისტემ, რომ აღარ ვქედმაღლობდეთ, გამუდმებით გვახსოვდეს, რაც გააკეთა ქრისტემ ჩვენთვის და სიმდაბლით მისდამი მადლიერებას გამოვხატავდეთ.

მოციქულისა: ***ასე რომ, როცა მოვედი, ძმებო, მაღალფარდოვანი სიტყვისა და სიბრძნის საუწყებლად არ მოვსულვარ თქვენთან (2, 1).***

თარგმანი: რადგანაც თქვა, რომ ამქვეყნიური სიბრძნე სიგიჟედ იქცა და სულელად მიჩნეულები გამოჩნდნენო, ამიტომ ამბობს ამასაც, რომ თავად მე — ქრისტიანობის მქადაგებელი — მიწიერი ფილოსოფიითა და ადამიანური სიბრძნით შეიარაღებული კი არ მოვსულვარ თქვენთან, არამედ საღვთო სიბრძნითო. ამიტომ უნდა გაიგოთ, რომ ხორციელი სიბრძნე არას გარგებთ, ასე რომ არ იყოს, თქვენთვის საქადაგებლად ხომ არ მოვიდოდიო?! ნურავინ იტყვის, რომც მოენდომებინა ხორციელი ფილოსოფოსობა, შეძლებდა კი ამასო? უნდა შეიგნონ, რომ რომც არ შესძლებოდა, განა ქრისტე ვერ იზამდა ფილოსოფოსად ექცია იგი, თუკი მოისურვებდა და თუკი ეს საჭირო იქნებოდა?

მოციქულისა: ***ღვთის დამოწმება (2, 1).***

თარგმანი: რადგანაც ქრისტეს სიკვდილსა და ჯვარცმას ქადაგებდა, ამიტომაც ამას „ღვთის დამოწმება“ უწოდა. როგორც სხვა ადგილას ამბობს ქრისტეზე: რომელიც პონტოელი პილატეს წინაშე ეწამაო (1 ტიმ. 6, 13).

მოციქულისა: ***რადგანაც გადავწყვიტე არაფერი მცოდნოდა თქვენს შორის, გარდა იესო ქრისტესი და ისიც ჯვარცმულისა (2, 2).***

თარგმანი: ეს იმას ნიშნავს, რომ არ ვისურვე ავი და

ტყუილუბრალო სიტყვების მოსმენა. როგორც წესი, წარმართები საკუთარი ნათქვამის უგუნურებას სიტყვის სიმრავლითა და სირთულით ფარავენ და ხმაშეწყობილობით ცდილობენ მის შელამაზებას. მე კი ამისთანა რამის სწავლება არ მინდა თქვენთვის, არამედ იესო ქრისტეს შესახებ ვქადაგებ ადვილად გასაგონი სიტყვებით — და თანაც ჯვარცმულის შესახებ! მე სწორედ ამგვარი საქმით დავადუმე ბრძენთა ენები. ხოლო ამ ყველაფრით მოციქული ცდილობს, შენ მიხვდე, რომ ხორციელი სიბრძნე გამოუსადეგარია და რომ კორინთელ ფილოსოფოსთა გონება დაამდაბლოს.

მათეს სახარება
წმინდა იოანე ოქროპირის განმარტება*

სახარება: და როდესაც გათენდა, ბჭობა გამართა ყველა მღვდელმთავარმა და ერის უხუცესმა იესოს წინააღმდეგ, რათა მოეკლათ იგი. და შეკრეს იგი, წაიყვანეს და გადასცეს პონტოელ პილატეს, მმართველს (27, 1-2).

განმარტება: მღვდელმთავრებმა და ხუცესებმა მოიფიქრეს, გადაწყვიტეს და დაადგინეს, რომ იესო მოეკლათ. ვაი, მათ სულებს! მაგრამ არ უნდოდათ თავიანთი განზრახვის შესრულება პასექის დღესასწაულის გამო, ამიტომაც მიიყვანეს და გადასცეს მთავარს. შენ კი, ქრისტესმოყვარეო, ჩაუფიქრდი, რატომ დაისაჯა იესო ძველი აღთქმის დღესასწაულზე. ეს იმიტომ, რომ თავიდანვე იყო ღვთისაგან განჩინებული, სიმბოლო და მინიშნება სრული ჭეშმარიტებით უნდა შეცვლილიყო.

სახარება: მაშინ, როდესაც ნახა იუდამ, მისმა გამცემმა, რომ მსჯავრი დასდეს, ინანა და დაუბრუნა ოცდაათი ვერცხლი მღვდელმთავრებსა და უხუცესებს და თქვა: შევცოდე, რადგან გავეცი მართალი სისხლი, ხოლო მათ უთხრეს: ჩვენ რა? შენ ნახე! და დაყარა ვერცხლი ტაძარში, გაშორდა და წავიდა და თავი ჩამოიხრჩო (27, 3-5).

ეს საქმე იუდასაც ამხელს და ებრაელებსაც. იუდას იმიტომ, რომ უდროოდ და უწესოდ მოინანია, ხოლო ებრაელებს იმის გამო, რომ შეეძლოთ თავიანთი ცოდვა დაენახათ, სინანული გაეჩენოდათ და იესო გაეთავისუფლებინათ, თუმცა არ ინებეს, იუდამაც მაშინ მოინანია, როდესაც ცოდვა ჩაიდინა.

ასეთია ეშმაკის ხრიკები, მის მიერ მოხიბლულებს გონზე მოსვლის საშუალებას არ აძლევს ცოდვის ჩადენისას, ხოლო ბოროტების ჩადენის შემდეგ კი სინდისის ქენჯნით ტანჯავს.

რამდენჯერ შეაგონა ქრისტემ უბადრუკი იუდა, მაგრამ მისი სასტიკი გული ვერაფრით მოლბა და მოიდრიკა. მაშინღა იგრძნო სინანული, როდესაც თავისი ბოროტი განზრახვა აღასრულა,

* ძველქართულად ტექსტი იხ. გვ. 426.

თუმცა ესეც ჯეროვნად ვერ გამოიყენა. საკუთარ დანაშაულს რომ მიხვდა, აღებული ვერცხლი დააბნია და იუდეველებს არ მოერიდა; სწორად მოიქცა, მაგრამ თავის მოკვლით ისევ ეშმაკის საქმე აღასრულა, რომელმაც ცოდვის მონანიების გასაქანი არ მისცა და სრულიად წარწყმიდა იგი.

ახლა იხილეთ, როგორ ცხადად ბრწყინავს ჭეშმარიტება, მისი მოწინააღმდეგეები კი ისჯებიან. იუდას თვითმკვლელობის შემდეგ რაღა უნდა თქვან ებრაელებმა, რადგან უფლის გამცემმა თავისი პირით აღიარა დანაშაული, როდესაც ვეღარ გაუძლო გონების მხილებას, სინდისის ქენჯნას. ასევე დაემართათ ებრაელებსაც, რადგან იცოდნენ, რომ ურჯულოებას სჩადიოდნენ. როდესაც იუდამ თქვა: „შევცოდე, რადგან მართალი სისხლი მოგეცითო“, სხვა ვერაფერი მიუგეს, მხოლოდ ესღა უთხრეს: „ჩვენ რა, შენ იცი, შენზე იყოს შენი დანაშაულიო“. ასე თქვეს, რადგან იცოდნენ, რომ ბოროტებას სჩადიოდნენ, მაგრამ ვიდრე ბოლომდე არ აღასრულეს ცოდვა, თვალი ვერ აახილეს. ხოლო როცა ჯვარზე გააკრეს ქრისტე, მერეღა იგრძნეს ტანჯვა, ამიტომაც სთხოვეს პილატეს: „ნუ დაწერ, მეფე იუდეველთა“ (იოანე 19, 21). და რატომ ეშინოდათ იმ უბადრუკებს ჯვარზე გაკრული მიცვალებულის.

თავიანთი ბოროტი საწადლის შესრულების შემდეგ ისევ შფოთავდნენ, ვაითუ, მოწაფეები მოსულიყვნენ, ქრისტეს გვამი მოეპარათ და ხალხისთვის ეთქვათ, მკვდრეთით აღდგაო, ამიტომაც სთხოვეს პილატეს საფლავის დაცვა. და როდის მომხდარა ამგვარი რამ, უგუნურებო და სულელებო, ვის მოუპარავს მკვდარი და მერე უთქვამს, აღდგაო?

ვიდრე ცოცხალი იყო, მიატოვეს და გაიქცნენ მოწაფეები, პეტრე მოციქულმა სამჯერ უარყო იგი და ახლა ვინ გამოჩნდებოდა ისეთი, რომ მკვდარი მოეპარა და განეცხადებინა — აღდგაო?

ისმინეთ ვერცხლისმოყვარეებო, რა დაემართა იუდას, რომელმაც საშინელი ცოდვა ჩაიდინა, ვერცხლი დააბნია და თვითმკვლელობით სული დაიღუპა. ეს ქვეყანაც დაკარგა და მარადიულსაც ვერ ეზიარა.

ებრაელები კი როგორ ეუბნებიან იუდას: „ჩვენ რაო?“ ჯერ

კიდევ მათთან იყო ქრისტე და შეეძლოთ მისი გათავისუფლება, მაგრამ არ ინებეს და ყველანაირი დანაშაული იუდას აჰკიდეს, თუმცა თვითონ სწყუროდათ მისი სიკვდილი.

როდესაც პილატემ იუდეველებს უთხრა: „ვინ გინდათ, რომ გაგითავისუფლოთ თქვენ: ბარაბა თუ იესო, რომელსაც ჰქვია ქრისტე?“ (მათე 27, 17), ურჯულოებმა კაცისმკვლელი და ავაზაკი ბარაბა აირჩიეს, ხოლო მათი კეთილისმყოფელი იესო კი სიკვდილით დასაჯეს.

იუდამ ვერცხლი ტაძარში დააბნია, თვითონ კი წავიდა და თავი ჩამოიხრჩო.

სახარება: ხოლო მღვდელმთავრებმა აიღეს ვერცხლი და თქვეს: არ არის მართებული ამის დადება საგანძურში, რადგან სისხლის საფასურია. და ბჭობა გამართეს და იყიდეს იმით მექოთნის მიწა უცხოთა დასამარხად. ამიტომ ეწოდა იმ მიწას სისხლის მიწა დღევანდელ დღემდე. მაშინ აღსრულდა თქმული იერემია წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს: და აიღეს ოცდაათი ვერცხლი, ფასი შეფასებულისა, რომელიც შეფასდა ისრაელის ძეების მიერ და მისცეს იგი მექოთნის მიწაში, როგორც მიბრძანა მე უფალმა (27, 6-10).

ხედავ, როგორ იტანჯებიან სინდისისაგან? იუდას მიერ დაბნეული ვერცხლი ტაძარში კი არ დადეს, არამედ მიწა იყიდეს საფლავისათვის, რათა ეს აკლდამა მათი ურჯულების მარადიული მოწმობა ყოფილიყო. ამ მიწის სახელი ხმამაღლა ღაღადებდა მათ მკვლელობასა და მოსისხლეობაზე.

ამ ყველაფერზე წინასწარმეტყველები გაცილებით ადრე ლაპარაკობდნენ. ხედავ, არა მხოლოდ მოციქულებმა, წინასწარმეტყველებმაც გულმოდგინედ აღწერეს ეს სამარცხვინოდ ჩასათვლელი ამბები.

სახარება: ხოლო იესო დადგა მმართველის წინაშე და ჰკითხა მას მმართველმა და უთხრა: შენ ხარ მეფე იუდეველთა? ხოლო იესომ უთხრა: შენ ამბობ. და როდესაც ბრალი დასდეს მას მღვდელთმთავრებმა და უხუცესებმა, არაფერი მიუგო (27, 11-12).

მღვდელთმთავრებმა და უხუცესებმა იცოდნენ, რომ პი-

ლატეს რჯულის საქმეები არ აინტერესებდა, რადგან თვითონ წარმართი იყო. ამიტომ ქრისტე მეფობის მოსურნეობაში დააბეზღეს მასთან, რათა სიკვდილით დაესაჯა. ვიდრე ებრაელთა შორის იყო უფალი, საკუთარი თავის ღვთის ძედ გამოცხადების გამო შეიპყრეს, ახლა კი დააბრალეს, მეფობა სწადიაო.

ამიტომაც ჰკითხა პილატემ: „შენ ხარ ებრაელების მეფე?“ ხოლო იესომ მიუგო: „შენ ამბობ“. აღიარა, რომ იგია მეფე, თუმცა არა ამაქვეყნის, არამედ ზეცისა, როგორც ამის შესახებ იოანე მახარებელი უფრო ვრცლად მოგვითხრობს: „მიუგო იესომ პილატეს: ჩემი მეფობა არ არის ამ სოფლისაგან. ამ სოფლისაგან რომ ყოფილიყო ჩემი მეფობა, ჩემი მსახურები იბრძოლებდნენ, რომ არ გადაეცათ ჩემი თავი იუდეველებისათვის. ხოლო ახლა ჩემი მეფობა არ არის ამ სოფლისა“ (იოანე 18, 36).

თავისი მეუფების არაამქვეყნიურობა რომ ცხადეყო, მაცხოვარმა ხარკიც გადაიხადა და ბრძანა კიდეც: კეისარს მიეცით კეისრისაო და როდესაც მისი გამეფება მოინდომეს, განეშორა მათ.

ხოლო ახლა რატომ დადუმდა უფალი, როდესაც უამრავ ცილს სწამებდნენ. იმიტომ, რომ მის ძლიერებაში, სიკეთესა და ჭეშმარიტებაში დასარწმუნებლად მათ ძალიან ბევრი რამ იცოდნენ, თუმცა ძალით იბრმავებდნენ თვალებს. ამიტომაც არაფერი უპასუხა მაცხოვარმა მათ ცილისწამებას. იუდეველებს არ სურდათ ჭეშმარიტების მოსმენა.

ამაზე წინასწარმეტყველებდა ესაია: „კრავივით დასაკლავად მიიყვანეს და როგორც ცხვარი დუმს მპარსველთა წინაშე, მასაც არ დაუძრავს ბაგე. საპყრობილიდან და სამსჯავროდან იქნა წაყვანილი და ვინ იფიქრებდა მის მოდგმაზე“ (ესაია 53, 7-8).

*სახარება: **მაშინ უთხრა მას პილატემ: „არ გესმის, რამდენს მოწმობენ შენ წინააღმდეგ?“ და არ უპასუხა მან არც ერთ სიტყვაზე, ისე რომ, ძლიერ უკვირდა მმართველს (27, 13-14).***

განმარტება: ნამდვილად გასაოცარი იყო მაცხოვრის სულგრძელობა და სიკეთე. ბევრი რამის თქმა შეეძლო ჭეშმარიტების წარმოსაჩენად და იუდეველთა შურის სამხილებე-

ლად, თუმცა იგი დუმდა, რადგან ხედავდა მათ სრულ სიბრმავეს. ვერანაირი დანაშაული ვერ უპოვეს იესოს, ნახეს, რომ სასოწარკვეთილმა იუდამ თავი ჩამოიხრჩო, პილატემ ხელები დაიბანა და თქვა: „მე უდანაშაულო ვარ ამ მართლის სისხლისაგან“ (მათე 27, 24), მაგრამ არ ინებეს თვალის ახელა.

სახარება: ხოლო დღესასწაულზე ჩვეულება ჰქონდა მმართველს, ათავისუფლებდა ხალხისთვის ერთ პატიმარს, რომელსაც ისურვებდნენ და ჰყავდათ მაშინ ერთი ცნობილი პატიმარი, რომელსაც ერქვა ბარაბა და როდესაც შეკრებილები იყვნენ ისინი, უთხრა მათ პილატემ: ვინ გინდათ, რომ გაგითავისუფლოთ თქვენ: ბარაბა თუ იესო, რომელსაც ჰქვია ქრისტე? რადგან იცოდა, რომ შურის გამო გადასცეს იგი (27, 15-18).

რადგან პილატემ ნახა, რომ ქრისტე არაფერს პასუხობდა და არც თავს იმართლებდა, სხვა გზას მიმართა, რომ გაეთავისუფლებინა იგი, ამიტომაც მიმართა ებრაელებს: თუკი მისი, როგორც უდანაშაულოს გათავისუფლება არ გინდათ, მაშინ დღესასწაულის გამო გაუშვით იგი. წესით, პატიმრის გაშვება ხალხს უნდა ეთხოვა და მმართველს თანხმობა მიეცა, ახლა კი ყველაფერი პირიქით მოხდა. მმართველი ხალხს უდანაშაულო იესოს შეწყალებას სთხოვდა. ისინი კი უფრო მეტად მძვინვარებდნენ, ყვიროდნენ და იესოს დასჯას ითხოვდნენ.

სახარება: და როდესაც დაჯდა იგი მსაჯულის ტახტზე, გაგზავნა მასთან მისმა ცოლმა და უთხრა: „ნურაფერი იქნება შენსა და მაგ მართალს შორის, რადგან ჩვენებით ბევრი ვიტანჯე დღეს მის გამო (27, 19).

განმარტება: ხედავ, ისე მოხდა, რომ აშკარა ჭეშმარიტებასთან ერთად ხილვებიც შეაგონებდა იესოს დამსჯელებს. ხოლო რატომ იხილა ჩვენება პილატეს ცოლმა და არა თვითონ მმართველმა? ჯერ ერთი, იგი უფრო ღირსი აღმოჩნდა ამისი და მეორეც, პილატეს რომც ეხილა, დამალავდა და არაფერს იტყოდა ამის შესახებ. ამიტომაც მისმა ცოლმა იხილა, რათა ამის შესახებ ყველას შეეტყო. უბრალო კი არ იყო ეს ჩვენება, არამედ ძალიან მტანჯველი ქალისათვის, რომელსაც როგორმე ქმარი უნდა შეეშინებინა, რომ იესო გაეთავისუფლებინა, თუმცა პი-

ლატეც სრულიად უგუნური და სასტიკი აღმოჩნდა.

თუკი მმართველი იესოს იმის გამო სჯიდა, რომ იგი თავს მეფედ აცხადებდა, მაშინ ხელთ უნდა ჰქონოდა მაცხოვრის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების დამადასტურებელი ნიშნები. უნდა გამოეკვლია, აგროვებდა თუ არა ჯარს, ძვირფასეულობას, იარაღს თუ ჭედდა ან მსგავს რამეს თუ აკეთებდა. თუმცა პილატეს არაფერი გამოუძიებია, არამედ უგუნურად დაჰყვა ხალხის ბოროტ ნებას.

ამიტომაც იგი იესომ უდანაშაულოდ არ მოიხსენია და უთხრა: „ჩემს გამცემს შენზე უფრო დიდი ცოდვა აქვს“ (იოანე 19, 11) და წარმოაჩინა, მიუხედავად იმისა, რომ მის გამცემებს, გინდა იუდას და გინდა მღვდელთმთავრებს, უფრო დიდი ცოდვა აწევთ კისერზე, პილატე მაინც არ არის უდანაშაულო, რადგან იმისი შეეშინდა, რისიც არ უნდა შეშინებოდა, უგუნურება და გულგრილობა იყო მისი ცოდვა. ხოლო მღვდელთმთავრები კი ბოროტებით, შურითა და სიძულვილით იყვნენ ავსებულები, ამიტომაც დაარწმუნეს ხალხი, ბარაბა გაეთავისუფლებინათ.

ხედავთ, რამდენი რამ გააკეთა ქრისტემ მათი სასტიკი გულების მოსალბობად და რამდენად უგრძნობელნი აღმოჩნდნენ ისინი?

ჰოი, ურჯულოებო, ეშმაკის კერძნო, ვისი გათავისუფლება ჯობდა, აშკარა ავაზაკისა და კაცისმკვლელი ბარაბასი თუ უდანაშაულო იესოსი? თქვენ კი, კაცისმკვლელებო, არჩიეთ და ერსაც იგივე შთააგონეთ, რომ ისინიც საუკუნოდ დასჯილიყვნენ.

სახარება: მიუგო მმართველმა და უთხრა მათ, ვინ გინდათ ამ ორთაგან, რომ გაგითავისუფლოთ თქვენ? ხოლო მათ უთხრეს: ბარაბა. უთხრა მათ პილატემ: რა ვუყო იესოს, რომელსაც ჰქვია ქრისტე? უთხრა მას ყველამ: ჯვარს ეცვას! ხოლო მმართველმა უთხრა მათ: რა ბოროტება ჩაუდენია? ხოლო ისინი უფრო მეტად ყვიროდნენ და ამბობდნენ: ჯვარს ეცვას! როდესაც ნახა პილატემ, რომ ვერაფერს შველოდა, არამედ უფრო მატულობდა შფოთი, აიღო წყალი და დაიბანა ხელები ხალხის წინაშე და თქვა: უდანაშაულო ვარ ამ მართლის სისხლისაგან, თქვენ ნახეთ და მიუგო მთელმა ერმა და უთხრა: სისხლი მაგისი ჩვენზე და ჩვენს შვილებზე (27, 21-25).

პილატეს ეგონა, რომ ხალხს შერცხვებოდა ეთქვა იესოზე „ჯვარს აცვიო“, ამიტომაც სხვა გზა რომ ვერარ ნახა, კიდევ ერთხელ მიმართა მათ, რა ვუყო იესოს, რომელსაც ჰქვია ქრისტე? ხალხმა კი მიუგო: ჯვარს აცვიო და უფრო მეტად დამძიმდა მათი ცოდვა, რადგან თვითონ გამოუტანეს იესოს სიკვდილის განაჩენი. პილატემ იხილა მათი მოუდრეკლობა და სისასტიკე, ამიტომ დაიბანა ხელები და თქვა, მე უდანაშაულო ვარო, თუმცა ვერაფერში დასდო ბრალი იესოს. ჰოი, უგუნურო კაცო, თუკი დარწმუნდი მის სიმართლეში, რატომ გაიმეტე იგი სასიკვდილოდ, თანაც ისე, რომ შენი თავი უდანაშაულოდ გამოაცხადე? რატომ არ იხსენი იგი გამძვინვარებული ბრბოსაგან, როგორც ათასისთავმა პავლე მოციქული? მაშინაც დიდი არეულობა იყო ებრაელთა შორის, თუმცა ათასისთავი მხნედ დაუპირისპირდა მათ და პავლე მოციქული გადაარჩინა. პილატემ კი უდანაშაულო მაცხოვარი ხალხს გადასცა დასასჯელად.

ვერაფრით ვერ მოაგო გონს უფალმა გაბოროტებული იუდეველები, რომლებმაც დანაშაულის მთელი სიმძიმე თავის თავზე აიღეს და თქვეს: „სისხლი მაგისი ჩვენზე“. ასეა უგუნური ადამიანის საქმე და ბოროტის ხრიკები. როდესაც ეშმაკი დაეუფლება ვინმეს, სრულიად დააბრმავებს მას. გაცოფებულმა ებრაელებმა მარტო საკუთარ თავს კი არა, მთელ თავიანთ მოდგმას აჰკიდეს იესოს მკვლელობის ცოდვა: „სისხლი მაგისი ჩვენზე და ჩვენს შვილებზე“ — გაჰყვიროდნენ ისინი. მათმა შვილებმა რაღა დააშავეს? მაგრამ უზომოა უფლის მოწყალება და კაცთმოყვარეობა, რომელმაც არა მხოლოდ მათ მოდგმას, არამედ მათაც შეუნდო ეს ცოდვა, როდესაც მიხვდნენ და მოინანიეს. პავლეც მდევნელი იყო ქრისტიანების, მაგრამ ირწმუნა უფალი და ასევე სხვა ებრაელებმაც, რომელთა შესახებაც დაწერილია: „უთხრა იაკობმა პავლეს: ხედავ, ძმაო, რამდენნი არიან მორწმუნეები ებრაელებს შორის?“

*სახარება: **მაშინ გაუთავისუფლა მათ ბარაბა, ხოლო იესოს შოლტით სცემა და გადასცა, რათა ჯვარცმულიყო (27, 26).***

განმარტება: თუკი ჯვარცმისათვის გადასცა პილატემ იესო, მაშინ შოლტით რატომღა სცემა? იმიტომ, რომ ებრაელები მო-

ემადლიერებინა. მმართველი ქვებსაც რომ მოალბობდა, ისეთმა სასწაულებმაც ვერ მოაქცია და უგულოდ გაიმეტა ქრისტე მოსაკლავად. მაცხოვარმა გეთსამანიის ბაღში ლოცვითა და მწუხარებით თავისი ადამიანური ბუნება აჩვენა, ხოლო ცილისწამებაზე მდუმარებით კი ღვთაებრივი, თუმცა ამითაც ვერაფერი შეიგნეს უგუნურებმა, რადგან რაიმე ვნებით დამთვრალი სულის გამოფხიზლება და გაღვიძება ძალიან ძნელია.

სახარება: მაშინ მმართველის ჯარისკაცებმა წაიყვანეს იესო პრეტორიუმში და შეკრიბეს მის წინააღმდეგ მთელი მხედრობა, და გახადეს მას და მეწამული ქლამიდით შემოსეს იგი და დაწნეს გვირგვინი ეკლისაგან და დაადგეს თავზე და ლერწამი მისცეს მარჯვენა ხელში და მუხლი მოიყარეს მის წინაშე, დასცინოდნენ და ეუბნებოდნენ: გიხაროდეს, მეფეო იუდეველთა! და აფურთხებდნენ მას და აიღეს ლერწამი და ურტყამდნენ მას თავში და როდესაც შეურაცხყვეს იგი, გახადეს მას ქლამინდი და შემოსეს მისივე სამოსი და წაიყვანეს იგი, რათა ჯვარს ეცვათ. ხოლო როცა გამოვიდნენ, ნახეს კაცი კვირინელი, სახელად სიმონი; იგი აიძულეს, რომ აეღო მისი ჯვარი და მივიდნენ ადგილზე, რომელსაც ჰქვია გოლგოთა, რაც ნიშნავს თხემის ადგილს. მისცეს მას სასმელად ძმარი, ნაღვლით შეზავებული, და როცა იგემა, არ ისურვა დალევა და ჯვარს აცვეს იგი და გაიყვეს მისი სამოსი და იყარეს წილი, რათა აღსრულებულიყო თქმული წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს: გაიყვეს სამოსი ჩემი ერთმანეთში და ჩემს კვართზე იყარეს წილი (ფსალმ. 21, 19). და ისხდნენ იქ და დარაჯობდნენ (27, 27-36).

განმარტება: „ვის ძალუძს გამოთქვას უფლის სიძლიერე, სასმენელი ქმნას მისი ქება-დიდება?“ (ფსალმ. 105, 2). განა ვინმეს შეუძლია უფლის მიუწვდომელი სიკეთის სრულიად გადმოცემა? ვინმეს ძალუძს კაცთა მიმართ ღვთის უდიდეს სიყვარულს ჩასწვდეს და გაიაზროს? გამოუთქმელი კაცთმოყვარეობის გამო დაითმინა უფალმა ჩვენი გამოხსნისათვის ტანჯვა და შეურაცხყოფა და ეშმაკის მონობისაგან გაგვათავისუფლა, როგორც დღეს ეს წავიკითხეთ წმინდა სახარებაში. ამის მოსმენამ მე, ძმებო, გამაკვირვა, განვცვიფრდი. მოწყალე ღმერთს თაყვანი

ვეცი და მადლობა შევწირე, რადგან სხვა ვერაფრის თქმა ვერ შევძელი.

„ჰოი, საკვირველო რამ! ამ საყოველთაო შეთქმულებით ეშმაკი ხარობდა. ვთქვათ, ებრაელები შურისაგან ბორგავდნენ და ამიტომაც სრულიად დაივიწყეს ღმერთი. მთავარის მსახურები და ჯარისკაცები, ბერძნები და რომაელები რიღასთვის სჩადიოდნენ ამ ბოროტებას? ცხადია, რომ ეშმაკი განაგებდა მათ და თავის ჭკუაზე ატრიალებდა.

ჯვარცმული უფლის ტანჯვა და შეურაცხყოფა გამძვინვარებულ ბრბოს სასაცილოდ და გასართობად მიაჩნდა. გლოვა და ტირილი მართებდათ, ისინი კი ებრაელების მომადლიერებისთვის უფრო მეტად დასცინოდნენ და შეურაცხყოფდნენ უფალს. ჰოი, შესაძრწუნებელი საქმე! როგორ ვილაპარაკო ან როგორ დავდუმდე ამაზე, რადგან ორივე ძნელად მიმაჩნია. ჰოი, საკვირველი და გამოუთქმელი რამ — მისი წმინდა სხეულის თითოეული ნაწილი ჩვენთვის იტანჯა.

თავზე დაწნული ეკლის გვირგვინი დაადგეს და ლერწმით დაუწყეს ცემა უღვთოებმა. მისი სახე ნერწყვით შეურაცხყვეს. ღაწვებში ურტყამდნენ. გააშიშვლეს და დასაცინად მეწამული სამეფო ქლამიდით შემოსეს. დაცინვით თაყვანისცეს. მისი ხელები ლერწმის დაჭერით და შემდეგ ჯვარზე მილურსმვით დაიტანჯა, პირი — ნაღვლისა და ძმრის მიწოდებით. ეს ყველაფერი გვესმის, ძმებო, და თუკი ქრისტემ მოთმინებით აიტანა ყველაფერი, ჩვენ რაღა გვეთქმის შეურაცხყოფასა და გინებაზე?

ამ ყველაფრის გამოთქმა ენას არ შეუძლია. არ დარჩენილა ტანჯვა და შეურაცხყოფა, რაც უფალს არ მიაყენეს.

ჰოი, უზომოდ ბოროტი ებრაელები. წინასწარმეტყველები საკუთარი ხელით დახოცეს, ხოლო უფლის მოკვლისათვის მთავრის განაჩენი გამოიყენეს. თუმცა ყველაფერი მათ კისერზე იყო. ისინი იყვნენ დამბეზღებლებიც და მკვლელებიც. მათ თქვეს: „სისხლი მაგისი ჩვენზე და ჩვენს შვილებზე“ (მათე 27, 25), ისინი დასცინოდნენ და აგინებდნენ მაცხოვარს. მათ გადაიბირეს მთავარი და ჯარისკაცები. მათ დაიჭირეს, შეკრეს და გააკრეს ჯვარზე, ისინი აფურთხებდნენ, ისინი სცემდნენ. პილატეს კი არ

უბრძანებია ეს ყველაფერი, არამედ თვითონ საკუთარი, ნებით სჩადიოდნენ ამას, ისინი იყვნენ მტარვალები და მაწყევარები.

ხოლო ეკლესიაში შეკრებილები ყოველივე ამას ვკითხულობთ ქრისტეს ვნების ამ წმინდა ღამეს. სულიწმინდის მადლმა ამ დღესასწაულზე განაჩინა უფლის ტანჯვისა და შეურაცხყოფის მოსმენა, რათა წარმართებმა არ გვისაყვედურონ, რომ მხოლოდ იესოს სასწაულებსა და საკვირველ ამბებს ვქადაგებთ, ხოლო რაც მის ტანჯვასა და ყვედრებას შეეხება, ვმალავთ. ამ დიდებულ დღესასწაულზე ბრწყინვალე და მაღალი ხმით ვკითხულობთ ქრისტეს ჯვარცმასა და ვნებას და ყველას გვწამს იგი ჭეშმარიტ ღმერთად, ყველას დამბადებელად. უფრო მეტად ვეთაყვანებით მას, რომელმაც ჩვენი ცხონებისათვის ასე დაიმდაბლა თავი და ამგვარი ტანჯვა-წამება მოითმინა, რათა ჩვენთვის ჭეშმარიტი სათნოება ეჩვენებინა.

ამიერიდან ხშირად უნდა ვკითხულობდეთ ქრისტეს ვნებებს, რადგან დიდია მისი სულიერი სარგებელი. ქვაზე უგრძნობი კაციც კი ლმობიერი გახდება, როცა უფლის ტანჯვა-წამებას მოისმენს.

სახარება: და მივიდნენ ადგილზე, რომელსაც ჰქვია გოლგოთა, რაც ნიშნავს თხემის ადგილს. მისცეს მას სასმელად ძმარი, ნაღვლით შეზავებული და როცა იგემა, არ ისურვა დალევა. და ჯვარს აცვეს იგი და გაიყვეს მისი სამოსი და იყარეს წილი, რათა აღსრულებულიყო თქმული წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს: გაიყვეს სამოსი ჩემი ერთმანეთში და ჩემს კვართზე იყარეს წილი. და ისხდნენ და სდარაჯობდნენ მას იქ (27, 33-37).

ისხდნენ იქ და დარაჯობდნენ, როდის მოკვდებოდა. მისი სამოსი ისე გაიყვეს ერთმანეთში, როგორც ვინმე უპატრონოსი და საცოდავისა. ამის ჩამდენებს კი არაფერი დამართიათ, რადგან უზომოა ქრისტეს სულგრძელობა. მცველებს ავაზაკებისთვის მსგავსი არაფერი გაუკეთებიათ, მხოლოდ ქრისტეს მოექცნენ ასე უსულგულოდ. ორ ბოროტმოქმედს შორის გააკრეს ჯვარზე, რომ ისიც ავისმქმნელად ჩათვლილიყო. მიაწოდეს მას ნაღვლით შეზავებული ძმარი და როცა იგემა, დალევა არ ისურვა.

სხვა მახარებელი ამბობს, რომ „როცა მიიღო, თქვა: აღსრულდა დაწერილი“ (იოანე 19, 30), რომელიც ამბობს: „მომცეს მე საჭმელად ნაღველი და მწყურვალს მასვეს მე ძმარი“ (ფსალმ. 68, 22). ორივე მახარებელმა ერთი და იგივე თქვა: „მიიღო“.

მახარებლის ნათქვამი სიტყვები — „რათა აღსრულებულიყო თქმული წინასწარმეტყველის მიერ“, რომელსაც მრავალგზის იმეორებს, ბევრს არასწორად ესმის. ნაწინასწარმეტყველები იყო: „გაიყვეს სამოსი ჩემი ერთმანეთში და ჩემს კვართზე იყარეს წილი“ (ფსალმ. 21, 19), აგრეთვე „მომცეს მე საჭმელად ნაღველი და მწყურვალს მასვეს მე ძმარი“ (ფსალმ. 68, 22).

ზოგიერთები უგუნურად ფიქრობენ, რომ ყოველივე ეს იმის გამო მოხდა, დიდი ხნით ადრე იყო ნაწინასწარმეტყველები და ებრაელები უდანაშაულონი არიანო, რადგან მათ მიერ მხოლოდ დაწერილი აღსრულდა. იოანე მახარებელი ამბობს: „ამდენი სასწაული აღასრულა მათ წინაშე და არ ირწმუნეს მისი, რათა აღსრულებულიყო ესაია წინასწარმეტყველის სიტყვა, რომელმაც თქვა: უფალო, ვინ ირწმუნა ჩვენგან მოსმენილი და მკლავი უფლისა ვის გამოეცხადა?“ (ეს. 53, 1).

იმიტომ ვერ შეძლეს ერწმუნათ, როგორც კვლავ ისაიამ თქვა, რომ „დაიბრმავეს მათ თვალები და გაიქვავეს მათ გულები, რათა არ იხილონ თვალით და არ გულისხმაყონ გულით და არ მოიქცნენ და არ განვკურნო ისინი“ (ეს. 6.10; იოან. 12, 37-40). ამის შესახებ ამბობენ ამაოდმეტყველნი, რომ თუ ებრაელებს იმიტომ არ შეეძლოთ ერწმუნათ, რომ ესაიას წინასწარმეტყველება აღსრულებულიყო, მაშინ ისინი უდანაშაულოები ყოფილან, რადგან ურწმუნოების მიზეზი მათში კი არა, წინასწარმეტყველებაში ყოფილაო. ამგვარი საუბარი ძალიან შორსაა ჭეშმარიტებისაგან. არც წინასწარმეტყველია მათი ურწმუნოების მიზეზი და არც ებრაელები არიან უდანაშაულონი. წინასწარმეტყველი წინასწარ ხედავდა მათ საქმეებს და თქვა, ხოლო მათ თავიანთი უკეთურებით დაადასტურეს ნაწინასწარმეტყველები. ებრაელები წინასწარმეტყველებს კი არ ემონებოდნენ, არამედ საკუთარ ბოროტ ნებას. წინასწარმეტყველება კი არ იყო მიზეზი მათი საქმეებისა, არამედ მათი ბოროტი ნება, რომლითაც გახდ-

ნენ მიზეზი ამ წინასწარმეტყველური სიტყვების თქმისა. წინასწარმეტყველთა წესია მომავალში მოსახდენ საქმეთა შეუცდომელი ხედვა.

ადამიანის მიერ ჩადენილი საქმის მიზეზი ყოველთვის მისი საკუთარი ნებაა. როგორც ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ ჩვენ წინ ჩადენილ საქმეებს, ასევე წინასწარმეტყველები მომავალში მოსახდენს ხედავენ შეუცდომელად და ამბობენ: ყველაფერი ზედმიწევნით იმიტომ კი არ შესრულდა, რომ წინასწარ ითქვა, არამედ რადგან უეჭველად მოხდებოდა, იმიტომაც ითქვა. წინასწარმეტყველებად იმიტომაც იწოდებიან, რომ უეჭველად ხედავენ მოსახდენს.

წინასწარმეტყველები წინასწარ არ განსაზღვრავენ მომავალში მოსახდენ მოვლენებს, არც ადამიანთა თავისუფალ ნებაზე მოქმედებენ იძულებით, არამედ ღვთის მიერ მიმადლებული ნიჭით გვაუწყებენ იმას, რაც მომავალში მოხდება. მათ რომც არ ეთქვათ, ებრაელები მაინც ჩაიდენდნენ ბოროტებას, ხოლო ებრაელებს რომ არ გამოევლინათ თავიანთი უკეთურება, წინასწარმეტყველები არც იტყოდნენ მის შესახებ.

იოანე მახარებლის სიტყვების გამო — „არ ირწმუნეს მისი, რათა აღსრულებულიყო ესაია წინასწარმეტყველის სიტყვა“ (იოანე 12, 37-38) — იმას კი ნუ იფიქრებ, რომ წინასწარმეტყველი იყო ებრაელთა ურწმუნოების მიზეზი, არამედ მათი უკეთურება იქცა წინასწარმეტყველების საბაბად.

მახარებლისავე სიტყვებს: „იმიტომ ვერ შეძლეს ერწმუნათ, რადგან კვლავ თქვა ესაიამ: დაუვსო მათ თვალი და გაუქვავა გული, რათა არ იხილონ თვალით, არ იგრძნონ გულით და არ მოიქცნენ, რომ განვკურნო ისინი “ (იოანე 12, 40) და ამას ისე ნუ გაიგებ, რომ ნაწინასწარმეტყველების გამო ვერ შეძლეს მათ ძე ღვთისას სარწმუნოებით მიღება, არამედ მახარებელი ხედავდა ებრაელთა უზომო ბოროტებას და ამიტომ თქვა — „ვერ შეძლეს“, რაც ნიშნავს იმას, რომ არ ინებეს ერწმუნათ. შეეძლოთ ერწმუნათ, თუ მოისურვებდნენ, წინასწარმეტყველს კი არ შეეძლო ტყუილის თქმა.

თუკი წინასწარმეტყველება გახდა ებრაელთა ურწმუნოების

მიზეზი, მაშინ მოციქულებმა და კიდევ მრავალმა სხვა ადამიანმა როგორ ირწმუნა? როგორც იაკობი ეუბნება პავლეს: „ხედავ, ძმაო, რამდენნი არიან ებრაელებს შორის მორწმუნენი?“ (საქმე 21, 10) რატომ ისინი არ დაიმონა წინასწარმეტყველის სიტყვებმა?

ხედავ, რომ ვინც ინება, ირწმუნა, სხვები კი საკუთარი ნებით დაბრმავდნენ.

მსგავსადვე მოხდა ქრისტეს ქალწულისაგან საკვირველი შობა. მახარებელი ამბობს: „ეს ყოველივე მოხდა, რათა აღსრულებულიყო ნათქვამი უფლისა წინასწარმეტყველის მიერ: „აჰა, ქალწული მუცლად იღებს და შობს ძეს“ (მათე 1, 22-23). იმიტომ კი არ მოხდა ეს დიდი სასწაული, რომ წინასწარმეტყველის სიტყვები აღსრულებულიყო, არამედ წინასწარმეტყველმა ღვთის მადლით იმიტომ თქვა, რომ მოსახდენი იყო ეს საქმე. ასევე სხვა წინასწარმეტყველების სიტყვებიც იმიტომ კი არ აღსრულდა, რომ მათ თქვეს, არამედ რაც ნამდვილად მოსახდენი იყო, იმას ამბობდნენ.

ასევე მაცხოვრის სამოსის გაყოფის შესახებაც იყო ნაწინასწარმეტყველები. მათე მახარებელი ამბობს: „და ჯვარს აცვეს იგი და გაიყვეს მისი სამოსი და იყარეს წილი, რათა აღსრულებულიყო თქმული წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს: „გაიყვეს სამოსი ჩემი ერთმანეთში და ჩემს კვართზე იყარეს წილი“ (ფსალმ. 21, 19).

მათე ასე მოკლედ გადმოგვცემს, ხოლო იოანე უფრო დაწვრილებით გვიყვება სამოსის გაყოფის შესახებ და წილისყრის მიზეზსაც გვაუწყებს: „ჯარისკაცებმა, როცა ჯვარს აცვეს იესო, აიღეს მისი სამოსი და გაიყვეს ოთხ ნაწილად, თითოეული ჯარისკაცისთვის ნაწილი, ხოლო კვართი იყო უნაკერო, ზემოდან ნაქსოვი მთლიანად და უთხრეს ერთმანეთს: არ გავხიოთ იგი, არამედ წილი ვყაროთ მასზე, ვისი იქნება, რათა აღსრულებულიყო წერილი“ (იოანე 19, 23-24).

ამ სიტყვებიდან თვალსაჩინო ხდება, რომ მთავრის ასისთავთან ერთად იქ იყო ოთხი ჯარისკაცი, დანარჩენები კი ებრაელები იყვნენ. სწორედ ისინი გახლდნენ მტარვალები,

მტანჯველები და ყოველგვარი ბოროტების ჩამდენნი. ხოლო ურჯულო მღვდელმთავრები და მწიგნობრები მათ ახლდნენ, რომ თავიანთი ბოროტი ნება აღესრულებინათ.

ხალხის უმრავლესობა კი მწუხარებით იყო სავსე, როგორც რომაელები და ბერძნები, ასევ ებრაელებიც, როგორც ამბობს ლუკა მახარებელი: „და მისდევდა მას სიმრავლე ერისა და დედაკაცებისა, რომლებიც გლოვობდნენ და გოდებდნენ მასზე“ (ლუკა 23, 27), თუმცა გამძვინვარებულ მხეცებს — სამარცხვინო მღვდლებს, სისხლისმღვრელ ნადირებს გული ვერაფერმა მოულბო. ამიტომაც უფალი მწუხარე ხალხს მოუბრუნდა და მანუგეშებელი სიტყვები უთხრა, ხოლო ბოროტმოქმედებს არაფერი მიუგო, რადგან უკურნებელი იყო მათი სიავკაცე. როდესაც კაცისმკვლელებმა თავისი ბოროტი ნება აღასრულეს და ჯვარზე გააკრეს იესო, მერე უკვე მისი დიდებული სახელის გაქრობაზეც იზრუნეს, რადგან ეშინოდათ მისი აღდგომისა. მთავრის რჩევით, ავაზაკებს შორის აცვეს ჯვარს, რათა ისიც ბოროტმოქმედად შერაცხილიყო, როგორც ამბობს მახარებელი.

სახარება: და დადვეს მის თავს ზემოთ მისი ბრალდება, დაწერილი: ეს არის იესო, მეფე იუდეველთა. მაშინ ჯვარს აცვეს მასთან ერთად ორი ავაზაკი, ერთი — მარჯვნივ და ერთი — მარცხნივ. ხოლო გამვლელები გმობდნენ მას, აქნევდნენ თავებს და ამბობდნენ: რომელიც ანგრევ ტაძარს და სამ დღეში აშენებ, იხსენი შენი თავი, თუ ძე ხარ ღვთისა, გადმოდი ჯვრიდან. ასევე მღვდელთმთავრებიც დასცინოდნენ მწიგნობრებთან და უხუცესებთან და ფარისეველებთან ერთად და ამბობდნენ: სხვები იხსნა, თავისი თავის ხსნა კი არ ძალუძს. თუ მეფეა ისრაელისა, გადმოვიდეს ახლა ჯვრიდან და ვირწმუნებთ მას. თუ ღმერთს იყო მინდობილი, იხსნას ახლა იგი, თუ ნებავს იგი, რადგან თქვა: ღვთის ძე ვარ. ასევე ავაზაკებიც, მასთან ერთად ჯვარცმულნი, კიცხავდნენ მას (27, 37-44).

განმარტება: ნუთუ ვინმეს ესმის ეს ყველაფერი და რცხვენია, რომ უფალი და მაცხოვარი ჩვენი დაისაჯა პილატეს მიერ და ებრაელებმა ჯვარს აცვეს, შეკრეს, გვემეს, დასცინეს, გალანძღეს, ყველანაირი დამცირება და ტანჯვა მიაყენეს? ნუთუ

ყოველივე ამის გამო რომელიმე მორწმუნე დარცხვენილი და თავჩაღუნულია?

მზემაც ვერ გაუძლო ამ საშინელების ხილვას და დაბნელდა, რათა სხვებისთვისაც დაეფარა ეს სისასტიკე. უარყო თავისი ბუნებითი წესი, რადგან იმ ადამიანებისაგან იტანჯებოდა უფალი, რომელთათვისაც ებრძანა მას ყოველთა შემოქმედისგან სამყაროს განათება.

მაგრამ თუკი იმ მიზეზს ჩავწვდებით, რის გამოც მაცხოვარმა ტანჯვა-წამება იგემა, მაშინ კი აღარ შეგვრცხვება, არამედ მისი უსაზღვრო კაცთმოყვარება განგვაცვიფრებს და პაულე მოციქულივით უფლის ჯვრით ვიამაყებთ. ამიტომ მომისმინეთ, ძმებო, და იცოდეთ, რომ საკუთარი თავისთვის კი არ იტანჯებოდა უფალი: „რომელსაც არც ცოდვა ჩაუდენია და არც რაიმე მზაკვრობა წამოსცდენია მის პირს, არამედ ჩვენთვის იტანჯა და იწვნია სიკვდილი“ (ესაია 53, 9; 1 პეტრ. 2, 22).

ადამიანთა ცოდვა დიდი და მრავალი იყო, მთელი ქვეყანა ბოროტებას ეპყრო და დღითიდღე იზრდებოდა და მატულობდა, სიკვდილი განაგებდა ყველაფერს. ხოლო უფალი ჩვენი უკვდავია და მარადიული, ასევე კეთილი და კაცთმოყვარე, იგია ყოვლადმოწყალე მამის სიტყვა, რომელმაც არ ინება ჩვენი დაღუპვა. ადამიანები ვერ ახერხებდნენ საკუთარი ძალებით იმ ტანჯვისაგან თავის დაღწევას, რომელშიც ცოდვით დაცემის გამო ჩაცვივდნენ. ამიტომ ყოვლადმოწყალე უფალმა იხსნა ისინი.

ხედავდა ძე ღვთისა მამის უზომო სიკეთეს, ხედავდა თავის ძალას და ძლიერებას, რადგან ქრისტე არის „ღვთის ძალა და სიბრძნე“ (1 კორ. 1, 24), შეიწყალა ჩვენი უძლურება და ადამიანური ბუნება შეიმოსა, რადგან მან, როგორც წინასწარმეტყველი ამბობს: „ჩვენი უძლურებანი იკისრა და სნეულებები იტვირთა“ (ეს. 53, 4), შეიწყალა ჩვენი მოკვდავი ბუნება და შეიმოსა იგი. როგორც მოციქულიც ამბობს: „დაიმდაბლა თავისი თავი და მორჩილი გახდა თვით სიკვდილამდე, ჯვარცმით სიკვდილამდე“ (ფილიპ. 2, 8).

იხილა, რომ ჩვენ საკუთარი ძალებით ვერ გამოვისყიდიდით ცოდვებს და ვერც ჩვენზე სამართლიანად მოწეულ ტანჯვას

გადავიტანდით. ამიტომ თვითონ იტვირთა ადამიანის მთელი უძლურება და ტკივილი უფალმა, როგორც ამას იგივე მოციქული ამბობს: „ქრისტემ გამოგვიხსნა ჩვენ რჯულის წყევლისაგან და თვითონ დაიწყევლა ჩვენთვის“ (გალ. 3, 13).

მთლიანად შეიმოსა მაცხოვარმა ადამიანური ბუნება და თავისი ტანჯვით კაცთა მოდგმა ცოდვათაგან გაგვათავისუფლა, ღვთის წინაშე ჩვენი ვალი გამოისყიდა. მამას შეგვარიგა და თავისი ტანჯვით ადამიანის დაცემული ბუნება კვლავ აღადგინა, თავისი ვნებით ადამიანის ვნებული ბუნება უვნებელი გახადა.

ჩამოვიდა, რომ ჩვენ ზეცაში კვლავ ავეყვანეთ, ქალწულისაგან იშვა, რათა მის მიერ ყოვლისშემოქმედ უშობელ მამასთან შეეერიგებინეთ. ჩვენთვის მოუძლურდა, რომ ჩვენ აღვედგინეთ გაძლიერებულნი და პავლე მოციქულთან ერთად გვეთქვა: „ყველაფერი შემიძლია ჩემი გამაძლიერებელი ქრისტეს მიერ“ (ფილიპ. 4, 13).

შეიმოსა ხრწნადი სხეული, რომ მისთვის უხრწნელება მიენიჭებინა. მიიღო მოკვდავი ბუნება, რათა იგი უკვდავებასთან ეზიარებინა, კაცობრივი ბუნებით მოკვდა, რათა მოკვდავი კაცობრიობა გაეცოცხლებინა და აღარ ბატონობს ცოდვა ჩვენზე, როგორც ამას მოციქულიც ამბობს.

იმიტომაც ეცვა ჯვარს, რომ წყევლისაგან გამოვესყიდეთ და კურთხევა მოენიჭებინა. მას ჯვარზე ტანჯვისაგან არაფერი აკლდებოდა, ჩვენთვის კი უდიდეს სიკეთეს იქმოდა.

როცა ადამიანური ბუნებით მოკვდა მაცხოვარი, სიკვდილმა კი არ შთანთქა იგი, არამედ მკვდრები გააცოცხლა. ადამიანთა ხელით დაიკლა, მაგრამ არ დაღუპულა, არამედ თავისი სისხლით ყველანი გვიხსნა დაღუპვისაგან, თვითონ კი უვნებელად დარჩა.

ხოლო თუკი ვინმე იკითხავს, როგორ მოხდა ესო, ისმინოს, რომ ორი ყოვლად არამსგავსი რამის შეერთებით აღსრულდა ყოველივე, რადგან მოკვდავი უკვდავს შეუერთდა და ხრწნადი სხეული უხრწნელმა სიტყვამ შემოსა. უკვდავთან შეერთებით მოკვდავიც უვნებელი გახდა სიკვდილისაგან, რადგან ბნელი ნათლისაგან განათლდება და როგორც მოციქული იტყვის: „უმცირესი უდიდესის მიერ იკურთხება“ (ებრ. 7, 7).

იმიტომაც გააშიშვლეს მტარვალებმა უფალი, რათა ჩვენ ადამის ცოდვის გამო შემოსილი ტყავის სამოსის ნაცვლად ქრისტე შევიმოსოთ.

იმიტომაც გაიყვეს მისი სამოსი, რომ ჩვენ მამისაგან განუყოფელ სიტყვას აღარ განვეშოროთ, რომელიც ამბობს: „მე და მამა ერთნი ვართ“ (იოანე 10, 30).

კვართზეც წილი იყარეს, რათა ქრისტე ჩვენი ნაწილი გამხდარიყო, როგორც დავით მეფსალმუნეც ამბობს: „უფალი ჩემი მემკვიდრეობისა და თასის ნაწილია“ (ფსალმ. 15, 5).

გოლგოთაზეც სწორედ იმიტომ ეცვა ჯვარს, რომ ძველი გადმოცემით, სწორედ აქ იყო ჩვენი პირველი მამის, ადამის საფლავი. სამოთხიდან გამოძევებული იგი სიკვდილის შემდეგ აქ დაიმარხა. ამიტომაც უფალმა იქ ინება მომკვდარიყო, სადაც სიკვდილმა მიიღო თავისი ძალაუფლების დასაბამი. ამ ადგილას უნდა გაუქმებულიყო მისი ძალმოსილებაც.

ადამს უფალმა უბრძანა: „მიწა ხარ და მიწადვე მიიქეცი“ (დაბ. 3, 19). ამიტომაც უფალი სწორედ გოლგოთაზე დაიდვა, რათა ადამი მოეძიებინა და წყევლისაგან გამოეხსნა. სიტყვების ნაცვლად — „მიწა ხარ და მიწადვე მიიქეცი“ — ეთქვა: „გაიღვიძე, რომელსაც გძინავს და აღდეგ მკვდრეთით“ (ეფეს. 5, 14). აღდექი და გამომყევი მე, რათა მიწაში კი აღარ იყო, არამედ ზეცაში ამაღლდე. ქრისტეს აღდგომასთან ერთად აღდგა ადამიც და მთელი მისი მოდგმაც. ადამის სიკვდილით ყველანი მოკვდავები გავხდით, ქრისტეს აღდგომით კი ადამიანური ბუნება აღდგა და უკვდავება მიენიჭა. ამის შესახებ პავლე მოციქული ასე ამბობს: „როგორც ადამში კვდებიან ყველანი, ისე ქრისტეში იცოცხლებს ყველა“ (1 კორ. 15, 22).

ახლა კი ვნახოთ, როგორ გააკრეს ჯვარზე ქრისტე. ჯერ მთავრის წინაშე მიიყვანეს განსასჯელად და მერე აცვეს ჯვარზე. მახარებელმა კარგად თქვა ყველაფერი. პილატემ იმიტომ გაასამართლა უფალი, რომ ჩუმად არ მომხდარიყო იესოს ტანჯვა-წამება, არ დაფარულიყო ებრაელების შური და მტრობა, არამედ გამოაშკარავებულიყო მათი ბოროტება და საშინელი ცილისწამება.

პილატემ გაასამართლა უფალი და დარწმუნდა მის უდანაშაულობაში. დაინახა, რომ ებრაელებმა შურის გამო დააბეზღეს იგი და გადასცეს მას. ჭეშმარიტად დიდებული რამ გააკეთა მაცხოვარმა თავისი დუმილითაც და პასუხის გაცემითაც, — პილატეს არწმუნებდა ებრაელების შური.

თუკი თავის მართლებას დაიწყებდა, მაშინ ვინმე იფიქრებდა, რომ სიკვდილის შიშის გამო აკეთებდა ამას, ხოლო მისი მდუმარე მხნეობა და უშიშრობა ყველას განაცვიფრებდა და დაარწმუნებდა იმაში, რომ იგი ჭეშმარიტი ღმერთი იყო.

როდესაც პილატე იესოს ასამართლებდა, მისი ცოლი ჩვენებებით შეძრწუნდა. იესოს დუმილითა და ცოლის ტანჯვით პილატე უნდა მიმხვდარიყო, რომ უბრალო კაცს კი არა, განკაცებულ ღმერთს ასამართლებდა.

შეეშინდა პილატეს მის წინაშე მდგომარე იესოსი, ამიტომაც დაიბანა ხელები და თქვა: „უდანაშაულო ვარ ამ მართლის სისხლისგან“ (მათე 27, 24). თუმცა საბოლოოდ ებრაელთა მაამებლობის გამო მათი მხარე დაიჭირა და ჯვარზე გასაკრავად გადასცა უფალი.

შეიპყრეს მაცხოვარი, მაგრამ სიკვდილის არ შეშინებია. ადამიანური შიში გეთსამანიის ბაღში ლოცვისას და მწუხარებისას გამოავლინა. ახლა კი სიკვდილის წინაშე შეუდრეკელობით მხნეობისა და სიმამაცის მაგალითი გვიჩვენა. ამიტომაც ახოვნად დაუპირისპირდა სიკვდილს და გაქცეულ გველს კვალში მიჰყვა. ჯვარზე გაკრული უფალი სასიკვდილოდ განწირულივით კი არ იყო, არამედ როგორც სიკვდილის მდევნელი. ხოლო ბოროტმა ეშმაკმა, როდესაც იხილა შეშინებული პილატე და სიკვდილის წინაშე შეუდრეკელი იესო, იჩქარა, რომ ყველანაირად გამოეცადა იგი, რადგან მთაზე გამოცდისას ვერ შეძლო გაეგო, იყო თუ არა იესო ძე ღვთისა. მაშინ სირცხვილნაჭამი ახლა მისი სიკვდილის ჟამს ელოდა, რომ გაეგო, ვინ იყო იგი.

ლუკა მახარებელი წერს: „და როცა დაამთავრა ყველა გამოცდა ეშმაკმა, გაშორდა მას დრომდე“ (ლუკა 4, 13). და აი, მოვიდა ის დროც. იცოდა ბოროტმა, რომ თუ ახლაც იძლეოდა იესოს მიერ, მაშინ ყველა დათრგუნავდა, გაანადგურებდა მას.

ამიტომ ყველაფერს აკეთებდა, რათა გაეგო, ვინ იყო იესო, იყო თუ არა ძე ღვთისა და თუ ამაში დარწმუნდებოდა, მაშინ ახლოს აღარ გაჰკარებოდა, რადგან იცოდა მისი უძლეველი ღვთაებრივი ძალა. იცოდა უფალმა მისი ხრიკები და ამიტომაც მალავდა თავის ღვთაებრიობას და იქცეოდა როგორც ადამიანი, რომ ეშმაკი უშიშრად მიახლებოდა მას და შეემუსრა იგი.

როგორც მამაცი მხედარი შეშინებულ მოწინააღმდეგეს თავს სუსტად მოაჩვენებს, რომ ამით შეიტყუოს და საბოლოოდ გაანადგუროს, ასევე უფალმა ადამიანური უძლურებით ახლოს მიუშვა ეშმაკი თავისთან, ღვთაებრივი ძალით შემუსრა და ადამიანები მასზე გააძლიერა.

ამიტომაც იყო მწუხარე გეთსამანიის ბაღში და ლოცულობდა, რომ არიდებოდა მოსალოდნელი ტანჯვა და ამბობდა: „სული მხნეა, ხოლო ხორცი — უძლური“ (მათე 26, 41), რათა ამგვარად, როგორც კაცს, დასხმოდა თავს სატანა და ღვთაებრივ ძალას გაენადგურებინა იგი.

ამით შეცდა მაცდური და თავს დაესხა უფალს. მისი ახოვნება აშინებდა, მაგრამ ხორციელი უძლურების ხილვა კიდევ უფრო ამძვინვარებდა მას. თუმცა რამდენჯერაც მიეჭრა უფალს, იმდენჯერ იგემა დამარცხება.

მაცხოვრის ცხოველმყოფელი ვნებისას მთელი თავისი მხედრობა შეკრიბა ბილწმა სატანამ და ყველა უფლის წინააღმდეგ აამხედრა. ებრაელებს იესოს მოკვლა შთააგონა, პილატე თანამზრახველად აქცია, ჯარისკაცები გადაიბირა. ის კი არ იცოდა წყეულმა, რომ საკუთარ აღსასრულს აჩქარებდა, რადგან უკეთურება ყოველთვის ბრმა არის. ვერ მიხვდა, რომ სხვისთვის ალესილი მახვილი გულში ესობოდა და საკუთარ აღსასრულს იმზადებდა.

ასევე მოუვიდა ფარაონსაც, თქვა: „დავედევნები, მივეწევი და მუსრს გავავლებ ებრაელებს“ (გამოს. 15, 9), არადა, თვითონ დაიღუპა თავისი ხალხიან-მხედრებიანად. გოლიათსაც ასე მოუვიდა. მოკვლა უნდოდა და თვითონ მოიკლა. ეშმაკიც უფალს გამოსცდიდა და თვითონ გამოიცადა. ყველა აამხედრა ქრისტეს წინააღმდეგ და თვითონ დაიღუპა. საბოლოოდ დაატყვევა იგი

უფალმა. მაცხოვრის ტანჯვა და შეურაცხყოფა იყო ეშმაკის უხილავი დამარცხება.

გაშიშვლებულ უფალს მეწამული ქლამიდი შემოსეს „და დაწნეს გვირგვინი ეკლისაგან და დაადგეს მას თავზე. ლერწამი მისცეს მარჯვენა ხელში და მუხლი მოიყარეს მის წინაშე და თაყვანი სცეს“ (მათე 27, 28).

აი, ჭეშმარიტი გამარჯვების დიდებული ნიშანი. ვინც კაცივით დასაჯეს სიკვდილით, მას როგორც ღმერთს, ისე ეთაყვანებოდნენ. ვისაც მდაბიოსავით დასცინოდნენ, იმას მეფედ აღიარებდნენ. გახადეს მას უბრალო სამოსი და მეწამული ქლამინდი შემოსეს და ვისაც სცემდნენ და მასხრად იგდებდნენ, უნებურად ძლევამოსილების იერი მიანიჭეს მეწამული სამოსით, ეკლის გვირგვინითა და ხელში ლერწმით. ყოველივე ამას თუმცა დაცინვით აკეთებდნენ, მაგრამ უნებურად მის ძლევაშემოსილობას აღიარებდნენ.

მთელი ქვეყანა იყო შებილწული ცოდვით და სისხლით შებღალული. პირველად მართალი აბელის სისხლი დაიღვარა მიწაზე და შემდეგ კი მრავალი სხვა ადამიანის. ტყუილმა, ქურდობამ, მრუშობამ და წყევლამ მოიცვა ქვეყნიერება და უფლის ნათქვამისაებრ: „დაწყევლილი იყოს მიწა, რომელმაც პირი გახსნა შენი ძმის, აბელის სისხლის მისაღებად“ (დაბ. 4, 11), დაწყევლილი იყო ქვეყანა.

ადამის პირველი შეცოდებისასაც დაწყევლა მიწა უფალმა: „მიწა დაიწყევლოს შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე. ძეძვი და ეკალი აღმოგიცენოს შენ“ (დაბ. 3, 17-18).

მთელი სამყარო იყო სავსე ამ წყევლის გამო სისხლითა და ეკლით. ეს ხელწერილი ჰქონდა ეშმაკს ხელში. ამით ბატონობდა და ძალადობდა ყველასა და ყველაფერზე, როგორც საკუთარ ტყვეებზე. მაცხოვარმა თავისი ჯვარზე სიკვდილით ეს ყველაფერი ეშმაკს ხელიდან გამოგლიჯა. სისხლი, რომლითაც მიწა იყო შებღალული, მეწამულმა მოსასხამმა იტვირთა, ეკლები — ეკლის გვირგვინმა, ჩვენი ცოდვების სია კი ლერწამმა. თავისი სიკვდილით მაცხოვარმა ეს ყოველივე განაქარვა, ქვეყანა

განწმინდა, ეკლის ნაცვლად სიცოცხლის ხე მოგვანიჭა. წყევის ნაცვლად კი — ნეტარება, რადგანაც თქვა: „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რადგან ისინი დაიმკვიდრებენ ქვეყანას“ (მათე 5, 5).

მაცხოვრის დაღვრილმა სისხლმა ქვეყანაზე მშვიდობა და ყოველგვარი სიკეთე აღმოაცენა.

სხვა რამის გამოც დაიდგა უფალმა ეკლის გვირგვინი, რათა ჩვენი ამქვეყნიურზე გადამეტებული ზრუნვა გაექარვებინა. იტვირთა ჩვენი საზრუნავი, რომ ღვთის სიტყვის თესლი ეკლებისაგან გაეთავისუფლებინა და ჭეშმარიტი აზნაურება მოენიჭებინა ჩვენთვის. იტანჯებოდა, რათა ჩვენ აღარ დავტანჯულიყავით.

ხოლო ლერწამი კი გველის გასანადგურებლად მიიღო უფალმა ებრაელებისაგან, რადგან ნათქვამია, რომ ლერწამი კლავს გველს, ესაიას წინასწარმეტყველებისაებრ: „უფალი საბაოთი დევნიდა გველს — დიდ ვეშაპს, მზაკვარ ეშმაკს“ (ეს. 27, 1). ამიტომაც მიიღო მარჯვენა ხელში ლერწამი ეშმაკის მოსაკლავად და მასზე ადამიანთა გასაძლიერებლად. როგორც დავითმა მოსტაცა გოლიათს მახვილი და იმით მოკვეთა თავი, ასევე მაცხოვარმაც ეშმაკისაგან შეპყრობილთაგან მიიღო ლერწამი, არა მარტო ჩვენ გასათავისუფლებლად, არამედ გველის მოსაკლავადაც.

როდესაც უბადრუკმა იხილა, რომ მისი ძალაუფლება სუსტდებოდა, ქვეყნიერებიდან განიდევნებოდა, ქვეყანა სისხლისა და ეკლებისაგან იწმინდებოდა, ჩვენი ცოდვების ჩამონათვალი უქმდებოდა და ის ლერწამი ნადგურდებოდა, რომლითაც ადამიანთა დანაშაულს წერდა, უფრო მეტად გამძვინვარდა, მხედრები გაიბირა უფლისათვის უფრო მეტი შეურაცხყოფის მისაყენებლად. და შემოსეს იესოს მეწამული ქლამინდი, ეკლის გვირგვინი თავზე დაადგეს და ხელში ლერწამი მისცეს. წარმოუდგენელი ტანჯვისა და შეურაცხყოფის დათმენით უფალმა ჩვენ მოგვანიჭა თავისუფლება, ეშმაკი კი შემუსრა.

მაცხოვრის ვნებისას თვით ეშმაკი იგვემებოდა. მისგან გადაბირებულებს ეგონათ, უფალს სცემდნენ, თუმცა თვით ეშმაკი იცემებოდა. თუ ვინმე ხელებით ეცდება კლდის დამტვრევას,

თვითონ დაიმტვრევა. უფლის მოწინააღმდეგეებიც მას კი ვერაფერს ავნებდნენ, თვითონ ნადგურდებოდნენ.

უფალს რომ ეცემა ეშმაკი, გახარებული უნდა ყოფილიყო. ახლა კი სამარცხვინოდ იგვემებოდა თავისივე მსახურების ხელით. ებრაელთა მიერ მიყენებული ტკივილი კი არ მოაკვდინებდა ბოროტს, არამედ უფლის ძალა, რომელიც მისი ხელიდან შევიდა ლერწამში. მაცხოვარმა ადამიანური ბუნებით მიიტყუა ეშმაკი. გასასტიკებული ჯარისკაცები სცემდნენ მას, თუმცა ჯალათების ხელით თვით ბოროტი ნადგურდებოდა.

ის, ვინც ღვთის სწორად მიიჩნევდა თავს და ამით ამაყობდა, განადგურდა. რაც განიზრახა, იმის საწინააღმდეგო რამ დაემართა. მან აამხედრა ებრაელები უფლის მოსაკლავადაც; როგორც ლუკა მახარებელი ამბობს: „ხოლო ისინი უტევდნენ და დიდი ხმით მოითხოვდნენ, ჯვარს ეცვათ იგი და ძლიერდებოდა მათი და მღვდელთმთავრების ხმები“ (ლუკა 23, 23). უფალმა კი დუმილი დაუპირისპირა მათ მძვინვარებას და ასე სძლია ბოროტს.

მზაკვარმავე გააცეცხლა პილატე უფლის შესაშინებლად, მაგრამ მაცხოვრის უშიშრობამ მისი ჩანაფიქრი გააქარწყლა.

მზაკვარმა ჩააგონა უგუნურ მთავარს უფლის ცემა, ხოლო ქრისტემ სიმშვიდე დაუპირისპირა და სძლია მას.

მრავალგვარ ხრიკებს მიმართა ბოროტმა მაცხოვრის წინააღმდეგ, მაგრამ ვერ დაინახა, რომ ამით სიკეთე გააძლიერა.

უფალმა დაგვანახა, რომ მართალია მტერი ბოროტებით ხარობს, მაგრამ თუკი შიშს მხნეობას დავუპირისპირებთ, გინებასა და შეურაცხყოფას — სიკეთეს, გულისწყრომას — სიმშვიდეს და ყველაფერს მოთმინებით ავიტანთ, იგი ვერ მოგვერევა.

ამას თავიდანვე ასწავლიდა მაცხოვარი ყველას და ამბობდა: „ვინც გაგარტყამს შენ მარჯვენა ყვრიმალში, მიუშვირე მას მეორეც, ვინც მოინდომებს შენი პერანგის წართმევას, დაუტოვე მას სამოსიც“ (მათე 5, 39-40); „გიყვარდეთ თქვენი მტრები, აკურთხეთ თქვენი მაწყევარნი“ (მათე 5, 44).

ვინმეს რომ არ ეთქვა, შეუძლებელია ამ მცნებების შესრულებაო, თავად აღასრულა ყველაფერი და გვასწავლა, რომ ჩვენს ბოროტისმოქმედებს არ ვუპასუხოთ ბოროტებით, არც

მრისხანებით და მარადიული ნეტარების მოლოდინით ვძლიოთ სიკვდილის შიშს.

მხოლოდ ასე შეიძლება მტრის დამარცხება და არა სამაგიეროს გადახდით. თუკი ბოროტებას ბოროტებას დავუპირისპირებთ, მაგინებლებს ვაგინებთ, მავნებლებს ვავნებთ, მაშინ უკეთურებას კიდევ უფრო გავაძლიერებთ და მოწინააღმდეგეს კი არა, საკუთარ თავებს დავიზიანებთ. ხოლო თუკი უფლის მსგავსად მოთმინებით ავიტანთ უსამართლო ვნებას, გულში წყენასა და ბოღმას არ დავიტოვებთ, ტანჯვას მხნეობას დავახვედრებთ, სიკვდილის შიშს — აღდგომის იმედს, მაშინ დავამარცხებთ ეშმაკს და ვემსგავსებით ჩვენს მაცხოვარს, რომელმაც მტერთან ბრძოლაში სწორედ ეს საჭურველი დაგვიტოვა, როგორც ამბობს პავლე მოციქული: „შეიმოსეთ ღვთის საჭურველი, რათა შეძლოთ წინაღუდგეთ ეშმაკის მზაკვრობას“ (ეფეს. 6, 11).

ასეთი გასაოცარი მხნეობა აჩვენა უფალმა და დასცა მტერი ჩვენი. შემდეგ კი ჭეშმარიტი გამარჯვების ნიშნად მას აჰკიდეს ჯვარი და უნებურად თვითონვე აღიარეს, რომ ქრისტემ გაიმარჯვა. სანამ ეშმაკი მძლავრობდა, მის მტანჯველებს ჰქონდათ ჯვარი, ხოლო როდესაც იგი დაეცა და დამარცხდა, მაშინ საძლეველი ჯვარი უფალმა აიღო და თავად იტვირთა. მტერზე გამარჯვების იარაღი სწორედ უფალს უნდა ჰქონოდა და არა სხვას.

გოლგოთაზე მიმავალ მაცხოვარს თვითონ ეკიდა თავისი ჯვარი, როგორც ამას იოანე მახარებელი ამბობს, ხოლო სხვა მახარებლები ამბობენ, რომ სიმონ კვირინელის მიჰქონდა იგი.

როგორც ეშმაკზე გამარჯვების იარაღი, ჯვარი თავიდან მაცხოვარს ეკიდა, ხოლო შემდეგ სიმონ კვირინელმა იტვირთა იგი, ავიდა გოლგოთაზე და თავისი ჯვარცმით ჯვარზე გააკრა ჩვენი ცოდვები. მანამდე თავისი სამოსი განიმოსა. ადამიანები სამოთხეში უნდა შეეყვანა, ამიტომ ის ტყავის სამოსი უნდა გაეხადა, რომელიც ადამმა და ევამ იქიდან გამოძევების შემდეგ შეიმოსეს. განიძარცვა ზემოდან მოქსოვილი უკერველი კვართიც, რათა ებრაელებს ერწმუნათ, რომ იგი უბრალო კაცი

კი არა, ზეციდან მოსული ღვთაებრივი სიტყვა იყო, რომელმაც ადამიანური ბუნება შეიმოსა და მამისაგან განუყოფელი „კაცთა შორის იქცეოდა“. განკაცდა, როდესაც მამაკაცისა და დედაკაცისაგან შეერთებული ხორცი კი არ მიიღო, არამედ ქალწულისაგან სულიწმიდის მადლით მოქსოვილი.

ჯალათებმა მისი სამოსი ოთხ ნაწილად გაიყვეს; სამყაროს ოთხივე მხარის — აღმოსავლეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის ცოდვებისაგან გამოსახსნელად განკაცდა მაცხოვარი და შეიმოსა ადამიანური სამოსით. როდესაც იგი პირველად იხილა იოანე ნათლისმცემელმა, თქვა: „აჰა, ტარიგი ღვთისა, რომელმაც აიღო ცოდვები სოფლისა“ (იოანე 1, 29). კვართის გახევა კი ვერ გაბედეს მისი სასწაულებრივი დიდებულების გამო.

ეს ყველაფერი კი ჯვარცმული უფლის ძალით აღესრულებოდა, რომელიც ჯვარზე ეკიდა, ღვთაებრივი ძალით კი ეშმაკის ძალაუფლებას ანადგურებდა. კვართიც, უფლის ძალით, ებრაელების სამხილებლად დარჩა ხელშეუხებელი, ტაძრის კრეტსაბმელი გაირღვა, უფლის კვართი კი არა. სახარებაც ასევე მარად განუკვეთელია, ხოლო ისინი კი მოლანდებებივით გაქრნენ.

ჩვენ კი ნათქვამს დავუბრუნდეთ. როდესაც განიმოსა უფალი და სიკვდილს დაუპირისპირდა, მისი გულმოდგინების მხილველი ეშმაკი მიხვდა, რომ ზეციდან გამოძევებული ქვეყანაზეც დამარცხდა. რადგან ყოველი გარდაცვლილი მიწას უნდა მიბარებოდა, ეშმაკს მიწაში დამალვისაც შეეშინდა, ვაითუ, უფალს იქაც მოეძია. გასაქცევი ადგილი რომ ვეღარ იპოვა, ჰაერში დაფრინავდა. ამიტომ უფალმა ინება, რომ მიწაზე კი არ მომკვდარიყო, არამედ — ჰაერში ჯვარზე გაკრული, რათა თავისი გაშლილი ხელებით ჰაერიც განეწმინდა, მიწა კი მისი გვერდიდან გადმოსული სისხლითა და წყლით განებანა.

ეს ყველაფერი რომ აღსრულდა, კიდევ უფრო მეტად იძლია მაცდური: ზეციდან გადმოგდებული იყო, მიწიდან გაძევებული, ჰაერიდანაც განდევნილი და სრულიად დამარცხდა.

ყველაფრიდან და ყველასგან განდევნილი კი იმასღა ცდი-

ლობდა, რომ ჯოჯოხეთი დაეცვა, რათა უფალი იქაც არ მისულიყო, იქიდანაც არ გამოეძევებინა და იქ დატყვევებულები არ გაეთავისუფლებინა. ამიტომაც ყველა ღონეს ხმარობდა, რომ მაცხოვარი, რომლის ღვთაებრივ ძალასაც უკვე ხვდებოდა, ჯოჯოხეთში არ მისულიყო. უკვე ცხადი შეიქნა მაცდურისთვის, რომ იესოზე იყო ნათქვამი: „შენ ახვედი მაღლა, დააბრუნე ტყვე, წამოიღე ძღვენი ადამიანთათვის“ (ფსალმ. 67, 19).

ამიტომაც კვლავ აამხედრა იუდეველები უფლის სალანძღავად და დასაცინად: „რომელიც ანგრევ ტაძარს და სამ დღეში აშენებ, იხსენი შენი თავი; თუ ძე ხარ ღვთისა, გადმოდი ჯვრიდან“ (მათე 27, 40) — ეუბნებოდნენ ისინი მაცხოვარს, რომ მათი ყვედრების გამო უფალი ჩამოსულიყო ჯვრიდან, არ ჩასულიყო ჯოჯოხეთში მკვდრებთან და არ გამოეტაცა ისინი სატანჯველიდან.

ხოლო მაცხოვარმა სიკვდილისგან გაქცევით კი არა, სიკვდილზე ძლევით აჩვენა, რომ იგია ჭეშმარიტად ძე ღვთისა.

შეეძლო უფალს, რომელმაც უამრავი მკვდარი აღადგინა, რომ ჯვრიდან გადმოსულიყო, თუმცა ეს სიკვდილისგან გაქცევა იქნებოდა.

ეშმაკისაგან გამძვინვარებული ებრაელები კვლავ აყვედრებდნენ: „სხვები იხსნა, თავისი თავის ხსნა კი არ ძალუძს. თუ მეფეა ისრაელისა, გადმოვიდეს ახლა ჯვრიდან და ვირწმუნებთ მას“ (მათე 27, 42).

ერთი რამ უნდოდა მაცდურს, რომ უფლის ჯვრიდან გადმოსვლით თავი ეხსნა განადგურებისაგან, არ დაეკარგა ჯოჯოხეთში მყოფებზე ძალაუფლება.

ხოლო უფალმა ჯვრიდან გადმოსვლით კი არა, ჩვენი ჯოჯოხეთისაგან ხსნით გამოაჩინა თავისი მაცხოვარება.

ასევე მკურნალის ხელოვნებაც სნეულთა განკურნებით წარმოჩინდება და არა თავისი ჯანმრთელობით. მზეც თავის თავს კი არ ანათებს, არამედ მთელ სამყაროს მოეფინება მისი ნათელი.

უფალი, ცხოვრების წყარო, სხვების ხსნითა და გადარჩენით გვიჩვენებს თავის მაცხოვარებას. ჯვრიდან გადმოსვლით კი არა, ჯვარზე სიკვდილით გამოაჩინა, რომ იგია ძე ღვთისა, ადამიანთა

სიკვდილისგან მხსნელი და გადამრჩენელი.

ჯერ კიდევ ჯვარზე იყო იესო, როცა საფლავები გაიხსნა, მკვდრები აღდგნენ და ავაზაკმა ირწმუნა მისი ღვთაებრიობა, რათა წარმოჩენილიყო, რომ იგია ყველას მაცხოვარი.

როცა ეშმაკმა იხილა, რომ ჯვარზევე გამოსტაცა ხელიდან ავაზაკი უფალმა, უფრო მეტად შეძრწუნდა. ავაზაკობის სისხლით შებღალულმა ირწმუნა იესოს ღვთაებრივი ძალა და მეორე, უფლის მაყვედრებელი ავაზაკი და უფრო მეტად მისი პირით მეტყველი ეშმაკი შეარცხვინა. განცვიფრდა მაცდური, ბილწი და მყრალი, რადგან იარაღი, რომლითაც უფალს ებრძოდა, უსარგებლო აღმოჩნდა, როგორც წმინდა წერილშიც წერია: „მტერი გაქრა, გაპარტახდა მისი მახვილი და აოხრა მისი ქალაქები“ (ფსალმ. 9, 7).

მაშინ ბოროტმა უფალს თავისი მსახურების ხელით ნაღვლით შეზავებული ძმარი შეასვა. თუმცა ამით საკუთარ თავსვე ავნო, რადგან უფლის მცნებების დარღვევით ჩვენზე მოწეული რისხვის სიმწარე, რომლითაც ასე იკვეხნიდა, იესოს ჯალათების ხელით მისცა.

ხოლო ტკბილმა უფალმა ეს სიმწარე მიიღო და გააქარვა. ძმრის სანაცვლოდ სიბრძნით შეზავებული ღვინო გაგვიმზადა, ნაღვლის მაგიერ კი თავისი თაფლზე უტკბესი ღვთაებრივი სიტყვები, რადგან მან მთელი ჩვენი სიმწარე იგემა, გვეუბნება: „განიცადეთ და ნახეთ, რომ უფალი ტკბილია“ (ფსალმ. 33, 9).

როდესაც ეშმაკის ყოველგვარი მცდელობა ამაო აღმოჩნდა და მიხვდა, რომ კაცს კი არა, განკაცებულ ღმერთს ებრძოდა, განიზრახა გაუჩინარება, რათა ადამიანთა მოდგმა არ გამოხსნილიყო. მაგრამ ყოველთა მაცხოვარმა ეშმაკი კვლავ ხელთ იგდო, როდესაც ადამიანური ბუნებით ისევ შეჰღაღადა მამას: „ელი, ელი, ლამა საბაქთანი?“ ეს არის: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რისთვის დამტოვე მე“ (მათე 27, 46; მარკ. 15, 34).

ეს იმისათვის თქვა, რომ ეშმაკს ისევ უძლურ კაცად ჩაეთვალა იესო და როგორც ღმერთს — არ გაჰქცეოდა. შეცდა ყოვლად ბოროტი და როგორც ადამიანს, კვლავ თავს დაესხა, თუმცა სრულიად დამარცხდა და განადგურდა.

როდესაც უფალმა ბოლომდე შესვა სიკვდილის სასმისი და მის ცხოველმყოფელ გვერდს შუბი აძგერეს, საიდანაც სისხლი და წყალი გადმოვიდა (რადგან როგორც ადამის გვერდისაგან დაბადებული ქალისაგან შემოვიდა საცდური, ასევე მეორე ადამის გვერდიდან გადმოვიდა ცხოვრება და ხსნა, რადგან ის სისხლი ხსნა იყო, ხოლო წყალი — განწმენდა). მაშინ სრულიად განადგურდა მაცდური, რადგან უფალი მოკვდა ადამიანური ბუნებით, ხოლო ეშმაკს კი ძალაუფლება წაერთვა ადამიანებზე. მოტყუებულ მაცდურს ეგონა, რომ იესოსაც დაეუფლებოდა, როგორც კაცს, მაგრამ თვითონვე დამარცხდა და ყველამ აღიარა მაცხოვრის ღვთაებრიობა. როდესაც იესო ჯვარზე ხორციელად მოკვდა, მოულოდნელად მზე დაბნელდა, ტაძრის ფარდა შუაზე გაიხა, მიწა იძრა, კლდეები დასკდა, საფლავები გაიღო, მკვდრები აღდგნენ, მხედრები შეშინდნენ, ჯოჯოხეთის მცველები შეძრწუნდნენ და ცხადი გახდა, რომ ჯვარცმული იესო უბრალო კაცი კი არა, განხორციელებული ღმერთი იყო. ამიტომ ყველა მისი მხილველი ამბობდა: „ეს ჭეშმარიტად ღვთის ძეაო“ (მათე 27, 54).

ხედავთ ბოროტის სიბრმავესა და უგუნურებას? ერთის მოკვლა მოინდომა და ყველა გამოეცალა ხელიდან.

ამ ერთის ჯოჯოხეთში ჩაყვანა განიზრახა და თვითონ დაკარგა ჯოჯოხეთზე ძალაუფლება. ყველამ შეიცნო, რომ უფალი უძლურების გამო კი არ მოკვდა, არამედ სიკვდილის გასაცამტვერებლად და იმის გასანადგურებლად, ვინც სიკვდილზე მეფობდა და რათა „გაათავისუფლოს ისინი, ვინც სიკვდილის შიშით მთელი სიცოცხლე მის ტყვეობაში იყვნენ“ (ებრ. 2, 14-15).

მან გააუქმა ჯოჯოხეთის სატანჯველი და როგორც ესაია ამბობს: „გამწარდა ჯოჯოხეთი შენთან შეხვედრით“ (ეს. 14, 9). უფალმა თავისი აღდგომით აღადგინა დასაბამიდან მიცვალებულები, ეშმაკი კი დასაცინი გახადა. როგორც მწერი ვერაფერს დააკლებს კლდეს, რომელსაც დაეჯახება და თვითონ მოიტეხავს ნესტარს, ასევე შეიმუსრა სიკვდილი, როდესაც სიცოცხლის კლდეს, ქრისტეს შეეჯახა და დაკარგა ნესტარი. ვინც ადრე ასე ძალიან გვაშინებდა, ახლა ვეუბნებით მას: „სად არის სიკვდილო

შენი ნესტარი, სად არის ჯოჯოხეთო შენი ძლევა?“ (1 კორ. 15, 55) და კიდევ ვიტყვით: „მოწმინდა ღმერთმა ცრემლი ჩვენს პირისახეს“ (ეს. 25, 8).

ჯოჯოხეთის კარიბჭესთან შეკრული და დაგებული ბოროტი მწარედ გლოვობდა, როდესაც ხედავდა გაცოცხლებულ მიცვალებულებს, გათავისუფლებულ ტყვეებს. წმინდა მამები და წინასწარმეტყველები ხარობდნენ და ამ სიტყვებით გალობდნენ: „ავიდა მაღლა. გაათავისუფლა ტყვე და თავისი მხნეობით გამოიყვანა დატყვევებულები“ (ფსალმ. 67, 19; ეფეს. 4, 8), სხვები კი ამბობდნენ: „როცა დააბრუნებს უფალი ტყვეს სიონისას, თავი სიზმარში გვეგონება. მაშინ აივსება სიცილით პირი ჩვენი და ენა ჩვენი გალობით“ (ფსალმ. 125, 1-2), ხოლო ანგელოზები და მთელი ზეციური მხედრობა ღაღადებდა: „დიდება მაღალთა შინა ღმერთს, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ (ლუკა 2, 14). ყველა ზეიმობდა სიკვდილზე გამარჯვებას.

ბოროტი კი ხელით და ფეხით შეკრული იდო. ყველა განცვიფრებული იყო და ხაროდა სიკვდილის დამარცხებას, ჯოჯოხეთის შემუსვრას. უბადრუკი მაცდური კი მხოლოდ გოდებდა და კბილებს იღრჭენდა, იმ სულების გამო, რომლებზე უფლებაც დაკარგა და ვინც მის ტყვეობას გადაურჩნენ ისე, როგორც წმინდა წერილში წერია, რომ „ბოროტი ნახავს და განრისხდება, კბილებს დააღრჭენს და დადნება; ბოროტეულთა საწადელი წარიხოცება“ (ფსალმ. 111, 10).

კბილებს იღრჭენდა და ნანობდა მაცხოვართან შებრძოლებას. ადრეც ებრძოდა წმინდანებს, მაგრამ არაფერი ამდაგვარი დამართნია, აბელი მოკლა, ისაია გადახერხა, იერემია ტანჯა, იობი გამოცადა და სხვა ყველა მამათმთავარიც და არ დამარცხებულა.

ხოლო როცა უფალთან ბრძოლა გაბედა, სრულიად დამარცხდა და ყველას გასათელი გახდა. ეს მხოლოდ მაცხოვარს შეეძლო. არა მხოლოდ თვითონ სძლია მან სიკვდილს, არამედ ჩვენც მოგვცა მასზე ძალაუფლება და გვითხრა: „აჰა, გაძლევთ თქვენ ხელმწიფებას, რომ დათრგუნოთ გველები და მორიელები და მტრის მთელი ძალა“ (ლუკა 10, 19) და კიდევ: „ასპიტზე

და იქედნეზე გაივლი და დათრგუნავ შენ ლომსა და ვეშაპს“ (ფსალმ. 90, 13).

თავდაპირველად გველმა აცდუნა ევა და ბოროტის შურის გამო გაჩნდა სიკვდილი სამყაროში. ახლა კი განადგურდა და თუ საბრძოლველად მოვა, გაიგონებს: „გამშორდი სატანა“ (მათე 4, 10) და მაშინვე გაუჩინარდება და ღვთის მიერ განადგურდება.

და იმდენად უბადრუკია, რომ „ჩვილი ბავშვი ასპიტის ხვრელს დაადებს ხელს და არაფერი ევნება“ (ეს. 11, 8-9).

ჭეშმარიტია ეს სიტყვები, რადგან მოხუცი თუ ახალგაზრდა ეშმაკის შემოტევებსა და ბოროტის გულისთქმებს ღვთის ძალით ამარცხებს და ანადგურებს, სიწმინდით და ქალწულებით ცხოვრობენ და ცოდვისაგან თავს იკავებენ.

ბევრმა შემუსრა ეშმაკის მახვილი, სიკვდილი შეურაცხყო, სიცოცხლე გაწირა, წამების გვირგვინი დაიდგა და უფალს მიემსგავსა.

სხვებმა კი ამქვეყნიური ცხოვრება უარყვეს და ზეციური ცხოვრება აღასრულეს.

ცოდვის გამო დახშული სამოთხის გზა ახლა გაღებულია. როგორც ამას პავლე მოციქულიც მოწმობს, რომელიც ჯერ კიდევ ხორცში მყოფი იქნა ატაცებული მესამე ცამდე. ეშმაკის ძალა სრულიად განადგურდა და როგორც გველი, მხოლოდ მიწას ჭამს. ჩვენ კი მანამდე დაგლახაკებულები, გავმდიდრდით. უფალიც სწორედ ამიტომ დამდაბლდა, რომ ჩვენ ავემაღლებინეთ. ისეთი დიდი საოცრება მოხდა სამყაროში, რომ ადამიანები სიკვდილისაკენ მიისწრაფვიან, რათა მარადისობას ეზიარონ, მაცხოვრის მეორედ მოსვლას ნატრობენ, ხოლო ბოროტი კი ძრწის მეორედ მოსვლის შიშით, რადგან იცის მისთვის და მისი მსახურებისათვის გამზადებული მარადიული ცეცხლის შესახებ. უფალი კი იმიტომ დაისაჯა ხორციელად, რომ ჩვენ გამოვეხსენით სასჯელისაგან.

უფლის განკაცებამ ჭეშმარიტი ღმერთის შემეცნების ნათელი მოჰფინა სამყაროს, დღითიდღე ადამიანები კერპთმსახურებას უარყოფენ და ჭეშმარიტ ღმერთს აღიარებენ, ქრისტეს მცნებებს ასრულებენ და ბოროტის გულისთქმებს ამარცხებენ.

ეშმაკებს, რომელთა შიშითაც ადრე ძრწოდნენ, ახლა სხვებისაგანაც განდევნიან.

ვისთვისაც ადრე წმინდა და ქალწულებრივი ცხოვრება წარმოუდგენელი იყო, როდესაც ქალწულისაგან შობილი ქრისტე ირწმუნეს, თავად აღასრულეს ამგვარი სათნოება.

გრძნეულობამ და ჯადოსნობამ ძალა დაკარგა. წარმართული სიბრძნე უმეცრებად წარმოჩნდა, სიტყვა კი არა, კეთილი საქმე გახდა მთავარი. მჭევრმეტყველებაზე მეტად სულის სიწმინდე დაფასდა. რასაც წარმართი ფილოსოფოსები ვერ ჩაწვდნენ და გამოთქვეს, ქრისტიანებმა სარწმუნოებით გამოაჩინეს და განაცხადეს. გრძნეულთა საქმეები ქრისტეს ჯვარმა შემუსრა, ქრისტეს მოწამეებმა საქმით აჩვენეს და ცხადყვეს უკვდავება, რაც წარმართებს არ სწამდათ. დიდი ფილოსოფოსებისთვისაც წარმოუდგენელი ქალწულება ქრისტეს შეწევნით ქალებმა ადვილად აღასრულეს, წარმართების მიერ ღმერთებად შერაცხილი ეშმაკები ბავშვებმა უფლის ძალით განდევნეს.

კაცთმოყვარე, უბოროტო და ზეციური მოქალაქობის აღმასრულებელი ღმერთშემოსილი კაცი ყველანაირად ღვთის მსგავსია ამქვეყანაზე.

ეს ყველაფერი ქრისტეს ჯვარცმით მოხდა, ეს ყოველივე მაცხოვრის სიკვდილმა აღასრულა. ეშმაკის ძლევა ღვთაებრივი საქმე იყო და არა ადამიანური. იმიტომაც იტანჯა ქრისტე, რომ ჩვენთვის ყოველივე კეთილი მოენიჭებინა.

ადამიანთა მიერ ჩადენილი ყოველი სათნოების წყარო მაცხოვარია. პავლე ამბობს, თუმცა მისი პირით ქრისტე გველაპარაკება. წმიდანების ხელით მომხდარ სასწაულებსაც ქრისტეს მადლი აღსრულებს. ღვთის მეცნიერების ნათელიც მაცხოვრის ძალით მოეფინა მთელ ქვეყნიერებას, რადგან იგია შუამდგომელი ღმერთსა და ადამიანებს შორის. წმინდა წერილიც ამბობს: „ყველანი ღვთის მიერ განისწავლნენ“ (ეს. 54, 13). ჭეშმარიტად უნდა ვეთაყვანოდ ქრისტეს ჯვარს, რომლის მიერაც სიკვდილი განქარდა, ეშმაკი მოკლა და ჯოჯოხეთი შეიმუსრა.

დიდება შენდა, ღვთის სიტყვაო, ჭეშმარიტო ღმერთო, მამის სიბრძნეო და ძალავ, რომელმაც ეშმაკი შემუსრე და ჩვენც

მოგვეცი ძალა მის დასათრგუნად.

შენი სიკვდილით ცოდვის მონობისა და ტყეობისაგან გამოგვიხსენი.

მშვიდობისმყოფელო, მოწყალე ღვთის ძეო, შენ გვაქციე ღმერთის შვილებად, მამას შეგვარიგე და შენი ჯვარცმით მტრობა განაქარვე.

მდიდარო მაცხოვარო, ტკბილო მეუფეო, ჩვენთვის დაგლახაკდი და გაგვამდიდრე და სასუფეველი მოგვანიჭე.

ყოველივეს შემოქმედო მამის სიტყვაო, შენ დაგვბადე მეორედ და დაძველებულები გაგვაახლე.

ჭეშმარიტო ნათელო და მამის ბრწყინვალებაო, შენ გაგვანათლე დაბნელებულები და ბრმებს ნათელი გვაჩვენე.

ღმერთო და ღვთის სიტყვაო, ჭეშმარიტო ცხოვრებაო, შენ მოგვანიჭე უხრწნელება და მარადიული სიცოცხლე.

ხატო და თანაარსო მამისაო, შენ მოგვიძიე დაკარგულები და ღვთის ხატება და მსგავსება კვლავ დაგვიბრუნე.

შენ შემუსრე ჯოჯოხეთის სატანჯველი და სპილენძის კარიბჭე და რკინის კლიტეები შემუსრე.

შენ მიერ გახდა ეშმაკი ყველასაგან დასაცინი, აღარავის ეშინია მისი, ყველა შენ გეთაყვანებით და შენი გვეშინია, შენ მიერ კი დაუსაბამო მამასა და ყოვლადწმიდა სულს ვადიდებთ.

ისევ მივუბრუნდეთ ზემოთ ნათქვამს. თავისი ჯვარცმითა და სიკვდილით სახიერმა და კაცთმოყვარე ღმერთმა ჩვენ ყველას აღდგომა და სიცოცხლე მოგვანიჭა, ეშმაკის ძალაუფლება კი შეიმუსრა. ებრაელები ხედავდნენ ყოველივეს, მაგრამ ვერ მიხვდნენ, რომ უფლის შეურაცხყოფით თავიანთი დაღუპვა დააჩქარეს. პილატეს მისცეს ქრისტე განსასჯელად და ვერ დაინახეს, რომ იერუსალიმი ჩაუგდეს ხელში რომაელებს. ღვთის მონობა არ ისურვეს, ეშმაკს დაემონნენ და მისი ნება აღასრულეს.

ბარაბა გამოითხოვეს და უფალი კი ჯვარზე გააკვრევინეს, რადგან ბარაბას ცხოვრება, კაცის კვლა და სისხლისღვრა შეიყვარეს, ხოლო ნათელი და ცხოვრება კი მოიძაგეს, რათა ესაიას წინასწარმეტყველება აღსრულებულიყო, რომელიც ამბობს: „აჰა, უფალი საბაოთ წაართმევს იერუსალიმს და იუდას სახ-

სარს და სასოს, პურის მთელ სახსარს. ვაჟკაცს და მეომარს, მსაჯულს და ქადაგს, მისანს და უხუცესს. ორმოცდაათისთავს და დიდებულს, მრჩეველს და ბრძენ ხელოვანს, გრძნეულ შემლოცველს. სარდლებად ბიჭ-ბუჭებს დავუდგენ და ქარაფშუტები იბატონებენ მათზე“ (ეს. 3, 1-4).

ის უბადრუკები უფალს დასცინოდნენ და ვერ ხედავდნენ, თუ როგორ აღსრულდა მათზე წინასწარმეტყველის სიტყვები.

ხოლო როგორც იერემია ამბობს, ჭეშმარიტი ნათელი განეშორა მათ: „მოესპობ მათში სიხარულსა და ბედნიერებას, სიძისა და რძლის ხმას, ნელსაცხებლის სურნელებას და სანთლის სინათლეს“ (იერემ. 16, 9).

წარმართებს გადასცეს უფალი მოსაკლავად და ვერ მიხვდნენ, რომ ცოტა ხანში თვითონ შეიგინებოდნენ წარმართების მიერ და ისინი დაეპატრონებოდნენ მათ სამშობლოს.

უფლის მეუფება უარყვეს და ვერ მიხვდნენ, როგორ დაკარგეს დავითის პატივი, რადგან მისთვის იყო გამზადებული დავითის მეფობა და მაცხოვრის მოსვლამდე მოაღწია, როგორც ამას მამათმთავარი იაკობი წინასწარმეტყველებს: „არ წაერთმევა კვერთხი იუდას, არც არგანი ფერხთა შუიდან, ვიდრე არ მოვა მისი მფლობელი და ის იქნება იმედი ხალხთა“ (დაბ. 49, 10).

იმ უღვთოებმა სამოსელი შემოძარცვეს უფალს და თვითონ კი გაშიშვლდნენ ღვთის შეწევნისაგან და წინასწარმეტყველის სიტყვისაებრ შეიმოსეს ტირილი და გლოვა: „შემოვაცალო ჩემი სამოსი და ჩემი ტილოები აღარ დაფარავენ მის სირცხვილს, ტიროდეს და გლოვობდეს, ფეხშიშველი და ტიტველი თავში იცემდეს“ (მიქ. 1, 8).

შემოსეს უფალს მეწამული ქლამინდი და არ იცოდნენ, რომ მათზე აღსრულდა წინასწარმეტყველის სიტყვები: „თქვენი ხელები სისხლითაა სავსე“ (ეს. 59, 3) და „თქვენს ხელებზე უდანაშაულო სისხლია“ (იერემ. 2, 34).

უფლის თავზე ეკლის გვირგვინის ხილვა ახარებდათ და კი ვერ ხედავდნენ, რომ საკუთარ თავებზე ეკალსა და ძეძვს იგროვებდნენ. „ჩემი ხალხის მიწაზე ეკალი აღმოცენდეს და თითოეულ სახლში მოისპოს სიხარული“ (ეს. 32, 13).

უფალს კიცხავდნენ საკუთარი თავის ღვთის ძედ გამოცხადების გამო და ვერ ხედავდნენ დაბრმავებულები, რომ ღვთის შვილობის მადლს სრულიად კარგავდნენ. ამის შესახებ ამბობს ესაია: „ისმინე ცაო და ყური მიგდე ქვეყანაო, შვილები გავაჩინე და აღვზარდე. მათ კი შეურაცხმყვეს მე და აჰა, დაგრჩებათ ობრად თქვენი სახლები“ (ეს. 1, 2; 5, 8).

ნაღველი და ძმარი ასვეს და ესეც დიდი სიბრმავე იყო, რადგან უფალმა ვაზი ეგვიპტიდან გადმონერგა და მოელოდა მის კეთილ ნაყოფს, ყურძენსა და ღვინოს, ხოლო იმ უგუნურებმა ღვინის ნაცვლად ძმარი და ყურძნის მაგიერ კი ნაღველი შეასვეს უფალს, რათა თავიანთი სოდომური უკეთურება წარმოეჩინათ, როგორც მოსე ამბობს მათ შესახებ: „სოდომის ვენახიდან არის მათი ყურძენი“ (2 შჯულ. 32, 32).

უფალმა, რომელმაც იცოდა, რა ნაყოფის გამომღებელნი იყვნენ ისინი, თავიდანვე უთხრა მათ იგავი ვენახის შესახებ: „გეუბნებით თქვენ, რომ წაგერთმევათ თქვენ სასუფეველი ღვთისა და მიეცემა მოდგმას, რომელიც გამოიღებს მის ნაყოფს“ (მათე 21, 43).

ყოველივე ამასთან ერთად, ჯალათებს გაუნაწილეს უფლის სამოსი და ვერ ხედავდნენ, თუ როგორ გაიფანტებოდნენ მალე წარმართებში, როგორც ამის შესახებ ამბობს წინასწარმეტყველი: „აჰა, მოვა დრო და განაწილდება ნადავლი შენ შორის, შევკრებ წარმართებს იერუსალიმის წინააღმდეგ საბრძოლველად, დაეცემა ქალაქი და დაატყვევებენ მის მკვიდრებს, რადგან არ გეპატიებათ ეს ცოდვა, სანამ არ დაიხოცებით თქვენ, ამბობს უფალი ძალთა“ (ზაქ. 14, 1-2).

მოკლედ რომ ვთქვა: ურჯულოებმა მოკლეს უფალი, თუმცა მისი სიკვდილით ჩვენ გავცოცხლდით. ხოლო მათ კი საკუთარ თავზე მოიწიეს ის დღე, რომლის შესახებაც ამბობდა ესაია: „რადგან შურის-გების დღე აქვს უფალს, ნაცვალგების წელი სიონის სარჩელისათვის. მისი ხევები კუპრად გადაიქცევა და მისი მტვერი — გოგირდად. მისი მიწა მოგიზგიზე კუპრი გახდება, არ ჩაქრება. არც დღე, არც ღამე, უკუნისამდე იდინებს კვამლი, თაობიდან თაობამდე უკაცრიელი იქნება და არავინ იქნება

იქ გამვლელი სამარადისოდ. ჭოტი და ზღარბი დაიმკვიდრებენ მას. ბუკიოტი და ყორანი დაიბუდებს მასში. გაჭიმავს მასზე უსახურობის ლარს. მისი აზნაურნი სამეფოს ვერ გამოაცხადებენ იქ. მისი მთავარნი გადაშენდებიან. მის დარბაზში ეკალი ამოვა, ქაცვი და ძეძვი — მის სიმაგრეებში. ტურების სადგომად იქცევა იგი (ეს. 34, 8-13). ეს ყველაფერი უფლის მკვლელობის გამო დაემართათ ებრაელებს. იესოს სიკვდილით დამსჯელები თვითონ დაისაჯნენ. ახლა კი იხილოს ყოველმა კაცმა, რა ნაყოფი გამოიღო უფლის სიკვდილმა.

მაცხოვრის ჯვარზე სიკვდილმა მთელი ქვეყნიერება აცხონა, წარმართებს ჭეშმარიტი ღმერთი შეაცნობინა, მკვდრები გააცოცხლა, ეკლესია დააფუძნა, ცათა სასუფეველი გაგვიღო, ანგელოზები და ადამიანები შეაერთა, მტრობა მოსპო და გამოუთქმელი სიკეთეები მოგვანიჭა.

განდგომილებამ და უკეთურებამ, უფლის მიმართ გამოჩენილმა ბოროტებამ დაღუპა ებრაელები და მათი ქალაქიც. ისინი ღვთის მკვლელებად იწოდნენ და თავიანთი ცხოვრების წესით ურჩხულებსა და მხეცებს ემსგავსებიან. ამიტომაც მოვიძულოთ ღვთისმებრძოლობის ცოდვა. შევიყვაროთ ქრისტეს ჯვარი, რომელმაც გვაცხონა და თაყვანი ვცეთ მას. ნეტარი პავლეც ამას ამბობდა: „ღმერთმა ნუ ქნას, რომ სხვა რამით ვიქადოდე და არა ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ჯვრით, ვისითაც ქვეყანა ჩემთვის ეცვა ჯვარს და მე ქვეყნისათვის“ (გალ. 6, 14); და თავად უფალი ბრძანებს: „და ვინც არ აიღებს თავის ჯვარს და შემომიდგება მე, არ არის ჩემი ღირსი“ (მათე 10, 38).

ხოლო მეექვსე ჟამიდან დაბნელდა მთელ ქვეყანაზე მეცხრე ჟამამდე და დაახლოებით მეცხრე ჟამზე შეღაღადა იესომ დიდი ხმით და თქვა: „ელი, ელი, ლამა საბაქთანი?“ ეს არის: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რისთვის დამტოვე მე?“ და ზოგიერთმა იქ მდგომმა გაიგონა და ამბობდა: ელიას უხმობს ეს. და მაშინვე გაიქცა ერთი მათგანი და აიღო ღრუბელი, აავსო ძმრით და დააგო ლერწამზე და ასმევდა მას (27, 45-48).

მაცხოვრის ჯვარცმა, სიკვდილი, დამარხვა და აღდგომა არის ის სასწაული, რომლის შესახებაც სასწაულის მომლოდინე

ებრაელებს იგავური ენით უთხრა იესო ქრისტემ: „მოდგმა ბოროტი და მრუში სასწაულს ეძებს და სასწაული არ მიეცემა მას, გარდა იონა წინასწარმეტყველის სასწაულისა“ (მათე 12, 39).

სხვა ადგილასაც ლაპარაკობს უფალი ჯვრის ძალაზე და ამბობს: „როცა აამაღლებთ ძეს კაცისას, მაშინ გაიგებთ, რომ მე ვარ“ (იოანე 8, 28), ესე იგი, როდესაც ჯვარს მაცმევთ და იფიქრებთ, რომ მძლიეთ, მაშინ უფრო მეტად გაიგებთ ჩემს ძალას. აღსრულდა მაცხოვრის სიტყვები, ჯვარცმის შემდეგ ებრაელების ქალაქი განადგურდა, მათ კი თავისუფლება და დიდება დაკარგეს.

ქრისტეს ქადაგება კი აყვავდა, მთელ ქვეყნიერებას მოეფინა და მის ძლევამოსილებაზე ღაღადებს ყველა და ყველაფერი: ზღვა და ხმელეთი, უდაბნოები და ქალაქები. მაცხოვრის ჯვარცმისასაც მრავალი სასწაული მოხდა: მზის დაბნელება, მიწის ძვრა, ტაძრის კრეტსაბმელის შუაზე გახევა, საფლავის გაღება და მკვდართა აღდგომა. ეს ყველაფერი მაცხოვრის ხელით მისი ხორციელი ცხოვრებისას მომხდარ სასწაულებზე უფრო მეტად საკვირველი იყო, რომლის მსგავსიც არასოდეს არაფერი მომხდარა. ეგვიპტეშიც მრავალი საოცრება მოხდა, რაც ყოველივე ამის წინა სახეს წარმოადგენდა, თუმცა საფლავების გახსნას, მიცვალებულების გაცოცხლებას, ვერაფრით შეედრებოდა. მთელმა ქვეყანამ იხილა მაცხოვრის ჯვარცმისას მომხდარი სასწაულები, თუმცა გულფიცხელმა ებრაელებმა ვერაფერი შეიგნეს და არც მოინანიეს. ისინი კვლავ ამბობდნენ: „გადმოვიდეს ახლა ჯვრიდან და ვირწმუნებთ მას“ (მათე 27, 42).

უგუნურებო, განა ჯვრიდან გადმოსვლაზე უფრო დიდი სასწაულები არ მოახდინა უფალმა თქვენ წინაშე?! აი, უდიდესი გულბოროტება და უგუნურება მათი! განა ცხადი არ იყო, რომ მზის დაბნელება, რომელიც სამ საათს გაგრძელდა, ჩვეულებრივ მოვლენას არ წარმოადგენდა, რადგან ბუნების კანონით მისი ხანგრძლივობა ერთ საათს არასოდეს აღემატება. მაშინ კი მზის სრული დაბნელება სავსე მთვარობისას მოხდა, რაც ბუნების კანონზომიერებას არღვევს. შეუძლებელია, როდესაც მთვარე სავსეა, მაშინ მოაკლდეს მზეს ნათელი. ბუნებრივად მზე ბნელ-

დება იმ დღეს, როდესაც მთვარე წამოეწევა, მის ქვეშ გაივლის და დაფარავს. საუსმთავარობისას კი ეს შეუძლებელია, გინდა უფლის მიერ ქმნილ საკვირველებად ჩაეთვალათ ეს საქმე და გინდა მამის მიერ მოწევნულ რისხვად, საჭირო იყო სინანული, რაც გულბოროტმა ებრაელებმა არ ინებეს.

შეიძლება ვინმემ თქვას, ამ სასწაულებმა როგორ არ გააოცა ხალხი და როგორ არ ირწმუნეს ღმერთიო? მაგრამ ცხადი ხდება, რომ მაშინ ადამიანთა მოდგმა დიდი საცდურით იყო შეპყრობილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკვირველებებმა ყველა შეაკრთო, მალე გაუარათ შიშმა. ისე იყვნენ დაბნელებულები, რომ ამ საქმის მიზეზი აღარ უძებნიათ და ბუნებრივ მოვლენად ჩათვალეს იგი.

ებრაელებს სათქმელი არაფერი აქვთ, რადგან ცხადად მიხვდნენ, რომ ქრისტეს ჯვარცმის გამო დაბნელდა მზე, იძრა მიწა და მოხდა სხვა ყველაფერი. სხვა ბევრი სასწაულიც იხილეს, მაგრამ არ ირწმუნეს. ამ საკვირველებათა მხილველნი იდგნენ და კვლავ შეურაცხყოფდნენ უფალს.

აშკარა გახდა ყველასთვის, რომ ქრისტეს ძალით ხდებოდა ის საშინელი საოცრებები, ამიტომაც დიდი ხმით თქვა იესომ მეცხრე ჟამზე, რათა ყველას გაეგო, რომ ცოცხალი იყო და მის მიერ ხდებოდა ეს ყველაფერი მათ მოსაქცევად და ცოდვების მოსანანიებლად. თუმცა მათ შორის ერთი კაციც არ აღმოჩნდა გულისხმისმყოფელი. „პირღია სამარე იყო მათი ხორხი, მათი ენა ტყუილს ამბობდა. დასაჯე ისინი, ღმერთო, უტყვი გახადე მათი მზაკვარი ბაგეები, რომლებიც მართალზე ამბობენ ურჯულოებას“ (ფსალმ. 52, 4; 5, 11; 30, 19), ჩვენ კი სათქმელს დავუბრუნდეთ.

„მეცხრე ჟამზე შეღაღადა იესომ დიდი ხმით და თქვა: „ელი, ელი, ლამა საბაქთანი?“ ეს არის: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რისთვის დამტოვე მე?“ (27, 46).

ეს თქვა მაცხოვარმა, რათა ყველას გაეგო, რომ იგი არ იყო ღვთის მოწინააღმდეგე, არამედ აღსასრულამდე პატივს სცემდა მამას, ასევე რათა მისი მგმობი ებრაელები შეერცხვინა.

ხოლო რატომ თქვა: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რისთ-

ვის დამტოვე მე“? არა იმიტომ, რომ ის მამისაგან ან თავისი ღვთაებრივი ბუნებისგან იყო მიტოვებული, არამედ, როგორც უკვე ბევრჯერ ვთქვით, მიიღო რა ადამიანური ბუნება, ყველაფერი ჩვენი შეიმოსა. მაცხოვრის ეს სიტყვები კაცთა მოდგმის მდგომარეობას წარმოაჩენდა, რომელიც მართლაც მიტოვებული იყო, ქრისტეს ჯვარცმით კი ისევ დაუბრუნდა მამას.

*სახარება: **ზოგიერთმა იქ მდგომმა გაიგონა და ამბობდა ელიას უხმობს ეს და მაშინვე გაიქცა ერთი მათგანი და აიღო ღრუბელი, აავსო ძმრით და დააგო ლერწამზე და ასმევდა მას, ხოლო დანარჩენები ამბობდნენ: აცალეთ, ვნახოთ, თუ მოვა ელია მის დასახსნელად (27, 47-49).***

ნახეთ მათი ენითაუწერელი ურჯულოება და სიბოროტე. ჯვარზე გაკრულს ისევ ტანჯავდნენ, ზოგი ძმარს ასმევდა, ზოგი დასცინოდა, გმობდა, ერთმა სიკვდილის შემდეგ შუბი აძგერა მის გვერდს. უფალმა კი მათი ურჯულოება ჩვენ საცხონებლად გამოიყენა. მისი ლახვრით განგმირული გვერდიდან ჩვენი სიცოცხლის წყაროები გადმოედინა. სიტყვები „ელი, ელი! ლამა საბაქთანი“ ებრაულ ენაზეა ნათქვამი, თუმცა ბოროტებით გონდაკარგულმა ებრაელებმა ვერ გაიგეს მისი აზრი ან კიდევ არ ინებეს გაგება და არც რომაელ და ბერძენ ჯარისკაცებს განუმარტეს.

*სახარება: **ხოლო იესომ კვლავ შეღაღადა დიდი ხმით და განუტევა სული (27, 50).***

ამას ნიშნავს სწორედ მაცხოვრის სიტყვები: „მე ვდებ ჩემს სულს, რათა კვლავ მივიღო იგი, ვერავინ წაიღებს მას ჩემგან, არამედ მე ვდებ მას თვითონ; ხელმეწიფება მისი დადება და ხელმეწიფება კვლავ მისი მიღება“ (იოანე 10, 17-18). ხმამაღლა იმიტომ შეღაღადა მამას, ეჩვენებინა, რომ საღვთო ძალაუფლებით აკეთებდა ყველაფერს.

ამიტომაც ირწმუნა იმ ასისთავმა, როდესაც დაინახა, რომ იესო ჯვარზე საღვთო ძალაუფლებით მოკვდა, მისმა ხმამ ტაძრის ფარდა გააპო, მიწა შეძრა, საფლავები გააღო და მკვდრები აღადგინა.

ტაძრის კრეტსაბმელის გახევით უფალმა ღვთის სახლი

კი არ შეურაცხყო, არამედ ებრაელები გამოაჩინა მასში ყოფნის ულირსად. ამავე დროს, ფარდის გახევა მოასწავებდა ძველი აღთქმის ტაძრის გაუქმებას და მისი უკეთესით შეცვლას.

აი, საკვირველება! ელისეს მიერ ერთი მიცვალებულის გაცოცხლებამ ყველა გააოცა, ჯვარზე გაკრულმა კი თავისი ხმით ურიცხვი მკვდარი აღადგინა და უბრალოდ კი არა, არამედ მიწაც შეიძრა, კლდეები დასკდა, რათა მიმხვდარიყვნენ უგუნურები, რომ მათი განადგურებაც ხელეწიფებოდა უფალს. მაგრამ ყოვლადმოწყალე ღმერთმა დაინდო ისინი და თავისი რისხვა უსულო საგნებს დაატეხა, რათა ურჯულოები შეშინებულიყვნენ და მოქცეულიყვნენ. თუმცა მათ ეს არ ინებეს.

ასეთია შური, მას არ შეუძლია, უკეთესი დაინახოს. ასე დაემართათ იმ ურჯულოებსაც, რომლებმაც მცველებსაც კი დიდძალი ფული გადაუხადეს, რათა ქრისტეს აღდგომა დაემალათ.

განა არ იცოდნენ, რომ ჯვარცმისას მომხდარი სასწაულები ქრისტეს ძალით ხდებოდა, მაგრამ არ ისურვეს დაენახათ, რომ ეს საკვირველებები მორწმუნეთა ცხონებას, ხოლო მათთვის მომავალ სასჯელს მოასწავებდა: „თუ მეფეა ისრაელისა, გადმოვიდეს ახლა ჯვრიდან და ვირწმუნებთ მას“ (მათე 27, 42), ამბობდნენ უფლის მტრები, ხოლო მაცხოვარმა გამოაჩინა, რომ არა მხოლოდ ისრაელის, არამედ მთელი ქვეყნიერების მეფეა იგი. ურჯულოები ეუბნებოდნენ: „ეჰა, რომელიც ანგრევ ტაძარს და სამ დღეში აშენებ“ (მათე 27, 40), უფალმა კი აჩვენა, რომ ეს ტაძარი სამუდამოდ დაინგრეოდა. ისინი კვლავ აყვედრებდნენ: „სხვები იხსნა; თავისი თავის ხსნა კი არ ძალუძს“ (მათე 27, 42), ხოლო ჯვარზე გაკრულმა მხსნელმა მკვდრების აღდგენით გამოაჩინა თავისი ძალაუფლება. თუკი ოთხი დღის მკვდარი ლაზარეს აღდგინება იყო საკვირველი, რამდენად უფრო დიდი საოცრება იყო ურიცხვი დიდი ხნის მიცვალებულის მოულოდნელი გაცოცხლება, რაც მომავალ საყოველთაო აღდგომას მოასწავებდა. „მრავალი გვამი განსვენებულ წმიდანთა აღდგა და გამოვიდნენ საფლავებიდან მისი აღდგომის შემდეგ, შევიდნენ წმიდა ქალაქში და გამოეცხადნენ მრავალთ“ (მათე 27, 52-53). აღმდგარი მკვდრები მრავალს გამოეცხადნენ, რათა ეს სასწაული

მოჩვენებად კი არა, სინამდვილედ ჩაეთვალათ. ლუკა მახარებელი გვეუბნება მაცხოვრის უკანასკნელი სიტყვების შესახებ: „და შეჰყვირა დიდი ხმით და თქვა: „მამაო, შენს ხელთ შევევედრებ ჩემ სულს“ და ეს თქვა და განუტევა სული (ლუკა 23, 46).

„ხოლო ასისთავი და ვინც მასთან ერთად სდარაჯობდა იესოს, როცა ნახეს, რომ მიწა იძრა და რაც მოხდა — შეშინდნენ ძლიერ და თქვეს: ჭეშმარიტად ძე ღვთისა იყო იგი“ (მათე 27, 54). ისეთი დიდი გახლდათ ჯვარცმული უფლის ძალა, რომ უამრავი სასწაული აღასრულა და ასისთავმა ირწმუნა მისი. იგი შემდეგ ქრისტეს სახელის გულისათვის კიდეც ეწამა და ამით დაადასტურა თავისი უფლისადმი სიყვარული.

სახარება: და იყო იქ მრავალი დედაკაცი, რომლებიც შორიდან უყურებდნენ და რომლებიც გაჰყვნენ იესოს გალილეიდან და ემსახურებოდნენ მას, რომელთა შორის იყვნენ მარიამ მაგდალელი და მარიამი, იაკობისა და იოსეს დედა და დედა ზებედეს ძეთა (27, 55-56).

გასაოცარია უფლის მოწაფე დედების ქალური გულჩვილობა და, ამავე დროს, დიდი მხნეობა. ისინი მაცხოვარს ემსახურებოდნენ და აღსასრულამდე არ მოშორებიან მას. ჯვარცმისასაც არ შეშინებიათ ებრაელებისა, არამედ იქ იდგნენ და ყველა სასწაულიც თავისი თვალით იხილეს. ამიტომაც მათ პირველებმა ნახეს აღმდგარი უფალი. მოწაფეები გაიქცნენ, ხოლო დედები ვერაფერმა შეაშინა.

სახარება: ხოლო როდესაც მოსაღამოვდა, მოვიდა მდიდარი კაცი არამათიიდან, სახელად იოსები, რომელიც თვითონაც დამოწაფებოდა იესოს. იგი მივიდა პილატესთან და გამოითხოვა იესოს გვამი. მაშინ პილატემ ბრძანა, მიეცათ და აიღო გვამი იოსებმა და გაახვია იგი წმინდა სუდარაში და დადო იგი თავის ახალ საფლავში, რომელიც გამოეკვეთა კლდეში და მიაგორა დიდი ლოდი საფლავის კართან და წავიდა (27, 57-60).

განმარტება: ეს იოსები თავიდან იესოს ფარული მოწაფე იყო. მაცხოვრის სიკვდილის შემდეგ კი დიდი გამბედაობა გამოიჩინა. იგი ვინმე უბრალო კაცი კი არა, ფრიად წარჩინებული პიროვნება გახლდათ. თავი სასიკვდილოდ გაწირა და ქრისტეს სიყვარუ-

ლის გამო ურჯულოთა მთელ შესაკრებელს დაუპირისპირდა. შევიდა პილატესთან და მთელი სულითა და გულით გამოითხოვა ქრისტეს გვამი. იოსები მთელი არსებით ჩასწვდა მაცხოვრის ჯვარზე სიკვდილის საღვთო განგებულებას. ქრისტეს ჯვარზე გაპყრობილმა ხელებმა ყველა დაბადებული ღმერთთან შეაერთა, უხილავი ბოროტი ძალები შეარცხვინა და გააწბილა, ჩვენ კი უკვდავება მოგვანიჭა. მაშინ კი დახარა თავისი წმიდა თავი და უბრძანა სიკვდილს, როგორც მონას, რომ მასთან მისულიყო. სიკვდილი შიშით მიეახლა მაცხოვარს მისი საღვთო ნების აღსასრულებლად. მაშინ უფლის წმინდა სხეული, რომელიც ქერუბიმებსა და სერაბიმებსაც შიშსა და ძრწოლას გვრიდა, მოკვდა, როგორც მან თავადვე ინება. მაცხოვრის სული ჯოჯოხეთში წავიდა სახარებლად და იქ შეპყრობილი სულების გამოსახსნელად, ხოლო მისი ღვთაებრივი ბუნება განუშორებლად იყო სულთანაც და ხორცთანაც. ძე ღვთისას განკაცების შემდეგ მისი ღვთაებრივი ბუნება განუშორებელია ადამიანურისაგან. იგი უვნებლად იყო ზეცაშიც და საფლავშიც, მას კი არაფერი უშავდებოდა, არამედ მისი ღვთაებრიობისაგან ადამიანური სხეულიც უხრწნელად დაიცვებოდა. ამ ყველაფერს იოსები რწმენითა და სიყვარულით ჩასწვდა და გაბედულად მივიდა პილატესთან. შევიდა და ევედრებოდა მას: გევედრები შენ, მთავარო, იმ მკვდრისათვის, რომელსაც ებრაელებმა ცილი დასწამეს, დასაჯეს და ჯვარცმისას მეგობრებმაც კი მიატოვეს. მისთვის, რომელიც საკუთარი ნებით მოკვდა, რადგან თუ იგი არ ინებებდა, ვერ შეძლებდით, მოგეკლათ იგი. გთხოვ, გარდამოვხსნა ჯვრიდან იგი, ვინც არავის არაფერი ავნო, უდანაშაულოდ დაისაჯა და ჩვენ უსაზღვრო სიკეთე მოგვიტანა. მაჩუქე, პილატე, ეს განძი, რომლის უმჯობესი არაფერი გაბადია. მომანიჭე ეს მადლი, რომელიც თვითონ აავსებს მადლითა და სიხარულით თავის მაძიებლებს. მომმადლე მე ეს სიცოცხლის მომნიჭებელი მკვდარი, რათა მიწაში დავმარხო. მომეცი ის სამგზის სანატრელი, რომლის სიკვდილიც ყოველმა დაბადებულმა იგლოვა, რომლის ჯვარზე ხილვისას ტაძარმა თავისი კრეტსაბმელი მოიხია, მზემ ნათელი დაფარა, კლდეები დასკდა და ქვეყანა შეიძრა. უნდა ვემთხვიო ჭრილო-

ბებს მის წმინდა ხელებზე, რომლითაც ჩემი სულის წყლულები განიკურნა. შევეხო მის უხრწნელ გვერდს, საიდანაც ჩემი სიცოცხლის წყარო აღმოცენდა. ჩემი ხელით უნდა შევსუდრო და დავკრძალო ცოდვილთა მოძღვარი და ყოველგვარი სიმართლის მასწავლებელი. შევეხო ნეტარების მომნიჭებელ მის უცოდველ გვამს. საფლავში წავასვენო ის, ვინც საფლავები უნდა გააღოს. ავუნთო ჯოჯოხეთში შეპყრობილებს უკვდავების სანთელი.

ასე ლმობიერად ელაპარაკებოდა იოსები და პილატე კი სულითა და გულით ტკბილად უსმენდა. უფალი იესოს ძალა აძლევდა მის გულს მორჩილებას. მაშინ პილატემ ბრძანა, იესოს გვამი გადაეცათ იოსებისათვის, რომელიც საჩქაროდ მივიდა, ჯვრიდან გადმოხსნა და მხურვალე ცრემლებით ემთხვია მაცხოვრის წმინდა სხეულს სიტყვებით: „თუკი ავადმყოფი დედაკაცი განიკურნა მისი სამოსლის კიდეზე შეხებით, მისი წმიდა გვამის შეხებით მე არ განვიკურნები?“ როგორც იოანე მახარებელი მოგვითხრობს, სუდარაში გახვეული უფლის წმიდა სხეული ნელსაცხებლის ცხებითა და მხურვალე ცრემლებით გააპატიოსნეს და იოსების ახალ საფლავში დაასვენეს, სადაც ჯერ არავინ იყო დაკრძალული. მაცხოვრის ახალ საფლავში დაკრძალვაც საღვთო განგებულებით მოხდა, რათა ეჭვი არავის შეპარვოდა იმაში, რომ სხვა ვინმე აღდგა. ქრისტე საფლავად დაიდო და აღდგა მესამე დღეს.

*სახარება: **იყო იქ მარიამ მაგდალელი და სხვა მარიამი, რომლებიც ისხდნენ საფლავის წინ (27, 61).***

განმარტება: მხურვალე და უშიშარი იყო დედების გული და ამიტომაც არ შორდებოდნენ თავიანთი მოძღვრის საფლავს, რათა ნელსაცხებელი ეცხოთ. თუმცა ჯერ ვერ ახერხებდნენ, რადგან მცველები იდგნენ და უამრავი ხალხი ირეოდა.

იოანეს სახარება
წმინდა იოანე ოქროპირის განმარტება*

სახარება: „რომ არ ყოფილიყო იგი ბოროტმოქმედი, შენ არ გადმოგცემდით მას“ (18, 30).

განმარტება: ჰოი, უგუნურება! რატომ ამბობთ, რომ „ბოროტმოქმედია“ და ვერანაირ ბოროტებაში კი ვერ ამხილებთ? ხედავ, ბრალი ვერაფერში დასდეს! ანამ გამოკითხა მისი სწავლების შესახებ და ვერანაირი დანაშაული ვერ უპოვა, გააგზავნა კაიაფასთან, კაიაფამაც ვერაფერი აღმოაჩინა და მიიყვანა პილატესთან. პილატემ კი უთხრა: „რას აბრალებთ ამ კაცს?“ და რადგან ვერც ერთი სარწმუნო ბრალდება ვერ მოისმინა, ამიტომაც უთხრა მათ:

სახარება: „წაიყვანეთ იგი თქვენ და თქვენი სჯულისამებრ განსაჯეთ იგი“. უთხრეს მას იუდეველებმა: „ჩვენ არ გვაქვს უფლება ვინმე მოვკლათ“, რომ აღსრულებულიყო იესოს სიტყვა, რომელიც თქვა, რომ მიენიშნებინა, როგორი სიკვდილით უნდა მომკვდარიყო (18, 31-32).

განმარტება: ამას მახარებელი იმიტომ ამბობს, რომ ქრისტე არა მხოლოდ ებრაელთათვის, არამედ წარმართებისთვისაც უნდა მომკვდარიყო. ამიტომაც თქვეს: „ჩვენ არ გვაქვს უფლება ვინმე მოვკლათ“.

ებრაელები დამნაშავეებს ჯვარზე კი არ აკრავდნენ, არამედ სხვანაირი სიკვდილით სჯიდნენ. ისე, როგორც სტეფანე ჩაქოლეს ქვებით და ჯვარს არ აცვეს. ქრისტესი კი ჯვარცმა უნდოდათ. პილატემ ეს საშინელი სასჯელი არ აღასრულა, პრეტორიუმში შეიყვანა იესო და ჰკითხა:

სახარება: „შენ ხარ მეფე იუდეველთა?“ მიუგო იესომ: შენ თვითონ ამბობ მაგას, თუ სხვებმა გითხრეს ჩემ შესახებ?“ (18, 34).

განმარტება: რატომ ჰკითხა ეს უფალმა? იმიტომ, რომ ებრაელთა უგუნურება გამოეაშკარავებინა. პილატეს მრავალ-

* ძველქართულად ტექსტი იხ. გვ.480.

გზის სმენოდა ეს სიტყვები, რადგან ებრაელები სხვა ვერანაირ ბრალს ვერ უყენებდნენ იესოს. პილატემ ამ ბრალდების გამო ებრაელებს ნება მისცა, თავიანთი რჯულის მიხედვით განესაჯათ მაცხოვარი. მათ კი უარი თქვეს: „ჩვენ არა გვაქვს უფლებაო“, რათა ეჩვენებინათ, რომ იესოს დანაშაული მხოლოდ ებრაელებს კი არა, ყველას ეხებოდა; ამიტომაც ჰკითხა პილატემ იესოს: „შენ ხარ იუდეველთა მეფე?“ ქრისტემ განა არ იცოდა, პილატე თავისით ამბობდა, თუ სხვებისგან განაგონს იმეორებდა, მაგრამ მასაც რომ სცოდნოდა ებრაელთა საქმეები, უთხრა: „სხვებმა გითხრეს?“ რომლის გამოც პილატემ თქვა:

სახარება: „განა მე იუდეველი ვარ? შენმა ხალხმა და მღვდელთმთავრებმა გადმომცეს შენი თავი; მაინც რა გააკეთე?“ (18, 35).

განმარტება: პილატეს სურდა საკუთარი თავი სრულიად უდანაშაულოდ წარმოეჩინა და რადგან ჰკითხა „შენ ხარ იუდეველთა მეფე?“ ამიტომაც ჰკითხა იესომ: „ეს ებრაელებისგან გაიგე? რატომ გულმოდგინედ არ გამოიძიებ დანაშაულს, მე ხომ ბოროტმოქმედი მიწოდეს? რატომ არ ეკითხები, რა ბოროტება ჩავიდინე? მაგრამ ამას არ აკეთებ და უაზრო მიზეზებს ეძებ! პილატეს არ შეეძლო ეთქვა — სხვებმა მითხრესო, იგი მხოლოდ ხალხის ნებას და მოთხოვნას აჰყვა.

სახარება: „ჩემი მეფობა არ არის ამ სოფლისა“ (18, 36).

განმარტება: პილატე არ იყო სხვებივით უკეთური, ამიტომაც ეუბნება იესო მას ამ სიტყვებს, რათა მიეხვედრებინა, რომ მის წინაშე უბრალო კაცი კი არა, ღმერთი და ძე ღვთისა იდგა და უთხრა:

სახარება: „ამ სოფლისგან რომ ყოფილიყო ჩემი მეფობა, ჩემი მსახურები იბრძოლებდნენ, რომ არ გადაეცათ ჩემი თავი იუდეველებისათვის“ (18, 36).

განმარტება: რისიც ეშინოდა პილატეს, რომ იქნებ მეფობას ეძიებს იესო და ამის გამო კეისრის რისხვა არ დამატყდესო, ის განუქარვა ქრისტემ. მაგრამ თვით ეს სიტყვები რას ნიშნავს? განა ამქვეყნიერების მეუფეც არ არის მაცხოვარი? იგი ყოველივეს მეუფეა. უფალმა ის კი არ თქვა, რომ ქვეყნიერების

უფალი არ ვარო, არამედ ის, რომ ზეციდანაა მისი მეუფების დასაბამი, ხოლო აქ თავისი ნებით მისცა თავი დასასჯელად. მაგრამ ამას ჯერ არ ამბობს. შემდეგ თქვა, რომ: „ჩემი მსახურები იზრუნებდნენ ჩემზეო“. ამით წარმოაჩენს უძლურებას ამქვეყნიური მეუფებისა, რომელიც ქვეშევრდომთა მსახურებაზეა მინდობილი. ხოლო ზეციური მეუფება სხვაგვარია, იგი თავადაა ყველაფრის უფალი. მწვალებლებმა კი მაცხოვრის ეს სიტყვები: „ჩემი მეფობა არ არის ამ სოფლისაგან“ ისე გაიგეს, თითქოს იგი არ არის შემოქმედი ღმერთი, ვერ შეიცნეს მასში დამბადებელი, არ ინებეს თვალის გახელა და ჭეშმარიტების დანახვა. ხოლო ამ სიტყვების შესახებ რაღას იტყვიან: „თავისიანებთან მოვიდა და თავისიანებმა არ შეიწყნარეს“ (იოანე 1, 11). როგორც მოციქულებზე ამბობს: „არ არიან ამ სოფლისაგანნი, როგორც მე არ ვარ ამ სოფლისაგანი“ (იოანე 17.16), ასევე ამბობს მეუფებაზეც. არა იმიტომ, რომ თითქოს იგი არ არის ამქვეყნის მეუფე და ეს სოფელი უცხოა მისი ხელმწიფებისაგან, არამედ იმის გამო, რომ წარმოეჩინა ზეციური მეუფების აღმატებულება, გაუხრწნელობა და მარადიულობა. ნახე, რას ამბობს პილატე:

*სახარება: **უთხრა მას პილატემ: „ესე იგი, მეფე ხარ შენ?“ მიუგო იესომ: „შენ ამბობ, რომ მეფე ვარ. მე ამისთვის ვარ შობილი“ (18, 37).***

რადგანაც მეუფედაა დაბადებული, სხვა ყველაფერი შობიდანვე აქვს. როცა გაიგებ, რომ „როგორც მამას აქვს ცხოვრება თავის თავში, ასევე ძესაც მისცა“ (იოანე 5, 26), სხვას ნურაფერს მოიაზრებ, გარდა შობისა. რადგან ძეს მამასთან ერთად ყოველივე დაუსაბამოდ და სამარადისოდ აქვს და ამბობს — იმისათვის მოვედი, რათა ჭეშმარიტება დავამოწმო, ე.ი. „თავად ვასწავლო ყველას, რათა შეიცნონ, რომ ჭეშმარიტად უფალი ვარო“.

*სახარება: **„მე ამისთვის ვარ შობილი და ამისთვის მოვედი ამ სოფლად, რათა ვმოწმობდე ჭეშმარიტებას. ყოველი, რომელიც ჭეშმარიტებისგან არის, ისმენს ჩემი ხმისას“ (იოანე 18, 38).***

საოცარია სულგრძელობა, რადგან ნავთსაყუდელში მიყვანილივით აწყნარებს სულს, ათავისუფლებს ღელვისაგან და

ბოროტი სულებისაგან. ეს ქრისტემ მრავალგან გვასწავლა. ყველაზე მეტად კი, როცა ებრაელებმა შეიპყრეს, რადგან ანასაც ფრიადი სიწყნარით პასუხობდა და იმ მონასაც, რომელმაც ყვრიმალში გაარტყა დიდი სულგრძელებითა და ურისხველობით მიუგებდა. ასევე კაიაფასა და შემდგომ პილატესთან მისულმაც დიდი სიმშვიდე გამოამჟღავნა. ისინი ამბობდნენ მასზე: „ბოროტმოქმედი არისო“, თუმცა ვერაფრით უმტკიცებდნენ, თვითონ კი დუმდა. ხოლო როცა პილატე მეუფების შესახებ შეეკითხა, მაშინ უპასუხა მას, რათა ესწავლებინა და მისი გონება აემაღლებინა. ხოლო პილატემ რატომ შეიყვანა იესო თავისთან და არ დაკითხა ებრაელების წინაშე? იმიტომ, რომ დიდი აზრის იყო იესოზე და ხალხის შფოთსა და ამბოხს ხელი რომ არ შეეშალა, განცალკევებით დაელაპარაკა, რათა კარგად გარკვეულიყო სიმართლეში. პილატეს შეკითხვაზე: „რა გააკეთე?“ იესომ არაფერი მიუგო, ხოლო როცა მეუფების შესახებ ჰკითხა, მაშინ უფალმა უპასუხა, რომ: „ჩემი მეფობა არ არის ამ სოფლისაგან“. ესე იგი, მეუფე ვარ, მაგრამ არა ისეთი, როგორიც შენ გგონია, არამედ გაცილებით ბრწყინვალე და დიდი და იმისთვის ვარ დაბადებული და შობილი, „რათა ვმოწმობდე ჭეშმარიტებას“. ამ სიტყვებით უჩვენებს და აგრძნობინებს მას, რომ არანაირი ბოროტება არ ჩაუდენია, რადგან თუკი ჭეშმარიტებისათვის იყო შობილი და მოვლენილი, როგორღა ჩაიდენდა ბოროტებას? „ყოველი, რომელიც ჭეშმარიტებისაგან არის, ისმენს ჩემი ხმისას“. ეს იმას ნიშნავს, რომ „ვისაც უყვარს და სწადია ჭეშმარიტება, ჩემსას მოისმენს“. და ისე შემოატრიალა პილატეს გონება ამ მცირე საუბარით, რომ მან იკითხა: „რა არის ჭეშმარიტება?“ და როდესაც მიხვდა, რომ დიდი დრო დასჭირდებოდა ქრისტეს სწავლების გასაგებად, გარეთ გავიდა, რათა იგი ეხსნა ებრაელთა ხელთაგან და უთხრა მათ: „მე ვერავითარ ბრალს ვერ ვპოულობ მასში“. ნახე, როგორ გონივრულად მოიქცა, ჯერ იესოს ბრალეულობა გამოიკითხა და როცა გაიგო, რას ედავებოდნენ, მაშინ მის გათავისუფლებაზე დაელაპარაკა: თუ როგორც უდანაშაულოს არ გაუშვებთ, მაშინ როგორც დამნაშავე შევიწყალოთ ამ დღესასწაულზეო.

სახარება: „გაქვთ თქვენ ჩვეულება, რომ ერთი გაგითავისუფლოთ თქვენ პასექზე, გინდათ, რომ გაგითავისუფლოთ თქვენი მეფე იუდეველთა? კვლავ აყვირდა ყველა და თქვა: ეგ არა, არამედ ბარაბა; და იყო ბარაბა ავაზაკი“ (18, 39-40).

ჰოი, უკეთურთა უგუნურება! თავიანთი მსგავსი კაცისმკვლელის გათავისუფლებას ითხოვენ და უდანაშაულოს კი სასიკვდილოდ იმეტებენ. ეს ებრაელთა ძველი ჩვეულება იყო. შენ კი ჩასწვდი უფლის საოცარ სულგრძელობასა და კაცთმოყვარეობას. შემდეგ პილატემ იმიტომ აცემინა, რომ იქნებ ამით ებრაელთა გულისწყრომა დაეცხრო და სასიკვდილოდ აღარ გაემეტებინათ. ამისთვისვე აწამა და დართო მხედრებს ნება, იესოსთვის მეწამული სამოსით შეემოსათ და თავზე ეკლის გვირგვინი დაედგათ. გვირგვინშემოსილი კი ებრაელების წინაშე გაიყვანა, რომ მათი მრისხანება დაეცხრო. იქნებ შეურაცხყოფილის ხილვით დამცხრალიყვნენ და გესლი ამოეგდოთ გულიდან. უფალი კი ყოველივე ამაზე დუმდა, როგორც პირველი დაკითხვისას.

ხოლო შენ მხოლოდ ამ სიტყვებს ნუკი მოისმენ, არამედ გონებითაც წარმოიდგინე ყოველი დაბადებულის მეუფე მხედართა დაცინვას როგორ ითმენდა უსიტყვოდ, როგორ ხვდებოდა დუმილით მათ გინებასა და შეურაცხყოფას. დაფიქრდი და შენც მიემსგავსე უფალს საქმით. რადგან პილატემ თქვა: „მეუფე ჰურიათაჲ“, დაცინვით შემოსეს სამეუფოდ, შემდეგ კი გაიყვანა ხალხის წინაშე და თქვა: „ვერავითარ ბრალს ვერ ვპოულობ მასში“ (იოანე 13, 38).

სახარება: გამოვიდა იესო გარეთ ეკლის გვირგვინით და ძოწეულის სამოსით და უთხრა მათ პილატემ: „აჰა, კაცი“. და როცა იხილეს იგი მღვდელმთავრებმა და მსახურებმა, აყვირდნენ: „ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი!“ უთხრა მათ პილატემ: „წაიყვანეთ იგი თქვენ და ჯვარს აცვით, რადგან მე ვერ ვპოულობ მასში ბრალს“ (19, 5-6).

განმარტება: აქედან ჩანს, რომ პილატემ ყველაფერი ებრაელთა ბოროტების დასაცხრობად გააკეთა, რადგან ამბობს, რომ „მე ვერ ვპოულობ მასში ბრალს“. ხედავ, პილატე კვლავ და კვლავ თავს არიდებს იესოს დასჯას, მაგრამ ძაღლის ბუნე-

ბას მიმსგავსებულები ვერაფრით მოდრიკა. ებრაელებმა იესო პილატესთან მიიყვანეს, რათა მას სიკვდილით დასჯის მსჯავრი გამოეტანა, მაგრამ მოხდა საპირისპირო — პილატემ იესოს უდანაშაულობა აღიარა. მაშინ შერცხვენილმა ებრაელებმა ახალ ხრიკს მიმართეს და თქვეს:

*სახარება: **„ჩვენ სჯული გვაქვს და ჩვენი სჯულისამებრ უნდა მოკვდეს, რადგან თავი ძედ ღვთისად გამოაცხადა“ (19, 7).***

განმარტება: როგორც კი უთხრა მსაჯულმა „წაიყვანეთ და თქვენი სჯულის მიხედვით დასაჯეთო“, უპასუხეს, რომ „ჩვენ არა გვაქვს უფლება ვინმე მოვკლათო“. ახლა კი ებრაელები ისევ რჯულს იმოწმებენ და რა იყო მათი ბრალდება რჯულის მიხედვით? იესომ „თავი ძედ ღვთისად გამოაცხადა“. და ესაა ბრალდება, ესაა დანაშაული? ღვთის ძე იყო, ღვთის ძის საქმეებს ასრულებდა და ამბობდა „ღვთის ძე ვარო“. ყოველივე ამას რომ ამბობდნენ, ქრისტე დუმდა, რათა წინასწარმეტყველის სიტყვები აღსრულებულიყო: „თავისი სიმდაბლით პირს არ აღებს და მიიღო სასჯელი“. „ღვთის ძედ აცხადებს თავის თავსო“ — ამ სიტყვებმა პილატე შეაშინა, იქნებ მართალიც იყოს და უდიერად არ მოვექცეო. ებრაელებმა კი თქვეს: „ყოველი, რომელიც მეფედ აცხადებს თავს, ეწინააღმდეგება კეისარს“ (იოანე 19, 12). ამის გამო პილატემ კვლავ ჰკითხა იესოს, მან კი აღარაფერი მიუგო მას, ვისაც უკვე უთხრა: „მე ამისთვის ვარ შობილი და ამისთვის მოვედი ამსოფლად“ და „ჩემი მეუფება არ არის ამ სოფლისა“. ამ სიტყვების შემდეგ პილატემ მაინც ებრაელებს დაუჯერა და რატომღა უნდა ეპასუხა მისთვის, ვინც ვალდებული იყო გულდასმით გამოეძიებინა ყველაფერი, თუ როდის გამოდიოდა იგი კეისრის წინააღმდეგ, რა ბრალი მიუძღვოდა კეისრის წინაშე. პილატეს კი არაფერი გაურკვევია, ამიტომ უფალმა არაფერი უპასუხა, რადგან იცოდა, რომ პილატე ტყუილად ეკითხებოდა, საქმეები კი ყველაზე მეტად მეტყველებდა მასზე. აღარ ინება უფალმა სიტყვით გამარჯვება და ამით გამოაჩინა, რომ საკუთარი ნებით მიდიოდა სატანჯველად. ხოლო როცა იესო დადუმდა, პილატემ უთხრა:

სახარება: „მე არაფერს მეუბნები? არ იცი, რომ ხელმწიფება ჯვარს გაცვა შენ და ხელმწიფება გაგიშვა შენ?“ (19, 10).

განმარტება: ხედავ, როგორ თვითონვე დაისაჯა საკუთარი თავი? თუკი შენ გაქვს ყველანაირი ძალაუფლება, უგუნურო და უბადრუკო, და ვერანაირ დანაშაულს ვერ ხედავ მასში, რატომღა არ გაუშვებ? რადგან თვითონ დაისაჯა საკუთარ თავი, ამიტომაც უთხრა იესომ, რომ „ჩემს გამცემს შენზე უფრო დიდი ცოდვა აქვს“ (იოანე 19, 11), რათა ეჩვენებინა, რომ პილატესაც დიდი დანაშაული მიუძღვოდა ჩადენილ უსამართლობაში, თუმცა გამცემებსა და დამბეზღებლებს უფრო დიდი ცოდვა ჰქონდათ. შემდეგ კი დაამდაბლა მისი გონება და უთხრა: „არ გექნებოდა ჩემზე არავითარი ხელმწიფება, რომ არ ყოფილიყო შენთვის მოცემული ზეგარდამო“ (იოანე 19, 11). ამით აჩვენა, რომ ეს საქმე დიდი საიდუმლო იყო და არა უბრალო მოვლენა. ამ სიტყვების გამო უდანაშაულოდ რომ არ მიეჩნია პილატეს საკუთარი თავი, ამიტომაც უთხრა იესომ „იმათ უფრო დიდი ცოდვა აქვთო“.

„ზეგარდამო მოცემაში“ კი იგულისხმება ღმრთისმიერი დაშვება, მაგრამ მიუხედავად ამისა — პილატე, შენც ხარ დამნაშავეო — მიანიშნა უფალმა და შეაშინა ამ სიტყვებით. ამიტომაც უნდოდა პილატეს მისი გაშვება, მაგრამ ებრაელთა ბრბო კვლავ ღაღადებდა: „თუ მაგას გაუშვებ, არა ხარ მეგობარი კეისრისა, რადგან ყოველი, რომელიც მეფედ აცხადებს თავს, ეწინააღმდეგება კეისარს“ (იოანე 19, 12).

სად გამოჩნდა, უგუნურებო, იესოს კეისრის წინააღმდეგი ამბოხი ან ძოწეულის სამოსით, გვირგვინითა და მხედრების ამალით მისი მეფობისადმი სწრაფვა? განა გამუდმებით თავის თორმეტ მოწაფესთან ერთად არ დადიოდა ყველასგან დაუფარავად. მაგრამ აი, უგუნურება და ამაო შიში! ებრაელთა სიტყვებმა შეაშინა პილატე, გამოვიდა და დაჯდა იესოს განსასჯელად და კი არ განსაჯა, არამედ გადასცა ჯვარზე საცმელად, თუმცა მოელოდა, რომ შეიძლებოდა ებრაელები ჯერ კიდევ დაფიქრებულიყვნენ. ამიტომაც უთხრა მათ:

სახარება: „აჰა, თქვენი მეფე!“ ხოლო ისინი ყვიროდნენ და ამბობდნენ: „წაიყვანე, წაიყვანე და ჯვარს აცვი იგი!“ უთხრა

მათ პილატემ: „თქვენი მეფე ჯვარს ვაცვა?“ მიუგეს მღვდელთმთავრებმა: „არა გვყავს მეფე, გარდა კეისრისა“ (19, 14-15).

განმარტება: აჰა, საკუთარი ნებით უარყვეს ღვთის მეუფება და კეისარი ირჩიეს მეფედ. ამიტომაც მათი სიტყვებისაებრ მისცა უფალმა მისი მეუფების უარმყოფელი ებრაელები კეისარს და მიატოვა მისი ჯვარმცმელები. ჯვარზე სიკვდილი მეტად ბოროტი და დაწყევლილი საქმე იყო. ამიტომაც ინებეს ებრაელებმა ამგვარად იესოს სახსენებლის აღხოცვა და იმას კი ვეღარ მიხვდნენ, თუ როგორ გამოაჩინეს ჭეშმარიტება და მისი დიდება.

სახარება: მაშინ გადასცა იგი მათ, რათა ჯვარცმულიყო და წაიყვანეს იესო და იტვირთა თვითონ თავისი ჯვარი და გავიდა თხემის ადგილზე (19, 16-17).

უგუნურებისა და უკეთურებისთვის სიკეთე მავნებელი ხდება. ებრაელებსაც ღვთის დიდი მადლი და შეწევნა ჰქონდა თავიდან, მაგრამ მაინც წარმართთა მონობა არჩიეს და უდაბნოში მანანას ნაცვლად ნიორი ენატრებოდათ. ახლა კი ქრისტეს მეუფება უარყვეს და კეისრის უღელი დაიდეს თავზე და უფალმაც მათი სურვილისაებრ მისცა მათ მეფე. ყოველივე ამის მოსმენის შემდეგ პილატემ იესო ებრაელებს გადასცა, რათა ჯვარზე გაეკრათ. პილატეს მართებდა, ჯეროვნად გამოეძიებინა იესოს მიერ კეისრის საწინააღმდეგო მოქმედების ბრალდება, მაგრამ ამ უბადრუკმა მცირეოდენი სიბრძნეც კი ვერ გამოიჩინა. ვერც ცოლის გამაფრთხილებელმა ხილვებმა მოაგო გონს და იესოს ჯვარცმის განაჩენი გამოუტანა. ებრაელებმა კი, რომლებიც თვითონ ამ ძელის შეხებასაც კი თაკილობდნენ, ჯვარი აჰკიდეს იესოს და მცირე მანძილის გავლის შემდეგ ნახეს სიმონ კვირინელი, რომელზეც სხვა მახარებლები საუბრობენ, მოხსნეს ჯვარი უფალს და მას აჰკიდეს. აქ კი იოანე მხოლოდ უფალზე ლაპარაკობს, რომელსაც ჯვარი აჰკიდეს. ასევე იყო ისააკის შემთხვევაშიც, რომელიც იყო წინასახე მაცხოვრისა. ისააკმაც მამის ნებისაებრ აიკიდა შეშა. ის, რაც წინასახე იყო, ამ დროს ჭეშმარიტად აღსრულდა.

სახარება: და გავიდა თხემის ადგილზე, სადაც ჯვარს აცვეს იგი (19, 18).

განმარტება: „ზოგი ამბობს, ადამი იქ იყო დაკრძალულიო და სადაც სიკვდილმა მიიღო დასაბამი, იქვე აღმართა უფალმა ეშმაკის საძლეველი თავისი ჯვარი. ხოლო იგი ჯვარს აცვეს ავაზაკთა შორის, რათა აქაც უნებლიეთ აღსრულებულიყო წინასწარმეტყველება, რადგან დასაბამიდანვე ითქვა წინასწარმეტყველის მიერ „უშჯულოთა თანა შეირაცხა“. ასე სურდა ეშმაკს, რომ დაემალა ეს საქმე, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან სამნი ეცვნენ ჯვარს, მაგრამ მხოლოდ იესო გამობრწყინდა. როცა სამივე ჯვარზე ეკიდა, სასწაულები აღსრულდა, მაგრამ სხვას კი არ მიეწერა ეს სასწაულები, არამედ იესოს. ასე გაქარწყლდა ეშმაკის მცდელობანი და თავისი ბოროტება მასვე დაუბრუნდა. არათუ ვერაფერი ავნო უფლის დიდებას, არამედ პირიქით, ერთი ავაზაკთაგანი უფლისაკენ მოიქცა და ცხონდა, ეშმაკი კი წარწყმდა, რადგან კლდეთა გაპობაზე უფრო დიდი რამე იყო ჯვარცმული ავაზაკის მოქცევა და მისი სამოთხეში შეყვანა.

სახარება: და დაწერა პილატემ წარწერა (19, 19).

განმარტება: პილატემ ერთდროულად ებრაელებიც შეარცხვინა და თავიც გაიმართლა, რადგან მათ იესო, როგორც ბოროტმოქმედი, ისე დასაჯეს და ამის დასამტკიცებლად ავაზაკებთან ერთად გააკრეს ჯვარზე. ამიტომ პილატემ მათი ბოროტებისა და უგუნურების სამხილებლად გააკეთა ეს, რადგან ყველა, ვინც იკითხავდა, რა მოხდაო, ცოდნოდა, რომ საკუთარ მეუფეს აუმხედრდნენ ებრაელები. ეს წარწერა ცხადყოფდა მათ უკეთურებასა და იესოს მეუფებას, თუმცა არა სრულიად და სათანადოდ. თან არა მარტო ებრაულად ეწერა, არამედ სამ ენაზე, რადგან დღესასწაულის გამო უამრავი ხალხი იყო იქ ჩამოსული. იმიტომ გააკეთა ეს წარწერა, რომ ყველას გაეგო, რაც მოხდა, რითაც ებრაელთა სიბოროტე გამოააშკარავა. ისინი კი ამაზეც განრისხდნენ, რადგან ჯვარცმულსაც ემტერებოდნენ. მაგრამ ჰოი, ურჯულოებო, რას გავნებდათ ეგ წარწერა? თუკი უძლურია და მოკვდავი, რა ზიანის მოტანა შეუძლია თქვენთვის ამ სიტყვებს: „მეუფე იუდეველთა?“ მაგრამ შემთხვევით არ მომხდარა ეს ყველაფერი. ეს ჯვრები დაიფლა და მრავალი ხნის შემდეგ მოიძიეს და იპოვეს, რათა ამ სამ ჯვარს შორის გამოეცნოთ

მაცხოვრის ჯვარი, ღვთის განგებულებით, ის ფიცარი მასზევე იყო. ამიტომაც პილატემ ყური არ უგდო მათ, ვინც ეუბნებოდნენ: „ნუ დაწერ მეუფე იუდეველთა“, არამედ როგორც მან თქვა: „მეფე ვარ იუდეველთა“. ხედავ მათ ბოროტებას? კიდევ უფრო მეტ ბრალდებად უნდოდათ ქცეულიყო ეს წარწერა, თითქოსდა, იესომ თქვა: „მეუფე ვარო“. ხოლო ჯარისკაცებმა იესოს სამოსი გაიყვეს, კვართი კი არა. ხედავ, როგორ ყველანაირად ასრულდა წინასწარმეტყველებები, რაც თავიდანვე იყო ნათქვამი? ხოლო შენ გიკვირდეს წინასწარმეტყველის მიერ ბრძნულად ნათქვამი არა მარტო ის, რომ „გაიყვეს“ სამოსი, არამედ ისიც, რომ „კვართზე იყარეს წილი“ (ფსალმ. 21, 19). ხოლო სიტყვები — „ზემოდან მოქსოვილი“ უბრალოდ ნათქვამი არ არის; ეს მოასწავებს იმას, რომ ჯვარზე უბრალო კაცი კი არ გააკრეს, არამედ ღმერთკაცი, რომელსაც ზეციდან უვნებელი და განუყოფელი ღვთაებრივი ბუნებაც ჰქონდა. ჯვარცმისას ღვთაებრივი ბუნება უვნებელი დარჩა, ხოლო მისმა ხორციელმა ბუნებამ ივნო და დაიტანჯა. ზოგი ამბობს, რომ მახარებელი სამოსლის სახეობაზეც საუბრობს, რადგან პალესტინაში ორი ქსოვილით შეკერილ კვართს ზემოდან მოქსოვილს უწოდებენ.

ჯვარცმულმა იესომ საყვარელ მოწაფეს შეავედრა თავისი დედა, რათა ჩვენთვის ესწავლებინა მშობლების პატივისცემა, ხოლო იოანე კვლავ მალავს საკუთარ თავს დიდი სიმდაბლით. სიმდაბლე რომ არა, იტყოდა, რატომაც უყვარდა იესოს იგი ასე ძალიან. ხოლო რატომ სხვა ნუგეშისსაცემელი სიტყვა არ უთხრა იესომ ჯვართან მჭმუნვარედ მდგომ იოანეს? ჯერ ერთი, არ იყო ბევრი ლაპარაკის დრო და მეორეც, საკუთარი დედის მისთვის ჩაბარებაც დიდი პატივი და ნუგეშისცემა იყო. ხედავ, ჯვარცმული იესო ყველაფერს როგორ უშფოთველად აკეთებდა და ამბობდა? მოწაფეს დედას აბარებდა, წინასწარმეტყველებებს აღასრულებდა, ავაზაკს აცხონებდა ის, ვინც ჯვარცმამდე შეწუხებული იყო. შეჭირვების დროს მაცხოვარმა თავისი ადამიანური ბუნება გამოაჩინა, ჯვარზე კი — ღვთაებრივი. ამით გვასწავლა, რომ როგორც არ უნდა გვეშინოდეს, ჭირსა და განსაცდელს არ უნდა გავექცეთ, რადგან როგორც კი მასში შე-

ვალთ, ყველაფერი გაიოლდება. ნურც ღვთისათვის სიკვდილს შევუშინდებით, რადგან ჩვენი ბუნებისათვის ბუნებრივი შიშიც შეგვიძლია მონდომებისაებრ დავასუსტოთ ან გავაძლიეროთ. თუმცა, საკუთარი ნებით არ უნდა მივისწრაფოდეთ სიკვდილისაკენ, ხოლო თუკი მისი დრო მოვა, არ უნდა შევშინდეთ და საუკუნო ცხოვრებას წუთიერი არ უნდა ვამჯობინოთ.

*სახარება: **ხოლო იდგნენ იესოს ჯვართან მისი დედა და მისი დედის და, მარიამ კლეოპასი და მარიამ მაგდალელი (19, 25).***

განმარტება: მარიამ კლეოპასი იყო იოსების ძმის ცოლი, რომელზეც გათხოვილი იყო ღვთისმშობელი და მასთან მეგობრობდა. მახარებელი მას დად მოიხსენიებს, რადგან მეგობართან ერთად ღვთისმშობლის ნათესავიც იყო. ხედავ, როგორ შეიცვალა დედათა უძლური ბუნება? ისინი მამაკაცებზე უშიშრად მოიქცნენ და ჯვარს არ მოშორებიან. ხოლო იესომ ღვთისმშობელი ჯვრიდან თავის საყვარელ მოწაფეს შეავედრა და უთხრა:

*სახარება: **„დედაკაცო, აჰა, ძე შენი“. შემდეგ უთხრა მოწაფეს: „აჰა, დედა შენი“ (19, 26-27).***

ხედავ, რა პატივი მიანიჭა თავის მოწაფეს? რადგან თვითონ მიდიოდა, მას ჩააბარა მშობელი და უთხრა: „აჰა, დედა შენი“, ამიტომაც წაიყვანა იოანემ თავისთან მარიამი. ამით უფალმა გვასწავლა, რომ ყველაზე მეტად მშობლებზე უნდა ვიზრუნოთ, თუკი ისინი სულიერად არ გვაბრკოლებენ.

*სახარება: **ამის შემდეგ იხილა იესომ, რომ უკვე ყველაფერი აღსრულდა; და რათა აღსრულებულიყო წერილი თქვა: „მწყურია“ (19, 28).***

განმარტება: იხილა უფალმა, რომ ყოველი საღვთო განგებულება აღსრულდა. ღვთის ხელშია სიკვდილიც და სიცოცხლეც, ამიტომაც სანამ არ მოვიდა დრო, მანამდე სიკვდილის გემო არ იხილა. ხოლო სიტყვა — „მწყურია“ — იმის გამო თქვა, რომ ეს წინასწარმეტყველებაც აღსრულებულიყო. რაც უნდა დიდძალი მტერი გვესეოდეს, საკმარისია სიკვდილის პირას ვიხილოთ ჩვენი მოწინააღმდეგე, რომ მაშინვე მოგვილბება გული. ებრაელები კი მომაკვდავი იესოს ხილვამ კიდევ უფრო გააცეცხლა და ლანძღვა-გინებას მოუმატეს. ძმარი ღრუბლით შეასვეს, უსუპი

ლერწამზე დაამაგრეს და ისე მიაწოდეს, რომ თვითონ არ შებილწულიყვნენ. ხოლო უფალმა, როცა მიიღო ძმარი, თქვა: „აღსრულდა წერილი“ (იოანე 19, 30).

ხედავ ყველაფერს როგორი ძალაუფლებით აკეთებს? და შემდეგი ისმინე: „როდესაც იხილა რომ ყველაფერი აღსრულდა, დახარა თავი და განუტევა სული“. აი, აქაც უფლისმიერი ძალა ჩანს, რადგან ადამიანი როცა სულს განუტევებს, მერე ჩამოჰკიდებს თავს. იესომ კი როდესაც თავად ინება, თავი დახარა და სული განუტევა. ამითი მახარებელი გვიჩვენებს, რომ იესო ჭეშმარიტი უფალი იყო ყოველივესი. ებრაელები კი, რომლებიც აქლემს შთანთქავდნენ და ქინქლას კი წურავდნენ, ასეთი საშინელების ჩამდენნი დღესასწაულზე თავების შებილწვას ერიდებოდნენ.

*საბარება: **ხოლო იუდეველებმა, რადგან პარასკევი იყო, რომ არ დარჩენილიყო ჯვარზე გვამები შაბათს, რადგან დიდი დღე იყო ის შაბათი — სთხოვეს პილატეს, რომ გადაემტვრიათ მათთვის წვივები და გადმოეხსნათ (19, 31).*

განმარტება: ხედავ, რა ძლიერია ჭეშმარიტება! იუდეველების მიერ ჩადენილი საქმეებითაც წინასწარმეტყველება სრულდებოდა, მხედრებმა იმ ორ ავაზაკს წვივები გადაუმტვრიეს, იესოს კი — არა, არამედ ებრაელების მომადლიერებისათვის ლახვარი აძგერეს გვერდში. უკვე მიცვალებულსაც ტანჯავდნენ. ჰოჲ, შეგინებული და ბილწი გონება! მაგრამ ნუ შეშფოთდები და შეწუხდები ამით, საყვარელო. მათი ჩადენილი ბოროტება ჭეშმარიტებას კიდევ უფრო დაამტკიცებდა და სრულყოფდა, რადგან ესეც ნაწინასწარმეტყველები იყო: „ნახავენ, ვისაც აძგერებენ“. ამას გარდა, ლახვრით განგმირული გვერდი როგორც თომა მოციქულისათვის, ასევე სხვა ურწმუნოთათვისაც სარწმუნოების მიზეზად იქცეოდა. „გადმოვიდა სისხლი და წყალი“ და ამით საშინელი საიდუმლო აღესრულებოდა. მაცხოვრის განგმირული გვერდიდან უბრალოდ კი არ გადმოვიდა ეს ორი წყარო, არამედ მათი მეშვეობით აღსრულდა ეკლესიის ორი დიდი საიდუმლო. მორწმუნეებმა იციან, რომ წყალში ნათლისღებით მეორედ იბადებიან და უფლის სისხლითა და

ხორცით კი იზრდებიან. ამიტომაც წირვისათვის გამზადებულ ღვინოს წყალს ვურევთ. ბარძიმთან მისვლა კი მაცხოვრის განგმირულ გვერდთან მიახლოებაა.

სახარება: და რომელმაც იხილა, დაამოწმა და ჭეშმარიტია მისი მოწმობა (19, 35).

განმარტება: ეს კი იმას ნიშნავს, რომ სხვებისაგან კი არ გავიგე, არამედ იქ ვიყავი, ვნახე და ასეა ნამდვილადო. მახარებელს ამით იმ მწვალებლების დადუმებაც სურდა, რომლებიც შემდეგ გამოჩნდებოდნენ. ამიტომაც დაამტკიცა ეს სიტყვაც და თქვა: „ეს მოხდა, რათა აღსრულებულიყო წერილი: მისი ძვალი არ დაიმტვრევა“ (გამოსვლ. 12, 46). მართალია, ეს სიტყვები ებრაელთა მიერ დაკლულ სამსხვერპლო კრავს შეეხებოდა, მაგრამ იგავურად ნათქვამი სწორედ ახლა აღსრულებულ ჭეშმარიტებას მოასწავებდა. მახარებელი ზედმიწევნით აღწერს ამ ჩადენილ ბოროტებას, მაცხოვრის შეურაცხყოფასა და ყვედრებას, რადგან ყოველივე ეს სწორედ ჩვენი გამოხსნის მიზეზი გახდა.

სახარება: ამის შემდეგ სთხოვა პილატეს იოსებმა, რომელიც იყო არიმათიიდან — რადგან იყო იესოს მოწაფე ფარულად (19, 38).

განმარტება: იოსები უფლის სამოცდაათი მოწაფიდან ერთერთი იყო. მან სთხოვა პილატეს იესოს გვამი, პილატემ კი მისცა, ანკი რაღაში ჭირდებოდა უკვე მოკლული? იოსებს ნიკოდიმოსიც დაეხმარა და დაკრძალეს დიდი პატივით. უფლის გაუხრწნელი სხეული სურნელოვანი ნელსაცხებლებით შემურეს, რადგან უბრალო კაცი ეგონათ. ნელსაცხებლები კი გვამს დიდი ხანი ინახავდა გაუხრწნელად. ნიკოდიმოსი და იოსები მაცხოვარს უყურებდნენ, როგორც ადამიანს და არა როგორც სრულ ღმერთს, მაგრამ ძალიან უყვარდათ და ამიტომაც მიაგეს ასეთი პატივი. ხედავ, თორმეტი მოციქულიდან რომ არავინ მოსულა, არც პეტრე, არც იოანე, არც სხვა წარჩინებული. არ მალავს ამას მახარებელი, თუმცა სხვების მსგავსად იოსებს და ნიკოდიმოსსაც ეშინოდათ ებრაელებისა, მაგრამ მაინც მოვიდნენ. იოანე კი იქვე იდგა ჯვართან, როდესაც მაცხოვარმა სული განუტევა, მაგრამ

მას არ დაუკრძალავს მაცხოვარი, რადგან იოსები და ნიკოდიმოსი საკმაოდ წარჩინებულები იყვნენ. იოსები პილატეს იცნობდა და ამიტომაც გამოითხოვა მისგან იესოს გვამი და დაკრძალა, არა როგორც დასჯილი დამნაშავე, არამედ როგორც დიდი და საოცარი ვინმე ებრაელთა წესის მიხედვით. რადგან უკვე მოსაღამოვებული იყო, იქვე ახლოს მდებარე საფლავში დაასვენეს.

საღვთო განგებულებით დაიკრძალა ახალ საფლავში მაცხოვარი, რათა შემდეგ სხვა ვინმეს აღდგომა არ გამხდარიყო საფიქრებელი. მოწაფეებისთვისაც ახლოს იყო ეს ადგილი, რათა მოწმე ყოფილიყვნენ იესოს დაკრძალვისა და არა მარტო ისინი, არამედ თვით უფლის მტრებიც, რომ არავის ეთქვა: „არ დაიფლაო“.

სახარება: და ერთშაბათს მივიდა, მარიამ მაგდალელი საფლავზე განთიადისას, ჯერ კიდევ სიბნელე იყო და დაინახა ლოდი აღებული საფლავიდან (20, 1).

განმარტება: ერთშაბათს, რომელიც კვირადღედ იწოდება, მოვიდა მარიამი, ხოლო იესო აღდგა დაბეჭდილი საფლავიდან, რომელზეც ლოდი იყო. მაგრამ ყველასთვის თვალსაჩინო რომ გამხდარიყო ეს სასწაული, მაცხოვრის აღდგომის შემდეგ გადაგორდა ის ლოდი. მოვიდა მარიამი, რომელსაც უფლის დიდი სიყვარული ჰქონდა და როდესაც საფლავიდან აღებული ლოდი დაინახა, მოწაფეებთან გაიქცა, რათა მათგან იესოს გვამის ადგილსამყოფელი გაეგო, ამიტომაც უთხრა მოციქულებს: „აიღეს უფალი საფლავიდან და არ ვიცი, სად დადეს იგი“ (20, 2).

ხედავ, რომ მარიამმა ჯერ არაფერი იცის სარწმუნოდ აღდგომის შესახებ, არამედ ფიქრობს, რომ გვამს ადგილი შეუცვალეს. ამიტომაც წავიდა და უთხრა მოციქულებს. მათ კი სასწრაფოდ მოირბინეს უფლის საფლავთან და ნახეს ტილოები და სუდარა, მაცხოვრის აღდგომის უეჭველი დასტური და მტკიცება. თუკი ვინმე გვამს ადგილს შეუცვლიდა ან მოიპარავდა, მაშინ რატომღა გააშიშვლებდა მას? ან რატომღა იზრუნებდა ტილოებისა და სუდარის დაკეცვაზე? ამიტომაც თქვა მახარებელმა თავიდანვე: „მოიტანა შერეული მური და ალოე, დაახლოებით ასი ლიტრა“, რომლებიც უმტკიცესად შეაწებებს გვამსა და ტილოს. როცა

გაიგებ, რომ „ტილოები თავისთვის ეწყო“, ნუ დაიჯერებ მათსას, ვინც მაცხოვრის გვამის მოპარვაზე ლაპარაკობს. რომელი უგუნური ქურდი იწვალებდა ტილოების აძრობასა და მერე მის დაკეცვაზე. ან კი როგორ ჩაიდენდა ამას დაფარულად? ხოლო რატომ იყო რომ ტილოები ეწყო, სუდარა კი ცალკე, შეკეცილი იდო ერთ ადგილას? იმისათვის, რომ შეიცნო: ყველაფერი ნაჩქარევად და შიშით კი არ იყო მომხდარი, არამედ იმდენად დაწყნარებულად, რომ სუდარი და ტილოები დაკეცილიც იყო და თავის ადგილზე დადებულიც. ეს ყველაფერი ნახეს მოწაფეებმა და ირწმუნეს, რომ იესოს გვამი მოპარული ან სხვა ადგილას გადასვენებული კი არ იყო, არამედ იგი ჭეშმარიტად აღდგა. ნახე აქაც მახარებლის სიმდაბლე, თავის თავზე ამბობს, რომ: „პირველი მივიდა საფლავზე და არც გამოიკვლია და არც შიგნით შევიდა“. პეტრე კი მხურვალედ შევიდა და ყველაფერი გამოიძია, მერეღა შევიდა იოანე და ნახეს ტილოები და სუდარა, რითაც შეიცნეს, რომ ვინმეს შიშით და სიჩქარით კი არ ჩაუდენია რამე, არამედ დაწყნარებულად და ირწმუნეს მაცხოვრის აღდგომა.

ქადაგებანი

წმინდა პარასკევის საკითხავები
წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვა
აღდგომის სახისმეტყველების შესახებ*

რა არის ვნება? ეს რომ გავიგოთ, ჯერ უნდა გულისხმავყოთ ის, ვინც ივნო, რისთვის ევნო ან რისთვის მოვიდა ქვეყნად; იმიტომ მოვიდა და იმიტომ ივნო, რომ ვნებული შეემოსა და ცის სიმაღლეზე აეყვანა.

ღმერთმა დასაბამში სიტყვით შექმნა ცა და ქვეყანა და მიწისაგან შეამზადა კაცი, რომელსაც სული მისცა და დაადგინა სამოთხეში, მზის ამოსვლის მხარეს, ედემში; იქ რომ ეცხოვრა, მისცა რჯული და მცნება, — ეჭამა ყოველი ხის ნაყოფი, გარდა კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხისა, რადგან რა დღესაც შეჭამდა, იმ დღესვე მოკვდებოდა.

მაგრამ კაცმა ვერ შეიცნო კეთილი და ბოროტი, როგორც მიწისაგანმა, შეიწყნარა მტერი და მლიქვნელი, ღვთის მიმართ მზაკვარი, იგემა ხის ნაყოფი, გადავიდა მცნებას, არ ისმინა ღვთისა და გამოვარდა სამოთხიდან ქვეყნად, როგორც საპყრობილეში. კაცი მონად მიეცა მტერს, სიკვდილი გაბატონდა მასზე ხის ნაყოფის გემოს გასინჯვის გამო და დაუტოვა თავის შთამომავალს უკეთური სამკვიდრებელი: არა პატივი, არამედ შეურაცხყოფა, არა დიდებულება, არამედ მონობა, არა მეუფება, არამედ განდგომილება, არა ცხოვრება, არამედ სიკვდილი, არა გამოხსნა, არამედ წარწყმედა.

სიკვდილი აღესრულებოდა ქვეყნად, რადგან ადამიანები ცოდვას დაემორჩილნენ და დროდადრო გულისთქმის დაუცხრომლობის გამო იხოცებოდნენ. ყოველი კაცი ურჯულოებისკენ მიიქცა და გახდა ზოგი მამის მკვლელი, ზოგი — ძმისა; უცხო და საშინელი რამ ხდებოდა ქვეყანაზე — დედები ხორცისკენ მიიქცნენ და შეჭამეს თავიანთი შვილები, რომლებიც ტკივილით შვეს და ძუძუთი გაზარდეს; ხოლო მუცლით ნაშობნი — იქვე, მუცელშივე დაეფლნენ.

* ძველქართულად ტექსტი იხ. გვ. 497.

მრავალი საძაგლობა ხდებოდა კაცთა შორის ცოდვის გამო და ხარობდა სიკვდილის თანამზრახველი. უცხო და საშინელი გარყვნილება აღესრულებოდა ხორცით. იდო სიკვდილი შეკრული, როგორც ტყვე სიკვდილის აჩრდილში და დარღვეული იყო მამის ხატი.

ყოველივე ამაზეა ეს სააღდგომო სიტყვა. პირველად უფალმა გვაჩვენა ხორცის ვნებით მოღვაწეობა და წინასწარ წარმოაჩინა ეს მამამთავართა და წინასწარმეტყველთა წიგნებში. რჯულითა და წინასწარმეტყველებით აღბეჭდა მან იმის აღსრულება, რაც მომავალში უნდა მომხდარიყო, რათა როცა ნათქვამი შესრულდებოდა, გაგვეხსენებინა უფლის განზრახვის წინასახე, სარწმუნოების მადლი და უფლის ვნება წერილით შეგვეცნო, რაც ძველ აღთქმაში წინასახის აღწერით ჩანს, ხოლო ახალში — მადლის გამოჩინებით.

როდესაც შეხედავ წინასახეს, გულისხმაყოფ უფლის განზრახვასა და მის ვნებას. შეხედე აბელს, რომელიც მაცხონებლის მსგავსად მოიკლა და ისაკს, რომელიც მისებრ შეიკრა, იაკობს, მასავით უცხოობაში მყოფს, მოსეს, რომელიც მისებრ განგდებული იპოვეს, დავითს, მისებრ დევნილს. იხილე წინასწარმეტყველები, რომლებმაც წინასწარ გვამცნეს ქრისტეს შესახებ, როგორ ივნენ მათგან, რომელთაც ქრისტესთვის მოუთხრობდნენ. შეხედე ეგვიპტეს და დაკლულ კრავს, რომელმაც დასცა ეგვიპტე და გადაარჩინა ისრაელი თავისი სისხლით, რითაც მოსე წინასწარმეტყველი ქრისტეს შესახებ ქადაგებს, რადგან ეუბნება თავის ერს: „იხილავთ თქვენს ცხოვრებას ძელზე დაკიდებულს თქვენი თვალით და გეშინოდეთ ღამე და დღე და ირწმუნეთ თქვენი მაცხონებელი“.

დავითმა თქვა: „რად აღიძრნენ წარმართნი, პირი შეკრეს ქვეყნის მეფეებმა და მთავრები შეიკრიბნენ უფლისა და მისი ცხებულის წინააღმდეგ?“

ესაიამ თქვა: „ევნო და ეწამა, მაგრამ არ დაუძრავს ბაგე; კრავივით დასაკლავად მიიყვანეს და, როგორც ცხვარი დუმს მპარსველთა წინაშე, მასაც არ დაუძრავს ბაგე“ (ეს. 53, 7). მრავალმა სხვა წინასწარმეტყველმაც იქადაგა აღდგომისა და იესო

ქრისტეს შესახებ, რომლისაცაა დიდება უკუნისამდე.

იგი ზეციდან ქვეყნად გარდამოვიდა ვნებული კაცის გამო, ეს კაცი თავად შეიმოსა ქალწულის მუცელში, გამოჩნდა კაცად, თავსიდო ვნება და გახრწნა ხორცთა ვნება, რომელიც წინ ვერ აღუდგებოდა სიკვდილს, გააძლიერა კაცი სულით და მოკლა მისი მკვლელი სიკვდილი.

ეს თავად აღასრულა. იგი, როგორც კრავი, როგორც ცხვარი, დაიკლა და გვიხსნა ამა სოფლის საცდურისაგან და ეშმაკის მონობისაგან ისე, როგორც დაიხსნა ფარაონის ხელისგან ებრაელები. მან აღბეჭდა ჩვენი სულები თავისი სულით და ჩვენი ხორცი — თავისი სისხლით.

ეს არის, რომელმაც სიკვდილი შეიმოსა და სირცხვილი და მგლოვიარე ეშმაკი დააკვეთა, როგორც მოსემ ფარაონი. ეს არის, რომელმაც ურჯულოება დასცა და მავნებელი უშვილო გახადა, როგორც მოსემ ეგვიპტე. ეს არის, რომელმაც მონობიდან დიდებულებაში გადაგვიყვანა, ბნელიდან ნათელში, სიკვდილიდან სიცოცხლეში, განდგომილებიდან საუკუნო სასუფეველში და გაგვხადა ჩვენ ახალი სამღვდლო და საზეპურო ერი, რათა მარად მის დიდებას ვადიდებდეთ.

ეს არის, რომელიც ივნო და ჩვენ გვაცხონა, ეს არის აბელის მსგავსად მოკლული, ისააკივით შეკრული, იაკობივით უცხოქმნილი, იოსებივით გაყიდული, მოსესავით გადაგდებული, დავითივით დევნილი, კრავივით დაკლული, წინასწარმეტყველივით შეურაცხი.

ეს არის ქალწულისგან განხორციელებული, ძელზე დაკიდებული, მიწაში დაფლული, მკვდრეთით აღდგომილი, ცათა სიმაღლეზე ასული, ეს არის კრავი დაკლული და უსიტყვოდ შეწირული ტარიგი. ეს არის მშვენიერი მარიამ ქალწულისაგან შობილი, ეს არის სამწყსოსგან მოტაცებული, შეკრული, დასაკლავად მოთრეული.

ეს არის მწუხრი დაკლული, ღამე შეჭმული, ძელზე შემუსვრილი, მიწის ქვეშ გაურყვნელი, მკვდრეთით აღმდგარი და მკვდართა და დაფლულთა აღმადგინებელი.

ეს მოვიდა და მოკლეს შუა იერუსალიმში. რისთვის მოკლეს?

იმიტომ, რომ მათი კოჭლები სწორად გაატარა, სისხლმდინარენი გაწმინდა, ბრმებს ნათელი მისცა, სნეულნი განკურნა და მკვდარნი აღადგინა. ამისთვის მოკლეს.

ჰოი, ზრახვა შეტყობილი, სახე დაკლული კრავისა და უფლის ვნების მხილება! დაწერილია რჯულში და წინასწარმეტყველებთან: „სიკეთის წილ ბოროტით მიხდიან, ჩემი სულის დაობლება სურთ“ (ფსალმ. 34, 12), „განიზრახეს ჩემთვის ბოროტი და თქვეს: „შევკრათ ეს მართალი, რადგან მძიმეა ჩვენთვის“.

რა გააკეთე ეს, ისრაელო? შენი პატივისმცემელი არ განადიდე, შენი მადიდებელი უარყავი, ის, ვინც შენ საზეპურო ერად გამოგარჩია, მოკალი. რად გააკეთე ეს, ისრაელო? განა არ წერია, რომ არ დაღვარო მართალი სისხლი, რათა ბოროტად არ მოკვდე?

ახლა შენ იტყვი, მე მოვკალი უფალიო. რატომ მოკალი? მოკალი, მაგრამ უნდა მოგეკლა? არ უნდა მოგეკლა, არც უნდა შეურაცხგეყო, არც ძელზე უნდა დაგეკიდა, არც შენ, არც შენს ხელს.

ჰოი, ისრაელო, ხმამაღლა უნდა გეღაღადა ღმრთის მიმართ: ჰოი, უფალო ძალთაო! თუ უნდა ივნოს შენმა ძემ, ეს შენი ნებაა, ივნოს, მაგრამ არა ჩემგან, ივნოს უცხოთესლისაგან და დაისაჯოს წინადაუცვეთელებისგან, მხოლოდ ჩემგან არა. შენ, ისრაელო, ეს ხმა ღმრთის მიმართ არ აღუტევე და ვერც გამოესარჩლე შენს უფალს, არ მოიხსენიე მისი საქმეები და არც შეგრცხვა მის მიერ გამხმარი ხელის განმრთელება, არც თვალთა განკურნება ხელის დადებით და არც მისი ახალი სასწაული, როდესაც ოთხი დღის მკვდარი აღადგინა. შენ ყოველივე ამაზე თვალი დახუჭე და უფლის ჯვარზე მოკვლა ისწრაფე, გაამზადე სამსჭვალნი, მახვილი, ცრუ მოწმეები, საგვემელი, ნესტარი, ღრუბელი, ძმარი და ნაღველი.

მახვილით მიადექი, როგორც მოსისხლესა და ავაზაკს, დაადგი თავზე ეკლის გვირგვინი და მისი მშვენიერი მკლავები შეკარი, რომლებმაც შეგქმნეს შენ მიწისაგან და მის პირს, რომელმაც გაგზარდა, ასვი ძმარი, ნაღველი და მოკალი შენი

უფალი დიდ დღესასწაულზე. შენ შეებაში იყავი, ის კი შიმშილში; შენ ჭამდი პურს და სვამდი ღვინოს და მას ძმარსა და ნაღველს ასმევდი. შენ მხიარული იყავი პირით, ის მწუხარე, შენ ხარობდი, მას სჯიდი, შენ გაქებდნენ შენი მაქებელნი და მას კლავდი, შენ ბრძანებდი და მას ჯვარზე აკრავდნენ.

შენ მომღერლები და მაქებელნი ხოტბას შეგასხამდნენ, ხოლო მარიამი მკერდში მჯიღის ცემითა და ცრემლით არ დაცხრებოდა. შენ ლანძღავდი და შოლტით სცემდი, ხოლო მარიამს მუცელი და ნაწლავები სტკიოდა. შენ რბილ სარეცელზე იყავი მიწოლილი, ის კი სამარეში, კლდის ნაპრალში იდო.

ჰოი, ურჯულო ისრაელო, რატომ მოკალი შემოქმედი შენი და გამომსახველი შენი? რატომ შეურაცხყავი, რომელმაც სახელად ისრაელი გიწოდა? და შენ, ისრაელო, ვერ იპოვე, ვერ იცანი ღმერთი შენი? ვერ გულისხმაყავი უფალი შენი? არ იცი, ისრაელო, რომ ეს არის პირმშო ისრაელისა? რომ ეს არის პირმშო ღმრთისა, მთიებზე წინ არსებული, რომელმაც ნათელი გამოაბრწყინა, დღე გამოაჩინა და ბნელი განაშორა, რომელმაც სამყარო შექმნა, ზღვა შემოსაზღვრა, სოფელი შეამკო, ვარსკვლავები ცაზე განალაგა, ანგელოზები შექმნა, საყდრები აღმართა და კაცი შვა ქვეყანაზე.

ეს არის, რომელმაც გამოგარჩია შენ და გიძღოდა ადამიდან ნოემდე, ნოედან აბრაამამდე, ისააკამდე, იაკობამდე და თორმეტ მამამთავრამდე. ეს არის, რომელიც წაგიძღვა ეგვიპტეში და გიცავდა და გიფარავდა შენ. ეს არის, რომელიც მიგიძღვებოდა ნათლის სვეტით და გიფარავდა ღრუბლით, ეს არის, რომელმაც მეწამული ზღვა გაგიყო, იქიდან გამოგიყვანა და შენი მტერი დაახრჩო. ეს არის, რომელმაც მოგცა მანანა ზეციდან და გასვა წყალი კლდისაგან, ეს არის, რომელმაც რჯული მოგცა ქორების მთაზე და მოგიელინა წინასწარმეტყველი, რომელმაც გამოგირჩია შენ მეფეები და მთავრები. ეს არის, რომელიც შენთან მოვიდა, შენი ვნებულნი განკურნა და შენი მკვდარნი აღადგინა, ეს არის, რომელზეც იკადრე ხელის შეხება, ეს არის, რომელზედაც ურჯულოება აღასრულე, ეს არის, რომელსაც შესცოდე, ეს არის, რომელიც ვერცხლზე გაყიდე, ეს არის, რომელიც მოკალი, ეს არის, რომლის მადლი წარწყმიდე, უმადლო ისრაელო!

მოდი, ისრაელო, დავითვალოთ შენი უმადურობა: გახსოვს ეგვიპტეში შენი წარგზავნა და კეთილი იოსებისგან გამოზრდა, სვეტი ნათლისა დღე და ღამე, ღრუბელი და ზღვის წიაღში გავლა, მანანას მოცემა, კლდის გაპობა და წყლის წამოსვლა, ქორებზე მიღებული რჯული, სნეულთა კურნება?

მიუზღვე რაიმით მას, რომელმაც განგკურნა, რომელმაც შობიდან ბრმებს ნათელი მისცა, რომელმაც განგანათლა სიტყვით, მკვდრები სამარიდან გამოიყვანა, ოთხი დღის მკვდარი აღადგნა?

მე ასე გეტყვი: ვერ მიუზღვავ სამაგიეროს მის უსაზღვრო მადლს. შენ მხოლოდ შეურაცხყავი და უმადურობით უპასუხე. კეთილის წილ ბოროტი და სიცოცხლის წილ სიკვდილი მიაგე იმას, ვისთვისაც შენ უნდა მომკვდარიყავი და წილი ყარე მასზე. მას უცხოთესლნი ადიდებენ, წინადაუცვეთელებს უკვირთ, მის გამო პილატემ ხელი დაიბანა და თავი უბრალოდ გამოაცხადა, შენ კი დიდ დღესასწაულზე მოკალი.

ჰოი, ისრაელო, მწარეა შენი სამსჭვალნი, რომლებიც გაამზადე; მწარეა შენი ცრუმოწმენი, რომლებიც წარმოადგინე; მწარეა ღრუბელი, საცხე ძმრითა და ნაღვლით; მწარეა ეგ სატანჯველი, რაც გაამზადე; მწარეა იუდა, რომელიც მოისყიდე; მწარეა ჰეროდე, რომელიც გერჩოდა; მწარეა კაიაფა, რომლის გწამდა; მწარეა შენი ეკალი, რომელიც გვირგვინად შექმენი; მწარეა სისხლით შებღალული შენი ხელები, რომლებმაც მოკლა უფალი შენი იერუსალიმში.

ისმინეთ ეს ყოველმა კაცმა და იხილეთ უცხო სახილველი: ახალი სისხლი დაიღვარა იერუსალიმში, მშვენიერ ქალაქში, ებრაელთა ქალაქში, წინასწარმეტყველთა ქალაქში, ქალაქში, რომელზეც ფიქრობენ, რომ აქ რჯულიერები ცხოვრობენ. და ვინ მოკლეს და ვინ მოკლა? თქმის მრცხვენია, მაგრამ იძულებული ვარ, ვთქვა. ღამე რომ მომხდარიყო ეს მკვლელობა ან უდაბნოში, დუმილი ადვილი იქნებოდა, მაგრამ ეს მოხდა შუა ქალაქში და ამას ყველა ხედავდა: მართალი სისხლი უსამართლოდ დაიღვარა და უბრალო მოკვდა, როგორც ბრალეული.

ასე აამაღლეს ძელზე და ერთი ფიცარი დაუდეს თავთან, რომელზედაც დააწერეს, ვინ იყო იგი. ართქმადაც მძიმეა და

სათქმელადაც საშინელი და შემაძრწუნებელი, ამიტომ ისმინეთ შიშით, რომლის გამო ძრწის ყოველი დაბადებული: უფალი, ყოველივეს შემოქმედი, შიშველია ძელზე დაკიდებული და ვერ ცნობენ ეს ურჯულონი და შეუწყალებელნი; ამის გამო ზეცის მნათობნი დაბნელდა და შეიძრა ქვეყანა, მაგრამ არ შეძრწუნდნენ ებრაელნი; შეშინდა ცანი და არ შეეშინდათ მათ, გააპო ანგელოზმა ტაძრის ეზო და არ გლოვობდა ერი, ქუხდა ციდან უფალი და მაღალმა გამოსცა ხმა.

შენ, ისრაელო, უფლისთვის არ შეძრწუნდი, დაუტევე იგი და აღარ მოგიპოვებს, არ შეიწყნარე იგი და არ შეიწყალები, გვემე იგი და დამდაბლდები მიწამდე. მკვდარი მიწაზე დევს, უფალი კი მკვდრეთით აღდგა და ზეცადაა ამაღლებული. უფალმა ვნებული კაცი შეიმოსა და ივნო, რათა ვნებული აცხონოს. დაეფლა და აღდგა მკვდრეთით და ეს ხმა გვასმინა ყოველთ: მოდით, ჩემთან, ყოველნი დასჯილნი და მე გიხსნით თქვენ; მოდით ჩემთან, მიიღეთ ცოდვათა მიტევება; მე ვარ თქვენი ხსნა, მე ვარ კრავი, რომელიც დაიკლა თქვენთვის; მე ვარ ნათელი და აღდგომა და მეუფე თქვენი; მე აგიყვანეთ თქვენ ცის სიმაღლეზე, იქ გაჩვენებთ დაუსაბამო მამას.

ახლა ისმინეთ, საყვარელნო, ეს არის, რომელმაც შექმნა ცა და ქვეყანა; ეს არის, რომელმაც შექმნა კაცი; ეს არის, რომელმაც იქადაგა რჯული და წინასწარმეტყველება; ეს არის, რომელმაც ქალწულისაგან ხორცნი შეისხა; ეს არის ძელზე დაკიდებული; ეს არის მიწაში დაფლული; ეს არის მკვდრეთით აღმდგარი; ეს არის, რომელიც ზეცად ავიდა და დაჯდა მამის მარჯვნივ; ეს არის, რომელსაც აქვს ხელმწიფება ცოცხალთა და მკვდართა განსასჯელად; ეს არის, რომელთან ერთადაც მამამ ყოველივე შექმნა დასაბამიდან უკუნისამდე; ეს არის დასაბამი და მიუწვდომელი აღსასრული; ეს არის ღმერთი ღმრთისაგანი, წმინდა მარიამისაგან შობილი.

აღვსების ამ სიტყვით დიდება მოვუძღვნათ წმინდა სამებას — მამასა და ძესა და წმინდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოს წმინდა იოანესაგან თქმული ქრისტეს ჯვრისა და მორწმუნე ავაზაკის შესახებ*

მოვიხსენოთ, ძმანო, დღესასწაული ჯვრისა და ვადიდოთ ქრისტე, რათა გვირგვინოსანი გახდეს ჩვენი გონება ჯვრის მოხსენიებით.

ძმანო, დღეს ჯვარი აღემართა, სოფელი განიწმინდა და სიკვდილმა უკან დაიხია. ჯვარი აღემართა და ეშმაკები გაიბნენ. ჯვარი აღემართა, სიკვდილი იძლია, ეშმაკი შეიკრა და ადამიანებს ხელ-ფეხი გაეხსნათ. ღმერთი იდიდება და სოფელი გათავისუფლდება. დღეს ებრაელების გამო ქვეყანა შეიძვრის, ხოლო მორწმუნეების მიერ სოფელი განმტკიცდება. დღეს ებრაელნი, ღვთისმებძროლნი, კლდეთა გასახეთქად ხელს აღმართავენ, ხოლო ღვთისმოყვარე მორწმუნეების მიერ კაცთა მოდგმა გაძლიერდება.

წესია მორწმუნეთა შეკრება და ურწმუნოთა გაბნევა, როგორც თქვა დავით წინასწარმეტყველმა: „განიბნენ და ვერ გულისხმაყვეს“. დღეს ებრაელებისთვის მეექვსე ჟამიდან ნათელი დაბნელდა, რადგან შექმნილმა მზემ თავს არ იდვა შემოქმედის შეურაცხყოფა, დააყენა თავისი ბრწყინვალება, რათა არ გაენათებინა ღვთის მებრძოლთათვის. მის ღმრთეებას არაფერი ევნებოდა, ხორცთა ვნება კი ღმრთეებას წარმოაჩენდა.

მაღლმა ჩვენთან ღამე დღედ გადააქცია, რადგან წესია, რომ მორწმუნეს ბნელში ნათელი გამოუბრწყინდეს, ხოლო ურწმუნოებს დაუბნელდეს. მორწმუნეთათვის ღამე დღედ მიიჩნევა, რადგან წერილი ამბობს: „ღამე იყოს ნათლის ნაცვლად, რადგან ბნელი შენ მიერ არ დაბნელდება“ (ფსალმ. 138, 12).

მორწმუნისთვის ღამე, როგორც დღე, განათლდება და ურწმუნოს ნათელში დაუბნელდება. მართალს ღაღადებს წინასწარმეტყველი, როდესაც ბრძანებს: „მიეხეთქებიან კლდეებს, როგორც ბრმები და შუადღისას ივლიან, როგორც შუაღამეს“.

*ძველქართულად ტექსტი იხ. გვ. 506.

ძმანო, დღეს ადამი სამოთხიდან გამოვარდა და ავაზაკი სამოთხეში შევიდა. გამოძევდა მპარავი, გარდამავალი მცნებისა და შევიდა მპარავი, რომელმაც ჯვარზე ცხოვრება მოიპარა. ძელის მპარავმა უკვდავება მოიყურძნა, სასუფეველი მოიავაზაკა, უკვდავება მოიმძლავრა, ძალით კი არა, სარწმუნოებით, რადგან თავად უფალი ამბობს: „ცათა სასუფეველი ძალით იღება და ძალისმხმეველნი მიიტაცებენ მას“ (მათე 11, 12).

ჯვარზე ორი ავაზაკია, ერთი ებრაელი, მეორე წარმართი. წარმართმა ურჯულოებაში მრავალი დრო დაჰყო და შემდეგ გულისხმაყო ჭეშმარიტება. ჯვრამდე ორივე ერთ გზაზე გარბოდნენ, ჯვარმა კი მათ გზა მიუთითა და ორად გაუყო: წარსაწყმედელი გზა — ურჯულოებს და ცხოვრების გზა — მორწმუნეებს. ამ ავაზაკმა სიტყვით გამოარჩია გზა უფლისა, ხოლო გზა უღმრთოთა სიკვდილს მოასწავებს.

იხილეთ მართლმსაჯულება ღმრთისა, რათა წინასწარმეტყველთან ერთად თქვა: „მართალი ხარ შენ, უფალო, და სწორია სამართალი შენი“ (ფსალმ. 118, 137). ერთი შეცოდება ადამს სამოთხიდან გამოაძევებს და რწმენის ერთი სიტყვა ავაზაკს დაამკვიდრებს მასში.

ძმაო, მოერიდე ბევრ ლაპარაკს, რათა არ სცოდო ენით და შენი მრავალი ღვაწლი არ წარწყმიდო. გაიხსენე სიტყვა უფლისა: „შენი სიტყვებით გამართლდები და მაშინვე სიტყვებით განიკითხები“ (მათე 12, 37).

ჰოი, საკვირველი! აბრაამსაც არ სმენია ეს ხმა აღთქმისა სამოთხის შესახებ, მხოლოდ სარწმუნოებით აღეთქვა მას სასუფეველი. ვერავინ მოასწრო ავაზაკს იქ შესვლა. ეს გულმოდგინედ გამოიძიე, მსმენელო, ძველ და ახალ რჯულში და ნახავ, რომ მართლაც არავინ შესულა ავაზაკზე ადრე სასუფეველში, არც აღთქმის ხმა სმენია მის გარდა არავის, არც აბრაამს, არც მოსეს, არც წინასწარმეტყველებს, არც მოციქულებს.

აბრაამს ასე მიმართა უფალმა: „წადი შენი ქვეყნიდან, შენი სამშობლოდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც მე გიჩვენებ“ (დაბ. 12, 1) და არ უთქვამს, რომ დღეს დაიმკვიდრებდა სამოთხეს.

მოსეს მისცა ღმერთმა რჯული აღთქმისა, მაგრამ ავაზაკზე ადრე არავისთვის აღუთქვამს სამოთხე. გამოვიძიოთ, ძმანო, რატომ მოხდა ეს?

წერილი ამბობს: „ირწმუნა აბრაამმა ღმერთი და შეერაცხა მას სიმართლედ“. ირწმუნა კეთილად ზეციდან გადმოსული ანგელოზების გამო, რომელთაც საღვთო ბრძანება მოჰქონდათ და ასეთი შეურაცხყოფილი არ უხილავს. ირწმუნა ღმერთი ესაიამაც, ღვთაებრივ დიდებაში მყოფი. ირწმუნა ეზეკიელმაც, რადგან ქერობიმებზე იყო იგი მჯდომარე, თავისი დიდების საყდარზე. ირწმუნა ღმერთი ყოველმა წინასწარმეტყველმა, რადგან თითოეულმა ისეთ დიდებაში იხილა ის, რამდენის დატევნაც კაცთა ბუნებას შეეძლო. ირწმუნა ღმერთი მოსემაც, რადგან ესაუბრებოდა ცეცხლიდან, ნესტვით, საყვირითა და ქუხილით, რომელიც ურწმუნოებასაც გააძლიერებდა.

როდესაც ამას ვამბობ, წინასწარმეტყველებს კი არ შეურაცხვყოფ, არამედ მას ვაქებ, რომელმაც ასე სწრაფად მოიპოვა სამოთხე. მას არ უხილავს ჩვენი უფალი და ჩვენი მხსნელი სამეუფო საყდარზე მჯდომარე, არც ტაძარში თაყვანცემული, არც კაცთა შორის მქადაგებელი, არც ანგელოზთა მბრძანებელი, არამედ ავაზაკებს შორის ძელზე დაკიდებული. იხილა ის შეურაცხყოფილი და თაყვანი სცა დიდებულად. იხილა ის ჯვარზე და ევედრებოდა, როგორც ცაში მჯდომარეს. იხილა დასჯილი, მეუფე უწოდა მას და უთხრა: „მომიხსენე მე, უფალო, სასუფეველსა შენსა“ (ლუკა 23, 42), ჯვარცმული იხილა და უფალი უწოდა, მასთან ერთად ძელზე გამოკიდებული იხილა და სასუფეველი მიიღო.

რჯული არ გისწავლია, რადგან ურჯულო იყავი, არც წინასწარმეტყველნი წაგიკითხავს და როგორ ლაპარაკობ საღვთო სიტყვით, შენ, რომელსაც ყოველთვის მახვილის იმედი გქონდა? ვისგან ისწავლე ქრისტეს სიტყვით შეცნობა? ებრაელები, რომლებმაც რჯული იციან, ჯვარს აცმევენ და შენ, რომელმაც რჯული არ იცი, რომელ ღმერთს ქადაგებ და რომელი რჯულით სცემ თაყვანს ჯვარცმულს? რომელმა საკვირველებამ აგიყვანა სასუფევლის დიდებაში? როგორ ამბობ, ავაზაკო, ან ვინ გას-

წავლა გეთქვა: „მომიხსენე მე სასუფეველსა შენსა“, როდესაც რჯული არ წაგიკითხავს?

ავაზაკი იტყვის: „მე რჯულის მეცნიერი არ ვარ, მაგრამ ვხედავ, მზის თვალი შეშინებული დაბრმავდა, ვხედავ მიწას გახსნილს და მკვდრებს — აღდგინებულს. ვხედავ, ქრისტეს მკვლელნი ბნელში ეხვევიან, ხოლო მე ჩემი გულის თვალით ვუყურებ ამ უკვდავ და საუკუნო მეუფეს, ვხედავ გახეთქილ კლდეებს, ტაძრის ორად გაპობილ ეზოს, მაგრამ ურჯულოების გული არ გაპობილა, რათა კეთილი შეეცნოთ“.

ეზო ნივთიერი იყო, მორთული ძოწით, იაკინთითა და პატიოსანი თვლებით, ახლა კი ჯვარი აღიმართა და ჯვარცმის სასწაული აღსრულდა, სამარეები გაიხსნა და იქიდან ადამიანები გამოვიდნენ. ეს სასწაული მოხდა, მაგრამ უფლის ჯვარცმისას ებრაელები მაინც გაიძახოდნენ: „თუ ხარ ძე ღვთისა, გადმოდი ჯვარიდან და გიწამებთ“. გულისხმაყავით, საყვარელნო, რომ ეს სიტყვები მათ ეშმაკის შვილებს ამსგავსებთ, რადგან ეშმაკმა უთხრა უფალს: „თუ ძე ხარ ღვთისა, გადავარდი აქედან“ (ტაძრის ქიმიდან; — მათ. 4, 6), და ახლა ჯვარს აცმევენ უფალს ავაზაკებთან ერთად.

პილატემ ჰკითხა მათ: „ვინ გავათავისუფლო, მეუფე თქვენი, მაცხოვარი თუ ბარაბა, ავაზაკი?“ მათ მიუგეს: „ჩვენ უფალი, გარდა კეისრისა, არ გვყავს“. უარყვეს ქრისტეს მეუფება და დაემორჩილნენ რომთა მეფეს. სიკეთის მომცემი ვერ შეიცნეს და ვისაც არ უყვარდათ, მას დაემონენ. ავაზაკებმა ავაზაკი ბარაბა გამოითხოვეს და უფალი ჯვარს აცვეს. „სისხლი მაგისი ჩვენსა და ჩვენს შვილებზე“ — თქვეს ებრაელებმა — თავიანთთვის დასასჯელად და ჩვენთვის გასამართლებლად, რადგან ქრისტეს სისხლი აცხოვნებს მორწმუნეებს, ბაბილონის ცეცხლმა კი ქალდეველნი დაწვა.

ჯვარმა განდევნა ეშმაკი; ჯვარმა გამოიღო სიწმინდის ნაყოფი, რომელმაც გამოსცა ბრწყინვალება; ჯვრამდე ეშმაკებს ემსახურებოდნენ, ხოლო ახლა ჯვარცმულის დიდებაა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

წმინდა იოანე ოქროპირი სიტყვა, თქმული იოანე მთავარეპისკოპოსისა ჯვრისათვის*

ჯვრის შესახებ ვინ ილაპარაკებს? ვინ განმარტავს ღვთის განკაცებას? მკვდრებთან ვინც ჩავიდა, ვინ ირწმუნებს?

გასაკვირია და განუმარტებელი უფლის საქმეები, რომლებიც მან ჩვენთვის აღასრულა. და გვეკითხებიან: როგორ მოკვდა ცოცხალი და როგორ დამცირდა დიდი?

მეგობრები იმიტომ მეკითხებიან, რომ განისწავლონ, მტრები კი — რათა გამოიძიონ. სიბრძნის ძალა მეგობრებს სიკეთით გაავსებს, ხოლო მტრებს მოაუძლურებს; მორწმუნეებს ღვთის მიმართ გააძლიერებს, რადგან წმინდაა მათთვის სიკეთე, უარმყოფლებს კი გააკვირვებს, რადგან მღვრიენი არიან და ვერ განიცდიან მის წყალობას. სიბრძნის ნაყოფი, თავისი მოწყალებით, მორწმუნეებს სიხარულით გაამდიდრებს, ხოლო უარმყოფელნი მისი ძალის სისასტიკით დასნეულდებიან. ურიები ამბობენ, რომ მოკვდა, მაგრამ მისი საქმეები აჩვენებს, რომ ცოცხალია. ისინი ქადაგებენ, რომ ცოდვილი კაცია, მისი ძალი კი ღაღადებს, რომ ღმერთია.

მწვალებლები ამბობენ, რომ ხორცი არ შეუსხამს, რასაც ამხილებს ის, რომ ძელს დაეკიდა. ურიებს და კერპთაყვანისმცემლებს უკვირთ მისი საქმეები, მწვალებლებს და მათ მსგავსთ კი თავისი ჭეშმარიტებით გააცრუებს, რადგან მისი ეკლესიები ჯოჯოხეთის კლიტეებს დაამსხვრევს და მისი აშენებულის ძლევას ვერავინ შეძლებს, ამაოდ დაშვრებიან მის წინაშე ცოდვილნი, რადგან მისი ძალის დახსნას ვერ მოახერხებენ.

აღდგებიან მეფენი მისი ჯვრის წინააღმდეგ და იძლევიან. შეუტევენ დევნი, ეშმაკთმოძღვარი შეებრძოლება და დაემხობიან. მან თავისი სიმდაბლით სძლია ყოველ ამპარტავანს, თავისი სიკვდილით დაარღვია ჯოჯოხეთი, ებრძოლა ცოდვას და დაადუმა იგი.

---

* ძველქართულად ტექსტი იხ. გვ. 512.

დადგა სიკვდილის წინაშე და განაქიქა, ვერ ავნო მას ცოდვის საწერტელმა, ვერც სიკვდილმა დაიმორჩილა. უსჯულოება ებრძვის მის ხორცს და ჯოჯოხეთის ბოქლომნი მის პირს, მაგრამ არ ძალუძთ მისი დამარცხება. ვინ დაუდგება წინ ყოვლის უძლიერესის პირს? თუკი არ შეუნდობდა ყველას, ვინ შეძლებდა მის მოკვლას? მას უნდა კაცთა ხსნა, ცხოვრება, ცხონება.

მოიღო მადლი და დაბადა კაცი, აღასრულა მოწყალება და იხსნა იგი. კაცი კი იმის წინააღმდეგ აღდგა, ვინც გაათავისუფლა და ეშმაკთან ერთად შეურაცხყო მისი სიტყვა.

ეშმაკი სძლია, კაცნი კი გამოიხსნა და თავისი მოწყალებით აცხონა. სასჯელი აღარ მოეწევა კაცთა მოდგმას, რადგან გამოხსნილნი არიან და არა დასჯილნი, ჯვარზე გასაკრავად მოვიდა და არა მის ამოსაწყვეტად.

არ მოუვლენია ღმერთს თავისი ძე სოფლის დასასჯელად, არამედ იმისთვის, რომ სოფელი თავისი ხელით ეხსნა. იგი ცხოვრების მომნიჭებელია და არა სამაგიეროს გადამხდელი, ცოდვათა მიმტევებელია და არა შურისმაძიებელი.

ერმა, თავისი ჭკუამცდარობით, მსაჯულს მისცა და ძელზე გადმოჰკიდა იგი. ამ წყეულებმა ეს იმის სანაცვლოდ გააკეთეს, რომ სიცოცხლე მიანიჭა. მოკლეს იმის გამო, რომ ჭეშმარიტებას ამბობდა. დაიყრუეს ყურნი, როცა თქვა: „მამამ მომავლინა“. თავიანთი კეთილისმყოფელი ძელზე ჩამოკიდეს, მისი სწავლება არ შეიწყნარეს. აჰა, მისი ბეჭი ჯვარზეა გაკრული და დასარწყულებლად ძმარი მიუტანეს. უღაღადებდა მათ წინასწარმეტყველი უწინარეს ჟამთა და მისი არ ისმინეს. მოიწია მათზე ცოდვათა სანაცვლო და ვერ გულისხმაყვეს. ტაბლა წინ დაუგო და არ ინებეს. გაძლიერდა მათ შორის წარმართნი და არ ინანეს. დამორჩილდა მათი ქედი უღელს და წელში არ გაიმართნენ.

აღმოიხოცა მათი სახელი სიცოცხლის წიგნიდან და ვეღარ იქნებიან მართალთა შორის, რადგან მგლებად შეირაცხნენ, ვერ ჭამეს ცხოვრების პური და მიწას ჭამენ, რადგან ვერ გახდნენ ძენი. აჰა, აგერ მონანი არიან და ვერ აღებენ სასუფევლის კარს. გაშორდნენ სასუფეველს, რადგან არ დაადგნენ ნათლის გზას და ღამეს ეხეთქებიან.

რომლებიც კეთილს არ ემონებიან, ბოროტს ემსახურებიან და რომელნიც ქრისტეს განუდგებიან, ეშმაკს ემორჩილებიან. რომლებიც ძეს არ აღიარებენ, მამასაც უარყოფენ და რომლებიც მამას უარყოფენ, სულიწმინდასაც აგინებენ. დღესასწაულებს, რომლებსაც უნდა განშორებოდნენ — აღნიშნავენ, ხოლო ჭეშმარიტებას, რომელიც გამობრწყინდა, არ შეიწყნარებენ.

მოკლეს მამებმა და ეზიარებიან შვილნი. უარყვეს პირველებმა და დაამტკიცეს შემდგომებმა. თვალი დაუდგათ მამებს და შვილები ხელების ცეცებით ეძიებენ. ახალი საკვირველებანი აღსრულდა და ვერ გაიგეს. დიდებულება, რომელიც თვალწინ აქვთ, სარწმუნოდ არ მიაჩნიათ. ცოდვები, როგორც ჩირქი, ისე მოედოთ და საცდურმა, როგორც მღიერმა, ისე დაიბუდა მათში.

ვიდრე ძე არ იყო, კერპებს ეთაყვანებოდნენ და როდესაც მაცხოვარი მოვიდა, არ აღიარეს. მკვლელი ჯვარმცმელები რომ მოქცეულიყვნენ, შეიწყნარებდა მათ. ვერ გულისხმაუყვიათ, რომ უფლის ბჭეში მხოლოდ მართალნი შედიან და არა ცოდვილნი. მის გზას წრფელნი გადიან და არა თავის ჭკუაზე მავალნი. ნათელი თვალხილულს გამოუბრწყნდება და არა ბრმას, სამართალი მართლებს უყვართ და არა ცრუთ, მასაც მართალნი უყვარს, მათ გამოირჩევს და საცდურისგან გაწმენდს თავის ეკლესიას. ცრუებს თუ სურთ, გახდნენ მართლები, უარმყოფელებს თუ ესათნოებათ, იქმნენ აღმსარებელნი.

ამისთვის მოვიდა ღმერთი, ამისთვის გამოუჩნდათ მხოლოდშობილი. შეუძლებელი რომ ყოფილიყო მათი მოქცევა, არ მოუწოდებდათ, წამოყენების იმედი რომ არ ჰქონოდა, არ გარდამოხდებოდა ზეციდან, თუმცა ძალით ხსნა რომ წესი ყოფილიყო, ასეც მოიქცეოდა.

ყოველივე, რაც დაბადა და რაც გააკეთა, წესს დაუქვემდებარა. ყოველივეს ორი ხელით აღასრულებს მარადის, წყალობით, ჭეშმარიტებით, სრული მეცნიერებით და არაფერი ავიწყდება. ბოროტისგან უცხოა ღმერთი და გარდამეტებულია მისი სიკეთე, რასაც სრულად ვერ აღწერს კაცი. მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ დიდი ზღვის გემოს გაგება მცირე ულუფითაც შეიძლება.

ღმერთი რომ კეთილია, იციან მწვალებლებმაც, მაგრამ მისი

სიმდიდრის მადლის შეცნობა ცოდნით შეუძლებელია. თუმცა შექმნილმა იცის, რომ მამისგან არის ძე და თუ უნდა — მამის შესახებაც გაიგებს, რომელიც ძით ცხადდება.

ძის ღმრთეებას ნუ უარყოფ, რათა არ წარწყდე და კაცებას ნუ დაამცირებ, რათა არ გევნოს, რადგან თავისი კაცობრივი სულითა და ღვთაებრივი ბუნებით ჩავიდა იგი ჯოჯოხეთში.

რომელიც ჯოჯოხეთში უნდა ჩავიდეს, ჩავა და რომელიც ზესკნელში უნდა ავიდეს, ამაღლდება. ჩამოვიდა ღმერთი და ამაღლდა და გაგვათავისუფლა უძლურებისგან, რადგან მიიღო კაცება, რომელიც მისი არ იყო და მოგვანიჭა დიდებულება, რომელიც ჩვენი არ იყო.

ღვთისგანაა ყოველი დაბადებული, მისია ღმრთეება და მისია კაცება. თავისიანებს შეეწია და არა უცხოთ. ყოველივე მან მოგვცა, ხოლო ბოროტი თავისუფალი ნების არჩევანია.

ურჯულოება ჭეშმარიტი ღმერთისგან არ დანერგილა. ეს კაცის ნებაა, მისი არჩევანია. ღმერთმა მრავალგზის აღხოცა იგი, რადგან არ ესათნოება, რადგან მას არ დაუნერგავს, არ არის მისი ძირი. და ყოველი ნერგი, რომელიც მამისგან არ არის, ძირიანად აღმოიფხვრება! უკეთურს რომ მისი ძირი არ შეეპყრო, ღმერთი მხსნელად არ მოვიდოდა.

იგი თავისი სიტყვით, საქმითა და სასწაულებით გონებას განსწავლის, ძალით თავისკენ არავის მიიზიდავს, ამას მხოლოდ სიტყვითა და ჭეშმარიტებით აღასრულებს; ხორცი იმისთვის კი არ შეისხა, რომ ადამიანებს შებრძოლებოდა, არამედ თვალით სახილველი ყოფილიყო და ამით ისინი თავისკენ მიექცია, უძლურები იყვნენ და დახმარებოდა. თავი ძალით წარიქცია, ხორცი შეიმოსა და შეუძლებელმა შესაძლებელში დაიმკვიდრა. სიყვარულისთვის მისცა თავი ხორცით სიკვდილს და წყევლა დახსნა. ნახა ჩვენი თანანადებნი და საკუთარი თავით გადაიხადა. სიკვდილის თანამდებნი ვიყავით და ჩვენთვის მოკვდა.

რადგან გინების ღირსნი ვიყავით, ის შეიგინა ჩვენ გამო, თავისუფლება მოგვცა და ჩვენი ნებით დავსნეულდით, რისთვისაც კიდევ უფრო გაამრავლა ჩვენი შეწევნა.

ამის შემდეგ კიდევ არიან ისეთნი, რომლებსაც არც მისი

თაყვანისცემა უნდათ და არც მისი მადლი, კაცთა სიბოროტე მრავალგვარია და უფლის კეთილმყოფლობა აღმატებული.

შეხედე ჯვარს და გაკვირდი! შეხედე, როგორი ვნებულია და არ მიგვატოვა, იხილე, რამდენს გმობენ და არ მრისხანებს, შეხედე ქვეყანას და იხილე მისი მადლი, შეხედე ეკლესიას და იხილე მისი მოწყალება. შეხედე მის წიაღს და იხილე, სავსეა სხვადასხვა ხალხით. კეთილნი ბოროტთა შორის არიან გარეულნი და იცნობიან და მშვიდები — ხმაურიანებს შორის, რომლებსაც ჰგონიათ, რომ მათ ვერ განარჩევენ სხვებისგან.

უფალი ყოველივეს ხედავს, იცის და დაითმენს. ვმადლობდეთ მის მოწყალებას, რომელმაც ჯვრის ძალით გვიხსნა, თაყვანი ვცეთ მის მადლს, რომელმაც თავისი სისხლით გამოგვისყიდა და ყოველივე იმისთვის, რაც აღასრულა და რასაც აღასრულებს. ვადიდოთ უფალი და ერთად წარმოვთქვათ სამების კურთხევა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვა, თქმული აღდგომის პარასკევსა და შაბათს*

წესია, საყვარელნო, ჩვენი მაცხოვრის ჭირისა და ვნების დღეს მწუხარება შევიმოსოთ. ჩვენი ღმერთისთვის კი არ ვართ მწუხარე, არამედ იმ უნამუსობით ვართ შეძრულნი, რაც ჯვარმცმელთა მოდგმამ იკადრა. ხოლო ძე ღვთისა ცხოველია და მისი სისხლი სიკვდილის მომაკვდინებელია.

რამდენმა საკვირველებამ გააოცა ჯვარმცმელები და მაინც რამდენი რამ იკადრეს! ან ვის არ გაუკვირდება დამბადებლის მოთმინება. ის, ვინც შეკრა ზღვა ქვიშის აღვირით, რათა არ დაიფაროს ქვეყანა და მისი მკვიდრნი, ჩვენთვის ძელზე გაეკრა, რათა ჩვენ გავეთავისუფლებინეთ ცოდვის საკრველთაგან; მან, ვინც ცა თავისი მტკაცლით გაზომა და ყოველივე თავისი წყალობით დაითმინა, თავს იდო ღაწვზე ცემა მონისაგან; ის, ვისი შიშის გამოც სერაბიმები ფრთებით იფარავენ პირს, მსაჯულის წინაშე წარსდგა და განიკითხა; მოკვდავის წინაშე წარდგა განსასჯელად ის, ვინც მიწას წვიმით ალბობს და ყრმებს რძით ზრდის.

მან სვა ჩვენთვის ძმარი, რომელმაც ვენახი მოგვცა. მაგრამ ნუ ჰგონიათ ურჯულოებს, რომ უფრო ძლიერები არიან მასზე, ვინც მათ თავი დაუმორჩილა.

უთხრა მათ: „მე ვარ“ და ამ ხმაზე უკან დაიხიეს, მიწაზე დაეცნენ და ველარ წამოდგნენ თავიანთ მოძღვრებთან ერთად. როდესაც დაამხო ისინი, თავისი სიმდიდრე აჩვენა მათ, შემდეგ წამოაყენა, რათა თავისი მადლი და ნება ეჩვენებინა.

ჯვარცმული რომ არ ყოფილიყო და სიკვდილისა და ვნების გემო რომ არ ეხილა, როგორ უნდა ეცა ნუგეში უკვდავს მოკვდავთათვის სიკვდილის ძლევით? ხორცი რომ სიკვდილისთვის არ მიეცა, ყოველი ხორციელი სიკვდილის შიშის ქვეშ იქნებოდა.

რადგან მისცა ხორცი სიკვდილს და განცხოველდა მესამე დღეს, მაშინღა სცა ნუგეში ყოველ მოკვდავს ისე, როგორც ხელეწიფებათ მათ უკვდავების მიღება. როგორ მოერეოდა ანანია,

* ძველქართულად ტექსტი იხ. გვ. 519.

აზარია და მისაელი ცეცხლს ან დანიელი ლომებს, რომ ისინი ცეცხლსა და მღვიმეში არ ჩაეყარა და იქედან მძლენი და დიდებულნი არ გამოსულიყვნენ? ან როგორ ვირწმუნებდით იონას, რომელიც ზღვაში ჩავარდა და არ დაიხრჩო, შთანთქა ვეშაპმა და გადარჩა, რომ არა უფალი, რომელსაც სურდა თავისი ძის ზრახვა გამოეხატა?

როგორც განცხოველდა იონა ვეშაპის მუცელში მესამე დღეს და შეეწია ნინეველებს თავისი ქადაგებით, ასევე უფალი ჩვენი იესო ქრისტე გამოვიდა საფლავით მესამე დღეს და აცხოვნა ყოველი თავისი დაბადებული, რომლებიც ცოდვით იყვნენ მკვდარნი. აღვასრულოთ ამიერიდან ეს დღესასწაული მისი ვნებისა, რათა არ გვრცხვენოდეს წარმართთა და ჯვარმცმელთა საყვედურისა.

თუკი გვაყვედრიან წარმართები ჯვარს, იცოდეთ, რომ ჯვრით გამოცხადდა მათი დაფარული, შეურაცხიყვნენ მათი თაყვანისმცემელნი, განქარდა მათი ღმერთები და მათი სამსახურებელიც. და თუ ჯვარმცმელნი დაგცინებენ მისი სიკვდილისთვის, გულისხმაყავი, რომ მის გამო დაინგრა მათი ქალაქი და განიბნა მათი ნათესავი, დაიხსნა მათი მღვდლობა და დასრულდა მათი აღთქმა.

ხოლო ჩვენ ყოველივე კეთილისთვის, რომელიც გვიყო, ვმადლობდეთ მას, მის გინებასაც თავს ვიდებდეთ და მის სიმდაბლესაც აღვამაღლებდეთ.

მისი ჯვარი გვწამს, მისი ვნება გვევნება, მისი სიკვდილის ტვირთს ვიტვირთავთ, მისი აღდგომა გვიხარია, მის ამაღლებას ვიქადით, მეორედ მოსვლას ველით, განვიცდით, მასთან გვსურს, მის სასუფეველში შესვლა გვიხარია და მამისა და ძისა და სულიწმინდის დიდება და პატივი აღმოვთქვათ უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

დიდი პარასკევის საკითხავი
წმინდა თეოდორე სტუდიელი*

როგორ უნდა ვიხსენებდეთ ჭეშმარიტებას და განვიცდიდეთ ქრისტეს საკვირველ ვნებებს?

ძმანო და მამანო, ვინ არ შეძრწუნდება და ვინ არ გაკვირდება საღმრთო განგებულების სიბრძნით, რომელსაც ვხედავთ დღეს დავითის კაცთმოყვარეობით, როდესაც გვესმის, რომ ყოველთა დამბადებელმა არ იკმარა თავისი სიტკბოების სიმდიდრე. მან კაცობრივი ბუნება შეიმოსა და ძე ღმრთისა ძედ ქალწულისად იწოდა, რათა განგვძარცვოს ხრწნილებისაგან და მოგვცეს მადლი საღმრთო შვილებისა, იგვემა უსჯულოთაგან, სიკვდილით დაისაჯა, ვითარცა უსჯულო და ყველა სახის სატანჯველი სულგრძელობით დაითმინა. დასჯილთა გამათავისუფლებელი, ზეცის, ქვეყნისა და ქვესკნელის მეუფე, უფალი დიდებისა, ჯვარს აცვა უღმრთოთა კრებულმა და უგულისხმო მთავარმა, პილატე პონტოელმა. გამოუთქმელია სიბრძნე და სახიერება ყოვლის შემოქმედი ღვთისა. რა უნდა ვთქვათ ჩვენ, ვინც ჯერ კიდევ ამსოფლისეული გულისთქმებით ვცხოვრობთ, გვიყვარს ეს სოფელი და როგორ შევიყვარებთ ყოველთა დაბადებულთა მეუფესა და უფალს, რომელმაც ისე შეგვიყვარა, რომ თავისი სიკვდილით უკვდავ ცხოვრებას (სიცოცხლეს) ზიარგვყო, გამოგვისყიდა არა ხრწნადი ოქრო-ვერცხლით, არამედ უბიწო სისხლით და, როგორც მოციქული იტყვის, საღვთო ტარიგის სისხლით გამოვისყიდეთ. ამიტომაც გულისხმა ვყოთ, ძმებო, და მადლობით დიდებასვმეტყველებდეთ უფალს, რადგან ამისთვის ამბობს უფალი სახარებაში: „რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინონ“. ხოლო რადგან იუდეველებს ყურნი დახშული ჰქონდათ, მათთვის თქვა წინასწარმეტყველმა: „მისცა მათ ღმერთმა სული მწუხარებისა, თვალები — არდასანახად და ყურები — არსასმენად“, ხოლო ჩვენ კრძალვითა და გულისხმისყოფით ვისმენდეთ ყოველივეს, რაც სახარებიდან გვესმა და არა უგულისხმოდ და ზერელედ,

* ძველქართულად ტექსტი იხ. გვ. 522.

რათა არ მოიწიოს ჩვენზე სულის სიბნელე და გეენიის უშრეტი საუკუნო ცეცხლი, არამედ შევძლოთ თქმა წერილის მსგავსად: „სწავლამ უფლისამ გახსნა ჩვენი სასმენელი, ვინც ისმენს მას და გულისხმაყოფს — ლმობიერი გახდება“, განიწმინდება, გამხიარულდება, როდესაც გაიგონებს სიტყვებს ქრისტეს ვნებათა შესახებ, რა იქნება მასზე უმეტესად საშინელი და გონების განმაცვიფრებელი. ღმერთი, ჯვარზე დამსჭვალული და ავაზაკთა შორის დასჯილი, უსჯულოთა შორის შეირაცხა, წინასწარმეტყველის სიტყვისაებრ, მზე დაბნელდა და ტაძრის კრეტსაბმელი გაიპო, საფლავები შეიძრა და მკვდარნი აღდგნენ და ეს ყოველივე ჩვენთვის მოხდა, ვინაიდან როგორც ერთი ადამის მიერ ყველანი სიკვდილს დავექვემდებარეთ, ასევე ქრისტეს მიერ აღდგომისა და უხრწნელი ცხოვრების ღირსნი გავხდით; როგორც ცნობადის ხესთან კადნიერი მიახლებით ნეტარი ცხოვრებიდან განვიდევნეთ, ასევე მაცხოვრის ჯვარზე განპყრობილი ხელების მეოხებით კვლავ სამოთხის მკვიდრნი და ზეცათა სასუფევლის მკვიდრნი შევიქენით. რა უნდა იყოს ამაზე ბრწყინვალე და სასიხარულო?

ყველას გვახსოვდეს მოციქულის სიტყვები: „გადავწყვიტე არაფერი მცოდნოდა თქვენ შორის, გარდა იესო ქრისტესი და ისიც ჯვარცმულისა“, და ასევე: „ხოლო მე ღმერთმა დამიფაროს, რომ სხვა რამით ვიქადოდე და არა ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ჯვრით “. ამას იმეორებდნენ წმინდა მოციქულნი და მოწამენი, როდესაც ცეცხლითა და მახვილით უწყალოდ იგვემებოდნენ. ისინი ბრწყინვალედ ხარობდნენ, როგორც დავით წინასწარმეტყველი იტყვის: „იხარებდნენ მართლები უფლის მიმართ“. მათ ყოველი ამქვეყნიური სიამოვნება უარყვეს, როგორც მსწრაფლწარმავალი აჩრდილი და ქრისტე შეიძინეს, ვინაიდან ესმოდათ, თუ რას ეუბნება მაცხოვარი მოწაფეებს: „არ დაგტოვებთ ობლად; მოვალ თქვენთან. ცოტაც და, ქვეყანა ვეღარ მიხილავს, თქვენ კი მიხილავთ. ვინაიდან ცოცხალი ვარ და თქვენც იცოცხლებთ“. ასევე: „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი და თქვენ რტონი... და ჩემი მეგობრები ხართ; თუ ასრულებთ იმას, რაც გამცნეთ, უკვე აღარ გიწოდებთ მონებს, ვინაიდან მონამ არ

იცის, რას აკეთებს მისი ბატონი; არამედ მეგობრებს გიწოდებთ, რადგანაც გაუწყეთ ყველაფერი, რაც მსმენია მამაჩემისგან“. როდესაც ეს ყოველივე ესმის ღვთისმოყვარე სულს, არათუ მხოლოდ განიხარებს, არამედ გულმოდგინედ მოემზადება ქრისტესთვის სიკვდილისათვის. ამგვარი სურვილით აღვსილი ყოველი წმინდანი გაცხადებაა წინასწარმეტყველი იერემიას სიტყვისა: „არა დავშურერ მე შედგომად შენდა, უფალო, და დღესა მისთვის კაცობრივისა მე არა მსუროდა“. ხოლო დავითი იტყვის: „რაჲ მივაგო უფალსა ყოვლისავესთვის, რომელი ესე მომაგო მე“. პავლე მოციქული ბრძანებს: „რადგან ჩვენ მოგვენიჭა ღვთისგან არა მხოლოდ სარწმუნოება, არამედ მისთვის ვნებაც“. როდესაც მოციქულები იგვემებოდნენ, უხაროდათ, ვინაიდან, როგორც ლუკა მახარებელი იტყვის: „ღირსნი გახდნენ ქრისტეს სახელისთვის ტანჯვისა“. ყოველი წმინდანი ქრისტეს მიმართ სამადლობელს აღავლენს და ღაღადებს: გლოცავთ, ძმანო, რათა ჩვენც გულმოდგინედ ვისმინოთ ყოველი და ჭეშმარიტი სიყვარულით შევიყვაროთ იგი, ვინც შეგვიყვარა ჩვენ (ქრისტე). ვმადლობდეთ მას იმ ყოველივე კეთილისათვის, რაც მოგვაგო, რადგან საცხოვნებელად გამოგვირჩია და სიწმინდით მიგვიყვანა მონაზვნურ ცხოვრებამდე, აგვარიდა ურწმუნოება, ბოროტმორწმუნეობა და მართლმადიდებლობით მსახურება განგვიწესა. რამდენია კაცობრივი სივერაგითა და საცდურის მანქანებით ცდუნებული და მტრის სიცრუით წარწყმედილი, რამდენს სწყურია და შია, არა პური და წყალი, არამედ საღმრთო სიტყვა, მათ არ სმენიათ წმინდა წერილის სიტყვები, რომლებიც გვამცნობს, რომ უფალმა გვიძღვნა ტრაპეზი ჩვენს გამოსაზრდელად, სავსე წმინდა სწავლებებითა და იმედის მომცემი სიტყვით. როგორც ტაძრის ასაშენებლად საჭიროა ოქროს ფიცრები და ყოველგვარი სვეტი, იმგვარადვე გვაქვს ყოვლადწმინდა სულის სიტყვები — ყველანაირად განმამტკიცებელი გონებისა და სულისა. ახლა დროა, მოციქულთან ერთად ვთქვათ: თუ ღმერთი ჩვენთანაა (ჩვენს მხარეზეა), ვის ძალუძს ჩვენთვის ბოროტების მოყენება? მან (ღმერთმა) საკუთარი ძეც არ დაიშურა ჩვენთვის სასიკვდილოდ და განა ყოველივეს არ მოგვანიჭებს ჩვენ? ვინ

არის ღვთის რჩეულთა ბრალმდებელი? ღმერთი განმამართლებელია, ვინ არის დამსჯელი? იესო ქრისტე, რომელიც მოკვდა ჩვენი ცოდვებისათვის და აღდგა ჩვენი გამართლებისათვის. რომელიც ზის მარჯვენით მამისა, მოგვანიჭებს ცათა შეურყეველ სასუფეველს, ვინაიდან მისია დიდება, მშვენიერება, სიმტკიცე და ძლიერება მამასა და სულიწმინდასთან ერთად, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

დიდი პარასკევი
ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს ვნებისა და სიკვდილის მოსახსენიებელი საკითხავი, ნათქვამი ებრაელ რჯულისმცოდნეთა კრებულის წევრის, ანანიას მიერ*

რადგან საღვთო წიგნებიდან შევიცანი უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ვისწრაფე და სარწმუნოებით გადმოვეცი, რა თქვეს ებრაელებმა ღვთის შესახებ პილატე პონტოელის წინაშე, რაც აღიწერა ნიკოდიმოსის მიერ ებრაულ ენაზე.

ანა, კაიაფა, სუმე, დოდაე, გამალელი, იუდა, ლევი, ლეფთალელი, ალექსანდრე, იროსი და სხვა ებრაელები მივიდნენ პილატესთან, იესო რჯულის გარდამავალ მრავალ საქმეში დაასმინეს და უთხრეს: „ჩვენ ვიცით, რომ იგი არის მარიამისაგან შობილი, ხურო იოსების ძე, ის კი საკუთარ თავს ღვთის ძედ და მეფედ აცხადებს, ამას გარდა, შეურაცხყოფს შაბათს და ჩვენს მამაპაპურ რჯულს არღვევს“.

პილატემ ჰკითხა: „რას აკეთებს ისეთს, რომ თქვენს რჯულს არღვევს?“ ებრაელებმა მიუგეს: „ჩვენი რჯულის მიხედვით, შაბათ დღეს არ შეიძლება განკურნება, ის კი კოჭლებს, ბრმებს, კეთროვნებს, ეშმაკეულებს და დამბლადაცემულებს შაბათობით კურნავს და ეშმაკთა მთავრის, ბელზებულის მეშვეობით ეშმაკებს განდევნის“. პილატემ მიუგო, რომ „ეშმაკთა განდევნა არაწმიდა სულის მიერ კი არა, ღმერთ სკლეოპას ძალით ხდება“. ებრაელებმა სთხოვეს პილატეს, რომ მისი ტახტის წინაშე წარედგინა იესო განსასჯელად. მსაჯულმა უარი განაცხადა: „როგორ შემიძლია მე, მოხელემ, მეფე გავასამართლო“? იუდეველებმა მიუგეს, რომ ისინი იესოს მეფედ არ აღიარებდნენ, რომ ის თავად უწოდებდა საკუთარ თავს მეფეს. მაშინ პილატემ ერთ-ერთ თავის ხელქვეითს უბრძანა იესოს მოყვანა განსასჯელად: როცა ხელქვეითი იესოსთან მივიდა, იცნო იგი, ჯერ თაყ-

* ძველქართულად ტექსტი იხ. გვ. 527.

ვანი სცა, შემდეგ კი მიწაზე დაუფინა ოლარი, რომელიც ხელში ეჭირა და უთხრა: „უფალო, ამაზე დადექი, რადგან გეძახის შენ მოხელე“. ამის გამგონე ებრაელებმა ყვირილით მიმართეს პილატეს: „სამეფო კაცი რატომ არ გაგზავნე მის მოსაყვანად უბრალო ხელქვეითის ნაცვლად“, რადგან ამ ხელქვეითმაც იხილა თუ არა იესო, თაყვანი სცა, ოლარი დაუფინა და უთხრა, ამაზე დადექი, რადგან მოხელე გიხმობსო. პილატეს შეკითხვაზე, თუ რატომ მოიქცა იგი ამგვარად, ხელქვეითმა უპასუხა: „ბატონო, როდესაც შენ იერუსალიმის ქუჩებში გამგზავნე, მაშინ იქ ვნახე ვირზე მჯდომი იესო, რომელსაც ებრაელთა ყმაწვილები ზეთისხილის რტოებით ეგებებოდნენ, სამოსელს უფენდნენ და ხმამაღლა ევედრებოდნენ: „გვაცხოვნე, რომელი ხარ მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“. ამის გაგონებაზე იუდეველები აყვირდნენ: „ისინი ებრაულად ამბობდნენ ამას და შენ საიდან გაიგე, შენ ხომ ებრაული არ იცი? ხელქვეითმა კი მიუგო: ერთ-ერთ მათგანს ვკითხე და მან ამიხსნა, რომ „ოსანა“ ნიშნავს „გვაცხოვნენ ჩვენო“.

პილატემ კვლავ ჰკითხა ებრაელებს: „რას იძახდნენ ებრაულად?“ ებრაელებმა უპასუხეს: „ოსანა“ და „ოსანა“ რას ნიშნავს? იკითხა მსაჯულმა. „გვაცხოვნენ ჩვენ“ — უპასუხეს ებრაელებმა. თუკი თქვენც ადასტურებთ, რომ ყმაწვილები ამას ამბობდნენ, მაშინ ჩემი მცველი მართალი ყოფილაო, განაცხადა პილატემ, ებრაელები კი დუმდნენ. პილატე მიუბრუნდა თავის ხელქვეითს და კვლავ დაავალა იესოს შემოყვანა, ისიც გავიდა და ისევე მოიქცა, როგორც თავდაპირველად, ოლარი დაუფინა და თან უთხრა იესოს: „უფალო, შემოდი, მსაჯული გეძახის“. როდესაც მაცხოვარი შემოვიდა, იქვე იდგნენ მედროშეები, რომლებსაც პილატეს ალმები ეჭირათ ხელში. იესოს შემოსვლისას დროშის ტარები თავისით მოიხარნენ მედროშეების ხელში და თაყვანი სცეს მას. განრისხებულმა ებრაელებმა ყველაფერი მედროშეებს დააბრალეს. პილატემ კი ასეთი სიტყვებით შეაგონა იუდეველები: „არ გიკვირთ, როგორ მოიხარნენ დროშის ტარები და თაყვანი სცეს იესოს?“ მათ კი ისევ უსირცხვილოდ დაადანაშაულეს მედროშეები: „მათ თვითონ მოხარეს დროშის

ტარები და თაყვანი სცეს იესოს“. პილატემ დაუძახა მედროშეებს და ჰკითხა, თუ რატომ მოიქცნენ ისინი ასე. მათ კი მიუგეს მსაჯულს: „ჩვენ ვართ წარმართები, ტაძრის მსახურები და იესოს როგორ ვეთაყვანებოდით? დროშის ტარები თავისით მოიხარნენ და თაყვანი სცეს მას“. პილატემ ერისმთავრებსა და უხუცესებს დაავალა, გამოერჩიათ ძლიერი და მხნე მამაკაცები, რომელთა ხელში დროშის ტარები თავისით ადვილად ვერ მოიხრებოდა. მათაც შეარჩიეს ასეთები, თითოეული დროშა ექვს-ექვს მათგანს დააჭერინეს და პილატეს ტახტის წინ დააყენეს. მსაჯულმა ისევ დაავალა თავის ხელქვეითს იესოს შემოყვანა, ხოლო მათ, ვისაც პირველად ეჭირათ დროშები, უთხრა: „კეისრის სიცოცხლეს ვფიცავარ, თავებს წაგაცლით, თუკი დროშის ტარები არ მოიხრებიან, როცა იესო შემოვა“. პილატეს ხელქვეითმა ისევ დიდი მოწიწებით შემოიყვანა იესო, მაცხოვარმა გაიარა დაგებულ ოლარზე და შევიდა დარბაზში, მისი შესვლისას მედროშეების ხელში კვლავ თავისით მოიხარა დროშის ტარები და თაყვანი სცეს ქრისტეს. ამის ხილვამ ძალიან შეაშინა პილატე და ტახტიდან წამოდგომა დააპირა. სწორედ ამ დროს ცოლმა მიუგზავნა კაცი და გადასცა თავის დანაბარები: „რა ხდება შენსა და მაგ მართალ კაცს შორის, რადგან ძალიან დავიტანჯე მისთვის ამ ღამეს“. შეძრწუნებულმა პილატემ ებრაელებს და ლევიტელებს აუწყა ცოლის ნათქვამი, მათ კი სიზმრის ხილვაშიც იესო დაადანაშაულეს, მან დატანჯა ასეთი სიზმრებით შენი ცოლიო. პილატემ კი იესოს დაუძახა და უთხრა, პასუხი გაეცა ებრაელთა ცილისწამებაზე. ქრისტემ მხოლოდ ის თქვა, რომ ადამიანი თვითონ არის თავისი სიტყვების განმგებელი, კეთილისაც და ბოროტისაც. ებრაელებმა ისევ დაუწყეს ყვედრება იესოს: „შენ არ ხარ ღვთის ძე, რადგან ისევე დაიბადე, როგორც სხვები, შენი შობისას ბეთლემში ჩვილები ამოხოცეს, მამაშენი იოსები და დედაშენი მარიამი ეგვიპტეში გაიქცნენ, რადგან თავის ხალხში არ დაედგომებოდათ“. ასე ლანძღავდნენ და აგინებდნენ იუდეველები მაცხოვარს. იქ მდგომი ზოგიერთი ღვთისმოყვარე ადამიანი კი ამბობდა: „ჩვენი იესო ბოროტმოქმედი კი არა, კეთილისმთქმელიაო“.

პილატეს ესმოდა, რომ ზოგი აგინებდა ქრისტეს, ზოგი კი ცრემლებს ღვრიდა მისთვის, ამიტომაც იუდეველებს მიმართა: „თქვენი ბრალდებები, როგორც ჩანს, არ არის მართალი, რადგან ზოგიერთი თქვენგანივე ამბობს, რომ იესოს ბოროტი არაფერი ჩაუდენია“. ანამ და კაიაფამ კი იმით იმართლეს თავი, რომ ვინც ქრისტეს კეთილისმოქმედს უწოდებს, მწირები ანუ უცხოები არიან და არა მისი მოწაფეებიო. პილატემ იკითხა: „ეს მწირობა რაღა არის?“. „მწირები უცხოები, ანუ წარმართთა შთამომავლები არიან, რომლებიც ახლა გახდნენ ებრაელები“ — უპასუხეს მას. მაშინ ლაზარემ, ასტერმა, ნაცომ, იაკობმა, სამუელმა, ისააკმა, ფინეზმა, კრისპამ და იუდამ თქვეს: „ჩვენ ნამდვილი ებრაელები ვართ და არა მწირები და გვწამს, რომ იესოა სამყაროს ჭეშმარიტი მხსნელი“. ამის მოსმენის შემდეგ პილატემ მათ კეისრის სიცოცხლე დააფიცა, რათა სიმართლე ეთქვათ იესოს შესახებ — კეთილისმოქმედი იყო თუ ბოროტმოქმედი იგი. მათ კი ისევ გაბედულად დაადასტურეს თავიანთი ნათქვამი. ანა და კაიაფა კი პილატეს არწმუნებდნენ, რომ იმ თორმეტიოდე ადამიანის კი არა, არამედ მათი დაეჯერებინა, რადგან უმრავლესობა სწორედ მათ მხარეს იყო და იესოს ღვთისა და კეისრის გმობაში ადანაშაულებდა.

პილატემ იმ თორმეტ ებრაელს ჰკითხა, თუ რატომ უნდოდათ ებრაელებს იესოს სიკვდილით დასჯა. „შური აქვთ, რატომ კურნავს შაბათობითო“, — მიუგეს მას. კეთილი საქმეების გამო უნდათ მისი მოკვლაო? — კვლავ იკითხა პილატემ. როდესაც ისევ დაუდასტურეს ნათქვამი, მაშინ განრისხებული მსაჯული გამოვიდა ტაძრიდან და თქვა: „მზე იყოს ჩემი მოწმე, რომ ადამიანს ერთი დანაშაულიც კი ვერ ვუპოვე“. გაბოროტებული ებრაელები კი ისევ გაჰყვიროდნენ, იესო ბოროტმოქმედი რომ არ ყოფილიყო, ისე სამსჯავროზე არ გადავცემდითო. მაშინ პილატემ ებრაელებს მიანდო ქრისტეს გასამართლება და უთხრა: „თქვენი რჯულის მიხედვით განსაჯეთ“, რაზეც ასე უპასუხეს: „ჩვენ არა გვაქვს უფლება, ვინმე მოვკლათ“.

პილატე შევიდა ტაძარში, დაუძახა იესოს და ჰკითხა: „შენ ხარ ებრაელების მეუფე?“ იესომ კი მიუგო: „შენით ამბობ მა-

გას, თუ სხვებმა გითხრეს ეს ჩემზე?“ პილატემ უპასუხა: „განა მე იუდეველი ვარ? შენმა ხალხმა და მღვდელთმთავრებმა გადმომცეს შენი თავი. რა გააკეთე?“ იესომ მიუგო: „ჩემი მეფობა არ არის ამ სოფლისგან. ამ სოფლისაგან რომ ყოფილიყო ჩემი მეფობა, ჩემი მსახურები იბრძოლებდნენ, რომ არ გადაეცათ ჩემი თავი იუდეველებისთვის, ხოლო ახლა ჩემი მეფობა არ არის ამ სოფლისა“. პილატემ კვლავ ჰკითხა, „მეუფე ხარ შენ?“ იესომ კი უპასუხა: „შენ ამბობ, რომ მეფე ვარ. მე ამისთვის ვარ შობილი და ამისთვის მოვედი ამსოფლად, რათა ვმოწმობდე ჭეშმარიტებას. ყოველი, რომელიც ჭეშმარიტებისაგან არის, ისმენს ჩემი ხმისას“. პილატემ ჰკითხა: „და ამ ქვეყნად რა არის ჭეშმარიტება?“ იესომ კი მიუგო: „ხედავ, ვინც ჭეშმარიტებას ამბობს, როგორ განიკითხება მათგან, ვისაც ამქვეყნიური ძალაუფლება აქვს?!“

პილატემ იესო ტაძარში დატოვა, გარეთ გამოვიდა და ებრაელებს უთხრა: „მე ვერავითარ ბრალს ვერ ვპოულობ მასში“. მათ კი მიუგეს: „ეს ამბობდა, შემიძლია დავანგრიო ღვთის ტაძარი და სამ დღეში ავაშენო“. პილატემ იკითხა: „რომელი ტაძარი?“ ებრაელებმა მიუგეს: „სოლომონ მეფე რომ ორმოცდაექვსი წელი აშენებდა, იმ ტაძარზე თქვა, შემიძლია დავანგრიო და სამ დღეში ავაშენოო“. პილატემ იესოს გასამართლებისა და განაჩენის გამოტანისაგან თავი შორს დაიჭირა და თქვა: „უდანაშაულო ვარ ამ მართლის სისხლში, თქვენ ნახეთ“. ებრაელებმა უპასუხეს: „სისხლი მაგისი ჩვენზე და ჩვენს შვილებზე“.

მოიხმო პილატემ თავისთან მღვდლები, ლევიტელები და ერის უხუცესები და უთხრა: „ასე ნუ მოიქცევით, რადგან სასიკვდილო არაფერი ჩაუდენია იესოს, თქვენვე ამბობთ, რომ სნეულთა შაბათ დღეს განკურნებაშია დამნაშავე“. მღვდლებმა, ლევიტელებმა და უხუცესებმა უთხრეს პილატეს: „თუ ვინმე კეისარს დაგმობს, ღირსია სიკვდილისა“. პილატემ კი თქვა: „ღმერთი არ დაუგმია და ღირსია სიკვდილისა?“ ებრაელებმა მიუგეს: „ჩვენ კი ვამბობთ, რომ კეისარს გმობდა და სიკვდილითაა დასასჯელი“. პილატემ უბრძანა ებრაელებს, გასულიყვნენ ტაძრიდან, თავისთან იხმო იესო და უთხრა: „რა გიყო შენ?“ იე-

სომ მიუგო: „ასეა უწყებული“. პილატე ჩაეკითხა მაცხოვარს: „როგორ არის უწყებული?“ იესომ უპასუხა: „მოსე და ყველა წინასწარმეტყველი წინასწარვე ქადაგებდნენ ჩემს სიკვდილსა და აღდგომაზე“. ამის გამგონე ებრაელებმა პილატეს უთხრეს: „ამაზე უარესი გმობა რაღა უნდა მოისმინო?“ პილატემ კი მიუგო: „თუკი ეს გმობის სიტყვებია, წაიყვანეთ და თქვენი რჯულის მიხედვით გაასამართლეთ“. ებრაელებმა უთხრეს: „ჩვენს რჯულში წერია, თუკი ადამიანი ადამიანს შესცოდავს, მას ოცდაცხრამეტჯერ უნდა დაარტყან როზგი, ხოლო ღვთის მგმობი კი ქვებითაა ჩასაქოლი“. პილატემ უთხრა: „წაიყვანეთ და როგორც გინდათ, ისე მოიქეცით“. ებრაელებმა თქვეს, რომ იესოს ჯვარზე გაკვრა უნდოდათ. პილატემ კი უარყო ეს განაჩენი და თქვა: „არ არის სწორი მისი ჯვარცმა“, შემდეგ გადახედა იქ შეკრებილებს და დაინახა, რომ მრავალი ებრაელთაგანი ცრემლებს ღვრიდა იესოს გამო და თქვა: „ყველა არ არის მისი სიკვდილის მოსურნე“. მღვდელმთავრებმა კი მიუგეს: „მთელი ერი იმისთვის მოვიდა შენთან, რათა ეგ მოკვდეს“; რატომ უნდა მოკვდესო, კვლავ იკითხა პილატემ. „იმის გამო, რომ საკუთარ თავს ღვთის ძედ და მეფედ აცხადებს“ — მიუგეს იუდეველებმა.

პილატეს წინაშე წარსდგა კაცი, სახელად ნიკოდიმოსი. მისგან სიტყვის თქმის ნებართვა ითხოვა და შემდეგ მიმართა: „მე მღვდლებს, ლევიტელებს და მთელ აქ შეკრებილ ებრაელებს ვუთხარი თავიანთ შესაკრებელში, რომ დაენებებინათ თავი იესოსათვის, რომლის სასწაულების მსგავსი არავის უქმნია და ვერც ვერავინ იზამს. ვთხოვე, რომ ცუდს ნურაფერს გაუკეთებთ და ბოროტებას ნუ ჩაიდენთ-მეთქი, რადგან თუკი იესოს სასწაულები ღვთისგანაა, გამოჩნდება, ხოლო თუკი ეშმაკის საცდურია — თავისთავად გაქრება. ღვთის განგებით და მისი ძალით მოსემაც ბევრი სასწაული აღასრულა ეგვიპტეში. სასწაულები მოახდინეს ფარაონის მსახურებმაც, იანემ და იამბრემ, რომლებსაც ეგვიპტელები ღმერთებივით უყურებდნენ, მაგრამ მათი სასწაულები არ იყო ღვთისაგან, ამიტომ ისინიცა და მათი მიმდევრებიც დაიღუპნენ. ახლა კი გავუშვათ ეგ კაცი, რადგან არ არის სიკვდილის ღირსი“.

ნიკოდიმოსის სიტყვებით გაბოროტებულმა ებრაელებმა არ მოინდომეს მისი მოსმენა, შენც მისი მოწაფე იყავი და იმიტომ ამბობ მაგასო. „მსაჯულიც მისი მოწაფე იყო და იმიტომ იცავს მას, განა კეისარმა არ დანიშნა ამ თანამდებობაზე?!“ — უპასუხა ნიკოდიმოსმა. გაბრაზებული ებრაელები მზად იყვნენ ისიც მოეკლათ და უთხრეს: „რადგან მისი ჭეშმარიტება მიიღე, ამიტომ მის მხარეზე ხარ“. ახლა სხვა კაცი მივიდა მსაჯულთან, ლაპარაკის ნებართვა ითხოვა მისგან და თქვა: „მე ოცდაათი წელი საწოლს ვიყავი მიჯაჭვული და ძალიან ვიტანჯებოდი, მოვიდა იესო, მრავალი ეშმაკეული და სნეული განკურნა, მეც შევებრალე ვიღაც ჭაბუკებს, ამიღეს და საწოლით მიმიყვანეს მასთან. დამინახა იესომ, შევებრალე და მხოლოდ სიტყვით თქვა: „ადექი, აიღე შენი საწოლი და გაიარე“. მაშინვე განვიკურნე, ავიღე ჩემი საწოლი და გავიარე. ებრაელებმა მაშინვე იმის დადგენა მოითხოვეს, თუ რომელ დღეს მოხდა ეს. განკურნებულმა კი განაცხადა, რომ ეს დღე შაბათი იყო. „აი, ხომ ვთქვით, რომ შაბათობით კურნავს და ეშმაკებს განდევნის“ — აყვირდნენ ებრაელები. მაშინ სხვა ალაპარაკდა: „მე ბრმა ვიყავი, ხმა მესმოდა, მაგრამ სახეს ვერ ვხედავდი, როდესაც ახლოს გამიარა იესომ, დიდი ხმით დავიყვირე: „შემიწყალე, მე, დავითის ძეო“. შემიწყალა, დამადო ხელი თვალებზე და მაშინვე დავინახე“. ახლა სხვამ თქვა, რომ ბავშვობიდანვე კოჭლი იესომ განკურნა. შემდეგ კეთროვანი წარდგა მსაჯულის წინაშე და თავისი სასწაულებრივი განკურნება მოახსენა. შორიდან კი ვიღაც დედაკაცი ყვიროდა: „თორმეტი წელი სისხლმდინარე ვიყავი და იესოს სამოსლის ქვედა კიდის შეხებით გამოვჯანმრთელდი“. ებრაელები კი გაჰყვიროდნენ, ჩვენი რჯულით დედაკაცი მოწმედ ნუ დადგებაო.

პილატემ იესოს მიერ ოთხი დღის მკვდარი ლაზარეს აღდგინების ამბავიც რომ მოისმინა, ძალიან შეშინდა და კვლავ ჰკითხა ებრაელებს: „რატომ გინდათ, რომ უდანაშაულოს სისხლი დაიღვაროს?“ და მოიხმო ნიკოდიმოსი და თორმეტი მოწაფე, რომელთაც უთხრეს, რომ იესო არ იყო ბოროტმოქმედი. პილატემ იკითხა: „რა ვქნათ, დიდი შფოთი ატყდება ხალხში“. მოწა-

ფეებმა კი უპასუხეს, „ჩვენ არ ვიცით, თავად ნახავენ, რაც მოხდება“.

შემდეგ პილატემ კვლავ ებრაელებს მიმართა: „ვიცი, რომ ჩვეულება გაქვთ, აღვსების დღესასწაულზე ერთი შეპყრობილი გაათავისუფლოთ. საპყრობილეში მყავს ერთი დამნაშავე, კაცის მკვლელი, რომელსაც ბარაბა ჰქვია. თქვენ წინაშე კი დგას იესო, რომელსაც არაფერი დაუშავებია. ვინ გინდათ, რომ გავათავისუფლო?“ მათ კი შესძახეს: „ბარაბა“. პილატემ იკითხა: „რა ვუყო იესოს, რომელსაც ჰქვია ქრისტე?“. „ჯვარს ეცვას! რადგან თქვა, ღმრთის ძე ვარო და მეუფე. ამის მეფობა გინდა თუ კეისრისა?“ — იყო პასუხი. განრისხდა პილატე და განუცხადა მათ: „თქვენი მოდგმა სულ შფოთშია და თავის მხსნელებს ებრძვის. ღმერთმა სასტიკი მონობიდან გამოგიყვანათ, უდაბნოში მანანა და მწყერი მოგცათ საჭმელად, კლდისაგან კი წყალი — სასმელად, რჯული მოგცათ, თუმცა ისევ განარისხეთ უფალი და მხოლოდ მოსეს ვედრებით შეგიწყალათ და არ ამოგჟლიტათ ღმერთმა, ახლა კი მე მადანაშაულებთ იმაში, რომ კეისარი მძულს?!“

ებრაელები კი ისევ ყვიროდნენ: „ჩვენ კეისრის გარდა სხვა მეფე არ ვიცით და ასევე იესო, რომელსაც აღმოსავლეთიდან მოსულმა მოგვებმა ძღვენი მიართვეს, როგორც მეფეს. ჰეროდემ რომ მოისმინა მოგვებისგან, მეფე დაიბადაო, მისი მოკვლა მოინდომა. როდესაც იესოს მამამ ეს შეიტყო, წაიყვანა მარიამი და ახალშობილი და ეგვიპტეში გაიქცა. ჰეროდემ კი ბეთლემში დაბადებული ყველა ჩვილი ამოხოცა“.

ამ სიტყვებმა ძალიან შეაშინა პილატე და დადუმდა. შემდეგ კი იკითხა: „ეს არის, ვისი მოკვლაც უნდოდა ჰეროდეს?“ ებრაელებმა უპასუხეს: „ეს არის“. მაშინ მოითხოვა წყალი, ხალხის წინაშე დაიბანა ხელები და უთხრა მათ: ებრაელები კი გაჰყვიროდნენ: „მაგისი სისხლი ჩვენზე და ჩვენს შვილებზე!“

მაშინ პილატემ ბრძანა, იესო წაეყვანათ და იქაურობა დაეტოვებინათ.

პილატეს მიერ გამოტანილი იესოს სასიკვდილო განაჩენი*

„შენმა თანამემამულეებმა თქვეს, რომ მეუფე ხარ და ამიტომ მოგესაჯა შენ სიკვდილი“.

და მაშინ ბრძანა, რომ სჯულის დარღვევისათვის შოლტებით ეცემათ და ორ ავაზაკთან ერთად ჯვარზე გაეკრათ. მაშინ იესოს გახადეს სამოსელი, ჩააცვეს ძოწეული, ეკლის გვირგვინი დაადგეს თავზე და მასთან ერთად ორი ავაზაკი აცვეს ჯვარს, ერთი მარცხნივ და ერთი მარჯვნივ. იესო კი ამბობდა: „მამაო, აპატიე მათ, რადგან არ იციან, რას აკეთებენ“.

მისი სამოსი გაიყვეს მცველებმა, ხალხი იდგა და უყურებდა, მღვდელთმთავრები და ერისმთავრები კი დასცინოდნენ იესოს და ამბობდნენ: „სხვები აცხოვნა, თავისი თავიც იცხოვნოს, თუკი ღვთის ძეა და მისი რჩეული“.

ჯარისკაცებიც კიცხავდნენ, რომლებმაც ძმარი მიაწოდეს და ეუბნებოდნენ: „თუკი შენ ხარ ებრაელთა მეფე, უშველე შენს თავს“.

სასიკვდილო განაჩენის გამოტანის შემდეგ პილატემ ბრძანა სპილენძის დაფაზე ბერძნულად, რომაულად და ებრაულად დაეწერათ, რომ იესო არის ებრაელთა მეუფე, როგორც ეს თავად ებრაელებმა თქვესო.

იესოსთან ერთად ჯვარცმულმა ერთ-ერთმა ავაზაკმა, რომელსაც სახელად გესპასი ერქვა, უთხრა მაცხოვარს: „თუკი შენ ქრისტე ხარ, შენი თავიც აცხოვნე და ჩვენც“.

მისმა ამხანაგმა, სახელად დუმაქსმა კი დატუქსა იგი და უთხრა: „ღვთისა არ გეშინია, რომ ერთნაირად ვისჯებით? ჩვენ რაც გავაკეთეთ, ღირსი ვართ ამისა და სამართლიანად მოგვეგება, ხოლო ამას უჯერო არაფერი გაუკეთებია“ და ეუბნებოდა იესოს: „მომიხსენე მე, უფალო, როცა მიხვალ შენს სასუფეველში“. ხოლო იესომ უთხრა მას: „ამინ, გეუბნები შენ, დღეს ჩემთან იქნები სამოთხეში“. ხოლო იყო მეექვსე ჟამი და მთელ ქვეყანაზე

* ძველქართულად ტექსტი იხ. გვ. 537.

დაბნელდა მეცხრე ჟამამდე, მზეს ნათელი მოაკლდა, ტაძრის კრეტსაბმელი შუაზე გაიხა და დიდი ხმით დაიყვირა იესომ: „მამაო, ობია და ქეთ ფით რუთ“, რაც ასე ითარგმნება: „მამაო, შენს ხელთ შევვედრებ ჩემს სულს“.

ეს რომ თქვა, სული განუტევა.

ასისთავმა რომ ეს ყველაფერი იხილა, ადიდა ღმერთი და თქვა: „ეს კაცი მართალი იყო“.

ყველა, ვინც მის სანახავად იყო მოსული, მკერდში იცემდა და უკან ბრუნდებოდა ტირილით.

ასისთავი მივიდა პილატესთან და ყველაფერი მოუყვა. შეწუხებულმა მსაჯულმა და მისმა ცოლმა კი იმ ღღეს აღარც არაფერი ჭამეს და არც დალიეს.

პილატემ დაუძახა ებრაელებს და უთხრა: „ხედავთ, რა მოხდა?“

ხოლო მათ უპასუხეს: „ჩვეულებრივი მზის დაბნელება არის“.

იქვე იდგნენ იესოს ნაცნობები და ქალები, რომლებიც გალილეიდან იყვნენ მოსულები.

და მოვიდა კაცი, სახელად იოსები, ქალაქ არამათიიდან, კეთილი და მართალი, რომელიც ღვთის სასუფეველს მოელოდა. მას არ მიუღია მონაწილეობა იესოს ჯვარცმაში, გამოითხოვა პილატესგან იესოს გვამი, გარდამოხსნა ჯვრიდან, სპეტაკ ტილოებში გაახვია და კლდეში გამოკვეთილ საფლავში დაასვენა, სადაც ჯერ არავინ იყო დაკრძალული.

როგორც კი გაიგეს ებრაელებმა, რომ იოსებმა იესოს გვამი დაკრძალა, დაუწყეს ძებნა მას, ნიკოდიმოსს, თორმეტ მოციქულს და ყველა იმ დანარჩენს, ვინც პილატესთან იესოზე კარგი თქვა.

ნახეს, რომ ყველა დამალულიყო, მხოლოდ ნიკოდიმოსი ეჩვენა მათ, იგი ერთ-ერთი წარჩინებული კაცი იყო ებრაელთა შორის. მან იუდეველებს ჰკითხა: „როგორ შემოხვედით შესაკრებელში?“

ებრაელებმა კი პასუხად მიუგეს: „შენ თვითონ როგორ გაბედე შესაკრებელში შემოსვლა, რადგან იესოსთან ერთად

იყავი და მარადისობაშიც მასთან ერთად გაქვს წილი“.

ნიკოდიმოსმა მიუგო: „ამინ, ამინ, დაე, ასე იყოს!“

ებრაელთა წინაშე წარმოდგა იოსებიც და უთხრა მათ: „რატომ გაისარჯეთ ჩემს მოსაძებნად, იმისათვის, რომ მე პილატესგან იესოს გვამი გამოვითხოვე, ახალ საფლავში დავკრძალე, წმინდა ტილოებში გავახვიე და საფლავის კარზე დიდი ლოდი მივაგორე? თქვენ კი ბოროტება ჩაიდინეთ და არ შეშინდით, ისე მოკალით მართალი ადამიანი და ლახვრით გვერდიც განუგმირეთ“.

განრისხებულმა ებრაელებმა შეიპყრეს იოსები, კვირა დღემდე დააპატიმრეს და უთხრეს მას: „იცოდე, ჯერ არ დამდგარა შენი დასჯის დრო, რადგან შაბათი თენდება, დამარხვის ღირსიც კი არ ხარ, შენს ხორცს ცის ფრინველებსა და მხეცებს მივცემთ საჭმელად“.

იოსებმა მიუგო: „ეს სიტყვები ამპარტავანი გოლიათისაა, რომელიც ჭეშმარიტ ღმერთსა და დავითს შეურაცხყოფდა. უფალმა წინასწარმეტყველის პირით თქვა: ჩემია შურის-გება და მე მივუზღავო. ახლა კი გულით წინადაუცველმა წყალი მოითხოვა, ხალხის წინაშე ხელები დაიბანა და განაცხადა, რომ მე უდანაშაულო ვარ ამ მართალი ადამიანის სისხლის დაღვრაშიო. თქვენ კი უპასუხეთ: „მაგისი სისხლი ჩვენზე იყოს და ჩვენ შვილებზეო“. მეშინია, რომ ღვთის რისხვა დაგატყდებათ თავზე თქვენი ნათქვამის გამო“.

ამის გამგონე გამწარებულმა ებრაელებმა ხელი სტაცეს იოსებს, უფანჯრო სახლში გამოკეტეს, დარაჯები დაუყენეს და კარი დაულუქეს.

შაბათს შეკრებილმა ერისმთავრებმა, მღვდლებმა და ლევიტელებმა ერთობლივად გადაწყვიტეს იოსების სიკვდილით დასჯა და ბრძანეს, რომ ლანძღვა-გინებით მოეყვანათ იგი, თუმცა კარი რომ გააღეს, იქ ვერავინ ნახეს. ყველა განცვიფრდა, რადგან კარის გასაღები კაიაფას ჰქონდა. ამის შემდეგ აღარავის გაუბედავს იესოს მიმდევრებისათვის ხელის ხლება.

როდესაც ამ ამბით გაკვირვებული ებრაელები შესაკრებელში ისხდნენ, მათთან მოვიდნენ პილატეს მიერ იესოს საფლავის

მცველად დაყენებული ადამიანები და იქ მყოფებს საოცარი რამ უამბეს: „როდესაც ჩვენ საფლავს ვყარაულობდით, დიდი მიწისძვრა მოხდა, ზეციდან უფლის ანგელოზი გადმოვიდა, საფლავის კარზე დადებული ლოდი გადააგორა და მასზე დაჯდა. იყო მისი სახე, როგორც ელვა და მისი სამოსი თეთრი, როგორც თოვლი და შიშისაგან მკვდრებივით გავხდით. გვესმოდა ანგელოზის ხმა, რომელიც იესოს საფლავთან მსხდომ დედებს ეუბნებოდა: „ნუ გეშინიათ, ვიცი, რომ თქვენ ჯვარცმულ იესოს ეძებთ. არ არის აქ, რადგან აღდგა, როგორც თქვა და აჰა, წინ გიძღვით თქვენ გალილეაში, აჰა, გითხარით თქვენ“.

ებრაელებმა ჰკითხეს: „რომელ დედებს უთხრა?“

ხოლო მათ მიუგეს, რომ არ იცოდნენ მათი ვინაობა.

ებრაელებმა გამოკითხეს, თუ რა დროს მოხდა ეს. მცველებმა უპასუხეს, რომ შუაღამისას. მაშინ ებრაელებმა მცველებს უსაყვედურეს, ის დედები რომ არ შეიპყრეს. „ჩვენ თვითონ შიშისაგან მკვდრებივით გავხდით, აღარც კი გვეგონა, თუ დღის სინათლეს კიდევ ვიხილავდით და იმათ როგორღა შევიპყრობდით?“ — მიუგეს მცველებმა. ებრაელებმა კი ღმერთი დაიფიცეს, არ გვჯერა თქვენი ნათქვამისო.

„თქვენ იესოს უამრავი სასწაულები იხილეთ და მაინც არ ირწმუნეთ მისი და ჩვენსას როგორ დაიჯერებთ. ჩვენ ისიც გავიგეთ, რომ იოსები შეიპყარით, რომელმაც ქრისტეს გვამი დაკრძალა, დაატყვევეთ და როცა დაკეტილი კარი გააღეთ, ის იქ ვეღარ ნახეთ. ახლა კი თქვენ იოსები მოგვეცით და ჩვენ იესოს მოგცემთ“ — უთხრეს ებრაელებს საფლავის მცველებმა. იოსები თავის ქალაქში წავიდაო, თავი იმართლეს ებრაელებმა.

მცველებმა კი უპასუხეს: „როგორც ანგელოზისგან გავიგეთ, რომელმაც ლოდი გადააგორა, დედებს უთხრა, რომ იესო წინ გიძღვით თქვენ, გალილეაშიო“.

ამის გაგონებამ ძალიან შეაშინა ებრაელები, ვაითუ ეს ამბავი გავრცელდეს და ყველამ ირწმუნოს იესოსიო, — ამბობდნენ ერთმანეთში. ამიტომაც მოითათბირეს და დიდძალი ვერცხლით მოისყიდეს მცველები: „ასე თქვით, ვიდრე ჩვენ გვეძინა, იესოს მოწაფეები ღამით მოვიდნენ და მოიპარეს მისი გვამიო. ამას თუ

მთავარი გაიგებს, მას ჩვენ დავარწმუნებთ, თქვენ დარდი ნუ გექნებათ“.

მცველებმა აიღეს ის ვერცხლი და როგორც ებრაელებმა დაარიგეს, ისე მოიქცნენ. იუდეველებს დღესაც ასე სჯერათ ეს ყველაფერი.

ფინეზ მღვდელი, ადას მოძღვარი და ეგეა ლევიტელი მოვიდნენ გალილეიდან იერუსალიმში და კრებულის მთავრებს, მღვდლებსა და ლევიტელებს უთხრეს, რომ იესო და მისი მოწაფეები ნახეს მსხდომარენი მთაზე, რომელსაც ჰქვია მამბრუქი, იესო ეუბნებოდა თავის მოწაფეებს: „წადით თქვენ მთელ ქვეყანაზე, ვინც თქვენსას ირწმუნებს, მონათლეთ საცხონებელად, ხოლო ვინც არ ირწმუნებს, დაისჯება. მორწმუნეების წინაშე სასწაულები აღასრულეთ, ჩემი სახელით ეშმაკებს განდევნით, ენებზე ისაუბრებთ, ვეშაპებს დათრგუნავთ, თუ ვინმე მომაკვდინებელ შხამს დალევს, არაფერი დაუშავდება. სნეულები თქვენი ხელის დადებით განიკურნებიან და როდესაც ამას ეუბნებოდა მათ, დავინახეთ, რომ ზეცაში ამაღლდა.

უხუცესებმა, მღვდლებმა და ლევიტელებმა უთხრეს ამ ადამიანებს: „ღმერთი ადიდეთ და აღიარეთ ყოველი, რაც ისმინეთ და ნახეთ“.

მათ კი მიუგეს: „ცოცხალია ჩვენი ღმერთი, ღმერთი აბრაამისა, ისააკისა და იაკობისა, რომ ყოველივე ეს მოვისმინეთ და ვიხილეთ ზეცაში ამაღლებული იესო“.

„ამის სახარებლად მოხვედით ჩვენთან, თუ ღვთისადმი ლოცვის აღსავლენად?“ — უთხრეს მათ ებრაელებმა — „თუკი სალოცველად მოხვედით, ამ უსარგებლო სიტყვების ლაპარაკი რაღა საჭიროა ხალხის წინაშე?“

ფინეზ მღვდელმა, ადას მოძღვარმა და ეგეა ლევიტელმა მღვდლებსა და ლევიტელებს უთხრეს: „თუკი ჩვენი ნათქვამი და ის, რაც ვიხილეთ და მოვისმინეთ — ცოდვაა, მაშინ დავმალავთ, აი, თქვენ წინაშე ვდგავართ და როგორც გინდათ, ისე მოგვექეცით“.

მღვდლებმა და ლევიტელებმა კი ისინი რჯულის წიგნზე დააფიცეს, რომ ნანახი არავისთვის ეთქვათ. შემდეგ დააპურეს

და დიდძალი ვერცხლით გააცილეს ქალაქიდან. სამი კაცი გააყოლეს და გალილეაში გაუშვეს.

თვითონ კი დამწუხრებულები ამბობდნენ ერთმანეთში: „ეს რა სასწაული მოხდა ისრაელში?!“.

ანამ და კაიაფამ კი კრებულს მიმართა: „რატომ წუხხართ? ამ ჯარისკაცების დაიჯერეთ, რომ თითქოს უფლის ანგელოზი გადმოვიდა ზეციდან და საფლავიდან ლოდი გადააგორა? იესოს მოწაფეებმა დიდძალი ქრთამი მისცეს მათ, მოიპარეს თავიანთი მოძღვრის გვამი, ხოლო მცველებს დაუბარეს, რომ ეთქვათ, ზეციდან მოვლენილმა ანგელოზმა გადააგორა ლოდიო. ან ის არ იცით, რომ წინადაუცვეთელის ნათქვამი დასაჯერებელი არ არის? ახლა ჩვენ მივეცით ქრთამი და როგორც ვუთხარით, ისე მოიქცევიან“.

კრებულის წინაშე გამოვიდა ნიკოდიმოსი და სიმართლე თქვა: „ღვთის ერო, ხომ იცით, რომ ეს გალილეიდან მოსული კაცები ღვთის მოშიშები, მდიდრები, მშვიდობისმოყვარენი არიან და სძულთ მომხვეჭელობა. მათ იხილეს იესო მამბრექის მთაზე, რომელიც თავის მოწაფეებს მოძღვრავდა, ისმინეს მისი და იხილეს ზეცაში ამაღლებული. არავის უკითხავს მათთვის, თუ როგორი იყო ეს ამაღლება. როგორც წმინდა წერილი გვასწავლის, ელიამ ამაღლებისას თავისი ხალენი გადმოუგდო ელისეს, რომელიც ხმამაღლა ეძახდა მას. ხალენი ელისეს დაეცა, აიღო იგი, მოუსვა იორდანეს, გადალახა მდინარე და იერიქონში მივიდა. მას წინასწარმეტყველთა შვილები მიეგებნენ და ჰკითხეს, თუ სად იყო ელია. ელისემ მიუგო, რომ ელია ზეცაში ამაღლდა. „იქნებ ღვთის სულმა აიტაცა იგი და რომელიმე მთაზე ჩამოაგდო, წავიყვანოთ ხალხი და მოვძებნოთ იგი“, — უპასუხეს ელისეს და მასთან ერთად წავიდნენ ელიას მოსაძებნად. სამი დღის ძებნის შემდეგ კი დარწმუნდნენ, რომ ელია ზეცაში იყო ამაღლებული. ნიკოდიმოსმა იქ შეკრებილებს შესთავაზა, რომ მთელ ისრაელში ეძებნათ იესო, რომელიც შეიძლება სულიწმიდამ აამაღლა და რომელიმე მთაზე ჩამოაგდო.

ნიკოდიმოსის ნათქვამი ყველას ჭკუაში დაუჯდა და მთელ ისრაელში დაიწყეს იესოს ძებნა, თუმცა ვერ იპოვეს იგი. ამ ძე-

ბნისას არიმათიაში, საკუთარ სახლში იპოვეს იოსები, მაგრამ მისი შეპყრობა ვეღარავინ გაბედა.

როდესაც იოსების ამბავი გაიგეს, ძალიან გაიხარეს კრებულის მთავრებმა, მღვდლებმა და ლევიტელებმა და ბჭობა გამართეს, თუ როგორი შეხვედრა მოეწყოთ იოსებისათვის. აიღეს ქაღალდი და მისწერეს იოსებს: „მშვიდობა შენ და ყველა შენიანს, შევცოდეთ ღმერთს შენი შეურაცხყოფით. ახლა კი ინებე შენს მამებთან და შვილებთან მოსვლა. ძალიან ვიდარდეთ შენზე, როდესაც საპყრობილეში ვეღარ გნახეთ. ვიცით, რომ ბოროტი გვინდოდა შენთვის, მაგრამ უფალმა განაქარვა ჩვენი უკეთურება“.

ეს წერილი მოციქულებს გაატანეს იოსებთან. როდესაც ეს ბარათი ნახა იოსებმა, მოციქულებთან ერთად წამოვიდა. ებრაელები ძალიან შეაკრთო მისმა ნახვამ და შეიყვანეს ნიკოდიმოსთან.

ნიკოდიმოსმა დიდი სუფრა გაშალა თავის სახლში და მოიპატიჟა ანა, კაიაფა, ისრაელის უხუცესები, მღვდლები და ლევიტელები.

პარასკევ დღეს მივიდნენ მასთან მღვდლები და ლევიტელები. გამოეგება ნიკოდიმოსი და მიესალმა.

მათაც მიუგეს: „მშვიდობა შენ ნიკოდიმოს, მთელ შენს სახლეულს და იოსების სახლს“.

ბაღში შეიყვანა ისინი ნიკოდიმოსმა და იქ დასხა კრებულის მთელი ხალხი. იოსები კი ანასა და კაიაფას შორის დაჯდა.

იოსებმა იკითხა, თუ რისთვის დაიბარეს იგი.

ნიკოდიმოსს ანიშნეს, რომ მას ელაპარაკა და მანაც მიმართა: „პატიოსანო მამაო იოსებ, ეს პატიოსანი მღვდლები, მოძღვრები და ლევიტელები ღვთის სიტყვის მოსმენას ელოდებიან შენგან“.

იოსებმა მიუგო: „შენ მკითხე და მე ვეტყვი მაგათ ჭეშმარიტებას“.

ანამ და კაიაფამ რჯულის წიგნზე დააფიცეს იოსები, რომ სიმართლე დაუფარავად ეთქვა. იოსებმაც დაიფიცა, რომ ტყუილს არ იტყოდა.

მაშინ უთხრეს მას: „ჩვენ ძალიან შევწუხდით, როდესაც იესოს გვამი გამოითხოვე, სპეტაკ ტილოებში გაახვიე და საფლავში დაკრძალე, ამიტომაც გამოგკეტეთ ბნელ სახლში და ჩაგიკეტეთ კარი. კვირადღეს რომ კარი გავაღეთ და ვეღარ გნახეთ, ძალიან შევწუხდით და შიშმა მოიცვა მთელი ხალხი გუშინდელ დღემდე, როდესაც გავიგეთ შენ შესახებ“.

იოსებმა მიუგო: „პარასკევს, ათ საათზე გამომკეტეთ მე იმ სახლში, სადაც ვიყავი მთელ შაბათ დღეს, შუაღამისას კი, როდესაც ვლოცულობდი, იმ სახლის ოთხივე მხარე გაიხსნა და ელვასავით დიდი ნათელი დავინახე. შემეშინდა და მიწაზე დავემხე, ხელი მომკიდა, იქიდან გამომიყვანა და ბლომად წყალი გადამესხა თავიდან ფეხებამდე. შემდეგ საოცარი სურნელება ვიყნოსე, სახე მომწმინდა, მეამბორა და მითხრა: „გაახილე, იოსებ, თვალები, ნუ გეშინია და იხილე, ვინ გელაპარაკება. თვალები გავახილე და იესო დავინახე. ძალიან შემეშინდა, რადგან მოჩვენება მეგონა და დავიწყე ღვთის სიტყვების წარმოთქმა, ის კი ჩემთან ერთად იმეორებდა. თუკი ვინმე მოჩვენებას იხილავს და იგი საღვთო სიტყვებს იტყვის, მაშინვე განიდევნება ის მოჩვენება მისგან. მე კი ვნახე, რომ ის ჩემთან ერთად იმეორებდა საღვთო სიტყვებს. მე ვკითხე მას: „მოძღვარო, ელია ხარ? მან კი მიპასუხა: „მე ელია არ ვარ“. ვკითხე: „უფალო, ვინ ხარ შენ?“ მან კი მითხრა: „მე იესო ვარ, ვისი გვამიც პილატესგან გამოითხოვე, ტილოში შეახვიე, სუდარა დააფარე სახეზე და ახალ საფლავში დაასვენე“. მე კი ვთხოვე მას, რომ ეჩვენებინა ჩემთვის ის ადგილი, სადაც დავასვენე და სუდარა, რომელიც სახეზე დავაფარე, რათა დავრწმუნებულიყავი იმაში, რომ იგი ნამდვილად იესო იყო. მან კი ხელი მომკიდა. ჩემს სახლში დამტოვა დაკეტილი კარის იქით და მითხრა: მშვიდობა, შენ. მაკოცა და დამიბარა: ორმოცი დღე ნუ გამოხვალ სახლიდან, მე კი ჩემს ძმებთან მივდივარ გალილეაში“.

იოსების სიტყვების მოსმენაზე კრებულის მთავრები, მღვდლები და ლევიტელები მკვდრებივით დაეცნენ მიწაზე და ცხრა საათამდე არაფერი ჰამეს.

ნიკოდიმოსმა და იოსებმა კი დაამშვიდეს და სთხოვეს, ამ-

დგარიყვნენ, საჭმელი ეჭამათ და სულიერად გაძლიერებულიყვნენ.

ისინიც წამოდგნენ, ჭამეს, სვეს და სახლებში წავიდნენ.

იმ შაბათ დღეს შეიკრიბნენ მღვდელმთავრები და ლევიტელები და ამბობდნენ, ეს რა რისხვა დაგვატყდა თავს, ჩვენ ხომ მისი მამაც ვიცით და დედაც?!

მოძღვარმა ლევიმ უთხრა მათ: „ვიცით, რომ მისი დედ-მამა ღვთისმოშიშები იყვნენ, დაუცხრომლად ლოცულობდნენ და მეათედსაც წელიწადში სამჯერ სწირავდნენ. როდესაც იესო დაიბადა, მისმა მშობლებმა ამ ადგილას მოიყვანეს და მსხვერპლი შეწირეს ღმერთს. როდესაც დიდმა მღვდელმა სიმეონმა აიყვანა იგი ხელში, ჩვილ იესოს უთხრა: „აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით. რადგან იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარება შენი, რომელიც გაამზადე ყოველი ერის წინაშე. ნათელი განსაცხადებლად წარმართთათვის და სადიდებლად ერისა შენისა ისრაელისა“. აკურთხა ისინი სიმეონმა და უთხრა მარიამს: „აჰა, გახარებ ამ ყრმის დაბადებას. იგი დგას დასამხობად და აღსადგენად მრავალთა ისრაილში და ნიშნად ცილობისა და თვით შენს სულშიც გაივლის მახვილი, რათა გაცხადდეს ზრახვა მრავალი გულისა“.

ებრაელებმა ლევის ჰკითხეს, თუ საიდან იცოდა მან ყოველივე ეს. ლევიმ კი უპასუხა, რომ სიმეონისგან ჰქონდა რჯული ნასწავლი.

მღვდლებმა და ლევიტელებმა ლევის მამის ნახვა მოისურვეს, რომ მისგან უფრო ზუსტად გაეგოთ სინამდვილე. ლევის მამასთან კაცები გაგზავნეს და მოიყვანეს იგი. მან კი დაადასტურა, რომ სწორედ სიმეონისგან ჰქონდა ნასწავლი მის შვილს რჯული.

კრებულის მთავრებმა, მღვდლებმა და ლევიტელებმა ახლა იმათი მოსმენა მოისურვეს, რომლებმაც იხილეს იესოს ამაღლება. სამი კაცი გაგზავნეს და დააბარეს, რომ მოძღვარ ადას, მოძღვარ ფინეზსა და ეგეა ლევიტელს თავისთან იხმობდნენ, წმინდა ქალაქ იერუსალიმში.

წავიდა ის სამი კაცი გალილეაში და იპოვეს ადა, ფინეზი

და ეგეა, რომლებიც ისხდნენ და რჯულს სწავლობდნენ. მიცვლინებულებმა გადასცეს ებრაელთა კრებულის დანაბარები. მათ ძალიან გაიხარეს. ყველამ ერთად ჭამა და სვა და შემდეგ იერუსალიმში წავიდნენ.

მეორე დღეს ადას, ფინეზს და ეგეას შესაკრებელში შეკრებილმა მღვდლებმა და ლევიტელებმა ჰკითხეს, ნამდვილად იხილეს თუ არა მამბრექის მთაზე მჯდომი იესო, რომელიც თორმეტ მოციქულს ასწავლიდა და ასევე ნახეს თუ არა იგი ზეცაში ამაღლებული.

გალილეიდან მოსულებმა კი დაადასტურეს, რომ ნახეს იესო ზეცაში ამაღლებული.

კრებულის მთავრებმა ბრძანეს, რომ ისინი ერთმანეთისგან დაეშორებინათ და ისე მოესმინათ მათი, რათა გაეგოთ, რამდენად დაემთხვეოდა მათი ნალაპარაკევი ერთმანეთს.

პირველად ადას ჰკითხეს, თუ როგორ იხილა უფლის ამაღლება.

„იჯდა იესო მამბრექის მთაზე, თავის მოწაფეებს ასწავლიდა და ღრუბლით ამაღლდა ზეცაში, მოწაფეები კი მიწაზე დაცვივდნენ და ლოცულობდნენ“ — უპასუხა ადამ.

შემდეგ კი ფინეზს ჰკითხეს იგივე, ფინეზმაც იგივე დაადასტურა, ასევე ეგეა ლევიტელმაც.

მაშინ კრებულის წევრებმა თქვეს: „მოსეს რჯულში წერია, რომ ორი და სამი მოწმის პირით მტკიცდება ყოველი სიტყვა“.

მოძღვარმა ბუნდიმ თქვა: „რჯულში წერია, რომ დადიოდა ენუქი ღმერთთან ერთად და წაიყვანა იგი ღმერთმა“.

იაიროს მოძღვარმა თქვა: „წმინდა მოსეს სიკვდილი არ გვინახავს, მაგრამ გაგვიგია, უფლის რჯულში წერია, რომ „მოკვდა მოსე ღვთის წინაშე და არავინ იცის მისი საფლავი დღევანდელ დღემდე“.

მოძღვარმა ლევიმ თქვა, რომ როდესაც სიმეონმა იხილა ჩვილი იესო, ასეთი სიტყვები თქვა: „იგი დგას დასამხობად და აღსადგენად მრავალთა ისრაელში და ნიშნად ცილობისა“.

მოძღვარმა ისაკმა თქვა: „შჯულში წერია, რომ შენ წინაშე წარვავლენ ჩემს ანგელოზს, რომელიც შენს ყოველ გზას გა-

ნამზადებს, რადგან ჩემი სახელი გეწოდება შენ“.

ანამ და კაიაფამ თქვეს: „სიმართლეს ამბობთ, როგორც მოსეს რჯულში წერია, ენუქის და მოსეს სიკვდილი არავის უნახავს, ხოლო იესო კი პილატეს სამსჯავროზე იდგა, ჩვენ თვითონ ვნახეთ მისი ტანჯვა-წამება, ყვრიმალში ცემა, ფურთხება, მის თავზე ეკლის გვირგვინის დადგმა, ჯარისკაცების მიერ მისი შოლტით ცემა. პილატემ გამოუტანა იესოს სასიკვდილო განაჩენი და იგი ორ ავაზაკთან ერთად ჯვარზე გააკრეს, ძმარი და ნაღველი ასვეს, ლონგინოზ ასისთავმა გვერდი ლახვრით განუგმირა, იოსებმა კი მისი ტანჯული სხეული პილატესაგან გამოითხოვა და როგორ ამბობთ, რომ იგი აღდგა ან როგორ ამბობს ის სამი მოძღვარი, რომ იესო ზეცაში ამაღლდა? მოძღვარმა ლევიმ გვითხრა სიმეონის ნათქვამი იესოზე, რომ „იგი დგას დასამხობად და აღსადგენად მრავალთა ისრაელში და ნიშნად ცილობისა“.

მოძღვრებმა მთელ ხალხს გამოუცხადეს: „თუკი ღვთისაგან მოხდა ეს ჩვენთვის გასაოცარი ამბები, იცოდეთ, რომ რჯულში წერია: „წყეულია ყველა ჯვარზე დაკიდებული“, სხვა წიგნი კი გვასწავლის: „ღმერთი, რომელმაც ცა და ქვეყანა არ შექმნა, წარწყმდეს“.

მოხუცებულებმა და მღვდლებმა ერთმანეთში თქვეს: „თუკი იესო ისაა, ვისზეც სიმეონი ლაპარაკობდა, რომელსაც იოველ ერქვა, მაშინ ის უკუნისამდე იქნება და თავის თავს ახალ ერს აღუდგენს“.

მოხუცებულებმა და ლევიტელებმა იქ მყოფ ყველა ებრაელს გამოუცხადეს: „წყეული იყოს ის კაცი, რომელიც ადამიანის ხელით შექმნილს ეთაყვანება და დამბადებელის ნაცვლად დაბადებულს სცემს თაყვანს“.

ხალხმაც მიუგო: „ამინ!“

მთელი იქ შეკრებილი ხალხი ამ სიტყვებით უგალობდა უფალს: „კურთხეულია ღმერთი, რომელმაც განსვენება მისცა თავის ერს, მისი არც ერთი სიტყვა, რომელიც მოსეს პირით თქვა, არ გაუქმებულა. იყოს უფალი ჩვენთან ისე, როგორც ჩვენს მამებთან იყო. ნუ მიგვატოვებს და ნუ განგვეშორება ჩვენ, რათა

მისკენ მოიქცეს ჩვენი გულები, რომ მის გზაზე ვიაროთ და ჩვენი მამებისათვის ნაუწყებ მის მცნებებს ვასრულებდეთ. მეფობდეს უფალი მთელ სამყაროზე, მისი სახელი ერთი და მიუწვდომელი იყოს, იყოს ჩვენი მეუფე და გვაცხოვნოს ჩვენ, არავინაა ღმერთებს შორის მისნაირი. დიდ ხარ შენ, უფალო, და დიდია სახელი შენი, შენი უძლეველი ძალით შექმენი ყოველივე. გვაცხოვნე ჩვენ, რადგან შენი სამკვიდრებლის ნაწილი ვართ. არ მიატოვებს უფალი თავის ერს თავისი წმინდა სახელის გამო, რადგან თავის ერად აგვირჩია უფალმა“.

ასე უგალობეს და ადიდეს ღმერთი, თითოეული იქ მყოფი შეშინებული და შეძრწუნებული წავიდა თავის სახლში და ყველა ერთად ადიდებდა ჯვარცმულ, აღდგომილ და ზეცაში ამაღლებულ ქრისტეს, რომელსაც შვენის დიდება და პატივი მამასა და სულიწმიდასთან ერთად, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

წმინდა მაქსიმე აღმსარებელი ღვთისმშობლის ცხოვრება*

მოვიდა ღვაწლის გაძლიერების დრო და აღემართა ჯვარი, რათა ჯვარს აცვან ანგელოზების, ადამიანებისა და ყოველგვარი ქმნილების მეუფე. ჯვარს აცვეს ყოველივე ხილულისა და უხილავის მთავარი და ხელმწიფე! როგორ გაუძლო ამას მიწამ და არ დადნა?! როგორ მოხდა, რომ ცა არ გაილია, როდესაც ნახა ხის ძელზე, ავაზაკების გვერდით როგორ ჩამოეკიდა საყდარზე (ანგელოზთა მეშვიდე დასი) მჯდარი და სერაბიმებისაგან (ანგელოსების უმაღლესი — მეცხრე დასი) განდიდებული მეუფე, რომელსაც უმაღლესი ზეცა უჭირავს ხელით?! მამის გვერდით მჯდომი და სულიწმინდასთან მყოფი შეურაცხმყოფლად ეცვა ჯვარზე. მან, ვინც ნათელი სამოსელივით შეიმოსა, ახლა ჯვარზე შიშველი მიელურსმა, ხოლო უბიწო და წმინდა დედის ხელით მოქსოვილი ტანსაცმელი მკვლელებმა გახადეს და გაიყვეს. ლურსმნებით მიალურსმეს ამ ყოველივეს შემოქმედი და ცისა და მიწის მპყრობელი ხელები. დიდება უფლის სიკეთეს! დიდება მის მრავალმოწყალებას! „ვის შეუძლია გამოთქვას უფლის სიძლიერე, მოისმინოს მისი ქება-დიდება?“ მაშინ, ქრისტეს დედაო, შენს სულშიც გაიარა მახვილმა! — როგორც გეუბნებოდა სიმეონი. მაშინ შენს გულში გადიდდა ის ლურსმნები, უფლის ხელები რომ გახვრიტა. შენ უფრო მეტად გტკიოდა ტკივილი, ვიდრე მას — შენს ყოვლადძლიერ ძეს; რადგანაც ის თავისი ნებით ეწამებოდა და იცოდა ყველაფერი, რაც მას შეემთხვეოდა; აკი შესაფერისი იყო კიდეც მისი ვედრება, რადგანაც იცოდა თავისი ხელმწიფების შესახებ. თავის სულსა და სიცოცხლეს სწირავდა და იცოდა, რომ კვლავ მიიღებდა მათ, როგორც სახარებაში ამბობს. შენ კი ძლიერ გტკიოდა... ჯერაც არ იცოდი მაცხოვრის ვნების საიდუმლო და ამიტომ მისი ძლიერი ტანჯვა და წყლულები გულს გიგმირავდა; მისი უხრწნელი ჭრილობები-

* ტექსტი ძველქართულად იხ. გვ. 552.

დან სისხლის ნაკადულები გადმოდიოდა, შენი თვალებიდან კი — ცრემლის წყაროები. როგორ გაუძლებდი ამ საშინელ სანახაობას?! თუმცა შენი ძისა და უფლის მადლმა და ძალამ გაგაძლიერა და გაგამტკიცა. დიდება მის მოწყალებას!

მაშინ ყოვლადკეთილი უფალი ამ ავაზაკებისათვის მამას ევედრებოდა და შენდობას გამოსთხოვდა მათთვის. დიდება მეუფის ამგვარ სიტკბოებას! ულმრთოები ძაღლებივით აღრჭენდნენ კბილებს მასზე, შურისძიებას აპირებდნენ, აყვედრიდნენ და კიცხავდნენ. კარგად დახატა მათი აზროვნება და საქმეები დავითმა და უფლის ნაცვლად თქვა: „პირი დააღეს ჩემს წინააღმდეგ, როგორც ლომმა, მსხვერპლს დადევნებულმა და მბრდღვინავმა“; „გარს შემომეხვივრენ მე ძაღლები, ბოროტთა ხროვა წრედ შემომერტყა ლომის მსგავსად — ჩემი ხელ-ფეხის გასაგმირავად. მთელი ჩემი ძვლები დაითვლება; ისინი მიჭვრეტენ ნიშნის მოგებით.“ ასევე წმინდა სახარებაც მოწმობს, რომ „გამვლელნი ლანძღავდნენ, თავებს აქნევდნენ და ამბობდნენ: ტაძრის დამრღვევო და სამ დღეში ამშენებელო, იხსენი შენი თავი; თუ ღმერთის ძე ხარ, ჩამოდი ჯვრიდან.“ ესეც იწინასწარმეტყველა დიდმა დავითმა, როცა თქვა: „შენთა მლანძღველთა ლანძღვა დამატყდა თავს“; და ამასაც ამბობს: „ველოდი თანამგრძნობლებს და არავინ იყო, მანუგეშებელს და — ვერ ვპოვე.“ მაშ, გვითხარ, წინასწარმეტყველო, ნუგეშის სანაცვლოდ განა რა მიაგეს?! „აურიეს ჩემს საჭმელში ძირმწარე და წყურვილის დროს მასვეს ძმარი“. ეს იყო მათი ნუგეში და მზრუნველობა; ეს იყო, რაც მისი სიკეთის სანაცვლოდ დაუბრუნეს. მაშინ, როდესაც ეს წმინდა და კურთხეული დედა ისმენდა და ხედავდა ამ ყველაფერს, ამ მაყვედრებელთა სიტყვები ისრებივით ეყრებოდა გულში... ხოლო თავისი ძის ლურსმნები ლახვარივით გმირავდა მის სულს. ამ დროს იძვროდა მიწა, ძირს კი ჯოჯოხეთი ნადგურდებოდა; ცა ბნელდებოდა, რადგანაც მნათობებმა სინათლე დაკარგეს; ყოველგვარი ქმნილება გლოვობდა; ზეციური ძალები ძრწოდნენ, ისინი ზეციდან ხედავდნენ და გრძნობდნენ ამ საოცრებას. სხვები (ანგელოზები) ჯვარცმის მთასთან მოსულიყვნენ და იქიდან გაკვირვებით უცქერდნენ ურიების თავხედობას;

ადიდებდნენ სულგრძელ მეუფეს და ამ განდგომილ და ბოროტ მონებს რისხვით უმზერდნენ. ისინი ხელსაც მოჰკიდებდნენ ამ ღვთისმკვლელებს და ქვესკნელში ჩაყრიდნენ, რომ მათ ყველას საფლავად ჯოჯოხეთი ქცეოდა, მაგრამ ქრისტეს ძალა და წყალობა აბრკოლებდა მათ შურისძიებას და ხილულსა და უხილავს ლაგმავდა, რათა ქვეყნიერება ერთ წამში არ განადგურებულიყო. სწორედ მათ (ზეციურ ძალებს) მოუხმო მოსემ ოდესღაც — გადმოიხედე ცაო და დაგელაპარაკები, მოისმინე, მიწავ, რასაც ჩემი ბაგე იტყვის... და ასე შემდეგ. შემდეგ კი იერემიას პირით წარმოთქვა: ეს ყველაფერი გაუკვირდა ცას და მიწა შეძრწუნდა. ამას უფალი ამბობს, რადგანაც მისი ურიცხვი სიკეთე დაივიწყეს და სიკეთის სანაცვლოდ ბოროტი მიაგეს.

მაშინ ყველა ქმნილება გაოცებული ძრწოდა; ყოვლადწმინდა დედა ამ ყველაფრის გამო კიდევ უფრო მწარედ გოდებდა და ვერაფერი ანუგეშებდა; მწუხარებასა და გლოვას უკუნ ღამესავით მოეცვა იგი; უნდოდა, რომ ტკბილ და ყოვლადკეთილ უფალს სიტყვის სათქმელად მიახლოებოდა, მაგრამ გარს შემოხვეული ხალხის სიმრავლე უშლიდა ხელს. ამიტომ იყო, რომ შორს იდგა, მოთქვამდა, ხელებს ცისკენ იწვდიდა, გულის სიღრმიდან გოდებდა და მის ტანჯვას საკუთარივით განიცდიდა, მისი ცრემლები მიწას ალბობდა. ხოლო მას შემდეგ, რაც ჯვარმცმელებმა ყოველმხრივ ტანჯეს ჯვარცმული და აქეთ-იქით გაერიდნენ — ზოგი სადილობისთვის რომ წავიდა, დანარჩენები სხვა საქმეებისთვის რომ მიმოიფანტნენ, როდესაც ისინი ისე ისვენებდნენ და ხარობდნენ, თითქოს დიდი გამარჯვება მოუპოვებიათო; ამავე დროს, მხედრებმა დაცვაც რომ შეასუსტეს, მხოლოდ ამის შემდეგღა მიუახლოვდა მგლოვიარე დედა თავის სასურველ ძეს! და აბა, რომელი ენა შეძლებს იმის გამოთქმას, თუ როგორ იქცეოდა იგი ან რას ეუბნებოდა მას? მის სიტყვებს ცრემლი და სიბრძნე ერთვოდა. არაფერი უთქვამს უწესო და შემაჩვენებელი. მისი გლოვა კვლავ სიკეთითა და სიმშვიდით იყო სავსე.

თავისი ტკბილი ძისა და მეუფის წყლულებსა და ტანჯვას მწარედ დასტიროდა; ადიდებდა ჩვენთვის ვნებულისა და ჯვარცმულის სულგრძელობასა და თავდადებას; აკვირვებდა ღვთის

მკვლელების თავხედობა და უმადურობას სდებდა მათ ბრალად. მათ დაღუპვას მოთქვამდა და გოდებდა და ეუბნებოდა უფალს:

რა არის ეს, ჩემო მეუფეო, ჩემო ძეო და ღმერთო ჩემო, განა ამისთანა რა არის შენი სულგრძელობა? როგორ მოხდა, რომ სრულიად უცოდველი ურჯულოებს შორის ჩაგთვალეს? მთელი სამყაროს ცოდვების საკუთარ თავზე ამღები — ცოცხლებისა და მკვდრების (ყოველი დაბადებულის) მსაჯული — დასჯილთა შორის მიგიჩნიეს? განა რამდენად ღრმაა შენი სიმდაბლე, ყოველგვარი ბოროტების დავიწყების ძალა და ადამიანების სიყვარული? განა არ კმაროდა ჩვენთვის ღმერთი რომ განკაცდი? განა არ კმაროდა, ამდენი შრომა, ჭირი, განსაცდელი და დევნა?! შური და თავდასხმა, ცილისწამება და ათასგვარი ბრალდება შენი დაბადებიდან დღემდე რომ ითმენდი ურიებისგან ადამიანების ცხონების მიზნით?! ახლა ესეც: მილურსმული ჯვარზე დაგკიდეს! ვაი მათ ურჯულოებას, უმადურობასა და თავხედობას და დიდება, ყოვლადკეთილო, შენს თავდადებასა და ბოროტების არგახსენების ძალას! მრავალგვარად გტანჯეს ურჯულო ურიებმა შენ, ვინც მათ გამო ათასგვარად ტანჯე ეგვიპტე. ჯერ იყო და დასაცინად პერანგი ჩაგაცვეს შენ, ვინც ოდესღაც ნათლის ღრუბლით ფარავდი მათ, როგორც მამა შვილებს, ისე მიუძღოდი წინ და თვალის გუგასავით იცავდი. ეკლის გვირგვინი დაგადგეს შენ, ვინც დიდებისა და პატივის გვირგვინით შეამკე ისინი! ლერწმით გცემენ ისინი, ვისთვისაც მოსეს მეწამული ზღვის კვერთხის ცემით გაღება უბრძანე და როდესაც გაუღე, გაიყვანე კიდეც... მათი მტრები კი ზღვამ დაფარა. ამ ბოროტებმა ყვრიმალების ცემა გაბედეს შენი, ვინც საკუთარი სახის სინათლე გამოაბრწყინე და ჩვენ გადაგვარჩინე! ფურთხებაც კი არ შერცხვათ შენი, ვინც მოსეს სახეც კი გაანათლე (შენი ნათლით)! ჰოი, საოცრება! ვაი, მათ უკეთურებას! შენ, ვინც ბრმადშობილს თვალები აუხილე, მათ ხელები და ფეხები ლურსმნებით დაგიჩხვლიტეს; შენ ოდესღაც ეგვიპტის მონობისაგან გამოიხსენ ისინი, დღეს კი პირველი წყევლის ბორკილებიც დაწყვიტე! მკვდრების განწმენდისთვის წყლულებით დაგფარეს; მკვდრების აღდგენისათვის სიკვდილით დაგსაჯეს; ბრმების თვალების ახელისათვის შენი თვალების და-

ბნელებას ესწრაფოდნენ, ჩემო ნათელო; ჩემო ცხოვრებაო, ბარაბას გათავისუფლება ითხოვეს და შენ სასიკვდილოდ გადაგცეს! ვაი, ეს საშინელი სანახაობა! განა დედამიწა მხოლოდ უნდა იძვროდეს და მთლიანად ქვესკნელში არ ინთქმოდეს?! როგორ ხდება, რომ მარტოოდენ ბნელდებიან მნათობები და ძირს არ ცვივიან?! რად ხდება, რომ მხოლოდ იღრუბლება ცა და არ კი დადნება?! რატომაა, რომ ანგელოზები ძრწიან, მაგრამ ითმენენ და არ ამოაყირავებენ მთელ ქვეყნიერებას?! მე ვიცი, რომ ესეც შენი წყალობითა და სულგრძელობით ხდება, ძეო და ღმერთო ჩემო! შენ გიჭირავს ეს ყველაფერი და არ ანებებ, რომ სამყაროს იგივე მოეწიოს, რაც ნოეს დროს ეწია. ნეტავ შენს ნაცვლად მე ვიტანჯებოდე, ჩემო შვილო! ნეტავი ჩემზე იყოს შენი წყლულები! ნეტავი შენს ნაცვლად მე გადამქონდეს სიკვდილი! რადგანაც სიკვდილზე უარესი სიმწარე ისაა ჩემთვის, რომ ვერ გენაცვლები; ვერც შენს მაგიერ მოვკვდები და ვერც — შენზე ადრე. არამედ, გევედრები, მოწყალება გამოიჩინე და მიპასუხე; მანუგეშე; ჩემი დარჩენილი ცხოვრება შენი ნების მიხედვით განაგე; გამაგონე შენი მოკითხვისა და ხარების ხმები; მითხარ, კიდევ როდის განახავ? ჩემო თვალების სინათლევ, როდის გეამბორები? ჩემო ცხოვრებავ, როდის მომესმება შენი მაცოცხლებელი ხმა? შენი შობისას კი მიცავდი ყოველგვარი ჭირისა და ტკივილისაგან, მაგრამ სამაგიეროდ ახლა, როდესაც შენი ვნება ვნახე, ჩემს სულში მწუხარების მახვილმა გაიარა. მაჩვენე, გევედრები, შენი აღდგომაც და დიდებაც, როგორც დამპირდი.

მაშინ, როცა ასე მოთქმით გლოვობდა ეს უბიწო და სანატრელი დედა, ყოვლდაკეთილმა და მრავალმოწყალე უფალმა ტკბილად შეხედა მას და როდესაც დაინახა მასთან ერთად მდგომი თავისი საყვარელი მოწაფე — თავისი მოძღვრისა და უფლისადმი უდიდესი სიყვარულით სავსე — თავად სიბრძნემ და თავად მწყალობელმა ბაგე გააღო და იმ დროისა და ვითარების შესაფერისად რამდენიმე სიტყვა უთხრა: ჩააბარა თავისი დედა საყვარელ მოწაფეს, რომელმაც ყველა სხვა მოწაფეზე მეტად გამოავლინა თავისი უფლისა და მეუფის ერთგულება, სიყვარული, მხნეობა და გულის სიმამაცე; რადგანაც დანარჩენი ყველა

გაიქცა და მხოლოდ ის იდგა მოუშორებლად ჯვართან. სწორედ ამის გამო უთხრა უფალმა თავის კურთხეულ დედას: დედაკაცო, აჰა, ძე შენი! მერე მოწაფეს მიმართა: აჰა, დედა შენი! ქალწულ დედას ასევე ქალწული ძე მიანიჭა და თავის ნაცვალად დაუტოვა იგი. ამჯერად მას უბიწო დედის მზრუნველობა არ უარუყვია, არამც და არამც! არამედ ამგვარი ხილული ნუგეშისცემით ანუგეშა თავისი დედა; უხილავად კი უფალი დედასაც შეეწეოდა და მოწაფესაც და ყველას, ვინც იგი ირწმუნა. მოწაფესაც სამაგიერო გადაუხადა სიყვარულისა და ერთგულების სანაცვლოდ, მისი ვნების ჟამს იქ დგომისთვის პატივი მიაგო. უდიდესი პატივი კი ის იყო, რომ თავის ნაცვლად დაადგინა იგი. ამით ჩვენც დაგვიწესა, რომ სიკვდილამდე ვზრუნავდეთ და ვიღვწოდეთ მშობლებისთვის, თუმცაღა, აქამდე არასოდეს უჩვენებია ჩვენთვის მშობლებისადმი მორჩილება. კი ამბობს მახარებელი — ემორჩილებოდა მშობლებსო, — მაგრამ იგულისხმება ნათლისღებამდე მისი მორჩილება; ნათლისღების შემდეგ კი, კანას გალილეაში ყოფნისას (ქორწილში), ასე უთხრა: რა ჩემი და შენი საქმეა, დედაკაცო?! და კიდევ, ერთხელ, როდესაც უთხრეს — დედაშენი და ძმები გეძებენო, მან მიუგო: ვინ არის დედაჩემი? ესენი არიან ჩემი დედა და ძმებიო. და თუმცა მაშინ საღვთო განგებულებით ასე თქვა, ამჯერად დედისადმი შესაფერისი მზრუნველობა და სიყვარული გამოამჟღავნა. თავის ნაცვლად თავისი საყვარელი მოწაფე მის მზრუნველად დაადგინა, მის ხელთ გადასცა და უთხრა: აჰა, დედა შენი! მისი ობლობაც ანუგეშა და, ამავე დროს, თავისი წმინდა დედა მზრუნველად, დედად და დედოფლად დაუდგინა. მოწაფემ ეს რომ გაიგონა, სიონში, თავის სახლში წაიყვანა ქალწული, როგორც დაწერილია კიდეც ამის შესახებ და, ქრისტეს მადლით, შესაფერისად ემსახურებოდა.

მას შემდეგ, რაც ამ უკეთურმა ჯვარმცმელებმა ყოველგვარად შეურაცხყვეს და ტანჯეს ყოვლადკეთილი მეუფე და როდესაც იესომ ნახა, რომ ყველაფერი დასრულდა, იმისთვის, რომ დაწერილი აღსრულებულიყო, თქვა, მწყურიაო! მაშინვე, რაკიღა გაიგეს, რომ სწყუროდა, უფრო მეტად დასატანჯად ძმარი და ნაღველი მიაწოდეს სიცოცხლის წყაროს! ამით გამოამჟღავნეს

მთელი თავიანთი უკეთურება, რომელშიც რისხვა და სიმწარე ერთმანეთს უერთდება. ამ ყველაფრიდან, რასაც წინასწარმეტყველები მოასწავებდნენ, აღუსრულებელი არაფერი დარჩენილა. ეს ყოველივე იმისთვის კი არ მოხდა, რომ წინასწარმეტყველება აღსრულებულიყო, არამედ წინასწარმეტყველებმა იმისთვის იწინასწარმეტყველეს, რომ სწორედ ასე მოხდებოდა! ასე რომ, წინასწარმეტყველება არ გამხდარა მათი ამ თავხედობის მიზეზი, არამედ მათი ურჯულო თავხედობა იქცა წინასწარმეტყველების მიზეზად. ამისთანა რამე იკადრეს ამ ურჯულოებმა და არც კი გახსენებიათ მერანის (გეოგრაფიული სახელია) მწარე წყალი — ოდესღაც რომ დაატკბო (ქრისტემ) და არც ის, რომ უდაბნოში სიტყვით მრავალჯერ დაარწყულა მწყურვალები. კლდიდან თაფლი აჭამა მათ, მყარი კლდიდან ზეთი გადმოადინა; არც სულ ახლახანს, კანას გალილეაში წყლის ღვინოდ შეცვლის სასწაული გაახსენდათ. ნამდვილად სოდომელთა და გომორელთა ვენახებიდან იყო მათი ყურძენი; ნაღვლის ყურძენი და სიმწრის მტევანი. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ამ ყველაფერს ხედავდა იგი, უბიწო, და უფრო მეტი სიმწარით ევსებოდა გული. წარმოვიდგინოთ, როდესაც მისი ტკბილი და საყვარელი ბაგიდან ეს სიტყვა მოესმა — მწყურიაო, რაგვარმა ცეცხლის ალმა გაირა მახვილივით მის გულში?! მაშინ მას სწყუროდა და ცეცხლივით მწველი ერთი სურვილი უტრიალებდა გულში, — ძისთვის წყალი მიეწოდებინა და გაეგრილებინა იგი, მაგრამ ეს მკვლელები ვარგისი სასმელის მიცემას არ ანებებდნენ. ის ყველა მათგანს ევედრებოდა, მიმიშვით, რომ წყალი ვასვაო, მაგრამ ნებას არ რთავდნენ. არც რამენაირად ანუგეშებდნენ, არამედ მტაცებელი და აღრიალებული ლომებივით უტევდნენ მას და წყლის სანაცვლოდ ღვინისა და ძმრის ნარევს ასმევდნენ. ჯვარცმამდე მისთვის ღვინის მიცემა უნდოდათ, მან კი არ ისურვა, რომ მეყსეული და სწრაფი სიკვდილი წამლად და შვებად არ ჩათვლილიყო, არამედ გაცხადებულიყო, რომ ყველაფერი ისე ხდება, როგორც თვითონ ისურვა და აირჩია. ახლა კი ეს ნაღველში არეული ძმარი მიიღო და თქვა: ყველაფერი დამთავრდა! თავი

გვერდზე გადააგდო და სული ამოუშვა — თავისი ნებითა და ძალაუფლებით.

ხოლო წმინდა ქალწულის მთელი ტკივილის, ცრემლისა და გულისმიერი გოდების გამოთქმა ჩვენგან ანდა ვინმე სხვისგან, სრულიად შეუძლებლია, რადგანაც ეს ადამიანურ ბუნებას აღემატება; როგორც თავად ქალწულისაგან შობა აღემატება ბუნებას, ასევე ვერც ის მწუხარება, მას რომ უფლის ჯვარცმამ მოჰგვარა, ვერ გამოითქმის ადამიანური ენით. მხოლოდ მან იცის დანამდვილებით, ვისაც თავად სტკიოდა და კიდევ, მისგან შობილმა უფალმა იცის ყველაფერი. როდესაც უფალმა მაღალი ხმა გამოიღო და სული განუტევა, როდესაც მისი თავი მოიდრიკა, სიკვდილის წინაშე მონასავით წარდგა იგი. ამ დროს უფალმა თავის მიერ ნებით განსაზღვრული საიდუმლო აღასრულა. დიდება მისი დედის სანატრელ და რკინაზე უფრო მტკიცე, უბიწო სულს! ეს სული უპატიოსნეს ქვათაგანაა აგებული და მახვილი ვერ შეეხება მას. როგორ აიტანა ამ უბიწო დედამ ეს ტკივილი და როგორ გაუძლო, რომ თავადაც სული არ აღმოხდა?! ვიცით მხოლოდ ის, რომ იგი ჯვარცმული უფლის მადლმა და ძალამ დაიცვა. მან თავად სული განუტევა, რადგანაც ასე ინება; ხოლო ყოვლადწმინდა დედის სული დაიცვა, რათა მასაც ყოველმხრივ შრომა და ღვაწლი ეჩვენებინა ისე, როგორც აჩვენა თავად. ჩემს ენას შიში და ძრწოლა ბორკავს და არ შემიძლია მომდევნო საქმეების თხრობა განვაგრძო, მაგრამ შენი ტკივილის ისრები მწვდებიან მე, მეუფეო, და ამ სასურველი მონათხრობის შეწყვეტას არ მანებებენ.

და რა იკადრეს მისი სიკვდილის შემდეგაც მისმა მტრებმა და მოწინააღმდეგეებმა?! მათ გულებში დაგუბებული ნალექი ვერც ნაღველისა და ძმრის მიწოდებით დაიშრიტა, მისი სიკვდილის შემდეგაც კი უდიდესი შური და მრისხანება გამოამჟღავნეს ამ მხეცებმა და ღმერთის ბოროტმა ურჯულო მკვლელებმა. არც მისი უბიწო დედის გლოვას მოერიდნენ ისინი, რომელსაც მხეცებიც კი მოწყალებით ეპყრობოდნენ და თანაუგრძნობდნენ. მათ, ულმობლებმა და კლდეზე მეტად გაქვავებულებმა, ლახვარი გაუყარეს მის მაცოცხლებელ გვერდს, რათა უვნებლად მისი სხ-

ეულის ერთი ნაწილიც კი არ დაეტოვებინათ. მისმა თავმა ლერწმით ცემა აიტანა; ღაწვებმა — ყვრიმალის ცემა; მისმა პირმა მწარე სასმელი სვა, მანამდე კი ამავე პირს ანერწყვებდნენ; მისი ბეჭები იგვემა; ხელებსა და ფეხებზე ლურსმნები დაარჭვეს; ახლა კი მისი გვერდი მახვილით გაიჭრა, რათა ჩვენთვის მისგან გადმოვიდეს სისხლისა და წყლის წყარო, რომელიც სულიწმინდას მოგვანიჭებს. შენ ხომ ნახე მისი კურთხეული დედა, რომლის გულსაც მახვილი გმირავდა (ძის ტანჯვისას) და მასთან ერთად ისიც იღვწოდა; ახლაც, როდესაც მკვდარი ნახა იგი, როდესაც მისი ძე აღესრულა და უკვე მისი დაკრძალვისთვის ემზადებოდა, კიდევ ერთხელ უკვე მის გვერდში გამავალმა მახვილმა გაუპო გული, ხელახალი ტკივილი მოჰგვარა და თვალებიდან კვლავ ცრემლის წყაროები დაადინა. გულში კი სისხლი ეღვრებოდა და ამბობდა: გული მიხურს და ტკივილები მიახლდებაო. იგი გარბოდა მისკენ და არა მხოლოდ ორივე თვალით დაინახა, არამედ ორმაგი სიმდიდრის მემკვიდრეც შეიქმნა. მან მიიღო მისი გვერდიდან გადმომდინარე სისხლი და წყალი — ახალი და დაუსრულებელი უკვდავება; კეთილმა და კურთხეულმა დედამ სიკეთით მიიღო ეს სიმდიდრე.

მცირე ხანს კიდევ გლოვობდა, მწუხარების გამომხატველი სიტყვები კვლავ ამოთქვა და დაუყოვნებლივ მისი მაცხონებელი გვამის დაკრძალვაზე დაიწყო ზრუნვა, რადგანაც ვერ გაუძლებდა იგი, რომ ეცქირა ჯვარზე ჩამოკიდებულისთვის, მტრები რომ სცემდნენ, აყვედრიდნენ და ტანჯავდნენ. მას სურდა, შესაფერისი აკლდამა ენახა. ადგილი, რომელიც მისი მაცხონებელი გვამის ღირსი და შესაფერისი იქნებოდა, საერთოდ არ არსებობდა, თუ არ ჩავთვლით მის უბიწო და ყოვლადწმინდა საშოს, რომელმაც ოდესღაც მიიღო ღვთაება; თუმცა სხვა ამის მსგავსი ველარ მოიძებნებოდა, მაგრამ თავისი სურვილისა და მონდომების შესაბამისად მიმსგავსებულ ადგილს მაინც ეძებდა. ამიტომ მთელი მწვერვალი მოიარა; მაცხონებელი მიცვალებულის მადლით გაძლიერებული მისი ფეხები მიმოდიოდნენ, ხოლო თვალი და გონება თავის სასურველ მეუფესა და ძეს ვერ სცილდებოდა. სწორედ ამ მადლის წინამძღვრობით ჯვრის სიახლოვეს იპოვა

მან მშვენიერი აკლდამა, რომელსაც გარს ულამაზესი ბაღნარი ერტყა. საფლავი ცარიელი და ახალი იყო... როგორც სახარება გვიამბობს — იგი კლდეში სულ ახლახანს გამოეკვეთათ, სხვა მკვდარი ჯერ არ მიეღო და ელოდა ამ ახალ მკვდარს — ყოველივეს ღმერთსა და უფალს. ის, უფლის განგებულებით, აღდგომისათვის ცარიელი უნდა დარჩენილიყო, რათა არავის ეთქვა, რომელიღაც სხვა გვამი აღდგა და არა ქრისტესიო. ამიტომაც მიცვალებული არ ესვენა მასში. როგორც მახარებელი ამბობს, იქვე, ახლოს, სადაც ჯვარს აცვეს, ბაღი იყო, ბაღში კი ცარიელი საფლავი, რომელშიც არავინ დაეკრძალათ. ახალი იყო საფლავი და ახალი ადამისათვის გამზადებული; რადგანაც არანაირი ადამიანური ბრალი და ცოდვა არ შეხებოდა მას, ამიტომ ყოველგვარი ბრალდებისაგან იყო დაცული; ცილს ვერავინ დასწამებდა, რომ იქიდან მოიპარესო, იმდენად მიუვალი იყო. კლდეში იყო გამოკვეთილი ლოდის გამო (რომელიც უნდა გადაგორებულიყო) და ღრმა იყო, რაც მისი საძირკვლის ურყეობას მოასწავებდა. ბაღი ედემის გამოხატულება გახლდათ, მწვერვალი — ადგილი იქ დაფლული ადამისთვის; მისი ტანჯვა ჩვენი ტანჯვის მოსპობას მოასწავებდა და მისი სიკვდილი — სიკვდილის განადგურებას.

ამბროსი ნეკრესელის სიტყვა ვნების პარასკევს*

სახელითა მამისათა, და ძისათა,
და სულისა წმიდისათა. ამინ.

და ვიხილე იგი, და სახე მისი
უპატიო ქმნილიყო და მოკლებულ
უფროს ყოველთა ძეთა კაცთასა.
(ესაია 53; 2-3)

ეს ზარდამტეხი ჴმა, დღევანდელს დღეს ნაქმარი, ყოველთ სიტყვიერთა თავს დაეცემის, როგორც ხილულთა, ისე უხილავთაცა, რომ გვეამბობის წმიდით პირითა საზარლად შესაძრწუნებელი და ყოველთ არსთა ძრწოლის შესადებელი. ამისთვის, რომ მზის ქვეშეთა ამისთანა არა ქმნილა რა და ან რაღა უნდა ქმნილიყო. ვინ რას გაიგონებდა და ან სად ვინმე რაღას ნახევდა ყოველთ გონიერთაგანი სულობით მოუაზრებელსა და მოუფიქრებელსა, როდეს ჩვენის მაცხოვარებისათვის ღმერთი ძე ღვთისაჲ ცხოველისა უცნაურქმნილი ყოველთ სიტყვიერთაგან სიმდაბლით გარდამოჴდა და დაუმდაბლებელის ღვთაებისა თვისისა დაუმდაბლებელად დამამდაბლებელი განჴორციელდა წმიდათა უწმიდესისა ღვთისმშობელისაგან და ჩვენთანა იქცეოდა, ჩვენის სიყვარულისაგან იძულებული და ძლეული, და ახლა ასე უპატიო ქმნილი, წყევას ქვეშე შეგდებული და საყვედრელის სიკვდილით მოკლული იხედების, რომელსაც რომ აღარც სახელა უჩანს უმშვენიერესსა უფროს ყოველთა ძეთა კაცთასა და ვერღარც ვინმეღა იცნობს ყოველის შვენიერების შემომქედსა — ანუ თუ ვინ ყოფილა და ან ასე რამ რა უქნია კაცთა განღმრთობის მოსურნესა და ასე შეუწყალებლად დასჯილსა, რომ ასე დასჯილა.

და რაკი გამოჴდა ბრძანება განჩინებისა და საუკუნომ ღმერთმან მამამან და სულმან ყოვლად წმიდამან პილატესა და Ꙋროდესთან ჴელის-მოწერა სათნო იყვეს იესოს დასჯისა,

* იბეჭდება გამოცემიდან ამბროსი ნეკრესელი, ქადაგებანი. 2003; გვ. 149-157.

ჯვარცმისა და სიკვდილისათვის, და ან ვინღა რაღა რამ ვსქვათ დღეს? თითქმის ყოველთ სიტყვიერთ ცნობა მოგვერიდების ამისთვის, რომ ყოველთა ახალთა და საკვირველთა ღვთის საქმეთა უუახლესი და უუსაკვირველესია, ცათა ქვეშე ქმნილთა საქმე იხილვების. კაცთ გამოჯსნისათვის ძე ღვთისაჲ ცხოველისა კაცთავე ჴელით დაისაჯების, ჯვარსეცმის და მოიკლვის საყველდრელის სიკვდილითა.

და ან რა სწორება ჰქონდათ თან წარუჴდომელად საჭიროს საღმრთოს განგებულებასა და ბოროტის ეშმაკის კაცის მკლველობასა და მღვდელობისაც უღირსთა ურიათა მღვდელთმოძღვართა განზრახვის მეშურნეობასა და ფარისეველთა და მოხუცებულთა აღბორგებასა, რომ ერთათ შეიყარნენ მამისაგანაც საუკუნოსა მხოლოდ შობილზედა და დედისაგანაც უხრწნელად პირმშოს შობილზედა.

ვინმე იტყოდეს საქმეთა უფლისაჲთა და ანუ ვინ სასმენელყვნეს ყოველნი ქებულებანი მისნი! ძე ღვთისაჲ ცხოველისა და ანგელოსთა შემოქმედი და ყოველთა მყოფთა ცხოვრება ცოდვათა ჩვენთა ძლით ცხოვრებად მოკვდავთა სახსრად დაიკლვის და ვინ არა განცვიფრდეს?!

კეთილმსახურებისა ტრფიალებითა დღეს აქა შემოკრებულნო!

აქა არის ყოველთ გონებათა ზესთა უაღრესი ცნობა საქმისა. თან წარუჴდომელად საჭიროებად დადებულან ღვთის სიტკბოება და კაცთმოყვარება. როგორ გაიბჭოს და ან მტრის ჴდომა და კაცთ ცთომილება როგორ აიწონოს. ღმერთმან რაც დაბადნა სიბრძნითა საუკუნოთა, სახიერებით სათნო იყო დაბადება და ნიადაგაც ნებავს, რომ ყოველნი სიტყჳერნი საუკუნოდმყოფ იყვნენ ყოვლის სრულებას ქონებითა და ყოველი სრულება ყოველთა ეს იყო და არის, რომ ყოველნი საუკუნოდ ყოფითა და უკვდავებითა საუკუნოდ ღმერთთან ვიშვებდეთ ყოვლითავე სიკეთითა შვებულნი და შექცეულნი. ამიტომ, რომ საუკუნოს ღვთისა როგორც არ ეკადრებოდა ჟამიერად მყოფთა და მერმე კი აღარ მყოფთა, ისე არცარა დაუბადებია, და მეტადრე სიტყვიერნი ცხოველნი, რომელნიც რომ უკვდავის სულით

არიან პატივცემულნი. მაგრამ ასეთი ვინმე გამოსქდა უხილავთ სიტყვიერთაგანი, რომ აღარ იქნა იმისი მოქცევა კეთილობაზედა. და რომ იმ ბოროტ თავსა, როგორც ნებსით ორგულსა და წინააღრჩევისაჲთ მტერსა ღვთისათა დამჯდომსა ყოვლის კეთილობისასა ჰფერობდა თავისი საკადრისი სრულიადი განსაპატიჟებელი განწირვა და კაცთ ბუნებისა განმართლება, როგორც სიწრფოებითა და უმანკოებითა შეცთომილსა და პირებითა ეშმაკისათა მოტყუებულსა; ამისთვის მაღალი ღმერთი მდაბლად კაცად გამოჩნდა, რომ კაცის მესისხლობით მეშურნე და შურით კაცის მომატყუებელი და უფრო ღვთის ჯდომით განკაფული, რომელსაც რომ უფრო თავისი ღმერთობა ეოცებოდა, შეეტყუებინა და მოეღორებინა ღვთის სიბრძნეზედ ზავად ალაღებული და მეტად ამპარტავნებით მოქადული. როგორც იმან წრფელის ევას პირით კაცი მოატყუვა და ღვთის გულისწყრომაში შეაყენა და სიკვდილსა და წარწყმედას მიუგდო. და კიდეც კმარა. როგორც რომ ის მოტყუვდა და კაცის ბუნებითა ღმერთს ეკვეთა და დაეცა საუკუნოდ აღუდგომელი და თავის საჭმელად ძაღლთა მიგდებული და ჩჩვილთა და უსუართაგან სამღერელად გამჯდარი, საკიცხელად და საბასრობელად კაცთ მცოდველთაგან მოკლის სინანულითა განსაქიქებელი და ყოველთ სიტყვიერთაგან დაწუნებული, თითის საჩვენებელი, საწყევარი და შეჩვენებული და ნიადაგ შესაჩვენებელი საუკუნოდ დაეცა.

ჯერ პირველად, რომ საღმრთოს განგებულების საიდუმლოსი სულობით ვერაფერი ვერა იგრძნა რა, რაზომც რომ დიდნი და მაღალნი, ცხადნი და აშკარანი ღვთის საქმენი იხილვებოდეს, იქადაგებოდეს, გამოითქმოდეს და კაცთ ნათესავს ეხარებოდეს. მაგრამ ის კი ვერას მიხვდა და ვერცარა რამ ფერი იგრძნო. და აქ აღსრულდა ღვთისაგან დიდს ხალხში თქმული საცხადოთა სიტყვა: „აღგიარებ შენ, მამაო, უფალო ცათა და ქვეყანისაო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და გამოუცხადე ესე ჩჩვილთა. ჰე, მამაო, რამეთუ ესრეთ სათნო იყო შენს წინაშე (მათე 11, 25-26). და მერმე ისევ პირველს სოფელში მეშვიდე კაცი, მართალი ენუქ, სიკვდილის გემოჲს უნახავათა, ჯორცით და სულით, სამოთხედ მისცვალა. და თუ ის მისცვალა, სხვებისას კი ვეღარ

შეიძლებდა, ვინც კი სათნოების მოყვარე იქნებოდა? მაგრამ რომ ამპარტავნებით ალაღებული და დამთვრალი იყო, რაღას რასმე გაიგებდა? მერმე იმავ პირველს სოფელში მართალი ნოე გამოირჩია, ასოცდაოთხს წელიწადში კიდობანი აკეთებინა და ამაში ღვთისმსახურებასაც ჰქადაგებდა, ყოველთ გამოჯსნასა და საუკუნოს მაცხოვარებასაც წინათვე მოასწავებდა. და ვერცარა იქ რამ შეიტყო. მეორეს სოფელში საკვირველი კაცი ქალდეველთ სოფლიდამ გამოიყვანა და აღთქმით პირი დაუდვა: კურთხევით გაკურთხოო და თესლი შენი განმრავლებით განვამრავლოო, როგორც ვარსკვლავნი ცისანი და როგორც ქვიშა ზღვისკიდისა. შენისთანანი კაცნი აღვადგინნეო ჩემად მეგობრად და მსახურად ერთგულად. და ვერცარა რამ იქ შეიგნო ყოვლად ბოროტმან მან. მერმე კაცნი მართალნი და წმიდანნი აღადგინა და განამართლნა და თავისი გარდამოსლვა აღუთქვა და მყარად დაარწმუნნა და უთუოდ დააჯერა. და ვერცარა რამ ამით შეიგნო. რამდენჯერ წმიდის სამების სახითა დიდს მამამთავარს ესტუმრა. საუკუნო პირობა და აღთქმა დაუდვა და საქმეებიც ასეთები უჩვენა, რომ სამართლიანის ბჭობითა უთუოდ დასაჯერებელი იყო და არის ყოველთ გონიერთაგან. მაგრამ ეშმაკი კი ბრიყულად მოღორდა და ვერცარა რამ იგრძნო. დაბერებულის სარრას გაახლება და შვილის შობა ბუნების უაღრესი საქმე იყო, ისაკის თესლის განმრავლება ცოტას ხანში გონებას სიტყვიერისას ეუცხოვება, იაკობის განდიდება და ურიცხვთ ნათესავთა და მეფეების შთამოსლვა ყოველს გონებასა ზესთა ხედვისა ესაკვირველება და მცირეს ხანებში მრავალნათესავად განფენა ედიდება. მაგრამ ეშმაკმან მან კი ვერარა იუწყა ამაში. აღდგენ კაცნი ძალმაღალნი, სიბრძნით დაუფასებელნი, სიმართლით საანდაზონი, სიმარჯვით იშვიათნი, შვენებით საამონი და სიკეთით ნიადაგ სალაპარაკონი, სათნოებით მაღალნი, ღვთის მეგობრობით საკვირველნი და ძალთა უცნაურთა მოქმედნი, ერთის მარჯვენითთა დიდ-დიდთა და მაღალთა კელმწიფებათა დამცემნი, ცათა და ეტლებისა მისისა სიტყვით დამაყენებელნი, ზღვათა და მდინარეებთა ბრძანებით შუა გამყოფნი და დინებისაგან დამაყენებელნი და ისე ფეკ დაუსველებლად

გამჳელნი, მონიშენი და უცნაურებთ მოქმედნი, უეცრად შეხებითა მკვდართ აღმადგინებელნი, შორსა ჴელმწიფებათა რჩევისა და განზრახვისა მცნობელნი და ჟამთა და დროთა ყოველთაგან ადვილ შესატყობლად დამარწმუნებელნი. მაგრამკი ეშმაკმა ვერარა იგრძნო ძისა ღვთისაჲ გარდამოსჳლისა აშკარად და ცხადად გამომთქმელნი და ხანთ და წელთ სწორედ დამნიშვნელნი და იმისის დიდებულისა შობისა და აღზრდისა ყოველთ შესატყობად გამომთქმელნი. მაგრამ იმან კი სულობით ვერა ინიშნა რა, მოღორდა და განცოფდა, მოიკიცხა და განქიქნა, საყვედრელად დაეცა და გასაძაგელდა, სარცხვენელ იქმნა და იყვედრება, დაითრგუნა და ჩჩვილთ სამღერელად გაიგდო ლაღი და ურცხვი, საბასრობელი და საწყევარი. და რომ წარმოდგა ჩვენის მაცხოვარებისა და გამოჴსნის ჟამი, და იშვა და აღიზარდა მჴსნელი ყოველთა, იმან სულ ვერა სცნა რა. გამოცხადდა და განიფინა იმისი ღვთის ძეობა და იმან კი ვერა გაიგო რა. თვით ეშმაკები ეწამებოდნენ — ვიცით, შენ ვინცა ხარო, წმიდაჲ ეგე ღვთისაჲ, — და ის კი გაბრიყვდა სწორის უცნობელობითა.

და რომ მეტად ალაღებულმა ღვთისმეცნიერებაზედ ამპარტავნებით დააშურა, ეშმაკმა რჩევაც ქრისტეს მკვლელობისა და სამკვლელოს იარაღებისაც ადრე მომზადება დაიწყო. ათლევინებდა ჯვარსა, აწვერვინებდა დიდ-დიდს ლურსმებსა, გვერდის საგმერლად ამზადებდა განსამსჭვალველად სამსჭვალსა. მოიმზადებოდა უზელელის ჯარის ტყავისა შოლტები, ეკალთაგან მოიღებოდა სამღერელად გვირგვინი და წკეპლთაცა შეიკრვოდა კონები და საკიცხელად მეწამულიცა სამჯედრო მოიღებოდა საწვიმარი. ჯურთითსა განზიდვიდეს მჭედელნი, როგორც ბამბისა და თუ მატყლისაგან შენამზადსა ჴელის საცემელსა, უუმწვავესისა პირისა და თავისა საცემელად. და ფსკერსაცა შინა გარესკნელის ჯოჯოხეთისასა განემზადებოდა ადგილი, რომლისაც საპყრობილიდამ გამოჴსნა აღარ ეგებოდა.

ესენი მოიმზადებოდეს ქრისტესთვის სამკვლელოდ და სახელადაც მარიამის შობილსა უწოდდა, როგორც კაცსა ლიტონსა და სხვა მეტი კი აღარა იცოდა. და ხომ კიდეც მოიბირნა

მოციქულთაგან შინაგამცემელად სახელხენეში ისკარიოტელი, ვეცხლისმოყვარებით მაცთუნებული იუდა, მსაჯულად მღდელთ-მოძღვარნი: ანნა და კაიაფა, კელისმომწერად განჩინებაზედ ფარისეველნი და სადუკეველნი მწიგნობართათანა და მოხუცებულთა, მკლველად და ჯვარის მიმცემელად პილატე და ჰეროდე. ბრალად დაედვა გმობა ღვთისაჲ. რომ კაცი არისო და თავის თავს ღმერთადაც ყოფსო. და მეორედ, თავის თავს მეფედ ჰყოფსო. და ვინც თავის თავს მეფედ ამბობსო, ის კეისარს ხომ თავს აღარ დაუდებსო. და ეს ბრალები არც ერთი არც ტყუილი იყო და არც ნაცილი. თჳთ თავადი ღმერთი იყო და ბუნებით ძე ღვთისაჲ საუკუნოსა მამისა, არსებითა და ღვთაებითა თანა სწორი და თანა საუკუნო ჟამითაცა და კელმწიფებითაცა და ერთ დამბადებელობითაცა და ყოვლითავე სავსებისა და სრულებისა ქონებითაცა სწორი იყო მამისა და სულისა, ხატი და ბეჭედი მამის არსებისა და ბუნებისა. არა ნატაცებად შერაცხილი, არამედ მსგავსი და იგივე ყოვლითავე სავსებისა ჩვენებითა და არცარა განყოფილება ითქმის ყოვლად წმიდათა სამთა გვამთა შინა. გარე ამათსა ღმერთი მამა უმიზეზო და უშობელი და უმიზეზო საუკუნო. ძე ღმერთი მამისაგან შობილი და არა ქმნილი, უჟამო და დაუსაბამო. სული ღმერთი მამისაგანვე გამომავალი და არა შობილი, დაუსაბამო და საუკუნო.

როგორც გონება უსიტყველი არ ეგების და არც სიტყვა უსულოდ, ასე მამა ღმერთი არაოდეს არ იყო მამა უძეოდ, და არცა ძე უსულოდ. ამიტომ, რომ ხატი მამისა არის ძე და ძისა ხატი სული ყოვლად წმიდაჲ და ესგვარი განყოფილებისა არის, თორემ არსებით და ბუნებით და ღვთაებით ერთ და იგივე არნ ამისთვის, რომ წმიდა სახარება ასე გვეწამების: „სულ არსო! ღმერთი და სულითა და ჭეშმარიტებითა ეძიებს თაყვანისმცემელთა მისთა“ (იოანე 4, 24) და ნახონ, რომ ასე არის, ყოფილი ძე ღვთისაჲ ცხოველისა, თუარა?! თუმცაღა, თავისს მამას სატანასთანა კიდეც რომ ვინმე განიპებოდეს, მაგრამ ჭეშმარიტება ასე იქადაგების, ირწმუნების და აღიარების. და აგრევე, რახან სიბრძნე და ძალი არის ღვთისაჲ მამისა სიტყვა ღვთისაჲ, ღვთის სიბრძნისა წიგნი ასე არ იტყვის: „ჩემ მიერ მეფენი მეფობენ?“(იგავ. 8, 15). თვით

ყოფილა მეფე, თუ არა? და წიგნიც ასევე იტყვის: „და ვიხილე მეუფე უფალი?“(ესაია 6, 5).

ეს ძე ღმერთი განჯორციელებული, როგორც მოსწავებული იყო და ქადაგებული, ისე გამოჩნდა და გვეცნობა თესლად დედაკაცისა პირველივე თქმული და მერმე თესლად აბრაამისა ქადაგებული, წინამძღვრად და მოწოდებად წარმართთად აღსარებული, მესიად და დიდად წინასწარმეტყველად სახელდებული. და რომ მოვიდა, ხომ იმ დროს მოვიდა, რომელიც დრო უწინავე იყო თქმული. და რა აშფოთებდათ ურიათ უგულისჯმოთ შესაკრებელსა? და აი, რა აშფოთებდათ: შეიყვარეს დიდება ხოლო კაცთა უფრო, ვიდრე დიდება ღვთისაჲ და დიდება კაცთა ჟამიერად ხრწნილებად არის შეყენებული და ვინც კაცთ დიდებასა ეძიებს, იმას ღვთისაჲგან დიდებისათვის აღარა შესჭირს რა, ამიტომ, რომ საწუთო და ამაო არის და არა საუკუნო და სამარადისო. და რაც საწუთო და ამაო არის, ისინი ყოველნი განხრწნადნი და არარად მოქცევადნი არიან. და ყოველი განხრწნადთა და არარად მოქცევადთა მძებნელი არა ღვთისაჲგან არის, არამედ ყოველსა შინა კეთილსა დაშორებული, ჯორციელთა და ვნებათა შინა მისყიდულთად ითქმის. და ყოველი ჯორციელთა და ვნებათა შინა მისყიდული მონა არის ეშმაკისა და არა ღვთისაჲ და ამად შეითქვნეს მეფენი ქვეყანისანი და მთავარნი შეკრბეს ერთად უფლისაჲთვის და ცხებულისა მისისათვის, რომ გაეხეთქათ აპეური და განეგდოთ უღელი სჯულისა საღმრთოსა. და ხომ კიდეც ეცადნენ და ძალდატანებითაც უჯდებოდნენ, მაგრამ მოცთუნდნენ და მოღორდნენ. ის ყოველი ულვთოება თუმცაღა ყოვლის ღონისძიებით მალე აღასრულეს და ანასდ საქმით აჩვენეს და უსჯულოდცა დასაჯეს კაცთმოყვარებისა სიკვდილად მიცემითა. რომ შეიპყრეს და ყოველი გვემა და წყლულება მეყსა შემოუკრიბეს და უწყალოდ თავსა დაესხნეს, აღარასდროს დაყოვნებითა, და ყოველი ვნებანი და უსასტიკესნი წყლულებანი, გვემანი და ბასრობანი და მერმე ჯვარი და სიკვდილი განუჩინეს ჩვენის ცოდვის ამხმელსა — ერნი შემოუკრიბნეს და უფრო რომ სჯულიერად თავი გამოემართლებინათ. ეშმაკი აშურებდა, პილატე ჴელს იბანდა — უბრალომცა ვართ ამ მართლის კაცის

სისხლისაგანა. ერნი აზრახებულნი ზედ მიჯდომით ღაღადებდეს: აღიღე, აღიღეო ეგე და ჯვარს აცვიო და ბარაბა კი გვაპატიეო. და მაშინ შოლტითა სცა იესოს და მისცა ჯვარის საცმელად სტრატიოტთა. ყოველი გვარი ტანჯვისა და გვემისა კაცის მკვლელთა მათ დაასრულეს მის ზედა და ყოველი ნაწევარი უხრწნელისა გვამისა მისისა აღივსო ფერად-ფერადთა გვემათა ვნებითა. პირველად ანგელოსთაგან თაყვანისსაცემელსა პირსა მისსა ჯურთითა ცემა და დაბურვა პირსა და ეგრეთ ცემა და ნერწყვა პირსა მისსა და კიცხევა:

— ვინ არსო, გვიწინასწარმეტყუელებდ, რომელმან გცაო შენ პირსა. და მერმე განრთხმა მიწად და შოლტითა ცემა მყოვარ ჟამ და განგრძელებით. მერმე თავსა დაადგა ეკლისა გვირგვინი და განწონა ეკალთაგან ტვინისა და ძარღვთა თავისათა. და ეგრე კიცხევა და მღერა, ქლამინდისა მეწამულისა ჯორცთა ზედა ნაგვემთა შოლტითა წამოსხმა და ჯელთა შეკრულთა ლელწამისა მიცემა და ეგრეთ ბასრობით მღერა და კიცხევა. და რომ ბირებითა ეშმაკისათა უფროსად ზედის ზედა განიხერხებოდეს და განიკაფოდეს, რომ სხვა და სხვაგვარი მტანჯველობისა ზედ დართვით დაეძინათ ხუთშაბათსა შუაღამითგან პარასკევისა დღის მეექვსის იმ ჟამამდის, კაცთა გაველურებულთა და გამჯეცებულთა მეტთა უზესთაესი დასძინეს გვემა და ტანჯვა უაღრესთა უმეტესი და რიცხვთა უბევრესთა უმრავლესი მოუკრიბეს. და მეექვსის დღისა ჟამსა მზის აღმოსლვითგან ჯვარის საცმელად წარიქციეს. და ეკიდა ჯვარი თვისი და მიჰყვანდათ იგი ბასრობითა და ყველრებითა. და სიმონცა ვინმე, ველით მომავალი, შეაშველეს ჯვარის საზიდად კაცთა ბუნებითა ყოვლითურთ უღონო ქმნილსა და არათუ საღმრთოსა ბუნებასა განეძლიერებინა იგი, ძალსა კაცობრივსა აღარამცა ძალედვა ცოცხლებით გება და რომ იყო ღმერთი მამაკაცი სრული სრულიად სრულისა შეერთებითა, იგი ძალმსცემდა კვლავე სიცოცხლედ და ესენი რომ განიცადნა, სულით მაღალმან ესაია წინასწარმეტყველებრივისა თვალითა ღაღადყო მწარედ ლმობით: „და ვიხილე იგი, და სახე მისი უპატიო ქმნილიყო და მოკლებულ უფროს ყოველთა ძეთა კაცთასა“ (ესაია 53, 3). და

რომ მიიყვანეს მთად გოლგოთად თხემის ადგილსა, სადაც რომ დამარხულ იყვნეს ნაწილნი ადამ და ევასნი სემის ჴელითა, განართხეს იგი ჯვარსა და დამსჭვალეს სამსჭვლითა ჴელით და ფერჴით. და აღმართეს ძელი საფლავსა ზედა ადამ და ევასსა. და შთამოდიოდეს ნაწვეთნი იგი სისხლისა მის საღმრთოსანი საფლავსა მას წმიდათასა და განიკურნებოდა ბუნება იგი კაცთა სრულებით მეორისა ადამისა სისხლისა პკურებითა. და არღაცა მაშინ სადმელა აჩვენეს წყალობა ნაშობთა მათ ასპიტისა გველისა იქედნესათა. ემღერდეს მას და ეკიცხოდეს — სხვანი აცხოვნენო, აცხოვნენო თავიცა შენი, უკეთუ ძე ხარო ღმრთისაჲ. და უფროსისა სიბოროტითა ჯვარსაცვნეს მისთანა ავაზაკნიცა. და არა ეგრე განმწარებითა სასტიკად. და აქ აღსრულდა ჴმა ღვთივ მზრახველისა დავითისა: „განჴვრიტნეს ჴელნი ჩემნი და ფერჴნი ჩემნი და აღრაცხეს ყოველი ძვალები ჩემი. მათ მიხილეს მე და განმიცადეს მე განიყვეს სამოსელი ჩემი და კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“ (ფსალმ. 21, 18-19) და რომ თქვა: — მწყურისო, მიუპყრეს ძმარი ნაღვლითა აღზავებული და აქ წარმოდგა სხვა ჴმა წერილისა: „წყურვილსა ჩემსა მასვეს მე ძმარი“ (ფსალმ. 68, 22) და ავაზაკიცა ერთი იგი ჰყვედრიდა და მეორე აღსარებით ეტყოდა: — მომიჴსენეო მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა! და მიიღო აღთქმაცა საწადელი: „დღეს ჩემთანა იყო სამოთხესა“ (ლუკა 23, 43).

და იხილა იესო, რომ აღსრულდა ყოველი. ჴმაყო ჴმითა დიდითა და თქვა: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაჲსათვის დამიტევე მე!“ მიიდრიკა თავი და განუტევა სული. დაბნელდა მზე, შუადღის წერტილში მყოფი. და ბნელი იყო ყოველსა ზედა ქვეყანასა. კლდენი განსქდეს და მთანი იძვროდეს და ქვეყანა ქოთებდა შიშისა და ზარისაგან საღმრთოსა. საფლავნი აღიხსნეს და მრავალნი გვამნი წმიდათანი აღდგეს და გამოვიდეს საფლავით. და შემდგომად აღდგომისა მრავალთა გამოეცხადნეს, შევიდეს რა წმიდა ქალაქსა (მათე 27, 46-50).

აქ შეიპყრა შიშმან და ძრწოლამან სატანა და ძალნი მისნი, ჴმისაგან საღმრთოსა აღშფოთებული, რომ იცნა საუფლო ჴმა, ეკვეთა კაცსა და შეასქდა ღმერთსა. ჰლამობდა დაძალვასა

და სადღა ძალედვა მოცთუნებულსა! ანასდ შეიპყრეს და შებორკილეს და გარესკნელსა ტარტაროზისასა შეაყენეს ძალთა თანა თჳსთა უმძვინარესთა. თანა ჰყვებოდეს სულსა განღრთობილსა ღმერთ მამაკაცისასა ძალნი და ჴელმწიფებანი და რომ სრულებით წარმოატყვენა და იავარიქმნა, ჯოჯოხეთი განიპებოდა გულისწყრომით და აღშფოთდებოდა ზარისაგან შეპყრობილი და მოკიცხული და სრულებით უღონო ქმნილი. და ძრწოდა სულთქმით განლეული და რაღას რასმე ირგებდა ტყვექმნილი, რომელიც რომ ზღვათა და ჴმელთა ლამობდა დაპყრობასა და აღოჴრებასა, როგორც სირი უნდო, ისე შეიპყრა და შეიყენა. და მაშინ იგლოვდა თჳსსა სიბოროტესა, მწყევარი თვისისა წინა აღრჩევისა, მაგრამ რაღა რამ ერგებოდა ყოველს სიბოროტეში განძვინებულსა, მოქცევისაგან სრულებით დაკლებულსა და აღარც როისმე მოქცევად შემძლებელსა?

აღიმღერეს ადამის ნათესავთა ყოველთა ამად, რომ როგორც ეხარებოდათ, ისე აღუსრულდათ გამოხსნა და ლხინება, მიემადლათ მაცხოვარება და აღმოიწოდნენ საუკუნოდ შვებად და ნეტარებად და წარმოემართნენ სასუფეველად წინაძღომითა ჯვარისათა. და ვინ რაღასმე ვიტყოდეთ? იქ ისმინებოდა ჴმა სიხარულისა და განცხრომისა, ჴმა მადლობისა და ქების მეტყველებისა, ჴმა ზადიკობისა და შვებისა, წარჴდა ზამთარი ძნელი და ყინელი განმამწარებელი და აღმოვიდეს არედ სამოთხისა და შვებისა. ამინ.

1. სიტყვა დიდ პარასკევს ჯვარცმის გარდამოხსნაზე*

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!

ოდეს წმიდა ეკკლესია შეგვკრებს ჩვენ, ქრისტიანეთა, მოხსენებად და თაყვანისცემად ვნებათა ქრისტესთა ამ დღესა შინა, ერთი ჰაზრი უნებლიეად წარმოუდგება და უმეტესად განაკვირვებს გონებასა კაცისასა, ჰაზრი მას ზედა, თუ რაოდენი შრომა და ღვაწლი მიიღო მაცხოვარმან თავის თავზე ჩვენთვის და ჩვენ კი მცირესაცა შრომასა და ღვაწლსა არ ვითმენთ მისთვის; რაოდენი სიყვარული, რაოდენი მაგალითი გვიანდერძა მან ჩვენ და რა მცირესა ხედავს ჩვენ შორის განმზადებულებასა მიღებად მათდა და მადლობის გადახდად მათთვის.

არა შეუძლებელ არს მცირეთა სიტყვათა შინა აღწერად ყოველთა მათ, რაიცა ჰქმნა მაცხოვარმან ჩვენთვის. საშინელნი ტანჯვანი, რომელნი მან მოითმინა თვით ამ დღეს ჩვენისა სიყვარულისათვის, შეადგენენ ერთსა მხოლოდ ნაწილსა მისთა ღვაწლთა. შეიძლება ვსთქვათ, რომელ მაცხოვარი არათუ მხოლოდ მოკვდა ჯვარსა ზედა, არამედ მრთელი თვისი ცხოვრება განატარა მას ზედა. გარნა ნუ იფიქრებთ, ძმანო, რომელ იგი იტანჯებოდა ამ სოფელში რომელთამე ხორციელთა ნაკლულევანებათა გამო. მართალია, მას ხშირად არა ჰქონდა, სადა თავი მიედრიკა; იგი მოწაფეებითურთ იზრდებოდა მით, რასაც მიართმევდენ ერთგულნი მისნი მორწმუნენი; იგი ხშირად იმალებოდა მტერთაგან უდაბურთა ადგილთა შინა; გარნა ეს არ იყო მიზეზი მისისა მწუხარებისა: იგი იტანჯებოდა მხედველი საცოდავისა კაცთა ნათესავისა მდგომარეობისა, დაცემისა, უმეცრებისა, საცოდავისა. თუკი ჩვენცა, რომელნი თვითონაც ცოდვილნი ვართ და საწყალნი, გვემძიმება და სამწუხაროდ გვიჩნს ხედვა

* იბეჭდება გამოცემიდან ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ.I, გვ.160-164.

კაცის ბუნების წახდენისა და დაცემისა, როგორღა არ შეწუხდებოდა უწმინდესი არსება, რომლისათვის თვით მცირე ცოდვა საძაგელ არს, მხედველი უღრმესისა კაცის ბუნების გაფუჭებისა და წახდენისა. ეს აწუხებდა და სწყლავდა გულსა მისსა ყოველთა დღეთა შინა ცხოვრებისა მისისათა. გარნა უკანასკნელთა ამათ დღეთა შინა, მან ბოლომდინ შესვა მწარე სასმელი ყოველთა ვნებათა და ტანჯვათა. არა უმიზეზოთ ეტყოდა იგი მოწაფეთა თვისთა ვენახსა შინა გეთსამანიისასა: მწუხარე არს სული ჩემი ვიდრე სიკვდილადმდე. არა უმიზეზოთ სამგზის დაემხო იგი მიწასა ზედა წინაშე მამისა თვისისასა მეტყველი: მამაო, უკეთუ არა შესაძლებელ არს თანაწარხდომად სასმელისა ამის, იყავნ ნება შენი. გარნა ნუ იფიქრებთ, რომ მას ეშინოდა ხორციელისა ტანჯვისა, ცემისა, ლურსმნისა, ნერწყვისა, ჯვრისა; არა! ესრეთისა არსებისათვის, ვითარცა იყო მაცხოვარი ჩვენი, ხორციელნი ტანჯვანი მცირედ გამოჩნდებიან წინაშე სულიერთა ტანჯვათა! მაცხოვარმან წინათვე უწყოდა, რომელ მოახლოებულ არს დღე, რომელსა შინა მას ზედა აღიჭურვება ყოველი ბოროტება დაცემულისა კაცის ბუნებისა, როდესაც მტერნი მისნი ცხადად გამოაჩენენ, სადამდინ მიიყვანა ცოდვამ კაცის ბუნება. ძველმან მტერმან, დამთესველმან კაცის გულსა შინა ცოდვისა და მტრობისა, მოიხმარა აქ ყოველნი თვისნი ხერხნი და საშვალებანი დათრგუნვად და მოსპობად სასუფეველისა ღვთისა, რომლისა დაფუძნებად მაცხოვარი მოვიდა ქვეყანასა ზედა, როგორ არ შეწუხდებოდა, ვიდრე სიკვდილამდე სული ქრისტესი, მხედველი საშინელთა მათ საქმეთა, რომელი ჰქმნეს მტერთა მისთა.

უბედური იუდა ფულზე მისყიდავს მოძღვარსა და მეგობარსა თვისსა: ეს იყო მაცხოვარისათვის უმწარეს ლურსმნებთა, რომელთა განსჭვალნეს ხელნი და ფერხნი მისნი.

ფარისეველთა და მოხუცებულთა ორგულთა, სჯულის სარწმუნოების ერთგულების სახისა ქვეშე იხმარეს თვით უბნელესნი საშვალობანი დასჯად იესო ქრისტესსა: ეს უჩნდა მას უმეტეს მძიმედ, ვიდრე ცემანი და ნერწყვანი.

უმადლო ერი ურიათა, რომელსა მაცხოვარმან უყო ურიცხვნი კეთილნი საქმენი, რომელი გუშინ დღესასწაულობით მიეგე-

ბა მას და უღაღადებდა: ოსანნა, ძესა დავითისასა, დღეს კი, რათა სათნო ეყოს მთავართა და მოხუცებულთა, ჰყვირის: ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი, ეგე! ესრეთი უმადლება ხალხისა, ესრეთი დაუდგრომელობა მისგან გაბედნიერებულისა ერისა, ასწილ უმძიმეს იყო ჯვრისა, რომელი დასდევს მხართა ზედა მისსა!

უმართლო მსაჯული პილატე განაჩენს მისთვის სასჯელსა სიკვდილისასა და მაშინვე თავათ აღიარებს, რომ იგი არ ხედავს მის შორის არცა ერთსა ბრალსა; ესრეთი დავიწყება ყოველისა სიმართლისა და მართლმსაჯულებისა უმეტესად სტანჯვიდა სულსა მისსა, ვიდრე ეკლისა გვირგვინი, რომელი დასდევს თავსა ზედა მისსა.

დასასრულ, მხეცური სასტიკობა მხედართა, რომელთა თავის შესაქცევად მიაჩნდათ ტანჯვა კაცისა უბრალოისა, დასუსტებულისა და ძლივ ცოცხლისა, უმაგალითო ბოროტება ფარისეველთა და მოხუცებულთა, რომელნი ეცინოდენ ჯვარსა ზედა დამოკიდებულსა მომაკვდავსა, უგრძნობელობა ერისაგანთა, რომელნი ხედვიდენ რა ჯვარსა ზედა დამოკიდებულსა, თავს იყრიდენ და ბასრობდენ მას, ამათ ყოველთა აღუწერელად შეავსეს სასმელი მისთა სალმობათა.

გარნა არა მიმხედველი ესრეთთა უმაგალითოთა სულიერთა და ხორციელთა ტანჯვათა, არა მიმხედველი მისა, თუ რა სახე მიიღო აქ კაცის ბუნებამან, მაცხოვარი არცა ერთს წამს არ შეარყევს სიყვარულსა თვისსა კაცთა ნათესავისადმი, არამედ ილოცავს: მამაო, მოუტევე მათ, არა უწყიან, რასა იქმან!

აჰა, რა ჰქმნა მაცხოვარმან ჩვენთვის! და რას მოითხოვს იგი ჩვენგნით ამათ ყოველთა წილ? მოითხოვს მხოლოდ მას, რომელ მისი სწავლა და ყოველი მისი მაგალითი არ დარჩეს ჩვენთვის უსარგებლოდ, არამედ ვისარგებლოთ მით ჩვენისა განათლებისა და ბედნიერებისათვის. გარნა საუბედუროდ რა მცირესა ხედავს იგი ჩვენ შორის ერთგულებასა და მომზადებასა!

ჩვენ გვაკვირვებს, ჩვენ გვეძაგება იუდას ღალატობა და გაცემა; გარნა, ძმანო ჩემნო, ჩვენ კი არაოდეს არ უღალატებთა მაცხოვარსა! ღალატობა არ არისა ყოველი ცოდვა, ყოველი დავიწყება მისისა სწავლისა? როდესაც ჩვენ დამვიწყებელნი მისი-

სა სიყვარულისა ვცხოვრობთ და ვიქცევით წინააღმდეგ მისისა სწავლისა, ანუ უღალატებთ და უმტერებთ ერთი მეორესა, არა გავახსოვნებთა მაშინ იმას იუდას ღალატობასა?

ბნელი ორგულება მწყემსთმთავართა და მწიგნობართა ურიათასა, მათი სიძულვილი, მათი გაქვავება განაღვიძებენ ჩვენს გულში მწუხარებასა, გარნა, ძმანო ჩემნო, საშინელი იგი ცოდვა ფარისეველობისა სრულიად მოისპოა ჩვენ ქრისტიანეთა შორის? ზოგიერთნი სიტყვანი და საქმენი, რომელთამე ქრისტიანეთა არ გააცოცხლებენა გულსა შინა იესოსსა ტანჯვათა მათ, რომელნი მან მოითმინა ფარისეველთაგან?

საღმრთოსა შინა წერილსა ამოვიკითხავთ ჩვენ, რომელ ქრისტიანე ცოდვის მოურიდებელი მეორედ ჯვარს აცვამს იესო ქრისტესა. საკვირველიც არ არის! შეუძლიაა გულგრილად უყუროს ცოდვათა ჩვენთა, რომელთა მოსპობისათვის მან ესოდენი მოითმინა? იტყვიან, რომ ამ ქვეყანაზე ყოველთა უდიდესი და უძლიერესი სიყვარული არის სიყვარული დედისა ნაშობისადმი თვისისა; რისთვის? მისთვის, რომ დედასა ძვირად უღირს შობა და აღზრდა ძისა თვისისა. ჩვენი სულიერი შობა და განათლება მაცხოვარსა ულირდა გამოუთქმელ და აღუწერელ ტანჯვად; ამისთვის არცა ერთი დედა ქვეყანასა ზედა ისე არ სწუხს მხედველი სიცუდისა და სიბოროტისა თვისისა შვილისა, როგორცა სწუხს მაცხოვარი, მხედველი ჩვენისა უღირსებისა.

ურიათა, რომელთა სტანჯეს უფალი იესო ქრისტე, ერთი მაინც შესანდობელი მიზეზი ჰქონდათ, ის, რომელ მათ დაჯერებით არ იცოდნენ, ვინ იყო იგი; ჩვენ კი ვიცით და გვრწამს იგი და გვიყვარს, მაშასადამე, ჩვენ არცა ერთი შესანდობელი მიზეზი არ გვექმნება და არა გვაქვს, როდესაც ვსტანჯავთ მას ჩვენისა სიცოდვითა და ურჩებითა.

მაცხოვარო ჩვენო, ჩვენთვის ჯვარცმულო! შენვე განაცოცხლე ჩვენ შორის გრძნობა დიდისა შენისა მსხვერპლისა, რომელი შესწირე ჩვენთვის; შენვე შეგვეწიე, რათა იგი არ დარჩეს ჩვენთვის უსარგებლოდ, არამედ იყოს ჩვენდა სახედ ყოველთვის და ყოველგან. ამინ.

2. ნაცვლად ქადაგებისა ლოცვა თქმული დიდ პარასკევს ჯვარცმის გარდამოხსნაზე*

ძმანო ქრისტიანენო!

დღეს წინაშე ქრისტეს საფლავისა, ნაცვლად ქადაგებისა, უმჯობესად შევრაცხე წავიკითხო თქვენ წინაშე ერთი ძველი და მშვენიერი ლოცვა, რომელი ვიდრე აქამომდე არ იყო გარდამოღებული ჩვენ ენაზე, და ახლა, შეწევნითა ღვთისათა, განგებ გარდამოვიღეთ ჩვენ ამ შემთხვევისათვის. ნაცვლად უძლურისა ჩვენისა სიტყვისა, ისმინეთ იგი გულსმოდგინედ. ამ ლოცვაში მშვენიერად და ვრცლად არის გამოყვანილი ყოველი, რაიცა მაცხოვარმან ჰქმნა ჩვენისა ცხოვრებისათვის დღეთა ამათ შინა. დიდი სასოება გაუჩნდება კაცს და დიდი სარგებლობა მიეცემა, ვინც გულს-მოდგინედ ისმენს ლოცვასა ამას. აღვამაღლოთ უკვე ყოველთა გული ღვთისადმი, შევიკრიბოთ გონება ჩვენი და ესრედ შემუსრვილითა სულითა ლოცვა შევსწიროთ მისდამი, რომელი დღეს ჩვენთვის ჯვარსა ზედა დამოკიდებულ იქმნა.

ლოცვა:

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისა ცხოველისაო, შემოქმედო ცისა და ქვეყანისა, მაცხოვარო სოფლისაო! აჰა ესერა, მე, უღირსი, ყოველთა კაცთა უცოდვილესი, სიმდაბლით მოვიდრეკ მუხლთა გულისა ჩემისათა წინაშე დიდებისა შენისა, უგალობ და ვადიდებ განუზომელსა ვნებასა შენსა და მადლობასა, შენ მეუფესა და ღმერთსა, შეგწირავ, რამეთუ კეთილ ინებე გარდამოსვლა ზეციერისა შენისა ტაძრისაგან, და ხორცისა შესხმა ყოვლად წმიდისა ქალწულისა მარიამისაგან; უხორცომან ხორციელი ბუნება ღვთაებასა შეაერთე; მდიდარი ნეფსით დაგლახაკდი, რათა კაცი სასუფეველსა შინა შენსა გაამდიდრო;

*იბეჭდება გამოცემიდან ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ.I, გვ.165-168.

შრომა და ყოველი კაცობრივი იწროება, ვითარცა კაცმან, თაეს იდევ, რათა ყოველთა კაცთა, მწუხარებათა და იწროებათა შინა მყოფთა, შეეწიო; ორმეოცი დღე იმარხე, რათა ყოველთა აჩვენო გზა მარხვისა; მრავალ გზის ბოროტთა მიერ გამოცდილ იქმენ, რათა გამოიყვანო ყოველნი განსაცდელთაგან ყოველთა. უწყი, ყოვლად ძლიერო მეუფეო, რამეთუ ესე ყოველი არა შენთვის იყო სახმარ, არამედ ყოველი მოითმინე კაცობრივისა ცხოვნებისათვის; ოცდა-ათ ვეცხლად იქმენ განსყიდულ, რათა კაცი გამოისყიდო მონებისაგან სასტიკისა მტერისა; უწყალოთა ურიათაგან, ვითარცა უმანკო კრავი, მიტაცებულ იქმენ, კაცთა ნათესავისა სულიერისა მგელისა შთანთქმისაგან აღმომყვანებელი; სამსჯავროსა წინაშე ანნა და კაიაფასა წარსდეგ სასჯელისაგან საუკუნოისა ცეცხლისა ყოველთა განმათავისუფლებელი; შეკრული, გინებული, განკიცხული, უმართლოთა მოწმებთაგან ცილის წამებული, შენ, რომელმან გამოიხსენ კაცი უბედურებისა, ტანჯვისა და საუკუნოისა სიკვდილისაგან; პილატესა მიგცეს, რომელსა არცა ერთი ცოდვა არა გიქმნია, იროდესთან გაგგზავნეს და კვალად გაგინეს შენ კაცთა ყოვლისა ბოროტისა გარემოებისა, და მტერთა გინებისაგან განმათავისუფლებელი. რა მოგაგო შენ, მეუფეო, კაცთმოყვარეო, ამათ ყოველთათვის, რომელიცა ჩემ ცოდვილისათვის მოითმინე, არა უწყი: სული და ხორცი და ყოველი კეთილი ჩემი შენგან არს, და ყოველი ჩემი და მეცა შენი ვარ; მხოლოდ აურაცხელსა შენსა მოწყალებასა, კეთილ ნაწლეო უფალო, მსასოებელი, ვუგალობ შენსა გამოუთქმელსა სულგრძელებასა, აღვამაღლებ აღუარებელსა მხედველობასა, ვადიდებ უზომოსა. წყალობასა, რომლითა ჩემთვის დასჯილისა თავი მოიდრიკე, რათა მე განვმართლდე, სვეტსა ზედა მიკრულო და უწყალოდ ცემულო, მოწყალეო მიხსენ, გევედრები, ცოდვათა ჩემთაგან: ეკლისა გვირგვინით მოსილო, ეკალი სულისა ჩემისა აღმოხოცე; ლერწმითა თავსა ზედა ცემულო, თავი გველისა შემუსრე, რომელი განგმირავს მე გესლითა ცოდვისათა: ძოწეულითა შემოსილო და მტანჯველთა მიცემულო, განმინათლე, მეუფეო წმიდაო, სულიერი სამოსელი, რათა შევიდე სასძლოსა ყოვლად მშვენიერსა; ავაზაკთა თანა შერაცხილო და ჯვარისა მხართა

ზედა აღმღებელო, ავაზაკი, მტერი, მეძიებელი სულისა ჩემისა მოკლვად ჯვარითა შენითა განაძე. გიცნობ შენ, სულგრძელო, იესო, სასტიკად წყლულსა: ყოვლად წმიდისა შენისა თავიდან, ვიდრე ფერხთადმდე არღა იყო შენზე ასო მთელი. რაიღა უნდა ვსთქვა გამოუთქმელსა შენსა კაცთმოყვარებასა ზედა, ქრისტე მაცხოვარო ჩემო! მხოლოდ შემუსვრილებასა შინა გულისა ჩემისასა, თაყვანისმცემელი შენთა ყოვლად წმიდათა ვნებათა, და მოწიწებით მათი ამბორის მყოფელი, ვღაღადებ: შემიწყალე მე, ცოდვილი! რომელმან ინებე ჯვარსა ზედა მიმსჭვალვა, — მიამსჭვალე მცნებათა შენთა გული ჩემი: მთასა ზედა გოლგოთასა ჯვარზე ამაღლებულო, აღამაღლე ზენა გონება ჩემი, რათა ზეციერსა განვიზრახვიდე; ნაღველისა ძმრისა თანა მიმღებელო, გამწარებულო ცოდვითა გული ჩემი დაატკბე სიყვარულითა შენითა და მწყურვალესა მასუ მდინარისაგან სიტკბოებისა შენისა; რომელმან ხელნი შენნი წმიდანი განიპყრენ მისაღებელად ყოველთა, მიმიღე მეცა ცოდვილი; რომელსა ფერხნი გქონდა მიმსჭვალული, მსურველსა მარადის ცოდვილთა თანა ყოფად, იყავნ ჩემ ცოდვილსა თანა, აღმკრძალველი ფერხთა ჩემთა სვლად ყოველსა მზაკვარსა გზასა ზედა; რომელსა გული გქონდა განხმული, გამომიჩინე მეცა ცოდვილსა მადლი ესე, რომელმან თავი ყოვლად წმიდა ჯვარსა ზედა მოიდრიკე, შეისმინე უღირსი ლოცვა ჩემი. ჰოი, ყოვლად საკვირველო, განუზომელო უფსკრულო მოწყალებისაო, ქრისტე ღმერთო, რომელმან ლოცვა შესწირე ღმერთსა მამასა, მტერთა ჯვარმცმელთა შენთათვის, მომეც მეცა ცოდვილსა მადლი ესე, რათა მიყვარდეს მტერნი ჩემნი და ვილოცო მათთვის; ავაზაკისა მონანულისა კართა სამოთხისა განმღებელო. მომხედე, ნათელო ჩემო, მეცა ცოდვილსა, მომეც სინანული და განმიღე კარი მოწყალებისა შენისა და მომიხსენე მე ულირსი, სასუფეველსა შენსა. უკანასკნელ სულისა შენისა წმიდისა ხელითა ღვთისა მამისა შემვედრებელო, მიიღე, შემოქმედო, სულიცა ჩემი ჟამსა აღსრულებისა ჩემისასა; ჯვარიდგან გარდამოხსნილო და საფლავსა შინა მკვდრად განსვენებულო, მაცხოვარო, მყოფო ნათელსა შინა მიუდგომელსა, აღიღე ჩემგანცა ტვირთი მძიმე ცოდვისა და ნუ მოიძაგებ განსვენებად

საფლავსა შინა ულირსისა გულისა ჩემისასა, მოსაკვდინებელად ხორციელთა ჩემთა ზრახვათა; რათა არღარა ჩემთვის, განხრწნადი ესე ქმნილება, არამედ შენ, უფლისა და ღვთისა ჩემისათვის, ვსცხოვრობდე და შენითა, ჰოი, ყოვლად მოწყალეო, კეთილ ნაწლეობითა ველირსო ხილვასა ჩემისა მაცხოვრისა და შემოქმედისა დიდებითა და პატივითა ჯვარცმის და სიკვდილის მიღებისათვის გვირგვინოსანისა, ნათელსა შინა შენისა შეუხებელისა დიდებისა, სადაცა სუფევ დაუსაბამოით შენით მამით და ყოვლად წმიდით სახიერით და ცხოველს მყოფელით და თანა არსით სულით პირველ საუკუნეთა, აწდა მარადის და უკუნისამდე. ამინ.

3. სიტყვა დიდ-პარასკევს ჯვარცმის გარდამოხსნასა ზედა*

ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!
რაისათვის დამიტევე მე?
(მათე 27, 46)

დღეს თვალნი ყოველთა ქრისტიანეთანი მიქცეულ არიან გოლგოთის მთისკენ და გულნი მორწმუნეთანი აღსავსე მით, რაიცა მოხდა მას ზედა. მივაქციოთ ჩვენცა, ძმანო ქრისტიანენო, თვალნი იმ მთისკენ, საიდამაც ისმის საშინელი ესე ხმა მწუხარებისა: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რაჲსათვის დამიტევებ მე?“ რას და ვის დავინახავთ ჩვენ აქა? დავინახავთ უფალსა იესო ქრისტესა:

უღრმესსა, საშინელსა დამდაბლებასა და შეურაცხყოფასა შინა. შეხედეთ: უფალი ჩვენი და მაცხოვარი ჩამოკიდებულია ჯვარზე. ვინ იყო უმახლობელესი მიზეზი ამისა? მისი საკუთარი მოწაფე. იუდამ გასცა იგი! მტერიც არ უნდა გამოიმეტოს კაცმა ამ სახით, და აქ საკუთარი მოწაფე და მოციქული, ახალ ნაზიარები ხელისაგან უფლისა ამბორის ყოფით გასცემს მას!

მაცხოვარი ჰკიდია ჯვარზე, დატოვებული, დაგდებული ყოველთა თვისთა უმახლობელესთა მოციქულთა და მოწაფეთაგან. რაც გინდა ღარიბი და საწყალი იყოს ქვეყანაზე კაცი, როდესაც ჩავარდება რაიმე უბედურებაში, იგი ყოველთვის მოიპოვებს ერთს, ან ორს მეგობარსა, ანუ მონათესავესა, რომელნი ნუგეშინის სცემენ მას, ეზიარებიან მისსა მწუხარებასა. თვით უკანასკნელი ბოროტის მომქმედი, კაცის მკვლელი, მიიღებს ზოგიერთთა მისთა მოყვარეთაგან ნუგეშინის ცემასა. აქ კი თვით უმახლობელესთა მეგობართა მიატოვეს იგი და გაიქცენ. ერთმა მათგანმა ფიცით აღუთქვა მას, რომ ვიდრე სიკვდილადმდე არ

*იბეჭდება გამოცემიდან ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ.II, გვ.120-123.

დაგტოვებო მარტო, გარნა ამასაც შეეშინა, გაიქცა და სამგზის უარჰყო. მართალია, იესო, ჩამოკიდებული ჯვარზე და მყოფი აღუწერელს ტანჯვაში, ხედვიდა დედასა თვისსა, რომელიც უყურებდა მას მწარითა თვალითა, გარნა ეს არა თუ ნუგეში იყო მისთვის, არამედ ერთი-ორად გარდააქცევდა მისსა ტანჯვასა. დედამან მისმან მრავალი მწუხარება გამოსცადა უწინაც მასზედ, და უკანასკნელად საყვარელსა თვისსა შვილსა ხედავს ჯვარზედ გატანჯულსა, გასისხლიანებულსა. აწ ასრულდა აქ მასზედ სამწუხარო წინასწარმეტყველება სვიმეონ მართლისა: მახვილმან განვლო გულსა მისსა; გარნა მაცხოვარიც უარესად იტანჯებოდა, მხედველი მისისა მწუხარებისა. მაცხოვარი ჯვარს აცვეს მტერთა მისთა; იგინი მოერიენ მას, სძლიეს; დიდი ხანია ეძიებდენ იგინი მისსა სიკვდილსა, მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ იგინი მოახერხებდენ ამას; მარტო ხალხი, რომელი ათასობით მისდევდა უფალსა ყოველდღე, ისმენდა მისსა სწავლასა, მიიღებდა ამისგან ურიცხვსა ქველის მოქმედებასა, თითქოს არ დაანებებდა მათ ამისთანა ბოროტებას. გარდა ამისა მთავრობაც იყო, რომელსაც ისინი თითქო არ უნდა მიეშვა ამისთანა უსამართლო საქმისადმი, გარნა ბოროტთა მტერთა მისთა ყოველივე მოახერხეს, ხალხს თვალი აუხვიეს თავიანთითა მზაკვარი ენითა, მთავრობა მოატყუეს და შეაშინეს; უსამართლება დღესასწაულობს, მტრობამ და მზაკვარებამ სძლია, მართალი და უბიწო კაცი ჩამოკიდებულია ჯვარზედ. რაბამ მწარეა და ძნელად მოსათმენელი ესრეთი დადაბლება და დასჯა კაცისა! იესო ქრისტეს, ჯვარზედ ჩამოკიდებულსა, წარმოუდგენელად ტანჯულსა, მაყურებელთა და მიმომსვლელთაგან ესმოდა განკიცხვა: სხვანი აცხოვნა, აცხოვნე თავი შენი, ჩამოვედ მაგიერ ჯვარიდგან, უკეთუ ძე ხარ ღვთისა; აცალეთ, ვიხილოთ, უკვე თუ მოვა ილია ცხოვნებად მასსა!

იესო ქრისტე, ლურსმნებით მიკრული ძელზედ, ჩამოკიდებული რკინებზედ, თავი, ეკლის გვირგვინით გასისხლიანებული, გვერდი, გაპობილი ისრითა... ვინ წარმოიდგენს მისსა ხორციელსა ტანჯვასა? გარნა სულიერი მისი მწუხარება იყო უმძიმესი და უსაშინლესი. მთელი ქვეყნის მწუხარება, ყოველი კაცის

ხედვა, თითოეული ადამიანის კვნესა, კაცთა ნათესაობის ცოდვა, გულში ჰქონდა მას გაწონილი. ბოლოს მისი ტანჯვა და მწუხარება ისე გადიოდა, რომ თითქოს ღმერთმან დასტოვა, მიაგდო იგი: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რაისათვის დამიტევებ მე?“ ხმობდა იგი მწარედ. ვიდრემდის კაცს გული აქვს დაიმედებული ღვთის შემწეობით, მას კიდევ არაფერი უშავს, კიდევ მოითმენს, გარნა თუ მან მწუხარებისაგან უნებლივად იფიქრა — ღმერთმაც დამიტევა მე და მიმაგდოვო, მაშინ სჩანს, რომ მისი ვნება და ტანჯვა ერთი რამე წარმოუდგენელი და აღუწერელია. ამისთანა მდგომარეობაში იყო მაცხოვარი, როდესაც იგი ხმობდა: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისათვის დამიტევებ მე!“

გარნა ამას ყოველის შორის გოლგოთას მთასა ზედა გამბრწყინდა დიდებაცა მისი.

მთასა ზედა გოლგოთასა ვხედავთ ჩვენ საშუალ დადაბლებისა იესო ქრისტესისა მისსა უმაღლესსა დიდებასა.

ყოველივე ზემოხსენებული ტანჯვა და მწუხარება მან მიიღო თვისი კეთილი ნებით, მიიღო ვნება და ტანჯვა ჩვენთვის, კაცთათვის, და არა თუ მეგობართა და კეთილთა კაცთათვის, არამედ მტერთაცა თვისთა. მას ადვილად შეეძლო მოშორება თავისა თვისისაგან ამ მწუხარებისა, მაგრამ არ ინება. მაშასადამე, იფიქრე, რაოდენი სიმაღლე სულისა გამოაჩინა მთასა ზედა გოლგოთასა ჯვარზედ ჩამოკიდებულმა!

ჯვარსა ზედა მყოფი აუარებელსა ტანჯვასა შინა იგი თავის თავს ივიწყებს და ზრუნავს თავის დედისათვის. არცა საშინელნი სატკივარნი, აღარცა ჰაზრი ქვეყნის გამოხსნისა არ დააბრკოლებს მას, მიაქციოს ყურადღება მშობელს დედას და ჩააბაროს იგი თავის მეგობარს სამზრუნველოდ. რაბამ გასაოცარი სიმდიდრე სულისა, რა გული, რა შვილებრივი სიყვარული უნდა ჰქონიყო მას, რომ ამისთანა მდგომარეობაში არ დაევიწყა მას დედაცა და მთელი ქვეყანაც!

იგი ჯვარზედ ჩამოკიდებული და სიკვდილზე მიახლოებული შეიწყნარებს ავაზაკსა, მასთანავე ჯვარცმულსა. ჩვენ, როდესაც რამეზე ვფიქრობთ და დიდს საქმეს ვაკეთებთ, მცირე-მცირე საქმეები სულ დავიწყებული გვაქვს, გარნა მაღალი და

ვრცელი სული მისი მცირე საქმეებსაც არ დასტოვებდა. სისხლისა თვისისა მთელი ქვეყნისათვის დამთხეველი, იგი კერძო პირსაც არ ივიწყებდა, არამედ ანუგეშებდა მას.

მაცხოვარმა, ჯვარზე მყოფმა, მიუტევა მტერთაცა თვისთა. რა გასაოცარი სიმაღლე და სიმდიდრე გულისა გამოჩნდენ ამ სიტყვებში: „მამაო, მიუტევე მათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმონან“.

ბოლოს მაცხოვარმა ჯვარზე ყოველივე აღასრულა: აასრულა ის საქმე, რომლისათვისაც მოვლინებული იყო ზეციდგან, მიაღწია იმ მიზანს, იმ ადგილს, რომლისკენ მიისწრაფებოდა თვისითა ვნებითა და მწუხარებითა; მან მოსპო, განაქარვა მწუხარება ყოველთა კაცთა, მისთვის რომ, ვისაც კი ახსოვს მისი საქმე, ვინც დადგება მისი ჯვარის ქვეშა, მიიღტვის მისკენ და ზეცისაკენ, მზგავსად მისსა. გზითა ვნებისა და შრომისათა, იგი თვითონაც საკუთარს თვისსა მწუხარებასა არრად შერაცხს. მან ჯვარითა თვისითა მოსპო ყოველი ცოდვა და ვნება. წინაშე ჯვარისა მისისა დაგუბდება ყოველი ვნება, შური, სიძულვილი, მტრობა, შურისძიება, სიხარბე. მან შეისყიდა სისხლითა თვისითა ყოველი ცოდვა და ბრალი კაცთა, შესწირა მსხვერპლი სწორი და უდიდესიცა ყოველთა ჩვენთა ცოდვათა. მან შეგვარიგა ზეციერ მამასთან; გოლგოთას მთაზედ დაარღვია ძალი ჯოჯოხეთისა, მოეფინა ნათელი სოფელსა, სცხონდა ყოველი მეძიებელი ცხონებისა. ამინ!

4. სიტყვა ჯვარცმის გარდამოხსნასა ზედა*

და მუნ ჯვარს აცვეს იგი
(ლუკა 23, 32)

ყოველნი წიგნნი საღმრთოისა წერილისანი რომ დაიკარგოსო, იტყვის დიდი წმინდა მამა ბასილი, მაშინ ერთი მხოლოდ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი ცხოვრება, ენება და სიკვდილი საკმაოდ გვასწავლის ჩვენ, რაი არს ქრისტიანობა. გოლგოთის ჯვარზედ აღწერილი არის ყოველი, რაიცა საჭირო არის ჩვენთვის ცნობად ღვთისა და ჩვენი თავისა. ჯვარი ქრისტესი არის თვით შუაგულ ადგილი, რომელსა ზედა შეიკრიბებიან და შეერთდებიან ყოველნი სწავლანი და ჭეშმარიტებანი ჩვენისა წმინდისა სარწმუნოებისანი. ჩვენი დაცემა და აღდგინება, ცოდვა და მადლი, მართლმსაჯულება და მოწყალება — ეს ყოველი წაიკითხება ჯვარსა ზედა. ჯვარი არის სასწავლებელი, უსიტყვოდ გვასწავლის ჩვენ ძელითგან, რომელსა ზედა დამოკიდებულია. გარნა ამასთანავე იგივე ჯვარი არის ჩვენი სამსჯავრო.

ჯვარი მაცხოვრისა არის ჩვენი სასწავლებელი. გოლგოთის ჯვარი, თუ ჯეროვნად ვუმზერთ მასზედა ჯვარცმულსა, გვასწავლის ჩვენ:

სრულსა მოთმინებასა. რა მოთმინებით მიიღო უფალმან თვით უსაშინელესი ტანჯვანი, ამას კაცის გონება ვერ წარმოიდგენს. იგინი იყვნენ არათუ მარტო ხორციელნი, არამედ ცალკე სულიც მისი იტანჯებოდა, სხეული მისი თავიდან ფეხამდი იყო გვემული, დახვრეტილი, გასისხლიანებული თავი ეკლის გვირგვინითა, გვერდი ლახვრითა, ხელნი და ფერხნი ლურსმნებითა, მთელი სხეული ჯოხის ცემითა. ყოველნი მისნი, თვით უმცირესნი ასონი, სახსარნი, ძარღვნი იყვნენ ანთებულნი, გაჭიმულნი. ჩვენ რომ ერთი რომელიმე ასო ფრიად აგვტკივდება, მთელი გვა-

*იბეჭდება გამოცემიდან ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ.II, გვ.124-127.

მი იტანჯება და გვტკივა. მაცხოვარს კი აღარც ერთი უმცირესი ასო დარჩენია მთელი, ყოველი ასო შიგნით და გარეთ სტკივოდა. ამისთანა მდგომარეობა კაცის სხეულისა, რასაკვირველია, მის სულსაც გასტანჯავს. გარნა სულსა მაცხოვრისასა სხვანი ჰქონდენ საკუთარნი წყარონი ტანჯვისა. გაიხსენეთ განკიცხვა, ნერწყვი, ყვრიმალს ცემა: გაიგონეთ სიტყვები: „გიხაროდენ, მეუფეო ურიათაო!“ ანუ: „აცადეთ, ვიხილოთ თუ მოვიდეს მასთან ილია“; ანუ კიდევ: „სხვანი აცხოვნა, აცხოვნე თავი შენი; აჰა, რომელი ტაძარსა დაარღვევს და მესამესა დღესა აღაშენებს“. ანუ წარმოიდგინეთ დანახვა წინაშე მისა მდგომარისა, მტირალისა დედისა მისისა და შეიტყვეთ, რომ არ იყო ქვეყანაზე ტანჯვა და ტკივილი, ვითარცა მისი. და ესრეთ თუ ვისმე თქვენგანსა ეწვიოს მწუხარება, სევდა, ტანჯვა, შეხედეთ ჯვარსა მისსა და ისწავლეთ მოთმინება.

ჯვარი ქრისტესი გვასწავლის სიყვარულსა. ჩვენ ვებრალებოდით მას, ჩვენმა სიყვარულმა აღიყვანა იგი ჯვარზე. თვით ჯვარზე ჩამოკიდებულმა, საშინელსა ტაჯვასა შინა მყოფმა, არ მოიკლო მან სიყვარული. გაიხსენეთ მისი სიტყვები: „მამაო, მიუტევე ამათ, არ იციან, რასა იქმან!“ ანუ გაიხსენეთ, რა უთხრა მასთან ჯვარცმულსა ავაზაკსა: „ამინ გეტყვი შენ, დღეს ჩემთან იყო სამოთხესა შინა“. ხოლო დედასა თვისსა ჩააბარებს საყვარელსა თვისსა მოწაფესა, მეტყველი: „აჰა ძე შენი!“ და იოანეს ეტყვის: „აჰა დედა შენი!“ რაც გინდა გაყინული ჰქონდეს კაცს გული, არ შეუძლია არ იგრძნოს ლმობიერება და სიყვარული შემხედველმა გოლგოთის ჯვარისა და გამგონემ ამათ სიტყვათა.

ჯვარი გვასწავლის კიდევ, რათა ჩვენცა ჯვარს ვაცვათ ხორცნი ჩვენნი ქრისტესთან. სხვა გზით, გარეშე ჯვარისა, არ შეეძლო ქრისტეს გამოხსნა და ცხონება ჩვენი. არც ჩვენ შეგვიძლია, ძმანო ჩემნო. ვეზიაროთ მისსა მაცხოვარებასა, თუ ჯვარს არ ვაცვამთ ხორცთა ჩვენთა. „ქრისტესთა მათ, იგი ვინც ქრისტეს ეკუთვნის, ხორცნი მათნი ჯვარს აცვინ ვნებითურთ და გულისთქმით“.

ვისწავლოთ აგრეთვე ჯვარისაგან შეურაცხყოფა სოფლისა და მისი დიდებისა. მაცხოვარი ეკიდა ჯვარზე, ვითარცა ერთი

უკანასკნელი და უღარიბესი კაცთაგანი. უწინ მას ერთი წყვილი ტანისამოსი მაინც ჰქონდა: ახლა ისიც გაძარცვეს, ტიტველია. ახლა მას ეკუთვნის მხოლოდ ერთი ფიცარი, რომელზედაც დამოკიდებულია და ხმამაღლად, თუმცა უსიტყვოდ, გვასწავლის: „ნუ დაემორჩილებით სოფლის დიდებასა!“

ვისწავლოთ სიმდაბლე: თუ ოდესმე, ძმაო, გულში გაგიჩნდეს მაღალი აზრი, თავხედობა, შეხედე ჯვარსა. რას დაინახავ? მას ზედ დამოკიდებულია დიდება ღვთისა! ჩვენ ისე ღრმად დავეცით, რომ ძე ღვთისა სისხლსა თვისსა ღვრის და კვდება ჩვენთვის.

ვისწავლოთ აგრეთვე შერიგება, მადლი, მშვიდობა. ჯვარსა ზედა ცხადად დაწერილ არს: „არა ნებავს ღმერთსა სიკვდილი ცოდვილისა, არამედ რათა მოიქცეს და სცხოვნდეს“. ხელით წერილი ცოდვათა ჩვენთა დაიხია! მაცხოვარს ხელები აქვს განპყრობილი, რათა მოეხვიოს ყოველთა ცოდვილთა, მონანულთა. დაუფასებელი სისხლი დაითხია ცოდვათა ჩვენთათვის, ავაზაკი ცხონდა. ხმამაღლა ქადაგებს ჯვარი: ყოველი კაცი მიიღებს ამიერ შენდობასა, მადლსა, მშვიდობასა, თუ მოიტანს სინანულსა.

გარნა, როგორც უწინ ვთქვით, ჯვარი არის ჩვენი სამსჯაროცა. ცოდვილი შემნანებელი ჯვარითგან მიიღებს უდიდესსა ნუგეშსა, ვინაითგან მაცხოვარმა ჭეშმარიტად ივნო და შეგვარიგა ზეციერს მამასთან; გარნა შეუნანებელი ცოდვილისათვის ჯვარი არის საშინელი სამსჯავრო და სასჯელი. რას ეტყვის მაცხოვარი, როდესაც წარმოუდგება მას განუღვიძებელი ცოდვილი?

მე თქვენ შეგიყვარეთ და თქვენ მომიძულეთ, მდევნიდით, მკიცხავდით, მგმობდით; თქვენ არ დააფასეთ ჩემი სიყვარული და მომაგეთ მე უმადურება; უმისოთაც ღირსი იყავით თქვენ სასჯელისა, ვითარცა ცოდვილნი, გარნა აწ ბრალი თქვენი უდიდესია, რადგანაც თქვენ შეურაცხჰყავთ ჩემი განუზომელი სიყვარული. ვისაც არ განაღვიძებს ამისთანა სიყვარული, იგი ჯოჯოხეთისა არის.

მე თქვენთვის ვივნე, მე უბრალო ვიყავი, გარნა მივიღე ჩემს თავზე ცოდვა ყოვლისა კაცისა და ვიტვირთე მათთვის ყოველი სასჯელი. არსად, არაოდეს არ გამოჩენილა ასე ფიცხლად მარ-

თლმსაჯულება ღვთისა, არცა სამოთხეში, არცა წარღვნაში, არცა სოდომსა და გომორზე. თქვენზე, შეუნანებელ ცოდვილთა ზედა, იქმნება მსგავსივე ფიცხელი სასჯელი.

მე შევწირე ჩემი თავი მსხვერპლად, ჩემი თავი მივეცი თქვენდა გამოსასყიდლად ცოდვისაგან, გარნა თქვენ მაინც შეიყვარეთ მონება ცოდვისა. თქვენ არაფერი შემომწირეთ მე, არცა გული, არცა ჰაზრი, არცა ერთი კეთილი საქმე. თქვენი კერპი, თქვენი ღმერთი იყო ვერცხლის სიყვარული, ანგაარება, ხორცის სიამოვნება; იმათ უკმევდით საკმეველსა, მათთვის იკლავდით თავსა; მათ შესწირავდით თქვენს თავს მსხვერპლად.

მე დავანთხიე სისხლი. ერთი წვეთი ჩემი სისხლისა საკმაო იყო განბანად მთელი თქვენის ცოდვისა. ადვილად შეგეძლოთ თქვენცა განთავისუფლება ცოდვათაგან, გარნა თქვენ არ უყურებდით ჩემსა ოფლსა, ჩემთა ცრემლთა, ჩემს სისხლსა, ახლა რომლისა სასჯელისა ღირსი არა ხართ თქვენ?!

მე მოვკვდი თქვენთვის, რათა თქვენც მოკვდეთ ცოდვისათვის, გარნა არა შემხედველი ამისა, თქვენ არ მოკვდით ცოდვისათვის; ცოდვა ყოველთვის ცოცხალი იყო თქვენს შორის, ამისთვის თქვენ მიეცემით საუკუნოსა სიკვდილსა.

მე ვიქმენ დაფლულ; თქვენ კი, ნაცვლად მისსა, რომ დაგეფლათ ცოდვანი თქვენნი, მე დამფალით, აწ ჯოჯოხეთი იქმნება თქვენი საუკუნო საფლავი.

დასასრულ, ძმანო ჩემნო, ვისთვისაც ჯვარი ქრისტესი არ არის სასწავლებელი, მისთვის იგი გარდაიქცევა სამსჯაროდ, დასასჯელად. მეორესა საშინელსა მოსვლასა ქრისტე გამოჩნდება ჯვარითა თვისითა. მონანულნი, ცხონებულნი გაიხარებენ; ცოდვილნი იქმნებიან ზარ-განხდილნი, მოწყლულნი. ამინ.

5. სიტყვა დიდ-პარასკევს ჯვარცმის გარდამოხსნასა ზედა*

ქრისტესთა მათ ხორცნი თვისნი ჯვარს
აცვნეს ვნებითურთ და გულისთქმით
(გალ. 5, 24)

ძმანო მართლმადიდებელნო ქრისტიანენო!

უკანასკნელთა ამათ დღეთა შინა არაერთგზის გაიგონეთ თქვენ ოთხთავე სახარებათაგან ვრცელი მოთხრობა უფლისა იესო ქრისტესი ვნებისა და ჯვარცმისა; დღესაც კიდევ ერთხელ წაკითხულ იქმნა ყოველი, რაიცა მას უყვეს და რომელიც მოითმინა მან ჩვენთვის, და აჰა ესერა, ხატიცა მისი, რომელიც ცხოვლად წარმოადგენს წინაშე თვალთა ჩვენთა, რა მდგომაროებაში იყო იგი, როდესაც ჯვარისაგან გარდამოხსნეს.

რას გრძნობდით დღეთა ამათ შინა, რა მოძრაობა იყო გულთა შინა თქვენთა, როდესაც გესმოდათ საშინელი მოთხრობა იესო ქრისტეს წვალებისა? თუ უქმად და გულგრილად ისმენდით მოთხრობათა აწინდელთა დღეთასა, ეს იქმნება ფრიად სამწუხარო მოვლენა; მაგრამ არა! თვით თქვენი სახე გამოაჩენდა უნებლიავად მწუხარებასა გულისასა; ზოგიერთს თქვენს შორის ცრემლიც მოსდიოდა. საკვირველიც არ არის! ვინც გულითად მოისმენს იესო ქრისტეს წვალებას, არ შეუძლია არ შეწუხდეს და ცრემლი არ მოუვიდეს. გარნა რისაგან უნდა იყოს მწუხარება ჩვენი, რას ანუ ვის უნდა ვსტიროდეთ! ჩვენ თავზედ უნდა ვსწუხდეთ და ჩვენი თავი უნდა ვიტიროთ, და არა იესო ქრისტე. „ასულნო იერუსალიმისანო, ნუ სტირით ჩემზედა, არამედ თავთა თქვენთა სტიროდეთ და შვილთა თქვენთა“ (ლუკა 23, 26). უთხრა მაცხოვარმან დედათა, რომელნი სტიროდენ და იტყოდენ, მხედველნი მისი წვალებისა. ჩვენთვის დაითმინა მან

*იბეჭდება გამოცემიდან ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ.II, გვ.128-130.

ყოველი, ჩვენთა ცოდვათა აღიყვანეს იგი ჯვარსა ზედა, ჩვენმა უგუნურებამ შეუთხზო მას ეს ეკლის გვირგვინი, ჩვენმა სიავემ და თავხედობამ განუხვრიტეს მას ფერხნი და ხელნი, ჩვენმა სასტიკობამ და სიბრმავემ განუპეს მას გვერდი ლახვრითა, „იგი უსჯულოებათა ჩვენთათვის იწვალა და ცოდვათა ჩვენთათვის გვემულ იქმნა; სასჯელი სოფლისა ჩვენისა მას ზედა“ (ეს. 53, 5).

რით უნდა გადავიხადოთ ჩვენ მის წინაშე ეგოდენი მისი ქველის მოქმედება! „რა მივაგო უფალსა ყოვლისათვის, რომელი მომაგო მე?“ (ფსალმ. 115). თუ ფიქრობ, ძმაო ჩემო, ვითომც საკმაო იყოს შენი მხრით ის, რომ ამ დღეთა შინა ცოტაოდენ გული შეიწუხე, რამდენიმე ცრემლი გადმოყარე, მის ხატს დაუჩოქე და ეამბორე, შემცდარი ხარ. გულის გრძნობა და ცრემლი ერთი წამის საქმეა, დაუდგრომელია; გახვალ აქეთგან და სხვანი ათასნი გულის გრძნობანი გაგიჩნდებიან და დაგავიწყებენ იმას. „მაშ, რა მივაგოთ მას ყოველისათვის, რომელი მოგვაგო ჩვენ?“ მივაგოთ შეძლებისაგვარად სწორი; მივაგოთ იგივე, რაიცა მან მოგვაგო. მან თვისი სიცოცხლე ჩვენ შემოგვწირა, ჩვენც ჩვენი თავი, ჩვენი სიცოცხლე მას უნდა შევსწიროთ; მისნი უნდა ვიყოთ, მას უნდა დავუსაკუთროთ ჩვენი თავი; ყოველი ნაბიჯი მისდა სადიდებლად უნდა იყოს, ვითარცა იტყვის მოციქული პავლე: „ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ ქრისტე არს ცხოველი ჩემ შორის“. მზგავსადვე, ჩვენცა არა ჩვენით ვცხოვრობდეთ, არამედ ქრისტე უნდა ცხოვრობდეს ჩვენს შორის, არა ჩვენის ჭკუით ვზრახვიდეთ, არამედ ქრისტეს მეცნიერებით, არა ჩვენი ნებით და გულისთქმით ვიქცეოდეთ, არამედ ქრისტეს ნებით და მისი მორჩილებით. ამავე აზრსა საღმრთო წერილი გამოთქვამს კიდევ უფიცხელესად და ძლიერად: ვინც ქრისტესი არისო, იგი ქრისტესთანა ჯვარს უნდა ეცვასო. სწორედ ქრისტესთან ჯვარს უნდა ვაცვათ ჩვენი თავი, თუ ქრისტე გვიყვარს და ქრისტესი ვართ, „ქრისტესთა მათ ხორცნი მათნი ჯვარს აცვნეს ვნებითურთ და გულის თქმით“. თუ შემთხვევამ მოითხოვა, სიცოცხლეც არ უნდა დავზოგოთ ქრისტეს სჯულის დაცვისათვის; მანამდისინ კი ქრისტესთან „ხორცნი ჩვენნი ჯვარს ვაცვათ ვნებითურთ და გუ-

ლის თქმით“. ჯვარს აცვი ქრისტესთან, ძმაო, ენა შენი ბოროტი, ამაოდ მეტყველი, მგმობელი, ცილისმწამებელი, ხშირად ცოდვის მოძღვარი და ცეცხლის აღმგზნებელი; ჯვარს აცვ თავხედობა, ამპარტავნება, უგნურება; ჯვარს აცვ შენი ბოროტის მზრახველი გული, მოშურნე, ანგაარი! ჯვარს აცვ ყოველნი შენნი ასონი, მალიად მსრბოლნი და მარჯვენი ცოდვისათვის, ხოლო მედგარნი და ყრუნი კეთილისათვის. გარნა უმეტესად ყოვლისა ჯვარს აცვი შენი ხორცი, ბუდე იგი ყოვლისა ცოდვისა და ვნებისა, ბოროტი იგი მონა, რომელი ყოველთივს ცდილობს დაიმორჩილოს უფალი თვისი, უკვდავი სული; არ გყავდეს იგი აშობილი, შეავიწროვე, დაუმორჩილე სულსა, ამუშავე, ზედ დადექი, ნუ გაანებიერებ, აწვალე. თუ ამას ყოველსა ცდილობ, შენ იქმნები ჭეშმარიტი მოზიარე ქრისტეს ვნებისა, და მერმე მისისა აღდგომისაცა, რომელიც მოგმადლა ქრისტემან. ამინ.

6. ლოცვა ნაცვლად ქადაგებისა, თქმული დიდ პარასკევს, წინაშე ჯვარცმის გარდამოხსნისა*

ძმანო მართლმადიდებელნო ქრისტიანენო!

ნაცვლად ქადაგებისა დღეს ჩვენ, წინაშე ქრისტეს საფლავისა მდგომარეთა, გვირჩევნია აღვიაროთ ცოდვანი ჩვენნი, წარმოვსთქვათ ლოცვა და ვეევედროთ ღმერთსა შენდობისა მიღებად. სადაცა თვით უფალი იესო ქრისტე ხმამაღლა გვიღაღადებს დღეს ჩვენ ჯვარისაგან, რა საჭირო არის ჩვენი უძლური სიტყვა. ახლა ჩვენ უნდა ვტიროდეთ და ვგოდებდეთ ჩვენთა ცოდვათათვის. აწ წარვსთქვათ ერთი ძველი ლოცვა, სიღრმითგან გულისა ჩვენისა.

ლოცვა

ვსცოდე, უსჯულო ვიქმენ და სიცრუე ვყავ შენს წინაშე, ყოვლად სახიერო მეუფეო! გარდავხედ მაცხოვარებითთა მცნებათა შენთა და საღმრთოთა აღთქმათა; რომელნი მოგეც შენ წინაშე წმიდისა შენისა საკურთხევლისა, წინაშე ანგელოზთა და კაცთა. გავამწარე პატიოსანი სისხლი აღთქმისა შენისა, რომლითა გავიწმინდე, მიმღებელი გამოხსნის ზიარებისა. მადლი სულისა შენისა უპატივოდ გამოვაჩინე, უდებ ვიქმენ საშინელისა და ზესთაბუნებისა შვილობისა შენისა. ყოველი წერილი, საღმრთო სჯული და ღვთიური სწავლა, ამაო ჰაერის ცემა და ცალიერი მხოლოდ ხმის ღაღადება გამოჩნდა ჩემს შორის, სახელით მხოლოდ და სიტყვით ვიმარხავ პატიოსანსა სახარებასა ჭეშმარიტისა ქრისტიანობისასა. ხელნი მქონან დაუზარებლად განმზადებულნი მტაცებლობისა და ანგარებისათვის, ფერხნი მალიად და კადნიერად ყოვლისა უსამართლებისადმი ბოროტად მსრ-

*იბეჭდება გამოცემიდან ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ.II, გვ.130-133.

ბოლნი, მომზადებულნი ძმის ნაწილისა მიტაცებად და დათრგუნვად, გლახაკთა შესაჭმელად. ბაგენი, საღმრთოისა ლოცვისა და სიტყვისა ორღანო, ყოვლისა უწმინდურებისა, ამაოებისა, ფიცის გატეხისა, ეშმაკთა ორღანოდ გარდავაქციე; თვალნი და ყოველნი ჩემნი საგრძნობელნი აღვსებულ არიან სიმრავლითა მრუშებისა და ყოვლისა ბილწებისათა: ჩემს შორის მფლობელისა გონებისა, საღმრთოისა თესლისა დამთრგუნველმან, ასონი შენნი, ქრისტე, მეძავთა ასოდ გარდავაქციე და ნაცვლად ღვთის ტაძრისა, ხრწნილებისა და ყოვლისა უწმინდურებისა სავანედ გამოვაჩინე. ვინაიცა, ყოვლად სახიერო მეუფეო, მრავალი შენი კაცთმოყვარება განსაკიცხავად ჩემდა უბადრუკისა გამოჩნდენ და მრავალი შენი კეთილი ნიჭი სასჯელად ჩემდა შევქმენ, რომლისათვისაც მე, უბადრუკი, არცა ჩემს შორის დაარსებულთა კეთილთა, არცა მოყვასთა ჩემთა სასჯელისაგან სწავლული, სიმართლით ჩემზედა მოვაწევნინე სასჯელისა შენისა წყლულებანი. არამედ ნუ გულის წყრომითა შენითა მამხილებ მე, ნუცა რისხვითა შენითა მსწავლი მე, უფალო! შენ მხოლოსა შეგცოდე, გარნა შენ მხოლოსავე თაყვანსა გცემ და შემუსრვილითა გულითა, ვითარცა მსხვერპლსა, წმინდასა ამას აღსარებასა მოგართმევ: მილხინე, კაცთმოყვარეო მეუფეო, დააყენე სამართლად მოწევნული ჩემზედა წყლულება; სძლოს სიმრავლემან მოწყალებათა შენთამან ცოდვათა ჩემთა მზაკვარს კრებასა, და შენმან სახიერებისა აღურაცხელმან უფსკრულმან დაჰფაროს მწარე ცრემლთა ჩემთა ზღვა. მჭონან ხელთა ჩემთა შინა ხატი და დიდებულობა შენისა კაცთმოყვარებისა: ავაზაკი, მეზვერე, უძღები შვილი, რომელნი უფროს ჩემსა მონანებასა შინა გამოცდილნი სასუფეველსა შინა შევიდნენ. მათ თანა მეცა აღმსაარებელი და მივრდომილი მიმიღე, მეუფეო! და თუმცა ყოვლითურთ მათსა მოქცევასა და მონანებასა ვშორავ, დაკლებული ჩემი აღავსოს განუზომელმან სახიერებამან შენმან; არამედ ყოველივე ჩემი აღავსოს, ვინაცა ყოვლისაგან ჭეშმარიტად განშორებულ ვარ. მოგართმევ შენ გონებასა გლახაკთასა, სხმასა ჩჩვილთასა, მდაბალსა და უმანკოსა ყოვლისა ასაკისა მლოცველთა ნაწილსა, შენისა მოწყალებისა და შეწყალებისადმი მიმდრეკელი, ჯვარი

და ნებსით სიკვდილი, რომელი ჩემთვის უმადურისა მოითმინე, ღვაწლი მოციქულთა, მართალთა და მმარხველთა, სისხლი მოწამეთა; ხოლო ყოველთა ზედა საზოგადო, ყოველთა სასოება და ცხონება ზესთასიტყვისა მშობელი შენი, რომელთა ვედრების კაცთმოყვარებით მიმღებელმან შეისმინე, იესო ტკბილო, ჩემისა ლოცვისა არათუ მხოლოდ ჩემზედ, არამედ მათზედა, რომელთათვის თანამდებ ვარ ლოცვად. შემწე ეყავ უკეთილმსახურესსა ხელმწიფესა და ყოველსა სახლეულობასა მისსა. აცხოვნე და შეიწყალე უწმინდესი სინოდი და ყოველნი მწყემსთმთავარნი და ყოველი განწმენდილი კრება ეკლესიისა, მიანიჭე მათ სიმრთელით, მშვიდობით, სარწმუნოდ, სიმართლით, ვითარცა დაწესებულ და გარდამოცემულ არს სულისა წმინდისაგან, წმიდათა მოციქულთა და მამათა მიერ მართვად სიტყვისა შენისა ჭეშმარიტებისა. შეცდომილთა მართლმადიდებელის სარწმუნოებისაგან მწვალებელთა და განდგომილთა ცნობად ჭეშმარიტებისა მოუწოდე, ურწმუნონი განანათლე, რათა გიცნან შენ; ცოდვილნი მოიყვანე სინანულად, ქალწულთა მიეც სიწმინდისა დამარხვა, ქორწინებულთა — პატიოსნებისა; ქვრივთა და ობოლთა — საზრდო, გლახაკთა — მფარველობა, მოგზაურთა — შემწეობა, მენავეთა — ნავთსადგური; მომნანებელთა მოტევება მიანიჭე, მტირალთა — ნუგეში, კეთილთა — კეთილად მყოფობა, საშუალთა — უმჯობესობა, შემცოდებელთა — აღდგინება და გამართვა. ჰოი, იესო, გლოცავ, მომეც ცოდვათა შენდობა, გონებისა კეთილად დგომა, ხორცისა სიმრთელე, სიცოცხლისათვის ყოველი სახმარი, მშვიდობა დღეთა ჩემთა, ჰაერის კეთილ შეზავება, მიწისა კეთილ ნაყოფიერება, მართლმადიდებლობის აღორძინება, წმინდათა ეკლესიათა შენთა ერთობა, მწვალებელთა დამხობა, უკეთურთა რჩევათა დარღვევა, ცეცხლი სიყვარულისა და ყოვლისა ღვთის მსახურებისა, ლოცვასა შინა გულისა სიწმინდე, განსაცდელსა შინა მოთმინება და სულგრძელება, სასოებისა სიხარული, და ყოველი სულიერისა და ხორციელისა სიმრთელისათვის სასარგებლო, უმეტესად უდიდებულესობისა შენისა დიდებისა სათანადო თხოვნა მომანიჭე და აღასრულე განუზომელთა მოწყალებათა შენთა, გამომხსნელმან ყოვლისაგან

სამართლად მოწევნულისა სასჯელისა, სრვისა, ძვრისა, რღვნისა, ცეცხლისა, მახვილისა და ყოველისაგან სიკვდილ შემოსილისა წყლულებისა, და არა მსურველმან ცოდვილთა სიკვდილისა, მომეც მე ჟამი მონანებისა, რათა აწმყოთაცა ბოროტთა და მომავალთაცა საუკუნოთა ტანჯვათაგან თავისუფალ ვიქმნე მადლითა და კაცთმოყვარებითა დაუსაბამოისა შენისა მამისა, რომლისათანა კურთხეულ ხარ თანა ყოვლად წმინდით, სახიერით და ცხოველმყოფელით სულით შენითურთ აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

7. სიტყვა იდ-ს სექტემბერს, ჯვარის ამაღლებასა ზედა*

სიტყვა იგი ჯვარისა წარწყმედულთა
ამათთვის სიცოფე არს, ხოლო ჩვენ
ცხოვნებულთა ამათთვის ძალაი
ღვთისა არს (1 კორინთ. 1, 18).

თუმცა ჩვენ, მართლმადიდებელნი ქრისტიანენი, ყოველთვის პატივსა და თაყვანისვცემთ ჯვარსა ქრისტესსა, ყოველთვის და ყოველს დღეს ჯვარითა ქრისტესითა ვაკურთხევთ ყოველსა ჩვენსა საქმესა და დაწყებასა. ჯვარსა ქრისტესსა გამოვსახავთ ყოველს წამს გულსა ზედა ჩვენსა, ჯვარითა შევამკობთ სახლსა, კარსა და ყოველსა ადგილსა, ესრეთ, რომელ ჯვარი ყოველთვის არის წინაშე თვალთა ჩვენთა, გარნა დღეს განსაკუთრებით თაყვანსვსცემთ მას და მისთვის ვდღესასწაულობთ.

შემთხვევა, რომელსაც ჩვენ ვახსენებთ და ვდღესასწაულობთ დღეს, იყო ესრეთი: ძელი იგი ცხოველსმყოფელი, რომელსა ზედა დამოკიდებულ-იქმნა მაცხოვარი ჩვენი მთასა გოლგოთასა, დიდხანს იყო დაფარულ მიწასა შინა. გარნა ოდეს სჯული ქრისტესი განვრცელდა და განმტკიცდა, ოდეს ჯვარმან ქრისტესმან სძლია კერპთმსახურნი ესოდენ, რომელ თვით რომის მეფემან, დიდმან კონსტანტინემ და დედამან მისმან ელენემ, მეოთხესა საუკუნესა შინა, აღიარეს ქრისტე; მაშინ წმიდამან, ღვთისმოყვარემან და მოციქულთა სწორმან ელენემ დიდითა წადილითა ისურვა ნახვა და თაყვანისცემა ცხოველსმყოფელისა ძელისა, რომელსა ზედა ჯვარს ეცვა ქრისტე ღმერთი. მრავლითა მეცადინეობითა, ძიებითა და გამოკვლევითა შეიტყო ადგილი, სადაც მიწაში დამალულ იყო ჯვარი, აღმოჰთხარეს მიწა და იპოვეს სამნი ჯვარნი, თანასწორნი და მგზავსნი; გარნა, რომელი ამ

*იბეჭდება გამოცემიდან ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ.I , გვ.281-285.

სამთაგანი იყო ჯვარი ქრისტესი, ეს გამოაჩინა თვით ჯვარმან, ვინაითგან განჰკურნა სნეული და აღადგინა მკვდარი ერთითა მხოლოდ შეხებითა; მაშინ ხმა ამისი განეფინა ყოველსა ქვეყანასა ზედა; შეიკრიბა ურიცხვი ერი ყოველთა ადგილთაგან. მაშინ-დელმა პატრიარხმან იერუსალიმისამან აღიღო ჯვარი მხარსა ზედა თვისსა; მას წინაუძღოდენ დიდი კოსნატნტინე და ელენე, და აურაცხელი სიმრავლე ერისა; აღვიდა რა მაღალსა ადგილსა ზედა, პატრიარხმან აღამაღლა ძელი იგი, ხოლო ყოველნი ერნი, მუნ მყოფნი, დაეცნენ მუხლთა ზედა თვისთა და თაყვანი ჰცეს მას შიშითა და სიხარულითა. აჰა შემთხვევა, რომელსა ვდღესასწაულობთ ჩვენ; ხოლო რა ფასი და რა მნიშვნელობა აქვს ჯვარსა ქრისტესსა, ეს გვითხრა თვით წმიდამან პავლე მოციქულმან: „სიტყვა იგი ჯვარისა წარწყმედულთა მათთვის სიცოფე არს“...

ძველ დროებაში, ვიდრე ქრისტეს სოფლად მოსვლამდე ჯვარსა ხმარობდენ დასასჯელათ უკანასკნელთა ავაზაკთა და სჯულის დამარღვეველთა მონათა. მაშინ ჯვარზედ უსაშინლესი სასჯელი არ იყო ქვეყანასა ზედა. ერთი მხოლოდ შეხედვა ჯვარისა იყო საშინელ და საზარელ კაცისათვის; ერთი სიტყვით, ჯვარი იმ დროს მიაჩნდათ, ვითარცა ერთი საზარელი, შემაგინებელი და მოძულებული ნივთი. აჰა, რისთვის იტყვის მოციქული: „სიტყვა იგი ჯვარისა წარწყმედულთა მათთვის სიცოფე არს“...

წარმოიდგინე, რას იფიქრებდენ წარმართნი და ურიანი, რომელთა ერთი მხოლოთ შეხედვა ჯვარისა მიაჩნდათ უბედურებად, ხოლო ჯვარსა ზედა დამოკიდებული კაცი კაცადაც არ მიაჩნდათ. რას იფიქრებდენ იგინი და რას იტყოდენ, როდესაც მოციქულნი უქადაგებდენ მათ, რომელ ჯვარზედ დამოკიდებული იესო ღმერთად უნდა აღიარონ, ხოლო ჯვარსა თაყვანისცენ, ვითარცა საღმრთოსა მახვილსა ჩვენისა ცხოვრებისასა? არ გამოჰჩნდებოდენ მათ წინაშე მოციქულნი, ვითარცა ცოფნი და სიტყვა მათი ვითარცა სისულელე? ახლა წარმოიდგინე, თუ შეგიძლიან სიბრძნე, ძალი და მადლი ღვთისა: ეს სიცოფე, ეს სისულელე, ეს საზარელი და შემაგინებელი თვალთა წინაშე კაცთასა საგანი გარდააქცია ღმერთმან მახვილად ჩვენისა ცხოვნებისა; ვინც ამ ჯვარის მაგინებელთაგანი მიიღებდა ქრისტიანობასა, მაშინვე,

ნაცვლად სიძულვილისა და შიშისა, იგრძნობდა გამოუთქმელსა სიყვარულსა და ნუგეშსა, მხედველი ჯვარისა ქრისტესისა. ესრეთ აღსრულდა სიტყვა იგი: წარვსწყმიდო სიბრძნე იგი ბრძენთა და მეცნიერება იგი მეცნიერთა შეურაცხ ვჰყო. სადა არს ბრძენი, სადა არს მეცნიერი, ანუ არა განაცოფა ღმერთმან სიბრძნე იგი ამის სოფლისა?

ვიდრე ქრისტეს მოსვლადმდე, ვითარცა ურიანი, ეგრეთვე წარმართნი ჰხედვიდენ და ჰგრძნობდენ. თუ ვითარ განხრწნილ და დავარდნილ არს ბუნება კაცისა: ურიანიცა და წარმართნიცა ჰფიქრობდენ, რომელ ღმერთმან საკუთარითა რომლითამე საშუალობითა უნდა აღადგინოს კაცობრივი დავარდნილი ბუნება; გარნა რას მოელოდენ იგინი და როგორ განიჰზრახვიდენ? ურიანი ჰფიქრობდენ, რომელ ღმერთი მხოლოდ მათითა საშვალობითა განაახლებს ქვეყანასა; იგინი მოელოდენ, რომელ ღმერთი მრავლითა მაგალითითა და სასწაულებითა დაუმორჩილებს მათ ყოველსა თესლსა განავრცელებს მათსა სჯულსა და მით განანათლებს ქვეყანასა: ხოლო წარმართნი სხვაფრივ ჰფიქრობდენ: მათ შორის იყვნენ მრავალნი მეცნიერნი ჭეშმარიტების მეძიებელნი, ფილოსოფოსნი, ბრძენნი: იგინი ჰფიქრობდენ, რომელ მხოლოდ მათითა ფილოსოფოსობითა და სიბრძნითა განათლდება და განახლდება კაცობრივი ნათესავი. ახლა წარმოიდგინე კიდევ მათი და ურიათა განცვიფრება, როდესაც მათ ესმოდათ, რომელ ერთი მხოლოდ ჯვარი და მასზედა დამოკიდებული არსება არის კაცის განმაახლებელი და განმანათლებელი, — ის ჯვარი, რომელი იყო უწინ შემაგინელ და წარმაწყმედელ კაცისა. აჰა, ვითარ განაცოფა ღმერთმან სიბრძნე კაცისა! კაცმან სიბრძნითა თვისითა ვერ იცნა ღმერთი და ძალი მისი, ამისათვის ჯერიჩინა ღმერთმან ქადაგებითა სისულელისათა ცხოვრება მორწმუნეთა. საგანი იგი, რომელი საშინელად და საზარელად მიაჩნდა მათ, შეიქმნა ნუგეშად და სიქადულად კაცთა. საგანი იგი, რომელსა შიშისაგან ვერც შეჰხედვიდენ, გარდაიქცა აწ სამკულად და დიდებად ყოვლისა სოფლისა; რომელი იგი მოკვლიდა და წარწყმედდა ცოდვილთა, აწ განსწმედს და აცხოვნებს ცოდვილთა. „ურიანი სასწაულსა ითხოვენ, წარმართნი სიბრძნესა ეძიებენ, ხოლო

მოციქულნი უქადაგებენ მათ ქრისტესა ჯვარცმულსა, ურიათა სამე საცთურ და წარმართთა სისულელე". გარნა იხილე ძალი და სიბრძნე ღვთისა: ურიანი მოიქცნენ, წარმართთა აღიარეს; ორნივე დაემორჩილნეს ქადაგებას; ორთავე უარ-ჰყვეს, – პირველთა თვისნი სასწაულნი, მეორეთა თვისი მეცნიერება; ქრისტე ჯვარცმული შეიქმნა მათთვის სასწაულიცა და სიბრძნეცა. იხილე, თუ ვითარ სულელი იგი ღვთისა უბრძნეს კაცთა არს და უძლური იგი ღვთისა უძლიერეს კაცთა არს. დაუმატე ამას კიდევ, რომელ მაჰმადიანი ცეცხლითა და მახვილითა ავრცელებდენ თვისსა სჯულსა; მათ მოსწყვიდნეს ურიცხვი ერი, გარნა რაც ვერ ჰქმნეს ურიცხვთა ლაშქართა მათთა, იგი ადვილად აღასრულეს თორმეტთა სუსტთა და მდაბალთა მოციქულთა ქრისტესთა, აღჭურვილთა ჯვარითა უფლისათა; ამათ დაიპყრეს სიტყვითა და ქადაგებითა თვისითა მრთელი ქვეყანა; ხოლო სჯული მაჰმადიანთა დასუსტდა და დავარდა. აჰა, ვითარ უძლური იგი ღვთისა უძლიერეს კაცთა არს! აჰა, რა ძალი და მნიშვნელობა აქვს ჯვარსა ქრისტესსა ჩვენ, ქრისტიანეთათვის!

გარნა, ძმაო ჩემო, ოდეს შეხედავ სახესა ჯვარისასა, ოდეს თაყვანს სცემ და ემთხვევი ჯვარსა ხისასა, ანუ ვერცხლისასა და ოქროისასა, იცოდე, რომ ის მხოლოდ სახე და ნიშანი არის: ნუ გააჩერებ დიდხანს გონებასა შენსა სახესა ზედა და ნიშანსა ჯვარისასა, არამედ ეცადე და წარმოიდგინე, რასაც იგი ჰნიშნავს. ჯვარის სახემ მოგაგონოს და წარმოგიდგინოს შენ იგი, რომელი იყო დამოკიდებული თვით ჯვარზედ მთასა ზედა გოლგოთასა. თვით პავლე მოციქული, ოდეს აღწერს ესოდენსა ძალასა და ჯვარის მადლსა, იტყვის: არა ჯვარის სახისათვის, არამედ ჯვარცმისათვის. შენცა, როდეს ემთხვევი ჯვარსა ანუ გამოიხატავ პირსა ზედა შენსა სახესა ჯვარისასა, ანუ ხედავ ჯვარსა, მაშინვე წარმოიდგინე გოლგოთას მთა და მას ზედა აღმართული მაღალი იგი ჯვარი და ჯვარსა ზედა დამოკიდებული იესო მაცხოვარი. მაშინვე განიზრახე, რომ ეს იქმნა შენთვის, შენის განათლებისა, გამოხსნისა და ცხოვრებისათვის; მაშასადამე, ეცადე, რომ შენც გერგოს ეს მადლი; გეშინოდეს, რომელ ცუდითა შენითა ცხოვრებითა არა გააუქმო ჯვარცმა ქრისტესი. უკეთუ არ

მოინანებ ცოდვათა შენთა, არ ეცდები, რომ სიწმიდით იცხოვრო, მაშასადამე, გაუქმდება შენთვის ესოდენი მადლი. ძალად ღმერთი არავის არ აცხოვნებს, არამედ თვითონ კაცმა უნდა იწყოს ძიება ცხოვნებისა და სიწმიდისა და მაშინ ღმერთიც მისცემს მას შემწეობასა ჯვარითა თვისითა. ამინ.

წმინდა იოანე ოქროპირი
გამოჩინება ჯვრისა, რომელიც მდინარე დანუბზე განეცხადა კონსტანტინე მეფეს, რომელმაც პატიოსანი ძელი წმინდა ქალაქ იერუსალიმში მოიძია*

დიდი კონსტანტინე მეფის მეფობის მეშვიდე წელს, იანვრის თვეში, უამრავი წარმართი შეიკრიბა მდინარესთან, რომელსაც დანუბი ჰქვია, რათა დაემარცხებინათ მეფე კონსტანტინე და მთელი ქვეყანა აღმოსავლეთამდე დაეპყროთ. მეფე კონსტანტინემაც შეკრიბა თავისი ხალხი, მდინარის მეორე ნაპირს მიადგა და დაბანაკდა.

ბრძოლის დაწყების წინა ღამეს კონსტანტინე მეფემ იხილა ჯვარი, რომელიც მშვენიერ საყდრებს შორის ბრწყინავდა და ცხადად წაიკითხა: „ამით სძლიე“, კონსტანტინე გულმოდგინედ გამოიძიებდა, რომელი ღმერთის იყო ეს ნიში.

შეძრწუნებულმა მეფემ ტაძრის მთავრებს მოუწოდა და შექმნა ხატი, ნიში იმ ჯვრისა, რომელიც იხილა და ბრძოლის დროს მისი წინ წამძღვარება ბრძანა. კონსტანტინემ დიდი გამარჯვება მოიპოვა, წარმართები დაიმორჩილა და თავის სამეფოში ძლევამოსილი დაბრუნდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მან კერპების ქურუმებს მოუხმო, აჩვენა ნიში და იკითხა, თუ რომელი ღმერთის იყო იგი. მათ უპასუხეს: „ეს არ არის ქვეყნის ღმერთისა, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით, ესაა ზეციური ღმერთის ძალი. თუკი ამ ნიშს ჩვენს სალოცავებთან მივიტანთ, ყოველი კერპი დაეცემა, შეიმუსრება და ტაძრები დაემხობა“.

ხოლო ქრისტიანები, რომლებიც იმ დღეს იქ იყვნენ და ნაზარევლები ეწოდებოდათ, მეფესთან მივიდნენ და უთხრეს: „ეს ნიში, რომელიც იხილე, ზეცისაა, ღვთის ძის, იესო ქრისტესი, რომელმაც კაცთა მოდგმა წარწყმედილი იხილა და არ მიატოვა, თავისი სახიერებით ზეციდან გარდამოვიდა, რათა ვეცხონებინეთ და თავისი ჯვარზე ვნებით ღმერთთან მივეყვანეთ“.

* ტექსტი ძველქართულად იხ. გვ. 562.

როდესაც კონსტანტინე მეფემ ეს გაიგო, რომის ეპისკოპოს ევსების მოუწოდა, მისგან განისწავლა და ჭეშმარიტი ღმერთი ირწმუნა დედამისთან ერთად. მაშინ დიდი სიხარულითა და წადიერებით გაგზავნა თავისი დედა — დედოფალი ელენე აღმოსავლეთით, რათა ქრისტეს ჯვრის ადგილი მოეძებნა და შეემკო იგი.

ღვთისმოყვარე ელენემ, კონსტანტინეს დედამ გამოწვლილვით შეისწავლა, თუ როგორ ეცვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე ჯვარს, როგორ ამაღლდა მასზე და მკვდრეთით აღდგა. განმტკიცდა ღვთისმოყვარე დედოფალი რწმენაში, გონებით განისწავლა და ისწრაფა, ჯვრის უხწნელი მადლი გამოეჩინა.

ჯვარი კი ამგვარად იპოვა: ელენე დედოფალი, დიდძალი ხალხით, იერუსალიმში მეორე თვის ოცდარვა რიცხვში შევიდა და ბრძანა, შეეკრიბათ ყოველი ებრაელი ქალაქებსა და სოფლებში და მასთან მიეყვანათ. რადგან იერუსალიმი მოოხრებული იყო, მხოლოდ სამი ათასამდე ებრაელი იპოვეს, რომელთაც ელენე დედოფალმა ასე მიმართა: „საღვთო წიგნებიდან ვიცი, რომ მართალნი იყავით და ღმერთს უყვარდით, მაგრამ თქვენ ვერ გულისხმაყავით და ნათელი ბნელისმყოფელად მიიღეთ, ჭეშმარიტება — ტყუილად და იმ ღმერთს, რომელსაც ჩვენი ხსნა უნდა წყევლისგან, მას წყევლით; ნერწყვისაგან თქვენს გამათავისუფლებელს ბილწების ნერწყვით ნერწყვავთ; ის, ვინც მკვდარნი აღადგინა, გსურთ მკვდრად შერაცხოთ და ვინც მკვდარნი აღადგინა, მისი მკვდრად ჩათვლა გინდათ. ახლა გეუბნებით: გამოარჩიეთ თქვენგან ისინი, ვინც რჯული კარგად იცის“.

ებრაელები დედოფლისაგან ძალიან შეშინებულები გამოვიდნენ. მოიძიეს და იპოვეს ათასი კაცი, რომლებსაც თავი რჯულის მცოდნედ მიაჩნდათ. ისინი ერთად მივიდნენ დედოფალთან და ირწმუნებოდნენ, რომ რჯულში განსწავლული იყვნენ. დედოფალმა გამოჰკითხა მათ ღვთის სიტყვა და ბრძანა: „ისმინეთ ჩემი სიტყვა და გულისხმაყავით ჩემი თქმული. ნუთუ არ გსმენიათ წმინდა წინასწარმეტყველებისგან, რას გვამცნობდნენ მაცხოვრისათვის, რომლის შესახებაც მინდა გკითხოთ? ესაიამ ხომ თქვა: „თავად

მოგცემს მეუფე ნიშანს: აჰა, მუცლადიღებს ქალწული და შობს ძეს, და უწოდებს სახელად ემანუელ“ (ეს. 7, 14). შემდეგ დავით მეფსალმუნემ ბრძანა: „წარმოვიდგენ უფალს ჩემს პირდაპირ მუდამ, რადგან ჩემს მარჯვნივ არის, არ დავეცემი“ (ფსალმ. 15, 8). და ისევ, ესაია ღაღადებს: „ისმინე, ცაო, ყური მიგდე, მიწავ! რადგან უფალი ლაპარაკობს. შვილები აღვზარდე და აღვაზევე, ისინი კი განმიდგნენ“(ეს. 1, 2) და კვლავ იტყვის: „ხარმა იცის თავისი მფლობელი და ვირმა თავისი პატრონის ბაგა, ისრაელმა კი არ იცის; ჩემს ერს არაფრის გაგება არა აქვს“ (ეს. 1, 3). თუ კითხულობთ რჯულს და ეს არ გულისხმაგიყვიათ, მაშინ ვბრძანებ თქვენს შეპყრობას ჯარისკაცებისგან. ახლა ორ დღეს მოგცემთ, რათა თქვენს შორის რჯულის მეცნიერები გამოარჩიოთ“.

კიდევ უფრო მეტად შეშინდნენ ებრაელები, დაიწყეს გამოძიება და იპოვეს ორასი კაცი, რომლებზეც შეიძლებოდა თქმულიყო, რომ რჯული იცოდნენ და დედოფალთან მიიყვანეს, როგორც რჯულის კარგი მცოდნეები.

დედოფალმა ელენემ წარმოსთქვა ჭეშმარიტი სიტყვა და განსწავლა ისინი: „თქვენ, ცოფნო, არ კმარა სიბრმავე თქვენი მამებისა, რომლებსაც წინასწარმეტყველთა წიგნები ჰქონდათ, მას კითხულობდნენ და მაინც ეუბნებოდნენ მაცხოვარს, რომ ის არ იყო ძე ღვთისა?“

მათ მიუგეს: „გვითხარი, რომ გულისხმავყოთ, რისთვის გვეუბნებით ამ სიტყვებს“.

მაგრამ ელენე დედოფალმა კვლავ უკან გააბრუნა ისინი, რათა ისევ მოეძებნათ თავიანთ ხალხში რჯულის მეცნიერნი.

გამოვიდნენ მისგან და თქვეს: „რის გამო გვაშრომებს დედოფალი?“ ერთმა მათგანმა, რომელსაც იუდა ერქვა, განაცხადა: „ვიცი, რომ ძელის მოძიება სურს, რომელზეც იესო აცვეს ჯვარს ჩვენმა მამებმა. მოერიდეთ, რომ არავინ არაფერი თქვას ამის შესახებ, თორემ ნამდვილად დაიხსნება ჩვენი მამების მოცემული რჯული; რადგან ზაქეოსმა, მამის მამამ ჩემმა, ამცნო მამაჩემ სიმონს, ხოლო მამამ მე მითხრა: „გაფრთხილდი, შვილო ჩემო, როდესაც ძელის მოძიება დაიწყება, რომელზედაც იესო

ჯვარს ეცვა, გამოუჩინე ის, ვინც შენს გაჩენამდე გვემეს, რადგან უკვე ებრაელთა ნაშობნი კი არ იმეფებენ, არამედ იმ დროიდან უკვე იმათი მეუფება იქნება, რომლებიც ჯვარცმულს სცემენ თაყვანს, რადგან იგია მეუფე უკუნისამდე — ქრისტე, ძე ცხოველი ღმერთისა".

მე ვკითხე მას: „რატომ აცვით ის ჯვარს?" ხოლო მან მითხრა: „შვილო, იცის მან, უხრწნელმა, რომ არასოდეს შევერთებივარ მის წინააღმდეგ შეკრებილებს, პირიქით, ვაჩერებდი მათ. ერის მღვდელმოძღვრებმა მიუსაჯეს მას ჯვარცმა და ეგონათ, რომ მოკლეს, როდესაც ძელისგან გადმოიღეს და დაფლეს. ის კი მესამე დღეს აღდგა და თავის მოწაფეებს გამოეცხადა. ირწმუნა შენმა ძმამ სტეფანემ და ქრისტეს ქადაგება დაიწყო ერში, რის გამოც ფარისეველები სადუკეველებთან ერთად შეიკრიბნენ, გაასამართლეს და ქვით ჩაქოლვის განაჩენი გამოუტანეს. მე ვუყურებდი საკუთარი შვილის სიკვდილს და შველა ვერ შევძელი. მაგრამ არ ვწუხდი, რადგან ვხედავდი ვნებას ღვთისა, რომელმაც, როდესაც სული ამოსდიოდა, ხელები ზეცად აღაპყრო და თქვა: „უფალო, ნუ შეურაცხავ ამათ ბრალად". ახლა ისმინე, შვილო, და გასწავლი შენ ქრისტესა და მისი მოწყალების შესახებ, რადგან სავლეც სდევნიდა უფალს, მაგრამ მაინც სიკეთე გამოიჩინა მის მიმართ და გახადა ის ერთი დიდებულთაგანი. ნუ იტყვი, შვილო, მის შესახებ საგმობ სიტყვებს, ნურც მისი მორწმუნეებისათვის, რათა გქონდეს საუკუნო ცხოვრება!" — ეს მითხრა მამაჩემმა, სიმონმა და ყოველივე გიამბეთ თქვენც. ახლა უკვე, როცა შეგეკითხებიან ჯვრის შესახებ, რას ეტყვით?" მათ მიუგეს: „ჩვენ ეს არსად გვსმენია, პირველად შენგან გავიგეთ; და თუ სიმართლეს ამბობ, ჯვარცმის ადგილიც გეცოდინება".

ამას რომ ლაპარაკობდნენ, მოვიდნენ მხმობელნი და უთხრეს მათ: „გეძახით დედოფალი". ისინი წარდგნენ დედოფლის წინაშე, მაგრამ სიმართლე არ უთხრეს. მაშინ დედოფალმა მათი ცეცხლში დაწვა ბრძანა. შეშინებულებმა იუდაზე მიუთითეს და უთხრეს: „ეს კაცი მართალი წინასწარმეტყველის ძეა და რჯული ჭეშმარიტად იცის. გევედრებით, დედოფალო, შენი გულის

ნებას ეს აღასრულებს. და რჯული დაიფიცეს“.

მაშინ ყველა გაუშვა, მხოლოდ იუდა დაიტოვა და უთხრა: „შენ წინაშეა სიცოცხლე და სიკვდილი! ახლა თქვი, რომელი გსურს — სიკვდილი თუ სიცოცხლე?“ იუდამ უთხრა: „ვინ არის ის, ვისაც უდაბნოში პურს დაუყრიან და ქვას შეჭამს?“

და უთხრა დედოფალმა, „თუ გინდა სიცოცხლე ქვეყანაზეც და ზეცადაც, მითხარი, სად არის დამალული ჯვარი?“ ხოლო იუდამ უპასუხა: „დაწერილია მოსახსენებელში, რომ ამ დროიდან უკვე ორასი წელი გავიდა, ჩვენ კი ჭაბუკები ვართ და როგორ გვეცოდინება?“

უთხრა დედოფალმა: „ყველაფერი აღწერილი გაქვთ, წინაპართა საფლავებიც, შენამდე რომ ხალხი ცხოვრობდა, მათი სახელებიც და ყველა ბრძოლის ადგილიც“.

იუდამ უპასუხა: „მოსახსენებელი გვაქვს, მაგრამ ამის შესახებ არაფერი გვიწერია“.

დედოფალმა უთხრა: „შენი პირით წამოგცდა, რომ გაქვთ ამგვარი წიგნები. სახარებიდან მეც ვიცი, თუ რომელ ადგილზე ეცვა ჯვარს უფალი. მხოლოდ მაჩვენე ის ადგილი, რომელსაც თხემი ჰქვია. ჩემი ხელმწიფებით ვბრძანებ, გადავათხრევინებ იმ ადგილს და ვინ იცის, იქნებ ვიპოვო ის, რაც მსურს“. იუდამ უთხრა: „ეგ ადგილი არ ვიცი, რადგან ჯვარცმისას იქ არ ვყოფილვარ“. მაშინ თქვა დედოფალმა: „შიმშილით მოგკლავ, თუ არ აღიარებ“.

და ბრძანა მისი ჯურღმულში ჩაგდება და იქ უჭმელად დატოვება. მეშვიდე დღეს შეჰღაღადა იუდამ: „ამომიყვანეთ და გაჩვენებთ ქრისტეს ჯვრის ადგილს“.

როდესაც ჯურღმულიდან ამოვიდა, მივიდა იქ, სადაც ჯვარცმის ადგილი ეგულებოდა, რადგან ზუსტად არც მან იცოდა, სად იყო. შემდეგ ილოცა, რის შემდეგაც შეიძრა მიწა და სურნელება ამოვიდა იმ ადგილიდან, სადაც ჯვარი იყო დაფლული. იუდას ძალიან გაუკვირდა, ხელები აღაპყრო და თქვა: „ჭეშმარიტად, ქრისტე, შენ ხარ მაცხოვარი სოფლისა. გმადლობ, შენ, უფალო, რადგან მე, არაღირსი, შენი მადლისგან არ გან-

მაშორე. გევედრები, შენ, უფალო იესო ქრისტე, ნუ მოიხსენიებ შენი მონის უკეთურებას, უგულებელყავი ჩემი შეცოდებანი და შემრაცხე ჩემს ძმასთან, სტეფანესთან ერთად, რომელიც თორმეტი მოციქულის საქმის აღმსრულებლად მოიხსენიება“.

ეს რომ თქვა, აიღო მიწის სათხრელი, სარტყელი შეიკრა, როგორც აბრაამის მხნე შვილმა და დაიწყო მიწის გათხრა. როდესაც ორ პირზე ჩავიდა, იპოვა სამი დაფლული ჯვარი, ამოიღო და ქალაქში წაიღო.

მაშინ ჰკითხა მას ღმრთისმოყვარე ელენე დედოფალმა: „რომელია ქრისტეს ჯვარი? ვიცი, რომ ორი მათგანი ავაზაკებისაა“. მაშინ აიღეს ჯვრები, დადეს ქალაქის ცენტრში და ღმრთის დიდებას მოელოდნენ.

მეცხრე ჟამზე მოჰქონდათ ცხედარი, რომელზეც ჭაბუკი მიცვალებული იყო დასვენებული; როცა იუდამ ეს იხილა, გამხიარულდა და უთხრა დედოფალს: „ახლა გაიგებ, დედოფალო, ძალას საწადელი ჯვრისა“. თითოეული ჯვარი დაადო მკვდარს და მესამე ჯვრის შეხებისას მიცვალებული ყრმა წამოდგა.

მაშინ განრისხდა ეშმაკი, ღაღადებდა და ამბობდა: „ვინ არის ეს, რომელიც ნებას არ მაძლევს მივიღო ჭაბუკის სული? ჰოი, იესო ნაზარეველო, ყოველივე შენკენ მიიზიდე და ჯვარიც ჩემთვის გამოაჩინე? ჰოი, იუდა, ეს რა გააკეთე? პირველი იუდასგან ერი ცოდვაში ჩავაგდე და ახლა ამ იუდასგან ვიდევნები. მალე მეც ვიპოვი რამეს შენს საწინააღმდეგოდ, აღვადგენ სხვა მეუფეს, რომელიც უარყოფს ჯვარცმულს, ჩემს ნებას აღასრულებს, სატანჯველს მიგცემს და ჯვარცმულს უარყოფ“.

ხოლო იუდამ შერისხა ეშმაკი და უთხრა მას: „ქრისტე, რომელმაც მკვდრები აღადგინა, შეგაჩვენებს შენ და გადაგიშვებს გეენიაში“. როდესაც ესმა ეს ელენე დედოფალს, ძალიან გაუკვირდა ქრისტეს ძალა და იუდას სარწმუნოება. პატიოსანი ჯვარი ოქროთი და ანთრაკით შეამკო, ვერცხლის ლუსკუმა გააკეთებინა და პატივითა და მოკრძალებით ჩააბრძანა მასში. ასევე, გოლგოთაზე, რომელსაც თხემის ადგილი ჰქვია, ეკლესია ააშენა. შემდეგ რომის ეპისკოპოსს მოუწოდა, რომელმაც იუდა

მონათლა, სახელად კვირიაკოსი უწოდა და ეპისკოპოსად დაადგინა. დედოფალმა დიდძალი ძღვენი მისცა ეპისკოპოს კვირიაკოსს გლახაკთა სამსახურებლად.

წმინდა სამსჭვალთა პოვნა

ნეტარი დედოფალი ელენე, რომელიც სავსე იყო ღვთის სარწმუნოებით და მონდომებული საღმრთო წიგნების საკითხავად, გამოიძიებდა ძველ და ახალ აღთქმას და ძალიან სურდა მოეძიებინა ჯვრის სამსჭვალები, რომლებითაც უკეთურმა ებრაელებმა მაცხოვარი ძელს მიამსჭვალეს.

მოუწოდა მან იუდას, რომელსაც კვირიაკოსი ეწოდა და უთხრა: „ჯვრის შესახებ აღსრულდა ჩემი სურვილი, ხოლო რომელი სამსჭვალებითაც იგი ჯვარს გააკრეს, მისი მოძიებაც მინდა. ვერ დავმშვიდდები, ვიდრე ამ სურვილსაც არ ამისრულებს ღმერთი. გთხოვ, ეცადრე უფალს, რომ ვიპოვო ისინი“.

წმინდა კვირიაკოს ეპისკოპოსი და მასთან ერთად მრავალი ძმანი მივიდნენ თხემის ადგილზე და ჩვენს უფალ იესო ქრისტეს სამსჭვალთა პოვნას ევედრებოდნენ. კვირიაკოსმა თვალები და ხელები ზეცად აღაპყრო, მკერდში მჯიღს იცემდა, გულმოდგინედ ღაღადებდა უფლის მიმართ, თავის პირველ უმეცრებას აღიარებდა და ქრისტეს ყოველ მორწმუნეს შენატროდა.

როდესაც ლოცვა აღასრულეს და თქვა „ამინ“, გამოჩნდა ნიში, რომელიც ყველა იქ მდგომმა იხილა: ელვარე ნათელი გამობრწყინდა იმ ადგილზე, სადაც ადრე პატიოსანი ჯვარი იპოვა და მეყვსეულად გამოჩნდა ოქროზე უბრწყინვალესი სამსჭვალნიც, რომლითაც იესოს ხელები ჯვარს მიაკრეს. მოკრიბა ისინი იუდამ და ელენე დედოფალს მიართვა.

მაშინ დედოფალმა მათ მუხლმოდრეკით სცა თაყვანი. აივსო ღვთის სიბრძნით და ფიქრობდა სამსჭვალებზე, როგორ მოქცეოდა მათ. სულიწმინდის მადლმა მას გაახსენა უწინ გაცხადებული წინასწარმეტყველის სიტყვები. მოუწოდა ერთ მორწმუნე და გონიერ კაცს, რომელსაც მართალს უწოდებდნენ და უთხრა: „დაჯექი ჩემ წინ, რომ გხედავდე და ეს სამსჭვალნი მეფის ზანზალაკებად შექმენი, რათა იყოს ისარი მისი მტრების

საძლევად, ბრძოლის დასამშვიდებლად და აღსრულდეს წინასწარმეტყველის თქმული: „იმ დღეს იქნება წარწერილი ცხენთა ზანზალაკებზე: სიწმინდე უფალს“ (ზაქ. 14, 20).

ხოლო ღვთისმოყვარე ელენე დედოფალმა, ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მიერ განმტკიცებულმა, იერუსალიმიდან განდევნა ურწმუნო ებრაელები და ღვთისმოყვარე მამებსა და დედებს წესად დაუდო პატიოსანი ჯვრის დღესასწაულის ვარდობის თვის მეათე დღეს აღსრულება, სადიდებლად მამისა და ძისა და სულისა წმინდისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

14 სექტემბერს, ჯვრის აპყრობის დღესასწაულზე საკითხავი ჩვენი წმინდა და ნეტარი მამის იოანე მთავარეპისკოპოსის თქმული*

ყოველივე მწუხარება, რომელიც უკეთესობისკენ შემოაბრუნებს კაცს, ძმანო, უპატიოსნესი და უმეტესი სიხარულია, რადგან კაცთა მოდგმა დღითი დღე მეტსა და უჯობეს სიკეთეს ეძებს. ასევე არიან მენავენი, თუკი დარია და კარგი ნიავი, დიდად უხარიათ და სურთ, ვიდრე ღელვა დაიწყება, მანამ მივიდნენ სასურველ ადგილზე. ასევე ემართებათ მოგზაურებსაც, კარგი ამინდი ახარებთ, ვინაიდან დროულად მიაღწევენ დანიშნულების ადგილამდე.

უხარიათ მათაც, რომლებიც მწუხარების შემდეგ ნუგეშს იღებენ. უფრო მეტი შვება კი იმ ადამიანებს ეძლევათ, რომლებიც სნეულების შემდეგ გამოჯანრთელდებიან. სიამით ივსებიან ბრძოლაგადატანილნი, როდესაც მშვიდობა ისადგურებს. ხარობენ ბნელიდან ნათელში მოხვედრილნი. ტკბილია ყოველი საქმე, რომელსაც კაცი აღასრულებს და შვებას მიიღებს.

შევხარით იმასაც, რაც ღმრთის მოცემულია ჩვენს მოსახმარად. მშვენიერია ხორბალი, რომელიც დავთესეთ, ნაყოფი გამოიღო და დიდი სიხარული გვაქვს მოსავლის აღებისას.

ასევეა ვენახის შემთხვევაშიც. არსებობს მრავალი ხე, რომელთაც ისეთი ნაყოფი აქვთ, მასზე პირის დაკარებაც კი შეუძლებელია. ყურძენიც ხის ჯიშისაა და საოცარი სიტკბოება აქვს.

ზეთისხილს სულ ფოთოლი ასხია, ნაყოფს კი თავის დროზე გამოიღებს. იგი სხვა ხეთა მსგავსი არ არის, წვრილი ყვავილი გამოაქვს, როგორც მტვერი, ნაყოფი თავიდან მწარეა, როცა მომწიფდება, დატკბება და შემდეგ ყოველგვარი საჭმელი მისით შეზავდება, საკურნებლადაც გამოიყენება და სანთლადაც. ეს მცენარე ყველანაირად სასარგებლოა და ადამიანს ახარებს.

თუკი ხორცის მოსახმარი ასე ბედნიერს ხდის კაცს, მაშინ,

*ტექსტი ძველქართულად იხ. გვ. 572.

საყვარელნო, უმშვენიერესს მივეახლოთ და ვიხილოთ, რამდენი სიხარულის მომნიჭებელია ქრისტეს ჯვარი, რამდენი სიკეთე აღესრულება მისი ძალით. თუმცა მწუხარებაც ახლავს უფლის ჯვრის სმენას, მაგრამ უმეტესად სიხარულით აღმავსებელია და მშვენიერებით გარდამეტებული. თქმულია, რომ იგი არის „ჰურიათა საცდური და წარმართთა სისულელე“ (1 კორ. 1, 23), ჩვენთვის, მორწმუნეებისთვის კი ცხონება და უკვდავებაა.

ჯვრის ხსენებისას მორწმუნეებს მწუხარება იპყრობთ — არა ჯვარცმის გამო, არამედ ურწმუნო ჯვარმცმელთათვის. ჯვარი ცხოვრებაა ეკლესიისა; ჯვარი სიქადულია მისი ყოველი მავედრებლისა; ჯვარია, რომელმაც გაგვაშორა პირველ ბოროტს; ჯვარია, რომელმაც ყოველი კეთილი მოგვცა, პირველი მადლი; ჯვარია, რომელმაც დაგვაშორა ღმრთის მტრობას, გვარწმუნა ქრისტე და შეცდომილნი მისკენ მოგვაქცია; ჯვრისგან განვეშორებით ეშმაკის საცდურს, სიკვდილსა და წარწყმედას.

როდესაც ქრისტეს მიმდევრებს ესმათ თავიანთი მოძღვრის ჯვარცმა, წუხდნენ და დრტვინავდნენ, ხოლო როდესაც აღდგომა ეხარათ, დრტვინვა და მწუხარება სიხარულად გადაექცათ და წმინდა ხმით დიდებას უძღვნიდნენ მას.

ჯვარმამ კაცთა ბუნება ანგელოზთა წესის გახადა, ყოველ ბოროტს განაშორა და უხრწნელი ცხოვრების ღირსად აქცია. ადამიანს მხოლოდ კაცი კი არა, ღმერთიც უწოდა, როგორც დაწერილია: „მე განვაცხადე: თქვენ ხართ ღმერთები და უზენაესის ძენი ხართ თქვენ ყველანი“ (ფსალმ. 81, 6); „უკვე აღარ გიწოდებთ მონებს, ვინაიდან მონამ არ იცის, რას აკეთებს მისი ბატონი; არამედ მეგობრებს გიწოდებთ, რადგანაც გაუწყეთ ყველაფერი, რაც მსმენია მამაჩემისგან“ (იოანე 15, 15). ხედავ, რამდენი კეთილი აღესრულა ჯვრით მისი მორწმუნეებისა და მოშიშებისთვის?

და ასევე, რათა უფრო მეტად შეიცნო ჯვრის ძალა, დაფიქრდი, რა ხდებოდა ჯვარცმის წინ ან მას შემდეგ და მიხვდები ჯვრის საკვირველებას: ჯვრამდე ძე არავინ იცოდა, ხოლო დღეს ჯვრის ქადაგებით ქრისტე ცხადდება და მამა ძისგან შეიცნობა. ჯვარზე ადრე ეშმაკს სცემდნენ თაყვანს, დღეს კი ჯვრის

ქადაგებით ეშმაკი დაეცა და მისი ყოველი მსახური გაიფანტა. ჯვრამდე კაცნი ცოდვასა და სიძვაში იყვნენ, ხოლო დღეს ხორცმა სიწმინდე შეიმოსა, რადგან ჯვრის ქადაგებით არა მხოლოდ სიძვას განვეშორებით, არამედ ქალწულების გზას ვადგებით; ჯვარი არ იქადაგებოდა და ეშმაკებმა ებრაელები ქრისტეს წინააღმდეგ შეკრიბა, დღეს ქრისტე იქადაგება და მოციქულების მიერ ებრაელები ქრისტეს აღიარებენ. ჯვარი სანამ არ იქადაგებოდა, ყოველი სოფელი სიკვდილს შეეპყრო, ხოლო ახლა ჯვრის ქადაგებით სიკვდილი უკვდავებად და საუკუნო ცხოვრებად მოგვეცა. ჯვრამდე სამოთხისგან უცხონი ვიყავით, ხოლო როდესაც ჯვარი გამოჩნდა, ავაზაკმა მაშინვე ირწმუნა და სამოთხე დაიმკვიდრა.

ეჰა, დიდი ძალა ჯვრისა! რამდენი ცვლილება აღასრულა კაცთა მოდგმაში! ბნელიდან რა დიდ ნათელში მოგვიყვანა! ახლა არ ბნელდება კაცთა გონება, რადგან ჯვრის ნათლით ცნობიერება ბრწყინდება. ურწმუნოთა ყურები აღარ არის დახშული და უფლის სიტყვა ესმით, ხოლო ბრმებმა უფლის დიდება იხილეს. ეს ყოველივე კი ჯვრის ძალით აღსრულდა.

და არის კი ჩვენში რაიმე კეთილი, რომელიც ჯვრისგან არ არის? ჯვრისგან კეთილი სარწმუნოება და ღვთის ყოველი მსახურება ვისწავლეთ. ჯვრისგან ღმრთის სიმართლე მოგვეცა, სიყვარული და მშვიდობა. ჯვრისგან შორს მყოფნი ქრისტეს მივეახლეთ, ერთმანეთს ვიცნობთ, გვიყვარს და სული წმინდის მადლი გვეძლევა. ჯვრისგან სიყვარულის ძალი შევიცანით და მოყვასისთვის სულს დავდებთ. ჯვრისგან ამქვეყნიურს არად ჩავაგდებთ, რათა მომავალი ცხოვრება მოვიპოვოთ. ჯვარი იქადაგება, სარწმუნოება გამრავლდება და ჭეშმარიტება ყოველ სოფელს მიეფინება. ჯვარი იქადაგება, მარტვილნი გამოჩნდებიან და ქრისტეს სარწმუნოება გაძლიერდება. ჯვარი იქადაგება, აღდგომა გამოჩნდება და ცხოვრება გამობრწყინდება. ჯვარი იქადაგება, ურწმუნონი მოიქცევიან და ცხონდებიან. ჯვარი ყოველივე ამის მოსაპოვებლად აღიმართა და რა არის სხვა, ჯვარზე უპატიოსნესი და ჩვენი სულისთვის საჭირო?

აწ, საყვარელნო, ნუ გრცხვენიათ ჯვრის ხსენება, თამამად ვაღიაროთ ის, რომლითაც ცხოვრებისთვის ვართ მოწოდებულნი.

ხედავ, ჯვარმა რამდენი ურჯულო საქმე გარდაქმნა და ყველაფერი მშვენიერად შეცვალა?! ახლა ეშმაკს აღარ ვემსახურებით, რადგან ღმერთი მოვიდა, ყოველი ბნელი გაფანტა და წყალობა მოგვფინა. ყოველი ხორციელი ფიქრები და შვება მოსპო და სიწმინდით ცხოვრება გვასწავლა, სიძვის უკეთურება განდევნა და სიწმინდით ქორწინება დაგვიწესა.

პირველად ეშმაკმა შემოაგდო სიძვა და კერპთმსახურება, ახლა ურჯულოების ძირი ჯვარმა აღმოფხვრა, ყოველი ურჯულოება კაცთაგან განაშორა, სული გაწმინდა, რადგან სარწმუნოებისა და სიმართლის ნაყოფი გამოიღო, ღვთაების საუნჯეები გახსნა და თავისი ნაყოფით გაამდიდრა, ყოველივე სიწმინდის სულით აავსო და უკვდავების წყაროდ აქცია. ეს ყოველი ჯვრით მისცა ქრისტემ თავის დაბადებულს, ყოველივე კეთილს მისგან ვხედავთ და ძის გულისხმისყოფაც ჯვრისგან გვესწავლა.

ახლა, როდესაც იხილავ ჯვარის ძალას, დაფიქრდი, რას გვანიჭებს იგი და მასში ღვთის საქმეს იპოვი. ჯვარი ცხოვრებისათვის აღემართა და სოფელს სიცოცხლე მიეცა. ჯვარი სიკვდილისათვის აღემართა, რათა სიკვდილი დაეთრგუნა. ჯვარი ჭეშმარიტებისათვის აღემართა, რათა ყოველი სოფელი ჭეშმარიტებით აევსო; ჯვარი უფლისათვის აღემართა, მან ჯვარზე ხელები განაპყრო და ყოველი მისკენ მოიზიდა. ქრისტემ ჯვარზე ხელები განაპყრო, ეშმაკი დაეცა და სოფელს სასწაული ცხოვრება ებოძა. ქრისტე ჯვარს ეცვა და ყოველი სოფელი ჯოჯოხეთს განარიდა. ქრისტე ჯვარს ეცვა და სოფელს ახალი სასწაული აჩვენა: ურწმუნოებს სასჯელი რომ შეეცნოთ, მზის სინათლე დააბნელა, მორწმუნეებს კი ბნელისგან მოქცეული ნათლის გამო გაეხარათ.

წინასწარმეტყველი იტყვის: „იმ დღეს იქნება, ამბობს უფალი ღმერთი, რომ შუადღისას ჩავიყვან მზეს და დღის სინათლეზე დავაბნელებ ქვეყანას. დღესასწაულებს გლოვად გადაგიქცევთ და ყველა თქვენს სიმღერას — გოდებად“ (ამოს. 8, 8-9). რამდენი საიდუმლო აქვს წინასწარმეტყველის სიტყვას. იგი გვასწავლის, რომ ებრაელები, რომლებიც რჯულის ქვეშ იყვნენ, გლოვობდნენ, რადგან დამთავრდა მათი დღესასწაულები და აღარაა იერუსალიმში მათი მსახურება, აღარ ასრულდება ძველი წესები

ქრისტეს მოსვლით, ენებითა და ჯვარცმით, რადგან დასრულდა ებრაელთა რჯული და მონად იქცნენ თავიანთი ურწმუნოებისა და ჯვრის განდიდების გამო.

წარმართნიც გლოვობდნენ ცოდვებისთვის და როგორც უფალი ბრძანებს: „ნეტარ არიან მგლოვიარენი, ვინაიდან ისინი ნუგეშცემულნი იქნებიან“ (მათე 5, 4).

სინანულზე კი ბრძანებს: „კეთილია უფალი მისი მოსავისთვის, მისი მძებნელი სულისათვის“ (იერ. 3, 25)

ასევე ჩვენც, როდესაც შევწუხდებით ცოდვების ანდა ეშმაკის ცდუნების გამო, გავიქცევით ჯვრის სასწაულისკენ, რომელიც ქრისტემ მშვილდის პირისაგან გასაშორებლად მოგვცა, გვიხსნა თავისი საყვარელნი, გვაცხონა თავისი მარჯვენით და ისმინა ჩვენი, რადგან ის არის ჩვენი სასოება. მარად ვეუედროთ ჯვარს და აღვმართოთ იგი სიქადულად, სიხარულად, საჭურველად, ფარად და მცველად ჩვენი სულისა და ხორცისა.

ქრისტეს ჯვარი ჩვენი სიამაყეა, რათა მისით განვისწავლოთ, ჩვენი გონება ზეცად მივმართოთ, ღმერთს მივეახლოთ და ღვთის სასუფევლის ღირსი გავხდეთ ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მიერ, რომლის არის დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ჯვრის ამაღლების დღესასწაულის საკითხავი წმინდა და ნეტარი მამის, იოანე ოქროპირის მიერ წარმოთქმული*

გვაკურთხე, მამაო!

ყოველივე, რაც უარესიდან უკეთესობისაკენ იცვლება, სიხარულსა და შვებას ჰგვრის ადამიანთა მოდგმას, რომელსაც ზოგადად ახასიათებს ლტოლვა უმაღლესისა და ზეციურისაკენ; სწორედ ამგვარადვე, გემით მოგზაურებისთვის სასურველია ზამთრის პერიოდის შეცვლა მყუდრო და მშვიდი დარით; ასევე საამოა დიდი ხნის მგზავრობით დაღლილებისთვის შეყოვნება და დასვენება; მწუხარეთათვის — დარდის შემდგომი მხიარულება. ამაზე კიდევ უფრო მეტად სნეულებისათვის გამოჯანმრთელებაა სასურველი; სამტროდ გადაკიდებულებისათვის — საძულველი მტრის შემორიგება და დამეგობრება; მათთვის, ვინც ბნელში სხედან — ღამის შემდეგ სინათლეზე გამოსვლა; და ზოგადად რომ ვთქვა: ყველაფერი სასურველია, რასაც დიდი ხნის განმავლობაში მოაკლდება ადამიანი, რაც მას ენატრება. რადგანაც ეს კარგად ჩანს იმ ხეხილისა და მარცვლეულის მაგალითზე, ღმერთმა საჭმელად რომ მოგვცა. ისინი კიდევ უფრო ტკბილი გვეჩვენა სწორედ იმის გამო, რომ ერთმანეთს ენაცვლებიან. ჯერ ერთი მოიწევა და შემდეგ ის ახლით შეიცვლება.

რაკიღა ასეთი ცვლილებები ესოდენ შვებასა და სიხარულს გვანიჭებს, მოდით და ჩვენც იმისთვის, რომ უსიამოდ და უამურად გასახსენებელ ამბავთაგან უკეთესისა და ჭეშმარიტად სასიხარულოს გახსენებაზე გადავიდეთ, იმას მივხედოთ, რასაც პატიოსანი და ღირსეული ადამიანები გვახარებენ; აქ იგულისხმება ჯვარზე აღსრულებული ვნებიდან იმ სიკეთეზე გადასვლა, რაც ჯვარს მოაქვს. ეს იმისთვის, რომ დავინახოთ, რაოდენი სიკეთე მოგვიტანა ქრისტეს ჯვარმა. მისი ზემოქმედებით ასე ძლიერად შეიცვალა სამყარო; რადგანაც თუკი მწუხარებისა და დარდის მიზეზი მან მართლაც ბევრი მოუტანა ამ ქვეყანას,

*ტექსტი ძველქართულად იხ. გვ. 578.

ჯვარზე უფლის ვნება მაინც სიხარულით ავსებს და აბრწყინებს მსმენელს; რადგანაც იგი ტანჯვის კი არა, უვნებლობის მიზეზად გვექცა. ხოლო, თუკი იგი ურიათა დამაბრკოლებლად მიიჩნევა და წარმართთა შორის მასზე ქადაგება სისულელედ ითვლება, ჩვენთვის, მორწმუნეებისთვის, მისი სახელი მაცხონებელია. თუკი ეკლესიაში ჯვრის შესახებ კითხვისას და ჯვარზე ვნების გახსენებისას იმ ხალხში, რომელსაც ჯვარი სწამს, უკმაყოფილება წარმოიშობა, რაც სიბრალულთან არის დაკავშირებული და მორწმუნეები დრტვინავენ ხოლმე, ეს გრძნობები ჯვრის მიმართ კი არ არის აღძრული, არამედ გოდებისა და ქვითინის ხმებია, გულაჩვილებული ადამიანები რომ გამოსცემენ, ჯვარმცმელებსა და ურწმუნოებზე გლოვის მომასწავებელი.

ჩვენთვის კი ჯვარი ეკლესიის გადარჩენაა, ჯვარი მორწმუნეთა სიამაყეა, ჯვარი ძველი ცოდვების განმდევნელი და ამჟამინდელი სიკეთის დასაწყისია, ჯვარი ღვთის წინაშე მტრის დამმარცხებელია და ცოდვილების ქრისტეს მიმართ მომაქცეველი. ჯვრის წყალობით მტრობას გავერიდებით და ვუერთდებით ღვთის სიყუარულს. ჯვრის წყალობით ეშმაკის ძალმომრეობისაგან ვთავისუფლდებით, დამღუპველი სიკვდილისაგან გადავრჩებით. ამ ყველაფერიდან გამომდინარე, ის ხალხი, ვინც ჯვარცმის გაგონებაზე გოდებდა, აღდგომის ამბის გაგონებამ სიხარულით აავსო. ჯვრის წყალობით კაცობრივი ბუნება ანგელოზების წესზე შეიცვალა, როდესაც ყოველგვარი გამხრწნელი საქმისაგან გააუცხოვა და უხრწნელ ცხოვრებას აზიარა, რადგან უკვე კაცად კი არა, ღმერთად იწოდებიან: „მე განვაცხადე: თქვენ ხართ ღმერთები და უზენაესის ძენი ხართ თქვენ ყველანი“ (ფსალმ. 81, 6; შდრ. იოან. 10, 34), „ჩემს ძმებს მოვუთხრობ შენს სახელზე, კრებულთა შორის შეგაქებ შენ“ (ფსალმ. 21, 23. ებრ. 2, 12) და „უკვე აღარ გიწოდებთ მონებს, არამედ მეგობრებს გიწოდებთ“ (იოანე 15, 15). ხედავ, როგორი ცვლილებები გამოიწვია ჯვარმა და როგორ გაუმჯობესდა მორწმუნეებისთვის ყველაფერი?

ხოლო იმისთვის, რომ უფრო აშკარად შეიცნო ჯვარის ძალა, გააცნობიერე, თუ რა იყო ჯვრამდე და რა — ჯვრის შემდეგ, ეს მიგახვედრებს ჯვრის ზემოქმედების შედეგს. ცხოველმყოფელ

ჯვრამდე ყველა არ იცნობდა ძეს; დღეს კი ჯვრის ქადაგების შემდეგ ძეს თავისი სახელი ეწოდება და მამა ძის საშუალებით შეიცნობა. ჯვრამდე ეშმაკს ეთაყვანებოდნენ, ჯვრის შემდეგ კი ეშმაკი ნადგურდება და მისი ყოველგვარი ძალა უკუიქცევა. ჯვრამდე უწმინდურობას და სიძვას მისდევდნენ ადამიანები, ახლა კი ჯვრის ქადაგების საშუალებით — სიწმინდის უპირატესობის აღიარებით — მარტო სიძვას კი არ უარვყოფთ, არამედ კანონიერ ქორწინებაზეც ვამბობთ უარს; თუმცა ადრე ქალწულების დაცვა ჩვენს ბუნებრივ მოთხოვნილებად არ მიგვაჩნდა, ახლა ვიცავთ მას. ჯვარი რომ არ იყო, ეშმაკმა ებრაელები ქრისტეს წინააღმდეგ გააერთიანა; დღეს კი ჯვრის ქადაგებით მოციქულებმა ებრაელები ქრისტეს სარწმუნოებამდე მოიყვანა. როდესაც ჯვარი არ იქადაგებოდა, სიკვდილის ტყვეები ვიყავით; ახლა კი ჯვრის ქადაგებით სიკვდილის არსს უარვყოფთ და საუკუნო ცხოვრება შეგვყვარებია; ვიდრე ჯვრის ქადადგება იქნებოდა, სამოთხისგან გავუცხოვდით, ახლა კი, როდესაც ჯვარი გამოჩნდა, ავაზაკი სამოთხეს ეღირსა.

ჰოი, უდიდესი ძალა ჯვრისა! რამდენი რამის შეცვლის მიზეზი გახდა ის ადამიანთა მოდგმისთვის, რადგანაც ბნელიდან ნათელში დაუსრულებლად გადმოვინაცვლეთ და ჩვენი ხრწნადობა უხრწნელებით განახლდა. რაკიღა გულის თვალს უმეცრების სიბნელე აღარ ბინდავს, ჯვრის საშუალებით ცოდნის სინათლით ბრწყინავს; აღარც ყრუთა ყურებია დახშული ურწმუნოების სიყრუით, რადგანაც, როგორც უფალი ამბობს, ყრუების ყურებს ესმით და ბრმების თვალები ხედავენ უფლის დიდებას.

აი, რა მოიმოქმედა ჯვარმა! ეს ჩვენთვის ჯვრის მიერ მონიჭებული სიკეთეა. და მართლაც, რა სიკეთე არსებობს ისეთი, ჯვარს რომ არ მოეცეს ჩვენთვის? და რა მშვენიერება უნდა იყოს, მის გარეშე რომ არსებობდეს? ჯვრისგან კეთილმსახურება ვიწავლეთ და საღვთო ბუნებას ვეზიარეთ; ჯვრისგან ღვთის სიმართლე შევიმეცნეთ და სიწმინდის სათნოების საკუთარ თავში დაცვა შევძელით; ჯვრის საშუალებით ვიცნობთ ერთმანეთს, აქამდე ერთმანეთს დაშორებულები ქრისტეში შევერთდით და სულიწმიდის მადლის მიმღებელები გავხდით; ჯვრისგან სი-

ყვარულის ძალა შევიცანით და ერთმანეთისთვის სიკვდილსაც კი აღარ ვუფრთხით; ჯვრის გამო ყოველივე ამსოფლიურს შეურაცხვყოფთ და მისი სიამეები აღარაფრად მიგვაჩნია მარადიული ჯილდოს მოლოდინში. უხილავს გავცქერით და ხილული აღარ გვაინტერესებს. ჯვარი იქადაგება, ღვთისადმი სარწმუნოება საყოველთაოდაა აღიარებული და ჭეშმარიტება მთელ სამყაროში გავრცელდა. ცათა სასუფეველი ყველასთვის სარწმუნო გახდა და თუკი ვინმე ურწმუნო იყო, ყველამ ჯვარი ირწმუნა. და ისინი, ვინც მაცხოვარი ჯვრისთვის გასწირა, ისინიც კი ამავე ჯვრის მიერ ცხონდებიან. ჯვარი ჩაგვაგონებს ამ ყოველივეს თქმას და ჯვარია ჩვენთვის ამისთანა სიკეთის მომნიჭებელი.

რა იქნება ჯვარზე უპატიოსნესი? ან რა იქნება ჩვენი სულებისთვის მასზე მარგებელი? ამიტომ ნუ შეგვრცხვება ჯვრის აღიარება! ყოველთვის თამამად განვაცხადოთ იგი, რომელმაც ქვედამხობილებს მაღლა მოგვიხმო და რომლის საშუალებითაც გადარჩენა მოგვენიჭა. ხედავ, რა ცვლილებები მოახდინა ამ სამყაროში ჯვარმა სულის გადასარჩენად? მან გაფანტა ურჯულოება იმით, რომ უმერთო სწავლება აღმოფხვრა? აღარ არსებობს საეშმაკო რჯული და დამთავრდა მისი მომაკვდინებელი მიმოსვლა, რადგანაც ღმერთი გადმოვიდა მასზე და ვნების ძლიერება მოსპო. თავისი რჯული დაამკვიდრა, სასარგებლო და უკეთესი რჯული და მოძღვრება იქადაგა. გააქრო გაუმაძღრობა, გააქარვა ვნებები, სიწმინდის რჯული მოგვცა, რადგანაც სიწმინდის მაგიერ მის ადგილას სიძვის ურჯულოება იყო გავრცელებული. თავშეკავების წესი დადო რჯულად და საღვთო ბრძანებით გაანადგურა გულისთქმათა იარაღები. რათა გააცამტვეროს ყოველგვარი ცოდვა, რომელიც გულისთქმის ჩაგონებით იშობა. სიძვის დასაწყისია კერპების მსახურება და მათი არსებობა უწმინდურ ცხოვრებას გვაზიარებს. ამიტომაცაა, რომ მან ურჯულოების ფესვი გადაჭრა, რათა უმერთობის ნაკადული დაწყვიტოს, კერპთმსახურების უწმინდური სამსხვერპლოები გააქარვოს და ათასგვარი ურჯულოებით სავსე რჯული გაანადგუროს.

სწორედ ამისთვის უარყო მან ბარბაროსი მხედრობის იარა-

ღი და ყოველგვარი მისნობა და საოცრება, რაც ასე დამახასიათებელი იყო უღვთო ცხოვრებისათვის. ამის გამოვე გააუქმა მან სიყვარულის გამაქარვებელი ყოველგვარი მიზეზი, რათა დამღუპველი ნიაღვარი შეეჩერებინა და განწმინდა სულები, როდესაც შფოთის ეკლები აღმოფხვრა და მათ ნაცვლად დათესა სიტყვის თესლი, რომელმაც ღვთისშემცნების ნაყოფით გაანაყოფიერა სულები. სულიერი საგანძურის კარი გააღო, სადაც ინახება სულიერი ხორბალი და სიტყვის სამყოფელი ზეციური სიბრძნის საღვთო ნაყოფით აავსო. მორწმუნეები სულიწმინდით გაამდიდრა. თითოეული მათგანი საღვთო სიწმინდის საგანძურად და სულიერი მადლის მდინარედ აქცია. ეს ყოველივე ჯვრის ნიშანმა მისცა ქმნილებებს: ეს კეთილი ცოდნა ჯვრის საშუალებით მოვიპოვეთ და ყველაფერი ისე ვისწავლეთ, როგორც საჭირო იყო.

ხოლო იმისთვის, რომ დაწვრილებით შეისწავლო ჯვრის საქმეთა სიმრავლე და ამ საშუალებით საღვთო განგებულების ძალის სიმდიდრე, ეს ვთქვათ: ჯვარი საცხონებლად აღიმართა და სოფელი ჯვრის ძალით გადარჩება. ჯვარი სიკვდილის იარაღად მიაჩნდათ და ჯვარმა სიკვდილი მოკლა. ჯვარი ჭეშმარიტების წინააღმდეგ აღმართეს და ჯვარზე გაბრწყინდა ჭეშმარიტება. ჯვარს მეუფის დასამცირებლად ამზადებდნენ და მეუფემ — ჯვარზე ხელების გაპყრობით — ყველანი თავისკენ მიიზიდა; ქრისტე ჯვარზე ჩამოეკიდა და მოკლა ეშმაკი; ქრისტე ჯვარზე გაეკრა და ჯვარი იქცა სოფლისთვის გადარჩენის მასწავლებლად; ქრისტე ჯვარს მიელურსმა და ყოველი ქმნილება ცოდვის სახვევებისაგან გახსნა. ქრისტე ჯვარს მიელურსმა და ყოველი ქმნილება ხრწნასა და მონობას გადაარჩინა; ქრისტემ ჯვარზე დაიძინა და მთელი სამყაროსათვის სასწაულად იქცა, რადგანაც თავისთან ერთად საუკუნეთა უწინარეს დაძინებულები აღადგინა. მაშინ, როდესაც დაბნელდა მზე და საოცარი სასწაული აღსრულდა მისი დაფარვით და შემდეგ კვლავ შარავანდედის გამობრწყინებით, გააცხადა მთელი ის სიბნელე, რომელიც დასჯის დღეს ურწმუნოთათვის არის გამზადებული, ხოლო მართლებისთვის კი გამზადებულია ნათელი, რომელსაც

მორწმუნეები ელირსებიან. ამას ამტკიცებს საწინასწარმეტყველო სიტყვა: „ნუთუ არ შეიძვრება მიწა ამის გამო და არ მოჰყვება გოდებას ყოველი მისი მკვიდრი? იმ დღეს იქნება, რომ შუადღისას ჩავიყვან მზეს და დღის სინათლეზე დავაბნელებ ქვეყანას“ (ამოს. 8, 8-9).

ხედავთ, საყუარელნო, რამდენი რამაა დაფარული ამ საწინასწარმეტყველო სიტყვებში? ის თანაბრად შეესაბამება ერთსაც და მეორესაც. ანუ: რჯულს დამორჩილებულ იუდეველებსაც და წარმართებსაც, ურჯულოებას რომ აღასრულებდნენ. პირველებს გლოვად ექცათ რჯულის მიერ დაწესებული დღესასწაული, რადგანაც რასაც დღესასწაულობდნენ, სწორედ ის გააუქმა უფლის ჯვარცმამ. ისინი ხომ გალობის ნაცვლად გოდებით ახსენებდნენ იერუსალიმს. მას აღარ აქვს რჯულისმიერი მსახურებები, იქ აღარც დღესასწაულები სრულდება; ყველაფერი ეს ქრისტეს მოსვლისას და მისი ხორციელი ტანჯვისას დასრულდა. ამიტომაც ამბობს: თქვენი სასწაულები გლოვად ვაქციე და თქვენი გალობა — გოდებადო. იუდეველები მათთვის განკუთვნილ პატივს მოაკლდნენ და სხვა ერების მონებად შეიქმნენ. და რისთვის? იმისთვის, რომ მათ ქრისტესი არ სწამდათ, არც ჯვრის შესახებ ყოვლად დიდებული ქადაგება მიიღეს. გლოვობენ წარმართობიდან მოქცეულები და ცოდვებს აღიარებენ, რადგანაც გლოვა ნეტარების მომნიჭებელია. ნათქვამია, „ნეტარ არიან მგლოვიარენი, ვინაიდან ისინი ნუგეშცემულნი იქნებიან“ (მათე 5, 4).

მართლაც სამართლიანია, რომ ისინი გლოვობდნენ თავიანთ უწმინდურ დღესასწაულებს და უგვან სიმღერებს, ბილწ ეშმაკებს რომ უძღვნიან. აბა, ნახე, მონანულ წარმართს, ოდესღაც საეშმაკო დღესასწაულს რომ ზეიმობდა, როგორ შეუცვლია ეს დღესასწაული სინანულის გლოვად იმ ბოროტების გამო, ადრე რომ აღასრულებდა და გოდებით გაიძახის საწინასწარმეტყველო სიტყვებს: „ჩვენს სირცხვილში ვწევართ და ჩვენივე შერცხვენა გვახურავს ზედ“ (იერ. 3, 25) და ასევე: „ვაღიარებ, უფალო ჩვენს უგუნურებებს, ჩვენი მამა-პაპის დანაშაულს, რადგან ცოდვილნი ვართ შენს წინაშე“ (იერ. 14, 20).

ასევე ჩვენც, ჯერ კეთილად უნდა ვგლოვობდეთ და ვგოდებდეთ აქამდე ჩვენზე მოსული ბოროტებისთვის და, ამასთანავე, მოკრძალებით ვმხიარულობდეთ ჯვრისგან ჩვენთვის მონიჭებული სიკეთის გამო, რათა მისი ამაღლებისას ავმაღლდეთ ამსოფლიური საგნებიდან და სათნოებათა გამრავლებით ვიკრიბებოდეთ დღესასწაულისათვის, რადგანც ასეთია ნება ჯვრისა, რომელიც ახლა მაღლდება და როგორც სასანთლეზე დანთებული სანთელი ოთხმხრივ ზეაიწევა, ქვეყნიერების ყველა კუთხეს გაანათებს და ყოველივეს გააბრწყინებს. ამით იგი ჩვენც აგვამაღლებს და გვაზიარებს თავის ბრწყინვალებას — მასზე ჯვარცმული მეუფის საქმეების საშუალებით გვაზიარებს ნათელს, რათა მისი ნათლით ნაწინამძღვრებნი მივწვდეთ ქრისტესთან ერთად დაფარულ ნათელს, და ჯვრის მიერ, მისგან და მის გამო გამობრწყინებულ და მასთან დაუსრულებელ მარადიულ ყოფას.

ამგვარი დღესასწაულით განვიწმინდოთ სული და ხორცი, რაც ჩვენს თვალებს ორმხრივად დაანახებს ყოველივეს კარგად. დავინახოთ ჯვარი და შვებით აგვავსოს მისმა მშვენიერმა შესახედაობამ, რადგანაც ის სწორედ იმისთვის აამაღლეს, რომ ჩვენ მისდამი სურვილი და სიყვარული აღგვიძრას. მისი განმადიდებლის მიმართ მოგვიწოდოს, ცოდვისგან დაცემულები აღგვადგინოს და დაგვანახოს, რომ ქრისტე მასზე იყო ჩამოკიდებული ხორცით და ამბობდა: როდესაც ავმაღლდები ყველას ჩემკენ მივიზიდავო.

პატივს ვცემდეთ მის ამაღლებას, თუნდაც მაღალი სათნოებების საქმეთა გამოისობით; ყველამ ერთად და თითოეულმა ცალცალკე. რადგანაც, როდესაც ჩვენი გულმოდგინება გაცხადდება, ჩვენი ნაკლი შეავსოს. ყველაფერი ვიღონოთ, რომ მისი ნათლით გავბრწყინდეთ, რათა აქვე, მისი ნიშნით აღვიბეჭდოთ გამოხსნის დღისთვის და ღირსები გავხდეთ იმ მომავალი ნათლის ხილვისა, რომელიც წინ გაუსწრებს ქრისტეს მოსვლის ბრწყინვალე დღეს. როგორც მისი მეფობის კვერთხს, ჯვარს შევაველდროთ ჩვენი თავები. მისი იმედი გვქონდეს, რათა ჯვრის მიერ ვისწავლოთ, გონება ზეცისკენ მივმართოთ, ქრისტე ღმერთთან მის-

ულები ღვთის მახლობელნი და მის სასუფეველში დამკვიდრების ღირსები გავხდეთ ისევ თავად ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს საშუალებით, რომელსაც ეკუთვნის დიდება და სიმტკიცე სამარადისოდ, ამინ!

14 სექტემბერი
კრიტელი მთავარეპისკოპოსის, ნეტარი ანდრეას სიტყვა პატიოსანი და მაცხონებელი ჯვრის ამაღლების შესახებ*

მამაო, გვაკურთხე!

ჯვრის დღესასწაულს აღვასრულებთ და მთელი ეკლესია დიდების ნათლით ბრწყინავს. ჯვრის დღესასწაულს აღვასრულებთ და მთელი სამყაროს პირი სიხარულის სხივით განათებულა; აღვასრულებთ დღესასწაულს ჯვარისას, ბნელი რომ განდევნა და მის სანაცვლოდ ნათელი შემოიყვანა. ჯვრის დღესასწაულს აღვასრულებთ — ჯვარცმულთან ერთად ვმაღლდებით ცამდე და, ამავე დროს, ცოდვებთან ერთად ძირს ვტოვებთ მიწას, რათა ზეციური მოვიპოვოთ. ჯვარი მაღლდება და დამდაბლებულ ადამიანობას ამაღლებს. ჯვარი მაღლდება და აძრწუნებს ეშმაკების გალაღებულ კუნტრუშს. ჯვარი მაღლდება, მოწინააღმდეგე ძალა სატანისა გაურბის მას და დაჭრილი ეცემა ძირს; ჯვარი მაღლდება და კრებული ზეიმობს; ჯვარი მაღლდება და ქალაქები დღესასწაულობენ, ხალხი კი სიხარულით მოიჩქარის; რადგანაც ჯვრის მხოლოდ ხსენებაც კი სიხარულის მიზეზად იქცევა, მის განრიდებას კი მწუხარება მოსდევს; და რას მოგვიტანს ჯვრის ხილვა? ეს სანახაობა მნახველისათვის მხნეობის მომნიჭებელი და შიშის განმდევნელი შეიქმნება.

ასე მნიშვნელოვანია მონაპოვარი ჯვარი! მის მომპოვებელს მოუპოვებია დიდი საუნჯე! მონაპოვარს რომ ვამბობ, ნუ გეგონებათ, თითქოს ოქროს, მარგალიტს ან ინდურ ძვირფას ქვებს ვგულისხმობდე, ამაოებას ადევნებულ მიწიერ კაცს სიხარულით რომ ავსებს. მე უმჯობესად და უძვირფასესად, როგორც ღირებულების, ისე სახელის მიხედვით, საუნჯედ მივიჩნევ ჯვარს, რომელზეც, რომლისგანაც და რომლისადმიც მყარად აშენდა და აღიმართა ჩვენი ცხოვრების საწყისი. რადგანაც ჯვარი რომ არა, ქრისტე ვერ იქნებოდა ჯვარცმული; ვერც სიცოცხ-

*ტექსტი ძველქართულად იხ. გვ. 586.

ლე მიელურსმებოდა ხეზე; ვერც გვერდიდან გადმოედინებოდა ჩვენთვის სისხლი და წყალი და გაუხრწნელი ნაკადებით ვერ განწმენდდა ქვეყნიერებას; ვერც ცოდვის ხელწერილი დაიხეოდა; ვერც თავისუფლებას მივაღწევდით; ვერც ცხოვრების ხე მოგვეცემოდა; ვერც სამოთხე გაიღებოდა და ედემის კარიბჭეში შემავლებს ვერ აგვცდებოდა მბრუნავი მახვილი; ვერც ავაზაკი გახდებოდა სამოთხის მოსახლე.

ანდა, რას ვამბობ? რომ არა ჯვარი, ვერც ქრისტე იქნებოდა დედამიწაზე, ვერც — ქალწული, ვერც ქრისტეს შობა; ვერც ღმერთი იქნებოდა ქალწულის წიაღში, ვერც განკაცდებოდა, ვერც იშობოდა, ვერც ბაგა იქნებოდა, ვერც ჩვრები, ვერც მისი წინადაცვეთა შობიდან მერვე დღეს, ვერც მშობლებისადამი მისი მორჩილება, ვერც ასაკის მატება, ვერც ხორციელი გაზრდა მისი, ვერც ღვთის განცხადება და ვერც ნათლისღების მიღება მისგან; ვერც სასწაულების ჩვენება იქნებოდა, ვერც მოღალატე იუდა, ვერც ურიების ძახილი, რომ იგი, უდანაშაულო, გაეკრათ ჯვარზე; ჯვარი რომ არა, სიკვდილი ვერ დაითრგუნებოდა, ვერც ჯოჯოხეთი განიძარცვებოდა, ვერც ის მწარე გველი მოიკვლებოდა.

ამიტომაც ჯვარი დიდი და რჩეული მონაპოვარია! დიდი იმის გამო, რომ მისი საშუალებით გამოვლინდა უდიდესი წყალობა; მით უფრო დიდია, რომ ქრისტეს სასწაულებმა და ტანჯვამ მთელ სამყაროზე გაიმარჯვა; ხოლო რჩეულია იგი იმიტომ, რომ ქრისტეს წამებისა და გამარჯვების სახეა: რადგანაც მან თავისი ნებით იგემა მასზე სიკვდილი; და მძლეველია იგი, რადგანაც მან დააწყლულა ეშმაკი, მან დაძლია სიკვდილი და დაამსხვრია ჯოჯოხეთის კლიტეები. და საბოლოოდ: ჯვარი მთელი სამყაროს მაცხონებელი იარაღია.

ჯვარი ქრისტიანების იმედია; განწირულების გადარჩენაა; ღელვაში მოხვედრილთა ნავსადგომია; ავადმყოფების მკურნალია; ვნებების გამდევნელია; ჯანმრთელობის მომცემია; მკვდრების ცხონებაა; კეთილმსახურების განმსაზღვრავია; ღვთისმგმობების ამლაგმავია; ჯვარი მტერზე მისასვლელი იარაღია; მეფეების სკიპტრაა; სიკეთის შარავანდედია; დაუწერელი

რჯულია; ძლიერების კვერთხია; სარწმუნოების სიმტკიცეა; სიბერეში მოსახმარი არგანია; ბრმათა წინამძღვარია, ბნელის განმანათლებელია; უგონოების მასწავლებელია; ჩვილების მოძღვარია; ცოდვების მოკვდინებაა; სინანულის გამოვლინებაა; სიმართლის გახმიანებაა.

ჯვარი ზეცაში ამყვანი კიბეა; სათნოებებისადმი მიმზიდველია; ცხონების მიმნიჭებელია; სიკვდილის მკვლელია; ხრწნილებისგან გაუცხოებაა; ცეცხლის დაშრეტაა; გაბედულებაა ღვთის წინაშე; ცათა სასუფევლის კლიტეა.

ჯვარი დამცველია ღამით; დღისით ციხე-გალავანია; სიბნელეში ხელის შემშველებელია მარჯვედ სვლისათვის; სავედრებელია, მეგობარია, ვექილია, ფარია, შეწევნის შემძლეა, ჭირის გამრიდებელია; მწუხარებისას მომკითხავია, ცუდ ამბავში დამხმარეა; ზღვაში მცურავთათვის გზის წარმმართველია; განსაცდელში მშველელია.

ჯვარი მხიარულების ამლაგმველია; მწუხარების ნუგეშისცემაა; ჯვარი იცავს მძინარეებს ღამით; მღვიძარეებთან ერთად ფხიზლობს; მშრომელების თანამშრომელია; ტვირთით დამძიმებულთა სიმსუბუქეა; ჯვარი დაუძლურებულთა ხსნაა, დაღლილთა დასვენებაა; მშიერთა საკვებია; მმარხველების ძალაა; მოღვაწეთათათვის სათნოებების მიმნიჭებელია; შიშველთა სამოსია; მოგზაურთა თანამოგზაურია; მდიდრების ჭკუის მასწავლებელია; უპოვარებზე მზრუნველია; ობლების ხელის გამმართავია; ჯვარი მთავრების პატივია, მეფეების ძალაა, მხედართმთავართა გამმარჯვებელია, მღვდლების დიდებაა, მონაზვნების შემწეა, ქალწულებთან ერთად მყოფია, სიწმინდის ბეჭედია, მეუღლეობის შემაკავშირებელია.

ჯვარი ქალაქების დამცველია, სახლების სიმყარეა, მეგობრობის მაკავშირებელია, მტრებზე შურისმაძიებელია, მოწინააღმდეგის წინააღმდგომია, წარმართების მდევნელია, ბარბაროსთა მჩხვლეტია, მშვიდობის პირობაა; ჯვარი სიყვარულის მეფეა, სამყაროს დამამშვიდებელი; საზღვრების დამსაზღვრელი, ცის სიმაღლე, მიწის სიღრმე, შენებულის სიმყარე, ყოველივე ხილულის სივრცელე და აშენებულის სიგრძე. მოკლედ

რომ ვთქვათ: ჯვარი ქრისტეს ვნების თავია, ჩვენთვის აღსრულებული სასწაულების მწვერვალია.

ამიტომაც ეწოდება ჯვარს დიდება ქრისტესი და ამიტომ ჰქვია მას სიმაღლე ქრისტესი. ამიტომაცაა, რომ საამო სასმელად იცნობა იგი და ქრისტეს ვნება მასზე აღესრულა; და რომ ნამდვილად ქრისტეს დიდებაა ჯვარი, ეს მისი სიტყვებიდანაც გაიგე: „აწ იდიდა ძე კაცისა, და ღმერთი იდიდა მის მიერ ... და ადიდებს მას მალე“ (იოანე 13, 31-32); და კვლავ: „ახლა კი შენ განმადიდე, მამაო, იმავ დიდებით, შენთან რომ მქონდა ქვეყნის შექმნამდე“ (იოანე 17, 5) და კვლავ: „მამაო, განადიდე შენი სახელი! და გაისმა ხმა ზეცით: განვადიდე და კვლავაც ვადიდებ!“ (იოანე 12, 28). აქ იგი იმ დიდებაზე ამბობს, რომელიც მის ჯვარს ახლავს — ანუ სტიქიების ცვალებადობასა და ბუნების მისდამი თანაგრძნობაზე ლაპარაკობს. რადგანაც დაბადებულებს უნდა თანაეგრძნოთ დამბადებლისთვის!

და რომ ჯვარი ქრისტეს სიმაღლეს წარმოადგენს, ნახე, რას ამბობს ამაზე თავად უფალი: „და როცა ავმაღლდები ქვეყნით, ყველას ავიტაცებ ჩემთან“ (იოანე 12, 32), რასაც სხვაგანაც იმეორებს: „და როგორც მოსემ აღმართა გველი უდაბნოში, ასევე უნდა აღიმართოს ძეც კაცისა“ (იოანე 11, 26). რისთვის? რათა არავინ, ვისაც მისდამი რწმენა ექნება, კი არ დაიღუპოს, არამედ საუკუნო სიცოცხლე მოიპოვოს

ხომ ხედავ, რად არის ჯვარი ქრისტეს დიდება და სიმაღლე?

უნდა იცოდე, რომ სადაც სიმაღლეა, იქ დიდებაცაა. უსმინე დავითს, რომელიც ამბობს: „ამაღლდი ცათა ზემოთ, ღმერთო, და მთელ ქვეყნიერებას გასწვდეს დიდება შენი“ (ფსალმ. 107, 6). და კვლავ ესაია, ქრისტეს პირით იტყვის: „ახლა აღვდგები, ამბობს უფალი, ახლა ავმაღლდები, ახლა ავიმართები“ (ეს. 33, 10).

და ვინაიდან დიდება სიმაღლეში მდგომარეობს, დღეს კი ჯვარი მაღლდება, ცხადია, რომ იდიდება ქრისტე, რადგანაც თუკი ჯვარი ქრისტეს დიდებაა, მაშინ ჯვრის ამაღლება ქრისტეს ამაღლებაა. მაღლდება ჯვარი დღეს, რათა იდიდოს ქრისტე. და იდიდება იგი იმისთვის, რომ მასთან ერთად ავმაღლდეთ ჩვენც. ჯვარი ამაღლდება და კეთილმსახურთა გონებას აამაღლებს,

განდიდდება ქრისტე და მისი მადიდებლებიც განდიდდებიან.

ჯვარი მაღლდება და ეშმაკების ქედმაღლობას ქვედასცემს; იდიდება ქრისტე და ყოველგვარი ბოროტების საწყისს — გველს შეარცხვენს. ჯვარი მაღლდება და ძირს დაცემულებს წამოაყენებს; იდიდება ქრისტე და ცოდვისგან დამხობილი ადამიანების სირცხვილს დაფარავს. ჯვარი მაღლდება არა მხოლოდ იმის გამო, რომ მასზე ქრისტე ამაღლდა, არამედ იმიტომაც, რომ თავისი გამოცხადებით შეარცხვინა ურიების მზაკვრობა, რადგანაც იგი მიწის ქვეშ იყო დაფარული და იქიდან გამოუჩნდა მორწმუნე მეფეებს არა ისე, რომ მოეტყუებინათ ხალხი ნამდვილის მსგავსი ჯვრით, არამედ საღვთო ძალით მოიძებნა იგი, მხოლოდ რწმენის ძალითა და სიმტკიცით. რადგანაც ჯვარი არის საუნჯე ღვთისა.

რადგანაც, როდესაც ჯვარზე სიკვდილის შემდეგ სიცოცხლისა და სიკვდილის მბრძანებელი მკვდრეთით აღდგა, სირცხვილის მახვილი ჩხვლეტდა ურიებს და სირცხვილს შიში ერთვოდა; შიში იმისა, რომ გადარჩებოდა რაიმე ნიშანი, რომელიც გამოდგებოდა უფლის ვნების ჭეშმარიტების დასამტკიცებლად და ურიების უკუსაგდებად. ამიტომაც იყო, რომ მიწაში ჩაფლეს საუნჯე; ამას ჯვარზე ვამბობ და ყველაფერზე, რაც ჯვართან ერთად იყო: ლურსმნები, ლახვარი და ფიცარი, რომელიც პილატემ მიაჭედებინა ჯვარზე.

ამის შემდეგ, როდესაც ღმერთმა ქრისტიანთა ხელს გადასცა სამეფო კვერთხები და მთელი რომის მპყრობელობა, მაშინ მან კეთილად ინება, რომ გამოეჩინა ჯვარი — სამეფო დედაკაცის ხელით, იმ ქალის ხელით, ვინც სამეფო გონიერებით იყო სავსე და ვისი ძეც მაშინ ქრისტიანებს ხელმწიფებდა. სწორედ ამ ქალმა — ყოველგვარი კაცობრივი ძალისხმევის გარეშე — რადგანაც იგი სამეფო ძალის მფლობელი იყო, ყველაფერი მოიმოქმედა იმისთვის, რომ იუდეველთა მოუთვინიერებელი გულები შეეძრა.

მას შემდეგ, რაც დედოფალმა ამ საოცარი განძის ძიება იწყო, მას მიენიჭა ეს საოცარი საჩუქარი, ანუ მთელ სამყაროზე ამაღლებული უფლის ჯვარი, ჯვარი რომელზედაც აღესრულა მთელი სამყაროს მაცხონებელი ვნება.

სწორედ იმას ვზეიმობთ, რომ უძველესი დროიდან დაფარუ-

ლი სიმდიდრე დღეს გამოაშკარავდა; რომ დამალული განძი მიწის ბრძმედიდან ოქროსავით გამობრწყინდა. რომ ქრისტიანთა მეფობის მიტაცებულმა დროშამ ახლა წარჩინებით გამოანათა; რადგანაც ეშმაკთა ამპარტავნება დაიმხო ჯვრის გამოჩენით; რადგან ხმალი მტრის წინააღმდეგ მიწიდან ამოვიდა, რადგანაც ეკლესიამ დღეს თავისი სამკაული მიიღო; რადგანაც დაკარგული დრაქმა სამეფო მთავრობამ იპოვა.

ეს უფლის ჯვარია, სამეუფო სასწაული, მაცხონებელი იარაღი, სამეფო სიმტკიცე, გამარჯვების მომტანი, ცისა და მიწის შუამდგომელი, მორწმუნეთა მტკიცე კავშირი, სამოციქულო წინამძღოლი, საწინასწარმეტყველო სარკე, მოწამეთა გვირგვინი, ქრისტეს თაყვანისმცემელთა წინდი. რადგანაც, რაკიღა ჯვარი გამოჩნდა თაყვანისიცემება ქრისტე. რადგანაც ჯვარი ნაპოვნია, ძეს მამასთან ერთად ვცემთ თაყვანს; რადგანაც გამოჩნდა ჯვარი, დაცხრნენ ურიები, ელინელები გაიცრიცნენ და ქრისტიანები გაბრწყინდნენ. ჰაერი გაიწმინდა; ნაკერპავი სისხლისგან გავთავისუფლდით და უსისხლო მსახურება ვიგემეთ; რაკი ჯვარი გამოჩნდა, საეშმაკო კმევისაგან გავთავისუფლდით მაშინ, როდესაც სულიერი მირონის სურნელება ვიყნოსეთ.

როდესაც ჯვარი ვიხილეთ, იმ დროიდან ვისწავლეთ, თუ როგორ მოხდა დაუსაბამოსაგან დასაბამისმიერის შექმნა. რაკიღა ჯვარი ვიცანით, მისი საშუალებით ვისწავლეთ სარწმუნოება მამის, ძისა და სულიწმიდისა, ელინელთა ცრუზღაპრები მრავალღმერთიანობის შესახებ უარვყავით და თვალიდან ლიბრი ჩამოვიცილეთ. რადგანაც ბრწყინავს, ამიტომ ვტოვებთ წარმოსახულ იგავთა ჩრდილებს და მადლის მიერ ჭეშმარიტების ნათელს შევურიგდებით. რაკიღა ჯვარი გამოჩნდა, სიკვდილი გაუქმდა, ეშმაკები მიყუჩდნენ, შეიმუსრნენ კერპები — მსხვერპლად სიცოცხლეს რომ იწირავდნენ და ძირიდან მოითხარა საკერპოები. ყველგან ეკლესიებია, საკურთხევლები, ფსალმუნები, ღამით ლოცვა, ღვთისმეტყველება, ნათლისღება, მორწმუნეთა ხმაშეწყობა, წერილის ცოდნა, მიწის არად ჩაგდება და ზეცის მოპოვება, ღვთისკენ მოქცევა.

მრავალსიტყვაობა რისთვისღა მჭირდება, როდესაც ჯვარი

გამოჩნდა, ადამიანები ანგელოზების თანამოქალაქეები არიან, ზეცა მიწიერთა სავალად იქცა, ღმერთი ადამიანთა შორის დაიტია და მათ შორის დადის.

ჰოი, ქრისტეს ჯვარო და ჩუენო უძვირფასესო სიამაყევ! ჰოი, ხეო მრავალსასწაულებრივო, რომელზეც გააკრეს ქრისტე, უკვდავების ნერგო, რომლისგანაც სიცოცხლის მტევანმა ქრისტემ მაცხონებელი სასმელი გვასვა. ჰოი, ჯვარო, რომლის საშუალებითაც დაიხა ცოდვის ხელწერილი და თავისუფლების აღთქმა გამოისახა; ჰოი, ჯვარო, უამრავი სიკეთის საცავო, სამოთხის მომნიჭებელო, სასუფევლის დამამკვიდრებელო, ცოდვებისგან განმათავისუფლებელო და გზის მაჩვენებელო; შენზედ ჯვარცმულმა ქრისტემ შენ უკვდავების ნერგად გაქცია; შენზედ ჯვარცმულმა ქრისტემ ცაში ამავალ კიბედ დაგსახა; შენზედ დაკიდებულმა ქრისტემ კურთხევის მომნიჭებლად მიგიჩნია; შენზედ დალურსმულმა ქრისტემ ყველაზე აღმატებულად ჩაგთვალა; როდესაც შენზე ამაღლდა ქრისტე, ეს ქვეყანა თავისთან ერთად აამაღლა; როდესაც ჩვენთვის ამაღლდა ქრისტე შენზე, მაშინ გველი, ოდესღაც ამაღლებული, დამცირდა და გზაზე აღარ გველოდება დასაგესლად ჩასაფრებული (დაბ. 49, 17). აღარც რკინის გველი განკურნავს თვალით შეხედვით გველის ნაკბენს (რიცხვ. 21, 8); აღარაა დაწყევლილი ყველა ჯვარცმული (2 რჯულ. 2, 23); ყველა, ვისაც ჯვარზე გააკრავენ, აღარაა წყეული... როგორ და რანაირად? რადგანაც კურთხეულის ძემ, იესო ქრისტემ, წყევლა კურთხევად შეცვალა. დაწყევლილი აღარ არის ჯვარი, რადგანაც წყევლა მიელურსმა ჯვარზე. წყევლა ქრისტემ მოსპო და იგი კურთხევად შეგვიცვალა.

ეს უფლის ჯვარი ჩვენთვის ყოველგვარი სიკეთის მომტანია. მეუფის ამ ჯვარს მრავალი სახელი ეწოდება. რადგანაც ჯვარს უწოდებენ სიმართლის კვერთხს, მეფობის კვერთხს და ძლიერების კვერთხს. „ტახტი შენი, ღმერთო, უკუნითი უკუნისამდეა, სიმართლის კვერთხია კვერთხი შენი მეუფებისა“ (ფსალმ. 44, 7). „კვერთხს შენი ძალისას გამოგიგზავნის უფალი სიონიდან; იბატონე შენს მტერთა შორის“ (ფსალმ. 109, 2) ეწოდება არგანიც (დასაყრდნობი ძელი): „ბოროტისა არ მეშინია,

რადგან შენა ხარ ჩემთან; მანუგეშებენ შენი კვერთხი და შენი საყრდენი“ (ფსალმ. 22, 4); სიცოცხლის ხე, ამბობს, „იქნება წყლის ნაკადებთან დანერგილ ხესავით, თავის დროზე რომ იძლევა ნაყოფს და არ დაჭკნება ფოთოლი მისი. და ყოველივეში, რასაც იქმს, წარმატებულია“ (ფსალმ. 1, 3), რომელ წყლებთან? ღვთივსულიერ წყლებთან.

კვარცხლბეკია იგი: „აღამაღლეთ უფალი ღმერთი ჩვენი და თაყვანი ეცით მის ფეხთა საყრდენს — წმიდაა იგი“ (ფსალმ. 98, 5). ადგილია: „იქ აღმოვაცენებ დავითის ღირსებას, გავამზადებ, სინათლეს ჩემი ცხებულისათვის.“ (ფსალმ. 131, 7); „თუ მივცე ძილი ჩემს თვალებს და რული ჩემს წამწამებს, ვიდრე ვიპოვიდე ადგილს უფლისათვის, სადგომებს იაკობის ძლიერისთვის“ (ფსალმ. 131, 4-5).

ჯვრის საწინასწარმეტყველოდ ოდესღაც იაკობ მამამთავარმა ჯვარედინად დააწყო ხელები თავზე თავის ძის შვილებს და ამით იგავურად გამოსახა მომავალი. მანვე კვერთხის წვერზე თაყვანისცა იოსებს (დაბ. 48, 14-15). ჯვრის მომასწავებელი იყო ამავე იაკობ მამამთავრის კვერთხი, რომლითაც გადალახა იორდანე (დაბ. 32, 10), მცირე ხნით უფრო ადრე ჯვრის სასწაული აჩვენა აბრაამმა ვერძის რქებს შორის გამოსახული, როდესაც მსხვერპლის სახით ჯვარცმულის საიდუმლოს მოსასწავებლად ცხვარს სწირავდა. ჯვრის სახეს გამოხატავდა ისააკიც, სამსხვერპლო შეშა რომ მიჰქონდა და მამამისს უშიშრად მიჰყვებოდა დასაკლავად.

ჯვრის ძალა მოსდევდა მოსეს კვერთხს, როდესაც გველად გადაიქცა, ეგვიპტელთა კვერთხებს ფერი ეცვალა და შთაინთქნენ მისგან (გამოსლვ. 7, 12); მდინარეები სისხლის ნაკადულებად აქცია, რომ შეუძლებელი გამხდარიყო მათი დალევა; და ოდესღაც ბაყაყები აღმოაცენა წყლიდან; ოდესღაც კალია და ბუზი მიუსია და მუმლით დააბნელა და ხელით აძებნინა გამყოლები; ასე გაამრავლა მან ეგვიპტის განსაცდელები.

ჯვრის წინასახე იყო მოსეს კვერთხი, როდესაც მეწამული ზღვის სიღრმეში ორსავ მხარეს კედელივით აღმართა წყალი და გზა მისცა თავის ერს (გამოსლვ. 14, 21). ჯვრის წინასახე იყო

ცეცხლის სვეტი და ღრუბელი, რომლითაც ღმერთი უძღოდა უდაბნოში გზააბნეულ და ლტოლვილ ისრაელს (გამოსლვ. 13, 21).

ჯვრის სახე იცავდა თავად მოსეს მთაზე, როდესაც მაღლა ააპყრო ხელები, — როდესაც ისუ უცხოტომელ ამალეკს ებრძოდა, — თავად მოსე აარონს და ორს ეყრდნობოდა, ისრაელს კი აძლიერებდა (გამოსლვ. 17, 9).

ჯვრის წინასახე იყო ის კვერთხი, უდაბნოში წყალზე რომ დაიკრა და მდინარე აღმოაცენა. ანდა ის კვერთხი განედლებული, განა ჯვარს არ გამოსახავდა?

აღარას ვამბობ ანგეაზე, ჯვარზე რომ დაჰკიდეს და სისარაზე პალოთი რომ გახვრიტეს, რაც ჯვრის წინასახეს გააცხადებდა. ელიას მოსასხამსაც ჩვენ ჯვრის ძალის წინაგანმცხადებლად მივიჩნევთ. როდესაც იორდანეს წყალი შუაზე გაყო და მასზე ხმელეთივით გაიარა. ან რა ადგილი მივუჩინოთ ელისეს სასწაულს, რომელმაც წყალში ხის ჩადებით მდინარის სიღმიდან ამოიღო რკინა ისე, თითქოს მსუბუქი რამ ყოფილიყო (4 მეფ. 6, 6)? ჭეშმარიტად დიდია ჯვარი და მრავალგზის დამტკიცებული წმინდა წერილის მიერ, გინდ წინასახეებით მოსწავებული და გინდაც სასწაულების საშუალებით წინასწარმაუწყებელი სხვადასხვა ხატებისა.

თაყვანისცემას იმსახურებს ჯვარი, რადგანაც მისი საშუალებით შევიცანით ქრისტე. თაყვანისცემას იმსახურებს ჯვარი, რადგანაც მასზე ვაკურთხევთ ქრისტეს. თაყვანისცემას იმსახურებს ჯვარი, რადგანაც მისგან კურთხევა მოგვეცა და წყევლისაგან გავთავისუფლდით. თაყვანისცემას იმსახურებს ჯვარი, რადგანაც ურჩობით მიღებული ხის ნაყოფის უკან გადმონთხევის შემდეგ ცხოვრების სიტკბო ვიგრძენით.

იკურთხება ხე, რომლისგან იკურთხნენ წარმართები. და რაც ამაზე კიდევ უფრო საოცარი სანახავია: ღმერთია ჯვარცმული და ჯვარცმულია იგი ავაზაკთა შორის.

იკურთხება ხე, რომელმაც ავაზაკი სამოთხეში დაამკვიდრა და ხის გემომ ის მწარე გემო გააქარვა. და ყველაზე საკვირველი ისაა, რომ კარი, რომელიც ადამმა თავისი დაცემით დაგმანა, ავაზაკმა გააღო. და საიდანაც განიდევნა ადამი, ავაზაკი

იმის მორჩილ მოქალაქედ დაიწერა. ვაშა, ამ ცვლილებათა შესაბამისობას! გავიდა ქურდი და მის ნაცვლად ქურდი შევიდა. პირველი დარღვევისთვის, მეორე შემეცნებისთვის. პირველი მათგანი ბრალდებულია მაცდუნებელთან ერთად, მეორე კი დამბადებელთან ერთად ეცვა ჯვარს.

იკურთხება ხე, რომლისგანაც აიგო კიდობანი, რომელიც საღვთისმეტყველო აზრით, სამყაროს წარღვნისაგან გადაარჩენს. იკურთხება ხე, რომლის ჭამითაც ავაზაკი შვებას ეღირსა.

იკურთხება ძელი, რომლის გემო არ ჰქონდა გასინჯული ადამს და ცნობადის ხის ნაყოფის გემოს გასინჯვა მოინდომა; და როდესაც თვითნებულად შეეხო ცნობადი ხის ნაყოფს, სანაცვლოდ სიკვდილი მიიღო, ამის შემდეგ კი როდესაც შეინანა, კვლავ გამოიწვიეს იგი ჯოჯოხეთისგან.

იკურთხება ძელი, რომლისგან მშვილდების განადგურებული ძალები ძრწიან და ფარები ცეცხლით გაილევიან.

იკურთხება ძელი, რომლისგან მეფეები გამარჯვებას მოიპოვებენ, მხედართმთავრები ამარცხებენ მტერს და იარაღის ასხმით ბარბაროსების სიმრავლეს შეამცირებენ.

იკურთხება ძელი, რომელიც მოდრეკს ამპარტავან მკლავს, დაამდაბლებს მტრის ქედს; ზურგს აქცევენ მათ ბარბაროსები და ისე, რომ არც სდევნის ვინმე, გარბიან სკვითები.

ვინც დღეს ჩემთან ერთად ღაღადებთ, ვთქვათ მაღალი ხმით წერილის სიტყვები, ჯვარს, ამ განძს მივმართოთ: „ყოველი ხალხი, შენ მიერ შექმნილი, მოვა და მუხლს მოიდრეკს შენს წინაშე, უფალო, და განადიდებს შენს სახელს. რადგან დიდი და სასწაულთმოქმედი ხარ, შენ ხარ ღმერთი ერთადერთი“ (ფსალმ. 85, 9-10). დიდება შენის მას უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

წმინდა და ნეტარი მამის, ანდრია იერუსალიმელის, კრიტელი მთავარეპისკოპოსის სიტყვა პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის ამაღლებაზე*

გვაკურთხე, მამაო!

დღეს, საყვარელნო, დაირის მსგავსად ამღერდით და ფსალმუნები აამაღლეთ, ქნარები დაუკარით (ფსალმ. 80, 3), უგალობეთ ღმერთს, ჩვენს მეუფეს, გონიერად უგალობეთ (ფსალმ. 46, 7)! ვუგალობოთ ჯვრის ამაღლების დიდებულებას; ყველას დავანახოთ, რამდენჯერ მოგვესწავა ჯვრის ამაღლება წმინდა წერილში, რათა ამით შევიცნოთ, რამდენად მშვენიერი და დიდებულია ჯვარი და რამდენად აღემატება მისი ამაღლება ყოველგვარ სიკეთეს. ამასთანავე, ისიც გავაცნობიეროთ, რომ ღვთის წმინდა ეკლესიას ტყუილუბრალოდ არ დაუწესებია საყოველთაოდ მისი ამაღლების დღე. რადგანაც დღეს ამაღლდება მიწიდან ამობრძანებული ჯვარი, რომელიც მანამდე შურის გამო იყო დაფარული მიწაში. ამაღლდება ის არა იმისთვის, რომ დიდება მოიპოვოს (რადგანაც იმაზე მეტი დიდების მოხვეჭა, რაც ქრისტეს მასზე მიმსჭვალვით უკვე მოიპოვა, შეუძლებელია), არამედ იმისთვის, რომ განდიდდეს მასზე თაყვანცემული და ნაქადაგები ღმერთი. მაღლდება ჯვარი, რათა აამაღლოს ქრისტიანები და მტრის ამპარტავნობა დაამცროს.

მაღლდება ჯვარი, რათა ჯერ შეკრას ეშმაკის ძლიერება და შემდეგ კი დაიბრუნოს ჩვენგან მიტაცებული განძი.

მაღლდება ჯვარი, რათა ურიების ძლიერმა შურმა შედეგი ვერ გამოიღოს და აქამდე გაუჩინარებული განძი დაფარული არ დარჩეს. რათა მიწამ არ დაფაროს მარგალიტი, რათა ყველამ შეიცნოს ზეამაღლებული საუნჯე, რომელსაც ყველას განწმენდა შეუძლია და გვიბოძოს ის მარგალიტი, რომელიც თავად ჯვარმცმელებმა უნებრად გააცხადეს ყველას წინაშე. რადგანაც ამ საბრალოთა დიდი მცდელობის მიუხედავად, მისი ბოლომდე გაუჩინარება შეუძლებელი შეიქმნა, ისინი კი საკუთარმა ბოროტებამ

*ტექსტი ძველქართულად იხ. გვ. 597.

ამხილა, ის სამუდამოდ კი არ დაიმალა, არამედ როგორც ჩვენი, ისე მათი მხედველობის არიდან დროებით გაუჩინარდა.

ნახეთ, როგორ მოქმედებს ღმერთი, რომელმაც თავისი ნებითა და ძალით მიწის წიაღში დამალა გადარჩენა და ცხონება?! როგორც უკვე ვახსენეთ, ამ სამეფო ქალაქში თანდათან ძლიერდებოდა ჯვრის პოვნის სურვილი, რაც ჭეშმარიტების მტრებს, ვინც ამ საუფლო ნიშანს მალავდა, შიშს გვრიდა და ცხოვრებისგან მათ გაძევებას მოასწავებდა. როდესაც მათ ნახეს, რომ გარდაუვალი იყო მისი მოძებნა და პოვნა, ის, რაც განზრახ იყო დაფარული, უნებურად გამოაჩინეს და რის გაკეთებასაც არასოდეს ისურვებდნენ, სწორედ ის ქნეს, რადგანაც მიუთითეს ის ადგილი, სადაც ეს უძვირფასესი განძი და სამეფო გამარჯვების ნიშანი ინახებოდა.

ისე ამოაბრწყინეს ჯვარი მიწიდან, როგორც სხვა სამყაროდან ამომავალი; მზესავით ანათებდა მისი სამეფო შარავანდედი. ღრმა მიწიდან ამობრწყინდა სამეფო დიდება, რომელმაც შეძრა ქვესკნელის საძირკველი და დაამსხვრია ჯოჯოხეთის კლიტეები, რათა ძალით მიტაცებული სულები მთელი ძლიერებით უკან გადმოენთხია. როგორც პატარძალი სიძესთან შესახვედრად, ისე გამოვიდა უფლის ჯვარი მიწის კუბოდან, ჯვარი, რომლის ძლიერებითაც ქრისტეზე მითხოვებული წარმართების ეკლესია ელინების უღმერთობისაგან გათავისუფლდა.

გამოჩნდა მორწმუნეთაგან შეცნობილი მარგალიტი, რათა უხვი სინათლის მიმფენად იქცეს იგი ქრისტეს გვირგვინზე, ბრწყინვალებას რომ ასხივებს. მოვიდა ეკლესიის ეს სამკაული — უფლის ჯვარი — რათა მიწაზე არსებული ყველა ქმნილება გააბრწყინოს. მიწის საპყრობილიდან გაათავისუფლა უდანაშაულოდ დატყვევებული, რათა დამნაშავე ტყვეები მიწაში (სამუდამო) სიკვდილს გადაარჩინოს. შესაკრავები შემოეხსნა მას, ვისაც ვერ შეკრავს ნივთი (მატერია), რათა ცოდვისაგან შებორკილები გაათავისუფლოს. ამოვიდა წყვდიადში ჩაფლული სამყოფლიდან მეუფის დაუშრეტელი ლამპარი, რათა მან უცოდინრობის ღამე დაასრულოს და ცოდნის ნათელი გამოაბრწყინოს.

ამ დიდი წყალობისათვის ჯვართან ერთად ხარობს ქრისტეს

ეკლესიაც, რადგანაც მას თავისი მანტია წამოუსხამს და მისით დაუფარავს თავისი სარძლოს სილამაზე და გაამშვენიერებს დღესასწაულს. უკვე საკმარისად შეკრებილა ერიც ქრისტეს ჯვრის სანახავად და მასზე ქრისტეს მიმსჭვალვის შესაგრძნობად. და როდესაც ამას ნახავს, გაიხარებს, და როდესაც გაიხარებს, თაყვანს სცემს. ქრისტეს ჯვარი იმისთვის გამოჩნდა, რომ ამაღლდეს და იმისთვის ამაღლდება, რომ ყველას წინაშე გამოცხადდეს.

ვინ არის ის ან რად იქცა? თავდაპირველად მცირე ადგილას იყო გაუჩინარებული, ახლა კი ყველაგან თაყვანიცემება იგი. ამას ვდღესასწაულობთ დღეს, ამისთვისაა, რომ ხალხი შევკრიბეთ. ჯვარია ამჟამინდელი დღესასწაულის სათავე და მიზეზი. ესაა საიდუმლოს გამოცხადება.

ასე რომ, მოვიდეთ და ვნახოთ ჯვრის ამაღლება, რაც თავის დროზე წერილმაც დაგვიდასტურა. ასეთი იყო შენთვის დანაპირები, რომ თავდაპირველად ღვთის სიტყვამ — წერილის თანახმად — დაფარა იგი ჩვენგან, შემდეგ კი მიწის სიღრმეში დაფარული ცხოვრების ხე უნდა ამაღლებულიყო, რათა, როგორც მთაზე დაშენებული ქალაქი და როგორც სასანთლეზე დანთებული სანთელი, ყველას დასანახად გამოჩენილიყო. ამიტომაც საჭირო იყო, რომ იმთავითვე — ქრისტიანი მეფეების გამეფებისთანავე — მთელი ეკლესიის საჭვრეტად გაცხადებულიყო და ქვეყნის ოთხივე კიდიდან დასანახად ზეასულიყო, მორწმუნეთა სადღესასწაულოდ ყველას თვალწინ გამოჩენილიყო.

სწორედ ამაში მდგომარეობს ამ დღესასწაულის შინაარსი, რომელსაც დღემდე ასრულებენ ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და სამღვდელოება: ისინი ტაძრებში აღავლენენ დღესასწაულს, მრავალგზის აამაღლებენ ჯვარს და მთელი ერის დასანახად ადიდებენ და უგალობენ მას და ამბობენ: აი, მაცხოვრის დაფარული განძი გამოჩნდა! აი, ის ბეჭედი (ნიშანი), რომელიც ჩვენ მოგვენიჭა! აი, ჯვარი, რომლითაც ჯვარცმული გავიცანით! აი, რქა, „მისით დავანარცხებთ ჩვენს მტრებს“ (ფსალმ. 43, 6) — როგორც ამბობს წინასწარმეტყველი. ჯვრის წყალობით ბრძოლისას მტრის მახეს გადავურჩებით; ჯვრის ძალით ბავშვების

ხელით ნასროლ ისრებად გვეჩვენება ეშმაკისაგან მოგვრილი წყლულები; აი, დღეს ჩვენს მაცხონებელს ვხედავთ ჯვარზე დაკიდებულს, ამიტომაც ყური ვუგდოთ წინასწარმეტყველს, რომელიც ამბობს: ხმამაღლა იღაღადეთ და ნუ შეშინდებით, „აღამაღლეთ უფალი ღმერთი ჩვენი და თაყვანი ეცით მის ფეხთა საყრდენს — წმიდაა იგი“ (ფსალმ. 98, 5). დავითთან ერთად ვიგალობოთ დავითისავე გალობა: „ამაღლდი ცათა ზემოთ, ღმერთო, და მთელ ქვეყნიერებას გასწვდეს დიდება შენი“ (ფსალმ. 107, 6), „ამაღლდი, მსაჯულო ქვეყნიერებისა, მიუზღე საზღაური“ (ფსალმ. 93, 2), „გააძლიერე ხელი შენი, მოამაღლე მარჯვენა შენი“ (ფსალმ. 88, 14), „აღსდექ, უფალო ღმერთო, აღმართე ხელი, ნუ დაივიწყებ ჩაგრულებს. არამედ შენი სურვილისამებრ ავმაღლდებით ჩვენ“.

მოდით და წმინდა წერილის სამოთხეში შევიდეთ, დროის შესაბამისი სიტყვა მოვკრიფოთ ნაყოფად, წინამძღვარად გვყავდეს წინასწარმეტყველები, რომლებიც წინასწარ მოასწავებდნენ ჯვრის ამაღლებას. პირველ ყოვლისა კი ღვთის მსახური და ისრაელის რჯულისმდებელი მოსე მოვიხმოთ, რომელმაც რკინის გველი აამაღლა (რიცხვ. 21, 9); აამაღლა არა მის სადიდებლად, არამედ, გასაცამტვერებლად. მისი გესლი სიავეს ნიშნავს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბოროტებას კვლავ ბოროტება მოაქვს. რკინის გველი ამაღლდა არა როგორც ჯვრის სახე, ანდა მისი სიმბოლო, არამედ — როგორც მისი არსის საწინააღმდეგო, როგორც სიმბოლო-ნიშანი, იგავურად კვლავ იგავზე რომ მიგვანიშნებს.

ოდესღაც თავად მანაც — მოსემ — ჯვარცმული ქრისტეს გამოსახატად აამაღლა თავისი ხელები და ამ ჯვარის ამაღლება აჩვენა.

„მზეო, დადექ გაბაონის თავზე, და, მთვარევ, აიალონის ველზე!“ (ისო 10, 12), — ამას ლოცულობდა ამალეკის მძლეველი ისო. ამით მარტო ჯვარცმის დღეს კი არ მოასწავებდა, ანუ იმ დღეს, როდესაც მნათობების დაფარვამ წყვდიადი მიჰფინა; მხოლოდ ამ დღის რწმენისთვის როდი აამაღლა მან თავისი მკლავი მტერზე, არამედ იმისთვისაც, რომ წინასწარ მოასწავოს ჯვრის

ამაღლებაც და ამ ჯვარზე სიმართლის მზის ასვლა წინდაწინ გვაუწყოს.

აბრაამიც ამ საიდუმლო შესაწირავის ნიშნად სწირავდა მსხვერპლს; თუმცა მაშინვე დაიჯერა ზეციდან მომავალი ხმა, როდესაც ნერგზე დაკიდებული ვერძი ნახა; ეს ვერძი დაკლა იმ მთის მაღალ მწვერვალზე (შესაქმ. 22, 3-13) დიდებით ამაღლებული ჯვრის ნიშნად და მის წინასწარ მომასწავებლად.

ოდესმე აზარიანებმაც (სამმა ყრმამაც) ხელები ზეაღმართეს, როდესაც ბაბილონში, ცეცხლის ბრძმედში ლოცულობდნენ; ამაღლებული ხელის ნიშანმა ჩააქრობინა მათ ამაღლებული ცეცხლი. ამ ამაღლებული ხელებით კი ისინი ჯვრის ამაღლებას გამოხატავდნენ.

ერთ დროს იონამაც ჯვრის სახედ აღმართა ხელები და როგორც კი ხელები აამაღლა, მაშინ მიენიჭა ძალა და მხეცის მუცლიდან უვნებლად გამოვიდა.

ოდესღაც ივდითმაც აღმართა მახვილი მძინარე ოლოფორნეს თავზე და როგორც კი ჯვრის ამაღლება მოასწავა, ისრაელის გადარჩენაც აღესრულა.

ოდესღაც ლომებით სავსე მღვიმეში ღვთის სადიდებლად აამაღლა ხმა დანიელმა და ამით წინასწარ გამოსახა ჯვრის ამაღლება. საკვები კი მას ამბაკუმ წინასწარმეტყველმა მიუტანა, რომელიც თავისი თმით ზეაიტაცა (აამაღლა) ანგელოზმა.

იერემიაზე რაღა გვეთქმის?! იგი ქრისტეს მკვლელების პირით ამბობდა: მოვსპოთ ხე, ვიდრე ნედლიაო, ამოვძირკვოთ ცოცხალთა ქვეყნიდან, რომ აღარ იხსენიებოდესო მისი სახელი (იერ. 11, 19).

ანდა, რა სურს ესაიას, რომელიც ამგვარადვე ლაპარაკობს, რომელმაც ოდესღაც გვითხრა: „კრავივით დასაკლავად მიიყვანეს და, როგორც ცხვარი დუმს მპარსველთა წინაშე, მასაც არ დაუძრავს ბაგე. საპყრობილედან და სამსჯავროდან იქნა წაყვანილი და ვინ იფიქრებდა მის მოდგმაზე, როცა ცოცხალთა მიწიდან მოიკვეთა?“ (ეს. 53, 7-8) ასევე მან ესეც თქვა: „მრავალთა ცოდვები ჰქონდა ტვირთად“ (იქვე, 12). სად იტვირთა მან ეს ცოდვები? ცხადია, რომ ხის ჯვარზე, რომელზედაც მათ

აამაღლეს ეს ცხოვრების პური (ქრისტე). რადგანაც თუ მას სიმაღლეზე არ აიყვანდნენ, მაშინ ასე აშკარად ვერ მოასწავებდა ამჟამიდნელ ამაღლებას ჯვარისას. რადგანაც ცხვრის დასაკლავად მიყვანაც და მთელი სამყაროს ცოდვების ჯვარზე მილურსმვაც ჯვრის ამაღლების წინასწარი გამოხატულება იყო.

სხვაც ბევრი რამ არის დაწერილი, რაც ჯვრის ამაღლებას წინასწარ გამოხატავს, მაგრამ ისინი გამოვტოვოთ, რადგანაც ბევრს ჩემი სიტყვები შეიძლება მოყირჭდეს კიდეც. ჩვენ თაყვანი ვცეთ ჯვარზე ამაღლებულ ქრისტეს და განვიცადოთ მისი ძლიერების დიდებულება, ისიც, თუ ჯვრის საშუალებით რამდენი საკვირველება აღესრულა ჩვენს ცხოვრებაში — ღვთის განგებულებით. ამიტომაც ამბობს დავითი: „ჩვენმა, დროის დასაბამადე არსებულმა ღმერთმა, მიწაზე დაამყარა ცხოვრება“. ხოლო რადგანაც მიწაზე და მთელი სამყაროს ცენტრში არსებობს ერთი მწვერვალი, მაშინ ნურვინ დაეჭვდება, რომ წინასწარ იყო განსაზღვრული: როგორც ერთი დიდი ველი, ისე უნდა შემოსაზღვრულიყო მთელი სამყარო და ქვეყნიერების ცენტრში აღმართულიყო მაცხონებელი, რათა როგორც კიდევ ერთი სიმართლის მზე (გარდა არსებული მზისა) ზეციდან გამობრწყინებულიყო და ცასა და მიწას შორის დამყარებულიყო; მიწის ზემოთ გართხმულიყო ხის ჯვარი, რომლის მცხუნვარე შარავანდედი მთელ ქვეყნიერებას ყოველმხრივ მისწვდებოდა. ეს მაცხონებელი ჯვარი ხედ მოჩანს, მაგრამ წერილში მრავალჯერ და მრავალმხრივ წინასწარ არის ნაქადაგები მის შესახებ. მაშ, სხვა რა არის, როდესაც ამბობს დავითი: „მოიმოქმედე ჩემს მიმართ სასწაული“ (ფსალმ. 85, 17) და: „გადმოგვაფინე შუქი შენი სახისა, უფალო!“ (ფსალმ. 4, 6) და: „მიეცი შენს მოშიშებს დროშა ასაფრიალებლად ჭეშმარიტებისათვის“ (ფსალმ. 59, 4)? წმინდა სახარებაში თავად უფალი იტყვის: „მაშინ გამოჩნდება კაცის ძის ნიშანი“ (მათე 24.30); და უფრო ადრე ამბობდა: „უკეთური და მემრუშე მოდგმა სასწაულს ეძებს; მაგრამ სასწაული არ მიეცემა მას, გარდა იონა წინასწარმეტყველის სასწაულისა“ (მათე 12, 39), რაც ჯვარს მოასწავებს.

სიმეონ ღვთის მიმღები (მიმრქმელი), როდესაც აკურთხ-

ევდა ქალწულს (მარიამს) და როდესაც ჩვილი უფალი მკერდზე მიიყრდნო, ეუბნებოდა მას: „აჰა, დგას იგი მრავალთა დამამხობლად და აღმადგინებლად ისრაელში, და ნაწინასწარმეტყველების აღსასრულებლად“ (ლუკა 2, 34). განა ეს, რაც თქვა, ასევე ჯვრის მომასწავებელი არაა?! ჯვარს ეწოდება ასევე „ძალა“, უსმინე დავითს: „შენს ერს გაუცხადე შენი ძალა“ (ფსალმ. 76, 14), ხოლო რადგანაც ის იხსენება ასევე, როგორც „მკლავი“, ამასაც ამბობს: „შენი მარჯვენით გადაარჩინე შენი ერი“ (იქვე, 15) და იმის დასტურად, რომ ქრისტეს ძალა ნამდვილად ჯვარია, უსმინე პავლეს, რომელიც ამბობს: „ჯვრის სიტყვა სიშლეგეა წარწყმედილთათვის, ხოლო ჩვენებრ ხსნილთათვის ძალაა ღვთისა“ (1 კორ. 1, 18).

როდესაც გაიგონებ, თუ როგორ ეუბნება ღმერთი მოსეს: „გავარისხებ ფარაონის გულს“, რათა ამით მას მთელი ჩემი ძალა დავანახოო (გამოსლვ. 4, 21; 7, 3), სრულიად აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში სიტყვა „ძალა“ მოსეს კვერთხის მიერ აღსრულებულ სასწაულებს ეწოდება, რაც ჯვრის წინამომასწავებელი იყო.

ამგვარად, ჩვენ ყოველმხრივ შევიმეცნეთ ჯვრის აღმსარებლობა და ქადაგება. ამიტომაც ვიწვევთ და ვუქადაგებთ მთელ ღვთის მორწმუნე ერს, რომ ყოველმხრივ უნდა ვემსახურებოდეთ და ვეთაყვანებოდეთ ჯვარს, რადგანაც მისი საშუალებით მოექცნენ წარმართები და ყველგან გავრცელდა სარწმუნოება. ჯვარი მიიღეს ქრისტეს მოწაფეებმა და როგორც კეთილი სახნისით, ისე იშრომეს. მათ მთელი სამყაროს უნაყოფობა მორწყეს ეკლესიიდან გამომდინარე წყაროებით და ქრისტეს მიართვეს მოქცეული წარმართების ძნები. ჯვარმა გააძლიერა მოწამეები და ძირს გართხმულებმა მათი მცემელი მტერი ჯვრის იარაღით დაამარცხეს. ჯვრის საშუალებით შეიცნობა ქრისტე, ჯვრის საშუალებით მორწმუნეთა ეკლესია სამუდამოდ გადაშლის თავის წიგნს და თავის თავში დაამკვიდრებს მასვე, ქრისტეს — ღვთის ძეს — თვით ღმერთს. როგორც თავად ღაღადებს და ამბობს კიდეც თავისი უფლის ბაგით: „ვისაც სურს მე მომდიოს, განუდგეს თავის თავს, აიღოს თავისი ჯვარი, და გამომყვეს მე“ (მათე 16, 24).

ჯვრის საშუალებით ყვავის და ყველგან ვრცელდება ქრისტიანობა. ჯვრის საშუალებით ძლიერდება სამეფოები, ქალაქები გამტკიცდება, მოწინააღმდეგე მარცხდება, ბარბაროსთა ამპარტავნობა მთავრდება, მოკლული ისმაელი უჩინარდება; ეშმაკებს მეხი ატყდებათ თავს. რადგანაც ჩვენ იმის საშუალებით და იმისგან გვწამს გადარჩენა, რომელიც არის „კაცის ძის ნიშანი“ (მათე 24, 30) „და ყოველი ხორცი იხილავს მხსნელობას ღმრთისას“ (ლუკა 3, 6). დაე, დაინახონ ურიებმა ჯვარი, რომლზეც განგმირეს მათ ქრისტე; ჩვენ კი, ვინც მისი ნათლით დავდივართ, მასთან ერთად განვდიდდებით, მასთან ერთად ვიქნებით და ანგელოზებთან ერთად სადიდებელს აღვუვლენთ ჩვენს ღმერთს და ყოვლადწმინდა სამებას, რომელსაც როგორც ერთს თაყვანვცემთ: მამასა და ძესა და წმინდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

ალექსანდრე კვიპრელის საკითხავი პატიოსანი და ცხოველსმყოფელი ჯვრის შესახებ, რომლის აღწერასაც მრავალგზის ევედრნენ მას წმინდა მამები*

მამაო, გვაკურთხე!

მივიღე თქვენი ვედრება, წმინდა მამებო, და ძალიან გამიკვირდა, რომ ჩემისთანა გლახაკისა და არად ჩასაგდებისგან ითხოვთ, ჭეშმარიტად აღვწერო, თუ როგორ იპოვეს ძელი ცხოველი და პატიოსანი ჯვარი, რომელზეც უფალი ჩვენი იესო ქრისტე თავისი ნებით ამაღლდა, ეშმაკისა და სიკვდილის ხელმწიფის ძალა დაარღვია და მორწმუნეებს მარადიული ცხოვრება მიანიჭა.

თქვენი ბრძანების შესრულება ჩემს შესაძლებლობაზე მეტად მიმაჩნია და ამ საქმის შედგომის მეშინია, რადგან მხოლოდ თქვენნაირ ბრძენ ადამიანებს შეუძლიათ ამგვარი საქმის დაწყება და გასრულება. მე არ შემისწავლია ფილოსოფოსთა სწავლანი და არც წმინდა წერილი განმიმარტავს, ვინაიდან ჭეშმარიტად უმეცარი ვარ, არა მხოლოდ სიტყვით, არამედ ცოდნით; და მიუხედავად იმისა, რომ უძლურებითა და უგულისხმოებით ვარ სავსე და ჩემი საქმე არ არის ამ საქმის დაწყება, ვიცი, რაც არის ურჩობის ნაყოფი და ამიტომ ვისწრაფვი, თქვენს ბრძანებას დავმორჩილდე.

ახლა, ღვთის შეწევნით, ვეცდები ეს საქმე გავასრულო. დავიწყებ თქვენი ლოცვით და ჩემსას არაფერს ვიტყვი, რადგან უსწავლელი ვარ და უმეცარი, როგორც დასაწისში გითხარით. ღვთის მინდობითა და თქვენი ლოცვით მოგითხრობთ პირველთქმულსა და წინასწარ აღწერილს. მრავალი დამაშვრალა ამის გასაკეთებლად, მაგრამ ზოგმა კეთილად გაასრულა, ზოგმა — პირიქით; ჩვენ კი ვისწრაფვით, ღვთით და გამოცხადებით შორიელს ისე მივეახლოთ, როგორც ახლობელს.

თქვენი ლოცვით, წმინდა მამებო, დავიწყებთ იმის აღწერას, რაც ყველაფერზე დიდია: პირველად ვახსენებთ ძეს მხოლოდ-

*ტექსტი ძველქართულად იხ. გვ.606.

შობილი ღმრთისა, ცხოვრების მომცემელ სიტყვას, რომელიც მამისაგან განცხოველდა, იყო უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, დაუსაბამო და სამარადისო ცხოველ ღმერთთან ერთად; „და არის ბრწყინვალება დიდებისა, მისი არსების ანაბეჭდი“ (ებრ. 1, 3), დაუსაბამო, მიუწვდომელი, საწყისდაუდებელი, ცხოვრება დაუსაბამო ცხოვრებისგან, უკვდავი — უკვდავისაგან აღმოცენებული, რომელმაც სიცოცხლე მიანიჭა ქვეყანას, ხატი ღმრთეებისა, უხილავი, გამოუთქმელი, დაუსაბამო, მსგავსი მამის დიდებისა, რომელმაც შვა იგი, ნათელი მიუწვდომელი ნათლისაგან, ცხოვრების მომცემელი წყარო, ცხოველი მამისაგან აღმოცენებული, ბუნებით სწორი და დიდების ტახტისა და მშობელი მამის თანაზიარი, მიზეზი ყოველი დაბადებულისა — ხილულისა და უხილავისა. ვახსენებთ სულიწმინდას, განმაცხოველებელს, რომელიც მამისაგან გამოდის და ძესთან ერთად იდიდება; ყველაფერი მისგანაა და არარსებობიდან არსებად მოდის, არაფერი იყო, როდესაც იყო სამება ერთი, ღმრთეება მოუკლებელი, შეურეველი და განუყოფელი, ყოვლად დაუსაბამო და სამარადისო.

ამან, ცხოველი ღმრთისა სიტყვამ, დამბადებელმა ყოველისა და ყოვლის შემძლებელმა, მამისა და სულიწმინდის ნებით, ყოველი დაბადებული, ხილული და უხილავი, არაარსისაგან არსებობაში მოიყვანა, ვინაიდან თავისი ღმრთეებრივი ცოდნით იცოდა, თუ როდის, სად და როგორ უნდა მომხდარიყო ეს.

ძალიან დიდი ხანია გასული იმ დროიდან, როდესაც არაფერი იყო, გარდა ღვთისა, სამებით დიდებულისა და ერთარსებად ცნობილისა, რომელიც ჭეშმარიტი ღმრთეებაა.

დამბადებელს თავისთვის არაფერი შეუქმნია, რადგან ღმრთეებას არაფერი სჭირდება; მან თავისი მიუწვდომელი სახიერებით შექმნა ყოველი, სათანადოდ შეამკო ქმნილი, რომელიც მისი სიკეთით ხარობს.

ყველაზე ბოლოს დაბადა კაცი მიწისგან და ჩაბერა მას სული გონიერი. წმინდა წიგნებში ნათქვამია, რომ: „გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი (კაცი) მიწის მტვერისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა და იქცა ადამი ცოცხალ არ-

სებად“ (დაბ. 2, 7). ამით აჩვენებს, რომ სულიწმინდამ მონაწილეობა მიიღო დაბადებაში, როგორც ბრძანებს წინასწარმეტყველი: „უფლის სიტყვით შეიქმნა ზეცა და მისი ბაგეების ქარით — მთელი მისი საკრებულო“ (ფსალმ. 32, 6); და ასევე: „ღვთის სულმა შემქმნა მე და ყოვლადძლიერის სუნთქვამ მომანიჭა სიცოცხლე“ (იობ. 33, 4). ღვთის სულმა თავისი დიდებულებისაებრ დაბადა ყოველი და ამ საქმით მისი ძლიერების ძალი არ დაცარიელებულა. და რა უნდა ვთქვა ღვთის ძალზე, რომელმაც ყოველივე წამისყოფით დაბადა და ნებისაებრ აღასრულა, მსგავსად დავით წინასწარმეტყველის სიტყვებისა: „ყოველივე, რაც უნდოდა უფალს, ქმნა“ (ფსალმ. 63, 3)? ორიგენე ცბიერმა კი იკადრა და თქვა, რომ ღვთის ძლიერება შეიძლება დაილიოს და სხვა მრავალი გმობაც წამოანთხია, რომელთა თხრობაც საძაგელია. საშინელებები თქვა და დაწერა მან ქილიკით თავის წიგნებში და მთელი ქვეყანა გამოუთქმელი სიგიჟით აავსო; სწორედ ამ უგუნური საქმეებისთვის მიიღო სატანჯველი და სასჯელი წმინდა კრებისაგან.

ახლა დავუბრუნდეთ პირველად თქმულს: „დაბადა ღმერთმა კაცი თავის ხატად და მსგავსად და მისცა მათ სამოთხე და ბრძანა: „ხრწნადი საზრდოსთვის ნუკი ზრუნავთ, არამედ იზრუნეთ საზრდოსთვის, რომელიც რჩება საუკუნო სიცოცხლედ, და რომელსაც მოგცემთ ძე კაცისა, ვინაიდან მამა ღმერთმა აღბეჭდა იგი“ (იოანე 6, 27); და ასევე, ცხოვრებაშემოსილი მცნებების დასაცავად, რომელიც დამბადებლისაგან მოგეცათ.

ნუ დამაბრალებთ, რომ სიტყვა გავაგრძელე. ამით მსურს, მოვიხსენო ჯვარი პატიოსანი და ვაჩვენო მისი დიდება, რადგან ყველაფერ დაბადებულში ბრწყინავს ნიში პატიოსანი ჯვრისა.

ახლა გულისხმაყავით და გამოცხადებით იხილეთ, რომ ყოველი დაბადებული, ხილული თუ უხილავი, დამბადებელმა ჯვრის სახედ შექმნა და ჭეშმარიტი სახით გამოაჩინა ნიში ცხოველი ჯვრისა, რომელშიც ყოველივე სიბრძნითაა განგებული.

მე ასე მგონია, რომ პავლე მოციქულმა სწორედ ჯვარზე თქვა: „ქრისტემ რწმენის მეშვეობით დაივანოს თქვენს გულებში, რათა სიყვარულით დამკვიდრებულთ და დაფუძნებულთ, ყველა

წმიდასთან ერთად შეგეძლოთ სიგრძისა თუ სიგანის, სიღრმისა თუ სიმაღლის წვდომა“ (ეფეს. 3, 14-18).

ყოველივე, დამბადებლისგან პატიოსნად დაბადებული, უზეშთაესი სიბრძნით ჯვრის სახედ დაიბადა. ესაია წინასწარმეტყველმა თქვა: „ვიხილე უფალი, მჯდარი ამაღლებულ, ზეამართულ ტახტზე, და მისი კალთები ავსებდა ტაძარს. თავთით სერაფიმები ედგნენ, ექვს-ექვსი ფრთა ესხა თითოეულს; ორით სახეს იფარავდნენ, ორით ფეხებს იფარავდნენ, ორით ფრენდნენ“ (ეს. 6, 1-3). აი, ზეცის ძალებშიც საიდუმლოდ გამოჩნდა ცხოველი ჯვრის სახე, ზეცაში ვარსკვლავებიც ჯვრის სახედ ბრწყინავენ და კაციც ჯვრის სახედაა დაბადებული. ყოველი კაცი, ხელგაშლილი, უცილობლად ჯვარს ჰგავს. სამოთხეც ჯვრის სახის გამომხატველია. იქ იდგა ცხოვრების ხე, რომლის ნაყოფის გემოს გასინჯვის გამო კი არ გამოაგდო უფალმა კაცი სამოთხიდან, არამედ მცნების ურჩობისათვის. მცნების დარღვევამ ჩააგდო იგი ცოდვაში და ამ ცოდვის ძალით მიესაჯა სიკვდილი.

თუმცა ღვთის სიტყვა არც ამ მიზეზით განშორებია მის დაბადებულს, არ შემდეგ გაუწირავს ის, ვინც თავის ხატად დაბადა, მარტო არ დაუტოვებია ბოროტი მტრის შურით განწირული და ეს მოხდა ნიშითა და სასწაულით ცხოველი ჯვრისა, რადგან სახიერმა არ ინება თავის მსგავსად შემზადებულნი ეშმაკის მანქანებით მისცემოდა წარსაწყმედელს.

როდესაც ყოველი ქვეყანა უკეთური საქმით და სიბოროტით გაიხრწნა, მაშინ ნოე და მისი ყოველი სახლეული მეორედ შობა, მცირე ძელით წარღვნისაგან დაიხსნა.

აბრაამ მამამთავარმა ძელით ღვთის აღთქმა შეიწყნარა, როდესაც ის მაღალ მთაზე ავიდა, რათა თავის საყვარელი ძე ღვთისთვის შეეწირა; მაგრამ უფალმა მისი მორჩილება მიიღო და უჩვენა მას ვერძი, რქით ბუჩქზე გამობმული, რაც გვამცნობდა ყოველი კაცის შეცოდებათა შენდობას ძელზე მიმსჭვალული გონიერი კრავის მიერ (დაბ. 22, 13).

მაღალ მთაზე აბრაამისთვის მცნებების მიცემა მოასწავებდა გოლგოთას, რომელზედაც ჯვარს ეცვა უბიწო კრავი, სოფლის

ცოდვათა თავსმდები. და რას ნიშნავს იაკობის კვერთხის თაყვანისცემა? ამით მამამთავარი წინასწარმეტყველებს, რომ ყველა მორწმუნემ უნდა სცეს თაყვანი ქრისტეს, ჩვენი ღმერთის ცხოველ ჯვარს.

და ყოველი ნიში და სასწაული, რომელიც ღვთის ბრძანებით მოსემ ორმოცი წლის განმავლობაში კვერთხით აღასრულა ეგვიპტეში, მეწამულ ზღვასა და უდაბნოში, მიანიშნებდა ჯვარცმული იესოს მიერ აღსრულებული სასწაულებით ადამიანთა მოქცევას. და რას ვლაპარაკობ? ან რა უნდა იყოს ესაია წინასწარმეტყველის სიტყვებზე უფრო ცხადი, რომელიც მან დიდებული ჯვრის გამოცხადების შესახებ და სოფლის მომავალი ხსნისთვის თქვა? ის ამბობს: „ლიბანის დიდება შენთან მოვა, ალვის, ნეკერჩხლისა და ბზის მიერ — ერთიანად, ჩემი საწმიდარის ადგილის გასამშვენებლად, რომ ჩემი კვარცხლბეკი განვადიდო“ (ეს. 60, 13).

ეს სიტყვები მიგვანიშნებს წმინდა სამებას, ბუნებით თანასწორს, რომელმაც კაცთა ცხოვრება ჯვრით განაგო და ჭეშმარიტად ძლევის იარაღად მოგვცა სამი ძელისგან — საროსა, ფიჭვისა და ნაძვისაგან — შემზადებული ჯვარი, სადიდებლად წმინდა ადგილისა. ღმრთის წმინდა ადგილი კი არის წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია, რომელშიც ყოველი მორწმუნე, ღვთის მიერ ადამიდან ქრისტემდე გამოხსნილი, ჯვრის ძელს აღაპყრობს და ყოველს ჟამს სიხარულითა და მხიარულებით ადიდებს თაყვანსაცემელ სამებას. ცხოველი ჯვრის სახით მოგვენიჭა გამოხსნა, ხოლო როდესაც ღვთის სიტყვის ხორცით მოსვლის ჟამი მოვიდა, მაშინ გაცხადდა კაცთა მიმართა სიყვარული, არა ჩვენი საქმეებისათვის, არამედ მისი ღმრთეების შესაბამისი სახიერების გამო.

უფალმა, თავისი დიდი კაცთმოყვარეობით, არ ისურვა კაცი ბოროტი ეშმაკის ხელმწიფებაში დაეტოვებინა და, მამისა და სულიწმინდის ნებით, რომლებიც მარად ჩვენი ცხონების მოსურნენი არიან, მოდრიკა ცანი, გარდამოვიდა ქვეყნად და დაემკვიდრა უბიწო და ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამის წიაღში. სიტყვა განხორციელდა და ჩვენ შორის ისე დაემკვიდრა, რომ

თავისი ღმრთეება კაცებად არ შეუცვლია, რადგან ღვთის სიტყვა შეუცვლელია და განუქარვებელი. კაცება შეაერთა თავის გვამოვნებას (ჰიპოსტასს), მისგან გამოდის და აქვს მას სული მეტყველი და გონიერი — შეურევლად, შეურწყმელად და განუშორებლად. ის მთელი სისრულით არის თავის თვითებაში, სრულად მიიღო კაცება და იქმნა ერთი ქრისტე, სამარადისო ძე და ღმერთი და ყოვლის მეუფე.

და იშვა უქორწინებელი სძლისაგან, დავითისა და აბრაამის თესლისგან, რომელმაც მოჩვენებითად კი არა, ჭეშმარიტად იტვირთა ღმერთი თავისი წიაღით. ამიტომ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე არის ის ღვთისმშობელი, წმინდა და უბიწო ქალწული, რომელმაც ისე შვა მაცხოვარი, როგორც მუცლად იღო და როგორც ღმრთეებას შეეფერება. მისგან განხორციელდა ჭეშმარიტი ღმერთი, ჭეშმარიტი ევმანოელი, რომელიც არის სრული ღმრთეებითა და კაცებით, ერთი — ორი ბუნებით და ეს ორი ბუნება, თავისი თვითებით, შეურევნელად მყოფობდა მის ჰიპოსტასში.

უფალი ჩვენი იესო ქრისტე ხორცით ჰურიასტანის (იგივე იუდეას) ბეთლემში იშვა, ჰეროდეს მეფობისას. ვიდრე ეს მოხდებოდა, ებრაელები არისტობულე მღვდელთმოძღვართან მივიდნენ და მეფის გვირგვინი დაადგეს. როდესაც ეს რომის კეისარმა გაიგო, დიდძალი ჯარით სპასალარი პომპეუსი გამოაგზავნა, რომელმაც ქალაქი იერუსალიმი მთლიანად მოიცვა, არისტობულე და მისი ძენი შეიპყრო, შეკრულნი რომში წარგზავნა, ებრაელებს ხარკი დაადო და მათ მღვდელმოძღვრად არისტობულეს ძმა — ორკანოსი დასვა.

პომპეუს სპასალარს ჰყავდა მეგობარი ასკალონელი, სახელად ანტიპატროსი, კერპთა მონა და ჰეროდეს მამა, რომელიც ერისმთავრად დასვა ჰურიასტანში და რომში წავიდა.

და ჰეროდე იყო ანტიპატროსის ძე, რომელმაც მრავალი ავაზაკი შეიპყრო და ამოწყვიტა.

როდესაც ორკანოსი პართენელებმა წაიყვანეს, ხოლო ანტიპატროსი ღალატით მოკლეს, აღარავინ დარჩა ჰურიასტანის მპყრობელი. მაშინ ადგა ჰეროდე ანტიპატროსი, რომში დიდძა-

ლი განძეულობა გააგზავნა და ხელმწიფობა მიიღო.

ავგუსტუს კეისარმა მრავალრიცხოვანი ჯარით ეგვიპტეში გაილაშქრა. ამ დროს ეგვიპტელთა მპყრობელი იყო დედოფალი კლეოპატრა, პტოლომეოს მეფის ტომისგან. ჰეროდე ავგუსტოს კეისარს მეომრებითა და საკვებით შეეწია. ღმერთმა კლეოპატრა დედოფალი და მისი ჯარი კეისრის ხელთ ჩააგდო და ამ უკანასკნელმა თავისი მეფობის მე-12 წელს მთელი ეგვიპტე დაიპყრო. ჰეროდეს ერთგულების ხილვამ და ერისმთავრების შეგონებამ ავგუსტუსს გადააწყვეტინა, რომ იგი ჰურიასტანის მეფედ დაედგინა, რაც აღესრულა კიდეც და თავად რომში დაბრუნდა.

ებრაელებმა იერუსალიმში შესული ჰეროდეს შეწყნარება არ ისურვეს, რადგან უცხოთესი იყო. მაშინ ჰეროდე შეებრძოლა მათ, უამრავი ადამიანი ამოწყვიტა, ქალაქი და ტაძარი ააოხრა. თავისი ხელმწიფებისას კი კიდევ უფრო გააძლიერა უკეთურება. ცეცხლში დაწვა წიგნები, რომლებშიც ეზრა წინასწარმეტყველის დროიდან იყო აღნუსხული ებრაელთა ყველა ტომისა და შტოს სახელები. ეს იმიტომ გააკეთა, რომ ვეღარ გაეგოთ, რომელი ტომიდან იყვნენ, შერეულიყვნენ, ერთმანეთისგან ვერ განერჩიათ სამღვდლო და საერო მოდგმა. ასევე წაიღო სამღვდლო შესამოსელი და გადამალა. შემდეგ კი მღვდელმოძღვრობას უღირს ადამიანებზე ყიდდა და ამაში მრავლად უხდიდნენ.

ამ ამბიდან ორმოცი წლის შემდეგ გამოიცა ავგუსტუს კეისრის ბრძანება, აღწერილიყო მთელი ქვეყანა და ეს იყო პირველი აღწერა, როგორც ამას წმინდა სახარება ამბობს. ამ აღწერას და ხარკის გადახდას ხელმძღვანელობდა კეისრის მიერ დანიშნული კაცი, სახელად კვირიონი, მეფის ერთგული და ერის მიერ ნდობით აღჭურვილი პირი, რომელსაც ავგუსტუსისა და სილოვანეს ხელმწიფების მე-13 წელს ასურასტანი და ჰურიასტანი (იგივე იუდეა) ებოძა.

უფალი ჩვენი იესო ქრისტე ჰურიასტანის ბეთლემში იშვა ოცდახუთ დეკემბერს, ჰეროდე ანტიპატროსის ძის მეფობის ოცდამეცამეტე წელს და ავგუსტოს კეისრის ხელმწიფების ორმოცდამეორე წელს.

მაშინ იერუსალიმში მოვიდნენ მოგვები, რათა მოეძებნათ შობილი მეუფე, რომლის ვარსკვლავი წინ მოუძღვოდათ. როდესაც იერუსალიმში შევიდნენ და მათი წინამძღვარი ვარსკვლავი თვალს მიეფარა, შეძრწუნდნენ და იძულებულნი გახდნენ ახლად შობილის შესახებ სხვა მოგვებისგან გამოეკითხათ.

როდესაც ჰეროდემ, ყოვლად უკეთურმა, ამის შესახებ შეიტყო, გააცნობიერა, რომ ეს სასწაული კაცობრივი არ იყო, რადგან მრავალი მეფე იშვა იერუსალიმში და არცერთ მათგანზე მსგავსი სასწაული არ აღსრულებულა. შემდეგ მწიგნობრებისგან და მოძღვრებისგან ყოველივე გულმოდგინედ გამოიკითხა, რომელთაც აუწყეს წინასწარმეტყველთაგან ნათქვამი, რომ „ჯერ არს შობა ქრისტესი იერუსალიმის ბეთლემში“.

ჰეროდემ ფარულად მოუწოდა მოგვებს, მათგან დაწვრილებით გამოიკითხა ვარსკვლავის გამოჩენის დრო და მზაკვრულად აღუთქვა დიდძალი ძღვენი, თუ ყრმის ადგილსამყოფელს ეტყოდნენ, რათა თაყვანი ეცა მისთვის.

ამის შემდეგ მოგვებმა კვლავ იხილეს პირველად გამოჩინებული ვარსკვლავი, რომელსაც სიხარულით მიჰყვნენ და ბეთლემში მივიდნენ, სადაც სასურველი მეუფე იპოვეს, თაყვანი სცეს მას და ძღვენი მიართვეს. მოგვებს ისევ ეჩვენათ ანგელოზი, რომელმაც გამოუცხადათ, რომ სხვა გზით დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ქვეყანაში. მაშინ იოსებმაც, საღმრთო ბრძანებით, ყრმა და დედამისი ეგვიპტეში წაიყვანა და იქ ჰეროდე მეფის სიკვდილამდე დაჰყო.

განრისხებულმა ჰეროდემ თავისი მეფობის ოცდამეთხუთმეტე წელს ორ წლამდე ასაკის ბავშვების ამოწყვეტა ბრძანა. ამის შემდეგ ეწია მას უფლის რისხვა და თავისი მეფობის ოცდამეჩვიდმეტე წელს მრავალი სენით გაწამებული მოკვდა. ქვეყნის მთავრებად კი დატოვა მასზე უბოროტესი ოთხი ძე.

მაშინ, ღვთის ბრძანებით, ეგვიპტიდან დაბრუნდა იოსები, ყრმა იესო და დედამისი და ნაზარეთში დამკვიდრდნენ. ყრმა უკვე იყო ოთხი წლის იყო. ამ დროს ჰურიასტანის მეოთხე მთავარი გახლდათ არქელაოსი.

არქელაოსის მეფობის მერვე წელს უფალმა ჩვენმა ტაძარში

სიარული და მოძღვართა შორის დაჯდომა დაიწყო. ამ დროს ის ხორციელად თორმეტი წლის იყო. ნაზარეთში დაბრუნებიდან ცოტა ხანში აღესრულა იოსები, რომელიც ზოგიერთს უფლის მამა ეგონა.

როდესაც არქელაოზის მეფობის ჟამი აღსრულდა, მოკვდა იგი და მემკვიდრე არ დაუტოვებია. და ასევე, თავისი მეფობის ორმოცდამეთექვსმეტე წელს აღესრულა ავგუსტუს კეისარიც და მეფობა დაუტოვა ტიბერიუსს, თავის ძეს. ჩვენი უფალი მაშინ უკვე თხუთმეტი წლის იყო.

და ჰყავდა ტიბერიუს კეისარს გულითადი მეგობარი, სახელად პილატე, რომელსაც ხელმწიფება მისცა ჰურიასტანზე.

ტიბერიუსის კეისრობის მეთხუთმეტე წელს, როგორც სახარება ამბობს, ღვთის ბრძანებით, მოვიდა იოანე და მთელ ჰურიასტანში ქადაგებდა სინანულით ნათლისღებას ცოდვების მისატევებლად.

და უფალმა ჩვენმა, ხორციელად ოცდაათი წლის ასაკში, იოანეს მიერ მდინარე იორდანეზე ნათელიღო. მაშინ დაიწყო სასწაულთა აღსრულებანი, რომელთა შესახებაც წმინდა სახარება მოგვითხრობს.

იმ დროს ჰეროდემ მიატოვა თავისი ცოლი, ბალკანელთა მეფის, არეტის ასული, რომელიც წმინდა პავლე მოციქულმა მოიხსენია თავის ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ (2 კორ. 11, 32) და შეირთო ჰეროდია, ცოლი თავისი ძმის, ფილიპესი, რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

იოანე ნათლისმცემელი, სიმართლის ქადაგი, არ შეეგუა ამ უკეთურებას და მათ მოურიდებლად ამხილებდა. ბოროტად განრისხებულმა ჰეროდემ შეიპყრო იგი, წინასწარმეტყველი მეძავის ხელთ ჩააგდო და თავი მოჰკვეთა. საღმრთო შურის-გება მალე მოეწია მათ საშინელ კადნიერებას. მისი ცოლი კი, რომელიც შეურაცხმყოფლად გააგდო, მამამის არეტასთან წავიდა და ამ შემთხვევის გამო გულმტკივნეულად ტიროდა. არეტამ, მხილველმა თავისი ასულის ასეთი შეურაცხყოფისა, ჯარი შეკრიბა და ჰეროდესთან საბრძოლველად გაემართა; მან მოსრა ყოველი, მრავალი ამოწყვიტა, ქვეყანა მოაოხრა და მონაგები იავარყო.

ამის შემდეგაც არ დაცხრა ჰეროდე სიბოროტისაგან; ტიბერიუსის კეისრობის მეთვრამეტე წელს და ჰეროდესა და პილატეს ხელმწიფობის მეოცე წელს ჰურიასტანში ჯვარს ეცვა ჩვენი გამომხსნელი უფალი იესო ქრისტე.

მარტის თვის ოცდაათში თავისი ნებით იტო უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ. და იყო იგი უფალი ჭეშმარიტი და კაცი ჭეშმარიტი, ორი ბუნებით; მან არ შეიწყნარა გაყოფა და შერევა, ჯვარზეც და საფლავშიც განუშორებლად ემოსა ორი ბუნება, რომლებითაც იცნობა უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ძე ცხოველი ღმრთისა და მისი მხოლოდშობილი სიტყვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯვარი ყველაზე დიდებულია. ჭეშმარიტად ჯვრის სახედ განეგო ყოველი უფლის მიერ, რომელმაც თავს იდო ჯვარზე სიკვდილი, რათა ყოველივე მისი სისხლით გაწმედილიყო, რჯულის წყევლისაგან დავეხსენით, ეშმაკის ხელმწიფებისგან, ხრწნილებისა და სიკვდილისაგან გავეთავისუფლებინეთ.

ჩვენთვის ჭეშმარიტად მოკვდა უფალი ხორცით და არა არსებით, როგორც ამბობს წიგნი. ჯვარს ეცვა პილატე მთავრის დღეებში და დაეფლა და ჭეშმარიტად აღდგა მესამე დღეს, როგორც დაწერილია. იგი სიკვდილს თავისი ღმრთეებით არ მისცემია. დაე, განაგდოს და განიშოროს ეს ფიქრები ყოველმა ქრისტიანმა, რადგან ღმრთეება არც ევნება და არც კვდება. ღმრთეებასთან ერთად მასთან იყო კაცება, მსგავსი ჩვენი ბუნებისა. მან ხორცით ვნებანი განგებულებით შეიწყნარა და საიდუმლოდ მოგვცა საზრდელად თავისი ჭეშმარიტი ხორცი და სისხლი — მისატევებლად ცოდვათა და საუკუნოდ საცხონებლად.

როდესაც ჯვრის და აღდგომის საიდუმლო აღსრულდა, მაშინ ღვთის მკვლელმა ებრაელებმა საშინელება ჩაიდინეს, რათა მისი სასწაულები დაეფარათ. მათ დიდი ძღვენი მიართვეს პილატეს და დააჯერეს, რომ საფლავი დაებეჭდათ და ჯარისკაცებით დაეცვათ. ღმერთმა მიუშვა ისინი, რომ ეს განზრახვა აღესრულებინათ, რათა თავიანთი საქმით იძულებულნი გამხდარიყვნენ, ჭეშმარიტება დაემტკიცებინათ. თუ საფლავს არ დაიცავდნენ, მაშინ აღდგომას ტყუილად გამოაცხადებდნენ და

სხეულს — მოპარულად. მიუხედავად იმისა, რომ საფლავის მცველმა ჯარისკაცებმა მღვდელთმოძღვრებისაგან დიდძალი საჩუქრები მიიღეს ამ სასწაულის დასაფარავად, მათ აღდგომა ყველგან იქადაგეს.

როდესაც ჩვენი უფალი ზეცად ამაღლდა და მისი სახელითა და წმინდა მოციქულების ხელით აურაცხელი სასწაულები აღესრულებოდა, კვლავ შეშფოთდნენ მოძღვრები და ერთმანეთს უთხრეს: „რა ვქნათ, ერში მრავალი სასწაული ხდება იესო ქრისტეს სახელით და როგორ შევძლოთ ამის დამალვა? ჩვენ შემდეგ ცდუნებულთა რიცხვი რომ არ გაიზარდოს, დავფაროთ მისი საფლავი, რადგან როდესაც ადამიანები ცარიელ საფლავს იხილავენ, უფლის აღდგომას ირწმუნებენ“.

მაშინ ბრძანეს, მიწით გადაეფარათ საფლავი, გოლგოთაზე ჯვარცმისა და ცხოველი ჯვრის ადგილი. ამით ეგონათ, რომ დავიწყებას მიეცემოდა ჩვენი გამომხსნელის ხსენება. და ეს იყო ურჯულო მღვდელთმოძღვართა ბრძანება.

ღმერთმა მიუშვა ისინი, თავიანთი განზრახვა სისრულეში მოეყვანათ, ვინაიდან სიბრძნით აღასრულებდა ყოველივეს მომავლისათვის. ამ ქალაქის მოოხრებისა და ცეცხლით დაწვის შესახებ წინასწარ იყო განცხადებული. განმაცხოველებელი ძელის, სადიდებელი აღდგომისა და საქებელი გოლგოთას დაფარვა იმიტომ მოხდა, რომ აოხრების დღეებში ეს წმინდა ადგილები ებრაელებს ან წარმართებს არ დაეწვათ; დროის გასვლის შემდეგ კი მრავალი დიდებითა და სასწაულებით მოხდებოდა მათი მორწმუნეთათვის გამოცხადება.

ხოლო ის, რაც ჩვენს მხსნელს უყვეს, პილატეს ასე მოახსენეს: „ჯვარს აცვეს ვინმე კაცი იესო, რომელსაც ქრისტე ეწოდა. და დაეფლა და აღდგა მესამე დღეს და მისი სახელით სასწაულებს აღასრულებენ მისი მოწაფეები“. ხოლო როდესაც ეს ამბავი ტიბერიუს კეისარს ესმა, გაუკვირდა, ირწმუნა უფალი და თავისი ხელმწიფებრივი ძალმოსილებით ისურვა, ღმერთი ეწოდებინათ იესოსთვის. მაგრამ ერისმთავრებმა შეაჩერეს, რადგან ჯვრის ხსენება სიგიჟედ მიიჩნიეს. ხოლო კეისარმა თავის გულში შეინახა ეს სიტყვები და ბრძანა, ყველას, ვინც ქრის-

ტიანებს დააბეზღებდა, გაანადგურებდა.

კეისარს ეუწყა, რომ ჰეროდე უფლის სიკვდილის თანაზიარი იყო, ასევე შეიტყო მისი უჯერო სიძვის ამბავიც, რადგან საშინელი შფოთი და დრტვინვა იყო ჰურიასტანში იოანე ნათლისმცემლის მოკვლის გამო, რომელიც მართალი კაცი იყო და ჰეროდეს უკეთურებას ამხილებდა. ძალიან განრისხდა კეისარი ჰეროდესა და წყეული მეძავის დიდი შეურაცხყოფით, ბრძანა მათი რომში წაყვანა, ჰეროდე მეფობას ჩამოაშორა, შეარცხვინა და თავის ცოლ ჰეროდეასთან ერთად სასტიკად გაკიცხა. შემდეგ ესპანეთში გაგზავნა ისინი, სადაც ბოროტად აღსრულდნენ. ხოლო ქალიშვილი, ბოროტად მროკველი, მიწამ დანთქა, დედამისი კი, იქედნეს შემსგავსებული, ცოცხალი იყო და მის სიკვდილს უყურებდა.

თავისი მეფობის ოცდამესამე წელს მოკვდა ტიბერიუს კეისარი და მეფე გახდა გაიუსი (კალიგულა). იგი ოთხ წელს ხელმწიფობდა და იყო უკეთური და ძალიან ამპარტავანი კაცი. მან იერუსალიმიდან რომში წაიყვანა დიდად შეურაცხყოფილი, მრავალი ჭირითა და განსაცდელით აღვსილი პილატე, რომელიც იძულებული გახდა გზაში თავი მოეკლა.

ურიები კი ისევ განდგნენ და უფრო მეტად შფოთავდნენ, ვიდრე ადრე. კეისარმა ჰურიასტანში გაამეფა სხვა ჰეროდე, არისტობულეს ძე, რომელსაც აგრიპა ეწოდა და მისცა მას ოთხივე სამთავრო. ესეც უკეთური კაცი იყო და მრავალ ცუდს შეამთხვევდა უფლის მოწაფეებს. როგორც მოციქულთა საქმენში წერია, მან მახვილით მოკლა იაკობი, იოანეს ძე და მოისურვა პეტრეს მოკვლაც, თუმცა ამჯერად მოციქულს ეს განსაცდელი დიდებულმა უფალმა ანგელოზის ხელით ააშორა. ჰეროდე უკეთურებისაგან მანამ არ დაცხრა, ვიდრე საღმრთო შურის-გება არ მიიღო, მატლების შესაჭმელი არ გახდა და ბოროტად არ მოკვდა.

იმ დროს იაკობ მართალი, რომელიც უფლის ძმად იწოდებოდა, საღმრთო ბრძანებით იერუსალიმის ეკლესიის ეპისკოპოსი გახდა. ხოლო ებრაელები უფლის მოწაფეებზე გამძვინვარდნენ და მათ წინააღმდეგ მრავალ საშინელებას ჩადიოდნენ. ამ პერიოდში მრავალი მოციქული მოკლეს, ასე იქცეოდა სხვა აგრიპაც,

რომელიც ჰურიასტანის მეფე პავლე მოციქულის ცხოვრების პერიოდში გახდა.

როდესაც გაიუს კეისარი მოკვდა, თოთხმეტი წელი მეფობდა კლავდიუსი. მის დროს იყო საშინელი შიმშილი მთელ ქვეყანაზე, როგორც ამის შესახებ ანგია წინასწარმეტყველი ამბობს. ურიები კიდევ უფრო გამძვინვარდნენ და ერთმანეთს ვერაგულად კლავდნენ ქუჩებში. როდესაც ესმა ეს კეისარს, გულისწყრომით აივსო და ჰურიასტანის მთავრებს განურისხდა, ასე უწყალოდ რომ ექცეოდნენ ებრაელებს. ამის გამო მრავალი მოკლეს, გაანადგურეს მათი ქონება, დაუხოცეს შვილები და იტალიიდან და რომიდან დიდი შეურაცხყოფითა და გვემით გაყარეს. ეს ყოველივე მათ იმ კადნიერებისათვის შეემთხვათ, რომელიც ჩვენს მხსნელზე აღასრულეს.

როდესაც კლავდიუსი მოკვდა, ნერონმა 14 წლით დაიპყრო მეფობა. ის იყო ძალიან უკეთური, ბოროტი და მეძავი მეფე, რომლის მსგავსი მანამ არავინ ყოფილა. პირველად ამან აღადგინა ქრისტიანთა დევნა, მოკლა მოციქულთა თავნი პეტრე და პავლე, მრავალი მთავარი და ერისმთავარი.

ამ დროს მოკვდა პესტოს მთავარი, რომელსაც ჰურიასტანის სამთავრო ეპყრა, ებრაელებმა როგორც კი უხელმწიფობის ჟამი იხილეს, შფოთითა და განდგომილებით აღეგზნენ და იერუსალიმში მოკლეს უფლის ძმა იაკობი, სხვა მოწაფეები კი ქალაქიდან გაყარეს. ღვთისმიერი ბრძანებით, მოციქულნი იორდანეს გაღმა გავიდნენ და იქ იყვნენ ბოროტის მოწევნამდე, რომელიც იერუსალიმზე უნდა აღსრულებულიყო, როგორც ამის შესახებ უფალმა ბრძანა.

ამ დროს ებრაელები ბერძნებს განუდგნენ და აგრიპა რომში განდევნეს. გამძვინვარებულმა და განრისხებულმა კეისარმა ნერონმა აღმოსავლეთის მპყრობელ ვესპასიანეს უბრძანა, თავისი საბრძანებლის ყოველი კაცი შეეკრიბა, ჰურიასტანში წასულიყო და ებრაელები ამოეწყვიტა.

ეს რომ ებრაელთა მთავრებს ესმათ, შეიკრიბნენ იერუსალიმში, რომელიც სამი ზღუდით გარშემორტყმული და უამრავი გოდლით განმტკიცებული ქალაქი იყო. ვესპასიანემ მოაოხრა და

გადაწვა ჰურიასტანი, შემდეგ კვლავ იერუსალიმს მიუბრუნდა და ერთი წელი ალყაში ჰყავდა; თუმცა ყველაფერი იღონა, მაინც ვერ შეძლო მისი დაპყრობა, რადგან მტკიცედ იყო შემოსაზღვრული. ებრაელები დრო და დრო ქალაქიდან გამოდიოდნენ, რომაელებს ხოცავდნენ და უკან ბრუნდებოდნენ.

მაშინ ვესპასიანე კესარიაში ჩავიდა, რათა უფრო მეტი ჯარი შემოეკრიბა; ვიდრე ამას ცდილობდა, მოკვდა რომის კეისარი ნერონი და მისი სამეფო შვიდი თვით გალბოსმა დაიპყრო. ესეც მოკლეს, რომლის შემდეგ ათონმა დაიპყრო ზოგიერთი სამეფო სამი თვით და ისიც მოკვდა.

ათონის შემდეგ გამეფდა ბატალოსი, სამი თვით. ეს იყო ჟამი განდგომილებისა, რის გამოც უამრავი ადამიანი დიდ განსაცდელში იყო. ბერძნებზე ბარბაროსები აღდგნენ და წყვეტდნენ. ამ დროს აღმოსავლეთში შეიპყრეს ვესპასიანე და თავის ნების წინააღმდეგ მეფედ დასვეს. მას აღმოსავლეთის მთავრები დამორჩილდნენ.

ვესპასიანე რომის კეისარი გახდა და როდესაც იქ წასვლა მოისურვა, ზამთარი იდგა. მან ხელმწიფეობა მიანიჭა თავის ორი ვაჟს — ტიტუსსა და დომიციანეს. ტიტუსი იერუსალიმის გარემცველად დატოვა, დომიციანე დიდძალი ჯარით ბარბაროსებთან გაუშვა, თავად კი რომში წავიდა. როდესაც იქ მივიდა, ერის კრებულმა, რომელიც რომში იყო, წინამძღვარი ანტარციანი შეიპყრო, მოკლა და მისი თავი დიდი სიხარულითა და სიმღერით მიაგება მეფე ვესპასიანეს.

როდესაც ვესპასიანე ტახტზე დაჯდა, მოსრა ყველა შფოთის მაძიებელი და მისი მეფობა მშვიდად წარემართა.

დომიციანემაც გაანადგურა მათ წინააღმდეგ მებრძოლი ყოველი ბარბაროსი.

ტიტუსმა კი ალყა შემოარტყა იერუსალიმს, რაც ორი წელი გაგრძელდა. როდესაც ქალაქში მყოფები შიმშილით ჩამოდნენ და საკუთარ შვილებს ჭამდნენ, მაშინ ქალაქში შევიდა და მოსრა ყოველი სული, რომელიც იპოვა, გაანადგურა და გადაწვა ყველაფერი, ტაძრის ჩათვლით. მაშინ აღსრულდა უფლის სიტყვები: „ქვა ქვაზე არ დარჩება აქ, არამედ ყველაფერი დაინგ-

რევა“ (მათე 24, 2); ვინც მაშინ იქ ამოწყდა, აღიწერა და სამასი ათასი აღმოჩნდა.

ქალაქის მოოხრების შემდეგ მოვიდნენ მორწმუნეები სიონში და იერუსალიმის ეპისკოპოსად გამოირჩიეს სვიმეონი, კლეოპას ძე, რომელიც მოხსენიებულია სახარებაში: იესოს ჯვართან იდგნენ დედამისი, დედამისის და, მარიამ კლეოპასი და მარიამ მაგდალელი (იოანე 19, 25). კლეოპა იყო ძმა იოსებისა, რომელიც მადლით ღვთის მამად იწოდებოდა. მაშინ ჩვენი მხსნელის ვნებიდან იერუსალიმის დაქცევამდე ორმოცი წელი გასრულდა.

მეფე ვესპასიანე 10 წელი მეფობდა და გარდაიცვალა. მის შემდგომ მეფე გახდა მისი ძე ტიტუსი, რომელმაც სამი წელი იმეფა და მოკვდა. შემდეგ მეფე გახდა მისი ძმა დომიციანე, რომელმაც განაახლა ებრაელთა დევნა და მათ სამეფოს ყველა ტომში ეძებდა. უფლისათვის ეუწყა, რომ დავითის მოდგმისა იყო და იმ დიდებულ ტომში იშვა, რომელშიც ბევრი ქრისტიანია. ისინი აცხადებენ, რომ იესო ქრისტე საუკუნო მეუფეა, დამხსნელი ყოველი მეფობისა ცის ქვეშ და მხოლოდ ის მეფობს.

ამაზე დომიციანე განრისხდა და ბრძანა, რომ დაეხოცათ ქრისტიანები. ხალხი იერუსალიმში გაგზავნა და რომში შეკრულნი წაიყვანეს უფლის ძმის — იუდას შვილები, რომელთაც ქრისტესა და მისი მეუფების შესახებ გამოჰკითხა. მათ მიუგეს, რომ მისი მეუფება არის არა ქვეყნიური, არამედ ზეცისა. და იგი უკანასკნელ ჟამს თავისი დიდებით მოვა ცხოველთა და მკვდართა განსასჯელად და ყოველი კაცისთვის მათი საქმეებისაებრ მისაგებად.

ეს რომ კეისარს ესმა, შიშით აღივსო, გაუშვა ისინი და ქრისტიანთა დევნა შეწყვიტა. დომიციანე მოკვდა თავისი მეფობის მეთხუთმეტე წელს.

მისი ადგილი დაიკავა ნერონმა ერთი წლით და მოკვდა ისიც. შემდეგ მეფე გახდა ტრაიანე, ოცი წელი. მან აღადგინა ქრისტიანთა დიდი დევნა და მრავალი მოწამე ამოწყვიტა. მეფეს მოახსენეს, რომ ქრისტიანები მტკიცედ იტანდნენ განსაცდელს, ყველაფერს რჯულით აღასრულებდნენ და ამბობდნენ: „ქრისტე ღმერთია“. მეფემ ეს რომ გაიგო, ქრისტიანთა დევნა შეწყვიტა.

ტრაიანეს ზეობისას რომში აწამეს ეგნატე, ანტიოქიის მთა-

ვარეპისკოპოსი და სვიმეონი, კლეოპას ძე, იერუსალიმის ეპისკოპოსი.

ამ დროს ებრაელნი კვლავ ჩვეულებისაებრ აბორგდნენ და დაიდგინეს მეფე. როდესაც ეს ამბავი რომში მივიდა, ძალიან განრისხდნენ, ძლიერი ჯარი გააგზავნეს, ებრაელთა მიერ დადგენილი მეფე შეიპყრეს და მოკლეს. თავად ებრაელები კი ქვეყნის ყოველ კიდეში განიბნენ და მათგან ურიცხვი მოკლეს.

როდესაც ტრაიანე მოკვდა, მისი მეფობა გააგრძელა ადრიანემ — ოცდაერთი წელი. ის ავად იყო, მთელ ქვეყანაში დადიოდა და თავისი სენის მკურნალს ეძებდა. როდესაც იერუსალიმში მივიდა, იხილა იგი მოოხრებული, როგორც კალო და ამ განადგურებულ ქალაქში მხოლოდ ქრისტიანთა ეკლესია იდგა. მან ქალაქის აღდგენა ბრძანა, გარდა ტაძრისა. როდესაც ებრაელებმა გაიგეს, რომ ქალაქი შენდებოდა, ყოველი მხრიდან შემოიკრიბნენ. მცირე დროში უამრავი ადამიანი შეგროვდა. მაგრამ ეშმაკმა, რომელიც მარად დამკვიდრებულია მათ შორის, არ მოასვენა ისინი, კვლავ განუდგნენ რომს, აღარ ემორჩილებოდნენ და მთავრად დაიდგინეს ვინმე კაცი, რომელსაც ებარტოშიბასი ერქვა.

ეს რომ კეისარმა გაიგო, ერისმთავარი გააგზავნა ძლიერი ჯარით და იერუსალიმი მანამ ჰყავდა ალყაში, ვიდრე მისი მკვიდრნი შიმშილითა და წყურვილით არ გაიხრწნენ. ეს იყო ჰურიასტანის უკანასკნელი მოოხრება და ებრაელთა ამოწყვეტა. რომაელებმა ქალაქის ბჭენი გახსნეს, ის უფრო მეტად მოაოხრეს, ვიდრე ადრე და მასში წარმართთა დასახლება ბრძანეს. ამასთან, დაწერეს ბრძანება, რომ ებრაელებს აღარ შეეძლოთ თვალით ეხილათ საკუთარი მამული.

იერუსალიმის მკვიდრებმა კი, რადგან უცხოთესლნი იყვნენ, ტაძარი გააუქმეს, თავად ქალაქის სახელიც აღხოცეს და მას მეფე ელიას სახელი უწოდეს.

იერუსალიმის წარტყვევნიდან მის უკანასკნელ ალყამდე და ურიათა განდევნამდე ორმოცდაათი წელი გავიდა.

ხოლო წმინდა ეკლესია, რომელიც იერუსალიმში იყო, იმ წარმართთა მიერ აშენდა, რომელთაც ნათელიღეს.

პირველი ეპისკოპოსი, რომელიც იერუსალიმში დაჯდა, წარმართთაგანი იყო, სახელად მარკოზი, კაცი წმინდა, უბიწო და ღვთის სათნო ყოველივეში.

ღვთის ბრძანებით ქრისტიანებს განეცხადათ გოლგოთის გამოუჩენელი ადგილები, რომლებიც ებრაელებმა დაფარეს. ისინი ხშირად მოდიოდნენ ამ სიწმინდეებთან და თაყვანს სცემდნენ მას. როდესაც კერპთმსახურებმა იხილეს, რომ ქრისტიანები აქ ლოცულობდნენ, ეშმაკის ჩაგონებით იმ ტერიტორიაზე ეშმაკის კერპის — აფროდიტეს სამარცხვინო ტაძარი ააშენეს, რის შემდეგაც ქრისტიანებმა ეს წმინდა ადგილი დაივიწყეს.

როდესაც ადრიანე მოკვდა, მისი მეფობა ოცდაორი წლით დაიპყრო ანტონინოს ევსებიოს მორწმუნემ.

მის შემდეგ ცხრამეტი წელი მეფობდა მარკუს ავრელიუსი, რომელიც ანტონინუსის ძე იყო, თავის ძმა ლუციუსთან ერთად. მან აღადგინა ქრისტიანთა დევნა და მრავალი მოწამე ამოწყვიტა ქრისტესთვის. და იყო დიდი სასწაულები, ვიდრე მარკუს კეისარს და მის ხალხს წყალი არ მოაკლდა. სიკვდილის პირას მყოფნი ქრისტიანთა ლოცვით გადარჩნენ, რადგან წვიმა მიეცათ ურწყულ ადგილებზე.

როდესაც მოკვდა ავრელიუსი, მისი მეფობა დაიპყრო კომოდუსმა, თორმეტი წელი, შემდეგ მეფე გახდა პერტინაქსი, ექვსი თვე, მალე მეფობა მიიღო სეპტიმუს სევერუსმა — თვრამეტი წელი, რომელმაც აღადგინა ქრისტიანების დიდი დევნა და მრავალი ქრისტიანი ეწამა სხვადასხვა ადგილზე.

როდესაც სევერუსი მოკვდა, მეფობა დაიპყრო ანტონინუსმა (კარაკალა) — შვიდი წელი. მის შემდეგ მეფე გახდა მაკარინუსი — ერთი წელი და მის შემდეგ — ალექსანდრუსი (ალექსანდრე სევერიუსი), ცხრამეტი წელი.

ხოლო ეპისკოპოსთა სახელები, რომლებიც იერუსალიმში ავრელიუსიდან ალექსანდრუსის მეფობამდე იყვნენ, შემდეგია: მარკოზ, კასიანოს, პოპლიოს, მაქსიმოს, იულიანოს, აიოს, კუმაქუს, გაიანოს, იულიანოს, კაპიტონ, ვალოს, დოლქიანოს, ნარკიოს, რომელმაც დაყუდებით ცხოვრება არჩია, ეპისკოპოსობა დაუტევა და უცხო ადგილზე დამკვიდრდა. ხალხმა და

მღვდელთმოძღვრებმა იგი ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვეს და ეპისკოპოსად აირჩიეს გერმანე, შემდეგ კი — გორდიოსი.

გორდიოსის ეპისკოპოსობისას გამოჩნდა ნარკიოს ეპისკოპოსი და გორდიოსთან ერთად მეორე ეპისკოპოსი გახლდათ. ნარკიოსი იერუსალიმის ოცდამეათე ეპისკოპოსი იყო ჩვენი მხსნელის შემდეგ.

როდესაც გორდიოს ეპისკოპოსი აღესრულა, ნარკიოსი ძალიან მოხუცებული იყო, ას თექვსმეტი წლისა. ამ დროს იერუსალიმის წმინდა ადგილების მოსალოცად მოვიდა ვინმე ეპისკოპოსი, სახელად ალექსანდრე. საღმრთო ბრძანებით, იგი შეიპყრეს და დიდი იძულებითა და მოხუცებულის ვედრებით იერუსალიმის ეპისკოპოსად დასვეს, ეს უკანასკნელი წამებით აღესრულა.

იმ დროს დიდი მშვიდობა იყო ღმრთის ეკლესიაში, მეფის დედა დამეა კი ღვთის ფრიად მორწმუნე და ეკლესიის მცველი გახლდათ.

როცა ალექსანდრუსის მეფობა დასრულდა, სამი წელი მეფობდა მაქსიმიანე. მან ბევრი ცუდი გაუკეთა ალექსანდრუსის ოჯახს, რადგან ღვთისმსახურნი იყვნენ, ასევე, აღადგინა ქრისტიანთა დევნა, ბრძანა ყველა ქრისტიანისა და მღვდელთმოძღვრის ამოწყვეტა და თქვა: „ესენი არიან მიზეზნი გმობისა და ცდუნებისა“.

და როდესაც ის მოკვდა, რომში გამეფდა პომპინეუსი და ბალბინუსი, სამი თვე. მათ შემდეგ კი მეფე გახდა გორდიანე — ექვსი წელი. შემდეგ ფილიპე — შვიდი წელი. ამათ მთელი გულით და ჭეშმარიტად სწამდათ უფალი ჩვენი იესო ქრისტე. ეშმაკის მსახურმა დეციუსმა მოკლა ფილიპე და მეფობდა ორი წელი.

მისი მეფობისას აღდგა ეკლესიის დიდი დევნილობა და ეწამა მრავალი, რომელთა აღრიცხვა შეუძლებელია. დეციუსი თავის ძესთან ერთად მოკლეს და შემდეგ მეფე გახდა გალუსი და ბულინოსი — სამი წელი.

შემდეგ მეფობდნენ ვალერიანე და გალიენე — თხუთმეტი წელი. ამან აღადგინა სასტიკი ბრძოლა ქრისტიანებზე და მრავალი ამოწყვიტა, თავად კი ბარბაროსებმა მოკლეს, მისმა ძემ კი ქრისტიანების დევნა შეწყვიტა. ეპისკოპოს ალექსანდრეს

წამების შემდეგ იერუსალიმის ტახტზე დაჯდა მაქსიმოსი და შემდეგ ლივმენიოსი.

ვალერიანეს შემდეგ მეფობდა კლავდიოს II, ორი წელი და შემდეგ ავრელიანე — ექვსი წელი. როდესაც ეს უკანასკნელი მოკვდა, მეფობა მიიღო კარუსმა, ძითურთ — ორი წელი.

შემდეგ მეფობა მიიღო დიოკლიტიანემ და მაქსიმიანემ, ოცდაცხრა წელი. მათ დროს იყო ქრისტიანთა დიდი, ხანგრძლივი და მძიმე დევნა. მათი მეფობისას მრავალი ეწამა, რომელთა რიცხვი არავინ იცის, გარდა ღმრთისა, მათი დამბადებლისა.

და როდესაც აღესრულა ლივმენიოსი, იერუსალიმის ეპისკოპოსი, მისი ადგილი დაიკავა ზაბდანმა. მისი აღსრულების შემდეგ ეპისკოპოსი გახდა ერმონი.

დიოკლეტიანემ და მაქსიმიანემ, თავიანთ მეგობართან ერთად, რომელსაც ერკულონი ერქვა, უამრავი წმინდანი მოკლეს. მრავალი უკეთურება და უგუნურება ჩაიდინეს. ისინი შეთქმულებმა ტახტიდან ჩამოყარეს და ჩვეულებრივი მოქალაქენი გახდნენ, სხვათა მსგავსნი.

მაქსიმიანე, რომელსაც გალიუსი ეწოდა და მაქსენციუსი, არკულიოსის ძე, რომის მეფეები ცხრა წელი იყვნენ. მაქსიმიანოსი აღმოსავლეთ ნაწილზე ხელმწიფობდა, ხოლო მაქსენტოსი — რომში. ესენი იყვნენ, როგორც მხეცები უდაბნოში, ყოველ უკეთურებაში გაწვრთნილნი და ქრისტიანებზე განსაკუთრებით აბორგებულნი.

ამ დროს ქარტანიას მეფე იყო კონსტანციუსი, მამა დიდებული კონსტანტინე დიდისა. ის გახლდათ მდაბალი და მშვიდი კაცი, ყოველი სათნოებით შემკული, რომელსაც სძაგდა კერპები და ქრისტიანებს იცავდა.

ხოლო კონსტანტინე იმ დროს ყრმა იყო, აღმოსავლეთის მთავრებთან იზრდებოდა და წარმართთა სიბრძნეს სწავლობდა. ისიც, როდესაც ქრისტეს მონების უმოწყალო გვემას ხედავდა, ძალიან წუხდა, რადგან სიყრმიდანვე სძულდა ბოროტება.

დიოკლეტიანეს კი ეწია ღვთის მომაკვდინებელი რისხვა, შეეყარა წყლის მანკი, გასივდა და გასკდა, მგმობელი ენა პირშივე დაულპა, მატლით გაივსო და სული ამოხდა.

ორკვილიოს მაქსიმიანე კილიკიის ტარსუსში მოკვდა. ხოლო გალერიუს მაქსიმიანე ღვთის შიშის გარეშე, ურცხვად და უკეთურად განაგებდა თავის სამეფოს, რყვნიდა ქალებს და მთელ სამეფოში მისგან ცოლებსა და ასულებს მალავდნენ. ამგვარ ურჯულოებაში ეშმაკისაგან იქამდე იყო ჩაფლული, რომ საჭმელსაც კი არ იღებდა გრძნეულებთან და მისნებთან შეთანხმების გარეშე. ხოლო ქრისტიანებს მრავალ სატანჯველს უვლენდა, რათა მათი ქონება მიეტაცებინა. მან შეიტყო, რომ ყრმა კონსტანტინე გაიზარდა და მამაკაცობის ასაკს მიაღწია, ამასთან, იყო სიბრძნითა და გონიერებით აღსავსე. ამის შესახებ მას გრძნეულებმა და მისნებმა აუწყეს და ისიც უთხრეს, რომ იგი დაამხობდა მის მეფობას. ამიტომ გადაწყვიტა, კონსტანტინე მოეკლა. კონსტანტინემ ღვთისგან შეიცნო მისი განზრახვა და გაიქცა; როგორც დავითი, ისე განეშორა მის ხელთ.

რადგან ეს მეფე ურიცხვ უკეთურებას აღასრულებდა და განსაკუთრებით ერჩოდა ქრისტიანებს, ამიტომ საღვთო შურისგება ეწია და მიეშვა მასზე კვერთხი განმსწავლელი: ბოროტად მსიძავი სხეულის ნაწილზე მაგარი და ძალიან დიდი სოკო გაუჩნდა, საიდანაც გამოედინებოდა ჩირქი, სისაძაგლე, საშინელი სიმყრალე და უამრავი მატლით აივსო. ეს უბადრუკი გვამით ხორციანი იყო და შიშველი იწვა, ყველას დასაცინად.

ამ მდგომარეობაში მყოფმა იფიქრა: ნეტავ ქრისტიანთა განუსჯელად დახოცვის გამო ხომ არ შემემთხვა ეს განსაცდელი? მაშინ ბრძანება გასცა მთელ სამეფოში, გაეთავისუფლებინათ ყველა ქრისტიანი და ნება დაერთოთ, თავიანთი წესი აღესრულებინათ, ასევე შეევედრებოდნენ მათ, მეფისათვის ელოცათ.

როდესაც ეს გააკეთა, მაშინვე მოიწია მასზე ღვთის სახიერება, სულის ამოსვლამდე მისული, უკეთ შეიქნა და სიცოცხლეს დაუბრუნდა. ქრისტიანთა ლოცვით იმ საშინელი სოკოსგანაც გათავისუფლდა.

ჯერ სრულიად არ იყო განკურნებული, რომ მასზე კვლავ აღიძრა ეშმაკი და კიდევ უფრო გაბოროტდა. მან უკეთურებითა და ურჯულოებით სავსე ბრძანება გამოსცა, რომლის მიხედვითაც უნდა დაეხოცათ ქრისტიანები, როგორც თავიანთ სამკვი-

დრებლებში, ასევე უდაბნოში, რადგან მანამ ვერ იცხოვრებდნენ მშვიდად და წყნარად, ვიდრე ყველა მათგანი არ ამოწყდებოდა. მაშინ კაცთაგან გაიწირა ქრისტიანთა სიცოცხლე და ერთად შეგროვებულნი, როგორც ცხვრები, მოსაკლავად მიჰყავდათ. თუმცა ღმერთმა არ დაივიწყა თავისი მონები და საღვთო შურის-გება ისევ მოეწია უღმერთოს. მისი გაცემული ბრძანება კვლავ დაირღვა, რადგან ყოველი მხრიდან მტერმა შემოუტიათ, ქვეყანა მოიცვა შიმშილობამ, სიღატაკემ, დაიწყო საშინელი სიცხეები და ადამიანები უდროოდ კვდებოდნენ. ისეთი მდგომარეობა იყო, რომ ცოცხლები მკვდართა დამარხვას ვერ აუდიოდნენ; რადგან ყოველ კაცს თავისი საზრუნავი ჰქონდა, მეფის ბრძანება განუხორციელებელი დარჩა.

ყრმა კონსტანტინე კი მშვიდობით დაბრუნდა მამასთან, რომელიც ღმერთს მადლობდა შვილის მშვიდობით დაბრუნების გამო. ცოტა ხნის შემდეგ მას მეფობა გადასცა და მალევე გარდაიცვალა. და ეწოდა მას კონსტანტინე დიდებული მეფე ორას სამოცდამეთერმეტე წელს, ოცდახუთ ივლისს.

ხოლო მაქსენციუსი იყო ყველაზე საშინელი და უბოროტესი რომის მკვიდრთა შორის. მისთვის ადამიანის სიცოცხლე არაფერს წარმოადგენდა, განსაკუთრებით ქრისტიანებისა. მრავალი წარჩინებული ამოწყვიტა, მრავალი გააძევა და გაანადგურა მათი ქონება. იგი უკეთურებასა და მეძავობაში გალერიუსს ბაძავდა. მრავალი კეთილშობილი ქალი შეურაცხყო ძალადობით და სხვა მრავალი ბოროტი, ბილწი და შეგინებული საქმეც აღასრულა, რომელთა მოხსენებაც კი შეუძლებელია. იმსახურებდა გრძნეულებს და სიბილწეს აღასრულებდა.

ამ დროს დიდებულმა კონსტანტინემ დასავლეთისა და ჩრდილოეთის წარმართნი დაიმორჩილა და იყო დიდი მშვიდობა, გამოუთქმელი სიხარული და სიმშვიდე მთელ მის სამეფოში. მალე რომის მკვიდრებმა და მთავრებმა კონსტანტინე მეფეს მოსწერეს, არ დაევიწყებინა მათი ქალაქი, რომელიც განადგურების პირას იყო უკეთური მეფის ხელმწიფობისას, იმ მძვინვარე მხეცისა, რომელიც უმოწყალოდ ხოცავდა ადამიანებს. კონსტანტინე დიდს შეებრალა ისინი, გამოიჩინა მოწყალება

და ზრუნვა დაიწყო იმისთვის, რომ ხალხი ამ მომაკვდინებელი მონობისაგან განეშორებინა. განსაკუთრებით საშიშნი იყვნენ მისი გრძნეულები — მისნები და კუდიანები, რომლებიც ყრმებს მსხვერპლად წირავდნენ. ამის გამო დიდებული მეფე ძალიან წუხდა.

მაშინ გამოუჩნდა მას ველზე ნათლის სვეტი — ჯვრის სახედ, რომელზეც ეწერა: „ამ ნიშით სძლევ შენს მტრებს“.

მეფე ამ ხილვამ შეაძრწუნა და ერისმთავრებს, რომლებიც მასთან ერთად იყვნენ, ჰკითხა, მათაც იხილეს თუ არა ეს ჩვენება. მათ მიუგეს: „ჩვენც ვიხილეთ“. ამან ნუგეში სცა მეფეს და უფრო მეტი გულმოდგინება და გამბედაობა შეიძინა.

იმ ღამეს მას ღმერთი ეჩვენა და უთხრა: „მიიღე სასწაული, რომელიც გეჩვენა და ამით სძლიე შენს ყოველ მტერს“.

როდესაც გათენდა, თავისი ხელით შექმნა ჯვარი ძელისა, რომელიც დღევანდლამდეა მის სამეფოში და ბრძოლისას მისი წინ წამძღვარება ბრძანა.

ურჯულო მეფე მაქსენციუსი კი თავის ეშმაკებს იყო მინდობილი. მან ხიდი ააშენა მდინარეზე, რომელიც კონსტანტინე დიდისა და მის ჯარებს შუაზე ჰყოფდა. მოვიდა მეფე კონსტანტინე და დაიწყეს ბრძოლა. მოწინააღმდეგთა უმეტესობა ცხოველი ჯვრით იძლია, სხვები კი მეფესთან ერთად გაიქცნენ და თავიანთ ქალაქს შეაფარეს თავი.

როდესაც ხიდი უამრავი ადამიანით აივსო, კაცთა ძალისხმევით შექმნილი ნაგებობა დაირღვა და ყველანი წყალში დაინთქნენ, როგორც ოდესღაც ფარაონი და ეგვიპტელთა ეტლები. მათგან არც ერთი არ გადარჩენილა, წყალი სავსე იყო დახოცილი მხედრებითა და სახედრებით.

გახარებულმა რომაელებმა ქალაქი მორთეს და კონსტანტინე დიდს ზეიმით დახვდნენ, ხოტბას ასხამდნენ ძლევისმომცემელ ჯვარსა და ძლევაშემოსილ მეფეს და მას თავიანთ გადამრჩენელს უწოდებდნენ.

მეფემ ყველა ძველი მოწამის ნეშტის შეკრება და წმინდა ადგილზე დაკრძალვა ბრძანა, ასევე მათ, ვინც ურჯულოებს გაექცნენ, უკან დაბრუნების საშუალება მისცა და განძარცულებს ორმაგი დაუბრუნა.

გამარჯვებისა და ქრისტეს ჯვრის ღღესასწაული შვიდი დღე გრძელდებოდა. ეს მოხდა კონსტანტინე დიდის მეფობის მეშვიდე წელს.

როდესაც ეს გალერიუს მაქსიმიანეს ესმა, შეეშინდა, მაქსენციუსის მსგავსად არ მოეკლათ და ქრისტიანთა დევნა შეამცირა.

კონსტანტინე დიდებული კი, რომელიც მინდობილი იყო უძლეველ საჭურველს — ჯვრის ნიშს, ურჯულო გალერიუსთან საბრძოლველად გაემართა. მასთან ერთად იბრძოდა ლიცინიუს მთავარიც, რომელიც კონსტანტინე მეფეს თავისი ჯარით შეეწია და ძალიან გაახარა ქრისტიანების დევნის შეწყვეტამ.

მისნებსა და გრძნეულთა საცდურს მინდობილი ურჯულო მეფე მორწმუნე მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად ურიცხვი ჯარით, მხედრებითა და ძლიერი ეტლებით გავიდა. როდესაც საბრძოლველად ემზადებოდნენ, სწორედ მაშინ გამოჩნდა პატიოსანი ჯვარი. მორწმუნე მეფის მოწინააღმდეგეებმა ძლიერ ბრძოლას ვერ გაუძლეს და უკან გაიქცნენ. მაშინ დაეწიენ მათ ძლიერების ძენი და მრავალი ათასი დახოცეს. ზოგიერთმა კი თავიანთი მეფე მიატოვა და კონსტანტინე დიდის მორჩილი გახდა.

მაშინ ურჯულო მეფემ სამეფო სამოსელი შემოიხია, რომლის ღირსიც აღარ იყო და ვინმეს რომ არ ეცნო, შიშველი გაიქცა. შეშინებული გადადიოდა დაბიდან დაბაში და მალვით ძლივს მიაღწია თავის საყოფელამდე. შემდეგ იმ კერპების, რომლებსაც ღმერთს უწოდებდა, მღვდელნი, წინასწარმეტყველნი, მისანნი და გრძნეულნი შეკრიბა, — რომლებიც ადრე უყვარდა და დიდ პატივს მიაგებდა — და როგორც მაცდურნი და მზაკვარნი, მახვილით ამოწყვიტა. თავად კი სურდა, დიდებულ მეფეს დამორჩილებოდა.

მაშინ მოიწია მასზე რისხვა ღვთისა და ისეთი განსაცდელი მოევლინა, რომ შემწეს ეძებდა და ვერ პოულობდა. უცნაურად მოედო ცეცხლი მის მუცელს, გულსა და სხეულის ყველა ნაწილს, ტკიოდა საშინლად და მოუთმენლად, იკლაკნებოდა და მიწაზე გორავდა, სანამ ტკივილის სიმძაფრისაგან ორივე თვალი მიწაზე არ წამოსცვივდა და სრულად არ დაბრმავდა.

სიმხურვალე კი, რომელიც მუცელში უვლიდა, უფრო მე-

ტად აღეგზნო, იქამდე, ვიდრე არ დალპა, ძვლებს ხორცი არ გასცვივდა და სული ბოროტად არ ამოხდა. როდესაც მეფის ყოველი მოწინააღმდეგე განადგურდა და მთელი ქვეყანა მორწმუნე კონსტანტინემ დაიპყრო, სუფევდა მშვიდობა და სიხარული მთელ მის საბრძანებელსა და სამეფოში, ქრისტიანები გაძლიერდნენ და წარმართებს შორის ჯვარი პატიოსანი იდიდებოდა.

მეფემ კონსტანტინემ, ლიცინიუს მთავარს, რომელიც ბრძოლაში შეეწია, ცოლად მისცა თავისი და კონსტანცა, რომის ნაწილიც უბოძა და იქ მეფედ დასვა. მისგან კი აღთქმა მიიღო ხელმოწერით, რომ თავის სიცოცხლეში ქრისტიანებს არ შეეწინააღმდეგებოდა.

მაგრამ ლიცინიუსმა მადლობით არ მიიღო ეს დიდი პატივი, აღთქმა დაივიწყა და გააკეთა ის, რაც წინარე მეფეებმა, კერპებისაკენ მიიდრკა და ქრისტეს სარწმუნოებას განუდგა. მათი საქმეების მიმბაძველი მრავალ ბოროტს შეამთხვევდა კეთილშობილთა ქალებს, თავის საბრძანებელში ქრისტიანებს აწუხებდა და კლავდა.

ეს რომ ეუწყა ღვთის მორწმუნე კონსტანტინეს, ძალიან შეწუხდა და მისწერა მას, რომ აღარ ებრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ და აღარ განედევნა ქრისტიანები.

მან კი არად ჩააგდო თავისი კეთილისმყოფელი მეფის ბრძანება, გააძლიერა ქრისტიანთა დევნა და ამოწყვიტა ისინი.

ბოლოს ჯარი შეკრიბა და ღვთის ძალით დაცული მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად გაემზადა. როდესაც ბითვინიის კუნძულზე საბრძოლველად განლაგდნენ, დიდებულმა მეფემ ჯვარი პატიოსანი გაიძღოლა, რომლის წინაშეც მისი მტრები იძლიენ.

ლიცინიუსი მორწმუნე მეფის ხელში ჩავარდა, რომელსაც ცოცხლად მიჰგვარეს იგი. როდესაც სახიერმა მეფემ შეშინებული და შეძრწუნებული მოღალატე იხილა, ლმობიერება გამოიჩინა და შეიწყალა ეს უღმერთო, რადგან დიდებული მეფე მოწყალე იყო ყოველი ჭირვეულის მიმართ. მან არ ჩამოუთვალა მას დანაშაულნი, გაუშვა და უბრძანა, თესალონიკში დამკვიდრებულიყო და უკეთურებისაგან დამცხრალიყო.

ლიცინიუსი დროებით დაწყნარდა, შემდეგ კვლავ გალაღ-

და ეშმაკის აღძვრით, დიდძალი ოქრო-ვერცხლი გაიღო, ბარბაროსები მოისყიდა და სურდა, ბრძოლა განეახლებინა მეფის წინააღმდეგ.

როდესაც ეს მეფე კონსტანტინემ შეიტყო, ხალხი გაგზავნა და მისი თავის მოკვეთა უბრძანა. ასეც მოიქცნენ და ლიცინიუსის თავი მეფეს მოართვეს. ამგვარად, ყოველი საქმე მოაგვარა მეფემ და ცხოვრობდა მშვიდობით, რადგან ცხოველი ჯვრის ძალით თავისი მოწინააღმდეგეების ყოველი უკეთურება დაარღვია.

იერუსალიმის ეპისკოპოსი ამ დროს იყო მაკარი. ეს სახელი მას შეეფერებოდა, რადგან მაკარი ნეტარებად გადმოითარგმნება და მღვდელთმოძღვრობა ერმონისგან მიიღო. კონსტანტინე მეფემ ყველა თავისი საზრუნავი საღმრთოდ აქცია და ეკლესიების შენება დიდი გულმოდგინებით დაიწყო. ბრძანა მათი პატიოსნად გამშვენება და ოქრო-ვერცხლით შემკობა.

ასევე გამოსცა კანონი, ტაძრები კერპებისგან განეწმინდათ, ეკურთხებინათ და ღვთის ეკლესიად ექციათ. კერპების მსახურები მახვილით მოესრათ, რათა ერის წინამძღვარნი მორწმუნე ადამიანები, მართალი ქრისტიანები ყოფილიყვნენ. ასევე ქრისტიანებისთვის უქმედ გამოაცხადა ორი კვირა: ერთი აღდგომის პირველი კვირა და შემდეგი. მთელ ქვეყანაში მცხოვრები ყოველი წარმართი სასწრაფოდ მოენათლათ და მამათა ღმერთნი საკუთარი ხელით შეემუსრათ. და იყო მშვიდობა და გამოუთქმელი სიხარული მთელ ქვეყანაში.

ამან აღაშფოთა მშვიდობის მტერი ეშმაკი და ბოროტად აღიძრა, რათა ეს სიხარული და კაცთა შორის მშვიდობა დაეცხრო. რამდენადაც ვერ მოახერხა კაცთა თავისი ბოროტი ნებისკენ მიბრუნება, რადგან მისი საცდურები გაცხადდა, დააჯერა ურწმუნოებს, რომ დაბადებულად მიეჩნიათ დამბადებელი. ამან დიდი შფოთი და ღმრთის ეკლესიის წვალება გამოიწვია.

ერთი ალექსანდრიელი კაცი, სახელად არიოზი, ეშმაკმა ააბორგა და ქვეყნის ყოველ მკვიდრს აშფოთებდა. მას შეუერთდა ზოგიერთი ეპიკოპოსი, ჯერ ევსები ნიკომიდიელი და ევსები პამფილიელი, შემდეგ სხვებიც.

როდესაც ამგვარი გაბლეჩა იხილა მეფე კონსტანტინემ,

გულით შეწუხდა და ყოველ მხარეში სამოძღვრო წიგნების ჩამონათვალი გაგზავნა, რათა ეკლესიის გაყოფა და რჯულის წვალება დაეცხროთ.

მაგრამ როდესაც იხილა, რომ არიოზი შესაძლებელზე მატად გამძვინვარდა, ბრძანა, მოეწყოთ კრება ქალაქ ნიკეაში.

მაშინ შეიკრიბნენ სხვადასხვა ქვეყნის ეპისკოპოსები, სულ სამას თვრამეტი, რომელთა უმეტესობა აღმსარებელი იყო, თავიანთი ხორცით ჩვენი მაცხოვრის ვნებათა მტვირთველი, ჩვენი ღმრთის, იესო ქრისტეს გამო ურჯულო მეფეებისაგან მრავალი ტანჯვის გადამტანი. მათ შეუერთდა მორწმუნე მეფე კონსტანტინეც.

შეკრების მიზეზიდან გამომდინარე, დაწერეს მართალი აღმსარებლობა, როგორც ერთი პირით ნათქვამი და დაამტკიცეს და დადეს, როგორც მრწამსი, რომელიც ყველა მართლმადიდებელ ეკლესიაში დღემდე უცვლელად წარმოითქმება. არიოზი და მისი თანამზრახველნი — ევსები კესარიელი და სხვანი — თავიანთ ცდომილებაში დარჩნენ, რის გამოც წმინდა კრების მიერ განიკვეთნენ და საეპისკოპოსო კათედრები ჩამოერთვათ. სანაცვლოდ კი სხვები აკურთხეს და მათ ადგილებზე დასვეს.

დიდებულმა მეფემ დიდი პატივითა და საჩუქრებით მშვიდობიანად გაუშვა ეპისკოპოსები თავიანთ ქვეყნებში და ძალიან გაიხარა წმინდა ეკლესიის გაერთიანების გამო. შემდეგ იერუსალიმის ეპისკოპოს მაკარის უბრძანა, რომელიც წმინდა კრებას ესწრებოდა და წმინდა მოციქულთა სარწმუნოების დასაცავად იბრძოდა, მოეძია ცხოვრების მომცემელი ძელი, რომელზედაც ჯვარს ეცვა მაცხოვარი, ღვთის საფლავი და იერუსალიმში არსებული ყოველი წმინდა ადგილი, ებრაელებისა და წარმართების მიერ დაფარული. სხვა ეპისკოპოსებს კი უბრძანა, რომ მოურიდებლად ეთხოვათ ყველაფერი, რაც ეკლესიისთვის სჭირდებოდათ.

ნიკეას კრება მისი მეფობის მეცხრამეტე წელს გაიმართა. ამის შემდეგ მეფემ იერუსალიმში გაგზავნა დედამისი, ელენე დედოფალი, რომელიც ქების ღირსია თავისი ღვთისმოყვარეობის გამო და მაკარი ეპისკოპოსთან გამოატანა წიგნები და მრა-

ვალი ძღვენი, რათა ცხოვრების მომცემელი ჯვარი მოეძიათ და წმინდა ადგილები აეშენებინათ. ეს თავად დედოფალმა სთხოვა მეფეს, რადგან საღვთო გამოცხადება ჰქონდა, რომლის დროსაც ებრძანა, იერუსალიმში წასულიყო და განეცხადებინა წმინდა ადგილები, რომლებიც მაშინ ურჯულოების მიერ იყო დაფარული.

როდესაც ეპისკოპოსმა მაკარიმ დედოფლის მოსვლა შეიტყო, ეპისკოპოსები შეკრიბა და მას სიხარულითა და პატივით მიეგება; იქვე უბრძანა ეპისკოპოსებს, მოეძიათ ცხოვრების მომცემელი ძელი.

ამან ყველა შეშფოთა, რადგან არ იცოდნენ, სად იყო და ერთმანეთს ეკითხებოდნენ სავარაუდო ადგილებს. მაშინ ნეტარმა მაკარიმ მათ უბრძანა, დადუმებულიყვნენ და ლოცვა აღევლინათ ღვთის წინაშე. როდესაც ეს შეასრულეს, მაკარი ეპისკოპოსს ღვთის მიერ მიენიშნა: „ადგილი, რომელზეც კერპთაყვანისმცემელთა შებილწული ტაძარია, იქ არის ჩვენი მწყალობელი საფლავი, წმინდა გოლგოთა და ძელი — ცხოვრების მომცემელი“.

მაშინ დედოფალმა სამეუფო ბრძანებით შეკრიბა მრავალი ხურო და მუშა და შეგინებული ტაძრის საძირკვლამდე დარღვევა და ნანგრევების შორს გადაყრა ბრძანა. როდესაც ეს აღასრულეს, გამოჩნდა საღმრთო საფლავი და გოლგოთის ადგილი. მისგან არცთუ შორს კი იპოვეს სამი ჯვარი — მიწაში დაფლული. კვლავ გულმოდგინედ მოიძიეს და იპოვეს სამსჭვალნი, რომლითაც ჯვარს გააკრეს ჩვენი მხსნელი და მაცხოვარი ღვთის მარად მებრძოლმა ებრაელებმა.

მაშინ შეიპყრო დედოფალი წუხილმა, რადგან არ იცოდა, ამ სამთაგან რომელი იყო ძელი ჩვენი მხსნელისა. და იკითხა: ვინმე მეტყვის და მაჩვენებს, რომელია ძელი ცხოვრების მომცემლისა? ხოლო ეპისკოპოსი კვლავ სარწმუნოებითა და გულმოდგინებით შეუდგა ძლევის მომცემელი ჯვრის გამორჩევას. იყო ერთი პატიოსანი დედაკაცი, მძიმე სენით შეპყრობილი და სრულიად განწირული, რომელიც სულის ამოსვლას ელოდა. მიუტანეს მას ძელი და როგორც კი მხსნელის ჯვარი შეახეს, უსულო და

უძრავი ქალი საღმრთო ძალით წამოდგა და ხმამაღლა იღაღადა დიდება ღვთისა, რომელმაც პატიოსანი ჯვრით გააცოცხლა იგი.

მაშინ ელენე დედოფალმა ძალიან გაიხარა, შიშით მოიღო ცხოველსმყოფელი ჯვარი, რომლის ერთი ნაწილი და სამსჭვალი (ლურსმანი) თავის ძეს, მორწმუნე მეფე კონსტანტინე დიდს გაუგზავნა, დარჩენილს კი ვერცხლის ლუსკუმა გაუკეთა, მასში ჩადო და მაკარი ეპისკოპოსს უბოძა დასაცავად და საუკუნოდ მოსახსენებლად. შემდეგ ბრძანა, სწრაფად აეშენებინათ ეკლესია მოწყალე ღვთის საფლავზე, წმინდა გოლგოთაზე, ბეთლემში, გამოქვაბულში, რომელშიც კაცობრივად იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე და ზეთისხილის მთაზე, სადაც მაცხოვარმა თავისი მოწაფეები დალოცა და ამაღლდა. ასევე სხვა მრავალი კეთილიც გააკეთა იერუსალიმში და თავის ძესთან დაბრუნდა.

კონსტანტინემ ის სიხარულით შეიწყნარა. ხოლო პატიოსანი ჯვრის იმ ნაწილს, რომელიც მეფეს ებოძა, მეფემ ოქროს ლუსკუმა გაუკეთა, მასში ჩააბრძანა და თავის ეპისკოპოსს დასაცავად და ნათესავთა მოსახსენებლად მისცა. ასევე ბრძანა, პატიოსანი ჯვრის პოვნის გამო დღესასწაული დაეწესებინათ. ერთი სამსჭვალი მან თავის ჩაფხუტზე დაიბნია, ხოლო მეორეს ცხენის აღვირად იყენებდა, რათა აღსრულდეს უფლის მიერ წინასწარმეტყველის ნათქვამი: „რაც ცხენის აღვირი იყო, წმინდა ყოს ყოვლისმპყრობელმა უფალმა“.

მაშინ მისწერა მეფემ მაკარის, იერუსალიმელ ეპისკოპოსს, გულმოდგინედ ეშენებინა წმინდა ეკლესიები, ასევე ამ საქმისათვის ხუროთმოძღვრებიც გაუგზავნა და ამცნო, რომ ისე გაელამაზებინათ წმინდა ადგილები, რომ მშვენიერებით მათი მსგავსი არაფერი ყოფილიყო დედამიწაზე.

ასევე აღმოსავლეთით ქვეყნის მპყრობელებს მისწერა, მისი ხარკიდან გაეცათ სამშენებლოდ გამოსაყენებელი მასალა, იმდენი, რამდენიც საკმარისი იქნებოდა ტაძრების ასაშენებლად, უხვად და მორჩილად, ყოველგვარი მიზეზის გარეშე. გახარებულმა მეფემ ღვთის სამადლობელი დღესასწაული აღასრულა იმ სიკეთისათვის, რომელიც მის სამეფოს მიეცა.

ქრისტეს მოსვლიდან პატიოსანი ჯვრის პოვნამდე გავიდა

სამას ოცდაექვსი წელი, ხოლო ადამიდან ქრისტეს მოსვლამდე — ხუთიათას ხუთასი.

იერუსალიმში მაკარი ეპისკოპოსის შემდეგ საყდარი დაიკავა მაქსიმე პატრიარქმა. ის იყო მშვიდი და ძალიან სახელგანთქმული კაცი, რადგან მრავალი განსაცდელი დაითმინა ქრისტესთვის და მარჯვენა თვალიც დაკარგა.

ამ დროს გარდაიცვალა ელენე დედოფალი, ოთხმოცი წლის და მცნებად დაუდო შვილს, კეთილად ემსახურა ქრისტესთვის.

როდესაც მეფეს ეუწყა, რომ იერუსალიმის ახალი ტაძარი გასრულდა და, მისი ბრძანებისაებრ, ყოველი სამკაულით გამშვენდა, კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს იქ წასვლა და ეპისკოპოსთა შეკრება უბრძანა, რათა წმინდა ადგილი ეკურთხებინათ.

კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი ამ დროს იყო ევსებიოს ნიკომიდიელი, რომელიც თავგამოდებით ებრძოდა არიოზს მართალი სარწმუნოებისათვის. თავიდან ის მომხრეებთან ერთად შეაჩვენა და განკვეთა ნიკეას კრებამ. შემდეგ მათ დაწერეს ფიცის წერილი და მიართვეს მეფეს, რომ დაიცავდნენ ნიკეაში შეკრებილი დიდებული წმინდა მამების მრწამსს და მათ გადაწყვეტილებას დაემორჩილებოდნენ. სახიერი მეფე მათ სიტყვას ენდო.

როდესაც კონსტანტინეპოლის საეპისკოპოსო ტახტი გათავისუფლდა, ევსებიოსმა ყოველი ღონე იხმარა, რათა სამეუფო ქალაქის ტაძარი დაეპყრო. როცა უფრო მეტი ძალაუფლება მიიღო, ვიდრე პირველად ჰქონდა, განკვეთილი ეპისკოპოსები თავიანთ საყდრებზე დააბრუნა და ისინი გაყარა, რომლებიც წმინდა კრებამ მათ ნაცვლად გამოარჩია.

როდესაც ეს ყველაფერი ასრულდა, ათანასე ალექსანდრიელისათვის მოიცალეს და მის წინააღმდეგ საეშმაკო საქმით მოემზადნენ. გადაწყვიტეს იგი ისე განეკვეთათ, როგორც ადრე მან და წმინდა კრებამ თავად განკვეთეს და ამგვარად შური ეძიათ მასზე.

დიდებულ მეფეს სურდა, რომ ათანასე ალექსანდრიელს იერუსალიმის წმინდა ადგილები ეკურთხებინა, მაგრამ რადგან ევსებიოსმა თავისი სიცრუით მეფე დააეჭვა, ამიტომ ბრძანა, რომ ქალაქ ტვიროსში ყოველი ეპისკოპოსი შეკრებილიყო და კრება

გაემართათ, რათა განეხილათ ათანასე მთავარეპისკოპოსისა და მისი გარემოცვის საქმე. შემდეგ კი ერთობით, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, მისულიყვნენ იერუსალიმში, აღესრულებინათ სატფურების დღესასწაული და წმინდა ადგილები ეკურთხებინათ. მეფემ თავისი ძმისწული დალმატიოსი გაგზავნა, რათა კრება მოეწვია და სიმართლე დაედგინა.

ტვიროსში იყო იერუსალიმის ეპისკოპოსი მაქსიმეც, რომელმაც ამ ვერაგობის შესახებ არაფერი იცოდა და ათანასეს წინააღმდეგ აღძრა ევსებიოს ნიკომიდიელმა.

კრებაზე მისული წმინდა ალექსანდრე ალექსანდრიელის წინააღმდეგ ევსები ნიკმიდიელი და მისი მომხრეები მძიმე და ბოროტ მიზეზებს იგონებდნენ, მაგრამ თავიანთი ცილისწამების დამტკიცება ვერ შეძლეს, რადგან წმინდა ათანასე პასუხს სცემდა მათ, ყოველი ტყუილი, როგორც ობობას ქსელი, მოკლე სიტყვით დაწყვიტა და ჭეშმარიტებამ სიცრუეს სძლია.

მაშინ, როდესაც მისი დამსმენლები იძლიენ, ევსებიოსის მომხრეები აღდგნენ და ყვიროდნენ: „მოკალით ეს გრძნეული, რადგან თავისი ჯადოქრობით ბაგე დაგვიხშო“ და რომ არ ყოფილიყო მეფის ძმისშვილი, რომელმაც ჯარისკაცების დახმარებით გამოიყვანა კრებიდან წმინდა ალექსანდრე, მას იქვე მოკლავდნენ. შემდეგ ხმა გაავრცელეს, რომ ათანასე გაიქცა და თავის ადგილს დაუბრუნდა.

ათანასე კი ღვთის წინამძღვრობით იერუსალიმში მივიდა, ყოველი წმინდა ადგილი მოილოცა და ტვიროსიდან ეპისკოპოსების მოსვლამდე ეკლესიები მირონით აკურთხა, შემდეგ კი მეფესთან წავიდა და ყოველი აუწყა, რაც ეპისკოპოსებმა შეამთხვიეს.

ეს რომ მეფემ გაიგო, შეწუხდა და ძალიან გაუკვირდა ეშმაკის სიბოროტე. მის მიერ წმინდა ადგილების კურთხევის აღსრულებამ სიხარულით აღავსო, წიგნები უბოძა და იერუსალიმში თავის ნდობით აღჭურვილ პირებთან ერთად გაუშვა.

როდესაც ეპისკოპოსები იერუსალიმში მივიდნენ და ალექსანდრიის მამამთავარ ათანასეს მიერ ეკლესიების კურთხევა და მირონცხება შეიტყვეს, ძალიან შეწუხდნენ, განსასჯელი

რომ გახადეს ღვთისმიერ აღსრულებული საქმე. ამის შემდეგ წმინდა ეკლესიაში დიდი სიხარულით აღასრულეს სატფურების დღესასწაული. მეფემ კი წმინდა ეკლესიის სამსახურებლად გამოგზავნა ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი — მრავალგვარი ძვირფასი თვლისგან და პატიოსანი ქვებისგან შემკული, ფერად-ფერადი სამოსელი და დიდძალი ძღვენი იმ გლახაკთათვის დასარიგებლად, რომლებიც დღესასწაულს დაესწრებოდნენ.

როდესაც ქრისტესმოყვარე მეფეს ეუწყა, რომ იერუსალიმის წმინდა ეკლესიებში დიდი სიხარულით აღსრულდა სატფურების დღესასწაული, დამხობილმა თაყვანი სცა ღმერთს და მხიარული პირით მადლობა შესწირა მას, ვინც მის მეფობას ამდენი სიკეთე მიმადლა. იგი უფრო და უფრო მეტს იღვწოდა ქრისტიანული რჯულის განსამტკიცებლად და კერპთაყვანისმცემლობის დასამხობად. ყოველივე ეს მოხდა მისი მეფობის ოცდამეათე წელს.

ასევე გამოსცა სამეფო ბეჭდით დაბეჭდილი და ხელმოწერილი კანონი, რომელშიც ბრძანებს, რომ ებრაელებს აკრძალვოდათ იერუსალიმში შესვლა და ექვს მილზეც კი არ მიახლოებოდნენ მას. ხოლო ვინც ამ კანონს დაარღვევდა, მახვილით განეკვეთათ.

ღვთის მადლით, ენით გამოუთქმელი სიხარული იყო მთელ ქვეყანაში, რადგან ბარბაროსები ქრისტეს სარწმუნოებაზე გულწრფელად მოექცნენ და იძულების გარეშე ემორჩილებოდნენ ბერძენთა მეფეს. ამის შემდეგ კონსტანტინე დიდმა კიდევ ერთი წელი იცოცხლა, დასნეულდა და აღესრულა. ნიკომიდიაში ყოფნისას, ქალაქგარეთ მიიღო წმინდა ნათლისღება. მონათვლა ამდენ ხანს იმიტომ დააყოვნა, რომ სურდა იორდანეში აღსრულებულიყო ეს საიდუმლო, იმ ადგილზე, სადაც უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ნეთელიღო. მაგრამ სიკვდილი ქალაქგარეთ ეწია და უფლის კეთილმსახურებითა და სათნოებებით შემკული აღესრულა.

და დატოვა სამი ძე, რომლებსაც მისგან გადაეცათ მეფობა და კეთილი სარწმუნოება. უფროსს ეწოდებოდა მამის სახელი — კონსტანტინე, ის იყო ნუბიის ნაწილის მეფე. მეორეს ერქვა

ბაბუამისის სახელი — კოსტა და გახდა მეფე აღმოსავლეთისა, ხოლო უმცროსი იყო მეფე მრავალწყალთა. ამ სამთაგან არც ერთი არ იყო მასთან გარდაცვალების დროს.

მეფე კონსტანტინე თავისი ცხოვრების სამოცდამეთხუთმეტე წელს აღესრულა, სათნოებითა და ღვთის კეთილმსახურებით. იგი მეფობდა ოცდათორმეტი წელი და შემდეგ დატოვა ქვეყნის მეფობა და მიიღო ზეცისა ქრისტეს მიერ, რომელიც შეიყვარა. მისი გვამი ერისმთავრებმა ოქროს ლუსკუმაში ჩადეს და იგლოვეს, როგორც საყვარელი მამა და არა როგორც მეფე, ხელმწიფებას მოკლებული.

მაშინ მეფე კონსტანტინე აღმოსავლეთიდან მოვიდა, შემურა მამამისი, შემოსა სამეფო პორფირით და დაკრძალა მოციქულთა სახელობის ეკლესიაში, სადაც დამარხული იყო დედამისი ელენე. ნეტარმა კონსტანტინემ ეს ეკლესია იმისთვის ააშენა, რომ იქ დაემარხათ მეფენი და მღვდელნი, რათა წმინდა მოციქულების ძვლებთან ახლოს ყოფილიყვნენ. იგი გარდაიცვალა 22 მაისს.

როდესაც კონსტანტინემ მამის მეფობა მიიღო, მასთან არიოზის წინამძღვრები მივიდნენ და შეევედრნენ, რომ მრწამსიდან ამოეღოთ შემდეგი სიტყვები: „შობილი და არა ქმნული, მსგავსი მამისა“, რადგან ეს სიტყვები ეკლესიის გამყოფი და რჯულის გამწვალებელიაო. არწუნებდნენ, რომ თუ ამას გააკეთებდა, სარწმუნოება საკამათო აღარ იქნებოდა. მეფემ გამოუკითხავად შეიწყნარა მათი სიტყვა, მისაღებად ჩათვალა და აღუთქვა, რომ ასეც მოხდებოდა. ამას კვლავ შფოთი და დიდი მწუხარება მოჰყვა.

ამ დროს იერუსალიმში მოხდა ყველაზე უფრო დიდი საკვირველება: როდესაც ისინი რჯულზე კამათობდნენ და ვერ რიგდებოდნენ, მაშინ გამოაჩინა ღმერთმა ზეციდან სასწაული, რადგან არა თუ სარწმუნოების სიტყვა იყო მიზეზი ეჭვისა და ეკლესიის გაყოფისა, არამედ მღვდელთა გამოუცდელობა და ბოროტი ცოდნა.

წმინდა გოლგოთაზე ზეცაში შუადღისას გამოჩნდა ჯვარი, დიდებული, ბრწყინვალე ნათლით შემკული, რომელსაც ცხადად

ხედავდა ქალაქის ყოველი მკვიდრი, დიდი თუ პატარა, მორწმუნე თუ ურწმუნო.

ამ დროს იერუსალიმის ეპისკოპოსი იყო ბრძენი კირილე, რომელმაც მთავრობა მაქსიმე მოწამისაგან მიიღო. ამ ნეტარმა დაწერა თვრამეტი საკითხავი, ჭეშმარიტებით შემკული, რომელშიც შედის ნიკეას კრებაზე წმინდა მამების მიერ გამოთქმული მრწამსის განმარტება. და როდესაც ის იმ ადგილზე მივიდა, სადაც ნათქვამია: „შობილი და არა ქმნული, მსგავსი მამისა“, ეს ადგილი, საკუთარი ნებით, განმარტების გარეშე დატოვა, რადგან ხელმწიფეების შეეშინდა.

სწორედ მან მისწერა მეფეს იმ სასწაულის შესახებ, რომელიც იმ დღეებში იერუსალიმში გამოჩნდა და ასე ახარა: „მეფეს, ღვთისმოყვარეს და ღვთისმსახურს, კონსტანტინე უძლეველს. მე, კირილე, იერუსალიმის ეპისკოპოსი, მოგიკითხავ უფლის მიერ: გიხაროდენ, ღვთისმოყვარე მეფეს იერუსალიმიდან მოგიძღვნი წერილს, რომელიც არის არა პირფერობით სავსე, არამედ ზეციდან უწყებული და ღვთისმიერ გამოჩინებული. არის სიტყვა არა მეცნიერებისგან დაწერილი, არამედ წინასწარ თქმული სახარების მიერ და ჭეშმარიტად დამოწმებული. სხვები თქვენთვის გვირგვინს მრავალფერად ამკობენ ბრწყინვალე თვლებით და მოგართმევენ, ხოლო ჩვენ ქვეყნის გვირგვინს კი არ მოგიძღვნით, რადგან ქვეყნიურ საგანძურს აღსასრული აქვს, არამედ ზეცის წარუვალ შეწევნას, რომელიც იერუსალიმში შენი ღვთისმსახური მეფობის ჟამს გამოჩნდა.

თქვენს ღვთისმსახურებას, რომელიც უმეცარი არ მოსულხართ ღვთისმსახურებაში და შეგიძლიათ, თავად განსწავლოთ სხვა, ვაუწყებთ: უმეტესად რომ განმტკიცდეს შენი მეფობა და დაიმკვიდრო ღვთის მიერ შენთვის ზეციდან მონიჭებული მამული, უფალს, ყოველთა მეუფეს, კეთილად მიეცი მადლი და უფრო მეტად მტერთა წინააღმდეგ გაძლიერდი, რადგან შენი მეფობის მთავარი საქმე ღმრთის სიყვარულია.

გულისხმაყავი, რომ ღვთისმოყვარე და სანატრელმა კონსტანტინემ, შენმა მამამ, იერუსალიმში იპოვა ცხოველი ჯვარი, მას ღვთის მადლითა და გულმოდგინე ძიებით მიემადლა, ეპოვა

დაფარული ადგილები, ხოლო შენ, უფალო და ღვთისმოყვარე მეფეო, გაუწყებთ უფრო აღმატებულ სასწაულს, ვიდრე მამაშენს მიეცა, რადგან არათუ ქვეყნიდან, არამედ ზეციდან გამოჩნდა საკვირველად ჯვარი უფლისა ჩვენისა და მაცხოვრისა იესო ქრისტესი, ღმრთის მხოლოდშობილი ძისა, რომელმაც სიკვდილი ძლევით დათრგუნა.

ძალიან დიდი და მშვენიერი ჯვარი, ნათლად, მარმარილოს მსგავსი სინათლით გამობრწყინდა იერუსალიმში, სულთმოფენობის დღეებში, მაისის შვიდ რიცხვში, დღის მესამე ჟამზე, ნათლით შემკული ცაზე და წმინდა გოლგოთის მთიდან ზეთისხილის მთამდე გართხმული. არა ერთსა და ორს ეჩვენა, არამედ მთელ ქალაქს. იგი უეცრად კი არ გამქრალა, არამედ დიდხანს ჩანდა და თვალით აღიქმებოდა. მისმა ბრწყინვალებამ მზის ნათელი დაჩრდილა და ამ ბრწყინვალებით შეძრწუნებული ხალხი ეკლესიაში მირბოდა. მაშინ ამ საშინელმა ჩვენებამ შიშითა და სიხარულით ერთბაშად შეიპყრო ახალგაზრდები და მოხუცები, დედანი და მამანი და ყოველი ასაკის ადამიანი. თავიანთი სახლებიდან ხედავდნენ ამას, როგორც უცხო, ასევე ადგილობრივი ქრისტიანები და წარმართები და ყველანი ერთი პირით აქებდნენ ქრისტესა ჩვენსა საკვირველთმოქმედს, საქმით გამოჩინებულს. ქრისტიანთა სარწმუნოება ჭეშმარიტი ღვთისმსახურებაა, ის არის არა მხოლოდ სიბრძნე, რომელსაც ვისმენთ, არამედ სულიწმინდის ძალითა და მადლით აღვსებული, არა კაცთაგან თხრობილი, არამედ ზეციდან ღვთის მიერ დამოწმებული და დამკვიდრებული.

ეს მიწერა კირილე ეპისკოპოსმა კონსტანტინე მეფეს და აუწყა, რომ ამ სასწაულის ძალით, რომელიც მრავალგზის აღემატება ქვეყნის სასწაულებს, ათასობით ადამიანი მოექცა ქრისტეს სარწმუნოებაზე იერუსალიმში და სხვაგან.

აქამდე ჯვრის პოვნის გარშემო ვსაუბრობდით და ნურავინ ცდუნდება და შერყვნის ამ ნათქვამს, რადგან ჭეშმარიტია. იერუსალიმში ჩვენ მიერ აღწერილი ეპისკოპოსების გარდა არავინ ყოფილა, არც სხვა მეფე — დაწყებული ავგუსტუსიდან, როდესაც ხორცით იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე, კონსტან-

ტინე მორწმუნემდე, რომლის დროსაც იპოვეს ცხოვრების მომცემელი ჯვარი.

ავგუსტუს კეისრიდან ვიდრე კონსტანტინე მორწმუნემდე შეიცვალა ოცდათხუთმეტი მეფე, ხოლო იაკობ მოციქულიდან, უფლის ძმიდან, რომელიც პირველი ეპისკოპოსი იყო იერუსალიმისა, ოცდათხუთმეტი ეპისკოპოსი კირილე ეპისკოპოსამდე და პატიოსანი ჯვრის ზეცად გამოჩენამდე.

წმინდა მამებმა განაწესეს, რომ წელიწადში ერთხელ, სექტემბრის თოთხმეტ რიცხვში, სადიდებლად მამისა და ძისა და სულისა წმინდისა, იყოს საუკუნოდ თაყვანისცემა პატიოსანი ჯვარისა.

ახლა, ვინაიდან ღვთის მადლით ვასრულებთ ჩვენს სათქმელს, ჩვენი ძალით ვაქოთ განმაცხოველებელი ჯვრის გამოჩინება, ვადიდოთ ცხოვრების მომცემელი ძელი და ვიხაროთ, როგორც იტყვის წინასწარმეტყველი დავითი: „გაიხარებს ველი და ყოველი, რაც მასზეა, იზეიმებენ ყოველნი ხენი ტევრისანი“ (ფსალმ. 95, 12) და ჩვენც მასთან ერთად ვთქვათ:

გიხაროდეს, ჰოი, ჯვარო პატიოსანო! გიხაროდეს, რადგან შენზე ამაღლდა უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

გიხაროდეს, ძელო, ცხოვრების მომცემელო! გიხაროდეს, რადგან შენგან მოგვემადლა სიხარული, რომელიც მარად აღმოცენდება ცასა და ქვეყანაზე.

გიხაროდეს, ჯვარო პატიოსანო, ცხოვრების სასიო, რადგან დამბადებელმა ყოველი დაბადებული შენს სახედ დაბადა.

იხარებდე, ძელო, ძლევაშემოსილო, რადგან ზეცის ყოველი ძალი ხარობს შენი ძალით და შესწირავენ ღმერთს გალობას შიშით, დაუდუმებლად და განუწყვეტლივ.

გიხაროდეს, ჰოი, ჯვარო დიდებულო, რადგან შენ მიერ ქალაქებსა თუ უდაბნოში და ყოველ ადგილზე მართლმადიდებელი ეკლესიებია აგებული.

გიხაროდენ, ჰოი, ძელო სადიდებელო, რადგან შენგან აღმოთქვამენ მორწმუნეთა ბაგეები საღმრთო სიტყვას.

გიხაროდეს, ჰოი, ჯვარო, სამგზის სანატრელო, რადგან ზეცის ანგელოზნი, ადამიანებთან ერთად, გახარებულნი ადიდებენ ქრისტესა ჩვენსა და მაცხოვარსა ჩვენსა.

გიხაროდეს, ძელო საგალობელო, რადგან შენ მიერ ქვეყნის კაცნი, როგორც ანგელოზნი, ცაში მდგომელნი არიან ღვთის წინაშე გამოუთქმელი სიხარულით და მარად ადიდებენ დამბადებელს.

გიხაროდეს, ჰოი, ჯვარო საქებელო, რადგან შენ მიერ გათავისუფლდა ადამი წყევლისაგან და მხიარული და განახლებული კვლავ სამოთხეშივე შევიდა და პირველი ნეტარება დაიბრუნა.

გიხაროდეს, ძელო წმინდაო და ყოველივეს წმინდამყოფელო, რადგან შენზე დამსჭვალული ძით სამება წმინდა, სწორი ბუნებით, ყოველ ადგილზე იცნობა და სწამთ და იდიდება სამარადისოდ და უკუნისამდე.

გიხარდეს, ჰოი, ჯვარო თაყვანსაცემო, რადგან შენ მიერ ყოველი სული, რომელსაც ქრისტე ჭეშმარიტად სწამს, სამარადისოდ და უკუნისამდე ცხონდება. გიხაროდეს, ძელო, ამაღლებულო, რადგან შენგან ყოველი წარუვალი სიკეთე მიეცემა კაცთა მოდგმას.

როგორ ვადიდოთ ძალი დიდებული ჯვრისა?

ეჰა, სახელი ჯვრისა, რომელშიც ჩვენი მაცხოვრის დიდებული საიდუმლოა დაფარული, ანგელოზთათვის პატივია იგი და კაცთათვის — დიდება. რა შეიძლება იყოს ჯვრის სახელზე უფრო საწადელი და ქრისტიანობის რჯულზე უტკბილესი? ან რა არის უფრო მეტი სასწაულის აღმასრულებელი, ვიდრე ჯვარი და ჯვარცმული?

ჯვარი საკვირველთმოქმედი ნიშია ღმრთეების ძალისა.

ჯვარი სიხარულია ანგელოზთა და მწუხარება ეშმაკთა.

ჯვარი საფუძველია ეკლესიისა და დამამხობელი საკერპოთა.

ჯვარი სანთელია ყოველი დაბადებულისა და ყოლის განმანათლებელი სამარადისო ნათელი.

ჯვარი ზღუდეა შეურყეველი და გოდოლი დაურღვეველი.

ჯვარი სინათლეა მღვდელთა და მშვენიერება ერისა.

ჯვარი სიქადულია მეფეთა და ძლიერება მფლობელთა.

ჯვარი საჭურველია ძლიერთა და ფარი უძლეველი მებრძოლებისა.

ჯვარი დამცველია მხედართა, უძლეველი მოწინააღმდეგეებისგან.

ჯვარი მცველია ქალაქთა და მფარველი ყოველი სოფლისა.

ჯვარი სიხარულია მორწმუნეთა და მწუხარება ურწმუნოთა.

ჯვარი დამამხობელია ეშმაკისა და მისი მორჩილებისა.

ჯვარი საშინელებაა მტრისა და გამაძლიერებელი მოყვრისა.

ჯვარი განმდევნელია ეშმაკისა და მომწოდებელი ანგელოზებისა.

ჯვარი სასოა ქრისტიანთა და შემაძრწუნებელი არაქრისტიანთა.

ჯვარი სიმტკიცეა რჯულისა და განმაქარვებელი მწვალებლობისა.

ჯვარი ხელოვანი მკურნალია სულისა და ხორცისა.

ჯვარი ძალაა უძლურთა და ლხინება სნეულთა.

ჯვარი ნავსაყუდელია მენავეთა და მაცხოვარი ღელვით გვემულთა.

ჯვარი მშვიდობაა შეშინებულთა და იმედი განწირულთა.

ჯვარი მცველია მტერთაგან და მფარველი მოძულეთაგან.

ჯვარი სიამაყეა მართლმადიდებელთა და სატანჯველი მწვალებელთა.

ჯვარი დამხსნელია კერპთმსახურებისა და შემწე კეთილად მსახურებისა.

ჯვარი მოძღვარია უბიწოთა და მასწავლებელი შეცდომილთა.

ჯვარი მცველია ქალწულთა და სიმტკიცე მისი იმედისა.

ჯვარი სიმხნევეა მართალთა და სინანული ცოდვილთა.

ჯვარი სამკაულია მონაზონთა და მშვენიერება კეთილად მცხოვრებთა.

ჯვარი მზრდელია ჩვილთა და თანამგზავრი ჭაბუკთა.

ჯვარი სასოა ყრმათა და კვერთხი მოხუცებულთა.

ჯვარი მოუკლებელი საგანძურია გლახაკთა და მარადიული მასწავლებელი მდიდართა.

ჯვარი გზაა შეცდომილთა და მომაქცეველი წარწყმედილთა.

ჯვარი შვებაა დაქანცულთა და სიმტკიცე ძლიერთა.

ჯვარი თანამავალია მორწმუნეთა დღისით და მცველი ღვთისმსახურთა ღამე.

ჯვარი წინამძღვარია მღვიძარეთა და მფარველი მძინარეთა.

ჯვარი სალმრთო გზაა, სამოთხეში მიმყვანებელი.

ჯვარი ღვთის ბეჭედია, ქრისტეს მორწმუნეთა სიქადული.

ჯვარი ტაბლაა მშიერთა და აღმვსები ქრისტეს მორწმუნეთა.

ჯვარი წესია კეთილმორწმუნეთათვს და სოფლის დამამშვიდებელი.

აწ, როგორ გადიდოთ შენ, ჰოი, ჯვარო პატიოსანო, ცხოვრების მომნიჭებელო? შენ ერთადერთი ხარ ყოველი დაბადებულისთვის, რომელიც დიდების მეუფემ უძლეველ საჭურვლად მოგვივლინა მტრის, ეშმაკის, ცოდვისა და სიკვდილის წინააღმდეგ.

შენ ხარ წინასწარმეტყველთა ნაქადაგები, შენით ხარობს ყოველი, ღაღადებს ღმრთის მიმართ და ამბობს: „მოგვეცი სასწაული შენს მოშიშებს, რათა „მშვილდის პირს“ განვეშოროთ.

შენ ხარ მოციქულთა სიქადული, რადგან ისინი დაუცხრომლად ქადაგებენ წმინდა ეკლესიაში: იქადეთ მხოლოდ ქრისტეს ჯვრით.

შენ ხარ გვირგვინი მორწმუნეთა, რომლებმაც ჯვარი აიღეს და შეუდგნენ თავიანთ უფალს.

შენ ხარ სიხარული და სიამაყე მათი, რომლებიც მთებსა და გამოქვაბულებში მკვიდრობენ ღვთის სახელით, რადგან თავიანთი სხეული ვნებითა და ტკივილით აცვეს ჯვარს.

შენ ხარ მახლობელთა და შორიელთა დაწყნარება და განსვენება.

ეჰა, სიხარული ჯვრისმიერი, რომელიც გამოუთქმელია.

ეჰა, საიდუმლო მისი, მიუწვდომელი.

ეჰა, სიღრმე და სიმდიდრე ღვთის მეცნიერების მრავალფეროვნებისა, რადგან მისი სიბრძნე გამოუკვლეველია.

ცხოვრების ხის მიერ მოვკვდით, სიკვდილის ძელის მიერ სიცოცხლე მოვიპოვეთ და ღვთის მადლით გამოვიხსენით. ამიტომ სიხარულით უნდა ვიდღესასწაულოთ ეს დღე.

წინასწარმეტყველებითა და სარწმუნოებით, როგორც წიგნი იტყვის, განვიბანოთ ცოდვები, გავკადნიერდეთ და საჭურველად ავიღოთ უძლეველი ცხოველმყოფელი ჯვარი, რომელიც ზემოდან მივიღეთ დასაწყნარებლად და დასამშვიდებლად ყოველი რისხვისა და ღვთის მიმართ ღაღადვყოთ ანგელოზთა გალობა: „წმინდაა უფალი, წმინდაა ძლიერი, წმინდაა უკვდავი უკუნისამდე და უკუნითი უკუნსამდე, ამინ“.

ჰოი, წმინდაო სამებაო, მიუწვდომელო, გარეშემოუწერელო და გამოუთქმელო, სწორო ბუნებით, შეგვიწყალე ჩვენ, უღირსნი, შეგვინდე ჩვენი შეცოდებანი და ნუ შეგვარცხვენ კაძნიერებისათვის, რადგან ხელი ჩემი უმეცრებით მოვკიდე პატიოსანი ჯვრის ქებას და შეიწყნარე ეს უძლურისაგან. დაიცავი ყოველი შენი მავედრებელი და მოგვეცი წყალობა, რადგან შენ ხარ ღმერთი ჩვენი და შენ შეგშვენის, მამაო და ძეო და სულო წმიდაო, დიდება და პატივი და თაყვანისცემა უწინარეს საუკუნეთა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

წმინდა იოანე დამასკელი
ჯვრის შესახებ; აქვე კიდევ რწმენის შესახებ*

„ჯვრის სიტყვა წარწყმედილთათვის სიცოფეა, ხოლო ჩვენთვის, ხსნილთათვის, ძალაა ღვთისა“ (1 კორ. 1, 18), რადგან სულიერი ყველას განსჯის, ხოლო მშვინვიერი ადამიანი არ იწყნარებს სულისას (1 კორ. 2, 14-15). მართლაც, ჯვარი სიცოფეა მათთვის, რომლებიც რწმენით არ იღებენ მას და (რწმენითად) არ იაზრებენ ღვთის სიკეთესა და ყოვლისშემძლეობას, არამედ ადამიანური და ბუნებითი განსჯებით გამოიძიებენ ღვთიურთ, რადგან ყოველივე ღვთისეული უზემოესია ბუნებაზე, სიტყვასა და აზროვნებაზე. მართლაც, თუ ვინმე იმის სჯას შეუდგება, თუ როგორ და რის გამო შემოიყვანა ღმერთმა ყოვლიერება არარსებობიდან არსებობაში, თან, თუ ბუნებითი განსჯებით განიზრახავს იგი ამის მიწვდომას, ვერაფერს ჩაწვდება, რადგან ამგვარი ცოდნა მშვინვიერია და ეშმაკეული. მაგრამ თუ ვინმე რწმენით იქნება ნაწინამძღვრები და ღვთიურობის სიკეთეს, ყოვლისშემძლეობას, ჭეშმარიტებას, სიბრძნესა და სიმართლეს განსჯის, ჰპოვებს იგი ყოველივეს მოსწორებულს და თანაბარს, და გზას პირდაპირს, რადგან რწმენის გარეშე შეუძლებელია ხსნა. მართლაც, რწმენით შემყარდება ყოველივე, — ადამიანურიც და სულიერიც, რადგან რწმენის გარეშე არც მიწის მუშა ჭრის ხნულს, არც მოგზაური ანდობს თავის სულს მცირე ძელს ზღვის გაცოფებულ მორევში, არც ქორწინებანი შემყარდება, არცთუ სხვა რამ ამ ცხოვრებაში. რწმენით მოვიაზრებთ არარსებობიდან არსებობაში ყოვლიერების შემოყვანას ღვთის ძალით; რწმენითვე ვახორციელებთ ყოველივეს, საღვთოსაც და ადამიანურსაც, ხოლო რწმენა — ესაა ჩაუძიებელი მინდობა.

ქრისტეს ყველა საქმე და სასწაულთქმედება უდიადესია,

---

*იბეჭდება გამოცემიდან წმ. იოანე დამასკელი, „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“, გვ. 430-432.

. ტექსტი ძველქართულად იხ. გვ. 656.

საღვთოა და საკვირველი, მაგრამ ყველაზე უფრო საკვირველია მისი პატიოსანი ჯვარი, რადგან სხვა არაფრის მიერ არ შემუსრვილა სიკვდილი, არ გაუქმებულა წინამამის შეცოდება, არ წარტყვენილა ჯოჯოხეთი, არ მონიჭებულა აღდგომა, არ მოგვცემია ძალა იმისა, რომ უგულებელგვეყო ამჟამინდელი და თვით სიკვდილიც, არ განხორიელებულა დასაბამიერი ნეტარებისკენ ზეასვლა, არ განხმულა სამოთხის კარნი, არ დამჯდარა ჩვენი ბუნება ღვთის მარჯვენივ, არ გავმხდარვართ ღვთის შვილები და მემკვიდრეები, თუ არა ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ჯვრის მიერ, რადგან ეს ყოველივე ჯვრისგან განხორციელდა. მოციქული ამბობს: „რომლებმაც კი ნათელვიღეთ ქრისტეს მიმართ, მისი სიკვდილის მიმართ ნათელვიღეთ“ (რომ. 6, 3) და „რომლებმაც ქრისტეს მიმართ ნათელვიღეთ, ქრისტე შევიმოსეთ“ (გალატ. 3, 27), ხოლო „ქრისტე არის ღვთის ძალა და სიბრძნე“ (1 კორ. 1, 24). აჰა, ქრისტეს სიკვდილმა ანუ ჯვარმა ღვთის ჰიპოსტასური სიბრძნე და ძალა შეგვმოსა ჩვენ, ხოლო ღვთის ძალა არის სიტყვა ჯვრისა, და ეს ან იმიტომ, რომ ღვთის შემძლეობა ანუ სიკვდილის წინააღმდეგ მძლეობა ჯვრის მიერ გამოგვიჩნდა ჩვენ, ანდა იმიტომ, რომ როგორც ჯვრის ოთხი წვერი შუა ცენტრის მიერ არის შემაგრებული და თანაშემჭიდროებული, ამგარადვეა შემტკიცებული ღვთის ძალის მიერ სიმაღლე და სიღრმე, სიგრძე და სიგანე, ანუ მთელი ხილული და უხილავი ქმნილება.

სწორედ ჯვარი მოგვეცა ჩვენ ნიშნად შუბლზე, როგორც ისრაელს — წინადაცვეთა, რადგან ამ ნიშნის მიერ შევიცნობით მორწმუნეები და ვემიჯნებით ურწმუნოებს. იგია ფარი, საჭურველი და ძლევის ნიში ეშმაკის წინააღმდეგ. იგია ბეჭედი, რომ არ შეგვეხოს ჩვენ „მომსპობი“, როგორც ამბობს წერილი (გამოსვლ. 12, 21). იგია მდებარეთა აღდგომა, მდგომარეთა სიმყარე, უძლურთა კვერთხი, სამწყსოს არგანი, მოქცეულთა შემწეობა, წარმატებულთა სისრულე, სულისა და სხეულის ხსნა, ყოველგვარ ბოროტებათა უკუმქცევი, ყოველგვარ სიკეთეთა მომნიჭებელი, ცოდვის აღმოფხვრა, ნერგი აღდგომისა, საუკუნო ცხოვრების ხე.

ამრიგად, ეს პატიოსანი და ჭეშმარიტად სათაყვანო ძელი,

რომელზეც ქრისტემ თავისი თავი მსხვერპლად შეწირა ჩვენს გამო, ღირსია თაყვანისცემისა, რადგან განწმენდილია იგი წმინდა სხეულისა და სისხლის შეხებით. (თაყვანსაცემია) ლურსმნები, შუბი, შესამოსელნი და აგრეთვე, მისი წმინდა სამკვიდრებელნი, კერძოდ, ბაგა, გამოქვაბული, მაცხონებელი გოლგოთა, ცხოველმყოფელი საფლავი, სიონი — ეკლესიათა აკროპოლისი და სხვა ამგვარი, როგორც ამბობს ღვთისმამა დავითი: „შევალთ მის სამკვიდრებლებში, თაყვანს ვცემთ ადგილს, სადაც მან ფეხი დადგა“ (ფსალმ. 131, 7). აქ რომ ჯვრისთვის ამბობს იგი, ამას ცხადყოფს მომდევნო ნაწილი: „აღდექი, უფალო, შენი მოსვენებისთვის“ (ფსალმ. 131, 8), რადგან ჯვარს მოჰყვება აღდგომა. თუკი საწადელია ჩვენთვის შეყვარებულთა სახლი, მათი საწოლი და სამოსელი, რამდენად უფრო — ყოველივე ის, რაც კი ღვთისა და მხსნელისა არის და რომელთა მიერაც ხსნილნი ვართ ჩვენ?! ამასთან, თაყვანს ვცემთ პატიოსანი ჯვრის გამოსახულებასაც (თუმცა კი სხვა ნივთისგან კეთდება იგი), რადგან პატივს მივაგებთ არა ნივთს (ნუ მოხდება ეს!), არამედ გამოსახულებას, როგორც ქრისტეს სიმბოლოს. მანვე უთხრა თავის მოწაფეებს, როდესაც აღუთქვა: „მაშინ გამოჩნდება ცაში ადამიანის ძის ნიშანი“ (მათე 24, 30), ჯვრისთვის თქვა რა ეს, აღდგომის ანგელოზიც ამიტომ ეუბნებოდა ქალებს: „იესოს ეძებთ ნაზარეველს, ჯვარცმულს?“ (მარკოზ 16, 6). და მოციქულიც ამბობს: „ხოლო ჩვენ ვქადაგებთ ქრისტეს, ჯვარცმულს“ (1 კორ. 1, 23), რადგან მრავალია ცხებული და იესო, მაგრამ ერთია ჯვარცმული. არ უთქვამს მას: „შუბით განგმირული“, არამედ — „ჯვარცმული“. ამიტომ თაყვანსაცემია ქრისტეს ნიშანი, რადგან სადაც იქნება ეს ნიშანი, თავადაც იქვე იქნება. რაც შეეხება ნივთს, რისგანაც ჯვრის გამოსახულება შემყარდება, თუნდაც რომ ოქრო იყოს იგი ანდა ძვირფასი ქვები, გამოსახულების გაუქმების შემდეგ (თუ ეს მოხდება), თაყვანსაცემი აღარ იქნება. ამგვარად, თაყვანვსცემთ ყველაფერს, რაც ღმერთს უკავშირდება, მისდამი შევწირავთ რა პატივგებას.

პატიოსანი ჯვარი წინაგამოსახა ცხოვრების ხემ, ღვთის მიერ დანერგილმა სამოთხეში (ეს იმიტომ, რომ რადგან ხის-

გან იყო სიკვდილი, ხის მიერვე უნდა მონიჭებულიყო სიცოცხლე და აღდგომა). იაკობმაც, როდესაც თაყვანი სცა მან კვერთხის წვერს და შენაცვლებული ხელებით აკურთხა იოსების ძეები, უცხადესად გამოსახა ჯვრის ნიშანი, ისევე როგორც: მოსესეულმა კვერთხმა, ჯვრისსახოვნად დარტყმულმა ზღვაზე და ისრაელის მხსნელმა, ხოლო ფარაონის ჩამძირველმა, აგრეთვე ჯვრისსახედ გაწვდილმა ხელებმა (ამალეკიც რომ სძლიეს), ძელით დამტკბარმა მწარე წყალმა, გაპობილმა კლდემ და გადმოღვრილმა ნაკადულებმა, კიდევ კვერთხმა, აარონისათვის მღვდელთმთავრობის ღირსებად წარმოჩენილმა, აგრეთვე, ძელზე საქვეყნოდ გამოტანილმა გველმა როგორც მომკვდარმა, რაჟამს ძელისგან გამოიხსნებოდნენ ისინი, რომლებიც, მკვდრად ხედავდნენ რა მტერს, სწამდათ ეს. ასევე იქნა ქრისტეც მილურსმული „ცოდვის ხორცით“, ცოდვის არმცოდნით. დიდი მოსე ღაღადებს: „იხილეთ თქვენი სიცოცხლე, ჩამოკიდებული ძელზე თქვენს თვალთა წინაშე“ (2 სჯულ. 28, 66). ესაიაც ამბობს: „მთელი დღე გაწვდილი მქონდა ჩემი ხელები ურჩი და მოდავე ხალხის მიმართ“ (ეს. 6, 2). ვინც მას თაყვანსვსცემთ, ვეღირსოთ ჯვარცმული ქრისტეს ნაწილს, ამინ!

იკონოგრაფია




1

2






3




4


HIC REQVIESCIT IN PACE THEODORVS EPS QVI VIXIT ANNOS PLVS MINVS




6




8

9




7





10



11

12





13



14



16

15





17



18




19



21

20






22




23



24




25



26



27




28


HRONVM
ET INTERR
BNOCRVCIS. IACOBI DENS. IGNATII OP. IN SVPRA SCRIPTI REQVIESCVNT CORPO


29



30




31



32

33








35

36






37


Ι Χ
ΒΑCΙΛΕVC
ΤΗC
ΔΟΞΗC
ΜΙΧΑΗΛ
ΓΑΒΡΙΗΛ
ΙΑCΗΠΙΡCΒ
ΚΩΝ
CTANTI
NOC
ΑΓΙΑ
ΕΛΕΝΗ


38



39




40




41




42




43



44





45



46

47






48




49




50




51



52



53



54

xxx







57

ჯვარი

ჯვარი ქრისტიანთა საკუთარ ნიშნად ითვლება, რადგან იესო ქრისტეს მეორენაირად „ჯვარცმულს“ უწოდებენ. თუმცა, ვიდრე ქრისტიანობა გავრცელდებოდა, ჯვრის გამოსახულება სხვა კულტურებსა და რელიგიებშიც არსებობდა და სხვადასხვა სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. დღეს რამდენიმე განსხვავებული ფორმის ჯვარია ცნობილი, რომელთაგან ზოგი ქრისტიანობამდელი, ბევრი კი უშუალოდ ქრისტიანული კულტურის წიაღშია შექმნილი. განასხვავებენ: ეგვიპტურ, კელტურ, ბერძნულ, ლათინურ, იერუსალიმურ, სერბულ და სხვა ტიპის ჯვრებს. საქართველოში ფორმის მიხედვით განსაკუთრებით ცნობილია ე. წ. „ბოლნური ჯვარი“ მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ჯვარი სხვაგანაც (მაგ., სირიაში) ფართოდაა გავრცელებული, ეს სახელი მას ბოლნისის სიონის ტიმპანზე გამოსახული ჯვრის გამო დაერქვა, და ხშირად გვხვდება ქართულ საეკლესიო ხელოვნებაში (ილ. 1, 2); ასევე, თავისებური ფორმისაა წმინდა ნინოს ჯვარი, რომელიც დახრილი ფრთებით გამოირჩევა, როგორც ის ჯვარი, რომელიც თავად წმინდა ნინოს ეკუთვნოდა და დღეს სიონის ღვთისმშობლის ტაძარში ინახება. ქრისტიანთა ჯვარი, ცხადია, იესო ქრისტეს ჯვარცმის ნიშანია, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მასზე გამოსახული მაცხოვრის ჯვარცმული ფიგურა. საგულისხმოა, რომ პირველ საუკუნეებში, როდესაც ქრისტიანთა მასობრივი დევნა ხდებოდა, ჯვარზე ბევრი ქრისტიანი მოწამე აღესრულა; მათ შორის თვით მაცხოვრის მოციქულები, ანდრია და პეტრე, რომლებიც განსხვავებული ფორმის ჯვრებზე გააკრეს. ამიტომაც, ეკლესიაში წმინდა ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა პეტრე მოციქულის საკუთარი ჯვრებიც არსებობს.

ჯვარი, როგორც იესო ქრისტეს, — მაცხოვრის მიერ ადამიანის გამოხსნის ნიშანი, ქრისტიანთათვის საყოველთაო თაყვანისცემის საგანია. ჯვრის გარეშე არ არსებობს ქრისტიანთა ოჯახი, სამლოცველო, სამღვდელო შესამოსელი — ის ქრისტიანული სარწმუნოების აუცილებელი ატრიბუტია. მას

ხშირად იყენებდნენ როგორც სიმბოლურ ნიშნად, ისე ვრცელ მოხატულობებში. იესო ქრისტეს შარავანდში ყოველთვის არის ჩახატული ჯვარი, რაც ძველი დროიდან მოდის და კანონიკური ხატწერის უპირობო მოთხოვნაა (ილ. 6, 7). ჯვარი, როგორც ქრისტეს ნიშანი, არა მარტო ქრისტიანული ეკლესიის, არამედ ქრისტიანთა ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მხოლოდ ჩამონათვალიც კი, იმისა, თუ რა და რა სახისაა ჯვრის პატივი და თაყვანისცემა ქრისტიანთა შორის, შესაძლოა უსასრულო აღმოჩნდეს. ამ ფაქტის ერთგვარ ახსნას გვაძლევს VII მსოფლიო საეკლესიო კრება, რომლის განჩინებიდანაც ვიგებთ, რომ წმინდა ჯვრის, ისევე, როგორც წმინდა სახარებისა და წმინდა ხატების ხშირი ხილვა მორწმუნეებს მათ პირველსახეს გაახსენებს და მათი მიბაძვის სურვილს განუახლებს. ამ მიზნით იქნა დადგენილი, უფრო ზუსტად კი, ის, უკვე არსებული ტრადიცია იქნა კანონიზირებული, რომლის მიხედვითაც ჯვარი და წმინდა ხატები უნდა „განთავსდეს ღვთის წმინდა ეკლესიაში, სამღვდელო ჭურჭელზე, სამოსზე, კედლებსა და დაფებზე, სახლებსა და გზებზე“... (განჩინება წმინდა დიდი მსოფლიო კრებისა, რომელიც ნიკეაში შეიკრიბა მეორედ).

საგულისხმოა, რომ ჯვარს ქრისტიანები ბოროტებისგან დასაცავად მიმართავენ. რაკი ქრისტემ სწორედ ჯვრის საშუალებით დაამარცხა ეშმაკი, ის მორწმუნეთათვის მთავარ მცველად და საბრძოლო იარაღადაა მიჩნეული; ამიტომაც ატარებენ მას გულზე, გამოსახავენ სახლის კარზე, აღმართავენ საფლავზე და სხვ. ჯვარი მიღებული და პატივდებულია ქრისტიანული ეკლესიის ყველა კონფესიაში. წმინდა ხატებისაგან განსხვავებით, რომელთა სალოცავი დანიშნულება მხოლოდ მართლმადიდებლური ეკლესიის ხელოვნებაში — ხატწერის ტრადიციაშია დაცული, ჯვრის ძალასა და მნიშვნელობას, ფაქტობრივად, ყველა ქრისტიანი აღიარებს. ჯვრის ფორმის გეგმითაა აგებული მრავალი ტაძარი, მათ შორის საქართველოში გავრცელებული ე.წ. ჯვარ-გუმბათოვანი ტიპის ტაძრები, რომლთა ქედებსა და გუმბათზეც, ასევე ჯვრებია აღმართული; ბევრი მათგანის ფასადებზე კი სხვადასხვა ტიპის ჩუქურთმებით გამშვენებული

ჯვრის რელიეფებია გამოქანდაკებული (ილ. 13).

საგულისხმოა, რომ ჯვრის, ისევე როგორც ჯვარცმული მაცხოვრის გამოსახვის ტრადიცია ისტორიულად იმ მოვლენას ემთხვევა, როცა იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა ცაზე გამოცხადებული ჯვარი იხილა. ამ დროიდან მოყოლებული დროშებსა და სამხედრო ატრიბუტიკაზე, შემდეგ მონეტებზე და მაცხოვრის მონოგრამებში გაჩნდა ჯვრის ფორმა, როგორც მაცხოვრის — იესო ქრისტეს ნიშანი. არსებობს მოსაზრება, რომ ჯვარსა და მაცხოვრის ჯვარცმულ გამოსახულებას ქრისტიანები მანამდე არიდებდნენ თავს, ვიდრე ეს მათთვის ტანჯვასა და ტკივილთან ასოცირდებოდა, ანუ ვიდრე ქრისტიანებს თავიანთი სარწმუნოების გამო სწორედ ჯვარზე სიკვდილით სჯიდნენ, ხოლო როცა ქრისტიანთა დევნა დასრულდა და იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა ჯვარი მტერზე გამარჯვების, უძლეველობის ნიშნად დაიგულა, ქრისტიანულ ხელოვნებაში ჯვრის სიმბოლურ გამოსახულებებთან ერთად ჯვარცმული მაცხოვრის ფერწერული და რელიეფური გამოსახულებებიც მალევე გავრცელდა. დღეს უკვე უეჭველია, რომ მსოფლიოში არ არსებობს გამოსახულება, რომელიც ბოლო 1500 წლის განმავლობაში იმდენჯერ ყოფილიყოს გამოსახული ან გამოქანდაკებული, რამდენი ჯვარცმაც შექმნილა ამ ხნის მანძილზე.

ჯვარცმის გამოსახულების შექმნა, პირველ რიგში, ცხადია, წმინდა წერილში აღწერილ ამბავს ეყრდნობა. მაცხოვრის ჯვარცმას ოთხივე მახარებელი მოგვითხრობს და ბევრ ისეთ დეტალს გადმოგვცემენ, რომლებიც ჯვარცმის კომპოზიციის სხვადასხვა რედაქციაში შეიძლება შევნიშნოთ. თუმცა, ჯვარცმის იკონოგრაფიის წასაკითხად საჭირო წყაროები მხოლოდ წმინდა წერილს არ გულისხმობს. ის ფაქტი, რომ ჯვარცმა სწორედ იმ ადგილას მოხდა, სადაც მამამთავარ ადამის თავი იყო დაკრძალული, ასევე ჯვარცმულ ავაზაკთა სახელები და ამბავი იმის შესახებ, რომ ძელი, რომლისგანაც მაცხოვრის ჯვარი შეიქმნა, პირველქმნილ სამოთხეში, ედემის ბაღში დანერგილი კეთილისა და ბოროტის ცნობადის ხისაგან აღმოცენდა, — ყველა ეს ცნობა იმ ტექსტებშია დაცული, რომლებიც ნიკოდიმოსის სახარები-

სა და სხვა აპოკრიფული ტექსტების სახელითაა ცნობილი და რომელთა ფრაგმენტები საეკლესიო სწავლების ნაწილს შეადგენს. ამ საეკლესიო გადმოცემით მიღებული ცნობები ასახულია როგორც კანონიკურ საეკლესიო სახვით ხელოვნებაში, ისე იმ საგალობლებშიც, რომლებიც ჯვარცმასთან დაკავშირებული ღვთისმსახურების დროს იკითხება და იგალობება.

ჯვარცმის გამოსახულება მხოლოდ V საუკუნიდანაა ცნობილი. მანამდე ქრისტიანული მხატვრობა მსხვერპლის აღსანიშნად ძველი აღთქმის სიუჟეტებს, მეტწილად აბრაამის მიერ ისააკის მსხვერპლშეწირვას იყენებდა (ილ. 8). შინაარსობრივის გარდა, ძველი აღთქმის ზოგიერთი სცენა გარეგნულადაც ჯვრის ფორმის მიმანიშნებელი იყო: კერძოდ, იონა წინასწარმეტყველის ხელგაშლილი ლოცვა ვეშაპის მუცელში, დანიელ წინასწარმეტყველის მიერ ლომთა ხაროში ხელაპყრობილი ლოცვა (ილ. 9), ასევე, მოსე წინასწარმეტყველის ჯვრის სახედ გაშლილი ხელებით ლოცვა ამალეკთან ბრძოლის დროს, რამაც ებრაელებს გამარჯვება მოუტანა. ეს სიუჟეტები, რომლებიც საღვთისმსახურო ტექსტებშიც ხშირად სწორედ ჯვარცმის წინასახედ მოიაზრება, მაცხოვრის ჯვარცმის აღმნიშვნელი, მორწმუნეთათვის ამ მოვლენის მოსაგონებელი გამოსახულებები იყო.

III საუკუნიდან ტრადიციად დამკვიდრდა სარკოფაგებზე ტრიუმფალური — გამარჯვების ნიშნებით აღბეჭდილი ჯვრის გამოსახვა: მხედრებით აქეთ-იქიდან დაცული ჯვარი, მის თავზე კი — გვირგვინი (ილ. 4). ეს გამოსახულება ჯვარცმის, საფლავად დადების, მომავალი აღდგომისა და ამაღლების ნიშანია. V-VI საუკუნიდან ჯვრის ფრთების კვეთაზე ქრისტეს პორტრეტული, ზოგჯერ კი კრავის გამოსახულება ჩნდება (ილ. 28, 25), ამავე პერიოდს ეკუთვნის ცნობილი მონცას ამპულები, მაცხოვრის ჯვრისა და ორი ავაზაკის ჯვარცმის გამოსახულებით, ქვევით კი — მენელსაცხებლე დედანი საფლავთან, მახარებელი ანგელოზის წინაშე. ქრისტეს ჯვარცმაა გამოსახული V საუკუნის წმინდა საბინას ტაძრის ხის კარზე (ილ. 12); 586 წლით თარიღდება ე.წ. რაბულას სახარების მინიატურა, რომელზეც ჯვარცმული მაცხოვარი გრძელ სამოსში — კოლობიუმშია გამოსახული (ილ. 15). VIII საუკუნისაა ქართული მინანქრის კვადრიფოლიუმი,

რომელზეც ასევე გრძელსამოსიანი მაცხოვარია გამოსახული, ხოლო ქართული მონუმენტური მხატვრობის უადრეს ნიმუშთა შორის არის კოლობიუმით მოსილი ჯვარცმული მაცხოვრის გამოსახულება დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მოხატულობიდან (ილ. 14, 18);

საინტერესოა, რომ ჯვრისა თუ ჯვარცმის გამოსახვა საკურთხევლის კონქში ადრეული ტაძრების დეკორირებისას მიღებული ყოფილა. რომის წმ. კლიმენტის ტაძრის საკურთხეველში გამოსახული მაცხოვრის ჯვარცმის მოზაიკური გამოსახულება, მეცნიერთა აზრით, IV-V საუკუნეების იკონოგრაფიის ნიშნებს ატარებს (ილ. 29). აქ ჯვარცმა ცხოველსმყოფელი ჯვრის სახითაა წარმოდგენილი; მშვენიერი მცენარეებითა და ფრინველებით შემკული ჯვრის ძირიდან სამოთხის ოთხი მდინარე მოედინება, რომლითაც ირმები იკლავენ წყურვილს. ეს მოტივი — ჩიტებისა და ირმების დარწყულება — სიმბოლურად ქრისტიანთა სულიერ გამოზრდას გულისხმობს იესო ქრისტეს მაცხონებელი მსხვერპლითა და მისი სწავლებით (ილ. 2).

რომის V საუკუნის წმინდა პუდენციანას საკურთხევლის აფსიდშიც, მოწაფეთა შორის გამოსახული მაცხოვრის თავზე, გამშვენებული ჯვარია გამოსახული, მის გარშემო კი — ოთხი მახარებლის სიმბოლური ფიგურებია (ილ. 32). სიმბოლურია ჯვრის დატვირთვა რავენის სანტ-აპოლინარე ინ კლასსეს VI საუკუნის ტაძრის საკურთხეველში; აქ ფერისცვალების სცენაში მაცხოვრის ფიგურის ნაცვლად ჯვარია წარმოდგენილი, ცენტრში იესო ქრისტეს პორტრეტული გამოსახულებით (ილ. 28), ამ მოვლენაში მონაწილე მოციქულების ნაცვლად კი სამი ცხვარია გამოსახული; ჯვარცმის ვრცელ რედაქციას ვხედავთ კაპადოკიის გიორგის ტაძრის XIII საუკუნეში მოხატულ საკურთხევლის კონქში, ჯვარცმული ავაზაკებისა და ჯვარმცმელთა ფიგურებით; აქვე, სატრიუმფო თაღში კი, წმინდა კონსტანტინე და ელენე არიან გამოსახულნი (ილ. 37).

თავად ჯვარცმის იკონოგრაფიას რამდენიმე დეტალისა და რედაქციის მიხედვით განასხვავებენ: „ჯვარცმის“ ხატზე აუცილებლად გამოსახავენ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელსა

და იოანე მახარებელს; ზოგჯერ სხვა დედებსაც: მარიამ მაგდალინელს, სალომეს, მარიამ კლეოპას — მათ, ვინც ჯვარცმას ღვთისმშობელთან ერთად ესწრებოდა; ასევე გამოსახავენ წმინდა ლონგინოზ ასისთავს, რომელსაც ნიკოდიმოსის აპოკრიფული სახარება ასახელებს. ჯვარცმის თავზე ზოგჯერ ფრთებით პირდაფარული ან მტირალი ანგელოზები გამოისახებიან, რომლებიც საღვთისმსახურო საგალობლებშიც გვხვდებიან. ასევე ხშირია მზისა და მთვარის სიმბოლური გამოსახულებები, რომლებიც ჯერ კიდევ რაბულას მინიატურებში გვხვდება და ასევე არაერთხელ არის ხსენებული საღვთისმსახურო ტექსტებში. სიმბოლურია ასევე ჯვარცმის სცენაში ეკლესიის ქალის სახით გამოსახვა, რომელიც მაცხოვრის მარჯვნივ, მისი ლახვრით განგმერილი გვერდიდან გადმომდინარე სისხლს თასში აგროვებს (ილ. 18); ზოგჯერ კი, ჯვარცმული მაცხოვრის მარცხნივ ქალის ფიგურა გამოისახება, რომელიც თითქოს ტოვებს ჯვარცმის ადგილს, მას ან ანგელოზი მიაცილებს, ანდა ის ჯვარცმის მიმართ ზურგშექცევით დგას (ილ. 46, 50, 53); ეს სინაგოგაა — ძველი აღთქმის ეკლესიის სიმბოლური გამოსახულება, რომელიც, წმინდა მამათა განმარტებით, კარგავს თავის სამწყსოს, ხოლო ახალი აღთქმის ეკლესია შეკრებს მათ და, როგორც მრავალი შვილის დედა, თავის წმინდა წიაღში იფარებს.

IX საუკუნიდან ჯვარცმის ძირას, გოლგოთის კლდეში — რაც თავის მხრივ „თხემის ადგილს“ ნიშნავს, გამოსახავენ ადამის თავს და ძვლებს. საეკლესიო გადმოცემა ადასტურებს, რომ ამ ადგილას ადამის თავი იყო დაკრძალული. ამ გადმოცემის შესახებ მოგვითხრობენ წმინდა მამები. თავად საეკლესიო სწავლება იესო ქრისტეს მეორე ადამს უწოდებს. „ვინაიდან, როგორც კაცის მიერ მოვიდა სიკვდილი, ასევე კაცის მიერ მკვდრეთით აღდგომა. ვინაიდან როგორც ადამში კვდება ყველა, ასევე გაცოცხლდებიან ქრისტეში“ (1 კორ. 15, 21-22). ამიტომაც, ადამის თავისა და ზოგჯერ უშუალოდ მასზე დათხეული მაცხოვრის სისხლის გამოსახვა „ჯვარცმის“ ქვეშ იმისთვის ხდება, რომ ეს ასპექტი კიდევ უფრო ნათლად წარმოჩინდეს (ილ. 44, 52).

საგულისხმოა, რომ ჯვარცმის იკონოგრაფიის ისტორია,

ისევე, როგორც ღვთისმშობლის იკონოგრაფია, ნათელი დასტურია იმისა, რომ კათოლიკური და მართლმადიდებლური საეკლესიო ხელოვნება ერთი საწყისიდან, საერთო იკონოგრაფიული ტრადიციიდან მომდინარეობს. თუმცა, ჯვარცმის ზოგიერთი დეტალი მათ შორის განსხვავებაზეც მეტყველებს, რაც მხოლოდ მეორე ათასწლეულიდან იკვეთება. კერძოდ, ცნობილია, რომ მაცხოვრის სხეული ოთხი ლურსმნით იყო ჯვარცმული, ანუ ხელები და ფეხები ჯვარზე მას ცალ-ცალკე ჰქონდა დამსჭვალული. დასავლურ ხელოვნებაში, XIII საუკუნიდან მოყოლებული, დამკვიდრდა ჯვარცმის ის გამოსახულება, სადაც მაცხოვრის ფეხები ერთიმეორეზეა გადადებული და ჯვარზე ერთი ლურსმნითაა მიმსჭვალული. ასევე, დასავლურმა ტრადიციამ განავითარა მაცხოვრის ეკლის გვირგვინით გამოსახვა და, გარკვეულწილად, ემოციური განცდის აღმნიშვნელი მხატვრული ელემენტებიც, როგორიცაა ღვთისმშობლის გულშეღონებული ფიგურის გამოსახვა ჯვარცმული მაცხოვრის ქვემოთ და თვით იესო ქრისტეს რამდენადმე მოხრილი მკლავები. ეს დეტალები განსაკუთრებული მხატვრული გამომსახველობით ხასიათდება გვიანი პერიოდის დასავლურ სახვით ხელოვნებაში და ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში ზოგიერთი მართლმადიდებლური ქვეყნის ხატწერაზეც იქონია გარკვეული გავლენა. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ეს დეტალები მართლმადიდებლური კანონიკური ხატწერისთვის უცხო არ ყოფილა და ამ ნიშნებით ჯვარცმის იკონოგრაფიათა სხვაობა დიდწილად სწორედ ტრადიციათა მრავალფეროვნებაზე მიგვანიშნებს. ამის დასტურია ძველი ხატები, კერძოდ, სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტრის X საუკუნის ჯვარცმის ხატი, აქ მაცხოვრის თავზე ეკლის გვირგვინს ვხედავთ (ილ. 22), ანდა ამავე მონასტრის XIII საუკუნის ჯვარცმის ხატები, სადაც ჯვარცმული სამი ლურსმითაა დამსჭვალული, ხოლო იქ დამსწრეთა ფიგურები იმგვარადაა გამოსახული, რომ მლოცველი მათში ადამიანური ემოციის ნიშნებს ადვილად ამოიკითხავს (ილ. 43, 44). ამრიგად, კანონიკურ საეკლესიო მხატვრობაში იძებნება როგორც ჯვარცმის ის ნიმუშები, სადაც მაცხოვარი მკლავებგამართული,

ერთგვარად გამარჯვებული სახითაა წარმოდგენილი (ილ. 22, 38, 45, 46), ასევე იმგვარი ნიმუშებიც, სადაც ჯვარცმულ ფიგურას მოშვებული მკლავებით ვხედავთ (ილ. 41, 43, 48), რაც, მოგვიანებით დასავლური საეკლესიო მხატვრობის ტრადიციაში დამკვიდრდა.

ჯერ კიდევ პირველ ხატებში ვხედავთ ჯვარცმის ქვეშ ორ მხედარს მაცხოვრის მარჯვნივ ლახვრით, მარცხნივ კი, ღრუბელიანი ლერწმით ხელში (ილ. 15, 17, 18, 21). წამების ეს ორი იარაღი მოგვიანებით ჯვარცმის იმ სიმბოლურ გამოსახულებაზეც აისახა, რომელიც დღეს რვაბოლოიანი გოლგოთის ჯვრის სახელით ვიცით და ლიტერატურაში ხშირად „მართლმადიდებლური ჯვრის“ სახელწოდებით გვხვდება. რვაბოლოიანი ჯვარი იმ ორი მთავარი ძელის გარდა, რომელზეც მაცხოვარი იქნა გაკრული, ასევე გვიჩვენებს იმ ფიცარს, რომელზეც პილატემ იესოს ბრალი დაწერა: „იესუ ნაზარეველი — მეუფე ჰურიათა“ და ფეხსადგამ ფიცარსაც, რომელსაც მოგვიანებით სიმბოლური მნიშვნელობა მიენიჭა — მას მარჯვნიდან მარცხნივ დახრილად გამოსახავდნენ იმის ნიშნად, რომ მაცხოვრის მარჯვნივ ჯვარცმული მონანული ავაზაკის სული სამოთხეში ამაღლდა, ხოლო მარცხნივ ჯვარცმულისა კი — ჯოჯოხეთში ჩავიდა (ილ. 24).

ძველი დროიდან მოდის მაცხოვრის კვართზე წილისყრის გამოსახულებაც: ჯვარცმის ძირას სამი კაცი ქრისტეს კვართს ინაწილებს; ეს დეტალი გვხვდება როგორც ადრეულ, ისე გვიანი მხატვრობის ნიმუშებში (ილ. 15, 22, 41). უფრო ვრცელ რედაქციებში კი გამოსახულნი არიან მკვდრეთით აღდგომილი, საფლავებიდან გამოსული მიცვალებულებიც, რომელთა შესახებაც წმინდა წერილი მოგვითხრობს (ილ. 42, 52).

მაცხოვრის ჯვარცმის ამბავი საეკლესიო ხელოვნებაშიც და ღვთისმსახურებაშიც რამდენიმე ნაწილადაა წარმოდგენილი და დიდმარხვის ბოლო, ვნების კვირის მსახურებას მოიცავს. ხატწერაში ამ გამოსახულებებს „ვნების ციკლი“ ეწოდება და მასში ის ამბებია გამოხატული, რომელიც იუდას გაცემიდან იესოს დასაფალვებამდე მოხდა. მინიატურებში, ფრესკებში და ზოგჯერ ხატებზეც ეს სცენები თანმიმდევრობითაა ხოლმე

წარმოდგენილი (ილ. 49), ხოლო უშუალოდ წითელ პარასკევს ტაძრებში საზოგადო ღვთისმსახურება წმინდა გარდამოხსნის წინაშე სრულდება, რომელიც საფლავად დადებული მაცხოვრის გამოსახულებას წარმოადგენს და ტრადიციულად, ნაქარგობით არის ხოლმე შესრულებული (ილ. 47).

გარდა იმ ჯვრისა, რომელზედაც ჯვარცმული მაცხოვარია გამოსახული, არის ჯვრის სიმბოლური გამოსახულებები, რომელთა იერი მისი მნიშვნელობის სხვადასხვა ასპექტზე მიგვითითებს. ასეთია ე.წ. განედლებული ჯვარი, რომელიც სიკვდილზე გამარჯვებისა და სიცოცხლის ტრიუმფის მანიშნებელია. ეს იკონოგრაფია ძველი საეკლესიო მხატვრობისა და პლასტიკის ნიმუშებზე გვხვდება და „ჯვრის განდიდების“ სახელითაა ცნობილი; ბორცვზე აღმართული, გამშვენებული ჯვრის ორსავ მხარეს ანგელოზებია გამოსახული, ზოგჯერ მათ ვნების იარაღები — ლახვარი და ღრუბელი უჭირავთ, თავად ბორცვზე კი — ოთხი მდინარე, რომლებიც ედემის ბაღში — პირველქმნილ სამოთხეში მოედინებოდა. სხვანაირი იკონოგრაფიით, წრეში ჩახატულ ან მანათობელი შარავანდის (მანდორლის) სხვადასხვა ფერად ფონზე გამოხატულ ჯვარს ანგელოზები აამაღლებენ. ამ იკონოგრაფიის ყველაზე ცნობილი ნიმუში საქართველოში მცხეთის ჯვრის ტაძრის ტიმპანის რელიეფი — ჯვრის ამაღლებაა; ხოლო ამავე იკონოგრაფიის ფერწერული გამოსახულება ქართული ტაძრების გუმბათის მოხატულობისთვისაა დამახასიათებელი. საგულისხმოა, რომ ქართული ტაძრების გუმბათებში სწორედ ანგელოზთაგან ამაღლებული, ან დეკორატიული სამშვენისებით მორთული ჯვარი იყო გამოსახული (ილ. 33, 34, 35), განსხვავებით ბიზანტიური ეკლესიის ტრადიციისგან, სადაც გუმბათში, ჩვეულებრივ, მაცხოვრის პანტოკრატორის (ყოვლისმპყრობელის ტიპი) ნახევარფიგურას ათავსებდნენ. ჯვრებით იყო მორთული ტაძრები იმ პერიოდშიც, როცა ქრისტიანულ ეკლესიაში ხატმებრძოლეობა მძვინვარებდა. მაშინ წმინდა ხატები და ფრესკები მასობრივად იღევნებოდა და ნადგურდებოდა, მხოლოდ ჯვრის გამოსახულებას არ ერჩოდნენ მწვალებელი ხატმებრძოლნი, ამიტომაც ამ პერიოდში (VIII-IX სს.)

ხშირია ტაძრების ინტერიერის დეკორატიული შემკობა, ე.წ. ანიკონიური მოხატულობა, სადაც წმინდანთა გამოსახულებებს ვერ შეხვდებოდით, ტაძრის კედლებზე მხოლოდ მცენარეული დეკორი და ჯვრები იყო გამოსახული (ილ. 20).

მაცხოვრის ცხოველსმყოფელი ჯვრის პოვნას და წმინდა კონსტანტინე დიდისა და ელენე დედოფლის ღვაწლს განადიდებს გამოსახულება, სადაც ისინი ჯვრით ხელში არიან გამოსახულნი (ილ. 55); ზოგჯერ მათი ფიგურები უშუალოდ ჯვარცმული მაცხოვრის ფერხთითაც არის გამოსახული (ილ. 38).

ამავე ამბავს, წმინდა ჯვრის აღმოჩენას უკავშირდება ჯვრის ამაღლების დღესასწაულიც, რომელიც ეკლესიაში 14/27 სექტემბერს აღინიშნება. მრავალფიგურიანი კომპოზიცია, რომელიც მაცხოვრის საფლავის ტაძრის წინაა წარმოდგენილი, პატრიარქის მიერ ჯვრის ამაღლებას გამოხატავს. როგორც წესი, აქ არიან გამოსახულნი წმინდა კონსტანტინე და ელენეც. ამ ხატის იკონოგრაფია შედარებით გვიან, XV საუკუნიდან გავრცელდა და „ათორმეტი საუფლო დღესასწაულის“ ციკლში დაიმკვიდრა ადგილი (ილ. 51, 54).

საგულისხმოა, რომ ჯვრის აღპყრობის დღესასწაულს უკავშირდება ერთ-ერთი დიდი წმინდანის, მარიამ ეგვიპტელის ცხოვრების ის ეპიზოდი, როცა მან იესო ქრისტე ირწმუნა და მეუდაბნოე ცხოვრების ღვაწლს შეუდგა. ამ ეპიზოდმა ასახვა ჰპოვა XVI საუკუნის კრეტელი ოსტატის ფრესკაში და ჯვრის აღპყრობის დღესასწაულის ნაწილად არის წარმოდგენილი (ილ. 56).

ჯვარი, როგორც იესო ქრისტეს საკუთარი ნიშანი, ყველაზე მრავალმხრივი და მდიდარი იკონოგრაფიით ხასიათდება; მეორე მხრივ, ჯვარი, როგორც ყველაზე ცხადი და ცალსახა ნიშანი მარადისობისა, ყოველ მხატვრულ კონტექსტს გამომხსნელი მსხვერპლის საზრისით გამსჭვალავს და სრულყოფილ, უნივერსალურ მასშტაბს სძენს.

საგალობელნი

დიდსა პარასკევსა*

მოიხილესა/ჯმაჲ ბ გუერდი/ ძლ. რომელმან განავლო ზღუაჲ მეწ

ეტყოდა უფალი ათერთმეტთა მათ: „თქუენ სწუხდეთ, ხოლო სოფელსა უხაროდის, არამედ მწუხარებაჲ თქუენი მსწრაფლ გარდაიცვალოს სიხარულად, ხოლო ოდეს მიხილოთ მე, ჯუარსა ზედა მოძღუარი თქუენი, ნუ შესძრწუნდებით, არამედ ილოცევდით, რაჲთა განსაცდელსა არაჲ შეხჳდეთ“.

ჯუარცუმასა ყოველთა მეუფისასა მნათობთა მოაკლდა ბრწყინვალებასა, ექუს ჟამითგან ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე ბნელი იქმნა ყოველსა ქუეყანასა და დაეცნეს პირსა ზედა უღმრთონი იგი ჯუარის-მცუმელნი, მას ჟამსა შეძრწუნდა ასისთავი და თქუა: „ჭეშმარიტად ესე ძე ღმრთისაჲ იყო“.

წინაჲთვე ეტყოდა უფალი პეტრეს: „ყოფადსა მას მე აწვე გაუწყებ შენ: ქათამსა ვიდრე არღა ჴმა-ეყოს, სამგზის უვარ-მყო მე ფიცით განცხადებულად, ვითარმედ არა მიცი მე, ხოლო არაჲ დაგიტეო შენ, არცა წარგწყმიდო განმცემელსა თანა, რამეთუ გიყუარ მე უფროჲს ყოველთა“.

ვითარცა იხილა საწყალობელმან მოშურნემან — იუდა მიმცემელმან, რამეთუ დაისაჯა იესუ, კუალად აღიღო მან უძჳრესი ცოდვაჲ — წარვიდა და შიშთვილ-იბა და მოკუდა იგი სულით და ჴორცით და დაეფლა გულსა ჯოჯოხეთისასა და ჰმწყსის მას სიკუდილი უკუნისამდე.

შეძრწუნდა ქუეყანაჲ და ძრწიან ცანი და იძრვიან ძალითურთ სამყარონი, რამეთუ ცათა მეუფესა ქუეყანისანი სტანჯვენ ჯუარსა ზედა, მარიამ, მშობელი მისი, მწუხარე არს შეურვებული, რამეთუ ჰხედავს სამშჯულითა დამშჯუალულსა და ეგლოვს გულითა, ვითარცა კაცსა.

*იბეჭდება გამოცემიდან იოანე მინჩხის პოეზია.გვ. 277-279.

სასოჲ ხარ ყოველთა ქრისტეანეთაჲ და შემწე, რომელნი ყოლად გხადიან, სიმტკიცეო დაბადებულთაო და მშობელო ცათა მეუფისაო, ყოველთა ნათესავთაგან დაუცხრომელად იქები და მარადის გნატრის ყოველი თესლები, შენ გესავთ მეოხად წინაშე ღმრთისა.

დიდსავე პარასკევსა/ხუედრნი/ღამითგანსა/

კმაჲ ბ გუერდი/ძლ. შენდა აღვიმსთობთ

ძრწიან ძალითურთ ცანი ცათანი დღეს, ოხრიან გოდებით უფსკრულნი, იძრვის ქუეყანაჲ, წუხან მნათობნი, იგლოვენ ჰაერნიცა დღეს უშჯულოთა მიერ სიკუდილსა ღმრთისა სიტყჳსასა.

შედეგი წმიდათა და საცხორებელთა ვნებათა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტჱსთა*

აღსავალი ა/ჴმაჲ ზ

მთავარნი ერთანი შეკრბეს უფლისათჳს და ცხებულისა მისისათჳს.

სიტყუა უშჯულოებისა დამსდუეს ჩემ ზედა, უფალო, უფალო, ნუ განმაგდებ მე.

ჴმაჲ ე

საცნობელნი ჩუენნი, ჰ, მორწმუნენო, ქრისტჱს წარუდგინნეთ და სულნი ჩუენნი მისთჳს დავჰჴსნნეთ, ვითარცა მეგობართა მისთა და ნუ სოფლისა ზრუნვათაგან ვიშთებით, ვითარ იუდა, არამედ, საუნჯეთა ყოველსა ჩუენთა ღაღად-ვყოთ, მამაო ჩუენო ზეცათაო, ბოროტისაგან გჳჴსნენ ჩუენ.

დიდებაჲ ა წ და/ღმრთის-მშობელისა/ესმა მოსლვა

ქალწულებით ჰშევ, უქორწინებელო, და ქალწულადვე ეგე, დედაო, უსძლოო ღმრთის-მშობელო მარიამ, ქრისტჱსა, მეუფესა ჩუენსა ევედრე ცხორებად სულთა ჩუენთათჳს.

აღსავალი ბ/ჴმაჲ ვ

მირბიოდა იუდა და ეტყოდა, უშჯულოთა მათ ბილწთა მწიგნობართა: რაჲ გნებავს მოცემად, რაჲთა მე მიგცე თქუენ, რომელსა ეძიებთ; ხოლო შორის ზავებისა მის თავადი სდეგ უხილავად, და ზავი იგი გესმოდა, გულთ-მეცნიერო, აცხოვნენ სულნი ჩუენნი, ვითარცა ღმერთ ხარ.

ნათლითა შენითა

მოწყალებითა გლახაკთაჲთა ღმერთსა ვმსახუროთ, ვითარცა მარიამ სერობასა მას, და ნუ მოვიგებთ ვეცხლის-მოყუარებასა, ვითარცა იუდა, რაჲთა მარადის უფლისა თანა ვიყოფოდეთ.

დიდებაჲ/ღმრთის-მშობელისა/ნათლითა შენითა

რომელი იგი ჰშევ, ქალწულო, გამოუთქუმელად, ნუ დასცხრები ვედრებად კაცთ-მოყუარისა მის, რაჲთა მიჴსნნეს ჩუენ

*იბეჭდება გამოცემიდან ტრიოდიონი (მარხვანი), გვ. ფკბ-ფნდ.

განსაცდელთაგან მტერისათა, რომელნი შენდა მოვიელტით, ყოვლად-უბიწოო.

აწ და/იგივე

აღსავალი გ/კმაჲ ბ/განაჰო სიღრმე

ლაზარეს აღდგომისათჳს, ქრისტე, ოსანასა გიღაღადებდეს შენ ყრმანი ებრაელთანი, კაცთ-მოყუარეო, ხოლო უშჯულომან იუდა არა ინება შეგონებად.

სერობასა შენსა, ქრისტე ღმერთო, მოწაფეთა შენთა წინაჲსწარ ეტყოდი, ვითარმედ ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე, ხოლო უშჯულომან იუდა არა ინება შეგონებად.

იოანე გკითხა რაჲ, უფალო, ვითარმედ მიმცემელი შენი ვინ არს, მიცემითა პურისათა უჩუენე იგი, ხოლო უშჯულომან იუდა არა ინება შეგონებად.

ოცდა ათ ვეცხლად, ყოვლადძლიერო, და ამბორის-ყოფითა სიცრუვისათა გეძიებდეს შენ მოკლვად ჰურიანი, ხოლო უშჯულომან იუდა არა ინება შეგონებად.

საბანელსა მას შენსა, ქრისტე ღმერთო, ეტყოდი შენთა მათ მოწაფეთა, ესრეთ ჰყოფდეთ, ვითარცა იხილეთ, ხოლო უშჯულომან იუდა არა ინება შეგონებად.

იღჳძებდით და ილოცევდით, რაჲთა არა შეხჳდეთ განსაცდელსა, მოწაფეთა შენთა, ქრისტე ღმერთო, ეტყოდი, ხოლო უშჯულომან იუდა არა ინება შეგონებად.

დიდებაჲ/ღმრთის-მშობელისა

ღმრთის-მშობელო, იჴსენ სამწყსოჲ შენი განსაცდელთაგან, რამეთუ ღმრთისა შემდგომად შენდა ყოველნი მოვიელტით, რამეთუ შენ ხარ შეურყეველი ზღუდჱ და სასოჲ მორწმუნეთა.

აწ და/იგივე

წარდგომაჲ/კმაჲ ვ/ამაღლდა ზეცად

სერობასა მას მოწაფეთა შენთა თანა ინახ-იდგი, უფალო, და უწყოდი ზაკუაჲ იგი განმცემელისაჲ და იუდას ამხილე მიცემითა პურისაჲთა, იცოდი მოუქცეველი სიბოროტჱ მისი, არამედ გენება ყოველთა უწყებად, ვითარმედ ნებსით მიეცემი, რაჲთა სოფელი იჴსნე მტერისაგან, სულგრძელო უფალო, დიდებაჲ შენდა.

დღეს იუდა დაუტეობს მოძღუარსა სახიერსა და მიითუალავს ეშმაკსა, დაბრმების ვნებითა მით ვეცხლის-მოყუარეობისაჲთა, და განვარდების ნათლისაგან დაბნელებული, და ვითარცა ეძლო ხილვად, რომელმან მნათობი უსასყიდლოჲ განყიდა ზაკჳთ ოცდა ათ ვეცხლად, არამედ ჩუენ გამოგჳბრწყინდა, რომელმან ყოვლისა სოფლისათჳს ივნო, მისა მიმართ ჴმაჲ-ვყოთ, რომელი ჯუარს-ეცუ, მოწყალეო, კაცთ-მოყუარეო, უფალო, დიდებაჲ შენდა.

დღეს იუდა იჯმნის ღმრთის-მსახურებისაგან, და უცხო იქმნების ქრისტჱს მჴსნელისაგან, მოწაფე იყო ბილწი და იქმნა შინა განმცემელ, და სახითა მით ამბორის-ყოფისათა ზაკუეა გამოაჩინა მედგრობით და აღირჩია უგუნურმან მონება ვეცხლისმოყუარეობისა უფროჲს ვიდრეღა სიყუარული ქრისტჱსი, და წინამძღუარ ექმნა შესაკრებელსა მას უღმრთოებისასა, ხოლო ჩუენ ვჰჴმობთ, რომელი ჯუარს-ეცუ, კაცთ-მოყუარეო უფალო, დიდებაჲ შენდა.

ჴმაჲ ა/ამაღლდა ზეცად

ძმათ-მოყუარება მოვიგოთ ქრისტჱს მიერ, და ნუ უწყალო ვართ, ძმანო, მოყუასთა მიმართ ჩუენთა, რაჲთა არა დავისაჯნეთ, ვითარცა მონაჲ იგი უწყალო ასისა მისთჳს დრაჰკნისა, და იუდას მსგავსად უსარგებლოჲთა სინანულითა, საუკუნოდ ვინანდეთ, რომლისაგან გჳჴსნენ, სახიერ, და ღირს-გუყვენ აღსრულებად მცნებათა შენთა.

დიდებაჲ, აწ და/ღმრთის-მშობელისა/უფსკრული ზღჳსათა

დიდებული ითქუა შენთჳს თესლითი თესლადმდე, ღმრთისმშობელო მარიამ, რომელმან გჳშევ შემოქმედი ყოველთა ჴორცითა, უქორწინებელო.

აწ და/აღსავალი ე/ჴმაჲ ე/რომელმან შეიმოსე

მოწაფე მოძღურისა აღითქუამს ქრთამსა, ოცდა ათისა ვეცხლისათჳს განყიდა უფალი, ამბორის-ყოფითა სიცრუვისაჲთა მისცა იგი სიკუდიდ უშჯულოთა მათ.

გიხაროდენ/ღმრთის-მშობელო

დღეს ეტყოდა შემოქმედი ცათა და ქუეყანისა თჳსთა მათ მოწაფეთა: მოახლებულ არს ჟამი, მოვალს იუდა მიმცემელი ჩემი, ნუ ვინ უარ-მყოფთ მე, რაჟამს მიხილოთ ჯუარსა ზედა შორის ორთა ავაზაკთა, ვიენო, ვითარცა კაცმან და ვაცხოვნნე, ვითარცა კაცთ-მოყუარე ვარ, ჩემნი მორწმუნენი.

დიდებაჲ/ღმრთის-მშობელისა/რომელმან შეიმოსე

რომელმან აღსასრულსა ჟამთასა უთესლოდ და გამოუთქუმელად მუცლად-იღე, და გჳშევ დამბადებელი, ქალწულო მარიამ, მას ეველრე ცხორებად სულთა ჩუენთათჳს.

აწ და/აღსავალი ვ/ჴმაჲ ზ/აღმაღლდა ზეცად

დღეს იღჳძებდა იუდა მიცემად უფლისა, პირველ საუკუნეთა მაცხოვარსა სოფლისასა, რომელმან იგი ხუთითა მით პურითა განაძღო სიმრავლე უდაბნოსა ზედა, დღეს უშჯულო უარ-ჰყოფს მოძღუარსა თჳსსა, მოწაფე იყო, და განყიდა მეუფე ოცდა ათისა ვეცხლისათჳს, რომელმან მანანა უწჳმა ისრაელსა.

ამაღლდა ზეცად

დღეს ჯუარსა შემშჭუალეს ჰურიათა მჴსნელი, რომელმან განუღო მათ მეწამული კუერთხითა, და განიყვანნა იგინი დაულტოლველად, დღეს ლაბურითა გუერდსა უგმირეს, რომელმან წყლულებითა სტანჯა მათ მიერ ეგჳპტე, და ნავღელი ასუეს, ძმრითა განზავებული, რომელმან იგი მანანა მისცა მათ საზრდელად უდაბნოსა ზედა.

მჯდომარე

უფალო, მოხჯდოდი რაჲ ნებსით ვნებად ჩუენთჳს, ეტყოდი მოწაფეთა შენთა ესრეთ: უკუეთუ ვერ უძლეთ თქუენ ერთჟამსა მღჳძარებად აქ, ჩემ-თანა, ვითარ უკუე იტყოდით სიკუდილსა ჩემთჳს პირველ, აწ მიხედენით თქუენ იუდას, ვითარ არა სძინავს მას, არამედ მოსწრაფე არს მიცემასა ჩემსა უშჯულოთადა, აწ უკუე განიფრთხუეთ, და ილოცევდით თქუენ და ნუვინ უარ-მყოფთ მე, მიხილოთ რაჲ ნებსით ჯუარცმული; ყოვლად სულგრძელო უფალო, დიდებაჲ შენდა.

დიდებაჲ/ღმრთის-მშობელისა/რაჟამს ესმა

გიხაროდენ, ღმრთის-მშობელო, მეოთხე ცათა დაუტევნელი დაიტიე საშოსა, გიხაროდენ, ქალწულო, წინაჲსწარმ-

ეტყუელთა მიერ ქადაგებულო, რომლისაგან აღმოგჳცენდა ჩუენ ემმანუილ, გიხაროდენ, ქრისტჱს დედაო.

აწ და/წარდგომაჲ/ჴმაჲ ზ

რომელმანმე საქმემან გყო შენ, იუდა, განმცემელ მაცხოვრისა ყოველთასა? ნუ უკუე კრებულისა მის მოწაფეთასა განგყო, ანუ ნუუკუე სერობასა ტაბლასა მისგან განგაყენა, ანუ სხუათა ფერჴნი დაბანნა, და შენ უგულებელს-გყოა? ჱ, რაოდენთა კეთილთა დამვიწყებელ იქმენ, ამისთჳს უმადლოჲ გონებაჲ შენი განაქიქა, ხოლო მისი საღმრთოჲ იგი აღურაცხელი მოწყალებაჲ და სულგრძელებაჲ განითქუა ცის-კიდეთა.

დიდებაჲ აწ და/აღსავალი ზ/ჴმაჲ ჱ

უშჯულოთა შენთა შემპყრობელთა მიშუებითა ესრეთ ეტყოდი, უფალო: დაღაცათუ მწყემსი ესე დაეცით და განაბნინეთ ჩემნი ათორმეტნი მოწაფენი, შემძლებელ-ვიყავ უფროჲს ათორმეტთა გუნდთა ანგელოზთასა მოყვანებად, არამედ სულგრძელობ, რაჲთა აღესრულოს, რომელი გამოგიცხადე თქუენ პირითა წინაჲსწარმეტყუელთა ჩემთათა, უჩინონი და დაფარულნი; უფალო, დიდებაჲ შენდა.

სამგზის უარ-გყო შენ პეტრე, მეყუსეულად სიტყუაჲ შენი გულისჴმა-ჰყო, უფალო, არამედ შესწირნა შენდა ცრემლნი სინანულისანი და გოდებით ესრეთ იტყოდა: ღმერთო, მილხინე და შემიწყალე მე.

დიდებაჲ/ღმრთის-მშობელისაჲ

ვითარცა ბჭესა ცხორებისასა და სამოთხესა შუენიერსა, და მიუაჩრდილებელისა მის ნათლისა სასანთლესა, ყოვლადწმიდასა დედოფალსა, ყოველნი უგალობდეთ და გიხაროდენსა უღაღადებდეთ.

აწ და/აღსავალი ჱ/ჴმაჲ ე

სთქუთღა, ჰურიანო, რაჲ იხილეთ მაცხოვრისაგან, შჯული გარდააქცია, ანუ მოძღურება წინაჲსწარმეტყუელთა? ვითარ არა შეიშინეთ მიცემად პილატესა ღმერთი, სიტყუაჲ ღმრთისაჲ და მჴსნელი სულთა ჩუენთაჲ.

ჯუარს-ცუმად შენდა ღაღადებდეს შუებულნი კეთილთა შენთაგან, და ძჳრის-მოქმედსა მას გამოითხოვდეს, ქუელის-

მოქმედისა მის წილ, მკლველნი იგი მართალთანი, ხოლო შენ, ქრისტე, სდუმენ და მათსა მას წარმდებებასა თავს-იდებდ, რამეთუ გენება ვნებაჲ, რაჲთა აცხოვნო სოფელი, ვითარცა კაცთმოყუარე ხარ.

დიდებაჲ/ღმრთის-მშობელისა/ჴმაჲ ბ

რამეთუ არა მაქუს ჩუენ კადნიერება მრავალთაგან შეცოდებათა ჩუენთა, არამედ შენგან შობილსა ევედრე, ღმრთის-მშობელო ქალწულო, რამეთუ ფრიად შემძლებელ არს ვედრებად დედა ძისა მიმართ შეწყალებად მვედრებელთა მისთა, ნუ შეურაცხჰყოფ ოხასა ჩუენ, ცოდვილთათჳს, ყოვლადწმიდაო, რამეთუ მოწყალე არს და ცხორებად ჩუენდა შემძლებელ, რომელმანცა ჯუარსა ზედა ვნებაჲ ნებსით თავს-იდვა ჩუენთჳს.

აწ და/აღსავალი თ/ჴმაჲ გ

აღწონეს ოცდა ათი იგი ვეცხლი, სასყიდელი განსყიდულისა მის, რომელი მოიყიდეს ძეთაგან ისრაილისათა, იღჳძებდით და ილოცევდით, რაჲთა არა შეხჳდეთ განსაცდელსა, სული ვიდრემე გულს-მოდგინე არს, ხოლო ჴორცნი უძლურ, ამისთჳს იღჳძებდით.

ჯუარსა ზედა აღმაღლებული მნათობთა გიხილეს, და ბნელად გარდაიქცეს, და მთავრობისა იგი ფლობაჲ მწუხარებით აქუნდა, და შეძრწუნებულნი ადიდებდეს სულგრძელებასა შენსა, რომელმან ივნე ჩუენთჳს, უფალო, დიდებაჲ შენდა.

დიდებაჲ/ღმრთის-მშობელისა

წარმართთაგანნი, მორწმუნენი გიგალობთ, ღმრთის-მშობელო ქალწულო, რომელმან ჰშევ ქრისტე ღმერთი, რომელმან წყევისაგან იჴსნნა შენ მიერ ნათესავნი კაცთანი.

აწ და/წარდგომა/ჴმაჲ ზ

რამეთუ ვითარ ოდესმე მოწაფემან შენმან, ქრისტე, იუდა, შინაგანცემაჲ შენი იზრახა, შენ თანა ისერებდა მზაკუვარი იგი უშჯულო, წარვიდა და ეტყოდა მღდელთ-მთავართა მათ: რაჲ მომცეთ, და მიგცე თქუენ დამჴსნელი იგი შჯულისა და შაბათობისა თქუენისაჲ? ეჰა, უკეთური, სულგრძელო უფალო, დიდებაჲ შენდა.

დიდებაჲ აწ და/იგივე

აღსავალი ი/ჴმაჲ ვ

რომელმან შეიმოსა ნათელი სამოსლის სახედ, შიშუელი საშჯელად წარდგა და ყურიმლის-ცემაჲ თავს-იდვა, ჴელითა თჳსითა დაბადებულთაჲთა და ერმან ულმრთომან ჯუარსა ზედა დამოჰკიდეს დღეს ღმერთი დიდებისაჲ, ხოლო კრეტსაბმელი ტაძრისაჲ მის განიპო და კლდენი განსქდეს, ქუეყანა ძრწოდა და დღე დაბნელდა, რამეთუ ვერ უძლო ხილვად შეურაცხებისა ღმრთისა, რომლისაგან ძრწიან ყოველნი, ამას თაყუანის-ვსცემდეთ.

მოწაფემან უარ-ყო, ხოლო ავაზაკმან აღიარა და ჴმაჲ-ყო: მომიჴსენე მე, უფალო, ოდეს მოხჳდე სუფევითა შენითა.

დიდებაჲ/ღმრთის-მშობელისა.

მშჳდობა ჰყავ სოფლისათჳს, მეუფეო, რომელმან ქალწულისაგან ჴორცთა შესხმაჲ თავს-იდევ მონათა შენთათჳს მოწყალებით, რაჲთა ერთობით გადიდებდეთ შენ, კაცთ-მოყუარე.

აწ და/აღსავალი იაֹ/ჴმაჲ ვ

ნაცვალად კეთილთა, რომელ ჰყვენ, ქრისტე, ერთა ებრაელთასა, ჯუარსა დამშჭუალვითა შენ დაგსაჯეს, ძმარი და ნავღელი შენ მიგიპყრეს, არამედ მიეც, უფალო, საქმეთა მათთაებრ, რამეთუ ვერ გულისჴმა-ყვეს შენი სიმდაბლჱ.

შინა-განცემა არა კმა-ეყო, ქრისტე, ერსა ებრაელთასა, არამედ ჰყრიდეს თავთა მათთა, ბილწნი ბასრობით და გაყუედრებდეს, არამედ მიეც, უფალო, საქმეთა მათთაებრ, რამეთუ ვერ გულისჴმა-ყვეს შენი სიმდაბლჱ.

არცა შეძრვამან ქუეყანისამან, ქრისტე, ებრაელთა არწმუნა, არცა კრეტსაბმელმან ტაძრისამან, არცა აღდგომამან მკუდართამან, არამედ მიეც, უფალო, საქმეთა მათთაებრ, რამეთუ ვერ გულისჴმა-ყვეს შენი სიმდაბლჱ.

დიდებაჲ/ღმრთის-მშობელისა

სასოო სოფლისაო, ღმრთის-მშობელო ქალწულო, შენსა მას დიდებულსა მეოხებასა ვითხოვთ მორწმუნენი, შეიწყალე ერი განწირული, ევედრე მოწყალესა ღმერთსა ჴსნად ჩუენდა ყოვლისაგან რისხვისა, მხოლოო კურთხეულო.

აწ და/აღსავალი იბ/ჴმაჲ ჱ

ესრეთ ეტყოდი, უფალო, ჰურიათა: ერო ჩემო, რაჲ შეგაწუხენ თქუენ, ანუ რაჲ განგარისხენ თქუენ, ყრმანი თქუენნი, განვანათლენ, კეთროვანნი განვსწმიდენ, და განრღუეული ცხედარსა ზედა მდებარე აღვადგინე, მანანაჲსა მის წილ მომიპყრობთ მე ნავღელსა, და წყლისა მის წილ — ძმარსა, სიყუარულისა წილ ჯუარსა ზედა დამმშჭუალავთ, აწ მოუწოდო წარმართთა, და მათ მადიდონ მე, თანა მამით, და სულით წმიდითურთ, და მე მივსცე მათ ცხორება საუკუნო.

დღეს ტაძრისა იგი კრეტსაბმელი სამხილებელად განიპო უშჯულოთა მათ, და მზემან შარავანდედი თჳსი დაიფარა, რამეთუ უფალსა გხედვიდეს ჯუარცუმულად.

შჯულის-მდებელნო ისრაელისანო, ჰურიანო და ფარისეველნო, კრებული მოციქულთაჲ ღაღადებს და იტყჳს: აჰა, კრავი, რომელი თქუენ დაჴსენით, აჰა, კრავი, რომელი თქუენ ჯუარს-აცჳთ და დაფლვად მიეცით იგი! არამედ თჳსითა ჴელმწიფებითა აღჰდგა, ნუ სცთდებით, ჰ, ჰურიანო, რამეთუ ესე არს, რომელმან ზღუასა განგარინნა, და უდაბნოსა გამოგზარდნა, ესე არს ნათელი და ცხორებაჲ და მშჳდობაჲ სოფლისაჲ.

დიდებაჲ/ღმრთის-მშობელისა

გიხაროდენ, ქალწულო უბიწოო, რამეთუ შენ მხოლოსა ყოველნი დაბადებულნი გალობით გადიდებთ.

აწ და/აღსავალი იგ/ჴმაჲ ვ

კრებულმან ჰურიათამან პილატესგან ითხოვა ჯუარსცუმაჲ შენი, უფალო, რამეთუ ბრალი შენ ზედა ვერა ჰპოვეს, ხოლო ბრალეული იგი ბარაბა გამოითხოვეს და შენ, მართალი, ბრალეულ გყვეს და მკლველობისა იგი ცოდვაჲ დაიმკჳდრეს მათ, არამედ მიეც მათ, უფალო, მისაგებელი ულმრთოებათა მათთა, რამეთუ ცუდი იზრახეს შენთჳს, და ჩუენ შეგჳწყალენ, მადიდებელნი შენნი.

რომლისაგან ყოველნი დაბადებულნი მოწიწებით ძრწიან ზარგანჴდილნი და ყოველი ენა გალობს, ქრისტე ღმერთი, ძალი და ღმრთისა სიბრძნჱ, ჰურიათა ჯუარს-აცუეს და ასუეს ნავღელი, ხოლო თავადმან თავს-იდუა, რამეთუ ენება ჴსნაჲ ცოდვათაგან თჳსითა სისხლითა კაცთ-მოყუარებით.

რომელმან სიტყუაჲ უზეშთაეს სიტყჳსა მუცლად-იღე, ხარებითა გაბრიელ მთავარანგელოზისაჲთა, ღმრთის-მშობელო, და გჳშევ გამოუთქუმელად, განსაცდელთაგან გჳჴსნენ, რაჲთა გადიდებდეთ.

უფალო ღმერთო, რომელმან ავაზაკი იგი, რომელსა ჴელნი სისხლითა შეეღებნეს, შენ თანა მოგზაურ ჰყავ, ჩუენცა ცოდვათა შენდობაჲ მოგუანიჭე და მის თანა შეგურაცხენ, ვითარცა სახიერ ხარ და მრავალმოწყალე, ქრისტე ღმერთო, დიდებაჲ შენდა.

სიტყუა მცირე აღმოსთქუა ავმან კაცმან, ჯუარსა ზედა და სარწმუნოებაჲ ჰპოვა, რაჲ ესრეთ წამსა შინა ცხოვნდა და სამოთხისა ბჭენი პირველ ყოველთასა განეხუნეს და შევიდა, რომელმან მისი სინანული შეიწირე, უფალო, დიდებაჲ შენდა.

გიხაროდენ, რომელმან მთავარანგელოზისა მიერ სიხარული ყოვლისა სოფლისა შეიწყნარე, გიხაროდენ, რომელმან ჰშევ დამბადებელი და უფალი, გიხაროდენ, რომელი ღირს იქმენ ყოფად დედისა ღმრთისა.

დღეს დამოეკიდების ძელსა, რომელმან დაჰკიდა ქუეყანა წყალთა ზედა, გჳრგჳნსა ეკალთაგან დაიდგამს ანგელოზთა მეუფე, ტყუილისა ძოწეულსა შეიმოსს, რომელმან შეჰმოსნა ცანი ღრუბლითა, ყურიმლის-ცემასა ნებსით თავს-იდებს, რომელმან იორდანეს განათავისუფლა ადამ, სამშჭუალითა განიმშჭუალვის, სიძე ეკლესიისა, ლახურითა განიგმირვის ძჳ იგი ქალწულისაჲ. თაყუანის-ვსცემთ ვნებათა შენთა, ქრისტე. თაყუანის-ვსცემთ ვნებათა შენთა, ქრისტე. თაყუანის-ვსცემთ ვნებათა შენთა, ქრისტე. მიჩუენენ ჩუენ დიდებულიცა შენი აღდგომაჲ.

ნუ ებრაელებრ ვდღესასწაულობთ, მორწმუნენო, რამეთუ პასქად ჩუენდა დაიკლა ქრისტე ღმერთი, არამედ განვიწმიდნეთ თავნი ჩუენნი ყოვლისაგან ბილწებისა და უმანკოებით ვეველდრებოდეთ და ვიტყოდეთ: აღსდეგ, უფალო, ღმერთო ჩუენო და გუაცხოვნენ, ვითარცა კაცთ-მოყუარე ხარ.

ცხორება არს და სიქადულ ჯუარი შენი, უფალო, ერისათჳს შენისა, მას ვესაცთ და შენ ჴორცითა ჯუარცმულსა ღმერთსა ჩუენსა გადიდებთ და თაყუანის-გცემთ, შეგჳწყალენ ჩუენ.

რომელმან კურთხეულ უწოდე დედასა შენსა, მოხუედ ნებსით ვნებად ჩუენთჳს, გამობრწყინდი ჯუარსა ზედა მოძიებად ადამისა და ეტყოდი ანგელოზთა, ჩემ თანა გიხაროდენ, რამეთუ იპოვა წარწყმედული დრაქმაჲ, რომელმან ყოველივე სიბრძნით განაგე, ქრისტე ღმერთო, დიდებაჲ შენდა.

აწ და/ნეტარ იყვნენთა/ჴმაჲ დ

ხისა მიერ ადამ შეცთომილი განვარდა სამოთხით, ხისა მიერ ჯუარისა ავაზაკი შევიდა სამოთხედ, რამეთუ მან შეურაცხ-ყო ბრძანება დამბადებელისა თჳსისა, ხოლო ესე მის თანა ჯუარცმული ჰღაღადებდა აღსარებით; მომიჴსენე, მჴსნელო, სასუფეველსა შენსა.

შჯულისა მომცემელი უშჯულოთა მოწაფისაგან მიიყიდეს და, ვითარცა უშჯულო, პილატეს საყდართა წარადგინეს, ჴმობდეს გულის-წყრომით ჯუარს-ცუმასა, რომელმან უდაბნოს მანანა მოსცა მათ, ხოლო ჩუენ მორწმუნისა ავაზაკისა მსგავსად ესრეთ ვღაღადებდეთ: მომიჴსენე, მჴსნელო, სასუფეველსა შენსა.

ღმრთის მკლველთა კრებული, ჰურიათა ერი უგულისხმო პილატჱს მიმართ ჴმობდეს სიბორგლით ჯუარს-ცუმისათჳს შენისა, ქრისტე ცხორების-მომცემელო, და შენ წილ ბარაბას გამოითხოვდეს, ხოლო ჩუენ შენდა მომართ, მსგავსად მორწმუნისა მის ავაზაკისა, ვიტყჳთ, მომიჴსენე, მჴსნელო, სასუფეველსა შენსა.

ჯუარს-ცუმაჲ თავს-იდევ ჩუენთჳს, რაჲთა ჩუენ მოტევება მოგუმადლო, ლახურითა განიგმირე, და წყარო ცხორებისა მომეც ჩუენ, სამშჭუალითა დამშჭუალულ იქმენ, რაჲთა ვნებითა უვნებელობა მომცე, ამისთჳს, სახიერო, გადიდებთ და გიგალობთ, ქრისტე მაცხოვარ, დიდებაჲ ჯუარს-ცუმასა და ვნებასა შენსა.

ჯუარს-ცუმასა შენსა, ქრისტე, დაბადებულნი ზარგანჴდილ იქმნნეს, ქუეყანა შეირყია საფუძველითურთ და კლდენი გან-

სქდეს, მნათობნი დაბნელებულ იქმნეს, და ტაძრისა კრეტსაბ-
მელი განიპო, მთათა ძრწოლა შეედვა, და დღე ღამედ გარდაიქ-
ცა, ხოლო ჩუენ ვიტყჳთ ავაზაკისა თანა: მომიჴსენე მე, მჴსნელო,
სასუფეველსა შენსა.

აღჰხედ რაჲ ჯუარსა ზედა, სიკუდილისა სიმტკიცე შეჰმ-
უსრე, და-რაჲ-იდევ საფლავსა, მართალნი ყოველნი აღადგინენ,
პირმშო მკუდართა იქმენ, ქრისტე, და მიჰმადლე მათ ცხორე-
ბა საუკუნო, ამისთჳს აღდგომითა შენითა გამოჴსნილნი გიღ-
აღადებთ შენ: მომიჴსენენ, მჴსნელო, სასუფეველსა შენსა.

ჴელით-წერილი იგი პირველისა ცოდვისა ჩუენისაჲ ჯუარსა
ზედა ლახურითა განჰხეთქე, ქრისტე, საკჳრველებით, და მკუ-
დრად შეირაცხე შენ, ამისთჳსცა დაჰსთრგუნე მძლავრი ძლიერი,
და იჴსნენ მორწმუნენი აღდგომითა შენითა, და გიღაღადებთ: მო-
მიჴსენენ, მჴსნელო, სასუფეველსა შენსა.

დიდებაჲ

მამასა და ძესა, და სულსა წმიდასა ჩუენ, ყოველნი მორწ-
მუნენი, ერთობით დიდების-მეტყუელებით ვადიდებთ, ერთარსე-
ბასა სამებით, და სამებასა სამგუამოვნებით, შეურწყუმელად
განუყოფელად, მარტივად განუწვალებელად, მიუწთომელად,
რომლისაგან ვიჴსნებით ცეცხლისაგან ტანჯვათასა.

აწ და/ღმრთის-მშობელისა

დედასა შენსა, ქრისტე, რომელმან უხრწნელითა კორცითა
გშვა, და შემდგომად შობისა ჭეშმარიტად დაადგრა ქალწულად,
ამას შენდა მომართ აღვსძრავთ მეოხებად, უფალო მრავალმოწყ-
ალეო, შეცოდებათა ჩუენთა შენდობაჲ მოგუანიჭე, რომელნი ვი-
ტყჳთ: მომიჴსენენ, მჴსნელო, სასუფეველსა შენსა.

სამ-საგალობელი/გალობა ე/სძლისპირი

შენდა აღვიმსთობ მოწყალებისათჳს დაცემულისა მის და-
ცალიერებულისა, და ვნებათამდე უვნებელად შთამოსრულისა,
სიტყჳაო ღმრთისაო, მომეც მე მშჯდობაჲ, კაცთ-მოყუარე.

ფერჴგანბანილნი, წინაჲთ განწმედილნი, ღმრთისა გონებისა
დაფარულთა ზიარ-ქმნითა მსახურნი შენნი, ქრისტე, სიონით
ზეთის-ხილთაჲთ მთად თანა-აღმოგყუეს, შენნი მგალობელნი,
კაცთ-მოყუარე.

ჰრიდეთ, ეტყოდი, შვილნო, და ნუ ჰშფოთებთ, მოახლებულ არს ჟამი, ოდეს შემიპყრან სიკუდილად, ბილწითა ჴელითა, და ყოველნი განიბნივნეთ და მე დამიტევოთ, რომელმან შეგკრიბენ მაქებელად ჩემდა.

კონდაკი/ჴმაჲ ზ

რომელი ჩუენთჳს ჯუარს-ეცუა, მოვედით, ერნო, უგალობდეთ მას, იხილა იგი მარიამ ჯუარსა ზედა და თქუა: დაღაცათუ ჯუარსა ზედა გიხილე, შენ ხარ ძჲ ჩემი და ღმერთი ჩემი ყოვლადძლიერი, კაცთ-მოყუარჱ და მაცხოვარი.

იკოსი

თჳსსა მას კრავსა რაჲ მიხედვიდა ტარიგი, დაკლვად მიყვანებულსა შეუდგა მარიამ მგლოვარე, სხუათა მათ თანა დედათა ამათ მჴმობარე: სადა წარხუალ, შვილო? რასათჳს სრულჰყოფ მალიადსა სერობასა? ანუ სხუაჲ ქორწილი იქმნების კანას, და მუნ ისწრაფი, რაჲთა წყლისაგან ღჳნო წდეულ-ჰყო მათთჳს? თანა-მოგყვე, შვილო, და თანა-დავადგრე! მეც სიტყუა, სიტყუაო, ნუ დუმილით თანა-წარმჴდები, რომელმან უბიწოდ მცევდ, ძეო და ღმერთო ჩემო!

გალობა ზ/სძლისპირი

სიბოროტისა ძეგლი ღმრთის-მბრძოლი ყრმათა ღირსთა განაქიქეს, ხოლო ქრისტჱსთჳს შეთქუმული დღეს უშჯულო შესაკრებელი განიზრახავს ცუდსა, იწურთის სიკუდილსა, ცხორებისა მპყრობელსა ჴელითა, რომელსა ქებით ყოველი აღგებული ძნობს დიდების-მეტყუელი.

წამთაგან ძილი აწ განიშორეთ თქუენ, არქუ, ქრისტე, ჰ, მოწაფენო, ხოლო მლოცველნი იღჳძებდით, ნუ სადა მლოცველთა გეენოს, და უფროჲსღა სიმონ, რამეთუ უფროჲს განცდილმან მიცნა მჴსნელი პეტრე, რომელსა ქებით ყოველი აღგებული მძნობს დიდების-მეტყუელი.

განვსცნე აროდეს მე ბაგენი სიტყჳთ შეგინებად, მეუფეო, შენთანა მოვჰკუდე, ვითარ ერთგანი უარ-გყონღა, თუ სხუათა! ღაღადებდა პეტრე, არა ჴორცთა და სისხლთა მამამან განმიცხადა შენთჳს, რომელსა ქებით ყოველი აღგებული გძნობს დიდების-მეტყუელი.

აღსთქუამ არა ქმნად, სიმონ-პეტრე, მისსა, რომელ მწრაფლ ჰყო, ვითარ ითქუა, და შენ მჴევალმან, მო-რაჲ-ვიდეს, მ̣ყის მძრწოლარე გყოს შიშით, უფალი ეტყოდა, ხოლო მტირალსა გაქუნდე მე კეთილ მლხინებელად, რომელსა ქებით ყოველი აღგებული მძნობს დიდებისმეტყუელი.

გალობა თ/სძლისპირი.

უპატიოსნესსა ქერობინთასა და აღმატებით უზეშთაესსა სერაბინთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყჳსა ღმრთისასა, მხოლოსა ღმრთის-მშობელსა გალობით გადიდებდეთ.

მოსასრველი დასი ღმრთის-მოძულეთა ბოროტთა და ღმრთის-მკლველთა შესაკრებელი, მტერ გექმნა, ქრისტე, და ვითარ ცრუ მიმოჰყვანდა, აღმგებელი ყოველთა, რომელსა გადიდებთ.

შჯულისა უმეცარნი უშჯულონი ჴმაჲსა წინაჲსწარმეტყუელთასა მწურთნელნი ამაოდ ცხორებრ მიგზიდვიდეს ყოველთა უფალსა უსამართლოდ სიკუდიდ, რომელსა გადიდებთ.

ნათესავთა ცხორების-მომცემელი მწიგნობართა თანა მოსი-კუდიდ არა მღდელთა მათ განსცეს, მოწყლულთა შურისა სიბოროტითა ბუნებით მაცხოვარი, რომელსა ვადიდებთ.

მოგიცვეს, ვითარცა ძაღლთა მრავალთა, სტყუენვიდეს, მეუფეო, ყურიმლის-მცემელობითა გკითხვიდეს, ცილსა შეგწამებდეს შენ, არამედ შენ ყოველთა დათმენითა ყოველნი აცხოვნენ.

განმანათლებელი

რომელმან ავაზაკი შენ თანა ჯუარცმული დღეს ღირს-ჰყავ სამოთხეს, მეუფეო ქრისტე, მომიჴსენე შენსა სასუფეველსა, რომელმან ჩუენთჳს ჯუარს-ცუმაჲ თავს-იდვა, უფალო, დიდებაჲ შენდა.

აქებდითსა ზედა დასდებელნი/

ჴმაჲ ზ

პირმშომან ძემან ჩემმან ისრაელმან, ორი ბოროტი მედგრობა აღასრულა, რამეთუ წყარო ესე ცხორებისა დამიტევა, დაითხარა თავისი თჳსისა ჯურღმული, განხურეტილი, რომელმან ვერ დაიპყრას წყალი, მე ძელსა დამომკიდა, ბარაბა განუტევა, ამას ზედა განჰკრთა ცაჲ და ქუეყანაჲ, და მზემან ნათელი თჳსი დაჰ-

ფარა, ხოლო შენ, ისრაილ, სიკუდიდ მიმეც და არა შეიკდიმე; მამაო ჩემო, შეუნდევ უგუნურთა!

კმაჲ ე

წმიდისა გუამისა შენისა თითოეულმან მან ასომან ჩუენთჳს შეურაცხება დაითმინა, თავმან ეკლისა გჳირგჳნი და პირმან ნერწყუა, და ღაწუთა ყურიმლის-ცემა და ბაგეთა ძმარი და ნაველი და ყურთა ულმრთოთა მათ გმობაჲ ბოროტი და ყუედრებაჲ, ხოლო ბეჭთა გუემა შოლტითა, ჯელმან ლელწამი და ყოველმან ჯორცმან განკუართა ჯუარსა ზედა, და კუალად ნასხამნთა სამშჯუალნი, და გუერდმან ლახურისა წყლულება, რომელმან ივნე ჩუენთჳს, მჯნელო, და ვნებათაგან მიჯნენ ჩუენ, კაცთ-მოყუარებისათჳს, რაჲ გუეზიარე ვნებითა და დამდაბლდი ვიდრე სიკუდიდმდე და აღმამაღლენ შენთანა, ქრისტე, ყოვლადძლიერო, გუაცხოვნენ და შეგჳწყალენ ჩუენ.

ჯუარს-ცუმაჲ შენი რაჲ იხილეს, ქრისტე, ზარგანხდილ იქმნნეს ცის-კიდენი, და საფუძველნი შეიძრნეს ქუეყანისანი ძლიერებისაგან შენისა, რამეთუ კადნიერად რაჲ ჯუარს-გაცუეს ჰურიათა, განვარდეს ცხორებისაგან და კრეტსაბმელი ტაძრისა ორად განიპო, და მკუდარნი სამარეთაგან აღდგეს და ასისთავმან რაჲ იხილა, საკჳრველება, შეძრწუნდა, ხოლო წინაშე მდგომარჱ დედაჲ შენი ჴმობდა გოდებით: განვილევი მე ტკივილითა, ჳ, ძეო და ღმერთო ჩემო, რამეთუ გხედავ შიშუელსა, და ჯუარითა დაშჯილსა, რომელი ჯუარს-ეცუ და დაეფალ და მკუდრეთით აღჰსდეგ, ქრისტე, ყოვლისა მპყრობელო უფალო, დიდებაჲ შენდა.

დიდებაჲ/ჴმაჲ ა

განმძარცუეს სამოსელი ჩემი უღმრთოთა და შემმოსეს ქლამინდი საბასრობელი და დამადგეს გჳრგჳნი ეკლისაჲ თავსა და მომცეს ლელწამი ჴელსა მარჯუენესა და მცემდეს და მბასრობდეს მე, ხოლო მე სულგრძელებით თავს-ვიდევ ესე ყოველი, არამედ ვქმენ ცხორება სოფლისა და ეშმაკისა შემუსრვა საუკუნო გუნდითურთ მისით.

აწ და/ჴმაჲ ოგიე

მივსცენ ცხორებისათჳს წარწყმედულთასა ბეჭნი ჩემნი გუემასა და პირი ჩემი არა მივაქციე მე ნერწყჳსაგან და პილატჱს

საყდართა წარვდეგ და დავითმინე ჯუარსა ზედა დამშჭუალვა უმშჯავროდ კაცთა ნათესავისა განწირულისა ჰკსნისათჳს და ჯოჯოხეთს დაშჯილთა სულთა გამოკსნად; სულგრძელო მეუფეო, დიდებაჲ შენდა.

დასდებელნი თჳთ-კმოვანნი/კმაჲ ა

ყოველნი ბუნებანი იცვალებოდეს ძრწოლით, რაჟამს გხედვიდეს შენ ჯუარსა ზედა დამშჭუალულსა უფალსა, ყოვლადძლიერო, მზე დაბნელდებოდა და ქუეყანა იძრვოდა საფუძველითურთ თჳსით, ყოველთა ევნებოდა ყოველთა შემოქმედსა თანა დღეს, რომელმან ნებსით თჳსით თავს-იდევ ჩუენთჳს, სულგრძელო მეუფეო, დიდებაჲ შენდა.

კმაჲ ბ

რაჲსა იზრახა ცუდი ერმან ულმრთომან, რაჲსათჳსმე ცხორება დაბადებულთა სიკუდილითა დასაჯა ჯუარისა მიერ დიდი საკჳრველი, რამეთუ შემოქმედი ცათა და ქუეყანისაჲ უღმრთოთა ჴელთა მიეცა ჩუენთჳს და ჯუარსა ზედა ამაღლდა, რაჲთა ჯოჯოხეთისა დაშჯილნი იკსნნეს, სულგრძელო მეუფეო, დიდებაჲ შენდა.

კმაჲ ზ

დღეს გხედვიდეს რაჲ უბიწო დედოფალი ჯუარსა ზედა, სიტყუაო მხოლოდ-შობილო, დედობრივნი ნაწლევნი მისნი მწარედ მოეწყლვოდეს და გულითა ლმობილითა სულთ-ითქუმიდა და სიღრმითა სულისაჲთა კმობდა გოდებით, დაბძარული ცხელთა ცრემლთა მჯურუალეთათა: ჱ, მე, შვილო, თუალთა ჩემთა ნათელო, რაჲსათჳს აღივსე ტკივილითა ესრეთ, ვითარცა რაჲ კაცი, ხოლო მე მწარედ მელმის შენთჳს; მიუწთომელო უფალო, დიდებაჲ შენდა.

კმაჲ ა

გხედვიდა ძელსა ზედა დამბადებელსა დამშჭუალულსა და კმობდა მშობელი შენი: სად არს, ძეო ჩემო, შუენიერებაჲ შენი განუცდელი, ვერ თავს-ვიდევ უმშჯავროდ მოკლვასა შენსა, ტკბილო, არამედ სრულ-ჰყავ მოწყალებათა შენთა უფსკრული და აღჰსდეგ, რაჲთა ვიხილო შენი სამისა დღისა აღდგომაჲ დიდებული და თაყუანის-ვსცე.

დიდებაჲ/ჴმაჲ ზ

უფალო ღმერთო, აღსლვასა შენსა ჯუარად ძრწოლა შეედვა ყოველთა დაბადებულთა, არამედ სულგრძელებაჲ შენი არა უტევებდა ჯუარის-მცუმელთა მათ შთანთქმად უწყალოდ ქუეყანასა, ხოლო ქუესკნელსა წამ-უყვენ, რაჲთა განუტევნეს ჯოჯოხეთისა მყოფნი და მრავალჟამ დაშჯილნი და ძრწოლით გერჩდა, ყოვლისა შემძლებელო, რამეთუ ცხორებად და არა წარწყმედად ქმნილისა შენისა კაცთა ნათესავისა მოხუედ, ქრისტე, კაცთმოყუარეო, უფალო, დიდებაჲ შენდა.

ჴმაჲ ი

მსაჯულთა მიერ უღმრთოთა განჩინებისა კალამი აღმოიწების და იესო დაისაჯების მშჯავრითა უმშჯავროჲთა ჯუარისა მიერ და ყოველთა არსთა მისთანა ევნების, არამედ რომელმან ივნე ჩუენთჳის ბუნებითა ჯორცთათა, სახიერო უფალო, დიდებაჲ შენდა.

ტროპარი/ჴმაჲ დ

მომიყიდენ ჩუენ წყევისაგან ჰშჯულისა პატივოსნითა მით სისხლითა შენითა, ჯუარსა დაემშჭუალე, სახიერ, და ლახურითა განიგმირე, და კაცთა უკუდავება აღმოუცენე, მაცხოვარო და მჴსნელო, სულგრძელო უფალო, დიდებაჲ შენდა.

სერობა/ჴმაჲ ვ/გალობაჲ ა/სძლისპირი

მოკუეთილი კუეთს მეწამულსა და ღელვათა მზრდელი ზღჳსა განჴმების სიღრმჱ იგი უჭურველისათჳს სავალ, და ჭურვილისა საფლავ-ქმნილი, ხოლო გალობა საღმრთო იღაღადებოდენ, დიდებულ არს დიდებით ქრისტე ღმერთი ჩუენი ცხოველი.

დაბადებულთა შენთა ცხორება ინებე, მაცხოვარო ჩუენო, ამისთჳსცა დამოეკიდე ჯუარსა და სამშჭუალითა დაემშჭუალე, ხოლო უხრწნელი დედაჲ შენი მგლოვარჱ გულითა შემწუარი, მეუფეო, ხედვიდა ნაკადულსა სისხლთა შენთასა.

თავი რაჲ საღმრთოჲ მიიდრიკე შენ, და ძალი ცხოველსმყოფელი ბუნებისა ჩუენისა, მიიძინე ძელსა ზედა, მაცხოვარო ჩემო, ყოველნი არსნი შერყეულ იქმნნის, ძრწოდეს ანგელოზნი, გიხილეს რაჲ ჯორცითა ვნებად ზეცისა ძალთა.

მყის მიისწრაფა მშობელმან შენმან ფარულად მოწაფისა

შენისა, იოსებისა თანა, და საიდუმლოდ გოდებით ევედრებოდა, რაჲთა უხრწნელი გუამი შენი მოწლედ გამოითხოვოს მსაჯულისა მისგან სიცრუვისა, პილატე ყოვლადგანვდრომილისა.

მეც მადლი ესე უცხოებასა და უღონოებასა შინა შთავრდომილსა და დევნილსა უსამართლოთა მიერ, და მეცნიერთა და მეგობართა ყოვლად-დატეებულსა, და ერთისა თანა მოწაფისა, ჳ, იოსებ, გლოვით მოწყლულსა.

მისლვად შეჰკადრე პილატეს მიმართ და ნუ ორგულებ გამოთხოვად უხრწნელსა გუამსა ქრისტჱს მაცხოვრისასა, და გარდამოჴსენ ძელისაგან და დაჰსდევ საფლავსა შინა, რაჲთა არა კუალად უგმირონ მას უწყალოთა გუერდსა ლახურითა.

გალობაჲ გ/სძლისპირი

შენ დამკიდებელი წყალთა ზედა ქუეყანისა გიხილეს რაჲ შექმნილთა დამოკიდებული თხემისა ადგილსა, მრავლისა მიერ განცჯურებისა შეირყეოდეს და გიგალობდეს, არავინ არს წმიდა შენსა გარეშე, არცა მართალ, უფალო, თჳნიერ შენსა.

ვერვინ მკადრე არს გამოთხოვად ჯორცთა უხრწნელთა მოძღურისათა, აჰა, ძელსა დამოკიდებულ არს მკუდარი შიშუელი დატეებული, და ყუედრებათა ზედა დასხმული, არავისგან შეწყალებულ არს, უფროჲსღა განიგმირა ლახურითა.

უვარ-ჰყო პირველად პეტრე და დაუტეევს მოძღუარი ყოველთაე, გელმოდენ ჩემთჳს, კეთილ საბეო, და გამოთხოვით გარდამოჴსენ შენ, ჯორცი მეუფისა ჩუენისაჲ, რაჲთა მარტოებით ვსტიროდე შვილსა საყუარელსა დედაჲ შეყუარებული.

დიდებაჲ

ხედვიდა რაჲ გლოვად მშობელსა შენსა იოსებ, მეუფეო, და ესმოდეს სიტყუანი მისნი, სალმობიერად თანა-ლმობითა გლოვად აღიძრა და მიისწრაფა, რაჲთა ღირსებით გამოითხოვნეს ჯორცნი შენნი ყოვლადუხრწნელნი.

აწდა

წამის-ყოფასა შენსა ერჩდა და მიანიჭნა ჯორცნი შენნი საღმრთონი პილატე და გარდამოჴსნა ძელით იოსებ ნიკოდიმოსის თანა, და მიაწვინა მიწასა ზედა, ქუეყანა ძრწოდა და საფლავთაგან მკუდართა მოსცემდა მოსწრაფებით.

ჯუარსა ზედა რაჲ საღმრთოსა, წარმოცალიერებაჲ შენი წინაჲთ იხილა ამბაკუმ, ღაღად-ყო შიშით: განშჭერ, სახიერ, შენ ძლიერთა სიმტკიცე მზიარებელმან ჯოჯოხეთისა შინათამან, ვითარცა ღმერთმან ყოვლადძლიერმან.

შეგიტკბო შენ უბიწომან და ამბორს-უყოფდა წყლულებასა უხრწნელთა ჯორცთა შენთასა, და გეტყოდა შენ: შენ თანა მოვკუდები, რამეთუ ვერ ვიტვირთავ ხილვად, შვილო, ნაკადულსა მაგას ყოვლადუბიწოთა სისხლთა შენთასა.

მოეხჯა მუჯლთა შენთა მშობელი შენი, ქრისტე მეუფეო, გოდებით ამბორს-უყოფდა ჯელთა და გუერდსა, და შეიტკბობდა შენგან დამომწთოლვარესა სისხლსა და საცხებელ თჳსსა ჰყოფდა მიმოდათესვითა გონიერითა.

დიდებაჲ

უკმოთა ბაგეთა შენთა ზედა დაგჰხსნა ბაგენი თჳსნი ტირილით, ქრისტე მაცხოვარ, მშობელმან შენმან, ოდესმე ქყუეყანასა ზედა მავალსა, მეტყუელსა ცხოველსა, ღმერთო ჩემო, ვითარცა კაცსა და ღმერთსა ჩემსა.

აწდა

ძღუენი მოიღეს შენდამი, მეუფეო და ძრწოლით თაყუანისგცეს, ჩჩჳლსა ვითარცა რაჲ ღმერთსა, სპარსთა მეფეთა, ხოლო აწ საფლავისა სუნნელი მოუხუამნ ნიკოდიმოსს, ვითარცა მკუდარსა, ვითარ შეგმურო შენ, ღმერთო ჩემო.

გალობაჲ ე/სძლისპირი

შენდა აღვიმსთობ მოწყალებისათჳს დაცემულისა მის დაცალიერებულისა და ვნებათამდე უვნებელად შთამოსრულისა, სიტყუაო ღუთისაო, მომეც მე მშჯდობა, კაცთ-მოყუარე.

ვერ თავს-ვიდებ მე უკმობასა შენსა, რომელსა გაწოებდ ჩჩჳლებრ წიაღთა ტჳრთულსა, უკეთუ შთახუალ ჯოჯოხეთს ადამის მიმართ, შთამოგყვე მეცა და ევას მიუთხრნე საიდუმლონი.

დიდებაჲ

ვითარ ვიტჳრთო ტკივილი ნაწლევთაჲ, შვილო, ვხედვიდე რაჲ თუალთა შენთა ძელსა ზედა მირულებულთა, რომელთა

პირველ ვხედევდი, შუენიერთა სიკეთითა, თუალიერ-მყოფელთა ბრმათასა.

აწდა

თანა შთამოგყვე ჯოჯოხეთსაცა შინა ხილვად დიდებისა შენისა, ჰ, ძეო ჩემო, რამეთუ აქა ვერ თავსვიდებ უსულოთა ასოთა შენთა უძრავთა და წყლულთა ამბორის-ყოფად.

გალობაჲ ვ/სძლისპირი

დაცულ იქმნა, გარნა არა დაშთა, მჴეცისა მკერდსა იონა, რამეთუ სახედ შენისა ვნებისა და დაფლვისა, ვითარცა სასძლოჲთ, აღმოჴდა, ვეშპით და ულაღადებდა იგი მჴედართა მათ: მცველნო, ამაონო ცრუნო, წყალობაჲ თქუენი დაუტევეთ თქუენ დღეს.

მაცხოვარი ვითარ უარ-ჰყავ შენ, ჰ, პეტრე, აღსარებული შენ მიერ ქრისტედ, ძედ ღმრთისა ცხოველისა, და ესრეთ დაუტევე ჯუარცმული ძელსა ზედა უსულო და უსახური, არცაღათუ დაფლვაჲ მისი ისწრაფე შენ, უბიწო დედა გოდებით ღაღადებდა.

მოუწოდდა მენელსაცხებლეთა სიტყუაჲ უხრწნელი დედაჲ, მოვედით, ჰ, მეგობარნო, და სტიროდეთ მოძღურისა ჴორცთა მრავალ-გუემულთა, მოვედით, ჰხედევდით პირსა უჴმოსა, ბაგეთა და თუალთა უძრავთა, რომელთა ჴელითა უპყრიეს ყოველი სული.

დიდებაჲ

მეც მე სიტყუა ტკბილთა ბაგეთაგან, სიტყუაო, ტირილით ჴმობდა უბიწო: ვერ ვიტჳრთავ მე უსულოდ დადებასა შენსა საფლავსა შინა, ძეო ჩემო, მკუდართა აღმადგინებელო, მოიხილე, ტკბილო, ვითარ ესე განვლო მახჳლმან შენმან მგზებარე გული ჩემი.

აწდა

მოისწრაფეთ ძალთა ზეცისათა, იხილენით ჴორცნი ქრისტჱსნი, მეგობართა და მეცნიერთა და თავთა მოწაფეთა მიერ დატევებული, აჰა მხოლო ვგოდებ შვილსა მოკლულსა ჩემ თანა მოწაფით, მკერდსა მიყრდნობილი და საყუარელით განგუმერილი გულითა.

ზ, სასწაული საკუმილსა შინა გამომჴსნელი ღირსთა ყრმათა ალისაგან, სამარესა მკუდრად, უსულოდ დაიდების მაცხოვრად ჩუენდა, რომელსა უღაღადებთ: ღმერთო მჴსნელო ჩუენო, კურთხეულ ხარ შენ.

ზეცით გარდამო, ანგელოზნი განკჳრვებულნი ჭჳრვობით ხედვიდეს შვილსა, მკუდარსა წიაღთა შინა მშობელისათა, ძრწოლით ხილულსა მათგან წიაღთა შინა, მამისათა მკუდართა ცხოველს-მყოფელსა.

მსწრაფლ მორბიოდეს ყოველნი ანგელოზთა წესნი ხილვად დედისა მკლავითა შეცულსა ძესა, უსულოდ მდებარესა, და კუალად იქცეს მიერ შეძრწუნებულნი სალმობიერისა მისთჳს სახილავისა.

დიდებაჲ

საიდუმლოსა შობისასა მომრთმელსა მისდა ქალწულმან ჰრქუა, მეუფეო, ზ მე, გაბრიილ, სადა არს გიხაროდენ! სადა ხარება, სადა კურთხეულ არსი! ნათელი საშოსა დამიშრტა ჯუარსა ზედა.

აწდა

რასა ვსტიროდე ყურიმლის-ცემასა შოლტითურთ, და ნერწყუასა ბასრობითურთ, ანუ ჯუარს-ცუმასა შენსა, ქრისტე, ნავლღითურთ, ანუ ლახუარსა, აწ ვითარ მიგაწჳნო საფლავსა, ვითარცა მკუდარი, ზ, ძეო ჩემო.

გალობაჲ ზ/სძლისპირი

განჰკრთი განცვიფრებით, ცაო, და შეირყიენით მიწისა საფუძველნი, რამეთუ შეერაცხების მკუდართა მყოფი მაღალთა შინა და კნინსა საფლავსა ესტუმრების, ყრმანი, აკურთხევდით მას, მღუდელნი, უგალობდით მას, ერნი, უფროჲსად აღამაღლებდით მას უკუნისამდე.

ვითარ ერმან უშჯულომან, შვილო ჩემო ტკბილო, შიშუელი ძესა ზედა უწყალოდ გიხილეს და მჴეცებრივ მიგხედნეს მძვინუარებით და განგმირეს საღმრთოჲ გუერდი შენი, ვითარ არა დაიჴსნნეს არსნი და შეირყივნეს, არამედ ჴელმან შენმან

დაიცვნა ყოველნი, სიტყუაო.

განჰსცჳფრდენ ცანი და ქუეყანა და შარავანდედნი დაიფარენ, მზის-თუალო, რამეთუ ძელსა ზედა დაჰხდა დღეს, რომელმან საშოჲთ ჩემით აღმოსლვა სათნო-იყო, ვითარცა უწყის, არამედ აღდგინება ჰნებავს პირველ მომწყდრისა, ვერ თავს-ვიდებ მე ტკივილთა სალმობისათა.

დიდებაჲ

ჰ, ძეო და ღმერთო ჩემო, ვითარმე დავჰფარნე ბნელსა საფლავსა შინა საფლავთა ცალიერ მქმნელნი ჯორცნი? ანუ ვითარ მივიქცე ცალიერი ჴელითა, ვერ თავს-ვიდებ შენგან განყენებასა, ძეო ჩემო! არამედ, შენ თანა მოკუდე თანა ჰშთამოსლვად ჯოჯოხეთს.

აწდა

ნუ თუმცა მესმა ჴმაჲ შენი, ჰ, ტკბილო იესო, ჴმობდა უბიწო დედა, და შესძინნე ბაგენი შუენიერნი, და თუალნი ბრწყინვალენი, ყოვლითურთ შემკულნი სიკეთითა! ჰე, თუმცა აღდგომილი გიხილე, ძეო ჩემო, და აღვივსე მე ცრემლთა წილ სიხარულითა!

გალობაჲ თ/სძლისპირი

ნუ მტირ მე, დედაო, მხილველი საფლავსა შინა ძისა, რომელი მუცლად-მიღე თჳნიერ თესლისა, რამეთუ აღვსდგე და ვიდიდო მე ღმრთეებრ და მაღალ ვყვნე დიდებით, სარწმუნოდ და სურვილით, დაუცხრომელად შენნი მგალობელნი.

სახუეველისა წილ სიდონნი გმოსიან, ჰ, ძეო ჩემო, ბაგისა წილ საფლავსა ბნელსა მიგაწჳნეს შენ, ჰ, ნათელო ჩემო, სძისა წილ ვასხურებ ცრემლთა უხრწნელთა მაგათ ბაგეთა და ცხოველთა მათ სიტყუათა შენთა წილ მკუდარსა ვეზრახები.

ნუ მტირ მე, დედაო ჩემო, მკუდარებრ საფლავსა შინა, რომელსა ღმრთეებრ მხედევდ სახუეველთავე შინა მოგუთა მიერ სპარსთა თაყუანის-საცემელად, ანგელოზთა გესმა მაღალთა ზე დიდებაჲ, რამეთუ აღდგომილი პირველვე გეჩუენო შენ.

დიდებაჲ

წარხუედ, შვილო, ჯოჯოხეთად და ღმრთეებრ აღადგინენ ადამიანთაგანნი იგი — თჳთ მის ადამის თანა, განხრწნად მიცე-

მულნი, ხოლო მე დედობრივ ვშჯდე აწ სხურებად ცრემლთა კარსა საფლავისასა გოდებით და ვსტიროდე, ვიდრემდის აღსდგე შენ.

აწდა

ჰ, სანატრელო დედაო, ნურღარა საფლავისა ბჭეთა ასხურებ ცრემლთა სიმწარით და გოდებით, რამეთუ აწ აღვდგე და ვიდიდო და გრქუა ძნობით, გიხაროდენ და გამოუთქუმელად რაჲ მხიარულ-გყო, აღვმაღლდე ზეცადმდე მამისა.

თთუესა მაისსა ზ-სა ჯუარის გამოჩინებაჲ*

აქებდითსა/ჭმაჲ ბ გუერდი

გაქებთ შენ, ქრისტე, რომელი იშევ ქალწულისაგან, განანათლე სოფელი მოსლვით.

გაქებთ შენ, ქრისტე, რომელი ჯუარს-ეცუ ზედა გოლგოთას ჩუენთჳს, წარმოსტყუენე ჯოჯოხეთი, დასთრგუნე სიკუდილი, განანათლე სოფელი ჯუარითა, თაყუანის-ვსცემთ პატიოსანსა ჯუარსა.

ძელი ჯუარისა შენისაჲ, ქრისტე, რომელი დამალულ იყო ჰურიათაგან, ცათა შინა იხილვებოდა და ქუეყანასა ზედა იდიდებოდა, მეფისა თუალთა წინაშე გამოჩნდა, მოსცა ძლევაჲ. თაყუანის-ვსცემთ პატიოსანსა ჯუარსა.

აივსო სიხარულითა და სულითა წმიდისა ღმრთის-მოყუარჱ იგი მეფეჲ, რაჟამს გამოუჩნდა მას ზეცით სასწაული წინაშე ღუაწლსა ბრძოლისასა.

აივსო სიხარულითა და სულითა წმიდითა ღმრთის-მსახური იგი ელენე დედოფალი, ისწრაფა ძიებაჲ ჯუარისაჲ, რომელსა ზედა ჯუარს გაცუეს შენ, ძჱ ღმერთისაჲ, იერუსალემს, ხოლო შენ აღსდეგ მკუდრეთით მესამესა დღესა. თაყუანის-ვსცემთ აღდგომასა შენსა.

ჯუარი განმარტებული ნათლითა ბრწყინვალითა, რომელი გამოჩნდა ზედა გოლგოთას, ბრწყინვალე იყო მიმთადმდე ზეთის-ხილთა უბრწყინვალჱს მზის-თუალისა. იხილეს მყოფთა იერუსალემისათა, თაყუანის-სცეს პატიოსანსა ჯუარსა.

გაქებთ შენ, ქრისტე, რომელი აღსდეგ მკუდრეთით მესამესა დღესა, განანათლე სოფელი აღდგომითა შენითა და განახუენ სამოთხისა ბჭენი პატიოსნითა ჯუარითა.

ჯუარი შენი, ქრისტე, ექმნა საჭურველ და გჳრგჳნ მორწმუნეთა შენთა, მით სძლეს ძალსა მტერისასა და დაჴსნეს საცთური კერპთაჲ, ძალითა ჯუარისაჲთა შეიჭურნეს, მათითა ოხითა, უფალო, შეგჳწყალენ და გუაცხოვნენ ჩუენ.

*იბეჭდება გამოცემიდან უძველესი იადგარი., გვ.235-237.

სარწმუნოებით მძლე იქმნა მეფჱ, ახოვან იქმნა ბრძოლასა შინა ნიშითა და სასწაულითა ჯუარისაჲთა, რომელი გამოუჩნდა ზეცით, მით სძლო ღუაწლსა ბრძოლისასა სასოებითა ჯუარისა შენისაჲთა.

ოხითაჲ/ჴმაჲ დ გუერდი

ღმრთის-მსახურსა მეფესა, მირულებულსა, თუალთა წინაშე მარტოდ ეჩუენა სახჱ ჯუარისაჲ, ხოლო აქა, წმიდასა ქალაქსა, განცხადებულად ყოველსა სიმრავლესა ერისასა გამოუბრწყინდა ნათლითა შემკული პატიოსანი ჯუარი, რომელთა იხილეს და ჰრწმენა, თაყუანის-სცეს და დიდებასა მისცემდეს, ღაღადებდეს და იტყოდეს: საკჳრველთ-მოქმედო ღმერთო, დიდებაჲ შენდა.

ჴელთაბანისაჲ

განწყობილი სიმრავლჱ ანგელოზთაჲ ძლევისა გალობასა დიდების-მეტყუელებენ ღმრთივ-შემოსილისა და ცხოველს-მყოფელისა ჯუარისა შენისა დღესასწაულსა, ქრისტე და სიხარულით თაყუანის-სცემს კრებული მორწმუნეთაჲ ღმრთივ-ბრწყინვალესა ხილვასა მისსა და ერთა თანა ზეცისათა დაუცხრომელად იტყჳან: დიდებაჲ ყოლად ძლიერსა ჯუარსა შენსა, მაცხოვარ.

სიწმიდისაჲ/ჴმაჲ დ გუერდი

ერნი გარემოჲს დგანან საყდართა შენთა უხილავთა და თუალთ-შეუდგამთა, რომელნი დაუცხრომელითა ჴმითა გაქებენ და იტყჳან: წმიდა არს საყდარი კურთხევისაჲ, წმიდა არს საყდარი დიდებისაჲ, წმიდა არს საყდარი აღმაღლებული. სამებაო წმიდაო, დიდებაჲ შენდა.

თუესა იდ სეკდემბერსა ჯუართა აპყრობაჲ*

უფალო, ღაღატ-ყავსა/კმაჲ დ

სასწაულ არს ჩუენდა ნათელი პირისა შენისაჲ, უფალო, და ყოველნი კიდენი ქუეყანისანი გალობით იტყჳან: დიდებაჲ ძალსა შენსა.

თხემისა ადგილსა ჯუარს-ეცუ, ქრისტე, და ძლიერებაჲ სიკუდილისაჲ შეჰმუსრე და ნათესავი კაცთაჲ განათავისუფლე. დიდებაჲ შენდა, ღმერთო.

ჯუარსა ზედა აღმაღლდი, მძლეო, და ჯოჯოხეთი წარმოსტყუენე, ძლიერო, და ჩუენ აღგუადგინენ, ქველის-მოქმედ. დიდებაჲ შენდა, ღმერთო.

სხუანი

ვღაღადებთ შენდამი, ქრისტე, რომელმან ძელისამიერი იგი დაცემაჲ — მამისა ჩუენისა თანანადები იგი ცოდვაჲ, პატიოსნითა ჯუარითა შენითა განაქარვე და მორწმუნეთა მოანიჭე აღდგომაჲ. ამისთჳს თაყუანის-ვსცემთ პატიოსანსა ჯუარსა შენსა, მაცხოვარ.

დაეცა მტერი და დაითრგუნა სიკუდილი ცხოველს-მყოფელისა ჯუარისა შენისა აღმართებითა ზედა გოლგოთას, შეიმუსრა სიმტკიცჱ სიკუდილისაჲ და მორწმუნეთა მოენიჭა აღდგომაჲ. ამისთჳსცა თაყუანის-ვსცემთ პატიოსანსა ჯუარსა შენსა, მაცხოვარ.

განგეღო ლახურითა ასისთავის მიერ უხრწნელი გუერდი შენი, მაცხოვარ, რომლისა მიერ სისხლისა შენისა დათხევითა გჳრგჳნოსან იქმნნეს მოციქულნი, და წყლისა მის გარდამოდინებითა მეორედ შობაჲ შვილთა ეკლესიისათა მოგუემადლა. ამისთჳსცა თაყუანის-ვსცემთ პატიოსანსა ჯუარსა შენსა, მაცხოვარ.

კლდესა გამოკუეთილსა დაიდევ სიმტკიცჱ მთათაჲ და ჯოჯოხეთს შინა მყოფნი მკუდარნი აღადგინენ და მოიყვანენ ნათლად და მოანიჭე მათ შენი სასუფეველი. ამისთჳსცა თაყუანის-ვსცემთ პატიოსანსა ჯუარსა შენსა, ქრისტე.

---

*იბეჭდება გამოცემიდან უძველესი იადგარი, გვ. 298-313.

მოვედით, ერნო, გამოჩინებასა დიდისა მის დღისა, დღესასწაულისა ცხოველს-მყოფელისა ჯუარისასა, ვაქებდეთ და აუარებდეთ ღმრთივ-განუყოფელთა მადლთა მისთა, რამეთუ წყარო დაუწყუედელ და მოწყალე არს სახელი მისი მათთჳს, რომელნი ესვენ მას.

ნათლისა გამოჩინებასა წესნი უზეშთაეს განკრთომით ქებასა შესწირვენ, ღმრთის-მორწმუნენი თაყუანის-გცემენ, გაქებენ და გალობით იტყჳან: წმიდა არს უფალი, წმიდა არს ჯუარი შენი და წმიდა არს აღდგომაჲ შენი.

ნათელი მოივლინე, ქრისტე, სოფლად. ნათლისაგან მამისა განანათლე სოფელი, უჩუენე წარმართთა, შეჰმუსრენ ბჭენი ჯოჯოხეთისანი ჯუარითა და აღმოიყვანე ადამ ბნელისაგან და იტყოდა: უფალო, შეგჳწყალენ ჩუენ.

შუენიერად განმანათლებელი, შუენიერი, ცხოველს-მყოფელი, პატიოსანი ჯუარი მტერისა ძლევა ექმნა ღმრთის-მსახურსა მეფესა ძლევად ღუაწლსა შინა, რომლისა შიშითა შეპყრობილმან აღგიარა შენ, ჯუარცუმული, დაფლული და აღდგომილი უფალი.

შუენიერად განმანათლებელი — ვიდრე: ღუაწლსა შინა, ესე ნათლითა ელვარითა თუალთა წინაშე იხილა და იტყოდა: უფალო, შეგჳწყალენ ჩუენ.

ძელი, ნიში, პატიოსანი ჯუარი, რომელი მოგუეც საძლეველად მტერისათჳს. მოვიდენ ყოველნი ნათესავნი და თაყუანის-გცენ შენ წინაშე, უფალო, და ადიდებენ სახელსა შენსა.

უგალობდითსა

რომელმან აღმომიყვანნა ჩუენ ბჭეთაგან სიკუდილისათა, უგალობდეთ ქრისტეს, რამეთუ დიდებით დიდებულ არს უკუნისამდე.

რომელმან დაჴსნა ამპარტავანებაჲ მტერისაჲ და შორის მორწმუნეთა აღამაღლა ჯუარი, უგალობდეთ ქრისტეს, რამეთუ დიდებით დიდებულ არს უკუნისამდე.

რომელმან განიპყრნა ჴელნი თჳსნი ჯუარსა ზედა ნეფსით თჳსით, უგალობდეთ ქრისტეს, რამეთუ დიდებით დიდებულ არს უკუნისამდე

დღეს ვდღესასწაულობდეთ აღმაღლებულსა ჯუარსა და მეუფესა ყოველთასა ვაკურთხევდეთ და დიდების-მეტყუელებით უგალობდეთ ქრისტესა, რამეთუ დიდებით დიდებულ არს უკუნისამდე.

რომელმან სახიერებით ჩუენდა ცხოვრებად აღმოგვცენა ჯუარი, უგალობდეთ ქრისტეს, რამეთუ დიდებით დიდებულ არს უკუნისამდე.

სხუანი

უგალობდეთ მხოლოდ-შობილსა ძესა, სიტყუასა ღმრთისასა, მკნელსა ისრაელისასა, რომელი განჯორციელდა ჩუენთჳს წმიდისაგან ქალწულისა, უფალ არს სახელი მისი, რამეთუ დიდებით დიდებულ არს.

რომელმან პატიოსნითა ჯუარითა შემუსრა სიმტკიცჱ სიკუდილისაჲ და წარმოსტყუენა ჯოჯოხეთი ძალითა ღმრთისაჲთა და იკსნა სოფელი მძლავრებისაგან მტერისა, უგალობდეთ ქრისტესა, ქველის-მოქმედსა მეუფესა, გალობითა ახლითა, რამეთუ დიდებით დიდებულს არს.

რომელმან წმიდითა აღდგომითა სოფელი განანათლა და ხრწნილებისაგან იკსნა პირველშექმნული ადამ და მოანიჭა მორწმუნეთა თჳსთა სული მაცხოვარებისა თჳსისაჲ, რომლისათჳსცა ვღაღადებთ და ვიტყჳთ: უგალობდეთ აღდგომასა ქრისტჱსსა გალობითა ახლითა, რამეთუ დიდებით დიდებულ არს.

გიხაროდენ, ყოვლადწმიდაო ქალწულო, რამეთუ შენგან და შენ მიერ ცხორებაჲ ზე იქმნა ძეთათჳს კაცთა, ვითარცა ევაჲსგან წყევაჲ, ეგრევე.

უგალობდეთ უფალსა, მაღალსა, დიდებულსა ღმერთსა, მამასა მოწყალესა, რომელი ანგელოზთა და კაცთაგან დაუცხრომელად იდიდების. გალობითა ახლითა უგალობდეთ, რამეთუ დიდებით დიდებულ არს.

მოიხილესა

დაგვცვენ შენნი მოსავნი, ღმერთო, რომელმან ვნებაჲ ნეფსით ჯუარსა ზედა თავს-იდევ.

მართალ და წმიდა არს უფალი, რომელმან მორწმუნეთა თჳსთა ცხორებაჲ ჯუარითა მოანიჭა.

დიდებაჲ შენდა, დიდებაჲ შენდა, მეუფეო დიდებისაო, რომელმან პატიოსნითა ჯუარითა განანათლენ მყოფნი ბნელისანი.

მეოხ იყავ ჩუენთჳს, ყოვლადწმიდაო ქალწულო, შენგან შობილისა მიმართ ღმრთისა მონათა შენთათჳს.

სხუანი

მოსე წინაჲსწარმეტყუელმან პირველვე გამოსახა სახჱ იგი ჯუარისაჲ, ოდეს განიპყრნა ჴელნი თჳსნი მთასა ზედა. ამალეკი უკუნ-აქცია, ხოლო ჩუენ ქრისტემან მოგუცა მორწმუნეთა ნიში — ძელი ჯუარისაჲ. ქებით ვაქებდეთ და მივსცეთ დიდებაჲ უფალსა.

რაჟამს აღმაღლდა ქრისტე ჯუარსა ზედა და ლახურითა მოიწყლა უშჯულოთაგან, მაშინ ეზოჲ იგი ტაძრისაჲ მის განიპო და ყოველი დაბადებული განკჳრვებით იტყოდა: ქებით ვაქებდეთ და მივსცეთ დიდებაჲ უფლისა.

მოვედით, ერნო, თაყუანის-ვსცეთ ჯუარსა ქრისტჱსსა, სასოსა ჩუენსა, რომლითა განიდევნა ეშმაკი და მოგუენიჭა საძლეველად მტერისა ჯუარი ქებით ვაქებდეთ და მივსცეთ დიდებაჲ უფალსა.

რამეთუ ქრისტემან ჯუარითა მოკლა მტერი და ჯუარითა პატიოსნითა ბჭენი რვალისანი შემუსრნა და მოგუცა ჩუენ წინამძღურად სამოთხისა ჯუარი. ქებით ვაქებდეთ და მივსცეთ დიდებაჲ უფალსა.

რამეთუ მოგუეცა ჩუენ ბეჭედი მისი — ძელი ჯუარისაჲ, რომელსა ზედა თჳთ ივნო მაცხოვარმან, რომლითა დაჴსნა ამპარტავანებაჲ მტერისაჲ და მოგუმადლა მცველად სულთა ჩუენთა ჯუარი. ქებით ვაქებდეთ და მივსცეთ დიდებაჲ უფალსა.

დიდებაჲ აღურაცხელსა სულგრძელებასა მაცხოვრისასა, რამეთუ ყოველივე თავს-იდვა. ჯუარს-ეცუა ჩუენთჳს, ვითარცა ავაზაკი, და ნათლითა ღმრთეებისაჲთა ბნელი განგუაშორა და მოგუცა ჩუენ, მორწმუნეთა, სამოთხჱ საშუებელად. ქებით ვაქებდეთ და მივსცეთ დიდებაჲ უფალსა.

განძლიერდასა

უფლისა მიერ ღმრთისა ჩემისა განძლიერდა გული ჩემი, რამეთუ უძლურთა შეიმოსეს ძალი.

სძლო ქრისტემან ჯუარითა და მყოფნი ბნელისანი ნათლად აღმოიყვანნა და მას შინა აღმაღლდა ჯუარი ძლევის-მყოფელი, კაცთა სიქადული.

სიმართლით დაამტკიცე ეკლესიაჲ შენი შორის მორწმუნეთა, უფალო, და მას შინა აღმაღლდა ჯუარი ძლევის-მყოფელი, კაცთა სიქადული.

მჯდომი ჩუენი მტერი ჯუარითა, ქრისტე, დასთრგუნე და აღდგომითა შენითა სოფელი განანათლე.

მარადის ჴსენებამან ცხოველს-მყოფელისა ჯუარისა შენისამან, უფალო, ყოველნი კიდენი ქუეყანისანი ქებად შენდა შემოკრიბნა.

ქერობინთა ზედა მჯდომარესა, შენგან ჴორციელ-ქმნულსა, ევედრე, ყოვლადწმიდაო ქალწულო, რაჲთა მიჴსნნეს ჩუენ განსაცდელისაგან.

სხუანი

რომელმან აღმოგჳცენე უკუდავებაჲ დაფლვითა და მყოფთა ჯოჯოხეთისათა აღმოუწოდე ნათელსა ცხორებისასა და სიხარულითა აღავსენ ყოველნი კიდენი ქუეყანისანი, გუაცხოვნენ მგალობელნი ჯუარისა და აღდგომისა შენისანი, მხოლოო, მრავალმოწყალეო.

დასცენ, უფალო, მტერნი ცხოველს-მყოფელისა ჯუარისა შენისანი და ღმრთის-მშობელისანი და მშჯდობა ყავ ცხორებისა ჩუენისათჳს, ვითარცა მხოლოჲ ქველის-მოქმედ ხარ, და იჴსნენ, გევედრებით, განსაცდელისაგან სულნი ჩუენნი.

ყოვლად-ქებულო წმიდაო ღმრთის-მშობელო, მოსავთა შენთაჲ ვედრებაჲ შეიწირე წინაშე ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისა, რაჲთა მლხინებელ გუექმნეს ცოდვათა ჩუენთა მეოხებითა შენითა, წმიდაო დედაო ქრისტჱს ღმრთისა ჩუენისაო.

განმაძლიერენ ჩუენ, ქრისტე, რომელი იშევ ქალწულისაგან, დამამტკიცენ ჩუენ შენდამი და ნათელი ცნობისა შენისაჲ წარგჳმართენ, რამეთუ არავინ არს წმიდაჲ შენსა გარეშე, უფალო.

განმაძლიერებელსა ღმერთსა, განმანათლებელსა სულთა ჩუენთასა მოვედით, მორწმუნენო, თაყუანის-ცემით ვადიდებდეთ მას ყოველნი, რამეთუ მაცხოვარებითა მისითა ყოველი სოფელი აცხოვნა.

ნიში ჯუარისა შენისაჲ, ქრისტე, განღმრთობილი ძელი, ზეცისა ნათლითა შენითა გამოაბრწყინე ქუეყანასა ზედა, რომლითა განახლდეს კიდენი და ჰრწმენა ყოველთა წარმართთა მაცხოვარებაჲ შენი. მოვიდენ და თაყუანის-გცენ შენ წინაშე, უფალო, და ადიდებდენ სახელსა შენსა.

უფალო მესმასა

მესმა სმენაჲ შენი, უფალო, რამეთუ აღმაღლდა ჯუარსა ზედა და ვადიდებთ ძალსა შენსა.

ჯუარითა დაჰჴსენ ცოდვაჲ, უფალო, და იჴსენ ჯრწნილებისაგან აღდგომითა შენითა ნათესავი კაცთაჲ.

რომელმან მოაკუდინე სიკუდილი ჯუარითა პატიოსნითა და ნათლად აღმოგუყვანენ ჩუენ, რომელნი ვადიდებთ ძალსა შენსა, უფალო.

სხუანი

მოსლვითა შენითა, ქრისტე, გჳრგჳნოსან ჰყვენ ეკლესიანი და ძელი ცხორებისა ჩუენისაჲ გამოაბრწყინე — ჯუარი შენი, უფალო, რომლისა მიერ მორწმუნენი ვცხოვნდებით ყოველნი.

ჯერ-იჩინე აღსლვაჲ ჯუარსა ზედა, ქრისტე, ცხორებისათჳს პირველ შექმნულისა და გამოგჳჴსნენ ჩუენ წყევისაგან შჯულისა პატიოსნითა სისხლითა, რამეთუ წყლულებითა შენითა ჩუენ, ყოველნი, განვიკურნენით. დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო, რომელი მოხუედ ცხორებად ჩუენდა.

რომელი კაცთ-მოყუარებისათჳს ნეფსით ჩუენთჳს საფლავსა დაიდევ და ძლიერებითა ღმრთეებისაჲთა საკრველნი სიკუდილისანი განხეთქენ, წარმოსტყუენე ჯოჯოხეთი, განაახლე ადამი, აღდგომაჲ ყოველთა მოგუანიჭე. დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო, რომელი მოხუედ ცხორებად ჩუენდა.

გიხაროდენ, ყოვლადწმიდაო ქალწულო, რამეთუ შენგან შობილმან ქრისტემან ჯოჯოხეთი წარმოტყუენა და მონებისაგან მტერისა ჩუენ, ყოველნი, განგუათავისუფლნა. მას ევედრე, დედაო და ქალწულო, რაჲთა აცხოვნნეს სულნი ჩუენნი.

მესმა სმენაჲ შენი, უფალო და შემეშინა. განვიცადენ საქმენი შენნი, რამეთუ მოხუედ ჴსნად ჩუენდა საკრველთაგან სიკუდილისათა.

სიტყუაჲ ჭეშმარიტი გამოშჩნდი ზეცით და ზრახვაჲ საიდუმლოჲ სოფლად მოხუედ, ქალწულისაგან ჯორცნი შეიმოსენ და აცხოვნე ნათესავი კაცთაჲ, ვითარცა ღმერთ ხარ.

ღამითგანსა

რომელმან გამოაბრწყინე ნათელი და განანათლე ცისკარი და გამოაბრწყინე დღჱ, დიდებაჲ, დიდებაჲ შენდა, იესუ, ძეო ღმრთისაო.

რომელმან გამოაბრწყინე ნათელი და იშევ ქალწულისაგან, მისითა მეოხებითა აცხოვნენ სულნი ჩუენნი, იესუ, ძეო ღმრთისაო.

რომელმან სასოდ ჩუენდა და საძლეველად მტერისა მომეც ჩუენ ჯუარი შენი პატიოსანი, დიდებაჲ, დიდებაჲ შენდა, იესუ, ძეო ღმრთისაო.

რომელი ჯუარს-ეცუ, დაეფალ და ჯოჯოხეთი შეჰმუსრე და აღდეგ მესამესა დღესა, დიდებაჲ, დიდებაჲ შენდა, იესუ, ძეო ღმრთისაო.

რომელმან უხრწნელებაჲ მოეც ნათესავსა კაცთასა და მოტევებაჲ ცოდვათაჲ ჯუარითა პატიოსნითა, დიდებაჲ, დიდებაჲ შენდა, იესუ, ძეო ღმრთისაო.

სხუანი

უფალო, ღმერთო ჩუენო, მშჯდობაჲ შენი მომეც ჩუენ და საფარველსა ჯუარისა შენისასა დამიცევენ ჩუენ და ნუ უგულებელს-ჰყოფ ვედრებასა ერისა შენისასა, რამეთუ ნათელ არიან ბრძანებანი შენნი.

რომელმან ჴელით-წერილი ჩუენი ცოდვაჲ ჯუარსა შემშჭუალე და დაცემული ადამ ბჭეთაგან სიკუდილისათა აღმოიყვანე და მოკუდავებაჲ ჩუენი უკუდავებად გარდასცვალე, რამეთუ ნათელ არიან ბრძანებანი შენნი.

ჯუარითა შენითა, ქრისტე, ვიქადით და წმიდასა აღდგომასა შენსა უგალობთ და ვადიდებთ: შეგუწყალენ ჩუენ, უფალო, მგალობელნი შენნი მეოხებითა უხრწნელისა დედისა შენისაჲთა, კაცთ-მოყუარე.

ჴმასა ანგელოზთასა შევსწირავთ შენდა, ყოველადწმიდაო ქალწულო.

შენდამი აღვიმსთობთ, ქრისტე ღმერთო, აღმსთობასა ჭეშმარიტსა დიდებად და ქებად სახელისა შენისა. უგალობდეთ დაუცხრომელად ნიშსა ჯუარისა შენისასა, რომელი მოგუეც ჩუენ საჭურველად, საძლეველად.

ღალატყავსა

სიღრმესა ცოდვათა ჩემთასა შთავრდომილ ვარ და ვღაღადებ: უფალო, უფალო, შემეწიე მე.

რომელმან ქალწული შემდგომად შობისა ქალწულადვე დაიცევ და ჯუარითა ჩუენ განგუათავისუფლენ, უფალო, უფალო, შემეწიენ ჩუენ.

რომელმან ჴელნი თჳსნი ჯუარსა ზედა განიპყრენ, ჯოჯოხეთი წარმოსტყუენე, უფალო, უფალო, შემეწიე მე.

რომელმან სიკუდილი დასთრგუნე ჯუარითა და აღდგომაჲ ყოველთა მოგუანიჭე, უფალო, უფალო, შემეწიენ ჩუენ.

რომელი ჯუარსა ზედა აღჰმაღლდი, ქრისტე, და სოფელსა ნათელი გამოუბრწყინე, უფალო, უფალო, შემეწიე მე.

რომელმან დასაჯე ჯოჯოხეთი ჯუარითა და მყოფნი ბნელისანი განანათლენ, უფალო, უფალო, შემეწიე მე.

სხუანი

რომელი აღსასრულსა ჟამთასა განკაცნა და სოფელსა ნათელი გამოუბრწყინვა ჯუარითა და განაქარვა მთავრობაჲ უკეთურისა მტერისაჲ და მიჴსნა მე ხრწნილებისაგან და სიკუდილისა უფალმან.

ზეცით მამისა მიერ მოივლინა, სიტყუაჲ განჯორციელდა, ნეფსით ჯუარს-ცუმაჲ თავს-იდვა, დაეფლა გულსა ქუეყანისასა სამ დღე და სამ ღამე და აღდგა უნებელად, ვითარცა ღმერთ არს, და აღდგომაჲ ყოველთა მოგუანიჭა.

მოვედით, ერნო, დიდების-მეტყუელებით უგალობდეთ და თაყუანის-ვსცემდეთ ცხორების-მომცემელსა ჯუარსა, რამეთუ მან მიჴსნნა ჩუენ უშჯულოებათა ჩუენთაგან, წმიდამან უფალმან იესუ, რომელმან გჳჩუენა ჩუენ აღდგომაჲ.

ღაღად-ვყავ ჭირსა ჩემსა მოწყალისა მიმართ ღმრთისა. ისმინა ჩემი, მთით წმიდით მისით სიტყუაჲ გამოავლინა და მიჴსნა მე მაღალმან და აღმოიყვანა განხრწნისაგან ცხორებაჲ ჩემი.

მსგავსად იონა წინაჲსწარმეტყუელისა შენისა ვღაღადებ შენდამი, უფალო: სიღრმეთაგან ცოდვათა ჩუენთასა მიჴსნენ ჩუენ ჯუარითა შენითა, ქრისტე ღმერთო, ვითარცა მხოლოჲ ქველის-მოქმედ ხარ და კაცთ-მოყუარე.

კურთხეულარსა

რომელმან განზრახვით ჴელით-წერილი ჩუენი ცოდვაჲ ჯუარსა შემშჭუალე და მით გარდასლვისაჲ იგი რისხვაჲ უხრწნელებით გარდასცვალე, კურთხეულ ხარ შენ, უფალო, ღმერთო მამათა ჩუენთაო.

პირველშექმნული იგი საშუებელისაგან მიიცვალა, ხოლო ჩუენ ჯუარითა ავაზაკისა თანა მეტყუელად მოგჳწოდე, კურთხეულ ხარ შენ, უფალო, ღმერთო მამათა ჩუენთაო.

რომელმან ყოვლადმცველი ჯუარი აღამაღლე ჩუენ შორის და მით სოფელი საცთურისაგან იჴსენ, ცხორების-მომცემელო, კურთხეულ ხარ შენ, უფალო, ღმერთო მამათა ჩუენთაო.

სხუანი

რომელმან ჯუარითა სიკუდილი მოაკუდინე და ჯუარითა ადამ დაცემისაგან აღადგინე და ცოდვანი ჩუენნი ჯუარსა შემშჭუალენ და ჯოჯოხეთისა მყოფნი განანათლენ აღდგომისა მადლითა, კურთხეულ ხარ შენ, უფალო, ღმერთო მამათა ჩუენთაო.

თაყუანის-ვსცემთ, ქრისტე, შენსა დიდებულსა აღდგომასა და უგალობთ წმიდასა ჯუარსა, რომელი მომეც ჩუენ საძლეველად მტერისათჳს, რომელსა მორწმუნენი ვღაღადებთ და ვიტყჳთ: კურთხეულ ხარ შენ, უფალო, ღმერთო მამათა ჩუენთაო.

ვითარცა ბაბილონს, საჯუმილსა მას შინა, სამნი ყრმანი სამებასა წმიდასა გაკურთხევდეს, ჩუენცა, უღირსნი მონანი შენნი, მამასა და ძესა და წმიდასა სულსა გალობით და ერთობით ვღაღადებთ და ვიტყჳთ: კურთხეულ ხარ შენ, უფალო, ღმერთო მამათა ჩუენთაო.

სხუანი

რომელი იშევ ქალწულისაგან, ღმერთ რაჲ ხარ და კაც, ივნე ჴორცითა ჯუარსა ზედა და გუაცხოვნენ ჩუენ, კურთხეულ ხარ შენ, უფალო, ღმერთო მამათა ჩუენთაო.

რომელი აღჰმაღლდი ჯუარსა ზედა და სოფელი განანათლე და მოგუანიჭე ამით ძლევაჲ მტერისაჲ, კურთხეულ ხარ შენ, უფალო, ღმერთო მამათა ჩუენთაო.

თანა-არსსა მამისასა, ძესა მხოლოდ-შობილსა სულით წმიდითურთ დიდების-ვემეტყუელებდეთ: კურთხეულ ხარ შენ, უფალო, ღმერთო მამათა ჩუენთაო.

სხუანი

სახედ პატიოსნისა ჯუარისა შენისა, ქრისტე, აქუნდა კუერთხი იგი მოსჱსი ეგჳპტეს, რომლითა იჴსნა ისრაელი მონებისაგან მტერისა. ხოლო აქა ქრისტემან, ღმერთმან ჩუენმან, ჯუარითა შემუსრა სიმტკიცჱ სიკუდილისაჲ, რომლისათჳსცა ჩუენ, მორწმუნენი, ვღაღადებთ და ვიტყჳთ: კურთხეულ ხარ შენ, უფალო, ღმერთო მამათა ჩუენთაო.

აღჰჴედ ძელსა ზედა, აცხოვნე ავაზაკი, მიიდრიკე თავი, აღადგინე ადამი. ახალსა საფლავსა დაიდევ და ჯოჯოხეთისა მყოფნი აღმოიყვანენ, რომელისათჳსცა ჩუენ, მორწმუნენი, ვღაღადებთ და ვიტყჳთ: კურთხეულ ხარ შენ, უფალო, ღმერთო მამათა ჩუენთაო.

მწრაფლ მოიგო ავაზაკმან სამოთხჱ სარწმუნოებითა და მართლაღსაარებითა მწრაფლ შევიდა ავაზაკი სამოთხედ. ჯუარი აქუნდა, ევლტოდა ეშმაკი, მძლე ექმნა წარმართთა, რომელნი ღირს იქმნნეს მეორედ შობასა, რომლისათჳსცა ჩუენ, მორწმუნენი, ვღაღადებთ და ვიტყჳთ: კურთხეულ ხარ შენ, უფალო, ღმერთო მამათა ჩუენთაო.

აკურთხევდითსა

ყოველნი საქმენი ღმრთისანი და ყოველი დაბადებული აკურთხევდით უფალსა.

რამეთუ კაცთა ქუეყანით აღმოუბრწყინდა ცხორებაჲ და ყოველნი კიდენი ქუეყანისანი განანათლნა და ცხორებაჲ საუკუნოჲ ყოველთა მოგუანიჭა, უგალობდით მღდელნი, ერნი უფროჲსად აღამაღლებდით მას უკუნისამდე.

დამალული ქუეყანასა დიდი და საცოჲ საიდუმლოჲ ცათა შინა გამობრწყინდა, ძლევის-მყოფელი საჭურველი გამოგჳჩნდა

— ჯუარი. უგალობდით მღდელნი, ერნი უფროჲსად აღამაღლებდით მას უკუნისამდე.

ცხოველს-მყოფელი და უხრწნელი ნიში — ძელი ჯუარისაჲ, გამოგჳჩნდა ქუეყანით. მეფეთა პყრობაჲ მოჰმადლა, საცთური დათრგუნა, ყოველნი განგუანათლნა. უგალობდით მღდელნი, ერნი უფროჲსად აღამაღლებდით მას უკუნისამდე.

სხუანი

დღეს დღესასწაულსა ცხორებისასა ცხოველს-მყოფელისა ჯუარისასა მორწმუნენი აღვასრულებდეთ, ვღაღადებდეთ და ვიტყოდით: მღდელნი აკურთხევდით, ერნი უფროჲსად აღამაღლებდით მას უკუნისამდე.

სამარადისოსა სამეუფოსა ნიშსა, რომელი მოგუენიჭა საძლეველად მტერისათჳს — პატიოსანი ჯუარი, მღდელნი აკურთხევდით, ერნი უფროჲსად აღამაღლებდით მას უკუნისამდე.

დიდისა განგებულებისა ღმრთეებისა განღმრთებული ძელი აღმოგჳცენდა ქუეყანით საცხორებელად ჩუენდა ღმრთისა სიტყუითა — პატიოსანი ჯუარი, მღდელნი აკურთხევდით, ერნი უფროჲსად ამაღლებდით მას უკუნისამდე!

სხუანი

ღმრთივ-შუენიერი, უფროჲს მზის-თუალისა ნათელი, ცხოველს-მყოფელი პატიოსანი ჯუარი აღმოგვიცენდა ქუეყანით მორწმუნეთა საძლეველად მტერისათჳს, რომლითა საცთური დაითრგუნა და ჯოჯოხეთი წარმოიტყუენა. მღდელნი აკურთხევდით, ერნი უფროჲსად აღამაღლებდით მას უკუნისამდე.

რომელმან თჳსი სამეუფოჲ ნიში — დიდებული და საკჳრველი პატიოსანი ჯუარი ღმრთის-მსახურსა მეფესა ჩუენსა აჩუენა, რომლისა მიერ მოემადლა ძლევაჲ მტერთა მიმართ და სიხარულით იტყოდა: მღდელნი აკურთხევდით, ერნი უფროჲსად აღამაღლებდით მას უკუნისამდე.

დამონებულნი ცოდვისაგან და დაშჯილნი სიკუდილისაგან გამომიჴსნა ჯუარითა ქრისტემან ჴელთაგან ჯოჯოხეთისათა და მოგუანიჭა აღდგომაჲ, ცხორებაჲ მორწმუნეთა თჳსთა. მღდელნი აკურთხევდით, ერნი უფროჲსად აღამაღლებდით მას უკუნისამდე.

აღიდებდითსა

შენგან გამოგჳბრწყინდა ქრისტე, ქალწულო მარიამ, რომელმან ვნებაჲ ნეფსით ჯუარსა ზედა თავს-იდვა და ცოდვანი ჩუენნი ჯუარსა შეამშჭუალნა და ცხორებაჲ საუკუნოჲ ყოველთა მოგუანიჭა.

აჩუენა უფალმან მაცხოვარებაჲ თჳსი კაცთა ცხორებისათჳს, ვითარ ჯუარითა განგუათავისუფლნა ჩუენ წყევისაგან და მოგუანიჭა ჩუენ მოტევებაჲ ჴსნისაჲ გუერდითა. ამას თაყუანის-ვსცემდეთ, უკუდავსა მეუფესა, მოსავნი ჯუარისანი, გალობით ვადიდებდეთ.

დიდებულსა მადიდებელსა უზეშთაესისა თანა უგალობდეთ, რომელნი შემდგომად შობისა ღმრთის-მშობელად აღგიარებთ, ყოვლადწმიდასა ქალწულსა მარიამს გალობით გადიდებთ.

სიხარულით დღესასწაულობს დღეს ერი მორწმუნეთაჲ, რამეთუ ქრისტემან აღამაღლა ჯუარი ჩუენ შორის საფარველად, რომლითა დაჴსნდა ამპარტავანებაჲ მტერისაჲ. ამას თაყუანის-ვსცემდეთ, უკუდავსა მეუფესა, მოსავნი ჯუარისანი, გალობით ვადიდებდეთ.

სხუანი

კურთხეულ არს ქრისტე, ღმერთი ჩუენი, რომელმან მყოფნი ბნელისანი ნათლად აღმოიყვანნა და მოგუცა ჩუენ საჭურველად ჯუარი ცხოველი. მოვედით, ერნო, თაყუანის-ვსცეთ პატიოსანსა ჯუარსა.

ცხოველს-მყოფელი, უხრწნელი, პატიოსანი ჯუარი, რომელი ზეცით გამოუჩნდა უძლეველსა მეფესა, რომლისა მიერ მოემადლა ძლევაჲ მტერთა მიმართ და სიხარულით შეიწყნარა ჯუარი ქრისტჱსი. მოვედით, ერნო, თაყუანის-ვსცეთ პატიოსანსა ჯუარსა.

ღმრთისა მიერ მოემადლა კადნიერებაჲ ნეტარსა დედოფალსა და სარწმუნოებით მოიძია ძელი ჯუარისაჲ და სასწაულითა საცნაურ ყო ჯუარი ქრისტჱსი, მოვედით, ერნო, თაყუანის-ვსცეთ პატიოსანსა ჯუარსა.

სხუანი

ცნობაჲ ჭეშმარიტი ეუწყა წმიდათა მათ დედათა სმენითა ანგელოზთაჲთა მითხრობად მოციქულთა, რამეთუ დაემტკიც-

ნეს წარმართნი სარწმუნოებასა ღმრთეებისა განკაცებითა. ჯუარცუმულსა გიღაღადებთ, აღდგომილსა თაყუანის-გცემთ დაუცხრომელად — მადიდებელნი შენნი.

ქრისტე, მაცხოვარი სოფლისაჲ, უშჯულოთა მიერ განბასრებული, დაისაჯა ჩუენისა ჴსნისათჳს უპირატჱს ძელისა დანერგვითა, ჯუარისა აღმართებითა მორწმუნენი განგუანათლნა. ჯუარცუმულსა გიღაღადებთ, აღდგომილსა თაყუანის-გცემთ დაუცხრომელად მადიდებელნი შენნი.

სათნო-იყავ, ძეო ღმრთისაო, დამკჳდრებად მუცელსა ქალწულისასა. ინება რაჲ აღსლვაჲ ჯორცითა ჯუარსა ზედა, საფლავსა დადებითა, უშჯულოთა მიერ დაბეჭდვითა მორწმუნენი განგუანათლნა, ჯუარცუმულსა გიღაღადებთ, აღდგომილსა თაყუანის-გცემთ დაუცხრომელად მადიდებელნი შენნი.

ქრისტემან რაჲ ივნო ჯუარსა ზედა, აჯოცნა ცოდვანი სოფლისანი და ღმრთეებაჲ უვნებელად ეგო, რომლისათჳსცა გამომიჴსნნა ჩუენ საკრველთაგან სიკუდილისათა, ჯუარისა აღმართებითა მორწმუნენი განგუანათლნა. ჯუარცუმულსა გიღაღადებთ, აღდგომილსა თაყუანის-გცემთ დაუცხრომელად მადიდებელნი შენნი.

აქებდითსა

საჭურველად საძლეველად, ქრისტე, ჯუარი ჩუენ მოგუეც და ამით ვსძლოთ ბრძოლასა მტერისასა.

მოეც სასწაულად მოშიშთა შენთა, უფალო, ჯუარი შენი პატიოსანი, რომლითა განაქარვე მთავრობაჲ, ჴელმწიფებაჲ ბნელისაჲ და აღმომიყვანენ ჩუენ პირველსა მას ნეტარებასა, რომლისათჳსცა კაცთ-მოყუარებისა შენისა განგებულებასა ვღაღადებთ და ვიტყჳთ: შენ გშუენის გალობაჲ, ღმერთო.

ზღუდე ჩუენდა იქმნა ჯუარი შენი, იესუ, მაცხოვარო ჩუენო, რამეთუ სხუაჲ სასოჲ მორწმუნეთაჲ არა გუაქუს, გარნა შენ, მას ზედა ჯორცითა დამშჭუალული, და მოანიჭებ ყოველთა დიდსა წყალობასა.

გამოაჩინე ჩუენ ზედა ნათელი პირისა შენისაჲ, უფალო, სასწაულითა ჯუარისა შენისაჲთა. ამისთჳსცა გევედრებით და შენდამი ვღაღადებთ: შეგჳწყალენ დაბადებულნი შენნი, ქრისტე ღმერთო, ვითარცა მხოლოჲ ქველის-მოქმედ ხარ და კაცთ-მოყუარე.

აღმაღლდა ნიში ჯუარისა შენისაჲ, უფალო, რომელი მძლე ექმნა პირსა მტერისასა, დაემტკიცა წმიდაჲ ეკლესიაჲ და იდიდების სახელი წმიდაჲ შენი.

ვაქებდეთ ქრისტეს, მეუფესა ღმერთსა, რომელი აღმაღლდა ზედა ჯუარსა ჩუენთჳს და ძლევით ჯოჯოხეთი წარმოტყუენა.

გაქებთ შენ, ქრისტე, რომელი იშევ ქალწულისაგან და შობითა შენითა განაახლე კაცი, ჯუარითა მოაკუდინე სიკუდილი და აცხოვნენ მორწმუნენი შენნი.

თაყუანის-გცემთ შენ, ქრისტე, რომელი განჰკაცენ ჩუენთჳს, ჯუარს-ეცუ, დაეფალ და აღსდეგ მესამესა დღესა, მოჰკალ მტერი ჯუარითა და აცხოვნენ შენნი მორწმუნენი.

ნათლად გამობრწყინდა პატიოსანი ჯუარი, რომელსა ზედა განიპყრნა ჴელნი თჳსნი მაცხოვარმან, ცოდვანი სოფლისანი აჰოცნა და აღდგომაჲ ყოველთა მოგუანიჭა.

სხუანი

დიდების-მეტყუელებასა და ქებასა შევსწირვიდეთ, მორწმუნენო, ქრისტეს და სიხარულით თაყუანის-ვსცეთ პატიოსანსა ჯუარსა.

აღივსო პირი ჩუენი სიხარულითა და ენაჲ ჩუენი გალობითა ახლითა და მადლი სულისა წმიდისაჲ მოგუენიჭა სასწაულითა ჯუარისა შენისაჲთა, მოვედით, ერნო, თაყუანის-ვსცეთ პატიოსანსა ჯუარსა.

სიხარულითა აღივსნეს მყოფნი იერუსალემისანი, რაჟამს მოიძიეს ძელი ცხორებისაჲ და სუნნელებაჲ დიდძალი მიეფინებოდა ზედა ყოველსა ერსა, და მადლობით ღაღადებდეს და იტყოდეს შენდამი, ღმერთო. მოვედით, ერნო, და სიხარულით თაყუანის-ვსცეთ პატიოსანსა ჯუარსა.

სხუანი

რომელმან ჯუარითა ნათელი გჳჩუენე და ბნელი განგუაშორე, სიმდიდრჱ გამოუჩინებელი გამოუცხადე და სოფელი განანათლე, დაუცხრომელად თაყუანის-ვსცემთ პატიოსანსა ჯუარსა და უგალობთ აღდგომასა შენსა: ქრისტე ღმერთო, შეგჳწყალენ ჩუენ.

რომელმან ჯრწნილებაჲ ჩუენი უჯრწნელებად გარდასცვალე და პირველშექმნული ადამ ბჭეთაგან სიკუდილისათა აღმოიყვანე

და მოკუდავებაჲ ჩუენი უკუდავებად გარდასცვალე, დაუცხრომელად თაყუანის-ვსცემთ პატიოსანსა ჯუარსა და უგალობთ აღდგომასა შენსა: ქრისტე ღმერთო, შეგვწყალენ ჩუენ.

რომელმან ბჭენი რვალისანი შეჰმუსრენ ჯუარითა და მას შინა მყოფნი აღმოიყვანენ ნათლად და მოგუანიჭე ჩუენ ნათელი ღმრთეებისა შენისაჲ. დაუცხრომელად თაყუანის-ვსცემთ პატიოსანსა ჯუარსა შენსა და უგალობთ აღდგომასა შენსა: ქრისტე ღმერთო, შეგვწყალენ ჩუენ.

სხუანი

წინაჲსწარმეტყუელებაჲ მოსჱსი დღეს აღესრულა, რამეთუ განპყრობითა ჴელთაჲთა ჯუარისა სახედ ამალეკი უკუნ-აქცია, ხოლო აქა დღეს აღმოცენებითა პატიოსნისა ჯუარისაჲთა დაემტკიცნეს წმიდანი ეკლესიანი. მოვედით, ერნო, თაყუანის-ვსცეთ ჯუარსა ქრისტჱსსა და გალობასა დავითისსა ვიხარებდეთ და ვიტყოდით: შენ გშუენის გალობაჲ, უფალო, სიონს და შენ მოგეცეს ლოცვაჲ იერუსალემს.

ჯურმან შენმან, ქრისტე, განანათლნა შენნი ეკლესიანი, რომელი გამოაბრწყინე ქუეყანასა ზედა ნათლითა ზეცისაჲთა, უბრწყინვალჱს მზის-თუალისა, რამეთუ დღეს აღემართა ძელი ჯუარისაჲ, დაეცა მტერი, ხოლო მორწმუნენი აღდგომისა შენისანი ვღაღადებთ და ვიტყჳთ: შევიდეთ საყოფელთა შენთა და თაყუანის-ვსცეთ ადგილსა მას, რომელსაცა იდგეს ფერჴნი შენნი.

სხუანი

ყოველთა ცხორებად მოხუედ, ქრისტე ღმერთო, ნებითა მამისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა ქალწულისაგან კაცებაჲ შეიმოსე, რაჲთა წარმართთა მოუწოდო ახალსა გალობასა, ჯუარითა წმიდითა გუაცხოვნენ ჩუენ და აღდგომითა შენითა შეგვწყალენ.

ღმრთით-შემკობილი საუფლოჲ ძელი ჯუარისა შენისაჲ, უფალო, რომელი გამოგჳჩნდა ზეცით ზედა გოლგოთასა, მის მიერ განათლდეს დაბადებულნი და პირველსა მას ნეტარებასა ღირს იქმნნეს. მითვე ჯუარითა შეგვწყალენ და გუაცხოვნენ ჩუენ.

ღმრთის-მსახურსა მეფესა კოსტანტინეს გმოუჩნდა ნიში

ჯუარისა შენისაჲ, უფალო, და მით სძლო განწყობილსა მას ბანაკსა მტერისასა. შეწევნითა შენითა, უფალო, და გამოჩინებითა პატიოსნისა ჯუარისა შენისაჲთა დაეცნეს მტერნი მისნი. მითვე ჯუარითა შეგვწყალენ და გუაცხოვნენ ჩუენ.

ჯუარი შენი, უფალო, დღეს უმეტჳსად აღმაღლდების, დამალული ქუეყანით აღმოჩნდების და ქრისტჳს აღდგომაჲ კუალად განახლდების. ძალი მტერისაჲ შეიკრვის და სოფელი საცთურისაგან იჯსნების და კიდენი ქუეყანისანი იხარებენ დღესასწაულსა პატიოსნისა ჯუარისა შენისასა. მითვე ჯუარითა შეგვწყალენ და აღდგომითა შენითა გუაცხოვნენ ჩუენ.

ზეცისა საკჳრველი და ბრწყინვალედ შემკული ჯუარი, რომელი გამოუჩნდა ზედა გოლგოთასა, ხედვიდეს რაჲ განმარტებულსა მიმთადმდე ზეთის-ხილთა, უბრწყინვალჳს მზის-თუალისა, მითვე ჯუარითა შეგვწყალენ და აღდგომითა შენითა გუაცხოვნენ ჩუენ.

ოხითაჲ/ჴმაჲ ა

განწყობილი სიმრავლჳ ანგელოზთაჲ ძლევისა გალობასა დიდების-მეტყუელებს ნათლითა შემოსილისა და ცხოველს-მყოფელისა ჯუარისა შენისა დღესასწაულსა, ქრისტე, და სიხარულით თაყუანის-სცემს კრებული მორწმუნეთაჲ ღმრთივ-ბრწყინვალესა ხილვასა მისსა და ერთა თანა ზეცისათა დაუცხრომელად იტყჳან: დიდებაჲ ყოვლადძლიერსა ჯუარსა შენსა, მაცხოვარ.

ჴელთაბანისაჲ/ჴმაჲ დ გუერდი

ჴმაჲ წინაჲსწარმეტყუელისა შენისა მოსჳსი, ღმერთო, აღესრულა, რომელსა იტყოდა: ხედვიდეთ ცხორებასა თქუენსა ძელსა დამოკიდებულსა წინაშე თუალთა თქუენთა, რამეთუ დღეს ჯუარი აღმაღლდების და სოფელი საცთურისაგან იჯსნების, დღეს ქრისტჳს აღდგომაჲ განახლდების და ყოველნი კიდენი ქუეყანისანი იხარებენ. შესხმასა დავითისსა შევსწირვიდეთ და გალობით ვიტყოდით: ჰქმენ ცხორებაჲ შორის ქუეყანასა, ღმერთო, ჯუარითა და აღდგომითა, რომლითა ჩუენ ვიჯსნენით, სახიერო და კაცთ-მოყუარეო უფალო, დიდებაჲ შენდა.

სიწმიდისაჲ

საშინელისა და უხილავისა, უხილავთა შემოქმედისა, უხილავთა საყდართა ზედა მჯდომარისა მეუფისა ყოველთაჲსა მადიდებელნი დღესასწაულისანი ძღუენსა შენდა შესწირვენ, რომელი უხილავ ხარ ღმრთეებითა და თუალთ-შეუდგამ ბრწყინვალებითა. უხილავსა გმსახურებენ მრავალთუალნი ქერობინნი და ექუს-ექუს ფრთენი სერაბინნი, დაუცხრომელითა კმითა დაუცადებელად ღაღადებენ და იტყჳან: წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი, მეუფჱ დიდებისაჲ.

გიორგი მთაწმინდელის თვენი (სექტემბერი) თთუესა სეკდენბერსა იდ, აღმაღლებაჲ პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯუარისაჲ*

უფალო ღაღატყავსა/ჯმაჲ /ზეცისა განწესებული

ბრწყინვალედ შუენიერ არს ჩუენდა კრებაჲ ესე, დღეს იხარებს უბიწოჲ სძალი იგი ქრისტესი — წმიდაჲ ეკლესიაჲ და მოუწოდს შვილთა თჳსთა მგალობელთა სამარადისოჲსა სიძისა, ცათა მეუფისა, და ძლევასა მისცემს ჯუარითა.

დღეს იხარებს სულითა დავით მგალობელი, რამეთუ დაენერგა ეკლესიასა შინა ხე ნაყოფიერი, რომელმანცა გამოსცა ნაყოფი თჳსი, ჯუარსა ზედა განეფინა ცხორებისა ბაბილოჲ, რომლითა მოვიღეთ უკუდავებაჲ.

ამას დღესა წმიდასა აღმაღლდების ღირსად დიდებითა საღმრთოჲთა მორწმუნე კრებული, ჯუარისა ძალითა შეჭურვილნი, მარხვითა და გალობითა ერთობით ადიდებენ მაცხოვარს, რომელმან ცხორებაჲ მოჰმადლა.

ჵ, სიღრმესა მას სიბრძნისა შენისასა, ქრისტე, რამეთუ დამბადენ ჩუენ ხატად შენდა, პატივ-გუეც, თჳთჴელმწიფებითა და ვნებითა შენითა უვნებელ-მყვენი, რომლისათჳსცა სარწმუნოებით ყოველნი თაყუანის-ვსცემთ ცხოველს-მყოფელსა ჯუარსა შენსა.

სხუანი ბ/სასოწარკუეთილ

რაჟამს აღემართა ძელი ჯუარისაჲ, მაშინ მოუძლურდა ძალი მტერისაჲ, რამეთუ გამოგჳბრწყინდა ნათელი თჳთმნათობი ქრისტე, მეუფე საუკუნოჲ, რომელმანცა შეწირა თავი თჳსი მსხუერპლად მამისა და მოგუცა საიდუმლოჲ ჯორცი უბიწოჲ და სისხლი ცხოველს-მყოფელი განმწმედელად ბრალთა ჩუენთა ურჩებით მოგებულთა.

წინაჲსწარმეტყუელთა ჴმანი ძელსა მას ყოვლად წმიდასა მოასწავებდეს, რომლისა მიერ განქარდა წყევაჲ იგი პირველი, ადამ გამოიჴსნა შვილითურთ მონებისაგან მტერისა და აწ აღ-

*იბეჭდება გამოცემიდან გიორგი მთაწმინდელის თვენი (სექტემბერი) „ნათლისმცემელი“, 2007, გვ. 215-252

მაღლებასა მისსა ყოველნი მორწმუნენი აღმაღლდებიან და ჯმითა გალობისაჲთა აქებენ მეუფესა მას ზედა ნეფსით ჯუარცუმულსა ჩუენთჳს.

დღეს აღემართების ძელი ჯუარისაჲ ეკლესიათათჳს შუენიერებად და სიმტკიცედ მორწმუნეთა და მას ზედა ჯუარცუმულისა ქრისტეს ვნებათა დაამტკიცებს, რომელ ჩუენთჳს თავსისხნა, ამას ყოველნი მორწმუნენი შიშით თაყუანის-ვსცემდეთ და ვღაღადებდეთ: მეუფეო ქრისტე, ღმერთო ჩუენო, მისითა ძლიერებითა დაგჳცვენ მონანი შენნი.

მდგომარე წინაშე ჯუარსა უბიწოჲ მშობელი შენი, ღმრთისა სიტყუაო, ცრემლითა სიმწარისაჲთა გოდებით ესრეთ იტყოდა: ვითარ თავს-ვიდვა, ძეო ჩემო, უმშჯავროჲ ესე მოკლვაჲ შენი? რამეთუ, ვითარცა რაჲ ძჯრის-მოქმედი, ძელსა დამშჭუალულ ხარ შენ? არამედ აწ აჩუენე ძალი ღმრთეებისა შენისაჲ და იცნენ მოსავნი შენნი.

სხუანი დ

მოგიცემიეს, ღმერთო, სასწაულად მოშიშთა შენთა ჯუარი შენი უძლეველი, რომლითა განაქარვე მთავრობაჲ ბნელისა ამის და ჴელმწიფებაჲ და აღმომიყვანენ ჩუენ, სახიერ, პირველსავე მას ნეტარებასა, ამისთჳს ღმრთეებისა შენისა განგებულებასა ვადიდებთ, იესუ ყოვლად-ძლიერო და მჴსნელო სულთა ჩუენთაო.

უთხრეს ცათა დღეს ცხადად, გამოუკულეველო უფალო, სოფელსა დიდებაჲ შენი, რამეთუ ბრწყინვალე ნათლითა შემოსილი ჯუარი გამოჩნდა და ამხილა ღმრთის-მკლველთა მათ გარდარეული სიფიცხლე მათი. ამისთჳს შენისა ღმრთეებისა განგებულებასა ვადიდებთ, იესუ ყოვლად-ძლიერო და მჴსნელო.

დღეს გამოგჳბრწყინდა ჩუენ ელვარე უფროჲს მზის-თუალისა ჯუარი შენი, ქრისტე ღმერთო, განმამდიდრებელად ჩუენდა თხემისა აღგილსა აღმაღლებული, მაცხოვარი მთასა მას ზედა წმიდასა აუწყებდა ნათელსა, რომლისა მიერ ყოველი ბუნებაჲ ჩუენი განაძლიერე და მით აღამაღლე ზეცად, ვითარცა კაცთმოყუარე ხარ.

სხუანი დ

ხისა მიერ ადამ შეცთომილი განვარდა სამოთხით, ხისა მიერ ჯუარითა ავაზაკი შევიდა სამოთხედ, რამეთუ მან შეურაცხ-ყო ბრძანებაჲ დამბადებელისა თჳსისაჲ, ხოლო ესე მის თანა ჯუარცუმული ღაღადებდა აღსარებით: მომიჴსენე, მჴსნელო, სასუფეველსა შინა.

ჴელით-წერილი იგი პირველისა ცოდვისა ჩუენისაჲ ჯუარსა ზედა ლახურითა განხეთქე, ქრისტე, საკჳრველებით და მკუდრად შეირაცხე შენ. ამისთჳსცა დასთრგუნე მძლავრი ძლიერი და იჴსნენ მორწმუნენი აღდგომითა შენითა და ღაღადებენ: მომიჴსენე, მჴსნელო, სასუფეველსა შინა.

მოეც სასწაულად დღეს შენდამი მორწმუნეთა, უფალო, ჯუარი პატიოსანი, რომლითა დაჰჴსენ ძალი მტერისაჲ და დასთრგუნე მთავარი ბნელისაჲ და მიჴსნენ ჩუენ საცთურისაგან და მიმიძეღუ მუნვე პირველად ნეტარებად და გიღაღადებთ: მომიჴსენე, მჴსნელო, სასუფეველსა შინა.

სხუანი ა გუერდი

გიხაროდენ, ცხოველს-მყოფელო ჯუარო, ქრისტეანეთა შესაჳედრებელო, ზეცისა ნიჭთა მომატყუებელო და სამოთხისა კარო და ყოველთა მართლმორწმუნეთა ძალო, ეკლესიისა ზღუდეო, რომლისა მიერ დაჰჴსნდა ძალი ცოდვისაჲ და სიკუდილი განქარდა და აღვმაღლდით ჩუენ ქუეყანისანი ცად მიმართ, საჭურველო ყოვლადძლიერო, ეშმაკთა წარმდევნელო, მოწამეთა გჳრგჳნო და მღდელთ-მოძღუართა შუენიერებაო, და აწ დაგჳცჳენ ჩუენ და მოჰმადლე სულთა ჩუენთა დღეს დიდი წყალობაჲ.

გიხაროდენ, ძელო ცხოველო, რომლისა მიერ იჴსნნეს კაცნი წყევისაგან საღმრთოჲსა, სიხარულისა სასწაულო, რომელი დაამდაბლებ მტერთა აღმაღლებითა შენითა, ჱ, ძელო ყოვლადწმიდაო, შემწეო ჩუენო, სიმტკიცეო მეუფეთაო და ძალო მართალთაო და მღდელთ-მოძღუართა ბრწყინვალეო სამკაულო, საჭურველო მშჯდობისაო, კუერთხო სიმტკიცისაო, რომელსა გადიდებენ ანგელოზნი კაცთა თანა მარადის, ქრისტეს დიდებაო, რომელმან მოეც სოფელსა დღეს დიდი წყალობაჲ.

გიხაროდენ, ყრმათა ნათელო, უძლურთა მკურნალო და მკუდართა აღდგომაო, რომელმან აღგუამაღლენ ჩუენ, ცოდვითა დაცემულნი. ჯუარო დიდებულო, რომლისა მიერ დაჰჴსნდა წყევაჲ და აღყუავილნა დღეს კურთხევაჲ საღმრთოჲ და მოკუდავნი უკუდავ-მყვენ და მტერი დაეცი. ამისთჳსცა დღეს გხედავთ შენ აღმაღლებულად ჴელითა მღდელთ-მოძღუართაჲთა და ვა-

დიდებთ ქრისტესა, რომელი დაემშჭუალა შენ ზედა და შენ თაყუანის-გცემთ, ძელო ცხორებისაო, რომლისაგან პოა სოფელმან დღეს დიდი წყალობაჲ.

სხუანი ბ გუერდი/დასაბამად.

დღეს ჯუარი აღმაღლების და მის ზედა ჯუარცუმულისა ქრისტეს ღმრთისა ვნებათა გალობად მომიწოდს, ჰ, მორწმუნენო, რამეთუ მას ზედა მოაკუდინა მჯნელმან და მეუფემან მკლველი იგი ჩუენი, ხოლო ჩუენ, მომწყდარნი, აღგუადგინნა და ცად აღგუამაღლნა გარდამატებულითა მით მოწყალებითა. ამისთჳსცა დღეს სიხარულით ვადიდებთ სახელსა მისსა წმიდასა.

მოსე გამოგსახა შენ, ჴელნი რაჲ ზეცად განიპყრნა და დასცა ამალეკი, პატიოსანო ჯუარო, ჩუენ, მორწმუნეთა, ძელო უძლეველო, ქრისტეს მოწამეთა სიმტკიცეო და მოციქულთა შუენიერებაო და ყოველთა მართალთა სასოო.. ამისთჳს აღმაღლებასა შენსა დღეს იშუებს ყოველი სოფელი, მადიდებელი ღმრთისაჲ, და ერთობით აქებენ ქრისტესა, რომელმან შენ მიერ შემკრიბნა ერთად განბნეულნი.

ჯუარო ყოვლადქებულო, რომელსა გარე-მოგადგან ზეცისა მჴედრობანი და გადიდებენ შენ, დღეს აღჰმაღლები წამის-ყოფითა მით ღმრთისაჲთა დიდებით და შენ თანა აღგუამაღლენ ჩუენ, რომელნი ძელისა გემოჲს-ხილვითა განვიდევნენით შუებისაგან სამოთხისა და დავეცენით ვიდრე სიკუდიდმდე. ამისთჳს გულითა და ბაგითა ამბორს-გიყოფთ შენ და კურნებასა მოვიღებთ სულთა და ჴორცთასა.

სხუანი/გ გუერდი/მოღუაწენო წმიდანო

ძელო ცხოველს-მყოფელო, სულთა სიწმიდეო, რომელიცა სხურებულ იქმენ უბიწოჲთა მით სისხლითა ღმრთისა სიტყჳსაჲთა, განგუწმიდენ ჩუენ, რომელნი გესავთ შენ, განგჳნათლენ საცნობელნი ნათლითა მადლისა შენისაჲთა, განიოტენ ვნებანი მორწმუნეთა შენთანი ძალითა შენითა და დაგჳცვენ უვნებელად ყოვლისაგან ბოროტისა.

ძელო ყოვლადწმიდაო, მღდელთა სიმტკიცეო და ეკლესიისა სამკაულო, მეფეთა ძალო და წინაშე მტერთა ფარო და ცხორებისა ჩუენისა კარო, რომლისა მიერ შემოვალს სიმდიდრე სუ-

ლისა წმიდისაჲ, წმიდა-მყვენ ცოდვათაგან და ყოველთა ვნებათა მგალობელნი შენნი, რომელნი თაყუანის-ვსცემთ ქრისტესა, ჯუარცმულსა შენდა.

ჯუარსა შენსა წმიდასა თაყუანის-ვსცემთ, ქრისტე, რომლისა მიერ ერთსამწყსო-ჰყვენ ანგელოზნი და კაცნი მადიდებელად შენდა ეკლესიასა შინა წმიდასა და მის მიერ გევედრებით, მოწყალეო და კაცთ-მოყუარეო, მოგუმადლე მოტევებაჲ აღურაცხელთა მათ შეცოდებათა ჩუენთაჲ და წინა-მდებარეთაგან საბრჯეთა მტერისათა მიჯსნენ.

სხუანი დ გუერდი

რომელმან ედემს შინა ოდესმე ხე იგი საცნაური აღმოაცენე, შორის ნერგთა მისთა ეკლესიასა შენსა, ქრისტე, ჯუარი შენი აღაყუავე, რომელმან მოსცა სოფელსა ცხორებაჲ, არამედ მაშინ მოაკუდინე ხისა მის ჭამითა ადამ, ხოლო აწ განაცხოველე სარწმუნოებით ავაზაკი, რომლისა ზიარად მოტევებასა მიჩენენ ჩუენ, ქრისტე მაცხოვარ, რომელმან ივნე ჩუენთჳს და დაჰჴსენ შური იგი მტერისაჲ და ღირს-მყვენ ჩუენ, ყოველნი, სასუფეველსა შენსა, უფალო.

ძელისა მიერ ცნობადისაჲსა განძებულ იქმნა პირველ-შექმნული ღმრთისაჲ საშუებელისა მისგან ძელისა მიერ ჯუარისა, ავაზაკმან მან სამოთხე განაღო, რომელ დაუჴშა ევა ადამს, რომელი-იგი პირველ მოკუდა განზრახვითა მტერისაჲთა და მითვე კუალად ვცხოვნდით ჩუენ მსწრაფლ აღსარებითა მით ავაზაკისაჲთა, რომელსა ჩუენცა მივემთხჳნეთ კეთილითა მით სახითა და საქმითა და ესრეთ უღაღადებდეთ ქრისტესა: მომიჴსენენ ყოველნი სასუფეველსა შენსა, უფალო.

რომელი-იგი ოდესმე მოსე წინაჲსწარმეტყუელებით ღუაწლსა მას შინა გამოსახა სიბრძნით, რაჟამს განიპყრნა ჴელნი თჳსნი სახედ ჯუარისა, რომლითა უკუნ-აქცია მტერი ამალეკი და კუალად დავით მგალობელმან კუარცხლბეკად ფერჴთა შენთა თქუა და ბრძანა თაყუანის-ცემაჲ ჯუარსა შენსა, ქრისტე ღმერთო, ხოლო ჩუენ, ცოდვილნი, ბაგითა ამით უღირსითა გიღაღადებთ შენ: რომელმან ჯერ-იჩინე დამშჭუალვაჲ ჯუარსა ზედა, ღირს-მყვენ ჩუენ ავაზაკისა თანა სასუფეველსა შენსა, უფალო.

ჱ, სასწაული საკჳრველთაჲ, რამეთუ ძელი იგი ცხორების-მომცემელი სიმაღლესა ცათასა გამობრწყინდების, დღეს დიდების-მეტყუელებს ყოველი ენაჲ და იქსტიან ეშმაკთა სიმრავლენი ჱ, წყალობაჲ შენი, სახიერო ღმერთო, რომლითაცა აცხოვნენ სულნი ჩუენნი, ვითარცა მოწყალე ხარ.

ჱ, სასწაული საკჳრველთაჲ, რამეთუ ცათა სწორავს სივრცე და სიგრძე ჯუარისაჲ, რომელი ღმრთისა მადლითა განსწმედს ყოველთა.

ამით წარმართთა ერნი იძლევიან, ამით კუერთხი მეფისაჲ განმტკიცების, ჱ, საღმრთოჲ კიბე, რომლითა აღვალთ ზეცად და გალობით აღვამაღლებთ შემოქმედსა უკუნისამდე.

ჱ, სასწაული საკჳრველთაჲ, რამეთუ ცხორებისა ტევანისა მტჳრთველი ჯუარი, სავსე ნაყოფითა, ქუეყანით ცად აღმაღლების, რომლითა მივეახლენით ჩუენ ღმერთსა და დაინთქა სარეცელი სიკუდილისაჲ, ჱ, ძელი, რომლისაგან ყოველთა მოვიღეთ უკუდავებაჲ და ქრისტესა ვადიდებდეთ უკუნისამდე.

მოვედით, მორწმუნენო, ცხორების-მომცემელსა ძელსა ჯუარისასა თაყუანის-ვსცემდეთ, რამეთუ დღეს გამოგჳჩნდა საუნჯე პატიოსანი, დამალული ქუეყანასა და ესე გამოსახა პირველ მოსე საიდუმლოდ, რაჟამს იგი განიპყრნა ჴელნი ჯუარის-სახედ უდაბნოს, ამალეკსა სძლო პირველ, აჩუენა კუერთხითა ზღჳსა განპებაჲ იგი, ამანვე წინაჲსწარ აუწყა გუელისა ჯუარსა ზედა დამშჭუალვაჲ, ამანვე ძელმან მტერი ჩუენი განაქიქა და ამანვე დაჰჴსნა პირველისა ძელისა წყევაჲ და ჩუენ, მორწმუნენი, მაცხოვნნა.

მოვედით, მორწმუნენო, განბრწყინვებულნი სულითა და ვდღესასწაულობდეთ, რამეთუ დღეს მოგუესწავა ნათლითა შემოსილი ჯუარი, ქუეყანით აღმაღლებული, რომელსა ზედა დამოეკიდა მაცხოვარი ცხორებად ყოვლისა სოფლისა და გამოჴსნად დაშჯილთა სიკუდილისაგან, რომლითა გაჰჴსნა მთავრობაჲ იგი ჯოჯოხეთისაჲ და ნათლად აღმოიყვანნა სულნი ადამისითგან მომწყდარნი და განუხუნა მათ სასუფეველისა ბჭენი. ამას

უგალობდეთ, ცხორების-მომცემელო ჩუენო, გუაცხოვნენ მგალობელნი შენნი.

მოვედით, მორწმუნენო, ცხორების-მომცემელსა ძელსა ერთობით თაყუანის-ვსცემდეთ, რამეთუ დღეს გამოგუჩნდა ქრისტეანეთა სიქადული და დიდი გამოსაჯსნელი და ესე წავიძღუანოთ ჩუენ სასოდ ქრისტეს მიმართ, რაჲთა მიჯსნნეს მონებისაგან მტერისა ამისითა ძლიერებითა. ამით ძელითა მტერთა ჩუენთაგან გამოვიჯსნებით. ესევე მომსრველი არს მწვალებელთაჲ და განანათლებს სულთა, რომელნი ჰგიან მართლმადიდებლობასა და ამანვე ძელმან სამოთხე დაჯშული განაღო და მორწმუნენი შეიყვანნა.

სხუანი

ლახუარსა, განმღებელსა გუერდისა შენისასა, მჯსნელო, გზა-სცა მახჯლმან იქცევისამან ოდესმე და შევიდა ავაზაკი მის თანა. ჩუენცა ვედრებით გიღაღადებთ, სახიერ: მომიჯსენენ ჩუენ სასუფეველსა შენსა.

მზისა ბრწყინვალებასა დაჰფარვიდა ოდესმე ბრწყინვალებაჲ ჯუარისაჲ, რომელი ზეცით გამოჩნდა ზედა მთასა წმიდასა ზეთისხილთასა და ერნი ღმერთსა უღაღადებდეს: მომიჯსენენ ჩუენ, მჯსნელო, სასუფეველსა შენსა.

განბრწყინდა ჯუარი შენი, მაცხოვარ, ცათა შინა და ამხილა მტერთა ურწმუნოებაჲ იგი მათი და უფროჲსად განაშუენა დღესასწაული ერისა მორწმუნისაჲ და ჴმა-ყვეს: მომიჯსენენ ჩუენ, მჯსნელო, სასუფეველსა შენსა.

იოსებ სტიქარონნი/ნათელი ნათლისაგან

დღეს ჴმაჲ დიდებულისა ღმრთის-მეტყუელისა დავით მგალობელისაჲ სრულ-ჰყავ, მაცხოვარ, რამეთუ ფერჯთა შენთა კუარცხლბეკსა ფერჯთასა შიშით თაყუანის-ვსცემთ და საფარველსა ფრთეთა შენთასა ვესავთ, მჯსნელო, და ვიტყჯთ: გამობრწყინდინ ჩუენ ზედა ნათელი საღმრთოჲ პირისა შენისაჲ და გუაცხოვნენ აღმაღლებითა ჯუარისა შენისაჲთა, მრავალმოწყალე.

გერმანოს/იგივე

დღეს ძელი ცხორებისაჲ, ჯუარი უფლისაჲ, წმიდა-ჰყოფს ცის კიდეთა აღმაღლებითა და მორწმუნეთა გულსა განანათ-

ლებს და ეშმაკთა ბოროტთა სიმრავლესა იოტებს ძლიერებით ქრისტესითა, რომელმან მოწყალებით ინება ჩუენთჳს მას ზედა ჯორცითა დამშჭუალვაჲ, სათნო-იყო და მოგუანიჭა მოტევებაჲ ცოდვათაჲ და დიდი წყალობაჲ.

გერმანოს/იგივე

წინაჲსწარ გამოსახა მამათ-მთავარმან, დიდებულმან იაკობ სახე ჯუარისა შენისაჲ, ქრისტე ღმერთო, რაჟამს ძის-წულთა თჳსთა აკურთხევდა და თავსა ზედა მათსა შეცვალებით დაასხნა მან ჯელნი. ამას დღეს ჩუენ, მაცხოვარ, აღვამაღლებთ და ვჴმობთ: მეფესა ღმრთის-მსახურსა, სახიერ, ძლევაჲ მოჰმადლე, ვითარცა კოსტანტინეს და შეგჳწყალენ ჩუენ.

გერმანოს სხუაჲ/სახედ ირემთა

ნერგი უკუდავებისაჲ ცხოველს-მყოფელი ჯუარი შენი, ქრისტე, თხემისა ადგილმან აღმოგჳცენა ჩუენ დღეს, რომლითა გეეჳდრებით: მყუდროებაჲ სოფელსა მოანიჭე და სულთა ჩუენთა — დიდი წყალობაჲ.

თეოფანე სხუაჲ/უღირდა თხემისა

ადგილსა დანერგული ძელი ჯუარისაჲ, რომლისა მიერ ქმნა ცხორებაჲ დამბადებელმან წინა საუკუნეთა ქრისტემან ღმერთმან შორის ქუეყანისა, დღეს აღმაღლდების, რაჲთა წმიდა-ყვნეს ცის-კიდენი და განახლდების აღდგომისა წმიდა ეკლესიაჲ, იხარებენ აწ ცათა შინა ანგელოზთა განწყობილნი, ხოლო იშუებენ ძენი კაცთანი ქუეყანასა ზედა და დავითის თანა ღაღადებენ და ესრეთ გალობენ: აღამაღლებდით ძრწოლით უფალსა ღმერთსა და თაყუანის-ეცით კუარცხლბეკსა წმიდასა ფერჴთა მისთასა, რომელიცა მოჰმადლებს სოფელსა დიდსა წყალობასა.

თეოფანე/სხუაჲ ბ/მდინარენი

მოვედით დღეს ყოველნი ტომნი და ენანი და კურთხეულსა ძელსა თაყუანის-ვსცეთ, რომლისა მიერ იქმნა საუკუნოჲ სიმართლე, რამეთუ რომელმან-იგი აცთუნა პირველი მამაჲ ადამი ძელისა მიერ, ძელითა ჯუარისაჲთა მოინადირა და დაეცა დაცემითა განსაკრთომელითა, რომელმან მძლავრებით დაიპყრა მეუფებაჲ დიდებულთაჲ, რამეთუ სისხლითა მით საღმრთოჲთა გესლი გუელისაჲ განიბანა და მშჯავრისა სიმართლისა წყევაჲ

დაჰკნა უმშჯაეროჲთა მით დაშჯითა მართლისაჲთა, რამეთუ ძელითა ღირდა ძელისა ცთომაჲ კურნებად და ვნებითა მით უვნებელისაჲთა ძელსა ზედა დაშჯილისა მის ვნებათა დაკსნაჲ, არამედ, ჱ, ქრისტე ღმერთო, დიდებაჲ და მადლობაჲ შენსა სიბრძნით ცხორებისა ჩუენისათჳს განგებასა, რომლისა მიერ აცხოვნე ყოველი სოფელი, ვითარცა მხოლოჲ სახიერ ხარ და კაცთ-მოყუარე, დიდებაჲ შენდა.

მისივე ოდოვე

მოვედით, მორწმუნენო, ცხოველს-მყოფელსა ძელსა ჯუარისასა თაყუანის-ვსცემდეთ, რომელსა ზედა ქრისტემან, მეუფემან დიდებისამან, ნეფსით თჳსით ჴელნი თჳსნი განიპყრნა და აღგუამაღლნა პირველსა ნეტარებასა, რომელნი გემოჲთა გუაცთუნა მტერმან, მიგუპარა იგი და ღმრთისაგან განგუაშორა ჩუენ, მოვედით ყოველნი ტომნი თესლებისანი და ჯუარსა ქრისტესსა გალობით შევასხმიდეთ: გიხაროდენ, ჯუარო ცხოველო, დაცემულისა ადამის აღდგომაო, გიხაროდენ, ჯუარო ცხოველს-მყოფელო და ყოვლისა სოფლისა მაცხოვარო, ყოველნი შიშით ამბორს-გიყოფთ ქრისტეანეთა ერნი და შენ ზედა დამშჭუალულსა ღმერთსა ვადიდებთ და ესრეთ უღაღადებთ: ქრისტე ღმერთო სახიერ, რომელი ნეფსით ცხორებისა ჩუენისათჳს ჯუარს-ეცუ მას ზედა, მოწყალე გუექმენ ჩუენ, ვითარცა კაცთ-მოყუარე ხარ და მოგუეც შენდობაჲ ცოდვათაჲ და აცხოვნენ სულნი ჩუენნი.

ანატოლე/ოდოვე

ვითარცა უღელსა ჭეშმარიტებისასა, შორის ორთა ავაზაკთა, აჴდა ქრისტე, ურწმუნოჲსაჲ დამძიმდა, ხოლო მორწმუნისაჲ აღსუბუქნა, რამეთუ მორწმუნე ურწმუნოსა მას აღჳრ-ასხმიდა, პირსა დაუყოფდა და ეტყოდა: ჩუენ რაჲ-იგი ვქმენით, ჯეროვნად მოგუეგო, ხოლო ამან მართალმან არარაჲ ქმნა უკეროჲ, არამედ ცოდვანი ჩუენნი სახიერებით ჯუარსა შემშჭუალნა და ესრეთ ღაღადებდა: მომიჴსენე მე, უფალო, ოდეს მოხჳდე სუფევითა შენითა, იხილე ავაზაკი და ავაზაკი, ორნივე ავაზაკობით ცხოვნდებოდეს სოფელსა შინა, ორნივე ჯუარსა ზედა ეკიდნეს, გარნა არა ორნივე ღირს იქმნნეს სამოთხესა, რამეთუ ერთი იგი ჰგმობს და დაისაჯების, ხოლო მეორე სარწმუნოებით ღმრთის-

მეტყუელებს და ცხოვნდების მისსა მას სინანულსა. ღირს-მყვენ პირველ სიკუდილისა, ღმერთო, რომელი ჯუარს-ეცუ ჩუენთჳს და აცხოვნენ სულნი ჩუენნი.

ეგრეთვე

მოწაფისა თანა ქალწულისა ქალწული ღმრთის-მშობელი მდგომარე წინაშე ჯუარსა გხედვიდა რაჲ ჯუარცუმულსა, გოდებით და ცრემლით გეტყოდა: უვნებელი იშევ ჩემგან, სახიერო, და ვითარ-ესე აწ გევნების, ჱ, მჴსნელო, დიდებაჲ გამოუთქუმელთა წყალობათა შენთა უფსკრულსა, მეუფეო, ზეცით ქუეყანად მოსრულო, რომლითა შეგუაერთე ჩუენ და ცათა უმაღლეს გამოგუაჩინენ და საღმრთოსა პატივსა ღირს-მყვენ, ძეო და ღმერთო ჩემო. ამითსჳს ჩუენცა, კრებული მორწმუნეთაჲ, ვხედავთ პატიოსანსა ჯუარსა შენსა დღეს აღმაღლებულად და ვადიდებთ გარდარეულსა უფსკრულსა წყალობისა შენისასა და სიმდიდრესა ქველის-მოქმედებათა შენთასა, მეუფეო, და ვღაღადებთ და ვიტყჳთ: ღმერთო, რომელი აღმაღლდი მას ზედა, შეგჳწყალენ ჩუენ, ვითარცა სახიერ ხარ და კაცთ-მოყუარე და მოგუმადლე შენდობაჲ ცოდვათა ჩუენთაჲ ოხითა დედისა შენისაჲთა.

კჳპრიანე/სხუაჲ/თავსა მას მოციქულთასა

მამათ-მთავარმან იაკობ კურთხევასა მას შვილთასა შეცვალებულად დასხმითა ჴელთაჲთა წინაჲსწარ მოასწავა სახე ძლიერისა ჯუარისა შენისაჲ, ქრისტე ღმერთო, მეუფეო ყოვლადძლიერო, რომელი გჳპყრიეს ჩუენ საცოდ და სიმტკიცედ უძლეველად და ძალსა ეშმაკთასა მის მიერ ძლიერებით ვსდევნით და ვიოტებთ, მჴსნელო, და ბელიარის სიმაღლესა დავამჴობთ და საძულველისა მის ამალეკისა გუნდთა შევჰმუსრავთ, ბოროტთა მათ და მზაკუვართა სულთა. რომელსაცა დღეს სარწმუნოებით აღვამაღლებთ კეთილად მსახურნი მორწმუნენი მოსატევებელად და სალხინებელად ცოდვათა ჩუენთა, შენსა სახიერებასა შევსწირავთ, უფალო, და ერთბამად ჴმობითა გიღაღადებთ ლმობიერებით: რომელი ქალწულისაგან განჰჴორციელდი, შეგჳწყალენ ჩუენ და სახიერ გუექმენ, ქრისტე, სიბრძნით შექმნულსა ჴელთა შენთასა და აცხოვნენ სულნი ჩუენნი, კაცთ-მოყუარე.

კჳპრიანე/სხუაჲ/პირველითგან იყო

საღმრთომან საუნჯემან, დამალულმან ქუეყანასა შინა, ცხოველის-მყოფელისა ჯუარისა უძლეველმან ძალმან ცათა შინა უჩუენა ღმრთის-მსახურსა მეფესა ძლევაჲ მტერთაჲ და სახე თჳსი საცნაურად აუწყა, ვინაჲცა განათლებული ღმრთისა მიერ სიხარულით და ძრწოლით აღმაღლდა სარწმუნოებითა ხილვისა მისისა სიმაღლედ და წიაღთა ქუეყანისათა მყის აღმოაბრწყინვა ცხორებად ყოვლისა სოფლისა და განმანათლებელად სულთა ჩუენთა.

პირველი/სხუაჲ/რომელი იშვა მამისაგან

ჯუარსა საღმრთოსა თაყუანის-ვსცემდეთ შიშით, საუნჯესა წარუპარველსა და მრავალსასყიდლისა მარგალიტსა წმიდასა, რომელმან მომიყიდნა წყევისაგან შჯულისა საღმრთოჲთა მით სისხლითა ქრისტეს მეუფისაჲთა, რომელი მოგუანიჭებს წყალობასა.

საეროჲ/სხუაჲ ბ/თქუენ, წინაჲსწარმეტყუელნო

ჯუარი შენი, უფალო, საძლეველად მოგუანიჭე ჩუენ, ცოდვილთა მტერთა მიმართ ჩუენთა უხილავთა, რაჲთა უშიშად ვმოქალაქობდეთ, რომლითა-იგი გჯპყრიეს, რამეთუ მცველი არს იგი და მფარველი სულთა ჩუენთაჲ, კაცთ-მოყუარე უფალო, დიდებაჲ შენდა.

ლეონ/სხუაჲ/შენ, ყოვლადწმიდაო ქალწულო

შენ ხარ სიმტკიცე და მფარველი ჩუენი, სამნაწილო ჯუარო ქრისტესო, წმიდა-მყავ ძალითა შენითა, რაჲთა სარწმუნოებით და შიშით გადიდებდე.

სხუაჲ/დღეს ქრისტე იშვების

დღეს ჯუარი უბიწოჲ ცხოველს-მყოფელი აღმაღლდების დიდებული, დღეს დაბადებულნი განსცხრებიან ქრისტეს ღმრთისა მადლითა, ძალნი ცათანი აქებენ სიხარულით და უხარის კაცთა ცხორებისათჳს, სულნი ბოროტნი იოტებიან, სიტყუაჲ ცხორებისაჲ იქადაგების და ჩუენ მადლობით ვღაღადებთ და ვიტყჳთ: დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ და კაცთა შორის სათნოებაჲ.

სხუაჲ გ/შივჰბაძიდეთ

ქრისტე ღმერთო ჩუენო, რომელმან ნეფსით თჳსით ჯუარსცუმაჲ დაითმინე ცხორებად ნათესავისა კაცთაჲსა და სისხლთა

შენთა მეწამულითა ყოვლადწმიდითა კალმითა ჯუარისაჲთა მონებისაგან განთავისუფლებაჲ დაგვწერე, ვითარცა რაჲ მეუფემან კაცთ-მოყუარებით და აწ ნუ უგულებელს-გუყოფ დანთქმულთა და წარწყმედად მიწევნულთა, არამედ შეგვწყალენ ჩუენ, მხოლოო სულგრძელო, და იჯსენ ერი შენი შეიწრებული ურვათაგან და აღდეგ ბრძოლად მბრძოლთა მათ ჩუენთა ბოროტთა, ძლიერებით შემუსრენ და დაამჯუენ, ყოვლადძლიერო და გუაცხოვნენ ჩუენ.

ანატოლე/სხუაჲ დ/ცხოველსა მას

პატიოსნისა ჯუარისა ძლიერებაჲ, ქრისტე ღმერთო, წინაჲსწარ მოასწავა მოსე, რაჟამს ამალეკი განჰყრობითა ჴელთაჲთა უდაბნოს დასცა, რამეთუ რაჟამს-იგი მან ჯუარის სახედ ჴელნი განიპყრნა, განძლიერდის ისრაელი, ხოლო აწ ჭეშმარიტებაჲ სახეთაჲ საქმით მოიწია ჩუენ ზედა, რამეთუ ჯუარი აღმაღლდების და ყოველი გუნდი ეშმაკთაჲ დაეცემის, დღეს ხრწნილებისგან იჯსნების სოფელი, რამეთუ ჯუარისა მიერ მოგუეცნეს ჩუენ კეთილნი და მადლნი და ნიჭნი სულიერნი და საღმრთონი, ამისთჳს თაყუანის-ვსცემთ და ძრწოლით გიღაღადებთ და ვიტყჳთ: საკჳრველთ-მოქმედო უფალო, დიდებაჲ შენდა.

ანატოლე/სხუაჲ/დიდების-მეტყუელე

ნათელმან ბრწყინვალეთა ვარსკულავთამან და სახემან ნიშისა შენისამან აუწყა ღმრთის-მსახურსა მეფესა ძლიერებაჲ შენი უძლეველი, ჯუარო, სამგზის სანატრელო, ვინაჲ დედამან მისმან ჰელენე გპოა შენ და ყოვლითა სოფლისა სიმდიდრედ აღგმართა და შენ დღეს აღგაღმაღლებთ მორწმუნენი და ვიტყჳთ: განგუანათლენ ბრწყინვალებითა შენითა, ჯუარო ცხოველსმყოფელო, წმიდა-მყვენ შენ ძლიერებითა შენითა, პატიოსანო ჯუარო, აღმაღლებულო, ძლევად და შემუსრვად ძალსა მტერისასა.

ანდრია/სხუაჲ/იხარებდ იერუსალემ და

შემოვკრბეთ და განვაწესოთ დღეს გალობითა დღესასწაული ესე და ბრწყინვალითა პირითა და გონებითა ჴმამაღლად ვღაღადებდეთ და ვიტყოდით: რომელიცა ჩუენთჳს განკითხვად

წარსდეგ ნეფსით და დაშჯაჲ თავს-იდევ, ყურიმილის-ცემაჲ და ნერწყუვაჲ, გუემაჲ და ძოწეული, კიცხევაჲ და გჳრგჳნი ეკლისაჲ, ხოლო ჯუარსა ზედა რაჲ გიხილა, მზემან ბნელი შთაიცუა და დღე ღამედ გარდაიქცა და ქუეყანაჲ შეძრწუნდა, საფლავთაგან მკუდარნი აღდგეს და ტაძრისა კრეტსაბმელი განაპო ორად, შენ აწცა, უფალო, მომეც ჩუენ ჯუარი შენი ზღუდედ და მფარველად ჩუენდა და მაოტებელად ეშმაკთა ბოროტთა, რაჲთა თაყუანის-ვსცემდეთ და ვჰმობდეთ მისსა მიმართ და ვიტყოდით: გუაცხოვნენ ძალითა შენითა, ჯუარო დიდებულო, და წმიდა-გუყვენ ნათლითა მით შენითა დღეს აღმაღლებასა შენსა, რამეთუ შენ ხარ ნათელი და მაცხოვარი სულთა ჩუენთაჲ.

სხუაჲ ა გუერდი/მადლიერნი დღეს

მოვედით, ერნო, და საშინელი პატიოსნისა ჯუარისა ძლიერებაჲ ვიხილოთ შიშით და თაყუანის-ვსცეთ, რამეთუ ხემან სამოთხესა პირველ სიკუდილი მოგუატყუა, ხოლო ამან ცხორებაჲ საღმრთოჲ აღაყუავილა. ქრისტე, ჯორცითა დამშჭუალული, რომელმანცა უხრწნელ-მყვნა და ვიტყჳთ: უფალო, გუაცხოვნენ ჩუენ.

სხუაჲ/გიხაროდენთაჲ

ჯმაჲ წინაჲსწარმეტყუელთა შენთაჲ, დავითისი და ესაიაჲსი აღესრულა, უფალო, ვითარმედ მოვიდენ ყოველნი წარმართნი და თაყუანის-გცენ წინაშე შენსა, აჰა ესერა, სიმრავლენი ერთა მორწმუნეთანი აღავსებენ ეზოთა შენთა, იერუსალიმ, მადლისა მიერ საღმრთოჲსა შემოკრებულნი თაყუანის-ცემად ჯუარისა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა, რამეთუ სათნო-იყო ჯუარს-ცუმაჲ ჩუენთჳს და აღდგომითა გჳჴსნნა და სიკუდილი მოკლა და შეგუჭურნა ჯუარითა და მოგუცა დღეს დიდი წყალობაჲ.

გერმანოს/სხუაჲ ბ გუერდი/დღეს მჯდომარემან

დღეს წმიდა იქმნებიან ოთხნი კიდენი ქუეყანისანი საუფლოჲსა ჯუარისა შენისა, ქრისტე ღმერთო, ოთხკერძო აღმაღლებითა და რქაჲ მორწმუნისა მეფისაჲ აღმაღლდების მის მიერ და შეიმუსრვიან რქანი უშჯულოთანი და ყოველთა წინა-აღმდგომთა ზახებაჲ დაემჴობის და ანგელოზნი კაცთა თანა იხარებენ, დიდ ხარ და საკჳრველ, უფალო, ყოველთა შინა საქმეთა შენთა, დიდებაჲ შენდა.

გერმანოს/სხუაჲ/ესე არს დღე უფლისაჲ

დღეს ძელი გამობრწყინდა, დღეს კრებული ჰურიათაჲ ერთბამად წარწყმდეს და დაეცნეს, დღეს მორწმუნეთა მეფეთა მიერ სარწმუნოებაჲ გამობრწყინდა, პირველ ადამ ხისა მიერ დაეცა, ხოლო ძელისა მიერ აღემართა ჯუარისა საღმრთოჲსა, რომლისაგან ძრწიან ძალნი ბოროტთა ეშმაკთანი, ყოვლადძლიერო ღმერთო, საკვრველთ-მოქმედო, დიდებაჲ შენდა.

თეოფანე/სხუაჲ/დაღაცათუ ღმრთისა მიერ

დღეს ნერგი უკუდავებისაჲ ქუეყანისა სიღრმით აღემართა და მისა დამშჭუალულისა ქრისტეს მჴსნელისა სარწმუნო-ჰყოფს აღდგომასა და ჴელითა მღდელთაჲთა აღმაღლებული ქრისტეს ზეცად აღმაღლებასა გჳქადაგებს, რომლისა მიერ ბუნებაჲ ჩუენი, დაცემული და დანთქმული სიღრმესა, ზეცას მოქალაქობს, ამისთჳს მადლობით ჴმა-ვყოთ ქრისტეს ღმრთისა მიმართ, უფალო, რომელი აღჰმაღლდი ჯუარსა ზედა და მის მიერ აღმამაღლენ ჩუენ, ღირს-მყვენ ზეცისა შუებისა პოვნად მგალობელნი და მოსავნი ღმრთეებისა შენისანი.

ლეონტი/სხუაჲ/დაიძინა საფლავით

ჯუარო ქრისტესო, მორწმუნეთა სასოო და შეცთომილთა წინამძღუარო, ბრძოლათა შემმუსრველო, ღელვა-გუემულთა ნავთ-საყუდელო, სოფლისა სიმტკიცეო, სნეულთა მკურნალო და მკუდართა აღდგომაო, სამოთხისა კარო, ცოდვათა შენდობაო, შეგჳწყალენ და გუაცხოვნენ ჩუენ.

ლეონტი/სხუაჲ/კაცთათჳს კაც იქმნა.

დღეს შემოვალს ჯუარი ქრისტესი და მორწმუნენი შეიტკბობენ სურვილით და მოისთულებენ მისგან კურნებასა სულთა და ჴორცთა მათთასა და ყოველთა ვნებათა ზეშთა ექმნებიან, შიშით და სიხარულით ამბორს-უყოთ, შიშით ბრალთათჳს, ვითარცა უღირსთა, ხოლო სიხარულით ცხორებისათჳს, რომელსა მოსცემს ყოველთა დაბადებულთა მას ზედა დამშჭუალული ქრისტე, რომელსა აქუს მშჯდობაჲ და დიდი წყალობაჲ.

სხუაჲ/ანგელოზთა დღეს

ძელი ცხოველი პატიოსნისა ჯუარისაჲ, რომლითა ივნო ცხორებისათჳს კაცთაჲსა ქრისტემან ღმერთმან ჴორცითა, დღეს

აღმაღლების დიდებით და წმიდა-ჰყოფს კიდეთა სოფლისათა, რომელსა სარწმუნოებით ჩუენ ამბორს-უყოფთ მას და ვღაღადებთ: დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა.

სხუანი/დაიძინა საფლავით

ნათელსა მას შინა საღმრთოსა მყოფ ხარ, პატიოსანო ჯუარო ქრისტესო, განანათლენ, წმიდა-ყვენ, რომელნი აღმაღლებასა შენსა შიშით თაყუანის-სცემენ და მჯურვალედ სარწმუნოებით ადიდებენ, მართლმადიდებელთა სარწმუნოებისა სიქადულო და საძლეველო.

ვითარცა-იგი ღმრთის-მსახურსა და მართლმადიდებელსა მეფესა პირველ ძლევაჲ მტერთაჲ მიჰმადლე, ელვის სახედ რაჲ გამოუჩნდი. ჯუარო ყოვლადქებულო, საჭურველო ძლიერო და უძლეველო, ჩუენცა განმაძლიერენ აღმაღლებასა შენსა სამწყსონი შენნი და წმიდა-მყვენ.

ჯუარო, ხარისხო სიმტკიცისაო, გოდოლო და საღმრთოო სიქადულო, მორწმუნეთა მეფეთა ძალო, წინამძღუარო და შემწეო, ერი შენი შეზღუდე და ყოველთა მანქანებათა მტერისათა მძლედ გამოაჩინენ, რაჲთა მარადის გადიდებდენ შენ.

გიხაროდენ, ჯუარო წმიდაო, კუერთხო მეფეთაო და მღდელთა გჳრგჳნო, მოწამეთა სიმჴნეო, გიხაროდენ, მამათა ძალო, გიხაროდენ, ეშმაკთა დამამჴობელო ჯუარო, ყოვლადდიდებულო, ერისა უფლისაჲსა განმანათლებელო და სასწაულო მიუახლებელო.

კრავი ღმრთისაჲ რაჟამს იხილა ჯუარსა დამოკიდებული ღმრთისა დედამან და მზე დაბნელებულად, ტირილით იტყოდა მისა მიმართ: აღივსო, ძეო ჩემო, სიკუდილისა მიერ, ვითარცა მზე ქუესკნელად და განჴსნად დაშჯილთა მათ და ნათელი აღდგომისაჲ აღმოუბრწყინვე ყოველსა სოფელსა.

სხუაჲ გ გუერდი/რაჟამს-იგი აღემატა

განჰკრთა ყოველი დაბადებული, გიხილეს რაჲ შემოქმედი მათი ძელსა ზედა ჯუარისასა დამშჭუალული შორის ავაზაკთა, და დედაჲ ქალწული მოწაფითურთ სიყუარულით წინაშე ჯუარსა გოდებდა მწარედ, სულთქუმით, გხედვიდა რაჲ, ვითარ-იგი ძმარი და ნავღელი გასუეს და რაჟამს სული შეჰვედრე მამასა,

გუერდისა წყლულებასა შესაძრწუნებელსა, მდინარეთა სისხლისათა ცხოველს-მყოფელთა გარდამომავალთა და ავაზაკისა მორწმუნისა ძედ ღმრთისა ცნობასა, რომლისა თანა, სულგრძელო, სასუფეველსა შენსა ღირს-მყვენ ოხითა უბიწოჲსა მშობლისა შენისაჲთა, უფალო, დიდებაჲ შენდა.

სხუანი/მჯდომარენი

განწყობილი სიმრავლე ანგელოზთაჲ დღეს ძლევისა გალობასა დიდების-მეტყუელებენ ნათლით-შემოსილისა და ცხოველს-მყოფელისა მის დიდებულისა ჯუარისა შენისა დღესასწაულსა, ქრისტე ღმერთო, და სიხარულით თაყუანის-სცემს კრებული მორწმუნეთაჲ ღმრთივ-ბრწყინვალესა ნიშსა და ხილვასა მისსა განათლებულსა და ზეცისა ძალთა თანა ღაღადებენ და ესრეთ იტყჳან: დაუცხრომელად ყოვლად ძლიერსა ჯუარსა ქრისტესსა დიდებაჲ და მადლობაჲ.

ჯუარსა დამოკიდებულსა, ვითარცა კაცსა, დედობრივ ქალწული ცრემლითა მჯურვალითა ხედვიდა რაჲ, ეტყოდა: ვერ თავს-ვიდებ მე უმშჯავროდ მოკლვასა შენსა, რამეთუ მოსწყლავს სულსა ჩემსა ჯუარს-ცუმაჲ შენი და ლახურითა მოწყლული გუერდი, მომეც საღმრთოჲ სიტყუაჲ შენი, ძეო და ღმერთო ჩემო, ჱ, მე ვარ, აღივსე, ვითარცა მზე, მზეო სიმართლისაო, შობისა სალმობათა ზეშთა ვექმენ შობასა შენსა და აწ მწარედ მელმის მე. არამედ აღდეგ, ღმერთო ჩემო, და მადიდე მე.

თეოფანე/სხუანი დ გუერდი/პირველ დაწყებასა

რომელმანმე გონებამან შეუძლოს ღირსად გალობად შენდა, წმიდაო ჯუარო, ზეცისა კაცისა პავლეს სიქადულო და ქრისტეს ეკლესიათა სიმტკიცეო, რამეთუ ქუეყანასა ზედა რაჲ დაენერგე, დიდებულო, ზეცათა მისწუთა რქაჲ შენი და ფრთენი შენნი განჰმარტენ კიდით-კიდედმდე სოფლისა, წმიდა-ჰყოფ ქუეყანასა და ყოველთავე ზეცისათა და ქუეყანისათა, მხიარულ არიან შენ ზედა მჴედრობანი ანგელოზთანი და იხარებენ შენთჳს ნათესავნი კაცთანი და ხენი მაღნარისანი ჩუენ თანა განსცხრებიან და სიხარულით იტყჳან: მზისა უბრწყინვალეს ხარ, უჴორცოთა დიდება და სიკუდილისა დამჴსნელ, შენ ხარ

აღდგომაჲ კაცთაჲ, შენ სარწმუნოებით ამბორს-გიყოფთ და შენ ზედა დამშჭუალულსა ქრისტესა ვადიდებთ.

იოვანე/მასუე ზედა

რომელმან მიიღე ბუნებაჲ კაცობრივი, ქრისტე ღმერთო, თანა-ნადებნი ჩუენნი ნეფსით ჯერ-ჩინებითა გარდაიჯადენ და დაჰჯსენ სიმტკიცე სიკუდილისაჲ და მოეც ყოველთა მოსავთა შენთა შენდობაჲ და მადლი შვილებისაჲ, ხოლო აღჰმაღლდი რაჲ წყალობით ჯუარსა ზედა, ყოველნი დაბადებულნი შეძრწუნდეს, რამეთუ ვერ იტჳრთეს უმშჯავროჲ იგი მოკლვაჲ შენი, მზე ბნელად გარდაიქცა, რამეთუ ვერ თავს-იდვა ხილვად შიშლოებაჲ დამბადებელისაჲ, ხოლო მშობელი შენი, შეპყრობილი ტკივილითა, მდგომარე წინაშე ჯუარსა, გოდებით იტყოდა შენდა მომართ, მეუფეო, რომელმან ჯუარს-ცუმაჲ თავს-იდევ, რაჲთა იჳსნა სოფელი ვნებათა მძლავრებისაგან, მოწყალე ექმენ, სახიერ, შიშით და ძრწოლით თაყუანის-მცემელთა პატიოსნისა ჯუარისა შენისათა, კაცთ-მოყუარე.

ანატოლე/ეგრევე

ჴმაჲ წინაჲსწარმეტყუელისა მოსესი აღესრულა დღეს, რომელსა ღაღადებდა, ვითარმედ: ჰხედვიდეთ ცხორებასა თქუენსა, დღეს ჯუარი აღმაღლდების და სოფელი განათლდების, დღეს დიდებული ქრისტეს აღდგომაჲ განახლდების და კიდენი სოფლისანი იხარებენ და მსგავსად დავითისა ქნარითა მით სულიერითა გალობით ღაღადებენ და იტყჳან: ჰქმენ, ღმერთო, ცხორებაჲ შორის ქუეყანისა, ჯუარი და აღდგომაჲ განმაცხოველებელნი, რომელთა მიერ შეჰმუსრენ ძლიერებით თავნი უხილავთა ვეშაპთანი, რომელთა მიერ გჳჯსნენ მძლავრებისაგან სიკუდილისა და ჯოჯოხეთისა, სახიერო და ტკბილო, კაცთ-მოყუარეო და მოწყალეო, ყოვლადძლიერო ქრისტე ღმერთო, დიდებაჲ შენდა.

სხუაჲ/იხარებდ, ქალაქო ღირსო

ძელად იხილვების ბუნებითა ჯუარი შენი, ქრისტე, ხოლო ძალითა შენითა საჭურველად უძლეველად კაცთა გამოჩნდა, რომლისა მიერ ეშმაკთა გუნდნი შეიმუსრნეს, რომლითა სოფელი განანათლე და ეკლესიაჲ შეამკვე, ვინაჲცა სიხარულით ვღაღადებთ: დიდებაჲ შენდა, მრავალმოწყალე.

წარდგომაჲ კმაჲ ბ

რაჟამს აღემართა ძელი ჯუარისა შენისაჲ, უფალო, მეყსეულად შეიძრნეს საფუძველნი სიკუდილისანი, რამეთუ რომელი შთანთქა სწრაფით ჯოჯოხეთმან, განუტევა იგი ძრწოლით, რომელმან გჳჩუენე ჩუენ მაცხოვარებაჲ შენი, წმიდაო, და გიღაღადებთ: ძეო ღმრთისაო, დიდებაჲ შენდა.

სხუაჲ დ

რომელი აღმაღლდი ნეფსით ჯუარსა ზედა, ერსა შენსა ზედა, რომელსა ზედა წოდებულ არს სახელი შენი, წყალობაჲ შენი მოანიჭე, ქრისტე ღმერთო, ახარე ძალითა შენითა მორწმუნეთა მეფეთა ჩუენთა და ძლევაჲ მოანიჭე წინა-აღმდგომთა მიმართ, რომელთა უპყრიეს ჯუარი შენი საჭურველად მშჯდობისა და ძალად უძლეველად, უფალო, დიდებაჲ შენდა.

სხუაჲ ბ გუერდი

დღეს საწინაჲსწარმეტყუელოჲ იგი სიტყუაჲ აღესრულა, რამეთუ, აჰა ესერა, თაყუანის-ვსცემთ ადგილსა, სადა დადგეს ფერჴნი შენნი, უფალო, და ძელი ცხორებისაჲ გჳპყრიეს და ვნებათაგან ცოდვისათა განთავისუფლებულ ვართ მეოხებითა წმიდისა ღმრთის-მშობელისაჲთა, უფალო, დიდებაჲ შენდა.

სხუაჲ გ გუერდი

ცეცხლისა უბრწყინვალეს ჰყავ, ალისა უძლიერეს ჰყავ ძელი ჯუარისა შენისაჲ, უფალო, შემწუველად ცოდვათა და განმანათლებელად სულთა, რომელნი ღაღადებენ: უფალო, დიდებაჲ შენდა.

სხუაჲ გ გუერდი-ვე

ეკლესიაჲ შენი, ქრისტე ღმერთო, თაყუანის-გცემს საროსა, ფიჭუსა და ნაძუსა ზედა აღმაღლებულსა უფალსა და ესრეთ გიღაღადებს: ძლევაჲ მეფესა ჩუენსა ჯუარითა შენითა მოანიჭე და აცხოვნე ერი შენი, ვითარცა მხოლოჲ სახიერ ხარ.

კოზმან/უგალობდითსა დ გუერდი/სტავრონ ხარაჭსას/სილრმე

ჯუარი ქადაგა მოსე კუერთხისა ცემითა, რაჟამს განაპო მეწამული განსავალად ისრაელთა, ხოლო შერწყუმასა მისსა ფარაოჲს ეტლთა ზედა გამოისახვოდა ძლიერი საჭურველი. ამისთჳსცა ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა უგალობთ დაუცხრომელად, რამეთუ დიდებულ არს.

სახე ვნებათა შენთაჲ პირველ თავით თჳსით, ქრისტე, გამოსახა მოსე, რაჟამს-იგი მღდელთა შორის ჴელნი თჳსნი განიპყრნა ღუაწლსა მას ჯუარის სახედ და სძლო ამალეკსა და დათრგუნა იგი. ამისთჳსცა ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა უგალობთ დაუცხრომელად, რამეთუ დიდებულ არს.

საკურნებელად მოსე განწირულთა მათთჳს აღამაღლა ძელსა ზედა სასოებაჲ კბენილთაჲ მათ, რაჟამს სახე ჯუარისაჲ მოსპოლვით გუელსა მას მომსრველსა უწყალოდ გუელი იგი რვალისაჲ ჯუარს-ცუმით ძელსა ზედა, ამისთჳსცა უგალობთ ქრისტესა, ღმერთსა ჩუენსა, რამეთუ დიდებულ არს.

ცათა გამოუცხადეს ძლევაჲ ჯუარითა მეფესა, მინდობილსა ღმრთისა, და მით სძლო მან აღჭურვილსა სიმრავლესა მტერთასა და განჯადა საცთური და კერპნი დაამჯუნა, და შჯული საღმრთოჲ დადვა და ასწავა წარმართთა ღაღადებად: უგალობდეთ ქრისტესა ღმერთსა, რომელიცა დიდებულ არს.

ღირსად და ჭეშმარიტად შენ მხოლოჲ ქებულ ხარ ყოველთა ნათესავთაგან, ვითარცა სთქუ, ღმრთის-მშობელო, რამეთუ შენ მხოლომან გჳშვე ღმერთი ჴორცითა და ქალწულად ეგე, ამისთჳსცა გიგალობთ შენ, ზეცისა ძალთა თანა ძესა შენსა ეევდრე დაუცხრომელად ჩუენ, მოსავთა შენთათჳს.

განძლიერდასა

ძლიერებითა შენითა დაამტკიცე გული ჩემი, რაჲთა გიგალობდე შენ მაცხოვარსა: არაჲვინ არს წმიდაჲ შენებრ, კაცთმოყუარე, რამეთუ შენ ხარ ძალი ჩემი, სიმტკიცე და სიქადული.

საწამებელად ჯუარისა ოდესმე კუერთხი გამოჩნდა, რაჟამს ნაყოფმან მისმან აღაყუავილნა პატივი მღდელისა და ეკლესიისაჲ და ბერწყოფილმან გამოიღო სიმტკიცე და სიქადული.

სიმტკიცე კლდისაჲ კუერთხისა მის შეხებითა განიღო და აღმოუცენა წყალი ერსა ურჩსა და მოასწავა სახე ეკლესიისაჲ, ძელისა მიერ განახლების და მტკიცედ განძლიერდების.

გუერდი უბიწოჲ, რომელი ლახურისა მიერ განეღო და მისგან გარდამოეცა სისხლი და წყალი, რაჲთა განაახლოს შჯული იგი

უნდოდა და ჩუენ, მორწმუნენი, განგუწმიდნეს ჯუარითა პატიოსნითა.

ტაკუკი იგი ოქროჲსაჲ სახე გექმნა, ღმრთის-მშობელო, რომელი საუჯნე ექმნა მანანასა, ხოლო შენ იტჳრთე ყოველთა მეუფე მიუწდომელად მისა მიმართ, მეოხ-გუეყავ სულთა ჩუენთათჳს.

მესმასა/მესმა, უფალო, განგებაჲ

წყარონი იგი მწარენი უდაბნოს მოსე მოაქცინა ძელითა და მით მოასწავა წარმართთა ჯუარითა მოქცევაჲ სარწმუნოებად.

იორდანისა სიღრმეთა, რაჟამს შეიწყნარეს განმკუეთელი იგი კუალად-გებითა ძელისაჲთა, გუესწავა ჯუარითა აღმოყვანებაჲ.

კარავსა საწამებელსა ოთხ კერძო მიდგომილი იგი კრებული სამღდელოჲსა მისგან ერისა ნიშსა ჯუარისასა გამოსახვიდეს.

ნათელი მზისაჲ დაფარა საკჳრველად განრთხმულმან ნიშმან ჯუარისამან და ცათა უთხრეს ჭეშმარიტად: დიდებაჲ და ქებაჲ ღმრთისა ჩუენისაჲ.

ღმერთი, რომელი გჳშვა/ღამითგანსა/ღამისაგან წყუდიადისა.

სამგზის სანატრელო ძელო, რომელსა ზედა ჯუარს-ეცუა მეუფე ღმერთი შენი, დასცა პირველისა ძელისა საცთური, ჯორცითა დამშჭუალულმან სიკუდილი დაითმინა ჩუენთჳს, რომელმან მოსცა სულთა ჩუენთა დიდი წყალობაჲ.

ეჰა, ძელო დიდებულო, მისგან, რომელი შენ ზედა დამოეკიდა ქრისტე, ზარგანჯდილ იქმნა მახჳლი იქცევისი, დამცველი იგი ედემისაჲ წინაშე ავაზაკისა მის და ქერობინი მოტყინარე შეიწყნარებდა.

ქუესკნელთა ძალნი შეძრწუნდეს ნიშისაგან ჯუარისა, ჰაერთა შინა წერილისა, და მფრინვალენი მათ შინა იხარებდეს და ტომნი ზეცისანი და ქუეყანისა აქებდეს ჯუარცუმულსა ჩუენთჳს, რომელსა აქუს დიდი წყალობაჲ.

გამოჩნდა ჯუარი ბრწყინვალედ განმანათლებელად ჩუენ, ბნელსა შინა მსხდომარეთა, და რომელნი საცთურსა შინა ვიყვენით, მის მიერ განვნათლდით და ღმრთად აღვიარებთ მას ზედა ჯუარცმულსა ჩუენთჳს, რომელ აქუს დიდი წყალობაჲ.

მამისაგან გამოსრული სიტყუაჲ დაუტევნელი დაიტიე, უბიწოო, და უზეშთაეს ბუნებათა გჳშევ ჩუენ ღმერთი ჯორციელქმნული, განმანათლებელი სოფლისაჲ. ამისთჳსცა ჩუენ ღმრთისმშობლად აღგიარებთ შენ.

მამისაგან/ღაღატყავსა

ზღჳსა მჴეცისა მუცელსა იყო რაჲ, იონა ჯუარის სახედ ჴელნი განიპყრნა, მოასწავა ვნებაჲ მჴსნელისაჲ და სამ დღე დაფლვაჲ და გამოაჩინა უზეშთაესი ბუნებისა აღდგომაჲ წარმოგდებითა მით ვნებულისა მის ჯორცითა ქრისტეს ღმრთისაჲ, რომელმანცა აღდგომითა იჴსნნა დაბადებულნი.

იაკობ მოხუცებული უძლური და დაჴსნილი სალმობითაგან განძლიერდა, რაჟამს დაიჯუარედნა ჴელნი თჳსნი ჯუარედად და მოასწავა მან ძელი ჯუარისაჲ ცხორების-მომცემელი, რამეთუ მას ზედა დამშჭუალულმან ძუელი შჯული განაახლა და სენი საცთურისაჲ ჯუარითა განაქარვა.

დიდებულმან ისრაელმან დაასხნა განჭაბუკებულმან ჴელნი თჳსნი ჯუარის სახედ თავსა ზედა ყრმათასა და გასაგონებელად, ხოლო მან არაჲვე დაარღჳა სახე ჯუარისა ცხოველისაჲ და მოასწავებდა ერისა მცირისა უზეშთაეს ყოფად ერსა შჯულისა მსახურსა და უარისმყოფელსა.

ძუელი და ახალი შჯული სამართლად აღგიარებს შენ დედად ღმრთისა ჩუენისა, რამეთუ ესაია ჭეშმარიტად გქადაგა ქალწულად მიდგომილად და მშობელად ემმანოილისა ღმრთისა მთავრისა მშჳდობისა, ხოლო აქა დღეს მორწმუნენი იტყჳან: მშობელო მაცხოვრისაო, ჩუენთჳსცა მეოხ გუეყავ.

ზღჳსა მჴეცისა/კურთხეულარსა

ბრძანებამან მზაკუვარისა მძლავრისამან სიქადულით ღმრთის მოძულისამან ზარგანჴდილ-ყო უშჯულოჲ ერი, ხოლო სამნი იგი ყრმანი ვერ შეაძრწუნა მჴეცებრ მძჳნვარებამან, არცაღა ცეცხლისა ზარმან, არამედ შეცურეულნი ზეგარდამო კადნიერად ესრეთ ღაღადებდეს: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ ხარ შენ.

ხისაგან გემოჲ იხილა ადამ, პირველშექმნულმან კაცმან, და დაიმკჳდრა ხრწნილებაჲ და დაესაჯა მას ცხორებისაგან

განსლვაჲ შეურაცხებით და ტომთა მისთა ესე დაუმკჳდრა, ვითარცა ხარკი, თანა-მდები ცოდვისაჲ, ხოლო მოვიღეთ ჯუარითა გამოჴსნაჲ და ვიტყჳთ: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ ხარ შენ.

დაჰჴსნა ბრძანებამან ღმრთისა ურჩებაჲ და ხემან კაცთა სიკუდილი მოიტყუა უჟამოდ და წარმდებად ჭამითა და საწადელისა შუებისაგან განვარდეს ძელისა მისგან ცხორებისა, რომელი კუალად განუღო ავაზაკსა ძჯრის-მოქმედსა, დაშჯილსა გონიერად, ჴმობამან: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ ხარ შენ.

წუერი კუერთხისაჲ იოსებისი შეიმთხჳა ისრაელმან და აუწყებდა ძალსა მეფობისასა ამით და მოასწავა, ვითარმედ ჯუარითა პატიოსნითა სძლონ მტერთა მეფეთა მათ მორწმუნეთა და განათლდენ ძელითა და ძლევაშემოსილნი ესრეთ ღაღადებდენ: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ ხარ შენ.

სამობით რიცხუნი სამებისა წმიდისა ყრმანი იქმნნეს საჯუმილსა მას შინა უვნებელად დამარხულ და თქუეს: ჩუენ მოსავნი ვართ ღმრთისა მამათაჲსა და არაჲ მეშინის ცეცხლისა მისგან და შეურაცხ-ვჰყოფთ ბრძანებასა მძლავრისა უშჯულოჲსასა და ვიტყჳთ: ყოვლადდიდებულო მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ ხარ შენ.

სამებით/აკურთხევდითსა

ქებით აკურთხევდით, სამებისა რიცხუნო, ყრმაო, მშობელსა ღმერთსა და მამასა აქებდით და ძესა მხოლოდშობილსა, რომელმან დაშრიტა საჯუმილი ცეცხლისაჲ და აღამაღლებდით ცხორების-მომნიჭებელსა სულსა წმიდასა უკუნისამდე.

ძელი აღმაღლდების, რომელი სხურებულ იქმნა სისხლითა მით ღმრთისა სიტყჳსაჲთა, რომელი განჯორციელებულ იქმნა, ვდღესასწაულობდეთ დღეს ქუეყანისანი ზეცისათა თანა და თაყუანის-ვსცემდეთ ჯუარსა, მჴსნელსა ყოველთასა, უკუნისამდე.

მკჳდრნო მადლისანო, მოვედით, აღვამაღლებდეთ ცხორების-მომცემელსა ძელსა და მერმე ლახუარსა, განმღებელსა გუერდისა მჴსნელისასა, და თაყუანი-ვსცემდეთ გამოჩინებულსა ღმერთსა, დამბადებელსა, მჴსნელსა და მაცხოვარსა უკუნისამდე.

რჩეულნო ღმრთისანო, პატიოსანნო მეფენო, გიხაროდენ, ქრისტეს მორწმუნენო, რომელთა ღმრთისაგან მოგიღებიეს საჭურველი მტკიცე — უძლეველი ჯუარი და მით დასთრგუნენით ნათესავნი წარმართთანი აწ და უკუნითი უკუნისამდე.

ცხორებისა სასოჲ და სიკუდილისა დამჯსნელი, თანასწორი მამისაჲ ძე სულით წმიდითურთ აღვიარეთ მორწმუნეთა და თაყუანის-ვსცემთ მას, სამებით ცნობილსა ერთ ღმრთეებად ვიტყჳთ და ესრეთ უღაღადებთ: ღმერთო, გაკურთხევთ შენ უკუნისამდე.

ცხორებისა სასოჲ/ადიდებდითსა

სიკუდილი, რომელი ხისაგან შეიქმნა ძეთა კაცთათჳს, დაამჯუ იგი დღეს ძელისა მიერ, უფალო, და წყევაჲ იგი პირველისა დედისაჲ აღჰჴოცე მუცლად-ღებითა დედისა შენისა უბიწოჲსაჲთა, ამისთჳს ძალთა თანა ზეცისათა მას ვადიდებდეთ.

დაშთომად არა ინებე შენ სიმწარე ნაყოფისა მის პირველისა მაცთურისა ჩუენისაჲ, უფალო, არამედ აღმოჰფხუარ ჯუარისა მიერ, ამისთჳს წყალთა სიმწარე დატკბებოდა ძელისაგან წინაჲსწარ და მოესწავებოდა ხისა მიერ ჯსნაჲ მორწმუნეთაჲ.

შეპყრობილ ვიყვენით ჩუენ პირველ საბრჴითა საცთურისაჲთა მამისა ჩუენისა ადამისითა, უფალო, არამედ ვიჯსნენით ჯუარითა შენითა პატიოსნითა დანთქმისაგან მედგრობათა ჩუენთაჲსა. ამისთჳს მორწმუნენი თაყუანის-ვსცემთ ცხოველსა ჯუარსა.

რაჲთა ჭეშმარიტად აუწყო ყოველთა, ვითარმედ ჯერ-არს თაყუანის-ცემაჲ ძელსა ჯუარისასა, უფალო, ამისთჳს ზეცას გამოაჩინე ბრწყინვალებითა შემკული და მიეც იგი მეფესა კოსტანტინეს ძლევისა საჭურველად და წინამძღურად ქრისტეანეთა.

შემცვალებელად ბუნებათა იპოე, ქრისტეს დედაო, და უზეშთაეს დაბადებულთაჲსა გამოშჩნდი, რაჟამს ქალწულმან მუცლად-იღე უთესლოდ სიტყუაჲ მამისაჲ და გჳშევ ჩუენ უცხოდ ღმერთი ყოველთაჲ, ამისთჳს მორწმუნენი ზეცისათა თანა გადიდებთ.

შემცვალებელად

სხუანი გალობანი ამისვე დღისანი

იოვანე/უგალობდითსა დ/გიგალობთ შენ, უფალო

გიგალობთ შენ, რომელმან მაჩუენე ჩუენ საჭურველი უძლეველი — ჯუარი შენი, ქრისტე, რომელსა ზედა ჯორცითა ჩუენთჳს ღმერთი დაემშჭუალე.

დღეს აღმაღლდების ძელი პატიოსანი, რომელსა ზედა ჯორცითა ქრისტე დაემშჭუალა, რომლითა ეშმაკი დასცა და მორწმუნენი აცხოვნა.

მოვედით, მორწმუნენო ერნო, და თაყუანის-ვსცეთ დღეს ძელსა, ცხორების-მომცემელსა, რომლითა იქმნა ცხორებაჲ შორის ქუეყანასა, ვითარცა თქუა დავით.

შენ, რომელმან მოეც ძლევაჲ ჯუარითა პირველად მონასა შენსა მეფესა კოსტანტინეს, აწცა მოანიჭე ძლევაჲ მეფესა ჩუენსა მორწმუნესა.

ვედრებად/განძლიერდასა/დამამტკიცებელი

განვსძლიერდით უფლისა მიერ, რაჲთა აღმოსცენდა ქუეყანით ჯუარი პატიოსანი, რომელსა ზედა აღმაღლდა ცხორების-მომცემელი.

არავინ არს წმიდაჲ, ვითარ ღმერთი, რომელმან განაახლა ხრწნილებისაგან ჯუარითა თჳსითა ქუეყანაჲ და აცხოვნებს მათ, რომელნი ადიდებენ.

ძელი ცხორების-მომცემელი, რომელი დაენერგა ზედა გოლგოთას, დღეს აღმაღლდების დიდებით, მოვედით, ერნო, თაყუანის-ვსცემდეთ მას.

რომელი მიჰმადლებს ძლევასა გჳრგჳნოსანსა მეფესა ჯუარითა თჳსითა მტერთა მიმართ ქრისტესა, მოვედით, ერნო, თაყუანის-ვსცემდეთ მას.

უსძლოო./მესმასა/სიმდაბლით გამოაჩინნა.

გუნდნი ზეცათანი განკჳრდეს და სერაბინთა დაიფარნეს პირნი მათნი, რაჟამს გიხილეს ძელსა დამოკიდებული ღმერთი, ჯორცითა ჩუენთჳს მოსრული.

რომელი შეიხების დღეს ჴელითა კაცთაჲთა და ნებთაგან მღდელთ-მთავრისათა აღიპყრობის, ზეცისა გუნდნი აქებენ და

ჩუენ თაყუანის-ვსცემთ მორწმუნენი.

ღმრთისა მიერ მოგუემადლა ჩუენ საკსრად ყოველთა ძელი ცხორების-მომცემელი საჭურველად მტერთა წყობასა და ვიტყჳთ: დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო.

მოეც, უფალო, ძლევაჲ მეფესა მორწმუნესა და დაუმორჩილე მას ერი ბარბაროზთაჲ საჭურველითა მით მტკიცითა — ნიშითა ჯუარისა შენისაჲთა.

ცათა დაუტევნელი/ღამითგანსა/განმანათლებელო

რომელმან მიჩუენე ჩუენ ძლევაჲ ჯუარისა შენისაჲ ქებით აღმაღლებული, დიდებაჲ, დიდებაჲ შენდა, იესუ, ძეო ღმრთისაო.

მოვედით, მორწმუნენო, და ვიხილოთ ჩუენ ჯუარი აღმაღლებული ცხორებად სოფლისა და მოვსცეთ დიდებაჲ ძესა ღმრთისასა.

განვახლდეთ, მორწმუნენო, და აღვმაღლდეთ გონებითა ჯუარსა თანა და ვიტყოდით: დიდებაჲ, დიდებაჲ შენდა, იესუ, ძეო ღმრთისაო.

რომელმან მოეც პირველ მეფესა მორწუნესა ჯუარი შენი საჭურველად, აწცა მოანიჭე, ძლევაჲ მტერთა ურწმუნოთაჲ.

ესაია გჭადაგა/ღალატყავსა/ღალადებდა წინაასწარმეტყველი

ღალადებდეს მამანი ჩუენნი პირველად და იტყოდეს: აწ განიჯსნა წყევისა იგი კრულებაჲ ჯუარითა და ძალი მტერისაჲ დათრგუნა ქრისტემან კაცთ-მოყუარემან.

დღეს დაიჯსნა ბჭობაჲ იგი ძუელისა მის შჯულისაჲ, რაჟამს ჩუენთჳს ჯუარსა ზედა დაემშჭუალა უფალი, მოვედით ყოველნი, ვნებათა მათ მისთა თაყუანის-ვსცემდეთ.

მორწმუნენი დღეს ესრეთ ღალადებენ და იტყჳან: ჯოჯოხეთო, სადა არს ძლევაჲ შენი, და სიკუდილო, საწერტელი შენი, რამეთუ შემუსრა მჯნელმან ჯუარითა.

გევედრებით შენ, მეუფესა საუკუნეთასა, ძლევაჲ მტერთაჲ მეფესა მორწმუნესა მოეც ჯუარითა, რამეთუ გესავს შენ და შენ აღგიარებს ძლიერსა ღმერთსა.

უმეტეს/კურთხეულარსა/მამათა ჩუენთა

რომელმან ძელითა მით ჯუარისაჲთა განკურნნა პირველნი

წყლულებანი, უგალობდეთ და ვიტყოდით: კურთხეულ ხარ შენ, უფალო.

რომელმან სათნო-იყო ძელითა ჯუარისაჲთა მოცემად მორწმუნეთა ძლევაჲ მტერთაჲ და იტყჳან: კურთხეულ ხარ შენ, უფალო.

ჯუარი, რომელიცა დღეს აღმაღლდების დიდებით, მოვედით, თაყუანის-ვსცეთ და ღმერთსა უღაღადებდეთ: კურთხეულ ხარ შენ, უფალო.

ჴელითა და გულითა მეფე ჩუენი მორწმუნე გამოსახავს ნიშსა მას ჯუარისასა და ღაღადებს: კურთხეულ ხარ შენ, უფალო.

სამებასა წმიდასა/აკურთხევდითსა/რომელი ზეცას მამისათა

რომელი ნეფსით დამშჭუალულ იქმნა ჯუარსა ზედა და გჯჩუენა გზაჲ ცხორებისაჲ, ყრმანი აკურთხევდით ქრისტესა ღმერთსა და მჴსნელსა უკუნისამდე.

ძელისა ჯუარსა ლახუარსა თანა, ჴელითა კაცობრივითა აღმაღლებულსა, ცხორებად ჩუენ, მორწმუნეთათჳს, თაყუანის-ვსცემდეთ უკუნისამდე.

რომელმან ჯუარითა ბუნებაჲ ჩუენი განხრწნილი განაახლა და აღამაღლა უზეშთაესსა დიდებასა, ავაღმაღლებდეთ უკუნისამდე.

გამოაჩინა მძლედ მტერთა მიმართ მეფე მორწმუნე ჯუარითა, რაჲთა დათრგუნნეს მწჳალებელნი და ბარბაროზნი შენ მიერ, ღმერთო, უკუნისამდე.

სამგუამოვანსა/ადიდებდითსა/გიხაროდენ შენ, ყოველად წმიდაო

ვადიდებდეთ ყოველნი ვნებათა მჴსნელისათა, მკურნალთა წყლულებისა მამისა ჩუენისათა, ჯუარს-ცუმითა და დაფლვითა და სიკუდილითა სიკუდილისა დამჴსნელსა.

ცანი განათლდებიან ნიშითა ჯუარისაჲთა, ქუეყანაჲ განშუენდების და ერნი შეკრბებიან თაყუანის-ცემად და ქებად და აღმაღლებასა მისსა დღეს ადიდებენ.

ჯუარი პატიოსანი, დამალული ქუეყანასა, ცათა შინა გამოჩნდა და ძლევაჲ მოსცა მეფესა მორწმუნესა მტერთა მიმართ და ეკლესიაჲ დიდებითა აღავსო.

მეფე ჩუენი მორწმუნე განაძლიერე, ღმერთო, ნიშითა ჯუარ-

ისაჲთა დაუმორჩილენ მას უარის-მყოფელნი იგი და მგმობარნი ჯუარისა შენისანი.

გიხაროდენ, ღრუბელო

სხუანი გალობანი ამისვე დღისანი დ

იოვან/ფარაოჲს ეტლთა.

ძლევაჲ მტერთა ზედა მოეც, ქრისტე, ჯუარითა მორწმუნეთა შენთა დღეს, რომლითა დასცენ ძლიერნი წინა-აღმდგომნი და ღირს-მყვენ ჩუენ ძლევისა მგალობელად უკუნისამდე.

ცათა მეუფეო ქრისტე, ღმერთო ჩუენო, მოეც სახიერებით ძლევაჲ დღეს მეფესა ჩუენსა უღმრთოთა ზედა, რომელიცა დიდებულ არს.

ძალითა შენითა განაძლიერე, ღმერთო, რქაჲ ეკლესიისაჲ დღეს და ერი ქრისტეანეთაჲ ადიდე, მჴსნელო, ნიშითა მით ჯუარისაჲთა მგალობელად შენდა მარადის.

იხილა რაჲ მოსე/განძლიერდასა/უფლისა მიერ ღმრთისა

ჯუარი პატიოსანი, აღმაღლებული საცოდ მორწმუნეთა, იხილეს რაჲ ეშმაკთა, დასცხრეს ოცნებათაგან მათთა.

განაძლიერა მოსე სახემან ჯუარისამან მტერთა ზედა და დასცა ამალეკი, ჩუენცა მიჴსნენ მტერთაგან, ქრისტე.

ნიში ჯუარისაჲ საღმრთოჲ გამოუჩნდა მეფესა კოსტანტინეს და მეფეთა მორწმუნეთა ძლევისა საჭურველ ექმნა.

ვითარცა ღმრთის-მშობელ ხარ./მესმასა/სმენაჲ მესმა მე

ვაქებდეთ, ერნო, ძელსა, ცხორების-მომცემელსა, პატიოსანსა ჯუარსა, და ვადიდებდეთ ქრისტესა ღმერთსა.

ყოველი ერი ზეცისა და ქუეყანისაჲ დღეს აღამაღლებენ ჯუარსა და იშუებენ ქებით მორწმუნენი.

გუნდი ეშმაკთაჲ განიბნია შეძრწუნებული, ჯუარი რაჲ აღემართა, რაჟამს ქრისტე აღმაღლდა მას ზედა.

მოეც, უფალო, მეფესა ჩუენსა მორწმუნესა ძლიერი საჭურველი და დაამჴუ სიმრავლე ბარბაროზთაჲ.

ნავთ-საყუდელი/ღამითგანსა/შენ, უფალო ნათელი

შენდა მომართ ვიხარებთ და ვიშუებთ მორწმუნენი, ძლევაშემოსილო ჯუარო, ვინაჲთგან მოვიღეთ ჩუენ შენ მიერ გზაჲ ცხორებისაჲ.

სიქადული და ძალი ღმრთის-მსახურთაჲ ჯუარი არს, შემკრებელი მორწმუნეთაჲ დიდების-მეტყუელებად და ქებად ქრისტესა ღმერთსა.

ფარი საღმრთოჲ მიიღეს მეფეთა ღმრთის-მსახურთა, ძლევის-მომცემელი ჯუარი, ხე საცნაურებისაჲ, რომელსა ქრისტე დაემშჯუალა.

შენ საჭურველ/ღალატ-ჳყავსა/რომელმან დასცევ

ძელი ჯუარისაჲ გამოგჳბრწყინდა მორწმუნეთა განწმედელად, თაყუანის-ვსცემდეთ მას სარწმუნოებით.

რომელმან მოეც მოშიშთა შენთა სასწაულად ჯუარი შენი, აწცა გევედრებით: ქრისტე, გუაცხოვნენ ჩუენ.

რომელმან პირველ გამოაჩინე და ადიდე კოსტანტინე, აწცა აღამაღლენ ქრისტეანენი.

რომელმან გჳშევ/კურთხეულარსა/აბრამეანთა

განჰყრობითა ჴელთაჲთა ამალეკისა მიმართ წინაასწარმეტყუელმან დიდმან მოსე მოასწავა გამოჴსნაჲ მეფეთა მორწმუნეთაჲ ქრისტეს მიერ ჯუარითა.

აღამაღლა რაჲ მოსე გუელი იგი რვალისაჲ, ცუდ იქმნა გესლი ვეშაპისაჲ მის, მომსრველისაჲ უწყალოდ ნიშითა ჯუარისა მის ძლევის-მყოფელისაჲთა.

აგარის ნათესავნი დაამდაბლენ, უფალო, და ძლევაჲ მოეც მეფესა ჩუენსა ძალითა ჯუარისაჲთა, რაჲთა გიღაღადებდეთ: კურთხეულ ხარ შენ, უფალო.

შენ, მარიამ ქალწულო/აკურთხევდითსა/მეუფესა ქრისტესა ღმერთსა

მეუფესა ქრისტესა, ღმერთსა ჩუენსა, რომელმან ჯუარითა ეშმაკი დასცა და იჴსნნა მორწმუნენი და იტყჳან დაუდუმებელად ყოველნი დაბადებულნი: დამბადებელსა ვაკურთხევდეთ უკუნისამდე.

მეუფესა ქრისტესა, ღმერთსა ჩუენსა, რომელმან ჯუარითა იჴსნა ადამი, დამონებული მტერსა, და ადიდნა მოსავნი ჯუარი-

სანი, ყოველნი დაბადებულნი დამბადებელსა ვაკურთხევდეთ უკუნისამდე.

გიხაროდენ, ღმრთისა მიერ დაცვულთა მეფეთა მორწმუნეთა, რომელთაცა საჭურველი იგი მტკიცე მიიღეთ — ჯუარი პატიოსანი, ძელი ღმრთივ-შემწყნარებელი, დამამჯობელად მტერთა, დამცველად მორწმუნეთა.

მეუფესა ქრისტესა ღმერთსა./ადიდებდითსა/შენ რომელმან მუცლად

ჯუარი ღმრთის-შემწყნარებელი, რომელი აღემართა სიქადულად ეკლესიათა და საცთური იგი პირველი ქუეყანისაგან განაქარვა, ამისთჳს მორწმუნენი გალობით ვადიდებთ მას.

ანგელოზნი ცათა შინა და ქუეყანასა ზედა ძენი კაცთანი ადიდებენ ძელსა ცხორების-მომცემელსა, რომლისა მიერ შეიერთნეს დღეს ანგელოზნი და კაცნი მგალობელად ჯუარცუმულისა.

შენ, მეუფეო მაღალო, ღმერთო ყოვლისა-მპყრობელო, ჯუარითა შენითა წმიდითა მეფენი ღმრთის-მოყუარენი განაძლიერენ მტერთა ზედა და ერი ქრისტეანეთაჲ დაიცევ საცთურისაგან.

შენ ყოველთა დაბადებულთა.

სხუანი გალობანი მისვე დღისანი

იოვანე/ზღჳსა მის მეწამულსა

გამოაბრწყინვენ ელვანი ჯუარისა შენისანი, ქრისტე, რომლისა მიერ დაეც მაცთური და კაცთა ნათესავი აცხოვნე, ამისთჳსცა უგალობთ დიდებასა მას შენსა ძლიერსა.

ურჩებისა გემოჲსხილვაჲ ჯერ-ჩინებითა მამისაჲთა ჯუარისა მიერ დაჰჴსნა ქრისტემან, მოვედით, უგალობდეთ, ერნო, გალობითა ახლითა, რამეთუ დიდებით დიდებულ არს.

კუერთხად, ძლევისა მომცემელად, დაჰნერგე ჯუარი შენი, ქრისტე, გოლგოთას, ვითარცა ედემს შინა ხე ცხორებისაჲ უხრწნელი, რომელი ზეცას გამოაბრწყინვე, რომლითა დაუყვენ პირნი ულმრთოთა.

მიდგომილ/განძლიერდასა/მშჳლდი ძლიერთაჲ

უფროჲს ჯაჭუ-ჭურისა აღგჭურავს უძლეველისა ჯუარისა შენისა ნიში, ქრისტე მაცხოვარ, რომლისაგან ძრწოლით ივლტიან ეშმაკთა გუნდნი უკეთურნი.

ჯუარმან შენმან, ქრისტე, ახარა ყოველთა, რომელნი ღმრთად ჯუარცუმულად აგიარებენ, რომელი ნათლითა საღმრთოჲთა ღმრთივშუენიერად გამობრწყინდა.

საჭურველად მტკიცედ გჯპყრიეს სახე ჯუარისა შენისაჲ, ქრისტე, ყოვლად ძლიერო, და მის მიერ განმტკიცებულნი, თაყუანის-გცემთ შენ, კაცთ-მოყუარე.

გიხაროდენ./მესმასა/სიყუარული წყალობისაჲ

დღეს ხილულად განაბრწყინევე ცხოველს-მყოფელისა ჯუარისა შენისა სახე, ქრისტე მაცხოვარ, და კუალად საიდუმლოდ მარადის განაბრწყინევებ.

უშჯულოთა ჰურიათა ღმრთის-მკლველი იგი კადნიერებაჲ, ქრისტე, დღეს ჯუარისა შენისა ელვის სახედ ხილვითა განაქიქე და განსთქუ.

ჯუარისა მიერ დასაჯე ცოდვაჲ, უფალო, და იჴსენ ხრწნილებისაგან კაცობრივი ბუნებაჲ, რამეთუ ყოველივე ძალგიც, მრავალმოწყალე.

საშინელ/ღამითგანსა/აწ აღვდგე

რომელმან პირმშოჲ იგი ნათელი სიტყჳთ დაჰბადა, მამამან მხოლომან ძისა თჳსისა ჯუარი ნათლითა შეამკო ზეცათა შინა, რაჲთა ჯუარცუმულისა მის წამის ღმრთეებაჲ უქცეველი.

სიკუდილი მოატყუა პირველქმნულთა მათ ხემან, უფალო, და ედემით განჴადნა, ხოლო ცხოველს-მყოფელმან ჯუარმან შენმან ავაზაკისა მიერ ადამეანნი კუალად-აგნა მუნვე, სახიერ.

ნათლითა საღმრთოჲთა მამისაჲთა, ქრისტე მაცხოვარ, ნათელსა ჭეშმარიტსა ძესა გიხილავთ ნათლითა მით სულისაჲთა განბრწყინვებულნი, რომელი სულთა ჩუენთა შინა უხუებით დაამკჳდრე.

სიტყუაჲ ღმრთისაჲ./ღაღატ-ყავსა/შთავვარდი

დაბნელდინ ნათელი უშჯულოთაჲ, რომელთა არა ჰნებავს განცდად შუენიერი იგი სიკეთე და ნათელი საუფლოჲსა ჯუარისაჲ უბრწყინვალესი მზის-თუალისაჲ.

მიეფინენ ბრწყინვალებაჲ ჯუარისაჲ უხრწნელი, ღმრთივბრწყინვალე, რომელნი ჩუენთჳს ჯუარცუმულსა ღმრთად იცნობენ და ყოვლად-დიდებულთა ვნებათა მისთა უგალობენ.

ნათელი ჯუარისაჲ განაბრწყინვე ყოველთა ცის-კიდეთა, ქრისტე მეუფეო, და განანათლენ მორწმუნენი, რომელნი უგალობენ დღეს გამოჩინებასა მისსა.

იქმნა საშოჲ/კურთხეულარსა/რომელმან დაიცვნა ყრმანი

მზეო სიმართლისაო, აღმაღლდი რაჲ ჯუარსა შუადღე, მზემან ნათელი დაიფარა, რამეთუ ვერ თავს-იდვა ხილვაჲ შენი, შემოქმედისა თჳსისაჲ, და უმშჯავროდ დაშჯაჲ ბილწთა ჰურიათაგან.

რომელი ოდესმე მოსეს მაყულოვნით და ცეცხლით ეზრახე, დღეს ჯუარის სახითა ელვითა ყოველსა სოფელსა ეზრახე, მჴსნელო, და ასწავე ღაღადებად: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ ხარ შენ,

ნათელო ნათლისაგანო, ნათლისა მომფენელო ჩუენდა, ნათლითა შენითა საღმრთოჲთა ადიდე ნიში ჯუარისა შენისაჲ, აღმაღლებულო უფალო: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულო, მარადის.

სამებისა მორწმუნენი/აკურთხევდითსა/მჴსნელო ყოველთაო

მამულთა წიაღთა მოუკლებელსა და ძელისა ჯუარსა ზედა ვნებულსა ჴორცითა კაცობრივითა აღვამაღლებდეთ და ვიტყოდით: აკურთხევდით საქმენი უფლისანი უფალსა.

ნათლითა საღმრთოჲთა გამოსახულსა თხემისა ადგილსა, აღმაღლებულსა მთასა მას ზედა წმიდასა, თაყუანის-ვსცემდეთ და ვიტყოდით: აკურთხევდით საქმენი უფლისანი უფალსა.

ერთსა სამებისაგანსა, მხოლოსა, დიდების-ვმეტყუელებთ და თაყუანის-ვსცემთ, რომელმან ბრწყინვალებითა ჯუარისაჲთა განანათლნა ცის-კიდენი და აღვამაღლებდეთ უკუნისამდე.

მორწმუნეთა/ადიდებდითსა/ყოველნი ტომნი

რომელმან პირველ მთასა ზედა მიეც შჯული ერსა მას ურჩსა ღრუბლით გამო და ცეცხლით, აქა საზეპუროსა სამწყსოსა შენსა სახე ჯუარისა შენისაჲ უფროჲს მზისა ბრწყინვალე გამოუსახე ცათა შინა, სახიერ, რომელსა ვადიდებთ სარწმუნოებით.

კადნიერებაჲ ჯუარის-მცუმელთა შენთაჲ იგი პოეს დაბადებულთა წყუდიადითა ბნელითა, ხოლო აქა შუენიერითა ნათლითა გამობრწყინდა ჯუარი შენი ღელე და ეკლესიასა ღმრთივ-დიდებული საიდუმლოჲ სიკეთე ცხადად უქადაგა დაბადებულთა.

შენდამი დაუც ერსა შენსა რჩეულსა სასოებაჲ, ქრისტე, და მეოხად მიგიპყრობს შესაძრწუნებელსა სისხლსა და ჯუარსა შენსა ცხოველს-მყოფელსა, წყალობით მოიხილე, ღმრთისა სიტყუაო, სამწყსოსა შენსა ზედა და მეფე მორწმუნე განაძლიერე.

ერთ არს არსებაჲ სამგუამოვნისა სამებისაჲ და ბუნებაჲ, მამაჲ დაუსაბამოჲ ძით და სულით წმიდითურთ იდიდების, თანადაუსაბამოჲ და სიტყუაჲ განკაცებული ქალწულისაგან ორითა ბუნებითა სრულითა იქების — ღმერთი და კაცი.

ეკლესიასა შენსა მოჰმადლე მაღლით შეწევნაჲ, უფალო, რამეთუ სხუაჲ არავინ უწყის შენსა გარეშე ღმრთად და მაცხოვრად, რომელმან-ეგე წყალობით დასდევ მისთჳს, სახიერ, სული შენი და მოიყიდე სისხლითა შენითა საღმრთოჲთა და თაყუანის-გცემს.

ნუ შეურაცხ-ყოფ-/მომიჯსენესა ზედა/ჯმაჲ დ გუერდი

უხრწნელო ქალწულო, ღელე ჯუარი აღმაღლებული ყოველთა ცხორებად აღამაღლებს და წმიდა-ჰყოფს დაბადებულთა საღმრთოჲთა ძალითა მის ზედა დამშჭუალულისა ქრისტეს ღმრთისაჲთა.

ღელე ჯუარი კიდეთა სოფლისათა განანათლებს და ეშმაკთა იოტებს და ბარბაროზთა შეჰმუსრავს, ხოლო მორწმუნეთა და მოსავთა მისთა ზღუდე ექმნების.

საროჲსა, ფიჭჳსა და ნაძჳსა სამნაწილსა დიდებულსა ჯუარსა ეკლესიაჲ თაყუანის-სცემს შვილთა თჳსთა თანა და წმიდაიქმნებიან ყოველნი კიდენი.

იხარებს დავით, ღმრთის-მგალობელი, რამეთუ ესერა სარწმუნოებით თაყუანის-ვსცემთ ყოველნი საღმრთოსა და დიდსა კუარცხლბეკსა ფერჴთა მათ მისთა საუფლოთასა.

შენ ხარ უძლეველი ძლიერებაჲ ქრისტეანეთაჲ, ქალწულო ღირსო, რამეთუ მოსავნი შენნი დავსთრგუნავთ ეშმაკთა განძლიერებულნი ოხითა შენითა.

ძველქართული ტექსტები

წმიდა წერილიდან გამოკრებილი საკითხავები*

საწინაჲსწარმეტყუელონი

წინაჲსწარმეტყუელებაჲ ზაქარიასი 11, 10 - 13

ამას იტყჳს უფალი: მოვიღო კუერთხი ჩემი შუენიერი და განვაგდო იგი განსაქარვებელად აღთქუმისა ჩემისა, რომელი აღუთქუ ყოველთა მიმართ ერთა. და განქარდეს მას დღესა შინა, და იცნნენ ქანანელთა ცხოვარნი დაცულნი ჩემნი მით, რამეთუ სიტყუაჲ უფლისაჲ არს. და ვთქუ მათდა მიმართ: უკუეთუ კეთილ არს წინაშე თქუენსა, მოეცით, აღწონეთ სასყიდელი ჩემი, ანუ უკუნ თქჳთ. და აღწონეს სასყიდელი ჩემი ოცდაათნი ვეცხლნი და თქუა უფალმან ჩემდამო: დასხენ ეგენი ბრძმედსა შინა და განიხილე, უკუეთუ გამოცდილ არს, ვითარ სახედ გამოვიცადე მათთჳს და მოვიხუენ ოცდაათნი ვეცხლნი და შევიხუენ სახიდ უფლისა ბრძმედისად მიმართ, ვითარცა მიბრძანა მე უფალმან.

წინაჲსწარმეტყუელებაჲ ესაიასი 50, 4 -11

უფალმან, უფალმან მცეს მე ენა სწავლულებისა ცნობად, ოდეს ჴერ-არს თქუმად სიტყჳსა, დამდვა მე განთიად, შემძინა მე ყური სმენად. და სწავლა უფლისაჲ განახუამს ყურთა ჩემთა, ხოლო მე არა ურჩ ვარ, არცა ვაცილობ. ზურგი ჩემი მივეც გუემათა და ღაწუნი ჩემნი ყურმილის-ცემათა, ხოლო პირი ჩემი არა განვაყენე სირცხჳლისაგან ნერწყუვათასა (მათე 27, 67). და უფალი შემწე ჩემდა იქმნა, ამისთჳს არა მრცხუენა, არამედ დავდევ პირი ჩემი, ვითარცა მყარი კლდე, და ვაგრძენ, ვითარმედ არა მრცხუენეს, რამეთუ მახლობელ არს განმამართლებელი ჩემი, ვინ არს მოსაჯული ჩემი? (რომაელთა 8, 33-34). წინააღმიდეგინ მე და ვინ არს განმკითხველ ჩემდა? მომეახლენ მე. აჰა, უფალი შემეწევის მე. ვინ განმაბოროტოს მე? აჰა, ყოველნი თქუენ, ვითარცა სამოსელი, დასძუელდეთ და, ვითარცა მღილმან, შეგჭამნეს თქუენ. ვინ არს თქუენ შორის მოშიში უფლისაჲ?

---

* ახალქართულად ტექსტი იხ. გვ. 19.

ისმინედ ჴმისა მონისა მისისა, რომელნი ვლენან ბნელსა შინა, არა არს მათდა ნათელი. ესევდით სახელისა მიმართ უფლისა და განმტკიცდით ღმრთისა მიმართ. აჰა, ყოველნი თქუენ ცეცხლსა აღაგზებთ და განაძლიერებთ ალსა. ვიდოდეთ ნათლითა ცეცხლისა თქუენისაჲთა და ალითა, რომელი აღაგზენით ჩემთჳს. იქმნეს თქუენდა ესენი, მწუხარებასა შინა დაიძინოთ.

წინაჲსწარმეტყუელებაჲ ესაიასი 52, 13 - 54, 1

აჰა, გულისხმა-ყოს ყრმამან ჩემმან და ამაღლდეს და იდიდოს და განიცხროს ფრიად, ვითარ სახედ განკჳრდენ შენ ზედა მრავალნი, ეგრეთ უდიდებლობდეს კაცთაგან სახეები შენი და დიდებაჲ შენი ძეთაგან კაცთასა. ესრეთ უკჳრდეს წარმართთა მრავლად მის ზედა და შეიყონ მეფეთა პირი მათი, რამეთუ რომელთა არა მიეთხრა მისთჳს, იხილონ და, რომელთა არა ესმა, გულისხმა-ყონ. უფალო, ვის ჰრწმენა სასმენელი ჩუენი და მკლავი უფლისაჲ ვის გამოეცხადა? მიუთხართ წინაშე მისსა, ვითარცა ყრმაჲ და ვითარცა ძირი ქუეყანასა წყურიელსა; არა არს სახე მისი, არცა დიდებაჲ, და ვიხილეთ იგი და არა აქუნდა სახე მისი, არცა სიკეთე, არამედ სახე მისი უპატივო და მოკლებულ უფროს ყოველთა ძეთა კაცთასა. კაცი მყოფი წყლულებასა შინა და მეცნიერი თავს-დებად გუემულებასა, გარემიიქცია პირი მისი, უპატივო იქმნა და არა შეირაცხა. ესე გუემულებათა ჩუენთა იტჳრთავს და ჩუენ ძლით ლმობილ არს, და ჩუენ შეჰვრაცხეთ იგი ყოფად ტკივილსა შინა და წყლულებასა შინა ღმრთისა მიერ და განბოროტებასა შინა. ხოლო იგი იწყლა უშჯულოებათა ჩუენთათჳს და გუემულ არს ცოდვათა ჩუენთათჳს, წურთა მშჯდობისა ჩუენისა მის ზედა, წყლულებითა მისითა ჩუენ განვიკურნენით. ყოველნი, ვითარცა ცხოვარნი, შევსცეთით. კაცი გზასა შესცთა და უფალმან განსცა იგი ცოდვათა ჩუენთათჳს. და იგი განბოროტებისათჳს არა აღაღებს პირსა თჳსსა, ვითარცა ცხოვარი, კლვად მიმართ მიიყვანა და, ვითარცა კრავი, წინაშე მრისველისა თჳსისა უჴმოჲ, ეგრეთ არა აღაღებს პირსა თჳსსა. სიმდაბლითა მისითა მშჯავრი მისი აღებულ იქმნა, ნათესავი მისი ვინმე მიუთხრას, რამეთუ აღებულ არს ქუეყანისაგან

ცხოვრებაჲ მისი, უშჯულოებათაგან ერისათა მოვიდა სიკუდიდ. და მივსცნე უკეთურნი დაფლვისა მისისა წილ და მდიდარნი სიკუდილისა მისისა წილ, რამეთუ უშჯულოებაჲ არა ქმნა, არცა იპოვა ზაკვაჲ პირსა შინა მისსა. და უფალსა ჰნებავს განწმედაჲ მისი წყლულებისაგან, უკუეთუ მისცნეთ ცოდვათა ძლითნი. სულმან თქუენმან იხილოს თესლი გრძელ-საწუთოჲ და ჰნებავს უფალსა ჴელითა მისითა მოსპობაჲ ტკივილისაგან სულისა მისისა, ჩუენებად მისსა ნათელი და აღზელად გულისხმის-ყოფითა, განმართლებად მართალი კეთილმმონებელი მრავალთა, და ცოდვანი მათნი მან აღიხუნეს. ამისთჳსცა მან თავადმან დაიმკჳდრნეს მრავალნი და ძლიერთა განანაწილოს იავარი ამის წილ, რომელ განეცა სიკუდიდ სული მისი, და უშჯულოთა თანა შეირაცხა, და მან ცოდვანი მრავალნი აღიხუნა, და ცოდვათა მათთათჳს მიეცა. იხარებდ, ბერწი არ-მშობელი, ღაღადებდ და ჴმობდ, არმლმობელ, რამეთუ მრავალ არიან შვილნი ოჯრისანი უფროჲს, ვიდრე მქონებელისანი ქმარსა.

წინაჲსწარმეტყუელებაჲ იერემიასი
11, 18-23; 12, 1-5; 12, 9-11; 12, 14-15

უფალო, გულისხმა-მიყავ მე და ვცნა, მაშინ ვიხილენ სიმარჯჳენი მათნი. მე, ვითარცა კრავმან უმანკომან მოყვანებულმან დაკლვად, არა ვცან. ჩემ ზედა ისიტყუეს გულის-სიტყუაჲ ბოროტი, მეტყუელთა: მოვედით და შეურიოთ ძელი პურსა თანა მისსა, აღვჴოცოთ იგი ქუეყანით ცოცხალთაჲთ, და სახელი მისი არა მოჴსენებულ იქმნეს მერმე. უფალო საბაოთ, მშჯელო მართალო, გამომცდელო თირკმელთა და გულისაო, მიხილავსმცა შენმიერი შურის-გებაჲ მათ ზედა, რამეთუ შენდა მიმართ განვაცხადე სამართალი ჩემი. ამისთჳს ამათ იტყჳს უფალი კაცთა ზედა ანათოელთა, მეძიებელთა სულისა ჩემისათა, მეტყუელთა: არა წინაჲსწარმეტყუელებდე, თუ არა მოჰკუდე ჴელთა მიერ ჩუენთა. ამისთჳს ამათ იტყჳს უფალი საბაოთ: აჰა, მე ზედ-მივიხილო მათ ზედა, ჭაბუკნი მათნი მახჳლისა მიერ მოკუდენ და ძენი მათნი აღესრულნენ სიყმილისა მიერ. და დანაშთომი არა იყოს მათი, რამეთუ მოვაწინე ძჳრნი მკჳდრთა ზედა ანათოთის თანა

წელიწადსა მოხედვისა მათისასა. მართალ ხარ შენ, უფალო, რამეთუ მიგიგო შენდამი, გარნა სასჯელნი ვთქუნე შენდამი. რად, რამეთუ გზაჲ უთნოთაჲ წარემართების? იეფის ყოველთა უგულებელს-მყოფელთა უგულებელს-ყოფათასა. დაჰნერგენ იგინი და განიძირნეს. შვილიერ იქმნნეს, და ყვეს ნაყოფი. მახლობელ ხარ შენ, უფალო, პირისა მათისა და შორს თირკუმელთაგან მათთა. და შენ, უფალო, მიცი მე, გამოსცადე გული ჩემი წინაშე შენსა და შეკრიბენ იგინი, ვითარცა ცხოვარნი კლვადნი, უბიწოჰყვენ იგინი დღისათჳს დაკლვისა მათისა. ვიდრემდის იგლოვდეს ქუეყანაჲ და ყოველი თივაჲ ველისაჲ განჴმეს უკეთურებისაგან დამკჳდრებულთა მათ ზედა? უჩინო იქმნნეს საცხოვარნი და მფრინველნი, რამეთუ თქუას: არა იხილნეს უფალმან გზანი ჩუენნი. შენნი ფერჯნი რბიან და დაგჴსნიან შენ, ვითარ განემზადები ჰუნეთა ზედა? და ქუეყანასა ზედა მშვიდობისასა შენ ესავ, ვითად ჰყოფ ოხრასა ზედა იორდანისასა? ნუ ქუაბი აფთრისაჲ სამკჳდრებელი ჩემი ჩემდა, ანუ ქუაბნი გარემოს მისა? მას ზედა ვიდოდეთ. შეკრიბენით ყოველნი მჴეცნი ველისანი და მოვიდენ ჭამად მისსა. მწყემსთა მრავალთა განრყუნეს ვენაჯი ჩემი, შეაბილწებდეს ნაწილსა ჩემსა. მისცეს ნაწილი გულის-სათქუმელი ჩემი უდაბნოდ მიუვალად, დაიდვა უჩინო საქნელად წარწყმედისა, რამეთუ ამათ იტყჳს უფალი: ყოველთათჳს მეზობელთა ბოროტთა, შემხებელთა სამკჳდრებელისა ჩემისათა, რომელი განვიკერძე ერი ჩემი ისრაელი, აჰა, მე აღვიხუნე იგინი ქუეყანისაგან მათისა და სახლი იუდაჲსი გამოვიყვანო შორის მათსა. და იყოს, შემდგომად გამოყვანებისა მათისა ჩემგან მოვაქციო და შევიწყალნე იგინი და დავამკჳდრნე იგინი კაცადი სამკჳდრებელსა ზედა თჳსსა და კაცადი ქუეყანასა ზედა თჳსსა.

წმიდა პავლე მოციქულის ეპისტოლე
გალატელთა მიმართ 6, 14-18.

ძმანო, ხოლო ჩემდა ნუ იყოფინ სიქადულ, გარნა ჯუარითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისათჳს სოფელი ჩემდამო ჯუარ-ცუმულ არს და მე — სოფლისა. რამეთუ ქრისტე იესუჲს მიერ არცა წინადაცუეთილებაჲ რას შემძლებელ არს, არცა წინადაუცუეთელობაჲ, არამედ ახალი დაბადებული. და რაოდენნი წესსა ამას ზედა ეგნენ, მშჳდობაჲ მათ ზედა და წყალობაჲ და ისრაელსა ზედა ღმრთისასა. ამიერითგან შრომასა ნუვინ შემამთხუევ მე; რამეთუ მე საწერტელნი იგი უფლისა იესუჲსნი ჯორცთა შინა ჩემთა მიტჳრთვან. მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი სულისა თქუენისა თანა, ძმანო. ამენ.

წმიდა პავლე მოციქულის ეპისტოლე
რომაელთა მიმართ 5, 6-10

ძმანო, რამეთუ ქრისტე, ვიდრე-იგი ჩუენ უძლურ-ღა ვიყვენით, ჟამსა ოდენ უღმრთოთათჳს მოკუდა. რამეთუ ძნიად ვინმე მართლისათჳს მოკუდის, ხოლო კეთილისათჳს, ვინ უწყის, ნუუკუე და იკადრისცა ვინმე სიკუდილი. ხოლო გამოაცხადა თჳსი იგი სიყუარული ჩუენდა მომართ ღმერთმან, რამეთუ ვიდრე-იგი ცოდვილღა ვიყვენით, ქრისტე ჩუენთჳს მოკუდა. რაოდენ უკუე უფროჲს აწ, განმართლებულ რაჲ ვართ სისხლითა მისითა, განვერნეთ ჩუენ მის მიერ რისხჳსაგან! უკუეთუ მტერ რაჲ ვიყვენით, დავეგენით ღმერთსა სიკუდილითა ძისა მისისაჲთა, რაოდენ უფროჲს აწ, და-რაჲვეგენით, ვცხონდეთ მაცხოვარებითა მისითა!

წმიდა პავლე მოციქულის ეპისტოლე
ებრაელთა მიმართ 2; 11-18.

ძმანო, რამეთუ განმწმედელი იგი და განწმედილნი იგი ერთისაგან არიან ყოველნი, რომლისათჳსაცა არა ჰრცხუენის

*ახალქართულად ტექსტი იხ. გვ. 23.

ძმად წოდებაჲ მათი და იტყჳს: „მიუთხრა სახელი შენი ძმათა ჩემთა და შორის კრებულსა გიგალობდე შენ“. და მერმე იტყჳს: „მე ვიყო მოსავ მისსა“; და კუალად: „აჰა ესერა მე და ყრმანი, რომელნი მომცნა მე ღმერთმან“. რამეთუ ყრმათაცა ეზიარა ჯორცითა და სისხლითა, და თავადმან მსგავსად მოიღო მათივე, რაჲთა სიკუდილითა მით განაქარვოს, რომლისა-იგი ჴელმწიფებაჲ აქუნდა სიკუდილისაჲ, ესე იგი არს ეშმაკი, და განათავისუფლნეს ესენი, რაოდენნი შიშითა სიკუდილისაჲთა სამარადისოდ ცხორებად თანა-მდებ იყვნეს კირთებისა. რამეთუ არასადაჲთ ანგელოზთაჲთ იწყო, არამედ ნათესავისაგან აბრაჰამისა იწყო. ამისთჳს ჯერ-იყო მისა ყოვლითავე ძმათა მსგავსებაჲ, რაჲთა მოწყალე ექმნეს და სარწმუნო მღდელთ-მოძღუარ ღმრთისა მიმართ, რაჲთა ულხინებდეს ცოდვათა ერისათა. რამეთუ რომლითა-იგი ივნო თავადმან და გამოიცადა, ძალ-უც, რომელნი-იგი განიცადებოდიან, მათდაცა შეწევნად.

წმიდა პავლე მოციქულის ეპისტოლე
ებრაელთა მიმართ 10, 19-31

ძმანო, გუაქუს უკუე, ძმანო, კადნიერებაჲ შესლვად სიწმიდეთა მათ სისხლითა იესუჲსითა, რომელ-იგი განგჳახლა ჩუენ გზაჲ ახალი და ცხოველი კრეტსაბმელითა მით, ესე იგი არს ჯორცთა მისთაჲთა, და მღდელთ-მოძღუარი დიდი სახლსა შინა ღმრთისასა, მოუჴდეთ მას ჭეშმარიტითა გულითა, გულ-სავსებითა სარწმუნოებისაჲთა, სხურებულნი გულითა იჭჳსაგან ბოროტისა და განბანილნი გუამითა წყლითა წმიდითა, შევიკრძალოთ აღსარებაჲ იგი სასოებისაჲ მოუდრეკელად, რამეთუ სარწმუნო არს, რომელმან-იგი აღმითქუა. და განვიცდიდეთ ურთიერთარს აღბაძებად სიყუარულსა და კეთილთა საქმეთა. ნუ დაუტევებთ შესაკრებელსა თჳსსა, ვითარცა-იგი ჩუეულებაჲ არს ვიეთიმე, არამედ ნუგეშინის-სცემდით (ურთიერთარს) და ესოდენ უფროჲს, რაოდენ-ესე ხედავთ მოახლებულსა ამას დღესა. რამეთუ ნებსით შეცოდებათა ჩუენთათჳს, შემდგომად მოღებისა მის ცნობისა ჭეშმარიტებისა, არღარა ცოდვათათჳს მოაკლდების მსხუერპლი, არამედ საშინელი რაჲმე მოლოდებაჲ საშჯელისაჲ და ცე-

ცხლისა შური შესჭამდეს მტერთა მათ. უკუეთუ ვინმე შეურაცხ-ყოს შჯული მოსესი, თჳნიერ წყალობისა, ორითა ანუ სამითა მოწამითა, მოკუდების. რაოდენ ჰგონებთ უძჯრესისა ტანჯვისა ღირს-ყოფად, რომელმან ძე ღმრთისაჲ დათრგუნოს და სისხლი იგი აღთქუმისაჲ არა-ღირსად შეჰრაცხოს, რომლითა განწმიდნა, და სული იგი მადლისაჲ აგინა? რამეთუ ვიცით, რომელმანიგი თქუა: ჩემი არს შურის-გებაჲ, და მე მივაგო, იტყჳს უფალი. და კუალად იტყჳს, რამეთუ: განიკითხოს უფალმან ერი თჳსი. საშინელ არს შევრდომაჲ ჴელთა ღმრთისა ცხოველისათა.

წმიდა პავლე მოციქულის
1 კორინთელთა მიმართ ეპისტოლე 1, 18 - 2, 3

ძმანო, სიტყუაჲ იგი ჯუარისაჲ წარწყმედულთა მათთჳს სიცოფე არს, ხოლო ჩუენ ცხორებულთა ამათთჳს ძალ ღმრთისა არს. რამეთუ წერილ არს: წარვწყმიდო სიბრძნე იგი ბრძენთაჲ და მეცნიერებაჲ იგი მეცნიერთაჲ შეურაცხ-ვყო. სადა არს ბრძენი? სადა არს მწიგნობარი? სადა არს გამომეძიებელი იგი ამის სოფლისაჲ? ანუ არა განაცოფა ღმერთმან სიბრძნე იგი ამის სოფლისაჲ? რამეთუ ვინაჲთგან სიბრძნითა მით ღმრთისაჲთა ვერ იცნა სოფელმან სიბრძნითა თჳსითა ღმერთი, ჯერ-იჩინა ღმერთმან ქადაგებითა მით სისულელისაჲთა ცხორებაჲ მორწმუნეთაჲ მათ. ვინაჲთგან ჰურიანიცა სასწაულსა ითხოვენ, და წარმართნი სიბრძნესა ეძიებენ. ხოლო ჩუენ ვქადაგებთ ქრისტესა ჯუარ-ცუმულსა: ჰურიათა სამე საცთურ, და წარმართთა სისულელე. ხოლო მათვე ჩინებულთა ჰურიათა და წარმართთა ქრისტე ღმრთისა ძალ არს და ღმრთისა სიბრძნე. რამეთუ სულელი იგი ღმრთისაჲ უბრძნეს კაცთა არს, და უძლური იგი ღმრთისაჲ უძლიერეს კაცთა არს. რამეთუ იხილეთ-ღა ჩინებულებაჲ ეგე თქუენი, ძმანო: არა მრავალნი ბრძენ არიანა ჴორციელად, არა მრავალნი ძლიერ არიანა, არა მრავალნი აზნაურ არიანა? არამედ სულელნი იგი სოფლისანი გამოირჩინა ღმერთმან, რაჲთა არცხჳნოს ბრძენთა და უძლურნი იგი სოფლისანი გამოირჩინა ღმერთმან, რაჲთა არცხჳნოს ძლიერთა. და უაზნონი იგი სოფლისანი და შეურაცხნი გამოირჩინა ღმერთმან და არა-

არსნი იგი, რაჲთა არსნი იგი განაქარვნეს; რაჲთა არა იქადოს ყოველმან კორციელმან წინაშე ღმრთისა. მისგან თქუენ ხართ ქრისტე იესუჲს მიერ, რომელი-იგი იქმნა ჩუენდა სიბრძნე ღმრთისა მიერ, სიმართლე, სიწმიდე და გამოჴსნა, რაჲთა, ვითარცა-იგი წერილ არს: რომელი-იგი იქადოდის, უფლისა მიერ იქადოდის. და მე მო-რაჲ-ვედ თქუენდა, ძმანო, არა მოვედ მეტნობისა სიტყჳთა სიბრძნისაჲთა მითხრობად თქუენდა წამებაჲ იგი ღმრთისაჲ. რამეთუ არარაჲ სხუაჲ დავიდევ გულსა ჩემსა უწყებად თქუენდა, გარნა ქრისტე იესუ და ესეცა ჯუარცუმული.

სახარება*

1. იოანე
13, 31-38; 14, 1-31; 15, 1-27; 16, 1-33; 17, 1-26; 18, 1

და ვითარცა განვიდა იუდა, თქუა იესუ: აწ იდიდა ძე კაცისაჲ, და ღმერთიცა იდიდა მის თანა. უკუეთუ ღმერთი იდიდა მის თანა, ღმერთმანცა ადიდოს იგი თავისა თჳსისა თანა და მეყსეულად ადიდოს იგი. შვილნო, მცირედ ჟამ თქუენ თანა ვარ. და მეძიებდეთ მე და, ვითარცა-იგი ვარქუ ჰურიათა, ვითარმედ: ვიდრე-იგი მე მივალ, თქუენ ვერ ჴელ-გეწიფების მოსლვად; და აწ თქუენ გეტყჳ. მცნებასა ახალსა მიგცემ თქუენ, რაჲთა იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ, რაჲთა თქუენცა იყუარებოდით ურთიერთას. ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყურებოდით ურთიერთას. ჰრქუა მას სიმონ-პეტრე: უფალო, ვიდრე ხუალ? ჰრქუა მას იესუ: ვიდრე-იგი მე მივალ, შენ ვერ ძალ-გიც მოსლვად აწ, ხოლო მერმე მომდევდე მე. ჰრქუა მას პეტრე: უფალო, რაჲსა ვერ ძალ-მიც მიდევნებად შენდა? აწ სული ჩემი შენთვის დავდვა. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: სული შენი ჩემთჳს დასდვაა? ამენ, ამენ გეტყჳ შენ: არღარა ეყივლოს ქათამსა, ვიდრემდის უვარ-მყო მე სამგზის. ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი, გრწმენინ ღმრთისაჲ და გრწმენინ ჩემდა მომართ. სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალ არიან. უკუეთუ არა, გარქუმცა თქუენ, ვითარმედ: მე

*ახალქართულად ტექსტი იხ. გვ. 27.

წარვიდე და განგიმზადო თქუენ ადგილი. და უკუეთუ წარვიდე და განგიმზადო თქუენ ადგილი, კუალად მოვიდე და წარგიყვანნე თქუენ თავისა ჩემისა თანა, რაჲთა სადაცა მე ვიყო, მუნცა თქუენ იყვნეთ. და ვიდრე-იგი მე მივალ, უწყით და გზაჲცა იგი იცით. ჰრქუა მას თომა: უფალო, არა ვიცით, ვიდრე ხუალ, და ვითარ შემძლებელ ვართ გზისა მის ცნობად? ჰრქუა მას იესუ: მე ვარ გზაჲ და მე ვარ ჭეშმარიტებაჲ და ცხორებაჲ; არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ. უკუეთუმცა მიცოდეთ მე, მამაჲცამცა ჩემი იცოდეთ. ამიერითგან იცით იგი და გიხილავს იგი. ჰრქუა მას ფილიპე: უფალო, მიჩუენე ჩუენ მამაჲ შენი, და კმა არს ჩუენდა. ჰრქუა მას იესუ: ესოდენ ჟამ თქუენ თანა ვარ, და არა მიცი მე, ფილიპე? რომელმან მიხილა მე, იხილა მამაჲ ჩემი, და შენ ვითარ მეტყჳ მე: მიჩუენე ჩუენ მამაჲ შენი? არა გრწამსა, რამეთუ მე მამისა თანა ვარ, და მამაჲ ჩემ თანა არს? სიტყუათა, რომელთა გეტყჳ თქუენ, თავით ჩემით არა გეტყჳ, არამედ მამაჲ ჩემი, რომელი ჩემ თანა არს, იგი იქმს საქმესა. გრწამსა, რამეთუ მე მამისა თანა ვარ, და მამაჲ ჩემ თანა არს? უკუეთუ არა, საქმეთა ამათგან გრწმენინ ჩემი. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: რომელსა ჰრწმენეს ჩემი, საქმესა რომელსა მე ვიქმ, მანცა ქმნეს, და უფროჲსიღა ამისსა ქმნეს, რამეთუ მე მამისა მივალ. და რაჲცა ითხოვოთ სახელითა ჩემითა, იგი ვყო, რაჲთა იდიდოს მამაჲ ძისა თანა. და უკუეთუ რაოდენი ითხოვოთ სახელითა ჩემითა, მე ვყო. უკუეთუ გიყუარ მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხენით. და მე ვჰკითხო მამასა ჩემსა, და სხუაჲ ნუგეშინის-მცემელი მოგივლინოს თქუენ, რაჲთა თქუენ თანა დაადგრეს უკუნისამდე, სული იგი ჭეშმარიტებისაჲ, რომელი სოფელსა ვერ ჴელ-ეწიფების მოღებად, რამეთუ არა ჰხედავს მას, არცა იცის იგი, ხოლო თქუენ იცით იგი, რამეთუ თქუენ თანა არს და თქუენ თანა იყოს. არა დაგიტევნე თქუენ ობლად, მოვიდე თქუენდა. მცირედღა, და სოფელი ესე არა მხედვიდეს, ხოლო თქუენ მხედვიდეთ მე, რამეთუ მე ცხოველ ვარ, და თქუენცა ცხოველ იყვნეთ. მას დღესა შინა სცნათ თქუენ, რამეთუ მე მამისა ჩემისა თანა, და თქუენ ჩემ თანა, და მე თქუენ შორის. რომელსა აქუნდენ მცნებანი ჩემნი და დაიმარხნეს იგინი, იგი არს, რომელსა უყუარ მე. ხოლო რომელსა უყუარდე

მე, საყუარელ იყოს მამისა ჩემისა მიერ, და მეცა შევიყუარო იგი და გამოუცხადო მას თავი ჩემი. ჰრქუა მას იუდა, არა ისკარიოტელმან: უფალო, რაჲ არს, რამეთუ ჩუენ გამოგჳცხადებ თავსა შენსა და არა სოფელსა? მიუგო იესუ და ჰრქუა მას: უკუეთუ ვისმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, და მამამანცა ჩემმან შეიყუაროს იგი, და მოვიდეთ მისა და მის თანა დავადგრეთ. ხოლო რომელსა არა უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი არა დაიმარხნეს; და სიტყუანი, რომელ გესმიან, არა ჩემნი არიან, არამედ მომავლინებელისა ჩემისა მამისანი. ამას გეტყოდე თქუენ, რამეთუ თქუენ თანა ვიყავ. ხოლო ნუგეშინის-მცემელი იგი სული წმიდაჲ, რომელი მოავლინოს სახელითა ჩემითა მამამან, მან გასწაოს თქუენ ყოველი და მოგაკსენოს თქუენ ყოველი, რაოდენი გარქუ თქუენ. მშჳდობასა დაგიტევებ თქუენ, მშჳდობასა ჩემსა მიგცემ თქუენ; არა ვითარ სოფელმან მისცის, მიგცემ თქუენ. ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი, ნუცა ეშინინ. გესმა, რამეთუ გარქუ თქუენ: წარვალ და მოვიდე თქუენდა. უკუეთუმცა გიყუარდი მე, გიხაროდამცა, რამეთუ მივალ მამისა ჩემისა, რამეთუ მამაჲ ჩემი უფროჲს ჩემსა არს. და აწ გარქუ თქუენ, ვიდრე ყოფადმდე, რაჲთა, რაჟამს იყოს, გრწმენეს. არღარა მრავალსა ვიტყოდი თქუენ თანა, რამეთუ მოვალს მთავარი იგი ამის სოფლისაჲ და ჩემ თანა პოოს არარაჲ. არამედ რაჲთა ცნას სოფელმან, რამეთუ მიყუარს მე მამაჲ, და ვითარცა მამცნო მე მამამან, ეგრეთცა ვყო. აღდეგით და წარვიდეთ ამიერ. მე ვარ ვენაჯი ჭეშმარიტი, და მამაჲ ჩემი მოქმედი არს. ყოველმან რტომან რომელი ჩემ თანა არს და არა მოიღოს ნაყოფი, აღიღოს იგი; და ყოველმან რომელმან მოიღოს ნაყოფი, განწმიდოს იგი, რაჲთა უფროჲსი ნაყოფი გამოიღოს. ხოლო თქუენ აწვე წმიდა ხართ სიტყჳთა მით, რომელსა გეტყოდე თქუენ. დაადგერით თქუენ ჩემ თანა, და მე თქუენ თანა. ვითარცა-იგი ნასხლევსა ვერ ჴელეწიფების ნაყოფისა გამოღებად თავით თჳსით, უკუეთუ არა ეგოს ვენაჯსა ზედა, ეგრეთვე არცა თქუენ, უკუეთუ არა დაადგრეთ ჩემ თანა. მე ვარ ვენაჯი და თქუენ რტონი. რომელი დაადგრეს ჩემ თანა, და მე მის თანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი, რამეთუ თჳნიერ ჩემსა არარაჲ ძალ-გიც ყოფად არცა ერთი. უკუეთუ

ვინმე არა დაადგრეს ჩემ თანა, განვარდეს გარე, ვითარცა ნასხლევი, და განჴმეს, და შეკრიბონ იგი და ცეცხლსა დაასხან, და დაიწუას. უკუეთუ დაადგრეთ ჩემ თანა, და სიტყუანი ჩემნი თქუენ თანა ეგნენ, რაჲცა გინდეს, ითხოვეთ, და გეყოს თქუენ. ამით იდიდოს მამაჲ ჩემი, რაჲთა ნაყოფი მრავალი გამოიღოთ და იყვნეთ ჩემდა მოწაფე. ვითარცა შემიყუარა მე მამამან, მეცა შეგიყუარენ თქუენ, დაადგერით სიყუარულსა ჩემსა ზედა. უკუეთუ მცნებანი ჩემნი დაიმარხნეთ, ჰგიეთ სიყუარულსა ზედა ჩემსა, ვითარცა მე მცნებანი მამისა ჩემისანი დავიმარხენ და ვჰგიე სიყუარულსა ზედა მისსა. ამას გეტყოდე თქუენ, რაჲთა სიხარული ჩემი თქუენ თანა ეგოს, და სიხარული თქუენი სავსებით იყოს. რამეთუ ესე არს მცნებაჲ ჩემი, რაჲთა იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ. უფროჲსი ამისსა სიყუარული არავის აქუს, რაჲთა სული თჳსი დადვას მეგობართა თჳსთათჳს. თქუენ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკუეთუ ჰყოთ, რომელსა-ესე გამცნებ თქუენ. არღარა გეტყჳ თქუენ მონად, რამეთუ მონამან არა იცის, რასა იქმნ უფალი მისი. ხოლო თქუენ გარქუ მეგობრად, რამეთუ ყოველი, რაოდენი მესმა მამისა ჩემისაგან, გაუწყე თქუენ. არა თქუენ გამომირჩიეთ მე, არამედ მე გამოგირჩიენ თქუენ და დაგადგინენ თქუენ, რაჲთა თქუენ წარხჳდეთ და ნაყოფი გამოიღოთ, და ნაყოფი თქუენი ეგოს სავსებით, რაჲთა, რაჲ-იგი სთხოოთ მამასა ჩემსა სახელითა ჩემითა, მოგცეს თქუენ. ამას გამცნებ თქუენ, რაჲთა იყუარებოდით ურთიერთას. უკუეთუ სოფელი გძულობს თქუენ, უწყოდეთ, რამეთუ პირველად მე მომიძულა. უკუეთუმცა სოფლისაგანნი იყვენით, სოფელიმცა თჳსთა ჰყუარობდა; რამეთუ არა სოფლისაგანნი ხართ თქუენ, არამედ მე გამოგირჩიენ თქუენ სოფლისაგან, ამისთჳს სძულთ თქუენ სოფელსა. მოიჯსენეთ სიტყუაჲ იგი, რომელ გარქუ თქუენ: არა არს მონაჲ უფროჲს უფლისა თჳსისა. უკუეთუ მე მდევნეს, თქუენცა გდევნნენ; უკუეთუ სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, თქუენნიცა დაიმარხნენ. არამედ ესე ყოველი გიყონ თქუენ სახელისა ჩემისათჳს, რამეთუ არა იციან მომავლინებელი ჩემი. უკუეთუმცა არა მოვედ და ვეტყოდე მათ, ცოდვაჲმცა არა აქუნდა; ხოლო აწ მიზეზი არა აქუს ცოდვათა მათთათჳს.

რომელსა ვსძულდე მე, მამაჲცა ჩემი სძულს. უკუეთუმცა არა ვქმნენ საქმენი იგი მათ შორის, რომელნი სხუამან არავინ ქმნა, ცოდვაჲმცა არა აქუნდა. ხოლო აწ მიხილეს და მომიძულეს მეცა და მამაჲცა ჩემი. არამედ რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი, რომელი შჯულსა მათსა წერილ არს, რამეთუ: მომიძულეს მე ცუდად. ხოლო რაჟამს მოვიდეს ნუგეშინის-მცემელი იგი, რომელი მე მოვავლინო თქუენდა მამისა ჩემისა მიერ, სული ჭეშმარიტებისაჲ, რომელი მამისაგან გამოვალს, მან წამოს ჩემთჳს. და თქუენცა მოწამე ხართ, რამეთუ დასაბამითგან ჩემ თანა ხართ. ამას გეტყოდე თქუენ, რაჲთა არა დაჰბრკოლდეთ. კრებულისაგან განგასხნენ თქუენ. არამედ მოვალს ჟამი, რაჲთა ყოველმან რომელმან მოგწყჳდნეს თქუენ, ჰგონებდეს, ვითარმედ მსხუერპლი შეწირა ღმრთისა. და ესე გიყონ თქუენ, რამეთუ არა იციან მომავლინებელი ჩემი მამაჲ, არცა მე. არამედ ამას გეტყოდე თქუენ, რაჲთა რაჟამს მოიწიოს ჟამი იგი, მოიჯსენოთ მათი, რამეთუ მე გარქუ თქუენ. ესე პირველითგან არა გარქუ თქუენ, რამეთუ თქუენ თანა ვიყავ. ხოლო აწ მივალ მომავლინებელისა ჩემისა, და არავინ თქუენგანი მკითხავს მე, ვითარმედ: ვიდრე ხუალ? არამედ ამას რაჲ გეტყოდე თქუენ, მწუხარებამან აღავსნა გულნი თქუენნი. არამედ მე ჭეშმარიტსა გეტყჳ თქუენ: უმჯობეს არს თქუენდა, რაჲთა მე წარვიდე; უკუეთუ მე არა წარვიდე, ნუგეშინის-მცემელი იგი არა მოვიდეს თქუენდა; უკუეთუ მე წარვიდე, მოვავლინო იგი თქუენდა. და მოვიდეს იგი და ამხილოს სოფელსა ცოდვისათჳს და სიმართლისათჳს და სასჯელისათჳს: ცოდვისათჳს ესრეთ, რამეთუ არა ჰრწმენა ჩემდა მომართ; ხოლო სიმართლისათჳს, რამეთუ მე მამისა ჩემისა მივალ, და არღარა მხედვიდეთ მე; ხოლო სასჯელისათჳს, რამეთუ მთავარი იგი ამის სოფლისაჲ დასჯილ არს. ფრიადღა მაქუს სიტყუად თქუენდა, არამედ აწ არღარა ძალ გიც ტჳრთვად. ხოლო ოდეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისაჲ, გიძღოდის თქუენ ჭეშმარიტებასა ყოველსა, რამეთუ არა იტყოდის თავით თჳსით, არამედ რაოდენი-რაჲ ესმეს, იტყოდის და მომავალი იგი გითხრას თქუენ. მან მე მადიდოს, რამეთუ ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ. ყოველი, რაოდენი აქუს მამასა, ჩემი არს; და

ამისთჳს გარქუ თქუენ, რამეთუ: ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ. მცირედღა, და არღარა მხედვიდეთ მე; და კუალად მცირედღა, და მიხილოთ მე, რამეთუ მე მივალ მამისა ჩემისა. ჰრქუეს უკუე მოწაფეთა მისთა ურთიერთას: რაჲ არს, რომელსა-ესე მეტყჳს ჩუენ: მცირედღა, და არღარა მხედვიდეთ მე; და კუალად მცირედღა, და მიხილოთ მე, და რამეთუ მე მივალ მამისა ჩემისა? და იტყოდეს უკუე: რაჲ არს ესე „მცირედ“? არა უწყით, რასა იტყჳს. გულისჯმა-ყო იესუ, რამეთუ უნდა კითხვის, და ჰრქუა მათ: ამისთჳს გამოეძიებთა ურთიერთას, რამეთუ ვთქუ: მცირედღა, და არღარა მხედვიდეთ მე; და კუალად მცირედ, და მიხილოთ მე? ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ სტიროდით და ჰგოდებდეთ თქუენ, ხოლო სოფელსა უხაროდის, და თქუენ სწუხდეთ, არამედ მწუხარებაჲ თქუენი სიხარულად გარდაიქცეს. დედაკაცი რაჟამს შობნ, მწუხარე არნ, რამეთუ მოიწია ჟამი მისი. ხოლო რაჟამს შვის ყრმაჲ, არღარა მოეჯსენის ჭირი იგი სიხარულითა მით, რამეთუ იშვა კაცი სოფელსა შინა. ხოლო თქუენ აწ ჭირი გაქუს; და მერმე კუალად გიხილნე თქუენ და უხაროდის გულთა თქუენთა, და სიხარული თქუენი არავინ მიგიღოს თქუენგან. და მას დღესა შინა მე არარაჲ მკითხოთ. ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ რაოდენიცა-რაჲ სთხოოთ მამასა სახელითა ჩემითა, მოგცეს თქუენ. აქამომდე არარაჲ გითხოვიეს სახელითა ჩემითა. ითხოვდით და მოიღოთ, რაჲთა სიხარული თქუენი სავსებით იყოს. ამას იგავით გეტყოდე თქუენ. ხოლო მოვალს ჟამი, ოდეს არღარა იგავით გეტყოდი თქუენ, არამედ განცხადებულად მამისა ჩემისათჳს გითხრა თქუენ. მას დღესა შინა ითხოოთ სახელითა ჩემითა, და არა გეტყჳ თქუენ, ვითარმედ: მე ვჰკითხო მამასა ჩემსა თქუენთჳს. რამეთუ თჳთ მამასა ჩემსა უყუართ თქუენ, რამეთუ თქუენ მე შემიყუარეთ და გრწმენა, რამეთუ მე ღმრთისაგან გამოვედ. გამოვედ მამისაგან და მოვედ სოფლად და კუალად დაუტეობ სოფელსა და მივალ მამისა. ჰრქუეს მას მოწაფეთა მისთა: აჰა აწ განცხადებულად იტყჳ და იგავსა არცა ერთსა რას იტყჳ. და აწ უწყით ჩუენ, რამეთუ ყოველივე იცი და არა გიჯმს, რაჲთა გკითხოს ვინმე. ამის გამო გურწმს, რამეთუ ღმრთისაგან გამოხუედ. მიუგო იესუ და ჰრ-

ქუა მათ: აწ სამე გრწამს? აჰა მოვალს ჟამი და მოწევნულ არს, რამეთუ განიბნინეთ კაცად-კაცადი თჳსად ადგილად და მე მარტოჲ დამიტეოთ; და არა ვარ მე მარტოჲ, არმედ მამაჲ ჩემი ჩემ თანა არს. ამას გეტყოდე თქუენ, რაჲთა ჩემ თანა მშჳდობაჲ გაქუნდეს. სოფელსა ამას ჭირი გაქუს, არამედ ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა. ამას იტყოდა იესუ და აღიხილნა თუალნი თჳსნი ზეცად და თქუა: მამაო, მოიწია ჟამი ჩემი, ადიდე ძე შენი, რაჲთა ძემანცა შენმან გადიდოს შენ. ვითარცა-ესე მოეც მას ჴელმწიფებაჲ ყოველთა ჴორციელთაჲ, რაჲთა ყოველი რომელი მოეც მას, მისცეს მათ ცხორებაჲ საუკუნოჲ. და ესე არს ცხორებაჲ საუკუნოჲ, რაჲთა გიცოდიან შენ მხოლოჲ ჭეშმარიტი ღმერთი, და რომელი მოავლინე — იესუ ქრისტე. მე გადიდე შენ ქუეყანასა ზედა, საქმე აღვასრულე, რომელი მომეც მე, რაჲთა ვყო. და აწ მადიდე მე, მამაო, თავისა შენისა თანა დიდებითა მით, რომელი მაქუნდა წინაშე შენსა უწინარეს სოფლის დაბადებისა. გამოუცხადე სახელი შენი კაცთა, რომელნი მომცენ მე სოფლისა ამისგან; შენნი იყვნეს და მე მომცენ იგინი, და სიტყუაჲ შენი დაუმარხავს. და აწ უცნობიეს, რამეთუ ყოველი, რომელი მომეც მე, შენგან არს. რამეთუ სიტყუანი, რომელნი მომცენ მე, მივსცენ მათ, და მათ მიიხუნეს და ცნეს ჭეშმარიტად, რამეთუ შენგან გამოვედ, და ჰრწმენა, რამეთუ შენ მომავლინე მე. მე მათთჳს გკითხავ; არა თუ სოფლისათჳს გკითხავ, არამედ მათთჳს, რომელნი მომცენ მე, რამეთუ შენნი არიან. და ჩემი ყოველი შენი არს, და შენი ჩემი არს, და დიდებულ ვარ მე მათ შორის. და არღარა ვარ მე სოფელსა ამას, და ესენი სოფელსა შინა არიან, და მე შენდა მოვალ. მამაო წმიდაო, დაიცევენ ესენი სახელითა შენითა, რომელნი მომცენ მე, რაჲთა იყვნენ ერთობით, ვითარცა ჩუენ. ოდეს ვიყავ მათ თანა სოფელსა შინა, მე ვსცევდ მათ სახელითა შენითა; რომელნი მომცენ მე, დავიცევენ, და არავინ მათგანი წარწყმდა, გარნა ძე იგი წარწყმედისაჲ, რაჲთა წერილი აღესრულოს. ხოლო აწ შენდა მოვალ და ამას ვიტყჳ სოფელსა შინა, რაჲთა აქუნდეს მათ სიხარული ჩემი სავსებით. მე მივსცენ მათ სიტყუანი შენნი, და სოფელმან მოიძულნა იგინი, რამეთუ არა არიან სოფლისა ამისგანნი, ვითარცა

მე არა ვარ სოფლისა ამისგან. არა ვიტყჳ, რაჲთა აღიხუნე იგინი სოფლისაგან, არამედ რაჲთა დაიცვნე იგინი ბოროტისაგან. სოფლისაგანნი არა არიან, ვითარცა მე არა სოფლისაგანი ვარ. წმიდა-ყვენ ესენი ჭეშმარიტებითა, რამეთუ სიტყუაჲ შენი ჭეშმარიტ არს. ვითარცა მომავლინე მე სოფლად, მეცა წარვავლინებ მათ სოფლად. და მათთჳს წმიდა-ვჰყოფ თავსა ჩემსა, რაჲთა იგინიცა იყვნენ წმიდა ჭეშმარიტებით. და არა ამათთჳს ხოლო გკითხავ, არამედ ყოველთათჳს, რომელთა ჰრწმენეს სიტყჳთა მათითა ჩემდა მომართ; რაჲთა ყოველნი ერთ იყვნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩემდამო, და მე შენდამი, რაჲთა იგინიცა ჩუენ შორის ერთ იყვნენ, რაჲთა სოფელსა ჰრწმენეს, რამეთუ შენ მომავლინე მე. და მე დიდებაჲ, რომელი მომეც მე, მივეც მათ, რაჲთა იყვნენ ერთ, ვითარცა ჩუენ ერთ ვართ. მე მათ შორის, და შენ ჩემ თანა, რაჲთა იყვნენ სრულ ერთობითა, და რაჲთა უწყოდის სოფელმან, რამეთუ შენ მომავლინე მე და შეიყუარენ იგინი, ვითარცა მე შემიყუარე. მამაო, რომელნი-ესე მომცენ მე, მნებავს, რაჲთა, სადაცა მე ვიყო, იგინიცა ჩემ თანა იყვნენ, რაჲთა ხედვიდენ დიდებასა ჩემსა, რომელი მომეც მე, რამეთუ შემიყუარე მე უწინარეს სოფლის დაბადებისა. მამაო მართალო, და სოფელმან შენ არა გიცნა, ხოლო მე გიცან შენ, და მათცა ცნეს, რამეთუ შენ მომავლინე მე. და ვაუწყე სახელი შენი და ვაუწყო, რაჲთა სიყუარულითა მით რომლითა შემიყუარე მე, მათ შორის იყოს, და მე მათ თანა. ესე თქუა იესუ და გამოვიდა მოწფითურთ თჳსით წიაღ ჴევსა მას ნაძოვანსა, სადაცა-იგი იყო მტილი, რომელსა შევიდა თავადი და მოწაფენი მისნი.

2. იოანე 18, 1-28

ესე თქუა იესუ და გამოვიდა მოწფითურთ თჳსით წიაღ ჴევსა მას ნაძოვანსა, სადაცა-იგი იყო მტილი, რომელსა შევიდა თავადი და მოწაფენი მისნი. იცოდა იუდაცა, მიმცემელმან მისმან, ადგილი იგი, რამეთუ მრავალ-გზის შესრულ იყო მუნ იესუ მოწაფითურთ თჳსით. ხოლო იუდა წარიყვანა ერი და მღდელთ-მოძღუართა და ფარისეველთაგან მსახურნი და მოვიდა მუნ სანთლებითა და ლამპრებითა და საჭურველითა. ხოლო იესუ იცოდა

ყოველი იგი მომავალი მის ზედა, გამოვიდა და ჰრქუა მათ: ვის ეძიებთ? მიუგეს და ჰრქუეს მას: იესუს ნაზარეველსა. ჰრქუა მათ იესუ: მე ვარ. დგა იუდაცა, მიმცემელი იგი მისი, მათ თანა. და ვითარცა ჰრქუა მათ: მე ვარ, გარეუკუნიქცეს და დაეცნეს ქუეყანასა. მერმე კუალად ჰკითხა მათ: ვის ეძიებთ? და მათ ჰრქუეს მას: იესუს ნაზარეველსა. ჰრქუა მათ იესუ: გარქუ თქუენ, ვითარმედ: მე ვარ. უკუეთუ მე მეძიებთ, უტევენით ესენი, წარვიდენ. რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი, რომელი თქუა, ვითარმედ: რომელნი მომცენ მე, არა წარვწყმიდე მათგანი არცა ერთი. ხოლო სიმონ-პეტრეს აქუნდა მახჳლი, აღმოიჯადა იგი და სცა მონასა მღდელთ-მოძღურისასა და წარჰკუეთა ყური მისი მარჯუენე. ხოლო იყო სახელი მონისაჲ მის მალქოზ. ჰრქუა იესუ პეტრეს: დადევ მახჳლი ქარქაშსა! სასუმელი, რომელი მომცა მე მამამან, არა შევსუაა იგი? ხოლო კრებულმან მან და ათასისთავმან და მსახურთა მათ ჰურიათამან შეიპყრეს იესუ და შეკრეს იგი. და მიიყვანეს იგი პირველად ანნაჲსა, რამეთუ იყო სიმამრი კაიაფაჲსი, რომელი იყო მღდელთ-მოძღუარი მის წელიწადისაჲ. ხოლო ესე კაიაფა იყო, რომელმან აზრახა ჰურიათა, ვითარმედ: უმჯობეს არს კაცისა ერთისა სიკუდილი ერისათჳს. მისდევდა იესუს სიმონ-პეტრე და სხუაჲ იგი მოწაფჱ. ხოლო მოწაფე იგი ერთი მეცნიერ იყო მღდელთ-მოძღურისა და შევიდა იესუჲს თანა ეზოსა მღდელთ-მოძღურისასა. ხოლო პეტრე დგა კარსა თანა გარეშე. განვიდა ერთი იგი მოწაფე, რომელი იყო მეცნიერ მღდელთ-მოძღურისა, და ჰრქუა მეკარესა მას დედაკაცსა და შეიყვანა პეტრე. ჰრქუა მჴევალმან მან მეკარემან პეტრეს: ნუუკუე შენცა მოწაფეთაგანი ხარ მის კაცისათაჲ? ხოლო პეტრე თქუა: არა ვარ. დგეს მონანი იგი და მსახურნი მღდელთ-მოძღუართანი, და ნაკუერცხალი აღეგზნა, რამეთუ ყინელი იყო, და ტფებოდეს. დგა მათ თანა პეტრეცა და ტფებოდა. ხოლო მღდელთ-მოძღუარმან მან ჰკითხა იესუს მოწაფეთა მისთათჳს და მოძღურებისა მისისათჳს. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: მე განცხადებულად ვეტყოდე სოფელსა და მე მარადის ვასწავებდ შესაკრებელსა და ტაძარსა შინა, სადა-იგი ყოვლადვე ჰურიანი შეკრბიან, ხოლო ფარულად არარას ვეტყოდე. რაჲსა მკითხავ მე? ჰკითხე მათ, რომელთა ეს-

მოდა, რასა ვასწავებდ მათ. აჰა ამათ იციან, რასა-იგი ვეტყოდე მათ. და ვითარცა ესე თქუა იესუ, ერთმან მსახურთაგანმან მუნ მდგომარემან სცა ყურიმალსა იესუს და ჰრქუა: ესრეთ სიტყუასუგება მღდელთ-მოძღუარსა? ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ ბოროტსა ვიტყოდე, წამე ბოროტისათჳს; უკუეთუ კეთილსა, რაჲსათჳს მცემ? და მიაველინა იგი ანა კრული კაიაფაჲსა, მღდელთ-მოძღურისა. ხოლო სიმონ-პეტრე დგა და ტფებოდა. ჰრქუეს მას მუნ მდგომარეთა მათ: ნუუკუე შენცა მოწაფეთა მისთაგანი ხარ? ხოლო მან უვარ-ყო და თქუა: არა ვარ. ჰრქუა მას ერთმან მონათაგანმან მღდელთ-მოძღურისამან — ნათესავი იყო მისი, რომელსა-იგი პეტრე წარჰკუეთა ყური — არა მე გიხილეა მტილსა მას შინა მის თანა? და კუალად უვარ-ყო პეტრე. და მეყსეულად ქათამმან იყივლა. და მოიყვანეს იესუ კაიაფაჲსით ტაძრად. და იყო განთიად. და იგინი არა შევიდეს ტაძრად, რაჲთა არა შეიგინნენ, არამედ რაჲთა ჭამონ პასექი.

3. მათე 26, 57-27, 1; 26, 57-75

ხოლო მათ შეიპყრეს იესუ და მიიყვანეს კაიაფაჲსა მღდელთ-მოძღურისა, სადა-იგი მწიგნობარნი და მოხუცებულნი ერისანი შეკრებულ იყვნეს. ხოლო პეტრე მისდევდა მას შორით, ვიდრე ეზოდმდე მღდელთ-მოძღურისა, და შევიდა შინა და დაჯდა მსახურთა თანა ხილვად აღსასრულისა. ხოლო მღდელთ-მოძღუარნი იგი და მოხუცებულნი და ყოველი კრებული ეძიებდეს ცრუ-მოწამეთა იესუჲსთჳს, რაჲთამცა მოკლეს იგი, და არა ჰპოებდეს; და მრავალნი მოსრულ იყვნეს ცრუ-მოწამენი, და არა პოვნეს. ხოლო უკუანაჲსკნელ მო-ვინმე-ვიდეს ორნი და თქუეს, ვითარმედ: ამან ესრეთ თქუა: ძალ-მიც დარღუევად ტაძარი ესე ღმრთისაჲ და მესამესა დღესა აღშენებად. მაშინ აღდგა მღდელთ-მოძღუარი იგი და ჰრქუა მას: არარას მიუგება, რასა-ეგე შეგწამებენ შენ? ხოლო იესუ დუმნა. მაშინ მღდელთ-მოძღუარმან მან ჰრქუა მას: გაფუცებ შენ ღმრთისა ცხოველისა, რაჲთა მითხრა ჩუენ, უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ? ჰრქუა მას იესუ: შენ სთქუ, ხოლო გეტყჳ თქუენ: ამიერითგან იხილოთ ძე კაცისაჲ მჯდომარე მარჯუენით ძლიერებასა და მომავალი ღრუბელთა

თანა ცისათა. მაშინ მღდელთ-მოძღუარმან მან დაიპო სამოსელი თჳსი და თქუა, ვითარმედ: გმო; აწ უკუე რაჲსაღა გჳკმან მოწამენი? აჰა ესერა გესმა გმობაჲ მაგისი. რაჲ გნებავს თქუენ? ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს: თანამდებ არს სიკუდილისა. მაშინ ჰნერწყუვიდეს პირსა მისსა და ჯურთითა სცემდეს თავსა მისსა, და რომელნიმე ყურიმალსა სცემდეს და ეტყოდეს: გჳწინაჲსწარმეტყუელებდ ჩუენ, ქრისტე, ვინ არს, რომელმან გცა შენ? ხოლო პეტრე ჯდა გარეშე ეზოსა შინა. მოუჯდა მას ერთი მჴევალი და ჰრქუა მას: და შენცა იყავ იესუჲს თანა, გალილეველისა. ხოლო მან უვარ-ყო წინაშე ყოველთასა და ჰრქუა: არა ვიცი, რასა იტყჳ. და ვითარცა გამოვიდა იგი გარეშე ბჭეთა, იხილა იგი სხუამან და ჰრქუა მუნ მდგომარეთა მათ: ესეცა იყო იესუჲს თანა, ნაზარეველისა. და მერმეცა უვარ-ყო პეტრე ფიცით და თქუა, ვითარმედ: არა ვიცი კაცი იგი. და შემდგომად მცირედისა მოუჯდეს მუნ მდგომარენი იგი პეტრეს და ჰრქუეს მას: ჭეშმარიტად შენცა მათგანი ხარ, რამეთუ სიტყუაჲცა შენი გამოგაჩინებს შენ. მაშინ იწყო შეჩუენებად და ფიცად, ვითარმედ: არა ვიცი კაცი იგი. და მეყსეულად ქათამმან იყივლა. და მოეჴსენა პეტრეს სიტყუაჲ იგი იესუჲსი, რომელი ჰრქუა მას, ვითარმედ: ვიდრე ქათმისა ჴმობაღმდე სამ-გზის უვარ-მყო მე. და გამოვიდა გარე და ტიროდა მწარედ.

4. იოანე 18, 28 - 19, 16

და მოიყვანეს იესუ კაიაფაჲსით ტაძრად. და იყო განთიად. და იგინი არა შევიდეს ტაძრად, რაჲთა არა შეიგინნენ, არამედ რაჲთა ჭამონ პასექი. გამოვიდა პილატე მათა გარე და ჰრქუა მათ: რასა შესმენასა მოიღებთ კაცისა ამისა ზედა? მიუგეს და ჰრქუეს მას: უკუეთუმცა არა ბოროტის-მოქმედი იყო, არამცა მიგეცით შენ ეგე. ჰრქუა მათ პილატე: მიიყვანეთ ეგე თქუენ და შჯულისა თქუენისაებრ განიკითხეთ ეგე. ჰრქუეს მას ჰურიათა მათ: ჩუენდა არავისი ჯერ-არს მოკლვაჲ. რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი იესუჲსი, რომელ თქუა და აუწყებდა, რომლითა სიკუდილითა ეგულებოდა მოსიკუდიდ. კუალად უკუე შევიდა პილატე ტაძრად და შეხადა იესუს და ჰრქუა მას: შენ ხარა მეუფ

ჰურიათაჲ? ჰრქუა მას იესუ: შენ თავით თჳსით იტყჳ მაგას, ანუ სხუათა გითხრეს ჩემთჳს? მიუგო პილატე და ჰრქუა მას: ნუუკუე მე ჰურიაჲ ვარა? ნათესავთა შენთა და მღდელთ-მოძღუართა მოუცემიხარ შენ ჩემდა. რაჲ გიქმნიეს? მიუგო იესუ და ჰრქუა მას: მეუფებაჲ ჩემი არა ამის სოფლისაგანი არს. უკუეთუმცა ამის სოფლისაგანი იყო მეუფებაჲ ჩემი, მსახურნიმცა ჩემნი იღუწიდეს ჩემთჳს, რაჲთა არამცა მივეცი ჰურიათა. ხოლო აწ მეუფებაჲ ჩემი არა არს ამიერ სოფლით. ჰრქუა მას პილატე: უკუეთუ მეუფჱ ხარ შენ? ჰრქუა მას იესუ: შენ იტყჳ, რამეთუ მეუფე ვარ მე. მე ამისთჳს შობილ ვარ და ამისათჳს მოვივლინე სოფლად, რაჲთა ვწამო ჭეშმარიტი. ყოველი რომელი ჭეშმარიტებისგან იყოს, ისმინოს ჴმისა ჩემისაჲ. ჰრქუა მას პილატე: რაჲ არს ჭეშმარიტებაჲ? და ვითარცა ესე თქუა, კუალად გამოვიდა და ჰრქუა ჰურიათა მათ: მე არცა ერთსა ბრალსა ვჰპოებ ამის თანა. ხოლო არს ჩუეულებაჲ თქუენი, რაჲთა ერთი მიგიტეო თქუენ დღესასწაულსა ამას. გნებავსა, რაჲთა მიგიტევო თქუენ მეუფჱ ჰურიათაჲ? კუალად უკუე ღაღად-ყვეს ყოველთა და თქუეს: ნუ ეგე, არამედ ბარაბა. და იყო ესე ბარაბა ავაზაკი. მაშინ მოიყვანა პილატე იესუ და ტანჯა იგი. და ერისაგანთა მათ შეთხზეს გჳრგჳნი ეკალთაგან და დაადგეს თავსა მისსა და სამოსელი ძოწეული შეჰმოსეს მას. და მოვიდიან მისა და ეტყჳედ მას: გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათაო! და სცემდეს ყურიმალსა. გამოვიდა უკუე კუალად გარე პილატე და ჰრქუა მათ: აჰა გამოვიყვანო იგი გარე თქუენდა, რაჲთა სცნათ, რამეთუ მის თანა არცა ერთი ბრალი ეპოე. გამოვიდა იესუ გარე, და ედგა ეკლისა იგი გჳრგჳნი და ძოწეული სამოსელი. და ჰრქუა მათ პილატე: აჰა კაცი იგი! და ვითარცა იხილეს იგი მღდელთ-მოძღუართა მათ და მსახურთა, ღაღად-ყვეს და თქუეს: ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ ეგე! ჰრქუა მათ პილატე: მიიყვანეთ ეგე თქუენ და ჯუარს-აცუთ, რამეთუ მე მაგის თანა ბრალსა არარას ვჰპოებ. მიუგეს ჰურიათა და ჰრქუეს მას: ჩუენ შჯული გუაქუს და, შჯულისა ჩუენისაებრ თანა-აც სიკუდილი, რამეთუ თავი თჳსი ძედ ღმრთისა ყო. ვითარცა ესმა სიტყუაჲ ესე პილატეს, უფროჲს შეეშინა. და შევიდა კუალად მუნვე ტაძრად და ჰრქუა იესუს: ვინაჲ ხარ შენ? ხოლო იესუ სი-

ტყუაჲ არა მიუგო მას. ჰრქუა მას პილატე: მე არას მეტყჳა? ანუ არა უწყია, რამეთუ ჴელმწიფებაჲ მაქუს ჯუარს-ცუმად შენდა და ჴელმწიფებაჲ მაქუს განტევებად შენდა? ჰრქუა მას იესუ: არა გაქუს ჴელმწიფებაჲ ჩემი არცა ერთი, უკუეთუმცა არა მოცემულ იყო შენდა ზეგარდამო. ამისათჳს მიმცემელსა ჩემსა შენდა უდიდესი ცოდვაჲ აქუს. ამის გამო პილატეს უნდა განტევებაჲ მისი, ხოლო ჰურიანი იგი ღაღადებდეს და იტყოდეს: უკუეთუ ეგე განუტეო, არა ხარ მოყუარე კეისრისაჲ, რამეთუ ყოველი, რომელი მეუფედ იტყჳნ თავსა თჳსსა, სიტყუას-უგებნ კეისარსა. ხოლო პილატეს რაჲ ესმა სიტყუაჲ ესე, გამოიყვანა იესუ გარე და დაჯდა იგი საყდართა ზედა, ადგილსა მას, რომელსა ჰრქჳან ქვაფენილ, ხოლო ებრაელებრ კაპპათა. და იყო პარასკევი პასქაჲსაჲ, და ჟამი იყო მეექუსე. ჰრქუა პილატე ჰურიათა მათ: აჰა მეუფჱ თქუენი! ხოლო იგინი ღაღადებდეს და იტყოდეს: აღიღე, აღიღე და ჯუარს-აცუ ეგე! ჰრქუა მათ პილატე: მეუფე თქუენი მე ჯუარს-ვაცუაა? მიუგეს მღდელთ-მოძღუართა მათ და ჰრქუეს: არა გჳვის ჩვენ მეუფჱ, გარნა კეისარი. მაშინ მისცა იგი მათ, რაჲთა ჯუარს-ეცუას. ხოლო მათ წარიყვანეს იესუ.

5. მათე 27, 3-32

მაშინ ვითარცა იხილა იუდა, რომელმანცა მისცა იგი, რამეთუ დაისაჯა, შეინანა და მიაქცია ოც და ათი იგი ვეცხლი მღდელთ-მოძღუართა მათ მიმართ და მოხუცებულთა და თქუა: ვცოდე, რამეთუ მიგეც სისხლი მართალი. ხოლო მათ ჰრქუეს მას: ჩუენდა რაჲ? შენ იხილე! და დააბნია ვეცხლი იგი ტაძარსა მას შინა და განეშორა და წარვიდა და შიშთვილ-იბა. ხოლო მღდელთ-მოძღუართა მათ მოიღეს ვეცხლი იგი და თქუეს: არა ჯერ-არს ესე დადებად სიწმიდესა, რამეთუ სასყიდელი სისხლისაჲ არს. და ზრახვა-ყვეს და მოიყიდეს მითა აგარაკი იგი მეკეცისაჲ საფლავად უცხოთა. ამისთჳს ეწოდა აგარაკსა მას აგარაკი სისხლისაჲ ვიდრე აქა ღღედმდე. მაშინ აღესრულა თქუმული იგი იერემია წინაჲსწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყჳს: და მოვიღე ოც და ათი იგი ვეცხლი, სასყიდელი განსყიდულისაჲ მის, რომელი მოიყიდეს ძეთაგან ისრაჱლისათა, და მისცეს იგი

აგარაკისათჳს მეკეცისა, ვითარცა მიბრძანა მე უფალმან. ხოლო იესუ დადგა წინაშე მთავრისა მის. და ჰკითხა მას მთავარმან მან და ჰრქუა: შენ ხარა მეუფჱ ჰურიათაჲ? ხოლო იესუ ჰრქუა მას: შენ იტყჳ. და შესმენასა მას მღდელთ-მოძღუართასა და მოხუცებულთასა არარაჲ მიუგო. მაშინ ჰრქუა მას პილატე: არა გესმისა, რაოდენსა-ესე შეგწამებენ შენ? და არარაჲ მიუგო მას არცა ერთისა სიტყჳსათჳს, ვიდრემდე უკჳრდაცა მთავარსა მას ფრიად. ხოლო დღესასწაულთა ჩუეულ იყო მთავარი იგი, და მიუტევის ერსა მას ერთი პყრობილი, რომელიცა უნებენ მათ. ხოლო ჰყვა ვინმე მაშინ პყრობილი შესწავებული, რომელსა ერქუა ბარაბა. და ვითარ შეკრებულ იყვნეს იგინი, ჰრქუა მათ პილატე: ვინ გნებავს ორთა ამათგანი, და მიგიტეო თქუენ: ბარაბა ანუ იესუ, რომელსა ჰრქჳან ქრისტე? რამეთუ უწყოდა, ვითარმედ შურითა მისცეს იგი. და ვითარცა დაჯდა პილატე საყდართა ზედა, მიუვლინა მას ცოლმან მისმან და ჰრქუა მას: არარაჲ ძეს შენი და მართლისა მაგის კაცისაჲ, რამეთუ მრავალი მევნო მე დღეს ჩუენებით მაგისთჳს. ხოლო მღდელთ-მოძღუართა მათ და მოხუცებულთა არწმუნეს ერსა მას, რაჲთა გამოითხოონ ბარაბა, ხოლო იესუ წარწყმიდონ. მიუგო მთავარმან მან და ჰრქუა მათ: ვინ გნებავს ორთა ამათგანი, და მიგიტეო თქუენ? ხოლო მათ ჰრქუეს: ბარაბა. ჰრქუა მათ პილატე: რაჲ უკუე უყო იესუს, რომელსა ჰრქჳან ქრისტე? ჰრქუეს მას ყოველთა: ჯუარს-ეცჳნ. ხოლო მთავარმან ჰრქუა მათ: და რაჲ ბოროტი უქმნიეს? ხოლო იგინი უმეტეს ღაღადებდეს და იტყოდეს: ჯუარს-ეცჳნ. ვითარცა იხილა პილატე, რამეთუ არარას არგებს, არამედ უფროჲსღა შფოთი იქმნების, მოითხოვა წყალი და დაიბანნა კელნი წინაშე ერისა მის და თქუა: უბრალო ვარ მე სისხლისაგან მაგისისა, თქუენ იხილეთ. და მიუგო ყოველმან ერმან და ჰრქუეს: სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა. მაშინ მიუტევა მათ ბარაბა, ხოლო იესუს შოლტითა სცა და მისცა მათ, რაჲთა ჯუარს-ეცუას. მაშინ ერისაგანთა მათ მთავრისათა წარიყვანეს იესუ ტაძრად და შეკრიბეს მის ზედა ნათესავები იგი ყოველი. და განძარცუეს იგი და ქლამინდი მეწამული შეჰმოსეს მას. და შეთხზეს გჳრგჳნი ეკალთაგან და დაადგეს თავსა მისსა და ლე-

რწამი მისცეს მარჯუენესა ჴელსა მისსა და მუჴლნი დაიდგნეს მის წინაშე, ემღერდეს მას და ეტყოდეს: გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათაო! და ჰნერწყუვიდეს მას, და მოიღეს ლერწამი და სცემდეს თავსა მისსა. და ოდეს განკიცხეს იგი, განსძარცუეს მას ქალმინდი იგი და შეჰმოსეს მას თჳსივე სამოსელი და წარიყვანეს იგი, რაჲთა ჯუარს-აცუან. და ვითარცა გამოვიდეს იგინი მიერ, პოვეს კაცი კჳრინელი, სახელით სიმონ. ესე წარიქციეს პაჰრაკად, რაჲთა აღიღოს ჯუარი მისი.

6. მარკოზი 15, 16-32

ხოლო სტრატიოტთა მათ შეიყვანეს იგი შინაგან ეზოსა მას, რომელ არს ტაძარი, და შეკრიბეს ყოველივე იგი თესლები. და შეჰმოსეს მას ძოწეული და დაადგეს შეთხზული ეკალთაგან გჳრგჳნი. და იწყეს მოკითხვად მისა და იტყოდეს: გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათაო! და სცემდეს მას თავსა ლერწმითა და ჰნერწყუვიდეს მას და დაიდგნიან მუჴლნი და თაყუანის-სცემედ მას. და ოდეს განკიცხეს იგი, განსძარცუეს მას ძოწეული იგი და შეჰმოსეს თჳსივე სამოსელი და განიყვანეს იგი, რაჲთა ჯუარს-აცუან. და პაჰრაკად წარიყვანეს თანა-წარმავალი სიმონ ვინმე კჳრინელი, მომავალი ველით, მამაჲ ალექსანდრესი და რუფესი, რაჲთა აღიღოს ჯუარი მისი. და მოიყვანეს იგი გოლგოთას, ადგილსა, რომელ არს გამოთარგმანებით: თხემისა ადგილი. და მისცემდეს მას სუმად შემურვილსა ღჳნოსა, ხოლო მან არა მიიღო. და ჯუარს-აცუეს იგი და განიყოფდეს სამოსელსა მისსა და განიგდებდეს მას ზედა წილსა, ვინ-ძი რაჲ აღიღოს. ხოლო იყო ჟამი მესამე, და ჯუარს-აცუეს იგი. და იყო ზედაწერილი ბრალისა მისისაჲ ესრეთ დაწერილ: ესე არს მეუფჱ ჰურიათაჲ. და მის თანა ჯუარს-აცუნეს ორნი ავაზაკნი: ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით მისა. და აღესრულა წერილი იგი, რომელი იტყჳს, ვითარმედ: უშჯულოთა თანა შეირაცხა. და თანა-წარმავალნი იგი ჰგმობდეს მას და ყრიდეს თავთა და იტყოდეს: ეჰა, რომელი დაარღუევდ ტაძარსა ამას და მესამესა დღესა აღაშჱნებდ, იჴსენ თავი თჳსი და გარდამოჴედ მაგიერ ჯუარით. ეგრეთვე მღდელთ-მოძღუარნი იგი იმღერდეს მწიგნობართა თანა და იტყოდეს:

სხუანი აცხოვნა, თავი თჳსი ვერ ძალ-უც ცხოვნებად! ქრისტე, მეუფე ისრაჱლისა, გარდამოჴედინ აწ ჯუარით, რაჲთა ვიხილოთ და გურწმენეს.

7. მათე 27, 33-54

და მოვიდეს ადგილსა მას, რომელსა ჰრქჳან გოლგოთა, რომელ არს თხემისა ადგილი. და მისცეს მას ძმარი ნავღლითა აღზავებული. და გემოჲ რაჲ იხილა, არა უნდა სუმის. და ვითარცა ჯუარს-აცუეს იგი, განიყვეს სამოსელი მისი და განიგდეს წილი, რაჲთა აღესრულოს თქუმული იგი წინაჲწარმეტყუელისა მიერ, რომელსა იტყჳს: განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი. და სხდეს მუნ და სცვიდეს მას. და დასდვეს თავსა მისსა ზედა ბრალი მისი დაწერილი: ესე არს იესუ, მეუფე ჰურიათაჲ. მაშინ ჯუარს-აცუნეს მის თანა ორნი ავაზაკნი: ერთი მარჯუენით მისა და ერთი მარცხენით. ხოლო თანა-წარმავალნი იგი ჰგმობდეს მას, ყრიდეს თავთა მათთა და იტყოდეს: რომელი დაჰჴსნიდ ტაძარსა ამას და მესამესა დღესა აღაშენებდ, იჴსენ თავი თჳსი; უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, გარდამოჴედ მაგიერ ჯუარით! ეგრეთვე მღდელთ-მოძღუარნი იგი ემღერდეს მწიგნობართა თანა და მოხუცებულთა და ფარისეველთა და იტყოდეს: სხუანი აცხოვნა, თავი თჳსი ვერ ძალ-უც ცხოვნებად. უკუეთუ მეუფჱ ისრაჱლისაჲ არს, გარდამოჴედინ აწ მაგიერ ჯუარით, და გურწმენეს იგი. უკუეთუ ესვიდა ღმერთსა, იჴსენინ იგი, უკუეთუ ჰნებავს იგი, რამეთუ თქუა, ვითარმედ: ძე ღმრთისაჲ ვარი მე. ეგრეთვე ავაზაკნი იგი, მის თანა ჯუარს-ცუმულნი, აყუედრებდეს მას. ხოლო მეექუსით ჟამითგან დაბნელდა ყოველი ქუეყანაჲ, ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე. და მეცხრესა ოდენ ჟამსა ჴმა-ყო იესუ ჴმითა დიდითა და თქუა: ილი, ილი! ლიმა საბაქთანი? ესე არს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რაჲსათჳს დამიტევე მე? და რომელთამე მუნ მდგომარეთა ესმა ესე და იტყოდეს, ვითარმედ: ელიას უჴმობს ესე. და მეყსეულად მირბიოდა ერთი მათგანი და მოიღო ღრუბელი და აღავსო ძმრითა და დაადგა ლერწამსა და ასუმიდა მას. ხოლო სხუანი იტყოდეს: აცადეთ, და ვიხილოთ, უკუეთუ ელია მოვიდეს ჴსნად მისა.

ხოლო იესუ კუალად ჴმა-ყო ჴმითა დიდითა და განუტევა სული. და აჰა კრეტსაბმელი იგი ტაძრისაჲ მის განიპო ორად ზეითგან, ვიდრე ქუემდე, და ქუეყანაჲ შეიძრა და კლდენი განსთქდეს, და საფლავნი აღეხუნეს, და მრავალნი გუამნი შესუენებულთა წმიდათანი აღდგეს და გამოვიდეს საფლავით მათით და, შემდგომად აღდგომისა მისისა, შევიდეს წმიდასა ქალაქსა და გამოეცხადნეს მრავალთა. ხოლო ასისთავმან მან და მისთანათა, რომელნი სცვიდეს იესუს, იხილეს რაჲ ძრვაჲ იგი და რაჲ-იგი იქმნა, შეეშინა ფრიად და იტყოდეს: ჭეშმარიტად ძე ღმრთისაჲ იყო ესე.

8. ლუკა 23, 33-50

და ვითარცა მოჰყვანდეს ადგილისა მას, რომელსა ჰრქჳან თხემისა ადგილი, და მუნ ჯუარს-აცუეს იგი და ძჯრის-მოქმედნიცა იგი მის თანა, რომელიმე მარჯუენით და რომელიმე მარცხენით მისა ჯუარს-აცუნეს. ხოლო იესუ იტყოდა: მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან. ხოლო გან-რაჲ-იყოფდეს სამოსელსა მისსა, განიგდეს წილი. და დგა ერი იგი და ხედვიდა. ხოლო შეურაცხ-ჰყოფდეს მას მთავარნიცა იგი მათ თანა და იტყოდეს: სხუანი აცხოვნნა, იცხოვნენ თავიცა თჳსი, უკუეთუ ეგე არს ქრისტე, რჩეული ღმრთისაჲ. ემღერდეს მას ერის-კაცნიცა იგი, მოუჴდიან მას და ძმარი მოართჳან და ეტყჳედ: შენ თუ ხარ მეუფე ჰურიათაჲ, იჴსენ თავი შენი. ხოლო იყო ზედაწერილიცა, რომელი დაწერილ იყო მას ზედა წიგნითა ბერძულითა და ჰრომაელებრითა და ებრაელებრითა, ვითარმედ: ესე არს იესუ, მეუფჱ ჰურიათაჲ. ხოლო ერთი იგი დამოკიდებულთაგანი ძჯრის-მოქმედი ჰგმობდა მას და ეტყოდა: შენ თუ ხარ ქრისტე, იჴსენ თავი შენი და ჩუენცა. მიუგო ერთმან მან მოყუასმან, შეჰრისხნა მას და ეტყოდა: არცაღა გეშინის შენ ღმრთისა, რამეთუ მასვე სასჯელსა შინა ხარ? და ჩუენ სამართლად ღირსი, რომელი ვქმენით, მოგუეგების, ხოლო ამან არარაჲ უჯეროჲ ქმნა. და ეტყოდა იესუს: მომიჴსენე მე, უფალო, ოდეს მოხჳდე სუფევითა შენითა. ხოლო იესუ ჰრქუა მას: ამენ გეტყჳ შენ: დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა. და იყო ჟამი მეექუსე, და ბნელი იყო ყოველსა ქუ-

ეყანასა ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე. და დაბნელდა მზე, და განიპო კრეტსაბმელი ტაძრისაჲ მის შორის. და ჴმა-ყო ჴმითა დიდითა იესუ და თქუა: მამაო, ჴელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა. და ესე რაჲ თქუა, განუტევა სული. და ვითარცა იხილა ასისთავმან მან საქმე ესე, ადიდებდა ღმერთსა და იტყოდა: ჭეშმარიტად კაცი ესე მართალი იყო. და ყოველნი მათ თანა მოსრულნი და რომელთა იხილეს ხილვაჲ ესე და საქმენი ესე, იცემდეს მკერდსა მათსა და წარვიდოდეს. და დგეს ყოველნი მეცნიერნი მისნი შორით; და დედანი, რომელნი შეუდგეს მას გალილეაჲთ, ხედვიდეს მას.

9. იოანე 19, 25-37

ხოლო დგეს ჯუარსა მას თანა იესუჲსსა დედაჲ მისი და დაჲ დედისა მისისაჲ, მარიამ კლეოპაჲსი, და მარიამ მაგდალენელი. ხოლო იესუ ვითარცა იხილა დედაჲ თჳსი და მოწაფე იგი, რომელი უყუარდა, წინაშე მდგომარენი, ჰრქუა დედასა თჳსსა: დედაკაცო, აჰა ძე შენი! და მერმე მოწაფესა მას ჰრქუა: აჰა დედაჲ შენი! და მიერითგან წარიყვანა იგი მოწაფემან მან თჳსთა თანა. ამისა შემდგომად იხილა იესუ, რამეთუ ყოველივე აღსრულებულ არს, და რაჲთა აღესრულოს წერილი იგი, თქუა: მწყურის. დგა მუნ ჭურჭელი ძმრითა სავსე. და მათ ღრუბელი აღავსეს ძმრითა მით უსუპსა თანა და დაადგეს ლერწამი და მიუპყრეს პირსა მისსა. და ოდეს მიიღო ძმარი იგი იესუ, თქუა: ესეცა წერილი აღსრულებულ არს. და მიიდრიკა თავი და განუტევა სული. ხოლო ჰურიათა მათ, რამეთუ პარასკევი იყო, რაჲთა არა დაადგრეს გუამი მისი ჯუარსა ზედა შაბათადმდე, რამეთუ იყო დიდ დღე იგი შაბათისაჲ მის, ჰკითხეს პილატეს, რაჲთა წჳვნი მათნი განუტეხნენ და გარდამოიხუნენ. მოვიდეს ერისაგანნი იგი და პირველისანი მის განუტეხნეს წჳვნი, და ერთისაჲ მის ეგრეთვე, რომელნი ჯუარს-ცუმულ იყვნეს მის თანა. ხოლო მორაჲ-ვიდეს იესუჲსა და იხილეს იგი, რამეთუ მომკუდარ იყო, არა განუტეხნეს წჳვნი მისნი, არამედ ერთმან ერისაგანმან ლახურითა უგუმირა გუერდსა მისსა, და მეყსეულად გარდამოჴდა

სისხლი და წყალი. და რომელმან იხილა, წამა, და ჭეშმარიტ არს წამებაჲ მისი, და მან უწყის, რამეთუ ჭეშმარიტსა იტყჳს, რაჲთა თქუენცა გრწმენეს. რამეთუ იყო ესე, რაჲთა წერილი აღესრულოს, ვითარმედ: ძუალი მისი არა შეიმუსროს. და სხუაჲ წერილი იტყჳს: იხილონ, რომელსა-იგი უგმირეს.

10. მარკოზ 15, 43-47

მოვიდა იოსებ არიმათიელი, შუენიერი მზრახველი, რომელი-იგიცა მოელოდა სასუფეველსა ღმრთისასა, იკადრა და შევიდა პილატესა და მოითხოვა გუამი იესუჲსი. ხოლო პილატეს დაუკჳრდა, უკუეთუ აწვე მოკუდა, და მოუწოდა ასისთავსა მას და ჰკითხა, უკუეთუ ადრევე მოკუდა. და ისწავა ასისთავისა მისგან ესე და მიჰმადლა გუამი მისი იოსებს. და მან იყიდა არდაგი და გარდამოჰჴსნა იგი ჯუარისა მისგან და წარგრაგნა იგი არდაგითა მით და დადვა იგი საფლავსა, რომელი იყო გამოკუეთილ კლდისაგან, და მიაგორვა ლოდი კარსა ზედა მის საფლავისასა. იყო მუნ მარიამ მაგდალენელი და მარიამ იოსესი და ხედვიდეს, სადა-იგი დასდებდეს მას.

11. იოანე 19, 38-42

ამისა შემდგომად ჰკითხა პილატეს იოსებ, რომელი იყო არიმათიაჲთ, რამეთუ იყო იგი მოწაფე იესუჲსი ფარულად, შიშისათჳს ჰურიათაჲსა, რაჲთა აღიღოს გუამი იესუჲსი. და უბრძანა მას პილატე, მოვიდა და აღიღო გუამი მისი. მოვიდა ნიკოდიმოსცა, რომელი-იგი მოსრულ იყო იესუჲსა ღამე პირველ, და მოიღო აღრეული მურისა და ალოჲსაჲ ვითარ ასი ლიტრაჲ. და მოიღეს გუამი იესუჲსი და შეგრაგნეს იგი ტილოებითა სულნელთა მათ თანა, ვითარცა ჩუეულებაჲ არს ჰურიათა დაფლვისაჲ. იყო ადგილსა მას, სადა ჯუარს-ეცუა, მტილი, და მტილსა მას შინა საფლავი ახალი, რომელსა არავინ დადებულ იყო. მუნ დადვეს გუამი იესუჲსი პარასკევისათჳს ჰურიათაჲსა, რამეთუ მახლობელ იყო საფლავი იგი.

12. მათე 27, 62-66

ხოლო ხვალისაგან, რომელ არს შემდგომად პარასკევისა, შეკრბეს მღდელთ-მოძღუარნი იგი და ფარისეველნი პილატესა და ჰრქუეს: უფალო, მოვიჴსენეთ, რამეთუ მან მაცთურმან თქუა, ვიდრე ცოცხალღა იყო, ვითარმედ შემდგომად სამისა დღისა აღვდგეო. აწ უკუე ბრძანე დაკრძალვად საფლავი იგი, ვიდრე მესამედ დღედმდე, ნუუკუე მოვიდენ მოწაფენი მისნი და წარიპარონ იგი და უთხრან ერსა, ვითარმედ: აღდგა მკუდრეთით. და იყოს უკუანაჲსკნელი საცთური უძჯრეს პირველისა. ჰრქუა მათ პილატე: გაქუს თქუენ დასი; წარვედით და დაჰკრძალეთ, ვითარცა იცით. ხოლო იგინი წარვიდეს და დაჰკრძალეს საფლავი იგი და დაჰბეჭდეს ლოდსა მას დასისა თანა.

თარგმანებაჲ გალატელთა მიმართ ეპისტოლისაჲ (6, 14-18)*

მოციქულისაჲ: ***ხოლო ჩემდა ნუ იყოფინ სიქადულ, გარნა ჯუარითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა (6, 14).***

თარგმანი: რომელი-ესე წარმართთა სისულელედ შეურაცხიეს, ესე პავლეს გამოურჩევიეს მხოლოდ ყოველთაგან სიქადულთა სოფლისათა, რამეთუ, რაჲმცა იყო, — იტყჳს, — ამისსა უმაღლესი და უდიდებულესი, უკუეთუ ბუნებით ღმერთმან და მეუფემან ჩემ მონისა უმადლოჲსათჳს არა სირცხჳლ იჩინა შემოსად ხატი მონისა უმადლოჲსა და განმარისხებელისაჲ, რომლითა ივნო ჩემთჳს, ამისთჳს, რომელი-იგი მან არა სირცხჳლ იჩინა თავს-დებად ჩემთჳს, მე ვითარ რაჲ შევჰრაცხო სიქადულად ჩემდა, თჳნიერ ჯუარს-ცუმაჲ მისი, რომლითა ვცხოვნდი?

*მოციქულისაჲ: **რომლისათჳს სოფელი ჩემდამო ჯუარცუმულ არს, და მე — სოფლისა (6, 14).***

თარგმანი: ჴსენებითა ქრისტეს ვნებათაჲთა თანამდებ არს ყოველი ქრისტიანე ამასვე მოციქულისა ჴმასა ჴმობად, ვითარმედ: „მე სოფლისა ჯუარცუმულ ვარ, და სოფელი — ჩემდა“. აჰა ესერა მრჩობლნი ჯუარს-ცუმანი გჳჩუენნა, რამეთუ ჩემდამო ჯუარს-ცუმაჲ ესე არს, რაჟამს განშორებითა მისგან უჴმარ და მკუდარ იყოს ჩემდა სოფელი. ხოლო ჩემი მისა მიმართ ჯუარცუმაჲ ესე არს, რაჟამს არა ხოლო ჴორცითა, არამედ გონებითაცა განყენებულ ვიყო, არა ხოლო [სოფლისა] საქმეთა, არამედ გულის-თქუმათაგანცა მისთა. ეჰა ჴმაჲ სანატრელი და მომატყუებელი ზეცათა სასუფეველისაჲ!

*მოციქულისაჲ: **რამეთუ ქრისტე იესუჲს მიერ არცა წინა-დაცუეთილებაჲ რას შეძლებელ არს, არცა წინა-დაუცუეთელობაჲ, არამედ ახალი დაბადებული (6, 15).***

თარგმანი: კუალად მასვე ზემო თქუმულსა სიტყუასა იტყჳს, ვითარმედ არაჲ მეტობაჲ არს ჰურიათაგანობაჲ, არცა წარმართთაგანობაჲ, არამედ ესე ოდენ საძიებელ არს, რაჲთა დაძუელებ-

*იბეჭდება გამოცემიდან სამოციქულოს განმარტება თბ., 2006; გვ.529-531. ახალქართულად ტექსტი იხ. გვ. 45.

ულებაჲ იგი ცოდვათა-მიერი, ახალდაბადებულ იქმნეს ქრისტეს მიერ, საბანელითა წმიდისა ემბაზისაჲთა, რომელსა შინა ძუელი კაცი ჩუენი დაეფლვის ქრისტეს თანა და განახლებული აღმოვალს მიერ. და კუალად, ახალდაბადებულ არს, რაჟამს ჩუენ ძლით ჩუენ თანა განხრწნილი სოფელი კუალად ჩუენ თანავე ახლად მეორედ დაიბადოს ქრისტეს მიერ, განახლებითა საუკუნოჲთა და კუალად განუხრწნელითა.

მოციქულისაჲ: და რავდენნი წესსა ამას ზედა ეგნენ, მშჳდობაჲ მათ ზედა და წყალობაჲ და ისრაელსა ზედა ღმრთისასა (6, 16).

თარგმანი: ესე იგი არს, ვითარმედ: რომელნი ქრისტიანობასა ზედა შეურყეველად ეგნენ, და არღარა დააძუელონ ცოდვისა მიერ განახლებულებაჲ ესე ქრისტესმიერი, არცა მის მიერ განთავისუფლებულნი კუალად შჯულსა მას ჰურიათასა დაემონნენ, ესევითართა მიეცემის მშჳდობაჲ იგი, რომლითა დამაგნა ღმერთმან თავსა თჳსსა, და წყალობაჲ, რომლითა მოგჳტევნა ცოდვანი ჩუენნი, რამეთუ სახელი ისრაელისაჲ მათ განეკუთვნის, რომელნი ახალდაბადებულ იყვნენ და სამართლად ეწოდის „ერ, მხედველ ღმრთისა“. ხოლო ამისგან დაკლებულნი, დაღაცათუ იაკობისგანნი იყვნენ, არამედ განჴუებულვე არიან ისრაიტელობისაგან და თჳსებისაგანცა იაკობისსა.

მოციქულისაჲ: ამიერითგან შრომასა ნუვინ შემამთხუევს მე, რამეთუ მე საწერტელნი იგი უფლისა იესუჲსნი ჴორცთა შინა ჩემთა მიტჳრთჳან (6, 17).

თარგმანი: არათუ მოწყინებით გარე-მიაქცევს შრომათა, რომელმან-იგი ქრისტესთჳს უფროჲს ყოველთა მოციქულთასა აღირჩია დაშრომაჲ, არამედ მოწაფეთა თჳსთა ასწავებს, ვითარმედ შჯულთა, ჩემ მიერ თქუენდა ქადაგებულისა სახარებისათა, არცაღა შემატებად თავს-ვიდებ, არცა მოკლებად, რამეთუ მე სხუაჲ რაჲმე ნამეტავად და უჴმრად შრომად შემირაცხიეს, გარეშე ამათსა, რომელ არიან ჭირნი და ღუაწლნი და წყლულებანი, რომელნი შემემთხუევიან დღითი-დღე სახარებისათჳს ქრისტესისა, რომელნი-იგი მიგუმერენ ვითარცა კიცუსა, მალე-მორბედ ყოფად ქადაგებასა შინა, და რომელთა არა ხოლო მოთმინებით

თავს-ვისხამ, არამედ სურვილით და წადიერებით მიტჯრთვან და მიმომაქუან, განცხადებულად აღსანიშნველად მჴედრობისა ამის ჩემისა, ვითარმედ თავს-მდებელ ვარ წყლულებათა, და ვიდრე სისხლთამდე არა კაცთ-მოთნე ვარ; რამეთუ კაცთაღა-თუ-მცა სათნო-ვეყოფვოდე მიმოცვალებითა ქადაგებისაჲთა, რაჲსაღამცა ვიტანჯებოდე, ვითარცა მონაჲ ქრისტესი?

მოციქულისაჲ: მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი სულისა თქუენისა თანა, ძმანო. ამენ (6, 18).

თარგმანი: ლოცვასა თანა მოძღურებითა განჰხავებს, რამეთუ მოაჴსენებს მათ მადლით გამოჴსნასა ქრისტეს მიერ, რაჲთა მის მიერ გამოჴსნილნი არცა ერთსაღა ვის სხუასა დაემონებოდინ განმდრეკელთაგანსა, რომელი-ესე ყოველთავე უჴმს დაცვად, რაჲთა არავინ ქრისტიანეთაგანი განჰყოფდეს თავსა თჳსსა ძმობისაგან მათისა, რომელთა არაოდეს განყვნეს თავნი მათნი მონებად ღმრთისა და მამონაჲსა, არამედ ყოვლითურთ სრულებით შედგომითა ღმრთისაჲთა მოიგეს თავთა შინა მათთა მკჳდრობაჲ მისი, რაჟამს განუმზადეს სამთავროჲ გონებისა მათისაჲ სულსა წმიდასა, რომელი მიენიჭა მათ მადლითა ქრისტესითა, რომლისა განუშორებელ ყოფაჲ მეყავნ ჩუენცა აწ და ყოველთა საუკუნეთა უკუნისამდე. ამენ.

თარგმანებაჲ რომაელთა მიმართ ეპისტოლისაჲ (5, 6-10)*

მოციქულისაჲ: რამეთუ ქრისტე, ვიდრე-იგი ჩუენ უძლურ-ღა ვიყვენით, ჟამსა ოდენ ულმრთოთათჳს მოკუდა. რამეთუ ძნიად ვინმე მართლისათჳს მოკუდის, ხოლო კეთილისათჳს, ვინ უწყის, ნუუკუ და იკადრისცა ვინმე სიკუდილი (5, 6-7).

თარგმანი: ზემოთქუმულთა მათ სიტყუათა მიერ საუკუნენი მონიჭებადნი კეთილნი დაგჳმტკიცნა, სახედ შემოღებითა აქავე მოცემულისა ამის სულისა წმიდისა ნიჭთაჲსა, ხოლო აწ კუალად სიკუდილსა ქრისტესსა მისვე პირისა დასამტკიცებელად შემოიღებს, და წინა-დაგჳდებს სიკუდილსა მას მეუფისასა; ვითარ მამამან დაუსაბამომან არა ჰრიდა სიკუდიდ განცემაჲ ძისა თანა-დაუსაბამოჲსაჲ, უძლურთათჳს და ულმრთოთა, უკმართა და ცოდვილთა მონათა. ხოლო „ჟამსა ოდენ" თქუა, რაჲთა პირი დაუყოს მათ, რომელნი იტყჳან, ვითარმედ პირველ ჟამისა მოვიდა, და რად არა უწინარესრე მოვიდა? ამისთჳს დაამტკიცებს, ვითარმედ იგი ოდენ იყო ჟამი განსაზღვრებული და წინა საუკუნეთა განგებული მოსლვისა და ვნებისა მისისაჲ, და არცა პირველ ჟამისა მოსრულ არს, არცა შემდგომად ჟამისა, არამედ ჟამსა ოდენ თჳსსა განჴორციელდა და ივნო ჩუენ, ცოდვილთა განბოროტებულთა ამათთჳს.

მოციქულისაჲ: ხოლო გამოაცხადა თჳსი იგი სიყუარული ჩუენდა მომართ ღმერთმან, რამეთუ ვიდრე-იგი ცოდვილ-ღა ვიყვენით, ქრისტე ჩუენთჳს მოკუდა. რაოდენ უკუე უფროჲს აწ, განმართლებულ რაჲ ვართ სისხლითა მისითა, განვერნეთ ჩუენ მის მიერ რისხჳსაგან! (5, 8-9).

თარგმანი: ესრეთ იტყჳს, ვითარმედ: უკუეთუ მაშინ, ოდეს იგი ოდენ ცოდვილ ვიყვენით, ვიდრეღა საჴმარ იყო განმართლებისა ჩუენისათჳს სიკუდიდ მიცემაჲ ძისა მისისაჲ, არა უგულებელს-მყვნა ღმერთმან, რაოდენ უფროჲს აწ არა უგულებელს-მყვნეს,

* იბეჭდება გამოცემიდან სამოციქულოს განმარტება თბ., 2006; გვ.48-49. ახალქართულად ტექსტი იხ. გვ. 48.

არამედ მაცხოვნნეს, ოდეს-ესე არღარა ცოდვილ ვართ, განმართლებულნი სისხლითა ქრისტესითა, არცაღა საჴმარ არს ჩუენდა კუალად სიკუდიდ განცემაჲ ძისა მისისაჲ! ხოლო განრომაჲ რაჲ რისხვისაგან გესმას, გულისჴმა-ყავ, ვითარმედ გამოჴსნასა იტყჳს საუკუნეთა სატანჯველთაგან.

მოციქულისაჲ: უკუეთუ მტერ რაჲ ვიყვენით, დავეგენით ღმერთსა სიკუდილითა ძისა მისისაჲთა, რაოდენ უფროჲს აწ, დარაჲ-ვეგენით, ვცხონდეთ მაცხოვარებითა მისითა! არა ესოდენ ხოლო, არამედ ვიქადით-ცა ღმრთისა მიმართ ქრისტე იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაგან აწ დაგებაჲ ესე მოვიღეთ (5, 10-11).

თარგმანებაჲ: ვინაჲთგან აწ არღარად საჴმარ არს კუალად სიკუდიდ განცემაჲ ძისა მისისაჲ, არამედ ფრიად რაჲმე უადვილეს არს ცხოვნებაჲ ერთგზის განცხოველებულთაჲ მის მიერ, ამისთჳსცა, რაჲთა არა გურცხუენოდის, ვითარმედ ესოდენ მძიმე იყვნეს ცოდვანი ჩუენნი, რომელ აიძულეს ღმერთსა სიკუდიდ მიცემად ძისა თჳსისაჲ, შესძინებს მოციქული, ვითარმედ: არა ხოლო სირცხჳლისაგან ჴსნილ ვართ, არამედ სიქადულადცა თანა-მდებ ვართ, ვითარცა ესოდენ შეყუარებულნი ღმრთისანი, რომელ, უღმრთო რაჲ ვიყვენით, ქრისტე ჩუენთჳს მოკუდა, რაჲთა დამიგნეს თავსა თჳსსა.

თარგმანებაჲ კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლისაჲ (1. 18-2. 2)*

მოციქულისაჲ: რაჲთა არა დაცარიელდეს ჯუარი ქრისტესი (1, 17).

თარგმანი: რაჲ არს სიტყუაჲ ესე, რომელ თქუა თუ „რაჲთა არა დაცარიელდეს ჯუარი ქრისტესი“? — ესე იგი არს, რაჲთა არა დამდაბლდეს და დამცირდეს ჯუარისა დიდებაჲ; რამეთუ, უკუეთუმცა მოციქულთა სიტყუათა სიბრძნითა ექადაგა, ეთქუამცა ვიეთმე თუ: სიტყუათა მათთა მრავალღონეობითა და სივრცითა დაარწმუნეს კაცთა ქადაგებაჲ მათი, და არა ძალითა ქრისტესითა, რომელსა ქადაგებდეს. და ესე საქმე დაცარიელებაჲ და დამდაბლებაჲ იყო ჯუარისა და ქადაგებისაჲ მის. ხოლო აწ რომელ უსწავლოთა კაცთა ერწმუნა სოფელი ესე, და მათ მოაქციეს იგი საცთურისაგან, ამის საქმისა მიერ დიდად გამოჩნდა ძალი ქრისტესი და უფროჲსად იდიდა დიდებაჲ ჯუარისაჲ.

მოციქულისაჲ: რამეთუ სიტყუაჲ იგი ჯუარისაჲ წარწყმედულთა მათთჳს სიცოფე არს (1, 18).

თარგმანი: სიტყუაჲ ჯუარისაჲ და საქმე ესე ქრისტიანობისაჲ და ქადაგებაჲ ესე წინაშე წარწყმედულთა მათ ურწმუნოთა სიცოფედ შერაცხილ არს, რამეთუ, რაჟამს ვიტყოდით თუ — ძე ღმრთისაჲ ჯუარს-ეცუა და მოკუდა და აღდგა და ჯუარითა სიკუდილი დაიჴსნა, და ვითარმედ აღდგებიან მკუდარნი და იქმნების საშჯელი, — ესე ყოველი სიცოფედ შეურაცხიეს, თუ ვითარმცა კაც იქმნა ღმერთი და ჯუარს-ეცუა, და ყოველი იგი ზღაპრად შეურაცხიეს და სიცოფედ. ხოლო ჭეშმარიტად წარწყმედილნი არიან იგინი, რომელთა საქმენი იგი, ღმრთისა მიერ კაცთა საცხორებელად მოცემულნი, მათ სიცოფედ შეურაცხიან.

მოციქულისაჲ: ხოლო ცხორებულთა ამათთჳს ძალ ღმრთისა არს, რამეთუ წერილ არს: წარვწყმიდო სიბრძნე იგი ბრძენთაჲ

---

*იბეჭდება გამოცემიდან პავლეს ეპისტოლეთა განმარტება, თბ., 2003; გვ.161-170.

ახალქართულად ტექსტი იხ. გვ.50.

და მეცნიერებაჲ იგი მეცნიერთაჲ შეურაცხ-ვყო (ესაია 29, 14). სადა არს ბრძენი ანუ სადა არს მწიგნობარი; სადა არს გამომეძიებელი იგი ამის სოფლისაჲ? (1, 18-20).

თარგმანი: რამეთუ ჩუენ, რომელნი-ესე არა ცნობამიღებულნი ვართ ეშმაკთა მიერო, არამედ არს ჩუენდა სასოებაჲ ცხორებისაჲ, ამათ ესევითართა საქმეთა მიერ გულისჴმა-ვყოფთ უმეტესად ძალსა ღმრთისასა და სიბრძნესა. ძალსა — ამით, რამეთუ სიკუდილითა სიკუდილი დაჰჴსნა; ხოლო სიბრძნესა — ამით, რამეთუ ამით ესევითარითა სახითა წარწყმედულნი აცხოვნნა.

ვინაჲთგან შემოიღო შორის სიტყუაჲ წერილისაჲ, ვითარმედ „წარვწყმიდოო სიბრძნე ბრძენთაჲ“, ამისთჳს თჳსსაცა შესძინებს, ვითარმედ: „სადა არს ბრძენი“ — ესე წარმართთა მათ ფილაფოსთათჳს თქუა; და „სადა არს მწიგნობარი“ — ესე ჰურიათათჳს თქუა: „სადა არს გამომეძიებელი“ — ესე იგი არს, რომელნი გულის-სიტყუათა მიერ კაცობრივთა გამოეძიებენ მიუწდომელთა მათ საქმეთა. სიტყჳს უკუე მოციქული, ვითარმედ — სადა არიან იგი ყოველნი? გამოაჩინონ-ღა საქმე მათი! ვინ სადა იჴსნეს მათ თჳსითა სიბრძნითა და მწიგნობრობითა და გამომეძიებლობითა საცთურისაგან? ვისნი აჴოცნეს ცოდვანი? ვინ განკურნეს უძლურებისაგან? სადა არს ცუდი იგი სიქადული მათი? — წარწყმდა და უჩინო იქმნა.

მოციქულისაჲ: „გან-რაჲმე-აცოფა ღმერთმან სიბრძნე ამის სოფლისაჲ (1, 20).

თარგმანი: ვითარ განაცოფა ღმერთმან სიბრძნე ამის სოფლისაჲ? — გარნა ესრეთ, რამეთუ, რაჟამს-იგი არსებითმან მან სიბრძნემან ღმრთისამან უსწავლელთა კაცთა არწმუნა ქადაგებაჲ იგი ზეცისა საქმეთაჲ, მაშინ უჩინო იქმნა წარმართთა იგი სიბრძნე, და მოციქულთაჲ — გამოჩნდა. რამეთუ სიბრძნედ სოფლისა სიტყუაკეთილობასა და სივრცესა მას სიტყუათასა სახელ-სდებს, რამეთუ იგიცა ღმერთმან მოსცა კაცთა. რომელმან-იგი ენანიცა განუყჳნა და თითოეულსა ენასა თჳსნი წესნი მისცნა, მან მისცა ფილაფოსთა მათცა ბერძენთა სიბრძნე იგი და სიტყუაკეთილობაჲ, რაჲთამცა იცნეს მიმცემელი იგი, ხოლო

მათ საქმე იგი უფროჲსად საჭურველად უკეთურებისა იქმარეს და განავრცეს საცთურისა იგი საქმე. ესე რაჲ იხილა ღმერთმან, ვითარმედ არაჲ ერგო მათ სიბრძნისა მისგან, განაცოფა სიბრძნე იგი და შეურაცხად გამოაჩინა, და ჭეშმარიტად განცოფნეს ყოველნივე, რომელთა შეერაცხნეს თავნი თჳსნი ბრძენად, რამეთუ ვერ უძლეს პოვნად, ვერცა გულისჴმის-ყოფად, რაჲ-იგი მეთევზურთა მათ და უსწავლელთა ქადაგეს და დაარწმუნეს სოფელსა. და ესრეთ გამოჩნდა მათი იგი სიბრძნე ცოფად და ვერშემძლებელ პოვნად ჭეშმარიტებისა.

მოციქულისაჲ: რამეთუ სიბრძნითა მით ღმრთისაჲთა ვერ იცნა სოფელმან სიბრძნითა თჳსითა ღმერთი, ჯერ-უჩნდა ღმერთსა სისულელითა მით ქადაგებისაჲთა ცხორებად მორწმუნეთა მათ (1, 21).

თარგმანი: ესე იგი არს, ვითარმედ სიბრძნითა მით ღმრთისამიერითა, რომელი მოსცა მან კაცთა, ვერ იცნეს სიბრძნითა მით, რომელი ჩანს დაბადებულთა შორის, ცასა ზედა და ქუეყანასა და მზესა და მთოვარესა, და სხუათა ყოველთა დაბადებულთა ღმერთი; რამეთუ ღმერთმან მისცა მათ სიბრძნე და სწავლულებაჲ, რაჲთამცა მის სიბრძნისა მიერ გულისჴმა-ყვეს სიბრძნე იგი ღმრთისაჲ, რომელი ჩანს ამათ ყოველთა დაბადებულთა შინა. და მის სიბრძნისა გულისჴმის-ყოფითა იცნესმცა ღმერთი, არამედ მათ არა ქმნეს ესე. ამისთჳს ღმერთმან კუალად მათი სიბრძნე უჴმარ ყო, და სისულელითა მით ქადაგებისაჲთა სოფელი აცხოვნა. ხოლო სისულელედ ქადაგებისა იტყჳს, ერთად, სიმარტივესა მას სიტყუათა ქრისტეს ქადაგებისათასა, და რამეთუ არა არიან ესრეთ ძნელ ამაოდ, ვითარ საწარმართონი იგი. და კუალად, სისულელედ იტყჳს, ვითარ საწარმართონი იგი. და კუალად, სისულელედ იტყჳს, რომელი-იგი ზემო თქუა თუ წარმართთა წინაშე სიცოფედ ჩანს სიტყუაჲ ჯუარისაჲ (იხ. I კორ. I, 18) და აქაცა ვითარცა მათ მაგიერ თქუა.

მოციქულისაჲ: რამეთუ ჰურიანიცა სასწაულსა ითხოვენ და წარმართნი სიბრძნესა ეძიებენ. ხოლო ჩუენ ვქადაგებთ ქრისტესა ჯუარცუმულსა (1, 22-23).

თარგმანი: ესრეთ იტყჳს, ვითარმედ: უკუეთუ ეჰრქუათ

ჰურიასა თუ — „გრწმენინ!“ — მეყსეულად სასწაულებსა და ნიშებსა ეძიებს დასამტკიცებელად ქადაგებისა მის. ხოლო ჩუენ ვქადაგებთ ქრისტეს ჯუარცუმულსა, რომელი-ესე არა თუ ოდენ არა საკჳრველებისა ოდენ საქმედ არა ჩანს, არამედ უფროჲსად უძლურებასაცა აჩუენებს, თუ ჯორციელად ვინ გულისჴმა-ჰყოფდეს. გარნა ამით, ჯორციელთა საცნობელთა წინაშე უძლურად შერაცხილითა, და წინა-აღმდგომად მათისა თხოვისა, არა მცირედნი მოიქცევიან სარწმუნოებად, რომელ-ესე დიდსა მას ძალსა ღმრთისასა გამოაჩინებს. კუალად წარმართნი სიბრძნესა ეძიებენ ჩუენგან, არამედ მათცა ჯუარსა უქადაგებთ, რომელ-ესე ჯორციელითა გულის-სიტყჳთა სისულელედ და სიცოფედ ჩანს ქადაგებაჲ ჯუარცუმულისა ღმრთისაჲ, არამედ ეგრეთცა ჰრწამსვე. აწ უკუე, არა დიდი საკჳრველი არს-ა ესე, რომელ თხოვისა მის მათისა წინა-აღმდგომთა საქმეთაგან მოიქცევიან? და კუალად ესეცა ძალი აქუს სიტყუასა ამას, ვითარმედ: ვინაჲთგან ჰურიანიცა სასწაულსა ითხოვენ და წარმართნი — სიბრძნესა, ჰპოებენ ორნივე ქრისტეს თანა, რასა-იგი ეძიებენ. ვითარ? — გარნა ესრეთ, რამეთუ ურწმუნოთა ჰურიათათჳს დაბრძოლება არს და საცთურად უჩნს ჩუენი ესე ქადაგებაჲ, და წარმართთა — სისულელედ უჩნს. ხოლო თჳთ მათგანნივე, რომელნი არიან წოდებულნი და რჩეულნი, ჰპოებენ იგინი, ვითარმედ ქრისტე არს ჭეშმარიტად ძალიცა და სიბრძნე მამისაჲ (იხ. 1 კორ. 1, 24). რამეთუ, რასა იტყჳ, ჰ ჰურიაო, სასწაულსა ეძიებ-ა? — აჰა ქრისტე; იგი არს ძალი ღმრთისაჲ, მოქმედი საკჳრველებათაჲ. და შენ რასა იტყჳ, ჰ წარმართო, სიბრძნესა ეძიებ-ა? — იხილე, უკუეთუ გნებავს, ქრისტე, სიბრძნე იგი მამისაჲ! ესრეთ უკუე იტყჳს მოციქული, ვითარმედ: ვინაჲთგან სასწაულთა და სიბრძნესა ეძიებენ ჩუენგან, ჩუენ ქრისტეს ვქადაგებთ, რომელი-იგი ორივე არს — ძალიცა და სიბრძნეცა წინაშე რჩეულთასა, და პოვონ რაჲ ესევითართა მათ ჩინებულთა ორივე ესე მის თანა, მოიქცევიან, ხოლო რომელთა დაიბნელეს გონებაჲ მათი და არა შეიწყნარეს სარწმუნოებაჲ და ჩინებულებაჲ იგი და წოდებაჲ ღმრთისაჲ, საცთურისა და სისულელისა ღირსად ჰგონებენ საქმეთა მათ, ღირსთა საკჳრველებისათა. და რაჲ საკჳრველ არს, რამეთუ

ხილულიცა ესე მზჱ ბნელად უჩნს ბრმათა, და ნელსაცხებელი სურნელი ბოროტ არს ორბთათჳს და ღორთა, არამედ ტრედთა მხიარულ ჰყოფს.

მოციქულისაჲ: ჰურიათა სამე საცთურ (1, 23).

თარგმანი: ამისთჳს არს საცთურ ჰურიათა, რამეთუ იცოდეს წინაჲსწარმეტყუელებანი და არა ჰრწმენა აღსრულებაჲ მათი, არამედ ბოროტ უჩნდა ქადაგებაჲ ქრისტიანობისაჲ.

მოციქულისაჲ: და წარმართთა სისულელე (1, 23).

თარგმანი: ამისთჳს, რამეთუ ზღაპრად შეერაცხა მათ და სისულელედ ესე, თუ ღმერთიმცა კაც იქმნა, და თუ ძე უვის ღმერთსა და თუ ღმერთი ჯუარს-ეცუა.

მოციქულისაჲ: ***ხოლო მათვე ჩინებულთა და წოდებულთა ჰურიათა და წარმართთა ქრისტე ღმრთისა ძალ არს და ღმრთისა სიბრძნე (1, 24).***

თარგმანი: დაღაცათუ ურწმუნოთა ესრეთ უჩნსო, არამედ თჳთ მათგანთავე, რომელთა შეიწყნარონ წოდებაჲ ესე და ჩინებაჲ, გულისჴმა-ჰყოფენ, ვითარმედ ჭეშმარიტად ქრისტე არს ძალი და სიბრძნე ღმრთისაჲ. ხოლო ნუ-უკუე ვინმე თქუას თუ: რომელნიმე აჩინნა ღმერთმან და უწოდა, და რომელთამე — არა. ნუ იყოფინ ესე, არამედ ღმერთმან ყოველთა უწოდა და განაჩინნა, ხოლო რომელთა შეიწყნარეს ჩინებულებაჲ იგი და წოდებაჲ, მათ ოდენ უწოდა ჩინებულ და წოდებულ და რჩეულ. რამეთუ, რომელთა არა ინებეს ჩინებისა მის შეწყნარებაჲ, მათმცა რად უწოდა ჩინებულ!

მოციქულისაჲ: რამეთუ სულელი იგი ღმრთისაჲ უბრძნეს კაცთასა არს (1, 25).

თარგმანი: ჯუარი შერაცხილ არს უგუნურთა მათ მიერ სისულელედ, არამედ იგი უბრძნეს არს ყოველთა კაცთასა. და ქადაგებაჲ იგი ქრისტიანობისაჲ შერაცხილ არს სისულელედ, არამედ იგი უბრძნეს არს ყოვლისა სოფლისა. ვითარ? — გარნა ესრეთ, რამეთუ ბრძენნი იგი და ფილაფოსნი სოფლისანი ცუდთა და ჭეშმარიტად ცოფთა საქმეთა გამოძიებასა შეუდგეს, და ყოველნი მორჩილნი მათნი უფსკრულთა ჯოჯოხეთისათა შთაჴადნეს, ხოლო ჯუარმან და ქადაგებამან მან ქრისტიანო-

ბისამან მათცა პირი დაუყო და ყოველი სოფელი აცხოვნა, რომელი-იგი წინაშე მათსა სისულელედ ჩნდა. და ამაოთა მათ ბრძენთა საკსენებელიცა არა ჩანს სოფელსა შინა, ხოლო ქადაგებამან მან ჯუარცუმულისამან, მოციქულთა მათ უსწავლელთა მიერ ქადაგებულმან, ყოველი სოფელი აცხოვნა და დაიპყრა.

მოციქულისაჲ: და უძლური იგი ღმრთისაჲ უძლიერეს კაცთასა არს (1, 25).

თარგმანი: უძლურად ჩნდა პირველ ქადაგებაჲ ქრისტიანობისაჲ, რამეთუ გლახაკნი და უსწავლელნი კაცნი ქადაგებდეს მას და მეფენი და მთავარნი და ნათესავთა სიმრავლენი უფროჲსად დაშრეტად ისწრაფდეს სახელსა მას ქრისტესსა, და არარაჲ ძლიერებაჲ ჩნდა ჯორციელად მას შინა. რამეთუ, ვინმცა მოიგონა, თუ ამას ქადაგებასა შეუდგეს ყოველი სოფელი, რაჟამს-იგი ბევრეულნი ისწრაფდეს დაჯსნად და უჩინო-ყოფად სახელსა ქრისტესსა. არამედ, არა თუ ოდენ არა დაიჯსნა, არამედ უფროჲსად აღორძნდა და აღემატა და ყოველსა ქუეყანასა განჯდა ჯმაჲ მისი (შდრ. ფსალმუნნი 17, 5; რომ. 19, 18), და იპოა უძლურად შერაცხილი იგი ქადაგებაჲ ღმრთისაჲ უძლიერეს ყოველთა კაცთა, რამეთუ ძლიერად შერაცხილთა მათ უძლურად შერაცხილითა მით ჯუარითა სძლო და უჩინო-ყვნა.

მოციქულისაჲ: აწ იხილეთ-ღა ჩინებულებაჲ ეგე თქუენი, ძმანო (1, 26).

თარგმანი: ესრეთ ეტყჳს, ვითარმედ: იხილეთღა და გულისჯმა-ყავთ, თუ რაბამი ძალი აქუს ჩინებასა მას, რომლითა იჩინენით, რომელ არს ქრისტიანობაჲ, რამეთუ არა ბრძენთა მიერ ჯორციელთა, არამედ უსწავლელთა მიერ ეგევითარნი საკჯრველნი და ღმრთივშუენიერნი საქმენი გასწავლნა. და კუალად, თქუენ, უსწავლელნი ეგე მრავალნი, ესევითარსა გულისჯმის-ყოფასა მოგიყვანნა, რომელსა ვერ მისწუთეს ყოველნი ბრძენნი სოფლისანი.

მოციქულისაჲ: რამეთუ არა მრავალნი ბრძენ არიან ჯორციელად (1, 26).

თარგმანი: ესრეთ იტყჳს, ვითარმედ ამას წოდებასა და სარწმუნოებასა არა მოვიდეს მრავალნი ფილაფოსნი და ჯორ-

ციელად ბრძენნი და ამას სოფელსა შინა დიდებულნი, არამედ — უფროჲსნი უსწავლელნი. ხოლო კეთილად შესძინა სიტყუაჲ იგი თუ „არა მრავალნი“, რამეთუ იყვნეს ბრძენნიცა ვიეთნიმე, რომელთა ჰრწმენა; დაღაცათუ არა მრავალნი, გარნა იყვნეს, ვითარ დიონოსი არიოპაგელი და იეროთეოს და სერგიოს პავლე ანთიპატი, რომელსა ჰრწმენა პამფილიას კჳპრისასა და სხუათაცა ესევითართა, ყოველგან უკუე არა მრავალი. ამისთჳს უთქუამნ, რამეთუ იყვნეს ვინმე ბრძენნიცა და ძლიერნი და აზნაურნი.

მოციქულისაჲ: არა მრავალნი ძლიერ არიან, არა მრავალნი აზნაურ არიან (1, 26).

თარგმანი: რამეთუ მდიდარნი იგი და ძლიერნი და აზნაურნი და ბრძენნი სოფლისანი სავსე არიან ზუაობითა და ამისთჳს განვარდებიან ღმრთის-მეცნიერებისაგან, რამეთუ არა ჰნებავს შეურაცხებაჲ სოფლისა საქმეთაჲ.

მოციქულისაჲ: არამედ სულელნი იგი სოფლისანი გამოირჩინა ღმერთმან (1, 27).

თარგმანი: ესრეთ იტყჳს, ვითარმედ მარადის ღმერთმან გლახაკნი გამოირჩინა და შეურაცხნი, რაჲთა ძლიერთა მათ ურწმუნოთა არცხჳნოს. ხოლო რაჟამს გესმას თუ „გამოირჩინა“, ნუ-სადა მოიგონო ესე თუ ღმერთსა ენება, რაჲთამცა გლახაკნი იგი და უნდონი გამოაჩინნა და შეიწყალნა და მდიდარნიმცა სირცხჳლეულ ყვნა; არამედ ესრეთ გულისჴმა-ყავ, ვითარმედ ღმერთმან გამოირჩინა გლახაკნი და შეურაცხნი ამისთჳს, რამეთუ იგინი შეუდგეს სარწმუნოებასა მისსა. რამეთუ, გინა თუ მდიდარი მოვიდეს სარწმუნოებად, გინა თუ გლახაკი, გამორჩეულ ეწოდების, ვინაჲთგან უკუე უმეტესნი გლახაკნი მოვიდეს სარწმუნოებასა მას, ამისთჳს რჩეულ უწოდა მათ. არა თუ, რამეთუ მდიდარნიცა არა იქმნებოდეს რჩეულ, უკუეთუმცა ენება! ჰე, და ფრიად კეთილადცა, ვითარცა იქმნესცა მრავალნი, ვითარ დიონოსი არიოპაგელი, ვითარ კლემენტოს ჰრომი, ვითარ სხუანი მრავალნი. ხოლო რომელნი დაშთეს და არა იქმნეს რჩეულ, თჳსთა ბოროტთა ნებათაგან არა იქმნეს, რამეთუ არა ინებეს. თუ არა, ღმერთსა ყოველთაჲ ენება ცხორებაჲ და ყოველთა უწოდა, ვითარცა სახარებასა შინა იტყჳს უფალი იგავსა მას მეუფისა

მისთჳს სახიერისა, რომელმან ქმნა ქორწილი ძისა მისისაჲ და მოუწოდა მრავალთა ქორწილსა მას. ხოლო მათ იჴმნეს უკეთურებითა მათითა, და მერმე უწოდა გლახაკთა და დავრდომილთა (მათე 22, 2-14), და იტყოდა უფალი, ვითარმედ: მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ (მათე 22, 14; შდრ. მათე 20, 16). ესე იგი არს, ვითარმედ: მე ყოველთადა მიწოდებიეს, ხოლო რომელნი მომერჩდენ წოდებასა მას, იგინი არიან რჩეულ და კეთილ. ეგრეთვე აქა იტყჳს მოციქული, ვითარმედ: რომელნი მოვიდეს სარწმუნოებად, გლახაკნი გინა უსწავლელნი, იგინი რჩეულ ყვნა და ადიდნა, რამეთუ მდიდართა მათ და ფილაფოსთა თავს-იდვეს უსწავლელთა და გლახაკთა მიერ სწავლაჲ ღმრთისმეცნიერებისაჲ.

*მოციქულისაჲ: **რაჲთა არცხჳნოს ბრძენთა, და უძლურნი იგი სოფლისანი გამოირჩინა ღმერთმან, რაჲთა არცხჳნოს ძლიერთა, და უაზნონი იგი სოფლისანი და შეურაცხნი გამოირჩინა ღმერთმან (1, 27-28).***

თარგმანი: ესე რაჲ გესმას თუ — „რაჲთა არცხჳნოს ბრძენთა და მდიდართა“ — ესე გულისჴმა-ყავ მათ ბრძენთათჳს და მათ ძლიერთა, რომელნი თჳსსა სიბრძნესა და დიდებასა და სიმდიდრესა ესვიდეს, და არა მოვიდეს სარწმუნოებად; რამეთუ, ვინაჲთგან მოსცა კაცთა მათ ღმერთმან სიბრძნე და სწავლულებაჲ, რაჲთამცა იცნეს ღმერთი, ხოლო მათ იჴმარეს იგი ბოროტად და უფროჲსად ჰგონებდეს თუმცა ქრისტეს ქადაგებაჲ დაჰჴსნეს. ხოლო იხილა რაჲ ღმერთმან მათი უკეთურებაჲ, უფროჲსად სირცხჳლეულ ყვნა უსწავლელთა მიერ და უაზნოთა, რამეთუ ჭეშმარიტად ესე არს დიდი იგი ძლევაჲ ქრისტესი, რომელ სულელთა მიერ, რომელ არიან უსწავლელნი, არცხჳნა ფილაფოსთა მათ და სძლო, რამეთუ დიდი სირცხჳლი არს ფილაფოსთაჲ, რომელ უსწავლელნი იგი პირსა დაუყოფდეს, და დიდი ძლევაჲ არს ქრისტესი, რომელ სულელთა მათ მიერ სძლევდა ბრძენთა.

*მოციქულისაჲ: **და არაარსნი (1, 28).***

თარგმანი: ესე იგი არს, ვითარმედ, რომელნი-იგი სწავლულთა მათ და დიდებულთა, ვითარცა არაარსნი, შეერაცხნეს.

*მოციქულისაჲ: **რაჲთა არსნი იგი (1, 28).***

თარგმანი: „არსად“ მათ იტყჳს, რომელთა აქუნდეს თავნი მათნი, ვითარცა დიდნი ვინმე და დიდებულნი, სიმდიდრისათჳს და სწავლისა მათისა.

*მოციქულისაჲ: **განაქარვნეს; რაჲთა არა იქადოს ყოველმან ჴორციელმან წინაშე ღმრთისა (1, 28-29).***

თარგმანი: რაჲ არს ესე თუ „განაქარვნეს“? — ესე იგი არს, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ ყოველივე იგი ამისთჳს ქმნა ღმერთმან და უსწავლელთა მიერ და უძლურთა და უაზნოთა მიერ არცხჳნა მდიდართა და სწავლულთა და ძლიერთა და აზნაურთა, რაჲთამცა მათი იგი ამპარტავანებაჲ და ქედმაღლობაჲ და ზუაობაჲ განაქარვა, და რომელ ჰგონებდეს თავთა თჳსთა თუ: ვართ რანი-მე. ხოლო ესე ყოველი მათდა მიმართ თქუა, რომელნი იყვნეს კორინთეს შინა ფილაფოსნი და მდიდარნი, რაჲთა მათცა დაუტევონ ზუაობაჲ იგი თჳსი და ერიცა არა შეუდგეს მათ, რაჟამს არა-კეთილსა ასწავლიდენ.

*მოციქულისაჲ: **მისგან უკუე თქუენ ხართ ქრისტჱს იესუჲს მიერ (1, 30).***

თარგმანი: მისგან თქუენ ხართო, ესე იგი არს, ვითარმედ: ღმერთმან, რომელმან-იგი ყოველი ამაოებაჲ და სიბოროტე განაქარვა, მან გჳსნნა ჩუენ ყოვლისაგან ამპარტავანებისა და უკეთურებისა და გუყვნა ჩუენ შვილად თჳსად იესუ ქრისტჱს მიერ, რომელი-იგი იქმნა ჩუენდა ღმრთისა მიერ სიბრძნე, სიმართლე, სიწმიდე და გამოჴსნაჲ; (1 კორ. 1, 30) ესე იგი არს, რომელმან მყვნა ჩუენ ბრძენ და წმიდა და მართალ, და გჳსნნა ჩუენ ესევითართა ბოროტთაგან; რამეთუ, რომელნიცა გამოირჩინა (ესე იგი არს, რომელნიცა შეუდგეს მას), ყვნა იგინი ბრძენ და მართალ და წმიდა.

*მოციქულისაჲ: **რომელი-იგი იქმნა ჩუენდა სიბრძნე (1, 30).***

თარგმანი: არა თქუა თუ „განგუაბრძნვნა ჩუენ“, არამედ, რაჲთამცა უზომოებაჲ იგი და გარდარეულებაჲ მადლისა ღმრთისაჲ გამოაჩინა, ამისთჳს ესრეთ თქუა, ვითარმედ: „იქმნა ჩუენდა სიბრძნე“. ესე იგი არს, ვითარმედ სრულიად თავი თჳსი ჩუენ მოგუცა და ჩუენდა სიბრძნედ იქმნა, რამეთუ ყოვლითურთ დაემკჳდრა ჩუენ შორის, და არა თუ შორით სიბრძნე გუასწა-

ვა, არამედ თავადი მოვიდა ჩუენდა და იქმნა ჩუენდა სიბრძნედ. ნუღარამცა უკუე ვზუაობთ ჩუენ სიბრძნესა ზედა, რამეთუ არა თუ ჩუენი რაჲმე სიბრძნე გუაქუს, არამედ ქრისტე არს ჩუენდა სიბრძნე, სიმართლე და სიწმიდე, და არარაჲ არს ჩუენი.

მოციქულისაჲ: ღმრთისაგან (1, 30).

თარგმანი: ვინაჲთგან დიდებულებაჲ ძისაჲ თქუა, ვითარმედ იგი არს სიბრძნე, სიმართლე, სიწმიდე და გამოჴსნაჲ. ამისთჳს შესძინა, ვითარმედ „ღმრთისაგან“, რაჲთა არა უშობელად მოიგონო იგი და უმიზეზოდ, და შთავარდენ ბოროტსა შინა.

მოციქულისაჲ: სიმართლე, სიწმიდე და გამოჴსნა (1, 30).

თარგმანი: იხილე, ვითარ შემდგომითი-შემოდგომად იტყჳს ქველის-მოქმედებათა მათ; რამეთუ პირველად სიბრძნე ჩუენდა იქმნა და დაამტკიცა ჩუენ შორის გულისჴმის-ყოფაჲ, და ესრეთ გჳჴსნა ჩუენ საცთურისაგან, და მერმე მექმნა ჩუენ სიმართლე, რამეთუ დაშჯილნი ესე და შეცოდებულნი განგუამართლნა, რაჟამს თანამდები ჩუენი მან თავადმან გარდაიჴადა. და სიწმიდე მექმნა ჩუენ, რამეთუ შეგინებულნი ესე და შებღალულნი ბევრეულთა მიერ ცოდვათა — წმიდად გამოგუაჩინა, რაჟამს თავი თჳსი მსხუერპლად ჩუენთჳს შეწირა. ხოლო გამოჴსნა მექმნა, რამეთუ შეპყრობილნი ესე მონებასა შინა ცოდვისასა გამოიჴსნნა და განგუათავისუფლნა, მისცა რაჲ თავი თჳსი საჴსრად ჩუენთჳს განმწმედელად ყოვლისა სოფლისა და ესრეთ მოჰფინა ჩუენ ზედა სული წმიდაჲ, და მართალ და წმიდა გუყვნა და გამოგჳჴსნნა ყოველთაგან ბოროტთა.

მოციქულისაჲ: რაჲთა, ვითარცა წერილ არს, რომელი იქადოდის, უფლისა მიერ იქადოდენ (იერემია. 9, 24) (1, 31).

თარგმანი: ესე ყოველი ამისთჳს იქმნაო, რაჲთა არავის შეერაცხოს თავი თჳსი რადმე, არცა თავსა ზედა თჳსსა იქადოდის, არამედ ყოველი სიქადული ყოველთაჳე ღმრთისა მიერ აქუნდეს. რამეთუ, ვინაჲთგან ვიეთნიმე კორინთელთაგანნი ზუაობდეს და იქადოდეს, ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: ესე ყოველი ამისთჳს ქმნა ქრისტემან, მ კაცნო, რაჲთა არღარა ვზუაობდეთ თავთა ჩუენთა ზედა, არამედ ვიჴსენებდეთ, რაჲ იქმნა ჩუენ თანა ქრისტემან, და სიმდაბლით ვჰმადლობდეთ მას.

მოციქულისაჲ: ხოლო მე, მოველ რაჲ თქუენდა, ძმანო,

მოვედ არა მეტნობითა სიტყუათა ანუ სიბრძნისაჲთა მითხრობად თქუენდა (2, 1).

თარგმანი: ვინაჲთგან თქუა, თუ სიბრძნე სოფლისაჲ განცოფდა და სულელად შერაცხილნი იგი გამოჩნდეს, ამისთჳს ამასცა იტყჳს, ვითარმედ მე თჳთ მი-რაჲ-ვედ თქუენდა, რომელი-ესე ქადაგი ვარ ქრისტიანობისაჲ, არა მოვედ ჴორციელითა ფილაფოსობითა შეჭურვილი და სიბრძნითა კაცობრივითა, არამედ სიბრძნითა საღმრთოჲთა. და ამისგან ცანთ, ვითარმედ არაჲ არს სარგებელი ჴორციელსა სიბრძნესა შინა, თუ არა, რად არა მითურთმცა მოსრულ ვიყავ ქადაგებად თქუენდა! ნუუკუე ვინმე თქუას, ვითარმედ: და უკუეთუმცა ჰნებებოდა, ძალ-ედვაა ჴორციელისა ფილაფოსობისა ქონებად? გარნა გულისჴმა-ყავნ, ვითარმედ დაღაცათუ მას ვერ ეძლო, გარნა ქრისტეს ძალ-ედვა, რაჲთამცა ექმნა იგი ფილაფოს, უკეთუმცა ენება და იყომცა რაჲმე მისგან სარგებელი.

მოციქულისაჲ: წამებაჲ იგი ღმრთისაჲ (2, 1).

თარგმანი: რამეთუ სიკუდილსა და ჯუარს-ცუმასა ქრისტესსა ქადაგებდა, ამისთჳსცა წამებად ღმრთისა სახელ-სდვა მას, ვითარცა სხუასა ადგილსა იტყჳს ქრისტესთჳს, ვითარმედ: რომელი-იგი იწამა პონტოელისა პილატეს ზე (1 ტიმ. 6, 13).

მოციქულისაჲ: ***რამეთუ არარაჲ სხუაჲ დავიდევ გულსა ჩემსა უწყებად თქუენდა, გარნა ქრისტე იესუ, და ესეცა ჯუარცუმულივე (2, 2).***

თარგმანი: ესე იგი არს, ვითარმედ: არა ვინებე ცუდთა და ამაოთა სიტყუათა შორის-შემოღებად, ვითარ-იგი წარმართნი სიტყუათა მათ უგუნურებისა მათისათა ბევრეულითა სიძნელითა სიტყუათაჲთა დაჰფარვენ, და შეწყობილებითა მით მათითა ჰნებავს განშუენებაჲ მათი. არამედ მე არა ვინებე ესევითარისა რაჲსამე სწავლად თქუენდა, გარნა ქრისტე იესუ ოდენ ვქადაგე ადვილად გულისჴმის-საყოფელითა სიტყჳთა, და იგიცა ჯუარცუმული. გარნა ამით ესევითარითა საქმითა ყოველთა მათ ბრძენთა პირები დაუყავ-ვე. ხოლო ყოველსა ამას პირსა შინა ესე არს მოსწრაფებაჲ მოციქულისაჲ, რაჲთამცა გულისჴმა-უყო, ვითარმედ ჴორციელი სიბრძნე არად საჴმარ არს, რაჲთამცა დაამდაბლნა გონებანი კორინთელთა მათ ფილაფოსთანი.

წმიდა იოანე ოქროპირი
განმარტებაჲ მათეს სახარებისაჲ*

სახარებაჲ: და ვითარცა განთენა, ზრახვა-ყვეს მღდელთ-მოძღუართა და მოხუცებულთა იესუჲსათჳს, რაჲთა მოკლან იგი. და შეკრეს იგი და მიიყვანეს და მისცეს იგი პილატეს მთავარსა (27, 1-2).

თარგმანი: განიზრახეს და განაჩინეს და დაამტკიცეს, რაჲთა მოკლან მეუფე და მაცხოვარი ყოველთაჲ. ვაჲ სულსა მათსა! ხოლო არა უნდა მათ მოკლვაჲ მისი ზემოთქუმულისა მის მიზეზისათჳს, და რამეთუ დღესასწაული დიდი იყო; ამისთჳს მიიყვანეს და მისცეს იგი მთავარსა. ხოლო შენ გულისჴმა-ყავ, ქრისტეს მოყუარეო, ვითარ მოიწია საქმე იგი ჟამსა მას დღესასწაულისასა, რამეთუ ესე პირველითგანვე განწესებულ და განგებულ იყო, რაჲთა ოდეს სახე იგი და აჩრდილი იქმნებოდა, მაშინ აღესრულოს ჭეშმარიტებაჲცა.

სახარებაჲ: მაშინ ვითარცა იხილა იუდა, რომელმან მისცა იგი, რამეთუ დაისაჯა, შეინანა და მიაქცია ოცდაათი იგი ვეცხლი მღდელთ მოძღუართა მიმართ და ხუცესთა და თქუა: ეცოდე, რამეთუ მიგეც სისხლი მართალი. ხოლო მათ ჰრქუეს: ჩუენდა რაჲ? შენ უწყი! და დააბნია ვეცხლი იგი ტაძარსა მას შინა და განეშორა და წარვიდა მიერ და შიშთვილ-იბა (27, 3-5).

თარგმანი: ესე საქმე იუდაჲსცა შემასმენელ არს და ჰურიათაცა იუდაჲსა ამისთჳს, რამეთუ უჟამოდ შეინანა და უწესოდ; ხოლო ჰურიათა ამისთჳს, რომელ ჴელ-ეწიფებოდა შენანებად და განტევებად იესუჲსა, და არა ინებეს. და იხილეთღა, თუ ოდეს შეინანა იუდა, ოდეს ცოდვაჲ იგი აღასრულა.

რამეთუ ესრეთ არს საქმე ეშმაკისაჲ: არა მიუშუებს წარტყუენულთა მის მიერ აღხილვად თუალთა ოდეს ცოდვასა იქმოდინ, ხოლო აღასრულონ რაჲ ბოროტი, მერმე ემხილების.

---

* იბეჭდება გამოცემიდან „წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ,“ წიგნი III, თბ. 1998. გვ. 406-459.
ახალქართულად ტექსტი იხ. გვ. 61.

და მას უბადრუკსა რავდენი ასწავა ქრისტემან, და არა მოდრკა გული მისი ფიცხელი.

ხოლო აღესრულა რაჲ ბოროტი იგი განზრახვაჲ მისი, მაშინღა შეუკდა სინანული, და იგიცა არა იკმარა ჯეროვნად; რამეთუ რომელი-იგი აბრალა თავსა თჳსსა და ვეცხლი იგი დააბნია და არა დაერიდა კრებულსა მას ჰურიათასა, ესე ყოველი კეთილად ქმნა, ხოლო რომელ შიშთვილ-იბა და თავი მოიკლა, ესე შეუნდობელი ყო და საქმე ბოროტისა ეშმაკისაჲ; რამეთუ შეისწრაფა წარტაცებად მისა, რაჲთა ვერ შეინანოს ცოდვაჲ იგი, და სიკუდილითა ბოროტითა და საძაგელითა წარწყმიდა შვილი იგი წარწყმედისაჲ.

აწ იხილეთ, ვითარ ჭეშმარიტებაჲ ყოვლით კერძო ბრწყინავს და წინა-აღმდგომნი მისნი დაისჯებიან. რამეთუ ესე მებრ იუდაჲს შიშთვილი სრულიად პირსა დაუყოფს ჰურიათა; რამეთუ რაჲღა სიტყუაჲ აქუს, ვინაჲთგან ესმის, ვითარ მიმცემელი იგი შეიწამებს უშჯულოებასა თჳსსა, რამეთუ ვერღარა თავსიდებდა მხილებასა მას გონებისასა. ეგრეთვე ჰურიათაცა შეხუდებოდა, რამეთუ იცოდეს, ვითარმედ უშჯულოება საქმესა იქმან. ამისთჳს ოდეს თქუა იუდა, „ვცოდეო, რამეთუ მიგეც სისხლი მართალი“, სხუაჲ ვერარაჲ მიუგეს, გარნა ესე: ჩუენდა რაჲ არსო, შენ უწყი, შენ ზედა იყავნ ბრალი. ესე თქუეს და იცოდეს საქმისა მის სიბოროტე, არამედ არა აღიხილნეს თუალნი, არცა გულისჴმა-ყვეს, ვიდრემდის აღასრულეს მათცა ცოდვაჲ თჳსი; რამეთუ იუდაჲსი აღსრულებულ იყო — მიცემაჲ იგი, ხოლო მათი ჯერეთ არა აღსრულებულ იყო — ქრისტეს მკლველობაჲ. არამედ აღასრულეს რაჲ და დამოჰკიდეს იგი ჯუარსა, მაშინ იგინიცა იწერტებოდეს გონებისაგან, და შეშფოთებულ იყვნეს; ამისთჳს ოდესმე ეტყოდეს პილატეს: „ნუ დასწერ: მეუფჱ ჰურიათაჲ“ (იოანე 19, 21).

ჰრქუამცა ვინ მაშინ: და რაჲსა გეშინის, უბადრუკნო, მკუდრისაგან, ძელსა დამოკიდულისა?

კუალად ამბოხებდეს, დაცვად საფლავისა განემზადებოდეს, ნუუკუე მოვიდენო მოწაფენი და წარიპარონ იგი და უთხრან ერსა, ვითარმედ: აღდგა მკუდრეთით. და სადა ქმნილ არს ეს-

ემლევანი საქმე, ჰ, ცოფნო და უგუნურნო? ოდეს ვინ მოიპარა მკუდარი და თქუა, ვითარმედ აღდგა?

ვიდრე ცხოელღა იყო, დაუტევეს იგი და იქლტოდეს, და თავმან მოწაფეთა მისთამან სამგზის უარ-ყო, და აწ ვინ არს მათგანი, რომელი გუამსამცა მკუდარსა წარიპარვიდა და აღდგომასა სწამებდა? არამედ ამხილებდა მათ გონებაჲ და ამისთჳს ამას ყოველსა ზრახვიდეს, ვითარცა უცნობონი.

ისმინეთ, ვეცხლის-მოყუარენო, რაჲ-იგი შეემთხჳა იუდას. ცოდვაჲ იგი საშინელი ქმნა და ვეცხლი იგი დააბნია და სული თჳსი წარწყმიდა, ესეცა საწუთროჲ დასჭირდა და საუკუნოჲ ცხორებაჲცა, და შიშთვილ-იბა, რაჲთა იყოს საქიქელ ყოველისა სოფლისა.

ემხილა ჰურიათაცა, გარნა მთრვალ იყვნეს შურისაგან და არა განეყენნეს საეშმაკოსა მას საქმესა, არამედ მოპოვნებულითა რეცა უმეცრებითა ჰფარვენ თავთა თჳსთა უგუნურებით.

უკუეთუმცა შემდგომად ჯუარ-ცუმისა თქუმულ იყვნეს სიტყუანი ესე, არცა მაშინ აქუნდა სიტყუაჲ, გარნა აწინდლისასა უმოლხინემცა იყვნეს. ხოლო აწ ჯერეთ მათ თანა იყო ქრისტე და ჴელ-ეწიფებოდა განტევებად მისა; ვითარ უკუე ეტყჳან იუდას: „ჩუენდა რაჲთა“, და მას ზედა დასდებენ ყოველსავე ბრალსა, და იგინი ისწრაფიან მოკლვად ქრისტესა?

რამეთუ ჰრქუა რაჲ პილატე: „ვინ ორთაგანი მიგიტეო თქუენ: ისუ ბარაბაჲსი ანუ იესუ, რომელსა ჰრქჳან ქრისტე?“ (მათე 27, 17), უშჯულოთა მათ ბარაბა მოითხოვეს, კაცის-მკლველი იგი და ავაზაკი, ხოლო ქრისტე დასაჯეს სიკუდილად, ქველის-მოქმედი იგი და კეთილის-მყოფელი მათი.

ხოლო იუდა იხილა რაჲ, ვითარმედ ჰურიათა ვეცხლი იგი არა მიითუალეს, დააბნია ტაძარსა შინა და წარვიდა მიერ და შიშთვილ-იბა.

საბარებაჲ: ხოლო მღდელთ-მოძღუართა მათ მოიღეს ვეცხლი იგი და თქუეს: არა ჯერ-არს ესე დადებად სიწმიდესა, რამეთუ სასყიდელი სისხლისაჲ არს. და ზრახვა-ყვეს და მოიღეს ვეცხლი იგი და მოიყიდეს მითა აგარაკი მეკეციսაჲ საფლავად უცხოთა. ამისთჳს ეწოდა აგარაკსა მას აგარაკი სისხლისაჲ ვი-

დრე აქა დღედმდე. მაშინ აღესრულა თქუმული იგი იერემია წინაჲსწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყჳს: და მოიღეს ოცდაათი იგი ვეცხლი, სასყიდელი იგი პატიოსნისაჲ მის, რომელი მოიყიდეს ძეთა ისრაელისათა. და მისცეს იგი აგარაკისათჳს მეკეციისა, ვითარცა მიბრძანა მე უფალმან (27, 6-10).

თარგმანი: ჰხედავა, ვითარ იწერტებიან მხილებითა მით გონებისაჲთა? და შეიწამებენ, ვითარმედ მკლველობაჲ მოიყიდეს; და არა დადვეს ვეცხლი იგი ტაძარსა, არამედ იყიდეს აგარაკი აკალდამად, რაჲთა იყოს იგი საწამებელად უშჯულოებისა მათისა საუკუნოდ, და სამხილებელად განცემისა მის. რამეთუ სახელი აგარაკისა მის ჴმამაღლად ღაღადებდა მკლველობასა და მოსისხლეობასა მათისა. ხოლო ყოველსავე ზედა ზრახვასა იქმან, რაჲთა არავინ მათგანი იპოოს უბრალო, არამედ ყოველნივე თანა-მდებ სიკუდილსა ქრისტესსა.

და ამას ყოველსა პირველვე წინაჲსწარმეტყუელი მოასწავებდა, ჰხედავა, ვითარ არა მოციქულთა ოდენ, არამედ წინაჲსწარმეტყუელთაცა ყოველივე საყუედრელად და შეურაცხად საგონებელი მოსწრაფებით აღწერეს და ყოვლით კერძო ვნებასა მისსა ქადაგებენ?

სიტყუაჲ ესე: *ხოლო იესუ დადგა წინაშე მთავრისა მის. და ჰკითხა მას მთავარმან მან: შენ ხარა მეუფჱ ჰურიათაჲ? ხოლო იესუ ჰრქუა: შენ იტყჳ, და შესმენასა მას მღდელთ-მოძღუართასა და მოხუცებულთასა არარაჲ მიუგო (27, 11-12).*

იცოდეს მღდელთა მათ სიცრუისათა და მოხუცებულთა მათ, დაძუელებულთა უშჯულოებითა, ვითარმედ პილატეს არაჲ ზრუნვაჲ აქუნდა საქმეთათჳს შჯულისათა, რამეთუ კაცი იყო წარმართი; ამისთჳს ესე შესმენაჲ წინა-უყვეს, ვითარმედ: მეფედ ქადაგებს თავსა თჳსსა, რაჲთამცა ესრეთ თანა-მდებ სიკუდილისა ყვეს, რამეთუ ესე ოდენ იყო საძიებელ მათა; ამისთჳს სამოსელიცა დაიპო მღდელთ-მოძღუარმან მან მზაკუვარმან. რამეთუ ჰურიათა შორის რაჲ იყო, ესე დასდვეს ბრალი, თუ ძედ ღმრთისა იტყჳსო თავსა თჳსსა. იცოდეს, ვითარმედ იგი არს ძე ღმრთისაჲ, არამედ შურმან დააბნელნა იგინი; ხოლო აქა კუალად მეფობისა სახელი დასწამეს.

ამისთჳს ჰრქუა პილატე: „შენ ხარა მეუფე ჰურიათაჲ?“ ხოლო იესუ ჰრქუა: შენ იტყჳ“. აღიარა, ვითარმედ მეუფჱ არს, გარნა მეუფჱ ზეცისაჲ, ვითარცა იოვანე უმეტესად გუასწავებს სიტყუასა მისსა პილატეს მიმართ და იტყჳს: „ჰრქუა მას იესუ: მეუფებაჲ ჩემი არა არს ამის სოფლისაგან, უკეთუმცა ამის სოფლისაგანი იყო მეუფებაჲ ჩემი, მსახურნიმცა ჩემნი იღუწიდეს ჩემთჳს, რაჲთა არა მივეცი ჰურიათა. ხოლო აწ მეუფებაჲ ჩემი არა არს ამიერ (იოანე 18, 36).

ამისთჳსცა რაჲთა სრულიად ესე იჭჳ განუქარვოს და გულისჴმა-უყოს, ვითარმედ მეუფებაჲ მისი არა ამის სოფლისაჲ არს, ხარკი მისცა, და სხუათა უბრძანა მიცემად კეისრისაჲ კეისარსა, და ოდეს ენება ერსა მას მეფედ დადგინებაჲ, ივლტოდა.

ხოლო ვინაჲთგან ესრეთ მძლავრებისა შესმენასა მოიღებდეს მის ზედა, რად არა თქუა ესე ყოველი? არა ჯერ-იჩინა თქუმად ამისთჳს, რამეთუ ბევრეულნი სახენი აქუნდეს მათ ძლიერებისა და სახიერებისა და ჭეშმარიტებისა მისასანი, და ნეფსით დაბრმობილ იყვნეს, არა თუ უმეცრებისაგან სცთებოდეს. ამისთჳს არარაჲ მიუგო ესევითარი, გარნა მცირედი ოდენ, რაჟამს-იგი აფუცა მღდელთ-მოძღუარმან, და ოდეს-იგი ჰკითხა მთავარმან. ხოლო შესმენათა მათთა მიმართ არცა ერთი რაჲ მიუგო, რამეთუ იცოდა, ვითარმედ არა ჰნებავს მათ სმენაჲ ჭეშმარიტებისაჲ.

და ამას პირველვე ღაღადებდა ესაია და იტყოდა: „ვითარცა ცხოვარი, კლვად მიიგუარა და, ვითარცა ტარიგი წინაშე მრისუველისა უჴმობელად დგა, ესრეთ არა აღაღებს პირსა თჳსსა. სიმდაბლითა მისითა საშჯელი მისი მიეღო, და თესლ-ტომი მისი ვინ-მე მიუთხრას?“ (ესაია 53, 7-8).

სახარებაჲ: მაშინ ჰრქუა მას პილატე: „არა გესმისა, რავდენსა-ესე შეგწამებენ შენ?“ და არარაჲ მიუგო მას არცა ერთისა სიტყჳსათჳს, ვიდრემდე უკჳრდაცა მთავარსა მას ფრიად (27, 13-14).

თარგმანი: ჭეშმარიტად საკჳრველებისა დიდისა ღირს იყო საქმე იგი, ესოდენი იგი სულგრძელებაჲ და სიმშჳდე სახიერისაჲ მის; და ვითარ არარას მიუგებდა, რომელსა ბევრეულნი აქუნდეს სიტყუანი გამომაჩინებელნი ჭეშმარიტებისანი და მამხილებელ-

ნი მათისა მის შურისანი. არამედ იხილნა, ვითარმედ სრულიად სასოწარკუეთილ იყვნეს, და ნეფსით თუალნი დაეწუხნეს და ყურნი დაეყენეს, და არცა ამისაგან შეიგონეს, რომელ ვერცა ერთი ბრალი პოეს მის ზედა, არცა, იხილეს რაჲ იუდა მომშთუარი, შეიკდიმეს, არცა, ხედვიდეს რაჲ პილატეს, ვითარ ჴელნი დაიბანნა და თქუა: „უბრალო ვარ მე სისხლისაგან მაგისისა, თქუენ იხილეთ“ (მათე 27, 24), შეშინდეს. ესრეთ მიეცნეს მათ თავნი თჳსნი ეშმაკისადა. ამისთჳს არარაჲ მიუგო უფალმან.

სახარებაჲ: ხოლო დღესასწაულთა ჩუეულ იყო მთავარი იგი: მიუტევის ერსა მას ერთი პყრობილი, რომელიცა უნებნ მათე იყო ვინმე მაშინ პყრობილი შესწავებული, რომელსა ერქუა ისუ ბარაბაჲსი. და ვითარ შეკრებულ იყვნეს იგინი, ჰრქუა მათ პილატე: ვინ გნებავს ორთაგან და მიგიტეო თქუენ: ისუ ბარაბაჲსი ანუ იესუ, რომელსა ჰრქჳან ქრისტე? რამეთუ უწყოდა, ვითარმედ შურითა მისცეს იგი (27, 15-18).

თარგმანი: ვინაჲთგან იხილა, ვითარმედ ქრისტე არარას მიუგებს, არცა განიმართლებს თავსა თჳსსა, სხუაჲ ღონე მოიპოვა, რაჲთამცა განარინა იგი, და ეტყჳს: უკუეთუ არა გნებავს, ვითარცა უბრალოჲსა განტევებაჲ, ბარე, ვითარცა პყრობილი, მიანიჭეთ ეგე დღესასწაულსა ამას. იხილეა წინაუკუმოჲ ესე წესი? გამოთხოვაჲ პყრობილისაჲ ერსა მას თანა-ედვა, და მინიჭებაჲ მთავრისაჲ იყო, ხოლო აწ წინა-აღმდგომი იქმნა, და მთავარი ჰპატიჟებს ერსა და ითხოვს მათგან, რაჲთა განუტეოს ქრისტე. და არა შეიკდიმეს უღმრთოთა მათ, არამედ უფროჲს ღაღადებდეს და ამბოხებდეს, უმიზეზოდ და უბრალოდ, რამეთუ ემხილებოდა დუმილითა მისითა მათი იგი სიცბილი.

სახარებაჲ: და ვითარცა ჯდა პილატე საყდართა ზედა, მოუვლინა მას ცოლმან თჳსმან და ჰრქუა: არარაჲ ძეს შენი და მართლისა მაგის კაცისაჲ, რამეთუ მრავალი მევნო მე ჩუენებით მაგისთჳს დღეს (27, 19).

თარგმანი: იხილეთ, ვითარი იქმნა ესეცა საქმე, რომელი კმა იყო შეგონებად მათ ყოველთადა, რამეთუ ჭეშმარიტებასა მას თანა საქმეთასა, ჩუენებაჲცა იგი არა მცირე იყო.

ხოლო რაჲსათჳს არა პილატე იხილა ჩუენებაჲ იგი, არამედ

ცოლმან მისმან? ერთად, რამეთუ იგი სადამე უფრო ღირს იყო ხილვად, ვიდრე პილატე; მეორედ, უკუეთუმცა პილატეს ეხილვა, არცამცა გამოეცხადა ყოველთა ზედა, თუ: ესრეთ, ვიხილე. ამისთჳს ცოლმან იხილა, რაჲთა ყოველთა ეუწყოს. და არა ლიტონად ეჩუენა, არამედ ფრიად ელმოდა, რაჲთა შეშინდეს ქმარიცა და არა საჯოს მოკლვაჲ იესუჲსი, არამედ იგიცა სრულიად უგუნურ და უსახურ იპოვა.

და თუმცა თქუა, თუ: ვერ ვიკადრებ განტეობად, რამეთუ მეფედ ჰყოფს თავსა თჳსსა; ჯერ-იყო გამოჩინებად და მხილებად საქმისა მის, თუ იყოა მის თანა სასწაული მძლავრობისაჲ: უკუეთუ მჴედრობასა იკრებდა, უკუეთუ საფასეთა იუნჯებდა, უკუეთუ საჭურველთა ჭედდა, ანუ სხუასა რასმე ესევითარსა იქმოდა. ხოლო მან არარაჲ გამოიკულია, არამედ ესრეთ უგუნურებით და სიცოფით მიჰყვებოდა ნებასა ბოროტისა მის ერისასა.

ამისთჳს არა ყო იგი ქრისტემან გარეგან ბრალისა, არამედ ჰრქუა, ვითარმედ: „მიმცემელსა ჩემსა შენდა უდიდესი ცოდვაჲ აქუს“ (იოანე 19, 11), და გამოაჩინა, ვითარმედ: დაღაცათუ მიმცემელსა მას უდიდესი ცოდვაჲ აქუს (გინა თუ იუდას იტყჳს, გინა თუ მღდელთ-მოძღუართა, რამეთუ მათ მისცეს პილატეს), გარნა არცა უგუნური იგი მთავარი გარეგან ცოდვისა არს, რამეთუ მუნ ეშინოდა მას შიში, სადა-იგი არა იყო შიში. უგუნურებითა საჳსე იყო იგი და დაჴსნილებითა, ხოლო მღდელთ-მოძღუარნი იგი — უკეთურებითა, შურითა, ზაკუვითა და ბოროტებითა. ამისთჳსცა დაარწმუნეს ერსა მას, რაჲთა მოითხოონ ბარაბა.

ჰხედავთა, რავდენი ღონე აჩუენა ქრისტემან, რაჲთამცა მოდრიკნა ფიცხელნი იგი გულნი მათნი, და რაჲზომ ისწრაფეს მათ, რაჲთა სრულიად უსიტყუელ-ყვნენ თავნი თჳსნი?

ჱ უშჯულონო, ჱ ნაწილნო ეშმაკისანო, ჱ შვილნო წარწყმედისანო! ვისი უმჯობეს იყო გამოთხოვაჲ და განტეობაჲ: განცხადებულისა მის კაცის-მკლველისა და შესწავებულისა მის ავაზაკისა, რომელსა ურიცხჳ კაცის-კლვაჲ ექმნა, ანუ უფლისა იესუჲსი, რომლისა თანა ბრალი არცა ერთი იპოვა?

ვაჲ, სულისა თქუენისა, ბილწნო, რამეთუ კაცის-მკლველი იგი აღირჩიეთ, და მაცხოვარი ყოვლისა სოფლისაჲ უვარ-ჰყავთ,

და არცა დღესასწაულისა მისგან შეიკდიმეთ, არცა ქველის-მოქმედებანი მისნი მოიჯსენენით.

ესე საქმე არს ბოროტთა მათ მღდელთ-მოძღუართაჲ. იგინი დაბრმობილ იყვნეს შურისაგან და მათ ასწავეს უშჯულოჲ იგი სწავლაჲ ერსა მას, რაჲთა მათისაცა წარწყმედისა საშჯელი მიეჯადოს მათ, ვითარცა აწ აღმოვიკითხეთ.

სახარებაჲ: მიუგო მთავარმან და ჰრქუა მათ: ვინ გნებავს ორთაგანი და მიგიტეო თქუენ? მათ ჰრქუეს: ბარაბა. ჰრქუა მათ პილატე: და რაჲ უყო იესუს, რომელსა ჰქჳან ქრისტე? ჰრქუეს მას ყოველთა: ჯუარს-ეცჳნ. ხოლო მან ჰრქუა მათ: რაჲ ბოროტი უქმნიეს? ხოლო იგინი უმეტეს ღაღადებდეს და იტყოდეს: ჯუარს-ეცჳნ. ვითარცა იხილა პილატე, რამეთუ არას არგებს მას, არამედ უფროჲსღა შფოთი იქმნების, მოითხოვა წყალი და დაიბანნა ჴელნი წინაშე ერისა მის და თქუა: უბრალო ვარ მე სისხლისაგან მაგისისა, თქუენ იხილეთ. და მიუგო ყოველმან ერმან და თქუა: სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა (27, 21-25).

თარგმანი: „ჰრქუა მათ პილატეო: და რაჲ უყო იესუს, რომელსა ჰრქჳან ქრისტე?“ ოდეს სხჳთა სახითა ვერ დაარწმუნა, მერმე ესე თქუა, რამეთუ ჰგონებდა თუ ჰრცხუენოდის თქუმად, ვითარმედ: ჯუარს-აცუ; და უმეტესად დაამძიმა ტჳრთი მათ ზედა, ოდეს ყვნა იგინი უფალ საქმისა მის. ხოლო იხილნა რაჲ, ვითარმედ მოუდრეკელ იყვნეს გულნი მათნი და უფროჲსღა შფოთსა იქმოდეს და ჰმობდეს „ჯუარს-აცუ“, დაიბანნა ჴელნი და თქუა: „უბრალო ვარ მე“. თქუღა, ცოფო და განლიგებულო კაცო, ვინაჲთგან იცი, ვითარმედ ბოროტი არარაჲ უქმნიეს და მიზეზსა სიკუდილისასა მის თანა არა ჰპოვებ და ბრალსა შენგან განაგდებ, რაჲსათჳს მისცემ ჯუარს-ცუმად, ანუ რაჲსათჳს არა გამოიტაცებ შორის მათსა, ვითარცა ათასის-თავმან მან ქმნა პავლეს ზედა? რამეთუ მაშინცა შფოთი დიდი იყო მის ზედა ჰურიათაგან, არამედ ათასის-თავი იგი მჴნედ წინა-აღუდგა და განარინა იგი ჴელთაგან მათთა (საქმე 23, 17-30). გარნა პილატე არა ესრეთ ქმნა, არამედ ფრიად უგუნურად და უგულოდ; და ყოველნივე იგი მიდრეკილ და უჴმარ იყვნეს, არცა პილატე ერსა

მას წინა-აღუდგა, არცა ერი იგი — მღდელთ-მოძღუართა, არამედ ღაღადებდეს: „ჯუარს-ეცუნ ეგე“.

რავდენი მიზეზი მისცა ქრისტემან მოქცევისაჲ და არა მოიქცეს. ვითარცა-იგი იუდას შეემთხჳა, ეგრეთვე ჰურიათა; და არცა თუ ოდეს იხილეს მთავარი იგი, ვითარ დაიბანნა ჴელნი, ლმობიერ იქმნნეს, არამედ უფროჲსად ღაღად-ყვეს და თქუეს: „სისხლი მაგისი ჩუენ ზედა“. მაშინ იხილა რაჲ პილატე, ვითარმედ ყოველი იგი ბრალი თავთა თჳსთა ზედა დაიკრიბეს ნეფსით თჳსით, აღასრულა მან ნებაჲ მათი. აწ იხილეთ აქა განსაკჳრვებელი საქმე: ვითარ ეუფლოს რაჲ ეშმაკი ვისმე, სრულიად დააბრმობს. თქუთღა, უშჯულონო ჰურიანო, გუელნო და ნაშობნო იქედნეთანო, ნათესავო დრკუო და გულარძნილო, ერო ცოფო და არაბრძენო, ნაშობნო ბილწებისანო, მზრახვალნო წარწყმედისანო, რომელთა თანა არა არს მეცნიერებაჲ; იყავნ წყევაი ესე და ცოდვაჲ თქუენ ზედა, ვითარცა სთქუთ; შვილთა თქუენთა ზედა რაჲსათჳსღა მიიყვანებთ წყევასა მას? ეჰა, ვითარ გარდამატებულ იყო უკეთურებაჲ მათი და ვითარ გამოუთქუმელ არს სახიერებაჲ უფლისაჲ. რამეთუ ესოდენსა მას სიბორგილესა მათსა ზედა, რომელთა ესრეთ ლირბად მიიღეს ცოდვაჲ იგი და წყევაჲ მათ და შვილთა მათთა ზედა, არავე დაამტკიცა სიტყუაჲ იგი, არცა თუ თჳთ მათ ზედა. არამედ რომელნიცა მოიქცეს მათგანნი და შეინანეს წყალობით, შეიწყნარნა და სასუფეველსა ღირს-ყვნა. რამეთუ პავლეცა მათგანი იყო და ბევრეულნი იგი, რომელთა ჰრწმენა იერუსალემს, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „ჰრქუა იაკობ პავლეს: ხედავა, ძმაო, რავდენნი ბევრნი არიან ჰურიათა შორის მორწმუნენი?“ (საქმე 21, 20). იგი ყოველნი მათგანნი იყვნეს და შეიწყნარნა სახიერმან მან და აღჴოცნა ცოდვანი მათნი; ხოლო რომელნი სრულიად ეგნეს ურწმუნოებასა შინა, მათ თავით თჳსით მოიღეს რისხვაჲ ღმრთისაჲ მათ ზედა.

სახარებაჲ: მაშინ მიუტევა მათ ბარაბა, ხოლო იესუს შოლტითა სცა და მისცა მათ, რაჲთა ჯუარს-აცუან (27, 26).

თარგმანი: რაჲსათჳს ქმნა ესე პილატე? ვინაჲთგან ჯუარცუმად მისცემდა, შოლტითა რაჲსათჳსღა სცა? ამისათჳს, რაჲ-

თა ჰურიანი მოიმადლნეს. ესოდენ უგუნურ იყო, ესოდენ ცოფ, არა გულისჴმა-ყვნა სასწაულნი მისნი და საკჳრველებანი იგი, ძჳრუჴსენებლობანი და დუმილი მისი ყოველთა მათ შესმენათა ზედა, რომელ-იგი კმა იყო ქვათაცა მოდრეკად. რამეთუ ვინაჲთგან ლოცვითა მით და შეწუხებითა და მრავლითა სახითა კაცებაჲ აჩუენა, აწ კუალად დუმილითა მით და შეურაცხებითა შესმენათა მათთაჲთა უზეშთაესსა მას საზომსა აჩუენებს, რაჲთა გულისჴმა-ყონ, ხოლო იგინი ყოვლადვე მოუდრეკელ იპოვნეს. რამეთუ ოდეს ვნებისა რაჲსაგანმე დაითროს სული, ძნელ არს განღჳძებაჲ და განფრთხობაჲ მისი.

სიტყუაჲ ესე: მაშინ ერისაგანთა მათ მთავრისათა წარიყვანეს იესუ ტაძრად და შეკრიბეს მის ზედა ნათესავები ყოველი. და განძარცუეს იგი და ქლამინდი მეწამული შეჰმოსეს მას. და შეთხზეს გჳრგჳნი ეკალთაგან და დაადგეს თავსა მისსა და ლერწამი მისცეს მარჯუენესა ჴელსა მისსა და მუჴლნი დაიდგნეს მის წინაშე, ემღერდეს მას და ეტყოდეს: გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათაო! და ჰნერწყუვიდეს მას და მოიღეს ლერწამი და სცემდეს თავსა მისსა. და ოდეს განკიცხეს იგი, განძარცუეს ქლამინდი იგი და შეჰმოსეს მას თჳსივე სამოსელი და წარიყვანეს იგი, რაჲთა ჯუარს-აცუან. და ვითარ გამოვიდეს იგინი მიერ, პოვეს კაცი კჳრინელი, სახელით სიმონ. ესე წარიქციეს პაჰრაკად, რაჲთა აღიღოს ჯუარი მისი. და მოვიდეს ადგილსა მას, რომელსა ჰრქჳან გოლგოთა, რომელ არს თხემისა ადგილი. და მისცეს მას ძმარი ნავლილითა შეზავებული. და მი-რაჲ-იღო, არა უნდა სუმის. და ვითარცა ჯუარს-აცუეს იგი, განიყვეს სამოსელი მისი და განიგდეს წილი, რაჲთა აღესრულოს თქუმული წინაჲსწარმეტყუელისა მიერ, რომელსა იტყჳს: განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი. და სხდეს მუნ და სცვიდეს მას (27, 27-36).

„ვინ-მე იტყოდის ძლიერებათა უფლისათა, სასმენელ-ყვნეს ყოველნი ქებულებანი მისნი?“ (ფსალმუნნი 105, 2). ვინ-მე უძლოს თხრობად მიუწთომელსა მას და გამოუთქუმელსა უფსკრულსა სახიერებისა მისისასა? ვინ-მე გულისჴმა-ყოს გარდარეული იგი ბუნებათა უაღრესი კაცთა მიმართ სიყუარული

მისი, რომელმან ცხორებისათჳს ჩუენისა ესოდენნი შეურაცხებანი და ვნებანი დაითმინნა, რაჲთა ჩუენ უვნებელობაჲ მოგუცეს და მონებისაგან ეშმაკისა განგუათავისუფლნეს? რამეთუ ესერა გესმა, რაჲ-ესე აღმოვიკითხეთ დღეს წმიდასა სახარებასა შინა. მე მესმა, ძმანო, და განვცვბრდი, განკჳრდა გონებაჲ ჩემი და ძუალნი ჩემნი შეძრწუნდეს, და მოწყალესა მას და კაცთმოყუარესა მეუფესა თაყუანის-ვეც და მადლობაჲ შევსწირე, რამეთუ სხუაჲ სიტყუაჲ არარაჲ მაქუნდა.

ჳ, საკჳრველი ესე საქმე! ვითარ შეთქმულებით ყოველთა შორის მაშინ ეშმაკი იხარებდა. რამეთუ ვთქუათ, თუ ჰურიანი შურისაგან ბორგდეს და ესრეთ სრულიად დაივიწყეს ღმერთი. ერისაგანნი იგი, რომელ არიან მჴედარნი და მსახურნი მთავრისანი, ჰრომნი იყვნეს და ბერძენნი, რომლისა მიზეზისათჳს იქმოდეს ესევითართა მათ საქმეთა? არა საცნაურ არსა, ვითარმედ ეშმაკი უფლებულ იყო მათ ყოველთადა, და აქცევდა მათ, ვითარცა ენება?

ამისთჳსცა განცხრომად შეერაცხა მისი იგი შეურაცხებაჲ მჴეცთა მათ ბოროტთა და მძჳნვარეთა. ჯერ-იყო ტირილი და გლოვაჲ, ვითარცა სხუაჲ იგი ერი იქმოდა. ხოლო იგინი უფროჲსად ეკიცხევდეს და აყუედრებდეს მომადლებისათჳს ჰურიათაჲსა, და შეურაცხებითა მრავლითა შეურაცხ-ჰყოფდეს. ჳ, საქმე შესაძრწუნებელი! ვითარ-მე ვიტყოდი, ანუ ვითარ-მე დავიდუმო, რამეთუ ორივე ესე ძნელ მიჩნს. ჳ, საკჳრველი მიუთხრობელი და გამოუთქუმელი! ყოველნი ასონი წმიდისა მის გუამისა მისისანი ჩუენთჳს იგუემნეს.

წმიდასა მას თავსა მისსა ოდესმე დაჰბურიან და სცემდიან. კუალად გჳრგჳნითა მით ეკლისაჲთა ტანჯეს, მერმე ლერწმითა სცემდეს კაცნი იგი ბილწნი და შეურაცხნი. პირი მისი ნერწყუვითა შეურაცხ იქმნა. ღაწუთა მისთა ყურიმლის-ცემაჲ თავს-იდვეს. გუამი მისი განშიშულდა და შოლტითა იგუემა, და ქლამინდი კიცხევისაჲ შეემოსა, და თაყუანის-სცემდეს მას ბასრობით. ჴელი მისი მიცემითა მით ლერწმისაჲთა იტანჯა და დამშჭუალვითა სამშჭუალთაჲთა; პირი კუალად მიცემითა ნავღლისა და ძმრისაჲთა. ესე ყოველი გუესმის, ძმანო, აწ რაჲღა სი-

ტყუაჲ გუაქუს გინებათა და შეურაცხებათათჳს განრისხებად, ვინაჲთგან ქრისტემან თავს-იდვა ესე ყოველი?

რამეთუ საქმენი ესე ყოვლისა სიტყჳსა უზეშთაეს არიან და არღარაჲ დაშთა სახე შეურაცხებისაჲ, რომელი არა აჩუენეს მას.

ჲ, აღურაცხელნი იგი ბოროტნი ჰურიათანი! წინაჲსწარმეტყუელნი თჳსითა კელითა მოსწყჳდნეს, ხოლო უფლისა იესუჲსი მოკლვაჲ რაჲ ინებეს, მთავრისაცა განჩინებაჲ თანაშემწე იყვეს. გარნა ყოველი იგი საქმე მათ ზედა იყო. იგინი იყვნეს შემასმენელნი; იგინი იყვნეს მკლველნი; მათ თქუეს: „სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა“ (მათე 27, 25). იგინი ჰბასრობდეს, იგინი გკიცხევდეს, იგინი იყვნეს ერისაგანთა მათ და მსახურთა მთავრისათა მაბირებელ, მათ შეკრეს, მათ შემშჭუალეს, იგინი ჰნერწყუვიდეს, იგინი სცემდეს. არარაჲ ამათგანი განეგო პილატეს, არამედ ყოველსა იგინი იქმოდეს, იგინი იყვნეს მტარვალ და მგმობარ.

ხოლო აწ ჩუენ ამას ყოველსა ვიკითხავთ ჟამსა მას, ოდეს ყოველნი შემოკრბენ ეკლესიად, რაჲთა ვერ გუეტყოდინ წარმართნი, თუ: რავდენიცა არს ბრწყინვალე და დიდებული, ვითარ-იგი სასწაულნი და საკჳრველებანი, ჰქადაგებთ ერსა ზედა, ხოლო რავდენიცა არს საყუედრელ, ჰფარავთ. ამისთჳს განაწესა მადლმან სულისა წმიდისამან, და დღესასწაულსა ამას დიდებულსა, ოდეს ყოველი ერი და ყოველი ჰასაკი ეკლესიად შემოკრბეს, დიდებულსა მას ღამესა ქრისტეს ვნებისასა, მაშინ ვიკითხავთ ამას ყოველსა ბრწყინვალითა და მაღლითა ჴმითა. და ამას რაჲ ვიკითხვიდეთ, ყოველთა ჰრწამს ქრისტე ღმრთად ჭეშმარიტად, დამბადებელად ყოველთა და უმეტესად ამისჳს თაყუანის-იცემების, რომელ ესოდენ ჯერ-იჩინა ჩუენთჳს დამდაბლებაჲ, ვიდრეცა ესევითარნი ვნებანი თავს-ისხნა, რაჲთა ჩუენ გუაცხოვნნეს, და რაჲთა გუასწაოს სათნოებაჲ ჭეშმარიტი.

აწ უკუე მარადის ამათ ქრისტეს ვნებათა ვიკითხვიდეთ, რამეთუ დიდ არს მათგან სარგებელი სულიერი და ვინ არს იგი კაცი, რომელსა ესმას, ვითარ იკიცხეოდა და იქენჯებოდა და ელმოდა უფალსა, და არამცა ლმობიერ იქმნა, დაღაცათუ უფიცხეს ქვისა

იყოს? ხოლო ისმინეთ კუალადცა საკჳრველი ესე სიტყუაჲ:

სახარებაჲ: და მოვიდეს ადგილსა მას თხემისასა, რომელსა ჰრქჳან გოლგოთა, რომელ არს თხემისა ადგილი. და მისცეს მას ძმარი ნაღლითა შეზავებული. და მი-რაჲ-იღო, არა უნდა სუმის. და ვითარცა ჯუარს-აცუეს იგი, განიყვეს სამოსელი მისი და განიგდეს წილი, რაჲთა აღესრულოს თქუმული წინაჲსწარმეტყუელისა მიერ: განიყვეს სამოსელი ჩემი და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი. და სხდეს მუნ და სცვიდეს მას (27, 33-37).

სხდეს მუნ და სცვიდეს მას, თუ ოდესძი მოკუდეს, და სამოსელი მისი განიყვეს, ვითარცა კაცისა ვისმე შეურაცხისაჲ, რომლისა არავინ არნ შემწე და მოზრუნავი. და არარაჲ შეემთხჳა მოქმედთა მათ ამის საქმისათა, რამეთუ მიუთხრობელი იგი ძალი ქრისტესი სულგრძელ იქმნებოდა ცხორებისა ჩუენისათჳს. ხოლო ავაზაკთა მათ არარაჲ ესევითარი უყვეს მათ, არამედ ქრისტეს ოდენ ჰკადრეს. და შორის ორთა მათ ძჯრის-მოქმედთა ჯუარს-აცუეს, რაჲთა მათ თანა შეჰრაცხონ. და მისცეს მას ძმარი ნაღლითა შეზავებული შეურაცხებით, და მი-რაჲ-იღო, არა უნდა სუმის. ხოლო სხუაჲ მახარებელი იტყჳს: „და ოდეს მიიღო, თქუა: აღსრულებულ არს ესეცა წერილი“ (იოანე 19, 30) — წერილი იგი, რომელი იტყჳს: „მცეს მე საჭმლად ჩემდა ნაღველი და წყურილსა ჩემსა მასუეს მე ძმარი“ (ფსალმუნნი 68, 22). ხოლო ერთ არს ამათ ორთავე მახარებელთა სიტყუაჲ, რამეთუ ამანცა თქუა, ვითარმედ: „მიიღო“, და მანცა ესევე თქუა, ვითარმედ: „მიიღო“.

გარნა სიტყუათა მათ წერილისათა ვიეთნიმე ვერ კეთილად გულისჴმა-ჰყოფენ; რამეთუ იტყჳს მახარებელი მრავალგზის, ვითარმედ: „ესე იქმნა, რაჲთა აღესრულოს თქუმული წინაჲსწარმეტყუელისა მიერ“, ვითარცა ესერა წინა-მდებარესა მას სიტყუასა შინა შემოიღო წამებაჲ წინაჲსწარმეტყუელისაგან, ვითარმედ: „განიყვეს სამოსელი ჩემი და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“ (ფსალმუნნი 21, 19); და „მცეს მე საჭმლად ჩემდა ნაღველი და წყურილსა ჩემსა მასუეს მე ძმარი“.

ვიეთნიმე უკუე, ვითარცა ვთქუ, უმეცრად გულისჴმა-ჰყოფენ და ჰგონებენ, თუ ამისთჳს იქმნნეს საქმენი იგი, რაჲთა წერ-

ილნი აღესრულნენ. და ამის გამო თქუეს, ვითარმედ: უბრალო არიანო მოქმედნი იგი ამათ საქმეთანი ჰურიანი, რამეთუ ჰმსახურეს სიტყუათა წერილთასა; და უკუეთუმცა მათ არა ექმნა, ვივთარმცა აღესრულნეს წერილნიო? უფროჲსად, რამეთუ იტყჳს იოვანე მახარებელი, ვითარმედ: „ესოდენნი სასწაულნი ქმნნა იესუ წინაშე მათსა, და არა ჰრწმენა. რაჲთა სიტყუაჲ იგი ესაია წინაჲსწარმეტყუელისაჲ აღესრულოს, რომელსა იტყჳს: უფალო, ვის ჰრწმენა სასმენელი ჩუენი და მკლავი უფლისაჲ ვის გამოეცხადა? ამისთჳს ვერ ეძლო რწმუნებაჲ მისი, რამეთუ კუალად ესაია თქუა: დაუბრმეს თუალნი მათნი და დაუსულბეს გულნი მათნი, რაჲთა ვერ იხილონ თუალითა და არცა გულისჴმა-ყონ გულითა და მოიქცენ, და მე განვკურნნე იგინი“ (იოანე 12, 37-40; ესაია 53, 1; 6, 9-10). და იტყჳან მეტყუელნი იგი ამაოებისანი: უკუეთუ ამისთჳს ვერ ეძლო ჰურიათა რწმუნებად, რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ ესაიაჲსი, უბრალო სამე არიანო ჰურიანი; რამეთუ არა იგინი იქმნნეს მიზეზ ურწმუნოებისა, არამედ სიტყუაჲ იგი წინაჲსწარმეტყუელისაჲ. ხოლო ესევითარნი ესე გულისსიტყუანი და ზრახვანი ფრიად შორს არიან ჭეშმარიტებისაგან და თესლნი არიან მტერისანი. რამეთუ არცა წინაჲსწარმეტყუელი მიზეზი ურწმუნოებისა მათისა არს, არცა ჰურიანი უბრალო არიან, არამედ აღურაცხელად ბრალეულ და უსიტყუელად დასაშჯელ. რამეთუ წინაჲსწარმეტყუელი პირველვე ხედვიდა, რაჲ-იგი ეგულებოდა მათ ქმნად და თქუა; ხოლო მათ ქმნეს რაჲ თჳსი იგი უკეთურებაჲ, გამოაჩინეს ჭეშმარიტად სიტყუაჲ იგი წინაჲსწარმეტყუელისაჲ. არა თუ სიტყუასა მას წინაჲსწარმეტყუელისასა ჰმონებდეს, არამედ თჳსთა მათ ბოროტთა ნებათა. აწ უკუე არა თუ წინაჲსწარმეტყუელი იყო მიზეზ საქმეთა მათ, არამედ მათნი იგი ბოროტნი ნებანი, და უფროჲსად იგინი ექმნნეს წინაჲსწარმეტყუელსა მიზეზ თქუმად სიტყუათა მათე რამეთუ წინაჲსწარმეტყუელთა წესი არს ხედვაჲ ყოფადთა საქმეთაჲ უცთომელად.

ხოლო მიზეზ საქმეთა კაცად-კაცადისა თჳსი ნებაჲ არს. და ვითარცა-იგი ჩუენ წინაშე თუალთა ჩუენთა ქმნილთა საქმეთა ვხედავთ და არა ვსცთებით, არამედ ვითარცა იქმნებოდინ, ეგრეთ

ვხედავთ, და ვითარცა ვხედავთ, ეგრეთ იქმნებიან; ეგრეთვე წინაჲსწარმეტყუელნი მომავალთა და ყოფადთა საქმეთა ეგრეთ ხედვიდეს, ვითარცა წინაშე თუალთა მათთამცა იქმნებოდეს, და უცთომელად იტყოდეს. ამისთჳს იქმნებოდეს საქმენი იგი.

არა თუ რომელ მათ თქუეს, ამისთჳს აღესრულებოდეს, არამედ რომელ უეჭუელად იქმნებოდეს, ამისთჳს იგინი იტყოდეს.

ვითარცა-ესე ჩუენ რომელსა ვხედვიდეთ თუალითა ჩუენითა, უეჭუელად იქმნების, რამეთუ არსთა საქმეთა ვხედავთ, არა თუ არაარსთა; ეგრეთვე წინაჲსწარმეტყუელნი მას ხედვიდეს და იტყოდეს, რაჲ-იგი უეჭუელად ყოფად იყო. და ამისთჳს აღესრულებოდეს სიტყუანი მათნი. ხოლო უკუეთუ რაჲ-იგი ეგულებოდა ყოფად, არამცა ხედვიდეს, არამცა იყვნეს წინაჲსწარმეტყუელ.

აწ უკუე ყოვლითურთ ესე უწყოდეთ, ვითარმედ წინაჲსწარმეტყუელნი არა შჯულის-მდებელნი არიან მომავალთა საქმეთანი, არცა მაიძულებელნი ნებათანი, არამედ მაუწყებელნი ოდენ არიან ყოფადთა საქმეთანი, და რაჲ-იგი უეჭუელად ყოფად იყო, თქუეს. ამისთჳსცა არა განმტყუვნდეს. ხოლო დაღაცათუმცა არა ეთქუა, ჰურიანი თჳსსა უკეთურებასა აჩუენებდესვე, და უკეთუმცა ჰურიანი არა იქმოდეს, არცა წინაჲსწარმეტყუელნი იტყოდესმცა.

აწ უკუე რომელ იტყჳს იოვანე, თუ: „არა ჰრწმენა ჰურიათა, რაჲთა სიტყუაჲ წინაჲსწარმეტყუელისაჲ აღესრულოს“ (იოანე 12, 37-38), ნუ სიტყუასა წინაჲსწარმეტყუელისასა დასდებ, კაცო, მიზეზად მათისა ურწმუნოებისა, არამედ მათი იგი ურწმუნოებაჲ თქუ მიზეზად სიტყჳსა მის წინაჲსწარმეტყუელისა. რამეთუ რაჲ-იგი ეგულებოდა მათ ქმნად, მას ხედვიდა იგი წინაჲსწარ.

და კუალად, რომელ იტყჳს, თუ: „ამისთჳს ვერ ეძლო რწმუნებად, რაჲთა აღესრულოს, რაჲ-იგი თქუა ესაია“, ნუ ამას იტყჳ, თუ ჰურიათა ვერ ეძლო რწმუნებად; რამეთუ შეეძლო, უკუეთუმცა ენება, არამედ წინაჲსწარმეტყუელსა ვერ ეძლო ტყუილი, რამეთუ ჭეშმარიტსა იტყოდა და რაჲ-იგი ყოფად იყო. ამისთჳს უტყუელ იყო სიტყუაჲ მისი.

ხოლო მახარებელი ხედვიდა უზომოსა მას უკეთურებასა ბოროტთა მათ ნებათა მათთასა და თქუა, ვითარმედ: „ვერ ეძლო“, ესე იგი არს, არა უნდა რწმუნებად; არამედ იყვნეს ურწმუნო და აღესრულებოდა სიტყუაჲ იგი წინაჲსწარმეტყუელისაჲ. ნუ ესელა მითხრან მეტყუელთა მათ ამაოებისათა: უკუეთუ სიტყჳსა მისთჳს წინაჲსწარმეტყუელისა ვერ ეძლო რწმუნებად და წინაჲსწარმეტყუელი აყენებდა, მოციქულთა ვითარ უძლეს, და სხუათა მათ ბევრთა ვითარ შეუძლეს? ვითარცა ეტყჳს იაკობ პავლეს: „ჰხედავა, ძმაო, რავდენნი ბევრნი არიან ჰურიათა შორის მორწმუნენი!“ (საქმე 21, 20). იგინი რად არა დააყენნა სიტყუამან წინაჲსწარმეტყუელისამან?

ჰხედავა, ვითარ რომელთა ენება, ჰრწმენა, ხოლო სხუანი იგი ნებსით დაბრმეს და არა ინებეს რწმუნებად, და აღესრულა სიტყუაჲ იგი წინაჲსწარმეტყუელისაჲ.

ეგრესახედ საკჳრველიცა იგი შობაჲ ქალწულისაჲ იქმნა, რამეთუ იტყჳს მახარებელი: „ესე ყოველი იქმნა, რაჲთა აღესრულოს თქუმული იგი წინაჲსწარმეტყუელისა მიერ: აჰა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე“ (მათე 1, 22-23). რამეთუ არა თუ ამისთჳს იქმნა დიდებული იგი საკჳრველი, რაჲთა სიტყუაჲ წინაჲსწარმეტყუელისაჲ აღესრულოს, არამედ ამისთჳს თქუა წინაჲსწარმეტყუელმან მადლითა უფლისაჲთა, რამეთუ ყოფად იყო საქმე იგი. ეგრეთვე სხუანი იგი ყოველნი წინაჲსწარმეტყუელთა სიტყუანი არა თუ ამისთჳს აღესრულებოდეს, რომელ მათ თქუეს, არამედ რომელ-იგი ყოფად იყვნეს ჭეშმარიტად, იგინი იტყოდეს. ეგრეთვე განყოფისათჳს სამოსელთაჲსა, ვითარცა ყოფად იყო, ეგრეთცა იხილა წინაჲსწარმეტყუელმან პირველვე სულისა მიერ წმიდისა და თქუა; და სიტყუაჲ წინაჲსწარმეტყუელებისა მისისაჲ აღესრულებოდა, ვითარცა იტყჳს მახარებელი: „და ვითარცა ჯუარს-აცუეს იგი, განიყვეს სამოსელი მისი და განიგდეს წილი, რაჲთა აღესრულოს თქუმული წინაჲსწარმეტყუელისა მიერ, რომელსა იტყჳს: განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“ (ფსალმუნნი 21, 19). მათე ესრეთ მოკლედ წარმოიტყჳს, ხოლო იოვანე სახესა მისცა განყოფისასა და მიზეზსა წილის-გდებისასა გუაუწყებს, და იტყჳს:

„ხოლო ერისაგანთა მათ, რომელთა ჯუარს-აცუეს იესუ, მოიღეს სამოსელი მისი და განიყვეს ოთხად ნაწილად, თითოეულმან ერისაგანმან ნაწილი. ხოლო კუართი იგი იყო უკერველ, ზეით გამო ქსოვილ ყოვლად, თქუეს ურთიერთას: არა განვხიოთ ესე, არამედ წილ-ვიგდოთ ამას ზედა, ვითარცა იყოს, რაჲთა აღესრულოს წერილი იგი“ (იოანე 19, 23-24).

საცნაურ არს ამათ სიტყუათაგან, ვითარმედ ოთხნი სადამე ხოლო ერისაგანნი მთავრისანი მივიდეს მუნ ასის-თავისა მის თანა, და სხუაჲ იგი ერი ჰურიათაჲ იყო. იგინი იყვნეს მტარვალ, იგინი იყვნეს მტანჯველ, იგინი იყვნეს მოქმედნი ყოვლისა ბოროტისანი, და უშჯულონი იგი მღდელთ-მოძღუარნი და მწიგნობარნი თანა-ჰყვებოდეს, რაჲთა აღასრულონ ბოროტი იგი ნებაჲ თჳსი.

ხოლო ფრიადი სიმრავლე ერისაჲ მწუხარე იყო საქმესა მას ზედა, რომელნიმე ჰრომთა და ბერძენთაგანნი და მრავალნი ჰურიათაგანიცა, ვითარცა ლუკა იტყჳს, ვითარმედ: „შეუდგა მას სიმრავლე ერისაჲ და დედათაჲ, რომელნი ჰგოდებდეს მას“ (ლუკა 23, 27). არამედ მჴეცნი იგი მძჳნვარენი, მღდელნი იგი სირცხჳლისანი, მჴეცნი იგი სისხლის-მჭამელნი, ყოვლადვე არა ლმობიერ იქმნნეს. ამისთჳსცა უფალმან დედათა მათ და ერსა მიუგო სიტყუაჲ, ხოლო იგინი არღარა ღირს-ყვნა სიტყჳსა, რამეთუ უკურნებელ იყო სენი მათი. რამეთუ ნებაჲღა მათი აღასრულეს და ჯუარსა დამოჰკიდეს, მერმეცა ისწრაფდეს, რაჲთა სახელი დიდებისა მისისაჲ დაფარონ და განაქარვონ, რამეთუ ეშინოდა აღდგომისაგან მისისა. ამისთჳს ავაზაკთა თანა ჯუარს-აცუეს და ბჭობითა მთავრისაჲთა ქმნეს, რაჲთა ყოვლით კერძო ძჳრის-მოქმედისა სახელი დასდვან, ვითარცა ესერა იტყჳს მახარებელი; რამეთუ კეთილ არს, რაჲთა შემდგომიცა სიტყუაჲ სახარებისაჲ ვისმინოთ.

სახარებაჲ: და დასდვეს თავსა ზედა მისსა ბრალად მისი დაწერილი: ესე არს იესუ, მეუფჱ ჰურიათაჲ. მაშინ ჯუარს-აცუნეს მის თანა ორნი ავაზაკნი: ერთი მარჯუენით მისა და ერთი მარცხენით. ხოლო თანა-წარმავალნი იგი ჰგმობდეს მას, ყრიდეს თავთა მათთა და იტყოდეს: ეჰა, რომელი დაჰჴსნიდ ტაძარსა

მას და მესამესა დღესა აღაშენებდ, იჴსენ აწ თავი თჳსი; უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, გარდამოჴედ მაგიერ ჯუარით! ეგრეთვე მღდელთ-მოძღუარნი იგი ემღერდეს მწიგნობართა თანა და მოხუცებულთა და ფარისეველთა და იტყოდეს: სხუანი აცხოვნნა, თავი თჳსი ვერ ძალ-უც ცხოვნებად. უკუეთუ მეუფე ისრაჱლისაჲ არს, გარდამოჴედინ აწ მაგიერ ჯუარით. უკუეთუ ესვიდა ღმრთისა, იჴსენინ იგი, უკუეთუ ჰნებაჳს იგი, რამეთუ თქუა: ძე ღმრთისაჲ ვარი მე. ეგრეთვე ავაზაკნი იგი, მის თანა ჯუარცუმულნი, აყუედრებდეს მას (27, 37-44).

თარგმანი: ნუუკუე ესმოდის ვისმე ესე ყოველი და ჰრცხუენოდის, რომელ-იგი უფალი და მაცხოვარი და მეუფე ყოველთაჲ დაისაჯა პილატეს მიერ, და ჰურიათაგან ჯუარს-ეცუა, შეიკრა, იგუემა, ეკიცხევდეს და ემღერდეს და ბასრობდეს, და ყოველი ძვრი და ტანჯვაჲ შეამთხვეს. ამის ყოველისათჳს ნუუკუე ვინმე მორწმუნეთაგანი კდემულ არს და თავდადრეკილ.

რამეთუ მზემანცა ვერ თავს-იდვა ხილვაჲ იგი, არამედ დაბნელდა, რაჲთა სხუათაცა თუალნი გარე-მიაქცინეს ხილვისა მისგან. და არღარა ზრუნვიდა მცნებასა მას, რომელი მიეღო ნათობად კაცთა, არამედ იკადრა გარდასლვად, იხილა რაჲ, ვითარ რომელმან მცნებაჲ იგი ბრძანა, მეუფემან, აწ კაცთაგან ევნებოდა და იტანჯებოდა.

გარნა უკუეთუ მიზეზი იგი ვისწავოთ, თუ რაჲსათჳს ვნებაჲ იგი თავს-იდვა უფალმან, არღარა გურცხუენოდის, არამედ გჳკჳრდეს სახიერებაჲ და კაცთ-მოყუარებაჲ მისი, და ვიქადოდით, ვითარცა პავლე, ჯუარითა ქრისტესითა. ამისთჳს მოყავთ, ძმანო, ყური თქუენი და ისმინეთ სიტყუაჲ ჩემი: რამეთუ არა თუ თავისა თჳსისათჳს ევნებოდა უფალსა, „რომელმან-იგი ცოდვაჲ არა ქმნა, არცა იპოვა ზაკუვაჲ პირსა მისსა“ (ესაია 53, 9; 1; პეტ. 2, 22), არამედ ჩუენთჳს ელმოდა და ჩუენთჳს ევნებოდა.

რამეთუ ცოდვაჲ კაცთაჲ დიდ იყო და მრავალ, და ყოველივე სოფელი დაეპყრა ბოროტსა მას და დღითი-დღე აღორძნდებოდა და გარდაერეოდა და სიკუდილი სუფევდა ყოველთა ზედა; ხოლო უფალი ჩუენი უკუდავ არს და უხრწნელ, ეგრეთვე სახიერ არს და კაცთ-მოყუარე, რამეთუ სიტყუაჲ არს სახიერი სახიერისა

მამისაჲ. ამისთჳსცა არა უგულებელს-ყო წარწყმედად ნათესავი ჩუენი, არცა თავს-იდვა, რაჲთამცა დაბადებულთა მისთა სხუაჲ უფალ იყო; არამედ იხილა რაჲ უკეთურებისა იგი სიმრავლე და მოუკდავი ესე ნათესავი, ვერშემძლებელი წინა-აღმდგომად სიკუდილისა, ვერცა შემძლებელი გარდაჴდად ტანჯვასა მას, რომელი ბოროტთა თჳსთათჳს თანა-ედვა ბუნებასა ჩუენსა, რამეთუ დიდისა სატანჯველისა თანა-მდებ ვიყვენით, ამისთჳს შეგჳწყალნა.

და ხედვიდა სახიერებასა მას მამისა თჳსისასა, ხედვიდა ძალსა თჳსსა და ძლიერებასა, რამეთუ ქრისტე ძალი და სიბრძნე არს ღმრთისაჲ (1 კორ. 1, 24); შეიწყალა უძლურებაჲ ჩუენი და შეიმოსა იგი. რამეთუ მან თავადმან, ვითარცა წინაჲსწარმეტყუელი იტყჳს, „უძლურებანი ჩუენნი აღიხუნა და სნეულებანი თავს-ისხნა“ (ესაია 53, 4), და შეიწყალა მოკუდავობაჲ ჩუენი და შთაიცუა იგი, ვითარცა იტყჳს მოციქული, ვითარმედ: „დაიმდაბლა თავი თჳსი ვიდრე სიკუდილდმდე და სიკუდილითა მით ჯუარისაჲთა“ (ფილიპ. 2, 8).

და იხილა რაჲ, ვითარმედ გარდაჴდად თანანადებთა მათ ჩუენთა და სატანჯველთა შეუძლებელ ვართ, თავს-იდვა ესეცა, ვითარცა იტყჳს იგივე მოციქული, ვითარმედ: „ქრისტემან მოგჳყიდნა ჩუენ წყევისა მისგან შჯულისა და, იქმნა ჩუენთჳს წყევასა ქუეშე“ (გალ. 3, 13).

და ესრეთ კაცებისა ყოველივე შეიმოსა და მიიღო და თავისა მიერ თჳსისა თანა-ნადები ჩუენი გარდაიჴადა და დაგუაგნა და შეგუაწყნარნა ჩუენ მამისა, რაჲთა ვნებითა თჳსითა უვნებელყოს ვნებული ბუნებაჲ კაცთაჲ, და მცირეთა წილ დიდნი საქმენი ცვალნეს.

რამეთუ გარდამოჴდა, რაჲთა ჩუენ ზეცად აღსლვაჲ მოგუანიჭოს; იშვა, რაჲთა ჩუენ მის მიერ უშობელსა მას მამასა დავეგნეთ; მოუძლურდა ჩუენთჳს, რაჲთჳა ჩუენ აღვდგეთ ძალითა და ვთქუათ პავლესაებრ: „ყოველივე ძალ-მიც განმაძლიერებელისა ჩემისა ქრისტეს მიერ“ (ფილიპ. 4, 13).

მიიხუნა ჯორცნი განხრწნადნი, რაჲთა განხრწნადსა მას შეჰმოსოს უხრწნელებაჲ; შეიმოსა ბუნებაჲ იგი მოკუდავი, რაჲ-

თა მოკუდავსა მას შეჰმოსოს უკუდავებაჲ (შდრ. 1 კორ. 15, 53-54); მოკუდა ბუნებითა მით კაცობრივითა, რაჲთა ჩუენ მოკუდავნი ესე კაცნი განვცხოელდეთ, და არღარა სუფევდეს ჩუენ ზედა ცოდვაჲ, არცა გუეუფლოსღა (შდრ. რომ. 6, 11-12), ვითარდა მოციქული ქადაგებს.

ამისთჳს ჯუარს-ეცუაცა, რაჲთა წყევისაგან მოგჳყიდნეს და კურთხევაჲ მოგუანიჭოს (შდრ. გალ. 3, 13-14), რამეთუ მას ვნებისა მისგან ჯუარ-ცუმისა არარაჲ ევნებოდა, უფროჲსღა კეთილსა გჳყოფდა.

და მო-რაჲ-კუდა, არა დაშთებოდა სიკუდილსა შინა, არამედ უფროჲსად მკუდართა განაცხოელებდა. დაიკლჳდა, გარნა არა წარწყმდებოდა, არამედ სისხლითა თჳსითა ყოველთა წარწყმედისაგან იჴსნიდა და თავადი ეგო უვნებელად.

ხოლო უკუეთუ ვინ იკითხვიდეს, თუ: ვითარ იქმნა ესე? ისმენდინ და ვიტყოდი: ორთა საქმეთა შეერთებაჲ იქმნა მის შორის. საქმეთა ვიტყჳ არა თუ სწორთა, არამედ ყოვლითურთ შეუმსგავსებელთა. რამეთუ მოკუდავი უკუდავსა შეეყო და ჴორცნი იგი ხრწნადნი უხრწნელსა მას სიტყუასა შეერთნეს; და მოკუდავი იგი არა ავნებდა უკუდავსა მას, რამეთუ უვნებელ იყო უკუდავი იგი, და უფროჲსღა მოკუდავიცა უვნებელ-ყო უფლებისა მისგან სიკუდილისა, რამეთუ მპყრობელნი მარადის პყრობილთა მათ უძლიერეს არიან.

ამისთჳს შეერთებულისა მის ძლით, უკუდავისა სიტყჳსა, სიკუდილი უჩინო იქმნებოდა საკჳრველად მის შორის, ვითარცა ცეცხლისაგან განილევის ლერწამი; და უხრწნელი იგი სიტყუაჲ სარგებელ-ეყოფოდა განხრწნადსა მას შეერთებითა მისითა, რამეთუ ბნელი ნათლისაგან განათლდების, და „უაღრესი იგი უმჯობესისაგან იკურთხევის“ (ებრ. 7, 7), ვითარცა მოციქული იტყჳს.

ამისთჳსცა აწ მტარვალთაგან განიძუარცების უფალი, რომელნი-იგი ჩუენ ადამის მიერ შევიმოსენით ტყავისა სამოსელნი, რაჲთა შეუძლოთ მათ წილ შემოსად ქრისტე.

ამისთჳს განყოფაჲცა სამოსელთაჲ თავს-იდვა, რაჲთა ჩუენ მამისაგან განუყოფელი სიტყუაჲ გუაქუნდეს, ვითარცა იტყჳს,

ვითარმედ: „მე და მამაჲ ერთ ვართ“ (იოანე 10, 30).

ამისთჳს კუართსაცა ზედა წილ-იგდეს და არა დააყენნა უფალმან, რაჲთა ნაწილ ჩუენდა იყოს ქრისტე, ვითარცა იტყჳს მეფსალმუნე: „უფალი ნაწილ არს მკჳდრობისა ჩემისა და სასუმელისა ჩემისა“ (ფსალმუნნი 15, 5).

და ამისთჳს არა სხუასა ადგილსა ჯუარს-ეცუა, არამედ თხემისა ადგილსა, სადა-იგი თქუმულ არს პირველთა ჟამთაგან, ვითარმედ: საფლავი იყო ადამ მამისა ჩუენისაჲ. რამეთუ შემდგომად სამოთხით გამოსლვისა, მო-რაჲ-კუდა, მას ადგილსა დაეფლა. ამისთჳს ჯერ-იჩინა უფალმან მას ადგილსა მიღებაჲ სიკუდილისაჲ, სადა-იგი მიიღო სიკუდილმან დასაბამი უფლებისა თჳსისაჲ, რაჲთა დაჴსნაჲცა მისი მასვე ადგილსა იქმნას, და რაჲთა მუნ განაქარვოს ცოდვაჲ ადამისი და ესრეთ აღიღოს იგი ყოვლისავე ნათესავისა მისისაგან.

და ვინაჲთგან ესმა ადამს: „მიწაჲ ხარ და მიწადვე მიიქცე“ (დაბ. 3, 19); ამისთჳს მასვე ადგილსა დაიდვა უფალი, რაჲთა პოოს მუნ ადამი და იჴსნას წყეულისაგან და მის წილ, თუ: „მიწაჲ ხარ და მიწადვე მიხჳდე“, ჰრქუა მას: „განიღჳძე, რომელსა-ეგე გძინავს, და აღდეგ მკუდრეთით“ (ეფეს. 5, 14). აღდეგ და შემომიდეგ მე, რაჲთა არღარა დაიდვა მიწასა შინა, არამედ აღხჳდე ზეცად. და ნანდჳლვე ჭეშმარიტად აღდგომასა მას ქრისტესსა თანა-აღდგა ადამიცა და ყოველი ნათესავი მისი. რამეთუ ვითარცა-იგი მო-რაჲ-კუდა ადამი, მის მიერ ჩუენ ყოველნი მოკუდავ ვიქმნენით, ეგრეთვე აღდგა რაჲ უფალი ჩუენი ჴორცითა, ყოველი ბუნებაჲ ჩუენი მის თანა აღდგა, და უკუდავებაჲ მოგუეცა, ვითარცა პავლე ღაღადებს, ვითარმედ: „ვითარცა-იგი ადამის გამო ყოველნი მოსწყდებიან, ეგრეთცა ქრისტეს მიერ ყოველნი ცხოველ არიან“ (1 კორ. 15, 22).

აწ ვიხილოთ კუალადცა, ვითარ მიიყვანეს იგი ჯუარსცუმად. პირველად დადგა წინაშე მთავრისაო და განიკითხა მის მიერ, და მერმეღა მიეცა ჯუარს-ცუმად. კეთილად წარმოთქუა ყოველივე მახარებელმან; რამეთუ თავს-იდვა ჩუენთჳს განკითხვაჲ უფალმან პილატესაგან, რაჲთა არა დუმილით იქმნას საქმე იგი ვნებისა მისისაჲ და დაიფაროს შური და უკეთურებაჲ ჰური-

ათაჲ, არამედ გამოჩნდეს სიბოროტე გონებათა მათთაჲ და მედგარი იგი ცილის-წამებაჲ მათი.

რამეთუ უკუეთუმცა არა ქმნილ იყო განკითხვაჲ იგი უფლისაჲ, უცნაურ იყო შური იგი ჰურიათაჲ, ხოლო გან-რაჲ-იკითხა, გამოცხადნა გულარძნილებაჲ მათი. და თჳთ პილატეცა ეწამებოდა მაცხოვარსა, ვითარმედ არარაჲ მიზეზი იპოებოდა მის თანა, არამედ წმიდა იყო ყოვლისავე ბრალისაგან, ხოლო ჰურიათა შურსა გამოაცხადებდა, „რამეთუ უწყოდაო, ვითარმედ შურითა მისცეს იგი“ (მათე 27, 18). ვითარმცა უკუე ეცნა მას ესე, უკუეთუმცა არა დადგომილ იყო მის წინაშე?

ჭეშმარიტად დიდი და დიდებული საქმე ქმნა მაცხოვარმან: დუმილით აღასრულებდა საქმეთა მათ, და სიტყუასა რაჲ მიუგებდა, არწმუნებდავე მსაჯულსა მას აღსაარებად შურისა მის.

რამეთუ უკუეთუმცა სიტყუას-უგებდა, ეჭუდამცა ვინ, თუ ეშინის სიკუდილისაგან; ხოლო დუმილითა სიმჴნე იგი მისი და უშიშობაჲ განაკვრებდა ყოველთა, რაჲთა ჰრწმენეს, ვითარმედ ღმერთი არს იგი და მეუფჱ ყოველთაჲ.

ამისთჳსცა, განიკითხვებოდა რაჲ პილატესგან, ჩუენებითა შეაძრწუნა ცოლი მისი. რაჲთა დუმილისა მისგან უშიშობაჲ მისი გულისჴმა-ყოს, და ჩუენებითა მით ცნას, ვითარმედ არა კაცსა ლიტონსა, არამედ ღმერთსა განკაცებულსა განიკითხავს.

შეშინდა უკუე მსაჯული იგი წინაშე მისსა მდგომარისაგან, და უფროჲსად იგი დაისჯებოდა შიშითა მისითა, არა თუმცა შემძლებელ იყო შეშინებად უფლისა. ამისთჳსცა დაიბანნა ჴელნი და თქუა: „უბრალო ვარ სისხლისაგან მაგისისა“ (მათე 27, 24). დაღაცათუ კუალად იძლია ცოფი იგი და უგუნური სათნოებითა ჰურიათაჲთა და თანა-შეერთო ნებასა მას მათსა ბოროტსა და მისცა უფალი ჯ̃უარს-ცუმად.

მიეცა უკუე მაცხოვარი და არა შეშინდა სიკუდილისაგან, რამეთუ ბუნებისა მის კაცობრივისა შიში ზემო აჩუენა, ოდეს-იგი იწყო მწუხარებად და ურვად და ლოცვად. ხოლო აწ ჟამი იყო ახოვნად თავს-დებისაჲ, რაჲთა ესეცა სახე გჳჩუენოს, ვითარ გჳჯმს სიმჴნე და უშიშობაჲ. ამისთჳს ახოვნად განეწყო სიკუდილისა მიმართ. და სდევდა გულსა მას ლტოლვილსა, რამე-

თუ არა ესრეთ იყო უფალი, ვითარცა სიკუდილდ მიმავალი, არამედ ვითარმცა სდევნიდა სიკუდილსა. ხოლო ბოროტმან მან და უბადრუკმან ეშმაკმან იხილა რაჲ პილატე, ვითარ უფროჲსად შეშინდა მსაჯული იგი, და კუალად იხილა რაჲ უფალი, ვითარ კადნიერებით განეწყო სიკუდილისა მიმართ, ისწრაფდა ყოველით კერძო გამოცდად, რაჲთამცა აწ ცნა, რაჲ-იგი პირველ მთასა ზედა გამოსცდიდა რაჲ, ვერ უძლო ცნობად, თუ იგი არს ძჲ ღმრთისაჲ. რამეთუ მაშინ რაჲ სირცხჳლეულ იქმნა, უმზირდა ჟამსა სიკუდილისასა და ჰგონებდა, რაჲთამცა რომლითა ყოველნი დაიმონნა, შეუძლო მისიცა გამოცდაჲ.

რამეთუ ეგრეთცა წერილ არს ლუკაჲს მიერ, ვითარმედ: „აღასრულნა ყოველნი განსაცდელნი ეშმაკმან და განეშორა მას ვიდრე ჟამადმდე“ (ლუკა 4, 13). ხოლო ესე იყო იგი ჟამი, და იცოდა მბრძოლმან მან, ვითარმედ, უკუეთუ ამასცა ჟამსა მოუძლურდეს, დასათრგუნველ ყოველთა იქმნების, რამეთუ ესეღა ოდენ ბრძოლაჲ აკლდა და სიტყჳთ ყოვლით კერძო ძლეულ იყო. ამისთჳს ყოველსავე იქმოდა, რაჲთამცა ცნა, თუ იგი არს მაცხოვარი, რაჲთა უკუეთუ ესე დაიდასტუროს, არღარა იკადროს მიახლებად მისა, რამეთუ იცოდა თუალთ-შეუდგამი ძალი ღმრთეებისა მისისაჲ. ხოლო უფალი ხედვიდა მანქანებასა მისსა. ამისთჳს ჰფარვიდა ღმრთეებასა თჳსსა და ვითარცა კაცი იქცეოდა, რაჲთა არა ევლტოდის იგი, ვითარცა ღმერთსა, და წარვიდეს, არამედ მოუჴდეს მას ბრძოლად, ვითარცა კაცსა, და იქმნას იგი სამღერელ კაცთა.

და ვითარცა-რაჲ მორკინალმან, ანუ მჴედარმან ახოანმან, იხილის რაჲ წინა-აღმდგომი თჳსი შეშინებული და ლტოლვილი, შეიმოსის სახე უძლურებისაჲ, და ესრეთ შეიტყუვის უძლური იგი და შეიპყრის ახოანმან მან და ძლიერად დააკუეთის; ეგრეთვე უფალმან უძლურებითა კაცობრივითა მოიყვანა მტერი ბრძოლად თჳსად, და ძლიერებითა თჳსითა შემუსრა იგი და კაცი განაძლიერა მის ზედა.

ამისთჳს იწყო მწუხარებად და ურვად, და ილოცვიდა თანაწარსლვად სასუმელი იგი, და იტყოდა: „სული გულს-მოდგინე არს და ჴორცნი უძლურ“ (მათე 26, 41), რაჲთა ამით სახითა

მოუკდეს მბრძოლი იგი, ვითარცა კაცსა, და პოოს ძალი ღმრთეებისაჲ.

ამით სცთა მაცთური იგი. მოუკდა უფალსა, და ხედვიდა რაჲ ახოვნებასა მისსა, ეშინოდა. კუალად ხედვიდა უძლურებასა ჯორცთასა და შეჰკადრებდა. და ესრეთ მოცთომილ იყო და განლიგებულ. რამეთუ რავდენგზისცა მოუკდა უფალსა, იძლია და ლტოლვილ იყო ყოვლითურთ მთავრობით და ჴელმწიფებით თჳსით.

ხოლო ჟამსა მას ცხოელს-მყოფელისა ენებისასა შემოიკრიბა ბილწმან მან ყოველი მჴედრობაჲ თჳსი და კუალად მოუკდა. მაშინ ყოველნივე აღძრნა უფალსა ზედა: ჰურიათა აზრახა მოკლვაჲ; პილატე თანა-შეაწია, რაჲთა დაისაჯოს; მჴედარნი აბირნა, რაჲთა განკიცხონ. და არა იცოდა დაწყეულმან, ვითარმედ დაჴსნად თავისა თჳსისა მოსწრაფე იყო, რამეთუ მარადის უკეთურებაჲ ბრმა არს. არა გულისჴმა-ჰყოფდა, ვითარმედ მახჳლსა მას, რომელსა ლესავს, გულსა თჳსსა დასობად იყო. რამეთუ ვითარცა ცეცხლი თუ აღიღოს ვინ ჴელითა და სხჳსა მიაგდებდეს, პირველად თჳსსა ჴელსა დასწუავს. და გუელსა თუ უპყრას ვინ, მეორესა ზედა მიგდებად, პირველად თჳთ მოიწყლვის. ეგრეთვე უკეთურებაჲ მოქმედთა მისთა აჳნებს. და უფროჲსად მათ აჳნებს, ვიდრეცა სხუათა მათ, რომელთა მიმართ ენებოს მათ მიჳლინებაჲ მისი.

ესრეთ შეემთხჳა ფარაოს, თქუა: „ვდევნო, ვეწიო და მოვწყჳდო ისრაჱლი“ (შდრ. გამოსლ. 15, 9). არამედ თჳთ წარწყმდა ერითურთ და მჴედრებით. ეგრეთვე იქმნა გოლიათის ზე. მოკლვაჲ ენება, და მოიკლა. ეგრეთ სახედვე შეემთხჳა ბოროტსა მას ეშმაკსა. გამოსცდიდა რაჲ, გამოიცადა. და აღძრნა რაჲ ყოველნი ქრისტეს ზედა, თავი თჳსი დაჰჴსნა. რამეთუ აწ წარმოიტყუენა ძალი მისი და იქმნა დასათრგუნველ კაცთა. რამეთუ განიძარცუა რაჲ უფალმან და განეწყო მისა მიმართ, იქმნა საქმე იგი უხილავად საძლეველ ეშმაკისა. და მეყსეულად შეჰმოსეს მას, ვითარცა იოვანე იტყჳს, „ძოწეული“ (იოანე 19, 2); და ვითარცა მათე და მარკოზ იტყჳან, „სამოსელი მეწამული“ (მათე 27, 28; მარკოზ 15, 17); და გჳრგჳნი ეკალთაგან დაადგეს თავსა მისსა; და ლერ-

წამი მისცეს მარჯუენესა ჴელსა მისსა; და მუჴლნი დაიყარნეს მის წინაშე და თაყუანის-სცემდეს მას.

ეჰა, საკჳრველი ახალი და დიდებული, და ჭეშმარიტად სასწაული დიდისა ძლევისაჲ! რამეთუ რომელი-იგი ვითარცა კაცი დასაჯეს სიკუდილდ, მას ვითარცა ღმერთსა თაყუანის-სცემდეს; და რომელსა ეკიცხევდეს, ვითარცა უნდოსა ვისმე, მას მეუფედ აღიარებდეს; და განსძარცუეს მას ლიტონი სამოსელი და შეჰმოსეს ძოწეული; და რომელსა უმეცრებით შეურაცხ-ჰყოფდეს, მას უნებლიეთ წინაჲსწარმეტყუელით ხადოდეს; და რომელსა სცემდეს და ემღერდეს, ძლევისა სახესა მისცემდეს მას: მეწამულსა სამოსელსა და ეკალთაგან გჳრგჳნსა და ლერწამსა. რამეთუ დაღაცათუ ამას ყოველსა ბასრობით იქმოდეს, არამედ უმეცარ იყვნეს, ვითარ უნებლიეთ ძლევით-შემოსილობასა მისსა აღიარებდეს.

რამეთუ შეგინებულ იყო ქუეყანაჲ ცოდვითა ეშმაკისა მიერ და შებღალულ იყო სისხლითა. პირველად აღაღო რაჲ პირი თჳსი და შეიწყნარა სისხლი აბელ მართლისაჲ, და მერმე იწყეს რაჲ კაცთა სისხლისა სისხლთა ზედა დართვად, განეფინა ქუეყანასა ზედა წყევაჲ და სიცრუე, პარვაჲ და მრუშებაჲ და კაცის-კლვაჲ, და ამისთჳს დაწყეულ იყო ქუეყანაჲ. რამეთუ თქუა ღმერთმან: „წყეულ იყავ ქუეყანაჲ, რომელმან აღაღო პირი თჳსი შეწყნარებად სისხლსა აბელის ძმისა შენისა“ (დაბ. 4, 11).

და კუალად პირველ, გარდასლვასა მას ადამისსა, დაწყევა იგი მეუფემან და თქუა: „წყეულ იყავ ქუეყანაჲ საქმეთა შინა შენთა, მწუხარებით შჭამდე პურსა შენსა ყოველთა დღეთა ცხორებისა შენისათა, ეკალსა და კუროჲს-თავსა აღმოგიცენებდეს შენ“ (დაბ. 3, 17-18).

და ესრეთ ყოველივე სოფელი სავსე იყო სისხლითა და ეკლითა წყევისა მისგან, და ესე ჴელით-წერილი აქუნდა მტერსა. ამისთჳს მაღლოოდა ყოველთა ზედა და ლაღად მძლავრობდა, ვითარცა ტყუეთა ზედა თჳსთა. ამისთჳს წარმოტყუენა იგი უფალმან ყოვლისა მისგან. და მი-რაჲ-ვიდოდა სიკუდილდ, ესე ყოველი მიიღო, რაჲთა გამოაჩინოს, ვითარმედ არა ცუდად, არამედ ცხორებისათჳს ჩუენისა თავს-იდვა ყოველივე იგი. მაშინ უკუე

სისხლნი იგი, რომლითა სოფელი შებღალულ იყო, მეწამულსა მას სამოსელსა ეტჳრთნეს, და ეკალნი — გჳრგჳნსა მას ეკლისასა, ხოლო ჴელით-წერილი ჩუენთა ცოდვათაჲ — ლერწამსა მას, რომელი მისცეს; რაჲთა სიკუდილსა თანა ესე ყოველიცა განაქარვოს და სოფელი წმიდა-ყოს, და ეკლისა წილ მოგუცეს ძელი ცხორებისაჲ, ხოლო სისხლთა მათ წილ ბილწებისათა თჳსითა სისხლითა წმიდა-ყოს ქუეყანაჲ. და წყევისა წილ მოგუანიჭოს ნეტარებაჲ მყოფთა ქუეყანისათა, ვითარცა იტყჳს: „ნეტარ იყვნენ მშჳდნი, რამეთუ მათ დაიმკჳდრონ ქუეყანაჲ“ (მათე 5, 5), რამეთუ სისხლნი იგი, რომლითა ქუეყანაჲ შეგუებღალა ჩუენ, აღიხუნა და თჳსი პატიოსანი სისხლი გარდამოადინა მას ზედა, რაჲთა ეკალთა წილ აღმოაცენოს მას შინა ცხორებაჲ და მშჳდობაჲ და ყოველნივე კეთილნი, რომლისათჳსცა წინაჲსწარმეტყუელი იტყოდა: „მრწმენა მე ხილვად კეთილი უფლისაჲ ქუეყანასა მას ცხოველთასა“ (ფსალმუნნი 26, 13).

და სხჳსაცა პირისათჳს დაიდგა გჳრგჳნი იგი ეკლისაჲ უფალმან ჩუენმან: რაჲთა ზრუნვანი ცხორებისა ამის ჩუენისანი განაქარვნეს. რამეთუ მიყარნა მტერმან მან მზაკუვარმან ზრუნვანი ჩუენნი მის ზედა; და არა უწყოდა, ვითარმედ იტჳრთნეს რაჲ იგინი უფალმან, ყოველთაჲვე უზრუნველ-ჰყოფს მანქანებათაგან მისთა, რაჲთა თესლი იგი სიტყჳსაჲ თაჲისუფალ იქმნას ეკალთაგან, ხოლო ჩუენ შეშთობისა მისგან ზრუნვათაჲსა აზნაურებაჲ მოვიგოთ. რამეთუ თავადსა ჩუენთჳს ელმოდა და ჩუენთჳს იურვოდა, რაჲთა ჩუენ არღარა გუელმოდის, არცა ვიურვოდით უღონოებისაგან.

ხოლო ლერწამი იგი ამისთჳს მოიღო მათგან უფალმან, რაჲთა მით მოაკუდინოს გუელი იგი მზაკუვარი, რამეთუ თქუმულ არს, ვითარმედ: ლერწამი მაკუდინებელ არს გუელთა, ვინაჲთგან უკუე უფალი საბაოთ, ვითარცა ესაია იტყჳს, სდევნიდა გუელსა მას ვეშაპსა დიდსა, ეშმაკსა მას მზაკუვარსა (ესაია 27, 1). ამისთჳს ლერწამი იგი მიიღო მარჯუენესა თჳსსა, რაჲთა მოაკუდინოს ბოროტი იგი და განაძლიერნეს კაცნი მის ზედა. და ვითარცა-იგი დავით ქმნა, მოსტაცა მახჳლი გოლიათსა და წარჰკუეთა თავი მისი, ეგრეთვე აწ ქმნა მაცხოვარმან. მიიღო ლერ-

წამი მათგან, რაჲთა არა ჩუენ ოდენ განგუათავისუფლნეს საცთურთაგან, არამედ გუელიცა იგი მოაკუდინოს ლერწმითა მით.

ესრეთ უკუე იხილა რაჲ უბადრუკმან მან თავი თჳსი მოუძლურებული სიქადულისაგან თჳსისა და ვითარ განიდევნებოდა ქუეყანით და ქუეყანაჲ განწმდებოდა სისხლთაგან და ეკალთა, და ვითარ წარწყმიდა ჯელით-წერილი ჩუენი და ლერწამი, რომლითა წერდა ბოროტთა ჩუენთა; შეჰკადრა კუალად შეუკადრებელსა, რაჲთა უმეტესად მოწყალას თავი თჳსი. რამეთუ პირველად ესმოდა რაჲ, თუ: „სული გულს-მოდგინე არს, ხოლო ჯორცნი უძლურ“ (მათე 26, 41), ჰგონებდა თუ სიტყუაჲცა ჯორცთა თანა უძლურ არს, და არა იცოდა, ვითარმედ უფროჲსად ძალითა მით სიტყჳსაჲთა ჯორცნიცა განძლიერდებოდეს.

ამისთჳს, ვითარცა ვთქუ, აბირნა მჴედარნი იგი უფლისა ბრძოლად; და შეჰმოსეს მას მეწამული იგი და გჳრგჳნი ეკლისაჲ, და ლერწამი მისცეს ჴელსა მისსა. და დაჰჴსნა სასჯელი იგი ეკალთაჲ ჩუენგან და სისხლთაგან შებღალულებაჲ განაქარვა და თავისუფლებაჲ დაგჳწერა და გუელი იგი მოკლა.

კუალად უკუე აღიღეს გჳრგჳნი იგი ეკალთაჲ და მეწამული სამოსელი. ჰგონებდა ეშმაკი, თუ კუალად აქუნდეს ძალი თჳსი, არამედ არღარა აქუნდა, რამეთუ წიხნიდა ეკალთა მათ ფერჯითა თჳსითა და უფროჲსად მოიწყლვოდა, არა თუ მოსწყლვიდა.

და რომელნი-იგი აღძრნა მაცხოვარსა ზედა, იგინი მის ზედა აღიჭურნეს, რამეთუ მოიღეს ლერწამი იგი უფლისაგან და ჰგონებდეს თუ სცემენ მას, არამედ ეშმაკსა სცემდეს, რომელმან აბირნა იგინი, და თავთა თჳსთა ავნებდეს, არა თუ უფალსა. რამეთუ ვითარცა-რაჲ კლდესა თუ სცემდეს ვინ ჴელითა თჳსითა, კლდესა მას ვერ შეჰმუსრავს, ხოლო ჴელსა მოიწყლავს; ეგრეთვე რომელნი-იგი უფალსა ჰბრძოდეს, თავთა თჳსთა შეჰმუსრვიდეს, და მას ვერარას ავნებდეს, და იქმნებოდა ესე სრულიად სირცხჳლად მტერისა.

რამეთუ უკუეთუმცა უფალი სცემდა მას, ჴელ-ეწიფებოდამცა მას სიქადული, ხოლო რომელი-იგი მსახურთა თჳსთა მიერ იცემებოდა, ესე უმეტეს იყო ყოვლისა სირცხჳლისა. გარნა არა თუ მათმიერი იგი წყლულებაჲ მოაკუდინებდა ეშმაკსა, რამეთუ

ვერაჲ ეძლო კაცთა მათ მტარვალთა, არამედ ძალი უფლისაჲ მოსწყლვიდა მას და შეჰმუსრვიდა. და ძლიერებაჲ, რომელი ჴელისაგან მაცხოვრისა შევიდა ლერწამსა მას, იგი ჴელითა მსახურთა მათ მტერისათა შეჰმუსრვიდა მას. რამეთუ ესე სახედ ქმნა უფალმან, და კაცებისა ბუნებაჲ წინა-უყო, რაჲთა სცემდენ, ვითარცა კაცსა. არამედ მისითა მით ცემითა გუელსა მას მზაკუვარსა სცემდა ჴელითა მტარვალთაჲთა.

რამეთუ რომელი-იგი ოდესმე იქადოდა სწორ ღმრთისა ყოფად, სირცხჳლეულ იქმნას ჴელითა მტარვალთაჲთა ცემული. ხოლო შეემთხუეოდა მას ესე წინა-აღმდგომად თჳსისა განზრახვისა. რამეთუ მან აღძრა ერი იგი ჰურიათაჲ, რაჲთა ჴმობდენ და ღაღადებდენ შესმენად უფლისა, ვითარცა იტყჳს ლუკა მახარებელი, ვითარმედ: „ზედა დაესხმოდეს მას ჴმითა დიდითა და გამოითხოვდეს მას ჯუარს-ცუმად. და განძლიერდებოდეს ჴმანი მათნი და მღდელთ-მოძღუართანი“ (ლუკა 23, 23). ხოლო უფალმან დუმილი შემოიღო წინა-აღმდგომად ჴმათა მათთა და დაჰჴსნა მისი იგი ღონე.

მზაკუვარმან მან განაფიცხა პილატე, რაჲთამცა შეაშინა უფალი, და არა უწყოდა, ვითარმედ უშიშობითა განაქარვებს ჴელოვნებასა მისსა უფალი.

აღძრა უგუნური იგი მთავარი ცემად უფლისა, ხოლო ქრისტემან ძჳრუჴსენებლობაჲ წინა-უყო და მძლე ექმნა.

და რასა მრავალსა ვიტყოდი, ყოველივე ღონე სიბოროტისა და უკეთურებისა მისისაჲ აჩუენა ბრძოლად მაცხოვრისა, და არა ხედვიდა ბრმაჲ იგი, ვითარმედ სათნოებასა აღსჭურავს თჳსთა მათ უკეთურებათა ზედა.

რამეთუ მტერი ყოველსა ბოროტსა ზედა მოხარულ არს, და რაჲცა ბოროტი არს, საჭურველი არს იგი საეშმაკოჲ. ამისთჳს დაარწმუნებს იგი კაცთა, ბოროტის-მყოფელთა მათთა ბოროტის-ყოფად, რაჲთა შთაყარნეს ცოდვასა. ხოლო უფალმან ყოველივე დაითმინა, რაჲთა გუასწაოს შიშისა წინა-განწყობად სიმჴნითა, და გინებათა ანუ შეურაცხებათა — ძჳრუჴსენებლობითა, გულისწყრომასა — სიმშჳდითა, და ყოველსავე უკეთურებასა — წინა-აღმდგომითა მისითა სათნოებითა.

რამეთუ ამას პირველითგანვე ასწავლიდა ყოველთა და ეტყოდა: „რომელმან გცეს ყურიმალსა მარჯუენესა, მიუპყარ ერთკერძოცა. და რომელსა უნდეს მიღებად კუართი შენი, მიუტევე მას სამოსელიცა შენი“ (მათე 5, 39-40). „გიყუარდედ მტერნი თქუენნი, კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა, აკურთხევდით მწყევართა თქუენთა“ (მათე 5, 44). და სხუაჲ ესევითარი მრავალი ბრძანა.

ხოლო რაჲთა არა თქუან ვიეთმე, თუ: შეუძლებელ არს ამათ მცნებათა აღსრულებაჲ, ამისთჳს თავით თჳსით აღასრულა უფალმან ყოველივე, რაჲთა გუასწაოს ბოროტის-მყოფელთა ჩუენთა არა ყოფად ბოროტისა, არცა განრისხებად, არცა შიშად სიკუდილისაგან, არამედ უფროჲსად შეურაცხ-ყოფად მისა სასოებითა მით მერმეთა კეთილთაჲთა.

რამეთუ ესრეთ იქმნების ძლევაჲ ღონეთა მტერისათაჲ, ვიდრეღა ოდეს ნაცვალისა ყოფად ვისწრაფდეთ. რამეთუ ოდეს ნაცვალისა ქმნად განვემზადნეთ და მაგინებელთა ჩუენთა ვაგინებდეთ და მავნებელთა ვავნებდეთ, მაშინ უფროჲსად აღვაორძინებთ და განვაფიცხებთ ჩუენ ზედა უკეთურებასა და უმეტესღა თავთა თჳსთა ვავნებთ, ვიდრეღა მტერთა ჩუენთა, რამეთუ შთავვარდებით საშჯელსა ძჯრის-ჴსენებისასა. ხოლო ოდეს მსგავსად უფლისა მოვითმინოთ ყოველი უსამართლოდ ვნებაჲ და ბოროტის-მყოფელთა ძჯრუჴსენებლობაჲ წინა-აღუდგინოთ, და მტანჯველთა ჩუენთა — სიმჴნე, სიკუდილსა — სასოებაჲ აღდგომისაჲ, მაშინ მძლე ვექმნებით ეშმაკსა, და დავაკუეთებთ მას, ვითარცა მაცხოვარმან და უფალმან ჩუენმან ქმნა, და მოთმინებითა დაამჴუა ძალი მტერისაჲ, და ესე სახე მოგუცა საჭურველად. ვითარცა იტყჳს მოციქული: „შეიმოსეთ ყოვლად საჭურველი იგი ღმრთისაჲ, რაჲთა შეუძლოთ თქუენ წინა-დადგომად მანქანებათა მათ ეშმაკისათა“ (ეფეს. 6, 11).

ესრეთ უკუე აჩუენა რაჲ უფალმან აზოვნებაჲ შუენიერი და დასცა მტერი იგი ჩუენი, მერმე დასდვეს მას ზედა ჯუარი სასწაულად ძლევისა ჭეშმარიტად, რაჲთა უნებლიეთ აღიარონ უკეთურთა მათ, ვითარმედ მან მიიღო ძლევაჲ. რამეთუ ვიდრემდის მტერი იგი დგა, აქუნდა ძელი მტარვალთა, ხოლო ოდეს იგი

დაეცა და შეიმუსრა, მაშინ საძლეველი იგი აღიღო უფალმან და თავადმან იტჳრთა.

ხოლო ჯერ-იყო, რაჲთა საძლეველი იგი არა სხუასა აქუნდეს, არამედ მძლესა მას ახოვანსა.

ხოლო მი-რაჲ-ვიდოდა სიკუდილდ, საძლეველსა მას თანა მიიღო სამოსელიცა თჳსი, რაჲთა იგიცა სიკუდილსა თანა განიძუარცოს. ამისთჳს შეიმოსა იგი და განვიდოდა ჯუარს-ცუმად.

ხოლო წარიყვანეს რაჲ ჯუარს-ცუმად, ეკიდა მას თჳთ ჯუარი თჳსი, ვითარცა იოვანე იტყჳს, ხოლო სხუანი მახარებელნი იტყჳან, ვითარმედ სჳმონ კჳრინელსა ეტჳრთა ჯუარი. და არა წინა-აღუდგებიან იგინი იოვანეს, არცა იოვანე სხუათა მათ, არამედ ორივე იქმნა, რამეთუ თავადმანცა უფალმან იტჳრთა ჯუარი თჳსი და კუალად კაცმან მანცა სიმონ აღიღო იგი.

ვითარცა საძლეველი ეშმაკისა მიმართ ეკიდა მას პირველად თჳთ. და რაჲთა გამოაჩინოს, ვითარმედ თავით თჳსით და არა იძულებით მივიდოდა სიკუდილდ.

და კუალად სიმონ კაცმან აღიღო იგი, რაჲთა საცნაურ იქმნას ყოველთა, ვითარმედ სიკუდილითა მით კაცთაჲთა მოკუდებოდა უფალი, არა თავისა თჳსისაჲთა. ესე იგი არს, კაცთა თანა-ნადებსა გარდაიჴდიდა, არა თავისა თჳსისასა. ესე ყოველი რაჲ იქმნა, მოვიდა მოსწრაფებით ადგილსა მას, სადა-იგი ჯერ-იყო აღსლვაჲ მისი ძელსა, რაჲთა ჴელით-წერილი ჩუენი, რომელი მიიღო მტერთაგან, შემოშჭუალოს ჯუარსა; და განძარცუნეს მთავრობანი და ჴელმწიფებანი კადნიერებით და განაქიქნეს ძელსა ზედა და სახილველ-ყოს კაცი იგი, რომელი გამოსტაცა პირისაგან ვეშაპისა მის, და აპკუროს სისხლითა თჳსითა და წმიდა-ყოს ქუეყანაჲ. ხოლო ესე რაჲ ეგულებოდა ქმნად, აღიძარცუნა სამოსელნი თჳსნი.

რამეთუ ჯერვე ესრეთ იყო, რაჲთა შეიყვანებდეს რაჲ კაცსა სამოთხედ, განსძუარცნეს სამოსელნი იგი ტყავისანი, რომელნი მიიხუნა ადამ, გამოვარდა რაჲ სამოთხით და მოკუდავ იქმნა. რაჲთა იყვნენ იგინი სახედ სიკუდილისა მის, რომელი ცოდვისა მიერ შეემთხჳა. ხოლო უფალმან, რომელმან ყოველივე ბუნებაჲ ჩუენი მიიღო თჳნიერ ცოდვისა, შეიმოსა ესე სამოსელი, რაჲთა

განიძუარცოს და განმძუარცნეს ჩუენ ტყავისა იგი სამოსელნი, და მათ წილ შეგუმოსოს ცხორებაჲ და უხრწნელებაჲ.

და შეიმოსა სამოსელთა მათ თჳსთა თანა კუართიცა იგი უკერველი, ზემოჲთ ქსოვილი ყოველად, და აღიძუარცა იგი, აღვიდოდა რაჲ ჯუარად, რაჲთა ჰრწმენეს ჰურიათა, თუ ვინ არს, ანუ ვინაჲ, რომელსა ესე ჰმოსიეს. რამეთუ არა კაცი ლიტონი იყო, არამედ სიტყუაჲ, ზეცით მოსრული, რომელმან შეიმოსა კაცებაჲ. და ვითარმედ არა განიყოფის, არამედ განუყოფელ არს მამისაგან. და ვითარმედ კაც იქმნა რაჲ, არა აქუნდეს ჴორცნი კერულნი მამაკაცისაგან და დედაკაცისა, არამედ — ქალწულისაგან, ხოლო ქსოვილნი ჴელოვნებითა მით სულისა წმიდისაჲთა.

ამისთჳსცა მტარვალთა მათ სხუაჲ იგი სამოსელი განიყვეს, რამეთუ განყოფილნი იყვნეს. და ყვეს იგი ოთხად ნაწილად, რამეთუ ოთხკერძოთა მათ ცოდვათათჳს სოფლისათა ეცუნეს იგი უფალსა: აღმოსავალისა, დასავალისა, ჩრდილოჲსა და სამხრისა. რომელი-იგი იხილა იოვანე შემოსილი და თქუა: „აჰა ტარიგი ღმრთისაჲ, რომელმან აღიხუნა ცოდვანი სოფლისანი“ (იოანე 1, 29). ხოლო კუართისა მის განხევად ვერ იკადრეს შიშისაგან სასწაულისა მის, რომელსა იგი მოასწავებდა.

და ესე საქმე არა მათი იყო, არამედ ჯუარცუმულისა მის მაცხოვრისაჲ, რომელი-იგი ვითარცა კაცი ეკიდა ძელსა, ხოლო ძალითა ღმრთეებისაჲთა სდევდა ეშმაკსა და მთავრობათა მათ და ჴელმწიფებათა მისთა, და ეწეოდა და განაქარვებდა ძალსა მისსა, ხოლო მტარვალთა მათ შეაშინებდა, რაჲთა ვერ განკუეთონ კუართი მისი, არამედ რაჲთა ეგოს იგი სამხილებელად ჰურიათა. რაჲთა ჰრცხუენოდის მათ და ემხილებოდის, ვითარმედ კრეტსაბმელი იგი ტაძრისაჲ განიპო, ხოლო კუართი მაცხოვრისაჲ განუკუეთელად ეგო და ვერ განკუეთეს იგი მტარვალთა მათ.

იგი სახე იყო ამისცა საქმისაჲ, ვითარმედ ჰგიეს სახარებაჲ მარადის განუკუეთელად, ხოლო აჩრდილნი იგი განიკუეთნეს. არამედ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ.

აღიძუარცნა რაჲ უფალმან სამოსელნი და განეწყო სიკუდილისა მიმართ, ხედვიდა ეშმაკი გულს-მოდგინებასა მას მაცხოვრისასა. ხედვიდა კუალად თავსა თჳსსა, ზეცით გარ-

დამოვრდომილსა და ქუეყანისაგან ოტებულსა. ცნა, ვითარმედ იძლია მისგან და სრულიად ტყუე იქმნა, და ულონოებასა შინა იყო. დადგომად ვერ ეძლო და სივლტოლად ეშინოდა. მაშინ მოიგონა, ვითარმედ, მიწისაგანნი მო-რაჲ-კუდენ, მიწადვე მიიქცევიან, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „მიწაჲ ხარ და მიწადვე მიიქცე“ (დაბ. 3, 19). ამისთჳს ეშინოდა ქუეყანასა შინა ყოფად, ნუუკუე ეწიოს მას უფალი და შეიპყრას. დაელია ადგილი სივლტოლისაჲ და ჰაერთა შინა ფრინვიდა, რაჲთა საუფლოჲ იგი გუამი დაიდვას რაჲ ქუეყანასა შინა, მას აქუნდეს ჰაერი თავისუფლებით.

ხოლო უფალმან ამასცა ზედა აჩუენა კაცთ-მოყუარებაჲ თჳსი და არა მიიღო სიკუდილი ქუეყანასა ზედა, არამედ ავიდა ჯუარითა ჰაერად, რაჲთა მიერცა განდევნოს გუელი იგი, მთავარი ბნელისაჲ, და სულნი იგი უკეთურებისანი დაამჴუნეს. გარნა არავე დაუტევა ქუეყანაჲ უკურნებელად.

რამეთუ დამოეკიდა რაჲ ჯუარსა, ჰაერი წმიდა-ყო განპყრობითა ჴელთაჲთა, ხოლო ქუეყანაჲ განბანა სისხლითა მით და წყლითა ცხოველს-მყოფელისა გუერდისა მისისაჲთა.

ესე რაჲ ესრეთ აღსრულა, უმეტესად ულონო იქმნა მაცთური. ზეცით გარდამოვრდომილ იყო, ქუეყანით ოტებულ იყო, ჰაერთაგან განდევნილ იყო და დიდსა სირცხჳლსა შინა იყო, რამეთუ ფრიად იქადოდა და სრულიად მოუძლურდა.

ვინაჲთგან უკუე ყოველგნით დევნულ იყო და განქიქებულ და განთრეულ, განიზრახა, რაჲთა ბარე ჯოჯოხეთი დაიცვას, რამეთუ იგიცა ოდენ დაჰრჩომოდა, გარნა იწიწჴოდა, ნუუკუე მუნცა მივიდეს უფალი და განდევნოს და ყოველნი იგი მუნ შეყენებულნი განათავისუფლნეს. ამისთჳს თითოსახეთა ღონეთა იქმოდა და მრავალთა შემწეთა მოიპოებდა, რაჲთამცა არ მივიდა მკუდართა თანა უფალი. რამეთუ იწყო ცნობად, ვითარმედ იგი არს, რომლისათჳს წერილ არს: „აჰა მაღალსა, წარმოტყუენა ტყუე და მისცა ნიჭები კაცთა“ (ფსალმუნნი 67, 19).

ამისთჳს კუალად აღძრნა ჰურიანი კიცხევად და ყუედრებად უფლისა; და ეტყოდეს: „ეჰა, რომელი დაჰჴსნიდ ტაძარსა მას და მესამესა დღესა აღაშენებდ, იჴსენ აწ თავი თჳსი; უკუეთუ ძე

ხარ ღმრთისაჲ, გარდამოჴედ მაგიერ ჯუარით!“ (მათე 27, 40). და სხუასა მრავალსა ესევითარსა იტყოდეს, რავდენსაცა ეშმაკი მოაგონებდა, რაჲთამცა ყუედრებათა მათთათჳს გარდამოჴდამცა უფალი მაგიერ ჯუარით, და არამცა მივიდა მკუდართა თანა, რაჲთა ესრეთ დაშთეს მტერსა ჴელმწიფებაჲ მკუდართაჲ.

ხოლო მაცხოვარსა და ჭეშმარიტად ძესა ღმრთისასა არა სივლტოლითა სიკუდილისაგან, არამედ სიკუდილისა მიერ და ჯუარისა დათრგუნვითა სიკუდილისაჲთა ენება გამოჩინებად, ვითარმედ ძე ღმრთისაჲ არს და ცხორებაჲ ჭეშმარიტი.

რამეთუ ჴელ-ეწიფებოდა გარდამოსლვაჲ ჯუარით, რომელმან-იგი აღურაცხელნი მკუდარნი აღადგინნა. არამედ გარდამოსლვაჲ ჯუარით სივლტოლასა აჩუენებდა სიკუდილისაგან. ხოლო დადგრომაჲ ჯუარსა ზედა წამებდა, ვითარმედ იგი არს ცხორებაჲ ჭეშმარიტი.

კუალად უკუე აღძრნა მზაკუვარმან მღდელთ-მოძღუარნიცა და ფარისეველნი, და იტყოდეს: „გარდამოჴედინ აწ მაგიერ ჯუარით და გურწმენეს იგი. სხუანი აცხოვნნა, თავი თჳსი ვერ ძალ-უც ცხოვნებად“ (მათე 27, 42).

ხოლო არა თუ სარწმუნოებად მოსლვაჲ მათი უნდა მოძღუარსა მას ურწმუნოებისასა და მასწავლელსა წარწყმედისასა, არცა ცნობაჲ უნდა, თუ ძალ-უც უფალსა თავისა თჳსისა ცხოვნებად, რომელმან-იგი სხუანი აცხოვნნა, არამედ რაჲთა ამათ სიტყუათა მიერ, და უფროჲსად რომელ იტყოდეს იგინი, თუ: „გარდამოჴედინ ჯუარით და გურწმენეს იგი“, გარდამოჴდამცა უფალი ჯუარით და არამცა მიიღო სიკუდილი, არცამცა მივიდა ჯოჯოხეთად.

ხოლო უფალმან, ჭეშმარიტად მაცხოვარმან, რომელი არა თჳსსა ეძიებდა, არამედ ჩუენსა, არა გარდამოსლვითა ჯუარით ინება გამოჩინებად მაცხოვარებაჲ თჳსი, არამედ გამოჴსნითა ჩუენითა კრულებათაგან ჯოჯოხეთისათა.

რამეთუ მკურნალიცა არა ამისგან გამოჩნდის ჴელოვნად, უკუეთუ თჳთ მრთელად იყოს, არამედ უკუეთუ უძლურნი განკურნნეს; და მზემან არა ამით გამოაჩინის ბრწყინვალებაჲ თჳსი, რაჲთამცა თავსა შორის თჳსსა შეაყენა ნათელი, არამედ

რაჟამს სოფელსა მიჰფინის ნათელი და ბნელი განაქარვის.

ეგრეთვე უფალი არა თავისა თჳსისა ცხოვნებასა აჩუენებდა, რამეთუ მას ცხორებაჲ არა უჴმდა, თჳთ მაცხოვარი იყო და წყაროჲ ცხორებისაჲ, არამედ სხუათა ცხორებითა აჩუენებდა მაცხოვარებასა თჳსსა; და არა გარდამოსლვითა ჯუარით, არამედ ჯუარსა ზედა გამოაჩინებდა, ვითარმედ ძჱ ღმრთისაჲ არს. რამეთუ სიკუდილითა თჳსითა ყოველნი აცხოვნა და სარწმუნოებად მოიყვანნა.

მაშინ უკუე, იყო რაჲ ჯერეთ ძელსა ზედა, საფლავნი განეხუნეს და მკუდარნი აღდგეს და ავაზაკსა ჰრწმენა, რაჲთა გამოჩნდეს, ვითარმედ იგი არს ჭეშმარიტად მაცხოვარი ყოველთაჲ.

ხოლო ეშმაკმან იხილა რაჲ, ვითარმედ ავაზაკიცა გამოსტაცა უფალმან ჴელთაგან მისთა ჯუარსავე ზედა, უმეტესად შეძრწუნდა და უღონო იქმნა. რამეთუ ხედვიდა, ვითარმედ შებღალული იგი სისხლითა ავაზაკობისაჲთა, რომელი პირველ მგმობარ იყო, მორწმუნე იქმნა, და მეორესა მასცა ავაზაკსა აბრალობდა, და უფროჲსღა ეშმაკსა, რომელი პირითა მის ავაზაკისაჲთა ზრახვიდა, განცხრებულ იყო ამას ზედა მაცთური იგი, ბილწი და მყრალი. რამეთუ ყოველივე საჭურველი მისი და მახჳლი, რომლითა ჰბრძოდა უფალსა, უჴმარ იქმნა, ვითარცა წერილ არს: „მტერისა მახჳლსა მოაკლდა სრულიად და ქალაქნი მისნი აღოჴრდეს“ (ფსალმუნნი 9, 7).

მაშინ უღონომან მან და უძლურმან ესეცა მოიპოვა ღონე და აღძრა მსახურნი იგი თჳსნი, რაჲთამცა ასუეს უფალსა ძმარი ნაველითა განზავებული; და არა იცოდა ცოფმან მან, ვითარმედ ამასცა სავნებელად თავისა თჳსისა იქმოდა. რამეთუ სიმწარე იგი რისხვისაჲ მის, რომელი მოიწია ჩუენ ზედა გარდასლვითა მით მცნებისაჲთა, რომლისა მიერ ყოველთა ზედა იქადოდა, მისცა მაცხოვარსა ჴელითა მით მტარვალთაჲთა.

ხოლო ტკბილმან მან უფალმან მიიღო იგი და განაქარვა, და ძმრისა წილ გჳწდია ჩუენ ღჳნოჲ იგი, რომელი სიბრძნემან განზავა ტაკუკთა შინა თჳსთა (იგავ. 9, 5), ხოლო ნაველისა წილ მოგუმადლნა სიტყუანი თჳსნი, რომელნი უტკბილეს არიან

უფროჲს თაფლისა მის გოლეულისა. რამეთუ ვინაჲთგან მან მიიღო სიმწარე ჩუენი, გუეტყჳს ჩუენ: „განიცადეთ და იხილეთ, რამეთუ ტკბილ არს უფალი“ (ფსალმუნნი 33, 9).

ხოლო ვითარცა ამისცა ღონისაგან ცარიელი დაშთა ეშმაკი და ჴელოვნებაჲ მისი ამაო იქმნა, და ცნა უმეტესადრე, ვითარმედ არა კაცისა მიმართ არს ბრძოლაჲ მისი, არამედ ღმრთისა განკაცებულისა, განიზრახა სრულიად სივლტოლაჲ, რამეთუ შურდა ცხორებაჲ კაცთაჲ მოშურნესა მას. მაშინ უფალმან, მაცხოვარმან ყოველთამან, არა ინება, რაჲთამცა განერა მტერი იგი, და დაშთესმცა სულნი ჯოჯოხეთს შეყენებულნი, არამედ საკჳრველად ჴელთ-იგდო იგი. რამეთუ იხილა რაჲ, ვითარმედ ივლტის შეძრწუნებული, კუალად კაცობრივთა სიტყუათა იტყოდა, ვითარცა გუასწავებს მახარებელი, ვითარმედ:

„ჴმა-ყო იესუ ჴმითა დიდითა და თქუა: ელოი, ელოი! ლიმა საბაქთანი? ესე არს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაჲსათჳს დამიტევებ მე?“ (მათე 27, 46; მარკოზ 15, 34).

ესე ამისთჳს თქუა, რაჲთა ეშმაკი კუალად იჭეულ იქმნას, და რომლისაგან ძრწოდა და იტყოდა, ვითარმედ: ღმერთი არს, შეჰრაცხოს კაცად უძლურად, და არა ივლტოდის ამის ჴმისაგან. სცთა ყოვლადბოროტი იგი და კუალად ვითარცა კაცსა მოუჴდა. მაშინ სრულიად დაეკუეთა წარმწყმდა.

რამეთუ მიიღო რაჲ უფალმან სასუმელი სიკუდილისაჲ და უგუმირეს ლახურითა გუერდსა მას ცხოელს-მყოფელსა, რომლისაგან გარდამოჴდა სისხლი და წყალი (რაჲთა ვითარცა პირველ შემოვიდა საცთური დედაკაცისა მისგან ადამის გუერდით დაბადებულისაჲთ, ეგრეთვე გუერდისაგან მეორისა ადამისა გამოჴდეს ცხორებაჲ და საჴსარი პირველისაჲ მის, რამეთუ სისხლი იგი საჴსარი იყო, ხოლო წყალი განსაწმედელი), მაშინ წარწყმდა სრულიად მტერი იგი ბოროტი; რამეთუ მოკუდა უფალი ბუნებითა მით კაცობრივითა, და ეშმაკი წარმოიტყუენა და მკუდარ იქმნა. ჰგონებდა, რაჲთა ეუფლოს ვითარცა კაცსა, და შეიმუსრა ძალი მისი, და ყოველთა გულისჴმა-ყვეს ღმრთეებაჲ უფლისა ჩუენისაჲ. რამეთუ მო-რაჲ-კუდა ჯორცითა, მეყსეულად მზე დაბნელდა და კრეტსაბმელი განიპო ტაძრისაჲ მის და

ქუეყანაჲ შეიძრა და კლდენი განსქდეს, საფლავნი აღეხუნეს, მკუდარნი აღდგეს, მჴედარნი შეშინდეს, მეკარენი ჯოჯოხეთისანი შეძრწუნდეს, და საცნაურ იქმნა, ვითარმედ ჯუარცუმული იგი არა კაცი იყო ლიტონი, არამედ ღმერთი განჯორციელებული. ამისთჳსცა რომელნი-იგი ხედვიდეს, იტყოდეს: „ჭეშმარიტად ძე ღმრთისაჲ იყო ესე“ (მათე 27, 54).

იხილეთა, ვითარ ბრმა არს უკეთური იგი მტერი? ერთისა მოკლვაჲ განიზრახა და ყოველნი მოაკლდეს მისგან.

ჰგონებდა ერთისა ჯოჯოხეთს შთაყვანებად, და განიდევნა ჴელმწიფებისაგან ჯოჯოხეთისა. და ცნეს ყოველთა, ვითარმედ არა უძლურებითა ბუნებისაჲთა მოკუდა უფალი, არამედ რაჲთა შემუსროს და განაქარჳოს სიკუდილი და „რომელსა-იგი ჴელმწიფებაჲ აქუნდა სიკუდილისაჲ“, ვითარცა მოციქული იტყჳს, „ესე იგი არს, ეშმაკი, და განათავისუფლნეს იგინი, რომელნი შიშითა სიკუდილისაჲთა მარადის ცხორებად თანა-მდებ იყვნეს კირთებასა“ (ებრ. 2, 14-15).

მან თავადმან დაჰჴსნნა სალმობანი ჯოჯოხეთისნი, ვითარცა იტყჳს ესაია, ვითარმედ: „ჯოჯოხეთი ქუეშე შენსა განმწარდა შემთხუევასა შენსა“ (ესაია 14, 9), მირაჲ-ხჳდოდე შენ; და აღდგომითა თჳსითა აღადგინნა დასაბამითგანნი მკუდარნი და ეშმაკი საკიცხელ და საცინელ-ყო. რამეთუ ვითარცა ბზიკმან სცის რაჲ კლდესა, კლდესა მას ვერაჲ ავნის, არამედ თჳსი იგი საწერტელი შემუსრის, ეგრეთვე სიკუდილი შეიმუსრა, მოუჴდა რაჲ კლდესა მას ცხორებისასა, რომელ არს ქრისტე, და საწერტელი თჳსი წარწყმიდა; ვიდრეღა რომელთა იგი პირველ აშინებდა, აწ ვეტყჳთ მას: „სადა არს, სიკუდილო, საწერტელი შენი? სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაჲ შენი?“ (1 კორ. 15, 55). და კუალად ვიტყჳთ: აჴოცა ღმერთმან ყოველივე ცრემლი პირისაგან ჩუენისა (შდრ. ესაია 25, 8).

მაშინ შეიკრა მძლავრი იგი ბოროტი და მწარედ იგლოვდა მდებარე ბჭეთა თანა ჯოჯოხეთისასა, ხედვიდა რაჲ, ვითარ მკუდარნი განცხოველდებოდეს, ტყუენი განთავისუფლდებოდეს, წმიდანი იგი მამათ-მთავარნი და წინაჲსწარმეტყუელნი იხარებდეს და გალობდეს. რომელნიმე იტყოდეს: „აღჴდა მაღალსა,

წარმოტყუენა ტყუე და გამოიყვანნა კრულნი სიმჴნითა თჳსითა“ (ფსალმუნნი 67, 7; 67, 19; ეფეს. 4, 8). სხუანი იტყოდეს: „რაჟამს მოაქცია უფალმან ტყუე სიონისაჲ, და ვიყვენით ჩუენ ნუგეშინის-ცემულ. მაშინ აღივსო პირი ჩუენი სიხარულითა და ენაჲ ჩუენი — გალობითა“ (ფსალმუნნი 125, 1-2). ხოლო ანგელოზნი და ყოველნი ზეცისა მჴედრობანი ღაღადებდეს: „დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ, და კაცთა შორის სათნოებაჲ“ (ლუკა 2, 14). და ყოველნივე იხარებდეს ძლევასა მას ზედა სიკუდილისასა.

ხოლო მძლავრი იგი და მბრძოლი ყოველთაჲ, შეკრული ჴელითა და ფერჴითა მდებარე იყო; და ყოველნი განკჳრვებულ იყვნეს, თუ ვითარ მეყსა შინა იქმნა დიდი იგი საკჳრველი, რომელ სიკუდილითა სიკუდილი შეიმუსრა და ჯუარითა ესევითარი ვეშაპი პყრობილ იქმნა და ჯოჯოხეთი წარმოიტყუენა. ხოლო უბადრუკი იგი ოდენ გოდებდა და კბილთა იღრჭენდა სულთა მათ ზედა, რომელნი განერნეს ჴელთაგან მისთა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „ცოდვილმან იხილოს და განრისხნეს, კბილთა თჳსთა იღრჭენდეს, დადნეს, და გულის-თქუმაჲ ცოდვილთაჲ წარწყმდეს“ (ფსალმუნნი 111, 10).

იღრჭენდა კბილთა და ინანდა, რომელ ყოვლადვე იკადრა მაცხოვრისა ბრძოლად. რამეთუ პირველ ებრძოლა წმიდათა და არარაჲ ესევითარი შეემთხჳა. აბელი მოკლა, ესაია განხერხა, იერემია ტანჯა, იობი გამოცადა და სხუანი ყოველნი მამათ-მთავარნი, და არა იძლია.

ხოლო იკადრა რაჲ უფლისა მიმართ, სრულიად შეიმუსრა და დასათრგუნველ ყოველთა იქმნა. რამეთუ ესე საქმე მაცხოვრისაჲ არს, რომელ არა ხოლო თუ თავადი მძლე ექმნა სიკუდილსა, არამედ ჩუენცა მოგუცა ჴელმწიფებაჲ დათრგუნვად იგი; და ბრძანებს: „აჰა, ესერა, მიგცემ თქუენ ჴელმწიფებასა დათრგუნვად გუელთა და ღრიაკალთა და ყოველსა ზედა ძალსა მტერისასა“ (ლუკა 10, 19); და კუალად იტყჳს: „ასპიტსა და ვასილისკოსსა ზედა ხჳდოდი; და დასთრგუნო შენ ლომი და ვეშაპი“ (ფსალმუნნი 90, 13).

პირველ გუელმან აცთუნა ევა და შურითა სიკუდილი შემოვ-

იდა სოფლად. ხოლო აწ დაითრგუნა, და მო-თუ-ვიდეს ბრძოლად, ესმის: „წარვედ ჩემგან მართლუკუნ, სატანა“ (მათე 4, 10), და მეყსეულად უჩინო იქმნების და შეჰმუსრავს მას ღმერთი ფერჯთა ქუეშე ჩუენთა.

და ესოდენ შეურაცხ არს, ვიდრეღა „ყრმამან მცირემანო ჯურელსა ასპიტისასა ჯელი დასდვას და არაჲ ევნოს“ (ესაია 11, 8-9), თქუა ესაია.

და ჭეშმარიტ არს სიტყუაჲ ესე, რამეთუ ბერნი და ყრმანი დასთრგუნვენ გულის-თქუმათა მათ და ბრძოლათა მტერისათა, რომლითა ოდესმე ყოველნი დაემორჩილნეს; და ჩჩჯლნი პირველ ჰასაკად მოსლვისაცა სრულსა სიწმიდესა წარჰმართებენ და ქალწულებით აღასრულებენ დღეთა თჯსთა და ყოველთავე ცოდვისა გემოთა აღმოიფხურიან გულისაგან.

და მრავალთა საწერტელი ეშმაკისაჲ დათრგუნეს და სიკუდილი შეურაცხ-ყვეს და ცხორებაჲ უგულებელს-ყვეს და გჯრგჯნი წამებისაჲ მიიღეს და ჰბაძვიდეს სიკუდილსა მას უფლისასა.

სხუათა საწუთროჲ დაუტევეს და მოქალაქობაჲ ზეცისაჲ მოიგეს ჯორცითა შინა, და განკიცხეს მთავარი იგი ამის სოფლისაჲ. ესევითარნი კეთილნი იქმნეს ჯუარს-ცუმითა უფლისაჲთა.

ხოლო გზაჲ იგი სამოთხისაჲ, რომელი პირველ ცოდვისა მიერ ჩუენისა დაჯშულ იყო, აწ განღებულ არს, რომელთაცა ენებოს შესლვაჲ, ვითარცა წამებს პაულე, რომელი ჯორცითვე მუნ მიიტაცა და ზეცად აღიტაცა (2 კორ. 12, 2). და ყოვლით კერძო დაიჯსნა ძალი ეშმაკისაჲ და, ვითარცა გუელი, ჭამს მიწასა; და რომელი იქადღდა სიმდიდრესა, განშიშულდა. ხოლო ჩუენ, დაგლახაკებულნი ესე, განვმდიდრდით. რამეთუ ამისთჯს დაგლახაკნა უფალი, რაჲთა ჩუენ სიგლახაკითა მისითა განვმდიდრდეთ. ხოლო ეშმაკი განშიშულდა და დაითრგუნა. და იქმნა დიდი ესე საკჯრველი სოფელსა შინა, რომელ კაცნი წადიერ არიან სიკუდილდ, რაჲთა მივიდენ საუკუნესა მას, და სურის მეორედ მოსლვისათჯს მაცხოვრისა. ხოლო ბოროტსა მას ეშმაკსა, რომელსა პირველ ჯელმწიფებაჲ აქუნდა სიკუდილისაჲ, აწ ეშინის მოსლვისა მისგან დიდებულისა და საშჯელისა მის-

გან ძრწის, რამეთუ იცის ცეცხლი იგი განმზადებული მისთჳს და მსახურთა მისთათჳს, რამეთუ ამისთჳს დაისაჯა უფალი ჩემი ჯორცითა, რაჲთა ჩუენ გჳჯსნნეს საშჯელისაგან და ეშმაკი დასაჯოს.

ხოლო ღმრთისმეცნიერებისა მისთჳს, რომელი განეფინა სოფელსა შინა, რადღა საჴმარ არს თქუმად, ვინაჲთგან საქმენი თჳთ ქადაგებენ; რამეთუ დღითი-დღე კაცნი კერპთა დასთრგუნვენ და შეჰმუსრვენ, და ღმერთსა აღიარებენ, და მცნებათა ქრისტესთა აღასრულებენ; და გულის-თქუმათა, რომელთა მოწყუედად მო-ცა-ვერ-იგონებდეს, აწ კაღნიერად დასთრგუნვენ; და ეშმაკთა, რომელთაგან პირველ ძრწოდეს, აწ სხუათაგანცა განასხმენ; და ცოდვასა მას, რომლისადა დამონებულ იყვნეს, აწ სასწაულითა მით ჯუარისაჲთა ეკიცხევენ; და რომელნი-იგი ურწმუნო იყვნეს ქალწულებასა და იტყოდეს, თუ შეუძლებელ არს კაცთა შორის წარმართებაჲ მისი, ჰრწმენა რაჲ ქალწულისაგან შობილი ქრისტე, ადვილად წარჰმართებენ, და უკჳრნ მათ, რომელნი ჯერეთ ურწმუნოებასა შინა იყვნიან.

ამას ზედა გრძნებანი და მწამლველობანი უქმ იქმნეს, და სიბრძნენი იგი წარმართთანი სულელ იქმნნეს, და არღარა სიტყუათაჲ არს ძიებაჲ, არამედ საქმეთა კეთილთაჲ; და არა სიტყუამრავლობაჲ სარგებელ არს, არამედ სიწმიდე სულისაჲ; და რომელსა ფილაფოზნი იგი წარმართთანი სიტყჳთ ვერ გამოაჩინებენ, ვერცა მისწუთებიან, ამას ქრისტეანენი სარწმუნოებითა გამოაჩინებენ; და რომელსა გრძნებანი იქმოდეს, ჯუარმან ქრისტესმან განაქარვა; და უკუდავებაჲ იგი, რომელსა წარმართნი ურწმუნო იყვნეს, ქრისტეს მოწამეთა საქმით გამოაჩინეს; და ქალწულებაჲ, რომელი საკჳრველ იყო დიდთა მათ ფილაფოზთა მიერ, ქრისტეს მიერ დედათაცა ადვილად წარჰმართეს; და ეშმაკთა, რომელთა ღმრთად აღიარებდეს იგინი, ყრმანიცა სძევნიან ქრისტეს მიერ.

და ყოვლითურთ ღმერთშემოსილი კაცი მსგავს ღმერთისა არს ქუეყანასა ზედა, ძჳრუჴსენებელ, ძმათ-მოყუარე, ზეცისა მოქალაქობისა აღმასრულებელ.

ესე ყოველი ქრისტეს ჯუარს-ცუმითა იქმნა. ესე ყოველი

აღასრულა სიკუდილმან მაცხოვრისამან; რამეთუ არა კაცობრივი არს საქმე ესე, არამედ საღმრთოჲ, და ამისთჳს ივნო ვითარცა კაცმან, რაჲთა კაცთა მოანიჭოს ყოველივე კეთილი.

და აწ ყოველნივე სათნოებანი, რომელთა კაცნი იქმან, მისი საქმე არს. რამეთუ დაღაცათუ პავლე იტყოდის, ქრისტე იტყჳს მის მიერ; დაღაცათუ დიდთა სასწაულთა იქმოდის, მადლი ქრისტესი იქმს ყოველსავე; და რომელ-იგი ყოველთა ზედა მიიწია მეცნიერებაჲ ღმრთისაჲ, მისი საქმე არს, რომელი გარდამოჴდა ზეცით და შუამდგომელ იქმნა ღმრთისა და კაცთა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „იყვნენ ყოველნი ღმრთივ სწავლულ“ (ესაია 54, 13; იოანე 6, 45). აწ უკუე სანატრელ არს ჭეშმარიტად და თაყუანის-საცემელ ცხოველს-მყოფელი ჯუარი ქრისტესი, რომლისა მიერ სიკუდილი განქარდა და ეშმაკი მოიკლა და ჯოჯოხეთი წარმოიტყუენა.

დიდებაჲ შენდა, სიტყუაო ღმრთისაო, ღმერთო ჭეშმარიტო, სიბრძნეო და ძალო მამისაო, რომელმან მრავალღონე იგი მძლავრი შეჰმუსრე და ამპარტავანი იგი ქედი მისი დაჰკაფე, და მოგუეც ძალი დათრგუნვად მისა.

კაცთ-მოყუარეო და სახიერო მეუფეო, შენ ტყუეობისაგან გჳჴსნენ ჩუენ და მონებისაგან ცოდვისა განგუათავისუფლენ სიკუდილითა შენითა.

მშჯდობის-მყოფელო, მოწყალეო, ძეო ღმრთისაო, ჭეშმარიტო, შენ შვილ ღმრთისა გუყვენ ჩუენ და დამაგენ მამასა შენსა, რამეთუ მტერობაჲ იგი ჯორცითა შენითა განაქარვე.

მდიდარო მაცხოვარო, მეუფეო ტკბილო, შენ დაჰგლახაკენ ჩუენთჳს, რაჲთა სიგლახაკითა შენითა ჩუენ განვმდიდრდეთ, და სასუფეველი მოგუანიჭე ჩუენ.

დამბადებელო ყოველთაო, სიტყუაო მამისაო, შენ მეორედ დამბადენ ჩუენ და განმაახლენ დაძუელებულნი ესე.

ნათელო ჭეშმარიტო და ბრწყინვალებაო მამისაო, შენ დაბნელებულნი ესე განგუანათლენ და დაბრმობილთა ნათელი გჳჩუენე.

ხატო და თანაარსო მამისაო, შენ წარწყმედულნი ესე მოგჳძიენ და კუალად მოგუანიჭე ხატებაჲ და მსგავსებაჲ ღმრთისაჲ.

ღმერთო, სიტყუაო ღმრთისაო, ცხორებაო ჭეშმარიტო, შენ განუაცხოველენ მომკუდარნი ესე და განხრწნილნი უხრწნელ-გუყვენ.

ძალო ჭეშმარიტო, და მარჯუენეო და მკლავო ღმრთისაო, შენ დაჰჴსნენ სალმობანი სიკუდილისანი და შეჰმუსრენ ბჭენი რვალისანი და მოქლონნი რკინისანი, და ვეშაპი იგი ეშმაკი სამჭედურითა მოითრიე, სასწაულითა მით ჯუარისაჲთა.

შენ მიერ, სახიერო, და შენითა მით ქველის-საქმითა ყოველნი ემღერიან მას და ყოველნი დასთრგუნვენ მას და არღარავის ეშინის მისგან, არამედ შენგან გუეშინის ყოველთა, და შენ თაყუანის-გცემთ, და შენ მიერ — დაუსაბამოსა მას მამასა შენსა და ყოვლადწმიდასა სულსა, მარადის და უკუნისამდე.

ხოლო კუალად ზემოჴსენებული სიტყუაჲ ვაჴსენოთ. სახიერმან მან და კაცთ-მოყუარემან უფალმან ჯუარს-ცუმითა და სიკუდილითა თჳსითა აღდგომაჲ და ცხორებაჲ მოგუანიჭა ყოველთა და ძალი სიკუდილისა და ეშმაკისაჲ შემუსრა. ხოლო ჰურიანი დიდებულთა მათ საკჳრველებათა ხედვიდეს და არავე რცხუენოდა, არცა გულისჴმა-ჰყოფდეს, ვითარმედ თავისა თჳსისა წარწყმედად ისწრაფდეს, მისცეს უფალი პილატეს და არა ხედვიდეს, ვითარმედ იერუსალემსა მისცემდეს ჴელთა ჰრომთასა. არა ინებეს მონებაჲ უფლისაჲ და ყვნეს თავნი თჳსნი მონა ეშმაკისა. და ჰმსახურებდეს მას, რავდენსაცა ეტყოდა ბრძოლად უფლისა.

გამოითხოვეს ბარაბა, და უფალი მისცეს ჯუარს-ცუმად; რამეთუ ცხორებაჲ ბარაბაჲსი შეიყუარეს, და ყოველი კაცის-კლვაჲ და მესისხლეობაჲ მათ შორის არს. ხოლო ნათელი და ცხორებაჲ და ყოველივე, რავდენი ეწოდების უფალსა ჩუენსა, მათ განიშორეს, რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ ესაიაჲსი, რომელსა იტყჳს: „აჰა, ესერა, მფლობელი უფალი საბაოთ მოსპოლავს ჰურიასტანით და იერუსალემით ძლიერსა მამაკაცსა და შემძლებელსა დედაკაცსა, ძალსა პურისა და წყლისასა, გმირსა და ძლიერსა, და კაცსა მბრძოლსა და მსაჯულსა, და წინაჲსწარმეტყუელსა და განმაწესებელსა, და მოხუცებულსა და ერგასის-თავსა, და საკჳრველსა მზრახვალსა, და ბრძენსა ხუროჲთმოძ-

ღუარსა, და გულისჴმის-მყოფელსა მსმენელსა. და დავადგინნე ყრმანი მთავრად მათა, და მემღერნი უფლებდენ მათ ზედა“ (ესაია 3, 1-4).

ემღერდეს უბადრუკნი იგი უფალსა, და არა ხედვიდეს, ვითარმედ აღესრულოს მათ ზედა სიტყუაჲ იგ წინაჲსწარმეტყუელისაჲ: „მემღერნი უფლებდენ მათ ზედა“.

ხოლო ნათელი ჭეშმარიტად მიეღო მათ, რამეთუ იტყჳს იერემია: „მოვსპო მათგან ჴმაჲ სიხარულისაჲ და ჴმაჲ მხიარულებისაჲ, ჴმაჲ სიძისა და სძლისაჲ, სურნელებაჲ ნელსაცხებელისაჲ და ნათელი სანთლისაჲ“ (იერემია 16, 9).

მისცეს უფალი წარმართთა მოკლვად, და არა განიცდიდეს ბრმანი, ვითარმედ შემძგომად მცირედისა იგინი შეიგინნენ წარმართთა შორის, და სამკჳდრებელსა მათსა შევიდენ წარმართნი.

უარ-ყვეს უფლისა მეუფებაჲ და არა სცნობდეს, ვითარმედ წარიწყმედენ პატივსა მას დავითისსა; რამეთუ მისდა განმზადებულ იყო მეუფებაჲ დავითისი და მოსლვადმდე მაცხოვრისა მოიწია იგი, ვითარცა წინაჲსწარმეტყუელებდა მამათ-მთავარი იაკობ, ვითარმედ: „არა მოაკლდეს მთავარი იუდაჲსგან, არცა წინამძღუარი წყვილთაგან მისთა, ვიდრემდის მოვიდეს, რომლისა-იგი განმზადებულ არს, და იგი — მოლოდებაჲ წარმართთაჲ“ (დაბ. 49, 10).

განძარცუეს ულმრთოთა მათ უფალი ჩემი და სცეს, და არა იცოდეს, ვითარმედ განშიშულდებიან შეწევნისა მისისაგან და შეიმოსენ ტყებასა, ვითარცა იტყჳს წინაჲსწარმეტყუელი: „მოვსძარცო სამოსელი ჩემი და ტილოები ჩემი არა ფარვად სირცხჳლსა მისსა. და გოდებდეს და იგლოვდეს და ვიდოდის უჴამლოჲ და შიშუელი, და ყოს ტყებაჲ, ვითარცა ვეშაპთაჲ, და გლოვაჲ, ვითარცა ასულთა ურჩხულთაჲ“ (მიქია 1, 8).

შეჰმოსეს უფალსა მეწამული და არა იცოდეს, არცა ხედვიდეს, ვითარმედ აღესრულების მათ ზედა სიტყუაჲ იგი, ვითარმედ: „ჴელნი თქუენნი სავსე არიან სისხლითა“ (ესაია 59, 3; 1, 15); და „ჴელთა თქუენთა იპოვა უბრალოჲ სისხლი“ (იერემია 2, 34).

იხარებდეს უბადრუკნი, ხედვიდეს რაჲ თავსა ზედა უფლისა-სა გჳრგჳნსა მას ეკლისასა, და არა ხედვიდეს ბრმანი, ვითარმედ თჳსთა თავთა ზედა დაიკრებდეს ეკალსა და კუროჲს-თავსა, ვითარცა იტყჳს წინაჲსწარმეტყუელი: „ქუეყანასა ერისა ჩემისასა ეკალი აღმოეცენოს და ყოვლისა სახლისაგან სიხარული მოისპოს“ (ესაია 32, 13).

ეკიცხევდეს უფალსა განკიცხულნი იგი, თუ რად იტყჳსო თავსა თჳსსა ძედ ღმრთისა, და არა ხედვიდეს, ვითარმედ სრულიად განვარდებიან შვილებისაგან, ვითარცა წამებს უფალი პირითა ესაიაჲსითა: „ისმინე, ცაო, და ყურად-იღე, ქუეყანაო: ძენი ვისხენ და აღვზარდენ, ხოლო მათ შეურაცხმყვეს მე, და აჰა, ესერა, დაეტეოს სახლი თქუენი ოჯრად“ (ესაია 1, 2; 1, 7; 2, 6; 5, 6).

ასუეს მას ნავღელი და ძმარი, და იყო ესეცა დიდი სიბრმე. რამეთუ ღმერთმან ვენაჯი ეგჳპტით ცვალა (ფსალმუნნი 79, 9) და დაასხა კეთილად და მოელოდა მათ, რაჲთამცა გამოიღეს ნაყოფი — ყურძენი და ღჳნოჲ; ხოლო ცოფთა მათ და უგუნურთა ღჳნისა წილ ასუეს მას ძმარი და ყურძნისა წილ მიუპყრეს ნავღელი, რაჲთამცა წამონ თავისა თჳსისათჳს უკეთურებაჲ სოდომელთაჲ, რამეთუ ყურძენი მათი ყურძენი ნავღლისაჲ არს, ვითარცა იტყჳს მათთჳს მოსე, ვითარმედ: „საყურძნისა მისგან სოდომელთაჲსა იყო საყურძენი მათი“ (2 შჯულ. 32, 32)

ამისთჳს უფალმან იცოდა, თუ ვითარსა ნაყოფსა ეგულების გამოღებად, და წინაჲთვე მიუთხრა იგავი იგი ვენაჯისაჲ მის და ჰრქუა: „გეტყჳ თქუენ: მიგეღოს თქუენ სასუფეველი ღმრთისაჲ და მიეცეს ნათესავთა, რომელნი ჰყოფდენ ნაყოფსა მისსა“ (მათე 21, 43)

ამას ყოველსა ზედა განუყვეს სამოსელი მისი მტარვალთა, და არა ხედვიდეს ყოფადსა მას მათსა წარმართთა შორის განყოფასა, ვითარცა იტყჳს წინაჲსწარმეტყუელი, ვითარმედ: „აჰა, ესერა, დღენი მოვლენ და განიყოს ნატყუენავი შენი შენ შორის. და შევკრიბნე ყოველნი წარმართნი ბრძოლად იერუსალემსა ზედა, და წარიტყუენოს ქალაქი იგი და წარიტაცნენ მკჳდრნი მისნი. რამეთუ არა მიგეტეოს თქუენ ცოდვაჲ ესე, ვიდრემდის

მოსწყდეთ თქუენ. იტყჳს უფალი ძალთაჲ“ (შდრ. ზაქარია 14, 1-2)

და რაჲთა შემოკლებულად ვთქუა, იკადრეს უშჯულოთა მათ მოკლვაჲ უფლისაჲ, გარნა სიკუდილი მისი იქმნა ჩუენ ყოველთა ცხორება; ხოლო მათ მოიყვანეს თავთა თჳსთა ზედა დღე იგი, რომელსა იტყოდა ესაია, ვითარმედ: „დღე საშჯელისა უფლისაჲ არს და წელიწადი კუალად-გებისა საშჯელისა სიონისაჲ. და გარდაიქცეს ღელენი მისნი ფისად და ქუეყანაჲ მისი წუნწუბად. და იყოს ქუეყანაჲ მისი ვითარცა ფისი აღგზებული ღამე და დღე, და არა დაშრტეს უკუნისამდე ჟამთა. აღვიდოდის კუამლი მისი ზე ნათესავითი ნათესავად და მოოჯრდეს ჟამადმდე მრავლად. და არა იყოს თანა-წარმავალი მის მიერ; და დაემკჳდრნენ მას შინა მფრინველნი და გრძელაბნი, და ყორანნი მკჳდრ იყვნეს მას შინა. და განემარტოს მას ზედა საბელი ქუეყანის საზომი ოჯრებისაჲ, და ვირდევნი იყოფოდინ მას შინა. მთავარნი მისნი არა იყვნენ, რამეთუ მეფენი მისნი და მდიდარნი მისნი და მთავარნი მისნი წარსაწყმედელად მიეცნენ, და აღმოსცენდენ ქალაქთა მათთა ეკალთა ხენი. და ძნელოვანნი მისნი იყვნენ საყოფელად ურჩხულთა და სამკჳდრებელად სირთა. და შეემთხჳნენ ეშმაკნი და ვირდევნი ურთიერთას და ღაღადებდენ მოყუასი მოყუსისა მიმართ. მუნ განისუენებდენ ვირდევნი, რამეთუ პოეს თავისა განსასუენებელი. მუნ მართვენი ისხნენ გრძელაბთა, მუნ შეკრბენ ნადირნი“ (ესაია 34, 8-15). ესე ყოველი შეემთხჳა ჰურიათა. განიზრახეს რაჲ მოკლვაჲ უფლისაჲ. ესე ყოველი მოჴადეს თავთა ზედა თჳსთა, ჴმობდეს რაჲ მაცხოვარსა ზედა. ამით სახითა დაისაჯნეს, ინებეს რაჲ დაშჯაჲ უფლისაჲ. და აწ იხილენ ყოველმან კაცმან, თუ რომელი ნაყოფი გამოიღო სიკუდილმან უფლისამან, ანუ რაჲ სარგებელ-ეყო ჰურიათა ბოროტი ზრახვაჲ თჳსი.

სიკუდილმან მაცხოვრისამან სოფელი აცხოვნა, წარმართნი ღმრთისმეცნიერ-ყვნა, მკუდარნი განაცხოველნა, ეკლესიაჲ წარმართთაჲ აღაშენა, სასუფეველი ცათაჲ განგჳღო, ანგელოზნი და კაცნი შეაერთნა და მტერობაჲ იგი დაჰჴსნა, ცოდვანი კაცთანი აჴოცნა და აღურაცხელნი და გამოუთქუმელნი კეთილნი მოგუანიჭნა მორწმუნეთა მისთა.

ხოლო განდგომილებამან მან და უკეთურებამან ჰურიათამან და ბოროტმან კადნიერებამან, რომელ აჩუენეს უფალსა, წარწყმიდნა იგინი და ქალაქი მათი, დაუბრმნა თუალნი მათნი და სრულიად უღმერთო-ყვნა. და ღმრთის მკლველ ეწოდა მათ, რამეთუ ქრისტე ღმერთი ჴორცითა ჯუარს-აცუეს, ამისთჳს აღოჴრდეს და წარწყმდეს და იქმნნეს თანამკჳდრ და თანამონაწილე ეშმაკთა და მსგავს პირუტყუთა, და აწ წესითა მათითა მობაძავ არიან ურჩხულთა და გრძლაბთა და ვირდევთა.

რამეთუ არა არს ვნებაჲ, ანუ ცოდვაჲ, ანუ უშჯულოებაჲ, რომლითა იგინი არა სავსე არიან. ამისთჳს მოვიძაგნეთ იგინი და განვიშორნეთ. და შევიტკბოთ ჯუარი ქრისტჱსი, და თაყუანისვსცეთ, რომლისა მიერ იქმნა ცხორებაჲ ჩუენი. რამეთუ ნეტარიცა პავლე ამით იქადოდა და იტყოდა: „ხოლო ჩემდა ნუ იყოფინ სიქადული, გარნა ჯუარითა ქრისტჱსითა, რომლისათჳს სოფელი ჩემდამო ჯუარცუმულ არს და მე — სოფლისა“ (გალატ. 6, 14). და თავადი უფალი ბრძანებს: „რომელმან არა აღიღოს ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, არა არს ჩემდა ღირს, არცა ჴელ-ეწიფების მოწაფე ჩემდა ყოფად“ (მათე 10, 38; ლუკა 14, 27).

სიტყუაჲ ესე: ***„ხოლო მეექუსით ჟამითგან დაბნელდა ყოველი ქუეყანაჲ, ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე. და მეცხრესა ოდენ ჟამსა ჴმა-ყო იესუ ჴმითა დიდითა და თქუა: „ელიო, ელიო! ლიმა საბაქთანი? ესე არს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რაჲსათჳს დამიტევებ მე? და რომელთამე მუნ მდგომარეთა ესმა ესე და იტყოდეს: ელიას უჴმობს ესე. და მეყსეულად მირბიოდა ერთი მათგანი და მოიღო ღრუბელი და აღავსო ძმრითა და დაადგა ლერწამი და ასუმიდა მას“ (27, 45-48).***

კუალადცა ცხოელს-მყოფელთა მათ ქრისტეს ვნებათათჳს ვიტყოდით, რამეთუ კეთილ არს მარადის ჴსენებაჲ მათი და სარგებელ სულისა.

ესე არს სასწაული იგი, რომელი ოდეს-იგი ჰურიანი ითხოვდეს, ჰრქუა უფალმან მიცემად და ეტყოდა: „ნათესაი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს, და სასწაული არა ეცეს მას, გარნა სასწაული იონა წინაჲსწარმეტყუელისაჲ“ (მათე 12,

39; 16, 4; ლუკ. 11, 29). ესე არს იგი სასწაული: ჯუარს-ცუმაჲ და სიკუდილი, დაფლვაჲ და აღდგომაჲ. და კუალად სხუასა აღგილსა მოასწავებდა ძალსა მას ჯუარისასა და იტყოდა: „ოდეს აღამაღლოთ ძე კაცისაჲ, მაშინ სცნათ, ვითარმედ მე ვარ“ (იოანე 8, 28). ესე იგი არს, ოდეს ჯუარს-მაცუათ და ჰგონებდეთ, თუ მძლე-ქმნულ ხართ, მაშინ უმეტესად სცნათ ძალი ჩემი. რამეთუ შემდგომად ჯუარს-ცუმისა ქალაქი მათი წარწყმდა და იგინი აზნაურებისა და პატივისაგან განვარდეს და წარწყმდა ყოველი საქმე ჰურიათაჲ.

ქადაგებაჲ ქრისტჱსი აღყუავნა და კიდეთა ქუეყანისათა განეფინა და ძალსა მისსა ყოველი სოფელი, ზღუაჲ და ჴმელი, უდაბნოჲ და შჱნი მარადის ქადაგებენ. და კუალად ჟამსა მას ჯუარს-ცუმისასა მებრ აღესრულებოდეს სასწაულნი იგი საკჳრველნი, რომელნი ფრიად უსაკჳრველეს იყვნეს მაშინ, ვიდრეღა იქცეოდა რაჲ ქუეყანასა ზედა. და სასწაულნი იგი ზეცით გამოჩნდეს: დაბნელებაჲ მზისაჲ და ქუეყანით ძრვაჲ და განპებაჲ კრეტსაბმელისაჲ და განხეთქაჲ კლდეთაჲ და აღებაჲ საფლავთაჲ და აღდგომაჲ მკუდართაჲ. და ესევითარნი საკჳრველებანი არასადა ქმნილ იყვნეს. იქმნნეს ეგჳპტესცა რომელნი-იგი სახე იყვნეს ამისა, გარნა ესე ფრიად უსაშინელეს იყვნეს: აღებაჲ სამარეთაჲ და აღდგომაჲ მკუდართაჲ. და ესე ყოველმან სოფელმან იხილა, ხოლო ცოფთა მათ და გულფიცხელთა არა შეიგონეს.

და იხილეთ, ვითარ ჟამსა ჯეროანსა იქმნნეს სასწაულნი იგი, ვინაჲთგან ყოველივე ძჳრი აჩუენეს უფალსა: ტანჯეს, ჯუარს-აცუეს, განბასრეს, ეკიცხევდეს, და ყოველი გულისწყრომაჲ მათი დააცხრვეს, მაშინ გამოაჩინნა სასწაულნი იგი, რაჲთა გულისჴმა-ყონ და შეინანონ, და არა შეინანეს.

ეტყოდეს: „გარდამოჴედინ ჯუარით, და გურწმენესო“ (მათე 27, 42). და არა-მე ესე საქმენი უსაკჳრველეს იყვნესა, ჱ უგუნურნო, ვიდრე გარდამოსლვაჲ ჯუარით?

ეჰა, ფრიადი გულფიცხელობაჲ! ჱ, სასოწარკუეთილი იგი გონებაჲ მათი! რამეთუ ცხად იყო საქმე იგი, ვითარმედ არა ჩუეულებისაებრი მოკლებაჲ იყო მზისაჲ; რამეთუ სამი ჟამი დაყო ბნელმან მან, რომელ-ესე არაოდეს იქმნების უმეტეს ერთისა

ჟამისა მოკლებაჲ მზისაჲ; ხოლო მაშინ სრულიად დაბნელდა. და ესე იქმნა სავსებასა მთოვარისასა; რომელ არასადა ქმნილ არს დასაბამითგან, რაჲთამცა სავსელა იყო მთოვარე, მოაკლდამცა მზესა. რამეთუ ბუნებითი იგი მზისა მოკლებაჲ იქმნების, ოდეს მთოვარე დღისი ეწიოს და ქუეშეთ კერძო წარვლოს და დაფაროს მზე. რამეთუ უმაღლესსა გზასა ვალს მზჱ, ხოლო ოდეს მთოვარე სავსებით იყოს, ესე არა შესაძლებელ არს. გარნა მაშინ ოდენ იქმნა, რაჲთა იყოს უცხო და საკჳრველ.

აწ უკუე გინა თუ უფლისა მიერ ქმნილადმცა ჰრწმენა საქმე იგი, გინა თუ მამისა მიერ მოწევნაჲ რისხვისაჲ გულისჴმა-ყვეს, ჯერ-იყო შეგონებაჲ და ძრწოლით სინანული. ხოლო მათ არა ინებეს, რამეთუ ფიცხელ იყვნეს გულითა და ყოვლითურთ სამკჳდრებელ ეშმაკისა.

თქუას ვინმე, ვითარმედ: რად არა განკჳრდეს ყოველნი კაცნი მაშინ და იცნეს უფალი ღმერთი? გარნა ესე საქმე ცხად არს, რამეთუ მაშინ ნათესავი კაცთაჲ დიდითა საცთურითა შეპყრობილ იყო, და საკჳრველსა მას ზედა დაღაცათუ ყოველნი განჰკრთეს, არამედ მსწრაფლ გარდაჴდა და ვერ ეძლო განფრთხობად დიდისა მისგან სიბნელისა და ძიებად მიზეზი მის საქმისაჲ. ნუუკუე ჰგონებდესცა ვიეთნიმე, თუ ბუნებითითა რაჲმე წესითა იქმნა, რამეთუ ფრიად იყო მაშინ ულმრთოებაჲ.

ხოლო ჰურიათა არაჲ აქუნდა სიტყუაჲ, რამეთუ ცნეს განცხადებულად, ვითარმედ ქრისტეს ჯუარს-ცუმისათჳს იქმნა ბნელი იგი და ძრვაჲ და სხუაჲ ყოველივე. ეხილვნეს სხუანიცა იგი აღურაცხელნი სასწაულნი მისნი, რაჲსათჳს უკუე არა ჰრწმენა? არამედ ხედვიდეს რაჲ საკჳრველებათა მათ, კუალადცა დგესვე და შეუარცხ-ჰყოფდეს.

საცნაურ იქმნა უკუე განცხადებულად, ვითარმედ ქრისტეს მიერ იქმნებოდეს საკჳრველნი იგი საშინელნი. რამეთუ ამისთჳს ჴმა-ყო მეცხრესა ჟამსა, რაჲთა ცნან, ვითარმედ ცოცხალიღა არს და მან ქმნა ნიშები იგი დიდებული, და მოიქცენ და შეინანონ. გარნა არავინ იყო მათ შორის მეცნიერ, არავინ იყო მიერთადმდე. სამარე ზე აღებულ იყო ჯორჯი მათი. ენითა მათითა ზაკუვასა იტყოდეს. დასაჯენ იგინი, ღმერთო, უტყუ იქმნენ ბაგენი

იგი მათნი მზაკუვარნი, რომელნი იტყოდეს მართლისა მის ზედა უშჯულოებასა (შდრ. ფსალმუნნი 52, 4; 5, 10; 30, 19). არამედ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ.

„და მეცხრესა ოდენ ჟამსა ჴმა-ყო იესუ ჴმითა დიდითა და თქუა: ელოი, ელოი! ლიმა საბაქთანი? ესე არს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რაჲსათჳს დამიტევებ მე?“

ესე თქუა მაცხოვარმან, რაჲთა ცნან ყოველთა, ვითარმედ არა არს წინა-აღმდგომ ღმრთისა, არამედ აღსასრულადმდე პატივ-სცემს მამასა, და ჰრცხუენოდის ჰურიათა, რომელნი გმობდეს მისა მიმართ. ამისთჳს წინაჲსწარმეტყუელისაცა სიტყუაჲ აჴსენა, რაჲთა ცნან, ვითარმედ ეწამების შჯულსა და წინაჲსწარმეტყუელთა.

ხოლო ვითარ თქუა, თუ: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაჲსათჳს დამიტევებ მე?“ არა თუ იგი დატეობილ იყო მამისაგან, ანუ თჳსისა ღმრთეებისაგან, არამედ ვითარცა მრავალგზის მითქუამს, ვითარმედ, შეიმოსა რაჲ ბუნებაჲ ჩუენი, ყოველივე ჩუენი იჩემა; და აწცა ჩუენსა მას საქმესა თავსა შორის თჳსსა გამოსახავს, რამეთუ ჩუენ ვიყვენით დატეობილნი და უგულებელს-ქმნილნი პირველ, ხოლო აწ შეწყნარებულნი და შეწყალებულნი ვნებითა მით უვნებელისაჲთა.

რამეთუ ამას პირსა გამოსახავს ყოველივე იგი ოცდამეერთე ფსალმუნი, ქრისტესთჳს თქუმული. ჩუენისა ამის ბუნებისა მაგიერთა სიტყუათა ქრისტეს მიერ იტყჳს, ვითარცა იგი უმეცრებასა ჩუენსა იჩემებს და უძლურებასა, სახიერი იგი, რომელი მოვიდა ყოვლით კერძო განკურნებად ჩუენდა, და უძლურებანი ჩუენნი აღიხუნა და სნეულებანი თავს-ისხნა. დიდებაჲ აღურაცხელსა წყალობასა და კაცთ-მოყუარებასა მისსა!

და რომელთამე მუნ მდგომარეთა ესმა ესე და იტყოდეს: ელიას უჴმობს ესე. და მეყსეულად მირბიოდა ერთი მათგანი და მოიღო ღრუბელი და აღავსო ძმრითა და დაადგა ლერწამი და ასუმიდა მას. ხოლო სხუანი იტყოდეს: აცადეთ, და ვიხილოთ, უკუეთუ ელია მოვიდეს ჴსნად მაგისა (27, 47-49).

იხილეთღა გარდარეული იგი უშჯულოებაჲ და სიბოროტე მათი, ჯუარსა ზედა დამოკიდებულსაცა სტანჯვიდეს:

რომელნიმე ძმარსა ასუმიდეს, რომელნიმე ჰბასრობდეს, სხუამან შედგომად აღსრულებისაცა ლახურითა უგუმირა გუერდსა მისსა. რაჲმცა იყო ამისა უძჳრეს, ვინმცა იყო მათსა უბოროტეს, რომელნი შემდგომად სიკუდილისაცა სტანჯვიდეს?

ხოლო შენ, საყუარელო, იხილე, ვითარ უშჯულოებაჲ მათი ჩუენდა საცხორებელად იკმარა უფალმან; რამეთუ ოდეს-იგი უგუმირეს გუერდსა მისსა, მაშინ გარდამოჴდეს მიერ წყარონი იგი ცხორებისა ჩუენისანი; ხოლო სიტყუაჲ იგი, ვითარმედ: „ელოი, ელოი! ლიმა საბაქთანი?“ ენითა მით უბრაულითა არს. ვითარ ვერ ცნეს უღმრთოთა, არამედ იტყოდეს, ვითარმედ „ელიას უჴმობს“? ესოდენ მთრვალ იყვნეს უკეთურებითა და ცნობამიღებულ. ხოლო იყვნეს მუნ ერისაგანნიცა იგი მთავრისანი, ჰრომნი და ბერძენნი, და ებრაულიცა სადამე არა ფრიად იცოდეს და თქუეს: „ელიას უჴმობს“; ხოლო ჰურიათა ნეფსით დაიდუმეს და არა აუწყეს მათ სიტყუათა მათ განმარტებაჲ.

საბარებაჲ: ხოლო იესუ კუალად ჴმა-ყო ჴმითა დიდითა და განუტევა სული (27, 50).

თარგმანი: ესე არს, ვითარმედ: „მე დავსდებ სულსა ჩემსა, რაჲთა კუალად მოვიღო იგი. არავინ მიმიღოს იგი ჩემგან, არამედ მე დავსდებ მას თავით ჩემით. ჴელმწიფების დადებად მისა და ჴელ-მწიფების კუალად მოღებად მისა“ (იოანე 10, 17-18). ამისთჳს ჴმა-ყო, რაჲთა გამოაჩინოს, ვითარმედ ჴელმწიფებით იქმოდა საქმესა ამას.

ამისთჳსცა ასის-თავსა მას ჰრწმენა, იხილა რაჲ, ვითარმედ ჴელმწიფებით მოკუდა და ჴმამან მისმან კრეტსაბმელი იგი განაპო და ქუეყანაჲ შეძრა და საფლავნი აღახუნა და მკუდარნი აღადგინნა.

ხოლო განპებაჲ იგი კრეტსაბმელისაჲ რაჲსათჳს იქმნა? არა თუ ტაძარი იგი შეურაცხ-ყო, რამეთუ თავადი იტყოდა: „ნუ ჰყოფთ სახლსა მამისა ჩემისასა სახლ სავაჭრო“ (იოანე 2, 16), არამედ იგინი უღირსად გამოაჩინნა მას შინა ყოფისა. ამისთჳს განპებითა მით კრეტსაბმელისაჲთა მოასწავა სრულიადი იგი მოოკრებაჲ მისი და უაღრესისა მიმართ შეცვალებაჲ საქმეთაჲ.

ეჰა, საკჳრველი! ელისეს ზე მკუდარი ერთი შეეხო ძუალ-

თა მისთა და აღდგა, და ყოველთა უკჳრდა. და აწ ჯუარსა ზედა დამოკიდებულმან ჴმითა თჳსითა ურიცხუნი მკუდარნი აღადგინნა, არა ესრეთ ლიტონად, არამედ ქუეყანაჲ შეიძრა და კლდენი განსთქდეს, რაჲთამცა გულისჴმა-ყვეს ბრმათა მათ, ვითარმედ ჴელ-ეწიფებოდა მათიცა დადნობაჲ და წარწყმედაჲ. რომელმან კლდენი განაპო და ქუეყანაჲ შეარყია და მზე დააბნელა, არამცა იგინი უადვილესად მოსწყჳდნაა, უკუეთუმცა ენება? გარნა არა ინება მათი განლევაჲ, არამედ ნივთთა მათ ზედა უსულოთა აჩუენა რისხვაჲ თჳსი, რაჲთა იგინი შეშინდენ და მოიქცენ. არამედ არა ინებეს შეგონებად.

რამეთუ ესრეთ არს შური. არა იცის უმჯობესისა გულისჴმის-ყოფაჲ, ვითარ-იგი მათ შეემთხჳა. და ამისაცა შემდგომად, მიუთხრეს რაჲ ცხადად მცველთა, ვითარმედ აღდგა მკუდრეთით, ვეცხლი დიდძალი მისცეს, რაჲთა დაფარონ საქმე იგი დიდებული. არამედ ვერ ეძლო უღმრთოთა მათ.

ეგრეთვე აწ, არა თუ არა იცოდეს, ვითარმედ ყოველნი იგი საკჳრველებანი ქრისტჱმან ქმნა, არამედ ნეფსით თუალნი დაეყვნეს და არა ინებეს გულისჴმის-ყოფად, ვითარმედ სასწაულნი იგი მოასწავებდეს მათ ზედა მოწევნადსა მას რისხვასა და მორწმუნეთა ცხორებასა, განღებასა სასუფეველისასა და შესლვასა ჩუენსა „წმიდა წმიდათასა“ მას. უგუნურნი იგი იტყოდეს, ვითარმედ: „უკუეთუ მეუფჱ ისრაელისაჲ არს, გადამოჴედინ აწ მაგიერ ჯუარით“ (მათე 27, 42), ხოლო მან გამოაჩინა, ვითარმედ ყოვლისა სოფლისაჲ არს მეუფჱ. იგინი იტყოდეს: „ეჰა, რომელი დაჰჴსნიდ ტაძარსა ამას და მესამესა დღესა აღაშენებდ“ (მათე 27, 40), ხოლო თავადმან გამოაჩინა, ვითარმედ სრულიად მოოჴრდეს. იგინი იტყოდეს: „სხუანი აცხოვნნა, თავისა თჳსისა ვერ ძალ-უცა ცხოვნებად?“ (მათე 27, 42). ხოლო თავადმან ჯუარსა ზედა რაჲ იყო, აღდგინებითა მით მკუდართაჲთა აჩუენა ჴელმწიფებაჲ თჳსი. რამეთუ უკუეთუ ოთხისა დღისა მკუდრისა ლაზარეს აღდგინებაჲ დიდ იყო და საკჳრველ, რავდენ უფროჲსად საკჳრველ იყო მეყსა შინა აღდგინებაჲ ურიცხუთა მკუდართაჲ მრავლით ჟამითგან დაძინებულთაჲ, რომელ-იგი მერმისა მის ყოველთა აღდგომისა სასწაული იყო. ამისთჳს

იტყჳს: „და მრავალნი გუამნი შესუენებულთა წმიდათანი აღდგეს და გამოვიდეს საფლავით მათით და შემდგომად აღდგომისა მისისა, შევიდეს წმიდასა ქალაქსა და გამოეცხადნეს მრავალთა“ (მათე 27, 52-53). რაჲთა ვერვინ თქუას, თუ უცნებაჲ არს საქმე იგი, ამისთჳს გამოეცხადნეს მრავალთა. ხოლო რომელ იტყჳს, ვითარმედ: „იესუ ჴმა-ყო ჴმითა დიდითა და განუტევა სული“; ლუკა გუასწავებს, თუ რაჲ ჴმა-ყო; რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: „ჴმა-ყო ჴმითა დიდითა იესუ და თქუა: მამაო, ჴელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა. და ესე რაჲ თქუა, განუტევა სული“ (ლუკა 23, 46).

„ხოლო ასის-თავმან მან და მისთანათა, და რომელნი სცვიდეს იესუს, იხილეს ძრვაჲ იგი და რაჲ-იგი იქმნა, შეეშინა ფრიად და იტყოდეს: ჭეშმარიტად ძჱ ღმრთისაჲ იყო ესე“ (მათე 27, 54). ესოდენ დიდ იყო ძალი ჯუარცუმულისა მის უფლისაჲ, რომელ ესოდენნი საკჳრველებანი აღესრულნეს მის მიერ და ასის-თავსა მას ჰრწმენა. ხოლო თქუმულ არს მისთჳს, ვითარმედ იწამაცა ამისსა შემდგომად სახელისათჳს ქრისტჱსისა, აჩუენა სრული იგი სიმჴნე სარწმუნეობისაჲ.

სახარებაჲ: იყვნეს მუნ დედანიცა მრავალნი, რომელნი შორით ხედვიდეს, რომელნი შეუდგეს იესუს გალილეაჲთ და ჰმსახურებდეს მას. რომელთა თანა იყო მარიამ მაგდანელი და მარიამ იაკობისი და იოსეს დედაჲ და დედაჲ ძეთა ზებედესთაჲ (27, 55-56).

თარგმანი: იხილეთღა, რაბამი იყო სიმჴნე დედათაჲ მათ და ლმობიერებაჲ! შეუდგეს მას და ჰმსახურებდეს და ვიდრე აღსასრულადმდე განუშორებელ იყვნეს და არცა თუ მძლავრებისა მისგან ჰურიათაჲსა შეშინდეს, არამედ მუნ მდგომარე იყვნეს და ხედვიდეს. ამისთჳსცა ყოველივე იხილეს: ვითარ-იგი ჴმა-ყო და განუტევა სული; ვითარ-იგი იძრა ქუეყანაჲ და კლდენი განსთქდეს, და სხუაჲ ყოველივე, რაჲცა-იგი იქმნა საკჳრველი. და ამისთჳსცა მათ პირველ ყოველთასა იხილეს უფალი; და ნათესავი იგი დაშჯილი უწინარეს სხუათასა მიემთხჳა ხილვასა მას კეთილსა. რამეთუ აწცა ფრიადი აჩუენეს ახოვნებაჲ; მოწაფენი ივლტოდეს და დედანი განუშორებელ იყვნეს. ხოლო რომელნი არიან დედანი იგი? ერთად, ყოვლადწმიდაჲ დედაჲ მისი არს, რამეთუ

მას იტყჳს მახარებელი მარიამ იაკობისად, და სხუანი იგი მის თანა. ხოლო სხუაჲ მახარებელი იტყჳს, ვითარმედ: „რომელთა იხილეს ხილვაჲ ესე, იცემდეს მკერდსა მათსა და ტიროდეს“ (ლუკა 23, 48). ხოლო უღმრთონი იგი ჰურიანი ყოვლადვე არა ლმობიერ იქმნნეს, არამედ უფროჲსად განძჯნდებოდეს და არა შეშინდეს საქმეთა მათგან რისხვისა ღმრთისა მომასწავებელთა: სიბნელისა მისგან და ძრვისა და კლდეთა განხეთქისა და საფლავთა აღებისა და სხუაჲ იგი ყოველივე, რომელი ცნობათა უაღრეს იყო და ძრწოლითა დიდითა სავსე.

სახარებაჲ: და ვითარცა შემწუხრდა, მოვიდა კაცი მდიდარი, არიმათიაჲთ, სახელით იოსებ, რომელ იგიცა მოწაფე ყოფილ იყო იესუჲსა. ესე მოვიდა პილატესა და გამოითხოვა გუამი იესუჲსი. მაშინ პილატე უბრძანა მიცემად გუამი იგი მისი. და მოიღო გუამი იგი მისი იოსებ და წარგრაგნა იგი ამრენაკსა წმიდასა და დადვა იგი ახალსა მისსა საფლავსა, რომელი გამოეკუეთა კლდისაგან, და მოაგორვა ლოდი დიდი კარსა მას საფლავისასა და წარვიდა (27, 57-60).

თარგმანი: ესე იოსებ პირველ ფარულად იყო მოწაფე იესუჲსა, ხოლო აწ, შემდგომად სიკუდილისა მისისა, დიდი კადნიერებაჲ აჩუენა; რამეთუ არა უჩინოთაგანი იყო, არამედ კაცი იყო წარჩინებული და შუენიერი მზრახვალი, და დადვა თავი თჳსი სიკუდილდ და მტერობაჲ ყოვლისა მის შესაკრებელისა მიმართ თავს-იდვა სიყუარულისათჳს ქრისტესისა. შევიდა პილატესა და ითხოა გუამი ქრისტესი ახოვნებით და მოწლედ. რამეთუ იხილა რაჲ, ვითარმედ აღასრულა მოძღუარმან მან სახიერმან და მეუფემან კაცთ-მოყუარემან ყოველივე განგებულებაჲ ცხორებისა ჩუენისაჲ და ნეფსით თჳსით უჯარს-ეცუა და განპყრობითა მით ჴელთაჲთა შეაერთნა დაბადებულნი, და უხილავნი იგი ბოროტნი სულნი უკეთურებისანი განაქიქნა ვნებითა ჯორცთა თჳსთაჲთა, და ინება ხილვად გემოჲ სიკუდილისაჲ ბუნებითა მით კაცობრივითა, რაჲთა უკუდავებაჲ მოგუმადლოს ჩუენ; მაშინ მიიდრიკა წმიდაჲ იგი თავი მისი და უბრძანა სიკუდილსა, ვითარცა მონასა, მისლვად წმიდათა მათ ჯორცთა მისთა მიმართ. ხოლო იგი შეძრწუნებით, ვითარ მონაჲ, მოვიდა მონებად სამეუფოსა მას ბრძანებასა. მაშინ წმიდანი იგი ჯორცნი, რომელნი საში-

ნელ იყვნეს ქერობინთა მიერ და შესაძრწუნებელ სერაბინთა, მიეცნეს სიკუდილდ, ვითარცა უნდა უფალსა პატიოსანთა მათ ჯორცთასა; და სული იგი მაცხოვრისაჲ წარვიდა ხარებად სულთა მათ შეწყუდეულთა და გამოჯსნად ჯოჯოხეთისაგან. ხოლო ღმრთეებაჲ მისი იყო სულსაცა თანა და ჯორცთა უვნებელად, რამეთუ არასადა განეშორა ღმრთეებაჲ კაცებისაგან, ვინაჲთგან შეიერთა; არამედ ზეცასცა იყო განუშორებელად და საფლავსაცა შინა უვნებელად; არა თუმცა მას რაჲ ევნებოდა, არამედ უფროჲსად ჯორცთა მათცა, რომელნი შეიმოსნა, განუხრწნელად დაიცვიდა. ესევითარი განგებაჲ დიდებული და საკჳრველი გულისჴმა-ყო და განიზრახა შუენიერმან მან მზრახვალმან იოსებ, ინება ერთგულებისა ჩუენებად მოძღურისა მის მიმართ და ღმრთისა შემდგომად ჯუარს-ცუმისაცა, და ქმნად ესე საბეჭდავ თჳსისა მოწფობისა. შევიდა პილატესა, ეველდრებოდა მას და ეტყოდა: გეველდრები შენ, მთავარო, მკუდრისა მისთჳს, რომელსა ჰურიათა ცილი დასწამეს და დასაჯეს და მეგობართა დაუტევეს ჟამსა მას ვნებისასა. მკუდრისა მისთჳს გეველდრები, რომელი ნეფსით მოკუდა, რამეთუ უკუეთუმცა არა ენება, ვერ ჴელ-გეწიფებოდა მოკლვაჲ მისი. გარდამოვჯსნა ძელისაგან უბრალოჲ იგი და უცოდველი, რომელმან არაჲ ვის სადა ავნო, არამედ ბევრეულითა კეთილითა ყოველნი აღავსნა. მომანიჭე, ჲ, პილატე, ნიჭი ესე, რომლისა უმჯობესი არარაჲ გაქუს. მომმადლე მადლი ესე, რომელი აღავსებს მადლითა და სიხარულითა მეძიებელთა მისთა. მომმადლე ცხოელს-მყოფელი ესე მკუდარი, რაჲთა დავჰმარხო იგი ქუეყანასა. მომეც გუამი ესე სამგზის სანატრელი, რომლისა სიკუდილი იგლოვეს ყოველთა დაბადებულთა. მომმადლე გუამი ესე ყოვლადწმიდაჲ, რომელი იხილა რაჲ ტაძარმან ჯუარსა ზედა, კრეტსაბმელი თჳსი მოიხია, და მზემან ბნელი შეიმოსა და კლდენი განსთქდეს და ქუეყანაჲ ძრწოდა. ამბორს-უყო წყლულებასა წმიდათა მათ ჴელთასა, რომლისა მიერ წყლულებანი სულისა ჩემისანი განიკურნნეს; შეევხო უხრწნელსა მას გუერდსა, რომლისაგან აღმოეცენნეს წყარონი იგი ცხორებისა ჩემისანი. წარვგრაგნო ჴელითა ჩემითა დამჴსნელი იგი საკრველთა სიკუდილისათა: დავჰკრძალო ჴელითა ამით ცოდვილითა მოძღუარი იგი და მასწავლელი ყოვლისა სიმართლისაჲ.

შევეხო გუამსა მას უცოდველსა, რომლისა შეხებითა მომეცემის ნეტარებაჲ. წარვგზავნო საფლავად, რომელსა ეგულების განღებაჲ საფლავთაჲ. მიუვლინო პყრობილთა მათ საუკუნითგანთა უკუდავებისა წყაროჲ. აღუნთო მყოფთა ჯოჯოხეთისათა სანთელი იგი უკუდავებისაჲ.

ამას ესევითარსა იოსებ იტყოდა კეთილად და პილატე ისმენდა მოწლედ, რამეთუ ძალი იგი უფლისა იესუჲსი დაარწმუნებდა გულსა პილატესსა მორჩილებად. მაშინ პილატე უბრძანა მიცემად გუამი იგი მისა. მივიდა იოსებ მოსწრაფედ, თაყუანის-სცა მჯურვალედ, გარდამოჴსნა ჯუარისაგან გუამი იგი ცხოველს-მყოფელი და ლმობიერითა ცრემლითა ამბორს-უყოფდა და იტყოდა: უკუეთუ დედაკაცი იგი წიდოვანი შეეხო რაჲ ფესუსა სამოსლისა მისისასა, განიკურნა, მე შეხებითა წმიდისა ამის გუამისაჲთა არამცა წმიდა ვიქმენა? მოვიდა ნიკოდიმოსცა, ვითარცა იოვანე გუასწავებს, და წარგრაგნეს იგი ამრენაკსა წმიდასა მურითა და ალოჲთა, ლმობიერად და ცრემლითა მჯურვალითა, და დადვა იგი იოსებ საფლავსა თჳსსა ახალსა, სადა არავინ დადებულ იყო. და ესეცა სასწაული ქმნა იოსებ თჳსისა მის სიყუარულისა და სიმჯნისა. ხოლო იქმნა ახალსა მას საფლავსა დიდებაჲ განგებულებით, რაჲთა ვერვინ უძლოს იჭჳსა შემოღებად, ნუუკუე სხუაჲ ვინმე აღდგა; არამედ გამობრწყინდეს, ვითარმედ ქრისტესი დაიდვა გუამი და იგივე აღდგა მესამესა დღესა.

საბარებაჲ: იყო მუნ მარიამ მაგდანელი და სხუაჲ იგი მარიამ, და სხდეს წინაშე საფლავსა მას (27, 61).

თარგმანი: ამათიცა გული მჯურვალე იყო და უშიშ. ამისთჳსცა განუშორებელ იყვნეს საფლავისაგან და ეძიებდეს ჟამსა მიღებად ნელსაცხებელი და ცხებად გუამსა უფლისასა, არამედ ვერ ეძლო, რამეთუ ჯერეთ მცველნი დგეს მუნ და ერი მრავალი იქცეოდა.

წმიდა იოანე ოქროპირი
განმარტებაჲ იოანეს სახარებისაჲ*

სახარებაჲ: მიიყვანეს იგი კაიაფაჲსით პილატესა (18, 28).

თარგმანი: იქმნა ესე ყოველი, რაჲთა სიმრავლემან მსაჯულთამან გამოაჩინოს ჭეშმარიტებაჲ იგი საქმისაჲ მის, ხოლო იყო განთიადი, რამეთუ პირველ ქათმისა ყივილისა კაიაფაჲსა მიიყვანეს და განთიად პილატესა, რამეთუ ესეოდენთა მათ ჟამთა ღამისათა კაიაფაჲს მიერ განიკითხვოდა და ვერარას ამხილებდეს იგინი, არმედ შენ იხილე სიბრძჲ ჰურიათაჲ, რამეთუ უბრალოჲ იგი შეიპყრეს საჭურველითა და ენება მოკლვად და არა შეიკდემდეს და სამშჯავროდ არა შევიდოდეს, რაჲთა არა შეიგინნენო, რომელნი-იგი აქლემსა შთანსთქმიდეს და ბურნაკსა წურვიდეს, უსამართლოდ მოკლვაჲ უფლისაჲ არა აქუნდა ბრალად და სამშჯავროდ მოსლვაჲ ბრალად შეერაცხა. ხოლო მათ რაჲსათჳს არა მოკლეს, არამედ პილატესა მიავლინეს? გარნა რამეთუ ფრიადი ჴელმწიფებაჲ მათი დაჴსნილ იყო, რაჟამს საქმენი ჰრომთა ჴელმწიფებისანი იყვნეს და ეშინოდა, ნუუკუე საჯნენ იგინი.

სახარებაჲ: გამოვიდა მათა პილატე გარე და ჰრქუა: „რასა შესმენასა მოიღებთ კაცისა ამისათჳს?“ (18, 29).

თარგმანი: ჰხედავა ჭეშმარიტებასა, ვითარ ბრწყინვალე არს? რამეთუ მაცნა ცნა, ვითარმედ ამაოდ შეასმენდეს. ამისთჳს ჰკითხვიდა, რამეთუ ბოროტად უჩნდა, უკუეთუმცა საშჯელი მათი საჯეს და ტანჯვაჲმცა მას მისცეს. ხოლო ისმინენ სიტყუანიცა მათნი:

სახარებაჲ: უკუეთუმცა არა იყო ესე ბოროტის-მოქმედი, არამცა მიგუეცა შენდაო (18, 30).

თარგმანი: ჱ, უგუნურებაჲ! და რად არა ამხილებთ ბოროტსა მას, არამედ ოდენ იტყჳთ, ვითარმედ: „ბოროტის-მოქმედი არს“,

---

* იბეჭდება გამოცემიდან განმარტება იოანეს სახარებისა, წმ. იოანე ოქროპირი,, თბილისი, 1993; გვ. 295-314.
ახალქართულად ტექსტი იხ. გვ. 102.

და საქმესა მას ბოროტსა ვერ შესწამებთ? ჰხედავა, რამეთუ ვერარას სადა ჰპოებდეს? ანა ჰკითხა სწავლისა მისისა და ვერარაჲ პოვა ბრალი, მიავლინა კაიაფაჲსა და კაიაფა ვერარაჲვე პოვა, და მიიყვანა პილატესა. და პილატე ეტყჳს: „რასა შესმენასა მოიღებთ ამის კაცისათჳს?“ და ვერარას იტყჳან ჭეშმარიტსა. ამისთჳსცა ჰრქუა მათ პილატე:

სახარებაჲ: მიიყვანეთ ეგე და შჯულისა თქუენისაებრ განიკითხეთ! ჰრქუეს მას ჰურიათა: „ჩუენდა არავისი ჯერ-არს მოკლვაჲ“, რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი იესუჲსი, რომელი თქუა და აუწყა, რომლითა სიკუდილითა ეგულებოდა მოსიკუდიდ (18, 31-32).

თარგმანი: ამას იტყჳს მახარებელი, ვითარმედ ჯერიყო, რაჲთა არა ჰურიათათჳს ოდენ, არამედ წარმართთათჳსცა მოკუდეს. და ამისთჳს თქუეს: „ჩუენდა არავისი ჯერ-არს მოკლვაჲ, გინა თუ ჯუარს-ცუმაჲ“. და ჰურიანი არა ჯუარს-აცუმიდეს, არამედ სხჳთა სახითა მოკლვიდეს, ვითარცა სტეფანეს ქვაჲ დაჰკრიბეს და არა ჯუარს-აცუეს, და მისი უნდა ჯუარს-ცუმაჲ. ხოლო პილატე ფრიადი საშჯელი არა ქმნა, არამედ შეიყვანა შინა და ჰრქუა იესუს:

სახარებაჲ: „შენ ხარა მეუფჱ ჰურიათაჲ?“ ჰრქუა მას იესუ: „შენ თავით თჳსით იტყჳ, ანუ სხუათა გითხრეს ჩემთჳს?“ (18, 33-34).

თარგმანი: რაჲსათჳს ჰკითხა ესე უფალმან? გარნა, რაჲთა უკეთური იგი ჰურიათა გონებაჲ გამოაცხადოს, რამეთუ ასმიოდა ესე პილატეს მრავალთა მიერ, და ვინაჲთგან არარაჲ აქუნდა მას ჟამსა, რაჲმცა ჰრქუეს მას ჰურიათა? რაჲთა არა ფრიად იყოს გამოძიებაჲ ამისთჳს, რომელი მარადის ესმოდა, იგი შემოიღო შორის და, ვინაჲთგან მათ ჰრქუა, ვითარმედ: „საჯჱთ შჯულისაებრ თქუენისა“, მათ ჰრქუეს: „არა ჯერ-არს ჩუენდა“, რაჲთამცა უჩუენეს, ვითარმედ არა ჰურიაებრი არს ცთომაჲ, არამედ ყოველთა ზედა. და ამისთჳს ჰკითხა პილატე, ვითარმედ: „შენ ხარა მეუფჱ ჰურიათაჲ?“ და არა თუ ქრისტე უმეცარ იყო, ვითარმედ თავით თჳსით იტყჳს, ანუ სხუათა უთხრეს, არამედ ენება, რაჲთამცა მანცა ცნა ჰურიათა საქმჱ, და ამისთჳს ჰრქუა,

ვითარმედ: „სხვათა გითხრესა?“ რომლისათჳსცა პილატე თქუა:

სახარებაჲ: „ნუუკუე მე ჰურიაჲ ვარა? ნათესავთა შენთა და მღდელთ-მოძღუართა მომცეს მე შენ, რაჲ გიქმნიეს?“ (18, 35).

თარგმანი: ენება, რაჲთამცა უბრალოდ გამოაჩინა თავი თჳსი, ხოლო ვინაჲთგან თქუა, ვითარმედ: „შენ ხარ მეუფჱ ჰურიათაჲ?“ ამისთჳს ამხილებდა მას იესუ და ეტყოდა, ვითარმედ: „ესე გესმაა ჰურიათაგან?“ რაჲსათჳს უკუე არა იქმ კეთილსა საშჯელსა გამოწულილვით? რამეთუ თქუეს მათ, ვითარმედ: „ბოროტის-მოქმედი არს“? ჰკითხა, თუ რაჲ ბოროტი მიქმნიეს? გარნა ამას არა იქმ, არამედ ამაოდ მიზეზთა ჰკრებ. „თავით შენით იტყჳა ამას, ანუ სხუათა გითხრეს?“ რამეთუ მას ვერ ეძლო თქუმად, თუ: „აწ მითხრეს“, არამედ ოდენ შეუდგა ზრახვასა მას ერისასა, რომელი ასმიოდა პირველ, ვითარმედ: „მომცესო ჴელთა ჩემთა, რაჲ გიქმნიეს?“ ხოლო უფალმან ჰრქუა:

სახარებაჲ: „მეუფებაჲ ჩემი არა არს ამის სოფლისაგან“ (!8, 36).

თარგმანი: არა იყო პილატე მსგავს მათა უკეთურებითა. ამისთჳს ეტყჳს სიტყუათა ამათ, რაჲთამცა გულისხმა-უყო, ვითარმედ არა ლიტონი კაცი არს, არამედ ღმერთი და ძჱ ღმრთისაჲ, და ეტყჳს:

სახარებაჲ: „უკუეთუმცა ამის სოფლისაგანი იყო მეუფებაჲ ჩემი, მსახურნიმცა ჩემნი იღუწიდეს ჩემთჳს, რაჲთამცა არა მივეცი ჰურიათა“ (18, 36).

თარგმანი: რომლისაგან ეშინოდა პილატეს, ვითარმედ ნუუკუე მეფობასა ეძიებს და მოიწიოს მის ზედა რისხვაჲ კეისრისაჲ. ხოლო იესუ, აჰა, ესერა, იგი იჭჳ განუქარვა, ხოლო ვითარ არს ესე სიტყუაჲ? არა არსა ამის სოფლისაჲცა მეუფებაჲ მისი? ჰე, ყოველთაჲვე მეუფე არს, არამედ არა ჰრქუა უფალმან, ვითარმედ: „არა ვარ უფალი სოფლისაჲ“, არამედ ვითარმედ ზეცით არს დასაბამი მეუფებისა მისისაჲ, ხოლო აქა ნეფსით მისცა თავი თჳსი, არამედ ჯერეთ ამას არა იტყჳს, ხოლო თქუა, ვითარმედ: „მსახურნიმცა ჩემნი იღუწიდეს ჩემთჳს“, აქა გამოაჩინებს უძლურებასა ქუეყანისა მეფობისასა, ვითარმედ მსახურთადა მინდობილ არს. ხოლო ზეცისაჲ არა ესრეთ, არამედ თავით თჳსით არს

უფალ ყოვლისავე, არამედ მწვალებელთა ესე სიტყუაჲ მიიღეს, ვითარმედ: „არა არს მეუფებაჲ ჩემი ამის სოფლისაგან“, და ესრეთ უცხო-ჰყოფენ მას დამბადებელობისაგან და არა ჰნებავს აღხილვაჲ თუალთაჲ და ხილვაჲ ჭეშმარიტებისაჲ. ხოლო რაჲმე თქუან სიტყჳსა მისთჳს, რომელ იტყჳს, ვითარმედ: „თჳსთა თანა მოვიდა, და თჳსთა იგი არა შეიწყნარეს“ (იოანე 1, 11), რამეთუ, ვითარცა იტყჳს მოციქულთათჳს, ვითარმედ: „სოფლისაგანნი არა არიან, ვითარცა მე არა ვარ სოფლისაგანი“? (იოანე 17, 14). ეგრეთვე იტყჳს მეუფებისათჳს, არა თუ რაჲთამცა გამოაჩინა, ვითარმედ სოფელი არა მისსა ჴელმწიფებასა შინა არს, არამედ არა ესრეთ მიწისაგანი არს და განხრწნადი. ისმინე უკუე პილატესი, რასა იტყჳს:

სახარებაჲ: ჰრქუა მას პილატე: „აწ უკუე მეუფე ხარა?“ ჰრქუა მას იესუ: „შენ იტყჳ, ვითარმედ: „მეუფე ვარ, მე ამისთჳს შობილ ვარ“ (18, 37).

თარგმანი: აჰა, ესერა, ვინაჲთგან მეუფედ შობილ არს, სხუაჲცა ყოველი შობითგან აქუს. აწ უკუე, რაჟამს გესმეს, ვითარმედ: „ვითარცა მამასა აქუს ცხორებაჲ, ეგრეთვე ძესა მოსცა“ (იოანე 5, 26), ნურარას სხუასა გულისხმა-ჰყოფ, არამედ შობასა და არა თუ უკუანაჲსკნელ რაჲმე მოეცა, და „ამისთჳს მოვედო, რაჲთა ვწამო ჭეშმარიტი“, ესე იგი არს, „რაჲთა ესე თჳთ ვასწავო ყოველთა, რაჲთა მიცნან, ვითარმედ მეუფე ვარ“.

სიტყუაჲ ესე: „მე ამისთჳს შობილ ვარ და ამისთჳს მოვიღინე სოფლად, რაჲთა ვწამო ჭეშმარიტი და ყოველი, რომელი იყოს ჭეშმარიტებისაგან, ისმინოს ჴმისა ჩემისაჲ“ (18, 37).

საკჳრველ არს სულგრძელებაჲ და ვითარცა ნავთ-საყუდელად მიიყვანებს სულსა დაწყნარებად და განათავისუფლებს ღელვათაგან და სულთაგან ბოროტთა, და ესე ქრისტემან მრავალგან გუასწავა, ხოლო უფროჲსად, რაჟამს-იგი შეიპყრეს ჰურიათა, რამეთუ ანასცა ფრიადითა დაწყნარებულებითა მიუგო და მონასა მას, რომელმან სცა ყურიმალსა, ჰრქუნა სიტყუანი ფრიადისა სულგრძელებისა და ურისხველობისანი. და კუალად კაიაფაჲსა და მერმე პილატესა მიჳიდა და ესეზომსა ჟამსა ფრიადი აჩუენა სიმშჳდე. და იტყოდეს იგინი, ვითარმედ: „ბოროტის-

მოქმედი არს“ და მხილებაჲ ვერ ძალ-ედვა, და იგი დუმნავე. ხოლო რაჟამს ჰკითხა პილატე მეუფებისათჳს, მაშინ ჰრქუა მას, რაჲთამცა ასწავა და აღიყვანა გონებაჲ მისი სიმაღლედ. ხოლო პილატე რაჲსათჳს თჳსაგან შეიყვანებს და არა ჰკითხავს მათ წინაშე? ამისთჳს, რამეთუ აქუნდა მისთჳს დიდი რაჲმე გულისსიტყუაჲ და, რაჲთა არა დაუხრწევდეს ამბოხებაჲ მათი, ამისთჳს თჳსაგან ჰკითხა, რაჲთამცა ცნა ყოველივე ჭეშმარიტებაჲ. ხოლო ვინაჲთგან ჰკითხა, ვითარმედ: „რაჲ გიქმნიეს?“ არარაჲ მიუგო მან, ხოლო რაჟამს მეუფებისათჳს ჰკითხა, რომლისათჳს ჰსუროდა ცნობად, თავადმან ჰრქუა, ვითარმედ: „მეუფებაჲ ჩემი არა არს ამის სოფლისაგან“, ესე იგი არს, ვითარმედ: „მეუფე ვარ, არამედ არა ესევითარი, ვითარ შენ ჰგონებ, არამედ ფრიად უბრწყინვალჱსი და უდიდჱსი, და ამისთჳს შობილ ვარ და მოსრულ, რაჲთა ვწამო ჭეშმარიტი“. ამით გამოაჩინებს და გულისხმა-უყოფს მას, ვითარმედ არარაჲ ბოროტი უქმნიეს, რამეთუ, ვინაჲთგან ჭეშმარიტებისათჳს შობილ იყო და მოსრულ, ვითარმცა რაჲმე ქმნა ბოროტი? „ხოლო ვინცა იყოს ჭეშმარიტებისაგან, ისმინოს ჴმისა ჩემისაჲ“, ესე იგი არს, ვითარმედ: „ვის უყუარს და ჰსურის ჭეშმარიტებისათჳს, ვიცი, ვითარმედ ისმინოს ჩემი“, და ესრეთ მოდრიკა იგი მცირედთა სიტყუათა მიერ, ვიდრემდის თქუა: „რაჲ არს ჭეშმარიტებაჲ?“ (იოანე 18, 38) და გულისხმა-ყო, ვითარმედ ფრიადი ჟამი უჴმს მის სიტყჳსა სწავლასა. ამისთჳს განვიდა გარეთ, რაჲთამცა იჴსნა ჴელთაგან ჰურიათაჲსა, და ჰრქუა მათ, ვითარმედ: „არცა ერთსა ბრალსა ვჰპოვებ მე ამის თანა“. და იხილე, ვითარ მეცნიერად ქმნა, რამეთუ პირველ ჰკითხა და ცნა რაჲ ბრალობაჲ, მაშინ ეტყჳს მათ განტევებისათჳს, ვითარმედ: „დაღაცათუ, ვითარცა უბრალოჲ, არა გნებავს განტევებად, არამედ, ვითარცა ბრალეული, მიანიჭეთ ესე ამას დღესასწაულსა“. ამისთჳსცა ჰრქუა:

სახარებაჲ: „არს ჩუეულებაჲ თქუენი, რაჲთა ერთი მიგიტევო თქუენ პასექსა ამას. გნებავსა, რაჲთა მიგიტევო მეუფჱ ჰურიათაჲ?“ ღალადყვეს ყოველთა: „ნუ ეგე, არამედ ბარაბა!“ და იყო ბარაბა ავაზაკი (18, 39-40).

თარგმანი: ჳ, უგუნურებაჲ უკეთური! მსგავსსა თჳსსა კაცის-

მკლველსა ითხოვენ და უბრალოსა მისცემენ სიკუდიდ, რამეთუ ესე ჩუეულებაჲ მათა პირველითგან იყო, ხოლო შენ ამას ყოველსა ზედა გულისხმა-ყავ კაცთ-მოყუარებაჲ მეუფისაჲ. ამას ზედა გუემა იგი პილატე, ნუუკუედა ამისთჳს, რაჲთამცა გულის-წყრომაჲ ჰურიათაჲ დაჰჴსნა და არღამცა მოკლეს, და ამისთჳს ტანჯა და შეუნდო მჴედართა მათ ძოწეულისა მის შემოსად და გჳრგჳნისა მის ეკლისა დარქუმად, და მერმე გჳრგჳნოსანი განიყვანა მათა მიმართ, რაჲთამცა დასცხრა გულის-წყრომაჲ მათი და, იხილონ რაჲ შეურაცხებაჲ მისი, აღმოაგდონ გესლი გულის-აგან და დასცხრენ. ხოლო უფალი ამას ყოველსა ზედა დუმნა, ვითარცა-იგი პირველ განიკითხვიდეს რაჲ, ხოლო შენ ნუ ოდენ ისმენ სიტყჳთა ამათ, არამედ გონებადცა მიიღე და იხილე მეუფჱ იგი ყოვლისა დაბადებულისაჲ, ვითარ ემღერდეს მას მჴედარნი იგი სიტყჳთ და საქმით, და ყოველსავე დუმილით თავს-იდებდა, და ჰბაძევდ მას შენცა საქმით, რამეთუ, ვინაჲთგან თქუა პილატე, ვითარმედ: „მეუფჱ ჰურიათაჲ“, სახეცა კიცხევისაჲ შეჰმოსეს, და მერმე განიყვანა და თქუა: „არცა ერთსა მიზეზსა ვჰპოვებ მის თანა“ (იოანე 18, 38).

სახარებაჲ: გამოვიდა იესუ გარე და ედგა ეკლისა გჳრგჳნი და ძოწეული სამოსელი. და ჰრქუა მათ პილატე: „აჰა, კაცი იგი!“ და ვითარცა იხილეს იგი მღდელთ-მოძღუართა და მსახურთა, ღალად-ყვეს: „ჯუარს-ეცუნ, ჯუარს-ეცუნ ეგე!“ ჰრქუა მათ პილატე: „მიიყვანეთ ეგე თქუენ და ჯუარს-აცუთ, რამეთუ მე მაგის თანა ბრალი არა ვპოვე“ (19, 5-6).

თარგმანი: ამის მიერ საცნაურ არს, ვითარმედ პირველიცა ყოველივე მათისა ეშმაკეულებისათჳს ქმნა მსაჯულმან, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: „მე მაგის თანა ბრალი არცა ერთი ვპოვე“, იხილე, ვითარ ზედაჲსზედა უბრალო-ჰყოფს თავსა თჳსსა მსაჯული იგი, არამედ ძაღლისა ბუნებასა მიმსგავსებულნი იგი ვერრომელმან საქმემან მოდრიკნა, რამეთუ მათ მიიყვანეს, რაჲთამცა ბჭობითა მით მთავრისაჲთა იქმნას მისი სიკუდილი და იქმნა წინა-აღმდგომი — საშჯელითა მისითა უფროჲსად განტევებაჲ. ხოლო, ვინაჲთგან ჰრცხუენა, ამისთჳს ჰრქუეს:

სახარებაჲ: „ჩუენ შჯული გუაქუს, და შჯულისა ჩუენისაე-

ბრ თანა-აც სიკუდილი, რამეთუ თავი თჳსი ძედ ღმრთისა ყო“ (19, 7).

თარგმანი: ვითარ უკუე ჰრქუა რაჲ მსაჯულმან: „წარიყვანეთ ეგე და შჯულისა თქუენისაებრ საჯეთ“, იტყოდე, ვითარმედ: „არა ჯერ-არს ჩუენდა მოკლვაჲ ვისიმე“, და აწ შჯულისა მიმართ მიიღტით? და იხილე შესმენაჲ იგი: „ძე ღმრთისა ყო თავი თჳსიო“, და ესე ბრალობაჲ არსა? რამეთუ ძჱ ღმრთისაჲ იყო და ძისა ღმრთისა საქმეთა იქმოდა და იტყოდა, ვივთარმედ: „ძჱ ღმრთისაჲ ვარი“! ხოლო ამას ყოველსა რაჲ იტყოდეს, ქრისტე დუმნა აღსრულებად სიტყუასა მას წინაჲსწარმეტყუელისასა, ვითარმედ: „იგი არა აღაღებს პირსა სიმდაბლითა თჳსითა“, საშჯელი მისი მიეღო. ხოლო პილატე შეშინდა, ესმა რაჲ, ვითარმედ: „ძე ღმრთისა ჰყოფს თავსა თჳსსა“ (იოანე 19, 8), ნუუკუე ჭეშმარიტად იყოსო და ქმნას მან უჯერობაჲ. ხოლო, რომელთა-იგი ცნეს საქმით და სიტყჳთ ჭეშმარიტებაჲ, ვითარმედ ეგრეთ არს, და არა ეშინის, არამედ შემოიღეს სიტყუაჲ, ვითარმედ: „რომელი მეფედ ჰყოფს თავსა თჳსსა, იგი სიტყუას-უგებს კეისარსა“ (იოანე 19, 12), ამისთჳს კუალად ჰკითხა პილატე, ხოლო იესუ არარაჲ მიუგო, რამეთუ რომელსაიგი ჰრქუა, ვითარმედ: „მე ამისთჳს შობილ ვარ, და მოსრულ ვარ, და მეუფებაჲ ჩემი არა ამის სოფლისაგან არს“, და ამას ყოველსა ზედა კუალად ჰურიათაჲ ჰრწმენა, რადღამცა მიუგო მას? და რამეთუ უჴმდა, რაჲთამცა კეთილად გამოიძია, თუ ოდეს გამოაჩინა მან მძლავრებაჲ კეისარსა ზედა და არა გამოიძია ჭეშმარიტებით, ამისთჳს უფალმან არარაჲ მიუგო, რამეთუ იცოდა, ვითარმედ ამაოდ ჰკითხავს ყოველსა, და ამისთჳსცა, რამეთუ, ვინაჲთგან საქმენი წამებდეს, არა ინება სიტყჳთა ძლევაჲ და გამოაჩინებსცა, ვითარმედ ნებსით მივალს ვნებად, ხოლო. რაჟამს დადუმნა და არღარას იტყოდა, ჰრქუა მას პილატე:

სახარებაჲ: „მე არა მეტყჳ? არა იცია, რამეთუ ჴელმწიფებაჲ მაქუს ჯუარს-ცუმად შენდა და ჴელმწიფებაჲ მაქუს განტევებად შენდა?“ (19, 10).

თარგმანი: ჰხედავა, ვითარ თავი თჳსი დასაჯა თჳთვე, რამეთუ, უკუეთუ შენ გაქუს ყოვლისავე ჴელმწიფებაჲ, უბადრუკო

და ამაოო, რამეთუ მიზეზსა არცა ერთსა ჰპოებ, რად არა განუტეობ? ვინაჲთგან უკუე თჳთ დაჰსაჯე თავი შენი, ამისთჳს ჰრქუა მას იესუ, ვითარმედ: „მიმცემელსა ჩემსა შენდა უდიდჱსი ცოდვაჲ აქუს“ (იოანე 19, 11), რაჲთამცა უჩუენა, ვითარმედ მასცა ფრიადი ცოდვაჲ აქუს, დაღაცათუ მიმცემელთა უმეტესი აქუს. და მერმე დაამდაბლებდა მისსა გონებასა და ეტყოდა, ვითარმედ: „არა გაქუს ჴელმწიფებაჲ ჩემ ზედა არცა ერთი, უკუეთუმცა არა მოცემულ იყო შენდა ზეგარდამო“ (იოანე 19, 11), უჩუენებდა, ვითარმედ დიდი საიდუმლოჲ არს საქმჱ იგი ად არა თუ ესრეთ ლიტონად ქმნილი. ხოლო რაჲთამცა ესმა რაჲ, თუ: „ზეგარდამო მოცემულ არს“ და ჰგონებდა, ვითარმედ გარეგან ბრალისა არს, ამისთჳს ჰრქუა, ვითარმედ: „უდიდსი ცოდვაჲ აქუს მათ“, რამეთუ აქა მოცემასა არა თუ სხუასა რას იტყჳს, არამედ მიშუებასა, ესე იგი არს, ვითარმედ შენდობილ არს ყოფად ამის საქმისა, არამედ: „არა თუ ამისთჳს გარეგან ბრალისა ხართ“, — შეაშინა იგი სიტყჳთა. ამისთჳსცა ენება განტეევებაჲ მისი, არამედ იგინი ღაღადებდეს: „უკუეთუ ეგე განუტეო, არა ხარ მოყუარე კეისრისა, რამეთუ ყოველი, რომელი მეფე-ჰყოფს თავსა თჳსსა, სიტყუას-უგებს კეისარსა“ (იოანე 19, 12). და სადა გამოჩნდა მისი მძლავრებაჲ, ჱ, ურწმუნონო? ანუ სადაჲთ ამხილებთ ამას ძოწეულისაგან, ანუ გჳრგჳნისა, ანუ მჴედართაგან? არა მარადის ათორმეტთა თანა მოწაფეთა უდაბნოს იქცეევინა? არამედ, ჱ, უგუნურებაჲ და ამაოჲ შიში! ამისთჳს შეშინდა პილატე და გამოვიდა და დაჯდა, რაჲთამცა საჯა, და არა საჯა, არამედ მისცა ჯუარს-ცუმად და ჰგონებდაცა, თუ ნუუკუე მოდრკენ, ამისთჳსცა ჰრქუა:

საბარებაჲ: „აჰა, მეუფჱ თქუენი!“ ხოლო მათ ღაღად-ყჳეს: „აღიღე ეგე და ჯუარს-აცუ!“ ჰრქუა მათ პილატე: „მეუფჱ თქუენი ჯუარს-ვაცუაა?“ მიუგეს მღდელთ-მოძღუართა მათ და ჰრქუეს: „არა გჳჱის ჩუენ მეუფჱ, გარნა კეისარი“(19, 14-15).

თარგმანი: აჰა, ესერა, ნებსით თჳსით, თჳსითა პირითა განვარდეს ღმრთისა მეუფებისაგან და კეისარი აღირჩიეს მეუფედ. და ამისთჳს უფალმან მათისა სიტყჳსაებრ მისცნა კეისარსა და, ვინაჲთგან მისი მეუფებაჲ უარ-ყჳეს, დაუტევნა იგინი, რომელნი

ღაღადებდეს ჯუარს-ცუმად მისა, რამეთუ სიკუდილი იგი ჯუარს-ცუმისაჲ ბოროტ იყო და წყევასა ქუეშე, ამისთჳს ინებეს მით მოკლვაჲ, რაჲთამცა სრულიად აღჴოცეს მისი საჴსენებელი და არა გულისხმა-ყვეს, თუ ვითარ გამოჩნდების ჭეშმარიტებაჲ და მისი იგი დიდებაჲ.

სიტყუაი ესე: ***მაშინ მისცა იგი მათ პილატე, რაჲთა ჯუარს-აცუან, ხოლო მათ წარიყვანეს იგი. და ეკიდა მას ჯუარი თჳსი და აღვიდოდა იგი ადგილსა მას თხემისასა (19, 16-17).***

ქველის-მოქმედებანი უკეთურთა და უგუნურთა მავნებელ ექმნებიან, რამეთუ ჰურიათაცა პირველ აქუნდა მადლი ღმრთისაჲ და შეწევნაჲ, და მოიძიეს მონებაჲ წარმართთაჲ და უდაბნოს მანანაჲსა წილ ნიორისა გული უთქუმიდა, და აწ მეუფებაჲ ქრისტესი უარ-ყვეს და კეისრისაჲ დაიდვეს თავთა თჳსთა ზედა. ამისთჳსცა უფალმან მისცა მათ მეუფჱ მათისა სიტყვისაებრ, ხოლო ესე ესმა რაჲ პილატეს, მისცა, რაჲთა ჯუარს-აცუან ფრიად უჯეროდ. რამეთუ ჯერ-იყო, რაჲთამცა ეკითხა, თუ ოდეს-ძი ინება მან მეფობისა მის, რამეთუ პირველვე ბრძანა ქრისტემან, ვითარმედ: „ჩემი მეუფებაჲ არა არს ამის სოფლისაგან“, არამედ მან უბადრუკმან არა ინება მცირედისაცა სიბრძნისა ჴმარებაჲ და ჩუენებასაცა ზედა ცოლისა თჳსისასა, რომელი ჴმა-იყო შეშინებად, ამას ყოველსა ზედა არა შეიკდიმა, არცა აღიხილნა ზეცად, არამედ მისცა მათ იგი. ხოლო მათ აღჰკიდეს ჯუარი და, ვითარცა დაშჯილსა, რამეთუ ძელისა მისცა შეხებად იზმნიდეს, ამისთჳსცა თავადსა აღჰკიდეს, და ვითარცა წარვლესრე, პოვეს სჳმონ კჳრინელი, რომლისათჳს იტყჳან სხუანი მახარებელნი, და მერმე აღიღეს უფლისაგან და მას ზედა დადვეს იგი. არამედ აქა იოვანე უფლისათჳს იტყჳს, რომელსა ზედა დადვეს ჯუარი, გან-რაჲ-იყვანებდეს სამშჯავროჲთ, ეგრეთვე იყო სახესა მას ზედა, რამეთუ მაშინცა ისაკ აღიკიდა შეშაჲ, არამედ მუნ ნებისაებრ მამისა იქმნა საქმჱ იგი, რამეთუ სახჱ იყო, ხოლო აქა ჭეშმარიტებით აღესრულა, რამეთუ ჭეშმარიტებაჲ იყო და არა იგავი.

სახარებაჲ: და მივიდეს თხემისა ადგილსა, სადა-იგი ჯუარს-აცუეს (19, 18).

თარგმანი: რამეთუ იტყჳან ვიეთნიმე, ვითარმედ: „ადამ მუნ დაეფლა და უფალმან იესუ, სადა-იგი სიკუდილმან მიიღო დასაბამი თჳსისა მეუფებისაჲ, მუნ აღჰმართა თჳსი საძლეველი ქრისტემან, რამეთუ საძლეველი ეკიდა ჯუარი ეშმაკისა მიმართ. ხოლო ჯუარს-აცუეს იგი შორის ავაზაკთა, რაჲთამცა უნებლიაჲთ აქაცა წინაჲსწარმეტყუელებაჲ აღასრულეს, რამეთუ ესე თქუა დასაბამითგან წინაჲსწარმეტყუელმან, ვითარმედ: „უშჯულოთა თანა შეირაცხა“ და ენება ეშმაკსა, რაჲთამცა ამით საქმითა დაფარა საქმჱ იგი, არამედ ვერ ეძლო რამეთუ ჯუარს-ეცუნეს სამნი, ხოლო გამობრწყინდა მხოლოჲ იესუ, რაჲთა სცნა, ვითარმედ მისმან ძალმან ქმნა ყოველივე, რამეთუ, რაჟამს სამნივე ეკიდნეს ძელსა, მაშინ იქმნებოდეს სასწაულნი იგი, არამედ არავინ მიაჩემა სხუასა ვის ერთიცა საკჳრველი, გარნა უფალსა. ესრეთ ამაო იქმნა მძლავრებაჲ ეშმაკისაჲ და ზრახვაჲ მისი ბოროტი თავსავე მისსა მიექცა, რამეთუ არა თუ ოდენ ვერ ავნო დიდებასა მას უფლისასა, არამედ უფროჲსად, რამეთუ მოიქცა ერთი იგი და ცხოვნდა, და ეშმაკი წარწყმდა, რამეთუ არა უდარჱს იყო კლდეთა განპებასა ავაზაკისა ჯუარსა ზედა მოქცეულსა და სამოთხედ შეყვანებულსა.

სახარებაჲ: და დაწერა პილატე ფიცარი (19, 19).

თარგმანი: ერთად, რაჲთამცა ჰურიანი სირცხჳლეულ-ყვნა, და კუალად, თჳსსაცა თავსა განიმართლებდა, რამეთუ მათ, ვინაჲთგან, ვითარცა ძჳრის-მოქმედი, დასაჯეს და საქმისა ამის დამტკიცებაჲ ენება შეერთებითა მით ავაზაკთა თანა, ამისთჳს დაყოფად პირთა მათთა ქმნა ამან ესე, რაჲთა ყოველნი, რომელნი იკითხჳდენ, ცნან, ვითარმედ თჳსსა ზედა მეუფესა აღდგეს. და ამისთჳს დააწესა წერილი იგი, რომელი ქადაგებდა მათსა უკეთურებასა და მისსა მეუფებასა, დაღაცათუ არა სრულიად და ვითარცა ჯერ-არს. და იყო წერილი იგი არა ებრაელებრ ოდენ, არამედ სამითა ენითა, რამეთუ, ვინაჲთგან დღესასწაულისა მისთჳს სხუანიცა მრავალნი იყვნეს მუნ, ამისთჳს, რაჲთა ყოველთა ცნან საქმჱ იგი, ქმნა ესრეთ და განაქიქა უკეთურებაჲ ჰურიათაჲ. ხოლო იგინი განრისხნეს ამას ზედა, რამეთუ ჯუარს-ცუმულსაცა ეშურებოდეს, არამედ, ჲ, უშჯულონო, რასა გავნებ-

დეს წერილნი იგი? რამეთუ უკუეთუ მოკუდავი არს და უძლური, ასონი იგი რასა გავნებენ და რად გეშინის, რამეთუ იტყჳან, ვითარმედ: „მეუფჱ ჰურიათაჲ?“ (იოანე 19, 19). არამედ არა უჯერო იყო საქმჱ იგი, გარნა, ვინაჲთგან დაიფლვოდეს ჯუარნი და ეგულებოდა შემდგომად ჟამთა მრავალთა ძიებაჲ მათი და პოვნაჲ, რამეთუ სამნივე ერთბამად ყოფად იყვნეს. რაჲთა არა უცნაურ იყოს ჯუარი იგი მეუფისაჲ, ამისთჳს განგებულებით დაადგრა ფიცარი იგი, რაჲთა მის მიერ იცნან იგი, რამეთუ ავაზაკთა თანა ფიცარნი არა იყვნეს. და ამისთჳს პილატეცა არა უსმინა მათ, რომელნი იტყოდეს, ვითარმედ: „ნუ დასწერ მეუფედ ჰურიათა, არამედ მან თქუაო, თუ: „მეუფჱ ვარ ჰურიათაჲ“ (იოანე 19, 21). იხილეთ უკეთურებაჲ, რამეთუ ენება, რაჲთამცა უფროჲსად შესმენაჲ იყო მისი წერილი იგი, რამეთუ მან თქუა, თუ: „მეუფჱ ვარ“, ხოლო ერისაგანთა მათ განიყვეს სამოსელი მისი და კუართი არა განიყვეს. იხილე, ვითარ ყოვლით კერძო წინაჲსწარმეტყუელებანი აღესრულებოდეს, და ესე პირველითგან თქუმულ იყო. ხოლო შენ გიკჳრდინ წინაჲსწარმეტყუელისა სიბრძნით თქუმაჲ ყოვლისაჲვე, არა თუ, ვითარმედ „განიყვეს“ ოდენ, არამედ ვითარმედ: „წილი განიგდეს კუართსა ზედა“. ხოლო სიტყუაჲ იგი, თუ „ზეით მოქსოვილ“(შდრ. იოანე 19, 23), არა ცუდად არს, არამედ ვჰგონებ, თუ იგავი არს, რომელი მოასწავებს, ვითარმედ არა ლიტონი ოდენ კაცი იყო ჯუარს-ცუმით, არამედ ზეციცა ღმრთეებაჲ აქუნდა, რომელ-იგი ბუნებაჲ ღმრთეებისაჲ უნებელად ეგო და განუკუეთელად, ხოლო ჴორცთა ბუნებამან ივნო და მოიწყლა. და კუალად ვიეთნიმე იტყჳან, ვითარმედ სახესა მასცა სამოსლისასა მოასწავებს მახარებელი, რამეთუ პალესტინეს ორთა სამოსელთა შეაერთებენ და მოჰქსოვენ ერთად და შეიქმნან მას კუართად და უწოდენ მას ზეით მოქსოილად. და თქუა იგი მახარებელმან, რაჲთამცა მოასწავა უნდოებაჲ იგი მისი, რამეთუ ეგევითარი იგი კუართი უნდოჲ არს, რომელი-იგი სახჱ იყო პირველთქუმულისა მის სიტყჳსაჲ, რომელ ვთქუთ ამისთჳს ზეით მოქსოვილისა. და მჴედარნი ამას იქმოდეს, ხოლო თავადი ჯუარსაცა ზედა შეჰვედრებდა დედასა მოწაფესა მას საყუარელსა, რაჲთამცა ჩუენცა გუასწავა მსახურებაჲ მშობელ-

თაჲ. ხოლო იოვანე კუალად ჰმალავს თავსა თჳსსა სიმდაბლით, რამეთუ, უკუეთუმცა არა ფრიადისა მის სიმდაბლისაგან დუმნა, მიზეზიცამცა თქუა, რომლისათჳს უყუარდა იგი უფალსა, რამეთუ დიდი იყო მიზეზი იგი და საკჳრველი, უკუეთუმცა ეთქუა. ხოლო რაჲსათჳს სხუასა სიტყუასა ნუგეშინის-ცემისასა არა ეტყჳს იოვანეს, მჭმუნვარედ მდგომარესა? ერთად, რამეთუ ჟამი არა იყო მრავალთა სიტყუათა თქუმად და, მეორედ, რამეთუ ესეცა არამცირედი პატივი იყო და ნუგეშინის-ცემაჲ, რომელ დედაჲ თჳსი შეჰვედრა მას. და იხილე, ვითარ ჯუარს-ცუმული ყოველსავე შეუშფოთებელად იქმოდა და იტყოდა: მოწაფესა ეტყოდა დედისათჳს, წინაჲსწარმეტყუელებათა აღასრულებდა, ავაზაკსა აცხოვნებდა, რომელი-იგი პირველ ჯუარს-ცუმისა შეურვებულ იყო და იშიშვოდა, არამედ მუნ იქმოდა, რაჲთამცა ბუნებაჲ კაცობრივი აჩუენა, ხოლო აქა ძალსა მას ღმრთეებისასა გამოაჩინებდა და რაჲთა ჩუენ გუასწაოს, რომელ, დაღაცათუ გუეშინოდის ჭირთაგან, არავე ვევლტოდით მათ, რამეთუ შე-რაჲ-ვიდეთ მას შინა, ყოევლივე ადვილ არს. ნუმცა უკუე ვძრწით სიკუდილისაგან, რაჟამს ჯერ-იყოს სიკუდილი ღმრთისათჳს. რამეთუ დაღაცათუ ბუნებასა ჩუენსა აქუს მისგან შიში, არამედ ჩუენ, უკუეთუ გუენებოს, მოვაუძლურებთ შიშსა მას, და, უკუეთუ გუენებოს, განვადიდებთ. გარნა რაჲთა არცა ნეფსით სიკუდიდ მივისწრაფდეთ, არცა, უკუეთუ მოიწიოს ჟამი, შევძრწუნდეთ და პატივსცეთ საწუთროსა უფროჲს საუკუნოჲსა ცხორებისა.

*სახარებაჲ: **ხოლო დგეს ჯუარსა თანა დედაჲ მისი და დაჲ დედისა მისისაჲ, მარიამ კლეოპაჲსი და მარიამ მაგდანელი (19, 25).***

თარგმანი: რამეთუ მარიამ კლეოპაჲსი ძმისცოლი იყო იოსებისი, რომლისადა მითხოვილ იყო ღმრთის-მშობელი და მეგობარი იყო წმიდისა ღმრთის-მშობელისაჲ. და ამისთჳს სახელ-სდვა მას დად მისა, რამეთუ მეგობარი იყო მისი და ნათესავიცა. ხოლო იხილე, ვითარ უძლური იგი ბუნებაჲ დედათაჲ ესრეთ უშიშად დგა მუნ და უახოვნეს მამათასა იყჳნეს. ესრეთ ყოველივე შეიცვალებოდა, ხოლო უფალმან იესუ შეჰვედრა დედაჲ თჳსი საყურელსა მას მოწაფესა და ჰრქუა:

სახარებაჲ: „დედაკაცო, აჰა, ძჱ შენი!“ მერმე ჰრქუა მოწაფესა მას: „აჰა, დედაჲ შენი!“ (19, 26-27).

თარგმანი: ეჰა პატივი იგი! რაბამითა პატივ-სცა მოწაფესა მას, რამეთუ ვინაჲთგან წარვიდოდა, ნაცვალად თჳსა მოწაფესა შეჰვედრა და ჰრქუა: „აჰა, დედაჲ შენი“, რომლისათჳსცა წარიყვანა მან თჳსთა თანა. ხოლო ესე ქმნა, რაჲთამცა გუასწავა უფროჲს ყოვლისა მშობელთათჳს ზრუნვაჲ. ხოლო, უკუეთუ სულისა სარგებელსა დაგჳხრწევდენ, არა ჯერ-არს მათი შერაცხაჲ და, უკუეთუ არა გუავნებდენ სულსა, უფროჲს ყოვლისა მათი ჯერ-არს ზრუნვაჲ.

სახარებაჲ: ამისა შემდგომად იხილა იესუ, რამეთუ ყოველივე აღესრულა და რაჲთა აღესრულოს წერილი, თქუა: „მწყურის“ (19, 28).

თარგმანი: იხილა, რამეთუ ყოველივე განგებულებაჲ მისი აღესრულა, რამეთუ მისსა ჴელმწიფებასა შინა იყო სიკუდილი და არასიკუდილი. და ამისთჳს, ვიდრემდის აღესრულა ჟამი, არა ენება სიკუდილისა გემოჲს-ხილვაჲ. ხოლო თქუა, ვითარმედ: „მწყურის“, რაჲთამცა იგიცა წინაჲსწარმეტყუელებაჲ აღასრულა, ხოლო შენ მათი ბილწებაჲ იხილე, რამეთუ დაღაცათუ ბევრეულნი მტერნი გუესხნენ და ვიხილნეთ იგინი სიკუდილსა შინა, მოვდრკებით. ხოლო იგინი არავე მოდრკეს ყოველსა მას ზედა, არამედ უფროჲსად განფიცხნებოდეს, და კიცხევასა განადიდებდეს, და ძმარსა ღრუბლითა მიუპყრობდეს და უსუპი ლერწამსა ზედა დადვეს, და ესრეთ მიუპყრეს, რამეთუ თჳთცა არა ენება შეხებაჲ მისი, ვითარცა ბოროტისა რაჲსამე, არამედ ლერწმითა და უსუპითა მიუპყრობდეს (შდრ. იოანე 19, 29-30). ხოლო თავადმან მიიღო რაჲ ძმარი იგი თქუა: „აღსრულებულ არს წერილი“ (იოანე 19, 30). ჰხედავა, ვითარ ყოველსავე ჴელმწიფებით იქმს? და შემდგომიცა ისმინე, ვითარ იხილა რაჲ, რამეთუ ყოველი წერილი აღსრულებულ იყო, მოდრიკა თავი და განუტევა სული. იხილე აქა ჴელმწიფებაჲ, რამეთუ ჩუენ ოდეს მივსცეთ სული, მაშინ მიდრკების თავი. ხოლო აქა თჳთ ოდეს ინება, მიიდრიკა თავი და განუტევა სული. და ამით ყოვლითა გამოაჩინებს მახარებელი, ვითარმედ უფალ ყოვლისა იყო, არამედ

ჰურიანი კუალად, რომელნი-იგი აქლემსა შთასთქმიდეს და ბურნაკსა წურვიდეს, ესევითარი საშინელი საქმჱ ექმნა, და დღისა მისთჳს გამოძიებასა იქმოდეს და ეკრძალებოდეს.

სახარებაჲ: ხოლო ჰურიათა, რაჲთა არა დაადგრენ გუამნი იგი შაბათადმდე ჯუარსა ზედა, რამეთუ იყო დიდ დღჱ იგი შაბათისაჲ მის, ჰკითხეს პილატეს, რაჲთა განუტეხნენ წჳვნი მათნი და აღიხუნენ (19, 31).

თარგმანი: იხილეთ, ვითარ ძლიერ არს ჭეშმარიტებაჲ, რამეთუ საქმეთა მათ მიერ, რომელთა იგინი მოსწრაფე იყვნეს, წინაჲსწარმეტყუელებაჲ აღესრულებოდა. რამეთუ მო-რაჲვიდეს მჴედარნი, სხუათა მათ ორთა წჳვნი შემუსრნეს, ხოლო იესუჲსნი — არა, არამედ ჰურიათა მომადლებისათჳს ლახურითა უგმირეს გუერდსა (შდრ. იოანე 19, 32-34). და მკუდარსა მას გუამსა ჰგუემდესვე. ჱ შეგინებული იგი და ბილწი გონებაჲ! არამედ ნუ შეჰშფოთნები, ნუმცა მჭმუნვარე იქმნები, საყუარელო, რამეთუ, რომელსა იგინი იქმოდეს გონებითა უკეთურითა, იგი ყოველი ჭეშმარიტებასა შეეწეოდა, რამეთუ ესეცა წინაჲსწარმეტყუელებაჲ იყო, რომელი იტყოდა: „იხილონ, რომელსაცა უგუმირეს“, და შემდგომად ამისა სარწმუნოებისა მიზეზ იქმნეობდა ურწმუნოთათჳს, ვითარ-იგი თომას, და კუალად საიდუმლოჲ საშინელი აღესრულებოდა, რამეთუ „გარდამოეცა სისხლი და წყალი“ (იოანე 19, 34). და არა ლიტონად და ცუდად გამოვიდეს ორნი ესე წყარონი, არამედ ვინაჲთგან ამათ ორთა მიერ არს საიდუმლოჲ ეკლესიისაჲ და იციან მორწმუნეთა, რამეთუ წყლითა იშვებიან და სისხლითა და ჯორცითა უფლისაჲთა იზარდებიან. ამისთჳსცა წყალსა შევჰრევთ ღჳნოსა თანა და ესრეთ შევსწირავთ მას წმიდასა ჟამისწირვასა, რაჲთა, ოდეს მოუჴდებოდით წმიდასა მას ბარძიმსა, ესრეთ შეგუერაცხოს, ვითარმცა გუერდსა მას მეუფისასა მივეახლებოდეთ და მისგან მოვიღებდით და ესევითარითა გულის-სიტყჳთა მოუჴდებოდეთ.

სახარებაჲ: და რომელმან იხილა, წამა და ჭეშმარიტ არს წამებაჲ მისი (19, 35).

თარგმანი: ესე იგი არს, ვითარმედ: „არა სხუათა მიერ მესმა, არამედ: „თჳთ მუნ ვიყავ, და ვიხილე, და ჭეშმარიტ

არს ესე“. რამეთუ ენება მახარებელსა, რაჲთამცა მწვალებელთა პირი დაუყო, რომელნი-იგი შემდგომად მისა გამოჩინებად იყვნეს. ამისთჳს დაამტკიცებს სიტყუასა მას: და აღესრულა აქაცა წინაჲსწარმეტყუელებაჲ, ვითარმედ: „ძუალი მისი არა შეიმუსროს“ (იოანე 19, 36). რამეთუ სიტყუაჲ ესე, დაღაცათუ ტარიგისა მისთჳს, ჰურიათა მიერ დაკლულისა, თქუმულ არს, არამედ სახჱ იგი ამის ჭეშმარიტებისათჳს იყო. ჰხედავა, ვითარ ისწრაფის დამტკიცებად სიტყუათა ამათ და სარწმუნო-ყოფად შეურაცხისა მის საქმისა? რამეთუ ჯუარ-ცუმისა უმეტესი შეურაცხებაჲ იყო გუამისა მის მომკუდარისა მოწყლვაჲ, არამედ იტყჳს მახარებელი, ვითარმედ: „ესე ყოველი ვთქუ მოსწრაფებით, რაჲთა გრწმენეს“ (იოანე 19, 35). ნუმცა ვინ უკუე ურწმუნო არს, ნუცა ჰრცხუენის და დაჰფარავს ჩუენთა ამათ საქმეთა რამეთუ, უფროჲსად, რომელნი ვითარცა შეურაცხებისა და ყუდრებისა მიზეზად ჩანან, იგინი არიან ჩუენნი კეთილნი და პატიოსნებანი.

სახარებაჲ: ამისა შემდგომად ჰკითხა პილატეს იოსებ არიმათიელმან, რამეთუ იყო იგიცა მოწაფჱ იესუჲსი (19, 38).

თარგმანი: მოწაფჱ იყო იგი სამეოცდაათთაგანი, და სთხოვა პილატეს გუამი უფლისაჲ, ხოლო მან მისცა, რამეთუ რაღმცა ჰშურდა, ვინაჲთგან მოეკლა? და შეეწია იოსებს ნიკოდემოსცა და პატივით დაჰმარხეს, რამეთუ, ვითარცა ლიტონი კაცი, შეერაცხა, ამისთჳს მიეხუნეს ესე სულნელებანი, რომელნი დასცვიდეს გუამსა მკუდრისასა განუხრწნელად მრავალ-ჟამ და ამის მიერ საცნაურ არს, ვითარმედ, ვითარცა კაცსა, ჰხედვიდეს და დიდი სიყუარული და პატივი აჩუენეს მათ, დაღაცათუ არა, ვითარცა სრულსა ღმერთსა, ჰხედვიდეს. იხილე, ვითარ არავინ ათორმეტთაგანი მივიდა, არცა პეტრე, არცა იოვანე, არცა ვინ სხუათა წარჩინებულთაგანი, და ამასცა არა დაჰფარავს მახარებელი, რამეთუ, უკუეთუ შიშისათჳს ვინ თქუას ჰურიათაჲსა, მათცა ეშინოდა და მოვიდესვე. ხოლო იოვანე მუნ დგა, განუტევა რაჲ სული, და არარაჲ ქმნა ესევითარი, არამედ, მე ვჰგონებ, ვითარმედ ამისთჳს იქმნა ესე, რამეთუ ესენი კაცნი იყვნეს ფრიად საჩინონი და პილატჱსიცა მეცნიერი იყო იოსებ, და ითხო-

ვა მისგან და აღიღო, და დაჰმარხეს არა ვითარცა დაშჯილი, არამედ ვითარცა წეს-არს ჰურიათა, ვითარცა დიდი რაჲმე და საკჳრველი. და ვინაჲთგან მიმწუხრ იყო, დადვეს მახლობელსა მას საფლავსა. და ესეცა განგებულებით იქმნა, რომელ ახალსა საფლავსა დაიდვა, რაჲთა არა ვისი სხჳსაჲ საგონებელ იყოს აღდგომაჲ, არამედ მისი, და რაჲთა მოწაფენი ადვილად მივიდოდიან, რამეთუ ახლოს იყო ადგილი იგი, და დაფლვისაცა რაჲთა მოწამე იყვნენ არა იგინი ოდენ, არამედ თჳთ მტერნიცა, რაჲთა ვერვინ თქუას, თუ: „არა დაეფლა“.

სახარებაჲ: ერთსა მას შაბათსა მარიამ მაგდანელი მოვიდა განთიად, ვიდრე ბნელ̃ლა იყო, საფლავსა მას და იხილა ლოდი იგი აღებული კარისა მისგან საფლავისა (20, 1).

თარგმანი: ერთსა მას შაბათსა, რომელ არს კჳრიაკ̃ე, მოვიდა იგი, ხოლო იესუ აღდგა, იდვა რაჲ ლოდი ზედა საფლავსა, და ბეჭედნი იყვნეს მას ზედა, და ვინაჲთგან ჯერ-იყო, რაჲთამცა სხუათაცა ყოველთა იხილეს იგი. შემდგომად აღდგომისა მისისა აღეღო ლოდი იგი, რომლისათჳს გარდაჰქდა რაჲ შაბათი, მოვიდა მუნ მარიამ, რამეთუ ფრიადი მოსწრაფებაჲ აქუნდა უფლისათჳს, და იხილა რაჲ აღებული ლოდი, მირბიოდა თხრობად მოწაფეთა, რაჲთამცა ცნა, თუ სადა არს გუამი მისი. რამეთუ ამისთჳს თქუა, ვითარმედ: „აღიღეს უფალი ჩემი საფლავისაგან და არა უწყი, სადა დადვეს იგი“ (იოანე 20, 2). ჰხედავა, რამეთუ არარაჲ იცოდა მან ჯერეთ დამტკიცებულად აღდგომისათჳს? რამეთუ ჰგონებდა იგი ცვალებასა სხუად ადგილად, ამისთჳსცა წარვიდა და ჰრქუა მოწაფეთა. ხოლო იგინი მოიწინეს მუნ მოსწრაფებით და იხილნეს ტილონი იგი და სუდარი, რომელი-იგი იყო სასწაული აღდგომისაჲ და, უკუეთუმცა ვის სხუასა ადგილსა მიეცვალა, რადმცა განეშიშულა გუამი მისი? და უკუეთუმცა ვის მოეპარა, რადმცა დაეტევა მუნ ესე ყოველი? ანუ რადმცა ზრუნვიდა შეკეცასა და თჳსაგან დადებასა სუდარისასა, არამედ ვითარცა პოვა, აღიღომცა. რამეთუ ამისთჳს პირველვე თქუა მახარებელთან, ვითარმედ: „მოიღეს აღრეული მურისა და ალოჲსა ასი ლიტრაჲ, რომელი-იგი უფროჲს ტყჳვისა შეკჰრავს ტილოსა და გუამსა“ (შდრ. იოანე 19, 39). რაჲთა, ოდეს გესმეს, ვითარმედ „ტი-

ლონი ისხნეს თჳსაგან“, არა ისმინო მათი, რომელნი იტყჳან, ვითარმედ: „წარიპარეს“. რამეთუ ვინმცა იყო უგუნური იგი მპარავი, რომელიმცა ესეოდენსა შრომასა შეიმთხუევდა, მურითა დაწებულისა მის აღჴდასა? ანუ ვითარმცა დაეფარა, ვიდრემცა მას ყოველსა იქმოდა? ხოლო რაჲსათჳს, რამეთუ ტილონი კიდე ისხნეს, და სუდარი იგი თჳსაგან შეკეცილი? რაჲთა სცნა, ვითარმედ არა მოსწრაფედ და შიშით ქმნილი რაჲმე იყო საქმჱ იგი, რამეთუ ესრეთ დაწყნარებულად იგი თჳსაგან და იგი თჳსაგან შეეკეცა და დაედვა დაწესებულად, რომლისათჳს მოწაფეთა იხილეს ესე ყოველი და ცნეს, ვითარმედ არცა წარპარულ არს და არცა სხუასა ადგილსა დადებულ არს, და ჰრწმენა აღდგომაჲ. ხოლო იხილე აქაცა მახარებელისა სიმდაბლჱ, ვითარ იტყჳს თავისა თჳსისათჳს, ვითარმედ: „პირველ მივიდა და არა გამოიძია, არცა შევიდა შინა“. ხოლო პეტრე უმჯურვალესად შევიდა და ყოველი გამოიძია და მერმეღა შევიდა იგიცა, და იხილნეს თჳსაგან განყოფილნი სახუეველნი იგი, რომლისაგან ცნეს, ვითარმედ არა სწრაფით, არცა შიშით ვის უქმნიეს და ჰრწმენა.

საკითხავნი წმიდისა პარასკევისანი თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ თხრობაჲ და უწყებაჲ და სახისა გამოთქუმაჲ აღვსებისა ზრახვისათჳს*

რაჲ არს ვნებაჲ? ვნებად ჩუენდა ენად აღღება. რაჲ-იგი შეგუემთხჳს, სახელ-აც ვნებისაგან. ვნებაჲ გულისხმა-ვყოთ, ვინიგი იენო ანუ რაჲსათჳს იენო, ანუ რაჲსათჳს მოვიდა უფალი ქუეყანად, რაჲთა ვნებული იგი შეიმოსოს და მიიტაცოს სიმაღლესა ცისასა.

ღმერთმან დასაბამსა შექმნა ცაჲ და ქუეყანაჲ სიტყჳთა და შექმნა მიწისაგან კაცი, რომელსა სულიცა მისცა, ესე დაადგინა სამოთხესა მზის აღმოსავალით კერძო, ედემს, მუნ ცხორებად და შუებად და შჯული მისცა მას და მცნებაჲ: ყოვლისა მისგან ხისა შჭამოთ, ხისა მისგან ცნობისა კეთილისა და ბოროტისა არა შჭამოთ, რამეთუ, რომელსა დღესა შჭამოთ, სიკუდილით მოჰკუდეთ.

ხოლო კაცი იგი, ვერ მეცნიერ-ყოფილ კეთილისა და ბოროტისა, ვითარცა მიწისაგანი, შეიწყნარა მტერი იგი და მლიქნჳ, ღმრთისა მიმართი იგი მზაკუვარი, ჴელ-მიყოფილ ხესა მას, გარდაჰჴდა მცნებასა და არა ისმინა ღმრთისაჲ, გამოვარდა ამას სოფელსა, ვითარცა საპყრობილესა. ესე კაცი მიეცა მონებად მტერთა და სიკუდილი ეუფლა გემოჲს-ხილვითა ხისა მისგან და დაუტეva შვილთა მისთა სამკჳდრებელი არა კეთილ: არა პატივი, არამედ შეურაცხებაჲ, არა აზნაურებაჲ, არამედ მონებაჲ, არა მეუფებაჲ, არამედ განდგომილებაჲ, არა ცხორებაჲ, არამედ სიკუდილი, არა გამოჴსნაჲ, არამედ წარწყმედაჲ.

უცხოჲ წარწყმედაჲ იქმნებოდა ქუეყანასა ზედა, რამეთუ დაემორჩილნეს ცოდვასა, რომლითაცა ჟამად-ჟამად აღიჯოცებოდეს დაუცხრომელისაგან გულის-თქუმისა, და ყოველმან კაცმან უშჯულოებად მიაქცია და იქმნეს ვიეთნიმე მამის მკლველ, ვიეთნიმე — შვილის მკლველ, ვიეთნიმე — ძმის მკლველ, უცხოჲ და საშინელი ხილვაჲ იქმნებოდა ქუეყანასა ზედა. დედანი მი-

* იბეჭდება გამოცემიდან „უდაბნოს მრავალთავი“, გვ. 199-205. ახალქართულად ტექსტი იხ. გვ. 119.

ექცეს თჳსთა ჯორცთა და შეჯამნეს შჳილნი თჳსნი, რომელნი შენეს ლმობიერად და განზარდნეს ძუძუთა. რომელნი შენეს მუცლით გამო, მუნვე მუცელსავე შინა დაეფლნეს.

და მრავალი საძაგელებაჲ იქმებოდა კაცთა შორის ამით ყოვლითა ცოდვითა; იხარებდა თანა-მზრახვალი იგი სიკუდილისაჲ. უცხოჲ და საშინელი განრყუნილებაჲ იქმნებოდა ჯორცსა მას შინა. იდვა სიკუდილი შეკრული, ვითარცა ტყუჱ, აჩრდილთა შინა სიკუდილისათა და განრღუეულ იყო ხატი იგი მამისაჲ.

ამის ყოვლისათჳს აღვსებისა ესე ზრახვაჲ აღივსების ჯორცთა შინა უფლისათა. პირველად უფალმან წარმოიძღუანა მოღუაწებაჲ ვნებითა მით ჯორცთა შინა და წინაჲსწარ გჳჩუენა წიგნთა შინა მამათ-მთავრებითა და წინაჲსწარმეტყუელებითა და ყოვლითა მით ერითა აბრამეანითა, რამეთუ შჯულითა და წინაჲსწარმეტყუელებითა აღბეჭდა ყოფად იგი, რაჲთა თქუმული იგი, რაჟამს იყოს, მოვიგონოთ სახითა და შევეყვნეთ სარწმუნოებასა და გრძიადითა მით მოთხრობითა მახლობელ ვიპოვნეთ სარწმუნოებით მადლსა მას და ვნებითა მით უფლისაჲთა ვსცნობდეთ წერილთა, რომელ წინაჲსწარმეტყუელთა მიერ მოგუეთხრობის, და სახისა ამის ხილვითა მოვიგონებდეთ განმზადებულთა მათ საშუალობათა, რამეთუ არს ახალ და ძუელ უფლისაჲ იგი ზრახვაჲ, ძუელ — სახისა მის დაწერითა და ახალ — მადლისა გამოჩინებითა.

და, თუ დაჰხედო სახესა, იხილო გამოჩინებაჲ მისი და, თუ გნებავს გულისხმის-ყოფის ზრახვისაჲ მის და ვნებისა უფლისაჲ, მიხედე აბელს, რომელი მსგავსად მისა მოიკლა, და ისაკს, რომელი მისებრ შეიკრა, იაკობს, მისებრ უცხო-ქმნულსა, იოსებს, რომელი მისებრ განიყიდა. მიხედე მოსეს, რომელი მისებრ განგდებულ იპოვა, დავით — მისებრ დევნული. მიხედე ყოველთა წინაჲსწარმეტყუელთა, რომელნი გჳთხრობდეს წინაჲსწარ ქრისტეს, ვითარ-იგი იენეს მათგან, რომელთაცა უთხრობდეს ქრისტჱსთჳს. მიჰხედე ეგჳპტესაცა და ცხოვარისა მის დაკლვასა, რომელმან-იგი დასცა ეგჳპტე და განარინა ისრაელი სისხლითა მით თჳსითა, რომელსა ქადაგებს წინაჲსწარმეტყუელი ქრისტჱს ზრახვისა მისთჳს, რამეთუ ეტყჳს მოსე ერსა მას, ვი-

თარმედ: იხილოთ ცხორებაჲ იგი თქუენი დამოკიდებული ძელსა წინაშე თუალთა თქუენთა და გეშინოდის ღამე და დღე და რაჲთა გრწმენეს ცხორებაჲ იგი თქუენი.

და დავით იტყჳს: რად აღიძრნეს წარმართნი და შეითქუნეს მეფენი ქუეყანისანი და მთავარნი შეკრბეს მასვე ზედა უფალსა და ცხებულსა მისსა ზედა?

და იერემია იტყჳს: მე, ვითარცა კრავი უბიწოჲ, მიგურილი და არარაჲ ვაგრძენ. ზრახეს ჩემ ზედა ზრახვაჲ ბოროტი და თქუეს: მოვედით და შეურთოთ ძელი პურსა მისსა და აღვჴოცოთ იგი ქუეყანით ცხოველთაჲთ და სახელი მისი არღარა მოვიჴსენოთ.

და ესაია იტყჳს: ვითარცა ცხოვარი, კლვად მიიგუარა და, ვითარცა კრავი უჴმობელად წინაშე მრისველისა თჳსისა. მრავალი სხუაჲ მრავალთა წინაჲსწარმეტყუელთა გამო იქადაგა აღსებისა ზრახვისათჳს, რომელ არს ქრისტე, იესუსთჳს, რომლისაჲ დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

ესე მოვიდა ზეცით ქუეყანად ვნებულისა მისთჳს კაცისა. ესე კაცი თჳთ შეიმოსა ქალწულისა მუცელსა შინა და გამოჩნდა კაცად და თავს-იდვა ვნებულისაჲ მის ვნებაჲ და დაბრწნა ჯორცთა ვნებაჲ, რომელ-იგი ვერ წინა-დამდგომ იყო სიკუდილისა, განაძლიერა სულითა და მოკლა კაცის მკლველი იგი სიკუდილი.

ესე თჳთ მოიგუარა, ვითარცა კრავი, და ვითარცა ცხოვარი, დაიკლა და გჳჴსნნა ჩუენ საცთურისაგან ამის სოფლისა, ვითარცა ქუეყანით ეგჳპტით ერი იგი, და გამოგჳჴსნნა ჩუენ მონებისაგან ეშმაკისა, ვითარცა ჴელთაგან ფარაოჲსთა, და აღბეჭდნა სულნი ჩუენნი სულითა თჳსითა და ჯორცნი ჩუენნი სისხლითა თჳსითა.

ესე არს, რომელმან შეიმოსა სიკუდილი, სირცხჳლი და ეშმაკი დააუკეთა მგლოვარჱ, ვითარცა მოსემან ფარაოჲ. ესე არს, რომელმან უშჯულოებაჲ დასცა და მავნებელი იგი უშვილო ქმნა, ვითარცა მოსემან ეგჳპტჱ. ესე არს, რომელმან გამოგჳყვანნა ჩუენ მონებისაგან აზნაურებად, ბნელისაგან — ნათლად, სიკუდილისაგან — ცხორებად, განდომილებისაგან — სასუფეველსა საუკუნესა და მყენა ჩუენ სამღდელო ახალ და ერ საზეპურო, რაჲთა მისსა დიდებასა მარადის ვიდიდებოდით.

ესე არს, რომელმან ივნო და გუაცხოვნნა ჩუენ, ესე არს აბელისებრ მოკლული, ისაკისებრ შეკრული, იაკობისებრ უცხო-ქმნული, იოსებისებრ განსყიდული; ვითარცა მოსე — განგდებული; ვითარცა დავით — დევნული; ვითარცა კრავი — დაკლული; ვითარცა წინაჲსწარმეტყუელი — შეურაცხი.

ესე არს ქალწულისაგან განჯორციელებული, ძელსა დამოკიდებული, ქუეყანასა დაფლული, მკუდრეთით აღდგომილი, სიმაღლესა ცისათა აღსრული. ესე არს კრავი იგი დაკლული. ესე არს ტარიგი იგი უკმობელი.

ესე არს შუენიერისა მის მარიამის ქალწულისაგან შობილი. ეს არს სამწყსოჲთ გამოტაცებული, შეკრული, დაკლვად მოთრეული.

ესე არს მწუხრი დაკლული, ღამე შეჭმული, ძელსა ზედა არა შემუსრვილი, მიწასა ქუეშე არა განრყუნილი, მკუდრეთით აღდგომილი და კაცთა მკუდართა დაფლულთა აღმადგინებელი.

აწ ესე მოვიდა, სადა მოკლეს საშუვალ იერუსალემსა. რაჲსათჳს მოკლეს? რამეთუ მკელობელნი მათნი ავლინნა და განბოკლებულნი მათნი განწმიდნა, ბრმანი მათნი განანათლნა, სნეულნი მათნი შორის განკურნნა და მკუდარნი მათნი აღადგინნა, ამისთჳს მოკლეს.

ჰ, ზრახვაჲ შეტყუებული და სახჱ კრავისა დაკლულისაჲ და ვნებისა უფლისა შეტყუებაჲ! სადა წერილ არს შჯულისა და წინაჲსწარმეტყუელთა, ვითარ წერილ არს: მომაგეს მე ბოროტი კეთილისა წილ და უმკჳდროებაჲ სულისა ჩემისაჲ იზრახეს. ზრახეს ჩემ ზედა ზრახვაჲ ბოროტი და თქუეს: შევკრათ მართალი იგი, რამეთუ ძნელ ჩუენდა არს.

რაჲ ეგე ჰქმენ, ჰ, ისრაელ? უცხოჲ და ახალი საშჯელი შეურაცხ-ჰყავ, პატივის-მცემელი შენი უდიდებელ-ჰყავ, მადიდებელი შენი უვარ-ჰყავ, იგი, რომელმან გამოგირჩია შენ ერად საზეპუროდ, მოჰკალ — მაცხოვარი იგი შენი. რაჲ ეგე ჰქმენ, ჰ, ისრაელ? ანუ არა წერილ არს: არა დასთხიო სისხლი მართალი, რაჲთა არა მოჰკუდე ბოროტად?

აწ შენ იტყჳ, მე მოვკალ უფალიო. რაჲსა მოჰკალ? მოჰკალა, და ჯერცა იყო მისი სიკუდილი? შეცთომილ ხარ, ისრაელ, რა-

მეთუ ჰბრძნობ უფლისა სიკუდილსა. და თუ ჯერ-იყო მისა სიკუდილი, ხოლო არა შენ მიერ ჯერ-იყო მისა შეურაცხებაჲ და არა შენ მიერ ჯერ-იყო მისა ძელსა დამოკიდებაჲ, და არა შენ მიერ, არცა ჴელითა შენითა.

ჰ, ისრაელ, ამისთჳს ჯერ-იყო შენდა ჴმითა მაღლითა ღაღადებად ღმრთისა მიმართ: ჰ, უფალო ძალთაო! და თუ ჯერ-არს ძესა შენსა ვნებად და ესრე არს ნებაჲ შენი, ივნენ და ნუ ჩემგან, ივნენ უცხო-თესლთაგან და დაისაჯენ წინა-დაუცუეთელთაგან, არამედ ჩემგან ნუ ხოლო. შენ, ისრაელ, ესე ჴმაჲ ღმრთისა მიმართ არა აღუტეე და ვერც გამოემართლე უფალსა შენსა, არა მოიჴსენენ საქმენი მისნი და არცა შეირცხჳნე ჴელისა მისგან განჴმელისა და განკურნებულისა. და არცა თუალთა მათგან განკურნებულთა ჴელის დადებითა და არცა ახალსა მას სასწაულსა, რომელ ოთხისა დღისა მკუდარი აღადგინა, შენ ამას ყოველსა თანა-წარჰჴედ და მიიწრაფე უფლისა კლვასა ზედა ჯუარისა მის აღმართებად და განჰმზადენ სამშჭუალნი მახჳლნი და მოწამენი ცრუნი, საგუემელნი და საგუმერელნი, ღრუბელი, ძმარი, ნავღელი.

მახჳლითა მოადგ, ვითარცა მოსისხლესა და ავაზაკსა, და დაადგ თავსა მისსა გჳრგჳნი ეკლისაჲ და შუენიერნი იგი მკლავნი მისნი შეჰკრენ, რომელთა შეგქმნეს შენ მიწისაგან, და პირსა მას კეთილსა, რომელმან განგზარდა შენ, ასუ მას ძმარი და ნავღელი და მოჰკალ უფალი იგი შენი დღესასწაულსა მას დიდსა. შენ იყავ შუებასა და იგი — შიმშილსა; შენ შჭამდი პურსა და სუემდ ღჳნოსა და მას ასუემდ ძმარსა და ნავღელსა; შენ მხიარულ იყავ პირითა და იგი მწუხარე წარმოგედგინა; შენ იხარებდ, მას დაშჯიდ; შენ გაქებდეს მაქებელნი და მას დაშჯიდ სიკუდიდ, შენ ჰბრძანებდ და მას დამშჭუალვიდეს.

შენ პარით-მემღერნი და მაქებელნი შეგასხმიდეს, ხოლო მარიამი მკერდისა ცემითა და ცრემლითა არა დასცხრებოდა; შენ აყუედრებდი და ჯჳრთითა სცემდი, ხოლო მარიამს მუცელი და ნაწლევნი სტკიოდეს; შენ სარეცელთა ჩჩჳლთა მიწოლილ იყავ, ხოლო იგი სამარესა და ნაპრალსა კლდისასა უკუნ-გდებული იდვა.

ჲ, ისრაელ უშჯულოო, რაჲ ეგე ჰქმენ ახალი და უცხოჲ? უშჯულებაჲ უვარ-ჰყავ, ხოლო მო-მცა არა-ჰკალ. რაჲსა მოჰკალ შემოქმედი იგი შენი და გამომსახველი შენი? რაჲსა შეურაცხ-ჰყავ, რომელმან გიწოდა სახელი ისრაელ? და შენ, ისრაელ, ვერ იპოვე, ვერ იცან ღმერთი შენი, არა გულისხმა-ჰყავ უფალი შენი. არა უწყოდეა, ისრაელ, რამეთუ ესე არს პირმშოჲ იგი ისრაელისაჲ? და ესე არს პირმშოჲ ღმრთისაჲ, რომელი მთიებისა წინა იყო, რომელმან ნათელი გამოაბრწყინა, დღჱ გამოაჩინა და ბნელი განაშოვრა, რომელმან სამყარონი დაამტკიცნა, ქუეყანაჲ შთაჰკიდა და ზღუაჲ მოზღუდა, გარდაართხნა სამყარონი და შეამკო სოფელი, რომელმან განაგნა ვარსკულავნი ცათა შინა და დიდ-დიდნი იგი მნათობნი განანათლნა, რომელმან შექმნა ანგელოზნი ცათა შინა და აღჰმართნა საყდარნი, რომელმან შექმნა კაცი ქუეყანასა ზედა.

ესე არს, რომელმან გამოგირჩია შენ და გიძღოდა ადამითგან ნოჱსამდე, ნოჱსითგან აბრაჰამისამდე, ისაკ და იაკობისამდე და ათორმეტთა მათ მამათ-მთავართამდე; ესე არს, რომელი შთაგიძღუა შენ ეგჳპტედ და დაგიცვა და გფარვიდა შენ; ესე არს, რომელი გიძღოდა შენ ნათლითა სუეტითა და გფარვიდა შენ ღრუბლითა; ესე არს, რომელმან განყო ზღუაჲ მეწამული და წიაღ-მოგიყვანა შენ და მტერი იგი შენი წარწყმიდა; ესე არს, რომელმან მოგცა მანანაჲ ზეცით და გასუა შენ წყალი კლდისაგან; ესე არს, რომელმან მოგცა შენ შჯული ქორებს შინა და მოგივლინნა წინაჲსწარმეტყუელნი, რომელმან გამოგირჩია შენ მეფენი და მთავარნი; ესე არს, რომელი მოვიდა შენდა და ვნებულნი შენნი განკურნნა და მკუდარნი შენნი აღადგინნა; ესე არს, რომლისა ზედა იკადრე ჯელისა შეხებად; ესე არს, რომელსა ზედა უშჯულოებაჲ ჰქმენ; ესე არს, რომელსა შესცოდე; ესე არს, რომელი განჰყიდე ვეცხლად; ესე არს, რომელი მოჰკალ; ესე არს, რომლისაჲ იგი მადლი წარწყმიდე, უმადლოო ისრაელ!

მოვედ, ისრაელ, და შევიტყუნეთ მე და შენ და აღვითუალოთ უმადლოებაჲ ეგე შენი: რავდენ-რაჲ აღგითუალავს მისმიერი საქმჱ შენი; რავდენ-რაჲ აღგითუალავს ეგჳპტედ შთაგზავნაჲ იგი შენი და გამოზრდად კეთილისა მის მიერ იოსებისა; რავდენ-რაჲ

აღგითუალავს სუეტი იგი ღამე და დღისი ღრუბელი, და ზღუასა წიაღ-ყვანებაჲ; რავდენ-რაჲ აღგითუალავს მანანაჲსა მის მოცემაჲ და კლდისა განჴმელისა წყალი და ქორებს შინა შჯული და ქუეყანასა ზედა მკვდრობაჲ და მას ზედა ნიჭნი ეგე; რავდენ-რაჲ აღგითუალავს, რომელ სნეულნი შენნი განკურნნა.

ყავ სასყიდელისა ჴელი იგი განჴმელი, რომელ განკურნა; ყავ სასყიდლის შობითგანი იგი ბრმები, რომელნი განანათლნა სიტყჳთა; ყავ სასყიდლის მკუდრები იგი, რომელ სამარით გამოიყვანნა, ანუ ოთხისა დღისა იგი მკუდარი, რომელ აღადგინა.

მე ესრე ვიტყჳ: არა არს სასყიდელი მისმიერთა მადლთა, ხოლო შენ შეურაცხ-ჰყავ და მიაგე მას უმადლოებაჲ, მიაგე მას ბოროტი კეთილისა წილ და სიკუდილი ცხორებისა წილ, რომლისა ზედა ჯერ-იყო შენდა სიკუდილი. ამის მიერ მოციქულნი ვლენან და მშჳდობაჲ იქმნების, ხოლო შენ ძნელად დასდეგ უფლისათჳს და წილ-იგდე მის ზედა, რომელსა ნათესავნი თაყუანის-ცემენ, უცხო-თესლნი ადიდებენ, წინა-დაუცუეთელთა უკჳრს, რომლისა ზედა პილატე ჴელნი დაიბანნა და თავი თჳსი უბრალოდ განიდგინა. შენ ესე მოჰკალ დღესასწაულსა მას დიდსა, რომელ წერილ არს შენდა ჭამად უფუველი და ველის-ყრდელი მწარჱ.

ჲ, ისრაელ, მწარე არიან სამშჭუალნი ეგე, რომელ განჰმზადენ; მწარე არს ენაჲ ეგე შენი, რომელ აღჰმახუე; მწარე არიან ცრუვ-მოწამენი ეგე შენნი, რომელნი წარმოადგინენ, მწარე არს ღრუბელი ეგე, სავსე ძმრითა და ნაველღითა; მწარე არიან სატანჯველნი ეგე, რომელ განჰმზადენ; მწარე არს შენდა იუდა, რომელი მოიტყჳ მოფარდულად; მწარე არს შენდა ჰეროდე, რომელ გერჩდა შენ; მწარე არს შენდა კაიაფა, რომლისაჲ გრწმენა, მწარე არს შენდა ეკალი ეგე, რომელ შეჰქმენ გჳრგჳნად; მწარე არიან შენდა ჴელნი ეგე, შებღალულნი სისხლითა, რომელთა მოკლეს უფალი შენი შორის იერუსალემსა.

ისმინეთ ესე ყოველმან ნათესავმან კაცთამან და იხილეთ უცხოჲ ხილვაჲ: ახალი სისხლი დაითხევის შორის იერუსალემსა, ქალაქსა შინა შუენიერსა, ქალაქსა შინა ებრაელთასა, ქალაქსა შინა წინაჲსწარმეტყუელთასა, ქალაქსა, რომელსა ჰგონებენ

კაცნი, ვითარმედ შჯულიერ არს ქალაქი ესე; და ვინ მოიკლა ანუ ვინ მოკლა, სიტყუად მრცხუენის და თქუმად მეიძულების. უკუეთუმცა ღამე ყოფილ იყო მოკლვაჲ ესე ანუ უდაბნოსა ადგილსა, დუმილდმცა უადვილჱს იყო, ხოლო აწ შორის ურაკპარაკსა ქალაქისასა შოვა სამხრის ოდენ და ყოველნი ჰხედვენ: მართალი სისხლი დაითხევის უსამართლოდ და უბრალოჲ იგი მოკუდების, ვითარცა ბრალეული.

და ესრეთ აღამაღლეს ძელსა და ფიცარი იგი ერთი დასდვეს თავსა, რომელსა ზედა წერილ იყო, ვინ იყო იგი. არათქუმად მძიმე და ბრალ არს და თქუმად — საშინელ და შესაძრწუნებელ, არამედ ისმინეთ ძრწოლით, რომლისაგან ძრწის ყოველი დაბადებული. უფალი, ყოველთა შემოქმედი, შიშუელი ძელსა დამოკიდებულ არს და არა სცნობენ უშჯულონი იგი და უწყალონი. ამისთჳს ზეცისა მნათობნი დაბნელდეს, რაჲთა დააბნელნეს თუალნი მის ერისანი. შეიძრა ქუეყანაჲ, რამეთუ არა შეძრწუნდა ერი იგი. შეშინდეს ცანი და, რამეთუ არა შეიშინა ერმან მან, დააპო ანგელოზმან ეზოჲ იგი ტაძრისაჲ და არა ეგლოვდა ერი იგი. ქუხდა ცით გამო უფალი და მაღალმან დასცა ჴმაჲ თჳსი.

აწ შენ, ისრაელ, უფლისათჳს არა შესძრწუნდი, არცა შეიშინე, დაუტევე უფალი, — არა იპოვო უფლისა მიერ; არა შეიწყნარე უფალი, — არა შეიწყალო უფლისაგან; ჰგუემე უფალი, — დამსდაბლდე მიწამდე. მომკუდარი სძე ქუეყანასა, ხოლო უფალი აღდგომილ არს მკუდრეთით და აღმაღლებულ არს ზეცად. უფალმან შეიმოსა კაცი ესე ვნებული და ივნო, რაჲთა ვნებული ესე აცხოვნოს; დაეფლა და აღდგა მკუდრეთით და ესე ჴმაჲ მასმინა ყოველთა: მოვედით ჩემდა, ყოველნი დაშჯილნი, და მე გიჴსნნე თქუენ.

ვინ არს წინა-აღმდგომი ჩემი, რამეთუ მე თანა-მდები იგი ვიჴსენ? მოვედით ჩემდა, მიიღეთ მიტევებაჲ ცოდვათაჲ; მე ვარ ჴსნაჲ თქუენი, მე ვარ კრავი იგი, რომელ დაიკლა თქუენ ზედა; მე ვარ ნათელი და აღდგომაჲ თქუენი და მეუფჱ თქუენი; მე აღგიყვანნე თქუენ სიმაღლეთა ცისათა, მუნ გიჩუენო თქუენ საუკუნითგანი დაუსაბამოჲ მამაჲ.

აწ ისმინეთ, საყუარელნო: ესე არს, რომელმან შექმნა ცაჲ

და ქუეყანაჲ; ესე არს, რომელმან შექმნა კაცი; ესე არს, რომელი იქადაგა შჯულსა და წინაჲსწარმეტყუელთა; ესე არს, რომელმან ქალწულისა ჯორცნი შეისხნა; ესე არს ძელსა დამოკიდებული; ესე არს ქუეყანასა დაფლული; ესე არს მკუდრეთით აღდგომილი; ესე არს, რომელი აღჴდა ზეცად და დაჯდა მარჯუენით მამისა; ესე არს, რომელსა აქუს ჴელმწიფებაჲ განშჯად ცხოველთა და მკუდართა; ესე არს, რომლისა თანა შექმნა მამამან ყოველივე დასაბამითგან მიუკუნისამდე; ესე არს დასაბამი და აღსასრული მიუწუდომელი; ესე არს ღმერთი ღმრთისაგანი, წმიდისა მის მარიამის ქალწულისაგან შობილი.

ამას ზრახვასა აღვსებისასა წმიდასა სამებასა დიდებაჲ მივსცეთ, მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

თქუმული წმიდისა იოვანე მთავარეპისკოპოსისაჲ კოსტანტინეპოლელისაჲ ქრისტჱს ჯუარისათჳს და მორწმუნისა მის ავაზაკისათჳს*

მოვიჯსენოთ, ძმანო, დღესასწაული ჯუარისაჲ და ვაქოთ ჯუარი და ვაქოთ დღე ესე და ვადიდოთ ქრისტჱ, რაჲთა გჳრგჳნოსან იქმნენ გონებანი ჩუენნი მოჯსენებითა მით ჯუარისაჲთა. არათუ სიტყჳთა ჩუენითა ჯუარი იქების, არამედ მოჯსენებითა მით ჯუარისაჲთა გონებანი ჩუენნი გჳრგჳნოსან იქმნებიან.

ძმანო, დღეს ჯუარი აღემართა და სოფელი განწმიდნა, სიკუდილი უკუნ-იქცა. ჯუარი აღემართა და ეშმაკნი განიბნინეს. ჯუარი აღემართა, სიკუდილი იძლია, ეშმაკი შეიკრა და კაცთა კრულებანი განჰჳსნდეს. ღმერთი იდიდების და სოფელი განთავისუფლდების. დღეს ჰურიათა მიერ ქუეყანაჲ იძრვის, ხოლო მორწმუნეთა მიერ სოფელი განმტკიცნების. დღეს ჰურიათა მიერ ღმრთის-მბრძოლი იგი კლდეთა განხეთქად ჴელსა შეჰყოფს, ხოლო ღმრთის-მოყუარეთა მორწმუნეთა მიერ განძლიერდებიან ერად-ერად.

წესვე ეგრე არს მორწმუნეთა შეკრებაჲ და ურწმუნოთა განბნევაჲ, ვითარცა თქუა დავით: განიბნინეს და არა გულისხმაყვეს. დღეს ჰურიათათჳს მზემან ექუს ჟამითგან ბნელი შეიმოსა, რამეთუ არა თავს-იდვა შექმნულმან შემოქმედისა შეურაცხებაჲ, დააყენა ბრწყინვალებაჲ თჳსი, რაჲთა არა ჰნათობდეს ღმრთის-მბრძოლთა მათ ჰურიათათჳს. არათუ ღმრთეებასა მას რაჲ ევნებოდა, არამედ ჯორცთა მათ ვნებაჲ ღმრთეებასა შეერაცხებოდა.

ხოლო მაღლმან ჩუენ თანა ღამჱ დღედ გარდააქცია, რამეთუ წესვე ეგრე არს, რაჲთა ღმრთის-მოყუარეთა ბნელსა შინა ნათელი გამოუბრწყინდეს, ხოლო ურწმუნოთა მათ ნათელი დაუბნელდეს. მორწმუნეთათჳს ღამჱ დღედ შეთუალულ არს, რამეთუ იტყჳს მორწმუნეთათჳს წერილი, ვითარმედ: ღამჱ იყოს ნაცვალად ნათლისა, რამათუ ბნელი შენ მიერ არა დაბნელდეს.

---

* იბეჭდება გამოცემიდან „უდაბნოს მრავალთავი“, გვ. 205-209. ახალქართულად ტექსტი იხ. გვ. 126.

უკუეთუ მორწმუნისაჲ მის ღამჱ, ვითარცა დღჱ, განათლდების და ურწმუნოსა მას ნათელსა შინა დაუბნელდეს, მართლ ღაღადებს წინაჲსწარმეტყუელი და იტყჳს, ვითარმედ: ეჩქუეფებოდიან, ვითარცა ბრმანი, კლდეთა თანა და ვიდოდიან შოვა სამხრის, ვითარცა შოვა ღამეს.

ძმანო, დღეს გამოვარდა ადამი სამოთხით, დღეს შევიდა ავაზაკი იგი სამოთხედ. გამოვიდა მპარავი იგი, გარდამავალი მცნებათაჲ, დღეს შევიდა მპარავი, რომელმან ჯუარსა ზედა მოიპარა ცხორებაჲ. ამან მპარავმან ძელისაგან მოიყურძნა უკუდავებაჲ, მოიავაზაკა სასუფეველი, მოიმძლავრა უკუდავებაჲ. არათუ ძლით დასწერს, არამედ სარწმუნოებით მოიავაზაკებს სასუფეველსა და მოიმძლავრებს უკუდავებასა. არათუ მძლავრ, არამედ სარწმუნოებით სძლევს, რამეთუ თჳთ უფალი იტყჳს, ვითარმედ: სასუფეველი ცათაჲ მიიმძლავრების და მძლავრნი მიიტაცებენ მას.

ჯუარსა ზედა ორნი ავაზაკნი, ერთი — ჰურიაჲ და ერთი — წარმართი. წარმართსა მას დაეყო უშჯულოებასა შინა მრავალი ჟამი და შემდგომად გულისხმა-ყო ჭეშმარიტებაჲ. ჩას, რამეთუ ერთი იგი ჰურიაჲ იყო და ურწმუნოებისა ავაზაკი. ჯუარადმდე ორნივე ერთსა გზასა რბიოდეს, ხოლო ჯუარი უჩუენებს და განუყოფს მათ: გზაჲ წარსაწყმედელი — უშჯულოთა და გზაჲ ცხორებისაჲ — მორწმუნეთა. ამან ავაზაკმან გამოირჩია სიტყჳთა მით, რამეთუ უწყის უფალმან გზაჲ მართალთაჲ და გზაჲ ულმრთოთაჲ წარწყმდეს.

იხილელა მართლ საშჯელი ესე ღმრთისაჲ, რაჲთა შენცა იტყოდი წინაჲსწარმეტყუელისა მის თანა: მართალ ხარ შენ, უფალო, და წრფელ არს საშჯელი შენი, ერთითა შეცოდებითა ადამ გამოვარდების სამოთხით და ერთითა ჴმითა სარწმუნოებისაჲთა ავაზაკი შევალს სამოთხედ; ერთი შეცოდებაჲ ადამს გამოჰჴდის სამოთხით და ერთი სიტყუაჲ სარწმუნოებისაჲ ავაზაკსა დაამკჳდრებს.

ძმაო, აწ ეკრძალე პირსა შენსა, რაჲთა არა სცოდო ენითა შენითა და მრავლ-ჟამისა იგი შრომილი შენი წარსწყმიდო. მოიჴსენე სიტყუაჲ უფლისაჲ, ვითარმედ: სიტყჳთა შენითა

დაისაჯო და სიტყჳთა შენითა განჰმართლდე.

ჲ, საკჳრველი! აბრაჰამსცა არა ესმა ესე ჴმაჲ აღთქუმისაჲ სამოთხისათჳს, არამედ სარწმუნოებით აღუთქუამს სასუფეველსა. არავინ უსწრო ავაზაკსა მას შესლვად სასუფეველსა. ამას გულს-მოდგინედ დახედე, მსმენელო, და ძუელსა და ახალსა შჯულსა შინა გამოიძიე და ახალსა ჰკითხე გულს-მოდგინედ. არავინ უსწრო ავაზაკსა მას შესლვად სასუფეველსა, არცა ესმა ჴმითა აღთქუმაჲ და მიცემად სამოთხისა არცა აბრაჰამს, არცა მოსეს, არცა წინაჲსწარმეტყუელთაგანსა ვის, არცა მოციქულთა, არამედ ყოველსა წინა ავაზაკსა მას ესმა.

ამენ გეტყჳ: დღეს ჩემ თანა ხარ სამოთხესა. უწოდა ღმერთმან აბრაჰამს და ჰრქუა: გამოგუალე შენ ქუეყანისაგან შენისა და სახლისაგან მამისა შენისა. და არა ჰრქუა, ვითარმედ: დღეს დაიმკჳდრო სამოთხჲ.

მოსესცა მისცა ღმერთმან შჯული აღთქუმისაჲ, ხოლო არცა ერთსა ვის აღუთქუა უწინარჲს ავაზაკისა სამოთხჲ. თანა-გუაც, ძმანო, გამოძიებად, რაჲსათჳს-მე აღუთქუა ღმერთმან ავაზაკსა მას სამოთხჲ უწინარჲს ამათ წინაჲსწარმეტყუელთა და რჩეულთა?

იტყჳს წერილი: ჰრწმენა აბრაამსა ღმერთი და შეერაცხა მას სიმართლედ; ჰრწმენა უკუე, კეთილად ჰრწმენა, არა ეგოდენსა მლევანსა შეურაცხებასა იხილა ღმერთი; ჰრწმენა უფალი, ზეცით გარდამო მეტყუელი; ჰრწმენა ღმერთი ზეცით გარდამო წმიდათა ანგელოზთა მიერ, რომელთა მოაქუნდა ბრძანებაჲ ღმრთეებისა ბუნებისაჲ; ჰრწმენა ღმერთი ესაიასცა, რამეთუ იხილა დიდებასა შინა ღმრთეებისასა; ჰრწმენა ღმერთი ეზეკიელსცა, რამეთუ იხილა ქერობინთა ზედა მჯდომარჲ საყდართა დიდებისა თჳსისათა. ჰრწმენა ღმერთი ყოველთა წინაჲსწარმეტყუელთა, რამეთუ იხილეს თითოეულად დიდებასა შინა თჳსსა უფალი, რავდენ-იგი შემძლებელ იყო ხილვად ბუნებაჲ კაცთაჲ; ჰრწმენა ღმერთი მოსესცა, რამეთუ ეტყოდა ცეცხლით გამო და არმურით ნესტჳთა, საყჳრითა და ქუხილითა, რომელი შემძლებელ იყო ურწმუნოთაცა განძლიერებად.

ხოლო ამასცა ვიტყჳ და არათუ წინაჲსწარმეტყუელთა მათ

შეურაცხ-ვჰყოფ, არამედ, რომელმან მოიპოვა მწრაფლ სამოთხჱ, ვაქებ, რამეთუ ხედვიდა უფალსა და მჴსნელსა ჩუენსა არა საყდართა ზედა სამეუფოთა და არცა ტაძართა შინა თაყუანის-საცემელსა და არცა კაცთა შორის მოძღუარებასა, არცა ანგელოზთა შორის ბრძანებასა, არამედ იხილა იგი ავაზაკთა შორის ძელსა ზედა დამოკიდებული; იხილა იგი გინებულად და თაყუანის-სცა დიდებულად; იხილა იგი ჯუარსა ზედა და ეეღრებოდა, ვითარცა ცათა შინა მჯდომარესა; ხედავს დაშჯასა შინა და მეუფით ხადის და ეტყჳს: მომიჴსენე მე, უფალო, სასუფეველსა შენსა. ჯუარცუმულსა ხედავს და უფლით ხადის მას; მის თანავე ძელსა დამოკიდებულსა ხედავს და სასუფეველსა ინიჭებს.

შჯული არა გისწავიეს, რომელი-ეგე უშჯულოებასა შინა იქცეოდე, წინაჲსწარმეტყუელნი არა აღმოგეკითხნეს. აწ ვინაჲ საღმრთოთა სიტყუათა იტყჳ, რომელი-ეგე მარადის მახჳლსა ესევდი? აწ ვისგან ისწავე ქრისტჱსთჳს ენითა ცნობაჲ? ჰურიანი ჯუარს-აცუმენ, რომელთა შჯული იციან, და შენ, რომელი შჯულსა ყოვლადვე უმეცარ ხარ, ვინაჲ ღმრთად ჰქადაგებ და შჯულსა მას შინა თაყუანის-სცემ ჯუარცმულსა მას? რომელმან საკჳრველებამან აღგიყვანა შენ დიდებასა მას სასუფეველისასა? ვთქუათ ამას ზედაცა, თუ ვინაჲ იტყჳს ავაზაკი ესე. ვინაჲ იტყჳ, ჱ, ავაზაკო, ანუ ვის გასწავა თქუმად, „მომიჴსენე მე სასუფეველსა შენსა“? შჯული არა აღმოგიკითხავს.

იტყჳს ავაზაკი: მე შჯულსა არა მეცნიერ ვარ. ვხედავ, მზისთუალი შეშინებული დაბნელდა; ვხედავ ქუეყანასა განღებულსა და მკუდართა აღდგინებასა. ვხედავ, რამეთუ ქრისტჱს მკლველნი ესე ბნელსა შინა ეფეშუებიან, ხოლო მე თუალითა გულისა ჩემისაჲთა ვხედავ თუალთა ამათ უკუდავთა და მეუფესა საუკუნესა; ვხედავ კლდეთა განხეთქილთა, რამეთუ განაპნეს კლდენი და განსთქდა ეზოჲ იგი ტაძრისაჲ მის ორგან და გული უშჯულოთაჲ მათ არა განიპო ცნობად კეთილისა მის, რაჲ არს კეთილი იგი, არამედ ეზოჲ იგი იყო ნივთისა მისგან ძოწეულისა და ზეზისა იაკინთისა და თუალისაგან პატიოსნისა. ხოლო აწ ჯუარი აღემართა და ესე სასწაული იქმნა უფლისა ჯუარს-ცუმასა: აღეხუნეს სამარენი და გამოსცეს კაცები.

ესე სასწაული იქმნა და იტყოდეს ჯუარს-ცუმასა უფლისასა ჰურიანი იგი: უკუეთუ ხარ ძჱ ღმრთისაჲ, გარდამოჯედ მაგიერ ჯუარით და გურწმენეს შენი.

გულისხმა-ყავთ, საყუარელნო, ჴმაჲ ესე, ვითარ შვილთა მათ ეშმაკისათა ამსგავსეს მამულსა მას სიბოროტესა, რამეთუ ეტყჳს ეშმაკი უფალსა: უკუეთუ ძჱ ხარ ღმრთისაჲ, გარდაიგდე თავი შენი ქუეყანად. და აწ ჯუარს-აცუეს უფალი ჰურიათა და ავაზაკნიცა იგი მის თანა. არათუ სძულდეს ჰურიათა ავაზაკნი იგი, არამედ რაჲთა ყოველთაჲ უფალი, ვითარცა ავაზაკი, დასაჯონ.

პილატე ეტყჳს მათ: ვინ მიგმადლო: იესუ, მეუფჱ თქუენი, ანუ ბარაბა, ავაზაკი თქუენი, ანუ მაცხოვარი თქუენი? მათ მიუგეს და ჰრქუეს: ჩუენ მეუფჱ კეისრისა გარეშე არავინ ვიცით. უვარ-ყვეს მეუფჱ იგი ქრისტე და დაემორჩილნეს მეუფესა მას ჰრომთასა. აწ შენ, ჰურია, რომელი-იგი გაქუნდა კეთილი, ვერ გულისხმა-ჰყავ და, ვის-იგი არა ეყვოდე, მას დაემონე.

იტყჳს მართალსა მას ზედა და ცოდვილთა მათთჳს: ჩუენთჳს მოვიდა სიკუდილდ და უშჯულოთა თანა შეირაცხა, რომელ არს ავაზაკთა თანა. არათუ სძულდეს ჰურიათა მათ ავაზკნი იგი, არამედ რაჲთა ყოველთა, ვითარცა ძჳრის-მოქმედი, შეასწაონ რეცათუ არა კეთილის საქმისათჳს, არამედ ბოროტისათჳს.

ეტყჳს მართალი პილატე: ვინ ორთაგანი მიგმადლო თქუენ; იესუ, მეუფჱ თქუენი, ანუ ბარაბა, ავაზაკი თქუენი, ანუ მჴსნელი თქუენი? ავაზაკნი ავაზაკსა გამოითხოვენ, ბარაბას, და უფალი ჯუარს-ცუმად მისცეს. არათუ მძლავრ ერეოდეს, არამედ ნებსით მიცემული თქუმული აღესრულა.

იტყჳს: მიუპყრეს ჯუარსა ნავღელი და ძმარი. წინაჲსწარ იხილა ესე მოსე. ამისთჳსცა თქუა: ნათესავი ცრუჲ და გულარძნილი, ამას მისაგებელსა მიაგებთა უფალსა? რომელმან-იგი მოგცა მანანაჲ, მას ნავღელი და ძმარი მიუპყართ; რომელმან ყოველი ქუეყანაჲ ყუავილ-გარდაფენილად გამოსცა, მას ეკლისა გჳრგჳნსა დაადგამთ. კეთილად თქუა ესაია თქუენთჳს: ველოდე ვენაჯსა მას ჩემსა, რაჲთამცა გამოიღო ყურძენი, ხოლო მან გამოიღო ეკალი და კუროჲს-თავი, რომელ არს უშჯულოებაჲ.

იტყჳან ჰურიანი: სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა! ჩუენცა ვიტყჳთ მითვე ჴმითა, არამედ არა მითვე გონებითა: სისხლი ქრისტჱსი ჩუენ და შვილთა ჩუენთა, მათა დასაშჯელად, ხოლო ჩუენდა განსამართლებელად, რამეთუ სისხლი ქრისტჱსი არასადა უმრისხანეს არს ცეცხლსა მას ბაბილონისასა მოშიშთა ზედა ღმრთისათა. დაჰხედე, რამეთუ ცეცხლმან ბაბილონისამან შეწუნა ქალდეველნი იგი და სისხლმან წმიდამან აცხოვნა მორწმუნენი.

ჯუარმან განდევნა ეშმაკი; ჯუარმან გამოიღო ნაყოფი სიწმიდისაჲ, რომელმან გამოსცა ბრწყინვალებაჲ. ჯუარადმდე ეშმაკთა ჰმსახურებდეს, ხოლო აწ მაცხოვრისა ჯუარცმულისა დიდებაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

თქუმული მისივე იოვანე მთავარ-ეპისკოპოსისაჲ ჯუარისათჳს*

თქუმად ჯუარისათჳს ვინ-მე შემძლებელ არს? დადუმებად ჯუარისათჳს ვინ-მე იკადროს და ღმრთისათჳს, რომელი-იგი კაც იქმნა, ვინ-მე გამოთარგმანოს?! კაცისა მისთჳს, რომელი ღმერთ იქმნა, ვინ-მე განჰმარტოს და, მკუდართა თანა დაღათუ შთაჯდა, ვის-მე ჰრწმენეს?

განსაკჳრვებელ არიან საქმენი მისნი, რომელ ქმნა ჩუენდა მომართ, და ვერ განსამარტებელ არიან, რომელი ქმნა ჩუენთჳს, რამეთუ მკითხვენ ჩუენ, ვითარმედ: ვითარ მოკუდა ცხოველი იგი ანუ ვითარ დამცირდა დიდი იგი?

მეტყჳან ჩუენ: მეგობარნი სწავლისათჳს იკითხვენ და მტერნი გამოძიებისათჳს აღიძრვიან, ხოლო სიბრძნჱ იგი მისი მეგობართა სახიერებითა შეაჯერებს და ძალი იგი მისი მტერთა მოაუძლურებს, მორწმუნეთა მათ მისა მიმართ განამტკიცებს, რამეთუ წმიდა უჩს მათ მადლი იგი, და უარის-მყოფელთა მათ მისთჳს დააკჳრვებს, რამეთუ მრღჳე არიან და ვერ განიცდიან წყალობათა მისთა, ხოლო ძალი იგი ნაყოფისაჲ ორკერძოვე ხეჲსა განწვალებით, რომელსა-იგი ჰრწმენეს, მხიარულებით განმდიდრდეს მოწყალებითა მისითა და, რომელნი უვარს-მყოფელნი იყჳნენ, სასტიკებითა ძალისა მისისაჲთა დასნეულდენ.

ჰურიანი იტყჳან, ვითარმედ მომკუდარ არს, და ძალი საქმეთა მისთაჲ ღაღადებს, ვითარმედ ცხოველ არს. და იგინი ქადაგებდეს, ვითარმედ კაცი არს ცოდვილი, და ძალი მისი ღაღადებს, ვითარმედ ღმერთი არს.

ხოლო მწვალებელნი იტყჳან, ვითარმედ არა შეისხნა ჯორცნი, ხოლო ამხილებს მათ იგი, რამეთუ დამოეკიდა ძელსა. ჰურიათა და მეკერპეთა დაუკჳრდეს საქმენი მისნი და მწვალებელნი და სხუანი განაცრუვნა ჭეშმარიტებითა თჳსითა, რამეთუ მოქლონთა ჯოჯოხეთისათა განსტეხენ ეკლესიანი მისნი და ძლევად

---

* იბეჭდება გამოცემიდან „უდაბნოს მრავალთავი“, გვ. 209-214. ახალქართულად ტექსტი იხ. გვ.130.

შენებულთა მისთა ვერ შეუძლებენ. ნადი ცოდვილთაჲ ფრიად შურების მის წინაშე. დაჴსნად ძალისა მისისა ვერ შეუძლო.

აღდგეს მეფენი მჴდომად ჯუარისა მისისა და იძლინეს; და მიეტევნეს დევნი მის წინაშე და დაიბაზმურნეს; და ეშმაკთმოძლუარი იგი მათი ჰბრძოდა და დაემჴუა. სძლო სიმდაბლითა თჳსითა ყოველთა ამპარტავანთა, სიკუდილითა თჳსითა დაარღჳა ჯოჯოხეთი, ჰბრძო ცოდვასა და დაადუმა იგი.

დადგა წინაშე სიკუდილისა და განაქიქა იგი და ვერ აენო მას საწერტელმან ცოდვისამან და ვერცა სიკუდილმან დაიმორჩილა იგი. უნდა უშჯულოებასა წერტად ჯორცთა მისთა გამო და მოქლონთა ჯოჯოხეთისათა წინა-აღმდგომად პირსა მისსა და ვერ შეუძლეს. და წინაშე უფლისა ვინ-მე დაუდგეს პირსა მას ყოვლისა უძლიერჱსისა, ვინ-მე შეუძლოს დადგომად? უკუეთუმცა არა შეუნდობდა ყოველსავე, ვინმცა დაუდგა მას? უკუეთუმცა არა უნდა ადგილის ცემის, ვინ-მე-მცა შეუძლო კლვად მის წინაშე? მას უნდა დაბანდებაჲ და მასვე უნდა ჴელმწიფებაჲ მისი. მას უნდა ჴსნაჲ მათი, რომელნი-იგი განემზადნეს ნებითა მათითა, და მასვე სათნო-უჩნდა ცხორებაჲ მათი, რომელნი-იგი თანამდებ იქმნეს თავისუფლებითა მათითა.

იწყო მადლითა თჳსითა, რამეთუ დაჰბადნა იგინი, და აღასრულა მოწყალებაჲ თჳსი, რამეთუ იჴსნნა. და ამათ საშუვალ დიდნი მადლნი არიან აზნაურებაჲ იგი. რომელ თავისუფალ იყო, მჴდომად აღუდგა მას და ეშმაკმან და კაცთა შეურაცხ-ყვნეს სიტყუანი მისნი.

ეშმაკი იძლია და თანა-მდებ იქმნა ჭეშმარიტებისა მისისაგან, და კაცნი იჴსნნა და აცხოვნნა მოწყალებითა თჳსითა. და სარჩელი კაცთა ზედა არღარა მოწევნულ არს და დღჱ იგი მისაგებელისა მათისაჲ არღარა მოსრულ არს, რამეთუ ჴსნილ არიან და არა დაშჯილ, და ჯუარს-ცუმად მოვიდა და არათუ მოწყუედად. და თქუა ღათუ, ვითარმედ: საშჯელად სოფლისა მოვედ, არა თუ აწვე-მცა იყო იგი.

არა მოავლინა ღმერთმან ძჱ თჳსი, რაჲთა დასაჯოს სოფელი, არამედ რაჲთა სოფელი ჴელითა თჳსითა იჴსნეს. უკუეთუ ცხორებისანი არიან და არა მისაგებელისანი, მოტევებისა ცოდ-

ვათანი არიან და არა შურის-გებისანი.

მისცა იგი ერმან მან მსაჯულსა მას სიბორგილითა თჳსითა. დამოჰკიდა იგი ძელსა მას წყეულმან მან მის წილ, რამეთუ აცხოვნა. მოკლეს იგი მწირთა მათ მის წილ, რამეთუ ჭეშმარიტებასა იტყოდა, ვითარმედ ძჱ ღმრთისაჲ არს იგი. დაიყვნეს ყურნი მათნი მის წილ, რამეთუ დასძინა და თქუა, ვითარმედ: მამამან მომავლინა მე. დაიწუხნეს თუალნი მათნი სიტყჳსაგან მისისა, რომელნი ჴმობდეს და არა ისმინეს, და ნაყოფი იგი მისი, რომელ ეწამებოდა მას, მათ არა ჰრწმენა.

შემდგომად მის ყოვლისა კათილის-ყოფისა მისისა დამოჰკიდეს იგი ძელსა ჯუარისასა და წყურილსა მისსა მიუპყრეს ძმარი. უღაღადებდა მათ წინაჲსწარმეტყუელი იგი წინაჲსწართა ჟამთა და არა ისმინეს მისი. მოიწია მათ ზედა მისაგებელი იგი მათი და არა გულისხმა-ყვეს.

იქმნეს ტაბლანი მათნი მათ წინაშე საფრკე და არა ინებეს. განძლიერდა მას ზედა სწავლაჲ და არა შეიწყნარეს იგი. აჰა ესერა შედრეკილ არიან ბეჭნი მათნი შორის წარმართთა და არა ინანიან. დამორჩილებულ არს ქედი მათი უღელსა ქუეშე და არა განემართებიან.

აღიჯოცებიან იგინი წიგნისა მისგან ცხოველთაჲსა ამის წილ, რამეთუ არა შევიდეს იგინი სიმართლესა და შეირაცხნეს იგინი მგელთა თანა, და ვერ ჭამეს მათ პური იგი ცხორებისაჲ და ჭამეს მიწისაჲ, რამეთუ არა იქმნეს ძე. აჰა ესერა არიან იგინი მონა, რამეთუ არა შევიდეს იგინი ბჭესა მას.

რამეთუ განიბნინეს იგინი სასუფეველისაგან და რამეთუ არა ვიდოდეს იგინი ნათელსა, ეჩქუეფებოდიან იგინი ღამესა. რომელნი კეთილსა არა ჰმონებენ, ბოროტსა ჰმსახურებენ და, რომელნი ქრისტეს განუდგეს, ეშმაკსა დაემორჩილნიან.

რომელთა ძჱ არა აღიარიან, მამაჲცა უვარ-ყვიან და, რომელთა მამაჲ უვარ-ყვიან, სულიცა წმიდაჲ აგინიან. ღესასწაულთა, რომელთა იჯმნეს, იმარხვენ. ესერა ჭეშმარიტებაჲ, რომელი გამობრწყინდა, არა შეიწყნარებენ მას.

მოკლეს მამათა და ეზიარებიან შვილნი. უვარ-ყვეს პირველთა მათ და დაჰბეჭდვენ შემდგომნი. დაუდგეს თუალნი მამათა და

ბრუნვენ შვილნი. საკჳრველებანი ახალნი ქმნნეს ჟამთა შინა მათთა და ვერ მოისწავლნეს იგინი. და დიდებულებანი, რომელნი დგანან, არა სარწმუნო არიან მათა, რომელნი-ესე ცხოველ არიან. ცოდვანი, ვითარცა ჩარადელნი, ფაქლად დაესხნეს ერსა მას და საცთურმან, ვითარცა მღიერმან, დაიბუდა მათ თანა.

ვიდრე ძჲ არღა მოსრულ იყო, კერპთა თაყუანის-სცემდეს და, ვითარცა მოვიდა მაცხოვარი, არა აღიარეს. და, თუმცა მკლველნი იგი ჯუარცუმულისანი მოქცეულ იყვნეს, შე-მცაეწყნარნეს იგინი. ჰგონებენ, შე-ნუ-ვითარ-ვიდენ მამისა თჳნიერ ძისა, და არა გულისხმა-ყვიან, რამეთუ თჳნიერ გზისა მის მხოლოდ-შობილისა ვერ ეგების, თჳნიერ უფლისა მის კარისაჲსა ვერ შევიდენ.

ესე ბჭჲ უფლისაჲ არს და მართალნი შევლენან მას შინა, არათუ ცოდვილნი... გზასა მისსა წრფელსა ვლენან და არათუ ნებსით მავალნი. ნათელი მისი თუალიერთა გამოუბრწყინდეს და არა ბრმათა, და სამართალი ჭეშმარიტთა უყუარნ და არათუ ცრუთა, და მას ჭეშმარიტნი უყუარან და იგინიცა გამოურჩევიან და საცთურისაგან განწმიდოს ეკლესიაჲ და სასუფეველი თჳსი. უნდეს თუ ცრუთაცა, იყვნენ ჭეშმარიტ და, თუ სათნო-უჩნდეს უვარის-მყოფელთა, იქმნენ აღმსაარებელ.

ამისთჳსცა მოვიდა ღმერთი, ამისთჳსცა გამოუჩნდა მხოლოდ-შობილსა მას თჳსსა და, თუმცა ვერ ეგებოდა მოქცევაჲ მათი, არამცა მოვიდა წოდებად მათა და, არა თუმცა ეგებოდა აღმართებაჲ მათი, არამცა გარდამოჴდა აღმართებად მათა და, თუმცა ნაქმნევისა მათისაჲ რაჲმე წეს-იყო ცვალებაჲ, განსამემცა-ჯრწნა იგინი და, თუმცა ძლით რაჲმე წეს-იყო ჴსნაჲ მათი, აჭირა სამემცა მათ.

ყოველივე, რაჲ დაჰბადა, ღირსითა წესითა დაჰბადა, და ყოველივე, რაჲ ქმნა, ღირსი და საჯმარი ქმნა. და ორითა ხოლო იქმს მარადის, ამით თჳთ წყალობითა და ჭეშმარიტებითა და სრულითა მეცნიერებითა, რომელსა არარაჲ დაავიწყდების. ბოროტისაგან უცხო არს ღმერთი და კეთილნი იგი მისნი გარდაერევიან ყოვლით კერძოვე. ჯუარითა განძლიერდეს და არა წარვლენ მიფენად გონებათა და თქუმად ენასა სრულებით მათი-

სა ვერ შემძლებელ არიან მცირედ. ვიცით თქუმად: მცირჱთა გემოჲთა დიდისა მის ზღჳსა შეუძლოთ გემოჲს-ხილვად.

რამეთუ კეთილ არს ღმერთი, უწყიან მწვალებელთაცა, ხოლო მიწევნად ზედა სიმდიდრესა მადლისა მისისასა ვერ შემძლებელ არიან მეცნიერებად. რამეთუ მამისაგან არს ძჱ, იციან ქმნულთა, რამეთუ გულისხმა-უყო მათ, და მისთჳს ვერ შემძლებელ არიან დაბადებულნი, რამეთუ უფროჲს არს მათსა. არათუ სიტყუაჲ არს ესე სათქუმელი და არცა საჴსენებელი არს, თუმცა მიიწია მას ზედა, არამედ იგი არს, რომელმან გაცხოვნა შენ. გინდეს თუ სწავლის, განცხადებულ არს შენდა ძისათჳს, რამეთუ მამისაგან არს ბუნებით, რამეთუ იქმნა შენ თანა მკჳდრ და დაგამტკიცა შენ და ორნივე წიგნთაგან განაგრძვენ შენ.

ღმრთეებასა ძისასა ნუ უვარ-ჰყოფ, რაჲთა არა წარსწყმდე, და კაცებასა ნუ დაამცირებ, რაჲთა არა გევნოს, რამეთუ შემძლებელ არს კაცისა განმდიდრებად თჳთ, თუ არა დაკირძნეს შთასლვად ჯოჯოხეთა, რაჲთამცა არა ევნო.

რომელი-იგი წეს-არს შთასლვად ჯოჯოხეთა, შთავიდეს და, რომლითა წეს-არს აღსლვად ზესკნელ, ყოვლისა უფროჲს აღიმაღლოს. გარდამოჴდა ღმერთი ჴელითა კაცისაჲთა და აჴდა კაცი ჴელითა ღმრთისაჲთა და მიიღო ჩუენგან უძლურებაჲ, ჩუენი, რომელი არა მისი იყო, და მომცა ჩუენ დიდებულებაჲ იგი მისი, რომელ არა ჩუენი იყო.

არა მისნი იყვნეს უძლურებანი ბუნებით, რამეთუ ყოველი იგი ბუნებაჲ შემსგავსებულ არს მისა, რამეთუ მისნი არიან დაბადებულნი და არათუ იგი დაბადებულთაჲ, მისი არს ღმრთეებაჲ და მისი არს კაცებაჲ. თჳთვე შეიმოსა და თჳთვე იჴსნა. თჳსსა თჳთ შეეწია და არა უცხოთაჲ. არა ივასხა და შექმნა, არამედ ივასხა და შექმნა და არა მოიღო ბოროტისაგან, რამეთუ არა ეხო იგი საქმესა მისსა და არა შედგა იგი ნივთისაგან, რამეთუ მისა დაბადებად ოდენ არღა იყო.

არავინ ასწავა მას და არავინ ეზურგა მას და არცა შე-ვინეწია მას. ყოველივე ყოველთა მან მოსცა. ბოროტი, რომელ იპოვების, თავისუფალთაგან ნებათა იპოების.

ძირნი უშჯულოებისანი არა დამტკიცებულ არიან, რამეთუ

ღმრთისაგან ჭეშმარიტისა არა დანერგულ არიან. ნებისა მასკნე არიან მათა, რომელთა-იგი უნებს, რამეთუ ღმერთმან მრავალჯერ აჴოცა იგი, რამეთუ არა სათნო-უყოფიეს იგი, რამეთუ, რომელი-იგი ღმერთმან არა დაჰნერგის, არა არნ მისი ძირი, და ყოველი ნერგი, რომელი მამამან ზეცათამან არა დაჰნერგა, ძირითურთ აღიფხურინ! უკუეთუმცა უკეთურსა მას ძირნი არა დაებნეს, ღმერთიმცა მჴსნელად არა მოვიდა.

მიხედე მაცხოვარებასა მას მისსა, იხილე და გულისხმაყავ, რამეთუ ესე არს. შეაჯერებდა სიტყჳთა და საქმითა და საკჳრველებანი მისნი გონებათა მოასწავლიდეს და არათუ ძლით ვისმე ავლინებდეს, მიზიდვით მიზიდვიდეს სიტყჳთა მისითა და წამებით ეწამებოდეს ჭეშმარიტებასა მისსა. და ჯორცნი იგი შეისხნა არა მისთჳს, რაჲთამცა მით ჰბრძოდა კაცთა, არამედ რაჲთამცა შეიტყუევა მით ყოველი კაცი, და მისთჳს გამოუჩნდა თუალთა.

რამეთუ განდგომილ იყვნეს გონებანი მათნი და მოვიდა სიბრძნისა მის გამოცხადებულისა მისთჳს, რამეთუ იხილა, ვითარიგი ვერ მიიწეოდა მისა უძლურებაჲ, შესაძლებელ ყო მადლი იგი თჳსი ჯორცითა, რაჲთა ჰრევდეს სიბრძნესა მას, და ჴელი აღუპყრა შეწევნითა, რავდენ წეს-იყო აზნაურებისა მის. არა ძლით წარიქცინა, რაჲთამცა რწმენა, და მოწამე არიან ჯუარსმცუმელნი იგი მისნი. და არა დადუმნა შეტყუვილითა ყოველთა ცოდვათაჲთა.

მოწამე არიან მეზუერენიცა და მეძავნი, რომელ მოიქცეს თავით თჳსით. თავი წარიქცია ძლით, რამეთუ შეიყენა ჯორცთა შინა, შეუძლებელმან მან დაიმკჳდრა შესაძლებელსა შინა.

რამეთუ ყოველთა მიმართ იგი არს თავით თჳსით, თავი იგინა სიყუარულისა გამო თჳსისა; რამეთუ მისცა თავი თჳსი სიკუდილსა მას ძელისასა და ჯორცთა მათ გამო, რომლითა სიკუდილი თავს-იდვა, მიიხუნა წყევანი ჩუენნი და შეზავნა ჯორცთა ჩუენთა; იხილნა თანა-ნადებნი ჩუენნი და გარდაიჯადა თავით თჳსით; რამეთუ სიკუდილისა თანა-მდებ ვიყვენით, მოკუდა ჩუენთჳს.

რამეთუ გინებისა ღირს ვიყვენით, იგინა ჩუენთჳს და, რამეთუ მომცა ჩუენ თავისუფლებაჲ დასაბამითგან და ნებითა ჩუენ-

ითა ღათუ ფრიად დავსნეულდით, განამრავლა ჩუენდა მომართ შეწევნაჲ თჳსი; რამეთუ მან, რომელი-იგი არა ღირდა ყოფად ჩუენდა მომართ, მიყო ჩუენ და ჩუენ, რომელი-იგი მისი თანაგუაც, არა ვჰყოფთ.

და არიან რომელნიმე, ამის ყოვლისა შემდგომად თაყუანისცემადცა მისა არა უნებს, და არიან, რომელთა ყოველივე უყო მათ და არცა მადლისა მიცემაჲ უნებს მისა. სიბოროტჱ კაცთაჲ ფრიად მრავალ არს და თქუმად კეთილის-ყოფათა ღმრთისათაჲ დიდად უფროჲს არს.

მიხედე ჯუარსა მას და განგიკჳრდინ! და მიხედე მერმე ჯუარსა მას და შეძრწუნდი და ისწრაფე! და მიხედე, რავდენ ვნებულ არს და არა უდებ-ყვის, და იხილე, რავდენ ჰგმობენ და არა განრისხნის; მიხედე ყოველსა სოფელსა და იხილე მადლი მისი; და მიხედე ეკლესიასა და იხილე მოწყალებაჲ იგი მისი.

მიხედე წიაღთა მისთა და იხილე, რამეთუ სავსე არს პირად-პირადითა ნათესავითა, და იხილე, რამეთუ პირად-პირადი ნაყოფი გამოუღებიეს. კეთილნი ბოროტთა განრეულ არიან, და იცნის, და მშჳდნი — ჩქურთა, რომელნი ჰგონებენ, ვითარმედ არა იცნის, და არა უწყიან, ვითარმედ მათ არა განწვალიან.

ყოველი იცის და ყოველსა დაითმენს და ყოველსა უძღჳს. ვჰმადლობდეთ წყალობასა მისსა, რომელმან მიჴსნნა ჩუენ ჴელითა ჯუარისაჲთა, და თაყუანის-ვსცეთ მოწყალებათა მისთა, რომელმან მიჴსნნა ჩუენ სისხლითა თჳსითა, და ყოველსავე მას ზედა, რომელი ქმნა და რომელსა იქმს, ვადიდოთ უფლებაჲ იგი მისი და ერთბამად სამებისა მიმართ აღმოვთქუათ კურთხევაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

თქუმული მისივე იოვანე მთავარ-ეპისკოპოსისაჲ აღსებისა პარასკევსა და შაბათსა*

წეს-არს ჩუენდა, საყუარელნო, დღესა მას ჭირისა და ვნებისა მაცხოვრისა ჩუენისასა შევიმოსოთ ჩუენცა მწუხარებაჲ. არათუ ღმრთისა მის ჩუენისათჳს მწუხარე ვართ ჩუენ, არამედ ლირბთა მათთჳს შეზრუნებულ ვართ, რამეთუ რავდენი-რაჲ კადნიერებაჲ იკადრა ნათესავმან ჯუარს-მცუმელთამან, არამედ ძჳ იგი ცხოველისაჲ ცხოველ არს, რომლისა იგი სისხლი მაკუდინებელ იქმნა სიკუდილისა, რამეთუ ამას დღესა ორკერძოთა ნებაჲ გამოჩინებულ არს თაყუანის-მცემელთა მათ.

რავდენი საკჳრველებაჲ ჰკჳრს ჯუარს-მცუმელთა მათ, რავდენი რაჲ კადნიერებაჲ იკადრეს! ანუ ვისმე არა უკჳრდეს მიწისა მისთჳს, ვითარ რავდენ იკადრა ანუ დამბადებელისაჲ რავდენი თავს-იდვა მტერისაჲ მის?

იგი, რომელმან შეკრა ზღუაჲ აღჳრითა ქჳშისაჲთა, რაჲთა არა დაფაროს პირი ქუეყანისაჲ და მკჳდრნი მისნი, ამას ჟამსა შეიკრა ძელსა ჩუენთჳს, რაჲთა ჩუენ განმიტევნეს საკრველთაგან ცოდვისათა, და იგი, რომელმან განზომნა ცანი მტკაველითა თჳსითა და დაითმინა წყალობითა თჳსითა და თავს-იდვა ღაწჳსცემაჲ მონისაგან და შიშისაგან რომლისა იფარვიდეს სერაბინნი პირთა თჳსთა ფრთითა თჳსითა, წინაშე მსაჯულისა წარდგა და განიკითხა, რაჟამს დაჯდა მოკუდავი იგი, და წარდგომილ იყო მის წინაშე მაცხოვარი და იგი, რომელ დაალბობდა თესლთა ქუეყანისათა ღრუბლითა და პოხდა ყრმათა სძითა.

მან სუა ჩუენთჳს ძმარი ჯუარსა ზედა, რომელმან წესად სიმართლით აღჰფხურა ვენაჯი იგი, რომელმან მიუპყრა ძესა უფლისა თჳსისასა ძმარი. ხოლო ნუ ესრე ჰგონებენ უშჯულონი იგი, ვითარმედ იგინი უძულიერჱს არიან ძლიერისა მის, რომელმან დაუმორჩილა თავი თჳსი.

ჰრქუა მათ, ვითარმედ: მე ვარ, და ჴმისაგან მისისა მართლუ-

* იბეჭდება გამოცემიდან „უდაბნოს მრავალთავი“, გვ. 214-216. ახალქართულად ტექსტი იხ. გვ.135.

კუნ-იქცეს და დაეცნეს ქუეყანასა ზედა მის წილ, რამეთუ არა წარმოიმართეს მოძღურებითა თჳსითა. და, ვითარცა დაამჴუნა იგინი და უჩუენა მათ სიმდიდრჱ თჳსი, მაშინღა აღჰმართნა იგინი, რაჲთა უჩუენოს მათ მადლი თჳსი, მიჰყვა მათ თანა და უჩუენა მათ ნებაჲ თჳსი.

უკუეთუმცა არა ჯუარცმულ იყო და სიკუდილისა და ვნებისა გემოჲ არა ეხილვა, ვითარ-მემცა ნუგეშინის-სცა უკუდავმან მან მოკუდავთა მათ ძლევად სიკუდილისა? უკუეთუმცა ჯორცნი სიკუდიდ არა მისცნა, ყოველნივემცა ჯორცნი სიკუდილისა შიშსა შინა იყვნეს.

ხოლო მით, რამეთუ მისცნა ჯორცნი თჳსნი სიკუდიდ და განაცხოველნა დღესა მას მესამესა, და მაშინღა ნუგეშინის-სცა ყოველთა მოკუდავთა, ვითარმედ ჴელ-ეწიფების მათცა უკუდავებაჲ. აწ უკუე ვითარ-მემცა უწყოდეთ, ვითარმედ ერეოდეს ანანიაეთნი ალსა მის ცეცხლისასა ანუ დანიელ ლომთა მათ, უკუეთუმცა არა მიცემულ იყვნეს მღჳმესა მას და ცეცხლსა და გამოსრულ იყვნეს ორთავე მათგან მძლენი და დიდებულნი? ანუ ვითარ-მემცა გურწმენა იონაჲსთჳს, რამეთუ შთავარდა ზღუასა მას და არა დაიშთო, შთანთქა იგი ვეშპმან და არა განირყუნა, უკუეთუმცა ღმერთსა არა უდებ-ეყო მონაჲ იგი თჳსი, რაჲთა გამოიწეროს მის ზედა ზრახვაჲ ძისა უფლისა თჳსისაჲ?

ვითარცა განცხოველდა იონა მუცელსა შინა ვეშაპისასა მესამესა დღესა და შეეწია ნინეველთა ქადაგებითა თჳსითა, ეგრეცა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე გამოვიდა დღესა მესამესა და აცხოვნნა ყოველნი დაბადებულნი თჳსნი, რომელნი მოკლულ იყვნეს ცოდვითა. ვყოთ ამიერითგან დღესასწაული ესე ვნებისა მისისაჲ, რაჲთა არა გურცხუენოდის ყუედრებისაგან წარმართთაჲსა და ჯუარს-მცუმელთაგან.

უკუეთუ მაყუედრებდენ ჩუენ წარმართნი ჯუარითა მისითა, უწყოდედ მათ, რამეთუ მის გამო გამოცხადნეს დაფარულნი იგი მათნი და შეურაცხ-იქმნნეს თაყუანის-მცემელნი მათნი და შეურაცხ იქმნნეს ღმერთნი იგი მათნი და განქარდეს, და განქარდეს სამსახურებელნი იგი მათნი. და, ჯუარს-მცუმელნი იგი თუ ბასრობდენ სიკუდილსა მას მისსა, გულისხმა-ყვედ, რამეთუ

მის გამო აღიფხურა ქალაქი იგი მათი და განიბნინეს ნათესავნი იგი მათნი და დაჰჴსნდა მღდელობაჲ იგი მათი და აღესრულნეს აღთქუმანი მათნი.

ხოლო ჩუენ ყოვლისა მის კეთილისა წილ, რომელი მიყო ჩუენ, ვჰმადლობდეთ მას და გინებასა მისსა თავს-ვიდებდეთ და სიმდაბლესა მისსა აღვამაღლებდეთ.

და ჯუარი მისი გურწამს და ვნებაჲ მისი გუეენების და ტჯრთსა სიკუდილისა მისისასა ვიტჯრთავთ და აღდგომაჲ მისი გჯხარის და აღმაღლებასა მისსა ვქადაგებთ და მეორედ მოსლვასა მისსა ველით, განვიცდით და ეზოთა მისთა გუსურის და შემთხუევასა სასუფეველისა მისისასა გჯხარის მისა და ცხებულისა მისისა და წმიდისა სულისა აღმოვთქუათ დიდებაჲ და პატივი უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

წმიდა თეოდორე სტუდიელი
დიდსა პარასკევსა, ვითარმედ ჯერ არს, რაჲთა მარადის ვიჯსენებდეთ და განვიცდიდეთ საკჳრველებით ვნებათა ქრისტესთა*

გუაკურთხენ, მამაო.

ძმანო და მამანო, ვინ არა შეძრწუნდეს ანუ ვის არა დაუკჳრდეს სიღრმჱ საღმრთოჲსა განგებულებისაჲ, რომელი აჩუენა დღეს კაცთმოყუარებით, ვითარცა გუესმის, რამეთუ აჰა ესერა არა კმა-იყო სიმდიდრე სიტკბოებისა თჳსისა დამბადებელმან ყოველთამან. რომელმან იგი შეიმოსა ბუნებაჲ კაცობრივი, რომელმან შეჰმოსნა ცანი ღრუბლითა და ძე ღმრთისა ძე ქალწულის იწოდა, რაჲთა აღგუძარცუოს ხრწნილებაჲ და მოგუცეს მადლი საღმრთოჲსა შვილებისაჲ, არამედ განშიშულებული იგუემა უშჯულოთაგან და დაისაჯა სიკუდიდ, ვითარცა უშჯულო დასჯილთა მათ განმათავისუფლებელი და ყოველი სახჱ სატანჯუელთაჲ დაითმინა სულგრძელებით, მეუფემან ზეცისათამან და ქუეყანისათამან და ქვესკნელისათამან ვიდრეცა უფალი იგი დიდებისაჲ ჯუარს აცუეს უღმრთოთა მათ მბრძოლთა კრებულმან პილატეს მიერ პონტოელისა ძმაცუთ რწმუნებითა ამაოჲსა მის და უგულისხმოჲსა მთავრისაჲთა. არამედ ეჰა გამოუთქუმელსა სიბრძნესა და სახიერებასა ყოველთა შემოქმედისა და მეუფისა ღმრთისასა. აწ უკუე რაჲღა მაქუნდა ჩუენ სიტყჳს-გებაჲ რაჲთამცა ჯერეთ გულის-თქუმათა შინა სოფლისათა ვიქცეოდეთ და გჳყუარდენ იგინი და რაჲთამცა შევიყუარეთ მეუფე და უფალი და დამბადებელი ყოველთაჲ, რომელმან ესოდენ შემიყუარნა ჩუენ და სიკუდილითა თჳსითა უკუდავსა მას ცხოვრებასა ზიარ-მყვნა, რამეთუ სასყიდლით სყიდულ ვართ არა გახრწნადითა ოქროჲთა და ვეცხლითა, არამედ სისხლითა უბიწოჲთა, ვითარცა ტარიგისა საღმრთოჲსაჲთა, ვითარცა გუესმის მოციქულისაგან, გულისჴმა-ვყოთ ესე, ძმანო, და ვისმენდეთ ჯეროვნად და ვხედვიდეთ და მადლობით დიდების-

* იბეჭდება გამოცემიდან მარხვანი-ტრიოდიონი გვ. ფნდ-ფნვ. ახალქართულად ტექსტი იხ. გვ. 137.

ვმეტყუელებდეთ, რამეთუ ამისთჳს თქუა უფალმან სახარებასა შინა: „რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ“. ხოლო ვითარ იგი ჰურიათა დაიყუნეს სასმენელნი მათნი, მათთჳს წინაჲსწარ იტყოდა წინაჲსწარმეტყუელი და თქუა: „მისცა მათ ღმერთმან სული მწუხარებისაჲ, თუალნი, რაჲთა არა ხედვიდენ, და ყურნი, რაჲთა არა ესმოდეთ“, ხოლო ჩუენ განკრძალულად და გულისჴმის-ყოფით ვისმენდეთ ყოველსა, რაჟამს გუესმოდეს წმიდისა სახარებისაგან და მოციქულისა, და ნუ გარეწარად და უგულისხმოდ, რაჲთა არა მოიწიოს ჩუენ ზედა თქმული იგი პირველთქმულთა და სიბნელე სულისა მომატყუებელი გეენიისა საუკუნოჲსა ცეცხლისა მის უშრეტისა, არამედ უფროსღა შემძლებელ ვიქმნეთ თქუმად, მსგავსად წერილისა, ვითარმედ: „სწავლამან უფლისამან განახუნა სასმენელნი ჩუენნი, რომელი ესრეთ ისმენდეს იგი გულისჴმა-ჰყოფს, ლმობიერ იქმნების, განიწმიდების, განმხიარულდების უმეტეს ყოვლისა, რაჟამს ესმოდეს სიტყუაჲ ვნებათათჳს ქრისტესთა, რამეთუ რაჲმცა იყო უმეტეს საშინელ და განმაცჳფრებელ გონებისა, ვითარ იგი დღეინდელსა ამას დღესა აღსრულებულნი საქმენი. ღმერთი ჯუარსა ზედა დამშჭვალული და შორის ავაზაკთა დაშჯილი, ვითარმცა უშჯულოთა თანა შეირაცხა, სიტყჳსაებრ წინაჲსწარმეტყუელისა, რამეთუ მზე დაბნელებული და კრეტსაბმელი განპებული ტაძრისა მის, საფლავნი აღხუმულნი და საუკუნითგანნი მკუდარნი აღდგომილნი, ესე ყოველი ჩუენთჳს და ჩუენისა ცხორებისათჳს, რამეთუ ვითარცა-იგი ადამის მიერ ყოველნი სიკუდილსა მივეცენით, ეგრეთცა ქრისტეს მიერ აღდგომასა და უხრწნელსა მას ცხორებასა მიმთხუევად ღირს ვიქმნენით! და ვითარცა-იგი წარმდებად განმარტებულთა მათ ჴელთათჳს, ხესა მას ცნობადისასა ნეტარებისა მისგან ცხორებისა ესქორია ვიქმნენით, ეგრეთვე ახოვნებით განჰყრობილთა მათ ჴელთათჳს მაცხოვრისა ჩუენისათა ძელსა მას ცხორებისასა კუალად საშუებელთა მათ სამოთხისათა მკჳდრ-ვიქმნენით და სასუფეველსა ცათასა აღვიწიენით! რაჲმცა იყო ესოდენ ბრწყინვალე და სახარულევან? უკუეთუ ვინმე ამას იწურთიდეს დღე და ღამე, ვითარცა მოციქული იტყჳს, ვითარმედ: „არარაჲ გულსა ჩემსა დავიდევ, გარ-

ნა იესუ ქრისტე და ესეცა ჯუარცუმული“ და კუალად იტყჳს: „ხოლო ჩემდა ნუ იყოფინ სიქადულ, გარნა ჯუარითა უფლისა ჩუენისა, იესუ ქრისტესითა“. ამას იწურთიდეს წმიდანი მოციქულნი და მოწამენი და ცეცხლითა და მახჳლითა იგუემებოდეს რაჲ უწყალოდ, ბრწყინვალედ იხარებდეს, ვითარცა იტყჳს წინაჲსწარმეტყუელი დავით: „იხარებდით მართალნი უფლისა მიმართ და ყოველივე სოფლისა ამის შუებაჲ შეურაცხ-ყვეს, ვითარცა რაჲ აჩრდილი, მსწრაფლ უჩინო ყოფადი, და ვითარცა რაჲ ძონძი შეურაცხი, რაჲთამცა ქრისტე შეიძინეს, რამეთუ ესმოდა მათ, ვითარ იგი ეტყოდა მოწაფეთა თჳსთა: „არა დაგიტევნე თქუენ ობლად, არამედ მოვიდე თქუენდა, რამეთუ მცირედღა და სოფელი ესე არღარა მხედვიდეს მე, ხოლო თქუენ მხედვიდეთ მე, რამეთუ მე ცხოველ ვარ და თქუენცა ცხოველ იყვნეთ!“ და კუალად იტყჳს: „მე ვარ ვენაკი ჭეშმარიტი და თქუენ რტონი, და თქუენ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკუეთუ იქმოდეთ, რაოდენსა გამცნებ თქუენ. არღარა გეტყჳთ თქუენ მონად რამეთუ მონამან არა უწყის, რასა იქმან უფალი თჳსი, არამედ თქუენ მეგობრად გიწოდე მე, რამეთუ რაოდენი იგი მესმა მამისა ჩემისაგან, გაუწყე თქუენ, და კუალად გეტყჳ: „რომელი-ეგე დაადგერით თქუენ ჩემ თანა განსაცდელთა შინა ჩემთა, მეცა დავსდებ თქუენ თანა აღთქუმასა საუკუნესა, რაჲთა მარადის შჭამდეთ და ჰსუმიდეთ ტრაპეზსა ჩემ თანა სასუფეველსა ჩემსა“. ესე ყოველი და ესე ვითარი ესმოდეს რაჲ ღმრთის-მოყვარესა სულსა, არა ხოლო თუ განიხარებს ოდენ, არამედ გულ-მოდგინეთცა იქმნების დღითი-დღე სიკუდილად ქრისტესთჳს. ესრეთ უკუე რა, იქცეოდეს ყოველნი წმიდანი ესევითარითა წადიერებითა, განცხადნა საღმრთოჲ იგი ტრიფალებაჲ მათი წინაჲსწარმეტყუელთა შორის და მოციქულთა, რამეთუ იერემია იტყოდა: „არა დავშურ მე შემდგომად შენდა, უფალო, და დღესა მისთჳს კაცობრივისა მე არა მსუროდა“. ხოლო დავით იტყჳს: „რაჲ მივაგო უფალსა ყოველისავესთჳს, რომელი ესე მომაგო მე, სასუმელი ცხორებისაჲ მოვიღო და სახელსა უფლისასა ვხადო“. და კუალად მოციქული პავლე იტყჳს: „რამეთუ ჩუენ მოგუენიჭა ღმრთისა მიერ ქრისტესთჳს არა ხოლო თუ სარწმუნოებაჲ მისა, არამედ

ვნებაჲცა მისთჳს“. ეგრეთვე იგუემნეს-რა მოციქულნი, უხაროდა მათ, რამეთუ იტყჳს ლუკა, ვითარმედ: „ღირს იქმნნეს ტანჯვად სახელისათჳს ქრისტესისა“. და ესრეთ თჳთოეული წმიდათაგანი ესე ვითარსა ჯმასა სამადლობელსა ქრისტეს მიმართ ღაღადებდეს და იტყოდეს: აწ უკუე, ძმანო, გლოცავ თქუენ, რაჲთა ჩუენცა გულს-მოდგინედ ვისმინოთ ესე ყოველი და სიყუარულითა ყოვლად ჭეშმარიტითა შევიყუაროთ ჩუენ, რომელმან-იგი შემიყუარნა ჩუენ. ვმადლობდეთ მას მარადის ყოველთა მათთჳს კეთილთა, რაოდენი მიყვნა ჩუენ, რამეთუ გამოგჳრჩივნა ჩუენ პირველითგან საცხორებელად, და მოგჳყვანნა ჩუენ სიწმიდით მოქალაქობასა ამას მონაზონებისასა და არა შემინდო ურწმუნოებათა თანა შერაცხად, გინა ბოროტად მორწმუნეთა თანა შერთვად, არამედ მიჩინნა ჩუენ მართლმადიდებლობით მსახურებად მისსა და არა შეცთუნებად სარწმუნოებისაგან მართლისა. რაოდენნი უკუე შეცთომილ არიან სივერაგითა კაცობრივითა და მანქანებითა საცთურისაჲთა და ზაკჳთა მტერისაჲთა წარწყმედულ არიან. რაოდენნი იშთუებდინ სიყმილითა მსწრაფლითა, არა შიმშილითა პურისაჲთა, არცა წყურილითა წყლისაჲთა, არამედ სიყმილითა საღმრთოჲთა სიტყუათათა, და არა სმენითა, ვითარცა წერილ არს: „ხოლო ჩუენ მოგუმადლა, ვითარცა რაჲ სავსე ტრაპეზი სანოვაგითა, სწავლათაჲთა, წმიდა იგი წმიდათა თითო სახე იმიერ და ამიერ ყოვლით კერძოვე, ვითარცა რაჲ საშუებელი სიტყჳსა საზრდელად ჩუენდა, ვითარცა რა ოქროჲსა რჩეულისა ფიცარნი და სუეტნი ყოველნი საჯმარი ხუროვნებისა აღსაშენებელად ტაძრისა საუსებით და სიტყუანი იგი სულისა ყოვლადწმიდისანი ყოვლითურთ დამამტკიცებელნი, გონებისა და სულისანი. ვინაიცა ჟამი არს თქუმად მოციქულისა თანა: „უკუეთუ ღმერთი ჩუენ კერძო არს, ვინ არს ძჳრის-მყოფელ ჩუენდა? რომელმან იგი ძესაცა თჳსსა არა ჰრიდა ჩუენთჳს, არამედ ჩუენ ყოველთათჳს მისცა იგი სიკუდილად, ვითარ უკუე არა მითურთ ყოველთავე მოგუენიჭოს ჩუენ! ვინ არს მაბრალობელ რჩეულთა მათ ღმრთისათა? ღმერთი არს განმამართლებელ და ვინ არს დამსჯელ? ქრისტე იესუ, რომელი მოკუდა ცოდვათა ჩუენთათჳს და აღდგა განმართლებისა ჩუენისათჳს, რომელი

არს მარჯუენით მამისა ღმრთისა, რომელი მეოხ არს ჩუენთჳს, ვითარმედ ღმრთისა მიმართ და მამისა, რომელთა მოგუანიჭოს ჩუენ სასუფეველი ცათა შეუძრველი, რამეთუ მისი არს დიდება და დიდად შუენიერება, სიმტკიცე და ძლიერება, მამისა თანა სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

დიდსა პარასკევსა
საკითხავნი ვნებისათჳს და სიკუდილისა მოსაჴსენებელი მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი თქმული ანანია ებრაელისა დასისაგან შჯულის-მეცნიერისა*

რამეთუ ვცან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი წიგნთაგან საღმრთოთა და სარწმუნოებით ვისწრაფვე და აღუწერე მოსაჴსენებელი, რაჲ-იგი თქუეს ჰურიათა ღმრთისათჳს პონტოელისა პილატეს-ზე მსაჯულისა, რომელ-იგი აღწერა ნიკოდიმოს წიგნითა ებრაულითა საცნობელად ყოველთათჳს.

ანნა და კაჲაფა, სუმეს და დოდაეს, გამალიელ და იუდა, ლევი და ლეფთალი, ალექსანდრე და იროს და სხუანიცა ჰურიათაგანნი მოვიდეს პილატესა იესუჲსთჳს და შეასმენდეს მას მრავალთა საქმეთა მისთათჳს და ეტყოდეს ესრეთ: „ესე ჩუენ ვიცით იოსების ხუროჲსა მის ძედ და მარიამისგან შობილად, და იტყჳს თავსა თჳსსა ძედ ღმრთისად და მეუფედ, რამეთუ არა ხოლო თუ ამას იტყჳს, არამედ შაბათსაცა შეაგინებს და მამულისა ჩუენისა შჯულისაჲ ჰნებავს დარღუევაჲ“.

ჰრქუა მათ პილატე: „რაჲ არს, რაჲსა იქმს, და ჰნებავს დარღუევაჲ თქუენი?“ ჰრქუეს ჰურიათა მათ: „ჩუენ შჯული გუაქუს, შაბათსა შინა არა ჯერ-არს კურნებაჲ, ხოლო ესე მკელობელთა და ბრმათა კეთროანთა და ეშმაკეულთა და განრღუეულთა განჰკურნებს დღესა შაბათსა, და ბელზებულითა, ეშმაკთა მთავრითა, განასხამს ეშმაკთა და ყოველნივე მისდა დამორჩილებულ არიან“. ჰრქუა მათ პილატე: „ესე არა არს არა-წმიდათა სულთა განსხმაჲ ეშმაკთაჲ, არამედ ღმრთისაგან სკლეპაჲსა“. ჰრქუეს ჰურიათა მათ პილატეს: „ვევედრებით ჩუენ შენსა მაგას ჴელმწიფებასა, რაითა წარმოადგინო იგი აწ წინაშე საყდარსა შენსა და ისმინო მისი“. ჰრქუა მათ პილატე: „და ვითარ შემძლებელ ვარ მე, კარანი, განკითხვად მეუფისა?“ ჰრქუეს ჰურიათა მათ: „ჩუენ არა ვიტყჳთ მეუფედ, არამედ იგი თავით თჳსით იტყჳს“.

---

* იბეჭდება გამოცემიდან სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ივ. ჯავახიშვილი, თბილისი 1947. გვ. 193-199.
ახალქართულად ტექსტი იხ. გვ.141.

მოუწოდა პილატე ერთსა პასენაკსა და ჰრქუა მას: „მივედ და მშჯდობით შემოიყვანე იესუ“. და ვითარ მივიდა პასენაკი იგი, იხილა და იცნა მან იესუ და თაყვანის-სცა პირველად, მოიღო ოლარი, რომელი აქუნდა კელთა მისთა, და დაუფინა ქუეყანასა ზედა და ჰრქუა იესუს: „უფალო, ამას ზედა შემოდეგ, რამეთუ გხადის შენ კარანი“. ხოლო ჰურიათა მათ ვითარ იხილეს, რაჲ ქმნა პასენაკმან მან, ღაღადებდეს პილატეს მიმართ, იტყოდეს: „რად არა სეფე კაცითა ჰბრძანე შემოყვანებაჲ მისი, არამედ პასენაკისაგან?“ რამეთუ ვითარ-იგი იხილა იგი პასენაკმან მან, თაყუანის-სცა მას და მოიღო ოლარი, რომელი აქუნდა მას, და დაუფინა ქუეყანასა ზედა და ჰრქუა: „უფალო, ამას ზედა შემოდეგ, რამეთუ გხადის შენ მსაჯული“. ხოლო პილატე მოუწოდა პასენაკსა მას და ჰრქუა: „რაჲ ჰყავ ესე, რასა იტყჳან ჰურიანი ესე?“ ხოლო პასენაკმან მან ჰრქუა პილატეს: „უფალო, ოდეს იგი შენ მიმავლინე მე იერუსალემს უბანთა ზედა, მაშინ ვიხილე ესე კარაულსა ზედა მჯდომარე და ყრმანი ებრაელნი ღაღადებდეს და რტოები ზეთის-ხილისაჲ აქუნდა ხელთა მათთა და რომელნიმე დაუფენდეს სამოსელსა მათსა და ეტყოდეს: „გუაცხოვნენ ჩუენ, რომელი ხარ მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა“. ღაღად-ყვეს ჰურიათა მათ და იტყოდეს: „ებრაელნი ებრაელებრ ჴმობდეს, შენ ვინაჲ სცნობ ამას, რამეთუ არა იცი შენ ებრაული?“ ჰრქუა მათ პასენაკმან მან: „ვჰკითხე ვისმე მათგანსა და ვარქუ: „რაჲ არს, რასა ჴმობენ ყრმანი ესრე ებრაელნი?“ და მან მითხრა: „ოსანა“, და ესე სიტყუაჲ ესრეთ არს: „გუაცხოვნენ ჩუენ“.

ჰრქუა მას პილატე: „ვითარ ჴმობდეს ებრაელებრ?“ ჰრქუეს მას ჰურიათა მათ: „ოსანა“. ჰრქუა მათ პილატე: „და ოსანა ვითარ გამოითარგმანების?“ ჰრქუეს მას ჰურიათა მათ: „გუაცხოვნენ ჩუენ“. ჰრქუა მათ პილატე: „უკუეთუ თქუენ ეწამებით ჴმასა მას, რასა იგი ყრმები იტყოდა, პასენაკმან მან ჩემმან რაჲ იცოდა?“ ხოლო იგინი დუმნეს. ჰრქუა პილატე პასენაკსა მას: „განვედ და, რაჲთაცა სახითა გნებავს, შემოიყვანე იესუ“. ხოლო პასენაკი იგი ვითარ განვიდა, ჰყო პირველსაებრვე სახისა. და ჰრქუა იესუს პასენაკმან მან, რომელი გამოვიდა კუალად შემოყვანებად

და ჰრქუა იესუს: „უფალო, შემოვედ, რამეთუ გხადის შენ მსაჯული“. და ვითარ შემოვიდა იესუ, მუნ ეპყრნეს დრაუჟნი იგი პილატესნი, და მოდრკეს ძელნი იგი დრაუჟთანი და თაყუანის-სცეს იესუს. და იტყოდეს ჰურიანი იგი მათდა მიმართ, რომელთა ეპყრნეს დრაუჟნი იგი: „რაჲსათჳს მოსდრიკენით ძელნი ეგე დრაუჟთანი?“ ხოლო პილატე ჰრქუა მათ: „არა გიკჳრსა, ვითარ-იგი მოდრკეს ძელნი იგი დრაუჟთანი და თაყუანის-სცეს იესუს?“ ეტყოდეს ჰურიანი იგი პილატეს და ჰრქუეს: „ჩუენ უწყით, ვითარმედ მოდრიკნეს მათ, რომელთა ეპყრნეს დრაუჟნი იგი, და თაყუანი-სცეს მას“. მოუწოდა პილატე, რომელთა ეპყრნეს დრაუჟნი იგი და ჰრქუა მათ: „რაჲსათჳს ესრეთ ჰყავთ?“ ხოლო მათ ჰრქუეს პილატეს: „ჩუენ კაცნი წარმართნი ვართ და მსახურნი ტაძრისანი, ვითარმცა თაყუანის-ვეცით მას? ხოლო ჩუენ ვითარ გუეპყრნეს ძელნი დრაუჟთანი, თავით თჳსით მოდრკეს და თაყუანის-სცეს მას“. ჰრქუა პილატე მთავართა კრებულისათა და მოხუცებულთა ერისათა: „გამოერჩიენით კაცნი თქუენგანნი მჴნენი და ძლიერნი, რომელთა იპყრნენ დრაუჟნი იგი და, უკუეთუ მოდრკნენ თავით თჳსით, ვიხილოთ“. ხოლო მოხუცებულთა მათ ჰურიათა გამოირჩინეს კაცნი მჴნენი და ძლიერნი ძალითა და ექუს-ექუსთა პყრობად სცეს დრაუჟნი იგი და დადგეს წინაშე საყდართა მათ მსაჯულისათა. და ჰრქუა პილატე პასენაკსა მას: „განიყვანე იესუ გარე ტაძრისა და შემოიყვანე, ვითარ სახედცა გნებავს“. და გამოვიდა იესუ ტაძრით გარეშე და პასენაკი იგი მის თანა, და მოუწოდა პილატე, რომელთა, იგი ეპყრნეს დროშანი და ბუნნი იგი დრაუჟთანი პირველად და ჰრქუა მათ: „გეფუცები ცხორებასა კეისრისასა, უკუეთუ არა მოდრკენ დრაუჟნი ესე შემოსლვასა იესუჲსსა, თავნი თქუენნი აღვიხუნე თქუენგან“. და ბრძანა შემოყვანებაჲ იესუჲსი და პასენაკმან მან ჰყო პირველივე იგი სახჱ და ფრიად ევედრებოდა იესუს, რაჲთამცა შედგა ოლარსა მას ზედა. და შედგა იესუ და შევიდა ტაძრად. ხოლო შესლვასა მას მისსა, კუალად მოდრკეს დრაუჟნი იგი თავით თჳსით და თაყუანის-სცეს იესუს. ხოლო პილატე ვითარ იხილა, შეეშინა ფრიად და უნდა აღდგომაჲ საყდრით და ვითარ იგი განოდენ-იზრახვიდა, ცოლმან მისმან მიავლინა მისსა და ჰრქუა:

„რაჲ ძეს შენი და კაცისა მაგის მართლისაჲ, რამეთუ ფრიად მევნო მე მაგისთჳს ამას ღამესა“. ხოლო პილატე მოუწოდა ჰურიათა მათ და ლევიტელთა და ჰრქუა მათ: „თქუენ თჳთ უწყით, რამეთუ ცოლი ჩემი ღმრთის-მსახური არს ფრიად, უფროჲსღა ჰურიაებრ თქუენ თანა“. ჰრქუეს მას: „უწყით, რამეთუ ეგრეთ არს“. ჰრქუა მათ პილატე: „ესერა მოავლინა ცოლმან ჩემმან და მრქუა: „რაჲ ძეს შენი და მართლისა მაგისი, რამეთუ ფრიად მევნო მე მაგისთჳს ღამესა ამას“. მიუგეს ჰურიათა მათ და ჰრქუეს პილატეს: „არა გარქუთა, ვითარმედ მაცთური არს ეგე, ესერა სიზმრის მაჩუენებელიცა მიავლინა ცოლისა შენისა“. ხოლო პილატე მოუწოდა იესუს და ჰრქუა: „რასა ესენი შეგწამებენ, რასა იტყჳ შენ?“ ხოლო იესუ ჰრქუა მას: „უკუეთუმცა არა გაქუნდა ჴელმწიფებაჲ, არამცა იტყოდეს, ხოლო აწ კაცად-კაცადსა აქუს ჴელმწიფებაჲ პირისა თჳსისაჲ, სიტყუად კეთილისა და ბოროტისა. მაგათ იხილონ, რასა იტყჳედ“. მიუგეს მღდელთ-მოძღუართა მათ ჰურიათა და ჰრქუეს მას: „ჩუენ რაჲ ვიხილოთ, პირველ — მსგავსად ყოველთა კაცთა შობილ ხარ, მეორედ — შობასა შენსა ბეთლემს ყრმათა მოსრვაჲ იქმნა, მესამედ — მამაჲ შენი იოსებ და დედაჲ შენი მარიამ ეგჳპტედ იჳლტოდეს, ამისთჳს, რამეთუ არა აქუნდა განცადებულებაჲ ერსა შორის“.

იტყოდეს რომელნიმე მუნ მდგომარეთაგანნი კაცნი ღმრთისმოყუარენი: „ჩუენ არა ვიტყჳთ მაგას ბოროტის-მოქმედად, არამედ კეთილის-მოქმედად“. მიუგო პილატე ჰურიათა მათ და ჰრქუა, რომელნი-იგი იტყოდეს, ვითარმედ ბოროტის-მოქმედ არს: „ესე სიტყუაჲ თქუენი არა არს ჭეშმარიტ, ამისთჳს რამეთუ საცილობელ იქმნა, ვითარ-ესე იტყჳან თქუენგანნივე“. ჰრქუეს ანნა და კაჲაფა: „ესე ყოველი სიმრავლე ერისაჲ ვჴმობთ, და შენ არა გრწამს, ვითარმედ არა კეთილ არს. ხოლო ესენი მწირნი არიან და არა მოწაფენი მაგისნი“. მიუგო პილატე ანნას და კაჲაფას: „და რაჲ არს მწირობაჲ იგი?“ ჰრქუეს მას: „წარმართთა შვილნი იყვნეს და აწღა იქმნნეს ჰურია“. მიუგეს ლაზარ და ასტერი, და ნატონ და იაკობ და მნეს, ზერას და სამუელ და ისაკ, ფინეზ და კრისპა და იუდა: „ჩუენ არა მწირთაგანნი ვართ, არამედ ჰურიანი, და სამართალსა ვიტყჳთ — ესე არს ჭეშმარიტად

ცხორებაჲ ყოვლისა სოფლისაჲ“. ჰრქუა პილატე ათორმეტთა მათ კაცთა, რომელნი იტყოდეს, ვითარმედ ესე არს ცხორებაჲ სოფლისაჲ: „გაფუცებთ თქუენ ცხორებასა კეისრისასა, უკუეთუ ჭეშმარიტად არს იგი, რომელი-იგი სთქუთ, კეთილ არსა ყოვლითურთ“. ჰრქუეს მათ პილატეს: „ჩუენ შჯული გუაქუს, ნურვინ ფუცავს ცუდად, რამეთუ ცოდვაჲ არს დიდი, მაგათ ფუცონ ცხორებასა კეისრისასა, ვითარმედ არა ეგრე არს, ვითარ-ესე ჩუენ ვიტყჳთ და თანამდებ ვართ სიკუდილისა“. ჰრქუა პილატე ანნას და კაჲაფას: „არას მიუგებთა ამისთჳს?“ ჰრქუეს ანნა და კაჲაფა პილატეს: „ათორმეტთაჲ სარწმუნო გიჩნს, რამეთუ იტყჳან, ვითარმედ არა ბოროტის-მოქმედ არს, და ჩუენ ყოველნი ესე კრებულნი ვღაღადებთ, ვითარმედ წინა-აღმდგომი არს კეისრისაჲ და იტყჳს თავსა თჳსსა ძედ ღმრთისა და მეუფედ, და არა გრწამს ჩუენი“.

უბრძანა პილატე გამოსლვაჲ მათი თჳნიერ ათორმეტთა მათ კაცთა, რომელთა-იგი თქუეს, ვითარმედ ჭეშმარიტად ცხორებაჲ არს ყოველთაჲ. და იესუჲცა უბრძანა განშორებაჲ მათგან და ჰრქუა ათორმეტთა მათ პილატე: „რომლისა საქმისათჳს უნებს მოკლვაჲ იესუჲსი?“ ჰრქუეს პილატეს: „რამეთუ შური აქუს შაბათსა ჰკურნებსო“. ჰრქუა პილატე: „კეთილისა საქმისათჳს ჰნებავსა მოკვლაჲ მისი?“ ჰრქუეს მას: „ჰე“. აღიჳსო გულის-წყრომითა პილატე და გამოვიდა ტაძრით და ჰრქუა: „მოწამე არს ჩემდა მზე, რამეთუ არცა ერთსა ბრალსა ვპოებ კაცისა ამის თანა“. მიუგეს ჰურიათა მათ და ჰრქუეს პილატეს: „უკუეთუმცა არა ბოროტის-მოქმედი იყო, არა მოგუეცა ეგე ჴელთა შენთა“. ჰრქუა პილატე: “მიიყვანეთ ეგე თქუენ, და შჯულითა თქუენითა განიკითხეთ იგი“ ჰრქუეს ჰურიათა მათ: „ჩუენი არა არს მოკლვაჲ არავისი“. ჰრქუა პილატე ჰურიათა მათ: „თქუენ გრქუა ღმერთმან არავისი მოკლვაჲ“, არამედ შევიდა პილატე ტაძრად და მოხადა იესუს და ჰრქუა: „შენ ხარა მეუფე ჰურიათაჲ?“ მიუგო იესუ პილატეს და ჰრქუა: „თავით თჳსით შენ იტყჳ მაგას, ანუ სხუათა გითხრეს ჩემთჳს?“ მიუგო პილატე იესუს და ჰრქუა: „ნუუკუე მეცა ჰურიაჲ ვარა? არამედ ნათესავთა შენთა და მღდელთ-მოძღუართა მომცეს, შენ რაჲ გიქმნიეს“. მიუგო იესუ

და ჰრქუა მას: „მეუფებაჲ ჩემი არა ამის სოფლისაგან არს, უკუეთუმცა ამის სოფლისაჲ იყო, მსახურნისა ჩემნი იღუწიდეს ჩემთჳს, რათამცა არა მივეცი ჴელთა ჰურიათასა. აწ მეუფებაჲ ჩემი არა არს ამიერ სოფლით“, ჰრქუა პილატე იესუს, თუ „მეუფე ხარ შენა?“ ჰრქუა მას იესუ: „შენ იტყჳ, ვითარმედ მეუფე ვარ მე, ამისთჳს შობილ ვარ და ამისთჳსცა მოვედ სოფლად, რამეთუ ყოველი, რომელი იყოს ჭეშმარიტებისაგან, ისმინოს ჴმისა ჩემისაჲ“. ჰრქუა მას პილატე: „და ქუეყანასა ზედა არა არსა ჭეშმარიტებაჲ?“ ჰრქუა იესუ პილატეს: „ხედავა რომელნი ჭეშმარიტებასა იტყჳან, ვითარ განიკითხვიან, რომელთა აქუს ჴელმწიფებაჲ ქუეყანასა ზედა?“

და დაუტევა იესუ შინა ტაძარსა, და პილატე გამოვიდა გარე და ჰრქუა ჰურიათა მათ: „მე არცა ერთსა ბრალსა ვპოვებ მის თანა“. ჰრქუეს ჰურიათა მათ: „მაგან თქუა: შემძლებელ ვარ მე ტაძრისა ამის დარღუევასა და მესამესა დღესა აღშენებად“. ჰრქუა მათ პილატე: „რომელი ტაძარი?“ ჰრქუეს ჰურიათა მათ: „რომელი სოლომონ მეფემან აღაშენა ორმეოც და ექუსსა წელსა, იგი იტყოდა დარღუევად და აღშენებად მესამესა დღესა“. მერმე კუალად ჰრქუა პილატე ჰურიათა მათ: „უბრალომცა ვარ მე სისხლისაგან ამის მართლისა, თქუენ უწყით“. ჰრქუეს ჰურიათა მათ: „სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა“.

მოუწოდა პილატე მღდელთა და ლევიტელთა, მოხუცებულთა ერისათა, და ჰრქუა მათ თჳსაგან: „ნუ ეგრე იქმთ, რამეთუ არარაჲ არს შესმენაჲ მისი თანამდები სიკუდილისაჲ, რამეთუ შესმენაჲ თქუენი მისა მიმართ არს განკურნებისათჳს სნეულთაჲსა და შეგინებისათჳს შაბათისა“. ჰრქუეს პილატეს მოხუცებულთა მათ მღდელთა და ლევიტელთა: „უკუეთუ ვინმე კეისარი აგინოს, თანამდებ არს სიკუდილისა“. ჰრქუა მათ პილატე: „ღმერთი არა აგინა და თანამდებ არს სიკუდილისა?“ ჰრქუეს ჰურიათა პილატეს: „ჩუენ კეისარსა ვიტყჳთ, გმობდა, თანამდებ არს სიკუდილისა“. უბრძანა პილატე ჰურიათა მათ გამოსლვაჲ მათით ტაძრით და მოუწოდა იესუს და ჰრქუა: „რაჲ გიყო შენ?“ ჰრქუა იესუ პილატეს: „ესრეთ მოცემულ არს“. და ჰრქუა პილატე: „და ვითარ მოცემულ არს?“ ჰრქუა იესუ: „მოსე

და ყოველნი წინაჲსწარმეტყუელნი წინაჲთვე ქადაგებდეს სიკუდილისა ჩემისათჳს და აღდგომისა“. ესმა ესე ჰურიათა მათ და ჰრქუეს პილატეს: „ამას გმობისა უძჯრესი რაჲღა გნებავს სმენად“. ჰრქუა მათ პილატე: „უკეთუ სიტყუაჲ ესე გმობაჲ არს, მიიყვანეთ ეგე თქუენ და შჯულისაებრ თქუენისა განიკითხეთ“. ჰრქუეს მათ პილატეს: „შჯულსა ჩუენსა წერილ არს: კაცმან თუ კაცსა შესცოდოს, წერილ არს, რაჲთა სცენ მას ოცდა ათ ცხრამეტი ქოქითა, ხოლო რომელმან ღმერთსა გმოს, ქვითა განიტჯნოს“. ჰრქუა მან პილატე: „მიიყვანეთ ეგე თქუენ და, ვითარ სახედ გნებავს ეგრეთ ყაჳთ“. ჰრქუეს ჰურიათა პილატეს: „ჩუენ გუნებავს, რაჲთა ჯუარს-ეცვას“. ჰრქუა პილატე: „არა წერილ არს ჯუარს-ცუმაჲ მისი“. მიმოიხილა პილატე ერსა მას შორის ჰურიათასა, რომელი დგა მუნ და ხედვიდა, რამეთუ მრავალნიცა მათგანნი ცრემლოოდეს იესუჲსთჳს და ჰრქუა პილატე: „არა ყოველთა უნებს სიკუდილი მისი“. ჰრქუეს მღდელთ-მოძღუართა მათ პილატეს: „ამისთჳს მოველით ყოველნი ერნი შენდა, რაჲთა მოკუდეს ეგე“. ჰრქუა მათ პილატე: „რაჲსათჳს მოკუდეს?“ ჰრქუეს ჰურიათა მათ: „ვითარ თქუა თავისა თჳსისაჲ ძჲ ღმრთისაჲ ვარი მეო და მეუფჲ“.

წარმოდგა კაცი ვინმე, სახელით ნიკოდიმოს, წინაშე პილატესსა და ჰრქუა მას: „გევედრები შენსა მას ჴელმწიფებასა, მიბრძანე მე თქუმაჲ სიტყჳსაჲ მცირედისაჲ“. ჰრქუა მას პილატე: „იტყოდე“. და ჰრქუა ნიკოდიმოს: „მე ვარქჳ მოხუცებულთა მღდელთა და ლევიტელთა და ყოველსა ამას სიმრავლესა ჰურიათასა შესაკრებელსა შინა მათსა: „რასა ეძიებთ კაცისა ამის თანა? კაცმან ამან მრავალნი სასწაულნი ქმნნა მიუწუდომელნი, რომელნი არასადა ვინ ქმნნა სხუამან და არცაღა ქმნნეს ვინ. დაუტევეთ ეგე და ნუ ჰზრახავთ მაგისთჳს ბოროტსა. უკუეთუ ღმრთივ არიან სასწაულნი იგი, რომელთა იქმს, დაემტკიცოს, და უკუეთუ საცთურ არიან, დაჰჴსნდეს, რამეთუ მოსეცა მიიჳლინა ღმრთისა განგებითა ეგჳპტედ და ქმნნა სასწაულნი მრავალნი, რომელ ჰრქუა მას ღმერთმან საქმედ, წინაშე მეფისა მის მეგჳპტელისა. და იყვნეს მუნ კაცნი, რომელნი ჰმსახურებდეს ფარაოს, იანე და იამბრე, მათცა ქმნეს სასწაული, რაჲცა

ქმნა მოსე, არა მცირედნი. და ეგრე ხედვიდეს მეგჳპტელნი იგი იანეს და იამბრეს, ვითარცა ღმერთთა, ხოლო სასწაულნი იგი, რომელ ქმნნეს არა ღმერთი იყვნეს. და წარწყმდნეს იგინი და მორწმუნენიცა მათნი. და აწ დაუტევეთ კაცი ეგე, რამეთუ არა წერილ არს სიკუდილი მაგისი". ჰრქუეს ჰურიათა მათ ნიკოდიმოსს: „მოწაფე იყავ მისი და სიტყუასა მაგას მაგისთჳს იტყჳ". მიუგო ნიკოდიმოს და ჰრქუა: „ნუუკე მსაჯულიცა მისი მოწაფე იყოა, და მის წილ სიტყუასა იტყჳს? არა კეისარმან დაადგინა ამას პატივსა ზედა?" ხოლო ჰურიათა მათ გული უწყრებოდა ნიკოდიმოსისათჳს და კბილთა მათთა იღრჭენდეს მას ზედა. ჰრქუეს ჰურიათა მათ ნიკოდიმოსს: „ჭეშმარიტებაჲ მისი მიიღე შენ და ნაწილიმცა მისი მიგიღებიეს". ჰრქუა მათ ნიკოდიმოს: „ამინ, ამინ, იყავნ, იყავნ, მოვიღო, ვითარცა სთქუთ". კუალად სხუაჲ წარმოდგა და ეჳდრებოდა მსაჯულსა, რაჲთა თქუას სიტყუაჲ, ხოლო მსაჯულმან მან ჰრქუა: „რაჲცა გნებავს, იტყოდე". და თქუა კაცმან მან: „მე ოც და ათი წელი დამეყო ცხედარსა ზედა და დიდსა სალმობასა შინა ვიყავ და მოვიდა იესუ და მრავალნი ეშმაკეულნი და მრავლითა სახითა სნეულნი და მდებარენი განიკურნნეს მისგან და მეცა რომელთამე ჭაბუკთა შემიწყალეს და აღმიღეს ცხედრითურთ და მიმიღეს მისსა. და მიხილა მე იესუ, შემიწყალა და სიტყჳთ მრქუა მე: „აღდეგ და აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე". და მუნთქუესვე განვიკურნე და აღვიღე ცხედარი ჩემი და ვიდოდე". ჰრქუეს ჰურიათა პილატე: „ჰკითხე-ღა მაგას: „რაჲ დღჱ იყო, ოდეს განიკურნე". ჰრქუა პილატე კაცსა მას: „რომელსა დღესა განიკურნე?". ჰრქუა განკურნებულმან მან: „შაბათსა". ჰრქუეს ჰურიათა მათ პილატეს: „არა გითხართა შენ, ვითარმედ შაბათსა ჰკურნებს და ეშმაკთა განასხამს". და სხუაჲ ჰურიაჲ წარმოდგა და თქუა: „მე ბრმაჲ ვიყავ და ჴმაჲ მესმოდა, ხოლო პირსა არა ვხედევდი. და ვითარ თანა-წარმივიდოდა იესუ, ღაღად-ვყავ მე ჴმითა დიდითა და ვარქუ: „შემიწყალე მე, ძეო დავითისო". და შემიწყალა მე და დამდვა ჴელი მისი თუალთა ჩემთა და მუნთქუესვე აღვიხილენ". და სხუაჲ კუალად წარმოდგა და თქუა: „მე მკელობელი ვიყავ სიყრმით ჩემითგან და განმკურნა მე სიტყჳთა და აღმმართა მე

დაცემისაგან ჩემისა“. და სხუაჲ წარმოდგა და თქუა: „მე განბოკლებული ვიყავ სიყრმით ჩემითგან და განმკურნა სიტყჳთა“. და დედაკაცი ვინმე შორით ღაღადებდა და იტყოდა: „წიდოვანი ვიყავ ათორმეტ წელ და შევეხე ფესუსა სამოსლისა მისისასა და დადგა დინარებაჲ იგი სისხლისაჲ ათორმეტისა წლისაჲ“. ჰრქუეს ჰურიათა მათ: „ჩუენ შჯული გუაქუს — დედაკაცი წამებად ნუ წარმოდგებინ“. და სხუანი მრავალნი მამანი და დედანი ღაღადებდეს და იტყოდეს: „ესე კაცი წაწყმედული არს, ეშმაკნი მისდა დამორჩილებულ არიან“.

ჰრქუა მათ პილატე: „რაჲსათჳს მოძღუარნი თქუენნი არა დაემორჩილნეს?“ და სხუანი იტყოდეს: „ლაზარე ოთხისა დღისა აღადგინა“. შეეშინა მსაჯულსა ფრიად და ჰრქუა ყოველსა მას სიმრავლესა ჰურიათასა: „რაჲსათჳს გნებავს დათხევაჲ სისხლისა უბრალოჲსაჲ?“

და მოუწოდა პილატე ნიკოდიმოსს და ათორმეტთა მათ, რომელთა ჰრქუეს, ვითარმედ არა ბოროტ არს მოქმედ იესუ და ჰრქუა მათ: „რაჲ ვყო, რამეთუ შფოთი დიდი იქმნების ერსა ამას შორის“. ჰრქუეს მათ: „ჩუენ არა უწყით, მათ იხილონ, რასა იქმან“. ჰრქუა პილატე სიმრავლესა მას ჰურიათასა: „უწყი, რამეთუ ჩუეულებაჲ არს თქუენი დღესასწაულსა ამას ზატიკობისასა ერთი პყრობილთაგანი განტევებად, მაქუს ერთი დასჯილი საპყრობილესა შინა, კაცის მკლველი, რომელსა სახელი ჰქჳან ბარაბა, და მდგომარე შორის თქუენსა იესუ, რომელსა თანა არცა ერთსა ბრალსა ვპოებ. აწ ვისი გნებავს მოგმადლო და განუტეო“. ხოლო მათ ღაღად-ყვეს და თქუეს: „ბარაბა“. ჰრქუა მათ პილატე: „და რაჲ ყო იესუ, რომელსა სახელი ჰქჳან ქრისტე“. ჰრქუეს მას: „ჯუარს-ეცჳნ“.

[.....] „რამეთუ თქუა თავი თჳსი, ძე ღმრთისაჲ ვარიო და მეუფე, ამისი ვიდრემე გნებავს მეუფებაჲ და არა კეისრისაჲ?“ განრისხნა პილატე და ჰრქუა მათ: „ნათესავი თქუენი მარადის მაშფოთებელ არს და შემწეთა თქუენთა წინა-აღუდგებით“. ჰრქუეს პილატეს: „რომელთა შემწეთა იტყჳ?“ ჰრქუა მათ პილატე: „ღმერთმან თქუენმან მონებისაგან ფიცხელისა გამოგიყვანნა თქუენ, ვითარცა ჴმელსა და უდაბნოსა ზედა, გამოგზარდ-

ნა, — მანანაჲ და მწყერ-მარჯილი მოგცათ თქუენ საჭმელად, და კლდისაგან წყალნი გამოგცნეს სასუმელად, და შჯული მოგცა თქუენ, და ამას ყოველსა ზედა განარისხეთ თქუენ ღმერთი თქუენი, და ევედრა მოსე თქუენთჳს და არა მოგსრნა; და აწ ძჯრსა იტყჳთ ჩემთჳს, ვითარმედ მეფე მძულს მე“.

ღაღადებდეს ჰურიანი იგი და იტყოდეს: „ჩუენ მეუფედ არავინ ვიცით, გარნა კეისარი და იესუ. და მოგუთაცა ძღუენი მოართუეს მას აღმოსავალით, ვითარცა მეუფესა. და ესმა ჰეროდეს მოგუთა მათგან, ვითარმედ მეუფე იშვა, და უნდა მოკლვაჲ მისი. ცნა იოსებ, მამამან მისმან და წარიყვანა იგი და დედაჲ მისი და ივლტოდა ეგჳპტედ. ესმა ესე ჰეროდეს და მოსრა ყრმები ებრაელთაჲ, რომელნი შობილ იყვნეს ბეთლემს“.

ვითარცა ესმა სიტყუაჲ ესე პილატეს, შეეშინა და დადუმნა, ერნი იგი ვითარ ღაღადებდეს, და ჰრქუა მათ: „ესე არსა, რომლისაჲ უნდა ჰეროდეს სიკუდილი?“ ჰრქუეს ჰურიათა მათ: „ჰე, ეგე არს“. და მოითხოა წყალი და დაიბანნა ჴელნი წინაშე მისსა და ყოვლისა ერისა და ჰრქუა მათ: „უბრალომცა ვარ სისხლისაგან ამის მართლისა, თქუენ უწყით“. კუალად ღაღადებდეს ჰურიანი იგი და ეტყოდეს პილატეს: „სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა იყავნ“.

მაშინ ბრძანა პილატე ეზოჲსა მის წარმოტევებაჲ, რომელი განება (იგივეა, რაც „გაშლა“) წინაშე საყდართა მისთა და დაჯდა.

განჩინებაჲ პილატესი სიკუდილისათჳს იესუჲსისა*

„ნათესავთა შენთა თქუეს შენი მეუფებაჲ, ამისთჳსცა განეჩინა სიკუდილი შენი“.

და მაშინღა ბრძანა ცემაჲ მისი შოლტითა შჯულისათჳს უძლეველთა მეფეთაჲსა.

მაშინ ბრძანა დამოკიდებაჲ მისი ჯუარსა მტილსა მას თანა, და ორთა მათ ავაზაკთა მის თანა.

და ოდეს გამოვიდა იგი ადგილსა მას, განსძარცუეს მას სამოსელი თჳსი და შეჰმოსეს მას ძოწეული და გჳრგჳნი ეკლისაჲ დაადგეს თავსა მისსა, და ორნი ავაზაკნი დამოჰკიდნეს მის თანა: ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით მისა.

ხოლო იესუ იტყოდა: „მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“.

და განიყოფდეს სამოსელსა მისსა ერისაგანნი იგი. ხოლო ერი იგი დგა და ხედვიდა და ბაგეს-უყოფდეს მღდელთ-მოძღუარნი იგი და მთავარნი მათნი და იტყოდეს: „სხუანი აცხოვნნა, იცხოვნენ თავიცა თჳსი, უკუეთუ ძჱ ღმრთისაჲ არს ეგე და რჩეული მისი“.

ეკიცხევდეს ერისა-კაცნიცა იგი და გარემო მისსა ვიდოდეს და ძმარი მიუპყრეს მას და ეტყოდეს: „უკუეთუ შენ ხარ მეუფჱ ჰურიაჲთაჲ, იცხოვნე თავი შენი“.

უბრძანა სიკუდილისა განჩინებისა შემდგომად პილატე ფიცარსა რვალისასა დაწერად ბრალი მისი წიგნითა ბერძულითა და ებრაულითა და რომაელებრითა, ვითარცა თქუეს ჰურიათა მათ, ვითარმედ მეუფჱ არს ჰურიათაჲ.

ერთმან ავაზაკთაგანმან, რომელი დამოკიდებულ იყო მის თანა, რომელსა სახელი ერქუა გესპას, ჰრქუა მას: „უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, აცხოვნე თავი შენი და ჩუენცა“.

---

* იბეჭდება გამოცემიდან ნიკოდიმოსის აპოკრიფული წიგნის ქართული ვერსია., გვ. 54-73.
ახალქართულად ტექსტი იხ. გვ.149.

მიუგო მოყუასმან მისმან, რომელსა სახელი ერქუა დუმაქს, შეჰრისხნა და ჰრქუა მას: „არა გეშინისა შენ ღმრთისა, რამეთუ მასვე საშჯელსა შინა ხარ? ჩუენ სამართლად მოგუეგებვის, რაჲცა ვქმენით და სამართლად გუეევნების, ხოლო ამან არარაჲ ქმნა უწესოჲ“.

და იტყოდა, რომელმან-იგი შეჰრისხნა მოყუასსა თჳსსა: „მომიკსენე მე, უფალო, ოდეს მოხჳდე სუფევითა შენითა“.

ჰრქუა მას იესუ: „მართლიად გეტყჳ შენ, დღეს ჩემ თანა იყო სამოთხეს“.

ხოლო იყო ჟამი მეექუსე და დაბნელდა ყოველსა ქუეყანასა ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე და მზე მოაკლდა; და განიპო კრეტსაბმელი ტაძრისაჲ მის შუა, და ჴმა-ყო ჴმითა დიდითა იესუ და თქუა: „მამაო, ობია და ქეთ ფით რუთ“, რომელი გამოითარგმანების: „მამაო, ჴელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა“.

და ესე ვითარცა თქუა, აღმოუტევა სული.

და ვითარცა იხილა ასის-თავმან მან, რაჲ-იგი იქმნა, ადიდებდა ღმერთსა და იტყოდა, რამეთუ: „კაცი ესე მართალი იყო“.

და ყოველნი რომელნი მოსრულ იყვნეს ხილვად მისა, იცემდეს მკერდსა მათსა და გარე-მიიქცეოდეს.

ხოლო ასის-თავმან მან ვითარცა იხილა, მივიდა და უთხრა მსაჯულსა, რაჲ-იგი იქმნა. და ვითარცა ესმა მსაჯულსა მას და ცოლსა მისსა, შეწუხნეს ფრიად და არა ჭამეს და არცა სუეს მას დღესა შინა.

მოუწოდა პილატე ჰურიათა მათ და ჰრქუა: „იხილეთ, რაჲ-ესე იქმნა?“

ხოლო მათ ჰრქუეს: „მოკლებაჲ მზისაჲ იქმნა, ვითარცა ჩუეულებაჲ არს“.

და მუნ დგეს ყოველნი მეცნიერნი მისნი და დედანიცა, რომელნი აღმოსრულ იყვნეს გალილეაჲთ მის თანა და ხედვიდეს მას.

და მოვიდა კაცი ერთი, რომელსა სახელი ერქუა იოსებ, სახიერი და მართალი. ესე არა მათ თანა იყო ზრახვასა მას და საქმესა მასსა, რამეთუ იყო იგი არიმათიაჲთ, ქალაქისაგან ჰურიათაჲსა, რამეთუ იგიცა მოელოდა სასუფეველსა ღმრთისასა.

ესე მოვიდა და ევედრებოდა პილატეს და მოსთხოვნა ჯორცნი იესუჲსნი. და გარდამოიხუნა და წარგრაგნნა არმენაკსა წმიდასა და დასხნა იგინი საფლავსა მას გამოკუეთილსა, რომელსა არასადა ვინ დადებულ იყო.

ვითარცა ესმა ჰურიათა მათ, ვითარმედ ჯორცნი იესუჲსნი გარდამოიხუნა იოსებ, ეძიებდეს მას ჰურიანი იგი და ათორმეტთა მათ და ნიკოდიმოსს და სხუათა მრავალთა, რომელნი წარმოდგეს პილატეს წინაშე და წამეს საქმენი მისნი კეთილნი.

და გამოაცხადნეს, ვითარ ყოველნი დაემალნეს, და ნიკოდიმოს ხოლო ეჩუენა მათ. და კაცი იგი იყო მთავარი ჰურიათა შორის. და ჰრქუა მათ ნიკოდიმოს: „ვითარ მოხუედით შესაკრებელსა?“

ჰრქუეს მას ჰურიათა მათ: „შენ ვითარ მოხუედ შესაკრებელსა, რამეთუ იესუჲს თანა იყავ და ნაწილიცამცა მის თანა გაქუს მერმესა საუკუნესა?“

ჰრქუა მათ ნიკოდიმოს: „ამენ, ამენ, იყავნ ეგრეთ!“

ეგრეთვე იოსებ წარმოდგა და ჰრქუა მათ: „რაჲსათჳს შესწუხენით ჩემ ზედა, ამისთჳს, რამეთუ გამოვითხოვენ ჯორცნი იესუჲსნი? და ახალსა საფლავსა დავდევ იგი და წარვგრაგნე იგი არმენაკსა წმიდასა და მივაგორვე ლოდი კარსა საფლავისასა. ხოლო თქუენ არა კეთილი საქმე ჰქმენით მართლისა მის თანა და არცა შეიშინეთ, რამეთუ ჯუარს-აცუთ იგი, არამედ ლახურითაცა გუერდსა ეცით“.

ხოლო ჰურიათა მათ შეიპყრეს იოსებ და ბრძანეს მისი დაკრძალვაჲ ვიდრე ერთშაბათამდე და ჰრქუეს მას: „ესემცა უწყი, რამეთუ ჟამი არა არს შენ ზედა განკითხვისაჲ, რამეთუ შაბათი განთენების, უწყოდე, რამეთუ არცა დაფლვად ღირს ხარ შენ, არამედ მივსცნეთ ჯორცნი შენნი საჭმლად მფრინველთა ცისათა და მჴეცთა ქუეყანისათა“.

მიუგო იოსებ და ჰრქუა: „ესე სიტყუაჲ ამპარტავანისა გოლიათისაჲ არს, ვითარ-იგი აყუედრებდა ღმერთსა ცხოველსა და წმიდასა დავითს, რამეთუ თქუა ღმერთმან წინაჲსწარმეტყუელისაგან: ჩემი არს შურის-გებაჲ; და მე მიგაგო — იტყჳს უფალი. ხოლო აწ წინა-დაუცუეთელმან გულითა მოითხოა წყა-

ლი და დაიბანნა ჴელნი წინაშე ერისა და თქუა: უბრალო ვარ მე სისხლისაგან ამის მართლისა, თქუენ უწყით. და თქუენ მიუგეთ და არქუთ: სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა იყავნ. და აწ მეშინის მე, ნუუკუე მოიწიოს რისხვაჲ ღმრთისაჲ თქუენ ზედა, ვითარცა-იგი სთქუთ“.

და ვითარცა ესმნეს სიტყუანი ესე ჰურიათა მათ, განმწარდეს სულითა მის ზედა და მიყვნეს ჴელნი მათნი იოსების ზედა. და შეიპყრეს იგი და შეაყენეს სახლსა, რომელსა ყოვლადვე სარკუმელი არა იყო და მცველნი დაადგინნეს მის ზედა და კარნი დაჰბეჭდნეს, სადა-იგი შეეყენა იოსებ.

ხოლო შაბათსა განაჩინეს მთავართა მათ კრებულისათა და მღდელთა და ლევიტელთა, რომელნი მუნ იპოვნეს შესაკრებელსა მას ერთშაბათისასა, და აღიმსთო ყოველმან სიმრავლემან და მივიდეს შესაკრებელად და ზრახვა-ყვეს, რომლითა სიკუდილითა მოკლან იოსებ.

და ვითარ დასხდა კრებული იგი, ბრძანეს მოყვანებაჲ იოსებისი გინებითა დიდითა. და ვითარ განაღეს კარი, არავინ პოეს. და განჰკრთეს და დაუკჳრდა ყოველსა სიმრავლესა ერისასა, რამეთუ ბეჭედი ეგო უვნებელად და კლიტენი კარისანი ჰქონდეს კაიაფას. და მიერითგან არღარა იკადრეს ჴელისა მიყოფად სხუათა მათ მიმართ, რომელნი იტყოდეს წინაშე პილატესა იესუჲსთჳს.

და ვიდრე იგინი სხდესღა შესაკრებელსა შინა და დაუკჳრდებოდა იოსებისთჳს, მოვიდეს დასისაგანნი იგი, რომელნი გამოეთხოვნეს ჰურიათა მათ პილატესგან დაცვად საფლავისა მის, სადაცა ისხნეს ჯორცნი იესუჲსნი, რაჲთა არა მოვიდენ მოწაფენი მისნი და წარიპარონ იგი. და უთხრობდეს და ეტყოდეს მთავართა მათ კრებულისათა, მღდელთა და ლევიტელთა, რაჲ იგი იქმნა, ვითარმედ: „ძრვაჲ იყო დიდი ცვასა მას ჩუენსა, ანგელოზი უფლისაჲ გარდამოჴდა ზეცით და გარდააგორვა ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა და დაჯდა მას ზედა. ხოლო იყო ხილვაჲ მისი, ვითარცა ელვაჲ და სამოსელი მისი სპეტაკ, ვითარცა თოვლი. და შიშისა მისგან ვიქმნენით ჩუენ ვითარცა მკუდარნი. და გუესმოდა ჩუენ ჴმაჲ ანგელოზისაჲ მის, ვითარ ეტყოდა დე-

დათა მათ, რომელნი სხდეს საფლავსა მას თანა იესუჲსსა: ნუ გეშინინ თქუენ, უწყი, რამეთუ იესუს ეძიებთ ჯუარცუმულსა, არა არს აქა, აღდგა, ვითარცა თქუა, და აჰა ეგერა, წინა-გიძღუს თქუენ გალილეას — აჰა ესერა, გარქუ თქუენ“.

ჰრქუეს ჰურიათა მათ: „რომელთა დედათა ეტყოდა?“

ხოლო მათ ჰრქუეს: „არა უწყით, თუ ვინაჲ იყვნეს“.

ჰრქუეს ჰურიათა: „რომელი ჟამი იყო?“

ჰრქუეს დასისაგანთა მათ: „შუაღამე იყო“.

ჰრქუეს ჰურიათა მათ: „რად არა შეიპყრენით დედანი იგი“?

ჰრქუეს დასისაგანთა მათ: „ჩუენ ვითარცა მკუდარნი ვიქმნენით შიშისაგან და არა ვჰგონებდით ყოვლადვე ხილვად ნათელსა დღისასა, და ვითარმცა შევიპყრენით იგინი“?

ჰრქუეს ჰურიათა მათ: „ცხოველ არს უფალი, არა გურწამს თქუენი“.

ჰრქუეს დასისაგანთა მათ: „თქუენ ესოდენნი სასწაულნი იხილენით კაცისა მის თანა მიუწდომელნი და არა გრწმენა მისი და ჩუენი ვითარ გრწმენეს? რამეთუ კეთილად ჰფუცავთ, ვითარმედ ცხოველ არს უფალი. და ესეცა გუესმა, რომელმან გამოითხოვნა ჯორცნი იესუჲსნი, შეაყენეთ იგი საპყრობილესა და დაჰბეჭდეთ კარსა საპყრობილისასა და გან-რაჲ-აღეთ, არა ჰპოეთ იგი. აწ თქუენ მოგუეცით იოსებ და ჩუენ მოგცეთ იესუ“.

ჰრქუეს ჰურიათა მათ: „იოსებ თჳსსა ქალაქსა წარვიდა“.

ჰრქუეს დასისაგანთა მათ: „და იესუცა, ვითარცა გუესმა ანგელოზისაგან, რომელმან გარდააგორვა ლოდი იგი, ესე ჰრქუა დედათა მათ, ვითარმედ: „აჰა ეგერა, წინა-გიძღუს თქუენ გალილეას“.

ვითარცა ესმა სიტყუაჲ ესე ჰურიათა მათ, შეეშინა ფრიად და იტყოდეს ურთიერთას: „ნუუკუე განთქუან სიტყუაჲ ესე ამათ და ჰრწმენეს ყოველთა იესუჲსი“. და ზრახვა-ყვეს ჰურიათა მათ ურთიერთას და მოიღეს ვეცხლი დიდძალი და მისცეს ერისაგანთა მათ და ჰრქუეს: „ესრეთ თქუთ, ვითარმედ ვიდრე ჩუენ გუეძინა, ღამე მოვიდეს მოწაფენი მისნი და წარიპარეს იგი. უკუეთუ ესმეს მთავარსა მას, ჩუენ ვარწმუნოთ და თქუენ უზრუნველ-გყენეთ“.

ხოლო მათ მიიღეს ვეცხლი იგი და ყვეს ეგრე, ვითარცა

ისწავეს მათგან და განითქუა სიტყუაჲ ესე ჰურიათა შორის ვიდრე დღენდელად დღედმდე.

ფინეზ ვინმე მღდელი და ადას მოძღუარი და ეგეა ლევიტელი მოვიდეს გალილეაჲთ იერუსალემდ და უთხრობდეს მთავართა მათ კრებულისათა, მღდელთა და ლევიტელთა, ვითარმედ იხილეს იესუ და მოწაფენი მისნი მსხდომარენი მთასა, რომელსა ჰრქჳან მამბრექ: „ეტყოდა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა: წარვედით თქუენ ყოველსა დაბნებსა და რომელთა ჰრწმენეს თქუენი, ნათელ-სცემდით საცხორებელად, ხოლო რომელთა არა ჰრწმენეს, დაისაჯნენ. სასწაულთა მორწმუნეთა მიმართ ჰყოფდით, სახელითა ჩემითა ეშმაკთა განასხემდით და ენათა იტყოდიან და ვეშაპთა დასთრგუნევდით, და თუ ვისმე სასიკუდინე ესუას, ნუმცა ევნების. სნეულთა ჴელსა დასდებდით და განიკურნებოდიან. და ვითარცა იგი ამას ეტყოდა მოწაფეთა თჳსთა, ვიხილეთ აღმაღლებული ზეცად“.

ჰრქუეს მოხუცებულთა, მღდელთა და ლევიტელთა: „მიეცით დიდებაჲ ღმერთსა და აღგჳარეთ თქუენ, რაჲ-ესე გჳთხართ და რაჲ გესმა, ანუ რაჲ იხილეთ“.

ჰრქუეს მთხრობელთა მათ: „ცხოველ არს უფალი, ღმერთი ჩუენი, ღმერთი აბრაჰამისი, ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი, რამეთუ ესე გუესმა და ვიხილეთ იგი აღმაღლებული ზეცად“.

ჰრქუეს ჰურიათა მათ: „ამისთჳს მოხუედითა ხარებად ჩუენდა, ანუ მოხუედით ლოცვისა მიცემად ღმრთისა?“

მერმე კუალად ჰრქუეს მოხუცებულთა, მღდელთა და ლევიტელთა: „უკუეთუ ლოცვისა მიცემად მოხუედით ღმრთისა, რაჲ არს ურგებისა სიტყჳსაჲ წინაშე ყოვლისა ამის ერისა სიტყუად?“

ფინეზ მღდელმან და ადას მოძღუარმან და ეგეა ლევიტელმან ჰრქუეს მთავართა მათ კრებულისათა, მღდელთა და ლევიტელთა: „უკუეთუ სიტყუანი ესე, რომელ ვთქუენით და ვიხილეთ თუალითა ჩუენითა და გუესმა, ცოდვაჲ არს, უკუეთუ დავმალოთ, ესერა, წინაშე თქუენსა ვდგათ, რაჲცა კეთილი გიჩნს წინაშე თუალთა თქუენთა, გჳყავთ ჩუენ“.

ხოლო მათ მოიღეს წიგნი შჯულისაჲ და აფუცნეს იგინი, რაჲთა არავის უთხრან სიტყუაჲ ესე და სცეს საჭმელი და სასუმელი. განავლინნეს იგინი გარეშე ქალაქით და მისცეს ვეცხლი დიდძალი ქრთამად და სამნი კაცნი თანა წარაყვანნეს და წარვიდეს გალილეად მშჯდობით.

ხოლო ჰურიათა მათ ზრახვა-ყვეს ურთიერთას, ოდეს წარვიდეს კაცნი იგი გალილეად. დასხდეს მთავარნი იგი კრებულისანი და ლევიტელნი შესაკრებელსა მწუხარებასა შინა და იტყოდეს: „რაჲ იქმნა სასწაული ესე ისრაელსა შორის?“

ჰრქუეს ანა და კაიაფა: „რაჲსათჳს მწუხარე არს სული თქუენი? სტრატიოტთა ამათგან გურწმენეს აწ, რამეთუ ანგელოზი უფლისაჲ გარდამოჴდა ზეცით და გარდააგორვა ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა? აწ მოწაფეთა მათ მისთა მისცეს ქრთამი დიდძალი მცველთა მათ საფლავისათა და წარიხუნეს ჴორცნი იესუჲსნი, და მათ ასწავნეს სიტყუანი ესე თქუმად: ესრეთ თქუთ, ვითარმედ ანგელოზი უფლისაჲ გარდამოჴდა ზეცით და გარდააგორვა ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა. ანუ არა უწყითა, რამეთუ წინა-დაუცუეთელისაჲ არა წეს არს რწმუნებად სიტყუაჲ მისი? და ჩუენგანცა მიიღეს ქრთამი დიდძალი და ვითარცა ვასწავეთ, ეგრეცა თქუეს“.

აღდგა ნიკოდიმოს და წარმოდგა წინაშე კრებულისა მის და თქუა მართალი: „თქუენ არა უმეცარ ხართ, ერნო უფლისანო, კაცთა მათთჳს, რომელნი მოვიდეს გალილეაჲთ (რამეთუ იგინიცა მოშიშნი ღმრთისანი არიან და კაცნი მდიდარნი და მშჯდობისანი და სძულს მათ მოხუეჭაჲ), ვითარმედ იხილეს იგი მჯდომარე მთასა მამბრექსა და ასწავებდა იგი მოწაფეთა თჳსთა, და მათ წამეს, რაჲცა ესმა მისგან, რამეთუ იხილეს იგი აღმაღლებული ზეცად და არავინ ჰკითხა მათ, თუ რომლითა ხატითა აღმაღლდა. ვითარცა გუასწავებს ჩუენ წიგნი, ვითარმედ უფალი ელია აღმაღლდა ზეცად და ელისე უკმობდა მას ჴმითა დიდითა, ხოლო მან ხალენი იგი ჩამოუგდო მას, რომელი დაეცა მას ზედა. და ელისე მოიღო ხალენი იგი და მოუსუა იორდანესა და წიაღჴდა იგი და მივიდა იერიქოდ და მიეგებოდეს მას ძენი იგი წინაჲსწარმეტყუელთანი და ჰრქუეს ელისეს: სადა არს უფალი

შენი ელია? ხოლო მან ჰრქუა: აღმაღლდა ზეცად. ჰრქუეს ელისეს: ნუუკუე სულმან ღმრთისამან წარიტაცა და გარდამოაგდო იგი ერთსა მთათაგანსა? არამედ წარვიყვანნეთ კაცნი ჩუენ თანა და მოვიძიოთ იგი. და არწმუნეს ელისეს და წარვიდა მათ თანა და ეძიებდეს მას სამ დღე და არა პოეს იგი და ცნეს, რამეთუ ჭეშმარიტად აღმაღლდა. და აწ ისმინეთ ჩემი, და წარვავლინნეთ ყოველთა საზღვართა ისრაელისათა და ვიხილოთ, ნუუკუე სულისა მიერ წმიდისა აღმაღლდა იესუ, და გარდამოაგდო ერთსა მთათაგანსა“.

და სთნდეს სიტყუანი ესე ყოველთა და წარავლინნეს ყოველთა საზღვართა ისრაელისათა ძიებად იესუსა და არა პოეს. და პოეს იოსებ არიმათიას, სახლსა შინა თჳსსა, და არავინ იკადრა შეპყრობაჲ მისი.

და მოვიდეს და უთხრეს მოხუცებულთა მათ, მღდელთა და ლევიტელთა: „მოვლეთ ყოველი საზღვარი ისრაელისაჲ და არასადა ვპოეთ იესუ, ხოლო იოსებ ვიხილეთ არიმათიას“.

ვითარცა ესმა იოსებისი, განიხარეს ფრიად და მისცეს დიდებაჲ ღმერთსა ისრაელისას და ზრახვა-ყვეს მთავართა მათ კრებულისათა, მღდელთა და ლევიტელთა, რომლითა სახითა შეემთხჳნენ იოსებს.

და მოიღეს ტომარი ერთი ქარტაჲ და მიწერეს ესრეთ: „მშჳდობაჲ შენდა, და ყოველი, რაჲ არს შენი, უწყით, რამეთუ ვცოდეთ ჩუენ ღმრთისა მიმართ ისრაელისა, და ჯერ-იჩინე მოსლვაჲ მამათა შენთა თანა და შვილთა შენთა, რამეთუ შევწუხენით ჩუენ ყოველნი შენთჳს, ოდეს განვაღეთ კარი საპყრობილისაჲ მის და არა გპოვეთ შენ, უწყით, რამეთუ ზრახვაჲ ბოროტი ვიზრახეთ შენთჳს, არამედ უფალმან განაქარვა ზრახვაჲ იგი ჩუენი შენდა მომართ“.

და წარავლინნეს მოციქულნი იგი იოსებისა და მისცეს წიგნი იგი.

ხოლო იოსებ, ვითარ იხილა წიგნი იგი მათი, მოვიდა იგი მოციქულთა მათ თანა და განჰკრთეს იგინი ხილვისათჳს მისისა და შეიყვანეს იგი ნიკოდიმოსის სახლად.

და ყო ნიკოდიმოს აღაპი დიდი და ხადა ანას და კაიაფას და

მოხუცებულთა მათ ისრაელისათა და მღდელთა და ლევიტელთა სახლად მისა.

ხოლო ხვალისაგან, რომელ არს პარასკევი, აღიმსთუეს მთავართა მათ კრებულისათა, მღდელთა და ლევიტელთა და მოვიდეს ნიკოდიმოსისა.

გამოეგება ნიკოდიმოს და ჰრქუა: „მშჳდობაჲ თქუენ თანა!“

და მათცა ჰრქუეს: „მშჳდობაჲ შენ თანა, ნიკოდიმოს, და ყოველსა სახლსა შენსა და სახლსა იოსებისსა!“

შეიყვანნა იგინი ნიკოდიმოს მტილსა შინა თჯსსა. და დასხდა ყოველი იგი კრებული ერისაჲ, და იოსებ დაჯდა შორის ანაჲსა და კაიაფაჲსა და არავინ იკადრა სიტყუად მისა.

ჰრქუა მათ იოსებ: „რაჲ არს, რამეთუ მომიწოდეთ მე?“

და თუალს-უყოფდეს ნიკოდიმოსს სიტყუად მისა და ჰრქუა ნიკოდიმოს: „მამაო, პატიოსანო იოსებ, ესე შენ უწყი, რამეთუ პატიოსანნი ესე მღდელნი, მოძღუარნი და ლევიტელნი ეძიებენ რასმე სწავლად შენგან სიტყუასა ღმრთისასა“.

ხოლო იოსებ ჰრქუა: „მკითხევდ შენ მე და უთხრა მაგათ ჭეშმარიტებაჲ“.

მოიღეს წიგნი შჯულისაჲ ანა და კაიაფა და აფუცეს იოსებს და ჰრქუეს: „მიეც დიდებაჲ ღმერთსა ისრაელისასა და მიეც აღსაარებაჲ, აქარ რაჲ ეფუცა წინაჲსწარმეტყუელსა, და არა ცრუდ ეფუცა მას, არამედ უთხრა მას ჭეშმარიტი და არარაჲ დაუმალა მას სიტყუაჲ, და შენცა ნუ დაგჳმალავ ჩუენ ვიდრე ერთად სიტყუადმდე“.

და ჰრქუა იოსებ: „ცხოველ არს უფალი, არასადა დაგიმალო ერთიცა სიტყუაჲ“.

ჰრქუეს მას: „წუხილით შევწუხენით ჩუენ, რამეთუ მოითხოვენ ჴორცნი იესუჲსნი და წარჰგრაგნენ არმენაკსა წმიდასა და დასდევ საფლავსა შინა. და ამისთჳსცა შეგაგდეთ შენ სახლსა ბნელსა და კლიტითა და ბეჭდითა დავჰკრძალეთ კარი იგი. და ერთშაბათსაღა განვაღეთ კარი და არა გპოეთ შენ და დავწუხენით ჩუენ ფრიად და შიში დაეცა ყოველსა ამას ერსა უფლისასა ვიდრე გუშინდლად დღემდე, ვიდრემდის გჳთხრეს შენი. და აწ გჳთხარ ჩუენ ჭეშმარიტად, რაჲ იქმნა შენ ზედა?“

ჰრქუა მათ იოსებ: პარასკევსა, მეათესა ჟამსა შემაგდეთ მე და დავადგერ მუნ შინა შაბათსა დღე ყოველ და შუაღამესა ოდენ, ვითარ ვდეგ და ვილოცევდ სახლსა მას შინა, სადა შემაყენეთ მე, ზე დამოეკიდნეს ოთხნივე ყურენი სახლისანი და ვიხილე, ვითარცა ელვაჲ, ნათელი დიდი თუალითა ჩემითა, შემეშინა და დავეცი ქუეყანასა ზედა და მიპყრა ჴელი ჩემი და გამომიყვანა მე მის ადგილისაგან, სადა ვიყავ დაცემულ, და წყალი დიდძალი გარდამესხა თავსა ჩემსა ვიდრე ფერჴთამდე და სული სურნელებისაჲ მეცემოდა ცხჳრთა ჩემთა, და განჴოცა პირი ჩემი და ამბორს-მიყო და მრქუა: აღიხილენ თუალნი შენნი, იოსებ, ნუ გეშინინ, და იხილე, ვინ არს, რომელი-ესე გეტყჳს შენ. და აღვიხილენ თუალნი ჩემნი და ვიხილე იესუ და შევძრწუნდი მე ფრიად და ეგრე ვჰგონებდ, ვითარმედ ნუუკუე უცნებაჲ რაჲმე არს ესე და ვიწყე ბრძანებასა უფლისასა სიტყუად, და იგი თავადი ჩემ თანავე იტყოდა. და არა უწყით-ა, თუ ვისმე უცნებაჲ შეემთხჳოს და ესმნენ მას ბრძანებანი უფლისანი, სივლტოლით ივლტინ მისგან? ხოლო მე ვიხილე, რამეთუ ჩემ თანავე იტყოდა. და მე ვარქუ მას: მოძღუარ, ელია ხარ-ა? და მან თავადმან მრქუა მე: არა ვარ მე ელია. და ვარქუ მას: შენ ვინ ხარ, უფალო? და მან მრქუა: მე ვარ იესუ, ვისნიცა ჯორცნი გამოითხოვენ პილატჱსგან და წარჰგრაგნენ არამენაკსა წმიდასა და სუდარი უკუ-მდევ პირსა ჩემსა და დამდევ ახალსა საფლავსა. და მე ვარქუ მას, რომელი-იგი მეტყოდა მე: მიჩუენე მე ადგილი იგი, სადა დაგდევ შენ, და სუდარი, რომელი დავბურე პირსა შენსა, და ვცნა ჭეშმარიტად, რამეთუ იესუ ხარ შენ. ხოლო მან მიპყრა ჴელი ჩემი და დამადგინა კართა ჯშულთა, შუვა სახლსა ჩემსა და მრქუა მე: მშჯობაჲ შენ თანა, და ამბორს-მიყო მე და მრქუა მე: ვიდრე ორმეოც დღედმდე ნუ გამოხუალ სახლით შენით. აჰა ესერა მივალ ძმათა ჩემთა თანა გალილეად“.

და ვითარ ესმნეს სიტყუანი ესე მთავართა მათ კრებულისათა, მღდელთა და ლევიტელთა იოსებისგან, შეიქმნნეს ვითარცა მკუდარნი და დაეცნეს ქუეყანასა ზედა და იმარხვიდეს ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე.

ნუგეშინის-სცემდა მათ ნიკოდიმოს და იოსებ და ეტყოდეს:

„აღდეგით და დადეგით ფერჯთა ზედა თქუენთა და ჭამეთ პური და განძლიერდით სულითა თქუენითა“.

და აღდგეს და ილოცეს ღმრთისა მიმართ, ჭამეს და სუეს და წარვიდა კაცად-კაცადი სახედ თჳსა.

ხოლო მას შაბათსა შეკრბეს მღდელთ-მოძღუარნი იგი, მღდელნი და ლევიტელნი და გამოეძიებდეს ურთიერთას და იტყოდეს: „რაჲ არს რისხვაჲ ესე, რომელ მოვიდა ჩუენ ზედა? რამეთუ ვიცით მამაჲ მისი და დედაჲ მისი“.

ჰრქუა მათ მოძღუარმან ლევი: „უწყით, რამეთუ მამა-დედანი მისნი მოშიშნი ღმრთისანი იყვნეს და ლოცვასა არა დასცხრებოდეს და ათეულსაცა მისცემდეს რაჲ წელიწად სამჯერ. და ოდეს იშვა იესუ, აღმოიყვანეს იგი მამა-დედათა მისთა ამას ადგილსა და მსხუერპლი და შესაწირავი შეწირეს ღმრთისა. და ოდეს მიიქუა იგი დიდმან მღდელმან სჳმეონ, შთაისუა იგი წიაღთა თჳსთა და ეტყოდა: აწ განმიტევე მონაჲ შენი, მსგავსად სიტყჳსა შენისა მშჳდობით, რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებაჲ შენი, რომელი განუმზადე წინაშე პირსა ყოვლისა ერისასა, ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა. და აკურთხნა იგინი სჳმეონ და ჰრქუა მარიამს, დედასა მისსა: აჰა ესერა, გახარებ თქუენ ყრმისა ამისთჳს დღეს. ჰრქუა მას მარიამ: კეთილ არს, უფალო ჩემო, კეთილ არს. და ჰრქუა სჳმეონ მარიამს: აჰა ესერა, ესე დგას დაცემად და აღდგინებად მრავალთა ისრაელსა შორის და სასწაულად მაცილობელთა. და შენსაცა სულსა განვიდეს მახჳლ, რაჲთა განცხადნენ მარვალთაგან გულთა ზრახვანი“.

ჰრქუეს ლევის მოძღუარსა: „ესე შენ ვინაჲ გესმა?“

ჰრქუა მათ ლევი: „არა უწყითა, რამეთუ მისგან ვისწავე შჯული?“

ჰრქუეს მას კრებულისაგანთა: „მამაჲ შენი გუნებავს, რაჲთა ვიხილოთ“.

და მიაველინეს მამისა მისისა და მოიყვანეს იგი. და ვითარ მოვიდა მამაჲ მისი, ჰრქუა მათ: „რაჲსათჳს არა გრწამს ძისა ჩემისაჲ, რამეთუ ნეტარმან და მართალმან სჳმეონ განსწავლა იგი შჯულსა ღმრთისასა?“

ჰრქუა კრებულმან მან ერისამან: „ჭეშმარიტ არს სიტყუაჲ ესე, რომელი სთქუ“.

განიზრახეს ურთიერთას მთავართა მათ კრებულისათა, მღდელთა და ლევიტელთა: „მოვედით და მივავლინნეთ გალილეად კაცთა მათთჳს, რომელნი მოვიდეს და გჳთხრნეს ჩუენ სწავლისა მისთჳს და აღმაღლებისა მისისა, რაჲთა გჳთხრან ჭეშმარიტი, ვითარ იხილეს იგი აღმაღლებული ზეცად“.

და სთნდა სიტყუაჲ ესე ყოველთა. და წარავლინნეს სამნი კაცნი, რომელნიცა პირველად მისრულ იყვნეს გალილეად და ჰრქუეს მათ: „უთხართ მოძღუარსა ადას და მოძღუარსა ფინეზს და ეგეას ლევიტელსა: გამოძიებაჲ იყო სიტყჳსაჲ ამის კრებულსა შორის და მივავლინენით კაცნი ესე ხიდად თქუენდა, რაჲთა მოხჳდეთ წმიდად ქალაქად იერუსალემად“.

და წარვიდეს კაცნი იგი გალილეად და პოვნეს იგინი მსხდომარენი და იწურთიდეს შჯულსა ღმრთისასა. და მოიკითხნეს იგინი მშჳდობით.

და ჰრქუეს კაცთა მათ: „რაჲსა მოხუედით?“

და ჰრქუეს მოვლინებულთა მათ: „გჳადის თქუენ კრებული ქალაქად წმიდად იერუსალემად“.

ვითარ ესმა კაცთა მათ, რამეთუ ეძიებდეს მათ კრებული, მადლი მისცეს ღმერთსა, და ინაჯ-იდგეს კაცთა მათ თანა და ჭამეს და სუეს. და აღდგეს და მოვიდეს იერუსალემდ.

ხვალისა დღე დასხდა კრებული იგი შესაკრებელსა შინა. ჰკითხვიდეს მათ და ეტყოდეს: „ჭეშმარიტად გჳთხართ ჩუენ, თუ ნანდჳლ იხილეთ იესუ მჯდომარე მთასა მას ზედა მამბრექსა, და ასწავებდა იგი ათერთმეტთა მოწაფეთა თჳსთა და ვითარ იხილეთ იგი აღმაღლებული ზეცად?“

მიუგეს კაცთა მათ და ჰრქუეს: „ჰე, ვიხილეთ იგი ჭეშმარიტად აღმაღლებული ზეცად“.

თქუეს მთავართა მათ კრებულისათა: „განაშორენით იგინი ურთიერთას და ვიხილნეთ უკუე, შეეტყუებოდიანა სიტყუანი მათნი?“

და განაშორნეს იგინი, და მიიყვანეს პირველად ადას და ჰრქუეს: „გჳთხარ ჩუენ სამართალი, ვითარ იხილე იგი აღმაღლებული?“

ჰრქუა მათ ადას, რამეთუ: „ჯდა იგი მთასა მამბრექსა და ასწავებდა მოწაფეთა თჳსთა და ღრუბლითა აღმაღლდა ზეცად, და მოწაფენი მისნი დაცჳვეს პირსა ზედა და ილოცვიდეს“.

და მოიყვანეს ფინეზ მღდელი და მასცა ჰკითხეს და ჰრქუეს: „ვითარ იხილე შენ იესუ აღმაღლებული?“ და მანცა ეგრეთვე სახედ თქუა.

ჰკითხეს ეგეას ლევიტელსა და ეგრეთვე თქუა მანცა.

და თქუა კრებულმან ერისამან: „შჯულსა წერილ არს მოსესსა: პირითა ორისა და სამისა მოწამისაჲთა დაემტკიცოს ყოველი სიტყუაჲ“.

თქუა ბუნდი მოძღუარმან: „დაწერილ არს შჯულსა: ვიდოდა ენუქ ღმრთისა თანა და წარიყვანა იგი“.

იაროს მოძღუარმან თქუა: „წმიდისა მოსეს სიკუდილი გუესმა, არა თუ ვიხილეთ, არამედ წერილ არს შჯულსა უფლისასა, და მოკუდა მოსე პირითა ღმრთისაჲთა და არავინ იცის კი მან საფლავი მისი ვიდრე დღენდელად დღედმდე“.

მოძღუარმან ლევი თქუა, რამეთუ მოძღუარმან სჳმეონ თქუა, ვითარ იხილა იესუ: „ესერა დგას დაცემად მრავალთა ისრაელსა შორის და სასწაულად სიტყჳს-მგებელთა“.

მოძღუარმან ისაკ თქუა: „წერილ არს შჯულსა: აჰა ესერა, წარვავლინო ანგელოზი ჩემი წინაშე შენსა, რომელმან განმზადნეს ყოველნი გზანი შენნი, რამეთუ სახელი ჩემი წოდებულ არს შენ ზედა“.

ანა და კაიაფა თქუეს: „მართალი სთქუთ, ვითარცა წერილ არს შჯულსა მოსესსა, რამეთუ ენუქის სიკუდილი არავინ იხილა და წმიდისა მოსეს სიკუდილი არავინ იხილა. ხოლო იესუ სიტყუას-უგებდა პილატეს და ვიხილეთ მისი ყურიმლის-ცემაჲ და პირსა მისსა ჰნერწყუვიდეს და გჳრგჳნი ეკლისაჲ დაადგეს თავსა მისსა სტრატიოტთა და შოლტითა სცეს მას. და სიკუდილი მისი განაჩინა პილატე, და ძელსა ზედა ჯუარს-აცუეს იგი და ორნი ავაზაკნი მის თანა, და ძმარი და ნაღველი მიუპყრეს მას, და გუერდსა მისსა უგუმირა ლახურითა ლონგილოზ სტრატიოტმან, და ჯორცნი მისი გამოითხოვნა პილატესგან მამამან ჩუენმან იოსებ, და ვითარ იტყჳთ, ვითარმედ აღდგა იგი, ანუ

ვითარ იტყჳან სამნი ესე მოძღუარნი, ვითარმედ ვიხილეთ იგი აღმაღლებული ზეცად? რამეთუ მოძღუარმან ლევი წამა მოძღურისა თჳსისა სჳმეონისთჳს, რამეთუ აჰა ესერა, დგას დაცემად და აღდგინებად მრავალთა ისრაელსა შორის და სასწაულად სიტყჳს-მგებელთა?“

ჰრქუეს მოძღუართა ყოველსა ერსა უფლისასა: „უკუეთუ უფლისა მიერ იქმნა ესე და არს საკჳრველ წინაშე თუალთა ჩვენთა; უწყებით უწყოდეთ ყოველმან სახლმან იუდაჲსმან, რამეთუ წერილ არს: „წყეულ იყავნ ყოველი, რომელი დამოეკიდოს ძელსა“, და სხუაჲ წიგნი გუასწავებს: „ღმერთმან, რომელმან ცაჲ და ქუეყანაჲ არა შექმნა, წარწყმდეს“.

და ჰრქუეს მოხუცებულთა და მღდელთა ურთიერთას: „უკუეთუ სჳმეონისგან, რომელსა სახელი ერქუა იოველ, საჴსენებელი მისი არს, ეწყოდეთ ყოველმან, რამეთუ დაემტკიცოს უკუნისამდე და აღადგინოს თავისა თჳსისა ერი ახალი“.

და შეუთხრეს მოხუცებულთა მათ, მღდელთა და ლევიტელთა ყოველსა ისრაელსა და ეტყოდეს: „წყეულ იყავნ კაცი იგი, რომელმან ქმნულსა ჴელთა კაცთასა თაყუანის-სცეს, და წყეულ იყავნ კაცი იგი, რომელმან დაბადებულთა, თჳნიერ დამბადებელისა, თაყუანის-სცეს“.

და თქუა ყოველმან ერმან: „ამენ“.

და უგალობდა ყოველი ერი უფალსა და თქუა: „კურთხეულ არს უფალი ღმერთი, რომელმან მოსცა განსუენებაჲ ერსა თჳსსა ისრაელსა, ყოველი რაჲცა თქუა, არა დავარდა არცა ერთი სიტყუაჲ ყოველთაგან სიტყუათა მისთა კეთილთაჲ, რაჲცა-იგი თქუა პირითა მონისა თჳსისა მოსესითა: იყავნ უფალი ღმერთი ჩუენ თანა, ვითარცა-იგი იყო მამათა ჩუენთა თანა, და ნუ დამიტევებნ ჩუენ უფალი და ნუცამცა განმეშორებინ ჩუენგან, რაჲთა მოდრკეს გული ჩუენი მისა მიმართ, რაჲთა ვიდოდით ყოველთა გზათა მისთა და რაჲთა ვიმარხვიდეთ, ყოველთა სამართალთა და მცნებათა მისთა, რომელ ამცნო მამათა ჩუენთა. და იყავნ უფალი მეუფე ყოველსა ქუყანასა მას დღესა, იყოს უფალი ერთ და სახელი მისი მიუწდომელ, უფალი მეუფედ ჩუენდა და მან თავადმან მაცხოვნნეს ჩუენ. არავინ არს მსგავს შენდა ღმერთთა შორის,

უფალო, დიდ ხარ შენ, უფალო, და დიდ არს სახელი შენი. და ძალითა შენითა ჰყავ ესე ყოველი, გუაცხოვნენ ჩუენ, უფალო, და ვცხონდეთ, რამეთუ ნაწილნი სამკჳდრებელისა შენისანი ვართ, რამეთუ არა დააგდოს უფალმან ერი თჳსი სახელისათჳს წმიდისა მისისა, რამეთუ იწყო უფალმან ყოფად მათდა ერად თავისა თჳსისა".

და ესრეთ უგალობდეს და აქებდეს ღმერთსა და წარვიდა კაცად-კაცადი შეშინებული და შეძრწუნებული სახედ თჳსა და ყოველნი ერთობით აქებდეს და ადიდებდეს ქრისტესა, ჯუარცუმულსა და აღდგომილსა და აღმაღლებულსა ზეცად დიდებით, რომელსა შუენის დიდებაჲ, პატივი და თაყუანის-ცემაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

წმიდა მაქსიმე აღმსარებელი ღვთისმშობლის ცხოვრება*

მოიწია უმეტესისაცა მოღუაწებისა ჟამი და აღემართა ჯუარი, რაჲთა ჯუარს-აცუან მეუფე ანგელოსთა, და კაცთაჲ და ყოველთა დაბადებულთა შემოქმედი ჯუარს-აცუეს მთავარი და ჴელმწიფე ხილულთა და უხილავთაჲ. ეჰა ვითარ თავს-იდვა ქუეყანამან და არა დადნა! ვითარ იხილა ცამან და არა განილია, რაჟამს მჯდომარე იგი საყდართა ქერობინთა და დიდებული სერაბინთა მიერ, რომლისა ჴელთა არიან ცანი ცათანი, ძჯრის-მოქმედთა თანა ძელსა დამოეკიდა! მჯდომარე მამისა თანა და სულისა წმიდისა შეურაცხად ჯუარს-ეცუა. რომელმან შეიმოსა ნათელი, ვითარცა სამოსელი, შიშუელი ჯუარსა დაემშჭუალა და სამოსელი იგი მოქსოვილი ჴელითა წმიდისა მის და უბიწოჲსა დედისაჲთა მკლველთა მათ აღსძუარცუეს და განიყვეს. სამშჭულითა შემშჭუალნეს ჴელნი იგი დამბადებელნი ყოველთანი, მპყრობელნი ცისა და ქუეყანისანი. ჰ სახიერებაჲ მეუფისაჲ! ჰ სულგრძელებაჲ აღურაცხელი! ვინმე იტყოდის ძლიერებათა უფლისათა და სასმენელ-ყვნეს ყოველნი ქებულებანი მისნი? მაშინ, დედაო ქრისტესო, სულსაცა შენსა განვიდა მახჳლი, ვითარცა სჴმეონ გეტყოდა. მაშინ გულსა შენსა განეწონებოდეს ჴელთა უფლისათა განწონილნი იგი სამშჭუალნი. უმეტესად გერეოდეს შენ ვნებანი იგი ვიდრე ყოვლად ძლიერსა, მას ძესა შენსა, რამეთუ მას ნებსით ევნებოდა და უწყოდა ყოველი მომავალი მის ზედა, და ესოდენ ევედრებოდა, რავდენცა ენება ჴელმწიფებაჲ. აქუნდა დადებად სული თჳსი და ჴელმწიფებაჲ, აქუნდა კუალად მოღებად იგი, ვითარცა სახარებასა შინა იტყჳს, ხოლო შენ აღურაცხელად გელმოდა და საიდუმლოსა მას ვნებისასა ჯერეთ უმეცარ იყავ, და სიმრავლე იგი ვნებათაჲ მათ და წყლულებათაჲ გულსა შენსა განეწონებოდა, უხრწნელ-

---

* იბეჭდება გამოცემიდან Maxsime le Confesseur .Vie de la Vierge. Lovani. 1986. გვ.99-111.

ახალქართულად ტექსტი იხ. გვ.161.

თა მათ წყლულებათა მისთასა ნაკადულნი სისხლისანი გარდამოვიდოდეს. ხოლო თუალთაგან შენთა წყარონი ცრემლთანი გარდამოდიოდეს. ვითარმე თავს-იდევ ხილვად ესევითარისა საშინელისა ხილვისა, გარნა მადლმან და ძლიერებამან უფლისა და ძისა შენისამან განგაძლიერა და განგამტკიცა. დიდებაჲ წყალობასა მისსა.

მაშინ სახიერი იგი ძჯრის-მოქმედთა მათთჳს მამასა ევედრებოდა და შენდობასა უთხოვდა. ჰ სიტკბოებაჲ მეუფისაჲ მის! ხოლო უღმრთონი იგი, ვითარცა ძაღლნი, კბილთა იღრჭენდეს მის ზედა, შურს-იგებდეს ჰბასრობდეს, აყუედრებდეს და ეკიცხევდეს. კეთილად გამოსახნა გონებანი და საქმენი მათნი დავით და თქუა მაგიერ უფლისა: აღაღეს ჩემ ზედა პირი მათი, ვითარცა ლომმან მტაცებელმან და მყჯრალმან, გარემომადგეს მე ძაღლებრ მრავალ და კრებულმან უკეთურმან მომიცვა მე, განჯურიტნეს ჴელნი ჩემნი და ფერჴნი ჩემნი და აღრაცხეს ყოველი ძუალები ჩემი (ფსალმ. 21; 14, 17-18). ეგრეთვე წმიდაჲ სახარებაჲცა წამებს, ვითარმედ: თანა-წარმავალნი იგი ჰგმობდეს მას და ყრიდეს თავთა მათთა და იტყოდეს: ეჰა რომელი დაარღუევ ტაძარსა მას და მესამესა დღესა აღაშენებდ, იჴსენ თავი შენი და გარდამოჴედ ჯუარით! (მათე 27, 40). და ესეცა მოესწავა დიდსა დავითს, ვითარმედ: ყუედრებანი მაყუედრებელთა შენთანი დამეცნეს ჩემ ზედა, და კუალად იტყჳს: ყუედრებაჲ დაითმინა სულმან ჩემმან და გლახაკობაჲ, ველოდე მე თანა-მჭუარსა და არა იყო ნუგეშინის-მცემელ სადამე. მე არა ვპოვე, არამედ გჳთხარ, წინაჲსწარმეტყუელო, ნუგეშინის-ცემისა წილ რაჲ მისაგებელი ქმნეს. მცეს მე საჭმელად ჩემდა ნავღელიო და წყურილსა ჩემსა მასუეს მე ძმარი. ესე იყვნეს ნუგეშინის-ცემანი მათნი და თანა-ზრუნვანი, ესე იყვნეს ნაცვალნი კეთილთა მისთანი. ხოლო დედაჲ იგი უბიწოჲ და კურთხეული, ამას ყოველსა რაჲ ხედვიდა და ესმოდა, სიტყუანი მაყუედრებელთანი მის თანა, ვითარცა ისარნი, განეწონებოდეს... ხოლო სამშჭუალნი იგი ძისა მისისანი, ვითარცა ლახუარნი განჰგუმერდეს გულსა მისსა. მაშინ ქუეყანაჲ იძრვოდა და ჯოჯოხეთი ქუეშე იმუსრვოდა, და ცაჲ დაბნელდებოდა, რამეთუ მნათობთა ნათელი მოაკლდა და ყოველ-

ნივე დაბადებულნი იგლოვდეს და ზეშთა ცასა ცათაჲსა ძალნი ძრწოდეს, რომელნიმე ზეცით იჭურეტდეს და საკჳრველებასა მას განიცდიდეს, სხუანი თხემისა ადგილადმდე მოიწეოდეს და კადნიერებასა მას ზედა ჰურიათასა განკჳრვებულ იყვნეს, და სულგრძელებასა მეუფისასა ადიდებდეს და განდგომილთა მათ ზედა და ბოროტთა მათ მონათა რისხვეულ იყვნეს, და ჴელ-ჰყოფდეს დანთქმად ქუესკნელთა ღმრთის-მკლველთა მათ, რაჲთამცა საფლავ ექმნა ჯოჯოხეთი მათ ყოველთა, არამედ ძალი და წყალობაჲ ქრისტესი აყენებდა შურის-გებასა მათსა და ხილ-ულთა და უხილავთა დაბადებულთა აღჳრ-ასხმიდა, რომელ არა დაიქცეს სოფელი მეყსა შინა, რამეთუ პირველვე ამათ მოუწოდა მოსე მოწამედ მედგრობისა მის ჰურიათაჲსა, ვითარცა იტყჳს: მოიხილე, ცაო, და ვიტყოდი და ისმენდინ ქუეყანაჲ სიტყუათა პირისა ჩემისათა, და შემდგომი ამისი და იერემიას მიერ ფრიად აყუედრა მათ და თქუა: განკჳრდა ამას ზედა ცაჲ და შეძრწუნდა ქუეყანაჲ, იტყჳს უფალი, რაჲთა აღურაცხელნი იგი ქველის-მო-ქმედებანი მისნი დაივიწყნეს, და კეთილთა წილ ბოროტი მიაგეს.

მაშინ უკუე ყოველნი დაბადებულნი განკჳრვებულნი ძრ-წოდეს, ხოლო ყოვლად-წმიდაჲ იგი დედაჲ ყოველსა მას ზედა უმეტესად გოდებდა და ნუგეშინის-ცემაჲ მისი არა იყო, არამედ, ვითარცა ღამესა შინა უკუნსა, ესრეთ გარემოცულ იყო მწუხ-არებისაგან და გლოვისა, სწადოდა მიახლებად და სიტყუად სახ-იერისა მის და ტკბილისა უფლისა. ხოლო სიმრავლისაგან გარე-მოდგომილისა მის ერისა ვერ მიეახლებოდა, არამედ შორით დგა და გოდებდა, ჴელთა განიპყრობდა, მკერდსა იცემდა და სიღ-რმითგან გულისა სულთ-ითქუმიდა, და ტანჯვათა მისთა განიც-დიდა, და ცრემლითა ქუეყანასა დაალტობდა. ხოლო ვინაჲთგან ყოველი ძჳრი აჩუენეს ჯუარს-ცუმასა მას ჯუარის-მცუმელთა, და ღმრთის-მბრძოლნი იგი მიმოიყარნეს, რომელნიმე სადილო-ბად წარვიდეს, რომელნიმე სხუად საქმედ განიბნინეს, იშუებდეს და იხარებდეს, ვითარმცა ძლევაჲ რაჲმე იქმნა, და ფრიადი იგი ცვაჲ უდებ-ყვეს მჴედართა მათ. მაშინღა დედაჲ იგი მგლოვარე მიეახლა ძესა მას საწადელსა, და რასა იგი იტყოდა და ვითარ იქცეოდა, რომელმანცა ენამან გამოთქუა? შეზავებულ იყვნეს სი-

ტყუანი მისნი ცრემლითა და სიბრძნითა, რამეთუ დედაჲ იყო სიბრძნისაჲ, და არა ეგებოდა თუმცა უწესოჲ რაჲმე თქუა ანუ აჩუენა, არამედ ყოველივე წესიერად დაცვა კეთილად და მშჳდობად მრავალსახე იყო გლოვაჲ მისი. ჳნებათა მათ და წყლულებათა ტკბილისა მის მეუფისა და ძისათა მწარედ გოდებდა, ჳნებულისა მის და ჩუენ-თჳს ჯუარს-ცუმულისა სულგრძელებასა და თავსდებასა ადიდებდა, და განკჳრვებულ იყო ღმრთის-მკელელთა მათ კადნიერებასა და უმადლოებასა აბრალობდა, და ვთქუა, თუ მათისა წარწყმედისათჳს ტიროდა და უფლისა მიმართ იტყოდა:

რაჲ არს ესე, მეუფეო და ძეო და ღმერთო ჩემო, რაჲ არს ესოდენი სულგრძელებაჲ შენი? ვითარ უშჯულოთა თანა შეირაცხე უცოდველი ეგე? და უფროჲსად აღმღებელი ცოდვათა სოფლისათა — დაშჯილთა თანა, მსაჯული ეგე ცხოველთა და მკუდართაჲ? რაჲ არს სიღრმე ესე და უფსკრული ესოდენისა სიმდაბლისა და ძჳრის-უჴსენებელობისა და კაცთ-მოყუარებისა შენისაჲ? არა კმა იყოა რომელ ღმერთი კაც იქმენ ჩუენ თჳს? არა კმა ყვნესა ესოდენნი შრომანი და ჭირნი და განსაცდელნი და დევნულებანი, შურნი და ჴდომანი, ცილის-წამებანი და ბრალობანი, რომელნი შობითგან აქამომდე თავს-ისხენ ჰურიათაგან ცხორებისათჳს კაცთაჲსა? არამედ აწ ესერა: ძელსაცა დამოგკიდეს დამშჭუალული! ჱ მათი იგი უშჯულოებაჲ, უმადლობაჲ და კადნიერებაჲ და შენი ესე, სახიერო, თავს-დებაჲ და ძჳრუჴსენებელობაჲ! ესე არიან ნაცვალნი ძუელთაჲ მათ და ახალთა ქუელის-მოქმედებათა შენთანი! მრავალსახედ გტანჯეს უშჯულოთა ჰურიათა, რომელმან ეგე ფერად-ფერადად სტანჯე მათთჳს ეგჳპტე! პირველ კუართი ბასრობისაჲ შთაგაცუეს, რომელ ღრუბლითა ნათლისაჲთა ოდესმე ჰფარვდი მათ და ვითარცა მამაჲ შვილთა, უძღოდე და დაიცვენ იგინი, ვითარცა გუგაჲ თუალისაჲ. ეკლისა გჳრგჳნი დაგადგეს, რომელმან დიდებითა და პატივითა გჳრგჳნოსან ჰყვენ იგინი! ლერწმითა გცემდეს, რომელთათჳს კუერთხითა უბრძანე მოსეს ცემად ზღუასა, და განიპო და წიაღ-იყვანნენ, ხოლო მტერნი მათნი დაფარნა ზღუამან! ყურიმლის ცემად შენდა იკადრეს ბოროტთა მათ, რომელმან გამოაჩინე ნათელი პირისა შენისაჲ და გუაცხოვნენ ჩუენ!

რომელმან პირიცა მოსესი ოდესმე ადიდე, ნერწყუვად შენდა არა შეიკდიმეს. ჱ საკჳრველი! ჱ უკეთურობაჲ მათი! რომელმან ნარწყჯთა შობითგან ბრმისა თუალნი აღუხილენ. ჴელნი და ფერჴნი შენნი სამშჭუალებითა დამშჭუალნეს, რომელმან საკრველთაგან მონებისათა ეგჳპტით გამოიჴსნენ იგინი, და აწ საკრველნი იგი პირველისა წყევისანი დაჰჴსნენ. განწმედისათჳს კეთროვანთაჲსა წყლულებანი დაგესხენ. აღდგინებისათჳს მკუდართაჲსა სიკუდილად დაგსაჯეს! განათლებისა წილ ბრმათაჲსა თუალთა შენთა, ნათელო ჩემო, დაბნელებად ისწრაფიან შენ წილ, ცხორებაო ჩემო, ბარაბა გამოითხოვეს და შენ სიკუდილად მიგცენ! ჱ საშინელი ესე ხილვაჲ, ვითარ იძრვის ოდენ ქუეყანაჲ და არა ქუესკნელად შთაჰჴდების, ვითარ დაბნელდეს ოდენ მნათობნი და არა სრულად დაცჳეს, ვითარ შეიჭმუნა ცამან და არა სრულად დადნა, ვითარ ანგელოსნი ძრწიან და თავს-იდებენ და არა გარდააქცევენ სოფელსა! არამედ საცნაურ არს, ვითარმედ წყალობითა და სულგრძელებითა შენითა იქმნების ესე, ძეო და ღმერთო ჩემო, და შენ გიპყრიეს ყოველი და არა შეუნდობ მოწევნად სოფელსა ზედა, რაჲ-იგი ნოვეს ზე მოიწია. ჱ თუმცა შვილო ჩემო, შენ წილ მე ვიტანჯებოდე? ჱ თუმცა წყლულებანი შენნი ჩემ ზედა იყვნეს! ჱ თუმცა შენ წილ მე თავს-ვიდებდი სიკუდილსა! ხოლო აწ ესე არა ჩემდა უმწარეს სიკუდილისა, რომელ ვერარას გენაცვალები. არცა შენ წილ ანუ უწინარეს შენსა მოვკუდები, არამედ გევედრები, მომიგე სიტყუაჲ წყალობისაჲ, სიტყუაჲ ნუგეშინის-ცემისაჲ, განეწესე ნეშტთა მათ დღეთა ჩემთა ცხორებაჲ, ვითარცა ჯერ-გიჩნს. მასმინე ჴმაჲ მოკითხვისა და ხარებისაჲ, თუ ოდესღა კუალად გიხილო შენ, ნათელო ჩემო, ოდესღა ამბორს-გიყო შენ, ცხორებაო ჩემო, ოდესღა მესმას ჴმაჲ შენი ტკბილი, განმაცხოველებელი ჩემი. დაღაცათუ შობასა შენსა ყოვლისა ჭირისა და სალმობისაგან შეუხებელად დამიცევ, არამედ აწ მახჯლმან მწუხარებისამან განვლო სული ჩემი, ვიხილე რაჲ ვნებაჲ შენი. მიჩუენე უკუე გევედრები, აღდგომაჲცა და დიდებაჲ შენი, ვითარცა მრავალ-გზის აღმითქუ.

ესევითარითა რაჲ გოდებითა იგლოვდა უბიწოჲ იგი და სანატრელი დედაჲ, მიხედნა მას სიტკბოებით სახიერმან და მრავალმოწყალემან უფალმან და, იხილა რაჲ მის თანა მდგომარე

მოწაფე იგი საყუარელი და სავსე სიყუარულითა უფლისა და მოძღუარისა თჳსისაჲთა, აღაღო ტკბილი იგი პირი თჳსი თჳთ სიბრძნემან და თჳთ წყალობამან მცირედნი სიტყუანი მიუთხრნა, ვითარცა ჟამსა მას შეჰგვანდა, და მიუთუალა იგი საყუარელსა მას მოწაფესა, რომელმან უმეტეს ყოველთა მოწაფეთა აჩუენა ერთგულებაჲ და სიყუარული უფალსა და მეუფესა თჳსსა. და სიმჴნე და ახოვნებაჲ გულისაჲ, რამეთუ სხუანი ყოველნი ივლტოდეს და იგი მარტოჲ დგა წინაშე ჯუარსა მისსა განუშორებელად. ამისთჳსცა ჰრქუა უფალმან დედასა მას კურთხეულსა: დედაკაცო, აჰა ძჱ შენი! მერმე ჰრქუა მოწაფესა: აჰა დედაჲ შენი! (იოანე 19; 26-27). ქალწულსა მას დედასა კუალადცა ქალწული ძჱ მიანიჭა და ნაცვალად თჳსსა მისცა იგი, არა თუ თავადმან ზრუნვაჲ დედისაჲ მის უბიწოჲსაჲ უვარ-ყო: ნუ იყოფინ! არამედ ხილულითა მით ნუგეშინის-ცემითა მწუხარებასა მას დედისასა ნუგეშინის-სცა. ხოლო უხილავად იგი თავადი იყო მოღუაწე დედისაჲცა და მოწაფისაჲ მის, და ყოველთა მოსავთა მისთაჲ. და მოწაფესა მისცა სიყუარულისა და ერთგულებისა მისისა და ჟამსა მას ვნებისასა მუნ დგომისა ესე ნაცვალად მიაგო. და პატივითა დიდითა პატივ-სცა, რამეთუ ნაცვალად თავისა თჳსისა დაადგინა და ჩუენცა წესი დაგჳდვა ვიდრე აღსასრულამდე მოღუაწებისა და ზრუნვისა მშობელთაჲსა, დაღაცათუ სხუათა ადგილთა განგებულებით არა აჩუენებდა ყოვლადვე მორჩილებასა, რამეთუ, რომელ იტყჳს მახარებელი, თუ იყო დამორჩილებულ მათდა პირველ ნათლის-ღებისა, იტყჳს ხოლო შემდგომად ნათლის-ღებისა კანას გალილეაჲსასა იყჳნეს რაჲ, ჰრქუა მას: რაჲ არს ჩემდა და შენდა, დედაკაცო (იოანე 2; 4) და კუალად, რომელ ჰრქუეს, თუ დედაჲ და ძმანი შენნი გეძიენ, ჰრქუა: ვინ არს დედაჲ ჩემი! დედაჲ ჩემი და ძმანი ჩემნი ესენი არიან. დაღაცათუ მაშინ განგებით ესრეთ თქუა, არამედ აწ ცხადად სრული მოღუაწებაჲ და ჯეროვანი სიყუარული აჩუენა, და ნაცვალად თჳსად საყუარელი იგი მოწაფე მოღუაწედ დაუდგინა და მასცა ჰრქუა: აჰა დედაჲ შენი! და სიობლესა მისსა ნუგეშინის-სცა, და წმიდაჲ დედაჲ თჳსი დედად და მოღუაწედ და დედუფლად დაუდგინა მას. ესე რაჲ ესმა მოწაფესა მას, წარიყვანა იგი სახლსა თჳსსა სიონისასა, რომლისათჳსცა ზემო წერილ არს და ჰმსახ-

ურებდა მას ჯეროვნად მადლითა ქრისტესითა.

ვინაჲთგან უკუ ყოველივე შეურაცხებაჲ და ტანჯვაჲ ულმრთოთა მათ ჯუარის-მცუმელთა აღასრულეს სახიერსა მას ზედა მეუფესა, და იხილა იესუ, რამეთუ ყოველივე აღსრულებულ არს, რაჲთა აღესრულოს წერილი: თქუა: მწყურის! და მეყსეულად, ვითარმცა მას სწყუროდა უმეტესისა სატანჯველისა მის ზედა მოპოვნებად, ძმარი და ნაღველი ჰ მე, სიტკბოებასა მას ცხორებისა წყაროსა მას უკუდავებისასა მიუპყრეს. სახე აჩუენეს თჳსისა მის უკეთურებისაჲ შეზავებულისა სიმწარითა და სიფიცხლითა, რაჲთა არარაჲ დაშთეს თქუმულისაგან მისთჳს წინაჲსწარმეტყუელთა მიერ. ხოლო არა თუ წინაჲსწარმეტყუელებისათჳს აღესრულა, არამედ რომელი აღსრულებად იყო, ამისთჳს წინაჲსწარმეტყუელებამან მოასწავა, რამეთუ არა წინაჲსწარმეტყუელებაჲ კადნიერებისა მათისა მიზეზ იქმნა, არამედ კადნიერებაჲ უშჯულოებისა მათისაჲ წინაჲსწარმეტყუელებისა მიზეზ იყოს. ესევითარი ჰკადრეს ბოროტთა მათ და უმადლოთა და არა მოიკსენეს რომელ იგი მწარენი წყალნი მერანს (გეოგრაფიული სახელია) სიტკბოებად შეუცვალნა მათ და მრავალგზის განაძღნა წყურიელნი და უნაკლულო ყვნა იგინი უდაბნოსა მას წყურიელსა სიტყჳსასა და ურწყულისა. აჭამა მათ თაფლი კლდისაგან და ზეთი კლდისა მისგან ძლიერისა, არცა ახლად ქმნილი იგი მოიკსენენ სასწაული წყლისა მის ღჳნოდ შეცვალებაჲ კანაჲს გალილეაჲსასა. ჭეშმარიტად საყურძნისა მისგან სოდომელთაჲსა იყო საყურძენი მათი და ვენაკები მათი გომორელთაგან ყურძენი მათი, ყურძენი ნავღლისაჲ და ტევანი სიმწარისა მათისაჲ და შემდგომი ამისი. ხოლო ჩუენ გულისხმა-ვყოთ, რამეთუ ამას ყოველსა ხედვიდა უბიწოჲ იგი და ყოველად წმიდაჲ და უმეტესი სიმწარე შეუჴდებოდა გულსა თჳსსა, რამეთუ ოდეს ესმა ტკბილისა მის და საწადელისა პირისაგან მწყურის, რომელმანმე ალმან საკუმილისამან არამცა განჳლო გული მისი! მაშინ სწადოდა და წყურიელ იყო და ეტყინებოდა ცეცხლებრ გული მისი, რაჲთამცა უკუნაჲსკნელ იგი ალი წყურილისაჲ განუგრილა ძისა თჳსისა, არამედ არა შეუნდობიეს მკლველნი იგი სასუმელისა კეთილისა მიპყრობად მისდა. ხოლო იგი ევედრებოდა კაცად-კაცადსა მათსა მიშუებად მისა, რაჲთა

მისცეს წყალი სასუმელად, არამედ მჴეცნი იგი არა მიუშუებდეს, არცა თავს-იდებდეს ნუგეშინის-ცემად მისა, არამედ აღაღებდეს მის ზედა ბოროტთა მათ პირთა მათთა, ვითარცა ლომნი მტაცებელნი და მყჳრალნი წყლისა წილ გრილისა ასუმიდეს ნავღელსა და ძმარსა. პირველ ჯუარს-ცუმისა ასუმიდეს შემურვილსა ღჳნოსა, ხოლო მან არა ინება, რაჲთა არა მეყსეული იგი და მსწრაფლ სიკუდილი მისი წამლისა მისგან შეირაცხოს, არამედ არა თჳსისა ნებისა და ჯერ-ჩინებისაგან, ხოლო აწ ნავღლითა განზავებული იგი ძმარი მიიღო და თქუა: აღსრულებულ არს ყოველი! და მიიდრიკა თავი და განუტევა სული ნებითა თჳსითა და ჴელმწიფებითა.

ხოლო ამას ყოველსა ზედა სალმობათა მათ და ცრემლთა და სულ-თქუმათა გულისათა წმიდისა მის ქალწულისათა არა ჩუენისა ძალისაჲ არს თქუმად, არცა სხჳსა ვისიცა ძალისაჲ, რამეთუ უზეშთაეს არს ბუნებათა, და ვითარცა იგი შობაჲ მისი უვაღრეს არს ბუნებათა, ესრეთვე მწუხარებაჲ მისი, რომელ შეემთხჳა ჯუარს-ცუმასა უფლისასა, გამოუთქუმელ არს კაცთა მიერ, არამედ მან იცის მხოლომან, რომელსა ელმოდა, და მხოლომან უწყის მისგან შობილმან უფალმან ყოველივე. ხოლო ოდეს-იგი ღაღად-ყო ჴმითა დიდითა იესუ და განუტევა სული, რამეთუ მიიდრიკა თავი თავმან მან ყოველთამან და წამ-უყვნა სიკუდილისა, და წარმოუდგა იგი, ვითარცა მონაჲ, და აღასრულა მეუფემან განგებულებითა თჳსითა საიდუმლოჲ. ჰ სანატრელი იგი და ადამანტისა უძლიერესი სული უბიწოჲსა მის დედისაჲ, რომელი-იგი არს ქვათაგან პატიოსანთა, რომელსა ვერაჲ მახჳლი შეეხების ყოვლადვე! ვითარ თავს-იდვა ტკივილი იგი უბიწომან მან მშობელმან? ვითარ არა მანცა აღმოუტევა სული თჳსი? არამედ საცნაურ არს, ვითარმედ მადლმან და ძლიერებამან ჯუარცუმულისა უფლისამან დაიცვა იგი, მან თავადმან სული თჳსი განუტევა, ვითარცა ჯერ-იჩინა, ხოლო დედისა თჳსისა სული დაიცვა ძალმან მისმან, რაჲთა ყოს იგი ყოვლით კერძო ღუაწლით შემოსილ, ვითარცა თავადიცა იყო. აყენებს ენასა ჩემსა შიში და ძრწოლაჲ, და ვერ უძლებ შემდგომთა მათ საქმეთა თხრობად, არამედ ისარნი ტკივილისა მის ვნებისა შენისანი მეცნეს მე, მეუფეო, და არა შემინდობენ დადუმებად საწადელისა მის თხრობისაგან.

რაჲღა იგი შემდგომად სიკუდილისაცა ჰკადრეს მტერთა მათ და მბრძოლთა? რამეთუ არღა წარმოცალიერებულ იყო თხლე იგი სიმწარისა მათისაჲ ნავღლისა მის და ძმრისა მიპყრობითა, არამედ შემდგომად სიკუდილისაცა აჩუენეს გარდამატებული შური და გულის-წყრომაჲ მათი მჴეცთა მათ ბოროტთა უსჯულოთა მათ ღმრთის-მკლველთა, არცათუ გოდებათა მათ ჰრიდეს უბიწოჲსა მის დედისათა, რომელსა-იგი მჴეცნიცამცა სწყალობდენ და მის თანამცა ელმოდა. არამედ მათ, ულმობელთა და კლდისა უფიცხესთა, შემდგომად სიკუდილისაცა ლახურითა უგუმირეს ცხოველს-მყოფელსა მას გუერდსა მისსა, რაჲთა არცა ერთი ასოთა მისთაგანი დაშთეს უვნებელად. თავმან მისმან თავს-იდვა ლერწმითა ცემაჲ, ღაწუთა მისთა ყურიმლის-ცემაჲ, პირმან მისმან სასუმელი იგი სიმწარისაჲ, და პირველ ამისსა ჰნერწყუიდეს პირსა მისსა, ბეჭთა მისთა თავს-იდვეს გუემაჲ, ჴელთა და ფერჴთა სამშჭუალნი, და აწ გუერდმან მისმან გუემაჲ ლახურისაჲ, რაჲთა აღმოგჳცენოს ჩუენ ცხორებაჲ იგი კეთილი წყაროჲ წყლისა და სისხლისაჲ, რომლისაგან მოგუენიჭა ჩუენ სული წმიდაჲ. ხოლო შენ იხილე მაშინდელი იგი მახჳლისა მის განწონაჲ გულსა კურთხეულისა მის დედისასა, და ვითარ ყოველსავე ზედა თანა-მოღუაწე იყო და უმეტესად მოღუაწე, რამეთუ აწცა რეცა მკუდარ იყო, იხილა რაჲ აღსრულებული ძე თჳსი, და საფლავისა მისისათჳს ზრუნვიდა, და მეყსეულად ლახურმან მან გუერდისა მისისამან ამისსაცა გულსა უგუმირა და განაახლა ახალთა მიმართ სალმობათა, და ნაკადულნი ცრემლთანი თუალთაგან გარდამოადინნა. ხოლო სისხლი გულად შთაუწუთინა, რაჲთა მანცა თქუას: განჴურდა გული ჩემი შორის ჩემსა და სალმობანი ჩემნი განმიახლდეს. და მეყსეულად მირბიოდა, და არა ხოლო თუ თუალით მხილველ, არამედ შემწყნარებელცა და მკჳდრ იქმნა ორკერძოჲსა სიმდიდრისა, და პატიოსნად და კრძალულებით ცხორების-მომცემელისა მის გუერდისაგან გარდამომდინარე სისხლი და წყალი შეიწყნარა, ახალი იგი და დაუწყუედელი უკუდაეებაჲ. კეთილად მოიღო კეთილმან მან დედამან და უფროჲსად კურთხეულმან.

და მცირედღა კუალად, იგლოვდა რაჲ იგი, ჯერ იყო, სიტყუანი გოდებისანი აღმოთქუნა და მეყსეულად ყოველივე ზრუნ-

ვაჲ მისი დაფლვისა მისისათჳს იყო ცხოველს-მყოფელისა მის გუამისა, რამეთუ ვერ თავს-იდებდა ესრეთ დამკიდებულად ყოფასა მისსა და მტერთა მათ ზედა ცემასა და ყუედრებასა და ტანჯვასა, ხოლო სწადოდა პოვნად სამარხოჲ ჯეროვანი, რამეთუ ღირსი და შემსგავსებული ცხორების-მომცემელისა მის გუამისაჲ არასადა იპოვებოდა, ვითარ-იგი საშოჲ მისი ყოვლად უბიწოჲ იპოვა ღირსი შეწყნარებად ყოველსა მას საესებასა ღმრთეებისასა. ხოლო სხუაჲ ესევითარი არა იპოვებოდა, გარნა მისისა მის წადიერებისა და გულს-მოდგინებისა, შემსგავსებულსა ადგილსა ეძიებდა. ამისთჳს გარე-მოვლო ყოველი იგი თხემისა ადგილი, განძლიერებული მადლითა ცხოველს-მყოფელისა მის მკუდრისაჲთა ფერჴნი მისნი მიმოვიდოდეს, ხოლო თუალნი და გონებაჲ მოუწყუედელ იყვნეს სასურველისა მისგან მეუფისა და ძისა მისისა. პოვა უკუე წინა-ძღომითა მადლისა მისისაჲთა მახლობელად მებრ ჯუარისა საფლავი შუენიერი, და გარემოჲს მისსა მტილი ნაყოფიერი. იყო საფლავი იგი ცალიერი და ახალი და ახლად გამოკუეთილი კლდისგან, ვითარცა წმიდაჲ სახარებაჲ გუაუწყებს: არავინ სხუაჲ მკუდარი შეეწყნარა, არამედ ახალსა მას მოელოდა მკუდარსა, უფალსა ღმერთსა ყოველთასა, და ესე ყოველი განგებულებით იყო ცალიერი აღდგომისათჳს, რაჲთა ვერვინ თქუას, თუ სხჳსა ვისიმე გუამი აღდგა და არა ქრისტესი. ამისთჳს არავინ დადებულ იყო, ვითარცა იტყჳს მახარებელი, ვითარმედ, იყო ადგილსა მას, სადა ჯუარს-აცუეს, მტილი და, მტილსა მას — საფლავი ახალი, სადა არავინ დადებულ იყო. ახალი იყო ახლისა მის ადამისთჳს და, რამეთუ შეუწყნარებელ იყო და შეუხებელ ყოვლისავე კაცობრივისა ბრალისა და ცოდვისა, შეკრძალული იყო, რაჲთა ვერვინ ცილი წამონ, თუ წარიპარა, ესრეთ ყოვლით კერძო შეუვალ იყო. კლდე იყო გამოუკუეთილი ლოდისა მისთჳს, ღრმაჲ იყო საფუძველისა მისთჳს შეურყეველისა. მტილი იგი ედემისა სახე იყო, და თხემისა ადგილი — მუნ დაფლულისა ადამისთჳს, ვნებაჲ იგი დამჴსნელ იყო ჩუენთა ვნებათაჲ და სიკუდილი იგი — შემმუსრველი სიკუდილისაჲ.

წმიდა იოანე ოქროპირი გამოჩინებაჲ ჯუარისაჲ, რომელი გამოუჩნდა კოსტანტინე მეფესა მდინარესა ზედა დანუბსა, რომლისა მიერცა მოიძია პატიოსანი ძელი ჯუარისაჲ წმიდასა ქალაქსა იერუსალემს*

მეშჳდესა წელსა სუფევასა კოსტანტინე დიდისა მეფისასა, თთუესა აპნისასა შეკრბა ერი დიდძალი წარმართთაჲ მდინარესა ზედა, რომელსა ჰრქჳან დანუბ; ეძიებდეს, რაჲთამცა წიაღმოჴდეს და დატყუენეს ყოველი სოფელი ვიდრე აღმოსავალადმდე.

და აგრძნა მეფემან კოსტანტინე შეკრებაჲ იგი მათი ერთბამად. შეკრიბა მანცა ყოველი იგი ერი თჳსი და მივიდეს ერთკერძო მდინარესა მას ზედა დანუბსა და დაადგინა ბანაკი წიაღმოსავალსა მას წყლისასა და აყენებდა მათ. ხოლო მრავალ დღე იყო დგომაჲ იგი მათი, და შეკრბა დიდძალი ერი წარმართთაჲ ურიცხჳ და ზედა-მოუვიდოდეს კოსტანტინეს. ხოლო მან ვითარცა იხილა ერი იგი დიდძალი, ზრუნვასა დიდსა და ურვასა შინა იყო და ეგულებოდა ხვალისა დღესა შემთხუევად ბრძოლისა.

მას ღამესა იხილა მან თუალითა გამოჩინებული ჯუარი, საყდართა შუენიერთა ზედა ბრწყინვიდა და წერილ ესრე იყო განჩინებულად: „მაგით სძლო“. გულს-მოდგინედ ეძიებდა კოსტანტინე, რომლისაჲ-მე ღმრთისაჲ არს ესე ნიში?

და ვითარცა აღდგა, შეძრწუნებულ იყო და შეეპყრა შიშსა დიდსა, მოუწოდა მთავართა ტაძრისა მისისათა და მეყსეულად გამოუქმნა ხატი იგი ჯუარისაჲ, ნიში, რომელი-იგი იხილა და უბრძანა წინა-ძღუანვაჲ ბრძოლასა მას. და იყო ძლევაჲ დიდი: და უფროჲსი ერისაჲ მის დაეცა, და ნეშტი იგი დაიმორჩილა.

და მოიქცა ადგილად თჳსა დიდებითა და ძლიერებითა და ძლევითა დიდითა. და შემდგომად მცირეთა დღეთა უბრძანა მოწოდებაჲ ქურუმთა მათ კერპთაჲსა და უჩუენა მათ ნიში იგი და

* იბეჭდება გამოცემიდან „სინური მრავალთავი“, გვ. 237-244. ახალქართულად ტექსტი იხ. გვ.209.

ჰრქუა მათ, ვითარმედ: რომლისა-მე ღმრთისაჲ არს ნიში ესე? ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს: ესე ნიში არა ქუეყანისა ღმერთთაჲ არს, რომელსა ჩუენ ვჰმსახურებთ, არამედ ესე ძალი ზეცისა ღმრთისაჲ არს. რაჟამს ესე ნიში წარჰვალნ ზედა ბაგინთა, ყოველნი კერპნი დაეცნიან და შეიმუსრნიან და ბაგინნი დაჰჴსნდიან.

ხოლო ქრისტიანენი, რომელ ერთნეს მათ დღეთა შინა, ნაზარეველით ერქუმოდა, რომელნი-იგი მოუჴდეს მეფესა და ჰრქუეს მას: ვევედრებით მეუფებასა შენსა, ნიში ესე, რომელ იხილე, ზეცისაჲ არს იესუ ქრისტჱს, ძისა ღმრთისა ცხოველისაჲ, რომელმან იხილა ნათესავი კაცთაჲ წარწყმედული და არა უგულებელს-ყო, არამედ გარდამოჴდა სახიერებითა თჳსითა და აცხოვნა ქმნულნი თჳსნი, რომელმან თჳსითა მით ვნებითა ჯუარისაჲთა შეგუწირნა ჩუენ ღმრთისა.

და ვითარცა გულისხმა-ყო ესე კოსტანტინე მეფემან, მოუწოდა მან ევსები ეპისკოპოსსა ჰრომისასა და ისწავა მისგან და ჰრწმენა ჭეშმარიტად და ნათელი მოიღო მან და დედამან მისმან და მრავალთა წინაშეთა მისთა. მაშინღა დიდითა სიხარულითა და წადილითა წარავლინა დედაჲ თჳსი აღმოსავალად კერძო გამოძიებად ჯუარისა ქრისტჱსისა და აღშჱნებად ადგილთა მათ.

და იყო მათ დღეთა, სუფევასა კოსტანტინე დიდისა მეფისასა, ღმრთის-მოყუარჱ ელენე დედოფალი, დედაჲ კოსტანტინჱსი, რომელმან კეთილად მოიძია სასოჲ ძელი, რომელსა ზედა მაცხოვარმან ჴელნი განიპყრნა, გამოწულილვიდა შრომით კაცობისა შთაცუმასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსსა და ჯუარსა ზედა აღმაღლებასა და მკუდრეთით აღდგომასა. და განმტკიცნა ღმრთის-მოყუარჱ ელენე დედოფალი ფრიად, წურთილ იქმნა გონებითა და ისწრაფა უხრწნელისაჲ მის ნიჭისა გამოჩინებად.

რამეთუ ესრე სახედ იპოვა პატიოსანი ჯუარი, მათ ჟამთა შევიდა იერუსალემდ ელენე დედოფალი თთუესა მეორესა, ოც და რვასა თთჳსასა, ერბამად ერითა დიდითა და კრება-ყო და ბრძანა ყოველთა ჰურიათაჲ ქალაქებსა და დაბნებსა და ყოველსავე ჰურიასტანსა წარმოდგომად წინაშე მისა. რამეთუ იყო იერუსალემი მოოჴრებულ, და იპოვნეს ჰურიანი ვითარ სამ ათას ოდენ

კაც, რომელთა მოუწოდა ნეტარმან ელენე დედოფალმან და ჰრქუა: უწყი მე ღმრთისა წიგნთაგან, რამეთუ ნათესავნი მართალნი იყვენით და გყუარობდა თქუენ ღმერთი. არამედ თქუენ ვერ გულისხმა-ჰყავთ და აგონეთ ნათელი ბნელ ყოფად და ჭეშმარიტებაჲ ტყუვილად; და რომელსა ღმერთსა უნდა ჴსნაჲ ჩუენი წყევისაგან, მას სწყევდით; და ნერწყჳსაგან განთავისუფლებაჲ თქუენდა, ნერწყჳთა ბილწებისაჲთა ჰნერწყუევდით მას; და რომელმან მკუდარნი აღადგინნა, გინდა მკუდრად შერაცხაჲ მისი. აწ გეტყჳ თქუენ: გამოირჩიენით თქუენ თავით თჳსით, რომელთა კეთილად იცოდიან შჯული.

ხოლო იგინი გამოვიდეს დედოფლისაგან შიშითა დიდითა და ყვეს ზრახვაჲ და პოვეს ათას კაც, რომელთა ჰგონებდეს მეცნიერად შჯულისა და ერთბამად მოვიდეს დედოფლისა, წამებდეს ათასისა მის კაცისათჳს, რამეთუ: ესე არიან სწავლულ შჯულსა. ხოლო დედოფალმან მეორედ ჰკითხა სიტყუაჲ და ჰრქუა მათ: ისმინეთ სიტყუაჲ ჩემი და გულისხმა-ყავთ თქუმული ჩემი.

არა გასმიესა წმიდათა მათგან წინაჲსწარმეტყუელთა, ვითარ ამცნეს მაცხოვრისაჲ, რომლისაჲ მეგულების კითხვად თქუენდა, რამეთუ ესაია ესრე თქუა, ვითარმედ: ყრმაჲ იშვეს თქუენდა, რომლისა დედამან მამაკაცი არა იცის (ესაია 7, 14.). მერმე მგალობელი დავით იტყჳს: წინაჲსწარ ვხედევდ უფალსა წინაშე ჩემსა მარადის, რამეთუ მარჯულ ჩემსა არს, რაჲთა არა შევიძრა (ფსალმუნნი 15, 8). და მერმე ესაია ღაღადებს და იტყჳს: შვილ ვისხენ და აღვიზარდენ, ხოლო იგინი მეცრუვნეს მე (ესაია 1, 2). და მერმე იტყჳს: იცნა ჯარმან მომგებელი თჳსი და ვირმან ბაგაჲ უფლისა თჳსისაჲ, ხოლო ისრაელმან მე არ მიცნა, და ერმან ჩემმან ჩემი არა გულისხმა-ყო (ესაია 1, 3). უკუეთუ თქუენ იკითხავთ შჯულსა და ესე არა გულისხმა-გიყოფიეს, აწ ამის გამო ვბრძანო თქუენი პყრობილებაჲ სტრატიოტთაგან, ხოლო აწ მი-ღა-გიტევნე თქუენ ორ ჟამ ოდენ, რაჲთა გამოირჩინეთ, რომელნი საგონებელ იყვნენ შჯულისა მეცნიერად.

ხოლო იგინი გამოვიდეს მიერ შიშითა დიდითა, გამოცადნეს და პოვნეს ორას ოდენ კაც, რომელ საგონებელ იყვნეს მეცნიერ შჯულისა, და მოვიდეს წინაშე დედოფლისა. მიუგო დედოფალ-

მან და ჰრქუა მათ: ვინ არიან ესე? მიუგეს და ჰრქუეს: ესენი არიან, რომელთა კეთილად იციან შჯული.

ხოლო ნეტარმან ელენე დედოფალმან მიუგო ჭეშმარიტებისა სიტყუაჲ, ასწავებდა და ჰრქუა: თქუენ, ცოფნო ჰურიანო იერუსალემელნო, არღა კმა-გეყოა ძუელი იგი სიბრმჱ მამათა თქუენთაჲ, რომელნი იტყოდეს იესუჲსსა, ვითარმედ არა ძჱ ღმრთისაჲ არსო, რამეთუ აქუნდა მათ წიგნები წინაჲსწარმეტყუელთაჲ და იკითხვიდეს?

ბოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს: ვეველრებით დედოფლებასა შენსა, ჩუენ მაქუსცა და ვიკითხავთცა, ხოლო ესე ვისთჳს არიან ესრჱთმლევანნი საქმენი, გამოგჳცხადენ; გევედრებით შენ, რაჲთა ჩუენცა გულისხმა-ვყოთ და შევატყუათ სიტყუაჲ თქუმულთა მაგათ შენთა.

ხოლო მერმე ჰრქუა მათ: წარგუალეთ მარტოდ და გამოარჩიენით თქუენ, რომელნი საგონებელ იყვნენ შჯულისა მეცნიერნი.

და გამოვიდეს იგინი მიერ და თქუეს: რომლისა ჯერისათჳს-მე გუაშრომებს ჩუენ დედოფალი ესე? ერთმან ვინმე მათგანმან ჰრქუა მათ, რომლისა სახელი იუდა: უწყი, რამეთუ ძიებაჲ ეგულების ძელისაჲ მის, რომელსა იესუ ჯუარს-აცუეს მამათა ჩუენთა, ეკრძალენით, ნუუკუე აღ-ვინმე-იაროთ; უკუეთუ არა, ნანდჳლვე დაიჴსნეს მამათა ჩუენთა მოცემული იგი შჯული, რამეთუ ზაქეოს, მამის მამამან ჩემმან, ამცნო მამასა ჩემსა სიმონს და ჰრქუა, და მამამან ჩემმან მე მამცნო და მრქუა: ეკრძალე, შვილო ჩემო, რაჟამს ძიებაჲ იყოს ძელისაჲ მის, რომელსა ზედა მშია (ანუ მეშია, მესია) ჯუარს-ეცუა, გამოუჩინე იგი პირველ ვიდრე გუემად შენდამდე, რამეთუ არღარა ებრაელთა ნაშობნი მეფობდენ, არამედ მიერითგან მათი მეუფებაჲ იყოს, რომელნი ჯუარ-ცუმულსა თაყუანის-სცემდენ, რამეთუ იგი იყოს მეფჱ უკუნისამდე — ქრისტე, ძჱ ღმრთისა ცხოველისაჲ.

ხოლო მე ვარქუ მას: და რად უკუე ჴელნი თქუენნი მიჰყვენით? ხოლო მან მრქუა მე: შვილო, უწყის უხრწნელმან მან, რამეთუ არასადა ვერთე შეკრებასა მას მათსა მისთჳს, არამედ ვაყენებდიცა მათ და მღდელთ-მოძღუართა ერისათა საჯეს

ჯუარს-ცუმაჲ მისი და ეგრე ჰგონებდეს, რაჲთამცა მოაკუდინეს და გარდამოიღეს იგი ძელისა მისგან და დაჰფლეს. ხოლო იგი მესამესა დღესა აღდგა და გამოუცხადა თავი თჳსი მოწაფეთა თჳსთა, რომლისა გამო ჰრწმენა ძმასა შენსა სტეფანეს, იწყო სწავლად ქრისტჱს მიმართ ერსა შორის, და შეკრბეს ფარისეველნი სადუკეველითურთ და საჯეს მისი ქვითა განტჯვაჲ. ხოლო მე ვხედევდი სიკუდილსა შვილისა ჩემისასა და ვერ შეუძლე შუელად მისა. არცაღა თუ შეჭუნებულ რას ვიყავ, რამეთუ ვხედევდი ღმრთისათჳს ვნებასა. ხოლო ვითარ აღმო-ოდენ—უტევებდა სულსა, ჴელნი მისნი აღიპყრნა ზეცად და თქუა: უფალო, ნუ შეურაცხებ ამას ბრალად.

აწ უკუე ისმინე, შვილო ჩემო, და გასწაო შენ ქრისტჱსი და მოწყალებისა მისისაჲ, რამეთუ სავლეცა, რომელი-იგი ტაძარსა წინაშე ჯდა და ტყავის მხეველ იყო, იგიცა სდევნიდა მორწმუნეთა მისთა, ვითარ-იგი აღადგინა ერი მრავალი ძმისა შენისა სტეფანჱსთჳს, ხოლო ქველ-ქმნა მის ზედაცა ქრისტემან და ყო იგი ვითარცა ერთი დიდებულთაგანი და, შვილო ჩემო, ნუსადა გმობასა იტყჳ მისთჳს, ნუცაღა მორწმუნეთა მისთა, რაჲთა გაქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ. ესე მამცნო მამამან ჩემმან სიმონ და ესე ყოველი გესმა თქუენ. აწ უკუეთუ გკითხოს თქუენ ჯუარისათჳს, რაჲ გნებავს? — ხოლო მათ ჰრქუეს: ჩუენ ესე არასადა გუესმინა, გარნა შენგან ხოლო. უკუეთუ ძიებაჲ იყოს, ნანდჳლ თუ ესრჱთ არს, ადგილიცა იცოდი.

ამას იტყოდეს ოდენ და მოიწინეს მწოდებელნი და ჰრქუეს: გიწესს თქუენ დედოფალი. ხოლო იგინი წარდგეს და ჰკითხვიდა მათ დედოფალი და არასადა უთხრეს მართლ. და უბრძანა მათი ყოველთაჲ ცეცხლითა დაწუაჲ. ხოლო მათ შეეშინა და მისცეს მას იუდა და ჰრქუეს: ესე კაცი მართლისა წინაჲსწარმეტყუელისა ძჱ არს და შჯული ჭეშმარიტად იცის. გევედრებით, დედოფალო, ნებაჲ გულისა შენისაჲ ამან აღგისრულოს. და ყოველთაე შჯული ყოველი შეაწამეს.

მაშინღა უბრძანა მათ ყოველთა განტევებაჲ, გარნა მარტოჲ იუდა ხოლო დაიყენა. მოუწოდა დედოფალმან იუდას და ჰრქუა მას: ცხორებაჲ და სიკუდილი წინაშე გიც. აწ რაჲ გნებავს: ცხო-

რებაჲ ანუ სიკუდილი? იუდა ჰრქუა: და ვინ არს, რომელსამცა უდაბნოსა ზედა პური დაგებული ედგა და იგი ქვასა ჭამდა?

ჰრქუა მას დედოფალმან: უკუეთუ გნებავს ცხორებაჲ ქუეყანისაჲცა და ზეცისაჲცა, მითხარ, სადა დამალულ არს ჯუარი, ხოლო იუდა ჰრქუა, ვითარმედ: წერილ არს საკსენებელთა: აწ ორას წელ არს; და ჩუენ ჭაბუკნი ვართ, ვითარ შეუძლოთ ცნობად მაგისა?

ჰრქუა მას დედოფალმან: და ვითარ, შენსა წინა რომელ ნათესავი იყო, და ბრძოლისა კუეთებაჲ იყო ველსა ზედა, იგი ყოველნი იკსენებიან, ადგილი მათი და საფლავიცა მათი ჩას, იუდა ჰრქუა: წიგნითა სამე. ხოლო ჩუენ არა გუაქუს წერილი.

დედოფალმან ჰრქუა: პირველად აღიარე მცირედ ოდენ თავით თჳსით, ვითარმედ არიან საკსენებელ. იუდა ჰრქუა: გეველდრები, დედოფალო, შეგუებით ვთქუ. ჰრქუა მას დედოფალმან: მე მაქუს მაგისთჳს სიტყუაჲ თქუმული — ჴმაჲ იგი სახარებისაჲ, რომელსა-იგი ადგილსა ჯუარს-ეცუა; გარნა მაჩუენე ხოლო ადგილი იგი, რომელსა ჰრქჳან თხემისა ადგილ. ჩემითა ჴელმწიფებითა ვბრძანო და დავთხარო ქუეყანაჲ იგი მის ადგილისაჲ და, ვინ უწყის, ვპოო, რაჲ-იგი მნებავს, ჰრქუა მას იუდა: არცა ადგილი ვიცი, არცა მაშინ ყოფილ ვიყავ. ჰრქუა მას დედოფალმან: მოგაყმო შენ, უკუეთუ არა აღმიარო.

და ვითარცა ესე სიტყუაჲ თქუა, უბრძანა მისი შთაგდებაჲ ჯურღმულსა ჴმელსა და უბრძანა მისი შჯდ დღე უზმით ჯდომაჲ. და მეშჯდესა დღესა ღაღატ-ყო და თქუა: აღმომიყვანეთ და გაჩუენო ადგილი ჯუარისაჲ მის ქრისტჱსისაჲ.

და რაჟამს აღმოჴდა ჯურღმულისა მისგან, მოვიდა ადგილსა მას, — და არცაღა იუდა იცოდა ჭეშმარიტად ადგილი იგი, — აღიღო ჴმაჲ თჳსი ებრაელებრითა სიტყჳთა და თქუა: მიაკრა აკაბი მელაქფისონ ადონა აბირიდო ელაბეთ დოთა ქუზეაფე ეფათიუ ბარულე, ხოლო თარგმანებით ესრე არს: ღმერთმან რომელმან შეჰქმენ ცაჲ და ქუეყანაჲ, რომელი ჰზი ეტლთა ზედა ქერობინთასა, და იგინი ფრინვენ ჰაერთა შინა სრბით ნათელსა მას განუზომელსა, სადა ნათესავსა კაცთასა თანა-წარსლვად ვერ ჴელ-ეწიფების, რამეთუ შენ შეჰქმნენ იგინი შენდა სამსახ-

ურებელად. ექუსნი მჴეცნი ექუს-ექუს-ფრთენი, რომელი ოთხთა მათ უტჳრთავს, ფრინვენ და გმსახურებენ ჴმითა მით დაუდუმებელითა და იტყჳან: წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ შენ, უფალო, წოდებულ არიან იგინი სერაბინად; ხოლო ორნი იგი, რომელ დაადგინენ სამოთხესა დაცვად ხისა მის ცხორებისაჲსა, წოდებულ არიან იგინი ქერობინად. შენ უფლებ ყოველსა, რამეთუ ქმნულნი შენნი ვართ, რომელმან ურჩნი იგი ანგელოზნი სიღრმესა მას სატანჯველისასა მისცენ, და იგინი ქუესკნელთა მათ უფსკრულთაგან ვეშაპთა იგუემებიან და შენსა ბრძანებასა სიტყჳსა მიგებად ვერ შემძლებელ არიან.

აწ, უფალო, შენითა ნებითა თუ არს სუფევაჲ ძისა მარიამისი, და თუმცა არა შენგან იყო, არამცა აღადგინე იგი მკუდრეთით, აწ ყავ სასწაული ესე დიდებულ და შუენიერ. ვითარცა ისმინე ბარაკიელის ამის შენისი მოსჳსი და უჩუენენ ძუალნი იოსებისნი, ეგრეცა აწ, თუ გნებავს, გამოგჳცხადე ჩუენ დაფარული იგი ფასი და ყავ ადგილსა ამას კუამლი სულნელებისაჲ აღმოსლვად ქრისტჳსი, რამეთუ იგი არს მეუფჳ იესუ ქრისტე უკუნისამდე. ამენ.

და ვითარცა ესე ლოცვაჲ ილოცა იუდა, შეიძრა ადგილი იგი და დიდძალი კუამლი სულნელებისაჲ აღმოვიდოდა ადგილსა მას. ხოლო იუდას დაუკჳრდა ფრიად, ჴელნი შეიტყუელნა და თქუა: ჭეშმარიტად, ქრისტე, შენ ხარ მაცხოვარი სოფლისაჲ. გმადლობ შენ, ქრისტე, რამეთუ არა ღირსი ესე მეცა არავე ჴუებულ მყავ შენისაგან მადლისა. გევედრები შენ, უფალო იესუ ქრისტე, ნუ მოიჴსენებ უკეთურებათა მონისა შენისათა, არამედ უგულებელს-ყვენ შეცოდებანი ჩემნი და თანა-შემრაცხე ძმასა ჩემსა სტეფანეს, რომელი-იგი ჴსენებულ არს საქმესა მას ათორმეტთა მათ მოციქულთასა.

და თქუა ესე ხოლო და მოიღო სათხროლი და სარტყელი შეირტყა, ვითარცა მჴნემან შჳილმან აბრაჰამისმან, იწყო თხრად, და ვითარცა ეთხარა ორ-ჯერ ოდენ მოსათხრელ, პოვნა სამნი ჯუარნი დაფლულნი, აღმოიხუნა და შეიხუნა იგინი ქალაქად.

მაშინ ჰკითხვიდა ღმრთის-მოყუარჱ იგი ელენე დედოფალი: რომელი არს ჯუარი ქრისტჱსი? უწყი, რამეთუ ესე ორნი ავაზაკთანი არიან. მაშინ მოიხუნეს და დასხნეს საშოვალ ქალაქსა და მოელოდეს დიდებასა ღმრთისასა.

მეცხრესა ოდენ ჟამსა მოაქუნდა ცხედარი, რომელსა ზედა იდვა ჭაბუკი მკუდარი. ვითარცა იხილა იუდა, განმხიარულდა და ჰრქუა დედოფალსა: აწ სცნა, დედოფალო, ძალი იგი საწაძელი და ჯუარი იგი მისი. მაშინ დადგმად სცა იუდა ცხედარი იგი, რომელსა ზედა იდვა, და დასდებდა თითოეულსა მას ჯუარსა მკუდარსა მას ზედა, და ვითარცა მიიწია მესამესა ჯუარსა, აღიღო და დასდვა მკუდარსა მას ზედა. მეყსეულად აღდგა მკუდარი იგი ყრმაჲ.

მაშინ განრისხნა ეშმაკი, ღაღადებდა და იტყოდა: ვინ არს ესე, რომელი არა მიფლობს მოღებად სულთა მათ ჩემთა?

ჱ იესუ ნაზორეველო, ყოველივე შენდა მიიზიდე და რაჲსა კუალად ჯუარი იგი შენი ჩემთჳს გამოაჩინე? ჱ იუდა, რაჲ ესე ჰყავ? პირველისა მის იუდაჲსგან ერი ვაცოდვე და აწ ამის იუდაჲსგან ვიდევნები. აწ ვპოვო მეცა შენთჳს, რაჲ ვყო: აღვადგინო სხუაჲ მეფჱ, რომელმან უვარ-ყოფად გცეს ჯუარს-ცუმული და ჩემსა ნებასა იქმოდის და მიგცეს შენ ძჯრ-ძჯრთა მათ სატანჯველთა, და გუემით უვარ-ჰყო ჯუარს-ცუმული იგი.

ხოლო იუდა შეჰრისხნა ეშმაკსა მას და ჰრქუა: რომელმან მკუდარნი აღადგინნის, ქრისტემან შეჩუენებულ გყავნ შენ სიღრმესა მას ცეცხლისასა.

და ვითარცა ესმა ესე ელენე დედოფალსა, დაუკჳრდა ფრიად ძალი იგი ღმრთისაჲ და სარწმუნოებაჲ იუდაჲსი და დიდითა პატივითა და კრძალულებითა პატიოსანი ჯუარი ოქროჲთა და ანთრაკითა შელესა იგი და შექმნა ლუსკუმაჲ ვერცხლისაჲ და დაჰკრძალა იგი მას შინა. და ეკლესიაჲ აღაშენა ზედა გოლგოთას, რომელსა ჰრქჳან თხემისა ადგილ, და უბრძანა ეპისკოპოსსა ჰრომისასა მოსლვად და მისცა იუდას ბეჭედი ქრისტჱსი და უწოდა მას სახელი კჳრიაკოს და დაადგინა იგი ეპისკოპოსად.

მაშინ უბრძანა განსხმაჲ ჰურიათაჲ, რავდენნი-იგი. ურ-

წმუნო იქმნეს და გამოიდევნნეს ჰურიასტანით ბრძანებითა დედოფლისაჲთა. და ჰელენე დედოფალმან მისცა ფასი დიდძალი ღმრთის-მოყუარესა მას ეპისკოპოსსა კჳრიაკოს სამსახურებელად გლახაკთა.

პოვნაჲ წმიდათა სამშჯუალთაჲ

ხოლო ნეტარი ელენე დედოფალი საცხე იყო ღმრთისა მიმართ სარწმუნოებითა და იყო წადიერ საღმრთოთა წიგნთა კითხვად, ძუელთა და ახალთა აღთქუმათა გამოეძიებდა, უფროჲსად შესძინა გულს-მოდგინედ ძიებაჲ სამშჯუალთა მათ ჯუარისათაჲ, რომლითა უკეთურთა ჰურიათა მაცხოვარი შემშჯუალეს.

მოუწოდა იუდას, რომელსა ეწოდა კჳრიაკოს, და ჰრქუა მას: ძელისა მისთჳს ჯუარისა აღესრულა ჩემი წადილი, ხოლო რომელ-იგი ჯუარსა მას ზედა დაემშჯუალნეს სამშჯუალნი მათნი, გულსა შიდა მიც იჭჳ და აწ არა დავსცხრე, ვიდრე არა მაგისიცა ნებაჲ აღმისრულოს ღმერთმან, და შე-ვე-ღა-სძინე და ევედრე უფალსა მათთჳს.

ხოლო წმიდაჲ კჳრიაკოს ეპისკოპოსი მივიდა თხემისა ადგილსა და ერთბამად მის თანა ძმანი მრავალნი, რომელნი-იგი უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა ესვიდეს ჯუარისა პოვნისათჳს, და მკუდარსა მას ზედა რომელ სასწაული იქმნა, აღიხილნა თუალნი ზეცად და ჴელნი, ერთბამად იცემდა მკერდსა, ღაღადებდა გულს-მოდგინედ უფლისა მიმართ და აღიარებდა პირველთა მათ უმეცრებათა თჳსთა და ჰნატრიდა ყოველთა მორწმუნეთა ქრისტჱსთა.

ხოლო ვითარ მყოვარ ჟამ გულს-მოდგინედ ილოცვიდა, რაჲთამცა გამოჩნდა ეგევითარი რაჲ ნიში, ვითარცა ჯუარსა მას ზედა, ეგრეცა სამშჯუალთა. და აღსრულებასა ოდენ ლოცვისასა, ვითარმცა თქუა „ამენ“, და იყო ესევითარი ნიში, რომელ-იგი ყოველთა მათ თანა-მდგომთა იხილეს: ნათელი ელვარჱ ადგილსა მას გამობრწყინდა, სადაცა პატიოსანი ჯუარი იპოვა, რომელი ყოველთა შეუორგულებელად გურწმენა და ვთქუთ: აწ გჳცნობიეს, რომლის მიმართცა გურწმენა.

და მეყსეულად გამოჩნდეს სამშჭუალნი იგი, რომელი-იგი უფლისა იესუჲს ჴელთა დაემშჭუალნეს, უბრწყინვალჱსნი ოქროჲსა, ქუეყანასა ზედა. მოიხუნა იგინი იუდა და მიუთუალნა ელენე დედოფალსა.

მაშინ მუჴლთ-მოდრეკით თაყუანის-სცა მათ დედოფალმან. აღივსო სიბრძნითა ღმრთისაჲთა დედოფალი იგი და გულს-მოდგინედ სამშჭუალთა მათთჳს განიზრახვიდა, რაჲთამცა რაჲ ყვნა სამშჭუალნი იგი. ხოლო შე-ვე-ღა-სძინა სიმართლისა გზაჲ გამოკულევად, და მადლმან სულისა წმიდისამან გულისხმა-უყო გონებასა მისსა წინაჲწარცა მრავლით ჟამით უწყებული იგი. მოუწოდა კაცსა ერთსა სარწმუნოსა და გონიერსა, რომელი წინაჲთვე მრავალთაგან მართლად წოდებულ იყო, და ჰრქუა მას: დაჯედ აქა წინაშე თუალთა ჩემთა და შექმნენ სამშჭუალნი ესე შუად აღჳრისა ჰუნისათჳს მეფისა, რაჲთა იყოს ისრის ჭურ ყოველთათჳს, მტერთა ძლევად მის მიერ მეფჱ, დასამშჳდებელად ბრძოლისა, რაჲთა აღესრულოს თქუმული იგი წინაჲსწარმეტყუელისა მიერ: „და იყოს მას დღესა შინა რომელი აღჳრთა მათ ცხენისათა იყოს, წმიდა უფლისა წოდებულ იყოს“ (ზაქარია 14, 20).

ხოლო ღმრთის-მოყუარჱ ელენე დედოფალი სარწმუნოებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსითა განმტკიცებულ იყო იერუსალემს შინა. ყოველივე აღასრულა, დევნულებით ჰურიანი განასხნა; რომელ-იგი ურწმუნო იქმნეს, განიდევნეს ჰურიასტანით და ღმრთის მოყუარემან დედოფალმან ამცნო მამათა და დედათა აღსრულებად დღესასწაული პატიოსნისა ჯუარისაჲ თთუესა ვარდობისასა, მეათესა დღესა, რომელნი ვაჴსენებთ დღესასწაულსა ჯუარისასა და ღირს ვიქმნენით ზიარ-ყოფად ნაწილსა მას მარიამისსა.

და მადლი დიდი მოეცა წმიდასა მას ეპისკოპოსსა და ლოცვითა გუნდები ეშმაკთაჲ განასხა და სნეულთა ჰკურნებდა.

ხოლო აღესრულების საჴსენებელი პატიოსნისა ჯუარისაჲ თთუესა ვარდობისასა ორას და სამ წლისა შემდგომად აღმაღლებისა სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

თთუესა სეკტენბერსა იდ. ჯუართა აპყრობაჲ. საკითხავნი თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე მთავარეპისკოპოსისაჲ*

ყოველივე მწუხარებაჲ, რომელი უკეთჱსად მოიქცევინ კაცთათჳს, ძმანო, უპატიოსნჱს და უმეტჱს სიხარულ არნ, რამეთუ კაცთა ნათესავი დღითი-დღედ უმეტჱსსა და უმჯობჱსსა ეძიებენ კეთილსა. ეგრეევე მენავეთა, ოდეს-იგი სცის აერი და ნიავი კეთილი, დიდი შუენიერებაჲ აქუნ და ჰნებავნ, რაჲთამცა ღელვათა მათგან კეთილთა ადრე მიიწინეს, ვიდრეცა-იგი უნებნ მისულს; ეგრეცა კუალად მოგზაურთა, რაჟამს სცის აერი კეთილი გზასა ზედა, უხარინ და ჰნებავნ, რაჲთამცა ადრე მიიწინეს ადგილსა.

ტკბილ არს და სიხარულ მათაცა, რომელნი მწუხარებისაგან მოიქციან ნუგეშინის-ცემად; უფროჲს ხოლო შუება არნ მათა, რომელნი სულებისაგან განმრთელდინ; ჰამო არს მათა, რომელნი ბრძოლისაგან დასცხრიან და ყვიან მშჯდობაჲ; უტკბილჱს ხოლო არს მათა, რომელნი ბნელისაგან ნათლად გამოვიდიან და ყოველივე საქმჱ, რომელსა ზედა კაცი ნებასა მიიწიის, ვითარ იშუებნ.

აწ ამასცა ესრჱთ ვხედავთ, რომელ-იგი ღმრთისა მოცემული არს ჩუენდა სამსახურებელად მარადის. იფქლი ესე შუენიერ არს ხედვად; ქუეყანასაღა იგი დავსთესით და ნაყოფი გამოიღის და შევკრიბით საუნჯესა, უმეტჱსი სიხარული გუაქუნ.

ეგრეე ვენაჯმან და კუალად არიან რომელნიმე ხენი, რომელთა აქუნ ნაყოფი და პირსაცა შეახლებად ვერ შესაძლებელ არნ. და ყურძენი ხისაგანვე არს და ეგოდენი სიტკბოებაჲ აქუს.

ეგრევე ზეთისხილი: ფურცელი ასხს მარადის, ხოლო ნაყოფი თჳსსავე ჟამსა მიიღის. და არავე სხუათა ხეთა მსგავს არს იგი, არამედ სხუად სახედ ყუავილი გამოაქუნ წულილად — ვითარცა ფეტჳ. და კუალად გამოირკჳს იგი ტევნულად და აჩუენებნ ჴშირ-

* იბეჭდება გამოცემიდან სინური მრავალთავი, გვ. 233-237. ახალქართულად ტექსტი იხ. გვ. 217.

ად და მრავლად და, ოდეს იზარდებინ სიჴშოჲ იგი და იყარის, და არნ იგი მწარე; ხოლო რაჟამს მოისთულის, იქმნის იგი ტკბილ და მერმე ყოველნი საშუებელნი და საჭმელნი მან შეზავნის და საკურნებელთა იმსახურების და სანთლად, და ყოვლადვე მისგან არს საშუებელი კაცთაჲ. ესრეგე ყოველი სარგებელი ნაყოფი, ოდეს იგი შეიკრიბის კაცმან საუნჯესა, იხარებნ ამას ყოველსა ზედა.

უკუეთუ ამან სამსახურებელმან ჯორცთამან ესრჱთ მხიარულ ყვის კაცი, აწ, საყუარელნო, მოვიდეთ უშუენიერჱსსა მას და ვიხილოთ, რავდენსა კეთილსა მომატყუებელ გუექმნა ჩუენ ჯუარი ქრისტჱსი, რამეთუ მისითა ძალითა ესოდენი ესე კეთილი აღასრულა. დაღაცათუ მწუხარება რაჲმე ჩას სმენაჲ იგი ჯუარისა უფლისაჲ, არამედ სიხარულითა სავსე არს და შუენიერებითა გარდმატებულ, უკუეთუ თქუმულ არს ჰურიათა საცთურ და წარმართთა სისულელე (1 კორინთ. 1, 23), ხოლო ჩუენ, მორწმუნეთა, საცხორებელ და უკუდავება.

რა ოდეს ჯუარი ეკლესიასა იკითხვების, და მორწმუნეთა ესმინ, და მწუხარება უჩნ არა თუ ჯუარს-ცუმისათჳს, არამედ ჯუარის-მცუმელთა მათთჳს ურწმუნოთა, შე-მცა-წუხნეს. რამეთუ ჯუარი ცხოვრება არს ეკლესიისა; ჯუარი სიქადული არს ყოველთა მოსავთა მისთაჲ; ჯუარი, რომელმან ჩუენ განგუარინნა პირველთა მათ ბოროტთა; ჯუარი, რომელსა ყოველი კეთილი მოუცემიეს, პირველი მადლი; ჯუარი, რომელმან ჩუენ დაგუაგნნა (დაგება, შერიგება) ღმერთსა მტერობისაგან და გუარწმუნნა ქრისტესა და შეცთომილნი მოგუაქცინნა მისა; ჯუარისაგან განვერენით საცთურსა ეშმაკისასა; ჯუარისაგან სიკუდილსა და წარწყმედასა განვერენით.

ამისთჳს ოდეს კრებულსაღა ესმა ჯუარს-ცუმაჲ იესუჲსი, წუხდა და დრტჳნვიდა; ხოლო ოდეს ესმა აღდგომაჲ, დრტჳნვაჲ იგი და მწუხარებაჲ სიხარულად გარდაექცა, და წმიდითა ჴმითა დიდებასა მისცემდეს.

ჯუარმან კაცთა ბუნებაჲ ანგელოზთა წესსა მიაქცია და ყოვლისაგან ბოროტისა განაშორა და უხრწნელსა ცხოვრებასა ღირს ყო. არა ხოლო თუ კაცად, არამედ ღმრთად უწოდის, ვი-

თარცა წერილ არს: მე ვთქუ, ღმერთნი სამე ხართ და შვილნი მაღლისანი თქუენ ყოველნი (ფსალმუნნი 81, 6; შდრ. იოანე 10, 34.). და არღარა ხადის მონად, არამედ ძმად და მეგობრად: და უთხრობდე სახელსა შენსა ძმათა ჩემთა (ფსალმუნნი 21, 22; ებრ. 2, 12). და არღარა გიწოდო თქუენ მონად, არამედ მეგობრად (იოანე 15, 15). აწ ხედავა, რავდენი კეთილი და გარდაცვალებაჲ ქმნა ჯუარმან მორწმუნეთა მიმართ მისთა და მოშიშთა!

და კუალად, რაჲთა უფროჲსრე სცნა ჯუარისა ძალი, მოღა-იგონე, ვითარ იყო უწინარჱს ჯუარს-ცუმისა და ვითარ შემდგომად და ჰპოვნე შენ საკჳრველებანი ჯუარისანი: უწინარჱს ჯუარისა ძჱ არავინ იცოდა, ხოლო დღეს ჯუარისა ქადაგებითა ქრისტჱ სახელ-იდების, და მამაჲ ძისაგან იცნობების; პირველ ჯუარისა ეშმაკი თაყუანის-იცემებოდა, დღეს ჯუარისა ქადაგებითა ეშმაკი დაეცა და ყოველნი მსახურნი მისნი განიბნინეს და ივლტიან; პირველ ჯუარისა კაცნი ცოდვასა ქუეშე იყვნეს და სიძჳსა, ხოლო დღეს ჴორცთა სიწმიდჱ შეეძოსა; ჯუარისა ქადაგებითა არა ხოლო თუ სიძჳსა განვეშორენით, არამედ თითოეული ქალწულებასა ზედა დაადგრების; ჯუარი არა იქადაგებოდა, და ეშმაკმან ჰურიანი შეკრიბნა ქრისტესა ზედა, ხოლო დღეს ჯუარი იქადაგების და მოციქულთა მიერ ჰურიანი აღიარებენ ქრისტესა; ჯუარი არა იქადაგებოდა პირველ და ყოველი სოფელი სიკუდილსა დაეპყრა, ხოლო აწ ჯუარისა ქადაგებითა სიკუდილი უკუდავებად და ცხოვრებად საუკუნოდ მოგუეტყუა; პირველ ჯუარისა სამოთხისაგან უცხო ვიყვენით, ხოლო ვითარ ჯუარი დაენერგა, მუნთქუესვე ავაზაკსა ჰრწმენა და სამოთხჱ დაიმკჳდრა.

აჰა დიდი ძალი ჯუარისაჲ! რავდენი შეცვალებაჲ ყო კაცთა ნათესავსა შორის! ბნელისაგან ნათელსა ესოდენსა მოგჳყვანნა; აწ არღარა დაბნელდეს გონებაჲ კაცთაჲ, ამისთჳს რამეთუ ნათლითა მით ჯუარისაჲთა ცნობაჲ იგი გამობრწყინდების; არღარა დაყოფილ არიან ყურნი ურწმუნოებითა, არამედ ესმა სიტყუაჲ უფლისაჲ; ბრმათა აღიხილნეს და იხილეს დიდებაჲ უფლისაჲ, ესე ყოველი ძალითა ჯუარისაჲთა.

და რაჲმე რაჲ არს ჩუენი ყოველი კეთილი, რომელიმცა არა

ჯუარისაგან გუაქუნდა? ჯუარისაგან კეთილი სარწმუნოებაჲ გუესწავა და ყოველივე მსახურებაჲ ღმრთისა მიმართი; ჯუარისაგან სიმართლჱ ღმრთისაჲ გუესწავა და სიყუარული და მშჯდობაჲ; ჯუარისაგან შორიელნი მოვეახლენით ქრისტესა და ერთიერთსა ვიცნობთ და ვჰყუარობთ, და მის მიერ მადლი იგი სულისა წმიდისაჲ მოგუეცა; ჯუარისაგან სიყუარულისა იგი ძალი ვცანთ და მოყუსისა მიმართ სულთა დავსდებთ; ჯუარისაგან ყოველსა სოფელსა შეურაცხ-ვჰყოფთ მერმისათჳს საუკუნოჲსა; ჯუარი იქადაგების, და სარწმუნოებაჲ განმრავლდების, და ჭეშმარიტებაჲ ყოველსა სოფელსა მიეფინების; ჯუარი იქადაგების, და მარტჳლნი გამოჩნდებიან და ქრისტჱს სარწმუნოებითა განძლიერდებიან; ჯუარი იქადაგების, და აღდგომაჲ იჩინების, და ცხოვრებაჲ გამობრწყინდა. ჯუარი იქადაგების, და ურწმუნონი მოიქცევიან და ცხოვრებასა მიემთხუევიან; ჯუარი ამის ყოვლისათჳს ჩუენდა მომატყუებელად აღემართა, და ჩუენ ესე სიტყუანი გუესწავნეს. და რაჲ არს ჯუარისა უპატიოსნჱს სხუაჲ ანუ საკმარ სულთა ჩუენთათჳს?

აწ, საყუარელნო, ნუმცა გურცხუენის სახელის-დებად ჯუარისა, არამედ ყოვლითა კადნიერებითა აღვიაროთ ჯუარი, რომლითა ცხოვრებად ვიწოდენით.

ჰხედავა, რავდენი განგებულებაჲ სოფლისაჲ ჯუარსა ზედა დადვა და უშჯულონი საქმენი გარდააქცინა და შეცვალნა ყოველნი იგი შუენიერად! აწ არღარა შჯული იგი ეშმაკისაჲ იმსახურების, რამეთუ ღმერთი მოვიდა და ყოველი ბნელი ივლტოდა, და მის მიერ წყალობაჲ იგი მოეფინა; ყოველი იგი გონებაჲ ჯორციელობისაჲ და შუებაჲ მოისპო და წესნი სიწმიდისანი დასხნა, უკეთურებაჲ სიძვისაჲ წარდევნა და სიწმიდით ქორწინებაჲ განგჳგო.

რამეთუ პირველ რაჲმე ეშმაკმან შეუგდო სახჱ იგი სიძვისაჲ და კერპთ-მსახურებისაჲ, აწ ძირი იგი უშჯულოებისაჲ აღმოჰფხურა ჯუარითა და ყოველი უშჯულოებაჲ კაცთაგან განაშორა და განწმიდნა სულნი, რაჲთამცა მან გამოიღო ნაყოფი სარწმუნოებისაჲ და სიმართლისაჲ; განახუნა საუნჯენი ღმრთეებისანი და განამდიდრნა იგინი ნაყოფითა ღმრთეებისაჲ-

თა; განაძღნა ყოველნი სულითა სიწმიდისაჲთა და ეპოვა მათ წყაროდ უკუდავებისად. ესე ყოველი ჯუარისაგან მოსცა ქრისტემან დაბადებულთა თჳსთა, და ყოველსავე კეთილსა ჯუარისაგან ვხედავთ და ესეცა ცნობაჲ ჯუარისაგან გუესწავა და გულისხმავყავთ ძჲ.

აწ რაჲთა იხილო ჯუარისა ძალი, განიცადე და გულისხმაყავ, რაჲ იქმნების ჯუარისაგან, და ჰპოვო შენ საქმჲ ღმრთისაჲ: ჯუარი ცხოვრებისათჳს აღემართა, და ცხოვრებაჲ მოეცა სოფელსა; ჯუარი კუალად სიკუდილისათჳს აღემართა, რაჲთა სიკუდილი დათრგუნოს; ჯუარი ჭეშმარიტებისათჳს აღემართა, რაჲთა ყოველი სოფელი ჭეშმარიტებითა აღავსოს; ჯუარი აღემართა უფლისათჳს, გარნა უფალმან ჯუარსა ზედა ჴელნი განიპყრნა და ყოველნი მისა მოიზიდნა; ქრისტემან ჯუარსა ჴელნი განიპყრნა, და ეშმაკი დაეცა და სოფელსა სასწაული ცხოვრებისაჲ მოანიჭა; ქრისტე ჯუარს-ეცუა და ყოველი სოფელი ჯოჯოხეთისაგან ქუესკნელისა განარინა: ქრისტე ჯუარს-ეცუა და ყოველი ნათესავი კაცთაჲ მონებისაგან განათავისუფლა; ქრისტე ჯუარს-ეცუა და სასწაული ახალი სოფელსა უჩუენა, რამეთუ მზისა იგი სინათლჲ დაბნელდა და აჩუენა ურწმუნოთა მათ დღისა მისთჳს საშჯელისა მათა საცნობელად, ხოლო მორწმუნეთა უხარის ნათლისა მისთჳს ბნელისაგან მოქცეულისა.

ესრეთცა წინაჲსწარმეტყუელი იტჳს: და იყოს მას დღესა, თქუა უფალმან, დაჰჴდეს მზჲ შუვა სამხრის, და დაბნელდეს ქუეყანასა. და გარდავაქცინე დღესასწაულნი თქუენნი გლოვად და ყოველნი გალობანი ურვად (ამოს 8, 8-9). ვითარ ესოდენი საიდუმლოჲ აქუს წინაჲსწარმეტყუელისა სიტყუასა, რამეთუ აქა ორთათჳსვე აჩუენებს: ჰურიათა მათ გალობათათჳს და წარმართთა, რომელნი უშჯულოებენ. ხოლო რომელნი შჯულსა ქუეშე იყვნეს, ეგლოვდენ, რამეთუ დასცხრა დღესასწაული მათი და არღარა იყოს იერუსალემს მათი იგი მსახურებაჲ; რამეთუ დაესრულნეს ყოველნივე წესნი მათნი მოსლვითგან ქრისტჱსით და ვნებით და ჯუარცმით; რამეთუ მოელო მათ შჯული, და მიეცნეს მონებად ყოველთა ნათესავთა ურწმუნოებისათჳს ღმრთისაჲსა და დიდებისათჳს ჯუარისა.

გარნა წარმართნიცა იგლოვდეს ცოდვათათჳს და აღიარებდეს: გლოვაჲ, რომელი მოსცემს ნეტარებასა, რამეთუ იტყჳს: ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინისცემულ იყვნენ (მათე 5, 4).

აწ იხილე სინანული: რომელი-იგი პირველ კერპთ-მსახურ იყო, დღესასწაული იგი მისი გარდააქციოს გლოვად, ვითარ-იგი გჳთხრობს გლოვასა მას წარმართთასა, ვითარმედ: შევსცეთით სირცხჳლითა ჩუენითა და დაგუფარნა ჩუენ ცოდვამან ჩუენმან (იერემია 3, 25), რამეთუ აღვივსენით ჩუენ უშჯულოებითა ჩუენითა. და მოვიჯსენენით ჩუენ სიმედგრენი მამათა ჩუენთანი (იერემია 14, 20).

ეგრეცა ჩუენ, ოდეს ვიურვოდით, გინა თუ შევწუხნეთ ცოდვათათჳს, გინა ეშმაკისა მიერ ყოვლისავე საცთურისათჳს მოვიღტოდით წინაშე სასწაულისა მის ჯუარისა, რომელი მოგუცა ქრისტემან განსარინებელად პირისა მისგან მშჯლდისაჲსა, და გჯჳნნეს საყუარელნი თჳსნი და გუაცხოვნნეს მარჯუენითა თჳსითა და ისმინოს ჩუენი, რამეთუ იგი არს სასოებაჲ ჩუენი; და ყოვლადვე ვესვიდეთ ჯუარსა და გუაქუნდეს წმიდაჲ იგი ჯუარი ქრისტჱსი სიქადულად, სიხარულად, საჭურველად, ფარად და მცველად სულთა და ჯორცთა ჩუენთა.

და ჩუენი სიქადული იყავნ ჯუარითა ქრისტჱსითა, რაჲთა ჯუარითა ჩუენ ყოველი გუესწაოს, და გონებაჲ ჩუენი ვყოთ ზეცას და ჯუარისაგან შევეახლნეთ ღმერთსა და ღირს ვიქმნეთ სასუფეველსა ღმრთისასა ქრისტჱს იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

დღესასწაულსა ჯუართა აღპყრობისასა საკითხავი თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისაჲ*

გუაკურთხენ, მამაო!

ყოველივე უდარესთაგან უმჯობესთა მიმართ შეცვალებაჲ ფრიადისა შუებისა და მხიარულებისა მომატყუებელ ექმნების ნათესავსა კაცთასა, რომელსა მარადის მოსწრაფებაჲ აქუს უზეშთაესთა მიმართ აღმაღლებისაჲ, რამეთუ ესრეთ საწადელ არს ნავით მავალთათჳს მღელვარებისაგან ზამთრისა შეცვალებაჲ მყუდროებად არისა და ეგრეთვე მოგზაურთათჳს შემდგომად დაშურომით მავალობისა — უშრომელობაჲ დგომისაჲ და მწუხარეთათჳს — მხიარულებაჲ შემდგომად მჭმუნვარებისა. და კუალად ამათსა უსაწადელეს არს სნეულთათჳს განმრთელებაჲ შემდგომად სენთა მიერისა უძლურებისა და მტერქმნულთა — მეგობარ-ყოფაჲ შემდომად ურთიერთას მოძაგებისა და ბნელსა შინა მყოფთა ნათლად გამოსლვაჲ შემდგომად ღამისა. და რაჲთა ერთბამად ვთქუა: ყოველი საქმე იგი უსაწადელეს არს, რომელსა მრავალჟამეული სურვილი განადიდებდეს წინაშე მჯუმეველთა მისთა, რამეთუ ამას ესრეთვე ვხედავთ ყოველთავე ზედა საზრდელთა ღმრთისა მიერ ჩუენდა მონიჭებულთა ნერგთაგან, გინათუ თესლთაგან, რომელთა-იგი უტკბილეს-ჰყოფს ჟამად-ჟამადი სხჳთი-სხუად ცვალებაჲ და ამიერ მისდად და ძუელისაგან ახლად მიცვალებაჲ.

ვინაჲთგან უკუე ესოდენისა მხიარულებისა და შუებისა მიზეზ ჩუენდა არიან ესევითართა საქმეთა შეცვალებანი, მოვედით უკუე და ჩუენცა რაჲთა მივიცვალნეთ რეცა შემაწუხებელთა და უპატივოდ საგონებელთა მათგან კაცთაჲსა პატიოსანთა მიმართ და ჭეშმარიტად მახარებელთა, ესე იგი არს ვნებისაგან ჯუარსცუმისა კეთილთა მიმართ ჯუარისათა, რაჲთა ვიხილოთ, თუ

* იბეჭდება გამოცემიდან იბეჭდება გამოცემიდან ძველი ქართული მწერლობის ძეგლები VII, 1986, სექტემბრის საკითხავები გვ. 322-327. ახალქართულად ტექსტი იხ. გვ.222.

ვითარ ყოველთა კეთილთა მომატყუებელ გუექმნა ჩუენ ჯუარი ქრისტესი, რაჟამს თჳსითა მოქმედებითა ესოდენი შეცვალებაჲ მოატყუა სოფელსა. რამეთუ დაღაცათუ მწუხარებისა და ურვისა მიზეზ საგონებელ არს მსმენელთა მიერ, არამედ მხიარულებითა აღმავსებელ და ბრწყინვალებითა შემმოსელ არს ჯუარითა ვნებაჲ უფლისაჲ, რომელი არა ვნება, არამედ უვნებელობისა მიზეზ მექმნა ჩუენ. ხოლო უკუეთუ შესაბრკოლებელ ჰურიათა სახელ-იდების და სისულელე წარმართთა იქადაგების (1 კორ. 1, 23), არამედ ჩუენდა მორწმუნეთა ცხორება არს სახელი მისი, რამეთუ დაღაცათუ ჯუარი და ვნებაჲ იკითხვების ეკლესიასა შინა, რომლისა სმენაჲ ნუუკუედა საგლოველ ვისმე აღუჩნდეს ჯუარისა მორწმუნეთა ერთაგანსა, არამედ ჴმაჲ იგი გოდებისაჲ და წყალობით სალმობიერად სულთ-თქუმისაჲ, ვითარ-იგი ჯერ-არს, ჯუარის-მცუმელთა მათთჳს იჯუმიენ და ურწმუნოთა ეგლოვდინ.

ხოლო ჩუენდა ჯუარი ცხორება არს ეკლესიისა, ჯუარი სიქადულ არს მოსავთა მისთა, ჯუარი მდევნელი არს პირველთა მათ ძჯრთაჲ და დაწყებაჲ აწინდელთა კეთილთა ჩუენთაჲ. ჯუარი დაგებაჲ არს მტერთაჲ ღმრთისა მიმართ და მომაქცეველი ცოდვილთაჲ ქრისტეს მიმართ. ჯუარისა მიერ მტერობისაგან ვიჴსნენით და სიყუარულსა ღმრთისასა შევეერთენით. ჯუარისა მიერ მონებისაგან ეშმაკისა განვთავისუფლდით და სიკუდილისა წარმწყმედელისაგან გამოვიჴსნენით. ამის მიერ ერსა, რომელსა პირველ ჴმაჲ იგი გოდებისაჲ საჴმარ-უჩნდა სმენითა ჯუარსცუმისაჲთა, აწ სიხარულად შეუცვალებიეს სმენითა აღდგომისაჲთა. ჯუარისა მიერ კაცობრივი ბუნებაჲ ანგელოზთა წესად შეიცვალა, რაჟამს ყოვლისავე ხრწნილებისა საქმისაგან უცხოყვნა და უხრწნელისა ცხორებისა ზიარებად ღირს-ყვნა. რამეთუ არღარა კაცად, არამედ ღმრთად სახელ-იდებიან და ესმის: „მე ვთქუ, ღმერთი სამე ხართ და შვილნი მაღლისანი ყოველნი“ (ფსალმ. 81, 6. შდრ. იოანე 10, 34) და არღარა მონად, არამედ მეგობრად და ძმად მეწოდების ჩუენ. „მოუთხრა სახელი შენი, — იტყჳს, — ძმათა ჩემთა“ (ფსალმ. 21, 23. ებრ. 2, 12) და „არღარა გიწოდ თქუენ მონად, არამედ მეგობრად“ (იოანე 15, 15). ხედავა,

რაოდენი შეცვალებაჲ იქმნა ჯუარისა მიერ ანუ რაოდენ მიზეზ უმჯობესისა ექმნა მორწმუნეთა მისსა მიმართ.

ხოლო რაჲთა უგანცხადებულესად ისწავო ძალი ჯუარისაჲ, გულისჴმა-ყავ, თუ რაჲ იყო პირველ ჯუარისა, ანუ რაჲ შემდგომად ჯუარისა, რაჲთა ესრეთ გეპოვოს მოქმედებაჲ ჯუარისაჲ. პირველ ცხოველს-მყოფელისა ჯუარისა არა ყოველთა შორის საცნაურ იყო ძე. ხოლო დღეს ჯუარისა ქადაგებითა ძე სახელიდების და მამაჲ ძისა მიერ საცნაურ იქმნების. პირველ ჯუარისა ეშმაკი თაყუანის-იცემებოდა, ხოლო აწ ჯუარისა ქადაგებითა ეშმაკი დაითრგუნვის და ყოველნი ძალნი მისნი ივლტიან. პირველ ჯუარისა ბილწებათა და სიძვათა მიდევნებულ იყვნეს კაცნი, ხოლო აწ ჯუარისა ქადაგებითა შუენიერებაჲ სიწმიდისაჲ აღყუავილნა და ჰაეროვნებაჲ უბიწოებისაჲ ბრწყინვალე იქმნა. ჯუარისა ქადაგებითა არა ხოლო სიძვისაგან განვეყენენით, არამედ შჯულიერისაცა ქორწინებისა შეურაცხის-მყოფელ ვიქმნენით. რამეთუ ქალწულებასა, რომელსა ოდესმე ვერ მივითუალევდით, ვითარცა თჳსსა წესსა ბუნებითსა, ეგრეთ დამცველ ვიქმნებით. არღა იყო ჯუარი და ეშმაკმან ჰურიანი ქრისტეს ზედა შეკრებულ-ყვნა. ხოლო დღეს ჯუარისა ქადაგებითა მოციქულთა ჰურიანი სარწმუნოებად ქრისტესსა მოიყვანნეს. არღა იქადაგებოდა ჯუარი და სიკუდილისა მიერ შეპყრობილ ვიყვენით. ხოლო აწ ჯუარისა ქადაგებითა სიკუდილსა, ვითარცა არაარსსა, შეურაცხ-ვჰყოფთ და საუკუნოჲსა ცხორებისა სურვიელ ვართ. არღა იყო ქადაგებაჲ ჯუარისაჲ და უცხო ვიყვენით სამოთხისაგან, ხოლო აწ ჯუარი რაჲ გამოჩნდა, მყის სამოთხისა ღირს-ყო ავაზაკი.

ეჰა დიდსა ამას ძლიერებასა ჯუარისასა, რაოდენისა შეცვალებისა მიზეზ ექმნა ნათესავსა კაცთასა! რამეთუ ბნელისაგან ნათლად მივიცვალენით დაუსრულებელად, და ხრწნილებისაგან უხრწნელებად განვახლდით, ვინაჲთგან არღარა დაიფარვიან თუალნი გულთანი ბნელისაგან უმეცრებისა, არამედ ჯუარისა მიერ განბრწყინდებიან ნათლითა მეცნიერებისაჲთა, არცაღა ყურნი ყრუთანი დაჴშულ არიან ურწმუნოებითა, რამეთუ ყურთა ყრუთასა ესმა სიტყჳსაებრ უფლისა და თუალნი

ბრმათანი აღეხუნეს ხილვად დიდებასა მეუფისასა.

ესე არიან ჯუარისა წარმართებულებანი, ესე არიან ჯუარისა მიერთა კეთილთა ჩუენდა მონიჭებულებანი, რამეთუ რაჲ არს კეთილთაგანი, რომელი არა ჯუარისა მიერ მოგუენიჭა ჩუენ. და რაჲმცა იყო შუენიერ სხუაჲ თჳნიერ მის მიერ წარმართებულთა მათსა. ჯუარისა მიერ კეთილად მსახურებაჲ გუესწავა და საღმრთოჲსა მის ბუნებისა ზიარ ვიქმნენით. ჯუარისა მიერ სიმართლე ღმრთისაჲ ვისწავეთ და სათნოებაჲ სიწმიდისაჲ ჩუენ მიერ შეტკბობილ იქმნა, ჯუარისა მიერ ურთიერთას ვიცნობთ და შორს ქმნილნი ქრისტესა შევეერთებით და მადლსა სულისა წმიდისასა მიმღებელ ვიქმნებით. ჯუარისა მიერ ვისწავეთ ძალი სიყუარულისაჲ და არღა ვიჯმნით ურთიერთას სიკუდილისათჳს. ჯუარისა მიერ ყოველსავე ამის სოფლისასა შეურაცხ-ვჰყოფთ და არარად შეგჳრაცხიან საშუებელნი მისნი ტრფიალებითა საუკუნეთა კეთილთაჲთა და უხილავსა წინა დავიდებთ ნაცვალად ხილულისა. ჯუარი იქადაგების და სარწმუნოებაჲ ღმრთისა მიმართ აღიარების და ჭეშმარიტებაჲ ყოველსა სოფელსა მოქალაქობს. ჯუარი იქადაგების და აღდგომაჲ გამოცხადნების და სასუფეველი ცათაჲ სარწმუნო იქმნების, ვინაჲცა ურწმუნონი ჯუარისა მორწმუნე იქმნებიან. და რომელთაიგი ჯუარი მაცხოვრისათჳს მოიპოვეს, იგინიცა ცხორებასა მიემთხუევიან მის მიერ. ჯუარისა მიერ ამის ყოვლისა თქუმად განვისწავლენით და ჯუარი არს მომატყუებელ ჩუენდა ესეეთართა კეთილთა.

რაჲმცა იყო უპატიოსნეს ჯუარისა, ანუ რაჲ უმარგებელეს მისსა სულთა ჩუენთათჳს, ვინაჲცა ნუმცა გურცხუენის სახელისდებაჲ ჯუარისაჲ, არამედ ყოვლითავე კადნიერებითა აღვიაროთ ჯუარი, რომლისა მიერ ცხორებად აღმოვიწოდენით და რომლისა მიერ ცხორებად წარვიგზავნებით. ჰხედავ, რაოდენნი განგებულებანი ყენა ამან ჯუარმან სოფლისა შორის წარდევნითა მისგან უწესოთა საქმეთაჲთა და დაჯსნითა მის შორის უღმრთოებისა შჯულთაჲთა? არღარა სუფევს შჯულითა საეშმაკოჲთა, არცა იქცევის მოქალაქობითა სასიკუდინოჲთა, რამეთუ ღმერთი მოვიდა მისსა და მოუსპნა მძლავრებანი ენებათანი, დასხნა

თჳსნი შჯულნი, ქადაგნა წესნი და მოძღურებანი სარგებელისა და უმჯობესისანი, უჩინო-ყვნა უძღებებანი, განქარვებულ – ვნებულებანი, რამეთუ შჯული სიწმიდისაჲ დაგჳდვა, რაჟამს საზღვართა მიერ სიწმიდისათა განთხეულ-ყო სიძვისა უშჯულოებაჲ, შჯულის-მდებელ იქმნა კანონთა კრძალულებისათა და ბრძანებითა საღმრთოჲთა მოსპნა ორღანონი გულის-თქუმათანი, რაჲთა ესრეთ მოაშთოს ყოველი ცოდვაჲ, რომელი იშვების მიდგომილებითა გულის-თქუმისაჲთა. ვინაჲთგან დასაბამ სიძვისა-მიდევნებაჲ კერპთაჲ და განმხრწნელ ცხორებისა მოპოვნებაჲ მათი, ამისთჳს მან თავადმან ძირნი უშჯულოებისანი შეშჭრნა, რაჲთა დააცხრენეს ყოველნი ნაკადულნი ულმრთოებისანი, განაქარვნეს ბილწნი იგი საზორველნი კერპთ-მსახურებისანი და განხრწნეს წესნი აღსავსენი ყოვლითა უწესოებითა.

ამის ესევითარისათჳს გინებულ-ყვნა ბარბაროზებრნი იგი მახჳლნი მჴედრობათანი და დააბნელნა ყოველნი ზმნანი და ჩემებანი, გინათუ საოცრებანი, რომელთა მიერ უმშჯავროდ შეიმკებოდა ულმრთოობაჲ. ამისვე მიზეზისათჳს დაჰჴსნნა მიზეზნი დამჴსნელნი სიყუარულისანი, რაჲთა დაყვნეს საქანელნი წარწყმედისანი და განწმინდა სულნი, რაჟამს აღმოფხურნა ეკალნი შემაშფოთებელნი და დასთესა მათ შორის თესლი სიტყჳსაჲ, რომელთა მიერ ნაყოფიერ-ყვნა სულნი ნაყოფითა ღმრთის-მეცნიერებისაჲთა, განახუნა საუნჯენი სულიერისა მის იფქლის-განმყოფელობისანი და აღავსნა სიტყჳერნი სავანენი ნაყოფითა საღმრთოჲსა მისდა ზეცისა სიბრძნისაჲთა, მდიდარ-ყვნა მორწმუნენი სიწმიდითა სულისაჲთა. ვინაჲცა იქმნნეს თითოეული საუნჯე საღმრთოჲსა სიწმიდისა და მდინარე მადლთა სულიერთა. ესე ყოველი ნიშმან ჯუარისამან მოუგო დაბადებულთა: ამათ ყოველთა კეთილთა მეცნიერებაჲ მოვიღეთ ჯუარისა მიერ და ყოველსავე ამას ჯეროვნად განსწავლულ ვიქმნენით.

ხოლო რაჲთა ისწავო გამოძიებითა უწულილესითა სიმრავლე იგი მოქმედებათა ჯუარისათაჲ და მათ მიერ სიმდიდრე ძალთა საღმრთოჲსა განგებულებისათაჲ, ვიტყოდით ესრეთ: ჯუარი მაცხოვრისათჳს აღემართა და სოფელსა ცხორებაჲ ჯუარისა მიერ მოემადლა. ჯუარი ორღანოდ სიკუდილისა მოპ-

ოვნებულ იქმნა და სიკუდილი მკუდრად ჯუარისა მიერ გამოჩინებულ იქმნა. ჯუარი ჭეშმარიტებისათჳს განემარტა და ჯუარისა მიერ ჭეშმარიტებითა აღიჳსო სოფელი. ჯუარი მეუფისათჳს განემარტა და მეუფემან ჯუარსა ზედა განპყრობითა ჴელთაჲთა ყოველნი თავისა მიმართ თჳსისა მოიზიდნა. ქრისტე ჯუარსა ზედა დამოეკიდა და ეშმაკი მოაკუდინა. ქრისტე ჯუარსა ზედა განირთხა და ჯუარი სასწაულად ცხორებისა სოფელსა მოანიჭა. ქრისტე ჯუარსა შეემშჭუალა და ყოველი დაბადებული საკრველთაგან ცოდვისათა განიჴსნა. ქრისტე ჯუარსა დაემშჭუალა და ყოველი დაბადებული ხრწნილებისაგან და მონებისა განთავისუფლდა. ქრისტემან ჯუარსა ზედა მიიძინა და ახლად სასწაულად ყოველსა სოფელსა ექმნა მის თანა აღდგინებითა საუკუნითგანთა მძინარეთაჲთა. ჟამსა მას, რომელსა შინა მზე დაბნელდა და ნიშ საკჳრველ იქმნა მიფარვითა ნათლისა თჳსისაჲთა და კუალად გამობრწყინვებითა შარავანდედთაჲთა, რომელთა მიერ ცხად-ყო ყოფადი იგი ბნელი, რომელი დაუნჯებულ არს ურწმუნოთათჳს დღესა მას სასჯელისასა, და კუალად ნათელი იგი მართალთათჳს განმზადებული, რომელსა ღირს-იქმნებიან მორწმუნენი. და ამას საწინაჲწარმეტყუელოჲცა იგი სიტყუაჲ ჯმობს და იტყჳს: „და იყოს მას დღესა შინა, — იტყჳს უფალი, — დაჰჯდეს მზე შუვა დღე და დაბნელდეს ნათელი დღისაჲ და გარდავაქცინე დღესასწაულნი თქუენნი გლოვად და ყოველნი გალობანი თქუენნი გოდებად“ (ამოს. 8, 8-9).

ჰხედავთა, საყუარელნო, რაოდენნი საიდუმლონი ჰქონან საწინაჲწარმეტყუელოსა ამას სიტყუასა, რამეთუ, აჰა, ჟამსა ამას ქრისტეს ვნებისასა ორივე ესე იხილვებოდა — განცხადებაჲ საქმეთაჲ ორთავე შორის. ჰურიათა ვიტყჳ, შჯულსა ქუეშე მყოფთა და წარმართთა — გარეშეთა შჯულისათა და აღმასრულებელთა უშჯულოებისათა, რამეთუ ერთთა მათ გლოვად გარდაექცა შჯულიერი იგი დღესასწაულობაჲ, ვინაჲთგან წარუწყმდა დღესასწაულობაჲ დღესასწაულსა შინა ჯუარსცუმითა უფლისაჲთა, რამეთუ ნაცვალად გალობათა გოდებათა წარმოიტყჳან იერუსალემისათჳს, რომელსა არღარა ჰქონან შჯულიერნი იგი მსახურებანი, არცაღა აღესრულებიან მის

შორის დღესასწაულნი, არამედ დასრულებაჲ იქმნა მათი შემდგომად ქრისტეს მოსლვისა და ჯორციელად ვნებისა. ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: გარდავაქცინე სასწაულნი თქუენნი გლოვად და ყოველნი გალობანი თქუენნი გოდებად ყოვლად მოკლებითა შჯულიერთა მსახურებათაჲთა და ყოველთა ნათესავთა შორის მონებად განბნევითა მათითა. რაჲსათჳსმე? ამისთჳს, რამეთუ არა ჰრწმენა მათ ქრისტეს მიმართ, არცა შეიწყნარეს საღმრთოჲ იგი და ყოვლად დიდებული ქადაგებაჲ ჯუარისაჲ. იგლოვდენ უკუე და წარმართნიცა ცოდვათაგან მოქცეულნი და აღმსარებელნი თჳსთა ცოდვათანი, რამეთუ გლოვაჲ ნეტარებისა მომატყუებელ არს. „ნეტარ იყვნენ მგლოვარენიო, — თქუმულ არს, — რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ“ (მათე 5, 4).

ნამდჳლვე სამართალ არს, რაჲთა ესენიცა ეგლოვდენ ბილწთა მათ დღესასწაულობათა და უწესოთა მომღერალობათა, რომელთა ჰყოფდეს არაწმიდათა ეშმაკთა მიმართ. რამეთუ განიხილეღა შენ ჩემდად, თუ ვითარ იგლოვს დღეს წარმართი, რომელი-იგი ძუელ ოდესმე საეშმაკოდ დღესასწაულობდა. ვინაჲთგან ესევითარი დღესასწაულობაჲ შეუცვალებიეს გლოვად სინანულისა, ბოროტთა მათთჳს, რომელთა პირველ ჰყოფდა, და გოდებით იტყჳს საწინაჲწარმეტყუელოსა მას სიტყუასა, ვითარმედ: შევსცეთით სირცხჳლსა შინა ჩუენსა და დამფარნეს ჩუენ ცოდვათა ჩუენთა (იერ. 3, 25). რამეთუ აღვივსენით უღმრთოებითა ჩუენითა და მეცნიერ ვიქმნენით უმშჯავროებასა მამათა ჩუენთასა (იერ. 14, 20).

ესრეთვე ჩუენცა პირველად კეთილად ვიგლოვდეთ და ვგოდებდეთ შემთხუეულთათჳს ჩუენდა ბოროტთა. და ეგრეთღა კრძალულებით ვიხარებდეთ ჯუარისა მიერ ჩუენდა მონიჭებულთათჳს კეთილთა და მის თანა გჳხაროდენ. და ესრეთ გჳხაროდენ, რაჲთა აღმაღლებასა მისსა თანა აღვმაღლდებოდით ნივთთაგან სოფლისათა და სიმრავლითა სათნოებათაჲთა შემოუკრებდეთ ყოვლით კერძოსა დღესასწაულობასა, რამეთუ ესე ესრეთ ჰნებავს ჯუარსა, რომლისათჳს აწ აღმაღლდების და ვითარცა სანთელი სასანთლესა ზედა ეკლესიისასა დადგმული და ოთხკერძო აღპყრობითა ოთხთა კიდეთა სოფლისათა მიწთომილი ყოველთაჳე

განაბრწყინვებს. რამეთუ ჩუენ მის თანა აღმამაღლებს და ბრწყინვალებასა თჳსსა და მის ზედა ჯუარს-ცუმულისა მეუფისასა საქმეთა მიერ ნათლისათა გჳზიარებს, რაჲთა ნათლითა მისითა ძლუანვილნი მივიწივნეთ დღესა მას ნათლისა მის ქრისტეს თანა დაფარულისა და მის მიერ მისთა მათ მისდად გამობრწყინვებულისასა მის თანა ყოფად ცხორებასა მას დაუსრულებელსა.

ამის უკუე ესევითარისა დღესასწაულობად განვიწმიდნეთ სულნი და ჯორცნი, რომლისა მიერ იქმნების ჯეროვანი ხედვაჲ თუალთა ორკერძოთაჲ. ვიხილოთ ჯუარი და ვიშუებდეთ ტკბილისა მისგან და ცხოველს-მყოფელისა ხედვისა მისისა, რამეთუ ამისთჳს სიმაღლედ აღყვანებულ იქმნების, რაჲთა სურვილი ჩუენი მიცვალოს ავისა თჳსისა მიმართ და თავისა თჳსისა მიერ. ესრეთ მადიდებელისა მისისა მიმართ მიგჳწოდნეს და აღმადგინნეს დაცემულნი ცოდვისა მიერ და გჳჩუენოს, ვითარ თუმცა აწღა მას ზედა ჯორცითა დაკიდებულ იყო ქრისტე და ჴმობდა, ვითარმედ: რაჟამს აღვმაღლდე, ყოველნი მოვიზიდნე ჩემდა.

პატივ-სცეთ აღმაღლებასა ამას მისსა, გინათუ ყოველთავე საქმითა მაღალთა სათნოებათაჲთა, გინა თუ ზოგებითა და კერძოჲთა, რაჲთა გულს-მოდგინებაჲ რაჲ ჩუენი იხილოს, ნეშტიცა იგი ნაკლულევანი მათი აღგჳვსოს. მეძიებელ ვიქმნნეთ ნათლისა მიერ მისისა განბრწყინვებასა, რაჲთა აღვინიშნნეთ და აღვიბეჭდნეთ ამიერვე დღედ გამოჴსნისა და ღირს ვიქმნნეთ ხილვად მერმესა მასცა ნათელსა მისსა, ოდეს იგი წინა უძღოდის დიდსა მას დღესა ქრისტეს გამოჩინებისასა, ვითარცა სკიპტრაჲ უკუდავისა მის მეუფებისა მისისაჲ მას შევჰვედრნეთ თავნი თჳსნი, მისსა მიმართ დავდვათ სასოებაჲ ჩუენი, რაჲთა ჯუარითა განსწავლულნი და ზეცად აღპყრობილნი გონებითა და ქრისტეს მაცხოვრისა ჩუენისა მიახლებულნი მახლობელ ღმრთისა და მკჳდრ სასუფეველისა მისისა ღირს ვიქმნნეთ მისვე ქრისტეს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე საუკუნეთა საუკუნეთასა. ამენ.

თუესა სეკდენბერსა იდ ნეტარისა ანდრეა იერუსალიმელისა კრიტელ მთავარეპისკოპოსისა სიტყუაჲ ყოვლად მსოფლიოჲსათჳს აღმაღლებისა პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯუარისა*

მამაო, გუაკურთხენ!

ჯუარისა კრებასა აღვასრულებთ და ყოველივე ეკლესიისაჲ განბრწყინდების სავსებაჲ. ჯუარისა კრებასა აღვასრულებთ და სიხარულისა კამკამებითა ელვარეობს პირი ყოვლისა სოფლისაჲ. ჯუარისა კრებასა აღვასრულებთ, რომლითა ბნელი განიჴადა და მის წილ ნათელი შემოიყვანა. ჯუარისა კრებასა აღვასრულებთ და ჯუარცუმულისა თანა აღვმაღლდებით ქუეყანისა ცოდვითურთ ქუე დამტევებელნი, რაჲთა ზენანი მოვიგნეთ. ჯუარი აღმაღლდების და თანა აღამაღლებს ქუემდებარესა კაცებასა. ჯუარი აღმაღლდების და შეაძრწუნებს ეშმაკთა მფრტჳნაოებასა. ჯუარი აღმაღლდების და სატანაჲს წინა-აღმდგომი ძალი მიჰრიდებს და იწიწვის დაკუეთებული. ჯუარი აღმაღლდების და სავსებაჲ ეკლესიისაჲ შემოკრბების. ჯუარი აღმაღლდების და ქალაქნი დღესასწაულობენ და ერნი მხიარულებად მოისწრაფიან, რამეთუ მოჴსენებაჲცა ჯუარისაჲ მიზეზ იქმნების სიხარულისა და მირიდება — მჭმუნვარებისა, ხოლო ხილვაჲცა ჯუარისა სახისაჲ რაბამ, რამეთუ სიმჴნის მომატყუებელ და შიშის მაოტებელ ექმნების მიმხედველსა.

ესოდენ რაჲმე დიდ ქმნილ არს მონაგები ჯუარისაჲ და ამისსა მომგებელსა მოუგიეს საუნჯე. ნუუკუედა ოქროჲსად მგონებდეთ მე მეტყუელ ამის საუნჯისა ანუ მარგალიტთა და ქვათა ჰინდურთა და დიდფასისათა, რომელთა ზედა უხარის ჴორცთმოყუარეთა არა ერთისა რაჲს ღირსთა ზედა კნინ სიტყუათა. ხოლო მე ყოველთა კეთილთა უმჯობესსა მას და უმრავალსასყ-

---

* იბეჭდება გამოცემიდან ძველი ქართული მწერლობის ძეგლები VII, 1986, სექტემბრის საკითხავები, გვ. 309-315.
ახალქართულად ტექსტი იხ. გვ.230.

იდლესსა საქმითცა და სახელით სამართლად უწოდ საუნჯედ, რომელსა ზედა და რომლისა მიერ და რომლისა მიმართ დადებითა წარმოემართა ყოველივე თავი ცხორებისა ჩუენისაჲ. რამეთუ არა თუმცა ჯუარი, არცამცა ქრისტე ჯუარცუმულ იყო. არა თუმცა ჯუარი, არცამცა ცხორებაჲ ძელსა დამშჭუალულ იყო, არცამცა გუერდით გჳწყაროოდა სისხლსა და წყალსა, უხრწნელებისა ნაკადულთა, სოფლისა განმწმედელთა, არცამცა განბძარულ იყო ჴელით-წერილი ცოდვისაჲ, ვერცა მივემთხუეოდეთ თავისუფლებასა, ვერცა მოვიღებდით ხესა ცხორებისასა. არა განელებოდა სამოთხე, არცა იქცევისი მახჳლი მიგურიდებდა გზით ედემისაჲთ, ვერცა ავაზაკი მკჳდრობდა სამოთხესა.

რაჲსა ამათ ვიტყჳ, არა თუმცა ჯუარი, არცამცა ქრისტე ქუეყანასა ზედა, არცა ქალწული, არცა მეორე ესე შობაჲ ქრისტესი, არცა ღმერთი კაცისა შორის, არცა შობაჲ, არცა ბაგაჲ, არცა სახუეველნი, არცა რვა დღისა წინადაცუეთაჲ, არცა მორჩილებაჲ მშობელთაჲ, არცა ჰასაკოვნებაჲ, არცა ზრდაჲ ჴორცთაჲ, არცა განცხადებაჲ, არცა მიღებაჲ ნათლის-ღებისაჲ, არცა ჩუენებაჲ სასწაულთაჲ, არცა იუდა განმცემელი, არცა პილატე მსაჯული, არცა კადრებაჲ ჰურიათაჲ ჯუარს-ცუმისა მღაღადებელი უბრალოჲსაჲ. არა თუმცა ჯუარი, არცა სიკუდილი დაითრგუნვოდა, არცა ჯოჯოხეთი წარმოიტყუენვოდა, არცაღა მწარე იგი გუელი მოიკლვოდა.

ამისთჳსცა დიდ რაჲმე და პატიოსან საჯმარ ჯუარი. დიდ უკუე, რამეთუ ფრიადი კეთილი მის მიერ წარემართა და ესოდენ ფრიადი, რაოდენ ქრისტეს საკჳრველებათა და ვნებათა ჰქონან ყოველსა ზედა სიტყუასა საძლეველებანი. ხოლო პატიოსან, რამეთუ ღმრთისა ვნება და მძლეობა არს ჯუარი, ვნება უკუე ნეფსითისა მისთჳს სიკუდილისა უვნებელისაჲსა, ხოლო მძლეობაჲ, რამეთუ მის მიერ მოიწყლა ეშმაკი და მის თანა იძლია სიკუდილი და შეიმუსრნეს მოქლონნი ჯოჯოხეთისანი. და დასასრულსა საზოგადო საცხორებელ სოფლისა ქმნილ არს ჯუარი.

ჯუარი ქრისტეანეთა სასოება, განწირულთა მაცხოვარება, მღელვარეთა ნავთსადგურ, უძლურთა მკურნალ, ვნებათა მდევნელ, სიმრთელისა მომცემელ, მომკუდართა ცხორება, კეთილმ-

სახურებისა წინა-დასახვა, დაგმობისა აღჳრ-სხმა. ჯუარი საჭურველ მტერთა ზედა, სკიპტრა მეფობისა, შარავანდ სიკეთისა, სახე უწერელ, კუერთხ ძლიერებისა, სიმტკიცე სარწმუნოებისა, არგან სიბერისა, წინამძღუარ ბრმათა, ნათელ ბნელსა შინათა, მასწავლელ უგუნურთა, მოძღუარ ჩჩჳლთა, მოკლვა ცოდვისა, ჩუენება სინანულისა, აღმწერელ სიმართლისა.

ჯუარი კიბე ცად აღმყვანებელ, გზა სათნოებად მიმართ ძღუანვისა, მომატყუებელ ცხორებისა, დაჴსნა სიკუდილისა, ხრწნილებისაგან უცხოება, ცეცხლის დამშრეტელობა, ღმრთისა მიმართ კადნიერება, კლიტე ზეცათა სასუფეველისა.

ჯუარი მცველ ღამესა შინა, დღესა შინა გოდოლ, ბნელსა შინა ჴელის აღმპყრობელ, დამაგებელ, საველრებელ, მეგობარ, ვაქილ, წინა-მფარველ, ძალმწე, განსაცდელთა შინა შემწე, ჭირთა მჴსნელ, ურვათა შინა მომკითხველ, მწე ძჳრთა შორის, მმართებელ ზღჳსა შორის, ლხინება განსაცდელთა შორის.

ჯუარი აღჳრ მხიარულებისა, ნუგეშინის-ცემა მწუხარებისა, ჯუარი ღამის-მცველობს მძინარეთა, იღჳძებს მღჳძარეთა თანა, მაშურალთა თანა აღსწევს. ჯუარი დაჴსნილთა ძარღუთ-მრთხმელობა, მაშურალთა განსუენება, მშიერთა საზრდელ, მმარხველთა ძალ, მოღუაწეთა მცხებელ, შიშუელთა საბურველ, უცხოთა თანა-მოგზაურ, მდიდართა განმაბრძნობელ, გლახაკთა წინა-მზრუნველ, ქურივთა ზედა-მდგომელ, ობოლთა ჴელის-აღმპყრობელ. ჯუარი მთავართა პატივ, მეფეთა ძალ, მჴედართ-მძღუართა ძლევა, მღდელთა დიდება, მონაზონთა შემწე, ქალწულთა თანა მკჳდრ, სიწმიდისა ბეჭედ, მეუღლებისა საკრველ.

ჯუარი ქალაქთა მცველ, სახლთა სიმტკიცე, მეგობრობისა შემანაწევრებელ, მტერთა შურის-საგებელ, მბრძოლთა წინა-განმწყობ, წარმართთა მდევნელ, ბარბაროზთა საწერტელ, მშჳდობისა წინდ, სოფლისა დაგება, კიდეთა შემომწერელ, სიმაღლე ცისა, სიღრმე ქუეყანისა, სიმტკიცე აგებულებისა, სივრცე ხილულისა, სიგრძე დაშენებულისა, და შემოკლებით ითქუმოდენ: ჯუარი ქრისტეს ვნებათა თავ, ჩუენდა მომართთა საკჳრველებათა თხემ.

ესე ქრისტეს დიდება იწოდების და სიმაღლე ქრისტესსა

სახელ-იდების. ესე სასუმელცა სასურველ იცნობების და შესრულება ქრისტეს ჩუენთჳსთა ვნებათა. ხოლო რომელ ქრისტეს დიდება არს ჯუარი, ისმინე მისივე მეტყუელისაჲ: „აწ იდიდა ძე კაცისაჲ და ღმერთი იდიდა მის შორის და მყის აღიდოს იგი“ (იოანე 13, 31-32). და კუალად: „მადიდე მე შენ, მამაო, დიდებითა, რომელ მაქუნდა პირველ სოფლის დაბადებისა შენ მიერ“ (იოანე 17, 5) და კუალად: „მამაო, აღიდე სახელი შენი“. მოიწია ჴმაჲ ზეცით: „და ვადიდე და კუალად ვადიდო“ (იოანე 12, 28). აქა დიდებად იტყჳს ჯუარსა ზედა ქმნილსა მას მაშინ ნივთთა შეცვალებასა და თანა-ლმობასა, რამეთუ უჴმდა დამბადებელისა თანა-ლმობაჲ დაბადებულთაცა.

ხოლო რომელ სიმაღლეცა ქრისტესსა არს ჯუარი, ისმინე, რასა იტყჳს თავადი: „რაჟამს მე აემაღლდე, ყოველნი მოვიზიდნე ჩემდა“ (იოანე 12, 32). ვითარ-იგი სხჳთცა იტყჳს: „და ვითარცა მოსე აღამაღლა გუელი უდაბნოსა შინა, ეგრეთ ჯერარს აღმაღლებაჲ ძისა კაცისაჲ“. რაჲსათჳსმე? არამედ „რაჲთა ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს მისსა მიმართ, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ“ (იოანე 3, 14-15).

ჰხედავა, ვითარ დიდება და სიმაღლე ქრისტესსა არს ჯუარი?

გნებავსა ცნობად, ვითარმედ: სადა სიმაღლე, მუნ დიდებაცა შეუდგს. ისმინე დავითისი მეტყუელისაჲ: „აღმაღლდი ცათა შინა, ღმერთო, და ყოველსა ქუეყანასა ზედა დიდებაჲ შენი“ (ფსალმ. 107, 6). და კუალად ესაიაჲსი, ვითარცა პირითა ქრისტესითა: „აწ აღვდგე, — იტყჳს უფალი, — აწ აემაღლდე, აწ ვადიდო“ (ესაია 33, 10).

ვინაჲთგან უკუე სიმაღლე არს დიდებაჲ, ხოლო დღეს ჯუარი აღმაღლდების, ცხად არს, ვითარმედ ქრისტე იდიდების, რამეთუ უკუეთუ დიდება არს ქრისტესსა ჯუარი, სიმაღლეცა სადმე ქრისტესსა ჯუარი. აღმაღლდების უკუე დღეს ჯუარი, რაჲთა იდიდოს ქრისტე. ხოლო იდიდების, რაჲთა ჩუენ თავისა თჳსისა თანა აღმამაღლნეს. აღმაღლდების ჯუარი და თანა აღამაღლებს ღმრთის-მსახურთა ცნობასა, იდიდების ქრისტე და მის თანა ადიდებს მადიდებელთა თჳსთა.

აღმაღლების ჯუარი და დააკუეთებს წარბთა ეშმაკისათა. იდიდების ქრისტე და არცხუენს ძჯრთ-დასაბამსა გუელსა. აღმაღლების ჯუარი და აღჰმართებს დაკუეთებულთა. იდიდების ქრისტე და ცოდვისა მიერ დაცემულთა სირცხჯლსა უჩინოჰყოფს. აღმაღლების ჯუარი, არა ხოლო, რამეთუ მას ზედა აღმაღლდა ქრისტე, არამედ რომელ გამოცხადებითაცა თჳსითა არცხჯნა ჰურიათა სივერაგესა, ვინაჲ გამოცხადნა დაფარულთაგან ქუეყანისათა, სადაჲთ ანუ ოდეს გამოცხადნა მეფეთა ზე მორწმუნეთა ქრისტეს მიმართ, არა ვითარ-იგი ვიეთმე რეცა პირველ აზმნეს რწმუნებით წარმპარველთა მრავალთასა, არამედ საღმრთოჲთა და გამოუძიებელითა ძალითა და ნამდჯლვე სარწმუნოებისა და სიმტკიცისა ღონე იქმნა, რამეთუ ღმრთისაჲ იყო ფასის-საცავი.

რამეთუ ვინაჲთგან შემდგომად ჯუარისა მიერ სიკუდილისა — ცხორებისა და სიკუდილისა უფალი სამ დღე აღდგა. სირცხჯლისა საწერტელებითა იწერტებოდეს ჰურიანი და შიშით მორცხუეობდეს, ნუ სადა დაშთეს პატიოსნისა მის და სანატრელისა ვნებისა საჴმარ ქმნილი ჰურიათად სადმე მისაგებელ, ხოლო მორწმუნეთა საცო-ყოფად. ამისთჳს მთხრებლთა შინა ქუეყანისათა დაფლვით დადვეს საუნჯე, ვიტყჳ უკუე ჯუარსა და ყოველთა ჯუარისათა: ესე არიან სამშჭუალნი და ლახუარი და ფიცარი, რომელი პილატე შეამშჭუალა ჯუარსა.

ამისსა შემდგომად ჴელთ-უსხნა რაჲ ღმერთმან ქრისტეანეთა სამეუფონი სკიპტრანი და ყოველი მთავრობაჲ ჰრომთაჲ, მაშინღა სათნო-იყო დედაკაცისა მიერ სამეუფოჲსა, დედაკაცისა მეფობრივისა ცნობისა მქონებელისა, ოდეს-იგი ძე მისი მეფობდა ქრისტეანეთა ზედა, უშრომელად რაჲმე, და სთქუმცა საღმრთოჲთა შუებულებითა, მოივერაგა დედაკაცმან მან და ოდესმე მთავრობითითა მკსინვარებითა იყვის, ოდესმე რომელ საზოგადოჲთაცა მლიქნელობითა ყოველსავე სამეუფოდ მიითუალვიდა, რაოდენი მოუდრეკელსა მას ჰურიათა გულსა მოლბობად შემძლებელ იყო.

ესრეთ მყის ძიებისავე თანა დედოფლისა მიერ ზოგადი იპოვა საუნჯე ღმრთისაგან მსწრაფლ მინიჭებითა დედაკაცისადა ამის

ნიჭისაჲთა, ვიტყვ უკუე ყოვლისა სოფლისა ზედა აღმაღლებულსა ჯუარსა უფლისასა ყოვლისავე თანა, რომლითა სანატრელი იგი და სოფლისა საცხორებელი ენებაჲ განეგო.

ამისთჳს ვდღესასწაულობთ, რამეთუ ძუელ სადმე დაფარული სიწმიდე დღეს გამოცხადნა, რამეთუ დამალული საუნჯე სადნობელთაგან მიწისათა ვითარცა ოქროჲ გამოჩნდა, რამეთუ ქრისტეანეთა მეფობისა თანა შთაფლული შესწავებული გამოიღო იავარი, რამეთუ ზუაობაჲ ეშმაკთაჲ დაყუდნა განცხადებითა ჯუარისაჲთა, რამეთუ მტერთა მიმართ თჳთ პირული ჯრმალი ქუეყანით წარმოიჩინა, რამეთუ ეკლესიამან თჳსი სამკაული მიიღო დღეს, რამეთუ დრაქმაჲ იგი, რომელ წარეწყმიდა, სამეუფომან უპოვა მას მთავრობამან.

ესე არს უფლისა ჯუარი, სამეუფოჲ სასწაული, საცხორებელი საჭურველი, სამეუფოჲ სიმტკიცე, ძლევისა საძლეველი, ზენაჲსა და ქუენაჲსა შუამდგომელი, სარწმუნოებამტკიცეთა შესაკრებელი, სამოციქულოჲ საჭე, საწინაჲსწარმეტყუელოჲ სარკე, მოწამეთა გჳრგჳნი, ქრისტეს თაყუანის-მცემელთა წინდი. რამეთუ ვინაჲთგან გამოჩნდა ჯუარი, თაყუანის-იცემების ქრისტე. ვინაჲთგან იპოვა ჯუარი, მამისა თანა ძესა თაყუანის-ვსცემთ. ვინაჲთგან იცნობა ჯუარი, ჰურიათანი დასცხრეს, ელენთანი დაშრტეს და ქრისტეანეთანი გამობრწყინდეს. ჰაერი წმიდა იქმნა, ბომონიანთა სისხლთაგან განვთავისუფლდით და უსისხლოჲსა მსხუერპლისადა მსახურებისა გემოჲ ვიხილეთ. ვინაჲთგან ჯუარი გამოჩნდა, საეშმაკოთა კუმოლვათაგან განვთავისუფლდით, სულიერისა მიჰრონისა წარმოცალიერებულისა რაჲ მივიღეთ სულნელებაჲ. ვინაჲთგან ჯუარი ვიხილეთ, მიერითგან ვისწავეთ ზეშთ-დასაბამისაჲ დასაბამი პირველ დაუსაბამოჲსა დასაბამიერ ქმნისაჲ. ვინაჲთგან ჯუარი იცნობა, მიერ ვისწავეთ სარწმუნოებაჲ მამისა მიმართ და ძისა და სულისა წმიდისა, და მრავალღმერთი იგი ელენებრისა ცუდზღაპრობისაჲ განვიყარეთ კამში. ვინაჲთგან ჯუარი ბრწყინავს, მიერითგან დაგჳტევებიან სახოვნებითთა იგავთა აჩრდილნი და მადლით ჭეშმარიტებისა ნათლითა განწესებულ ვართ. ვინაჲთგან ჯუარი იხილვა, შეურაცხ იქმნა სიკუდილი, დაინაბნეს (შეკრთნენ,

შეშინდნენ) ეშმაკნი, დაეკუეთნეს ძეგლნი, დაითრგუნნეს ცხოველთ-მსხუერპლნი და დაითხარნეს საკერპონი, ყოვლით კერძო ეკლესიანი, საკურთხეველნი, ფსალმუნებანი, ღამე ყოველ დგომანი, ღმრთის-მეტყუელებანი, ნათლის-ღებანი, მორწმუნეთა ერთჴმობანი, წერილთა მეცნიერებაჲ, ქუეყანისა შეურაცხებაჲ, ზეცათა მოგებაჲ, ღმრთისა მოღებაჲ.

რადღა მიჴმს მრავლის-მეტყუელებაჲ, ვინაჲთგან ჯუარი გამოჩნდა, ანგელოზთა თანა მოქალაქობენ კაცნი და თჳთ ცაჲ სავალ არს ქუეყანისათადა და ღმერთი კაცთა შორის დატევნული და მიმოყვანებული.

არამედ, ჰ ჯუარო ქრისტესო და ჩუენო მრავალსასყიდლისა სიქადულო! ჰ ძელო შესწავებულო, რომელსა ზედა განკუართულ იქმნა ქრისტე, ნერგო უკუდავებისაო, რომლისა მიერ ქრისტე ტევანმან ცხორებისამან ცხოველს-მყოფელი სასუმელი გჳწდია ჩუენ. ჰ ჯუარო, რომლისა მიერ განიხეთქა ცოდვისაჲ ჴელით-წერილი დაწერითა სახესა თავისუფლებისასა. ჰ ჯუარო ბევრეულთა კეთილთა საუნჯეო, სამოთხისა მომატყუებელო, სასუფეველისა მკჳდრობაო, ცოდვათაგან მჴსნელო და წარმართებათა მომცემელო. შენ ქრისტემან, შენ ზედა ჯუარცუმულმან, ნერგად უკუდავებისად გამოგაჩინა. შენ ქრისტემან, პირველ შენ ზედა განრთხმულმან, ზეცად აღმყვანებელისა გზისა კიბედ გაჩუენა. შენ ქრისტემან, შენ ზედა დამოკიდებულმან, კურთხევისა მომატყუებელად განგაჩინა. შენ ქრისტემან, შენ ზედა დამშჭუალულმან, აზნაურებად ყოველთა დაგწერა. შენ შორის აღმაღლდა რაჲ ქრისტე, სოფელი თავისა თჳსისა თანა აღამაღლა. შენ შორის ქრისტე აღმაღლდა რაჲ ჩუენთჳს, აღმაღლებული იგი რვალისაჲ განაქიქა გუელი, არღარა კბენად გზასა ზედა ემზირების ბრჭალსა (შესაქმე 49, 17), არღარა რვალისა გუელი მიხედვით დააცხრობს მკბენელთა გუელთა ნაკბენსა (რიცხვთა 21, 8), არღარა წყეულ ყოველი დამოკიდებული ძელსა (მეორე შჯული 2, 23), ვითარ და რომლისა სახითა, გარნა რამეთუ კურთხეულისა ძემან, იესუ, ძემან ღმრთისამან წყევაჲ ჩუენი კურთხევად ცვალა. არღარა წყეულ ჯუარი წყევისაჲ ჯუარსა შემშჭუალვითა და ქრისტეს მიერ წყევისა

მოსპობითა და ჩუენდა კურთხევისა ნაცვალ შემორთუმითა.

ესე უფლისა ჯუარი ყოველთა კეთილთა მომატყუებელ ჩუენდა იქმნა. ესე მეუფისა ჯუარი მრავლითა სახელებითა იწოდების, რამეთუ ჯუარ სახელს-დებენ, კუერთხ სიმართლისა, კუერთხ მკჳდრობისა და კუერთხ ძალისა. „საყდარი შენი, ღმერთო, უკუნითი უკუნისამდე. კუერთხ სიმართლისა კუერთხი განგებისაჲ და კუერთხი სუფევისა შენისაჲ“ (ფსალმუნი 44, 7). იჳსენ კუერთხითა მკჳდრობისა შენისაჲთა. „კუერთხი ძლიერებისაჲ გამოგივლინოს შენ უფალმან სიონით“ (ფსალმუნი 109, 2) ეწოდების არგანცა: „კუერთხმან შენმან და არგანმან შენმან ამათ — ნუგეშინის-მცეს მე“ (ფსალმუნი 22, 4), ხე ცხორებისა, ვითარმედ: „ხე ცხორებისაჲ არს ყოველთათჳს შეველდრებულთა მისდა, ვითარცა უფლისა მიმართ უცთომელ“, „ხე დანერგულ, — ვითარცა იტყჳს დავით, — თანა-წარსადინელსა წყალთასა“ (ფსალმუნი 1, 3), რომელთა წყალთასა? ღმრთივ სულიერთა წერილთასა.

კუარცხლბეკ: „აღამაღლებდით უფალსა ღმერთსა ჩუენსა და თაყუანის-სცემდ კუარცხლბეკსა ფერჴთა მისთასა, რამეთუ წმიდა არს“ (ფსალმუნი 98, 5). ადგილ: „შევიდეთ საყოფელთა მისთა, თაყუანის-ვსცეთ ადგილსა, სადა დადგეს ფერჴნი მისნი“ (ფსალმუნი 131, 7). „უკუეთუ ვსცე ძილი თუალთა ჩემთა და ჰრული წამთა ჩემთა და განსუენებაჲ ჴორცთა ჩემთა, ვიდრემდის ვპოო ადგილი უფლისაჲ, საყოფელი ღმრთისა იაკობისი“ (ფსალმუნი 131, 4, 5).

ამის ჯუარისა მოსწავებად მამათ-მთავარმან იაკობ შეცვალებით ოდესმე დაასხნა ჴელნი ძისწულთა იგავის წინა გამოსახვითა. ამისსა მანვე წინა გამოსახვად წუერსა ზედა კუერთხისასა თაყუანის-სცა იოსებს“ (შესაქმე 48, 14-15). ჯუარისავე სახე აქუნდა ამისვე იაკობ მამათ-მთავრისა კუერთხსა, რომლითა წიაღ-მოჴდა იორდანესა (შესაქმე 32, 10) და მცირედ ამისსა წინა ჯუარისა სასწაულსა აჩუენებდა აბრაჰამ შორის ვერძისა რქათა გამოსახულად, რაჟამს სახითსა მსხუერპლსა სასწაულად ჯუარცუმულისა საიდუმლოდ სრულ-ჰყოფდა ცხოვრისა მიერ. ჯუარისა სახესა აღავსებდა ისააკცა შეშასა მსხუერპლისასა

აღმღებელი და მამისა დაკლვად მისსა მიმავალისა უშიშად შედგომილი (შესაქმე 22, 6).

ჯუარისა ძალი აქუნდა კუერთხსა მოსესსა გუელად შეცვალებულსა და ფერის-მცვალებელსა მეგჯპტელთა კუერთხებისასა, რომელთამე შთამნთქმელსა (გამოსლვათა 7, 12) და სხუათა მდინარეობისაგან სისხლისა ნაკადულ მქმნელსა, რაჲთა არა სუან, და ოდესმე მყუართა მაცენებელსა წყალთა მიერ, ხოლო ოდესმე მკალსა და ბუზსა, და მუმლსა და ჴელით საძიებელ ბნელისა მომყვანებელსა და რაოდენითა რაჲთა განავრცნა განსაცდელნი მეგჯპტელთანი.

ჯუარისა სახე აქუნდა ამასვე მოსეს კუერთხსა, რაჟამს მეწამულისა უფსკრულთა წყალნი შეყინებით მიმოგანყვნა იმიერ და ამიერ თჳსსა და ერისა (გამოსლვათა 14, 21). ჯუარისა სახე აქუნდა სუეტსა ცეცხლისა და ღრუბლისასა, რომლითა უძღოდა ღმერთი უდაბნოსა ზედა შეცთომილსა ისრაელსა ლტოლვილსა (გამოსლვათა 13, 21).

ჯუარისა სახესა სცვიდა თჳთ მოსეცა მთასა ზედა სიმაღლედ აღპყრობითა ჴელთაჲთა, რაჟამს ჰბრძოდა ისუ უცხოტომსა ამალეკსა, ვინაჲცა თჳთ აჰრონს და ორსა მიეყრდნობვოდა, ხოლო ისრაელსა განძლიერებით განაძლიერებდა (გამოსლვათა 17, 9).

ჯუარისა სახესა აღავსებდა კუერთხი იგი უდაბნოს კლდისა მცემელი და მდინარისა მიდგომით მშობელ მქმნელი. რაჲმე კუერთხი იგი ნიგუზისა გამომღებელი არა წინა-უწყებით ჯუარსა გამოსახვიდაა? ანუ რაჲ ესაიაცა საშეშითა ხერხითა ორად განხერხული არა ჯუარისა სახესა გამოსწერდაა?

მცონის თქუმად ანგეაჲს ჯუარს-ცუმისათჳს და სისარაჲს მანითა განმშჭუალვისა განცხადებულად ჯუარისა წინა-გამომსახველისათჳს, არამედ ხალენიცა ელიაჲსი ითქუმოდესვე ჩემგან ჯუარისა ძალსა განმცხადებელად. რაჟამს იორდანისა დინებათა ორად განყოფითა ვითარცა ჴმელი ქუეყანაჲ წიაღ-ვლო იგი. ხოლო ელისეს სასწაული სადა დავდვათ, რაჟამს წყალსა შინა შეშაჲ ცულსა ზედა დასდვა სიღრმით მდინარისაჲთ აღმოღებად რკინისა, სუბუქითა რაჲ მძიმე აღმოიქუა (4 მეფეთა 6, 6). ჭეშმარიტად დიდ არს ჯუარი და მრავლით კერძო წერილისაჲთ

წამებულ, გინა წინა-გამოსახულ და მის მიერ აღსრულებადთა საკჳრველებათა დღითი-დღეობისა წინა-გამომსახველ სახეებსა.

თაყუანის-საცემელ არს ჯუარი, რამეთუ მის მიერ ვიცანთ ქრისტე. თაყუანის-იცემების ჯუარი, რამეთუ მის შორის ვაკურთხევთ ქრისტესა. თაყუანის-იცემებოდენ ჯუარი, რამეთუ მის მიერ კურთხევაჲ მოვიღეთ და წყევისაგან განვთავისუფლდით. თაყუანის-იცემებოდენ ჯუარი, რამეთუ მის მიერ მწარე იგი ურჩებისა გემოჲს-ხილვაჲ ხისაჲ მის წარმოვსთხიეთ რაჲ, გემოჲ ვიხილეთ ცხორებისა სიტკბოებისაჲ.

იკურთხევის ძელი, რომლისა მიერ იკურთხნეს წარმართნი. და რაჲმცა ამისსა უსაკჳრველეს ხილვად: ღმერთი ჯუარცუმული და ესე შორის ავაზაკთა.

იკურთხევის ძელი, რომლისა მიერ ავაზაკი სამოთხეს მკჳდრ იქმნა, და ძელისა გემოჲს-ხილვამან მწარე იგი გემოჲს-ხილვაჲ განაგდო, რომლისა რაჲ უსაკჳრველეს, რამეთუ რომელი დაჯშა ადამ წარტყუენულობითა, ესე ავაზაკმან განაღო მეცნიერებითა. და რომლისაგან იგი ექსორია იქმნა, ესე მორჩილებით მოქალაქედ დაიწერა. ვაშა შესატყჳსთა ცვალებათა! განვიდა მპარავი და მის წილ შეიყვანა მპარავი. პირველი გარდასლვისათჳს, მეორე მცნობელობისათჳს. პირველი იგი მოუდრკა განმწიხნელსა, მეორე თანა ჯუარს-ეცუა დამბადებელსა.

იკურთხევის ძელი, რომლისა მიერ შეიმზადა კიდობანი სახის-მეტყუელებითისა წყლით-რღუნისაგან სოფლისა განმარინებელი.

იკურთხევის ძელი, რომლისაგან ჭამითა ავაზაკი ღირს იქმნა საშუებელსა.

იკურთხევის ძელი, რომლისაგან ადამ პირველ არა გემოჲსმხილველმან ცხორებასა ანაცვალა სიკუდილი, წარმდებად რაჲ შეეხო გემოჲს-ხილვასა ხისა მის ცნობადისასა. ამისსა შემდგომად მიიღო რაჲ მისგან უკუანაჲსკნელ, სიპოხესა აგრძნობდა და აღმოწოდებაჲ პოვა.

იკურთხევის ძელი, რომლისა მიერ ძალები მშჯლდთაჲ შემუსრვილი ძრწის და ფარები ცეცხლის განსალევნელ იქმნების.

იკურთხევის ძელი, რომლისა მიერ მეფენი აღადგინებენ

ძლევასა და მჴედართ-მძღუანველნი შემოიღებენ ნატყუენავსა და საჭურველის მომგებელნი განჰლევენ სიმრავლესა ბარბაროზთასა.

იკურთხევის ძელი, რომლისა მიერ-მოდრკების მკლავი ამპარტავანი და დადრკებიან ქედნი მტერთანი, ზურგსა მოაქცევენ ბარბაროზნი და იცლტის სკჳთი, არცა ერთისა ვისგან დევნილი.

ვინაჲცა აღიმაღლეთ დღეს ჩემ თანა ჴმაჲ დაწერილისა თანა წერილისათავე სიტყუათა, ვჴმობდეთ საუნჯისა მიმართ ჯუარისა: „ყოველი თესლები, — ვთქუათ, — რაოდენი ჰქმენ, მოვიდენ და თაყუანის-გცენ წინაშე შენსა, უფალო, და ადიდებდენ სახელსა შენსა, რამეთუ დიდ ხარ შენ, და მოქმედ საკჳრველებათა. შენ ხარ ღმერთი მხოლოჲ“ (ფსალმუნი 85, 9-10). მისსა დიდებაჲ საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.

წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ანდრია იერუსალიმელისაჲ კრიტელ მთავარეპისკოპოსისაჲ სიტყუაჲ აღმაღლებასა პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯუარისასა*

გუაკურთხენ, მამაო!

აღვძრნეთ დღეს, საყუარელნო, ბაგენი სახედ ბობღნისა, აღვიღოთ საფსალმუნე და ორღანოჲ (ფსალმ. 80, 3), უგალობდეთ ღმერთსა, უგალობდეთ გულისჴმის-ყოფით მეუფესა ჩუენსა (ფსალმ. 46, 7), უგალობდეთ დიდებულებასა ჯუარისა აღმაღლებისასა. უჩუენებდეთ ყოველთა, თუ რაოდენითა სახითა საანჯმნო იქმნების წერილთა მიერ სახე აღპყრობისა მისისაჲ, რაჲთა ესრეთ ვისწაოთ, ვითარმედ დიდ არს დიდებულებაჲ და შუენიერებაჲ ჯუარისაჲ და ზეშთა ყოველთა სიკეთეთა აღმაღლებაჲ ნიშისა მისისაჲ. და ამას თანა კუალად ამასცა მეცნიერ ვიქმნეთ, ვითარმედ არა ცუდად მოუპოებიეს დღენდელი ესე აღმაღლებაჲ მისი ყოვლისა სოფლისა წმიდათა ღმრთისა ეკლესიათა. რამეთუ დღეს აღმაღლდების ჯუარი ქუეყანით აღმოყვანებული, რომელი-იგი პირველ შურითა მას შინა დაფარულ იყო. აღმაღლდების ჯუარი, არა რაჲთა დიდებაჲ შეიძინოს (რამეთუ რასაღამცა მიემთხჳა უზეშთაესსა დიდებასა, ვინაჲთგან ქრისტე მას ზედა დაემშჭუალა), არამედ რაჲთა იდიდოს ღმერთი მის შორის თაყუანის-ცემული და მის მიერ ქადაგებული. აღმაღლდების ჯუარი, რაჲთა რქაჲ ჩუენ, ქრისტეანეთაჲ, მის თანა აღამაღლოს; აღმაღლდების ჯუარი, რაჲთა ზუაობაჲ ამპარტავანისა მტერისაჲ დაამდაბლოს.

აღმაღლდების ჯუარი, რაჲთა პირველად შეკრას ძლიერი იგი და მერმეღა მიუღოს ჩუენგან წარპარული იგი იავარი სახლისა მისისაჲ.

აღმაღლდების ჯუარი, რაჲთა ამაოდ გამოაჩინოს შურისა

---

* იბეჭდება გამოცემიდან ძველი ქართული მწერლობის ძეგლები VII, 1986, სექტემბრის საკითხავები, გვ. 317-321.
ახალქართულად ტექსტი იხ. გვ.240.

მის ჰურიათაჲსა გარდამატებულებაჲ, და რაჲთა არა დავიწყებულ იქმნეს საფასე უჩინო ქმნითა, არცა დაიფაროს მარგალიტი მიწითა, არამედ რაჲთა განცადნეს საფასე მაღლად ტჳრთული და წმიდა-მყოფელად ყოველთა მიმოყვანებული, და რაჲთა მარგალიტი იგი ჩუენ მოგუენიჭოს, რომელი თჳთ მათვე ჯუარის-მცუმელთა უნებლებით გამოაცხადეს. რამეთუ ვინაჲთგან შეუძლებელ იყო სრულიად უჩინო-ყოფად საუნჯე იგი ცხორებისაჲ, ვითარ-იგი მრავალსახედ ღონე-ჰყოფდეს უბადრუკნი იგი და თჳსისავე სიბოროტისაგან იმხილებოდეს, რომელი-იგი არა სრულიად მოგუეფარა, არცაღა მსგავსად ჩუენსა თუალთა მათცა ყოვლისა მხედველთაგან დაფარა.

იხილეთღა, თუ რასა მოქმედებს ღმერთი, რომელმან მის შორის და მის მიერ ქმნა ყოვლად შემკობილი იგი ცხორებაჲ შორის ქუეყანისა, რამეთუ, ვითარ-იგი პირველ მცირედისა მოვიჯსენეთ, სურვილი პოვნისა მისისაჲ სამეუფოსა ამას ქალაქსა დღითი-დღე შეემატებოდა და ალი მჯურვალებისა საღმრთოჲსაჲ სიმაღლედ აღიწეოდა, ვინაჲცა მტერთა მათ ჯეშმარიტებისათა და დამფარველთა ნიშისა საუფლოჲსათა მიჰფინეს შიში მოუთხრობელი და ცხორებისა ამისგანცა განჯუებად მათდა განმაწესებელი, რომელთა-იგი იხილეს რაჲ თანა-წარუვალობაჲ იგი ძიებისაჲ, ნეფსით დაფარული იგი უნებლიეთ გამოაცხადეს და რაჲ-იგი არაოდეს ენება ქმნად, მისსა მნებებელ იქმნეს ქმნად, რამეთუ საჩინო-ყვეს ადგილი მრავალსასყიდლისა მის საფასისაჲ და სამეუფოჲსა ძლევისა სასწაულისაჲ.

ესრეთ უკუე აღმოჰჴდა ჯუარი, ვითარცა უცხოჲთ სამყაროჲთ მთხრობელთაგან ქუეყანისათა და მსგავსად მზისა ჰკრთებიან შარავანდედნი სამეუფონი. აღმოჰჴდა შეუვალთაგან ქუეყანისათა სამეუფოჲ ესე სასწაული, რომლისა მიერ შეიძრნეს საფუძველნი ქუესკნელისანი და შეიმუსრნეს მოქლონნი ჯოჯოხეთისანი, რაჲთა სულნი იგი მძლავრ შთანთქუმულნი უმძლავრესად წარმოსთხინეს. გამოვიდა ვითარცა სიძე სასძლოჲთ ცხოველს-მყოფელი ჯუარი უფლისაჲ სასუენებელთაგან მიწისათა, რომლისა მიერ ქრისტეს სძლად მითხოვილი ეკლესიაჲ წარმართთაჲ განთავისუფლდა მრავალმშობელისა

მისგან ელენთა უღმრთოებისა.

გამოჩნდა საცნაური ესე მარგალიტი მორწმუნეთაჲ, რაჲთა იქმნეს იგი სანთელ მრავალმნათობ ზედა კერძო გჳრგჳნსა ქრისტესსა ყოვლით კერძო მიმფენელ ბრწყინვალებისა. მოვიდა სამკაული ეკლესიისაჲ, ჯუარი უფლისაჲ, რაჲთა ჰაეროვან-ყოს ყოველივე ქმნულებაჲ ქუეყანისაჲ. განიტევა პყრობილი უბრალოჲ საპყრობილით მიწისაჲთ, რაჲთა ბრალეულნი პყრობილნი იჴსნნეს მიწით სიკუდილისაჲთ. განიჴსნა საკრველთაგან შეუპყრობელი ნივთთაგან, რაჲთა კრულნი განჰჴსნნეს ცოდვათაგან. აღმოიყვანა ადგილთაგან წყუდიადისათა დაუჴსებელი ლამპარი მეუფისაჲ, რაჲთა ღამე უმეცრებისაჲ დაჰჴსნას და ნათელი მეცნიერებისაჲ გამოაბრწყინვოს.

ამის უკუე მადლისათჳს ჯეროვნად იხარებს ჯუარისა თანა ეკლესიაჲცა ქრისტესი, ვინაჲთგან შეუმოსიეს მას ქლამინდი თჳსი და მის მიერ დაუფარავს შუენიერებაჲ სძლობისა თჳსისაჲ და ფეროვან-ჰყოფს პირსა ამის დღესასწაულისასა. ჯეროვნად უკუე შემოკრებულ არს დღეს სიმრავლეცა ერისა ამის მრავალრიცხჳსაჲ, რაჲთა იხილოს მან ჯუარი გამოცხადებული და განიცადოს ქრისტე მის შორის განცხადებული, და იხილოს რაჲ, განიხაროს, და განიხაროს რაჲ, თაყუანის-სცეს. ვინაჲცა ქრისტე ჯუარსა თანა აღმაღლდების, რომელი-იგი მებრვე ამისთჳს გამოჩნდა, რაჲთა აღმაღლდეს, და ამისთჳს აღმაღლდების, რაჲთა განცხადნეს.

ვინ არს ესე ანუ ვინაჲ, გარნა თუ პირველ მცირედისა ადგილსა შინა მცირედსა უჩინო ქმნული, ხოლო აწ ყოველთავე ადგილთა შინა თაყუანის-ცემული. ამას ვდღესასწაულობთ დღეს, ამისთჳს ერთა შემოვჰკრებთ, ესე არს თავი და მიზეზი აწინდელისა ამის დღესასწაულისაჲ. ესე არს გამოცხადებაჲ საიდუმლოჲსაჲ.

გარნა კუალადცა მოვედით და ვიხილოთ აღმაღლებაჲ იგი ჯუარისაჲ წამებითა წერილთაჲთა სარწმუნო ქმნილი, რამეთუ ესე აღგუეთქუა შენდა პირველ მცირედისა, დაღაცათუ ჟამ ერთ შორის განგჳკუეთა სიტყუამან წესითა მოთხრობისაჲთა, რამეთუ ვინაჲთგან ჯერ-იყო ძუელ ოდესმე სიღრმეთა შინა დაფარულსა

მას ძელსა ცხორებისასა სიმაღლედ აღყვანებითა, ვითარცა ქალაქსა რასმე მთასა ზედა დაშენებულსა და ვითარცა სანთელსა სასანთლესა ზედა წარმოჩინებულსა სახილველ ყოველთა ყოფაჲ. ამის მიზეზისათჳს განაწესეს პირველ პირველთა მათ დასაბამთა პირველისა მის ქრისტეანეთა მეფობისათა სახილველად ყოვლისა ეკლესიისა, ვითარცა დიდსა რასმე საებგუროსა ზედა ამისი აღყვანებაჲ და ოთხკერძო აღმაღლებითა ყოველსა სავსებასა მორწმუნეთასა ამისი განცხადებულად ჩუენებაჲ.

და ესე არს ძალი საიდუმლოჲსაჲ, რომელსა აღასრულებენ დღეს საჭეთ-მპყრობელნი ესე ეკლესიისანი და მიმღებელნი მღდელთ-მთავრობისანი უმაღლესსა ადგილსა ეკლესიისასა აღვლენ და ზეშთა დიდებისასა ამას მრავალთაყუანის-საცემელსა ჯუარსა სიმაღლედ აღიპყრობენ მრავალგზის აღმაღლებითა და სახილველად ერისა მიძღუანებითა კნინღადა ამასცა ღაღადებენ, ვითარმედ: აჰა, დაფარული იგი იპოვა საუნჯე მაცხოვარებისაჲ! აჰა, ბეჭედი, რომლითა აღვიბეჭდენით! აჰა, ჯუარი, რომლისა მიერ ჯუარცუმულსა შევემეცნენით! აჰა, რქაჲ იგი, რომლითა მტერთა ჩუენდა დავჰრქენთ (ფსალმ. 43, 6), სიტყჳსაებრ წინაჲსწარმეტყუელისა, რომლითა შეუპყრობელად განვერებით მახესა მბრძოლთასა, რომლისა რწმუნებითა ისრად ჩჩჳლთა შეგჳრაცხიან წყლულებანი ეშმაკთანი. აჰა, დღეს წინაშე თუალთა ჩუენთა ვხედავთ ცხორებასა ძელსა დამოკიდებულად, ამისთჳსცა ვისმინოთ წინაჲწარმეტყუელისაჲ, რომელი იტყჳს: აღიმაღლეთ ჴმაჲ ძლიერად, აღიმაღლეთ და ნუ გეშინინ. „აღამაღლებდით უფალსა ღმერთსა ჩუენსა და თაყუანის-სცემდით კუარცხლბეკსა ფერჴთა მისთასა, რამეთუ წმიდა არს (ფსალმ. 98, 5). ვიტყოდით დავითის თანა დავითისსავე მას გალობასა: „აჰმაღლდი ცათა შინა, ღმერთო, და ყოველსა ქუეყანასა ზედა არს დიდებაჲ შენი (ფსალმ. 107, 6), აღმაღლდი, რომელი შჯი ქუეყანასა (ფსალმ. 93, 2), განძლიერდინ კელი შენი და აღმაღლდინ მარჯუენე შენი (ფსალმ. 88, 13), აღმაღლდინ კელი შენი და ნუ დაივიწყებ გლახაკთა შენთა სრულიად, არამედ სათნო-ყოფითა შენითა აღმაღლდინ რქაჲ ჩუენი.

მოვედით და შევიდეთ სამოთხესა წერილთასა, მოვიწილნეთ,

ვითარცა ყუავილნი, სიტყუანი ჟამისა შემსგავსებულნი. ვიჯუმინეთ წინამძღურად ჩუენდა წინაჲწარმეტყუელნი, რომელნი წინა-მოასწავებენ აღმაღლებასა ჯუარისასა და უპირატეს ყოველთასა შორის შემოუწოდოთ მოსეს, მსახურსა ღმრთისასა, და შჯულის-მდებელსა ისრაელისასა, რომელმან რვალისა იგი გუელი აღამაღლა (რიცხვ. 21, 9), არა რაჲთა ადიდოს, არამედ რაჲთა განაქიქოს და გესლი სპილენძისაჲ გესლსა სიბოროტისასა წინა-განაწყოს, ვითარცა თანა-შეტყუებით საჩუენებელად ბოროტთა ურთიერთას მოზავებისა. აღმაღლდა უკუე გუელი იგი რვალისაჲ, არა ვითარცა გამომსახველი ანუ ვითარცა სახე ჯუარისაჲ, არამედ ვითარცა წინა-აღმდგომი სახისაჲ ანუ სახე, სახის-მეტყუელებით მოპოვნებული სახის-მეტყუელისაჲ.

აღიმაღლნა ოდესმე ჴელნი თჳთ მან თავადმანცა მოსე სახედ ჯუარცუმულისა ქრისტესსა და გამომსახველად აღმაღლებულისა ამის ჯუარისა.

„დადეგინ მზე გაბაონსო და მთოვარე — მთხრებლებსა მისსა“ (ისუ 10-12), — ამას ილოცავს ისუ მომწყუედელი ამალეკისაჲ, არა ხოლო დღისათ მის ჯუარს-ცუმისა წინა-მომასწავებელად, რომელსა შინა ბნელ იქმნა ქუეყანაჲ მიფარვითა მნათობთაჲთა, არცა რაჲთა მის ოდენ დღისა სასწაულითა სარწმუნოყოს მკლავი ღმრთისაჲ, აღმაღლებული მტერთა ზედა, არამედ რაჲთა ჯუარისა აღმაღლებაჲცა წინა-მოასწავოს და მას ზედა აღსლვაჲ მზისა სიმართლისაჲ წინა-გამოსახოს.

შესწირავს აბრაჰამცა მსხუერპლსა სახედ საიდუმლოჲსა ამის შესაწირავისა, არამედ მსწრაფლ ირწმუნებსცა ჴმასა მას, მეყსა შინა ზეცით სმენილსა, ხილვითა ვერძისა მის ნერგსა საბეკსა დამოკიდებულებისაჲთა, რომელი იგი დაკლა მაღალსა მას ზედა მწუერვალსა მთისასა (შესაქმ. 22, 3-13) სახედ და წინა-მომასწავებელად ჯუარისა, დიდებით აღმაღლებულისა.

აღიპყრნეს ოდესმე აზარიაეთცა ჴელნი, ილცვიდეს რაჲ საჯუმილსა მას შინა ბაბილოვნს, დაშრიტეს სიმაღლედ აღმაღლებული ალი საჯუმილისაჲ სასწაულითა ნიშისაჲთა, ხოლო სიმაღლედ აღპყრობითა ჴელთაჲთა აღმაღლებასა ჯუარისასა გამოსახვიდეს.

აღიპყრნა ოდესმე იონაცა ჴელნი ჯუარის სახედ და აღმაღლებასავე თანა ჴელთასა მაღლით მიენიჭა ძალი და უვნებელად გამოვიდა მუცლითგან მჴეცისა მის.

აღიპყრა ოდესმე ივდითცა ლახუარი თავსა ზედა ოლომფორნე მძინარისასა და ჯუარისა აღმაღლებისა მოსწავებასა თანა ყო ცხორებაჲცა ისრაელისაჲ.

აღიმაღლა ოდესმე დანიელ ჴმაჲ მღჳმესა შინა ლომთასა სავედრებელად მაღლისა და წინა გამოსახა აღმაღლებაჲ ჯუარისაჲ, რაჟამს-იგი მოუძღუანა მას საზრდელი წინაჲწარმეტყუელმან ამბაკუმ, აღტაცებულმან ვარჯითა თავისაჲთა.

რაჲ თქუა იერემიაჲსთჳს, იტყოდის რაჲ პირითა ქრისტეს მკლველთაჲთა: „მოვედით და შეურიოთ ძელი პურსა მისსა და აღვჴოცოთ ქუეყანით საჴსენებელი მისი“ (იერ. 11, 19).

ანუ რაჲმე ჰნებავს ესაიას, ესრეთვე მეტყუელსა, რომლისაგან გუესმის ოდესმე, ვითარმედ: „ვითარცა ცხოვარი, კლვად მიიგუარა და, ვითარცა ტარიგი წინაშე მრისუველისა უჴმობელად, სიმდაბლითა მისითა საშჯელი მისი მიელო, ხოლო თესლტომი მისი ვინმე მიუთხრას, რამეთუ აღღებულ არს ქუეყანით ცხორებაჲ მისი“ (ესაია 53, 7-8), და ოდესმე ესრეთ, ვითარმედ: „მან ცოდვანი მრავალნი აღიხუნა“ (იქვე, 53, 12). სადა აღიხუნა ანუ თუ ცხად არს, ვითარმედ ძელსა ზედა ჯუარისასა, რომელსა ზედა აღამაღლეს მათ პური იგი ცხორებისაჲ. რამეთუ უკუეთუმცა არა სიმაღლედ აღეყვანა, არამცა ესრეთ განცხადებულად სახე ქმნილ იყო აწ ქმნილისა ამის ჯუარისა აღმაღლებისა, ვითარ-იგი კუალად სახედ ცხოვრისა კლვად მიგურაჲცა იგი და ძელსა შემშჭუალვაჲ სოფლისა ცოდვათაჲ სახე იყვნეს ჯუარისა აღმაღლებისა.

და სხუანიცა მრავალნი გუქონან წამებანი წერილთანი გამომსახველნი ჯუარისა აღმაღლებისანი, არამედ დაუტევნეთ იგინი, რაჲთა არა განმაძღებელ უჩნდენ მრავალთა სიტყუანი ჩემნი, ხოლო ჩუენ თაყუანის-ვსცეთ ქრისტესა, მას ზედა აღმაღლებულსა, და გულისჴმა-ვყოთ დიდებულებაჲ ძლიერებისა მისისაჲ, და რაოდენნი მან ამის მიერ განგებულ-ყვნა ჩუენ ზედა საკჳრველებანი ცხორებისა ჩუენისანი, ვითარ-იგი ჴმობს

საკჳრველი დავით, ვითარმედ „ღმერთმან ჩუენმან პირველ საუკუნეთამან ქმნა ცხორებაჲ შორის ქუეყანისა“. ხოლო რამეთუ შორის ქუეყანისა და საშოვალსა ადგილსა ყოვლისა სოფლისასა არს ადგილი თხემისაჲ, ნუმცა ვინ არს იჭუეულ, რამეთუ ჯერიყო, ვითარცა ველისა დიდისაჲ გარე-შეზომაჲ ყოვლისა სოფლისაჲ და მართალ საშოვალსა ქუეყანისასა აღმართებაჲ ცხოველსმყოფელისა ძელისაჲ, რაჲთა ვითარცა სხუაჲ მზე სიმართლისაჲ ზეცით აღმობრწყინვებული, შეამკობდეს საშოვალსა ცისასა და შორის ყოვლისა სოფლისა დანერგული და სამყაროდ ქუეყანისა განრთხმული ძელი ჯუარისაჲ, რომელი-იგი ნათლის სახითა მცხინვარებითა შარავანდედთაჲთა მისწუთების კიდეთა ქუეყანისათა. ესრეთ უკუე ცხოველს-მყოფელი ესე ჯუარი ძელად იხილვების, ხოლო მრავალსახედ სასწაულად წერილთა მიერ მოესწავების, რამეთუ რაჲ არს, რასა-იგი იტყჳს დავით: „ყავნ ჩუენ თანა სასწაულ კეთილ“ (ფსალმ. 85, 17), და: „იყავნ სასწაულ ჩუენდა ნათელი პირისა შენისაჲ, უფალო“ (ფსალმ. 4, 6) და: „მოგიცემიეს მოშიშთა შენთადა სასწაული საელტოლველად პირისაგან მშჳლდისა“ (ფსალმ. 59, 4), განათუ კუალად, ვითარიგი თჳთ თავადი იტყჳს წმიდასა შინა სახარებასა, ვითარმედ: „მაშინ გამოჩნდეს სასწაული ძისა კაცისაჲ“ (მათე 24.30), და უწინარეს ამისსა ჰმობდა, ვითარმედ: „ ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს და სასწაული არა ეცეს მას, გარნა სასწაული იგი იონა წინაჲწარმეტყუელისაჲ (მათე 12, 39), რომელი-ესე ჯუარსა მოასწავებს.

ხოლო სჳმეონ ღმრთის-შემწყნარებელი, აკურთხევდა რაჲ ქალწულსა, რაჟამს მიიქუა მისგან ჩჩჳლად სახილველი იგი უფალი, ეტყოდა და ჰრქუა: „აჰა ესერა, ესე დგას დაცემად და აღდგინებად მრავალთა ისრაელსა შორის და სასწაულად სიტყჳსაგებელად“ (ლკ 2, 34). ვინაჲცა რაჲ თქუა, არა იგიცა ჯუარსა მოასწავებდაა? გარნა რამეთუ ძალცა ეწოდების ჯუარსა, ისმინე დავითისი: „აუწყე ერთა შორის ძალი შენი“ (ფსალმ. 76, 14), ხოლო რამეთუ მკლავცა სახელ-ედების, შეუდგენს, ვითარმედ: „იკსენ მკლავითა შენითა ერი შენი“ (ფსალმ. 76, 15), და კუალად, რამეთუ ძალ ქრისტესი ჯუარი არს, ისმინე პავლესი, რომე-

ლი ჴმობს, ვითარმედ: „სიტყუაჲ იგი ჯუარისაჲ წარწყმედულთა მათთჳს სიცოფე არს, ხოლო ჩუენ ცხორებულთა ამათთჳს ძალ ღმრთისა არს“ (1 კორ. 1, 18).

და კუალად ისმენდ, ეტყოდის რაჲ ღმერთი მოსეს: „განფიცხებით განვაფიცხო გული ფარაოჲსი“, რაჲთა მის ზედა ვაჩუენო ყოველი ძალი ჩემი (გამოსლვ. 4, 21; 7, 3), ვინაჲცა ცხად არს, ვითარმედ ამას ადგილსა ძალად მოსეს კუერთხისა მიერ ქმნილთა მათ ნიშთა და საკჳრველებათა უწოდს, რომელი-იგი სახე იყო ჯუარისაჲ.

ესრეთ უკუე სწავლულ ვართ ჩუენ აღსაარებად და ქადაგებად ჯუარისა, ესრეთ მაწუეველ ვექმნებით და უბრძანებთ ერსა ღმრთისა მორწმუნეთასა ყოვლით კერძო მსახურებად და თაყუანის-ცემად ჯუარისა. რამეთუ ამის მიერ მოინადირნეს წარმართნი და ყოველთა შორის განეთესა სარწმუნოებაჲ. ესე მიიღეს მოწაფეთა ქრისტჱსთა და, ვითარცა საჴნველითა კეთილად მკუეთელითა, ესრეთ მოიმუშაკეს უნაყოფოებაჲ ყოვლისა სოფლისაჲ და აჩუენნეს ნაყოფიერად ღელენი ეკლესიისანი და მოართუნეს ქრისტჱსა მჭელეულად ნაყოფიერად სიმრავლენი ყოველთა წარმართთანი. ამით ახოვან იქმნნეს მარტჳლნი და დაკუეთებულთა მცემელი იგი მათი დააკუეთეს, ამის მიერ ქრისტე იცნობა, ამის მიერ სამარადისოდ განახუამს წიგნთა ეკლესიაჲ მორწმუნეთაჲ და თავსა შორის თჳსსა შემოიყვანებს მასვე ქრისტჱსა — ძესა ღმრთისასა, და თჳთ ღმერთსა და, ვითარცა პირითა მისვე უფლისაჲთა, ღაღადებს და იტყჳს: „რომელსა ჰნებავს შემოდგომა ჩემდა, უვარ-ყავნ თავი თჳსი, და აღიღენ ჯუარი თჳსი და შემომიდეგინ მე“ (მათე 16, 24).

ამის მიერ ქრისტეანობაჲ ყუავის და ყოვლით კერძო განეფინების. ამის მიერ სამეუფონი განძლიერდებიან, ქალაქნი განმტკიცნებიან, მბრძოლნი დაეცემიან, წარბმაღლობაჲ ბარბაროზთაჲ განილევის, ისმაელ მოკლული უჩინო იქმნების, ეშმაკნი მეხდატეხილ არიან, რამეთუ მისგან და მის მიერ გურწამს ცხორებაჲ, რომელი-იგი არს „სასწაული ძისა კაცისაჲ“ (მათე 24, 30) და „მის შორის იხილოს ყოველმან ჴორციელმან მაცხოვარებაჲ ღმრთისა ჩუენისაჲ“ (ლკ. 3, 6). ჰურიათა იხილონ, რომელსა

ზედა განგუმირეს მჴსნელი და იტყებდენ, ხოლო ჩუენ, რაოდენ-ნი ნათლითა მისითა ვიდოდეთ, მის თანავე ვიდიდნეთ და მის თანა ვსუფევდეთ და ანგელოზთა თანა დიდების-მეტყუელებასა შევსწირვიდეთ ღმრთისა ჩუენისა და ყოვლად წმიდისა სამებისა, რომელსა-იგი ერთობით თაყუანის-ვსცემთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

საკითხავი პოვნისათჳს პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯუარისა აღწერილი ალექსანდრეს მიერ, კჳპრელ მონაზონისა, რომელსა ევედრნეს მრავალგზის წმიდანი მამანი.*

მამაო, გუაკურთხენ!

ვინაჲთგან მოვიღე ვედრებისა თქუენისა ბრძანებაჲ, წმიდანო მამანო, ფრიად დამიკჳრდა, რამეთუ ითხოვეთ გლახაკისაგან და შეურაცხისა, რაჲთა აღვწერო სახე ჭეშმარიტი პოვნისათჳს ძელისა ცხოველისა და პატიოსნისა ჯუარისა, რომელსა ზედა აღმაღლდა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ნეფსით თჳსით. ხოლო ძალი ეშმაკისაჲ და ჴელმწიფებაჲ სიკუდილისაჲ დაჰჴსნა და ცხორებაჲ განუქარვებელი მორწმუნეთა მოანიჭა.

ამის ბრძანებისა სიტყუაჲ ოდეს მოვიღე, უზეშთაეს შეძლებისა ჩემისა იპოვა და დაწყებასა მისსა შევძრწუნდი, რამეთუ თქუენებრთა ბრძენთა მიერ ჯერ-იყო ესევითარისა ამის დაწყებაჲ და განსრულებაჲ, რამეთუ მე არღა მიწევნულ ვარ სწავლასა ფილოსოფოსთასა და არცა მომიღებიეს სიტყუათა განმარტებაჲ. არამედ ჭეშმარიტად უცებ ვარ, არა ხოლო თუ სიტყჳთა, არამედ ცნობითაცა, და უგულისჴმოებაჲ და უძლურებაჲ მარადის თანა-მექცევის მე და ამისთჳს არა ჩემ სახისაჲ არს ამის საქმისა დაწყებაჲ. არამედ კუალად ვხედაცა ურჩებისა ნაყოფსა და ამით მოსწრაფე ვარ მორჩილებად ბრძანებისა თქუენისა.

აწ ვაზმნე და სრულებასა ღირს-ვიქმნე მიწევნად ღმრთისა მიერ, ლოცვითა თქუენითა დავიწყო, არა ვიტყჳ თავით თჳსით რასმე, რამეთუ უცებ ვარ და უმეცარ, ვითარცა პირველ ვთქუ, არამედ მინდობითა ღმრთისაჲთა და ლოცვითა თქუენთაჲთა, ვიწყო, რომელსა შემძლებელ ვიქმნე და მიგითხრა პირველ თქუმულთა მიერ და წინაჲსწარ აღწერილთა, რამეთუ მრავალნი სხუანიცა დამაშურალ არიან ამისთჳს, რომელნიმე კეთილად და

---

* იბეჭდება გამოცემიდან „ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკა“ (X-XIV სს ხელნაწერების მიხედვით) თბ., 1978.
ახალქართულად ტექსტი იხ. გვ.248.

ჭეშმარიტად და რომელნიმე — თჳნიერ მისსა, ხოლო რომელსამე მიეახლებით შორიელსა, ვითარცა მახლობელსა მოცემულთაგან ღმრთისა მიერ. ამისთჳს მოსწრაფე ვარ, რაჲთა აღვწერო გამოცხადებით, არამედ თქუენ ნაკლულადვე შეჰრაცხეთ იგი და ლოცვა-ყავთ ჩემთჳს, წმიდანო მამანო.

ვყოთ დაწყებაჲ თქუმულთაჲ ამით მისთჳს, რომელი-იგი უდიდებულეს არს ყოველთა დაბადებულთა: ძჱ ღმრთისა მხოლოჲსაჲ, რომელი იყო წიაღთა მამისათა, სიტყუაჲ ცხორებისმომცემელი, რომელი მამისაგან ცხოველისა არს, რომელი იყო პირველ საუკუნეთა დაუსაბამოჲ და სამარადისოჲ ღმრთისა თანა ცხოველისა, რომელი არს ბრწყინვალებისაგან მამისა და ხატისაგან ძლიერებისა მისისა (ებრაელთა 1, 3), დაუსაბამოჲ, მიუწუდომელი, რომელსა არა აქუს დაწყებაჲ არსებისაჲ, ცხორებაჲ წარუვალი ცხორებისაგან სამარადისოჲსა, უკუდავი უკუდავისაგან აღმოცენებული, რომელმან ყო ცხორებაჲ შორის ქუეყანასა, ხატი ღმრთეებისაჲ, უხილავი, გამოუთქუმელი, დაუსაბამოჲ, მსგავსი დიდებისა მამისაჲ, რომელმან შვა იგი. ნათელი ნათლისაგან მიუწუდომელისა, წყაროჲ ცხორების-მომცემელი, აღმოცენებული მამისაგან ცხოველისა, სწორი ბუნებითა და საყდრის თანა-მოდგამი და თანა-ზიარი დიდებასა და ძლიერებასა მამისა მშობელისასა, მიზეზი ყოვლისა დაბადებულისაჲ — ხილულთა და უხილავთაჲ, და სული წმიდაჲ, განმაცხოველებელი, სწორი ბუნებით, რომელი მამისაგან მარადის გამოვალს და ძისა თანა იდიდების. და მის მიერ ორძის ყოველიეე და არაარსისაგან არსებად მოვალს. არარაჲ იყო, ოდეს-იგი იყო სამებაჲ მხოლოჲ, ვითარი ბუნებითა, რომელი-იგი იყო თჳთებითა გუამოვნებისაჲთა და ხატებისაჲთა. და ბუნებაჲ იყო დაუბადებელი, ღმრთეებაჲ მოუკლებელი, უფლებაჲ ჭეშმარიტებით, სიხარული საუკუნოჲ, ბუნებაჲ განმარტებული, აღუგებელი, შეურევნელი და განუყოფელი, რომელი არს მარადის და ყოვლადვე დაუსაბამოჲ და სამარადისოჲ.

ამან სიტყუამან ღმრთისა ცხოველისამან, დამბადებელმან და ყოვლისა შემძლებელმან, ნებითა მამისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა ყოველნი დაბადებულნი, ხილულნი და უხილავნი, ჟამსა

მას, რომელსა ჯერ-იყო, არაარსისაგან არსებად მოიყვანნა, ვინაჲთგან იცოდა წინაჲსწარითა ღმრთეებისა ცნობითა თჳსითა, ოდეს და სადა და ვითარ ჯერ-არს ყოფაჲ არსთა ყოფისაჲ.

და ესრეთვე, რაჲთა ყოველივე ერთბამად ვთქუათ, რამეთუ წარსრულ არიან ჟამნი ურიცხუნი, რომელსა შინა არარაჲ ყოფილ არს თჳნიერ ღმრთისა მხოლოჲსა, სამებით დიდებულისა და ერთარსებით ცნობილისა — ერთი სამებაჲ და სამებაჲ ერთარსებაჲ, რომელ არს ღმრთეებაჲ ჭეშმარიტი.

ამან დამბადებელმან არა თუ რაჲმე საჯმარად თჳსსა დაჰბადნა დაბადებულნი — რამეთუ ღმრთეებასა არარაჲ საჯმარ არს, არამედ მიუწუდომელისა სახიერებისა მისისათჳს დაჰბადნა მრავალნი, რომელნი იხარებენ კეთილთაგან მისთა და განუყო ყოველი და შეამკო სამკაულითა ჯერისაებრ.

ამის ყოვლისა შემდგომად დაჰბადა კაცი ქუეყანისაგან, რომელი პირველ მისსა დაბადებულ იყო, მისგან აღადგინა გუამი და შთაჰბერა მას სული გონიერი და სიტყჳერი წრფელად. დაბადებული, რომელი პირველ არა იყო და არცა ღმრთეებისა ბუნებისაგან იყო იგი, ვითარცა თქუა მგმობარმან ორიგინე სიტყჳთა მცბიერითა ტყუვილისაჲთა, რამეთუ სულითა დაბადებაჲ არსთაგან იყოო. ხოლო რომელი მას შეუდგს ტყუვილისა მისისაგან და კუალად-ქცევისა, მოჰქონან სიტყუანი მეზღაპრეთანი, რომელთა არა აქუს სიმტკიცე და ჭეშმარიტებაჲ.

ხოლო ესე თქუმულ არს წიგნთაგან წმიდათა, ვითარმედ: ღმერთმან შთაჰბერა პირსა ადამისსა სული ცხოველი და იყო კაცი იგი სულად ცხოველად. არა იყო იგი დაწყება სულთა დაბადებისა, რამეთუ უკუეთუმცა ეგრეთ ყოფილ იყო, თქუმულმცა იყო, ვითარმედ: მიიღო კაცმან სული ცხოველი (დაბადება 2, 7). და არცა თუ შთაბერვაჲ იგი სული იყო კაცისაჲ, არამედ რაჲთა აჩუენოს სახითა, ვითარმედ სული წმიდაჲ არა უცხო იყო დაბადებისაგან დაბადებულთაჲსა, ვითარცა იტყჳს წინაჲსწარმეტყუელი: სიტყჳთა უფლისაჲთა ცანი დაემტკიცნეს და სულითა პირისა მისისაჲთა ყოველი ძალი მათი (ფსალმუნი 32, 6) და კუალად: სულმან ღმრთისამან დამბადა მე და სიტყუამან ყოვლისა მპყრობელისამან მასწავა მე (იობი 33, 4). დაჰბადა სი-

ტყუამან ღმრთისამან ყოველი დაბადებული დიდებულებისაებრ დიდებისა მისისა და საქმესა მას ძალი ძლიერებისა მისისაჲ არა წარმოაცალიერა. და რასა ვიტყჳ ძლიერებასა მისსა, რომელმან ყოველივე წამის-ყოფით დაჰბადა და დაჰბადებს, რამეთუ მას მარადის შემოქმედებაჲ ნებისაებრ თანა აქუს, ვითარცა წინაჲსწარმეტყუელი იტყჳს: ყოველივე, რაჲცა უნდა უფალსა, ქმნა (ფსალმუნი 63, 3).

ხოლო ოროგინე მცბიერმან იკადრა და თქუა, ვითარმედ ძლიერებასა ღმრთისასა აქუს დალევა. და წარმოსთხინა სახენიცა ბევრეულნი გმობანი, რომელნი საძაგელ არიან მითხრობადცა, რომელნი თქუნა და დაწერნა ბასრობით წიგნთა შინა თჳსთა და აღავსო ქუეყანაჲ სიცბილითა მიუთხრობელითა. და მიიღო ღირსად უგუნურებისა მისისა პატიჟი და მისაგებელი საქმეთა მისთაჲ წმიდისაგან კრებისა.

აწ მადლით კუალად პირველსავე მას თქუმულსა, რამეთუ რაჟამს დაჰბადა ღმერთმან კაცი ხატად და მსგავსად თჳსა და დაადგინა იგი სამოთხესა საშუებელისასა, ვითარცა იტყჳს წიგნი: საქმედ და დაცვად მისსა იქმოდა ჭეშმარიტად არა საზრდელსა წარსაწყმედელსა, არამედ საზრდელსა, რომელი ჰგიეს ცხორებად საუკუნოდ (იოანე 6, 27) და კუალად დაცვად მცნებასა მას ცხორებაშემოსილსა, რომელი მოეცა დამბადებელისაგან თჳსისა.

აწ ნუ ვინ მაბრალებენ მე, რამეთუ განვაგრძე დაწყებაჲ თქუმულთაჲ ამათ. ხოლო ესე არა ცუდად რაჲმე ვყავ, არამედ რამეთუ მნებავს მოჴსენებად ჳკუარი პატიოსანი და ვინებე ჩუენებად დიდებაჲ ძელისა ცხორებისაჲ, რამეთუ ზეგარდმო დაწყებასა და ყოველსა შინა დაბადებულსა ბრწყინავს ნიში ჳკუარისა პატიოსნისაჲ.

აწ გულისჴმა-ყავთ და იხილოთ ჭეშმარიტად გამოცხადებით, რამეთუ ყოველნი დაბადებულნი, ხილულნი და უხილავნი, დამბადებელმან სახედ ჳკუარისა დაჰბადნა, რამეთუ ქმნა სივრცე და სიგრძე, სიმაღლე და სიღრმე, და გამოაჩინა ჭეშმარიტთა სახითა ნიში ჳკუარისა ცხოველისაჲ და მას შინა არს ყოველივე სიბრძნით განგებულებაჲ.

რამეთუ მე ესრეთ ვჰგონებ, ვითარმედ ესე არს, რომელი თქუა ბრძენმან პავლე მოციქულმან, რამეთუ თქუა: ამისთჳს მოვიდრეკ მუჴლთა ჩემთა მამისა მიმართ და შემდგომი ამისი: რაჲთა შემძლებელ ვიქმნეთ მიწევნად ყოველთა თანა წმიდათა, რომელ არს სიერცე და სიგრძე, სიმაღლე და სიღრმე (ეფესელთა 3, 14-18).

რამეთუ ყოველივე დაბადებული პატიოსნად დამბადებელისაგან სიბრძნითა უზეშთაესითა სახედ ჯუარისა დაებადა, რამეთუ ცხოველნი ოთხხატებანი თჳნიერ ცილობისა ჯუარის სახედ ეტლად მისსა მოესწავნეს, რამეთუ თქუა ესაია საკჳრველმან წინაჲსწარმეტყუელმან: ვიხილე ღმერთი მჯდომარე საყდართა ზედა. და შემდგომი ამისი: და სერაბინნი დგეს გარემოჲს მისსა მწყობრ, ექუს ფრთე ესხნეს ერთსა და ექუს ფრთე ერთსა, ორითა იფარვიდეს პირთა მათთა, ორითა — ფერჴთა და ორითა ფრინვიდეს განმარტებულად საშუაჲლ ჯუარის სახედ (ესაია 6, 1-3).

აჰა ესერა საიდუმლოჲ ჯუარისაჲ, ძალთა შინაცა ზეცისათა გამოჩინებულ არს სახჱ ჯუარისა ცხოველისაჲ და კუალად ვარსკულავნიცა ზეცას ჯუარის სახედვე ბრწყინვენ და კაციცა ჯუარის სახედ დაბადებულ არს. რამეთუ ყოველი კაცი ჴელგანმარტებულად მდგომარე, თჳნიერ ცილობისა სახითა მსგავს არს ჯუარისა და სამოთხეცა იგი საშუებელისაჲ სახედვე არს ჯუარისა, ხისა მისთჳს ცხორებისა, რომლისაგან შურითა ჟამსა თჳსსა ჭამად არა უტევა ბოროტმან გუელმან, არამედ მწრაფლ ცნობითა მისითა გამოაგდო იგი მიერ და ურჩებისათჳს მცნებისა მიეცა იგი ცოდვასა და ცოდვისა ძალით დაესაჯა მას მწარე სიკუდილი. და ცოდვაჲ იგი აღორძნდა ბოროტად დაწყებითა ნათესავთა შორის, ვიდრემდის განსრულდა სწორად ბოროტებისა სრულიად.

არამედ სიტყუაჲ ღმრთისაჲ არცა ამით მიზეზითა უკუნიქცა დაბადებულთა თჳსთაგან, და არცაღა განწირა, რომელი ხატად თჳსა დაჰბადა, და არცა დაუტევა უნდოებასა შინა, რომელი განწირულ იქმნა შურითა მტერისა ბოროტისაჲთა და არცა უგულებელს-ყო ძიებაჲ და მოჴდაჲ მისი ნიშითა და სასწაულითა ჯუარისა ცხოველისაჲთა, რამეთუ არა ინება მიშუებად ღმრთისა.

სახიერ არს, რომელი-იგი შეიმზადა მსგავსად თჳსა, რაჲთა მიიწიოს სიღრმედ წარსაწყმედელისა მანქანებითა ეშმაკისაჲთა.

და ოდეს განიხრწნა ყოველი ქუეყანაჲ საქმითა უკეთურებისა და სიბოროტისაჲთა, განიბჭო მის ზედა შეცვალებაჲ მისი, მაშინ ნოვე მართალი და ყოველი სახლი მისი მეორედ შობად მისცა, დაიჯსნა წყლით-რღუნისაგან წარმწყმედელისა მცირისა მიერ ძელისა (დაბადება 6, 8).

და ეგრეთვე აბრაჰამ, მამათ-მთავარმან, ძელითა აღთქუმაჲ ღმრთისაჲ ფიცით შეიწყნარა, ოდეს-იგი წარაულინა ქუეყანასა მაღალსა, რაჲთა შეწიროს ძჲ თჳსი საყუარელი, რომელმანიგი შეიწყნარა მოსწრაფედ მორჩილებაჲ მისი. არამედ უჩუენა მას ვერძი, დამოკიდებული რქითა ნერგსა საბეკსა, რომელი ითარგმნების „შენდობა“, სახითა მით, რომელი მოსწრაფედ იყო ყოფადი იგი შენდობაჲ შეცოდებათაჲ ყოველთა კაცთაჲ ძელისა მიერ დამშჭუალვითა კრავისა მის გონიერისაჲთა ძელსა მას ზედა ჯუარისასა (დაბადება 22, 13).

უსწრო მოსწავებამან, რომელი ესწავა აბრაჰამსა — ქუეყანაჲ მაღალი, ესე-იგი არს წმიდაჲ გოლგოთაჲ, რომელსა ზედა ჯუარს-ეცუა კრავი იგი უბიწოჲ, რომელმან აიხუნა ცოდვანი სოფლისანი და რაჲმე არს თაყუანის-ცემაჲ იაკობისი, რომელიგი თაყუანის-სცა წუერსა ზედა კუერთხისასა? არამედ ესე, რამეთუ მამათ-მთავარმან მოასწავა წინაჲსწარმეტყუელებით, ვითარმედ ჯერ-არს თაყუანის-ცემაჲ ყოველთა მორწმუნეთაჲ ჯუარისა მიერ ცხოველისა ქრისტეს, ღმრთისა ჩუენისა.

და ყოველნი ნიშნი და სასწაულნი, რომელნი ქმნნა მოსე ქუეყანასა ეგჳპტისასა და ზღუასა მას მეწამულსა და უდაბნოსა მას ზედა ორმეოც წელ ბრძანებითა ღმრთისაჲთა, კუერთხითა ქმნნა იგინი. და უფროჲს ამისა დაუდგა შჯული სახედ წინაჲსწარ, ვითარმედ ყოველსა, რომელსა შემძლებელ იქმნეს მორწმუნე საქმედ სასწაულთა, იესუ ქრისტეს მიერ ჯუარცუმულისა იქმოდის (დაბადება 47, 31; ებრაელთა 11, 21). და რასა მოვაჯსენებდე ყოველთა წინაჲსწარმეტყუელთა, რომელთა უწინარეს ქადაგეს გამოცხადებით ჯუარისათჳს დიდებულისა და ჴსნისა მისთჳს მომავალისა სოფლად? რაჲმე უკუჱ იყოს უცხადეს მისსა, რომე-

ლი-იგი თქუა: საროჲთა და ფიჭჭთა და ნაძჯთა ერთბამად იდიდოს ადგილი წმიდაჲ ჩემი (ესაია 60, 13)?

და რამეთუ სამებამან წმიდამან, სწორმან ბუნებითა ერთითა, გუამითა მისითა განაგო ცხორებაჲ კაცთაჲ ჯუარითა და ჭეშმარიტად საჭურველად ძლევისა მომცა ჩუენ სამთაგან ძელთა შემზადებული ჯუარი, ვითარცა სამ სახელთაგან — საროჲსა, ფიჭჭსა და ნაძჯსა — სადიდებელად ადგილისა წმიდისა.

ხოლო ადგილი წმიდაჲ ღმრთისაჲ არს წმიდაჲ სამოციქულოჲ კათოლიკე ეკლესიაჲ, რომელსა შინა ყოველნი მორწმუნენი აღიპყრობენ ძელსა ჯუარისასა, სიხარულით და მხიარულებით ადიდებენ სამებასა თაყუანის-საცემელსა და ეგრეთვე ყოველსა ჟამსა ყოველნი, რომელნი გამოჴსნილ არიან ადამისითგან, ვიდრე ქრისტესამდე. სახითა ცხოველისა ჯუარისაჲთა მონიჭებულ არს გამოჴსნაჲ, ხოლო რაჟამს მოიწია აღსასრული ჟამთაჲ და მოსლვაჲ სიტყჳსა ღმრთისაჲ ჴორცითა, მაშინ ჟამსა მას გამოაცხადა სიყუარული კაცთაჲ, დანერგული მრავლითა სიმდიდრითა ჩუენთჳს, არა თუ ჩუენთა საქმეთათჳს, არამედ სახიერებისათჳს, რომელი შეჰგვანდა ღმრთეებასა მისსა.

რამეთუ არა ინება მრავლითა კაცთ-მოყუარებითა თჳსითა დატევებაჲ კაცისაჲ ჴელმწიფებასა ქუეშე ბოროტისა ეშმაკისასა, არამედ ნებითა მამისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, რომელნი განუშორებელ არიან და უცვალებელ ჩუენთჳს და ჩუენისა ცხორებისათჳს, მოდრიკნა ცანი და გარდამოჴდა და ცათაგან განუშორებელ იყო და დაემკჳდრა მუცელსა ღმრთის-მშობელისა უბიწოჲსა და წმიდისა ქალწულისა მარიამისსა. და რამეთუ პირველად განწმიდნა სულითა წმიდითა სულნი და ჴორცნი მისნი, და მაშინ სიტყუაჲ ჴორციელ იქმნა მათ შინა და დაემკჳდრა ჩუენ შორის. არა შეცვალა ღმრთეებაჲ მისი კაცებად, რამეთუ სიტყუაჲ ღმრთისაჲ არა შეიცვალების და არცა იქცევის. არამედ შეაერთა გუამსა შინა თჳსსა და მისგან გამოვიდა და აქუს მას სული მეტყუელი და გონიერი შეურევნელად და შეუშფოთებელად და განუშორებელად.

თქუმულ არს გუამოვნად, რამეთუ არა თუ პირველ კაცისა დაბადებისა შეერთო სიტყუაჲ ღმრთისაჲ, არამედ იგი ყოველი

სრულებით იყო თჳთებასა შინა თჳსსა და სრულებით მოიღო კაცებაჲ იგი თჳსი გუამითა თჳსითა და იქმნა ერთი ქრისტე, სამარადისოჲ ძჲ და ღმერთი და მეუფჲ ყოვლისაჲ.

და იშვა სძლისაგან უქორწინებელისა, რომელი იყო თესლისაგან დავითისა და აბრაჰამისა, ჭეშმარიტად და არა საუცრად, ღმერთი ჭეშმარიტი საშოსა შინა იტჳრთა. ამისთჳს ჭეშმარიტად თჳნიერ ცილობისა არს იგი ღმრთის-მშობელი, ქალწული წმიდაჲ და უბიწოჲ, რომელმან ესრჱთ შვა იგი, ვითარცა მუცლად-იღო და, ვითარცა შეჰგავს ღმრთეებასა, შვა იგი, იყო ღმერთი ჭეშმარიტი, რომელი მისგან განჯორციელდა და არა საჯმარ იყო მისა კარი შესლვად და არცა გამოსლვად.

არამედ იშვა მისგან ჭეშმარიტად ევმანუილ, რომელ არს სრული ღმრთეებითა და კაცებითა, ერთი იყო ორითა ბუნებითა და ესე ორნი ბუნებანი თჳთებითა თჳსითა იყვნეს გუამსა შინა ერთსა შეურევნელად.

იშვა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ჯორცითა ბეთლემს ჰურიასტანისასა დღეთა ჰეროდე მეფისათა, დასასრულსა მთავართა იუდაჲსთა, ვითარცა იტყჳს წინაჲსწარმეტყუელი. ვიდრემდის მოიწივნეს ჰურიანი არისტობულე მღდელთ-მოძღურისა და ესე მეფე ყვეს მათ ზედა და გჳრგჳნი მეფობისაჲ დაადგეს. და ვითარცა ეუწყა ესე კეისარსა ჰრომთასა, წარმოავლინა პომპიოს სპასალარი ერითა მრავლითა და მოიცვა ქალაქი იერუსალემი ძლიერად, ვიდრემდის შეიპყრა არისტობულე და ძენი მისნი და წარსცნა იგინი კრულნი ჰრომედ და დასდვა ჰურიათა ზედა ხარკი საკელმწიფოჲ და ყო ორკანოს, ძმაჲ არისტობულესი, მღდელთ-მოძღუარ მათ ზედა.

და ესუა სპასალარსა მას პომპიოსს მეგობარი ასკალონელი, კაცი სახელითა ანტიპატროს, მონაჲ იყო იგი კერპთაჲ და მამაჲ იყო ჰეროდჱსი. და ყო იგი ერის-მთავარ ქუეყანასა მას ჰურიასტანისასა და წარვიდა ჰრომედ.

და იყო ჰეროდე, ძჲ ანტიპატროსისი, სრულ ყოველსა შინა საქმისა და ახოვან ბრძოლასა და მრავალნი ავაზაკნი შეეპყრნა და მოწყჳდნა.

ხოლო რაჟამს წარიყვანეს ორკანოს პართენელთა, მოიკლა

ანტიპატროს ზაკუვით და არავინ დაშთა ქუეყანასა მპყრობელი ჰურიასტანს. მაშინ აღდგა ჰეროდე ანტიპატროსისი და მოიტაცა თავით თჳსით მთავრობაჲ ქუეყანისაჲ მის, და საფასჲ დიდძალი მიუძღუანა ჰრომთა და კუალად მათგანცა მოიგო კელმწიფებაჲ ქუეყანისაჲ მის.

და ვითარცა მოიწია აგჳსტოს კეისარი ეგჳპტედ ერითა მრავლითა ბრძოლად კლეოპატრე დედოფლისა, მეგჳპტელთა მპყრობელისა, რომელი იყო ტომისაგან პტოლემეოს მეფისა, მაშინ მოიწია მისა ჰეროდე მთავარი და შემწე ეყო კეისარსა მრავლითა ერითა და საზრდელითა დიდძალითა, რომელი მიუძღუანა ჰურიასტანით. და მისცა ღმერთმან კლეოპატრე დედოფალი მეგჳპტელთაჲ და ყოველი ერი მისი კელთა აგჳსტოს კეისრისათა და დაიპყრა ყოველი საკელმწიფოჲ ეგჳპტისაჲ მეათორმეტესა წელსა მეფობისა მისისასა და, ვითარცა მიიქცეოდა კეისარი ჰრომედ და იხილა ერთგულებაჲ ჰეროდჱსი, წუევითა ერის-მთავართა თჳსთაჲთა ყო იგი მეფე ჰურიასტანსა ზედა და მუნქუესვე დაადგა გჳრგჳნი მეფობისაჲ და კეისარი წარვიდა ჰრომედ.

ხოლო ჰეროდე ვითარცა მიიწია იერუსალემად, არა ინებეს ჰურიათა შეწყნარებაჲ მისი, ვინაჲთგან იყო იგი უცხოთესლ, მაშინ ბრძოლა-სცა მათ და მოსრა ერისა მათისაგან დიდძალი სული და წარტყუენა ქალაქი და ტაძარი და განაძლიერა ამან უკეთურებაჲ კელმწიფებასა შინა თჳსსა და წარიღო წიგნები, რომელსა შინა წერილ იყო სახელები ჰურიათა ნათესავადნათესავადთა მათთა და ტომად-ტომადთაჲ დღითგან ეზრა წინაჲსწარმეტყუელისაჲთ და დაწუა ყოველი იგი ცეცხლითა, რაჲთა ვერღარა შემძლებელ იქმნენ ჰურიანი მერმე ცნობად, თუ რომლისა ნათესავისაგან არს კაცად-კაცადი მათი. არამედ იყვნენ შერეულ, ვითარცა ყოველნი მკჳდრნი ქუეყანისანი, და არა უწყოდიან განყოფანი ქუეყანისანი და არცა ნათესავი სამღდელოჲ. და მას შინა წარიღო სამოსელი სამღდელოჲ და დაჰბეჭდა მას ბეჭდითა თჳსითა. და მიერითგან ჰყიდდა მღდელთ-მოძღურობასა კაცთა ზედა ულირსთა და შეუტყუებელთა მრავლითა საფასითა.

და შემდგომად ორმეოცისა წლისა გამოჴდა ბრძანებაჲ აგჳსტოს კეისრისაგან აღწერად ყოვლისა სოფლისა, ესე აღწერაჲ

პირველი იყო, ვითარცა იტყჳს წმიდაჲ სახარებაჲ (ლუკა 2, 1-2). ამას აღწერასა ზედა და ხარკსა ჴელმწიფება-ყო კეისარმან კაცი ვინმე, სახელით კჳრიონ, ერთგული მეფისაჲ და დასტური ერისაჲ. და მისცა მას ასურასტანი და ჰურიასტანი მეცამეტესა წელსა ჴელმწიფობისა აგჳსტოსისსა და სილოვანჱსსა.

ამისსა ჴელმწიფობასა შინა იშვა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ბეთლემს ჰურიასტანისასა, ვითარცა თქუა წინაჲსწარმეტყუელმან, ოცდამეცამეტესა წელსა მეფობასა ჰეროდე, ანტიპატროსის ძისასა, ოცდაჲუთსა დეკენბერსა იშვა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ბეთლემს ჰურიასტანისასა, ორმეოცდამეორესა წელსა მეფობასა აგჳსტოს კეისრისასა, ჴელმწიფობასა წინაჲსწარ აღწერილთასა.

მაშინ მოიწინეს მოგუნი იერუსალემდ ძიებად მეუფისა შობილისა, რომლისა ვარსკულავმან წინა-ძღომით აღმოსავალით ჰურიასტანდ მოიყვანნა. და ვითარცა შევიდეს იერუსალემდ, დაეფარა მათგან ვარსკულავი იგი წინამძღუარი მათი, ხოლო იგინი შეზრუნდეს და იიძულეს კითხვად მისთჳს ქუეყანისათა მსგავსთა მათთა და აუწყესცა წინამძღურისა მისთჳს ზეცით გამო, რომელმან მოიყვანნა იგინი.

და ვითარცა ესმა ესე ჰეროდეს, რამეთუ იყო იგი უკეთურ ყოვლითა, გულისხმა-ყო, რამეთუ ესე სასწაული არა კაცობრივი არს, რამეთუ მრავალნი მეფენი შობილ არიან იერუსალემს და არცა ერთისა მათგანისა ზედა გამოჩნდა ესევითარი სასწაული.

მაშინ გულს-მოდგინედ იკითხა ამისთჳს მწიგნობართაგან და მოძღუართა და ეუწყა მას წინაჲსწარმეტყუელთა თქუმულთაგან, ვითარმედ: ჯერ-არს შობაჲ ქრისტესი ბეთლემს ჰურიასტანისასა.

და მოუწოდა იდუმალ მოგუთა და გამოიწულილა მათგან ჟამი იგი ვარსკულავისა გამოჩინებისაჲ. და ზაკუჳთ წარავლინნა და აღუთქუა მათ ნიჭი დიდძალი ჯერისაებრ, რაჲთა ვითარცა პოვონ ყმაჲ იგი, აუწყონ მას, რაჲთა მანცა თაყუანის-სცეს მას.

და კუალად გამოუჩნდა მათ წინამძღუარი იგი მათი პირველი ვარსკულავი და სიხარულითა დიდითა შეუდგეს მას და მი-

იწინეს ბეთლემდ და პოვეს მეუფჱ იგი საწადელი, თაყუანისცეს მას ძღუნითა.

მერმე ეჩუენა მათ ანგელოზი და ჰრქუა მათ სხჳთ გზით წარსლვაჲ სოფლად თჳსა, მაშინ იოსებ საღმრთოჲთა ბრძანებითა წარიყვანა ყრმაჲ იგი და დედაჲ მისი ეგჳპტედ. და იყო იგი მუნ სიკუდილადმდე ჰეროდე მეფისა. ხოლო აღირიცხა მოგუთა მოსლვითგან და ჰეროდეს მოკითხვითგან ვიდრე მიქცევადმდე სოფლად თჳსა ორ წელ.

მაშინ განრისხნა ჰეროდე და ბრძანა მოწყუედაჲ ჩჩჳლთაჲ ორით წლითაგანნი ოცდამეათხუთმეტესა წელსა მეფობისა მისისასა (მათე 2, 1-19). და ამისსა შემდგომად ეწია მას რისხვაჲ მაკუდინებელი უფლისა მიერ და მრავალთა სენთა შინა განკაფული მოკუდა ოცდამეჩჳდმეტესა წელსა მეფობისა მისისასა. და დაუტევნა მან ოთხნი ძენი უბოროტჱსნი მისსა მთავრად ქუეყანისა მის.

მაშინ ბრძანებითა ღმრთისაჲთა უკმოიქცა იოსებ ეგჳპტით, იგი და ყრმაჲ იესუ და დედაჲ მისი, და იყო იგი ოთხი წლის და დაემკჳდრა ნაზარეთს (მათე 2, 19-23). და იყო არქელაოს მეოთხედ მთავარი ჰურიასტანისაჲ.

და ესრეთ სახელ-ედების ძეთა მათ ჰეროდჱსთა: პირველსა — არქელაოს, და ჰეროდე, და ფილიპე და ლუსანიას. და აქუნდა თითოეულსა მათსა მეოთხედ სამთავროჲ ჰურიასტანისაჲ.

მერვესა წელსა არქელაოსისსა მეფობისასა იწყო უფალმან ჩუენმან შესლვად ტაძრად და დაჯდომად მოძღუართა შორის. და იყო იგი ათორმეტის წლის გუამითა ჯორციელითა. და ვითარცა კუალად-იქცა მადლით დედა-მამათა მიერ ნაზარეთად, შემდგომად მისა არამრავალთა ჟამთა აღესრულა იოსებ და მრავალთაგან საგონებელ იყო მამად უფლისა.

და ვითარცა აღესრულნეს ჟამნი არქელაოსის მეფობისანი, მოკუდა იგი და არა დაუტევა მან მკჳდრი.

და კუალად, ვითარცა აღესრულნეს ჟამნი აგუსტოს კეისრისანი, მოკუდა იგი ორმეოცდამეთექუსმეტესა წელსა მეფობისა მისისა და თუე რაჲდენმე და დაუტევა მეფობაჲ ტიბერიოსს, ძესა თჳსსა, და იყო უფალი ჩუენი მას ჟამსა ათხუთმეტის წლის.

და ესუა ტიბერის კეისარსა მეგობარი გულითად, სახელით პილატე, და კელმწიფე-ყო იგი ჰურიასტანს ზედა. და იყო იგი ვიდრე სიკუდილადმდე კეისრისა.

წელსა მეათხუთმეტესა ტიბერის კეისრისასა, ვითარცა იტყჳს სახარებაჲ, მოვიდა იოვანე ბრძანებითა ღმრთისაჲთა და ქადაგებდა ნათლის-ღებასა სინანულისასა მოსატევებელად ცოდვათა ყოველსა ჰურიასტანსა.

და ნათელ-იღო უფალმანცა ჩუენმან მის მიერ იორდანესა მდინარესა, მეოცდაათესა წელსა ჰასაკისა მისისასა. და მაშინ იწყო საქმედ სასწაულთა, რომელნი წერილ არიან წმიდასა სახარებასა (ლუკა 3, 21-23).

და მას ჟამსა ჰეროდეს დაეტევა ცოლი თჳსი და იყო იგი ასული არეტა მეფისა ბალკანელთაჲსა, რომელი მოაჯსენა წმიდამან პავლე მოციქულმან ებისტოლესა მას შინა თჳსსა, რომელი მიუწერა კორინთელთა (2 კორინთელთა 11, 32). და შეირთო ეროდია ცოლი ფილიპჱსი, ძმისა თჳსისაჲ, და იყო იგი ცოცხალ მას ჟამსა შინა.

ხოლო ქადაგმან სიმართლისამან, იოვანე ნათლის-მცემელმან, არა თავს-იდვა საქმჱ ესე უკეთურებისაჲ, და ამხილებდა მას მხილებითა უწიწველითა თუალუხუავად. ხოლო ჰეროდე, ბოროტად განრისხებულმან, შეიპყრა და მიანიჭა წინაჲსწარმეტყუელი მეძავსა და მოჰკუეთა თავი მისი.

ხოლო საღმრთოჲ შურის-გებაჲ არა განგრძობილად ეწია მრავალკადნიერებასა მათსა, რამეთუ ცოლი იგი მისი პირველი, რომელი შეურაცხად განეტევა, წარვიდა იგი არეტაჲსა, მამისა თჳსისა, და ლმობიერად ტიროდა შემთხუევასა მას ზედა, ხოლო მან, ვითარცა იხილა შეურაცხებაჲ იგი ასულისა თჳსისაჲ, შეიკრიბა ერი თჳსი და მიიწია ბრძოლად ჰეროდჱსა და მოსრა ყოველი ერი მისი და მოწყჳდა და მოაოჯრა ქუეყანაჲ მათი და იავარ-ყო ყოველი მონაგები მათი.

და ამითცა არავე დასცხრა ჰეროდე სიბოროტისაგან თჳსისა. მეათრვამეტესა წელსა ტიბერის კეისრისასა და მეოცესა ჴელმწიფებასა ჰეროდჱსსა და პილატჱსსა ჰურიასტანს ზედა იყო ვნებაჲ იგი გამოჴსნისა ჩუენისაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსი.

თთუესა მარტსა ოცდაათსა ივნო უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან ნეფსით თჳსით. და იგი იყო უფალი ჭეშმარიტი და კაცი ჭეშმარიტი და ორითა ბუნებითა; არა შეიწყნარა განყოფილებაჲ და შერეულებაჲ. ჯუარსა ზედა იყო და საფლავსა შინა განუშორებელად დაადგრა განგებაჲ ორთა ბუნებათაჲ, რომლითა იცნობების ერთი მხოლოჲ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ძჱ ღმრთისა ცხოველისაჲ და სიტყუაჲ მისი მხოლოჲ.

და რაოდენ ყოველსა შინა ჯუარი დიდებულ არს და ჯუარის სახედ განეგო ყოველი, ვითარცა პირველად ვთქუთ, ჭეშმარიტებითა უფლისაჲთა, რომელმან ჯუარითა სიკუდილი თავს-იდვა, რაჲთა სისხლითა მისითა განწმიდოს ყოველივე და გამომიჯსნნეს ჩუენ წყევისაგან შჯულისა და განგუათავისუფლნეს ჴელმწიფებისაგან ეშმაკისა და მიჯსნნეს ჩუენ ხრწნილებისაგან და სიკუდილისა.

მოკუდა ჭეშმარიტად ჩუენთჳს უფალი ჯორცითა და არა არსებითა, ვითარცა იტყჳს წიგნი, ჯუარს-ეცუა დღეთა პილატე მთავრისათა, და დაეფლა და აღდგა მესამესა დღესა ჭეშმარიტად, ვითარცა წერილ არს. არა ღმრთეებითა თჳსითა მიეცა ვნებასა სიკუდილისასა. ნუ იყოფინ! განვედინ და განჴედინ ყოველისაგან ქრისტეანისა ესე გულის-სიტყუაჲ, რამეთუ ღმრთეებასა არა ევნების და არცა მოკუდების. არამედ თანა-იყო კაცებასა თანა-მსგავსსა ჩუენისა ბუნებითა და ვნებითა, რომელი შეაერთა გუამსა შინა თჳსსა და შეიწყნარნა ჯორცითა ვნებანი განგებით და მოგუცა ჩუენ საზრდელად საიდუმლოდ ჯორცი მისი ჭეშმარიტი და სისხლი კრავისა მის ღმრთისაჲ სიტყჳერისაჲ მოსატევებელად ცოდვათა და ცხორებად საუკუნოდ.

და ვითარცა აღასრულა საიდუმლოჲ იგი ჯუარისა და აღდგომისაჲ, მაშინ ჰურიათა ღმრთის-მკლველთა ესე შეამთხჳეს თავთა თჳსთა, რაჲთა დაფარნენ სასწაულნი მისნი. პირველად დააჯერეს პილატეს საფასითა დიდძალითა, ვიდრემდის დააბეჭდვეს საფლავი იგი და დაცვად სცეს მრავლითა ერის-კაცითა. ხოლო ღმერთმან მიუშუა, ვიდრემდის აღასრულონ ყოველი, რაჲთა საქმითა თჳსითა, რომელი ქმნეს ბოროტი, იიძულონ ჭეშმარიტებისა დამტკიცებაჲ, რამეთუ უკუეთუმცა არა დაეცვა

საფლავი, ეთქუამცა სამე აღდგომაჲ ტყუვილად და მიპარულად.

ხოლო აწ ამის ყოვლისა შემდგომად საფლავისა მცველთა ერის-კაცთა უცილობელად ქადაგეს ყოველსა ადგილსა სასწაული აღდგომისაჲ, დაღათუ მიიღეს მღდელთ-მოძღუართაგან საფასჱ დიდძალი, რაჲთა დაფარონ იგი.

და ვითარცა აღმაღლდა უფალი ჩუენი ზეცად და სასწაულნი აღურაცხელნი იქმნებოდეს სახელითა მისითა ჴელითა წმიდათა მოციქულთაჲთა, შეშფოთნეს კუალად მოძღუარნი და თქუეს ურთიერთარს: რაჲმე უკუე ვყოთ, რამეთუ სასწაულნი მრავალნი განცხადებულ არიან სახელითა იესუჲსითა ყოვლისა მიმართ ერისა და ვერ შემძლებელ ვართ დაფარვად მათა? არამედ, რაჲთა არა უფროჲს აღემატოს შემდგომად ჩუენსა, რომელნი იშენენ საცთურად მათა, მოვედით და დავფაროთ საფლავი მისი, რაჲთა არა, ოდეს ნათესავთა იხილონ საფლავი ცალიერი, ყოველთა ჰრწმენეს მისი.

მაშინ ბრძანეს, რაჲთა დაფარონ საფლავი და ადგილი გოლგოთისაჲ და ადგილი ჯუარისა ცხოველისაჲ და ეგონა დავიწყებასა მიცემად ჴსენებაჲ გამოჴსნისა ჩუენისაჲ. და ესე იყო ბრძანებაჲ უშჯულოთა მღდელთ-მოძღუართაჲ.

ხოლო ღმერთმან მიუტევა ყოვლისა მის საქმედ, რამეთუ სიბრძნით იქმოდა ყოფადისა მისთჳს წინაჲსწარ. რამეთუ მოესწავებოდა წინაჲსწარ ქალაქისა მის მოოჴრებაჲ და მოწუაჲ ცეცხლითა. ამისთჳს მიუშუა ღმერთმან მცირედ უწინარჱს, რაჲთა დაფარონ ძელი განმაცხოველებელი და აღდგომაჲ სადიდებელი და გოლგოთაჲ საქებელი, რაჲთა არა დღესა მას ოჴრებისასა მიეცნენ ადგილნი წმიდანი დაწუასა ჰურიათა მიერ, გინა წარმართთა. რამეთუ ჯერ-იყო ამისა შემდგომად ჟამსა რომელსამე გამოცხადებაჲ მათი მრავლითა დიდებითა და სასწაულითა მორწმუნეთათჳს.

ხოლო პილატე მიაწია ყოველი, რომელი უყვეს მჴსნელსა ჩუენსა, კეისრისა: ვითარმედ კაცი ვინმე ჯუარს-ეცუა იესუ, რომელსა ეწოდა ქრისტე. და დაეფლა და აღდგა მესამესა დღესა და სასწაულთა მრავალთა იქმან მოწაფენი მისნი შემდგომად მისა სახელითა მისითა. მაშინ, ვითარცა ესმა ესე ტიბერის კეი-

სარსა, განუკჳრდა და ჰრწმენა მას უფალი, და ენება მასვე ჟამსა შინა ბრძანებითა საკელმწიფოჲთა, რაჲთა ღმერთ სახელ-სდვას იესუს. და ამას დააყენეს ყოფად ერის-მთავართა მისთა, რამეთუ შეჰრაცხეს ჴსენებაჲ ჯუარისაჲ სიცოფედ, ხოლო კეისარმან დაიმარხა სიტყუაჲ ესე გულსა თჳსსა და ყოველნი, რომელნი შეასმენდეს ქრისტეანეთა, წარსაწყმედელსა მისცემდა მათ.

და ვითარცა ეუწყა კეისარსა, ვითარმედ ჰეროდეცა თანა-ზიარ ყოფილ არს სიკუდილსა უფლისასა და სიძჳსა თჳსისა უჯეროჲსა, რომელი იყო, და რამეთუ იყუნეს ფრიადნი შფოთნი და დრტჳნვანი ქუეყანასა ჰურიასტანისასა მოკლვისათჳს იოვანე ნათლის-მცემელისა, კაცისა მართლისა, რომელი ამხილებდა უკეთურებათა მისთა. ფრიად განრისხდა ამისთჳს კეისარი და ბრძანა წარყვანებაჲ მისი და მეძვისაჲ მის კრულთაჲ დიდითა შეურაცხებითა ჰრომედ. და განაშიშულა ჴელმწიფებისაგან მისისა და სირცხჳლეული განკიცხა ჰეროდიაჲთურთ, ცოლით მისით. და წარსცნა იგინი სპანიად და მუნ ბოროტად აღეს-რულნეს. ხოლო ქალი იგი ბოროტად მროკვალი დანთქა ქუეყ-ანამან პირველად და დედაჲ მისი იქედნ̃ ცოცხალი ჰხედვიდა მოსპოლვასა მისსა.

და მოკუდა ტიბერის კეისარი ოცდამესამესა წელსა მე-ფობისა მისისასა და დაიპყრა შემდგომად მისა მეფობაჲ გაიოს ოთხ წელს, ესე იყო კაცი უკეთური და ფრიად ამპარტავანი, ამან წარიყვანა პილატე იერუსალემით ჰრომედ შეურაცხებითა დიდითა და მრავლისა მისგან ჭირისა და იწროებისა იიძულა იგი მოკლვად თავისა თჳსისა გზასა ზედა.

ხოლო ჰურიანი მიიქცეს კუალად განდგომილებად და შფოთებად უძჳრ̃ს პირველისა, ფრიად მოისრნეს მრავალნი მათგანნი ჰრომთა მიერ. ხოლო კეისარმან მეფე-ყო ჰურიასტანს ზედა სხუაჲ ჰეროდე, ძ̃ არისტობულ̃სი, რომელსა ეწოდა აგრიპა, და მოსცნა მას ოთხნივე იგი სამთავრონი. ესეცა იყო კაცი უკეთური და მრავალსა ძჳრსა შეაჩუენებდა მოწაფეთა უფლისათა. და მოკლა იაკობ, ძმაჲ იოვანესი, მახჳლითა, ვი-თარცა წერილ არს მოციქულთასა (საქმე მოციქულთა 12, 1-2). და კუალად ჴელი მიყო, რაჲთა მოკლას პეტრეცა, თუმცა არა

განარინა იგი უფალმან დიდებისამან ჴელითა ანგელოზისაჲთა (საქმე მოციქულთა 12, 3-12). და არა დასცხრა ესე პირველ მოჴსენებით ჰეროდე უკეთურებისაგან, ვიდრემდის მიიღო მან შურის-გებაჲ საღმრთოჲ და იქმნა იგი მატლთა შესაჭმელ და მოკუდა ბოროტად.

მას ჟამსა იაკობ მართალი, რომელი წოდებულ იყო ძმად უფლისა, იქმნა პირველად ეპისკოპოს ბრძანებითა საღმრთოჲთა წმიდასა ეკლესიასა ზედა, რომელი იყო იერუსალემს. ხოლო ჰურიანი ყოვლადვე განძჭნდებოდეს მოწაფეთა ზედა უფლისათა და მრავალთა ბოროტთა უყოფდეს მათ, დაღაცათუ მრავალნი მათგანნი მოისრნეს ჰრომთაგან.

და კუალად სხუამან, აგრიპა, მოიღო მეფობაჲ ჰურიასტანსა ზედა, რომელი იყო დღეთა პავლე მოციქულისათა.

და ვითარცა მოკუდა გაიოს კეისარი, დაიპყრა მეფობაჲ მისი კლავდიოს ათოთხმეტ წელ. ამისთა დღეთა იყო სიყმილი სასტიკი ყოველსა ქუეყანასა, ვითარცა იტყჳს აგაბოს წინაჲსწარმეტყუელი (საქმე მოციქულთა 11, 28-29). მაშინ ჰურიანი კუალადცა განძჭნდეს და ზაკუვით მოჰკლვიდეს ურთიერთარს უბანთა ზედა. და ვითარცა ეუწყა ესე კეისარსა, აღიძრა იგი გულის-წყრომით მათ ზედა და უბრძანა მთავართა ჰურიასტანისათა, რაჲსა უწყალოდ იჴმეევდენ ჰურიათა და ამის გამო მრავალნი მათგანნი მოისრნეს და იავარ-იქმნნეს მონაგები მათი და შვილნიცა მათნი და იტალიაჲთ და ჰრომით მრავლითა შეურაცხებითა და გუემითა განისხნეს. და ესე ყოველი შეემთხჳა მათ კადნიერებისა მისთჳს, რომელი ქმნეს მჴსნელსა ჩუენსა ზედა.

და ვითარცა მოკუდა კლავდიოს, დაიპყრა შემდგომად მისი მეფობაჲ ნერონ ათოთხმეტ წელ, ესე იყო ფრიად უკეთური და ბოროტი მეფობასა შინა თჳსსა და მეძავი, რომელ ეგევითარი არავინ ყოფილ არს პირველ მისსა. ამან პირველად აღადგინა დევნულებაჲ ქრისტეანეთა ზედა და მოკლნა პეტრე და პაველე, მთავარნი მოციქულთა ღმრთისათანი, და მრავალნი შერაცხილნი და სხუანი მრავალნი ერის-მთავარნი წარწყმიდნა.

მაშინ პესტოს მთავარი, რომელსა ეპყრა სამთავროჲ ჰურიასტანისაჲ, მოკუდა, ხოლო ჰურიათა, ვითარცა იხილეს ჟამი

უჴელმწიფოებისაჲ, აღუგზნეს შფოთებად და განდგომილებად და მოკლეს იაკობ, ძმაჲ უფლისაჲ, იერუსალემს და სხუანი მოწაფეთაგანნი მრავალნი გუემითა განჴადნეს ქალაქით. და მოციქულნი ღმრთისამიერითა ბრძანებითა წარვიდეს წიაღ იორდანესა და მუნ იყოფოდეს მოწევნადისათჳს ბოროტისა, რომელი ყოფად იყო ქალაქსა მას ზედა იერუსალემსა, ვითარცა თქუა უფალმან.

მაშინ ყოველნი ჰურიანი განდგეს ბერძენთაგან და მეოტ იქნა აგრიპა ჰრომელ ჰურიათაგან. მას ჟამსა ნერონ კეისარმან, მძჴვარებითა დიდითა განრისხებულმან, მიუწერა მპყრობელსა აღმოსავალისასა სპასიანოსსა, რომელი იყო მათ ჟამთა, და ბრძანა, რაჲთა შეკრიბოს ყოველი ერი საბრძანებელისა მისისაჲ და მიიწიოს ქუეყანასა ჰურიასტანისასა და წარწყმიდნეს ყოველნი ჰურიანი.

და ვითარცა ესმა ესე მთავართა მათ ჰურიათა, შემოკრბეს ყოვლით კერძოვე იერუსალემდ, რამეთუ იყო ქალაქი იგი მოზღუდვილ სამითა ზღუდითა და გოდლითა მრავლითა მომტკიცებულ.

და ვითარცა მოიწია სპასიანოს ქუეყანად ჰურიასტანისა, მოაოჯრნა ყოველნი ქალაქნი შუენიერნი და მოწუნა ცეცხლითა. და კუალად მოიწია იერუსალემდ და მოიცვა იგი ძლიერად ჟამთა წელიწადისათა. და მრავალნი ღონისძიებანი ყვნა და ვერ შეუძლო დაპყრობად მისა, რამეთუ მტკიცედ შეზღუდვილ იყო იგი. არამედ მრავალგზის გამო-ცა-ეტევნიან ჰურიანი ქალაქით და მყისსა შინა მრავალნი პრომთაგანნი მოსწყჳდნიან და კუალად-იქციან.

მაშინ შთავიდა სპასიანოს კესარიად, რაჲთა უმრავლჱსი ბანაკი შემოკრიბოს. და ვიდრე იგი ამას შინა იყო, მოკუდა ნერონ კეისარი ჰრომისაჲ და დაიპყრა ზოგი სამეუფოჲსა მისისაჲ გალბოს შჳდ თთუე. და ესეცა მოიკლა და კუალად დაიპყრა ზოგი სამეუფოჲსაჲ ათონ სამ თთუედ და მოკუდა.

და შემდგომად მისა დაიპყრა მეფობაჲ ბატოლოს სამ თთუე. და იყო ჟამი განდგომილებისაჲ და ფრიად საურავსა შინა იყუნეს ყოველნი კაცნი ამის გამო, და აღდგეს ბერძენთა ზედა ბარბაროსნი და მოსრვიდეს მათ, ხოლო გუნდი იგი რომელი იყო

აღმოსავალით, შეიპყრეს სპასიანოს და ყვეს იგი მეფე თჳნიერ ნებისა მისისა და ეზიარნეს მას ყოველნი მთავარნი აღმოსავალისანი.

და ვითარცა იქმნა იგი კეისარ ჰრომთა ზედა და ვნება მას წარსლვაჲ მუნ, იყო ჟამი ზამთრისაჲ. მაშინ კელმწიფე-ყვნა ორნი ძენი თჳსნი: ტიტოს და დუმენტიანოს. და ტიტოს დაუტევა იერუსალემსა ზედა გარეშე მცველად, ხოლო დუმენტიანოს წარავლინა დიდძალითა ერითა ბარბაროსთა ზედა და იგი წარემართა ჰრომედ. და ვითარცა მიეახლა მუნ, გუნდმან, რომელი იყო ჰრომეს შინა, შეიპყრეს წინამძღუარი მათი ანტარციან და მოკლეს და თავი მისი მრავლითა სიხარულითა და ძნობითა მიაგებეს მეფესა სპასიანოსსა.

და ვითარცა დაჯდა იგი საყდართა ზედა, მოსრნა ყოველნი შფოთის მეძიებელნი და წარემართა მეფობაჲ მისი მრავლითა დაწყნარებულებითა ჰრომეს შინა.

ხოლო დუმენტიანოსცა სძლო და მოსრნა ყოველნი ბარბაროსნი, რომელნი აღდგომილ იყვნეს მათ ზედა.

და ვითარცა მოიცვა იერუსალემი ტიტოს, დაადგრა ორისა წლისა ჟამთა, მას შინა მყოფნი მისნი დადნეს სიყმილითა და შეჭამნეს შვილნი მათნი იწროებისაგან. მაშინ განაღო იერუსალემი და მოსრა ყოველი სული, რომელი იპოვა მას შინა და წარტყუენა ყოველი ტაძრითურთ და მოწუა იგი ცეცხლითა. მაშინ აღესრულა თქუმული უფლისაჲ, ვითარმედ: არა დაშთეს ქვაჲ ქვასა ზედა, ვიდრემდის არა ყოველივე დაირღუეს (მათე 24, 2). და რომელნი მოისრნეს მას შინა, აღიწერა კაცთა ვიეთგანმე. და იპოვა რიცხჳ მათი სამას ბევრ.

და შემდგომად მოოკრებისა ქალაქისა მოიწივნეს კუალად მორწმუნენი სიონდ და ყვეს იერუსალემსა ზედა ეპისკოპოს სჳმეონ, ძჱ კლეოპაჲსი, რომელი მოაკსენა სახარებამან, ვითარმედ: იხილა ღმერთი და ესმა მისგან, და იყო იგი ნათესაჲ უფლისა (იოანე 19, 25). რამეთუ იყო კლეოპა, ძმაჲ იოსებისი, რომელ ითქუა მადლით მამად უფლისა, მაშინ განსრულდა ორმეოცი წელი ვნებითგან მჴსნელისა ჩუენისაჲთა, ვიდრე იერუსალემისა ტყუენვადმდე.

და განაგო მეფობაჲ მისი სპასიანოს ათ წელ და მოკუდა. და შემდგომად მისა დაიპყრა მეფობაჲ მისი ძემან მისმან ტიტოს სამ წელ და მოკუდა. და დაიპყრა მეფობაჲ მისი ძმამან მისმან დუმენტიანოს და აღადგინა ჰურიათა ზედა ფრიადი დევნულებაჲ. და ეძიებდა ყოველსა ტომსა სამეუფოსა. და ეუწყა უფლისათჳს, ვითარმედ დავითის ნათესავისაგან არს და ფრიად დიდებულ ტომითა, რომელნი არიან ქრისტეანე, მოუწოდე და მათ გაუწყონ შენ, ვითარმედ ესე იესუ ქრისტე მეუფე საუკუნე არს და ჯერ-არს მისა, რაჲთა დაჴსნნეს ყოველნი მეუფებანი, რომელნი არიან ცასა ქუეშე და იგი მხოლოჲ მეუფებდეს.

მაშინ განრისხნა დუმენტიანოს ამისთჳს და ბრძანა, რაჲთა არა ცხოვნდენ ქრისტეანენი. და წარავლინნა იერუსალემდ და წარიყვანნა, რომელნი იყვნეს შვილთაგანნი იუდაჲსნი, ძმისა უფლისანი, კრულნი ჰრომედ და ჰკითხა მათ ქრისტჱსთჳს და მეუფებისა მისისათჳს, ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს მას, ვითარმედ: მეუფებაჲ მისი არა ქუეყანისაჲ არს, არამედ ზეცისაჲ. და მომავალ არს. იგი უკუანაჲსკნელთა დღეთა დიდებითა თჳსითა განშჯად ცხოველთა და მკუდართა და მიგებად კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ.

და ვითარცა ესმა ესე კეისარსა, აღივსო იგი შიშითა და განუტევნა იგინი და დასცხრა დევნისაგან ქრისტეანეთაჲსა. და მოკუდა დუმენტიანოს მეათხუთმეტესა წელსა მეფობისა მისისასა.

და დაიპყრა მეფობაჲ მისი ნერონ ერთ წელ და მოკუდა ესეცა, და დაიპყრა მეფობაჲ მისი ტრაჲანოს ოც წელ. ამან აღადგინა ქრისტეანეთა ზედა დევნულებაჲ დიდი და მრავალნი მოწამენი მოწყჳდნა, ვიდრემდე მთავარნი წარმართთანი მოუძლურდეს მოწყუედისაგან მოწამეთაჲსა და აუწყეს მეფესა აზნაურებაჲ და სიმტკიცჱ ქრისტეანეთაჲ. და ვითარმედ ყოველსავე იქმან შჯულითა, რომელი ჯერ-არს თჳნიერ ამისსა, რომელსა იტყჳან, ვითარმედ: ქრისტე ღმერთი არს და ვითარცა ესმა ესე მეფესა, დააცხრო დევნულებაჲ იგი ქრისტეანეთაჲ.

იწამნეს ამის ზე ჰრომს ეგნატი მთავარეპისკოპოსი ანტიოქიისაჲ და სჳმეონ, ძჱ კლეოპაჲსი, ეპისკოპოსი იერუსალემელი

ჯუარ-ეცუა ას ოცისა წლისაჲ ათიკოს მთავრისა ზე.

მას ჟამსა კუალადცა აღბორგნეს ჰურიანი ჩუელებისაებრ და იკადრეს მეფისა დადგინებაჲ მათ ზედა. და ვითარცა მიიწია ამბავი ესე ჰრომელ, განრისხნეს ფრიად ჰრომაელნი და წარავლინნეს მრავალნი მთავარნი, ძენი ძლიერებისანი და მიიწივნეს ჰურიასტანად და შეიპყრეს მეფჱ იგი, რომელი დაედგინა ჰურიათა და მოკლეს. და იგინი განიბნივნეს ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა და მოსრნეს ერისა მათისაგან ურიცხუნი სულნი.

და ვითარცა მოკუდა ტრაჲანოს, დაიპყრა მეფობაჲ მისი ედერიანოს ოცდაერთ წელ. ესე განრღუეულ იქმნა გუამითა და იქცეოდა ყოველსა ქუეყანასა და ეძიებდა შემწჱსა სენისა მისთჳს. და ვითარცა მიიწია იერუსალემდ, იხილა იგი მოოკრებული, ვითარცა კალოჲ, რამეთუ ეკლესიაჲ ხოლო ქრისტეანეთაჲ დგა მარტოჲ შორის იერუსალემსა მოოკრებულსა. მაშინ ბრძანა აღშენებაჲ ქალაქისაჲ მის თჳნიერ ხოლო ტაძრისა. და ვითარცა ესმა ჰურიათა აღშენებაჲ იერუსალემისაჲ, მოიწინეს და შემოკრბეს ყოვლით კერძოვე და მცირედთა ჟამთა შეკრბა ერი მრავალი დამკჳდრებად იერუსალემს. არამედ კუალადცა ეშმაკმან, რომელი მარადის მკჳდრ არს მათ შორის, აღაზრზინნა იგინი და არა უტევნა დაწყნარებად, არამედ განდგომილ იქმნნეს ჰრომთაგან არღარა დამორჩილებად მათა და დაადგინეს მათ ზედა მთავრად კაცი ვინმე, რომელსა ეწოდა ბარტოშიბას.

და ვითარცა ეუწყა ესე კეისარსა, წარმოავლინა ერის-მთავარი ძლიერითა ერითა და მოიცვა ქალაქი იერუსალემი მრავალ ჟამ, ვიდრემდის განიხრწნეს მკჳდრნი მისნი სიყმილითა და წყურვილითა სასტიკად. და ესე იყო უკუანაჲსკნელი მოოკრებაჲ ჰურიასტანისაჲ და მოსრვაჲ ყოველთა ჰურიათაჲ. რამეთუ განაღეს ქალაქი ჰრომთა და მოაოკრეს იგი უძჯრჱს პირველისა და ბრძანეს წარმართთა დამკჳდრებაჲ მას შინა. და დაწერეს შჯული ბრძანებისაჲ, ვითარმედ არღარა შესძინონ ჰურიათა მერმე ხილვად თუალითა მათითა ქუეყანაჲ მამული მათი.

ხოლო მკჳდრნი იგი იერუსალემისანი, ვინაჲთგან იყვნეს უცხოთესლ, აღუქმნეს მეფესა სუეტი შორის ტაძარსა კართა თანა შუენიერთა და აღჴოცეს სახელი ქალაქისაჲ და სახელსდვეს მას სახელ მეფისა ელიას.

ხოლო წმიდაჲ ეკლესიაჲ, რომელ იყო იერუსალემს, უწინარეს ჟამთა მათ ჰურიათა მიერ, რომელთა ნათელ-ეღო, აღშენებულ იყო იგი და არა შეიწყნარებდეს ეპისკოპოსსა წინადაუცუეთელსა. ხოლო წინაჲსწარმეტყუელთა მათთა რიცხჳ, შემინდვეთ, წმიდანო მამანო, არა უწყი, რამეთუ ვერ მივსწუედ ძიებასა მათსა. არამედ სახელები მათი ესე არს: პირველ იაკობ — ძმაჲ უფლისაჲ და სჳმეონ — ძჱ კლეოპაჲსი, იოსტოს და ზაქე, ტობია და ბენიამენ, იოვანე და მახათია, ფილიპე და სენაკა, იოსტოს და ლევი, ეფრემ და იოსეფ და იუდა. ესე ყოველნი იყვნეს წინა-დაცუეთილ, რიცხჳთ ათხუთმეტნი.

რიცხჳ წელთაჲ ტყუენჳთგან იერუსალემისაჲთ ვიდრე უკუანაჲსკნელად მოცვამდე მისა და განსხმად ჰურიათა — ორმეოცდაათ წელ.

ხოლო წმიდაჲ ეკლესიაჲ შემდგომად, რომელი იყო ელიას, წარმართთა მიერ აღეშენა, რომელთა ნათელ-ეღო.

პირველი ეპისკოპოსი, რომელი დაჯდა იერუსალემს წარმართთაგანი — სახელით მარკოზ, კაცი წმიდაჲ და უბიწოჲ და სათნოჲ ღმრთისაჲ ყოველსა შინა.

და ეუწყა ქრისტეანეთა ბრძანებითა ღმრთისაჲთა ადგილი იგი გოლგოთისაჲ დაფარული და გამოუჩინებელი, რომელი ჰურიათა დაფარეს. და მოვიდეს ყოვლადვე და თაყუანის-სცემდეს ადგილსა მას ყოველსა ჟამსა. და ვითარცა იხილეს ესე კერპთმსახურთა მათ, რამეთუ ქრისტეანენი ილოცვენ მას ადგილსა, შთაუგდო ეშმაკმან გულსა მათსა და აღაშენეს ადგილსა მას ტაძარი შეგინებულისა ეშმაკისა — კერპისა აფროდიტჱსი და დააყენნეს ქრისტეანენი მერმე მისლვად ადგილსა მას. და ამისა შემდგომად დავიწყებულ იქმნა ადგილი იგი ყოველთაგან ქრისტეანეთა.

და ვითარცა მოკუდა ელიას ედერიანოს, დაიპყრა მეფობაჲ მისი ანტონინოს ევსებიოს მორწმუნემან ოცდაორ წელ.

და ამისა შემდგომად მეფე იქმნა მარკოზ ავრილიანოს, რომელ არს ანტონინოსის ძჱ, ლუკიოსითურთ, ძმით მისით — ათცხრამეტ წელ. და აღადგინა დევნულებაჲ ქრისტეანეთა ზედა და მრავალნი მოწამენი მოწყჳდნეს ქრისტესთჳს. და იყვნეს

სასწაულნი დიდ-დიდნი, ვიდრემდის მარკოზს კეისარსა ყოვლითურთ ერით მისით მოაკლდა წყალ. და ვითარცა მიეახლნეს წარწყმედად, ლოცვითა ქრისტეანეთაჲთა ცხოვნდეს, რამეთუ მოსცა მათ ღმერთმან წჯმაჲ ურწყულთა ადგილთა.

და ვითარცა მოკუდა ავრილიანოს, დაიპყრა მეფობაჲ მისი კომდოს ათორმეტ წელ, ამისსა შემდგომად მეფე იქმნა პერტინავს ექუს თთუე. და მისა შემდგომად დაიპყრა მეფობაჲ სეველოს ათრვამეტ წელ და ამანცა კუალად აღადგინა დევნულებაჲ დიდი ქრისტეანეთა ზედა. და მრავალნი მოწამენი მრავალთა ადგილთა იწამნეს.

და ვითარცა მოკუდა სეველოს, დაიპყრა მეფობაჲ ანტონინოს შჳდ წელ და შემდგომად მისა მეფე იქმნა მაკარინოს ერთ წელ, და მისა შემდგომად მეფე იქმნა ალექსანდროს ათცხრამეტ წელ.

ხოლო ეპისკოპოსნი, რომელნი დასხდეს იერუსალემს, ავრილიანოსითგან ვიდრე ალექსანდროს მეფობადმდე სახელები მათი ესე არს: მარკოზ, კასიანოს, პოპლიოს, მაქსიმოს, ივლიანოს, აიოს, კუმაქუს, გაიანოს, ივლიანოს, კაპიტონ, ვალოს, დოლქიანოს, ნარკიოს. ესე ნარკიოს ბრწყინვიდა ნიჭითა მოციქულთაჲთა ღმრთისა მიერ და აღირძია დაყუდებაჲ და დაუტევა ეპისკოპოსებაჲ თჳსი და წარვიდა ადგილსა უცნაურსა. და მრავალგზის იძია იგი ერისა მიერ და მღდელთ-მოძღუართაგან. და ვითარ არა პოვეს, ეპისკოპოს. ყვეს მისსა შემდგომად გერმანა და შემდგომად მისა — გორდიოს.

მაშინ დღეთა გორდიოსისთა ვითარცა დაფარულისაგან გამოჩნდა ნარკიოს ეპისკოპოსი ელიაჲსაჲ და იყოფოდა იგი გორდიოსის თანა მეორედ, ფრიად მოხუცებულ იყო იგი. და იყო იგი მეოცდაათჱ ეპისკოპოსი იერუსალემს შემდგომად მჴსნელისა ჩუენისა.

და ვითარცა აღესრულა გორდიოს ეპისკოპოსი, ნარკიოს მოხუცებულ იყო ფრიად, რამეთუ იყო იგი ას და ათექუსმეტის წლისა. მაშინ მოსრულ იყო ეპისკოპოსი ვინმე, სახელით ალექსანდროს, ლოცვად წმიდათა ადგილთა. და შეიპყრეს იგი მყოფთა იერუსალემისათა ბრძანებითა საღმრთოჲთა და მრავლითა იძულებითა და მოხუცებულისა მის ვედრებითა დასუეს იგი

ეპისკოპოსად იერუსალემსა ზედა. და ესე უკუანაჲსკნელ წამებითა სრულ იქმნა.

მას ჟამსა იყო დიდი მშჳდობაჲ ეკლესიათა ზედა ღმრთისათა, ხოლო დედაჲ მეფისაჲ დამეა ფრიად მორწმუნე იყო ღმრთისა და მცველ ეკლესიათა.

და ვითარცა აღესრულა მეფობაჲ ალექსანდრჱსი, დაიპყრა მეფობაჲ მისი მაქსიმიანოს სამ წელ, ამან ფრიადნი ძჯრნი შეამთხჳნა სახლსა ალექსანდრჱსსა, რამეთუ იყვნეს იგინი ღმრთისმსახურ და აღადგინა დევნულებაჲ ქრისტეანეთა ზედა და ბრძანა მოწყუედაჲ ყოველთა ქრისტეანეთაჲ, მღდელთ-მოძღუართაჲ და იტყოდა, ვითარმედ: ესენი არიან მიზეზნი გმობისა და საცთურისა მათისანი.

და ვითარცა მოკუდა იგი, მოიღო მეფობაჲ ჰრომთაჲ პომპინიოს და ბალბინოს ამ თთუე. და მისა შემდგომად მეფე იქმნა გორდინოს ექუს წელ. და მისსა შემდგომად ფილიპე შჳდ წელ. ამას ყოვლითა გულითა მისითა ჭეშმარიტებით ჰრწმენა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, არამედ ეშმაკისა მსახურმან დეკიოს მოკლა იგი და დაიპყრა მან მეფობაჲ ორ წელ.

ამისთა დღეთა აღდგა დევნულებაჲ დიდი ეკლესიათა ზედა და მრავალთა ადგილთა იწამნეს მოწამენი მრავალნი, რომელთა რიცხჳ მათი ვერ მისაწდომელ არს. ესე დაიკლა ვიეთგანმე ძითურთ თჳსით და მისა შემდგომად მეფე იქმნეს გალოს და ბულინოს სამ წელ.

. და შემდგომად მათსა მეფობდეს ვალერიანოს და გალინოს ათხუთმეტ წელ. ამან აღადგინა ბრძოლაჲ ქრისტეანეთა ზედა სასტიკად და მრავალნი მოსწყჳდნა და იგი წარიტყუენა ბარბაროსთაგან. და ძემან მისმან დააცხრო დევნულებაჲ ქრისტეანეთაჲ, და ვითარცა იწამა ალექსანდროს, იერუსალემს დაჯდა საყდარსა მისსა ეპისკოპოსად მაქსიმოს და მისა შემდგომად — ლივმენიოს.

და შემდგომად ვალერიანოს მეფისა მეფობდა კლავდიოს ორ წელ და მისა შემდგომად — ავრილიანოს ექუს წელ. და ვითარცა ესე მოკუდა, მიითუალა მეფობაჲ კარონ ძითურთ, რომელთა ეწოდა კარინოს და ნუმერიანოს, ორ წელ.

და მათსა შემდგომად დაიპყრა მეფობაჲ დიოკლიტიანოს და მაქსიმიანოს. ოცდაცხრა წელ ამათთა ჟამთა იყო ფრიადი დევნულებაჲ ქრისტეანეთა ზედა გრძელი და მძიმჱ. და დღეთა მათთა იწამნეს ბევრეულნი და ურიცხუნი მოწამენი, რომელთა რიცხჳ არავინ უწყის, გარნა მხოლომან ღმერთმან, დამბადებელმან მათმან.

და ვითარცა აღესრულა ლიემენიოს, ეპისკოპოსი ელიაჲსაჲ, ეპისკოპოს იქმნა ზაბდან. და ვითარცა იგი აღესრულა, დაიპყრა საყდარი იერუსალემისაჲ ერმონ.

ხოლო მოყუასნი დიოკლიტიანოსისნი და მაქსიმიანოსისნი, რომელთა ეწოდა ერკულონ, შემდგომად ბევრეულთა წმიდათა მოსრვისა განძღეს მრავლითა უკეთურებითა და უგუნურებითა. რეცა მიზეზითა ღმრთის-მსახურებისაჲთა შეთქმულებით დაუტეეს კელმწიფებაჲ და მეფობაჲ მათი და იქმნეს ვითარცა ყოველნი კაცნი მდაბალ და იქცეოდეს სხუათა მსგავსად.

ხოლო მაქსიმიანოს, რომელსა ეწოდა ღალერიანოს, და მაქსენტიოს, ძემან არკულიოსისმან, დაიპყრეს მეფობაჲ ჰრომთაჲ ცხრა წელ და მაქსიმიანოს იყო ნაწილსა ზედა აღმოსავალისასა, ხოლო მაქსენტიოს იყო ჰრომეს შინა და ძლიერად განეგო მეფობაჲ თჳსი. ესე იყვნეს ვითარცა მჴეცნი უდაბნოჲსანი ყოველსა უკეთურებასა აღწურთილი და უფროჲს ხოლო ქრისტეანეთა ზედა აღბორგებულ იყვნეს.

და მათ თანავე მეფე იყო ქუეყანასა ზარტანიას დიდი კოსტა, მამაჲ დიდებულისა კოსტანტინე მეფისაჲ და ესე იყო კაცი მდაბალ და ყუდროჲ ყოველსა შინა და იყო იგი კეთილითა სათნოებითა შემკულ და სძაგდეს მას კერპნი და ფრიად შეიწყნარებდა ქრისტეანეთა. ხოლო კოსტანტინე ჟამსა მას ყრმაღა იყო და იზარდებოდა იგი მთავართა თანა აღმოსავალისათა და ისწავლიდა იგი სიბრძნესა წარმართთასა. და ამის მიზეზისათჳს მოწევნულ იყო იგი ფილისტიმედ. და ჰხედვიდა რაჲ იგი უწყალოდ გუემასა მას ქრისტეს მონათასა, ფრიად მწუხარე იყო მას ზედა, რამეთუ სძულდა მას ბოროტი სიყრმითგან თჳსით.

ხოლო დიოკლიტიანოს იყო დალმატიოსს და ეწია მას რისხვაჲ მაკუდინებელი ღმრთისა მიერ და წყლით-მაკე იქმნა და გან-

სიენა და განსთქდა. და ენაჲ მისი მგმობარი მოჰლპა პირსა შინა მისსა, და აღივსო იგი მატლითა და ესრჱთ წარჰკდეს სული და მოკუდა.

ხოლო ორკჳლიოს მაქსიმიანოს ტარსუნს კილიკიაჲსასა მოკუდა, ხოლო ღალერიოს მაქსიმიანოს თჳნიერ შიშისა ღმრთისა ურცხჳნოდ და უკეთურებით განაგებდა სამეუფოსა თჳსსა. და აღზრზენილ იყო ლირწად დედათა ზედა განრყუნად მათა. და იყო სამეუფოჲ მისი მის მიერ ღუაწლსა შინა მიუთხრობელსა, რამეთუ მალვიდეს ცოლთა და ასულთა მათთა მისგან. და ამას ესევითარსა უშჯულოებასა შინა განფრდილ იყო ეშმაკისაგან, ვიდრემდის საზრდელსაცა არა მიიღებდა თჳნიერ გრძნეულთა და მისანთა კითხვისა. ხოლო ქრისტჱანეთაჲ ბრძანა მრავლითა სატანჯველითა წარწყმედაჲ, არა ხოლო თუ მეფობისა მისისა შჯულისა შემატებისათჳს, არამედ რაჲთა მიიტაცნეს მონაგებნიცა მათნი. მაშინ ვითარცა იხილა მან ყრმაჲ კოსტანტინე აღზრდილად და მიწჳევნულად ჰასაკსა მამაკაცობისასა და სიბრძნითა გონიერად, განგებულად შუენიერებითა, და კუალად, რამეთუ აუწყესცა მისთჳს გრძნეულთა და მისანთა, ვითარმედ ამან კოსტანტინე დაჰჴსნეს მეფობაჲ მისი, მაშინ დაიდვა გონებასა, რაჲთა მოკლას იგი ზაკუვით. ხოლო მან ღმრთისა მოღუაწებითა ცნა ზაკუვაჲ მისი და მეოტ იქმნა იგი, ვითარცა დავით, და განერა ჴელთაგან მისთა.

ხოლო მეფჱ ესე იქცეოდა უკეთურებით ბოროტთა შინა ურიცხუთა და უფროჲს ქრისტჱანეთა ზედა აღბორგებულ იყო, არამედ ეწია მას საღმრთოჲ შურის-გებაჲ და მიეტევა მას ზედა კუერთხი სწავლისაჲ, რამეთუ აღმოჴდა ასოსა მას ბოროტად მსიძავსა სოკოჲ ფრიად მედგარი, რომელი უზეშთაეს იპოვა ყოველთა ბრძენთა და მკურნალთა ჴელოვნებასა. და გამოვიდოდა მისგან წუთხი და საძაგელებაჲ და სიმყრალჱ გარდარეული და ფრიადითა მატლითა დულდა იგი. და ესე უბადრუკი იყო ჴორცეან გუამითა. და მიიწია იგი განწირულებად. და შიშუელი მდებარე იყო იგი ფიცხელთა მათგან სალმობათა განსაქიქებელად მისა ყოველთა მიერ, რომელნი ჰხედვიდეს მას.

მას ჟამსა შინა მოუჴდა მას გულის-სიტყუაჲ ესე და თქუა:

ნეტარ, ნუთუ განსაცდელი ესე ქრისტეანთა უმშჯავროდ მოსრვისათჳს შემემთხჳა მე ღმრთისა მიერ? მას ჟამსა განსცა ბრძანებაჲ ყოველსა სამეუფოსა მისსა, რაჲთა განეტევნენ ყოველნი ქრისტეანენი და აცადონ ნებისა მათისაებრ აღსრულებად წესთა მათთა და ევედრნენ მათ, რაჲთა ულოცონ მეფესა.

და ვითარცა იყო ესე, მუნქუესვე ეწია მას სახიერებაჲ ღმრთისაჲ. და რომელი-იგი მიწევნულ იყო უკუანაჲსკნელსა სულთა აღმოსლვასა, მოიქცა და განცოცხლდა. და იქმნა იგი განმრთელებულ სოკოჲსა მისგან საშინელისა მყის ლოცვითა ქრისტეანეთაჲთა.

ხოლო სრულიად არღა განკურნებულ იყო ნაბრძჳლი იგი წყლულისაჲ მის და კუალად აღიძრა ეშმაკისა მიერ და იქმნა იგი უბოროტჱს პირველისა უკეთურებასა შინა თჳსსა. და დაწერა შჯული და დადვა ბრძანებაჲ სავსჱ უკეთურებითა და უშჯულოებითა და ბრძანა, რაჲთა არღარა ცხონდენ ქრისტეანენი და არცაღა მკჳდრ იქნენ სამკჳდრებელსა მათსა და არცა უდაბნოსა. და ვითარმედ ვერცა შესაძლებელ არს მშჳდობით და ყუდროებით ცხორებაჲ მათი, ვიდრემდის არა აღიჴოცოს ნათესავი ქრისტეანეთაჲ. მაშინ კაცთაგან განწირულ იქმნა ცხორებაჲ ქრისტეანეთაჲ.

ხოლო ღმერთმან არა ოდეს დაივიწყნის მონანი თჳსნი, რამეთუ მიისჴმოდეს ყოველნი ქრისტეანენი ყოვლით კრებულითურთ, ვითარცა ცხოვარნი მოსიკუდიდ, არამედ კუალადცა შურის-გებაჲ საღმრთოჲ ეწია და ბრძანებული იგი ულმრთოჲსაჲ მყის განირღუა, რამეთუ ყოვლით ქუეყანით მსწრაფლ მბრძოლნი მოიწივნეს მის ზედა და კუალად სიყმილი სასტიკი და იწროებაჲ და ხორშაკი მაკუდინებელი და სიკუდილი უჟამოჲ. ესე ყოველი მოიწია მათ ზედა, ვიდრემდის ვერ კმა-ეყვნეს ცოცხალნი დამფლველად მკუდართა მათთა და მოუჴდა მათ მეხის-ტეხაჲ საშინელი, ვიდრემდის ყოველი კაცი თავის ოდენ საურავსა მიიქცა. და ესრჱთ დაშთა ბრძანებაჲ მეფისაჲ თჳნიერ საქმისა.

ხოლო ყრმაჲ კოსტანტინე დიდებული მშჳდობით მიიწია მამისა თჳსისა. და ვითარცა იხილა იგი მამამან მისმან მშჳდობით, ფრიად ჰმადლობდა იგი ღმერთსა. და არა მრავლისა ჟამისა

შემდგომად მიუთუალა მას მეფობაჲ და იგი გარდაიცვალა. და სახელ-ედვა მას კოსტანტინე დიდებული მეფჱ პირველსა წელსა ულუმპიასა ორას სამეოცდაათერთმეტესა, თთუესა ივლისსა ოცდახუთსა.

ხოლო მაქსენტიოს იყო უძჯრჱს და უბოროტჱს ყოველთა მკჳდრთა ჰრომისათა, რომელნი გარდასულ იყვნეს და შეჰმუსრვიდა მათ ყოველთა და უფროჲს ხოლო — ქრისტჳანეთა. და მრავალნი შერაცხულნი მოწყჳდნა და კუალად მრავალნი ექსორია ქმნნა და იავარ-ყო ყოველი მონაგები მათი. და ამან ისწავა და ჰბაძვიდა უკეთურებასა და მეძვობასა ღალარიოსისსა. და მრავალნი დედანი აზნაურნი შეაგინნა მძლავრობით და სხუაჲ საქმჱ ბოროტი ბილწი და შეგინებული, რომელი არა ჯერ-არს მოჳსენებად, რომელსა იგი იქმოდა და იმსახურებდა გრძნეულთა და მრავალთა საქმეთა სიბილწისათა მოუგონებელთა.

მაშინ კოსტანტინე დიდებულმან დაიმორჩილნა წარმართნი დასავალისანი და ჩრდილოჲსანი, ვიდრე ზღუადმდე უკიანედ. და იყო მშჳდობაჲ დიდი და სიხარული მიუთხრობელი და დაწყნარებულებაჲ ყოველთა მკჳდართა სამეუფოჲსა მისისათა.

მაშინ მოუვლინეს მოციქული ყოველთა მთავართა, მკჳდრთა ჰრომისათა, და მოწერეს ვედრებით, რაჲთა არა უგულებელს-ყოს ქალაქი მათი, რომელ არს წარწყმედასა შინა ჴელმწიფებითა მათ ზედა მეფისა მის უკეთურისა, მჴეცისა მძჳნვარისაჲთა, რომელი უწყალოდ შეჰმუსრავს გუამსა ყოველთა კაცთასა. მაშინ ვითარცა ესმა ესე კოსტანტინეს დიდებულსა და შეელმო მათთჳს და ზრუნვიდა მოწყალებით, რაჲთა განარინნეს იგინი მონებისა მისგან წარმწყმედელისა და ეშინოდა მისგან და გრძნებათა მისთაგან, რამეთუ დაეკლნეს ყრმანი მრავალნი მიზეზითა გრძნებისაჲთა, რომელი არა ჯერ-არს ჴსენებად. და ამისთჳს იყო ფრიადსა ზრუნვასა დიდებული მეფჱ და მრავალსახესა განზრახვასა.

მაშინ გამოუჩნდა მას ველსა ზედა შორის გუნდსა თჳსსა შუვასამხრის სუეტი ნათლისაჲ ჯუარის სახედ შექმნული და იყო მას ზედა წერილი, ვითარმედ: ამით ნიშითა სძლო მტერთა შენთა.

მაშინ შეძრწუნდა მეფჱ ხილვისა მისგან და ჰკითხა ერის-მთავართა მათ, რომელნი იყვნეს მის თანა, უკუეთუ მათცა იხილეს ჩუენებაჲ იგი. ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს, ვითარმედ: ჩუენცა ვიხილეთ, მაშინ ნუგეშინის-ცემულ იქმნა მეფჱ და მოიღო უმეტჱსი მოწრაფებაჲ და კადნიერებაჲ.

ხოლო მას ღამესა დაადგა მას ღმერთი ჩუენებით და ჰრქუა: მიიღე სასწაული, რომელი გეჩუენა შენ, და მით მძლე ექმნე შენ ყოველთა მტერთა შენთა.

და ვითარცა განთენა, გამოქმნა ჯელითა თჳსითა ჯუარი ძელისაჲ, რომელი-იგი არს ვიდრე დღენდელად დღემდე დამარხულ სამეუფოსა შინა და უბრძანა წინა-წარძღუანეაჲ მისი წინაშე ღუაწლსა ბრძოლისასა.

ხოლო უშჯულოჲ იგი მეფჱ მაქსენტიოს მინდობილ იყო ეშმაკთა თჳსთა. და აღაშჱნა ჯიდი მრავალთა ნავთა ზედა მდინარესა მას ზედა, რომელი იყო შორის მათსა. ოდეს-იგი მიიწია მეფჱ კოსტანტინე წყობად მისა და წიაღ-მოჴდა ერითა თჳსითა შემთხუევად დიდებულისა მეფისა, და ვითარცა განეწყვნეს ბრძოლად, იძლინეს წინაშე ჯუარისა ცხოველისა ყოველნი წინა-აღმდგომნი მათნი და მოისრა უფროჲსი ერისა მათისაჲ და სხუანი მეოტ იქმნნეს მეფითურთ მათით ქალაქად.

მაშინ ვითარცა აღივსო ჯიდი და გუნდითა მით და მძლავრი იგი მათ თანა, მყის განირღუა ღონისძიებით ნაქმარი იგი მათი და ყოველნი იგი დაინთქნეს წყალთა მათ შინა, ვითარცა ოდესმე ფარაო და ეტლები მათი. და არა დაშთა მათგანი არცა ერთი. მაშინ იხილვებოდა წყალი იგი სავსჱ მჴედრებითა საჴედრებითურთ და იშთვებოდეს. ხოლო მკჳდრთა ჰრომისათა შეამკვეს ქალაქი მათი და მოეგებნეს კოსტანტინე დიდებულსა მეფესა მრავლითა სიხარულითა და ძნობითა. და შეასხმიდეს ჯუარსა ძლევის-მომცემელსა და მეფესა ძლევაშემოსილსა და სახელსდვეს მას მაცხოვრად მათა.

მაშინ ბრძანა მეფემან შეკრებაჲ ყოველთა ძუალთა წმიდათა მოწამეთაჲ და დაკრძალვაჲ მათი აღგილსა წმიდასა. და რომელნი ექსორია-ეყვნეს უშჯულოთა მათ, ბრძანა უკუმოქცევაჲ მათი და, რომელთა მონაგები იავარ-ქმნულ იყო, მრჩობ-

ლისა მიცემაჲ მათა. და ყველს დღესასწაული ძლევისაჲ შჯდ დღე და ადიდებდეს ჯუარსა ქრისტჱსსა. ესე იყო მეშჯდესა წელსა მეფობასა კოსტანტინე დიდებულისასა.

და ვითარცა ესმა ესე ღალერიოსსა მაქსიმიანოისისა, დაჰჯსნდა და მოუძლურდა და შეეშინა სიკუდილისაგან, ვითარცა მაქსენტიოს მოიკლა, და მცირედ დააცადა დევნაჲ ქრისტეანეთაჲ.

ხოლო კოსტანტინე დიდებული მინდობილი საჭურველსა უძლეველსა — ნიშსა ჯუარისასა, მიუჴდა ბრძოლად ღალერიოსს უშჯულოსა. და იყო მას ჟამსა ლიკინიოს მთავარი და შემწე ეყო ერითა თჳსითა მეფესა კოსტანტინეს და ჰბრძოდა მის თანა და ფრიად განიხარა ქრისტეანეთა აღმატებისათჳს.

ხოლო მეფჱ იგი უშჯულოჲ მინდობილ იყო მისანთა და გრძნეულთა საცთურისათა. და განვიდა შემთხუევად მეფისა მორწმუნისა ერითა ურიცხჳთა და მჴედრებითა და ეტლებითა ძლიერითა გულს-მოდგინედ. და ვითარცა განეწყვნეს ბრძოლად, მაშინ გამოჩნდა ჯუარი პატიოსანი. ხოლო წინა-აღმდგომთა მეფისა მორწმუნისათა ვერ დაუთმეს ღუაწლსა ბრძოლისასა და მეოტნი კუალად-იქცეს. მაშინ ეწინეს მათ ძენი ძლიერებისანი და მრავალნი ათასეულნი დასცნეს, ხოლო სხუათა დაუტევეს მეფჱ მათი და აღიარეს მორჩილებაჲ კოსტანტინე დიდებულისაჲ.

მაშინ მეფემან მან უშჯულომან დასთხია სამოსელი იგი სამეუფოჲ, რომელსა არცა ღირს იყო, რაჲთა არავინ იცნას იგი და შიშუელ მეოტ იქმნა, ვითარცა ერთი ერისაგანი, და ზარგანჴდილი ვიდოდა იგი დაბითი დაბად და იმალვოდა. და მცირედთა ვიეთმე მას თანა საკუთართა თჳსთა ძნიად განერა და მიიწია საყოფელად თჳსა. მაშინ შეკრიბნა მღდელნი კერპთა მისთანი, რომელთა ღმერთ უწოდა, წინაჲსწარმეტყუელნი და მისანნი და გრძნეულნი, განმზრახნი მისნი, რომელთა პირველ ჰყუარობდა და პატივსა ფრიადსა წინა-უყოფდა, ვითარცა მაცთურნი და მზაკუვარნი ცხორებისა მისისანი და მოწყჳდნა ყოველნი მახჳლითა. და ენება თავი თჳსი მიცემად ჴელთა მეფისა დიდებულისათა, რამეთუ ბრძოლაჲ იგი ეგრჱთვე ეგო მის ზედა.

მაშინ მყის უსწრო რისხვამან ღმრთისამან და ესრჱთ შეემ-

თხჯა, ვითარმედ დაცემულ იყო იგი პირსა ზედა თჳსსა და ეძიებდა შემწესა და არა ჰპოვებდა. რამეთუ ცეცხლი აღეტყინა სტომაქსა მისსა და გულსა და ყოველთა ასოთა მისთა უცნაურად და ყვნა მის თანა ტკივილნი მიუთხრობელნი და დაუთმენელნი მძაფრიად და შეიღულარჭნა და გორვიდა, ვიდრემდის წარმოსცვეს ორნივე თუალნი მისნი სიმძაფრისა მისგან ტკივილთაჲსა და დასცვეს ქუეყანასა. და იდვა იგი უთუალოჲ.

ხოლო სიმჯურვალჱ იგი, რომელი იყო სტომაქსა მისსა, უმეტჳს აღეგზნა, ვიდრემდის მოჰლპეს და მოსცვეს ჯორცნი მისნი ძუალთაგან მისთა. და ესრჱთ ინატრიდა იგი სიკუდილსა თავისა თჳსისასა. და ესრჱთ დასცვა ყოველი გუამი მისი, ვითარცა სკორჱ ქუეყანისაჲ და სულნი წარჰჯდეს და მოკუდა ბოროტად. და ვითარცა მოისრნეს ყოველნი წინა-აღმდგომნი მეფისანი და დაიპყრა ყოველი ქუეყანაჲ კოსტანტინე მორწმუნემან, იყო მშჯდობაჲ დიდი და სიხარული ყოველსა საბრძანებელსა მისსა და სამეუფოსა. და ქრისტეანენი უმეტჳს აღემატებოდეს და ყოველთა წარმართთა შორის იდიდებოდა ჯუარი პატიოსანი.

ხოლო ლიკინიოს მთავარი, რომელი შემწე ეყო ბრძოლასა მას პირველ მეფესა, მისცა დაჲ თჳსი კოსტანტია ცოლად. და ნაწილიცა ფრიადი ქუეყანისაგან ჰრომთაჲსა მისცა და მეფე-ყო მას ზედა. და აღთქუმაჲ მოიღო მისგან ჴელწერით, ვითარმედ ღეთა მისთა არარაჲ ყოს მან წინა-აღმდგომი ქრისტეანეთაჲ ყოვლადვე.

ხოლო ლიკინიოს, ვითარცა მოიღო ჴელმწიფებაჲ მეფობისაჲ, არა შეიწყნარა მან მადლობით პატივი თავისა თჳსისაჲ, არამედ დაივიწყა აღთქუმაჲ იგი და რომელი შეემთხჳა მეფეთა პირველ უწინარჱსთა მისთა. მაშინ მიდრკა იგი კერპთა მიმართ და განდგა სარწმუნოებისაგან ქრისტჱსისა. და ესე რამეთუ ეხილვა მას ბოროტად წარწყმედაჲ პირველთა მათ მეფეთაჲ და აღიშურა მათთჳს და აღჰბაძდა საქმეთა მათთა და ფრიად ბოროტად იჯუმევდა დედათა აზნაურთა და აურვებდა და მოსრვიდა ქრისტეანეთა ყოველთა ადგილთა საბრძანებელსა მისსა.

და ვითარცა ეუწყა ესე მონასა ღმრთისასა კოსტანტინე მორწმუნესა მეფესა, შეიპყრა იგი მწუხარებამან ამისთჳს და

მიუწერა მას, რაჲთა მოიქცეს ბრძოლისაგან ეკლესიათაჲსა და დევნისაგან ქრისტეანეთაჲსა.

ხოლო მან შეურაცხ-ყო ბრძანებაჲ მისი და შესძინა დევნულებაჲ და მოწყუედაჲ ქრისტეანეთაჲ და განლაღნა ბრძანებასა ზედა კეთილის-მყოფელისა თჳსისასა.

და უკუანაჲსკნელ შეიკრიბა კრებული ერისა თჳსისაჲ და განემზადა ბრძოლად ძალითა ღმრთისაჲთა დაცვულისა მეფისა. და ვითარცა განეწყვნეს ბრძოლად ხერთვისსა მას შინა ბითჳნიაჲსასა, იყო ჯუარი პატიოსანი წინამძღუარ კოსტანტინე მეფისა დიდებულისა და იძლივნეს წინაშე მისსა მტერნი მისნი.

მას ჟამსა შევარდა საწყალობელი ლიკინიოს ჴელთა მეფისა მორწმუნისათა, რამეთუ ცოცხალი მოჰგუარეს იგი მას. მაშინ ვითარცა იხილა იგი ზარ-განჴდილად და შეძრწუნებულად, ლმობიერ იქმნა მის ზედა სახიერებითა თჳსითა მეფჱ და შეეწყალა უღმრთოჲ იგი, რამეთუ მოწყალე იყო იგი ყოვლისა ჭირვეულისაჲ. მაშინ არა აღურიცხა ბრალი მისი, არამედ განუტევა იგი და უბრძანა, რაჲთა დაემკჳდროს თესალონიკეს და დასცხრეს უკეთურებისაგან თჳსისა.

და ვითარცა მცირედ ჟამ დაყუდნა, მისცა საფასჱ დიდძალი ბარბაროსთა და მოიგნა თავისად და ენება, რაჲთა კუალად აღადგინოს ბრძოლაჲ მეფესა ზედა, რამეთუ კუალად განლაღნა იგი აღძრვითა ეშმაკისაჲთა.

და ვითარცა ეუწყა ესე მეფესა დიდებულსა, წარავლინა და ბრძანა მოკუეთაჲ თავისა მისისაჲ. და ყვეს ეგრე და მოჰკუეთეს თავი მისი და მოართუეს მეფესა. მაშინ სრულებით ყოვლით კერძოვე განეგნეს საქმენი მეფისანი და იყოფოდა იგი ყოველთა დღეთა ცხორებისა მისისათა მშჳდობით, რამეთუ ძალითა ცხოველითა ჯუარისაჲთა ყოველი უკეთურებაჲ წინა-აღმდგომთა მისთაჲ დაარღჳა.

მას ჟამსა იყო იერუსალემსა ზედა ეპისკოპოსი, სახელით მაკარი, ვითარცა ჭეშმარიტად იყოვე ეგრე, რამეთუ მაკარი ნეტარებად ითარგმანების, და მოელო მღდელთ-მოძღურებაჲ ერმონაჲსგან. ხოლო კოსტანტინე დიდებულმან აქცია ზრუნვაჲ მისი ყოველი საღმრთოდ და იწყო შენებად ეკლესიათა დიდითა

გულს-მოდგინებითა და მოსწრაფებითა. და ბრძანა პატიოსნად განშუენებაჲ მათი და განმდიდრებაჲ საფასეთაგან ხარკისა სამეუფოჲსათა და შემკობაჲ მათი სამკაულითა ოქროჲსა და ვეცხლისაჲთა.

და დადვა შჯულად პირველად ესე: რაჲთა განწმიდნენ ტაძარნი კერპთანი და იკურთხნენ და ყვნენ ეკლესია ღმრთისა. და რომელნი იპოვნენ კერპთა მსახურნი, მოისრნენ მახჳლითა. და კუალად დადვა შჯულ მეორე: რაჲთა იყვნენ წინამძღუარნი ერისა მისისანი კაცნი სარწმუნონი, ქრისტეანენი მართალნი. და კუალად მესამედ შჯულად დადვა; რაჲთა არა იქმოდიან ქრისტეანენი ორი კჳრიაკე; ერთი აღვსებისა პირველი და ერთი შემდგომი. და იყო მაშინ მშჳდობაჲ და სიხარული მიუთხრობელი ყოველსა ქუეყანასა. და ყოველნი წარმართნი ყოველსა ქუეყანასა მსწრაფლ მოინათლვოდეს და შეჰმუსრვიდეს ღმერთთა მამულთა ჴელითა მათითა.

ესე ფრიად დაუმძიმდა მშჳდობისა მტერსა ეშმაკსა და კუალად აღიძრა თავით თჳსით ბოროტად, რაჲთამცა დააცხრო ესე სიხარული და მშჳდობაჲ კაცთაგან. და ვითარცა ვერღარა შეუძლო კაცთა მიქცევად ბოროტსა ნებასა თჳსსა, რამეთუ საცთურნი მისნი განცხადებულ იყვნეს, აზნმა და დააჯერა დაუმტკიცებელთა, რაჲთა შეჰრაცხონ დამბადებელი დაბადებულად. და იყო ფრიადი შფოთი, წვალებაჲ ეკლესიათა ღმრთისათაჲ.

იყო ვინმე კაცი ალექსანდრიელი, სახელით არიოზ. და ესე აღბორგნა ეშმაკისაგან და ზენა და ქუეყანა აღაშფოთებდა ყოველთა მკჳდრთა ქუეყანისათა. და შეეზრახნეს მას მცირედნიცა ეისკოპოსნი, პირველად ევსებიოს ნიკომიდიელი და ევსებიოს პამფილიელი და სხუანი მათ თანა.

და ვითარცა იხილა ესე განყოფილებაჲ მეფემან კოსტანტინე, შეწუხნა იგი გულსა შინა თჳსსა და პირველად აზნმა განცემად წიგნები სწავლისაჲ ყოვლით კერძოვე, რაჲთა დააცხრონ ესევითარი ესე განყოფილებაჲ და განწვალებაჲ შჯულისაჲ.

და ვითარცა იხილა, რამეთუ განძჭნებულ არს ესე უფროჲს შეძლებისა, უბრძანა, რაჲთა შეკრიბონ კრებაჲ ყოვლით ქუეყანით ქალაქსა შინა ნიკიისასა.

მაშინ შეკრბეს ეპისკოპოსნი, რიცხჳთ სამას ათრვამეტნი. და უმრავლესნი მათგანნი იყვნეს აღმსაარებელნი, რომელთა ეტჳრთნეს ვნებანი მაცხოვრისა ჩუენისანი ჯორცითა მათითა. რომელთა მრავალნი გუემანი თავს-ესხნეს სახელისათჳს ქრისტჱს ღმრთისა ჩუენისა მეფეთა მიერ უშჯულოთა, და იყო მათ თანა კოსტანტინე მეფჱ მორწმუნჱ.

და მიზეზსა, რომლისათჳს შეკრებულ იყვნეს, დაწერეს სარწმუნოებაჲ მართლაღსაარებისაჲ ყოველთა მათ, ვითარცა ერთითა პირითა და დაამტკიცეს და დადვეს ესე სარწმუნოებაჲ, რომელი დღესამომდე და ყოვლადვე ითქუმის დაუცადებელად ეკლესიისა შინა მართლმადიდებელთასა — რომელ არს მრწამსი. ხოლო არიოჱ და მოყუასნი მისნი, ევსებიოს ნიკომიდიელი და სხუანი მათთანანი, დაშთეს შეცთომილებასავე ზედა მათსა. მაშინ განკუეთნეს იგინი წმიდამან კრებამან და განჯადნეს იგინი ადგილით მათით. და სხუანი ნაცვალად მათსა აკურთხნეს და დასხნეს ადგილთა მათთა.

მაშინ მეფემან დიდებულმან დიდითა პატივითა და ნიჭითა განუტევნა ეპისკოპოსნი თჳსად ქუეყანად მშჳდობით. და მან განიხარა სიხარულითა დიდითა შეერთებასა ზედა წმიდათა ეკლესიათასა. და უბრძანა ეპისკოპოსსა იერუსალემისასა მაკარის, რამეთუ იგიცა მუნ იყო წმიდასა მას კრებასა და ჰბრძოდა სარწმუნოებისათჳს წმიდათა მოციქულთაჲსა, რაჲთა მოიძიონ ძელი ცხორების-მომცემელი, რომელსა ზედა ჯუარს-ეცუა მაცხოვარი ჩუენი, და საფლავი ღმრთის შემწყნარებელი, და ყოველნი წმიდანი ადგილნი, რომელნი არიან იერუსალემს, რამეთუ ყოველნი დაფარულ იყვნეს ჰურიათა და წარმართთა მიერ. და სხუათა ეპისკოპოსთა უბრძანა, რაჲთა კადნიერად ითხოონ ყოველი საჯმარი ეკლესიათა მათთაჲ. და მიეცა მათ უხუებით და წარვიდეს სიხარულით კაცად-კაცადი თჳსად ადგილად. ესე იყო მეათცხრამეტესა წელსა მეფობისა მისისასა პირველი კრებაჲ ნიკიისაჲ.

ამის შემდგომად წარმოავლინა მეფემან დედაჲ თჳსი, დედოფალი ელენე, რომელიცა ღირს არს ქებისა ღმრთის-მოყუარეობისა მისისათჳს, იერუსალემდ წიგნებითა და საფასითა მრავლითა ნეტარისა მაკარი ეპისკოპოსისა იერუსალემელისა, ძიებად

ძელისა ჯუარისა ცხორების-მომცემელისა და აღშენებად ადგილთა წმიდათა. და რამეთუ ესე თჳთ დედოფალმან სთხოვა მეფესა და ვითარმედ იხილა მან ხილვაჲ საღმრთოჲ, რომელმან უბრძანა წარსლვაჲ იერუსალემდ და ნათლად გამოცხადებად ადგილთა წმიდათა, რამეთუ დაფარულ იყვნეს უშჯულოთა მიერ და უჩინო ყოველთა მათ ჟამთა.

და ვითარცა ეუწყა ეპისკოპოსსა მაკარის მოსლვაჲ დედოფლისაჲ, შეკრიბნა ეპისკოპოსნი საყდრებისანი და მიეგება მას სიხარულით, პატივით, ვითარცა ჯერ-იყო, და უბრძანა ეპისკოპოსთა მუნქუესვე, რაჲთა მოსწრაფე იქმნენ ძიებად ძელისა ცხორების-მომცემელისა.

მაშინ შეშფოთნეს ყოველნი, რამეთუ არა უწყოდეს, სადა უკუე იყო ადგილი მისი და იწყეს ყოველთა ურთიერთას მითხრობად საგონებელთა ადგილთა. მაშინ უბრძანა ნეტარმან მაკარი, რაჲთა დადუმნენ და რაჲთა წარუდგინონ ღმერთსა ამისთჳს ლოცვაჲ ლმობიერი. და ვითარცა ესე ყვეს, ეჩუენა ღმრთისა მიერ მაკარი ეპისკოპოსსა და ესწავა ადგილი, ვითარმედ: ადგილსა რომელსა ტაძარი შეგინებულთა კერპთაჲ შჱნ არს, მუნ არს ღმრთის შემწყნარებელი საფლავი და წმიდაჲ გოლგოთაჲ და ძელი ცხორების-მომცემელი.

მაშინ დედოფალმან ბრძანებითა სამეუფოჲთა შეკრიბა კრებული დიდძალი ხუროთა და მუშაკთაჲ და უბრძანა დარღუევაჲ შეგინებულისა მის ტაძრისაჲ ძირითურთ და შორად განთხევად ნარღუევი იგი. და ვითარცა ყვეს ესე, მაშინ გამოჩნდა საღმრთოჲ საფლავი და ადგილი გოლგოთისაჲ. და არა შორს მისსა იპოვნეს სამნი ჯუარნი დაფლულნი ქუეყანასა. და კუალად იძინეს გულსმოდგინედ და პოვნეს სამშჭუალნი იგი, რომლითა შეემშჭუალა მჴსნელი ჩუენი და მაცხოვარი ძელსა მას ჰურიათა მიერ მარადის ღმრთის-მბრძოლთა.

მაშინ შეიპყრა დედოფალი ზრუნვამან უმეცრებითა მისთჳს, თუ რომელიმე არს სამთაგანი ძელი მჴსნელისა ჩუენისაჲ. და იტყოდა: ვინმემცა მაჩუენა მე და მაუწყა, რომელ არს ძელი ცხორების-მომცემელი? ხოლო ეპისკოპოსმან კუალად სარწმუნოებით და მოწრაფებით გულს-იდგინა გამორჩევად ჯუარი ძლევის-

მომცემელი, რამეთუ დედაკაცი ვინმე იყო პატიოსანთაგანი და შერაცხით მოქალაქჱ მდებარჱ სენითა მძიმითა. და განწირულ იყო იგი ყოველთაგან და მიწევნულ სულთა აღმოსლვად. და მოიხუნეს ძელნი იგი მისა და მით პოვეს საწადელი იგი: რამეთუ რაჟამს შეახეს მას ჯუარი მჴსნელისაჲ, მუნქუესვე უსულოჲ იგი და უძრავი ძალითა საღმრთოჲთა ადგილსა ზედა აღემართა და ძლიერითა ჴმითა ღაღად-ყო და მისცა დიდებაჲ ღმრთისა, რომელმან ჯუარისა მიერ პატიოსნისა განაცხოველა იგი.

მაშინ ელენე დედოფალმან განიხარა სიხარულითა დიდითა და სურვიელად და შიშით მოიღო ცხოველს-მყოფელი ჯუარი და ერთი ნაწილი მისგანი და სამშჭუალნი წარსცნა ძისა თჳსისა კოსტანტინე მეფისა მორწმუნისა, ხოლო სხუასა მას შეუქმნა გუადრუცი ვეცხლისაჲ და შთადვა იგი მას შინა და მიუთუალა იგი მაკარი ეპისკოპოსსა იერუსალემისასა დაცვად მისა და მოსაჴსენებელად საუკუნოდ ყოველთა ნათესავთა შემდგომითი შემდგომად. და ბრძანა, რაჲთა მსწრაფლ აღეშენნენ ყოველნი ეკლესიანი ზედა საფლავსა ღმრთის შემწყნარებელსა და წმიდასა გოლგოთასა და ბეთლემსა, ქუაბსა ზედა, რომელსა შინა მოიღო უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან შობაჲ კაცობრივი და მთასა ზეთის-ხილთასა, სადა აკურთხნა ღმერთმან მოწაფენი თჳსნი და აღმაღლდა. და კუალად სხუაჲცა მრავალი კეთილი ქმნა იერუსალემს შინა და კუალად-იქცა ძისა თჳსისა.

და ძემან მისმან შეიწყნარა იგი სიხარულითა დიდითა. ხოლო ერთი ნაწილი იგი პატიოსნისა ჯუარისაჲ, რომელი წარეცა მეფისა სიხარულით, შეუქმნა მას მეფემან გუადრუცი ოქროჲსაჲ და დაჰკრძალა იგი მას შინა და მიუთუალა ეპისკოპოსსა თჳსსა დაცვად და მოსაჴსენებელად ყოველთა ნათესავთა, და ბრძანა დღესასწაულისა დაწესებაჲ პოვნისათჳს პატიოსნისა ჯუარისა. ხოლო სამშჭუალთა მათ რომელიმე დამშჭუალა ჩაფხუტსა მისსა, და რომელი შექმნა აღჳრად ჰუნისა თჳსისა, რაჲთა აღესრულოს თქუმული იგი უფლისაჲ წინაჲსწარმეტყუელისა მიერ: მას ჟამსა, რომელი იყო აღჳრთა ცხენისათა, წმიდა იყოს უფლისა ყოვლისა მპყრობელისა.

მაშინ მიუწერა მეფემან მაკარი ეპისკოპოსსა იერუსალე-

მელსა გულს-მოდგინედ მოსწრაფებაჲ შენებისათჳს წმიდათა ეკლესიათა და მიუვლინნა მას ხუროთ-მოძღუარნი საფასითა მრავლითა და ამცნო, რაჲთა აღეშენნენ წმიდანი ადგილნი პატიოსნად, ვიდრემდის არა იყოს მსგავსი შუენიერებისა მათისაჲ ყოველსა ქუეყანასა.

და კუალად მიუწერა ქუეყანის მპყრობელთა აღმოსავალით, რაჲთა გულს-მოდგინედ მიუძღუანებდენ ყოველსა საჭმარსა შენებისათჳს, საფასისა მისგან ხარკისა მის ქუეყანისა ფასსა და ჭურჭელსა და საჭმარსა, რომელი ხოლო კმა ეყოს შენებასა, უხუებით და მოსწრაფებით მიეცემოდის თჳნიერ ყოვლისა მიზეზისა. და ამას ზედა ფრიად მოხარულ იყო მეფე და ყო დღესასწაული დიდი ოცსა სათუალავითა მზისაჲთა სამადლობელად ღმრთისა ყოვლისათჳს კეთილისა, რომელი მოეცა სამეფოსა მისსა სიხარული.

აღირაცხნეს წელნი მოსლვითგან ქრისტესით ვიდრე პოვნადმდე პატიოსნისა ჯუარისა სამასოცდაექუსი, ხოლო ადამისითგან ვიდრე ქრისტეს მოსლვადმდე — ხუთ ათას ხუთას.

და იერუსალემს შემდგომად მაკარი ეპისკოპოსისა მიიღო ეპისკოპოსობაჲ მაქსიმოს. ესე იყო კაცი ყუდროჲ და ფრიად განთქუმული, რამეთუ დევნულებასა მრავალნი სატანჯველნი დაეთმინნეს ქრისტესთჳს და მარჯუენაჲ თუალი აღმოეჴადა. და ეწია ბრძანებაჲ განტევებისაჲ და დაშთა ერთი თუალი ვიდრე სიკუდიმდე მისსა.

მას ჟამსა შინა ელენე დედოფალი გარდაიცვალა ოთხმეოცისა წლისაჲ და ფრიად ამცნებდა იგი ძესა თჳსსა კეთილად მსახურებისათჳს ქრისტესისა.

და ვითარცა ეუწყა მეფესა, ვითარმედ შენებული ახალი იერუსალემს განსრულებულ არს და განშუენებულ ყოვლითა შემკულებითა ჯერისაებრ ბრძანებულისა მათა, უბრძანა ეპისკოპოსსა კოსტანტინისასა წარსლვაჲ ელიად და შეკრებაჲ ეპისკოპოსთა მრავალთაჲ, რაჲთა განაახლნეს წმიდანი ადგილნი და აკურთხნეს.

და ესე იყო ევსებიოს ნიკომიდიელი, რომელი ჰბრძოდა ძლიერად არიოზის თანა მართალსა სარწმუნოებასა. ესე პირველად

განკუეთილ იყო და შეჩუენებულ ნიკიისა კრებისაგან და განძებულ მოყუსებითურთ მისით. და შემდგომად ამისა სახიერებითა მეფისაჲთა შემოეტყუა, რამეთუ დაწერეს ჴელით-წერილი და მიუპყრეს მეფესა ფიცით და შეჩუენებით, ვითარმედ: დავწეროთ ჩუენ სარწმუნოებაჲ დიდებული წმიდათა მამათაჲ, რომელნი შეკრებილ იყუნეს ნიკიას და შეუდგეთ ყოველსა ბრძანებულსა მათსა.

მაშინ ირწმუნა მეფემან, ვითარცა მოქცეულთაჲ ცთომილებისაგან, და პატივ-სცა მათ მრავლითა პატივითა.

და ვითარცა დაცარიელდა საყდარი კოსტანტინისაჲ ეპისკოპოსისაგან, მაშინ ევსებიოს ყვნა ზაკუვით ღონენი მრავალნი და ჴელმწიფედ დაიპყრა საყდარი იგი სამეუფოჲსა ქალაქისაჲ და ვითარცა მოიგო მთავრობაჲ უფროჲს პირველისა მის, რომელ აქუნდა, მაშინ მიაგნა მის თანა განსხმულნი იგი ეპისკოპოსნი თჳსთავე საყდართა და გამოჴადნა, რომელნი დაესხნეს მათ წილ საყდართა მათთა წმიდასა კრებასა.

და ვითარცა ესე ყოველი იქმნა, მაშინ მოიცალეს მათ ყოველთა ათანასი ალექსანდრიელისა მამათ-მთავრისათჳს. და აღემზადნეს მის ზედა მრავლითა ღონისძიებითა საეშმაკოჲთა განკუეთად მისა, ვითარცა-იგი ოდესმე მან და წმიდამან კრებამან სამართლად და ღირსად განკუეთნეს იგინი, რაჲთამცა შური იძიეს მის ზედა.

ხოლო მეფესა დიდებულსა ჴერ-უჩნდა, რაჲთა მოუწოდოს ათანასი ალექსანდრიელსა იერუსალემდ კურთხევად წმიდათა ადგილთა. არამედ, რამეთუ ასმენდეს მას მედგარნი იგი, ბრძანა პირველად, რაჲთა შეკრბეს კრებაჲ ქალაქსა ტჳროსს ყოველთა ეპისკოპოსთაჲ და იხილონ საქმჱ ათანასი მამათ-მთავრისაჲ, რომლისათჳს იგი შესმენილ იყო ევსებიოსისაგან და მოყუასთა მისთა და განეგოს ყოველი. და ესრჱთ ერთობით ყოველნი თჳნიერ ყოვლისა იჭჳსა მიიწჳნენ იერუსალემდ და აღასრულონ დღესასწაული იგი სატფურებისაჲ და აკურთხნენ წმიდანი ადგილნი. და მეფემან წარავლინა დასტურად ამის საქმისათჳს დალმატიოს, ძმისწული თჳსი და რაჲთა მან განმზადოს და შეკრიბოს კრებაჲ ესე და განაგოს, რომელი-იგი იყო მათ შორის.

და ვითარცა შეკრბა კრებაჲ ქალაქსა ტჳროსს, მუნ იყო ეპისკოპოსიცა იერუსალემისაჲ მაქსიმოს და ამან არა უწყოდა ზაკულებაჲ იგი, რომელი შეემზადა წმიდისა ათანასისთჳს ევსებიოსს ნიკომიდიელსა, კოსტანტინისა ეპისკოპოსსა.

მაშინ, ვითარცა მიიწია წმიდაჲ ათანასი კრებულად, აღდგეს მის ზედა შემასმენელნი მისნი და მძიმეთა და ბოროტთა მიზეზთა მოიღებდეს მის ზედა, რომელი შეეთხზა მისთჳს ბჭეთა მათ სიცრუვისათა ევსებიოს ნიკომიდიელსა და მოყუასთა მისთა. არამედ ვერარაჲ შეუძლეს დამტკიცებად ბოროტად წამებაჲ მათი, ვინაჲთგან წმიდაჲ ათანასი მიუგებდა მათ, რამეთუ ვითარცა დედაზარდლისა ქსელი დაჰჴსნა მცირითა სიტყჳთა ყოველი იგი ზაკულებით შესმენაჲ მათი, რამეთუ ჭეშმარიტებამან სძლო სიცრუესა მათსა.

მაშინ, ვითარცა იძლინეს შემასმენელნი მისნი, აღდგეს და აღაზრზინეს კრებული იგი და ღაღადებდეს ყოველნი: წარწყმიდეთ გრძნეული ეგე, რამეთუ გრძნებითა მისითა დაუყენა პირნი ყოვლისა კრებულისანი. და მუნქუესვე ეგულებოდა მოკლვაჲ მისი, არათუმცა ძმისწული მეფისაჲ იყო მათ თანა. მაშინ განარინა იგი ერისა-კაცთა მიერ მძლავრ და გამოიყვანა შორის მათსა. და განთქუეს ესრეთ, ვითარმედ ათანასი მეოტ იქმნა და წარვიდა თჳსად ადგილად.

მაშინ წინამძღურებითა ღმრთისაჲთა აღვიდა წმიდაჲ ათანასი იერუსალემდ და ყო ლოცვაჲ და აკურთხნა წმიდანი ადგილნი და ყოველნი ეკლესიანი განაახლნა. და აღბეჭდნა მირონითა პირველ მოსლვადმდე ეპისკოპოსთა მათ ტჳროსით, აღასრულა ყოველი წესი კურთხევისაჲ და წარვიდა მეფისა და აუწყა ყოველი, რომელი შეამთხჳეს მას ეპისკოპოსთა მათ.

და ვითარცა ესმა ესე მეფესა, შეწუხნა ფრიად მისთჳს და დაუკჳრდა სიბოროტ̃ჲ იგი ეშმაკისაჲ, არამედ განიხარა, რამეთუ მან აღასრულა კურთხევაჲ იგი წმიდათა ადგილთაჲ და პატივ-სცა მას ფრიადითა პატივითა და დიდითა განგებითა და წიგნებითა და დასტურთა წარყვანებითა წარავლინა იგი ალექსანდრიად.

და ვითარცა მიიწინეს ეპისკოპოსნი იგი იერუსალემდ,

პოვნეს წმიდანი ეკლესიანი კურთხეულნი და აღბეჭდულნი მირონითა და ეუწყა მათ საქმჱ იგი, ვითარმედ ათანასი ალექსანდრიელმან მამათ-მთავარმან განააახლნა და აკურთხნა ყოველნი წმიდანი ეკლესიანი იერუსალემისანი, ხოლო იგინი შეწუხნეს ფრიად ამისთჳს, არამედ რაჲთა არა საანჯმნო-ყონ ყოფილი იგი ღმრთისმიერი, აღასრულეს მათცა დღესასწაული იგი სატფურებისაჲ წმიდათა ეკლესიათა იერუსალემისათაჲ დიდითა სიხარულითა.

და რამეთუ წარმოეცა მეფესა სამსახურებელი წმიდათა ეკლესიათათჳს ჭურჭელი ოქროჲსაჲ და ვეცხლისაჲ მრავალფერთა თუალთაგან შემკული და ქვათაგან პატიოსანთა განდგმული და სამოსელი ფერად-ფერადი და ეზოებითა მრავალსასყიდელისაჲ და საფასჱ დიდძალი განსაყოფელად გლახაკთა და პატივად, რომელნი დახუდენ დღესასწაულსა მას.

და კუალად ვითარცა ეუწყა ქრისტეს მოყუარესა მეფესა, ვითარმედ აღესრულა დღესასწაული სატფურებისაჲ წმიდათა ეკლესიათა იერუსალემისათაჲ მრავლითა სიხარულითა, მაშინ დამხედ თაყუანის-სცა ღმერთსა და მხიარულითა პირითა შეწირა მადლობაჲ მისა, რომელმან მოჰმადლა დღეთა მისთა ესევითარი კეთილი, და უზეშთაეს და უფროჲს შეჰმატებდა შჯულსა ქრისტეანობისასა მრავლითა გულს-მოდგინებითა და დაამჴობდა კერპთ-მსახურებასა. და ესე იყო მეოცდაათესა წელსა მეფობისა მისისასა.

და მუნქუესვე დადვა შჯული ჴელით-წერითა და დაჰბეჭდა ბეჭდითა სამეუფოჲთა, ვითარმედ: ნუმცა ვინ იკადრებს ჰურიაჲ შესლვად იერუსალემდ და ნუცა გარემოჲს მისსა ექუს მილიონ მიახლებად. და რომელი ამას შჯულსა გარდაჰჴდეს, მოკუედინ მახჳლითა.

მაშინ იყო სიხარული მიუთხრობელი მადლითა ღმრთისაჲთა ყოველსა ქუეყანასა. რამეთუ იხილვებოდაცა ნათესავი ბარბაროსთაჲ გულს-მოდგინებით მომავალი სარწმუნოებად ქრისტესა და უიძულებელად მორჩილებად მეფესა ბერძენთასა.

და ამისა შემდგომად ცხოვნდაღა ერთ წელ და თთუე რავდენმე დიდებული მეფჱ კოსტანტინე და დასნეულდა სნეულებითა მით,

რომელსაცა შინა აღესრულა, ოდეს-იგი იყო მიწევნულ ნიკომიდიას და ადგილსა რომელსამე გარეშე ქალაქისა მიიღო წმიდაჲ ნათლის-ღებაჲ მეფემან კოსტანტინე. ხოლო ამისთჳს დაეყოვნა ესე, რამეთუ სურვიელ იყო იგი, რაჲთამცა მიიღო იგი მდინარესა შინა იორდანისასა, სადა-იგი ნათელ-იღო უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან და ვერ აღესრულა... გარეშე ქალაქისა მიითუალა სიკუდილი და ამცნო ყოველთა შობად მისსა კეთილადმსახურებაჲ ქრისტესი და აღესრულა კეთილითა სათნოებითა შემკული.

და დაუტევნა სამნი ძენი, რომელთა დაიმკჳდრეს მეფობაჲ მისი და კეთილი სარწმუნოებაჲ მისი. ხოლო პირმშოჲ იგი ესე არს, რომელსა ეწოდა სახელი მამისა თჳსისაჲ კოსტანტინე. და ესე მეფე-ყო ნაწილსა ზედა ნუბიაჲსასა. და მეორე, რომელსა ეწოდა სახელად მამისა მისისა კოსტა, ესე მეფე-ყო აღმოსავალით და უმრწემესი მეფე-ყო მრავალწყალთა. ხოლო არცა ერთი სამთა მათგანი თანა დახუდა ჟამსა მას აღსრულებისასა.

აღესრულა ყოვლად ქებული კოსტანტინე მეფე წელთა ცხორებისა მისისათა სამეოცდამეხუთესა წელსა კეთილითა სათნოებითა და მსახურებითა ღმრთისაჲთა. და მეფობდა იგი ოცდაათორმეტ წელ და დაუტევა მეფობაჲ ქუეყანისაჲ და მიიღო მეფობაჲ ზეცისაჲ ქრისტეს მიერ, რომელიცა შეიყუარა. ხოლო გუამი მისი პატიოსანი შთადვეს ერის-თავთა ოქროჲსა ლუსკუმასა და ყვეს მის ზედა გლოვაჲ დიდი და იგლოვდეს მას, ვითარცა მამასა საყუარელსა და არა ვითარცა მეფესა ჴელმწიფებისაგან დაკლებულსა.

მაშინ მოიწია კოსტანტინე მეფე აღმოსავალით, და შემურა მამაჲ თჳსი და შემოსა პორფირითა სამეუფოჲთა და დაჰკრძალა იგი ადგილსა მაღალსა ეკლესიასა შინა მოციქულთასა, სადა-იგი დაემარხა დედაჲ მეფისაჲ ელენე. რამეთუ ნეტარსა კოსტანტინეს აღეშენა ეკლესიაჲ იგი ამისთჳს, რაჲთა მას შინა დაიმარხვოდიან მეფენი და მღდელნი, რაჲთა იყვნენ მახლობელად ძუალთა წმიდათა მოციქულთასა. ხოლო დღე გარდაცვალებისა მისისაჲ იყო მაისსა ოცდაორსა.

და ვითარცა დაიპყრა კოსტანტინე მეფობაჲ მამისა თჳსისაჲ,

მაშინ მოიწინეს მისსა წინამძღუძარნი არიანოზთანი და ევედრნეს მას, რაჲთა გამოაჯუას მრწამსსა სიტყუაჲ ესე „შობილი და არა ქმნული, მსგავსი მამისაჲ“, და ვითარმედ ესე სიტყუაჲ არს განმაღებელი ეკლესიათაჲ და განმწვალებელი შჯულისაჲ. და უკუეთუ ესე გამოაჯუა, არღარა იყოს საეჭუელ სარწმუნოებაჲ ჩუენი ყოველთა ქუეყანათა. ხოლო მეფემან უმჯობესისა გონებისათჳს სადაგად და გამოუწულიელველად შეიწყნარა სიტყუაჲ მათი და აღუთქუა ესე ყოფად. მაშინ იქმნა კუალად ამისთჳს შფოთი და მწუხარებაჲ არამცირედი.

მას ჟამსა საკჳრველი იქმნა იერუსალემს უზეშთაესი ყოვლისა სიტყჳსაჲ, რამეთუ, რაჟამს იყვნეს იგინი შჯულისათჳს ცილობასა შინა, დაყუდნეს ყოველნი, რომელნი მოვიდოდეს სარწმუნოებად და იჭუსა შეცჳნეს შეუზავებლობითა მღდელთაჲთა. მაშინ გამოაჩინა ღმერთმან სასწაული ზეცით, ვითარმედ არა თუ სიტყჳს-გებაჲ სარწმუნოებისაჲ მიზეზი არს იჭჳსაჲ, არამედ განგებაჲ მღდელთა გამოუცდელთა და ბოროტად მეცნიერებისა მათისაგან არს განპებაჲ ეკლესიისაჲ.

მაშინ მყისსა შინა გამოჩნდა ზედა წმიდასა გოლგოთასა ზეცით შუა სამხრის ოდენ ჯუარი ფრიად დიდებული, ნათლითა ბრწყინვალითა შემკული, რომელმან დაფარა ბრწყინვალებაჲ მზის-თუალისაჲ თჳსითა ბრწყინვალებითა. ესე იყო ცხადად წინაშე თუალთა ყოველთა მკჳდრთა ქალაქისათა, დიდთა და მცირეთა, მორწმუნეთა და ურწმუნოთა.

და იყო მათ ჟამთა ეპისკოპოსად იერუსალემსა ზედა კჳრილე ბრძენი, რომელსა მოეღო მთავრობაჲ მაქსიმე მოწამისაგან. ამან ნეტარმან გამოთქუნა ათრვამეტნი საკითხავნი შემკულნი ყოვლითა ჭეშმარიტითა და მათ შინა არს თარგმანებაჲ სარწმუნოებისაჲ, რომელი დადვეს წმიდათა მამათა ნიკიისათა სიტყჳთი სიტყუად. ხოლო ვითარ მოვიდა სიტყუასა ამას, რომელ არს: „შობილი და არა ქმნული, მსგავსი მამისაჲ“, დაუტევა ნეფსით სიტყუაჲ იგი თჳნიერ თარგმანებისა, რამეთუ შეეშინა მის ჟამისა ჯელმწიფეთაგან, არამედ შე-ვე-ერთო იგი წმიდათა მამათა, ხოლო მოსაჴსენებელთაგან საეკლესიოთა აღმოიჴოცა სახელი მისი.

ამან მიწერა წიგნი მეფისა სასწაულისა მისთჳს, რომელი გამოუჩნდა იერუსალემს დღეთა მისთა. აუწყა ესე და ახარა ესრეთ და ჰრქუა: „მეფესა ღმრთის-მოყუარესა და ღმრთის-მსახურსა, კოსტანტინეს უძლეველსა, მე, კჳრილე ეპისკოპოსი იერუსალემისაჲ, გიკითხავ უფლისა მიერ: გიხაროდენ, პირველად ამას იერუსალემით, შენ, ღმრთის-მოყუარესა მეფესა, მიგიძღუანებ წიგნთა ნაყოფსა, რომელი ჯერ-არს ჩუენდა მოკსენებად და თქუენდა შეწყნარებად არა სიტყჳთა ლიქნისაჲთა სავსე, არამედ ზეცით უწყებითა და გამოჩინებითა ღმრთისამიერითა. არა თუ სიტყუაჲ მეცნიერთაგან დაწერილი, არამედ წინაჲსწარ თქუმული წმიდათა სახარებათაგან საქმეთაგან სრულთა და წამებითა ჭეშმარიტისაჲთა, სხუათა რომელთამე აქუს შენგან პატივი და მრავალგზის გჳრგჳნთა იქმან და შეამკობენ ანთრაკითა ბრწყინვალითა მრავალფერად და შენ მიგიპყრობენ. ხოლო ჩუენ არა ქუეყანისა გჳრგჳნთა მიგიძღუანებთ, რამეთუ ქუეყანისა ნიჭსა აღსასრული აქუს, ხოლო ზეცისა ნიჭსა წარუვალი აქუს შეწევნაჲ, შენისა მაგის ღმრთის-მსახურებისა მეფობისა ჟამთა, რომელი იერუსალემს გამოუჩნდა.

ჩუენ შენსა მაგას ღმრთის-მსახურებასა ვაუწყებთ, არა თუ აწ რაჲმე შემოხუედ ღმრთის-მსახურებად უმეცრებისაგან, რამეთუ შემძლებელ ხარ სხუათა სწავლად, რომელსა ჰმსახურებ. არამედ ესე იცოდე, აწ, რაჲთა უმეტეს დაემტკიცოს მეფობაჲ შენი და მამული დაიმკჳდრო ღმრთისა მიერ მონიჭებული შენდა ზეცით და ღმერთსა, ყოველთა მეუფესა, აწცა სათნოდ მიეც მადლი და უფროჲსღა მტერთათჳს განძლიერდი, რამეთუ შენისა მეფობისაჲ საქმჱ არს სიყუარული ღმრთისაჲ.

გულისჴმა-ყავ, რამეთუ ღმრთის-მოყუარისა და სანატრელისა კოსტანტინე მამისა შენისა ზე ცხოველი ჯუარი იპოვა იერუსალემს მადლითა ღმრთისაჲთა და გულს-მოდგინედ ძიებითა ღმრთის-მსახურებისაჲთა მოემადლა პოვნად დაფარული წმიდათა ადგილთა. ხოლო შენ ზე, უფალო და ღმრთის-მოყუარეო მეფეო, უფროჲს მამისა შენისა ღმრთის-მსახურისა და ღმრთის-მოყუარებითა შენითა უფროჲსღა აწ არათუ ქუეყანით, არამედ ზეცით წმიდისათჳს ჯუარისა გაუწყებთ საკჳრველებათა უფლი-

სა ჩუენისა და მაცხოვრისა იესუ ქრისტეს, მხოლოდ-შობილისა ძისა ღმრთისა, რომელმან სიკუდილი ძლევით დათრგუნა.

ნათლად, მარმარილოჲს სახედ გამობრწყინვებულად, იერუსალემს გამოჩნდა, რამეთუ წმიდათა მათ დღეთა ერგასისთა მარტვრიაჲსათა, თუესა მაისსა შჳდსა, მესამესა ჟამსა დღისასა, ყოვლად დიდად შუენიერად ჯუარი, ნათლითა შემკული ცათა შინა, ზედა წმიდასა გოლგოთასა ვიდრე წმიდად მთამდე ზეთისხილთა გარდართხმულად ჩუენდა. არათუ ერთსა ხოლო, გინა ორსა ეჩუენა, არამედ ყოველსა სიმრავლესა ქალაქისასა ცხადად ეჩუენა. და არცაღა თუ ესრეთ უცნებით მსწრაფლ წარსრულად, არამედ მყოვარ ჟამ ქუეყანით თუალითა ხილული და განცდილი. რამეთუ ბრწყინვალებამან მისმან ნათელი მზისაჲ დაფარა, ხოლო რომელი-იგი მის ქუეშე ძლევით დაფარულ იყო უძლიერესად, რომელნი-იგი ხედვიდეს, გამოსცემდა ბრწყინვალებასა და ყოველნი მისგან შეძრწუნებულნი ეკლესიად მირბიოდეს სიმრავლე ქალაქისაჲ. მაშინ ჩუენებამან საშინელმან შიშითა და სიხარულითა შეიპყრნა ყოველნი ერთბამად ჭაბუკნი და მოხუცებულნი, დედანი და მამანი და ყოველი ჰასაკი, რამეთუ სახლებითცა მათით ხედვიდეს გუგაჲთა თუალითა მათთაჲთა. მკჳდრნი და უცხონი ქრისტეანენი და სხჳთ მოსრულნი წარმართნი ერთბამად ყოველნი ერთითა პირითა ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა საკჳრველთ-მოქმედსა აქებდეს საქმით და განცდით შეწყნარებულსა. რამეთუ ქრისტეანეთა სარწმუნოებაჲ ღმრთის-მსახურებაჲ არს, არა თუ სმენითა სიბრძნისაჲთა, არამედ ძალითა და მოცემითა სულისა წმიდისაჲთა. და არა კაცთაგან თხრობილი, არამედ ზეცით ღმრთისა მიერ წამებული და დამკჳდრებული“.

ესე მიწერა კჳრილე ეპისკოპოსმან კოსტანტინე მეფისა და აუწყა, რამეთუ ამის სასწაულისა ძალითა, რომელი უზეშთაეს იყო სასწაულთა ქუეყანისათა, მრავალნი ათასნი შეეძინნეს ქრისტეანეთა სარწმუნოებასა იერუსალემს და ყოველთა აღგილთა.

აქამომდე ვყოთ სიტყუაჲ პოვნისათჳს ჯუარისა ცხოველისა, ხოლო ნუ ვინ აცთუნებს თავსა თჳსსა ცუდითა სიტყჳთა და ტყუვილისა მანქანებითა და ნუცა შემოაქუს ამას თქუმულსა შინა,

რომელი გამოწულილვით გამოიჭეშმარიტა საღმრთოთა წიგნთაგან ზედა მიწევნითა ჭეშმარიტითა, მიზეზი უცხოთა სიტყუათაჲ. რამეთუ არა ოდეს იყო იერუსალემსა ზედა ეპისკოპოსი თჳნიერ ამათსა, რომელნი წინაჲსწარ აღწერით არიან ჩუენ მიერ და არცა სხუაჲ მეფე ბერძენთა ზედა მეფისა აგუსტოსითგან, რომლისა ზე იშვა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ჯორცითა, ვიდრე კოსტანტინე მორწმუნისამდე თჳნიერ ამათსა, რომელნი აღწერილ არიან ჩუენ მიერ და არცა სხჳთა მიზეზითა პოვნილ არს ჯუარი ცხორების-მომცემელი.

და რამეთუ აგუსტოს კეისრისაჲთგან, რომლისა ზე იშვა უფალი ჩუენი ჯორცითა, ვიდრე კოსტანტინე მორწმუნისამდე ოცდაათხუთმეტნი მეფენი იცვალნეს ბერძენთა ზედა და ეგრეთვე იაკობ მოციქულისა, ძმისა უფლისა და პირველისა ეპისკოპოსისაჲთგან, ოცდაათხუთმეტნი ეპისკოპოსნი იცვალნეს იერუსალემსა ზედა, ვიდრე კჳრილე ეპისკოპოსისამდე და პატიოსნისა ჯუარისა ზეცით გამოჩინებამდე. ხოლო ღირ განახლებისა და კურთხევისაჲ წმიდათა და დიდებულთა ადგილთაჲ და აღპყრობისაჲ თაყუანის-საცემელისა პატიოსნისა ჯუარისაჲ განაწესეს წმიდათა მამათა ბრძანებითა სამეუფოჲთა, რაჲთა იყოს ერთგზის წელიწადსა შინა თთუესა სეკდენბერსა ათოთხმეტსა სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა საუკუნოდ.

აწ უკუე ვინაჲთგან მაღლითა ღმრთისაჲთა მოვიწიენით თქუმულთა ამათ სისრულესა და ვიდრე დღესასწაულადმდე უქმნელებისა ჩუენისა, რომელ არს გამოჩინებაჲ განმაცხოველებელისა ჯუარისაჲ, მსგავსად ძალისა ჩუენისა ვაქოთ და ვადიდოთ ძელი ცხორების-მომცემელი და მივსცეთ მას ხარებაჲ, ვითარცა იტყჳს წინაჲსწარმეტყუელი დავით: მაშინ იხარებდენ ყოველნი ხენი მაღნარისანი პირისაგან უფლისა, რამეთუ მოვალს (ფსალმუნნი 95, 12-13). და აწ ჩუენცა მის თანა ვიტყოდით და ვთქუათ:

გიხაროდენ, ჰ ჯუარო პატიოსანო! გიხაროდენ, რამეთუ შენ ზედა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე აღმაღლდა განგებულებითა მით, რომელსა შინა დაუნჯებულ არიან საფასენი ყოვლისა სიხარულისა და მხიარულებისანი.

გიხაროდენ, ძელო ცხორების-მომცემელო გიხაროდენ, რამეთუ შენ მიერ მოგუემადლა სიხარული, რომელი აღმოსცენდების მარადის ცათა შინა და ქუეყანასა ზედა.

გიხაროდენ, ჯუარო პატიოსანო, ცხორებისა სასოო, რამეთუ დამბადებელმან პირველითგან ყოველნი დაბადებულნი სახედ შენდა დაჰბადნა.

იხარებდ, ძელო ძლევაშემოსილო, რამეთუ ყოველნი ძალნი ზეცისანი იხარებენ ცხორებისათჳს შენ ძლით ყოფილისა და შესწირვენ ღმრთისა გალობასა შიშით დაუდუმებელად და დაუცადებელად ყოველსა ჟამსა.

გიხაროდენ, ჱ ჯუარო დიდებულო, რამეთუ შენ მიერ ქალაქთა და უდაბნოთა და ყოველთა ადგილთა ეკლესიანი მართლმადიდებელთანი დამყარებულ არიან.

გიხაროდენ, ჱ ძელო სადიდებელო, რამეთუ შენ მიერ აღეხუმიან ყოველნი პირნი მორწმუნეთანი აღმოთქუმად სიტყუათა საღმრთოთა.

გიხაროდენ, ჱ ჯუარო სამგზის სანატრელო, რამეთუ შენ მიერ ანგელოზნი ზეცისანი კაცთა თანა ქუეყანისათა მოხარულნი ადიდებენ ქრისტესა ღმერთსა, მაცხოვარსა ჩუენსა.

გიხაროდენ, ძელო საგალობელო, რამეთუ შენ მიერ ქუეყანისა კაცნი, ვითარცა ანგელოზნი, ცათა შინა მდგომარე არიან წინაშე ღმრთისა სიხარულითა გამოუთქუმელითა და ადიდებენ მარადის დამბადებელსა მათსა.

გიხაროდენ, ჱ ჯუარო საქებელო, რამეთუ შენ მიერ განთავისუფლდა ადამ წყევისაგან და მხიარული და განახლებული კუალად სამოთხედვე შევიდა და მოიღო პირველი იგი ნეტარებაჲ.

გიხაროდენ, ძელო წმიდაო და წმიდამყოფელო ყოველთაო, რამეთუ შენ ზედა დამშჭუალვითა ძისაჲთა სამებაჲ წმიდაჲ, სწორი ბუნებითა, ყოველსა ადგილსა იცნობა და ირწმუნა და იდიდა სამარადისოდ და უკუნისამდე.

გიხაროდენ, ჱ ჯუარო თაყუანის-საცემელო, რამეთუ შენ მიერ ყოველი სული, რომელსა ჰრწამს ქრისტე ჯუშმარიტებით, ცხონდების სამარადისოდ და უკუნისამდე.

გიხაროდენ, ძელო, ყოველთა მიერ აღმაღლებულო, რამეთუ შენ მიერ ყოველნი კეთილნი წარუვალნი მოცემულ არიან კაცთა ნათესავსა ჯერისაებრ.

აწ უკუე რავდენი ვთქუათ, ანუ რავდენი დავაცადოთ, ანუ ვითარ ვადიდოთ ძალი ჯუარისა დიდებულისაჲ?!

ეჰა, სახელი ჯუარისაჲ, რომელსა შინა დიდებულნი საიდუმლონი ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისანი დაფარულ არიან. ანგელოზთა პატივი არს და კაცთა დიდებაჲ. რაჲმე უკუე იყოს უსაწადელჱს სახელისა ჯუარისასა და უტკბილჱს შჯულისა ქრისტეანობისასა? ანუ რაჲმე იყოს უფროჲს სასწაულთა მყოფელ ჯუარისა და ჯუარცუმულისა?

ჯუარი ნიში არს ღმრთეებისა ძალისა საკჳრველთ-მოქმედისაჲ.

ჯუარი სიხარული არს ანგელოზთაჲ და მწუხარებაჲ ეშმაკთაჲ.

ჯუარი საფუძველი არს ეკლესიათაჲ და დამამჴობელი საკერპოთაჲ.

ჯუარი სანთელი არს ყოვლისა დაბადებულისაჲ და ნათელი სამარადისოჲ ყოვლისა განმანათლებელი.

ჯუარი ზღუდე არს შეურყეველი და გოდოლი დაურღუეველი.

ჯუარი სინათლე არს მღდელთაჲ და შუენიერებაჲ ერისაჲ.

ჯუარი სიქადული არს მეფეთაჲ და ძლიერებაჲ მფლობელთაჲ.

ჯუარი საჭურველი არს ძლიერთაჲ და ფარი მბრძოლთაჲ უძლეველი.

ჯუარი ჭური არს მჴედართაჲ, შეუძრწუნებელი წინა-აღმდგომთაგან.

ჯუარი მცველი არს ქალაქთაჲ და მფარველი ყოვლისა დაბნებისაჲ.

ჯუარი სიხარული არს მორწმუნეთაჲ და მწუხარებაჲ ურწმუნოთაჲ.

ჯუარი წარმომტყუენებელი არს ეშმაკთაჲ და ყოველთა მორჩილთა მისთაჲ.

ჯუარი საშინელებაჲ არს მტერთაჲ და განმაძლიერებელი მოყუარეთაჲ.

ჯუარი განმდევნელი არს ეშმაკთაჲ და მომწოდებელი ანგელოზთაჲ.

ჯუარი სასოჲ არს ქრისტეანეთაჲ და შემაძრწუნებელი უქრისტიანოთაჲ.

ჯუარი სიმტკიცე არს შჯულისაჲ და განმაქარვებელი წვალებისაჲ.

ჯუარი მკურნალი არს ჴელოვანი სულთა და ჯორცთაჲ.

ჯუარი ძალი არს უძლურთაჲ და ლხინებაჲ სნეულთაჲ.

ჯუარი ნავთ-საყუდელი არს მენავეთაჲ და მაცხოვარი ღელვა-გუემულთაჲ.

ჯუარი მშჯდობაჲ არს ზარ-განჯდილთაჲ და სასოჲ განწირულთაჲ.

ჯუარი მცველი არს მტერთაგან და მფარველი მოძულეთაგან.

ჯუარი სიქადული არს მართლმადიდებელთაჲ და სატანჯველი მწვალებელთაჲ.

ჯუარი დამჴსნელი არს კერპთ-მსახურებისაჲ და შემწე კეთილად-მსახურებისაჲ.

ჯუარი მოძღუარი არს უბიწოთაჲ და მასწავლელი შეცთომილთაჲ.

ჯუარი მცველი არს ქალწულთაჲ და სიმტკიცე მოსავთა მისთაჲ.

ჯუარი სიმჴნე არს მართალთაჲ და სინანული ცოდვილთაჲ.

ჯუარი სამკაული არს მონაზონთაჲ და შუენიერებაჲ კეთილად ცხორებულთაჲ.

ჯუარი მზრდელი არს ჩჩჳლთაჲ და თანა-მავალი ჭაბუკთაჲ.

ჯუარი სასოჲ არს ყრმათაჲ და კუერთხი მოხუცებულთაჲ.

ჯუარი საფასე არს გლახაკთაჲ მოუკლებელი და მასწავლელი მდიდართაჲ დაუცადებელი.

ჯუარი გზაჲ არს შეცთომილთაი და მომაქცეველი წარწყმედულთაჲ.

ჯუარი — განმსუენებელი მაშურალთაჲ და სიმტკიცე ძლიერთაჲ.

ჯუარი თანა-მავალი არს მორწმუნეთაჲ დღისი და მცველი ღმრთის-მსახურთაჲ ღამე.

ჯუარი წინამძღუარი არს მღვძარეთაჲ და მფარველი მძინარეთაჲ.

ჯუარი გზაჲ არს საღმრთოჲ, მიმყვანებელი სამოთხედ.

ჯუარი ბეჭედი არს ღმრთისაჲ, სიქადული ქრისტჱს მორწმუნეთაჲ.

ჯუარი ტაბლაჲ არს მშიერთაჲ და განმაძღებელი ქრისტჱს მორწმუნეთაჲ.

ჯუარი წესი არს კეთილისაჲ მორწმუნეთათჳს და ყოვლისა სოფლისა სიღრმე დაწყნარებისაჲ.

აწ უკუე რავდენი ვთქუათ, ანუ რავდენი დავაცადოთ, ანუ ვითარ გადიდოთ შენ, ჶ ჯუარო პატიოსანო, ცხორება-შემოსილო? რამეთუ შენ მხოლოჲ ყოველთა დაბადებულთაგან მეუფემან დიდებისამან გყო საჭურველად უძლეველად მტერთა მიმართ, ეშმაკთა და ცოდვისა და სიკუდილისა. ამისთჳს ნეტარ ვართ ჩუენ ყოველნი, რომელნი ღირს ვიქმნენით ხილვად დღესა მას წინა-აღპყრობისა შენისა წმიდისასა.

შენ ხარ ქადაგებული წინაჲსწარმეტყუელთაჲ, შენდამი იხარებენ ყოვლადვე, ღაღადებენ ღმრთისა მიმართ და იტყჳან: მოგუეც სასწაული მოშიშთა შენთა, რაჲთა განვერნეთ პირსა მშჳლდისასა.

შენ ხარ სიქადული მოციქულთაჲ, რამეთუ იგინი დაუცხრომელად ღაღადებენ წმიდასა შინა ეკლესიასა ქადაგებითა მათითა მხოლოჲთა წმიდითა და იტყჳან: ხოლო ჩუენდა ნუ იყოფინ სიქადულ, გარნა ჯუარითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა.

შენ ხარ გჳრგჳნი მორწმუნეთაჲ, რომელთა ჯუარი აღიღეს და მსწრაფლ შეუდგეს უფალსა თჳსსა.

შენ ხარ სიხარული და სიქადული მათი, რომელნი მკჳდრ არიან მთათა და ქუაბთა და ნაპრალთა ქუეყანისათა სახელისათჳს ღმრთისა, რამეთუ მათ ჯორცნი მათნი ჯუარს-აცუნეს ვნებითურთ და ტკივილით.

შენ ხარ მახლობელთა და შორიელთა დაწყნარებაჲ და განსუენებაჲ.

ეჰა, სიხარული ჯუარისამიერი, რომელი გამოუთქუმელ არს.

ეჰა, საიდუმლოჲ მისი, რომელი მიუწდომელ არს და ვიტყჳ მეცა განკჳრვებით საყჳრსა თანა საღმრთოსა და ნესტუსა სულიერსა — წმიდასა პავლეს მოციქულსა.

ეჰა, სიღრმჱ და სიმდიდრჱ მრავალფერისა მის მეცნიერებისა ღმრთისაჲ, რამეთუ სიბრძნენი მისნი გამოუკულეველ არიან.

ხისა მიერ ცხორებისა მოვკუედით და ძელისა მიერ სიკუდილისაგან ცხოველ ვიქმნენით და მადლითა ღმრთისაჲთა ვიჴსნენით, რომელი აღურაცხელ არს. ამისთჳს ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა ვყოთ დღე ესე დღესასწაულად სიხარულისად, ჟამსა ყუავილისასა, კიდემდე საკურთხეველისა. ესე ჟამი არს ყუავილისაჲ, რომელნი უდებებით და დაძუელებით შებაყლებულ არიან ცოდვითა.

აწ განახლებით და მოსწრაფებით შეიმკჳნენ დიდებულად და განცხრომად მათ თანა, რომელნი განსცხრებიან დღესა ქორწილისასა და იხარებენ მხიარულებით ყოვლითა გულითა.

აწ მოვედით და მოვიღოთ ბრძანებისაებრ და განვაგდოთ უდებებით დაჴსნაჲ გონებისა ჩუენისაჲ და სრულ ვიქმნეთ მოჴსენებითა დღისა ამის სადიდებელისაჲთა დღესასწაულითა ცხოველს-მყოფელისა ჯუარისაჲთა.

წინაჲსწარმეტყუელებითა და სარწმუნოებითა, ვითარცა წიგნი იტყჳს, განვიბანნეთ ცოდვანი და მოვიღოთ კადნიერებაჲ და ავიღოთ ბეჭთა ჩუენთა ზედა საჭურველი უძლეველი ცხოველს-მყოფელი ჯუარი, რომელი ზეგარდამო შევიწყნარეთ დასაწყნარებელად და დასამშჯდებელად ყოვლისა რისხვისა და ღაღად-ვყოთ ღმრთისა მიმართ ჩუელებისაებრ გალობისა ანგელოზთაჲსა: წმიდა არს უფალი, წმიდა არს ძლიერი, წმიდა არს უკუდავი უკუნისამდე და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

ჰ წმიდაო სამებაო, მიუწდომელო და გარე-შეუწერელო და გამოუთქუმელო, სწორო ბუნებითა და მოსაყდრებითა და ჟამითა და დიდებითა, შეგჳწყალენ ჩუენ, უღირსნი ესე და შეგჳნდჳენ შეცოდებანი ჩუენნი, და ნუ დაგუშჯი უშჯულოებათა ჩუენთათჳს. და ნუ მარცხუენ კადნიერად წარმდებებისათჳს და რომელ-ესე

ჴელ-ვყავ უცებმან უმეცრებასა შინა ჩემსა — ნაკლული ესე ქებაჲ პატიოსნისა ჯუარისაჲ, არამედ შეიწირე, ვითარცა ხარკი თანა-მდები, უძლურისა მოსესხისაჲ ნაკლულებით გარდაკდილი და მიიღე შესხმაჲ ესე, მსგავსი უძლურებისა ჩემისაჲ. და მომეც მე მადლი მსგავსი სახიერებისა და ძლიერებისა შენისაჲ და დაიცვენ ყოველნი მოსავნი სახელისა შენისა წმიდისანი და მოგუეც პოვნად წყალობაჲ და სახიერებაჲ შენი დღესა მას მიგებისა შენისასა სამართლად. რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩუენი და შენდა შუენის, მამაო და ძეო და სულო წმიდაო, დიდებაჲ და პატივი და თაყუანის-ცემაჲ უწინარეს საუკუნეთა და აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

წმიდა იოანე დამასკელი
საუფლოჲსა ჯუარისათჳს, რომელსა შინა არს და სარწმუნოებისათჳსცა*

„სიტყუაჲ იგი ჯუარისაჲ წარწყმედულთა მათთჳს, სიცოფე არს, ხოლო ჩუენ, ცხოვნებულთა ამათთჳს, ძალ ღმრთისა არს“ (1 კორ. 1, 23). „რამეთუ სულიერი ყოველსავე განიკითხავს, ხოლო მშჯნვიერი კაცი არარას შეიწყნარებს სულისასა“ (1 კორ. 2, 15). რამეთუ სიცოფე არს არა სარწმუნოებით შემწყნარებლობაჲ და ორგულებაჲ სახიერებათა მიმართ და ყოვლისა შემძლებელობათა ღმრთისათა, არამედ კაცობრივითა და ბუნებითითა გულის-სიტყჳთა გამოძიებაჲ საღმრთოთა საქმეთაჲ, რამეთუ ღმრთისა საქმენი ყოველნი უზეშთაეს არიან ბუნებისა და სიტყჳსა და ცნობისა. და უკუეთუ ვინმე გულს-ეტყოდის, ვითარმედ: ვითარ არარისაგან არსად მოყვანებულ ვიქმნენით და თუ რაჲსათჳს დაჰბადა ღმერთმან ყოველი, ამათ ესევითართა უკუეთუ ბუნებითითა გულის-სიტყჳთა მიწდომაჲ ენებოს, ვერ მისწუთების, რამეთუ მშჯნვიერ არს ესევითარი იგი ცნობაჲ და საეშმაკო, ხოლო უკუეთუ ვინმე სარწმუნოებისა მიერ ჴელპყრობილ იქმნეს განცდად სახიერებასა და ყოვლისა შემძლებელობასა და ჭეშმარიტებასა და სიბრძნესა და სიმართლესა ღმრთისასა, ეპოოს მას ყოველივე ველ და ვაკე და გზა წრფელ, რამეთუ თჳნიერ სარწმუნოებისა შეუძლებელ არს ცხოვნებაჲ (ებრ. 11, 6), ვინაჲთგან სარწმუნოებაჲ არს შემომკრებელ ყოველთაჲვე საღმრთოთა და კაცობრივთა საქმეთა, რამეთუ ვერცა მუშაკი თჳნიერ სარწმუნოებისა განაპებს ორნატთა ქუეყანისათა, ვერცა ვაჭარი მცირითა ძელითა შეჰკადრებს მიცემად სულსა თჳსსა სიღრმეთა ზღჳსა მძჯნვარისათა, ვერ იქმნებიან ქორწინებანი, ვერცა სხუანი რაჲ ცხორებისა ამის განგებულებანი. სარწმუნოებით ვსცნობთ ყოველისავე ამის არაარსისაგან არსად

* იბეჭდება გამოცემიდან წმიდა იოანე დამასკელი, „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“, გვ. 239-243.
ახალქართულად ტექსტი იხ. გვ.287.

ღმრთისა მიერ მოყვანებასა ძლიერებითა მით ყოვლისა შემძლებელობისა მისისაჲთა და ყოველსავე საღმრთოსა და კაცობრივსა სარწმუნოებით წარვჰმართებთ. ხოლო სარწმუნოებაჲ არს გამოუძიებელი დაჯერებაჲ საქმეთაჲ.

ვინაჲცა დაღაცათუ ყოველნი საქმენი და საკჳრველებანი ქრისტესნი დიდ არიან და საღმრთო და საკჳრველ, არამედ ყოველთა უსაკჳრველეს არს პატიოსანი ჯუარი. რამეთუ რაჲთა სხჳთა განქარდა სიკუდილი, ანუ რაჲთა დაჰჴსნდა პირველისა მის მამისა ცოდვაჲ და ჯოჯოხეთი წარმოიტყუენა და მოგუეცა შეურაცხ-ყოფაჲ არა ხოლო საწუთროჲსა, არამედ სიკუდილისაჲცა, ანუ რაჲთა წარემართა პირველადვე ნეტარებად აღსლვაჲ და ბჭეთა სამოთხისათა განხუმაჲ, ანუ ბუნებისა ჩუენისა მარჯუენით ღმრთისა დაჯდომაჲ, შვილ ღმრთისა და თანა-მკჳდრ მისსა ქმნაჲ, — ანუ არა ჯუარითაა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რამეთუ მის მიერ ესე ყოველი წარემართა? რომლისათჳს იტყჳს მოციქული, ვითარმედ: „რაოდენთა ნათელვიღეთ ქრისტეს მიმართ, სიკუდილისა მისისა მიმართ ნათელვიღეთ“ (რომ. 16, 3). და რაოდენთა ქრისტეს მიმართ ნათელვიღეთ, ქრისტე შევიმოსეთ (გალატ. 3, 27), რამეთუ ქრისტე არს ძალი და სიბრძნე ღმრთისაჲ (1 კორ. 1, 24). აჰა, ესერა სიკუდილმან ქრისტესმან, რომელი იქმნა ჯუარითა, გუამოვანი იგი სიბრძნე და ძალი ღმრთისაჲ შეგუმოსა ჩუენ, რამეთუ ძალ ღმრთისა არს სიტყუაჲ იგი ჯუარისაჲ, ესე იგი არს, რამეთუ მის მიერ განმეცხადა ჩუენ ძლევაჲ სიკუდილისაჲ და ვითარმედ ძლიერ არს ღმერთი. და გინა თუ ამითცა, რამეთუ ვითარცა ოთხნი კიდენი ჯუარისანი საშუაგალისა მისგან სამშჭულისა იპყრობებიან და შეიკრვიან, ეგრეთვე ძლიერებითა ღმრთისაჲთა იცვებიან და იპყრობებიან სიმაღლე და სიღრმე, სიგრძე და სივრცე. ესე იგი არიან ყოველნივე ხილულნი და უხილავნი დაბადებულნი.

ესე სასწაული მოეცა შუბლთა ჩუენთა, ვითარ სახედ წინადაცუეთაჲ — ისრაჱლთა, რაჲთა არა მის მიერ მორწმუნენი ურწმუნოთაგან განვიყოფებოდით და შევისწავებოდით. ესე არს ფარ და საჭურველ, დასაძლეველ მტერისა. ესევე არს ბეჭედ, რაჲთა არა შემეხოს ჩუენ მომსრველი, სიტყჳსაებრ წერილისა

(გამოსლვათა 9, 12). ესე არს მდებარეთა აღდგომაჲ, მდგომარეთა სიმტკიცე, უძლურთა კუერთხი, მწყემსთა არგანი, ჴელისაღმპყრობელი მოქცევადთაჲ, სრულებაჲ წარმართებულთაჲ, საცხორებელი სულთა და ჯორცთაჲ, ყოველთა ბოროტთა გარემიმაქცეველი, ყოველთა კეთილთა მომატყუებელი, ცოდვათა მომსპოლველი, ნერგი აღდგომისაჲ, ხე ცხორებისა საუკუნოჲსაჲ.

ესე პატიოსანი ძელი ჭეშმარიტად სამსახურებელ და პატიოსან არს, რომელსა ზედა მსხუერპლად ჩვენთჳს შეწირა ქრისტემან თავი თჳსი, ამისთჳსცა შუენის მას ჯეროვანი თაყუანის-ცემაჲ, ვითარცა წმიდა-ქმნულსა შეხებითა წმიდათა მათ ჯორცთა და სისხლისაჲთა. და მისთანავე თაყუანის-იცემებოდენ სამშჭუალნი და ლახუარი და ყოველნი იგი დიდებულნი შესამოსელნი და უდიდებულესნი საყოფელნი უფლისა ჩუენისანი, ესე იგი არიან: ბაგაჲ და ქუაბი, გოლგოთაჲ და ჯუარი, ცხოველს-მყოფელი საფლავი და მწუერვალ-ქალაქი იგი ეკლესიათა მთავრობისაჲ სიონი, და მსგავსადვე მისსა ყოველნი ეკლესიანი, ვითარცა იტყჳს წინაასწარმეტყუელი დავით: „შევიდეთ საყოფელთა მისთა, თაყუანის-ვსცეთ ადგილსა მას, სადა დადგეს ფერჴნი მისნი“ (ფსალმუნნი 31, 7). ხოლო რამეთუ ჯუარსა იტყჳს, ცხად არს შემდგომისა სიტყჳსაგან: „აღდეგო განსასუენებელად შენდა“ (ფსალმუნნი 8, 15), რამეთუ ჯუარს-ცუმასა შეუდგს აღდგომაჲ. და უკუეთუ ტრფიალთათჳს სასურველ არს ერთი-ერთისა ცხედარი და სახლი და შესამოსელი, რაოდენ უფროჲს ჩუენდა ღმრთისა და მაცხოვარისა ჩუენისაჲ, რომლისა მიერ ვცხონდით?

ვინაჲცა თაყუანის-ვსცემთ სახესა ცხოველს-მყოფელისა ჯუარისასა, და(ღა)ცათუ არა ძელისაჲ იყოს, არამედ სხჳსა ნივთისაჲ, რამეთუ არა თუ ნივთსა პატივ-სცემთ, ნუ იყოფინ, არამედ სახესა ოდენ, ვითარცა ქრისტეს ნიშსა და სასწაულსა მისსა, ვითარ-იგი თჳთ თავადმან ჰრქუა მოწაფეთა: „მაშინ გამოჩნდეს სასწაული ძისა კაცისაჲ ცათა შინა“ (მათე 24, 30). ცხად არს, ვითარმედ ჯუარსა იტყჳს, ვინაჲცა დედათა ეტყოდა მახარებელი იგი და ქადაგი აღდგომისაჲ: „იესუს ეძიებთ ნაზარეველსა, ჯუარცუმულსა?“ (მარკოზი 16, 6). და მოციქული

იტყჳს: „ხოლო ჩუენ ვქადაგებთ ქრისტესა ჯუარცუმულსა“ (1 კორ. 1, 23). მრავალ უკუე იყუნეს ქრისტენი, რომელ არიან ცხებულნი, და მრავალ იესონი, არამედ ერთ არს ჯუარცუმული იგი, ვინაჲცა არა თქუა მოციქულმან, ვითარმედ: იესუს განგუმერილსა, არამედ ჯუარცუმულსაო.

და ამით გამოჩნდების, ვითარმედ არა ნივთსა ვჰმსახურებთ, არამედ სახესა ოდენ ჯუარისასა და სასწაულსა ძისა კაცისასა, რამეთუ, ვიდრემდის სახე ჯუარისაჲ იყოს, თაყუანის-ვსცემთ, ხოლო რაჟამს დაჴსნას სახისა მისგან ნივთი იგი ჯუარისაჲ, დაღაცათუ ოქროჲ იყოს ანუ თუალნი პატიოსანნი, მიერითგან არღაცა თაყუანის-ვსცემთ და ნუმცაღა ვინ თაყუანის-სცემს. ხოლო ჩუენ ყოველსავე, რაჲცა რაჲ შეხებულ არს საღმრთოთა მათ და საუფლოთა ჯორცთა, და ზოგად თაყუანის-ვსცემთ.

ესე პატიოსანი ჯუარი წინა-გამოსახა ხემან მან ცხორებისამან, სამოთხეს შინა ღმრთისა მიერ დანერგულმან. რამეთუ ვინაჲთგან ძელისა მიერ იქმნა სიკუდილი (შესაქმე თ. 2-3), ჯერ-იყო, რაჲთა ძელისა მიერვე მოგუენიჭოს ცხორებაჲ და აღდგომაჲ, და კუალად, იაკობ წუერსა მას ზედა კუერთხისასა თაყუანის-სცა და შეცვალებით დასხმითა ჴელთაჲთა აკურთხნა ძენი იოსებისნი (შესაქმე 47, 31) და ორთავე ამით სახე და პატივი ჯუარისაჲ გამოსახა (შეაქმე 48, 14). ხოლო კუერთხმან მოსესმან ჯუარის სახედ ცემითა ზღუასა ისრაჱლი განარინა და ფარაო დაანთქა (გამოსლვათა 17, 16). და კუალად, მოსე ჯუარის სახედ განპყრობითა ჴელთაჲთა მძლე ექმნა ამალეკსა (გამოსლვათა 14, 11). და ეგრეთვე, ძელითა წყალნი დატკბებოდის (გამოსლვათა 15, 25) და კლდენი განიპებოდის და წყარონი აღმოეცენებოდის (გამოსლვათა 17, 6). და კუერთხი აჰრონისი მღდელთ-მთავრობისა პატივისა მაუწყებელ იყო (რიცხუთა 17, 8-9). და გუელი ძელსა ზედა განჭიქებული (რიცხუთა 21, 9), ვითარცა ძელითა მომკუდარი, აცხოვნებდა ხედვით მოკლულთა მათ მტერისა მიერ და არწმუნებდა, ვითარმედ ქრისტე, ჯორცითა მით ცოდვისაჲთა ძელსა ზედა დამშჭუალულმან, ცოდვაჲ არასადა ქმნა. ვინაჲცა მოსე დიდმან ესრეთ თქუა, ვითარმედ: „ხედვიდეთ ცხორებასა თქუენსა დამოკიდებულად წინაშე თუ-

ალთა თქუენთა და არა გრწმენეს“ (2 შჯული 28, 66). და ესაია შესძინა, ვითარმედ: „ყოველსა დღესა განვიპყრენ ჴელნი ჩემნი ერისა მიმართ ურწმუნოჲსა და წინა-აღმდგომისა“ (ესაია 15, 2). ამით უკუე და სხჳთა უმრავლესითა სახითა წინა-მოსწავებულ არს სახე ჯუარისაჲ, რომლისა თაყუანის-მცემელთა მოგჳღიეს-მცა ნაწილი ქრისტეს ჩუენთჳს ჯუარცუმულისაჲ. ამინ!

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები“. კიტი მაჩაბელი;
2. ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკა (X-XIV სს ხელნაწერების მიხედვით), თამილა მგალობლიშვილი, თბ., 1978;
3. ამბროსი ნეკრესელი, ქადაგებანი. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო დეკანოზმა მიქაელ ჭაბაშვილმა. თბ., გამომცემლობა „ზეკარი“, 2003;
4. “ანანური”, გამოსაცემად მოამზადა ეკ. კვაჭატაძემ, თბილისი, 2012 წ.;
5. ახალი აღთქუმაჲ (დანართით). შემდგენელ-გამომცემელი მღვდელი გიორგი სამსონიძე. თბ., 2003;
6. ბიბლია. თბილისი, გამომცემლობა „პალიტრა“, 2013;
7. განმარტება იოანეს სახარებისა, წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანი წმ. ექვთიმე მთაწმიდელისა, ტ.II., გამომცემლები: გელა აროშვილი, ზურაბ აროშვილი. თბ., 1993;
8. გიორგი მთაწმინდელის თვენი (სექტემბერი), ძველი ქართული მწერლობის ძეგლები IX, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, გამოსცა, გამოკვლევა, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო ლალი ჯღამაიამ. თბ., გამომცემლობა „ნათლისმცემელი“, 2007;
9. იოანე მინჩხის პოეზია. ძველი ქართული მწერლობის ძეგლები X; გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლელა ხაჩიძემ; თბ., 1987;
10. მცხეთური ხელნაწერი, გამომცემელი ელ. დოჩანაშვილი. თბ., გამომაცემლობა „მეცნიერება“, 1981;
11. ნიკოდიმოსის აპოკრიფული წიგნის ქართული ვერსია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვ. და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ. თბ., მეცნიერება, 1985;
12. პავლეს ეპისტოლეთა განმარტება. გამომცემელი ექვ-

თიმე კოჭლამაზაშვილი, საქართველოს საპატრიარქო, თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. თბ., 2003;
13. „სამოციქულოს განმარტება“ გამოკრებილი იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭისძის) მიერ, II., გამომცემელი ექვთიმე კოჭლამაზაშვილი. საქართველოს საპატრიარქოს თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.თბ., 2006;
14. სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ივ. ჯავახიშვილი, თბ., 1947;
15. სინური მრავალთავი, — ძველი ქართული ენის კათედრის შრომები 5, — გამომცემელი აკ. შანიძე. თბილისი, 1959;
16. ტრიოდიონი (მარხვანი), რომელ არს სამსაგალობელი, სტამბა ექვთიმე ხელაძისა, ტფილისი. 1901;
17. უდაბნოს მრავალთავი. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები 28, აკ. შანიძისა და ზ. ჭუმბურიძის რედაქციით. თბ., 1994;
18. უძველესი იადგარი. გამომცემლები: ელ. მეტრეველი, ც. ჭანკიევი, ლ. ხევსურიანი. თბილისი, „მეცნიერება“, 1980;
19. ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა.ქუთაისი, ტ. I., გამოცემა მეოთხე, 1913; თბ., გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1989;
20. „ქართული ქრისტიანული ხელოვნება“, საქ. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო; გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ეროვნული ცენტრი, თბ., 2008 წ.;
21. ძველი ქართული მწერლობის ძეგლები VII; ძველი მეტაფრასული კრებულები, სექტემბრის საკითხავები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და

საძიებლები დაურთო ნარგიზა გოგუაძემ, თბ., „მეცნიერება“, 1986;
22. „ძველი ქართული ხუროთმოძღვრება“, ვ. ბერიძე; თბ., გამომცემლობა „ხელოვნება“ , 1974წ.;
23. წმ. იოანე დამასკელი, „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა. ძველი ბერძნულიდან თარგმნა ედიშერ ჭელიძემ, თბ., 2000წ.;
24. წმ. იოანე ოქროპირი, „თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ,“ წიგნი III, გამომცემელი ვლ. წამალაშვილი, რედ. მზექალა შანიძე, თბ., 1998.;
25. Памятники христианской иконографии и искусства, Н. Покровский, С-Петербургь, 1900.
26. Т.С.Шевякова монументальная живопись раннего средневековья грузии. 1983.
27. Maxsime le Confesseur .Vie de la Vierge. Scriptores Iberici. Tomus 21. Lovani. 1986.

http://www.pravoslavie.ru
http://aliom.orthodoxy.ru
http://www.pravoslavie.ru/jurnal/070625152855.htm
http://alexandrtrofimov.ru/?p=1694
http://www.ruicon.ru/arts-new

ილუსტრაციების სია:

1. ჯვრის ამაღლება, მცხეთის ჯვრის ტაძრის სამხრეთი ფასადი, რელიეფი, 586-604 წწ. იბეჭდება გამოცემიდან — „ქართული ქრისტიანული ხელოვნება“, თბილისი, 2008; გვ. 79.;
2. განედლებული ჯვარი, აკვანება, რელიეფი ტაძრის შესასვლელთან, VI ს., იბეჭდება გამოცემიდან: ვ. ბერიძე, „ძველი ქართული ხუროთმოძღვრება“, თბ., 1974;
3. ჯვრის ამაღლება ანგელოზების მიერ, რავენა, სან ვიტალეს ეკლესია, მოზაიკა, VI ს.;
4. სარკოფაგი ქრისტეს მონოგრამის გამოსახულებით, IV საუკუნე, ვატიკანი;
5. არქიეპისკოპოს თეოდორეს სარკოფაგი ქრისტიანული მონოგრამებით, იტალია, რავენა, სანტ აპოლინარე ინ კლასე, VII ს.;
6. ჯვარი იესო ქრისტეს შარავანდში. ფრაგმენტი წმ. პეტრე მოციქულის ხატიდან, სინას მთა, VII ს.;
7. ქრისტე ჯვრული შარავანდით, იტალია, რავენა, სან ვიტალეს ტაძრის აფსიდი, 528-547 წწ.;
8. ფრესკა „აბრაამის მსხვერპლშეწირვა“, რომის კატაკომბების მოხატულობა;
9. ფრესკა „დანიელი ლომთა ხაროში“, რომის კატაკომბების მოხატულობა;
10. ჯვარი. სამარხის ფილა. ეგვიპტე. ალექსანდრია, V ს. მასალა: ქვა, ალექსანდრიის ეროვნული მუზეუმი;
11. გამშვენებული ჯვარი, სარკოფაგის რელიეფი, XIII-XIV ს., იტალია;
12. ჯვარცმა, წმინდა საბინას ტაძრის ხის კარი, რელიეფი, 432 წელი;
13. ანანურის ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთი ფასადის რელიეფური დეკორი, XVII ს., იბეჭდება გამოცემიდან „ანანური“, თბილისი, 2012 წ.;
14. კვადროფოლიუმი ჯვარცმის გამოსახულებით, ხახულის კარედი, VIII ს. ქართული ხელობა.;

15. ჯვარცმა. მინიატურა, 586 წ., რაბულას კოდექსი;
16. ჯვარცმა ოვალურ რელიკვარიუმზე; X ს. ბიზანტიური ხელობა;
17. ჯვარცმა, ფრაგმენტი ბიზანტიური ფერწერული ხატისა, IX ს., ვატიკანი;
18. დავით გარეჯის მონასტერი, საბერეები 7, ჩრდილოეთ კედელი, 10 საუკუნე. იბეჭდება გამოცემიდან Т.С.Шевякова монументальная живопись раннего средневековья грузии. 1983;
19. ჯვრის თაყვანისცემა, სამწევრისის სტელა, V-VI სს. მიჯნა, ქხსმ. იბეჭდება გამოცემიდან „ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები“. კიტი მაჩაბელი, ტაბ.I;
20. ჯვარცმა, ბიზანტიური ხელნაწერი 850 წ. (ხლუდოვის) ფსალმუნნი;
21. ჯვარი, ტაძრის ინტერიერის მოხატულობა, კაპადოკია, VIII-IX ს.;
22. ჯვარცმა, ტემპერა, VIII ს., სინას მთა;
23. ჯვრის დიდება, კამეა, ახლო აღმოსავლეთი, იორდანია, VI ს., წარწერით „ძალნი“;
24. ხატი „ჯვრის განდიდება“, ხელთუქმნელის ხატის უკანა მხარე XII ს., ნოვგოროდის სკოლა;
25. იუსტინიანე II-ის ჯვარი ცენტრში წმინდა კრავის გამოსახულებით;
26. ჯვარი მაცხოვრის, პეტრე და პავლე მოციქულების გამოსახულებით, ბიზანტია VI ს., სარდიონი;
27. ჯვრის განდიდება, ანგელოზნი ჯვრის წინაშე სამოთხეში, სირია VI საუკუნე, მოოქროვილი ვერცხლი;
28. ჯვარი მანდორლაში, ფერისცვალება, მოზაიკა, რავენა, სანტ აპოლინარე ინ კლასსე, საკურთხევლის აფსიდი, VI ს.;
29. ჯვარცმა, მოზაიკა სან კლემენტეს ტაძრის საკურთხეველში, რომი, XII ს.;

30. მაკურთხეველი მარჯვენა ჯვრისა და ცის ფონზე, საბერძნეთი, XII ს., ჰოსიოს ლუკას მონასტერი, სამხრეთ-დასავლეთი მკლავი;
31. ჯვარი და მახარებელთა გამოსახულებები, რავენა, გალა პლაციდია, V ს.;
32. ჯვარი. მოზაიკა, სან პუდენციანას ტაძრის საკურთხეველი, რომი, V ს.;
33. ჯვრის ამაღლება, ვარძიის ღვთისმშობლის ტაძრის გალერეის ჭერის მოხატულობა, XIII ს., იბეჭდება გამოცემიდან „ქართული ქრისტიანული ხელოვნება“, თბილისი, 2008; გვ.185.
34. ჯვრის დიდება, ტიმოთესუბნის ღვთისმშობლის ტაძრის გუმბათის მოხატულობა, XIII ს., იბეჭდება გამოცემიდან „ქართული ქრისტიანული ხელოვნება“, თბილისი, 2008; გვ.191;
35. ჯვრის დიდება, იშხნის გუმბათის მოხატულობა, XI ს., იბეჭდება გამოცემიდან „ქართული ქრისტიანული ხელოვნება“, თბ., 2008; გვ. 119;
36. ჯვრის ამაღლება. მინიატურა, ათონის ივერონის მონასტრის დედანი, XV ს.;
37. ჯვარცმა, ტოკალის ტაძრის საკურთხევლის აფსიდის მოხატულობა, გიორემე, კაპადოკია, XIII საუკუნე.
38. ჯვარცმა, წმ. კონსტანტინე და ელენეს გამოსახულებით, კარედის ნაწილი, ბიზანტია X ს.;
39. სახარების გარეყდა ტრიუმფალური ჯვრით., V ს., რელიეფი;
40. ჯვარცმა, სახარების გარეყდა, რელიეფი, IX ს.;
41. ჯვარცმა, სპილოს ძვლის ტრიპტიქონი, კონსტანტინეპოლი X ს.;
42. ჯვარცმა, სახარების გარეყდა, IX ს., სპილოს ძვალი;
43. ჯვარცმა, ფერწერული ხატი, სინას მთა, XIII ს.;
44. ჯვარცმა, ფერწერული ხატი, სინას მთა, XIII ს.;
45. ჯვარცმა, იშხანი, XI ს., იბეჭდება გამოცემიდან „ქართული ქრისტიანული ხელოვნება“, თბ., 2008; გვ. 120;

46. ჯვარცმა, შემოქმედის მონასტერი, მთავარეპისკოპოსის კვერთხის ნაწილი, მინანქარი, X ს.;
47. გარდამოხსნა, ნაქარგობა, XIV ს.;
48. ჯვარცმა. ფერწერული ხატი, რუსეთი, ფსკოვის სკოლა. XVI ს.;
49. ხატი მაცხოვრის ვნების სცენებით, თესალონიკი, XIV ს.;
50. ჯვარცმა, ფრესკა, ბიზანტია, მეტეორას მონასტერი, 1483 წ.;
51. მოლდავური ხატი „ჯვრის ამაღლება“, XVII ს.;
52. ჯვარცმა. რუსული ხატი, ტემპერა, XVI ს.;
53. ჯვარცმა, ხატი, რუსეთი, დიონისე, 1500 წ. მოსკოვი.
54. ჯვრის ამაღლება. ხატი XV ს. ნოვგოროდის სკოლა.
55. წმ. კონსტანტინე და ელენე, ფრესკა, მოზაიკა, საბერძნეთი, ჰოსიოს ლუკასი XI ს-ის I ნახევარი;
56. ჯვრის ამაღლება და წმ. მარიამ ეგვიპტელის მოქცევა, ფრესკა, საბერძნეთი, XVI ს., თეოფანე კრიტელი ოსტატი;
57. წმინდა ჯვრის პოვნა. ტრიპტიქონის უკანა მხარე. პატმოსი, წმ. იოანე ღვთისმეტყველის მონასტერი, 1596 წ.

ჯვარცმა.....5
თეიმურაზ ბუაძე
/ღვთისმეტყველების მეცნიერებათა დოქტორი/

ჯვარი 13
ზურაბ ეკალაძე /თეოლოგი/

წმინდა წერილი

წმინდა წერილიდან გამოკრებილი საკითხავები
საწინასწარმეტყველონი.....19
სამოციქულო.....23
სახარება 27

სამოციქულოს განმარტება
წმინდა პავლე მოციქულის ეპისტოლე
გალატელთა მიმართ 45
/მოამზადა თამარ ილურიძემ/
წმიდა პავლე მოციქულის ეპისტოლე რომაელთა მიმართ ..48
/მოამზადა ნინო გაგოშაშვილმა/
წმიდა პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლე
კორინთელთა მიმართ.....50
/მოამზადა თამარ ილურიძემ/

მათეს სახარება. წმინდა იოანე ოქროპირის განმარტება ...61
/მოამზადა თამარ ილურიძემ/

იოანეს სახარება.წმინდა იოანე ოქროპირის განმარტება...102
/მოამზადა თამარ ილურიძემ/

ქადაგებანი

წმინდა პარასკევის საკითხავები
წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვა აღდგომის სახისმეტყველების შესახებ.....119
/მოამზადა ნინო გაგოშაშვილმა/
კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოს წმინდა იოანესაგან თქმულიქრისტეს ჯვარისა და მორწმუნე ავაზაკის შესახებ.....126
/მოამზადა ნინო გაგოშაშვილმა/
წმინდა იოანე ოქროპირი
სიტყვა, თქმული იოანე მთავარეპისკოპოსისა ჯვრისათვის.....130
/მოამზადა ნინო გაგოშაშვილმა/
წმინდა იოანე ოქროპირი
სიტყვა, თქმული აღდგომის პარასკევსა და შაბათს 135
/მოამზადა ნინო გაგოშაშვილმა/
დიდი პარასკევის საკითხავი
წმინდა თეოდორე სტუდიელი.....137
/მოამზადა ზურაბ ეკალაძემ/
ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს ვნებისა და სიკვდილის მოსახსენიებელი საკითხავი, ნათქვამი ებრაელ რჯულისმცოდნეთა კრებულის წევრის, ანანიას მიერ 141
/მოამზადა თამარ ილურიძემ/
პილატეს მიერ გამოტანილი
იესოს სასიკვდილო განაჩენი 149
/მოამზადა თამარ ილურიძემ/
წმინდა მაქსიმე აღმსარებელი
ღვთისმშობლის ცხოვრება.....161
/მოამზადა თინათინ გოგოჩაშვილმა/
ამბროსი ნეკრესლის სიტყვა ვნების პარასკევს 171
წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე)
(1) სიტყვა დიდ პარასკევს ჯვარცმის გარდამოხსნაზე..... 181

წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე)
(2) ნაცვლად ქადაგებისა ლოცვა
თქმული დიდ პარასკევს ჯვარცმის გარდამოხსნაზე 185
წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე)
(3) სიტყვა დიდ-პარასკევს
ჯვარცმის გარდამოხსნასა ზედა 189
წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე)
(4) სიტყვა ჯვარცმის გარდამოხსნასა ზედა.....193
წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე)
(5) სიტყვა დიდ-პარასკევს
ჯვარცმის გარდამოხსნასა ზედა 197
წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე)
(6) ლოცვა ნაცვლად ქადაგებისა, თქმული დიდ პარასკევს,
წინაშე ჯვარცმის გარდამოხსნისა.....200
წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე)
(7) სიტყვა იდ-ს სეკტემბერს,
ჯვარის ამაღლებასა ზედა 204
წმინდა იოანე ოქროპირი
გამოჩინება ჯვრისა, რომელიც მდინარე დანუბზე
განეცხადა კონსტანტინე მეფეს, რომელმაც
პატიოსანი ძელი წმინდა ქალაქ იერუსალიმში მოიძია 209
/მოამზადა ნინო გაგოშაშვილმა/
14 სექტემბერს, ჯვრის აპყრობის დღესასწაულზე
საკითხავი ჩვენი წმინდა და ნეტარი მამის, იოანე
მთავარეპისკოპოსის თქმული 217
/მოამზადა ნინო გაგოშაშვილმა/
ჯვრის ამაღლების დღესასწაულის საკითხავი
წმინდა და ნეტარი მამის,
იოანე ოქროპირის მიერ წარმოთქმული 222
/მოამზადა თინათინ გოგოჩაშვილმა/
14 სექტემბერი. კრიტელი მთავარეპისკოპოსის,
ნეტარი ანდრეას სიტყვა პატიოსანი და
მაცხონებელი ჯვრის ამაღლების შესახებ 230
/მოამზადა თინათინ გოგოჩაშვილმა/

წმინდა და ნეტარი მამის,
ანდრია იერუსალიმელის,
კრიტელი მთავარეპისკოპოსის სიტყვა
პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის ამაღლებაზე.....240
/მოამზადა თინათინ გოგოჩაშვილმა/
ალექსანდრე კვიპრელის საკითხავი პატიოსანი და
ცხოველსმყოფელი ჯვრის შესახებ, რომლის აღწერასაც
მრავალგზის ევედრნენ მას წმინდა მამები.....248
/მოამზადა ნინო გაგოშაშვილმა/
წმინდა იოანე დამასკელი ჯვრის შესახებ;
აქვე კიდევ რწმენის შესახებ 287

იკონოგრაფია

ჯვარი 293
თეა ინწკირველი /ხატმწერი, ხელოვნებათმცოდნე/

საგალობელნი

იოანე მინჩხი
დიდსა პარასკევსა 305
შედეგი წმიდათა და საცხორებელთა ვნებათა
უფლისა ჩუენისა იესო ქრისტჱსთა.....307
თთუესა მაისსა ზ-სა ჯუარის გამოჩინებაჲ 329
თუესა იდ სეკდებერსა ჯუართა აპყრობაჲ.....331
გიორგი მთაწმინდელის თვენი (სექტემბერი)
თა სეკდენბერსა იდ, აღმაღლებაჲ პატიოსნისა
და ცხოველს-მყოფელისა ჯუარისაჲ.....348

საწინაასწარმეტყუელონი 383
სამოციქულო 387
სახარება 390
თარგმანებაჲ გალატელთა მიმართ ეპისტოლისაჲ 410
თარგმანებაჲ რომაელთა მიმართ ეპისტოლისაჲ 413
თარგმანებაჲ კორინთელთა მიმართ
პირველი ეპისტოლისაჲ 415
წმიდა იოანე ოქროპირი. განმარტებაჲ
მათეს სახარებისაჲ 426
წმიდა იოანე ოქროპირი. განმარტებაჲ
იოანეს სახარებისაჲ 480
საკითხავნი წმიდისა პარასკევისანი
თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ
თხრობაჲ და უწყებაჲ და სახისა გამოთქუმაჲ
აღვსებისა ზრახვისათჳს 497
თქუმული წმიდისა იოვანე მთავარ-ეპისკოპოსისაჲ
კოსტანტინეპოლელისაჲ ქრისტჱს ჴუარისათჳს და
მორწმუნისა მის ავაზაკისათჳს 506
თქუმული მისივე იოვანე მთავარ-ეპისკოპოსისაჲ
ჴუარისათჳს 512
თქუმული მისივე იოვანე მთავარ-ეპისკოპოსისაჲ
აღვსებისა პარასკევსა და შაბათსა 519
წმიდა თეოდორე სტუდიელი
დიდსა პარასკევსა, ვითარმედ ჴერ არს, რაჲთა
მარადის ვიჴსენებდეთ და განვიცდიდეთ
საკჳრველებით ვნებათა ქრისტესთა 522
დიდსა პარასკევსა
საკითხავნი ვნებისათჳს და სიკუდილისა მოსაჴსენებელი
მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი თქმული ანანია
ებრაელისა დასისაგან შჳლის-მეცნიერისა 527
განჩინებაჲ პილატესი სიკუდილისათჳს იესუჲსისა 537

წმიდა მაქსიმე აღმსარებელი
ღვთისმშობლის ცხოვრება 552
წმიდა იოანე ოქროპირი
გამოჩინებაჲ ჯუარისაჲ. რომელი გამოუჩნდა
კოსტანტინე მეფესა. მდინარესა ზედა დანუბსა,
რომლისა მიერცა მოიძია პატიოსანი ძელი ჯუარისაჲ
წმიდასა ქალაქსა იერუსალემს 562
თთუესა სეკტენბერსა იდ ჯუართა აპყრობაჲ.
საკითხავნი თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა
ჩუენისა იოანე მთავარეპისკოპოსისაჲ 572
დღესასწაულსა ჯუართა აღპყრობისასა საკითხავი
თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა
იოვანე ოქროპირისაჲ 578
თუესა სეკდენბერსა იდ
ნეტარისა ანდრეა იერუსალიმელისა კრიტელ
მთავარეპისკოპოსისა სიტყუაჲ ყოვლად
მსოფლიოჲსათჳს ამაღლებისა პატიოსნისა და
ცხოველს-მყოფელისა ჯუარისა 586
წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ანდრია
იერუსალიმელისაჲ კრიტელ მთავარეპისკოპოსისაჲ
სიტყუაჲ აღმაღლებასა პატიოსნისა და
ცხოველს-მყოფელისა ჯუარისასა 597
საკითხავი პოვნისათჳს პატიოსნისა და
ცხოველს-მყოფელისა ჯუარისა აღწერილი
ალექსანდრეს მიერ, კჳპრელ მონაზონისა,
რომელსა ევედრნეს მრავალგზის წმიდანი მამანი 606
წმიდა იოანე დამასკელი
საუფლოჲსა ჯუარისათჳს, რომელსა შინა არს
და სარწმუნოებისათჳსცა 656

კრებულზე მუშაობდნენ:
რეცენზია:
ზურაბ ეკალაძე (თეოლოგი)
ძველქართული ტექსტების რედაქცია:
დოდო (მარიამ) ღლონტი
(ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი);
ახალქართული ტექსტების რედაქცია:
ნინო გაგოშაშვილი
მხატვრობა: **თეა ინწკირველი**
(ხატმწერი, ხელოვნებათმცოდნე);
დიზაინი: **გიორგი დემეტრაშვილი**
კომპუტერული უზრუნველყოფა:
დავით კუტუბიძე, მზია გორგაძე
კორექტურა: **ხათუნა დავითური**

კრებულზე მუშაობისას გაწეული კონსულტაციისა და დახმარებისათვის გულითად მადლობას ვუხდით:
ბ-ნ **დიმიტრი თუმანიშვილს,**
ქ-ნ **მარინე ყენიას**.